

ჯემალ გამახარია

ს ფ ხ ა ზ ე თ ი

ღ ა

მ ა წ ი თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ ა ბ ა

(I ხ. – 1921 წ.)

თბილისი 2005

**რედაქტორი — პროფესორი, მიტროპოლიტი
ანანია (ჯაფარიძე)**

რეცენზენტები:

პროფესორი ელდარ ნადირაძე

პროფესორი სერბო მარლოსანიძე

დოცენტი ელდარ ბუბულაშვილი

**ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის
ჰუმანიტარული დისციპლინების კათედრაზე**

უპ (UDC) 947.922.4

ბ 191

შესავალი

პირველ მოციქულთაგან დანერგილი ქართული მართლმადიდებლობის ისტორია — ქართველი ხალხის, მისი სახელმწიფოებრივ-კულტურული განვითარების, არსებობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის, არნახული აღმავლობის, დროებითი მწარე მარცხისა და დაცემის, მაგრამ კვლავ აღდგომის ბოლო ორიათასწლოვანი ისტორიის განუყოფელი, ორგანოული ნაწილია. ქართულმა დედა-ეკლესიამ სრულად გაიზიარა ერის ქირვარამი. სახელმწიფოს ერთიანობა და ძლიერება განაპირობებდა მის ერთიანობას და ძლიერებასაც; ერთიანი და ძლიერი ეკლესია, თავი მხრივ, მუდამ ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი გახლდათ. გარეშე მტრები, ძირითადად არაქრისტიანი ხალხების გამუდმებული თავდასხმების შედეგად სახელმწიფოს დასუსტებას, მისი საზღვრების რღვევას და პოლიტიკურ დაქუცმაცებას ქართული მართლმადიდებლობის განთენის არეალის შევიწროება, ეკლესიური ერთიანობის მოშლა მოჰყვა. უმძიმესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა ქართული ეკლესია ერთმორწმუნე რუსეთის ბატონობის ჟამს — 1917 წლამდეც და საბჭოთა ეპოქაშიც.

ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აღორძინება და საბჭოთა საქართველოს ფარგლებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გახდა საწინდარი კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმის პირობებში დაუძლურებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იმავე ფარგლებში აღორძინებისა. 1992 წლის იანვრიდან ქვეყანაში დატრიალებულმა ტრაგედიამ, აფხაზეთის ომში გადაზრდილმა კრიმინალურმა ბაკხანალიამ ქვეყნისა და ეკლესიის ერთიანობა შეიწირა; აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და, შესაბამისად, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაზე ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის იურისდიქცია დღეს სრულად ვერ ვრცელდება. მთელი ისტორიის მან-

ძილზე ეს არის პირველი შემთხვევა, როცა პოლიტიკური სეპარატიზმი აფხაზეთში ეკლესიურ სეპარატიზმშიც გადაიზარდა, რასაც ადგილი არ ჰქონია თვით XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზეც (ასევე შემდგომშიაც) კი.

სეპარატიზმის (პოლიტიკურის და ეკლესიურის) მთავარი წყაროა რუსული იმპერიალიზმი. მას შემდეგ, რაც 1993 წელს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიამ მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ხელმძღვანელობით თავის მრევლთან ერთად იძულებით დატოვა აფხაზეთი, იქ რუსული ეკლესია გააქტიურდა. მისი მესვეურები, საკუთარი ქვეყნის უმაღლესი საერო ხელისუფლების მაგალითისა-მებრ, დიდმპყრობელურ პოლიტიკას ახორციელებენ და ორმაგი სტანდარტებით მოქმედებენ — სიტყვიერად აღიარებენ ავტოკეფალური ქართული ეკლესიის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, საქმით კი მეთოდურად ცდილობენ აფხაზეთის ეპარქიაზე სრული კონტროლის დაწესებას. ჯერ კიდევ 1995 წელს ვარძინბამ თხოვნით მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ს აფხაზეთის ეპარქიის რუსეთის ეკლესიასთან შეერთების შესახებ.¹ იმავე წელს ათონის (საბერძნეთი) წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ბერებმა აფხაზეთში — ახალ ათონში საქართველოს საპატრიარქოს ნებართვის გარეშე ღვთისმსახურება განაახლეს; უფრო ადრე — 1990 წელსაც რუსული ეკლესიის მხრიდან იყო ახალი ათონის მონასტრის ხელში ჩაგდების მცდელობა. უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ძალისხმევით ეს მცდელობა მაშინ ჩაიშალა.² მოგვიანებით აღნიშნული პრობლემა კვლავ აქტუალური გახდა. 1997 წლის 6 თებერვალს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წერილს უგზავნის ალექსი II-ს და ატყობინებს ათონის რუსული მონასტრის ილუმენის პეტრეს (პიგოლი) ანტიკანონიკური საქმიანობის შესახებ. სწორედ მან განაახლა 1995 წელსაც ღვთისმსახურება ახალ ათონში; 1997 წლისათვის კი მოსკოვში არსებულ ათონის წმ. პანტელეიმონის მონასტრის წარმომადგენლობასთან ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის წარმომადგენლობა დააფუძნა. უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის წერილ-

ში შეეხო ასევე 1997 წ. 21 იანვარს გამართულ ცხუმ-აფხაზეთის თვითმარქვია სამღვდელოების კრების გადაწყვეტილებას საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციიდან გასვლისა და ე.წ. ჩრდილოეთ კავკასიის ეპარქიასთან შეერთების შესახებ. „ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ეპარქია არ არსებობს და ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ეპარქია შედის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში“;³ — აღნიშნავდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და ხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით რუსეთის ეკლესიის ოფიციალური პოზიციის ღიად დაფიქსირებას მოითხოვდა.

საპასუხო წერილში, რომელიც არც თუ ისე შემთხვევით 1997 წლის 9 აპრილსაა დაწერილი (ლიტერატურული საქართველო, 1997, 23-30 მაისი), აღეჭი მეორე უარყოფდა მოსკოვში ათონის წმ. პანტელეიმონის მონასტრის წარმომადგენლობასთან ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის იურიდიულად გაფორმებული წარმომადგენლობის არსებობის (ამით მან ფაქტობრივად აღიარა უკანონო წარმომადგენლობის არსებობა) ფაქტს. რუსეთის პატრიარქმა დუმილით აუარა გვერდი ცხუმ-აფხაზეთის თვითმარქვია სამღვდელოების ანტიკანონიკური კრების გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, 2003 წლის ივლისის ბოლოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა მიიღო სპეციალური დადგენილება აფხაზეთში არსებული სამრევლოების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის ნაწილად აღიარების შესახებ.⁴

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 1997 წლის 27 თებერვალს მსოფლიო პატრიარქის ბართლომე კონსტანტინოპოლელის წერილი მიიღო. ათონის წმ. პანტელეიმონის მონასტერში (ემორჩილება მსოფლიო პატრიარქს) ადრე გაგზავნილი ორი წერილის შედეგად, — წერდა იგი, — „ამ მონასტრის მიერ თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში შემოჭრის თემა ამოწურული უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჩვენთვის ეს იყო მოულოდნელობა და დიდად ვწუხვართ, რომ უნებართვო ქმედებანი კვლავ გრძელდება.“

ჩვენ კვლავ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი და გადავწყვიტეთ

გაგვეგზავნა ახალი წერილი მკაცრი გაფრთხილებით უწესრიგობის მოთავე ამ მონასტრისადმი. აქვე დავსძენთ, რომ მათი მხრიდან უარისა და გულგრილობის შემთხვევაში მივმართავთ საეკლესიო კანონებით გათვალისწინებულ დამსჯელ ზომებს ამ მიუღებელი საქმის მოთავეთა მიმართ“ (ლიტერატურული საქართველო, 1997, 23-30 მაისი).

ფარისევლური იყო ათონის წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის წინამძღვრის იერემიას წერილი (1997 წ. 18 მარტი) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელზე. 1995 წელს ჩვენს შორის კორესპონდენციების ურთიერთგაცვლის შემდეგ, — წერდა იგი, — ყველანაირი სკანდალური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ჩვენმა წმიდა მონასტერმა გადაწყვიტა შეეწყვიტა საქმიანობა მონასტერში (ახალ ათონში — ჯ.გ.) და უკან გამოეხმო დასახელებული მღვდელმონაზონი პეტრე (პიგოლი). ხოლო იგი რაკი არ დამორჩილდა ჩვენს მიერ დადგენილს, ამოღებულ იქნა მონასტრის ნუსხიდან 1996 წლის 3 იანვრიდან... ამდენად, ამჟამად ჩვენს ძმათაგან არც ერთი არ იმყოფებოდა აფხაზეთში“.⁵ მონასტრის ნუსხიდან ამორიცხვით პიგოლი კი არ დასაჯეს, არამედ მოქმედების თავისუფლება მიანიჭეს.

რუსული ეკლესიის მესვეურთა პოზიცია აფხაზეთის საკითხში არაფრით განსხვავდება ოფიციალური მოსკოვის პოზიციისაგან. საერთოა მათი მიზნები, საერთოა მოქმედების ფორმები და მეთოდები. საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანის მიზნითა და საკუთარი ზრახვების განსახორციელებლად კრემლს აფარებული ჰყავს თვითმარქვია სეპარატისტული რეჟიმი, რუსული ეკლესია კი ამოფარებულია — აფხაზეთის თვითმარქვია სასულიერო ადმინისტრაციას — ე.წ. სოხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭოს (უკვე დაშლილია) და ერთმანეთთან დაპირისპირებულ (იხ. გვ. 1059) აფხაზურ სამღვდელეობას. ეპარქიის მმართველი ბესარიონ ფილია (აპლია) რუსეთის პატრიარქს ყოველწლიურად მიმართავს თხოვნით, რათა მან კონფლიქტის მოგვარებამდე „მფარველობა“ გაუწიოს აფხაზეთის ეკლესიას. ალექსი II, რომელიც მხოლოდ სიტყვიერად აღიარებს საქართველოს ეკლესიის ერთიანობას, ხშირად ხვდება ბესარიონ აპლიას — ქურდული წარსულის მქონე,

საბჭოთა პერიოდში ნასამართლევ (სასჯელის ჩიტის ოლქში მოხდის შემდეგ გახდა ლიხნის ტაძრის მედავითნე) პიროვნებას, რომელიც იარაღით ხელში იბრძოდა (1990 წლიდან სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელია, 1992-1993 წლებში — გუდაუთის ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიის წინამძღვარი) ქართველების წინააღმდეგ და ეთნოწმენდის ჩატარებაშიც მონაწილეობდა. რუსულმა ეკლესიამ ბესარიონი 2002 წელს „за усердие и пастырский труд“ ღირსი მამის სერგი რადონეველის III ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. აფხაზეთში დღეს ძირითადად ალექსი მეორის მიერ ხელდასმული აფხაზი და რუსული ეროვნების მღვდლები მოღვაწეობენ.⁶ იქ, სადაც ოფიციალური რუსული ეკლესია ღიად ვერ მოქმედებს, საქმეში ერთვება ე.წ. რუსული ემიგრანტული ეკლესია (ერთმანეთთან თითქოს დაპირისპირებული ეს ორი ეკლესია აფხაზეთში შეხმატკბილებულად მოქმედებს), რომელიც აფხაზეთს თავის სამწყაოდ განიხილავს. ოფიციალური ეკლესია, მიუხედავად უწმინდესისა და უნეტარესის მიმართვებისა, აგრძელებს ორმაგი სტანდარტებით მოქმედებას. სულ ახლახან (2005 წლის მარტში) სეპარატისტული რეჟიმის ხელმძღვანელებთან და ე.წ. სოხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭოს მმართველთან შეხვედრისას, პატრიარქმა ალექსი II-მ განაცხადა, რომ იგი დაინტერესებულია აფხაზეთში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ქრისტიანული ძეგლების აღორძინება-შენარჩუნებაში. არსებობს ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსში ძვირადღირებული სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების პროექტი, რომლის რეალიზება უახლოეს პერიოდში უნდა დაიწყოს. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას რუსეთის სახელმწიფო (ივანოვოს ოლქი) და ბიზნესსტრუქტურები მიიღებენ. რუსეთის საპატრიარქოს მიზანია ახალი ათონის რუსულ-ქრისტიანულ ცენტრად გადაქცევა, ბიზნესმენებისა კი — მაღალი დონის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა. რუსული ეკლესია დიდ ინტერესს იჩენს აგრეთვე სოფ. კამანში არსებული წმიდა ადგილების მიმართ, სადაც ხშირად ჩადიან რუსი ბერები და მომლოცველები, იგეგმება დრანდისა და მოკვის მონასტრების აღორძინება.

დაზუსტებული ოფიციალური წყაროების მონაცემებით, სეპარატისტთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დღეისათვის 1 ეკლესია და ორი მონასტერი ფუნქციონირებს. ესენია: სოხუმის საკათედრო ტაძარი, გუდაუთის ღვთისმშობლის საფარველის ეკლესია, რომლის წინამძღვარია ბერ-მონაზონი ვასილისკა (ლეიბა), გაგარის ღვთისმშობლის საფარველის ეკლესია (წინამძღვარი პეტრე ხარჩენკო; წირვაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს იხსენიებს), ბიჭვინთის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, სიმონ კანანელის ტაძარი ახალ ათონში, იამტუხის ეკლესია (წინამძღვარი გიორგი ხორკინი), აგუძერის ილია წინასწარმეტყველის ეკლესია (წინამძღვარი ბერმონაზონი ეგნატე კიუტი), დრანდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ილორის წმ. გიორგის ეკლესია (წინამძღვარი ბერმონაზონი სერგი ჯოპუა; კურთხეულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ და წირვაშიც უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს იხსენიებს), ჭუბურხინჯის წმ. გიორგის ეკლესია, ახალი ათონის მონასტერი (წინამძღვარია მოსკოვის სასულიერო აკადემიასთან არსებული ხატწერის სკოლის 1997 წლის კურსდამთავრებული, ბერმონაზონი ანდრია ამპარი), წმინდა ვასილისკო-იოანე ოქროპირის მონასტერი კამანში.

2002 წლის სექტემბერში ახალ ათონში გაიხსნა საეპარქიო სასულიერო სასწავლებელი (ორწლიანი), სადაც ამჟამად 12 მოსწავლე ირიცხება. სწავლების პროგრამაშია საღვთისმეტყველო დისციპლინები, საეკლესიო სლავური, რუსული და აფხაზური ენები, აფხაზეთის ისტორია, აფხაზეთის ლიტერატურა. სასწავლებლის რექტორი არის მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატი, ბერმონაზონი დოროთე (დბარი) — აფხაზური ეკლესიის ისტორიაში პირველი აფხაზი ღვთისმეტყველი; პრორექტორია მოსკოვის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, აგუძერის ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის წინამძღვარი ბერმონაზონი ეგნატე (კიუტი).

ვინაიდან აფხაზეთში არსებულ სამრევლოებს კანონიკური ურთიერთობა არ გააჩნიათ არც ქართულ და არც რუსულ ეკლესი-

ებთან, უმეტესობას მღვდლები არ ჰყავთ. სასულიერო პირთა უკიდურესი ნაკლებობა კი ძლიერ აფერხებს პოსტსაბჭოთა აფხაზეთში მართლმადიდებლობის აღდგენას. სარწმუნოებრივი თვალსაზრისით აფხაზები, ისევე როგორც ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში, კვლავ წარმართებად რჩებიან, თუმცა 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით უმრავლესობა (60%) თავს ქრისტიანად თვლის, უმცირესობა (16%) — მუსულმანად (მეჩეთები არ არსებობენ); არიან ათეისტებიც (8%). საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ აფხაზეთში კათოლიკური ეკლესია აღორძინდა, კიდევ უფრო მომრავლდნენ სხვადასხვა სახის სექტები — ბაპტიტები, ადვენტიტები, იელოვას მოწმეები და ა.შ. ამ უკანასკნელთა რიგები მუდმივად იზრდება.⁷

შექმნილ ვითარებას იყენებს რუსული ეკლესია. სწორედ რუსეთში აღზრდილი აფხაზი ეროვნების სასულიერო პირების მეშვეობით ცდილობს იგი აფხაზეთში თავისი დიდმპყრობელური მიზნების განხორციელებას. მნიშვნელოვან როლს ამ საქმეში ისტორიის გაყალბება ასრულებს.

აფხაზეთში მართლმადიდებლობის ისტორიის საკითხებზე მუშაობენ ე.აჩინჯალი, დ.დბარი, გ.სმირი, დ.სარსანია და სხვები. სამწუხაროდ, აფხაზი ისტორიკოსები აგრძელებენ საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორიის მითვისების ძველ ტრადიციას. ფალსიფიკატორებისათვის აფხაზეთის ქართული საკათალიკოსო — აფსუური ეკლესიაა; ბიჭვინთის, დრანდის, მოჭვისა და ბედის ქართული კათედრები — აფსუური ქრისტიანული ცენტრებია და ა.შ. ეს არის გუშინდელი დღე ისტორიოგრაფიაში, პირველ რიგში, საკუთარი თავის, საკუთარი ხალხის, ხოლო შემდეგ სამეცნიერო სამყაროს მოტყუების უბადრუკი მცდელობა, ქრისტიანთათვის მიუტევებელი ქმედობა. აფხაზი ისტორიკოსები საკმაოდ მომზადებულები არიან, კარგად იცნობენ შესაბამის წყაროებს და ლიტერატურას, ყველა შესაძლებლობა აქვთ წერონ სიმართლე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ისტორიული მეცნიერების განვითარებაში, მაგრამ პოლიტიკური ილუზიები უშლით ხელს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებაში. თანამედროვე ისტორიოგ-

მიღწევების ფონზე აფხაზი ავტორები სასაცილოდ გამოიყურებიან, მათ ვერ შექმნეს აფხაზი ხალხის ჭეშმარიტი ისტორიის ამსახველი მეცნიერული ღირებულების მქონე შრომები.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ აფსუათა ნამდვილი ისტორია სავსეა მამაცობის, პოლიტიკური გამჭრიახობისა და შორსმჭვრეტელობის, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — შავი ზღვისპირა ზოლში დამკვიდრებისათვის თავგანწირული ბრძოლის მაგალითებით. საოცარი ვაჟკაცობისა და სიცოცხლისუნარიანობის წყალობით, აფსუა ხალხმა მოახერხა XVI-XVII საუკუნეებში დაკავებული ტერიტორიის თითქმის სრულად (მდ.ღალიძგამდე) ათვისება, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია და შემდგომში (XVIII-XIX სს.) მასთან ერთად მტკიცე ეთნიკურ ერთობად, შედარებით მცირერიცხოვან, მაგრამ ძლიერ ერად ჩამოყალიბება, გადარჩენა რეგიონში რუსულ-თურქული სამკვიდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების პირობებში მაშინ, როცა კავკასიელ მთიელთა უმეტესობა გაქრა ისტორიული ასპარეზიდან; მაჰაჯირობის შედეგად მიყენებული უმძიმესი დარტყმის გადატანა; სერიოზული წარმატებების მიღწევა საბჭოთა ეპოქაში და ა.შ. ამ და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების მეცნიერული შესწავლა გაცილებით უფრო საინტერესო და მიმზიდველი უნდა იყოს საკუთარი ხალხის ბედით, მისი მომავლით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

ისტორიის ფალსიფიკაციით ფონს ვერავინ გავა, ნებისმიერი დონის სახელმწიფოებრიობის სიყალბეზე და ძალადობაზე დაფუძნება დღეს შეუძლებელია. დანაშაულად მიგვაჩნია საკუთარი ხალხის წარსულის უხეშად დამახინჯება (ამით ექვევებო დგება ერის მომავალიც) და ქართული სახელმწიფოს, ქართული ეკლესიის ისტორიის მითვისების თავხედური და ამავე დროს ძალზე უსუსური მცდელობა. განსაკუთრებულად მძიმე და მიუტევებელი ცოდვია მართლმადიდებლობის ისტორიის ასე აბუჩად აგდება, შეგნებულად მისი გაყალბება. საუბედუროდ, აფხაზი მკვლევარები მთლიანად პოლიტიკური ილუზიების ტყვეობაში იმყოფებიან, ამიტომ ცრუობენ და თავდაყოფენ აყენებენ აფხაზეთის ქართული ეკლესიის ისტორიას, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცალკეული საკით-

ხების გაშუქებისას (პოლიტიკის გარეშე), ჩვენი აზრით, მათ მიერ საყურადღებო მოსაზრებებიც არის გამოთქმული. გარკვეულწილად ეს ეხება ე.აჭინჯალის წიგნს (Из истории христианства в Абхазии. Сухуми, 2000), უფრო მეტად კი მისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობას, რომლის ავტორია დ.დბარი (მას ქ.ზაგორსკში დისერტაცია აქვს დაცული თემაზე: „История христианства в Абхазии в I тысячелетии“). ეს უკანასკნელი მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისაგან აბაზგიის (სევასტოპოლის) ავტოკეფალურ ეპარქიას და ბიზანტიისაგან დამოუკიდებელ აფხაზეთის ავტოკეფალურ ეკლესიას (მათ შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავს ე.აჭინჯალი), განმარტავს ავტოკეფალური კათედრების რეალურ სტატუსს. აქ იგრძნობა რუსული ისტორიოგრაფიის გავლენა. დიდი სურვილის შემთხვევაშიც, დ.დბარს რუსეთში უფლებას არ მისცემდნენ ავტოკეფალურ (თანამედროვე გაგებით) ეკლესიად გამოეცხადებინა სევასტოპოლის საარქიეპისკოპოსო, რომლის პარალელურად ზერსონის, ბოსფორისა და ნიკოფსიის (ყოფილი „ძველი ლაზიკის“) ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოებიც არსებობდნენ. სამაგიეროდ მას აფხაზეთის ქართული ეკლესიის აფსუურად გასაღების ნება დართეს; მიუხედავად ამისა, საინტერესოა დ.დბარის მოსაზრებები აფხაზეთის (მისი აზრით, აფსნის, სინამდვილეში კი დასავლეთ საქართველოს) დამოუკიდებელი ეკლესიის წარმოშობისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან მისი გამოყოფის საკითხებთან დაკავშირებით.⁸

აფხაზეთის ისტორიის ფალსიფიკაციას ეწევიან არა მხოლოდ „დამოუკიდებლობისათვის“ მებრძოლი სეპარატისტები, არამედ ამ ტერიტორიის მიტაცების მოსურნე იმპერიალისტები. საერთოა მათი კონცეფციები, შეხედულებები, იდეოლოგიური საფუძვლები. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან აფხაზეთის დეკლარირებული „დამოუკიდებლობა“ რეალურად რუსეთის მიერ მის ანექსიას ნიშნავს. თურა დონეზეა აყვანილი მთლიანად საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ისტორიის გაყალბება, ნათლად მიუთითებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანტროპოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლის ვ.ა.შნირელმანის წიგნი „Войны памяти“.

ტი. Мифы, идентичность и политика в Закавказье (М., 2003), რომლის პირველი ვარიანტი 2001 წელს ქ.ოსაკაში ინგლისურ ენაზე გამოვიდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ავტორმა ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა სხვა შრომებიც, სადაც ეთნოკონფლიქტებში (მათ შორის აფხაზეთში) ისტორიული წარსულის როლისა და ადგილის საკითხებს ეხება. ვ.შნირელმანის შრომებში აფხაზეთში მართლმადიდებლობის ისტორიაც უხეშად არის გაყალბებული. იგი ამ საკითხში, ისევე როგორც სხვა საკითხებში, სეპარატისტთა აპოლოგეტია.

აფხაზეთის ისტორიას, მათ შორის ეკლესიის წარსულს უხეშად აყალბებს ინგლისელი ჯ.პიუიტი. ინგლისურ ენაზე საკმაოდ შირად აქვეყნებენ თავიანთ შრომებს აფხაზი ავტორებიც (ს.ლაკობა, ვ.ჩირიკბა, გ.ოტირბა და სხვ.).

სეპარატისტები და შოვინისტები სარგებლობენ ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზებით. საუბედუროდ, არ ყოფილა სათანადოდ გაშუქებული თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მართლმადიდებლობის გავრცელების, განმტკიცების, აფსუათა მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის განადგურების, XIX საუკუნიდან თანდათანობით კვლავ აღდგენის, რუსულ იმპერიალიზმთან ჭიდილში ეკლესიის სრული ასიმილაციისაგან დაცვის, აღორძინებული ქართული ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციის აფხაზეთზე გავრცელების ისტორია. ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი განზოგადებული ნაშრომი დღემდე არ შექმნილა. წინამდებარე მონოგრაფია აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მოკრძალებული მცდელობაა.

აფხაზეთში მართლმადიდებლობის ისტორიის ფუნდამენტალური საკითხები განხილული აქვთ ი.ჯავახიშვილს, ს.კაკაბაძეს, პ.ინგოროყვას, ს.ყაუხჩიშვილს, ნ.ბერძენიშვილს, სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს. სპეციალური ნაშრომები ამ თემაზე XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში შეიქმნა. შეიძლება დავასახელოთ ნ.მურზაყვიჩის „Древнейший Пицундский православный храм на восточном берегу Черного моря“ (Одесса, 1877); თ.ჯორდანას „Абхазские каталикосы (Краткий очерк

ისტორიი აბხაზსკოი ცერკვი)”, რომელიც 1893-1919 წწ. სტავროპოლისა და ეკატერინოლარის ეპისკოპოსის აგათაღორის (სოხუმის ყოფილი ეპისკოპოსის) ლოცვა-კურთხევით გამოიცა (Ставрополь, 1893); თავად აგათაღორის „Успенско-Драндский общежительный монастырь на Кавказе, близ Сухума” (Ставрополь, 1894); 1898 წელს რუსი არქიმანდრიტის ლეონიდეს ავტორობით მეორედ გამოსული „Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно _ Кананитский монастырь”; ეპისკოპოს კირიონის „Состояние христианства в Абхазии в первой четверти XIX столетия и попытка организации в ней миссионерского дела в 1831-1834 годах” (Весь Кавказ, №1. Исторический отдел. Тифлис, 1903). ვფიქრობთ, დამტკიცებულა, რომ ეპისკოპოს კირიონს ეკუთვნის აგრეთვე ცხუმელის სახელით პეტერბურგში გამოცემული (გამოცემის წელი მითითებული არ არის) ბროშურა „Абхазия”. ს.ლეკიშვილის ვარაუდით იგი ამბროსი ხელაიას ეკუთვნოდა და 1906 წელს იყო გამოცემული.⁹ ახალი მონაცემებითა (იხ. თავი IX) და ტექსტუალური ანალიზით დგინდება, რომ ბროშურა „Абхазия” დაწერილია ცხუმელი ეპისკოპოსის (ცხუმელის) — კირიონის მიერ და 1907 წლის დასაწყისში არის გამოქვეყნებული. სწორედ ამ ბრწყინვალე ნაშრომისა და მისი ნამდვილი ავტორის წინააღმდეგ იმავე წელს მოსკოვში ვინმე ლ.ვორონოვმა ი.ვოსტოროვოს სტამბაში გამოსცა წიგნარა „Абхазия _ не Грузия”. ამ უკანასკნელს ჭეშმარიტებასთან, მით უფრო მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. შოვინისტებს გაღიზიანების გარკვეული საფუძველი გააჩნდათ. ეპისკოპოსმა კირიონმა, ასევე თ.ჯორდანიათ თავიანთ ბროშურებში სწორად შეაფასეს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი, ეთნიკური და სარწმუნოებრივი ისტორიის მთავარი საკითხები, მათ შორის დღემდე სადავოდ ქცეული პრობლემები; გამოთქვეს მოსაზრება, რომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია მთლიანად (კირიონი) თუ ნაწილობრივ — კელასურამდე (თ.ჯორდანია) ეგრისის ნაწილს შეადგენდა და კოლხებით იყო დასახლებული; აქ ჰყვარა მართლმადიდებლობა, არსებობდნენ ქართული სამღვდელმთავრო კათედრები, მაგრამ XVI-XVII

საუკუნეებში თურქებისა და ჩრდილოეთ-კავკასიელი მთიელების გაბატონებამ მათი განადგურება გამოიწვია. რუს ავტორზე მითითებით (В.Савинов. Верования и обряды Абхазских горцев. _ Ласточка, 1859, №11 и 12, стр.574-580. 627-636) კირიონი წერდა, რომ აღგილობრივი მოსახლეობა თანდათანობით ითვისებდა „მრისხანე დამპყრობთა რწმენას, წეს-ჩვეულებებს, ადათს, ნაწილობრივ ენასაც კი“ (Весь Кавказ, №1. Исторический отдел, გვ.58).

ამრიგად, თ.ჟორდანიას და ეპისკოპოს კირიონს საკმაოდ სწორად ჰქონდათ გააზრებული აფხაზეთში მართლმადიდებლობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომელთა საფუძვლიანი კვლევა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პავლე ინგოროვას) მხოლოდ XX ს. 80-იანი წლების ბოლოდან გახდა შესაძლებელი.

სპეციალური ნაშრომებიდან დავასახელებთ მელიქსეტ-ბეკოვის გამოკვლევას „Древнейшая Пицунда у Понта Евксинского (Одесса, 1914), აგრეთვე მ.ტარნავას ბროშურას „Краткий очерк истории Абхазской церкви“ (Сухуми, 1917), რომელსაც არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია და ქართული ეკლესიის ისტორიის მითვისების პრიმიტიულ მცდელობას წარმოადგენს.

აფხაზეთში მართლმადიდებლობის ისტორიის საკითხებს ეხებიან პ.იოსელიანი, ს.ზვამბა, მ.ბროსე, დ.ბაქრაძე, მ.სელეზნიოვი, ნ.დუბროვინი, ნ.მარი, პ.უვაროვა, ნ.დურნოვო, მ.ჯანაშვილი, პ.კარბელაშვილი, ნ.ჯანაშია, მ.თამარაშვილი, კ.მაჭავარიანი, სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ავტორები. აღნიშნული პრობლემის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა და აფხაზმა მეცნიერებმა ბ.ლომინაძემ, ზ.ანჩაბაძემ, მ.ლორთქიფანიძემ, გ.ლორთქიფანიძემ, გ.ძიძარია, ლ.შერვაშიძემ, იტაბალუამ და ა.შ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურებამ დასახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ ბიძგი მისცა ქართული სულიერების, მართლმადიდებლობის ისტორიის პრობლემების

კვლევის გააქტიურებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ქვეყნის პირველი პრეზიდენტისა და მოაზროვნის ზვიად გამსახურდიას ღვაწლი ამ სფეროში.¹⁰

XXს. 80-იანი წლებიდან ქრისტიანობის ისტორიას არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიემდინა. გამოქყნებული გვაქვს ვსილოგავას, ვ.გოილაძის, ს.ვარდოსანიძის, ბ.დიასამიძის, ქ.პავლიაშვილის, თ.მიბიჟანის, გ.როგავას, გ.გასვიანის, თ.გვანცელაძის, ვ.თორაძის, ნ.თორაძის, თ.ბერაძის, დ.თუმანიშვილის, მ.კობიაშვილის, ზ.პაპასქირის, ბ.გოგიას, ლ.ახალაძის, თ.ქორიძის, ბ.კუდავას, ბ.ხორავას, დ.ლეთოდიანის, ს.ბახია-ოქრუაშვილის, ე.ბუბულაშვილის, ვ.ითონიშვილის, ე.შამისთვალიშვილის, მ.მამულაშვილის, ზ.უვანია, ა.სილაგაძის, ვ.გურულის და სხვათა შრომები.

ქართული ეკლესიის ისტორიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უჭირავთ პროფესორისა და მიტროპოლიტის — ანანია ჭავჭავაძის შრომებს. მის კალამს სამ ათეულზე მეტი კაპიტალური მონოგრაფია, ბროშურა, წერილებისა და ქადაგებების კრებული ეკუთვნის, მათ შორის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (ტ.1, თბ., 1996; ტ.2, თბ., 1998; ტ.3, თბ., 1999; ტ.4, თბ., 2003) , „ღეღა ეკლესია“, „აფხაზეთი“ და ა.შ. ამ და სხვა ნაშრომებს უკვე მიეცა მაღალი შეფასება ისეთი კომპეტენტური ავტორების მიერ, როგორებიც არიან გ.ალასანია, შ.ბადრიძე, ბ.არველაძე, ვ.გოილაძე, ბ.დიასამიძე, ს.ვარდოსანიძე, ზ.აბაშიძე, ვ.გურული.¹¹

მონოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ბაზას შეადგენენ გამოქვეყნებული ქართული, ბიზანტიური და სხვა მასალები, საეკლესიო ისტორიული საბუთები, აგრეთვე საარქივო დოკუმენტები. შესწავლილია ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის, ეგზარქოსის კანცელარიის, კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების, კავკასიის არქეოლოგიური კომისიის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების — კირიონ მეორისა და ლეონიდეს პირადი ფონდები. დამუშავებულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული კირიონ მეორისა და თედო ჟორდანიას ფონდები, ამბროსი ხელაიას უნიკალური ხელნაწერი „ბედიის ტაძარი“. საქართვე-

ლოს საპატრიარქოს არქივში დაცული მასალებიდან მნიშვნელოვანი იყო აფხაზეთზე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენის რთული პროცესის ამსახველი დოკუმენტები და სხვა მასალები.

მონოგრაფიაში გამოყენებულია 1989-1991 წწ. აფხაზეთის სახელმწიფო არქივის სოხუმის ეპარქიის ფონდში გამოვლენილი, შემთხვევით გადაარჩენილი გამოუქვეყნებელი დოკუმენტური მასალა.¹² შევეცადეთ ეს მასალა მაქსიმალურად წარმოგვეჩინა წინამდებარე ნაშრომში, ვინაიდან აფხაზეთის სახელმწიფო არქივი, სამწუხაროდ, 1992 წლის ოქტომბერში მთლიანად დაიწვა.

აფხაზეთის საეკლესიო ისტორიის ცალკეულ საკითხებზე დიდძალ მასალას შეიცავს XIX-XX სს. ქართულ-რუსული პერიოდული პრესა. მრავალფეროვანი ცნობებია გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთებში: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო განათლება“, „საქართველო“, „მწყემსი“, „სვეტიცხოველი“, „კავკაზი“, „ზაკაკაზიე“, „სოტრუნდიკ ზაკაკაზსკოი მისიი“ და ა.შ.

გამოყენებულმა ლიტერატურამ და წყაროებმა საშუალება მოგვცეს შეგვექმნა ნაშრომი, სადაც ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში თანმიმდევრულადაა გაშუქებული მართლმადიდებლობის თითქმის ორიათასწლოვანი ისტორია აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე. მონოგრაფიის ერთ-ერთ თავისებურებას ძირითადი საკვლევი პრობლემების I-XX საუკუნეებში განვითარებულ პოლიტიკურ და ეთნო-დემოგრაფიულ პროცესებთან მჭიდრო კავშირში განხილვა წარმოადგენს. აფხაზეთში მართლმადიდებლობის ისტორიის შესწავლისადმი ასეთი მიდგომის აუცილებლობას განაპირობებდა სეპარატისტულ-სიფილიკატორთა უსაფუძვლო მტკიცება აფსუათა I-VI საუკუნეებში მონათვლის შესახებ, მათი მცდელობა ქართული ეკლესიის ისტორიის, აფხაზეთის უძველესი ქართული ქრისტიანული კულტურის მითვისებისა მაშინ, როცა ენგური-ფსოუს მონაკვეთზე ეს უნიკალური კულტურა XVI-XVII საუკუნეებში აფსუათა შემოსევების შედეგად განადგურდა. მონოგრაფიაში წამოჭრილი ძირითადი პრობლემების პოლიტიკურ და ეთნო-დემოგრაფიულ პროცესებთან ერთად განხილვა საჭიროა იმისთვისაც, რათა დავძლიოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული „შემრიგებლური“, მაგრამ არანაკლებ მცდარი

თეორია ორაბორიგენობის შესახებ. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, განსაკუთრებით აფხაზეთის მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელ პავლე ინგოროყვას ფუნდამენტური ნაშრომის — „გიორგი მერაჩულეს“ (თბ., 1954) პარტიული ორგანოების მითითებით¹³ დაგმო-ბისა და აკრძალვის (ასეთი იყო სეპარატისტთა მოთხოვნაც) შემდეგ ქართველი მეცნიერები იძულებული გახდნენ ფართოდ დაემკვიდრებინათ ორაბორიგენობის თეორია. თავისი „ინტერნაციონალური“ სულისკვეთებით იგი გარკვეულწილად ეხმიანებოდა გაბატონებულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, რისი წყალობითაც წარმატებით უპირისპირდებოდა ქართველთა (პ.ინგოროყვა) თუ აფსუა-აფხაზთა მონოაქტოზობის „ნაციონალისტურ“ თეორიებს. საბჭოთა პერიოდში მოღვაწე წინა თაობის გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს სხვა გზა და საშუალება ისტორიული აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილების დასამტკიცებლად უბრალოდ არ ჰქონდათ. დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც 1913 წელს გამოქვეყნებულ „ქართველი ერის ისტორიაში“ (ტ.1) აფშილ-აფხაზებს ქართველებად მიიჩნევდა, შემდგომში (30-იან წლებში) იძულებული გახდა პოზიცია ოდნავ შეეცვალა (აფხაზები ქართველთა ნათესავეები არიანო).¹⁴ დათმობებზე წასვლა მოუხდა ნიკო ბერძენიშვილსაც — ორაბორიგენობის თეორიის ერთ-ერთ ავტორს. იგი სამართლიანად წერდა, რომ „ფეოდალური ქვეყანა აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ვერისი და მეგრელი, ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი“, მაგრამ იქვე სათანადო დასაბუთების გარეშე აფხაზეთში ჩამოსახლებულ მთიელებსა და „დამხდურ თანამოძმეებს“ აცხადებდა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხებად, რომლებიც ვითომ საერთო კლასობრივი ინტერესების — გაქართველებული (!!) აფხაზი თავადაზნაურობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ნიადაგზე იოლად შეერწყნენ ერთმანეთს.¹⁵ ამრიგად, ავტორი ისტორიულ აფხაზებს ქართულ ეთნოსს მიაკუთვნებდა, ამ აზრის გასატანად კი მათ ერთდროულად კავკასიელ მთიელებთან აიგივებდა, მეტი „დამაჯერებლობისათვის“ კლასობრივი ბრძოლისა და აფხაზთა „გაქართველების“ თეორიასაც იყენებდა. ეს ყოველივე გახლდათ მეცნიერული შეხედულების (აფხაზთა ქართული ეთნოსისადმი კუთვნი-

ლებს) დასაცავად საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე იძულებით გა-
ლებული ხარკი, რომლის გადახდა დღეს უკვე არავის ევალება. მიუხე-
დავად ამისა, ორაბორიგენობისა და აფსუათა „გაქართველების“
მცდარი თეორია ბოლომდე დაძლეული არ არის¹⁶. მან მართლმა-
დიდებლობის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებშიც
ჰპოვა ასახვა.

საბჭოთა ეპოქაში თავსმოხვეული ორაბორიგენობის თეორია
განზოგადებული ფორმით ჩამოაყალიბა (გაიმეორა) ქრისტიანობის
ისტორიის თვალსაჩინო სპეციალისტმა გივი როგავამ. იგი წერს:
„XIII საუკუნის 20-30-იანი წლებიდან აფხაზეთში ადგილი აქვს
„მთის ჩამოწოლას“ — ჩრდილოელი მეზობელი ხალხების შემოჭ-
რას, რომლებმაც თან ჩამოიტანეს თავიანთი გვაროვნული წყო-
ბილება, წარმართული სარწმუნოება და სოციალური თავისუფ-
ლებისათვის (ფეოდალიზმის წინააღმდეგ) ბრძოლის ჟინი. სოცია-
ლურ თავისუფლებას მოწყურებული დამხვდური ქრისტიანი აფ-
ხაზი (აბაზგი) საერთო ენის საფუძველზე ჩამოსულებს ერწყმოდა,
ქრისტიანობას ტოვებდა და წარმართი აფსუა ხდებოდა. ბატონყ-
მობისაგან განთავისუფლების მოსურნე ქართველი აფხაზეთში აფ-
ხაზდებოდა, ხოლო ჩამოსულმა აფსუებმა აფხაზეთში დასამკვიდ-
რებლად აფხაზობა შეირჩვეს. სწორედ წარმართი აფსუების „ჩამო-
წოლის“ გამო აფხაზეთი XV ს-დან უკვე წარმართობდა.

ამას ზედ დაემატა, უკვე XV საუკუნიდან, ოსმალთა მოძალეობა და
მათი გავლენისა და რელიგიის გაძლიერება აფხაზეთში. სწორედ ამის
გამო აფხაზეთში ქრისტიანობა ეცემა, ეკლესია-მონასტრები იხურე-
ბა“¹⁷. ავტორის მიერ წამოყენებული მთავარი დებულებები საფუძ-
ველს მოკლებულია. „მთის ჩამოწოლა“ თანამედროვე აფხაზეთის
ჩრდილო დასავლეთ ნაწილში იწყება არა XIII ს. 20-30-იან წლებში,
როცა აფხაზეთის საერისთავო ჩამოაყალიბდა, არამედ გაცილებით უფ-
რო გვიან — XVI საუკუნეში; აშკარად მცდარია მტკიცება მთიელი წარ-
მართების მიერ აფხაზეთში ანტიფეოდალური, სოციალური თავი-
სუფლების იდეების ჩამოტანის (სინამდვილეში, დაიმორჩილეს რა ად-
გილობრივი ქართული მოსახლეობა, დაამკვიდრეს მონობის ყველაზე
უკიდურესი ფორმები) შესახებ; არ არსებობს დამამტკიცებელი საბუ-

თი, რომ ჩამოსახლებულ მთიელებს ადგილზე საერთო ენაზე მოლაპარაკე თანატომელები დახვდათ, რამაც (სოციალური თავისუფლების წყურვილთან ერთად) თითქოს მათი შერწყმა დააჩქარა. ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას XV საუკუნის აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემის, წარმართობის დამკვიდრებისა და ეკლესია-მონასტრების დახურვის შესახებ. ასეთი დასკვნა „მცნებაისასაჯულოს“ (იხ. დანართი №4) საფუძველზე უნდა იყოს გაკეთებული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სეპარატისტული შინაარსის დოკუმენტი მრავალ ტენდენციურ შეფასებას შეიცავს, ხოლო მასში მოხსენიებული აფხაზეთი, რომელიც ვითომ „ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს“, დასავლეთ საქართველოა. სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერთა ნაწილი „მცნებაისასაჯულოში“ მოცემულ შეფასებებს მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთთან მიმართებაში განიხილავს, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომაა. არ შეიძლება XV საუკუნეში ქრისტიანობის დაცემაზე საუბარი, ვინაიდან წარმატებით ფუნქციონირებდნენ ბიჭვინთის, დრანდის, მოჭკისა და ბედიის საეკლესიო ცენტრები, მოქმედებდა ათობით ეკლესია-მონასტერი. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის დაცემა XVI ს. შუახანებიდან იწყება და XVII ს. ბოლოს მთავრდება.

დასახული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მონოგრაფია ქრონოლოგიური პრინციპით არის დაყოფილი და ათი თავისაგან შედგება. შემოთავაზებული დაყოფა უფრო პირობითია და ქრისტიანობის ისტორიის პერიოდიზაციის¹⁸ პრეტენზიან გააჩინია. საფუძვლად აღებულია ქართული სახელმწიფოებრიობისა და მისი სულიერ-იდეოლოგიური დასაყრდენის — მართლმადიდებლობის განვითარების თუ, პირიქით, დაკნინების ცალკეული ეტაპები, რომლებმაც, თავის მხრივ, გარკვეული გავლენა იქონიეს აფხაზეთის სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე.

პირველ თავში, რომელიც I-VIII საუკუნეებში მართლმადიდებლობის გავრცელებისა და განმტკიცების საკითხებს ეხება, ნაჩვენებია იესო ქრისტეს მოციქულების — ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის, სხვა წმინდანებისა და რწმენისათვის წამებული ადამიანების მიერ მხოლოდ ქართველებით დასახლებულ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი სარწმუნოების და-

ნერგვის, ამ რეგიონში ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის შექმნის ისტორია. აფსუების აფხაზეთში მკვიდრობისა და მოღვაწეობის კვალი კი იმ პერიოდში არსაიდან ჩანს.

მეორე თავში, რომელიც მოიცავს პერიოდს VIII საუკუნის შუა-ახანებიდან X საუკუნის დასასრულამდე, საუბარია დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ პერიოდშიც ენგურის ფსოუს მონაკვეთზე მხოლოდ ქართული ქრისტიანული კულტურა ვითარდებოდა. როგორც მესამე თავშია ნაჩვენები, თანამედროვე აფხაზეთის მხარეში ამ კულტურამ X-XV საუკუნეებში — საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეკლესიური ერთიანობის პერიოდში — თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია; ზოგადქართული მნიშვნელობა შეიძინეს მაშინ ბიჭვინთის, დრანდის, მოქვის, ბედიის საეკლესიო-კულტურულმა ცენტრებმა. მკვლევარებისათვის დღემდე უცნობია აღნიშნულ ცენტრებში არაქართველთა, კერძოდ აფსუათა, მოღვაწეობის დამადასტურებელი წყაროები.

შემდგომი IV თავი ეძღვნება პერიოდს (XV ს. 70-იანი წლები — XVII ს. დასაწყისი), როცა გარეშე ფაქტორების ზეგავლენით საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეკლესიური ერთიანობა დაირღვა, რამაც შეაფერხა ქრისტიანობის განვითარება და განმტკიცება. ოდიშის ნაწილში — ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე — XVI საუკუნის შუაწინებში უკვე მთიელი აფსუები არიან დამკვიდრებულნი. ამის გამო იქ შეწყდა ღვთისმსახურება, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი კი იძულებით ბიჭვინთიდან გელათში გადავიდა. ოდიშის დანარჩენ ტერიტორიაზე კვლავ წარმატებით ფუნქციონირებდნენ სხვა ქართული საეკლესიო ცენტრები, ეკლესიები და მონასტრები. ეს მდგომარეობა, როგორც V თავში მოტანილი მრავალფეროვანი მასალა ადასტურებს, XVII საუკუნის ბოლომდე, ანუ იმ დრომდე რჩებოდა, როცა შერვაშიძეებმა თურქეთის გადამწყვეტი მხარდაჭერისა და აფსუების გამოყენებით ოდიშის ტერიტორია მდ.ენგურამდე მიიტაცეს. ამის შედეგად მთლიანად განადგურდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები, არსებობა შეწყვეტეს სხვა ეკლესია-მონასტრებმა; ქართული სამღვდელთა დიდმა ნაწილმა

თავი სამეგრელოს შეათარა, ასამდე მართლმადიდებელი მღვდელი მომხდურებმა ფიზიკურად გაანადგურეს. იგივე ბედი ეწია თავადაზნაურობას; ქართული მოსახლეობის უმეტესობა ადგილზე დარჩა და რეგიონში გაბატონებულმა აფსუებმა მონებად აქციეს. XVII საუკუნის ბოლოსათვის უძველესი დროიდან ქრისტიანულ აფხაზეთში წარმართულ-მუსულმანურმა წყდიადმა დაისადგურა. მართლმადიდებლობა აფსუებმა ვერ მოსპეს მხოლოდ ენგური-დალიძის მონაკვეთზე, რომლის ეთნიკური ათვისება ვერ მოახერხეს. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ინარჩუნებდა რწმენას და ეროვნებას, აქ ფუნქციონირებდნენ ბედიისა და ილორის ტაძრები.

VI თავი (XVIII საუკუნე) ეხება რეგიონში განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად განვითარებულ სარწმუნოებრივ და ეთნიკურ პროცესებს. მასში საუბარია წარმართობის გავრცელებაზე, ადგილობრივი უფლებააყრილი ქრისტიანული ქართული მოსახლეობისა და გაბატონებულ წარმართ-მუსულმან აფსუათა თანდათანობითი შერწყმის გზით თანამედროვე აფხაზი ხალხის ჩამოყალიბებაზე, მის ეთნიკურ-რელიგიურ თავისებურებაზე.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, როცა რუსეთი ნაწილ-ნაწილ იერთებდა საქართველოს სამეფო-სამთავროებს, იმერეთ-სამეგრელოს პოლიტიკურ და სასულიერო წრეებს აფხაზეთის შემოქმეციების ილუზია გაუჩნდათ. VII თავში ნაჩვენებია თუ როგორ იღწვოდა ჯერ აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე II, შემდგომში კი სამეგრელოს სამღვდლოება აფხაზეთში რუსეთის დამკვიდრებისათვის და ამ მხარის კვლავ შემოერთება-გაქრისტიანებისათვის.

VIII თავი მოიცავს პერიოდს XIX საუკუნის დასაწყისიდან 1886 წლამდე. ეს იყო აფხაზეთში ქართული სამღვდლოების მეშვეობით ქრისტიანობის აღდგენის, ცალკე ეპარქიის დაფუძნების, აფსუათა დიდი ნაწილის მოქცევის, ამის პარალელურად კავკასიის ომის დასრულების, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების რუსეთ-თურქეთის ომებისა და მაჰაჯირობის პერიოდი; ვრცლად არის განხილული 30-40-იან წლებში აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელების მიზნით არქიმანდრიტ ანტონ დადიანის ხელმძღვანელობით გაგზავნილი პირველი სასულიერო მისიის მოღვაწეობა, აფხაზეთის ეპარქიის

ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხები, ქართველი მღვდელმთავრების, მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანების ალექსანდრე ოქროპირისა და გაბრიელ ქიქოძის უზარმაზარი ღვაწლი აფხაზი ხალხის წინაშე. ყველაზე მეტად მათ სახელებთან არის დაკავშირებული აფხაზებში ქრისტიანობის გავრცელება, ათეულობით ეკლესიის დაფუძნება, საგანმანათლებლო კერების შექმნა. 60-70-იან წლებში, მიუხედავად უამრავი ხელის შემშლელი პოლიტიკური ფაქტორისა, უგუნური იმპერიული პოლიტიკისა, მოხერხდა ათეულ ათასობით აფხაზის მონათვლა, რამაც ეს ხალხი ერთიანად (რუსეთის გეგმის შესაბამისად) თურქეთში გადასახლებას და ამდენად უბიძგების მსგავსად სრულ განადგურებას გადაარჩინა.

XIX ს. 80-იანი წლებიდან რუსეთმა გაამკაცრა იმპერიული პოლიტიკა, რომლის მიზანს ქართველთა და დამნაშავე ერად გამოცხადებულ აფხაზთა ასიმილაცია წარმოადგენდა. როგორც IX თავშია ნაჩვენები, ამ ახალი პოლიტიკის უმთავრესი ელემენტები გახლდათ სოხუმის კათედრაზე შოვინისტურად განწყობილი რუსი მღვდელმთავრების დანიშვნა, უძველესი ქართული საეკლესიო ცენტრების რუსულ მონასტრებად გადაქცევა, სლავერ წირვალოცვაზე გადასვლა, განათლების სფეროს სრული რუსიფიკაცია, ქართველთა ეროვნული ჩაგვრა, დევნა და შევიწროება, სამურზაყანოელების ქართული ეთნოსისაგან ჩამოშორების მცდელობა, ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივება და გამწვავება, სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან ჩამოცილების მუდმივი და სავსებით რეალური მუქარები; სამართლიანობამ სულ მცირე ხნით მხოლოდ მაშინ დაისადგურა, როცა გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებით სოხუმის კათედრას სათავეში გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი კირიონი (საძაგლიშვილი) ჩაუყენეს (1906 წ. თებერვალი — 1907 წ. იანვარი). შემდგომში — 1917 წლის თებერვლამდე — კვლავ გაგრძელდა ველური დიდმპყრობელური ასიმილატორული პოლიტიკა, რომელმაც ქრისტიანობის დასუსტება და ისლამის გაძლიერება გამოიწვია. რუსული საერო და სასულიერო ხელისუფლების დანაშაულებრივი გეგმები აფხაზეთში ბოლომდე მაინც ვერ გან-

ხორციელდა. უპირველესად ეს იყო ადგილობრივი ქართული სამ-
ღვდელოების დამსახურება. იმპერიული ხელისუფლება მას ხში-
რად გარუხების პოლიტიკისათვის ხელის შეშლაში ადანაშაულებ-
და. იყო შემთხვევა (1916 წელი) ქართველთა და აფხაზთა ერთობ-
ლივი ბრძოლისა სოხუმის ეპარქიის გადარჩენისათვის.

Xთავი ქრონოლოგიურად 1917-1921 წლებს მოიცავს. იგი ეკლე-
სიური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პი-
რობებში აფხაზეთის ეპარქიის თანდათანობითი რეორგანიზაცი-
ის, მასზე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის გავრცელების სა-
კითხებს ეხება. ქართული ეკლესიის გამთლიანებაში, ცხუმ-
აფხაზეთის ეპარქიის კვლავ შემოერთებაში უდიდესი წვლილი მარ-
თლმადიდებელი ეკლესიის წმინდანს, 1917-1919 წლებში ჭყონდი-
დელ მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაიას) მიუძღვის. 1919 წლის ოქ-
ტომბერში სწორედ ის ჩაუდგა სათავეში ახლად შემოერთებულ
ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას.

მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი აფხაზეთში 1890-1921 წლებში
მოქმედი ეკლესიებისა და სამღვდელოების შესახებ შედგენილი მოკ-
ლე ისტორიული ცნობით სრულდება.

წიგნს თან ერთვის ისტორიული რუკები, აგრეთვე დოკუმენტუ-
რი მასალა ქართულ-რუსულ ენებზე. მისი ნაწილი კარგად არის
ცნობილი სპეციალისტებისათვის, მაგრამ მთლიანად იგნორირებუ-
ლია ისტორიის გამაყლებელი სეპარატისტებისა და შოვინისტების
მიერ. ამიტომაც გადაწყდა XV-XVIII საუკუნეებში აფხაზეთის
ქართული საკათალიკოსოს ჭეშმარიტი ისტორიის ამსახველი
ცალკეული დოკუმენტების კიდევ ერთხელ გამოქვეყნება. დანართში
მოთავსებული სხვა მასალებიდან ბევრი — ნაკლებად ცნობილია ან
ჭვეწდება პირველად. მთლიანობაში ეს მასალები ავსებენ მონოგრა-
ფიას, უფრო დამაჯერებელს ხდიან მის მთავარ დასკვნებს. ერთიანო-
ბაში ისინი ქმნიან აფხაზეთში მართლმადიდებლობის ისტორიის საკ-
მაოდ სრულ და ობიექტურ სურათს.

რეზიუმე ინგლისურ ენაზე თარგმნა ნანა გოგიამ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. С.Вардосанидзе. Российская религиозная экспансия в Абхазии продолжается. _ Политика геноцида и этнической чистки в Абхазии (Грузия) _ главное оружие агрессивного сепаратизма. Тб; 1999, გვ. 174.

2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წიგნი II. თბ., 1997, გვ. 420-422.

3. ლიტერატურული საქართველო, 1997, 23-30 მაისი.

4. Александр Крылов. Особенности религиозного сознания в современной Абхазии. _ Роль православия в государствах и обществах Грузии и России. Тб., 2004, გვ.240.

5. ლიტერატურული საქართველო, 1997, 23-30 მაისი.

6. აფხაზეთის ახალი ხმა, 2005, 12—19 მარტი (ირმა ბერიშვილის წერილი).

7. Александр Крылов. დასახ. ნაშრომი, გვ.238-248.

8. Е.К.Аджинджал. Из истории Христианства в Абхазии. Сухуми, 2000, გვ. 4-8 (დ. დბარის წინასიტყვაობა).

9. ს.ლეკიშვილი. დავიწყებული უმწიფარი წიგნი და მისი ამჟამინდელი დამფასებლები. — სახალხო განათლება, 1990, 27 სექტემბერი. ავტორი ლ.ვორონოვის ანტიქართულ წიგნს აკრიტიკებს.

10. ზვიად გამსახურდია. საქართველოს სულიერი მისია. თბ., 1990; ზვიად გამსახურდია მართლმადიდებლობის შესახებ. თბ., 1999, და ა.შ.

11. გამოჩენილი ქართველი მეცნიერები მიტროპოლიტ ანანია ჯა-

ფარიძის შრომების შესახებ. თბ., 2005.

12. ამ მასალების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია. — იხ. ჯ.გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1991; Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия-историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тб., 1997; ჯ.გამახარია. აფხაზეთი — ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები. თბ., 2000.

13. პავლე ინგოროყვას შეხედულებები თავდაპირველად უარყვეს არა მეცნიერებმა (ნ.ლომოური. სიმონ ყაუხჩიშვილი. მეცნიერი, მოძღვარი, ერისკაცი, მოქალაქე. თბ., 1996, გვ.60; ზ.პაპასჭირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. თბ., 2004, გვ.5), არამედ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა (აფხაზთა დაშოშმინების მიზნით). ქართველთა მიერ „აფხაზი, სომეხი და ოსი მოსახლეობის ეროვნული კულტურის ლიკვიდაციისა“ და ამ ხალხების ასიმილაციის მცდელობის შესახებ იყო საუბარი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (ცკ) 1956 წლის 10 ივლისის დადგენილებაში, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს 1956 წლის 6-8 აგვისტოსა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის 16 აგვისტოს პლენუმების გადაწყვეტილებებში საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მუშაობაში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ (გაზ. კომუნისტი, 1956, 9 აგვისტო, 25 აგვისტო).

აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში პარტიული ორგანოების აღნიშნული გადაწყვეტილებების განხილვისას, გ.ძიძარიამ განაცხადა, რომ თავისდა სამარცხვინოდ ივჭავაძეშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა დღემდე რეაგირება არ მოახდინა და არ განიხილა პ.ინგოროყვას წიგნი, რომელშიაც დამახინჯებულია აფხაზეთის ისტორია (გ.გასვიანი. აფხაზეთი, გვ.459-460). აქედან შესანიშნავად ჩანს, ვინ (მეცნიერებმა თუ პარტიულმა ორგანოებმა) არ მიიღო პავლე ინგოროყვას კონცეფცია.

14. იხ. ამის შესახებ — ნ.ფოფხაძე. ჩვენი საქართველო. ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ. თბ., 2002, გვ.3-8.

15. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ.608-616.

16. ამ ყოვლად უსაფუძვლო მოსაზრებას დაჟინებით იცავს ნ.ლომოური თავის ბროშურაში „ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან“ (თბ., 1998), გვ.50.

17. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს. თბ., 2002, გვ.75.

18. იხ. ამის შესახებ: ანანია ჯაფარიძე. საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები, პერიოდიზაცია და საეკლესიო ისტორიოგრაფია. თბ., 2002. ავტორი ეკლესიის ისტორიას სამ პერიოდად ყოფს: I-XI სს. (რუის-ურბნისამდე), XII-XVIII სს. (რუის-ურბნისიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე), XIX-XX სს. (ავტოკეფალიის გაუქმებიდან დღემდე).

1. ქრისტიანობის გავრცელება და მისი შემდგომი განმტკიცება (I ს.-VIII საუკუნის შუახანები)

წმიდა მოციქულები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში

საქართველოს (ისტორიული კოლხეთის) ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება I საუკუნეში

იესო ქრისტეს მოციქულების მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. უფალმა ამაღლების წინ უხმო თავის თორმეტ მოწაფეს. ესენი იყვნენ: პირველად სიმონი, პეტრედ წოდებული, მისი ძმა ანდრია, იაკობი ზებედესი, მისი ძმა იოანე, ფილიპე, ბართლომე, თომა, მათე მებაჟე, იაკობი ალფესისა და ლებეოსი, თადეოსად სახელდებული, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა უფალი (მათე, 10, 1-4). მათ ახალი რჯულის გავრცელების მისია დაეკისრათ. სახარებაში ვკითხულობთ: „აჰა, მე გგზავნით თქვენ როგორც ცხვრებს მგლების ხროვაში; მაშ იყავით გონიერნი, როგორც გველები და უმანკონი, როგორც მტრელები“ (მათე, 10, 16). ამაღლებამდე მოციქულები ქრისტესთან ერთად იმყოფებოდნენ და რწმენაში განიმტკიცებოდნენ. ამაღლების მეათე დღეს მათ მოეფინათ წმიდა სული და აღივსნენ ყველანი სულით წმიდით, „და სხვადასხვა ენებზე ალაპარაკდნენ, როგორც სული ამეტყველებდა მათ“ (მოციქულთა საქმე, 2, 4). მაშინ იერუსალიმში, სადაც სულიწმინდის მოფენა მოხდა, იყვნენ სხვადასხვა ქვეყნისა და ტომის (მათ შორის ქართველთა წინაპრების — კაპადოკიელების) წარმომადგენლები. ისინი გაოცებულები იყვნენ მოციქულების მათ მშობლიურ ენებზე ამეტყველებით. პეტრემ უქადაგა შეკრებილ ხალხს, მოასხენა მომხდარი სასწაულის შესახებ. 3000 კაცმა იქვე ირწმუნა ქრის-

ტე.სწორედ სულიწმიდის მოფენის დღეს დაარსდა ეკლესია — ქრისტიანთა საზოგადოება. იმ დღიდან მოციქულები გაემგზავრნენ მათ წილხვედრ ქვეყნებში.¹

| საუკუნეში საქართველოს შავიზღვისპირეთი — ისტორიული კოლხეთი, მისი ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული დასახლებული პუნქტები (ფაზისი, დიოსკურია, ბიჭვინთა, ძველი ლაზიკა, და სხვა) ძლევამოსილი რომის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდნენ. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, სტრატეგიული მნიშვნელობის, მაღალი სულიერებისა და აგრეთვე ფართოდ გავრცელებული აღებ-მიცემობის წყალობით კოლხეთი საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმპერიის შემადგენლობაში შემავალ იმ ხალხებთან და ქვეყნებთან (პალესტინასთან, მცირე აზიასთან, განსაკუთრებით მონათესავე კაპადოკიასთან), რომლებმაც შედარებით იოლად დათმეს თავის დროზე ბერძნულ-რომაული ხიშტებით თავსმოხვეული დრომოკმული წარმართობა, ეზიარნენ რა ქრისტეს სრულიად ახალ ცხოველმყოფელ მოძღვრებას. ანტიოქიაში, ეფესოში, ლიდიაში, კაპადოკიაში და მცირე აზიის სხვა რეგიონებში ქრისტიანობა გაავრცელეს, ეპისკოპოსები და მღვდელმთავრები დანიშნეს წმ.მოციქულებმა იოანემ, პეტრემ, პავლემ, ანდრიამ, სიმონმა, ბართლომემ და მატათამ. კოლხეთსა და იბერიაში ქრისტეს მოძღვრებას ფაქტობრივად მის გავრცელებამდეც ასე თუ ისე იცნობდნენ. საქართველოში ჰქონდათ ინფორმაცია ქრისტეს ამქვეყნად მოვლენის, ქადაგების, წამების, ჯვარცმისა და ამაღლების შესახებ. მისი საფლავის ერთ-ერთ დარაჯად იყო მცხეთიდან იერუსალიმში წასული ელიოზი. მან მცხეთაში უფლის კვართი ჩამოიტანა. „იერუსალიმიდან მოსრულნი ურიანი, — წერდა პ.კარბელაშვილი, — თავის თვალით ნახულს და ყურით სმენილს, იესო ქრისტეს სასწაულებს და სწავლა-მოძღვრებას დაწვრილებით უამბობდნენ თავის მეზობელ ქართველებს და დიდის ქებით და პატივისცემით იხსენიებდნენ თვით იესო ქრისტეს პიროვნებასაც. ასე რომ, როდესაც წმ.ანდრია, სიმონ და მატათა (თადეოზ) მოციქულნი გადავიდნენ კაპადოკიიდან დასავლეთ საქართველოში, ქართველობას უკვე დაახლოებით გაცნობილი ჰყვნდათ იესო ქრისტე და

მისი სწავლა-მოდღერება და ცხოვრება. მიზეზიც სწორედ ეს იყო, რომ მაგ მოციქულთა ქადაგებამ ამაოდ არ ჩაიარა და მათი მოღვაწეობის კვალი დღემდე აღნიშნულია და დახსომებული“.²

აღიარებული ვერსიის თანახმად, სამხრეთ და აგრეთვე მთელს დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მეფე ადერკის (1-57წწ.) ზეობის პერიოდში წმინდა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა იქადაგეს. შესაბამის ცნობებს „ქართლის ცხოვრება“ (ლეონტი მროველი) შეიცავს. უფლის ამალღების შემდეგ, „რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღვთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა“. ამ დროს ღვთისმშობელს უფალი გამოეცხადა და უთხრა: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულვებელ ვყო ერი იგი საზეპურო (ზეცის პურის მტე, ღვთის მიერ ამორჩეული — ჯ.გ.) უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებელსა, და თანა — წარატანე ხატი შენი ვითარიცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილი ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“. უფლის გამოცხადების შესახებ ღვთისმშობელმა მაშინათვე ანდრია მოციქულს აცნობა: „შვილო ანდრია, დიდად უჩანს სულსა ჩემსა, რომელ ქვეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექნას მათ“. მოციქული საქართველოში წამოსვლას დაეთანხმა. მაშინ ღვთისმშობელმა მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და „დაიდვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე გამოისახა მისი ხატი, რომლის წილში განხორციელებული ჩვილი იესო — სიტყვა ღვთისა გამოიხატა. ღვთისმშობელმა „მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და თქუა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყვენ შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა მაგას, და

დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“.³

„ქართლის ცხოვრებისეული“ ვერსიით, ლეთისმშობლის წილხვედრ საქართველოში, მათ შორის ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში — თანამედროვე აფხაზეთში, ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა უფლის ნებით, წმ. მარიამის თხოვნითა და შეწყენით იქადაგა. იგი საქართველოსკენ უფლის ამალლებიდან (30 წლის 18 მაისი, ხუთშაბათი) მეთუ დღეს გამოემგზავრა. სპეციალისტების ვარაუდით, ანდრია მოციქული საქართველოში 30-35 წლებში იმყოფებოდა.⁴

„ქართლის ცხოვრება“ კერძოდ, ლ. მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ გვამცნობს: „ამისვე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმიდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსიისასა, საზღვარსა ბერძენთასა...“

ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინნა ერისთავნი მისნი, და იძულებით კუალადვე მოაქცივნა მეგრელნი და დამალნეს ხატნი და ჯუარნი და შერისხნა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“.⁵

ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში ვახტანგ VI-ს „მეცნიერ კაცთა“ მიერ გაკეთებულ ერთ-ერთ ჩანართში უფრო დაწვრილებითაა აღწერილი წმ. ანდრიას მიმოსვლა საქართველოში. ჩანართის ტექსტი X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისის კარგად ცნობილ ქართველ სასულიერო მოღვაწეს, მწერალსა და მთარგმნელს ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. უძველესი ბიზანტიური საეკლესიო ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი (ნათარგმნი) მისი თხზულება „მოსახსენებელი მიმოსლვათათვის და ქადაგებათა მოციქულისა ანდრიასისა“, — პირველი ქართული ისტორიული გამოკვლევაა წმ. ანდრიას სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის მიერ საქართველოს მოქცევის ფაქტის დადგენას ისახავდა მიზნად.⁶ ექვთიმე ათონელი. პირველ რიგში, იყენებდა VIII ს. მეორე ნახევრის ავტორის ეპიფანე კონსტანტინეპოლელის „ანდრიას ცხოვრებას“;

იგი, თავის მხრივ, გაცილებით უფრო ადრინდელ ავტორთა (კლემენტი რომაელი, ევაგრე სიცილიელი, ეპიტანე კვიპრელი) ნაშრომებს და სხვა მასალებს ეფუძნება. „ასე დამოძღვრა ანდრია მრავალი ქალაქი და სოფელი და მოაქცია ისინი ქრისტესაკენ, — წერდა ე.კონსტანტინეპოლელი. — ამისოდან წამოსვლის შემდეგ ის მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში. იქაური მცხოვრებნი არიან სულელნი და პირუტყვისავით უგუნურნი. იქიდან ის წავიდა იბერიაში; მის შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში.

პენტეკოსტის (ე.ი. სულიწმინდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ იქ ავგაროსთან; დანარჩენებმა კი მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუ(ს)ანიაში. ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება, და ისინიც მალე დამორჩილდნენ (მოციქულთა მოძღვრებას). მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა. ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს იქ, მრავალნი დამოძღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში. დიდს სებასტოპოლისში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა. ანდრია დასტოვა იქ სიმონი და მოწაფეებითურთ წავიდა ჯიქეთში. ჯიქები უხეში და ბარბაროსი ადამიანები არიან და დღესაც ნახევრად ურწმუნონი. იმათ განიზრახეს ანდრიას მოკვლა (და კიდევაც მოკლავდნენ), რომ არ დაენახათ მისი სიგლახაკე, თავმდაბლობა და სწრაფვა. მათი ქვეყანა რომ დასტოვა, ჩავიდა ზემო სუგდების ქვეყანაში. აქაური მცხოვრებნი ადვილად დამყოლნი და თვინიერნი არიან და სიხარულით მიიღეს (ღმრთის) სიტყვა“.⁷

ეკვთიმე ათონელის თხზულებაში დაკონკრეტებულია, რომ ოგსეთიდან წამოსული მოციქულები შევიდნენ „ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მიიწინეს“... „ქართლის ცხოვრება“ კიდევ უფრო აზუსტებს და ამბობს: სავასტე ქალაქს „აწ ეწოდება ცხუმი“

ეპიტანე კონსტანტინეპოლელი არაფერს გვამცნობს სიმონ კა-

ნანელის გარდაცვალების თაობაზე. ექვთიმე ათონელთან და, შე-
საბამისად, „ქართლის ცხოვრებაში“ კი მითითებულია: „ხოლო სი-
მონ კანანელის საფლავი არს ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა
და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმიდა სვიმონ კანანელი“. მო-
ციქულებთან დაკავშირებული ჩანართი ასე მთავრდება: „ხოლო
კულად განამტკიცნა წმიდამან ანდრია მეგრელნი და აფხაზნი და
წარვიდა სკვითელ“.⁸

ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, მართალია, გვაწვდის უაღრე-
სად საინტერესო და სანდო ინფორმაციას, მაგრამ, მისგან განსხვა-
ვებით, ეფრემ მცირე და აგრეთვე, მოგვიანებით, „მეცნიერი კაცე-
ბი“ თავიანთი დამატებებითა და ჩანართებით ცდილობენ დააკონ-
კრეტონ მოციქულთა საქმიანობის არეალი, რათა უფრო მჭიდროდ
და მათი თანამედროვეებისათვის გასაგებად დაუკავშირონ იგი სა-
ქართველოს//აფხაზეთს.

ბერძნებთან გამწვავებული ურთიერთობა აიძულებდა ქართ-
ველ მოღვაწეებს მეტი ყურადღება დაეთმოთ საქართველოს მოქ-
ცივეის ისტორიის საკითხისადმი. საქართველოში მოციქულთა სა-
მისიონერო მოღვაწეობა აისახა XI ს. აგიოგრაფიული ქანრის
თხზულებაში — „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“, რომე-
ლიც 1066-1068 წლებშია დაწერილი და გიორგის უახლოესი მო-
წაფის — გიორგი მცირეს კალამს ეკუთვნის. ავტორის ცნობით,
ბერძენმა ბერებმა ანტიოქიის პატრიარქს თევდოსს მოახსენეს, რომ
ქართული ეკლესია დამოუკიდებელია „და ყოველნი საეკლესიონი
წესნი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისვამენ კათალიკოსთა და
ეპისკოპოსთა! და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მო-
ციქულთაგანი არაფერ მისრულ არს ქვეყანასა მათსა“. ამ მოტივით
ბერები საქართველოს ეკლესიის ანტიოქიისადმი დაქვემდებარებას
მოითხოვდნენ, რასაც თევდოსი დასთანხმებია. მას თავისთან დაუ-
ბარებია გიორგი მთაწმინდელი და ულტიმატუმის წესით მოუთ-
ხოვია ქართული ეკლესიის ანტიოქიის იურისდიქციაში შესვლა. გი-
ორგიმ თავად გადაწყვიტა პასუხის გაცემა: „აჰა, ესერა, ვარ მე უ-
ნარჩევსი და უმდაბლესი ყოველთა მძათა ჩემთაი, მე მოგცე მათ ყო-
ველთა წილ პასუხი. მოღებად ეც წიგნი „მიმოსვლაი ანდრეა მო-

ციქულისაი“ და მუნით გეუწყოს საძიებელი თქვენი“. პატრიარქმა წიგნი ქართველ მღვდელმსახურს თეოფილეს მოატანიხა და მითითებული ადგილები წაიკითხა. ამის შემდეგ გიორგიმ პატრიარქს მიმართა:

„წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ვზიო. ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყურნი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სიმონს ვიტყვი კანანელსა — ჭვეყნასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ“.⁹

გიორგი მცირე კიდევ ერთხელ ეხება მოციქულების საქართველოში ყოფნის საკითხს და აცხადებს: „ხოლო საცნაურ არს ესე, ვითარმედ ამათ ობოლთათვის წარუძღვა ღმერთი აღმოსავლეთს. და ესრეთ ყოველი აღმოსავალი განანათლა და ნაწილი იგი ანდრეა მოციქულისაი და სიმონ კანანელისაი კვალად განამტკიცა. რამეთუ ანდრეა მოციქულმან მოვლო ჭვეყნაი ჩვენი, ხოლო სიმონ კანანელმან სრულიად დაიმკვიდრა, რამეთუ ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმიდანნი“.¹⁰

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერების დამტკიცების მიზნით XI საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილმა მეცნიერმა — ისტორიკოსმა და მთარგმნელმა ეფრემ მცირემ შექმნა ორიგინალური ნაშრომი „უწყბაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“.¹¹ შესავალშივე ნათქვამია, რომ იგი დაიწერა „პატიოსანსა ეკლესიარხსა ჩუენ ქართველთასა, მღვდელსა უფლისასა იოანეს კვირიკესა“ ბრძანებით, „რათა წერით დაიდვას მას შინა მოსახსენებელი ოდეს მოქცევისა ჩუენისა და თუ რომელთა წიგნთა შინა ბერძენთასა ხსენებულ არს იგი, უხმდეს თუ ვისმე გამომეძიებელთაგანსა ცნობად“.¹² ავტორს ოთხი ძირითადი წყარო აქვს გამოყენებული: მოციქულთა მიმოსვლა, იოანე ოქროპირის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფის თეოდორიტი კვირელის (V ს.), „საეკლესიო ისტორია“, ეპიფანელი ევაგრე სქოლასტიკოსის (VI ს.), „საეკლესიო ისტორია“ ნ წიგნად, იოანე ანტი-

ოქელის (VII ს.) ქრონიკები და სხვა მასალები.

ეფრემ მცირეს ნაშრომში რამდენიმე საკითხია (ნინოს მიერ ქართველთა მოქცევა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, აფხაზთა მოქცევა VI საუკუნეში) განხილული, მათ შორის ანდრია მოციქულის ყოფნა საქართველოში. იგი წერს: „საცნაურ იყავნ ვითარმედ მიერჲე ქადაგებითგან წმიდათა მოციქულთაით, რაჲამს, წინასწარმეტყუელებისაებრ დავითისსა, „ყოველსა ქუეყანასა განხდა ხმაი მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი“, ერთად კიდეთა ამათგანად ითქუმის ჩუენთვისცა მიმოსვლასა შინა წმიდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებაი შორის ავაზგასა, რომელ არს აფხაზეთი და მიერ წარვლაი ოსეთად და კუალად ბართლომეს მიერ მიმოსვლაი ჩრდილოეთისაი, რომელ არს ქართლი“.¹³

ეფრემ მცირე ამ შემთხვევაში სიტყვა-სიტყვით არ თარგმნის ბერძნულ ავტორებს, რომლებსაც აფხაზეთი (ავაზგია) კი არა აქვთ მითითებული, არამედ სებასტოპოლი (დიდი სებასტოპოლი), ფაზისი, შავიზღვისპირეთი, იბერია და ა. შ. ვინაიდან ნაშრომის მთავარი მიზანი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერების დამტკიცება იყო, ეფრემ მცირე ანალოგიური მიზნის მქონე წინამორბედი ქართველი მოღვაწეების ექვთიმე ათონელის, გიორგი მთაწმინდელის და გიორგი მცირეს მსგავსად სრულიად შეგნებულად ხმარობს ერთიანი საქართველოს აღსანიშნავად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში მიღებულ ტერმინებს — აფხაზეთი, ქართლი. ექვსგარეშეა, რომ X-XI საუკუნეების ქართველი მწერლები და მეცნიერები აფხაზეთში დასავლეთ საქართველოს გულისხმობენ (დღევანდელი აფხაზეთის ჩათვლით).

ეფრემ მცირე მოციქულებთან დაკავშირებით ებრაელთა მეფის დავითის (ფსალმუნების ავტორის) წინასწარმეტყუელებას ახსენებს („წინასწარმეტყუელებისაებრ დავითისსა“) და მიიჩნევს, რომ ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა აფხაზეთსა და ქართლში ამ წინასწარმეტყუელების შესაბამისად განხორციელდა. მას მხედველობაში აქვს დავითის ფსალმუნი 18,5, რომლის თანამედროვე თარგ-

მანი ასე ჟღერს:

„5, მთელი დედამიწის ზურგზე გადის მათი ხაზი და სამყაროს კიდებამდე აღწევს მათი სიტყვები“...¹⁴

სავარაუდოდ, ეფრემ მცირემ დავით წინასწარმეტყველი თეოდორიტე კვირელის ზეგავლენით მოიშველია. ისიც მოციქულთა მოღვაწეობას წინასწარმეტყველებს უკავშირებდა და მათ გამო-ნათქვამებს ჩვენთვის საინტერესო კომენტარებს უკეთებდა. თეოდორიტეს მოჰყავს ესაია წინასწარმეტყველის შემდეგი სიტყვები: „და განვაკლინე მათგან ცხოვნებულნი წარმართთა მიმართ, თარ-შიდ და ფუდდ და ლუდდ და მოსოხდ და თოველთ და ელადად მი-მართ“.¹⁵

ამ სიტყვებზე შემდეგი განმარტებაა გაკეთებული: „წმინდა მო-ციქულებს უთხრა უფალმა: „წადით და დამოძღვრეთ ყველა ტო-მი“. მათზე ასრულდა წინასწარმეტყველება. იმათ ყველა ტომს მო-უტანეს ღვთაებრივი ქადაგება. თარსისს უწოდებს ის კარქედონს, ლიბიის დედაქალაქს; ფუდ — ლიკიელთა მთელ ტომს; ლუდ — ლი-დიელებს; მოსოხ — კაბადოკიელებს და თობელ — იბერებს“.¹⁶

თუბელებს და მუშექებს ახსენებს ეზეკიელ წინასწარმეტყვე-ლიც (32,26; 38,2,3). ამ შემთხვევაშიც თეოდორიტე თობელს გან-მარტავს როგორც იბერიელს; ხოლო წინასწარმეტყველის მიერ ნახსენებ „თოგარმას სახლს“ (38,6) ს.ყაუხჩიშვილი, სავარაუდოდ, „თარგამოსის სახლს“ უწოდებს.¹⁷ თუ ეს მოსაზრება (რომელსაც ჩვენ მხარს ვუჭერთ) სწორია და თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ იბერებად ძალიან ხშირად კოლხებიც (შავი ზღვისპირეთის მაცხოვრებლებიც) მოიხსენიებიან,¹⁸ მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ V საუკუნის ავტორი თეოდორიტე კვი-რელი ესაია და ეზეკიელ წინასწარმეტყველთა გამონათქვამების თა-ვისებური ინტერპრეტაციის საფუძველზე მოციქულთა მიმოსვლის არეალში სრულიად საქართველოს ათავსებს აფხაზეთის თანამედ-როვე ტერიტორიის ჩათვლით. დავით წინასწარმეტყველზე ეფრემ მცირეს მითითებაც ამას ადასტურებს. ერთიც და მეორეც — თე-ოდორიტე კვირელი და ეფრემ მცირე — წინასწარმეტყველთა გა-მონათქვამებით და მათი თავისებური განმარტებებით მხოლოდ

ამაგრებენ საყოველთაოდ აღიარებულ და დღემდე მიღწეულ თუ დაკარგულ ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულ მოსახრებებს მოციქულთა მიმოსვლის, საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში მათი ყოფნის შესახებ.

ქართულ და უცხოურ წყაროებში, როგორც უკვე ვნახეთ, ხშირად არის საუბარი ანდრია პირველწოდებულის სკვითეთში გამგზავრების შესახებ. III-IV საუკუნეების ავტორი ევსეი კესარიელი გვამცნობს: „ხოლო, როდესაც ჩვენი მაცხოვრის წმინდა მოციქულები და მოწაფეები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ, თომას, როგორც გადმოცემა გვიამბობს, პართია ხვდა წილად, ანდრიას სკვითია, იოანეს აზია (აქ ცხოვრობდა ის და ეფესოში გარდაიცვალა), ხოლო პეტრე, როგორც ჩანს უქადაგებდა პონტოში, გალატიასა და ბითონიაში, კაპადოკიასა და აზიაში გაფანტულ იუდეებს; და აქ ჭვარზე იქნა გაკრული თავდაყირა; ასეთი წამება აირჩია მან თვითონ“.¹⁸

ენება რა ანდრია მოციქულის სკვითიაში გამგზავრების ფაქტს, ანანია ჯაფარიძე შესაბამის წყაროთა (პლუტარქოსი, სტეფანე ბიზანტიელი, ცეცე და ა.შ.) მოშველიებით ასკვნის: „ექვმეიუტანელი ფაქტია, რომ სწორედ იბერიასა და მის მომიჯნავე ქვეყნებს უწოდებდნენ ხშირად სკვითეთს პირველი ათასწლეულის ნახევარში“.¹⁹ მაგალითად, IV ს. ერთ-ერთი ავტორი ლიბანიოსი კოლხეთს სკვითთა ქვეყანას უწოდებდა, აიეტს — სკვითთა მეფეს, მედეას კი — სკვითთა მეფის ასულს.²⁰ XII საუკუნის კომენტატორი, დედის მხრით იბერიული წარმოშობის იოანე ცეცე პირდაპირ წერდა, რომ კოლხებს აზიელი სკვითებიც და ლეკოსირებიც ჰქვიათ“-ო.²¹ XIII საუკუნის ავტორმა ეპიფანე კონსტანტინეპოლელმა თავის წიგნში „ანდრიას ცხოვრება“ შემოგვინახა IV ს. საეკლესიო მოღვაწისა და ლიტერატორის ეპიფანე კვიპრელის ცნობა იმის თაობაზე, თუ სად დამოძღვრა ანდრია მოციქულმა სკვითები. იგი წერდა: „კვიპროსის ეპისკოპოსი ეპიფანე ამბობს, გადმოცემის მიხედვით, რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსინები დიდს სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისსოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერიე-

ლები, სუსები,, ფუსტელები და ალანები“. ²² ს. ყაუხჩი შვილი აღნიშნავს, რომ 1933 წლის ზაფხულში, როცა ის სოხუმის რაიონის ს. ალექსანდროვსკოეში იქმცხოვრებ ბერძნებთან სამუშაოდ იმყოფებოდა, „ადგილობრივი მოსახლეობისაგან გვსმენია — ეს არის ძველი ფუსტას მხარეო“. თ. მიბჩუანის მიხედვით, ფუსტა — ერთ-ერთი უზენაესი სვანური ღვთაებაა; ფუსტას ეკლესია იდგა ისტორიულ მისიმიანეთში (კოდორის ხეობა). ²³ რაც შეეხება ალანიას, ვახუშტის განმარტებით, „ალანი არის სუანეთის დასავლით და ბედიის ჩრდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღუარო სუანთა; სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორის; დასავლით კავკასი; ჩრდილოცა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე“. ²⁴

ყველა შემთხვევაში, ნათლად ჩანს, ევსეი კესარიელის მიხედვით, სკვითეთში გამგზავრებული მოციქული ანდრია მოღვაწეობს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე — დიდ სებასტოპოლისში (ცხუმში), ფუსტასა და ალანიაში, აგრეთვე ღღევანდელ სამეგრელოსა და აჭარაში. ცხადია, რომ მის მიერ დამოძღვრილი სკვითები არიან დასავლეთის იბერიელები (სუსები/სვანები(?), ფუსტელიები, ალანები).

ქართული ეკლესიის ისტორიაში საეტაპო მოვლენას წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ინიციატივით 1104 წელს ჩატარებული რუის-ურბნისის კრება და მის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განხორციელებული რეფორმა. კრებაზე მიღებულ ძირითად დოკუმენტში — „ქეგლისწერაში“ დაფიქსირდა ანდრია მოციქულის ღვაწლი, რაც საქართველოში მისი სამისიონერო მოღვაწეობის ფაქტის კანონიზებას, უცილობელ ჭეშმარიტებად აღიარებას ნიშნავდა. უფლის თორმეტ მოციქულთაგან „ერთი, — ვკითხულობთ „ქეგლისწერაში“, — პირველწოდებული ანდრია, ძმაი თავისა მოციქულთაისა პეტრესი, ვიდრე ჩუენამდეცა მოიწია და ქადაგა საცხოვრებელი ქადაგებაი სახარებისაი ყოველსა ქუეყანასა საქართველოსასა“. ²⁵ ამ უკანასკნელში, ბუნებრივია, თანამედროვე აფხაზეთიც იგულისხმებოდა.

„მცნებაი სასჯულოში“, რომელიც ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა მისცა (დაახლოებით 1470-1474 წწ.) მცხეთისაგან გამოყო-

ფილ აფხაზეთის საკათალიკოსოს, მის მიერვე კურთხეულ კათალიკოს იოაკიმეს, სავსებით მიზანმიმართულად წმ. ნინო ქართლის, ხოლო ანდრია მოციქული დასავლეთ საქართველოს ერთადერთ განმანათლებლად და გამოცხადებულნი. მასში ნათქვამია: „ვითარცა ანდრია მოციქულმან ურწმუნონი სარწმუნოებად მოაქცინა და სჯულსა და სარწმუნოებასა ზედა დაამტკიცა, მას ჟამსა ოდეს ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან ხსნისა ჩუენისა და მოქცევისათვის მოავლინა თვისთა სამეუფოთა შესამოსლითა პორფირ-ბისონ-ოქროვანითა, სამოსლითა ელვარითა და შუქმიუაჩრდილებელითა შემოსა და, სახედ და სამუქტოდ მოციქულ, ნათლიასა მახარობელად კათალიკოზად დააყენა, რამეთუ მისისა ბრძანებისა ქადაგებითა მოიქცეს თემნი, ქალაქნი და ქუეყანანი ესე ჩრდილოეთისანი, ვიდრე ნინო ქართლისა დედამან მოაქცინა ქართლი, მისთა საზღვართა აქათ წმიდამან ანდრია მოციქულმან ნათლითა მიუაჩრდილებელითა განანათლა და განასუხნელა ყოველნი მორჩილნი სჯულისანი“ (იხ. დანართი №4).

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე შეწირულობის სიგელში ბიჭვინთისადმი (1733 წლის 16 ოქტომბერი) ხაზგასმით ამბობდა, რომ ჩვენ, ქართველები, როგორც „წილხთომილნი“ ღვთისმშობელისა მოგვნათლა ანდრია პირველწოდებულმა. სიგელში ვკითხულობთ: „ვითარცა იგი პეტრეს მოციქულსა მიეცა ჰურიათა მოქცევა, ხოლო პავლეს წარმართთა ზედა, აგრეთვე პირველწოდებულსა ანდრიას მიეცა ჩრდილოეთისა ქუეყანა მოქცევად ჩუენებითა წმიდისა ღმრთის მშობლისათა, რამეთუ ჩუენ ქართველნი მისნი წილხთომილნი ვართ და ვიქადით სახელითა მისითა და ნეტარ ვართ, რამეთუ დედა მეუფისა მეოხად გვივის წინაშე ძისა თვისასა“.²⁶

ანდრია მოციქულის მიერ დასავლეთ საქართველოს მოქცევის ისტორიულად დასაბუთებული ფაქტი გახდა ერთ-ერთი საფუძველი მცხეთისაგან დამოუკიდებელი აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფისა და ამ სტატუსით საუკუნეების მანძილზე მისი ფუნქციონირებისა. აფხაზეთის კათალიკოსები, მათ შორის ერთ-ერთი ბოლო მღვდელმთავარი მაქსიმე II (1776-1795 წწ.) აბაშიძე ხშირად

ასე იწოდებოდა: „კათალიკოსი ზოგად ყოველთა აფხაზთა და მჯღო-
მარე საყდარსა ანდრია პირველწოდებულისა“ ან „კათალიკოსი
ზოგად ყოველთავე აფხაზ-იბერთა და მჯღომარე საყდარსა ანდრია
პირველწოდებულისა მოციქულისასა“.²⁷ დაახლოებით ამგვარ ტი-
ტულატურას ითვალისწინებდა „მცნებაი სასჯულოც“ (იხ. დანარ-
თი №4).

დასავლეთ საქართველოს სასულიერო და საერო წრეებში
არსებობდა მოსაზრება აფხაზეთში ანდრია მოციქულის წამებისა
და ბიჭვინთაში დაკრძალვის შესახებ. ასე, მაგალითად, იმერელი თა-
ვადის ლომკაც ჩიჯავაძის მეუღლის ანიკა აბაშიძისა და მისი შვი-
ლების მიერ კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი მირთმე-
ულ „საფიცრის წიგნში“ (1731 წ.) ვკითხულობთ: უფლის ამაღლე-
ბის შემდეგ, „ხვედრებულ ვიქმენით წილათ თავისა მის მოციქუ-
ლისა ანდრიასა, იწამა ქუეყანასა მას კაცთა მქამელთასა, რომელსა
ეწოდების აფხაზეთი და დაემარხა ადგილსავე მას, რომელსა ჰრქვიან
ბიჭვინტა. აღიდა ღმერთმან წმიდა და პატიოსანი გუამი მისი და
ბრძანებითა ღვთისათა აღაშენა ტაძარი ღვთის მშობლისა, განაჩი-
ნეს და ქმნეს სამღუდელთმთავროდ, მოიხსენების საკათალიკო-
ზოდ“.²⁸ აფხაზეთში „კაციკამიების“ მიერ ანდრია მოციქულის წა-
მებისა და ბიჭვინთაში დაკრძალვის ფაქტი ისტორიულად არ დას-
ტურდება. ცნობილია, რომ აფხაზეთში სიმონ კანანელია დასაფ-
ლავებული. ანიკა აბაშიძის „საფიცრის წიგნში“ დასხვა დასავლურ-
ქართულ სიგელებში ანდრია მოციქულთან დაკავშირებულ ანა-
ლოგიურ შეცდომებზე ყურადღება ჯერ კიდევ XIX ს. შუახანებში
მ.სელეზნიოვმა გაამახვილა.²⁹ ივანე ჯავახიშვილი კი საერთოდ უარ-
ყოფდა ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების შესახებ არ-
სებული ცნობების რეალობას.³⁰

ზოგიერთ მკვლევარს, კერძოდ დ.ლეთოდინანს მართებულად არ
მიაჩნია აფხაზეთის სახელის მოქცევა ანდრია მოციქულის სამისი-
ონერო მოღვაწეობის სფეროში. მეცნიერის აზრით, „დღევანდე-
ლი აფხაზეთის ტერიტორიის აფხაზეთის სახელით აღნიშვნა და მი-
სი ანდრიას საქმიანობასთან დაკავშირება, როგორც ამას ფიქრო-
ბენ გვიანდელი ხანის მწერლები (ეპიფანე, მიმოსვლა, ლეონტი მრო-

ველი და სხვა) ანდრია პირველწოდებულის ხანისათვის კი არ არის სინამდვილე, არამედ ამ წყაროების ავტორების თანადროული რეალობაა (აფხაზეთის სახელის აღნიშვნა).³¹ შეგვიძლია მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმოთ აღნიშნულ მოსაზრებას იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ ჯერ-ერთი, პირველი საუკუნის 30-40-იან წლებში (სავარაუდოდ, მოციქულთა ჩამოსვლის პერიოდი) პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული — აფხაზეთი//აბაზგია არ არსებობდა (მხოლოდ II საუკუნეში ფიქსირდება არიანესთან); მეორეც, ისტორიული და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა; და ბოლოს, ქდიოსკურია (სევასტოპოლისი//ცხუმი) მოციქულთა იქ ყოფნის დროს, მანამდეც და შემდგომ პერიოდშიც კოლხეთისა (ლაზიკის) და კოლხების ქალაქია, რაც დოკუმენტურად დასტურდება ფსევდო სკილაქს კარიანდელთან (ძვ.წ. IV ს.), სტრაბონთან (I ს.), პლინიუსთან (I ს.), პტოლემეაიოსთან და ა.შ.³²

აქვე შევნიშნავთ, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში „აფხაზეთი“ კონტექსტიდან ამოვარდნილად მოიხსენიება. ტექსტში მოციქულებთან დაკავშირებით მეგრელებზეა საუბარი, აფხაზის ხსენება კი არ არის. აღნიშნულ საკითხს ვრცლად ეხება თ.გვანცელაძე თავის სადოქტორო დისერტაციაში. იგი ვარაუდობს, რომ ლეონტი მროველს მოციქულებზე საუბრისას თავდაპირველად არ ეწერა „აფხაზეთი“³³ ხოლო ტექსტში სხვადასხვა ადგილას ხშირად ნახმარი „ეგრისი“, „მეგრნი“ და „მეგრელნი“ მთელი დასავლეთ საქართველოსა და ამ მიწა-წყლის მცხოვრებთა განმაზოგადებელი სახელებია.³⁴ ასეთი დასკვნის საფუძველი მას მისცა ლეონტი მროველის მატრიანებში, უპირველესად „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში ტერმინების „ეგური“, „ეგრისი“, „ეგრის“ სემანტიკურმა ანალიზმა. ლ. მროველი „ეგერი//ეგრი//ეგრისი ვარიანტებით, — წერს თ.გვანცელაძე, — სისტემებრ აღნიშნავს მთელს დასავლეთ საქართველოს და მის შემადგენლობაში გულისხმობს ტერიტორიას ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე და აჭარიდან კავკასიონის ქედის უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე (ნიკოფსია — ნოვომიხაილოვსკოემდე)... არსებითია ისიც, რომ მემატრიანე უძველესი დროიდან ახალი

წელთაღრიცხვის V საუკუნემდე მომხდარ ამბავთა აღწერისას სრულიად საქართველოსა და ყოველთა ქართველთა აღსანიშნავად იყნებს როგორც უზოგადესი შინაარსის მქონე ტერმინებს — ქართლი და ქართველნი, ისე ტერმინოლოგიურ შესატყვისებს: „ყოველი ქართლი და ეგური“, „ყოველი ქართლი და ეგრისი“, „ქართლი და ეგრისი“, „ქართველნი და მეგრელნი“. მას შემდეგ, რაც ლეონ მეორემ გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო... VIII საუკუნის დასასრულს და შექმნა დასავლურ ქართული სახელმწიფო „აფხაზეთის სამეფოს“ სახელწოდებით, ლეონტი მროველის მიერ ხშირად ხმარებულ ტერმინებს — ეგურს, ეგრს, ეგრისს, მეგრს, მეგრელს და ტერმინოლოგიურ შესატყვისებს... უმტკივნეულოდ ჩაენაცვლა ტერმინები — აფხაზეთი (დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით), აფხაზნი (დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ზოგად სახელად) და ტერმინოლოგიური შესიტყვებანი — „ყოველი ქართლი და აფხაზეთი“, „აფხაზნი და ქართველნი“ (სრულიად საქართველოსა და ყოველთა ქართველთა აღსანიშნავად).³⁵

ყოველივე ამის შემდეგ, სრულიად ნათელია, რომ ლეონტი მროველი I საუკუნის მოვლენების აღწერისას გამონაკლისს არ დაუშვებდა და არ იხმარდა ტერმინ „აფხაზეთს“, მით უფრო „აფხაზს“, ვინაიდან მისეულ გენეალოგიურ სქემაში, ეთნოგენეტურ კონცეფციაში (თარგამოსიანთა მოდგმაში) ასეთი ხალხი და ქვეყანა საერთოდ არ ფიგურირებენ. დასავლეთ საქართველო მდ.მცირე ხაზარეთამდე (ყუბანამდე) ეგროსის სამკვიდრებელს წარმოადგენდა.³⁶ იმავე სქემის მიხედვით, აფსუურ-ადილური ტომები, თ.გვანცელაძის ვარაუდით, კავკასის შთამომავლები არიან და ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობენ.³⁷ I საუკუნის ავტორის — პლინიუსის მიხედვით კი, აბზოას ტომი (აფსუები) ჩრდილოეთ კასპიისპირეთშია ლოკალიზებული.³⁸ დანამდვილებით არავინ იცის XI ს. ავტორი — ლეონტი მროველი საერთოდ თუ იცნობდა კონკრეტულად აფსუათა წინაპრებს. უფრო მეტიც, აფსუები და მათი წინაპრები არც ერთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ძველბერძნულ წყაროში არ არიან დაფიქსირებული.

როგორც ცნობილია, ხალხთა გენეალოგიური სქემები

(ბიბლიიდან მოყოლებული) მოცემული აქვთ სხვადასხვა ავტორებს და ეს მასალა „გეორგიკაშია“ გამოქვეყნებული. აფსუათა წინაპრებს საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე იქ ვერავინ იპოვის. სხვათა შორის, ზოგიერთ ავტორთა მიერ აფსუათა წინაპრებად მიჩნეული აფსილ-აბაზგებიც ამ სქემებში არ ფიგურირებენ, იგულისხმებიან რა იბერებში და კოლხებში, როგორც ერთი ტომის წარმომადგენლები. ბიბლიაში, აგრეთვე იოსებ ფლავიოსთან, ევსტათი ანტიოქელთან, იოანე ზონარასთან იაფეტის მოდგმაში მხოლოდ იბერებია მოხსენიებული სრულიად ქართველთა მნიშვნელობით.³⁹ უმრავლესობა ავტორებისა (Liber generationis, ეპიფანე კვიპრელი, „პასქალური ქრონიკა“, გიორგი სინგელოზი, ლეონ გრამატიკოსი, გიორგი კედრენე და ა.შ.) იბერებს და კოლხებს (ლაზებს), იბერიასა და კოლხეთს (ლაზიკას) უთითებს. მათთან ერთად ზოგჯერ ცალკეულ ავტორებთან (Liber generationis, ეპიფანე კვიპრელი, „პასქალური ქრონიკა“, გიორგი სინგელოზი და ა.შ.) ხალიბები, მოსინიკები, ტიბარენები, სანები და კოლებია დასახელებული.⁴⁰ როგორც ჩანს, ზემოთხსენებულ ავტორებს აღნიშნულ ტომთა ქართველობაში მაშინ ჯერ კიდევ ექვი ეპარებოდათ, მაგრამ აფსილ — აბაზგთა ვინაობა მათთვის სრულიად გარკვეული იყო — ისინი კოლხებთან და იბერებთან არიან გაიგივებული. ალბათ, ამის გამო აფსილ-აბაზგები მსოფლიოს მოსახლეობაშიც (იხ. „პასქალური ქრონიკა“ — VII ს.) არ ჩანან. იქველავე იბერები, ლაზები (კოლხები) და სანები ფიგურირებენ.⁴¹

ერთადერთ შემთხვევაში — იოანე ანტიოქელთან (VII ს.) ნათქვამია, რომ იაფეტს სხვა ტერიტორიებთან ერთად აბაზგების ქვეყანაც ხვდა წილად.⁴² ავტორი კოლხებს და იბერებს არ ახსენებს. იოანე ანტიოქელის ნაშრომის ის ფრაგმენტი, სადაც გენეალოგიური სქემაა მოცემული, შემორჩენილია მხოლოდ XIV ს. ხელნაწერში, რაც სერიოზულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გადამწერი მაშინდელი ტრადიციით ტერმინ აბაზგიას (აფხაზეთი) სრულიად საქართველოს მნიშვნელობით ხმარობდა, როგორც ამას ბევრი სხვა ავტორი აკეთებდა.⁴³

დამოწმებული ცნობები, სხვადასხვა ავტორებთან მოცემული

გენეალოგიური სქემები მეცნიერული თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, „მოდველებულია“, მაგრამ სამყაროს რეალურ სურათს გარკვეულწილად მაინც ასახავენ. საქმე იმაშია, რომ ძველი ლიტერატორები და მეცნიერები ცდილობდნენ კაცობრიობა ნოეს ძეთა — სემის, ქამისა და იაფეტის შთამომავლებად დაეყოთ და ყველა ცნობილი ეთნოსისათვის (ბიზანტიელები აფსილ-აბაზგებს კარგად იცნობდნენ) თავისი ადგილი მიეკუთვნებინათ. როცა აბაზგი (ასევე აფსილი) ამ დაყოფაში არ ფიგურირებს, როცა იგი სრულიად მიუყვარძობებელ ავტორებთან არ ფიქსირდება, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ასეთი ცალკე ერი, ხალხი, ტომი იმ პერიოდში არ არსებობდა. მაშინ რით ავხსნათ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თითქმის სამ ათეულამდე ტომის, მათ შორის აფსილ-აბაზგთა დაფიქსირება სხვადასხვა ავტორებთან? ამ კითხვაზე პასუხი დიდი ხანია, რაც გაცემულია. ერთი და იმავე ტომის სხვადასხვა ნაწილებს მათი გარეგნობის, პროფესიის, მინიჭებული პოლიტიკური, სამხედრო თუ სხვა ფუნქციის, საცხოვრებელი ადგილების გეოგრაფიული თავისებურებების და სხვა ნიშნების მიხედვით არქმევდნენ სახელებს. ასე მაგალითად: ამაზონები ძველბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „მკერდის გარეშე“, ანანდროს — „არა მამაკაცური“, „ქალის მსგავსი“, კორაქსი — „ყავი“, „შავი“, სავრომატები — „ხვლიკისთვალეა“, მელანქლენები — „შავებში ჩაცმულები“, „ნაბადში ჩაცმული“, მაკროცეფალები — „გრძელთავიანები“, „დიდთავიანები“, ზიგები — „ულელში შებმულები“, ფტიროფაგები — „გირჩის მჭამელები“, „ტილისმჭამელები“, თელონები — „გამოსაღების შემსყიდველი“, ჰენიოხები — „მეეტლები“, ეკეხეირიელები — „მშვიდ მდგომარეობაში მყოფნი“, კერკეტები — „მესაქე“ (ს.ს.ორბელიანი „კერკეტონს“ ასე განმარტავს: „კაცნი ღამის მცველნი, რათა ბოროტად მავალნი შეიპყრან“. — ლექსიკონი ქართული, ტ.1, თბ., 1991, გვ.367), მაკრონები — „გოლიათები“, ხალიბები (ბერძნ. ხალკოს) — „სპილენძი“, „ძველი მეტალურგები“, მაკროპაგონები — „გრძელწვერიანები“, ხარიმატები — „სასიამოვნო თვალეა“ და ა.შ. იგივე ითქმის აფსილებზე, რაც ნიშნავს არაშიშველს, არაქაჩას. ეპითანე კვიპრელი (IV ს.) ლაზების გვერდით აფიქ-

სირებს ფსილიტებს (განსხვავებით აფსილებისაგან), ანუ „შიშველებს“, „ქაჩალებს“, „მელოტებს“. გაცილებით უფრო ადრე, ჰეროდოტე (ძვ.წ. 484-425 წწ.) კავკასიის მთის ძირთან (ჩრდილოეთის მხრიდან) მელოტ აგრიბებს აფიქსირებს. ამრიგად, ვითომ ტომთა აღმნიშვნელი სახელები ძველბერძნულია და ეთნონიმებთან კავშირი არა აქვთ.⁴⁴

აღმოსავლეთშავიზღვისპირეთში დასახელებულ „ეთნონიმებთან“ დაკავშირებით აღიღვევლი ისტორიკოსი გ.ა.კოკიევი წერდა: Трудности определения этнического состава Азово-Черноморья обусловлены тем, что вследствие происшедших на юге России переселенческих и колонизаторских волн этническая номенклатура его менялась не раз. Топонимические и племенные названия Азово-Черноморья передавались в искаженном виде на языках новых пришельцев или менялись в зависимости от изменения политической роли племени, дававшего свое имя целому комплексу различных племен... Кроме того, древние авторы разные части одного и того же племени называли по-разному в зависимости от места проживания, от перемены места оседлости, от географических особенностей занимаемых ими мест. На это обстоятельство указывает и русская летопись, свидетельствующая, что различные племена „прозвatasя имени своими, где седце на котором месте“.⁴⁵

შავიზღვისპირეთში სწორედ ამ მიზეზით ფიქსირდება მრავალი ტომი აფსილ-აბაზგთა ჩათვლით, თუმცა ძალიან ბევრი ავტორი მათ ცალკე ერებად არ მიიჩნევს. V ს. ანონიმი წერდა: „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სევასტოპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე (მდ. ჭოროხამდე — ჯ.გ.) წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებათ და (მერე) გადაერქვათ ლაზები“.⁴⁶

სავსებით ნათელია, რომ მართლაც შეუძლებელია მოციქულების მოღვაწეობის დაკავშირება აფსუა ხალხთან, მაგრამ ამავე დროს ქართული და ბიზანტიური წყაროების არაერთი მითითება მოცი-

ქულების სებასტოპოლსა და ნიკოფსიაში ყოფნის შესახებ ადასტურებს თანამედროვე აფხაზეთის ისტორიულ ტერიტორიასთან მათ უშუალო კავშირს, ამ მიწაზე მცხოვრები ღვთისმშობლის წილხვედრი ქართველების//კოლხების//მეგრელების მოქცევის ფაქტს. ანდრია მოციქულს სწორედ ამიტომ „წყაროები უწოდებენ კლარჯეთისა და მეგრელების მომაქცეველს ქრისტიანულ სჯულზე“.⁴⁷

პირველი მოციქულების მიერ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების (მეგრელების) მონათვლის ფაქტს რუსული ისტორიოგრაფიაც აღიარებდა. 1898 წელს აფხაზეთში მართლმადიდებლობის ისტორიის საკითხებზე გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ: „В эпоху появления здесь Апостолов Андрея и Симона Кананита, край этот признает над собою верховную власть Грузии. Затем возникает здесь Лазийское царство, составленного из древнего удела Эгриса и обнимавшее собою все пространство к западу и северо-западу между Лазистаном и Гаграми“.⁴⁸

ისტორიულ ლიტერატურაში დავის საგანს წარმოადგენს სიმონ კანანელის საფლავის ადგილმდებარეობისა და, შესაბამისად, ნიკოფსიის ლოკალიზაციის საკითხი. ამასთან დაკავშირებით დ.ლეთოდიანი წერს: „რაც შეეხება სიმონ კანანელის საფლავს, წყაროები ნიკოფსიაში უთითებენ... ხოლო ნიკოფსიის და ანაკოფიის გაიგივება სრულიად უმართებულო ჩანს... ნიკოფსიის მდებარეობის შესახებ უძველესი დროიდან მოიპოვება ცნობები და მას „ძველ ლაზიკასთან“ გულისხმობენ. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც ნიკოფსიის ლოკალიზაციას მდ.ნეგოფსუხოსთან ახდენენ (იხ. Б.А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т.1, Тб., 1949, გვ.100-101, იქვე სათანადო ლიტერატურა)“.⁴⁹ ღრმად მცდარია პ.ს.უვაროვას (და სხვათა) შეხედულება (რომელსაც ჯერ კიდევ 1918 წელს ამბროსი ხელაია უარყოფდა), თითქოს ანაკოფიას მხოლოდ X-XIII ს.ს. ეწოდა ნიკოფსია და იგი ვითომ საქართველოს უკიდურეს დასავლეთ პუნქტად იქცა.⁵⁰ აღნიშნული საკითხი დღეს არ უნდა წარმოადგენდეს დავის საგანს. „ქართლის ცხოვრებაში“ მრავალჯერ დაფიქსირებული ქვეყნის უკიდურესი ჩრდილო-

დასავლეთი წერტილი დანამდვილებით თანამედროვე ახალი ათონი (ანაკოფია) არ არის (იხ. ქ.ც. ტ.2, გვ.94, 103, 168, 243, 293; ტ.4, გვ.259, 260). ერთი პერიოდი ის ჰყოფდა აფხაზეთ-სამეგრელოს, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არასოდეს ყოფილა.

ნიკოფსია ყოფილი „ძველი ლაზიკაა“. ეს იმიტაც დასტურდება, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა I ნუსხაში — ნოტიციაში, რომელიც VII საუკუნის პირველ ნახევარშია შედგენილი, ნიკოფსიის ავტოკეფალური საეპისკოპოსო მიკუთვნებულია ჭიქეთის და არა აბაზგიის ეპარქიისადმი. ცხადია, შუაგულ აბაზგიაში მდებარე ანაკოფია ხერსონისა და ბოსფორის საეპისკოპოსოებთან ერთად ჭიქეთის ეპარქიაში კი არ შევიდოდა, არამედ სებასტოპოლის საეპისკოპოსოსთან ერთად აბაზგიის ეპარქიის ნაწილი გახდებოდა. კითხვაზე, თუ რატომ იქნა ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო ჭიქეთის ეპარქიაში გაერთიანებული, პასუხი შეგვიძლია ვიპოვოთ V ს. ანონიმთან. მისი ცნობით, ტერიტორია აქაიდიდან „ძველ ლაზიკამდე“, რომელიც ადრე ჰენიოხებით, კორაქსებით, კოლიკებით, მელანქლენებით, მაქელონებით, კოლხებითა და ლაზებით იყო დასახლებული, ამჟამად „ცხოვრობენ ჭიქები“. ბუნებრივია, ჭიქებით დასახლებული „ძველი ლაზიკის“ საარქიეპისკოპოსო ჭიქეთის ეპარქიას დაექვემდებარებოდა. ანონიმი პირდაპირ უთითებს, რომ „ძველი ლაზიკა“ — იგივე ნიკოფსიაა: „მარცხენადან“, ვიდრე ეგრეთწოდებულ „ძველ ლაზიკამდე“ (სადაც დაფუძნებულია ამჟამად ნიკოფსიად წოდებული, რომლის მახლობლად არის ამჟამად ეგრეთწოდებული ფსახაფსი) არის 120 სტადიონი“.⁵¹

ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ბერძნულ ტექსტში, — წერს პინგროკა, — ნათქვამია: „არს ჭიქეთს ნიკოფსიაში საფლავი, რომელსაც აქვს წარწერა სიმონ კანანელისა“.⁵² „ამას (ბიჭვინთას — ჯ.გ.) ვგონებ ნიკოფსიად, — აღნიშნავდა ვახუშტი, — და ეკლესიასაცა მას ზედ აღშენებულსა მისთვის, ვინაითგან ნიკოფსიას დაფლულ არს მოციქული სვიმონ კანანელი“.⁵³

XIX საუკუნის შუახანების რუსი ისტორიკოსი მ.სელეზნიოვი, უარყოფდა რა ბიჭვინთაში ანდრია მოციქულის დასაფლავების

ფაქტს, წერდა, რომ იქ დაკრძალულია სიმონ კანანელი, რომლის წმინდა ნაწილები ნიკოფსიიდან, „когда этот город сделался незначительным“, გადმოსვენეს ბიჭვინთაში, როცა იგი „сделалась потриаршеством, а может быть и гораздо прежде“.⁵⁴ რაიმე სხვა წყაროებით სიმონ კანანელის ნიკოფსიიდან ბიჭვინთაში გადმოსვენება არ დასტურდება, მაგრამ ასეთი რამ თუ მართლაც მოხდა, მიზეზი ჭიჭების მხრიდან ნიკოფსიაზე გამუდმებული თავდასხმები, ქალაქის აღება-განადგურება და შესაბამისად ადგილობრივი კოლხური მოსახლეობის სამხრეთისაკენ შევიწროება უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაშიც ნიკოფსიის ლოკალიზება მხოლოდ „ძველ ლაზიკასთანაა“ შესაძლებელი (როგორც ამას ასაბუთებენ პ.ინგოროვცა, ნ.ბერძენი შვილი, ანანია ჯაფარიძე და სხვა ავტორები), რადგანაც ჩრდილოეთიდან თავდასხმებისას წმ.მოციქული ანაკოფიიდან სამხრეთით იქნებოდა გადმოსვენებული და არა ჩრდილოეთით (ბიჭვინთაში), საიდანაც შემოსევები ხორციელდებოდა.

მართლმადიდებლობის განმტკიცება II-V ს.ს.

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელება მოციქულთა მოღვაწეობის შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა. უცხოურ წყაროთა მიხედვით, II-III საუკუნეებში ეს პროცესი საქართველოს შავიზღვისპირეთშიც მიმდინარეობდა. სპეციალისტთა მოსაზრებით, ქრისტიანობას, შესაძლოა, ავრცელებდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რომაელი ჯარისკაცები, რომელთა შორის საკმარისად იყვნენ ქრისტიანები. მათი გარნიზონები, V ს. დასაწყისის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, არსებობდნენ ბიჭვინთაში, პარემბოლეში, სებასტოპოლისში, ზიგანე//გუდაყვაში, მოხორაში, სადაც არც თუ ისე ცოტა რაოდენობით ადგილობრივი ლაზებიც (კოლხებიც) მსახურობდნენ. მათი გაწვევა იმპერიის შორეულ რეგიონებშიც ხდებოდა. ლაზების (აბაზგების) ერთ-ერთი შენაერთი, იმავე დოკუმენტის თანახმად, მდ.ნილოსის მარცხენა სანაპიროს „დიდ ოაზისში“ იდგა.⁵⁵ IV ს. დასაწყისიდან მაინც, როცა რომში (ასევე საქართველოშიც) ქრისტიანობა სახელმ-

წიფო სარწმუნოებად გამოცხადდა, აღნიშნულ გარნიზონებს შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეში. არ არის გამორიცხული, მათ ასეთი დავალებაც ჰქონოდათ.

წყაროებიდან (თეოდორიტი კვირელი) ისიც ცნობილია, რომ „ჩვენმა მებაღურებმა, მეზვერეებმა (მებაჟეებმა — ჯ.გ.) და მეტყავემ მოუტანეს ყველა ადამიანებს სახარების კანონები. და არა მარტო რომაელები და მათი ხელქვეითი ხალხები, არამედ სკვითური და სავრომატული ტომები და, საერთოდ, ყველა ტომი და მოდგმა ადამიანებისა დაარწმუნეს მიედლოთ ჯვარცმულის კანონები და (ამისათვის) არ დასჭირებიათ იარაღის ხმარება“.⁵⁶ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეს ლაზებს, აბაზგებს და სანებსაც ეხებოდათ.

ერთ-ერთი ვერსიით, აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელება თითქოს გრიგოლ-სომეხთა განმანათლებელს მიეწერება. მის ავტორად, ე.აჯინჯალს მიაჩნია ნ.მარი, რომელმაც სინას მთის მონასტრის წიგნსაცავში 1902 წელს აღმოჩენილ გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბულ ტექსტს მიუძღვნა გამოკვლევა „Крещение армян, грузин, абхазов, аланов“.⁵⁷ როგორც ქვემოთ დავინახავთ, დოკუმენტში მოხსენებულ აფხაზებს ნ.მარი სულაც არ თვლიდა აფსუებად. ტექსტის მიხედვით, სომეხეთის მეფემ თრდატმა (287-330 წწ.) გაუგზავნა „письма (царю абхазов и) царю грузин, письмо царю аланов“ და მათ თავისთან მოუხმო. თრდატთან სამი მეფე გამოცხადდა — „царь абхазский, царь грузинский и царь аланский“ და აქ მოხდა ვითომ ქრისტიანობის მიღება.⁵⁸ არაბულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „მაშინ წმ.გრიგოლმა დაამზადა ეპისკოპოსები, — ის ხომ მთელი არმენიის ეპისკოპოსი იყო, — და ისინი დააგზავნა არმენიის მთელ მიწა-წყალზე, და საქართველოში და დურძუკეთის ქვეყანაში, და ალბანეთში. ქართველი კაცი აიყვანა იმათგან, რომელნიც მასთან ერთად სებასტიიდან (კაბადოკიაში იყო — ჯ.გ.) მოვიდნენ სახელით ირენარზე,⁵⁹ და მას მისცა მიტროპოლიტობა და გაგზავნა იგი, რათა მას ეპისკოპოსები დაედგინა მთელ საქართველოში... აფხაზთა ქვეყანაში გაგზავნა სოფრონი, რომელიც მღვდლად იყო კაბადოკიაში და

წმ. გრიგოლთან ერთად მოვიდა; იგი ეპისკოპოსად აკურთხა და გაგზავნა. ალბანთა მხარეში გაგზავნა თომა“. ნ. მარის მიხედვით, ციტირებული არაბული ტექსტის საფუძველს IV ს. ავტორის აგათანგელოსის მიერ სომეხთა მოქცევის შესახებ დაწერილი ნაშრომის VII-VIII სს. რედაქცია წარმოადგენს; იგი ბერძნულ ენაზეა შედგენილი (გადაწერილი) ბერძნოფილი სომხის მიერ; სავარაუდოდ, მისი დეფექტიანი IX ს. ტექსტია არაბულად თარგმნილი.⁶¹

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფია დიდი ხანია უარყოფს გრიგოლის მიერ აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოს მოქცევის ფაქტს. ამ ვერსიის წინააღმდეგ თავის დროზე კატეგორიულად გაილაშქრა ივ. ჯავახიშვილმა.⁶² აფხაზთა (აფსუათა) მოქცევის შესაძლებლობას კი ნ. მარიც უარყოფდა. ე. აჯინჯალს უფრო საკუთარი (ვიღრე ნ. მარის) ვერსიის განსამტკიცებლად არაბული ტექსტის რუსული თარგმანიდან მოაქვს ამონარიდი გრიგოლის მიერ სხვადასხვა ქვეყნებში სასულიერო პირების გაგზავნის შესახებ: „Иного он отправил в Грузию, иного в страну абхазов и иного к аланом“.⁶³ მისი ტენდენციურობა აშკარაა. ციტირებულ დოკუმენტში და აგრეთვე ნ. მარის კომენტარებში ე. აჯინჯალმა „ვერ შენიშნა“ არაერთი განმარტება არაბულ ტექსტში მოხსენიებულ „აფხაზთა“ ეთნიკური კუთვნილების შესახებ. ასე მაგალითად, არაბული ტექსტის ცნობას ვითომ გრიგოლის მიერ სომხების გარდა კიდევ ქართველების, აფხაზებისა და ალანების მოქცევის თაობაზე, ნ. მარი შემდეგ კომენტარს ურთავს: „Этот троиственный союз повтаряется еще несколько раз, но вм(есто) абхазов появляются то лазы, то русы“.⁶⁴ მას მხედველობაში აქვს ის ადგილი, სადაც მოთხრობილია გრიგოლის ხელმძღვანელობით წარმართული ტაძრების მსხვრევისა და თრდატის ბრძანებით ქრისტიანობის მიღების შესახებ. იქვე ვკითხულობთ: „Таким же образом сделали еще в земле абхазов, грузин и аланов“.⁶⁵ ნ. მარი აგრძელებს მსჯელობას და შემდეგ დასკვნამდე მიდის: „И, действительно, появление лазов вм(есто) абхазов по существу не изменяет дела: под абхазами... здесь, очевидно, подразумеваются лазы, како-

ვით უფრო მეტი უნდა გავიხსენოთ, რომ მისი მტკიცებით, „термин “абхаз” внесен, вероятно, арабским переводчиком или скорее одним из переписчиков. Термином “абхазы” обозначаются, как мы видели, тот же народ, который в другом случае появляется под именем лазов. Нет основания предполагать, что этот народ и в греческом подлиннике назывался двойным образом. Между тем, термин “лазы”, несомненно стоял в греческом тексте, так как он сохранил греческое окончание род(ительного) падежа мн(ожественного) числа и в арабском переводе. В восстановливаемом чтении “Лазикет”-е мы имеем, как было показано (იხ. Записки, т.16, вып. 2-3, გვ.160-161. — ჯ.გ.), грузинскую форму греческого названия тех же лазов, а такое обращение с географическими названиями, не чуждо и греческому подлиннику. Наконец, в памятнике речь именно о лазах и Лазике, а не о настоящих абхазах”.⁶⁷ აი, ეს „უმნიშვნელო“ დეტალი „გამორჩა“ ე.აჯინჯალს და ნ.მარზე „დაჯრდობით“ აყენებს ყოველად უსაფუძვლო ვერსიას გრიგოლის მიერ აფსუების მოქცევის (?!) შესახებ.

ნ.მარი იმაშიც მართალია, რომ „термин “лаз” несомненно стоял в греческом тексте“. აგათანგელოსის VII-VIII საუკუნეებზე უფრო ადრინდელ ბერძნულ რედაქციაში გრიგოლის ცხოვრებისა, რომელიც 1107 წელსაა გადაწერილი, „აფხაზის“ ნაცვლად მართლაც ტერმინი „ლაზი“ ფიგურირებს.⁶⁸

ვფიქრობთ, საკითხი ამოწურულია. ცხადია, საქმე გვაქვს თითქმის XIV-XV საუკუნეებამდე ძირითადად კოლხ-იბერთა ან სრულიად ქართველთა აღმნიშვნელ ტერმინ „აფხაზით“ სპეკულირების გზით საქართველოს თუნდაც გაყალბებული ისტორიის (გრიგოლის მიერ თითქოს ლაზ-იბერთა მოქცევის საკითხის) აფსუებისათვის მიკუთვნების ტრადიციულ მცდელობასთან, რომელიც

წითელ ზოლად გასდევს ე.აჟინჯალის მთელ წიგნს და რომლის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას ამ მხარეში და ზოგადად კოლხეთში ლტოლვილ თუ გადმოსახლებულ ქრისტიანებსაც უკავშირებენ. ჯერ კიდევ მოციქულების დროს რომის იმპერატორები „ურჩ“ ქრისტიანებს იმპერიის განაპირა რაიონებში აგზავნიდნენ. ასეთი რეგიონი იყო კოლხეთიც თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით. პირველი საუკუნის დასასრულს (სავარაუდოდ 100 წელს) იმპერატორმა ტრაიანემ (98 წლიდან) ხერსონესში გადაასახლა რომის ეპისკოპოსი კლიმენტი — პეტრე მოციქულის მოწაფე (მანვე დანიშნა რომის ეპისკოპოსად). თავისი ქადაგებებით, სასწაულებითა და მოწამებრივი სიკვდილით მან ზემოქმედება მოახდინა ზღვისპირა კოლხებზე. მოგვიანებით ტრაიანემ კლარჯეთში გადასახლება მიუსაჯა პონტოს (კაპადოკიის) ეპისკოპოს პალმოსს; მან ასევე გააგრძელა მოციქულთაგან დაწყებული ქადაგება. იმ პერიოდში გურია-სამეგრელოს მხარეში 70 საყდარი აუშენებიათ, მრავალი სასწაული მოუხდენიათ. კლიმენტისა და პალმოსის ძაღლისმეფით, საქართველოს შავიზღვისპირეთის მოსახლეობა ქრისტიანობას ეზიარა. მეორე საუკუნის ბოლოს მცხოვრები ლიონის (საფრანგეთში) ეპისკოპოსი ირინეი ამბობდა, რომ ივერიაში ახლა ქრისტიანობა არისო.⁶⁹

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში წვლილი მიუძღვის ტომით კოლხი პალმოსის შვილს, ფაზისის ეპისკოპოს მარკიონს. შემდგომში იგი მწვალებელი გამხდარა, რისთვისაც მამას შეუჩვენებია. მარკიონი შენდობისათვის რომის პაპთან — ანიკეტუსთან (155-166 წწ) გამოცხადებულა, მაგრამ მას უარი უთქვამს, რაკი მამისაგან იყო შეჩვენებული.⁷⁰

IV საუკუნის დასაწყისში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე იყო გადმოსახლებული ქრისტიანი და მეომარი ორენტიოსი თავის ძმებთან ერთად. ცნობა ამის შესახებ შემონახულია გიორგი ათონელის მიერ 1042-1044 წლებში ნათარგმნ „დიდ სვინაქსარში“. ტექსტის მიხედვით, რომის იმპერატორების დიოკლიტიანესა (284-305 წწ.) და მაქსიმიანე ერკუროსის (285-305 წწ.) დროს სპარსე-

ლების მოსაგერიებლად ანტიოქიაში შეკრიბეს 1200 კაციანი ლაშქარი, რომლის მთავარ ძალას ორენტიოსი და მისი თანამებრძოლები ეროტოსი, ფარნაკიოსი, ფირმოსი, ფირმინოსი, კვირიაკოსი და ლონგინოსი შეადგენდნენ; მეომრები ღრმად მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. 305 წელს იმპერატორი გახდა მაქსიმიანე გალერი, რომლის დროს რომის იმპერიას ბარბაროსული ტომები შემოესივნენ (305-311 წლებს შუა პერიოდში). იმპერატორმა დიდი ჯარით გაილაშქრა მტრის წინააღმდეგ. ბარბაროსთა მთავარმა მარმაროთმა წინადადება მისცა მაქსიმიანეს, ომის ბედი ორთაბრძოლას გადაეწყვიტა. პირობის თანახმად, მტრის მხრიდან გამოვიდა მარმაროთი, ხოლო რომაელთა მხრიდან — ორენტიოსი. „მარტო ბრძოლაში“ ორენტიოსმა მარმაროთი განგმირა და მისი ძვირფასი ოქროს სარტყელი იმპერატორს მიართვა. გახარებულმა იმპერატორმა ოქროს სარტყელი ორენტიოსს დაუბრუნა, დაწინაურებას დაჰპირდა და ამასთანავე თავის ექვს თანამებრძოლთან ერთად კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა მოსთხოვა. ქრისტიანმა მხედრებმა ამაზე უარი განაცხადეს. განრისხებულმა იმპერატორმა მათი ექსორია განიზრახა. სატალელთა მთავარს დუანს დაავალა მათი მოქცევა, თუ ეს ვერ მოხერხდებოდა — ძმების ჯერ ტრაპეზუნდს, ხოლო იქიდან აფხაზეთში გაგზავნა. რადგანაც სატალელთა მთავარმა მეომარ-ქრისტიანებს რწმენა ვერ შეაცვლევინა, შეკრა ისინი და, იმპერატორის ბრძანების თანახმად, ტრაპეზუნდს, იქიდან კი ნავით აფხაზეთში გაგზავნა.

მენავენი და ექსორიაქმნილნი პირველად სუსურმენაში შეჩერდნენ, იქიდან გასულები „კენი პარაოლიდში“ („ახალ ბანაკში“) მივიდნენ, სადაც 22 ივნისს შვიდ ძმათაგან ერთი — ეროტოსი გარდაიცვალა. მეორე დღეს რიზეონში ჩავიდნენ. ხუთივე ძმა საპყრობილეში მოათავსეს, ხოლო ორენტიოსს ძვირფასი სარტყელი მოხსნეს, კისერზე ლოდი გამოაბეს და ზღვაში გადააგდეს. 24 ივნისს მისი ცხედარი ზღვამ ნაპირზე გამორიყა. 3 ივლისს კორდილიოსში ჩასვლის შემდეგ კიდევ ერთი ძმა — ფარნაკიოსი გარდაიცვალა. მომდევნო ოთხ დღეში აფსაროსში ჩავიდნენ, სადაც 7 ივლისს გარდაიცვალნენ ფირმოსი და ფირმინოსი. 14 ივლისს ისინი ჩავიდნენ

„სოფლად აწ ლაზად წოდებულად, ზილანეს (გულდავა — გალის რაიონი — ჯ.გ.) სახელდებულად“ აქ კვირიაკოსი გარდაიცვალა. ხელნაწერში ნათქვამია: „ხოლო წმინდაი კვირიაკოს მივიდა რაი საეგროისა ქუეყანას, ადგილსა, რომელსა ეწოდების ზილანეოს, ძილი იგი მართალითა დაიძინა 14 ივლისს“.

ცოცხლად დარჩენილი ლონგინოზი ზილანეოსიდან აფხაზეთისაკენ წაიყვანეს. 22 ივლისს იგი გზაში გარდაიცვალა. მისი სხეული ზღვაში ჩაუშვეს, შემდეგ კი ბიჭვინთაში დაასაფლავეს. ვლექტინაძის აზრით, ბიჭვინთის ცნობილ მოზაიკაზე შემონახული ლათინური წარწერა OPE, შესაძლოა, ორენტიოსისადმი იყოს მიძღვნილი.⁷¹

საყოველთაოდ ცნობილია უდიდესი სასულიერო მოღვაწის, კონსტანტინოპოლის პატრიარქის, მწერლის, ორატორის, ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის იოანე ოქროპირის 404 წელს ჯერ მცირე არმენიაში (კუკუსოში), ხოლო 407 წ. კი ბიჭვინთაში გადასახლების შესახებ. ამის თაობაზე მოგვითხრობს იოანეს ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე თეოდორიტე კვირელი თავის „საეკლესიო ისტორიაში“. იოანე ოქროპირი მისმა მტრებმა არა მარტო კონსტანტინეპოლიდან გააძევეს, „არამედ არმენიის ერთ პატარა და უდაბურ დაბაში გადააგზავნეს: ამ დაბის სახელია კუკუსოს. იქიდან წამოიყვანეს და პიტიუნტში გადაასახლეს: ეს არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად, — წერს თეოდორიტე. — მაგრამ კაცთმოყვარე უფალმა არ ინება, რომ ეს ძღვევამოსილი მოღვაწე იმ პატარა კუნძულზე ყოფილიყო წაყვანილი: კომანაში რომ იყო, (უფალმა) ის გადაასახლა სამუდამო და უმწუხარო სამყაროში“.⁷² ამ ცნობას ადასტურებენ მეხუთე საუკუნის ავტორი ერმია საზომენე, VIII-IX სს. ავტორი თეოფანე ეამთაალმწერელი⁷³ და სხვები. ისინი კომანს არმენიაში ათავსებენ. როცა იოანე „უნდა გარდაცვლილიყო: მას არმენიის კომანებში გამოეცხადა მოწამე ბასილისკო. აქ მან უკვე ვეღარ გაუძლო მგზავრობას და თავის ტკივილი აუფარდა; მზის სხივები ვეღარ აიტანა და დასნეულებული გარდაიცვალა“.⁷⁴ ძნელი დასაჯერებელია, რომ არმენიიდან წამოსვლის დღიდან სამთვიანი მომქანცველი მგზავრობის

შემდეგაც იოანე კვლავ არმენიაში ყოფილიყო. საყოველთაო აღიარებით, იოანე ოქროპირი აფხაზეთის კომანში აღესრულა, აქარის მის სახელზე აგებული ტაძარი, რომელიც 1993 წელს სეპარატისტმა „ბოვეიკებმა“ დაარბიეს. სწორედ ამ ღვთივეკურთხეულ მიწაზე „უკანასკნელი წირვა აღაველინა და აღსასრული მიიღო მართლმადიდებლობის მსოფლიო მნათობმა დიდმა იოანე ოქროპირმა, სადაც მოწამეობრივი ღვაწლით გაბრწყინდა წმ. მოწამე ვასილისკო და სადაც მოხდა მესამედ თავის პოვნა ნათლისმცემლისა უფლისა იოანესი“⁷⁵ — წერს მ.ანუა.

XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველი ნახევრის ლიტერატორი იოანე ზონარა, სხვებისაგან განსხვავებით, იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილად ბიჭვინთას მიიჩნევდა, გარდაცვალების ადგილად კი ტრადიციულად კომანს ასახელებდა. იგი წერდა: „ღედოფალმა ევდოქსიამ თავისი უსამართლო და შეურაცხმყოფელი ენით (იოანე ოქროპირის მიმართ) გადაიბირა ხალხი მის გაძევებაზე (ნამუსიც ასევე ცუდი ჰქონდა მას), და ხალხის გულისწყრომა აღაგზნო (ამ) დიდი მამის წინააღმდეგ. მიიზიდა რა ქმარი ისე, როგორც ავშარით (მიითრევენ ხოლმე ცხენს) კვლავ მიიმხრო იგი წმიდა მამის ექსორიაზე. ხოლო ეკლესიიდან განიდევნა იოანე ოქროპირი ტირანულად და გაიგზავნა ძლიერ შორს, განაპირას მდებარე ადგილზე სახიფათო სავალი გზით; ამ აუტანელ გზებზე მან განიცადა მრავალი ტანჯვა, რაც ოქროპირს მოთხრობილი აქვს თავისი ოქროს ენით წერილებში, რომელთა მოსმენა ძლიერ საჭიროა.“

მიალწიეს რა კუჟუსომდე, აქედან გაემართნენ ბიჭვინთისაკენ; კომანაში რომ მივიდნენ (დაბაა ეს ადგილი), იქ გარდაიცვალა იოანე ოქროპირი 52 წლის ასაკში, რომელიც სამეფო ქალაქში მღვდელმთავრობდა (კონსტანტინეპოლში) 5¹² წელიწადს“.⁷⁶ იქვეა ცნობა იოანეს გადმოსვენების თაობაზე: „ითხოვა სამღვდლოებამ (გადაწყვიტა) ოქროპირის ნეშტის ბიჭვინთიდან გადმოსვენება და არდატოვება განაპირა ადგილას წმინდანის ცხედრისა. მეფემ ეს მოსაზრება გაიზიარა და გადმოსვენებულ იქმნა ამ წმინდანის ნეშტი დიდის პატივით და დაფლულ იქმნა წმინდა მოციქულის სახელობის ტაძრის საკურთხეველის შუა ადგილას“.⁷⁷

იოანე ოქროპირი 407 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა, როცა არკადი (395-408 წწ.) იმპერატორობდა; მისი გადმოსვენება კი 438 წელს — თეოდოს მეორის (408-450 წწ) იმპერატორობის დროს მოხდა. 31 წელიწადი წმინდანი ლაზიკის ერთ-ერთ პროვინციაში — აბაზგიაში განისვენებდა. ეს ფაქტი, შეიძლება ითქვას, საყოველთაოდ აღიარებულია. 1884 წელს ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერში კონსტანტინოპოლიდან ბერძენი მეცნიერი, საეკლესიო არქეოლოგიის სპეციალისტი კონსტანტინე ვრისისი ჩამოსულა. ვეროპის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში მას 895 წლით დათარიღებული ხელნაწერი აღმოუჩინია, სადაც კომანი — იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილი ყოფილა მითითებული. ხელნაწერის ინფორმაციის საფუძველზე მას შეუდგენია რუქა, რომლის მიხედვითაც ახალ ათონში ჩამოსულა. ბერძენი მეცნიერის მტკიცებით, 895 წლის ხელნაწერში საუბარი, სწორედ აფხაზეთის კომანის შესახებ იყო. იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილად იგი წმ. ვასილისკოს ტაძარს მიიჩნევდა.⁷⁸ ამ მოსაზრებას იზიარებდა და იზიარებს რუსული ისტორიოგრაფიაც.⁷⁹

იოანე ოქროპირის გადასვენებასთან დაკავშირებული ცალკეული ფაქტები V საუკუნის ჩრდილო-დასავლეთ ლაზიკაში, კერძოდ კომანში ქრისტიანული სარწმუნოების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებენ. კონსტანტინოპოლიდან პირველად ჩამოსულმა თხუთმეტკაციანმა დელეგაციამ წმინდანის უხრწნელად შენახული ნეშთის სარკოფაგიდან ამოსვენება ვერ მოახერხა. პროკლეს რჩევით, იმპერატორმა თეოდოსმა თავისი მშობლების (რომლებმაც გადაასახლეს იოანე ოქროპირი), ქვეყნისა და საკუთარი ცოდვების მონანიების ეპისტოლე დაწერა; იგი უფლის მიმართ სავედრებლად საჯაროდ იქნა წაკითხული, ეკლესიებში სათანადო ლიტურგიაც ჩატარდა. ამის შემდეგ კომანში მეორე დელეგაცია ჩავიდა. იგი ადგილობრივი ეპისკოპოსისა და მოსახლეობის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მათ არ უნდოდათ იოანე ოქროპირის ნეშთის დათმობა. იყო მწუხარება, სევდა და მოთქმაგოდება. კონსტანტინეპოლელ ელჩებს თან მოჰქონდათ იმპერატორის ეპისტოლე, რომელიც წმინდანს ხელში ჩაუდეს. მხოლოდ ამის

შემდეგ სარკოფაგიდან ამოასვენეს; მთელი ღამე შეკრებილი ხალხი გალობდა, ანთებული სანთლებით ხელში თაყვანს სცემდა წმინდანს. მან ბოლომდე წინააღმდეგობა ვერ გასწია და გულამოსკენილი ტირილით გააცილა იოანე ოქროპირის ნეშთი. უდიდესი სიწმინდე — სარკოფაგი კომანში დარჩა და საუკუნეების განმავლობაში მორწმუნეები მას თაყვანს სცემდნენ.⁸⁰

აი, რა დონეზე ყოფილა ქრისტიანობა თანამედროვე აფხაზეთში V საუკუნის პირველ ნახევარში. უფრო ადრეც — III-IV საუკუნეების მიჯნაზე კომანში ჰყვოდა ქრისტიანობა, რაზეც ადგილობრივი ეპისკოპოსის ვასილისკოს მოღვაწეობა და მოწამებრივი სიკვდილი მიუთითებს; ის დიდმოწამე თევდორე ტირონის ნათესავი ყოფილა. ვასილისკოს, როგორც ქრისტიანის, წამება დაახლოებით 308 წელს მომხდარა. სწორედ ის გამოეცხადა გარდაცვალების წინადღეს იოანე ოქროპირს და უთხრა: „მხნედ იყავი, ძმაო ჩემო, იოან; ხვალ ერთად ვიქნებით“. წმინდანები ვასილისკო და იოანე ერთმანეთის გვერდიგვერდ იყვნენ დასაფლავებული.

კომანში იოანე ოქროპირის საფლავთან მართლმადიდებლები-სათვის ფრიად მნიშვნელოვანი კიდეც ერთი მოვლენაა დაკავშირებული. იოანეს დასჯას და შორეულ მხარეში გადასახლებას კონსტანტინოპოლში შფოთი მოჰყოლია. ამასთან დაკავშირებით, წმ.იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავი ემესაში გადაუბრძანებიათ, სადაც ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში განისვენებდა. სარკინოზთა თავდასხმების დროს (დაახლოებით 810-820 წლებში) წმ.იოანეს პატიოსანი თავი ემესადან საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში გადმოაბრძანეს და ყველაზე საიმედო ადგილად მიჩნეულ კომანში დაასაფლავეს. ხატთაყვანისმცემლობის აღდგენის შემდეგ პატრიარქ ეგნატეს (847-857 წწ.) უფლისაგან ეუწყა წმ. იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის აღილსამყოფელი. მან კომანში გაგზავნა ელჩები, რომლებმაც იპოვეს წმინდანის თავის შესამე განსასვენებელი. ეს მოხდა 850 წ. 25 მაისს (7 ივნისს).⁸¹ მოგვიანებით წმ.იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავი კვლავ კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, დღეს მისი ნაწილი ათონის მთაზე ინახება. როგორც გაზეთ „მადლში“ (1997, 18 სექტემბერი)

გკითხულობთ, XX საუკუნის 90-ნი წლების დასაწყისში იური (გიორგი) ანუამ, რომელიც სეპარატისტებმა დახვრიტეს, კომანში იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის ადგილამდე (მდებარეობდა მთაზე) 1500 საფეხურიანი რკინის კიბე გააკეთებინა.

ვინაიდან აფხაზეთი და მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი რომის შემადგენლობაში შედიოდა, იმპერიაში მიმდინარე სარწმუნოებრივი პროცესები უშუალო გავლენას ახდენდნენ ადგილობრივ კოლხურ-იბერიულ მოსახლეობაზე.

ანანია ჭაფარიძეს მიაჩნია, რომ II-III საუკუნეებში საქართველოში, მათ შორის დღევანდელ აფხაზეთში ქრისტიანული თემები არსებობდნენ თავიანთი ეკლესიით, სამღვდელოებითა და მრევლით. „აღსანიშნავია, — წერს იგი, — რომ მოციქულთა ეპოქაში და მის შემდგომაც მღვდელმოქმედებას ეპისკოპოსიც ასრულებდა და მღვდელ-ეპისკოპოსს უწოდებდნენ. ქართული სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის ოფიციალურ აღიარებამდე ჩვენში რომ არსებობდნენ საეპისკოპოსოები, ისიც მიუთითებს, რომ ბიჭვინთაში ქრისტიანულ თემს ჰყავდა ეპისკოპოსი და თანაც ძალიან გავლენიანი და სახელგანთქმული. მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 325 წელს მონაწილეობდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. 325 წლამდეც, ცხადია, ეს საეპისკოპოსო იარსებებდა და დიდი ავტორიტეტიც ექნებოდა მაშინდელ მსოფლიო ქრისტიანობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ეპისკოპოსს არ მიიწვევდნენ ნიკეის მსოფლიო კრებაზე, სადაც ძალზე ავტორიტეტული მნიშვნელობისა და წონის მღვდელმთავრები იყვნენ მიწვეულები“.⁸²

ქრისტიანობის გავრცელებას აფხაზეთში დიდად შეუწყობდა IV ს. პირველ მეოთხედში ამ რელიგიის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებამ როგორც რომის იმპერიაში, ისე საქართველოში. აღნიშნულ აქტს წინ უძღოდა წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობა. იგი არა მხოლოდ ქართლის, არამედ დასავლეთ საქართველოს განმანათლებელიცაა, V საუკუნის ავტორს გელასი კვიზიკელს, რომელიც გელასი კესარიელს ეყრდნობა, აღნიშნული აქტს, რომ IV ს. პირველ ნახევარში რომის იმპერატორ კონსტანტინე I-ს (306-337) დროს „ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდე-

ბარე მიწაწყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“,⁸³ რასაც იგი „ტყვე ღედაკაციის“ — წმ.ნინოს დამსახურებად მიიჩნევდა. კონკრეტული მონაცემები უშუალოდ ნინო კაპადოკიელის დღევანდელ აფხაზეთში ყოფნის შესახებ არ არსებობს, მაგრამ პონტოს გასწვრივ მცხოვრები იბერებისა და ლაზების მონათვლის შესახებ უძველესი წყაროს ცნობა მყარ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი ფართო და აქტიური სამისიონერო საქმიანობა თავის შედეგებს მთელს ლაზეთში გამოიღებდა. ამაზე აშკარად მიუთითებს IV ს. დასაწყისში ბიჭვინთის საეპისკოპოსოს დაწინაურებული მდგომარეობა. სავარაუდოდ, იგი „იყო დასავლეთი საქართველოს მთავარი საეკლესიო ცენტრი“;⁸⁴ მისი წინამძღოლი სტრატოფილე ტრაპიზონის ეპისკოპოს დომნუსთან ერთად 325 წელს ნიკეას საერთაშორისო საეკლესიო კრებას ესწრებოდა.⁸⁵ ეს ყოველივე ქრონოლოგიურადაც ემთხვევა საქართველოში, მათ შორის „პონტოს გასწვრივ“ (რომელზეც, სავარაუდოდ, ბიჭვინთის იურისდიქცია ვრცელდებოდა) წმ.ნინოს მოღვაწეობის ხანას — დაახლოებით 313-318 წლებს.

ის გარემოებაც გასათვალისწინებელია, რომ დ.ჩუბინაშვილის, მ.ჯანაშვილის, აგრეთვე თანამედროვე ავტორთა (ვ.გოილაძე) მტკიცებით, წმ.ნინო, ისევე როგორც წმ.გიორგი, კაპადოკიელი ქართველია. დ.ჩუბინაშვილი აიგივებდა რა კაპადოკიას ჭანეთთან, წერდა: „ესეც უნდა ვსთქვათ, რომ წმ.გიორგი იყო კაპადოკიელი და ამის გამო მთელს საქართველოში ძალიან პატივცემულია, ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთ სწორი ნინო, აგრეთვე კაპადოკიელი და მცოდნე ქართულის ენისა, უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთა“. მ.ჯანაშვილი იზიარებდა დ.ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ წმ.ნინო „ჩამომავლობით იყო ქართველი — ჭანი — მეგრელი“. ზოგადად კაპადოკიელთა და კონკრეტულად წმ.ნინოს ქართველობას ადასტურებს ვ.გოილაძე.⁸⁶ ბუნებრივია, მისი გავლენა თანამედროვე აფხაზეთში მცხოვრებ თანატომელებზეც მნიშვნელოვანი იქნებოდა.

IV ს. ბოლოსათვის ლაზიკის ძლიერების ხანაში ხდება ბიჭვინთის

კიდევ უფრო დაწინაურება. შენდება ახალი, მდიდრულად მორთული ტაძარი მოზაიკური იატაკით. სულ მალე ბიჭვინთა ჰუნებმა გაანადგურეს.

V საუკუნეში — ვახტანგ გორგასლის ეპოქაში საქართველო ერთიანია. მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კლისურაზე გადის. ამ საზღვრის იქითა ტერიტორია — აფხაზეთი — ბიზანტიის შემადგენლობაშია. ანანია ჯაფარიძე, საეკლესიო კანონების გათვალისწინებით, ამტკიცებს, რომ ერთიან საქართველოში ერთიანი ეკლესია (მცხეთის იურისდიქცია) არსებობდა, წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა; ქვეყანას ჰყვოდა ერთი არქიეპისკოპოსი (კირიონი); ასე გრძელდებოდა VII საუკუნის 30-იან წლებამდე — ჰერაკლე კეისრის (610-641 წწ) მიერ ზღვისპირა და სხვ ტერიტორიების მიტაცებამდე: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირი“ (ქართლის ცხოვრება, ტ.1, გვ.226). წართმეული ტერიტორიები, ქალკედონის კრებაზე (451 წ.) მიღებული კანონების (ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები სახელმწიფო საზღვრებს უნდა ემთხვეოდეს) თანახმად, გამოვიდა ქართული ეკლესიის იურისდიქციიდან და კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში შევიდა.⁸⁷ მათ შორის იყვნენ ფოთის ეპარქიაში შემავალი გუდაჯის (გუდავის) საეპისკოპოსო, აგრეთვე პეტრას (ციხისძირის), საისინის (ცაიშის) და როდოპოლოსის (ვარდციხის) საეპისკოპოსოები.

ქრისტიანობის გავრცელების მასშტაბებზე იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში მეტყველებს ბიჭვინთაში და მის შემოგარენში აღმოჩენილ IV-VI სს. საკულტო ნაგებობათა მთელი კომპლექსი, დაკრძალვის ქრისტიანული წესი, ქრისტიანულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის დამადასტურებელი ნუმისმატიკური მასალა, ჯვრის გამოსახულებიანი წითელლაკიანი IV-V საუკუნეების ჭურჭელი. ამასვე მოწმობს დანგრეული ბიჭვინთის ტაძრის იატაკის მოზაიკა ძველბერძნული ქრისტიანული წარწერით OPE, რომელიც, თ.ყაუხჩიშვილის აზრით, ქართველი დიდმოხელის სახელია — ორელი; აღნიშნულ წარწერას, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბიჭვინთაში გადმოსახლებულ ქრისტიანულ მოწამეს ორენტიოს-

საც უკავშირებენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი განძია წებელდაშიც აღმოჩენილი. ეს არის წებელდის ნეკროპოლზე ნაპოვნი ჯვრის გამოსახულებიანი შუშის სასმისები და კერამიკული ჭურჭელი; IV საუკუნის ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით — „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა“; ოქროს პატარა ჯვარი; ქრისტიანული სამარხები და ა. შ.⁸⁸ ეს მასალა ადასტურებს წებელდაში მცხოვრები აფსილების შესახებ პროკოპი კესარიელის ერთ-ერთი ცნობის ქვეშარიტებას: „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ“.⁸⁹

პრ.კესარიელის მიერ მოქცეული აბაზგები და მათი ფინაობა

VI ს. შუახანებში, იმავე პროკოპი კესარიელის ცნობით, მოხდა აბაზგების გაქრისტიანება: „აფსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ მეორე ნაწილში

ზღვის პირას აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება. აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში. ეს ბარბაროსები ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროზს რაღაც გულ უბრწყილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია. თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა აქვთ მათ გამოცდილი იმათი ვერცხლის მოყვარეობის წყალობით, მათი ორივე მეფე, როგორც კი დაინახავდნენ ამ ტომში კარგი გარეგნობისა და ლამაზი ტანის ბავშვებს, დაუყოვნებლივ დააშორებდნენ მათ მშობლებს, ევნ უქებად გადააქცევდნენ და გზავნიდნენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის დიდძალ ფულზე. მათ მამებს კი მაშინვე კლავდნენ, რათა ზოგიერთი მათგანი არ ცდილიყო ოდესმე ეზლო მეფისათვის მათი შვილების მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო... შემდეგ, იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ შიილეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნ უქთა-

განი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ეფერატა. მან სასტიკად აღუკრძალა მათ მეფეებს, რომ მათ ამიერიდან აღარავინ დაესაქურისებინათ... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ“.⁹⁰ აღნიშნული ცნობა მოკლედ გაიმეორა ევაგრი სქოლასტიკოსმა (დაახლოებით 536-600 წლები) ნაშრომში „საეკლესიო ისტორია“ (6 წიგნად).⁹¹ წყაროს (ევაგრის) მითითებით, იგი ზუსტად თარგმნა და თავის ნაშრომში „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ შეიტანა XI ს. მეორე ნახევრის ქართველმა მოღვაწემ ეფრემ მცირემ. ამ უკანასკნელის თხზულებიდან ცნობამ აბაზგთა მოქცევის შესახებ რედაქტორის ჩანართის სახით „ქართლის ცხოვრებაშიც“ გადაინაცვლა.⁹²

პროკოპი კესარიელის ცნობას უფრო სრულად იმეორებდა XII ს. პირველი ნახევრის მოღვაწე იოანე ზონარა; მას იყენებდა აგრეთვე XIV საუკუნის სასულიერო მოღვაწე, 1350-1362 წლებში კონსტანტინოპოლის პატრიარქი და ისტორიკოსი ნიკიფორე ქსანთაპულოსი — ავტორი „საეკლესიო ისტორიისა“ 18 წიგნად.⁹³ ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (1648-1672 წწ) ასევე ეხებოდა აბაზგთა მონათვლის საკითხს (ევაგრი სქოლასტიკოსზე დაყრდნობით) და წერდა, რომ იმპერატორის მიერ გამოგზავნილმა ეფერატამ (იფრასა) კონსტანტინოპოლში აფხაზი ბავშვები ჩაიყვანა; იუსტინიანემ მათ სკოლა გაუხსნა, სადაც სხვადასხვა მეცნიერებას ასწავლიდნენ.⁹⁴

აბაზგთა მოქცევასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში ბუნებრივად ისმება შემდეგი კითხვები: რამ განაპირობა I საუკუნეში მონათლული აბაზგებისა და IV საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთის სახელგანთქმული საეპისკოპოსოს პატრონი ხალხის წარმართობისკენ მიბრუნება და მისი ხელახლა მონათვლის აუცილებლობა? რომელ წელს მოხდა ნათლობა და როგორია ამ აქტის პოლიტიკური მიზეზები? ვინ არიან ეთნიკურად იუსტინიანე პირველის იმპერატორობის პერიოდში (527-565 წწ.) მონათლული აბაზგები და

სად არიან ისინი ლოკალიზებული?

XIX საუკუნის ავტორი გ.საბინინი თვლიდა, რომ აფხაზები I საუკუნეში მოქცეული ძველი ქრისტიანები არიან, მაგრამ შემდგომში, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ჩამოშორდნენ ახალ რელიგიას. ავედენსკის აზრით კი, აფხაზეთში პირველ საუკუნეში გავრცელებული ქრისტიანობა ადგილობრივი მმართველების მხრიდან ძალადობის შედეგად ჩანასახშივე განადგურდა.⁹⁵ ე.აჯინჯალი თითქოს არ ეთანხმება მსგავს მოსაზრებებს, მაგრამ იქვე უშვებს ქრისტიანობისაგან აფხაზთა განდგომის შესაძლებლობას. მისი ვარაუდით, ეს გამოიწვია რომში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, რომლის შემდეგ აფსუები თითქოს ეუცხოებოდნენ დამპყრობთა, კოლონიზატორთა რელიგიას.⁹⁶ აღნიშნული თვალსაზრისი ცოვლად უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (313-326 წწ) პერიოდს ემთხვევა დროში ბიჭვინთის საეპისკოპოსოს აღზევება. საყოველთაო აღიარებით, იგი ბერძნული კოლონიის გარდა ადგილობრივ მოსახლეობასაც ემსახურებოდა. ბიჭვინთის კომპლექსში აღმოჩენილია IV-VI საუკუნეებით დათარიღებული რვა ეკლესია, მათ შორის ერთი — ალახაძეში. V-VI საუკუნეებით თარიღდება გაგრის ეკლესია, VI საუკუნით — ხაშიპსას ციხესიმაგრის, ლიხნისა (აბა-ათა) და ანაკოფიის ეკლესიები; იუსტინიანემდელ პერიოდს — V საუკუნეს — მიაკუთვნებენ ოჩამჩირისა და გულაფხის ეკლესიებს. წებელდაში, კერძოდ, პრ.კესარიელის მიერ ნახსენებ ტზიბილის ციხესიმაგრეში სამი ეკლესიაა ნაპოვნი, მათ შორის ორი — იუსტინიანემდელი პერიოდისაა. წებელდის კომპლექსთან ახლოს აღმოჩენილია VI საუკუნის ეკლესიები გერზეულის ციხესიმაგრეში, შაპკის ბორცვზე და მრამბაში.⁹⁷ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალრიცხოვანი უძველესი ეკლესიები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბიჭვინთასა და მის შემოგარენში, აგრეთვე წებელდაში მოპოვებული მასალა, რომლის შესახებ ე.აჯინჯალიც საუბრობს, „კოლონიზატორთა რელიგიასთან“ ადგილობრივი მოსახლეობის დაპირიპირებაზე სულაც არ მეტყველებენ.

აფსუათა მხრიდან სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ქრისტიანობის უარყოფის საკითხებზე მსჯელობა აშკარად ხელოვნურია და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. ვინც ცდილობს აბაზგები გააიგივოს თანამედროვე აფსუებთან და ეს უკანასკნელები აფხაზეთის უძველეს ბინადრებად წარმოაჩინოს, იგი დამაჭერებელ ახსნას ვერ უძებნის (ვერც მოუძებნის), „მრავალჯერ მონათლულ“ და უდიდესი ქრისტიანული ცენტრების (ბიქვინთის, ლიხნის, დრანდის, მოქვის, ილორის, ბედის და ა. შ.), „შემქმნელ“ აფსუათა არარელიგიურობას (არც ქრისტიანები არიან, არც მუსულმანები), მათს ერთგულებას წარმართობისადმი და იძულებულია ისაუბროს ქრისტიანობისაგან „განდგომაზე“ VI საუკუნემდე, XV-XVII ს.ს. და უფრო მოგვიანებითაც — ფაქტობრივად დღემდე.

VI საუკუნის შუახანებში აბაზგების მონათვლის ფაქტი, პირველ რიგში, იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტიანობა აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, რომელიც ლაზიკის ნაწილს (ქვეშევრდომს) წარმოადგენდა, იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული მაინც არ ყოფილა, მოსახლეობის მასობრივი მოქცევა მაინც არ მომხდარა. „По всей вероятности, первоначально христианство распространялось в прибрежной Абхазии среди определенных кругов населения“.⁹⁸ — წერს ე.აჭინჯალი. მონაცემები მთელს აფხაზეთში (სულ ცოტა „ძველ ლაზიკამდე“// ნიკოფსიამდე მაინც) ქრისტიანობის გავრცელებისა არ გაგვაჩნია. გასათვალისწინებელია IV საუკუნის ბოლოსათვის ჰუნების შემოსევის, ბიქვინთის საეპისკოპოსო ცენტრისა და მთელი შავი ზღვისპირეთის აოხრების ფაქტი. უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმართობის გამოცოცხლება, რის შესახებაც წერდა პროკოპი კესარიელი, ბარბაროსთა ამ შემოსევას და ქრისტიანული ცენტრების განადგურებას უკავშირდება. აოხრებას გადაურჩა მთიანი წიბებელდა, შესაბამისად იქ ქრისტიანობაც გადაარჩა.

რომის იმპერია, სადაც მართლმადიდებლობა ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ სახელმწიფო რელიგიად იყო უკვე გამოცხადებული, როგორც ჩანს, დიდად არ ზრუნავდა შორეულ პროვინციაზე (უფრო მეტიც, ეს მხარე რწმენისათვის დასჯილ მოწამეთა გადა-

სახლების, დასაქურისებულ ადამიანთა შესყიდვის ადგილად გამო-
იყენებოდა), თუმცა აქ ოფიციალურად არაფერ კრძალავდა ქრის-
ტიანობას (სავარაუდოდ, წარმართთა ქურუმების გარდა), რომლის
სახელმწიფოებრივი სტატუსი ბიზანტიასა და იბერიაში უსათუ-
ოდ ლაზიკა-აბაზგიაზეც ვრცელდებოდა. ნაკლები ყურადღება რე-
გიონისადმი, შესაძლოა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ლაზიკა
მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდა იმპერიას. აქ რომის გარ-
ნიზონებიც კი IV ს. ბოლოდან არ იმყოფებოდნენ. ლაზიკის მოვა-
ლეობა იყო ბიზანტიის დაცვა ჩრდილოელი ველური ტომების შე-
მოსევებისაგან, რაც მის საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებ-
შიც შედიოდა. შესაბამისი, ანუ ნომინალური უნდა ყოფილიყო იმ-
პერიის ზრუნვაც ლაზიკაში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის IV
ს. ბოლოდან VI ს. შუახანებამდე. მთელი ამ პერიოდის მანძილზე
ჩრდილო-დასავლეთ ლაზიკაში, რომელიც ვახტანგ გორგასლის
დროიდან, ბიზანტიის უშუალო დაქვემდებარებაშია, როგორი უც-
ნაურიც არ უნდა იყოს, წარმართობის რესტავრაცია მიმდინარე-
ობდა. კელასურის (ბიზანტია — საქართველოს საზღვარი V საუ-
კუნეში) სამხრეთით კი ახალი რელიგია საკუთარ ეროვნულ ნია-
დაგზე ვითარდებოდა, რაც, შესაძლოა, დიდად არ მოსწონდათ
რომში. ალბათ, ამაზე მიუთითებდა თეოდორიტი კვირელის (V ს.)
შემდეგი სიტყვები: „ბევრმა მიიღო მონობის ლაგამი, მაგრამ დამ-
მონებელთა კანონების მიხედვით ცხოვრება არ შეუძლიათ... არც
ლაზები, არც სანები, არც აბაზგები, არც სხვა ბარბაროსები, რო-
მელნიც კი რომაელთა ბატონობას ელოლიავენ, არ სდებენ ერ-
თმანეთში ხელ შეკრულებებს რომაელთა კანონების მიხედვით“.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების
მდგომარეობაზე მიუთითებს ლაზთა მეფის წათეს მიერ ჯერ ქრის-
ტიანობის უარყოფა (როცა იგი სპარსეთის მეფე კავადიმ გაამეფა),
ხოლო 523 წელს ბიზანტიაში ჩასვლა, კვლავ გაქრისტიანება და ხე-
ლახლა მეფედ კურთხევა.¹⁰⁰

VI საუკუნის პირველ ნახევარში ვითარება შეიცვალა. ლაზიკის
ტერიტორია, აბაზგიისა და აფშილეთის ჩათვლით, ბიზანტია-
ირანის დაპირისპირების ასპარეზად იქცა. მათ შორის 532 წელს

დადებული „უკადო ზავის“ შემდეგ ბიზანტიამ თავისი ჭარები დასავლეთ საქართველოში, მათ შორის ბიჭვინთასა (სადაც მცირე ზომის ტაძარიც აშენდა) და სებასტოპოლში ჩააყენა. სწორედ ამ ჭარების ხელმძღვანელთა თვითნებობამ უბიძგა ლაზებს ირანთან კავშირისაკენ. 542 წელს გუბაზ მეფის მოწვეული ირანის ჭარი ეგრისში შემოდის და ადგილობრივ ძალებთან ერთად ბიზანტიელთა მთავარ სამხედრო პუნქტს — პეტრას ათავისუფლებს. ერთდროულად ბიზანტიელებმა სებასტოპოლისა და ბიჭვინთის ციხეები თავადვე დაანგრეს და იქაურობა დატოვეს. 545-546 წლებში ბიზანტიამ და ირანმა ხუთწლიანი ზავი შეკრეს. ირანელთა ბატონობა და ვერაგობა ვერ აიტანა გუბაზ მეფემ და ორიენტაცია კვლავ ბიზანტიისაკენ აიღო. 549 წელს ირანელები ეგრისიდან განდევნეს. 550 წელს მათ სცადეს ეგრისში დაბრუნება, მაგრამ დამარცხდნენ. ირანელთა ახალი ჭარი ნაბედის სარდლობით ბიზანტია-ეგრისისაგან განდგომილ აბაზგიაში ცდილობდა დამკვიდრებას. აი, ამ ისტორიული მოვლენების ფონზე ხდება აბაზგების მონათვლა.

მთელი რიგი მასალების ანალიზის საფუძველზე დ.ლეთოდიანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ქრისტიანობის გავრცელება აბაზგიაში და მასთან დაკავშირებული ამბები 535-548 წლებში თავსდება. შეიძლება უფრო დავიწროვდეს ეს ქრონოლოგიური ჩარჩო: 535-542 წწ; ან 542-548 წწ. უფრო სარწმუნოდ უკანასკნელი თარიღი მიგვაჩნია“.¹⁰¹

ჩვენთვისაც მისაღებია ეს თარიღი და განსაკუთრებით აბაზგთა მოქცევის საკითხის დაკავშირება ბიზანტია-ირანის ომის, იმპერიის უსაფრთხოების, დასავლეთ საქართველოში მყარად დამკვიდრების, სხვა პოლიტიკურ-დიპლომატიურ საკითხებთან. „ომში ბიზანტიის გამარჯვების შემდეგ, ბუნებრივია, დასავლეთ საქართველოში სტაბილურობის პოლიტიკური გარანტიების უზრუნველყოფასთან ერთად, საჭირო იქნებოდა ამ რეგიონის კონსტანტინოპოლის სფეროში ჩართვის მყარი იდეოლოგიური და კულტურულ-რელიგიური საფუძვლების შექმნაც. ეს უკანასკნელი პროცესი კი ლაზიაში სტრუქტურულად ფაზისის სამიტროპოლიტოს დაარსებით გამოიხატა“, — წერს ბ.კუდავა და იქვე დასძენს, რომ ლაზი-

კაში იუსტინიანეს დროს „გატარებული საეკლესიო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია აგრეთვე აბაზგიის გაქრისტიანება, რასაც, ვფიქრობთ, უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს აქსაქისკოპოსოს დაარსების საკითხიც“.¹⁰²

დასავლეთ ამიერკავკასიაში ბიზანტიის მიერ განხორციელებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს ე.აჯინჯალი უწოდებს ექსპანსიას ლეგიონერთა გარეშე და სამართლიანად ასკვნის: „Обращение абазгов в христианство, конечно, было обусловлено комплексом факторов, среди которых, по-видимому, главным являлось стремление империи закрепить свои позиции в Западном Закавказье в противовес Ирану“.¹⁰³

რომაელებისათვის ქრისტიანობის გავრცელების საკითხი ძალაუფლების განმტკიცებისა და იმპერიის გაფართოება-უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდებოდა. იუსტინიანეს მმართველობის პერიოდში ფაზისის სამიტროპოლიტოს შექმნამ, აბაზგთა მასობრივად მოქცევამ, აგრეთვე იერუსალიმში იბერთა და ლაზთა მონასტრების განახლებამ¹⁰⁴ (რის შესახებაც პროკოფი კესარიელი წერდა) და სხვა ზომებმა სრულიად საქართველოში ქრისტიანობის მყარად დამკვიდრებას და ერთდროულად რეგიონში ბიზანტიის პოზიციების განმტკიცებას შეუწყვეს ხელი. თუ V საუკუნეში თეოდორიტი კვირელს იმპერიაში შემავალი ლაზების, სანებისა და აბაზგების მხრიდან, რომაელთა კანონების იგნორირება აწ უხებდა, ეს პრობლემა VI საუკუნის მეორე ნახევარში უკვე აღარ არსებობდა, რასაც ადასტურებს ევაგრი სქოლასტიკოსი (536-600 წწ). იგი წერდა: „ცხადად მტკიცდება, რომ ჩვენს სარწმუნოებასთან ერთად რომაელთა ძალაუფლებაც გაიზარდა. მაშ, შეხედეთ როგორ დაამხვეს რომაელებმა მეტი წილი მაკედონიისა ჩვენი უფლის მოსვლის დღიდან ადამიანებთან, და როგორ დაემორჩილნენ რომაელებს ალბანია, იბერია, კოლხებიც და არაბებიც“.¹⁰⁵

მოტანილ ცნობაში ევაგრი სქოლასტიკოსმა ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთ კითხვაზე გასცა კომპეტენტური პასუხი. დამორჩილებულ ხალხებში ის არ ახსენებს მის თვალწინ ჯერ ჯვრით, შემდეგ მახვილით დამორჩილებულ აბაზგებს (თუმცა, კარგად იც-

ნობდა პროკოპისეულ ცნობას მათი მონათვლის შესახებ), აფხა-ზეთში დაფიქსირებულ აფსილებს, მისიმიანებს, სანიგებს, ვინაი-დან ყველას, როგორც ვხედავთ, კოლხებად მიიჩნევდა.

ე.აჭინჯალი სპეციალურად ეხება ბიჭვინთის სამღვდელოებისა და მრევლის ეროვნული კუთვნილების საკითხს. მისი აზრით, ადგი-ლობრივი ეპარქია იყო მხოლოდ ბერძნული. ის არ ეთანხმება იმ ქარ-თველ მეცნიერებს (თ.ყაუხჩიშვილი), ვინც ძველი ბიჭვინთის კულ-ტურას ადგილობრივად მიიჩნევს. ამის დასამტკიცებელ მთავარ არ-გუმენტად ბიჭვინთის მოზაიკის ძველბერძნულ წარწერას (OPE) იყენებენო, — წერს ე.აჭინჯალი მაშინ, როცა ეს წარწერა, ჩვენი აზ-რით, ერთ-ერთ ყველაზე ბოლო არგუმენტად თუ გამოდგება. აფ-სუა ისტორიკოსი აშკარად ცრუობს, როცა ისე წარმოაჩენს ვითა-რებას, თითქოს იმ გაურკვეველი წარწერის გარდა ბიჭვინთის მო-სახლეობის ქართველობის დამადასტურებელი სხვა მასალა ქარ-თველ მეცნიერებს არ გააჩნიათ. ლაზები კი იქ არ ცხოვრობდნენ, — წერს ე.აჭინჯალი, — და ბიჭვინთას აბაზგების (გულისხმობს აფსუ-ებს) ქალაქად აცხადებს. მისი დასკვნა ასეთია: „И если к данной епископии были приобщены какие-то слои местного на-селения, то, по нашему мнению, это должны были быть прежде всего абазги (ავტორის აზრით აფსუები — ჯ.გ.), ибо Пители был расположен на их территории“.¹⁰⁶ ე.აჭინჯალის მტკიცება ეწინააღმდეგება პროკოფი კესარიელის სრულიად გან-სხვავებულ ცნობებს (ზემოთ იყო მოტანილი ადრინდელ ავტორ-თა ცნობებიც). აი, ერთ-ერთი მათგანი: „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის (ფაზისი//რიონის — ჯ.გ.) აქეთა (მარჯვენა — ჯ.გ.) ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველითგანვე აქ აუ-შენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი (ნოქალაქევი — ჯ.გ.) ძლი-ერ გამაგრებული, სევასტოპოლიც (სოხუმი — ჯ.გ.) არის აქ და პი-ტიუნტის (ბიჭვინთის — ჯ.გ.) სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ“.¹⁰⁷ ამრიგად, პროკოპი კესარიელის მი-ხედვით, სოხუმი და ბიჭვინთა ლაზთა ტერიტორიაზეა (რა თქმა უნ-და, ეს დასახლებული პუნქტები აბაზგებსაც ეკუთვნოდათ, ვინაი-დან აბაზგი იგივე ლაზია); ოღნავე ქვემოთ ავტორი სებასტოპოლის-

სა და პიტიუნტს სანიგთა „მიწაწყლის ზღვისპირა ნაწილში“ ათავსებს, ხოლო კიდევ უფრო ქვემოთ, გასაგებად განმარტავს: „გადაღმა ხმელეთზე, ლაზიკიდან მეოტის ტბის (აზოვის ზღვის — ჯ.გ.) მიმართულებით რომ მიდიხარ, ორი ციხე, სებასტოპოლი და პიტიუნტი დაანგრიეს რომაელებმა“.¹⁰⁸ ყველაფერი ცხადი ხდება: VI საუკუნის ბიჭვინთაში აფსუები კი არ ბინადრობდნენ, როგორც ე.აჭინჯალი ატყუებს მკითხველებს, არამედ ლაზები/სანიგები (ერთი და იგივე ტომის სხვადასხვა სახელებია) ცხოვრობდნენ, როგორც ამას უაღრესად ავტორიტიტული ისტორიული წყარო ადასტურებს.

სამწუხაროდ, დ.ლეთოლიანიც აბაზგებს აფსუებად მიიჩნევს, მაგრამ ტერიტორიულად თანამედროვე გაგრის ზონაში ათავსებს. იგი კითხვას სვამს: „მაშინ რატომ დასჭირდა იუსტინიანე კეისარს ამ (ბიჭვინთის — ჯ.გ.) საეპისკოპოსო სამწყაოში შემავალი ხალხის (თუ იქაურ მოსახლეობას აბაზგები შეადგენდა) VI საუკუნეში გაქრისტიანება და მათთვის ერთადერთი ეკლესიის აშენება?“¹⁰⁹ ავტორი, ერთი შეხედვით, ლოგიკურ კითხვაზე არასწორ პასუხს იძლევა, ვინაიდან VI ს. აბაზგები აფსუები არ არიან, ბიჭვინთასა და გაგრაში სხვადასხვა ეთნოსის მოსახლეობა არ დასტურდება. დ.ლეთოლიანი არც იმ გარემოებას ითვალისწინებს, რომ ბიჭვინთის ეპარქია IV საუკუნის ბოლოდან VI საუკუნის პირველ ნახევრამდე საერთოდ არ არსებობდა ან უკიდურესად დასუსტებული იყო.

მისი მთავარი შეცდომა მაინც აბაზგების აფსუებთან გაიგივებაა. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ქართულ (ლ.მროველი) და ბიზანტიურ ლიტერატურაში IV-XII საუკუნეების რამდენიმე ავტორთან მოცემული გენეალოგიური სქემები არ იცნობენ ისეთ ერებს (ტომებს), როგორებიც არიან აბაზგები და აფსილები. მათი არსებობის შესახებ შესანიშნავად უწყიან ხსენებულმა ავტორებმა, მაგრამ ცალკე ერებზე როცა საუბრობენ, კოლხ-იბერებში გულისხმობენ. მაგალითისთვის მოვიტანთ ირაკლი კეისრის (610-641 წწ) თანამედროვე ავტორის მიერ 630-640 წლებში შედგენილ „პასქალურ ქრონიკას“, რომელიც დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს დედამიწის მოსახლეობის შესახებ. აღნიშნულ თხზულებაში,

რომელიც იპოლიტე რომაელის (III ს.) მონაცემებს იმეორებს, აფსილ-აბაზგები არ მოიხსენებიან, სამაგიეროდ მისი ავტორი რამდენჯერმე ახსენებს კოლხ-იბერებსა და სანებს (ზანებს). „კაპპადოკიელთა გადაღმა, — წერს იგი, — ცხოვრობენ არმენიელები, იბერები, ბერანები, სკვითები, კოლხები და ბოსფორელები. ხოლო მიწაწყალი ე.წ. საღლებისა, რომლებსაც სანიტებსაც ეძახიან, პონტომდე აღწევს, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლისი, ისეს ნავსადგური და მდინარე ფაზისი; ეს ტომები აღწევენ ტრაპეზუნტამდე“.¹⁰ ე.ი. ბოსფორიდან ტრაპეზუნტამდე VII ს. შუახანებში ამ რეგიონში უძლიერესი სამთავროს მქონე აბაზგები არ მოიხსენიებიან. ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ბიზანტიელი ავტორების მიხედვით, აბაზგები ეთნიკურად კოლხები, ზანები არიან.

ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ IV ს. ავტორის აგათანგელოსის გვიანდელი არაბული თარგმანი დავნახეთ, რომ „აბაზგი“ არის „ლაზის“ აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინი. არაერთი მაგალითი ვიცით, როცა აფხაზთა მეფეები მეგრელთა //ლაზთა მეფეებად, ხოლო გაერთიანებული საქართველოს მეფეები აფხაზთა მეფეებად მოიხსენიებიან. ასე, მაგალითად, IX ს. სომხური წყარო აფხაზეთის მეფეს კონსტანტინე III (893-922 წწ) ეგერთა მეფეს უწოდებს; X ს. ერთ-ერთი სომეხი ავტორი ახსენებს მეფეს „пакзов, то есть анхазов“, მეორე ავტორი კი ტერმინ „აფხაზეთს“ საქართველოს მნიშვნელობით ხმარობს. გიორგი კედრენე (XI ს.) და მიხეილ ატალიატე (XI ს.) საქართველოს მეფე გიორგი I-ს (1014-1027 წწ) აბაზგთა მეფეს, ხოლო ქართველებს — აბაზგებს უწოდებენ. არაბი ავტორები აბუ-ალ კასიმი (X ს.), მასუდი (X ს.), იაკუტი (XIII ს.) და სხვები საქართველოს — აფხაზეთად, ხოლო ქართველებს — აფხაზებად მოიხსენიებენ; აბულ-ფედა (XIV ს.) ქ.სოხუმს ქართველთა ქალაქად მიიჩნევდა¹¹ და ა. შ.

ისეთი კომპეტენტური ავტორი, როგორიც იყო იოანე ცეცე (XII ს.), ყველასათვის გასაგებად წერდა: „იბერები და აბაზგები და ალანები ერთი ტომისა არიან“-ო.¹² ავტორი გულისხმობდა იმ ალანებს, რომლებსაც ვახუშტი „სუანეთის დასავლით და ბედის ჩრდილოთ“¹³ ათავსებდა.

მოტანილი ისტორიული წყაროები და სხვა ანალოგიური შინაარსის ცნობები უარყოფენ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ კიდევ ერთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც პროკოფი კესარიელმა მონათლა არა ყველა აბაზგი (მათ ნაწილი II-IV სს. ადგილობრივ მეგრელ-ქანებს//ლაზებს შეერწყა და აღრე მოინათლა), არამედ ასიმილაციას გადარჩენილი (?!) ნაწილი, რომელშიც „следует усматривать представителей новопереселившихся с Северного Кавказа абазго — адыгских племен“.¹⁴

V საუკუნემდე ქართველთა ეთნიკური და შესაბამისად სახელმწიფო საზღვრის „ძველ ლაზიკამდე“ (ნიკოფსიამდე) გავრცელება (მდ. ყუბანამდე თუ არა) ექვს არ იწვევს. V საუკუნეში, როგორც ანონიმი გვამცნობს, ამ საზღვარმა (ეთნიკურმა) მდ. აქეუნტამდე (შახემდე) გადმოიწია.¹⁵ მდინარის ჩოდილოეთით კი ჭიქები დამკვიდრდნენ. ჩვენი აზრით, ჭერ კიდევ დასადგენია V ს. (და უფრო ადრინდელი პერიოდის) ჭიქების ვინაობა. ცნობილია, რომ თავდაპირველად ზიგი//ჭიქი იყო არა ეთნოსის, არამედ პროფესიის (სამუშაოს) აღმნიშვნელი ტერმინი (ზიგი ითარგმნება, როგორც უღელში შებმული).

აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხი გამორკვეული აქვთ სხვადასხვა თაობის ქართველ მეცნიერებს პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილს, თ. მიბჩუანს, გ. გასვიანს, ბ. გოგიას და ბევრ სხვას. ბიზანტიური ლიტერატურის ისეთი სპეციალისტი, როგორიც იყო ს. ყაუხჩიშვილი, შავი ზღვისპირეთში დასახელებული ტომების დიდ უმრავლესობას (ტორიტების, ევლუსინების და კიდევ ზოგიერთების გამოკლებით) ქართველურ სამყაროს მიაკუთვნებდა. იგი აღნიშნავდა, რომ თავიანთი აზრი ამ ტომების შესახებ გამოთქმული აქვთ ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს და ს. ჯანაშიას, ხოლო უკანასკნელ წლებში მ. ინაძეს, ნ. კეკელაძეს, ნ. ლომოურს, გ. მელიქიშვილს, დ. ხაბუტაიშვილს, ნ. ხოშტარიას და წერდა: „ყველა ამათი მსჯელობის ამოსავალი დებულება ისაა, რომ ეს ტომები ქართველურ ტომებს განეკუთვნებიან, ხოლო ზ. ანჩაბაძე, რომლის წიგნი „История и культура древней Абхазии“ (М., 1964, изд. „Наука“) სა-

სარგებლო ნარკვევად მიმაჩნია..., უარყოფს ზოგიერთი ამ ტომების ქართველურობას. კერძოდ, აბაზგები, ჰენიოხები და სანიგები (ზოგიერთი სხვაც) მას არ მიაჩნია ქართველურ ტომებად.

ზოგიერთი ამ ტომთა სახელი ნაწარმოებია ისეთი სუფიქსაციით, რომ მათი (ამ სახელების) გამოთიშვა საერთო ქართველური სახელებიდან არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად. ამ სახელებს საერთო აქვთ სუფიქსები: გი, კი, ხი...

არავითარი საფუძველი არ არსებობს ამ ტომების წარმოშობილობა ვეძებოთ ქართველური გარემოს გარეშე".¹⁶

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს აბაზგთა ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. დ.ლეთოდინი, როგორც ითქვა, მათ თანამედროვე გაგრის ზონის ტერიტორიაზე ათავსებს. ბიზანტიური წყაროებიდან გამომდინარე, მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ აბაზგები თავდაპირველად თანამედროვე ოჩამჩირის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, VI-VII საუკუნეებში კი — მდ.გუმისთასა და ბზიფს შორის ტერიტორია დაიკავეს.¹⁷ ჩვენ არ ვიზიარებთ აბაზგების, ასევე აფსილებისა და ზოგიერთი სხვა ტომის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე „გადაადგილების“, იძულებით გადასახლების თეორიას. ასეთი რამ წყაროებში დაფიქსირებული არ არის. ერთსა და იმავე ადგილას სხვადასხვა ეთნონიმის დაფიქსირება ხაზს უსვამს ამ ტომების ეთნიკურ ერთიანობას და არანაირად არ ნიშნავს მათ გადასახლებას, თანაც აუცილებლად ერთი შუამდინარეთიდან (მაგალითად, ლალიძგა — კოდორი) მეორე შუამდინარეთში (მაგალითად, გუმისთა — ბზიფი). დროა განვთავისუფლდეთ ამ თავსმოხვეული იმპერიულ-სეპარატისტული ისტორიოგრაფიის რეციდივებისაგან. არ შეიძლება არ დაეთანხმო თ.მიბჩუანს, რომელიც თვლის, რომ გაგრა-ბიჭვინთის ტერიტორიაზე ანტიკური ხანის სხვადასხვა ავტორების მიერ სხვადასხვა დროს ჰენიოხების, სანიგების, სუანო-კოლხებისა და აბაზგების დასახელება ამ ეთნონიმთა იდენტურობაზე, მათ ქართველობაზე მიუთითებს.¹⁸

სხვადასხვა ავტორები აბაზგთა ლოკალიზაციის მიხედვით ცდილობენ იუსტინიანეს მიერ აშენებული ღვთისმშობლის ტაძრის ადგილმდებარეობის განსაზღვრას. ე.აჯინჯალი იზიარებს

ი.კულაკოვსკის მიერ ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ ნაშრომში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას ღვთისმშობლის ტაძრის სებასტოპოლში აშენების შესახებ, რასაც თითქოს კიდევ უფრო ამყარებს სოხუმში აღმოჩენილი V ს. ეკლესიის ფუნდამენტი, ამ აღმოჩენისადმი მიძღვნილი ლ.ხრუშკოვას სტატია.¹¹⁹ დ.ლეთოდიანის აზრით კი, იუსტინიანეს მიერ ღვთისმშობლის სახელობაზე აშენებული ერთადერთი ტაძარი საძებარია არა სებასტოპოლში (ი.კულაკოვსკი და სხვ.), არა ბიჭვინთაში (პ.ს.უვაროვა, მ.ლორთქიფანიძე, ნ.კონდაკოვი და ბევრი სხვა), არა ანაკოფიასა (ზ.ანჩაბაძე) და განთიადში (ვ.ლექვიანიძე, ლ.გ.ხრუშკოვა), არამედ ძველ გაგრაში. „სწორედ აქაური სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც VI საუკუნით თარიღდება, უნდა იყოს იუსტინიანეს მიერ აშენებული ის ერთადერთი ტაძარი“,¹²⁰ — წერს იგი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიჭვინთასთან ერთად 542 წელს ბიზანტიელი ჭარისკაცების ხელით დანგრეული სებასტოპოლის იუსტინიანეს მიერ აღდგენის ფაქტს, რის შემდეგაც „ის სილამაზითა და სიდიადით ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ქალად იქცა“.¹²¹ ბიჭვინთა, როგორც ჩანს, ბიზანტიელებს არ აღუდგენიათ. „ღირსშესანიშნავ“ ქალაქში — სებასტოპოლში უფრო მეტად არის სავარაუდებელი ღვთისმშობლის ტაძრის აგებაც. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს VI საუკუნის შუა ხანებში სებასტოპოლის ეპარქიის არსებობის, 553 წლის მაისში მისი ეპისკოპოსის მეხუთე მსოფლიო საეკლესიო (კონსტანტინეპოლის მეორე) კრებაში მონაწილეობის ფაქტი.¹²² ბიჭვინთის ეპისკოპოსი იმ კრების მონაწილეებს შორის არ ჩანს. საეპისკოპოსო კათედრის სებასტოპოლში დაფუძნება, ხოლო ტაძრის სხვაგან აგება საეჭვოა.

უაღრესად მნიშვნელოვანია საეკლესიო ენის საკითხის გარკვევა. ე.აგინჯალს რატომღაც ეჭვიც არ ეპარება, რომ ზეპირი ქადაგება ახალი სარწმუნოებისა აფხაზურად (აფსუურად) მიმდინარეობდა, ხოლო ოფიციალურ საეკლესიო ენას ბერძნული წარმოადგენდა. მისი აზრით, ქრისტიანობას კონსტანტინეპოლში განათლება მიღებული ელინიზირებული აფხაზები (აფსუები) ქადაგებდნენ. ერთ-

ერთი ასეთ პიროვნებად იგი პროკოპი კესარიელის მიერ ნახსენებ საჭურის ეფფრატას მიიჩნევს, რომელიც ვითომ იმპერატორის უშუალო დავალებით აფსუათა შორის მშობლიურ ენაზე მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა. ე.აჯინჯალი ასეთ დასკვნას აკეთებს: „Словом, здесь мы имеем точные сведения о том, как светское лицо (если не духовное) с целью миссионерской деятельности специально посылается в свою единоплеменную среду для ее обращения в новую веру. Так что, на наш взгляд, нет никаких сомнений в том, что проповеди в VI веке среди части абхазских неопитов велись на их родном языке“.¹²³ სხვა საბუთი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაადასტურებდა VI ს. აფსუურ ენაზე ქრისტიანობის ქადაგებას, ე.აჯინჯალს არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს. პროკოპი კესარიელი და სხვა ავტორები არსად უთითებენ, რომ საჭურისი ეფფრატა სამისიონერო მიზნით იყო გამოგზავნილი. მის ამოცანას ბავშვთა დასაჭურისების აკრძალვა წარმოადგენდა მხოლოდ, რაც კარგად ჩანს წყაროებიდან. პროკოპი კესარიელი ამასთან დაკავშირებით წერდა: „იუსტინიანე მეფემ მათ (აბაზგებს — ჯ.გ.) პალატის ერთი ევენ უქთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ეფფრატა. მან სასტიკად აღუკრძალა მათ მეფეებს, რომ მათ ამიერიდან აღარავინ დაესაჭურისებინათ, ბუნებაზე ძალა არ ეხმარათ დანით. მას აბაზგები სიხარულით შეხვდნენ. რომაელთა მეფის ბრძანებით გამხმევებულნი, ისინი მთელი თავისი ძალდონით ეწინააღმდეგებოდნენ ამ საქმის ჩადენას: თითოეულ მათგანს ზომ ეშინოდა, ოდესმე არ გამხდარიყო ლამაზი ბავშვის მამა“.¹²⁴ როგორც ვხედავთ, მისიონერულ ფუნქციაზე მინიშნებაც კი არ არის. ვერც ევაგრი სქოლასტიკოსთან (VI ს.) იპოვით ასეთ მინიშნებას. მისი ცნობით (აღებული აქვს ძირითადად პრ.კესარიელისაგან), იუსტინიანემ ეფფრატას „საშუალებით აღუკრძალა მათ, რომ ამიერიდან აღარავინ გაესაჭურისებინათ ამ ტომში და ბუნებაზე ძალა არ ეხმარათ დანით“.¹²⁵ XIII-XIV საუკუნეების ისტორიკოსი ნიკიფორე ქსანთაპოულოსი იგივე ინფორმაციას (პროკოპი კესარიელზე დაყრდნობით) გვაწვდის: იუსტინიანეს მიერ აბაზგიაში გაგზავნილი

ევფრატას „უნდა აეკრძალა, რომ ამიერიდან არავისთვის წაერთმიათ მამაკაცობა, არ უნდა ეხმარათ რკინა, ამისთვის სიკვდილით დასჯა იყო განკუთვნილი“.¹²⁶ სხვა მისია მას არ ეკისრა.

XII საუკუნის პირველი ნახევრის ავტორი იოანე ზონარა, ვრცლად იმეორებდა რა ზემოთმოტანილ ინფორმაციას ევფრატას შესახებ, პირდაპირ უთითებდა, თუ ვინ იქადაგა ქრისტიანობა, ვინ მოაქცია აბაზგები. იგი წერდა: „იუსტინიანემ პირველად გაგზავნა ერთი სასახლის ევნუქთაგანი (საჭურისთაგანი), რომელიც ტომით აბაზგი იყო (ასეთები რომაელთა სამეფო კარზე ბევრი იზრდებოდნენ) და უბრძანა აბაზგების მთავრებს არ დაესეჭურისებინათ ძალით არც ერთი მამაკაცთაგანი, ხოლო თუკი ასეთი საქმიანობა მათში კვლავ განმეორდებოდა, მაშინ ვერც ერთ რომაელს ვერ უნდა გაეზღა საჭურისთა ყიდვა. ამ გარემოებამ დიდი სიხარული გამოიწვია აბაზგებში, რომაელთა მეფის ბრძანებამ ისინი გაამხნევა; ხოლო მოპირდაპირენი (ე.ი. მთავრები) ამ ბრძანებას თუმცა არა ხალისით, მაგრამ მაინც დაემორჩილნენ. მაშინ აბაზგებმა ზემოთდასახელებული ორი მთავარი გადააყენეს და მოისურვეს თავისთავადი ცხოვრება. ისინი მანამდე ქრისტიანულ წესებს არ იცნობდნენ... იუსტინიანემ მოაქცია ისინი და შეუცვალა (ურწმუნობა) ჭეშმარიტი ღვთის რწმენით, გაგზავნა მათში წმინდა კაცები, რომელთა მიერ მათ (ე.ი. აბაზგებმა) იცნეს ღმერთი“.¹²⁷

ამრიგად, აბაზგებმა „წმინდა კაცებისაგან“ და არა საჭურისებისაგან, იწამეს ღმერთი. შესაბამისად, ე.აჯინჯალის მთელი მსჯელობა ევფრატას მიერ აფსუურ ენაზე ქრისტიანობის ქადაგების შესახებ ყოვლად უსაფუძვლოა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აფსუურ საზოგადოებაში სოციალურ ჯგუფებს შორის ისტორიულად არსებული ურთიერთობები გამორიცხავდნენ ადამიანთა დასაჭურისების შესაძლებლობას. თავის დროზე ნესტორ ლაკობა სამართლიანად წერდა: „В жизни абхазцев история не знает существования больших различий в правах отдельных социальных групп“.¹²⁸ სრულიად განსხვავებული ურთიერთობები იყო მეგრელებს (ისტორიულ კოლხებს//ლაზებს//აბაზგებს) შორის. „В соседней же Мегрелии, например, крепостничество

ბითვალა ვ სავთვ კრავთვ სთვთვთვ",¹²⁹ — წერს სტანის-
ლავლავობა. ამ „უკიდურესი პირობების“ ერთ-ერთი გამოვლინე-
ბა, შესაძლოა, იყო კიდევაც ყმაწვილების დასაქურისება და გაყიდ-
ვა. მით უმეტეს, მეგრელებში, როგორც აფხაზეთში, ისე სამეგრე-
ლოში, განსაკუთრებით სოფლად დღემდე ფართოდაა შემორჩე-
ნილი ცელქი და მოუსვენარი ბავშვების დაშინება დასაქურისების
მუქარით, მეტი „დამაჯერებლობისათვის“ მოსამზადებელი „პრო-
ცედურების“ (ხელისგულზე „დანის ალესვის“) იმიტირებით. ასეა
თუ ისე, მხოლოდ საქურისის იმედით უმნიშვნელოვანეს საკითხებ-
ზე (მისიონერთა ვინაობა, საეკლესიო ენა) მსჯელობა და დასკვნე-
ბის გამოტანა, როგორც ამას ე.აჯინჯალი აკეთებს, დაუშვებელია.
სამწუხაროდ, წყაროები არ უთითებენ იუსტინიანეს მიერ აბაზგი-
აში გამოგზავნილი მისიონერების — „წმინდა კაცების“ ეთნიკურ
ვინაობას. შეგვიძლია დავუშვათ, ისინი იყვნენ ბერძნები, რომლე-
ბიც ქართველ (იბერი//ლაზი//აბაზგი) თარჯიმანთა მეშვეობით ად-
გილობრივ მოსახლეობაში ქრისტიანობას ქადაგებდნენ. უფრო მე-
ტად სავარაუდებელია აბაზგებთან თანატომელი კაპადოკიელი
(მეგრელ-ჭანები) სასულიერო პირების მოვლინება.

აღნიშნულ მოსაზრებას რამდენადმე ამაგრებს აღმოსავლეთ სა-
ქართველოში VI ს. პირველ ნახევარში, შუა ხანებში და 70-იან
წლებში ასურელი მამების ჩამოსვლა. აი, რას წერდა ამის შესახებ
დ.ჩუბინაშვილი: „რადგანაც კაპადოკიის ხალხს ჰქონდა მონათე-
საობა საქართველოს ხალხთან, ამითი განიმარტების სურვილი კა-
პადოკიის სულიერ მამათა დამყარება საქართველოში ქრისტიანო-
ბის სარწმუნოებისა. მოსულნი ამ აზრით იოანე ზედაზნელი თორ-
მეტის მოწაფეებითურთ, რომელთაც სახელები არიან დავით გა-
რეჯელი, სტეფანე სირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთო-
ელი, ანტონ მარტყოფელი, იასე წილკნელი, თათე სტეფანწმინდე-
ლი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მი-
ქელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი და ილია დიაკონი, არ იყვნენ მე-
სოპოტამიელნი, არამედ კაპადოკიელნი, ამიტომ, რომ ძველნი მწე-
რალნი კაპადოკიელთა რაცხამდნენ სირიელად ან მესოპოტამიე-
ლად. თუ ქართული ენა არ სცოდნოდათ ამ წმინდანებს, საქართვე-

ლოში არ გაბედავდნენ მოსვლასა და ვერც მოიმოწაფებდნენ ხალხსა... ხსენებულთა წმინდანთა განავრცელეს და დაამყარეს შერყეული ცეცხლმსახურთაგან ქრისტეს სარწმუნოებასა ქართველოში, რადგანაც თვით იყვნენ ქართველნი, ამათ შემოიღეს წელთააღრიცხვა იულიანისა, რომის კეისრისა და ახალი წლის დაწყება იანვრიდგან, რომელიც დარჩომილია აქამომდე“.¹³⁰ მ.ჯანაშვილიც 13 ასურელ მამას ქართველებად — ლაზებად მიიჩნევდა; გ.გოილაძემ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ასურელ მამათა (მისი აზრით, შუამდინარელი კარდუხებისა და კაპადოკიელების) ქართველობის დამტკიცებას.¹³¹ საესებით ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ VI საუკუნის შუახანებში (თითქმის თანადროულად) აბაზგიაში ჩამოსული „წმინდა კაცები“ ასევე თანატომელები — კაპადოკიელები იყვნენ. მართლმადიდებელი მისიონერები იმ პერიოდში მთელს ამიერკავკასიაში მოღვაწეობდნენ. არც აბაზგია დარჩებოდა საქურიისსი ამარა.

საკუთარი ქრისტიანული ლექსიკის უქონლობა და აფსუების მიერ ქართულ-მეგრული ლექსიკის გამოყენებაც დასტურია იმისა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე VII ს. ასევე შემდგომ საუკუნეებშიც (XVI-XVII საუკუნეებამდე) მხოლოდ ქართველური ტომები ბინადრობდნენ — ისინი დახვდნენ აქ მოციქულებს, ისინი მონათლა იუსტინიანე კეისარმა, იმათმა ააშენეს ქართული წარწერებით დამშვენებული უნიკალური ქრისტიანული ტაძრები და შექმნეს უძველესი ქრისტიანული ცივილიზაცია მდ.ენგურსა და ფსოუს შორის.

ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფსუურ ენაში სესხების საკითხები დეტალურად აქვს განხილული ცნობილ ენათმეცნიერს, აფხაზოლოგს თ.გვანცელაძეს.¹³² თუ ისტორიული აფსილ-აბაზგები თანამედროვე აფსუები არიან და მათ უშუალოდ ბერძნებისაგან აქვთ მიღებული ქრისტიანობა, მაშინ ამჟამინდელ აფხაზურ ენაში აუცილებლად უნდა დასტურდებოდეს ბერძნული ენისაგან შეთვისებული ქრისტიანული მცნებების აღმნიშვნელი ტერმინების რაღაც ნაწილი მაინც, — მიაჩნია ავტორს. ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, — წერს

თ.გვანცელაძე, — რომ აფხაზურ ენაში საკუთრივ აფხაზური (აფსუური), წარმოშობის ქრისტიანული ტერმინების (თანაც ეს არის ქრისტიანობასთან მისადაგებული წარმართული ტერმინები) მცირე რაოდენობა დასტურდება (ანცვა — ღმერთი, ანიხა — ხატი, ანიჰვარა — ლოცვა, აჩგარა — მარხვა და ა.შ.), „მაგრამ ძირითად ქრისტიანულ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინების უმრავლესობა აფხაზურს ნასესხები აქვს უშუალოდ ქართული სამწერლობო ენისაგან ან კოლხური ენის მეგრული დიალექტისაგან“.¹³³ უშუალოდ ქართული ენიდან შეთვისებული სიტყვებია: აჯარ — ჯვარი, ასაკვმალ — საკმეველი, აბერ — ბერი, აზარება — ზიარება, ზუარაკ — ზვარაკი, აგალაბა — გალობა, ასარკიალ — ზარი, სარეკელი და ა.შ. გაცილებით უფრო მეტია ადგილობრივი მეგრული მოსახლეობისაგან ნასესხები ტერმინები: ქირსა — ქირსე (მეგრ.) — ნიშნავს ქრისტეს, შობის დღესასწაულს და დეკემბრის თვეს; აქირსიან — ქირსიანი (მეგრ.) — ქრისტიანი; აოხვამა — ოხვამე (მეგრ.) — ეკლესია, სალოცავი; თარგიალაზ — თარგელოზი (მეგრ.) — მთავარანგელოზი; აჰყანდარ — ჰყონდიდარი//ჰყონდარი (მეგრ.) — ეპისკოპოსი, ჰყონდიდელი; წყარკუთხია, (მეგრ.) — წყალკურთხევა, ნათლისღება და ა.შ. ქართულ-მეგრულიდანაა აფსუურ ენაში შესული. ამძღვარ — მოძღვარი, ნათრა — ნათვლა, კალინდა — კალანდა, პერტაბა — პერტობა — პეტრე-პავლეს ხსენების დღე; კათალკას — კათალიკოსი, აიობა — აიობა, ბაიობა — ბაიობა — ბზობა, ევარაჟი — ზვარაკი; ჯინჯახეტ — ჯინჯიხატი — ფუძის ხატი, ხეჩხუამა — ლეჩიში ხეამა — ღორის სალოცავი (ღორის დაკვლა ქრისტიანობაზე) და ა.შ.¹³⁴

მეგრულიდან ნასესხებ ტერმინებს შორის, აღნიშნავს თ.გვანცელაძე, — არის ბერძნული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც მეგრულში უშუალოდ ბერძნული ენიდანაა ნასესხები ან ქართული სალიტერატურო ენის შუამავლობით არის მასში დამკვიდრებული. შესაბამისი ტერმინების ფონეტიკური და ზოგჯერ სემანტიკური ანალიზის საფუძველზე იგი ასკვნის: „აფხაზურ ენაში არ ჩანს კვალი იმისა, რომ მას ბერძნული ქრისტიანული ტერმინები უშუალოდ ამ ენიდან შეთვისებინოს. ეს გარემოება ფრი-

ად საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრებს ქრისტიანული სარწმუნოება მიუღიათ არა უშუალოდ ბერძნებისაგან, არამედ ქართველებისაგან. სხვაგვარად აუხსნელი რჩება თუ რატომ არ არის ქრისტიანული ტერმინები ნასესხები აფხაზურ ენაში უშუალოდ ბერძნულისაგან“. საბოლოო ჯამში, ავტორი იქითკენ იხრება, „რომ აფხაზთა შორის ქრისტიანობის მასობრივი გავრცელება შესაძლოა XVI საუკუნის II ნახევრის შემდეგაც კი მომხდარიყო“.¹³⁵ ქვემოთ დავინახავთ ამ დასკვნის სრულ ჭეშმარიტებას.

ე.აჩინჯალი საკუთარ თავს არწმუნებს, რომ ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც იგი აფსუთათა მონათვლის საკითხს ეხება, მთლიანად უარყო „*муслируемый в печати Грузинскими историками и духовенством идею о якобы получении абхазами христианства от грузин*“. მაგალითისთვის, შოვინისტ ლ.ვორონოვის სასაცილო ბროშურიდან გადაიწერა ეპისკოპოს კირიონის მიერ 1906 წელს გაკეთებული განცხადება: „*Грузия просветила их (то есть абхазов) христианством и имеет право на упарвление ими*“.¹³⁶ აფსუა ისტორიკოსი ღრმად ცდება. მიზნის მისაღწევად მან ერთი სარწმუნო მტკიცებაც კი ვერ მოიტანა (მსგავს მტკიცებულებათა არარსებობის გამო), ამიტომ საქართველოს ისტორიის მითვისება-გაყალბების გზითა და ქართველთა, ასევე აფხაზთა დაუძინებელი მტრების მიერ XX ს. დასაწყისში წამოყენებული აბსურდული, დაუსაბუთებელი ბრალდებების მეშვეობით ცდილობს ფონს გასვლას. ჩვენს მიერ მოხმობილი მასალები, თ.გვანცელაძის გამოკვლევები ადასტურებენ, რომ VI საუკუნეში (და კიდევ თითქმის ათი საუკუნე) აფსუები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ და ქრისტიანობაც უშუალოდ ბერძნებისაგან არ მიუღიათ. აფსუებს შორის ქრისტიანობის გავრცელება, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები ჩრდილოეთ კავკასიიდან მათ გადმოსახლებასა და ქართველებთან თანაცხოვრება-შერწყმას, აგრეთვე XIX ს. ქართველ მისიონერთა აფხაზეთში მოღვაწეობას უკავშირდება.

ბიზანტიის მიერ VI საუკუნის შუახანებში განხორციელებულ

სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებს აფსუებთან კავშირი მათ არა აქვთ. ისინი მიზნად ისახავდნენ იმპერიის უსაფრთხოების უზრუნველყოფას დასავლეთ საქართველოში, ამ მიზნით არასაიმედო ლაზიკის დასუსტებას, მისგან აბაზგიის ჩამოცილებას, ერთ-მორწმუნე და მორჩილი ახალი პოლიტიკური ერთეულის შექმნას, კავკასიის კარების ჩაკეტვას და ა.შ. მონათლული აბაზგიაც ბიზანტიისათვის დიდად საიმედო არ აღმოჩნდა, რაც დაადასტურა 550 წლის აჯანყებამ, ჯერ ირანთან, ხოლო VII საუკუნეში არაბებთან ურთიერთობამ. ასეთ პირობებში სწორედ ბერძნული ეკლესია უნდა ყოფილიყო ბიზანტიის მთავარი დასაყრდენი რეგიონში. ალბათ, ამაში უნდა ვეძიოთ, სავარაუდოდ, VI საუკუნის მეორე ნახევარში სებასტოპოლის საეპისკოპოსოს, ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოდ დაწინაურების ერთ-ერთი მიზეზი.

VII საუკუნიდან აფხაზეთში არსებული საეკლესიო ცენტრების შესახებ ინფორმაციას შეიცავენ ე.წ. ნოტიციები — კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხები. ყველაზე ადრეული I ნოტიცია ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ) დროს უნდა იყოს შედგენილი. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ჯიქეთის ეპარქიაში შემავალი ნიკოფსიის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, აბაზგიის ეპარქიაში შემავალი სებასტოპოლის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო და ლაზიკის (ცენტრი — თაზისის სამიტროპოლიტო) ეპარქიაში შემავალი ზიგანევის (გუდავის) საეპისკოპოსო.¹³⁷

საკლესიო ცენტრები და სარწმუნოებრივი მდგომარეობა რეგიონში

კითხვაზე, რა იყო იერარქიული დაწინაურების მიზეზი და რეალურად რას ნიშნავდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სისტემაში „ავტოკე-

ფალური საარქიეპისკოპოსოს“ სტატუსი, ბ.კუდავა პასუხობს: იერარქიის სათავეში კონსტანტინოპოლის პატრიარქი იდგა; შემდეგ მოდიოდნენ მიტროპოლიტები (სამიტროპოლიტოები, როგორც წესი პროვინციათა მთავარ ქალაქებში იქმნებოდნენ), რომლებსაც ეპისკოპოსები ექვემდებარებოდათ; როცა პროვინცია იყოფოდა და

მეორე ქალაქი ახალი პროვინციის ცენტრი ხდებოდა, ფუნდებოდა არა ახალი სამიტროპოლიტო, არამედ ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, რომლის ხელმძღვანელი უშუალოდ პატრიარქისაგან იღებდა ხელდასმას; ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოს სხვა ეპისკოპოსები არ ემორჩილებოდნენ; ამრიგად, „ავტოკეფალია“ ანუ „დამოუკიდებლობა“ იყო ფორმალური; იგი, პირიქით, იმპერიულ სისტემაში უფრო საფუძვლიანად ჩართულობას გულისხმობდა. ბ.კუდავა თვლის, რომ კათედრის სტატუსის ევოლუციის ამგვარ მოდელში საკმაოდ კარგად ჯდება სებასტოპოლისის კათედრის საარქიეპისკოპოსოდ ქცევის ფაქტი, რომელიც აბაზგის ლაზიკისაგან გამოყოფას (VI ს. შუა ხანებიდან VII ს. 30-იან წლებამდე არსებული სებასტოპოლისისაეპისკოპოსო, სავარაუდოდ, ფაზისის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა) უკავშირდება.¹³⁸

მთლიანობაში ბ.კუდავას მოსაზრება სწორია, თუმცა ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოთა დაფუძნება ყოველთვის ახალი პროვინციის შექმნას არ უკავშირდებოდა.

იმეამინდელი „ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო“ თანამედროვე გაგებით სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობას ნამდვილად არ ნიშნავდა, როგორც ეს ე.აჯინჯალს წარმოუდგენია, არამედ კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებულ ახალ პროვინციულ საეკლესიო ცენტრს. ე.აჯინჯალის მოსაზრებას არ ეთანხმება დ.დბარი, რომელიც აღნიშნავს, რომ სებასტოპოლის ავტოკეფალური კათედრა დამოუკიდებელი იყო მხოლოდ თავისი ეპარქიის ფარგლებში, თანაც ეს დამოუკიდებლობა გახლდათ ფორმალური, რეალურ შინაარსს მოკლებული; მსგავსი საარქიეპისკოპოსოები თუ საეპისკოპოსოები „именовались автокефальными, но под автокефальностью подразумевалась их независимость от местных или окружных митрополитов, а не независимость от самой Константинопольской церкви“.¹³⁹ დ.დბარი ამ შემთხვევაში მართალია, მაგრამ ისმის კითხვა: სებასტოპოლის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო რომელი ადგილობრივი თუ საოლქო მიტროპოლისაგან იყო დამოუკიდებელი? პირველ რიგში, ლაზიკის (ფაზისის) მიტროპოლი-

საგან და, ვფიქრობთ, ასევე ბიზანტიისათვის პოლიტიკურად ნაკლებად სანდო ადგილობრივი მმართველობისაგან, რათა იმპერიული ცენტრის პოლიტიკა შეუფერხებლად გატარებულიყო. ძნელია სხვა ახსნა მოუძებნო ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოთა სიმრავლეს. მარტო ჭიჭეთის ეპარქიაში სამი — ხერსონის, ბოსფორისა და ნიკოფსიის — ავტოკეფალური, ხოლო მთლიანად კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში ასეთი სტატუსის მქონე 41 კათედრა იმყოფებოდა.¹⁴⁰ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოთა სიმრავლე აშკარად იმპერიულ მიზნებს უკავშირდებოდა. ბერძნულ კათედრებს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის წყალობით რეგიონში სტატუს-ჰკოს შენარჩუნება ევალდებოდათ. მათ არ უნდა დაეშვათ ეთნიკურად ერთგვაროვანი წვრილ-წვრილი აღმინისტრაციული ერთეულების დაახლოება, მათი სულიერი და პოლიტიკური გაერთიანება.

VII საუკუნეში გრძელდება ბიზანტია-ირანის ომების შედეგად დასუსტებული ლაზიკის ხარჯზე დასავლურ-ქართული აბაზგიის სამთავროს თანდათანობითი გაძლიერება. ეს ორი სამთავრო პოლიტიკურად და ეკლესიურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და ბიზანტიის უშუალო დაქვემდებარებაშია მოქცეული. საზღვარი მათ შორის მდ. კლისურაზე გადიოდა. ლაზიკას და აბაზგიას არ ჰყავდათ მეფეები და ისინი კონსტანტინოპოლიდან დანიშნული მთავრების (პატრიკიოსების) მიერ იმართებოდნენ.

აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის იერუსალიმელი მონაზონი თეოდოსი განგრელი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ბიზანტიელი მოაზროვნისა და ღვთისმეტყველის მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ ცნობების შემცველი თხზულების — ანასტასი აპოკრისიარის წერილის გამოქვეყნება და მაქსიმეს შესახებ 668-669 წლებით დათარიღებული მოგონებების დაწერა.

მაქსიმე აღმსარებელი ცნობილია, როგორც სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მონოთელიტების მთავარი მოწინააღმდეგე. 662

წელს იგი გაუძევებიათ ბიზანტიიდან და ანასტასი აპოკრისიართან და ანასტასი მონაზონთან ერთად ლაზიკაში გადაუსახლებიათ, სადაც იმავე წლის 13 აგვისტოს გარდაცვლილა. ანასტასი აპოკრისიარს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე წერილი მიუწერია თეოდოსი განგრელისათვის, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი მაქსიმესა და მის თანამგზავრთა თავგადასავალი. ანასტასის წერილი თეოდოსს უშუალო შთაბეჭდილებებით დაწერილ მოგონებებთან (იყო ჩამოსული დასავლეთ საქართველოში) ერთად გამოუქვეყნებია.

საშინელი წამების (ენებისა და ხელების მოჭრის) შემდეგ მაქსიმე და მისი თანმხლები პირები ლაზიკაში ჩამოჰყავთ. თეოდოსი განგრელის ცნობით, „ქრისტესმოყვარე ლაზთა ქვეყანაში“ ჩამოსულები, ადგილობრივი მმართველის განკარგულებით, ერთმანეთს დააშორეს. უკიდურესად დაუძლურებული მაქსიმე სქიომარის ციხეში მოუთავსებიათ (იქვე გარდაიცვალა), რომელიც ალანთა ქვეყნის (ვახუშტის მიხედვით, ბედიის ჩრდილოეთით რომ მდებარეობს) მახლობლად მდებარეობდა; ვახუშტის ცნობით, დაკრძალულია ლეჩხუმში.¹⁴¹ უფალი ამბა (ხუცესი) ანასტასი აბაზგიის მახლობლად მდებარე სკოტორის ციხეში, ხოლო ანასტასი აპოკრისიარი ბუკოლუსის (ალანთა საზღვრებში) ციხეში გამოუმწყვდევიათ. რამდენიმე დღის შემდეგ ხუცესი ანასტასი სვანეთის ციხეში გადაჰყავთ (სადაც ის, სავარაუდოდ, ივლისის 20-იან რიცხვებში გარდაიცვალა), აპოკრისიარი — თაკვერიის (ლეჩხუმის) ციხეში აბაზგიის მახლობლად. აქ ის ორი თვე იმყოფებოდა. ლაზიკის მთავარმა აპოკრისიარი კვლავ აფსილიისა და მისიმიანის მხარეებში გადააგზავნა და ფუსტას ციხეში გამოამწყვდია. იმ პერიოდში ლაზიკის მთავარი გაუძევებიათ. მის ადგილას მოსული სხვა მთავარი თანაგრძნობით შეხვედრია აპოკრისიარს და იგი საკუთარ სახლთან ახლოს გადაუყვანია. ერთი წლის შემდეგ ლაზიკის მთავარმა აპოკრისიარი კვლავ ფუსტაში დააბრუნა. იმავე დღეს ის მთავარიც იქნა გაძევებული, — წერდა აპოკრისიარი თეოდოსი განგრელს, — და დახეტიალობდა „ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანაში. იქაურმა ქრისტესმოყვარე მმართველებმა ურჩიეს, რომ ჩემთან თანაგრძნობით

ყოფილიყო და სრულიადაც არ ეწარმოებინა ღვენა, ჩემგან სიტყვები ესმინა და არა გმინვა... (უნდა ითქვას, რომ თვითონ ისინი, აბაზგიის ქრისტიანთაგან მთავრები თანამიგრძნობდნენ მე, საწყალობელს, თუმცა არ მიცნობდნენ“¹⁴² ლაზიკის გაძევებულმა მთავარმა ტახტი დროებით დაიბრუნა, მაგრამ მიუხედავად აბაზგიის მმართველებისადმი მიცემული დაპირებისა, აპოკრისიარი ფუსტის ციხიდან სხემარის ციხეში გადაიყვანა. ამასობაში მან კვლავ დაკარგა ტახტი და აბაზგიაში გაიქცა. ახალმა მთავარმა აპოკრისიარი სასახლესთან ახლოს „მონაზონებისათვის სრულიად შესაფერადგილას“ გადმოიყვანა. წერილში თეოდოსი განგრელისადმი საუბარია აგრეთვე ლაზიკაში სტეფანეს, ნეტარი იოანე ხუცესის შვილის ჩამოსვლაზე. აღგილობრივმა მაცხოვრებლებმა იგი პატივით მიიღეს და დაეხმარნენ აპოკრისიარის მოძებნაში. ეს უკანასკნელი წერდა: „მათი დახმარებით მიპოვა მე წმინდა სტეფანემ... როგორც სულიერმა ცხენმა, მოიბრინა მთელი ლაზიკა, აფსილია და აბაზგია და უშიშრად ქადაგებდა როგორც ქეშმარიტების, ისე შემოტანილი ახალი მიმართულების შესახებ; ამ კაცის იქყოფნა მიზეზი აღმოჩნდა მრავალთა სარგებლობისა და ხსნისა და აგრეთვე ჩემი პირადი სიმშვიდისა და ნუგეშისა. ის უღირსი სახელი, რომელიც ქეშმარიტებისაგან ნამდვილმა განდგომილებმა ჩვენ მოგვაცუთვნეს, მაშინ გაქრა და ბევრისთვის ცხადი გახდა ქეშმარიტება“¹⁴³ წმ.სტეფანე აბაზგიის მმართველის სახლში გარდაცვლილა. აპოკრისიარი სთხოვს თეოდოსი განგრელს, რომ „ზოგიერთი თქვენთაგანი, რომელთაც აქვთ ღმრთის სიყვარული და მისდამი სწრაფვა ცოდნისამებრ, აქ (ლაზიკა-აბაზგიაში) მოსულიყო და დარწმუნებულყო, თუ რა არის ქეშმარიტება და რა არის მისი მაგიერი, რათა ისინი განმტკიცებულნიყვნენ მართლმადიდებლობაში და შემოტანილი ახალი მიმართულება სრულიად გამოძევებულიყო და მეც, საწყალობელი, ნუგეშსა და შვებას ვპოვებდი... — თუკი როგორც გავიგე, ჰიბერიამდე მიდიან იქ, რატომ აქაც არ მოდიან?

გვევდრებით თქვენ, უწმინდესნო, თუკი შესაძლებელი იქნება, გადმომიგზავნეთ ერთ-ერთი სარწმუნო, ჰიბერიაში მიმავალი, კაცის ხელით იმ დადგენილებათა კოდექსი, რომლებიც დააკანონა

წმინდა და სამოციქულო სინოდმა, წმინდა და სამოციქულო მოწამის და უზენაესი პაპის მარტინეს (მარტინ I — 649-655წწ. — ჯ.გ.) წინადადებით, უხუცეს ქალაქ რომში, რადგან იქ გაცილებით უკეთ არის გაშლილი წმინდა მამების დოგმატები და მწვალებლური საზიზღროებანიც, როგორც წინანდელნი, ისე ახლა აღმოცენებულნიც“.¹⁴⁴

წმინდა კოდექსის გამოგზავნის შემთხვევაში, იგი უნდა გადაეცათ „ღვთივდაცული პატრიკიოს და ღვთივ მაგისტროს“ გრიგოლისთვის. კოდექსის ჩამომტანებს თან უნდა ჰქონოდათ გრიგოლისადმი მიმართული წერილი „ჰიბერიის ღირსსაქებ პატრიკიოსისა და პრეტორისაგან“. თუ ჩამოსვლას ვერავინ შეძლებდა, მაშინ იბერიის პრეტორს თავად უნდა გამოეგზავნა წმინდა კოდექსი, რათა იგი მიეღო „ჩვენს უფალს და სახელოვან პატრიკოსსა და ღვთივ მაგისტროსს გრიგოლის“. ასეთი პატივითა და სიყვარულით მოიხსენიებს აპოკრისიარი ლაზიკის მმართველს.

ლაზიკაში ჩასულმა თეოდოსი განგრელმა სამეგრელოს მმართველი ლებარნიკოსისაგან შეიტყო, რომ ხელებმოჭრილი ანასტასი აპოკრისიარი წერდა თურმე ერთმანეთზე გადაბმული პატარა და წვრილი ჯოხებით. „უფრო მართალი იქნება რომ ვთქვათ, რომ მან დასწერა ღვთაებრივი ძალისა და წყალობის საშუალებით, ისევე როგორც თავისუფლად და დაუბრკოლებლად ლაპარაკობდა ჭეშმარიტად ღვთაებრივი და უხილავი ენით, თუმცა ის ძირშივე ჰქონდა მოჭრილი“,¹⁴⁵ — აღნიშნავდა თეოდოსი განგრელი. იგი წერდა, რომ აპოკრისიარი თავის მესამე, უკანასკნელი ექსორიის დროს თუსუემისის (თუსავის) ციხეში იმყოფებოდა (იქვე გარდაიცვალა). ციხე მდებარეობდა „სოფელ მოქვის ზემოთ აფსილიის მხარის საზღვარზე, პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, კავკასიის მთების ზედძირში, ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანთა ტომის მახლობლად, ხუთი სიმიის მანძილზე სოფელ ჭინახორიდან, ესე იგი იმავე ლაზთა ქვეყნის ჭეშმარიტად ქრისტესმოყვარე პატრიკიოსისა და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლიდან“.¹⁴⁶

თეოდოსი განგრელმა აპოკრისიარის წერილებიდან, ასევე იმ ადგილის მმართველისა და მცხოვრებლებისაგან, მათ შორის სხიმა-

რის ციხის უფროსის მისტრიანესაგან შეიტყო, რომ ნეტარხენებული მაქსიმეს საფლავზე სასწაულები ხდება — ყოველ ღამეს ღამპრები ჩნდება.

ანასტასი აპოკრიფიარის წერილები და თეოდოსი განგრელის მოგონებები მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტებია. მათი მეშვეობით დგინდება თუ რაოდენ ფართოდ იყო გავრცელებული VII ს. მეორე ნახევრის ლაზიკა-აბაზგიაში ქრისტიანული სარწმუნოება, თუმცა ეს მხარე კვლავ რჩებოდა გადასახლებულთა, ექსორიაქმნილთა დატუსაღებისა და გადასახლების ადგილად; ლაზეთის ოთხი მთავრიდან ბოლო ორი — ქრისტეს მოყვარე გრიგოლი და ლებარნიკიოსი, განსაკუთრებით აბაზგის მთავრები თავიანთი კეთილი დამოკიდებულებით გადასახლებულთა მიმართ აშკარად ეურჩებიან ბიზანტიის მონოთელიტურ საერო ხელისუფლებას — იმპერატორ კონსტანტინე III პოგონატს (641-668) და ასევე მონოთელიტურ სასულიერო ხელისუფლებას.

თეოდოსი განგრელის ნაშრომიდან ვიგებთ, რომ VII ს. 60-იან წლებში თანამედროვე აფხაზეთის უმეტესი ნაწილი აფსილიისა და მისიმიანეთის ჩათვლით ლაზიკის შემადგენლობაშია. აშკარად ჩანს აბაზგის დაწინაურების ტენდენციაც. ლაზიკის დამხობილი მთავრები აბაზგიაში გარბიან; იქმილებული რჩევებისა და მხარდაჭერის წყალობით ერთ-ერთმა დროებით ტახტიც დაიბრუნა. ერთი ტომის ხალხით დასახლებულ და ხელოვნურად გახლეჩილ ორ სამთავროს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. თ.განგრელის ნაშრომში მოხსენიებულ ტოპონიმთა უმრავლესობა სპეციალისტთა (ს.ყაუხჩიშვილი) მიერ აფხაზეთშია ლოკალიზებული. აშკარაა მათი უმეტესობის ქართული წარმომავლობა, რაც ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილებაზე მიუთითებს.

691-692 წლებში შედგა „მეხუთე-მეექვსე“ მსოფლიო საეკლესიო კრება (ე.წ. „ტრულოს კრება“). მისი სხდომები კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სასახლის თაღებიან „ტრულოს“ დარბაზში იმართებოდა. კრებაზე მიღებულ კანონებს დიდ სჯულისკანონში აერთიანებს საერთო სათაური — „კანონი კონსტანტინოპოლის

გუმბადასა შინა სამეფოისა პალატისასა შეკრებულთა წმიდათა მათანი იუსტინიანეს ზე კეთილად მსახურისა და ქრისტეს მოყუარისა მეფისა ჩუენისა“. კანონებს სხვებთან ერთად ხელს აწერენ თეოდორე ფაზისელი, იოანე პეტრელი და ფოტი სებასტოპოლელი.¹⁴⁷

VII ს. ბოლოდან VIII ს. 30-იან წლებამდე დასავლეთ საქართველოში არაბები ბატონობდნენ. 697 წ. ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნიკის ძე ბიზანტიელებს განუდგა და ქვეყანა აღმოსავლეთ საქართველოში უკვე გაბატონებულ არაბებს დაუმორჩილა. VIII ს. დასაწყისში აბაზგიაც არაბებს დაემორჩილა. 705-711 წლებში კენისარმა იუსტინიანემ ალანების ხელით სცადა განდგომილი აბაზგის დარბევა. ალანები მართლაც შეიჭრნენ კელასურის ხეობაში და დიდძალი ნადავლით უკან გაბრუნდნენ. უშედეგოდ დასრულდა ბიზანტიის მცდელობა დასავლეთ საქართველოს დაბრუნებისა 716-717 წლებში. არაბებმა შეინარჩუნეს ბატონობა აბაზგებზე, ლაზებზე და იბერიელებზე.

VIII ს. 30-იან წლებში არაბებმა მურვან ყრუს მეთაურობით აღმოსავლეთ საქართველო დალაშქრეს. ქართლის მეფე სტეფანოზი და მისი შვილები (არჩილი და მირი) დიდი ამალით ჭერ ეგრისში (სტეფანოზი აქ გარდაიცვალა), შემდეგ კი აფხაზეთში გადავიდნენ. როგორც „ქართლის ცხოვრება“ (ჯუანშერი) მოგვითხრობს, მურვან ყრუ მათ კვალს შეუდგა, შემუსრა ეგრისის ციხე-სიმაგრეები და ქალაქები, „შემუსრა და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა. და მოსვლასა მისსა კათალიკოსი იყო თაბორ.

და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფიასასა, რომელსა შინა არს ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, არა კაცობრივითა ხელითა დაწერილი, არამედ ზეგარდმო, რომლისათვის არავინ უწყის — ვინა იგი მოსრული იპოვა თავსა ზედა მის გორისასა, რომელსა მოსდგამს სამხრით ზღუა და ჩრდილოთ ქალაქი მწყურნები. მუნ შინა იყვნენ მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ... და ერისთავი კეისრისა შესრულ იყო ციხესა შინა სობლისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა. და ვერვინ შემძლებელ

იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყვნეს სპანი მისნი უფროს და უმრავ-
ლეს ქალაკთა ეგრისათა“.¹⁴⁸

გადამწვეტი ბრძოლა ანაკოფიის ციხესთან გაიმართა. ბრძოლის
წინ არჩილი და მირი ხელთუქმნელ ღვთისმშობლის ხატთან ლო-
ცულობენ: „და მივიდეს წინაშე წმიდისა მის ხატისა ყოვლად წმი-
დისა ღმრთისმშობელისასა, თაყუანის სცეს შევრდომით და იტყო-
დეს: „განვალთ სასოებითა ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისათა, რო-
მელი იშვა შენგან, მისა შეწირე ოხა (დახმარება — ჯ.გ.) ჩუენთვის,
და თანამავალ მეყავ ჩუენ წყალობა შენი“.¹⁴⁹ ქართლის მეფეთა —
არჩილისა და მირის ათასკაციანმა, აბა ზგიის მთავრის ლეონის ორი-
ათასკაციანმა მებრძოლებმა არაბები დაამარცხეს — „მოსცა
უფალმან ძლევა მცირედთა ერთა ქრისტიანეთა“.

ომის ძლევამოსილად დასრულების შემდეგ ქართლის მეფეებმა
და აფხაზეთის მთავარმა მოციქული აფრინეს კონსტანტინოპოლს
და „აუწყეს ესე ყოველი, რაც იქმნა ღმრთისა მიერ ხელითა მათი-
თა“. იმპერატორმა მირს და არჩილს ორი სამეფო გვირგვინი გამო-
უგზავნა, ხოლო ლეონს აფხაზეთის ერისთავობა უბოძა და „მეფე-
თა და ერთა მაგათ ქართლისათა“ პატივისცემა უბრძანა. მალე მი-
რი გარდაიცვალა. არჩილმა თავისი ძმის შვილი გურანდუხტი ცო-
ლად შერთო ლეონს, კონსტანტინოპოლიდან მირისათვის გამოგ-
ზავნილი სამეფო გვირგვინიც მას (ლეონ I-ს) გადასცა. თვითონ კი
„ეგრისს ვიდრე შორაპანამდე“ დაემკვიდრა. აფხაზეთის საზღვარი
კელასურის ჩრდილოეთით — „კლისური თგან აღმართ“ იწყებოდა
და ვრცელდებოდა „კლისური თგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხა-
ზარეთად (მდ. დონი — ჯ.გ.), სადა დასწუდების წუერი კავკასიისა
ამის“.¹⁵⁰

ლეონ I ფაქტობრივად ქართლის ვასალად — ერისთავად იქცა.
გურანდუხტზე — (ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრე ქალზე) და-
ქორწინება და მირის სამეფო გვირგვინის მიღება მას გარკვეულ სა-
მეფო უფლებებსაც ანიჭებდა. ეს უფლებები მოგვიანებით გამოი-
ყენა ლეონ I-ის ძმის შვილმა ლეონ II-მ, როცა კანონიერად დაიკავა
ეგრისი არჩილის მემკვიდრეთაგან ერთის — იოანეს გარდაცვალე-
ბისა და მეორე შვილის — ჯუანშერის ხანდაზმულობის გამო.

არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა, მისი დამარცხება დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის პოზიციების აღდგენა ახალი სტიმული უნდა გამხდარიყო ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისათვის. VIII ს. ავტორის იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებაში“ აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო) ქრისტეს „გარდამეტებული“ სიყვარულით სავსე ქვეყნად არის წარმოჩენილი. არაბებს გამოქცეული ქართლის მთავარი ნერსე და გაქრისტიანებული არაბი აბო ხაზარეთიდან აფხაზეთის გავლით აღმოსავლეთ საქართველოში ბრუნდებოდნენ. როცა აფხაზეთის მთავარს აუწყეს აბოს ნათელღების შესახებ, „განიხარა ფრიად ყოვლით ერთ მისითურთ; და მოუწოდა მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღვდელთა და აკურთხევდეს ნუგეშინის სცემდეს და უთხრობდეს მას სიტყუათა ცხოვრებისათა და ახარებდეს ქრისტესთვის... და ნეტარი ჰაბო უფროისლა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანი იგი სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგან მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა... ხოლო წმიდამან და ნეტარმან ჰაბო, ვითარცა იხილა კაცთა მის ადგილისათა გარდამეტებული ღმრთის — მოყუარებაი და ლოცვაი ყოვლისა მის ერისაი დაუცადებელი, შური საღმრთოი აღიღო, რამეთუ მოიხსენა მან სიტყვაი იგი წმიდისა მოციქულისაი, ვითარმედ: „კეთილ არს ბაძვაი კეთილისათვის მარადის“.¹⁵¹

არსებული მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ბერძნული ეკლესიის პარალელურად ყალიბდება და ვითარდება ადგილობრივი ქართული ეკლესია, ქართული კულტურა. ამაზე მიუთითებს VI-VIII საუკუნეებში ქართული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლების ინტენსიური მშენებლობა აფხაზეთში, სადაც გვაქვს „სამეკლესიანი ბაზილიკები“ — ძველი გაგრა, აბაათა (VI ს.), ჯგერდა, ამბარა (VIII-IX ს.), თილითი (VIII-IX საუკუნეებიდან XVII ს. ბოლომდე ფუნქციონირებდა; თანამედროვე აფხაზები ამ ადგილს აბააქახუს — ძველი ციხესიმაგრის ბორცვს — ეძახიან), ასევე „მცხეთის ჯვრის ტიპი“ — დრანდა (VIII ს.).¹⁵² ამასვე ადასტურებს აგრეთვე იოანე საბანისძის მიერ აფხაზეთის მთავართან (მეფესთან) ერთად მყოფი ქართველი ეპისკოპოსისა და მღვდლების მოხსენიება.

ეკლესიები და სალოცავები აღმოჩენილია მღვიმეებშიც. მაგალითად, ანუხვის (გუდაუთის რაიონი) მღვიმე შემკული იყო პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეთა კედლის მხატვრობით და ძველი (V-VIII სს.) ქართული (ასომთავრული) წარწერებით; უნდა იყოს კულტურული ნაფენებიც. როგორც ჩანს, ანუხვის მღვიმე ისტორიამდელ პერიოდში ასრულებდა საცხოვრისის, ხოლო საშუალო საუკუნეებში სამლოცველოს დანიშნულებას. გაგრის რაიონში არაბიკას კირქველ მასივში შედის ციხევის (წმ.იპატის) მღვიმე, რომელიც სამლოცველოდ იყო გამოყენებული. ბზიფის მასივში (გუდაუთის რაიონი) მჭიშთის ვოკლუხის თავზე რამდენიმე სართულად განლაგებული მღვიმეები ძველად გამაგრებულ მონასტრად გამოიყენებოდა. კელასურის მღვიმეში ციხე-დარბაზთან ერთად არსებობდა მიწისქვეშა გამაგრებული მონასტერი, რომელიც ხელოვნური კედლებითა და კარ-ფანჯრებითაა აღჭურვილი¹⁵³.

ამრიგად მხოლოდ ქართველური ტომებით (კოლხ-ლაზებით, აბაზგებით, აფსილებით, სვანო-კოლხებით, სანიგებით და ა.შ.) დასახლებული თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, სადაც ახალი სარწმუნოების გავრცელება-განმტკიცებას ემსახურებოდნენ იესო ქრისტეს მოციქულები, სხვა წმინდანები, რწმენისათვის წამებული ადამიანები, ადგილობრივი ქართული სამღვდლოება, VIII საუკუნისათვის ქრისტიანული ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა გახდა. ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობისა და მისი სერიოზული გავლენის პერიოდშიც, ეს რეგიონი ზოგადქართული ქრისტიანული სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ადგილობრივი კულტურის შემომქმედი და მემკვიდრე ქართველი ერია. სხვა ეთნოსების (მათ შორის აფსუების) მოსახლეობის, პოლიტიკურ-კულტურული და რელიგიური მოღვაწეობის კვალი ამ ტერიტორიაზე, მიუხედავად სეპარატისტ-ფალსიფიკატორთა ფანტაზიებისა, ისტორიული მასალებით არ დასტურდება.

1 დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. მ.ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია. თბ., 1896, გვ.2.
2. იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი. შედგენილი მღ.პოლიევკტოს კარბელაშვილის მიერ. თბ., 1900, გვ.6; მ.ჯანაშვილი. საქართველოს საეკლესიო ისტორია, გვ.6.
3. ქართლის ცხოვრება (ქ.ც.), ტ.1. თბ., 1955, გვ.38.
4. ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1, გვ.38. ერთ-ერთი მოსაზრებით, წმ.მოციქულები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე 55 წელს იმყოფებოდნენ. — იხ.: Сказание о Св.Апостоле Симоне Кананите (он же Зилот). М., 1891, გვ.7.
5. ქ.ც. ტ.1, გვ.38, 42.
6. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ.1. თბ., 1946, გვ.27-28; იხ. აგრეთვე მალხაზ კობიაშვილი. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. — ლიტერატურული ძიებანი, ტ.ХІХ, თბ., 1998, გვ.105-116; ტ.ХХІ, გვ.107-117.
7. გეორგიკა. ტ.4, წ.1. თბ., 1941, გვ.57-59.
8. ქ.ც. ტ.1. გვ.42-43.
9. ქართული მწერლობა, ტ.2, თბ., 1987, გვ.103-105.
10. იქვე, გვ.122.
11. იხ. თ.ჯორდანია, ქრონიკები. თბ., 1892, გვ.33-39; ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წიგნი I, თბ., 1945, გვ.153-170.
12. ეფრემ მცირე. უწყობაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების. თბ., 1959, გვ.3.

13. იქვე, გვ.4.
14. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, გვ.504.
15. ამ ადგილის თანამედროვე თარგმანი ასეთია: „დავადებ მათნი-შანს და მათ ნატამალს გავგ ზავნი ხალხებთან: თარშიში, ფულში, ლულში, მშვილდოსნებთან, თუბალში, იავანში, შორეულ კუნძულებზე“ ... (ბიბლია, ესაია წინასწარმეტყველი, 66,19 — გვ.694).
16. გეორგიკა, ტ.1, გვ.221-222.
17. იქვე, გვ.222-223.
18. „თობელებისაგან წარმოიშენენ იბერები — „ქართვები“, „ეგრისელები“ და „სვანები“ ანუ ქართველები. იმ დროს ეგრისელები ისევე იბერები არიან, როგორც ქართვები (ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1, გვ.71). ვრცლად ამ საკითხზე იხ. იქვე, გვ. 86-102.
- 18°. გეორგიკა, ტ.1, თბ., 1961, გვ.29-30.
19. ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1, გვ.48.
20. გეორგიკა, ტ.1, გვ.68.
21. გეორგიკა, ტ.7, თბ., 1967, გვ.36.
22. გეორგიკა, ტ.4, წ.1, გვ.57.
23. გეორგიკა, ტ.4, წ.1, გვ.54. თ.მიბჩუანი. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა. თბ., 1999, გვ.22.
24. ქართლის ცხოვრება, ტ.4, თბ., 1973, გვ.788-789.
25. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3. თბ., 1970, გვ.109.
26. იქვე, გვ.727 (იხ. დანართი №15).
27. თ.ჟორდანია. ქრონიკები, წ.iii. თბ., 1967, გვ.340.
28. იქვე, გვ.130.
29. М.С.Селезнев. Руководство к познанию Кавказа, т.1.

30. ივანე ჯავახიშვილი. თხზ., ტ.12, გვ.43-52; ამ საკითხზე ი.ჯავახიშვილის აშკარად მცდარი შეხედულებები ჯერ კიდევ 1918 წელს უარყო ე.ნიკოლაძემ. იხ. მისი „საქართველოს ეკლესიის ისტორია“. ქუთაისი, 1918, გვ.11-23; აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები განხილულია მალხაზ კობიაშვილის სტატიაში „ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში (საკითხის ისტორიისათვის)“. — ლიტერატურული ძიებანი, ტ. XXIII. თბ., 2002, გვ.66-75.

31. დ.ლეთოდიანი. ძიებანი.თბ., 2003, გვ.125.

32. Дж. Гамахария, Б.Гогия, Абхазия-историческая область Грузии. Тб., 1997, с.160, 168, 172, 174.

33. ივ.ჯავახიშვილი, ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის ქადაგების მოხსენიებას ლეონტი მროველთან, სავარაუდოდ, „მერმინდელ გადამწერის“ შეტანილად მიიჩნევს. — თხზ., ტ. VIII, თბ., 1977, გვ.176-177.

34. თ.გვანცელაძე. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1997, გვ.40.

35. იქვე, გვ.44-45.

36. ქ.ც., ტ.1, გვ.5.

37. თ.გვანცელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ.54-58.

38. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.172.

39. გეორგიკა, ტ.1, გვ.35; ტ.6, გვ.182, 191; ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1, გვ.92-93 და ა.შ.

40. გეორგიკა, ტ.1, გვ. 11-18, 39-41; ტ.4, წ.1, გვ.6-9, 61-63; ტ.5, გვ.3-4, 10.

41. გეორგიკა, ტ.4, წ.1, გვ.9.

42. იქვე, გვ.2.
43. ტერმინი აბაზგი ქართველის მნიშვნელობითაა ნახმარი ეფრემის ქრონიკაში (XIV ს.), დუკასთან (XV ს.) და სხვა ავტორებთან. გეორგიკა, ტ.7, გვ.90-91; ტ.8, გვ.25-26.
44. Дж. Гамахория, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.29-30, 521 და ა.შ.
45. Г.А.Кокиев, Некоторые сведения из древней истории Адыгов (кабардинцев). Нальчик, 1946, გვ.6-7.
46. გეორგიკა, ტ.2, გვ.6.
47. ანანია ჯათარიძე. აფხაზეთი. თბ., 2001, გვ.29.
48. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно — кананитский монастырь. Составил И.Н. М., 1898, გვ.109.
49. დ.ლეთოდიანი. ძიებანი, გვ.125; ბ.კუფტინი გაუგებრობას უწოდებს მ.ბროსეს და სხვა ავტორების (ვ.ჩერნიაესკი, კ.მაჭავარიანი, დ.გულია) მიერ ანაკოფიის ნიკოფსიასთან გაიგივებას, რაც ამ სიტყვების თანახმიანობას და სიმონ კანანელის ახალ ათონში დაკრძალვის ვერსიას ეფუძნება.
50. Материалы по археологии Кавказа. Христианские памятники Графини Уваровой. Вып.1V. М., 1894, с.8; საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან დაკავშირებით ამბროსი ხელაია წერდა: „ქართული ისტორიული წყაროები, როგორც დავინახეთ, დაუინებთ გვეუბნებიან, რომ საქართველოს საზღვარი იყო არა ანაკოფია, არამედ ნიკოფსია“. — იხ. მისი „საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით“. — გაზ. საქართველო, 1918, 18 ოქტომბერი.
51. გეორგიკა, ტ.2, გვ.11; ტ.4, წ.2. თბ., 1952, გვ.129.
52. პ.ინგოროფა. გიორგი მერჩულე. თბ. 1954, გვ.226.
53. ქ.ც. ტ.4, გვ.785.
54. М.С.Селезнев. დასახ. ნაშრომი, გვ.64-65.
55. გეორგიკა, ტ.1, გვ.170-175.

56. იქვე, გვ.227.
57. Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, т.16, вып. 2-3. СПб, 1905, с.63-211.
58. იქვე, გვ.113-117.
59. ქართული თარგმანი ს.ყაუხჩიშვილის მიხედვით მოგვაქვს. — გეორგიკა, ტ.1, გვ.73.
60. ნ.მარი ამ სახელს კითხულობს — Ибир-н-з-хуа და რადგანაც იბერებს მეგრულებად თვლიდა, თარგმნის როგორც იბერის-ქუა (იბერის შვილი). — Записки..., т.16, вып.2-3, გვ.137, 172; გეორგიკა, ტ.1, გვ.73.
61. Записки..., т.16, вып.2-3, с.181-182.
62. ი.ჯავახიშვილი, თხზ., ტ.1, გვ.228-240; 366 და ა.შ.
63. Е.К.Аджинджал. Из истории христианства Абхазии. Сухуми, 2000, с.19.
64. Записки, т.16, вып.2-3, ст.160; იხ. აგრეთვე, გვ.117, 133, 135, 137.
65. იქვე, გვ.117.
66. იქვე, გვ.160.
67. იქვე, გვ.165-166.
68. გეორგიკა, ტ.1, გვ.71.
69. Пл.Иоселиани. Краткая история Грузинской церкви, СПб, 1843, გვ.8; იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ.7-8; მ.ჯანაშვილი, ისტორიული სურათები. ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი. გორი, 1914, გვ.20; ი.ტაბაღლა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ.1, გვ.171.
70. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ.8; მ.ჯანაშვილი. ისტო-

რიული სურათები, გვ.86; ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1, გვ.94.

71. კაკეელიძე. შტუდიები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.4. თბ., 1957, გვ.298-301; ოთარ აკიშბაია, გუდავა, თბ., 1998, გვ. 9-12; Е.А.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.21-22; Вестник древней истории. 1970, №2, с.189-192.

72. გეორგია, ტ.1, გვ.224.

73. გეორგია, ტ.1, გვ.242-243; ტ.4, წ.1, გვ.76.

74. გეორგია, ტ.1, გვ.243.

75. მ.ანუა. გალობა საესე ნათლითა. — ჯვარი ვაზისა, I. თბ., 1995, გვ.140.

76. გეორგია, ტ.6, გვ.187-188; 203-204.

77. იქვე, გვ.188.

78. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно Кананитский монастырь, с.123-124.

79. Краткий очерк жизни святого Иоанна Злотоуста. Кострома, 1907, с.32; Памятники Византийской литературы 1V-IX веков. М., 1968, с.90, და ა.შ.

80. Абхазия и в ней Симоно _ Кананитский монастырь, с.260; История православиой церкви до начала разделения церкви. СПб., 1902, გვ.158. ბევრი მლოცველი ცდილობდა კომანში დარჩენილი სარკოფაგისაგან თუნდაც მცირედი ნაწილის ჩამომტერევას და როგორც უდიდესი სიწმინდის თან წაღებას. საბჭოთა პერიოდში ეკლესია დაინგრა, სარკოფაგს კი განადგურება ემუქრებოდა. მისი გადარჩენის მიზნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, როცა იგი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ბრძანდებოდა (1965-1977 წწ.), სარკოფაგისონუმის საკათედრო ტაძარში გადაასვენა. მოგვიანებით, იური (გიორგი) ანუასა და ზოია ადამიას ღვთისმოსავმა ოჯახმა

კომანის ეკლესია აღადგინა. 1990 წლის 25 ნოემბერს იოანე ოქროპირის სარკოფაგი ამ ეკლესიაში გადმოასვენეს; მეორე დღეს — 26 ნოემბერს — პირველი წირვა მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ ჩაატარა. — მადლი, 1997, 18 სექტემბერი.

81. იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი (მცირე), 1999; 2004 წლის „მართლმადიდებლური კალენდარი“ — 7 ივნისის საკითხავი ფურცელი. ამ და სხვა მასალების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ ცნობილ პუბლიცისტ ბ-ნ სერგი საჭაიას; ვისარგებლეთ აგრეთვე მხარეთმცოდნე ლ.ლურწყაიას გამოუქვეყნებელი წერილით კამანის შესახებ, რისთვისაც ავტორს მადლობას ვუხდით.

82. ანანია ჭაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1, გვ.133; პირველ მსოფლიო კრებაზე საქართველოდან მიწვეული იყო კიდევ ერთი პიროვნება — ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დომნუსი. ამავე დროს ანანია ჭაფარიძე უარყოფს ვერსიას იმის თაობაზე, რომ ნიკეის კრებაზე წარმოდგენილი იპატი განგრელი იყო საქართველოდან, კერძოდ გაგრიდან, განგრამცირე აზიაში მდებარეობდა. — მიტროპოლიტი ანანია ჭაფარიძე. მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით. თბ., 2003, გვ.3-5.

83. გეორგიკა, ტ.1, გვ.186; 245-246.

84. ბიჭიკო დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X სს). ბათუმი, 2001, გვ.105.

85. გეორგიკა, ტ.1, გვ.3.

86. დ.ჩუბინოვი. ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ქანეთის მკვიდრთა მოსახლეთა. — ჟურნ. ივერია, 1877, №14 (სტატია ჟურნალის მომდევნო სამ ნომერში გრძელდება); მ.ჯანაშვილი. ისტორიული სურათები, გვ.86; ვ.გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ., 1991, გვ.18-34.

87. ანანია ჭაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. II. თბ., 1998, გვ.16-28.

88.საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1973, გვ.186; თ.ყუხჩიშვილი. ბიჭვინთის მოზაიკის ბერძნული წარწერა. დიდი პიტიუნტი, III, თბ., 1978, გვ.224-226. თ.მიქელაძე. ბიჭვინტის ორაფსიდიანი ეკლესია. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგისაათვის, III, გვ.126, 129; ა.აფაქიძე, ზ.აგრბა. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-1971 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში. დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977, გვ.37; ირ.ციციშვილი. ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. დიდი პიტიუნტი II, გვ.83; გ.ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991, გვ.158; М.М.Трапш. Культура Цебельдинских некрополей. Труды, III. Тб., 1971, с.207, და ა.შ.

89. გეორგიკა, ტ.2, გვ.128.

90. გეორგიკა, ტ.2, გვ.133-135.

91. გეორგიკა, ტ.3, გვ.297.

92. ეფრემ მცირე, დასახ. ნაშრომი, გვ.11; ქართლის ცხოვრება, ტ.1, გვ.215.

93. გეორგიკა, ტ.6, გვ.228-230; ტ.7, გვ.117, 118.

94. არმალანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. შემდგენელი მაგალი თოდუა. თბ., 1982, გვ.90.

95. Г.Собинин. История Грузинской церкви до конца VI в. СПб, 1877, с.108; А.Введенский Религиозное верование абхазов. Сборник сведений о кавказских горцах. Вып.V. Тифлис, 1871, с.2.

96. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.27-29, 31.

97. Л.Г.Хрушкова. Цандрипш. Сухуми, 1985, გვ.61-71.

98. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.32.

99. გეორგიკა, ტ.1, გვ.226-227.

100. გეორგიკა, ტ.4, წ.1, გვ.11-12; 77; ტ.5, გვ.13-14. ტ.6, გვ.184-185.

101. დ.ლეთოდინი. ძიებანი. თბ., 2003, გვ.121. აბაზგების გაქრისტიანების თარიღად სახელდება 546 (ვ.ლატიშვი), 547-548 წწ (ი.კულაკოვსკი) და ა.შ. ვახუშტი კი ამ მოვლენას 529 წლით ათარიღებდა (ქართლის ცხოვრება, ტ.4, გვ.784). ამ თარიღს ემხრობა ე.აჯინჯალიც (დასახ. ნაშრომი, გვ.57).

102. ბ.კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 2002, გვ.12, 13.

103. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.53.

104. გეორგიკა, ტ.2, გვ.223.

105. გეორგიკა, ტ.3, გვ.296.

106. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.67.

107. გეორგიკა, ტ.2, გვ.101.

108. იქვე, გვ.136, 222.

109. დ.ლეთოდინი. დასახ. ნაშრომი, გვ.124.

110. გეორგიკა, ტ.1, გვ. 19-20; ტ.4, წ.1, გვ.10.

111. Дж. Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.192, 193, 195, 196, 198, 199, 215, 220.

112. გეორგიკა, ტ.7, გვ.23.

113. ქ.ც., ტ.4, გვ.788.

114. М.Инадзе. Вопросы этнополитической истории древней Абхазии. _ Разыскания по истории абхазии// Грузия. Тб., 1999, გვ.80.

115. გეორგიკა, ტ.2, გვ.11.

116. გეორგიკა, ტ.2, გვ.28.

117. თ.მიზიუანი. აფხაზეთის ავტონომიური ორესპუბლიკის ისტორია. თბ., 2003, გვ.70.

118. თ.მიბჩუანი. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბ., 1999, გვ.16; მისივე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია, გვ.45-46.

119. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.60, 82.

120. დ.ლეთოდინი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგების პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს. თბ., 1991, გვ.95.

121. გეორგია, ტ.2, გვ.222.

122. ბიჭიკო დიასამიძე. დასახ. ნაშრომი, გვ.157; ბ.კუდავა. დასახ. ნაშრომი, გვ.14.

123. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.69.

124. გეორგია, ტ.2, გვ.134-135.

125. გეორგია, ტ.3, გვ.297.

126. გეორგია, ტ.7, გვ.117.

127. გეორგია, ტ.6, გვ.229-230.

128. იხ. С.Лакоба. Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, с.12.

129. იქვე, გვ.11.

130. დ.ჩუბინოვი. ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახლთა კაპადოკიის ან ქანეთის მკვიდრთა მოსახლეთა. — ივერია, 1877, №14, გვ.10-11.

131. მ.ჯანაშვილი. ისტორიული სურათები, გვ.19; ვ.გოილაძე. ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო. თბ., 2002. ვახუშტი აღნიშნავდა, რომ შუამდინარეთიდან ჩამოსულმა მამებმა კათალიკოს ევლავიოზის ასურულად მისალმებაზე „ქართულ პასუხ-უგეს, რამეთუ უცნობელნი იყვნენ ორნივ ენათა ურთი-ერთა“ (ქ.ც. ტ.4, გვ.117). ასურელ მამათა ქართველობას უარყოფდა მ.კელენჯერიძე. იხ. მისი საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია. ქუთაისი, 1918, გვ.42-43.

132. თ.გვანცელაძე. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები, გვ.160-170; მისივე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, — არტანუჯი, 2000, №10, გვ.51-66.

133. თ.გვანცელაძე. ქართველური ქრისტიანული ტერმინების..., გვ.56.

134. იქვე, გვ.56-58; გ.როგავა, რელიგია და ეკლესია აფხაზეთში, გვ.33-34; Н.С. Джанашия. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми, 1960, გვ. 25, 55 და ა.შ.

135. თ.გვანცელაძე. ქართველური ქრისტიანული ტერმინების..., გვ.58, 66.

136. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.74. პროვოკატორი ლ.ვორონოვიც იგივეს წერდა: „Е.Кирион на вопрос, почему Абхазия должно непременно войти в автокефальную Грузинскую церковь, отвечал:”Грузия просветила их и имеет право на управление ими” (см. Церковные ведомости №47-й 1906 года) _ Абхазия _ не Грузия. М., 1907, с.11.

137. ჩვენ ვეყრდნობით ბ.კუდავას მონაცემებს. იგი სარგებლობს ნოტიციათა ახალი კრიტიკული გამოცემით (1981 წ.), რომელიც ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს ჟან დარუზესს. ბ.კუდავას აზრით, ახალი პუბლიკაცია უფრო სრულყოფილია, ნოტიციები ქრონოლოგიურ რიგზეა გაწყობილი და რამდენადმე განსხვავდება სიმონ ყაუხჩიშვილისეული (გეორგიკა, ტ.4, წ.2) პუბლიკაციისაგან. — იხ.ბ.კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-Xსს.); მისივე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინეპოლის დაქვემდებარებაში (VI-IXსს). — კლიო. საისტორიო აღმანახი, 2002, №15, გვ.180-197 და ა.შ.

138. ბ.კუდავა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები, გვ.185-187. ბ.დიასამიძე სებასტოპოლის საეპისკოპოსოს დაფუძნებას V-VI საუკუნეების მიჯნაზე, ხოლო „ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოდ“ მის გარდაქმნას VI ს.70-იან წლებში ვარაუდობს და

ამ პროცესებს ლაზიკაში ბიზანტიის პოლიტიკას უკავშირებს. —
ბ.დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, გვ.161.

139. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.4-5, 85-87.

140. გეორგიკა, ტ.4, წ.2, გვ.129.

141. გეორგიკა, ტ.4, წ.1, გვ.38-39; ქ.ც. ტ.4, გვ.749.

142. გეორგიკა, ტ.4, წ.1, გვ.45.

143. იქვე, გვ.46.

144. იქვე, გვ.47.

145. იქვე, გვ.49.

146. იქვე, გვ.50.

147. თ.ჟორდანი, ქრონიკები, გვ.88; ბ.კუდავა. დასავლეთ საქარ-
თველო, გვ.187-188. ანანია ჭაფარიძის აზრით, ფოტო „დიდი
სომხეთის“ სევასტოპოლისიდან იყო. იხ. მისი მსოფლიო საეკლესიო
კრებები, გვ.26-27.

148. ქ.ც., ტ.1.გვ.234-235.

149. იქვე, გვ.237.

150. იქვე, გვ.242.

151. ქართული მწერლობა, ტ.1, თბ., 1987, გვ.454.

152. О.Х.Бгажба. О крепости Ачапара (с.Арасадзых
Очамчирского района). _ Материалы по археологии и
искусству Абхазии. Сухуми, 1974, გვ.66-77; დ.მუსხელი-
შვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003, გვ.381; Русу-
дан Меписашвили. Дранда (Памятник архитектуры VIII
века). Тб., 1983, с.10; Д.Туманишвили. Средневековая
церковная архитектура в Абхазии. _ Разыскания по
истории Абхазии//Грузия, გვ. 375-390.

153. ლ.მარუაშვილი. მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები. თბ.,
1973, გვ.237, 241-242.

2. დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) სამეფოს ეკლესიური დამოუკიდებლობა და მართლმადიდებლობა აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე (VIII ს. მეოხე ნახევარი – IX ს. დასასხელი)

მართლმადიდებელი ქრისტიანობის განმტკიცებამ და მის ბაზაზე ერთიანი ქართული კულტურის განვითარებამ უსათუოდ შეუწყო ხელი ეროვნულ კონსოლიდაციას და სხვა საშინაო თუ საგარეო ფაქტორებთან ერთად განაპირობა VIII ს. 80-იან წლებში აფხაზეთ-ეგრისის გაერთიანება, დასავლურ ქართული მონოთეიკური, ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს — აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბება. „მატიანე ქართლისა“ - ში ამის შესახებ ვკითხულობთ: „ხოლო რაჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იღვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალეზულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ. და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა.¹ როგორც ზემოთ ითქვა, ლეონ II-მ კანონიერად დაიკავა ტახტის მემკვიდრის გარეშე დარჩენილი ეგრისი, ვინაიდან ლეონ I სამეფო უფლებების მატარებელი (გურანდუხტზე დაქორწინება და სიმამრის — მეფე მირის გვირგვინის ლეონისთვის გადაცემა) იყო; ეს უფლებები მის მემკვიდრეებზეც გადავიდა.

ვახუშტი გასაგებად მიუთითებდა, რომ აფხაზეთის სამეფოს სამი სახელი ჰქონდა: პირველად ეგრისი, მეორედ — აფხაზეთი, მესამედ იმერეთი. ანაკოფიის დასავლეთით მდებარე საკუთრივ აფხაზეთიც ადრე ეგრისად იწოდებოდა. აფხაზეთი ამ მხარეს, ვახუშტის აზრით,

ეგრისელებმა შეარქვეს. აფხაზეთის მთავრის ლეონ II-ის მეთაურობით ფაქტობრივად აღსდგა ძველი კოლხეთის//ლაზიკის//ეგრისის სამეფო, მაგრამ „არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი, აწ აფხაზეთი რვა საერისთაოდ“² — წერდა ვახუშტი.

აფხაზეთის სამეფოს შექმნას ავტომატურად ეკლესიის დამოუკიდებლობა არ მოჰყოლია. კიდევ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იგი კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მთავარი საეკლესიო ცენტრებიც იგივე დარჩა — ნიკოფსიისა (ჯიქეთის ეპარქია) და სებასტოპოლის (აბაზგიის ეპარქია) საარქიეპისკოპოსოები და ზიგანევის (ფაზისის ეპარქია) საეპისკოპოსო.

VIII ს. 20-იანი წლებიდან IX ს. 40-იან წლებამდე ბიზანტიაში არსებობდა საერო და სასულიერო ხელისუფალთა მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკურ-რელიგიური მიმდინარეობა — ხატმებრძოლობა. მისი რაიმენაირი კვალი აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) არ ჩანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხატმებრძოლობა, რომელსაც დიდი რაოდენობით მორწმუნეთა სიცოცხლე შეეწირა, ხელს უწყობდა ბიზანტიასთან აფხაზეთის პოლიტიკურ და რელიგიურ გაუცხოებას, ეკლესიის თანდათანობით ეროვნულ ნიადაგზე გადასვლას. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს XI ს. მწერლის გიორგი მერჩულეს ნაწარმოები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მასში აღწერილი აფხაზეთთან დაკავშირებული მოვლენები IX ს. პირველ ნახევარს — დემეტრე მეორის მეფობის (825-861 წწ) პერიოდს განეკუთვნება. ნაწარმოების მიხედვით, გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწენი („მოყუასთა“) თევდორე და ქრისტეფორე, რომლებსაც მონასტრის აშენება სურდათ, გრიგოლისაგან ფარულად აფხაზეთში ჩავიდნენ. მეფე დემეტრემ ისინი დიდი პატივით მიიღო „და ადგილსა კეთილსა დაამკვიდრა“. შეიტყო თუ არა გრიგოლ ხანძთელმა თევდორესა და ქრისტეფორეს წასვლის შესახებ, ფრიად შეწუხდა; მაშინათვე თან წაიყვანა „ოთხნი ძმანი“ და „წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწუჟმსი იგი კეთილი“. გრიგოლი თავის თანმხლებ პირებთან ერთად აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) ჩავიდა მეფე დემეტრესთან: „და მი-რაი-იწია წინაშე ხელმწიფისა მის, ზე აღდგა და წინა მოეგება და სიმდაბლით მოიკითხა, რამეთუ ზარი აჰხდა მადლთაგან სიწმინდე-

თამისთაისა და დიდებულეებისაგან პირისა მისისა“. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ნეტარი გრიგოლი დიდხანს ლოცულობდა მეფისათვის და „მრავალთა კურთხევითა შეამკო“. ამაზე მეფემ უპასუხა: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელი მოგიძლუა აქა, წმიდაო მამაო, არამედ ვინაი არს მიზეზი მოშრომისა შენისაი, მაუწყე მე“.

გრიგოლ ხანძთელმა მოახსენა, რომ აფხაზეთის სამეფოში იმყოფებიან „ძმანი ჩემნი“ და „მათთაის არს მოსვლავი ჩემი“; სთხოვა მათი მოყვანა. მეფემ უპასუხა: ასეთი მონაზონები აქ არ ჩამოსულანო. მაშინ განრისხებულმა გრიგოლმა კვლავ მოსთხოვა დემეტრეს მათი მოყვანა. ტყუილში მხილებული მეფე იძულებული გახდა მოეყვანა მონაზვნები, რომლებიც გრიგოლ ხანძთელმა სიყვარულით მიიღო.

მეფემ მიმართა ნეტარ გრიგოლს: „წმიდაო მამაო, აჰა იქმნა წადიერებაი ნებისა შენისაი. არამედ უფალმან ყავნ ნებაიცა გულისა ჩემისაი, რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შენებაი. აწ ბრძანე და მოვიხილეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და სადაცა სიწმინდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი“. მოიარეს „ქვეყანანი საგონებელნი სამონასტრედ“, მაგრამ ასეთი ადგილი ვერ იპოვეს. შეწუხებული მეფე ეუბნება მათ: „არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაი ამის ქუეყანისაი. ამის შემდეგ გრიგოლ ხანძთელმა „სარწმუნოებისაებრ მეფისა, აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბე, და ილარიონ ვინმე, იერუსალემით მოსრული, სარწმუნოი მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად... ხოლო ხელმწიფე იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის შენებისათვის და შეწირა საშენებლად მისსა ფრიად შესაწირავი“.

როცა დადგა აფხაზეთიდან ნეტარი გრიგოლის წამოსვლის ჟამი, მეფე დაინტერესდა კლარჯეთის უდაბნოთა მდგომარეობით, „რითა აუწყოს მას ადგილთა მათ წმიდათა ნიშანი ყოველი. და მამამან გრიგოლ ჰრქუა მას: „ღმრთისმსახურო მეფეო, დაღაცათუ (თუმცა — ჯ.გ.) ფრიად განვაპრავლო სიტყუაი, ვერავე მისწუთების გონებაი ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად შენდა, ვინაითგან წესი მონაზონებისაი მათ შორის აღორძინებულ არს... ხოლო

მეფე განმზიარულდა სიტყუათაგან ნეტარისა გრიგოლისთა და ფრიადი სარწმუნოებანი და სიყუარული დაამტკიცნა გულსა მისსა უდაბნოთა მიმართ კლარჯეთისა და ჰმადლობდა ქრისტესა, კეთილისმყოფელსა, ნებისმყოფელთა მისთანასა. და ესრეთ მშვიდობანი დაუტევს ხელმწიფესა მას და წარმოვიდეს აფხაზეთით“.³

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, აფხაზეთი წმინდა ქართული სახელმწიფოა, აფხაზთა მეფე — უდავოდ ქართველი მოღვაწეა. იგი ღრმად მორწმუნე ადამიანია, ზრუნავს ქართული ეკლესია-მონასტრების მშენებლობისათვის საკუთარ სამეფოში, თუმცა, ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ეკლესიურად სამეფო თითქოს ბიზანტიას ექვემდებარება, აინტერესებს სხვა ქართულ ტერიტორიაზე (კლარჯეთში) ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, ახარებს მიღწეული წარმატებები, დიდი პატივითა და მოკრძალებით იღებს და აცილებს ქართველ სასულიერო მოღვაწეებს, საუბრობს მხოლოდ ქართულად.

აფხაზთა სამეფოს დაარსებიდანვე თანდათანობით ეკლესიებიდან გაძევებულ იქნა ბერძნული ენა, ხოლო ქართული აღდგა ძველ უფლებებში.⁴ ს.ჯანაშიას მტკიცებით, „უკვე მეცხრე საუკუნის დამდეგიდან (თუ უფრო ადრე არა) აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა არის ქართული“.⁵

დასავლეთ საქართველოს ეკლესიების კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან გამოყოფასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. „მატიანე ქართლისა“ — შინათქვამია: „ხოლო ამან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“.⁶ საინტერესოა ერთი სახელმწიფოს — ქართველთა სამეფოს (ქართლ-მესხეთის) — მეთაურის ბაგრატ I მეფე-კურაპალატის (826-872 წწ) მიერ მეორე სახელმწიფოს — აფხაზეთის სამეფოს — საკათალიკოსოს დაარსების ფაქტი, რაც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთასთან კავშირის თუ ამ უკანასკნელის მიერ პირველის დამოუკიდებლობის აღიარების მანიშნებელია.

ივ.ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების დაახლოებას VIII-IX საუკუნეებში ვარაუდობდა და ამ დაახლოების მიზეზად საბერძნეთში მაშინ გაბატო-

ნებული მიმდინარეობა-ხატმებრძოლობა მიაჩნდა, რომელმაც საქართველოში ვერც შემოაღწია. იმ პერიოდში მცხეთაში ხელდასხმისათვის გაუთელი ეპისკოპოსი ჩამოვიდა, — წერს ივ.ჯავახიშვილი, მით უფრო მოსალოდნელია „ლაზიკის მიტროპოლიტის ხელდასხმა ქართლისა კათალიკოზისაგან მიეღო, ხოლო აფხაზეთის ავტოკეფალს არქიეპისკოპოსს საქართველოს მამამთავართან მჭიდრო კავშირი დაედო“.⁷

ნ.ბერძენიშვილი დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლისაგან გამოყოფას ბაგრატ აფხაზთა მეფის (881-893 წწ) ხანას უკავშირებდა, ხოლო პ.ინგოროყვა ამ მოვლენას IX ს. პირველი ნახევრით ათარიღებდა.⁸ სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, ეს მოხდა X საუკუნის დასაწყისში.⁹ მ.ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთისადმი დაქვემდებარების პროცესი IX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ შემთხვევაში იგი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ კონსტანტინოპოლს დაქვემდებარებულ კათედრათა პირველი ჯგუფის ნუსხების ყველაზე ნაგვიანევი ნუსხა 820-829 წლებშია შედგენილი (ამ ნუსხებით ნიკოფსიისა და ცხუმის საარქიეპისკოპოსოები, აგრეთვე ფაზისის სამიტროპოლიტოში შემავალი ზიგანევის საეპისკოპოსო კონსტანტინოპოლს ექვემდებარებიან), ხოლო მეორე ჯგუფის პირველი ნუსხა — X ს. დასაწყისში, უფრო კონკრეტულად 901-907 წლებში (ამ ნუსხაში მხოლოდ ცხუმის საარქიეპისკოპოსო ფიგურირებს).¹⁰

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხების ახალი ფრანგული გამოცემის (რომელსაც მისმა გამომცემელმა ჟან დარუზესმა ვრცელი გამოკვლევა დაურთო) საფუძველზე ახალგაზრდა მკვლევარები ბ.კუდავა და თ.ქორიძე ამტკიცებენ, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები, ცხუმის საარქიეპისკოპოსოს ჩათვლით, IX ს. 80-90-იან წლებში ერთდროულად გამოეყვნენ კონსტანტინოპოლს. ორივე ავტორი ეყრდნობა ფრანგი მეცნიერის იმ მოსაზრებას, რომ VI ნოტიცია, სადაც დასავლეთ საქართველოს ყველა საეკლესიო ცენტრი არის მოხსენიებული, 879 წლით თარიღდება, ხოლო VII ნოტიცია — იგივე ს.ყაუხჩიშვილის გამოცემის X^o — პარიზული გამოცემის მიხედვითაც, 901-907 წლებ-

შია შედგენილი; VII ნოტიცია სრული სახით 13 ხელნაწერშია დაცული,, სადაც სებასტოპოლის საარქივებისკოპოსო არ ჩანს, სხვა ხელნაწერებში კი მის შენარჩუნებას ე.დარუზესი ანაქრონიზმად მიიჩნევს, — ასეთია ბ.კულდავასა და თ.ჭორიძის არგუმენტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ექვს გაცილებით ადრე ს.ყაუხჩიშვილიც გამოთქვამდა. იგი წერდა: „მეორე წყობის ეკთესისებში (ნუსხებში — ჯ.გ.) ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ისინი ყველანი ეკუთვნიან იმ ხანას, როდესაც დასავლეთ საქართველოს კათედრები უკვე გამოსთიშვიან კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მაგრამ ერთი ეკთესისის მიხედვით „სებასტოპოლის“ არქივებისკოპოსი მაინც კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმია დაქვემდებარებული. ვინაიდან დასავლეთ საქართველოს არც ერთი სხვა კათედრა, რომელიც წინათ კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა, აღარ იხსენიება უკანასკნელის სამწყაოში. ძალიან საეჭვოა, რომ ერთი კათედრა (ცხუმის საარქივებისკოპოსო) ფაქტიურად დარჩენილიყოს კონსტანტინოპოლის პატრიარქის გამგებლობაში. მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სებასტოპოლის კათედრა ყველაზე პირველ ეკთესისშია დარჩენილი (ნოტიცია Xბ, 901-907 წლებისა), ხოლო არც ერთ მომდევნო ნუსხაში ის აღარ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ ის კათედრა მხოლოდ ფორმალურად არის იქ დატოვებული.“¹¹

დ.დბარი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო VIII ს. შუახანებში ჩამოყალიბდა, ხოლო IX საუკუნეში ავტოკეფალური გახდა; მიუხედავად ამისა, სებასტოპოლის ეპარქია კონსტანტინოპოლის ეკლესიის ნოტაციებში კვლავ ფიგურირებდა. „Так было и в отношении Тмутараканской епархии, которая несмотря на нахождение в состав новорожденной Русской Церкви, — წერს დ.დბარი, — в качестве титулярной встречается и в греческих актах XII и даже XIV веков.“

Однако допустимо и то, что Константинопольский Патриархат и после возникновения Абхазской церкви мог иметь автокефальную кафедру (то есть независимую от Абхазского Каталикоса) на территории Абхазии”.¹²

აფხაზეთის ქართული საკათალიკოსოს პარალელურად ბერძნული კათედრის არსებობა გამორიცხული ნამდვილად არ არის.

ბიჭიკო დიასამიძის მტკიცებით, აფხაზეთის სამეფომ მარჯვედ გამოიყენა ბიზანტიაში შექმნილი მძიმე ვითარება (სახალხო აჯანყება, არაბთა და ბულგართა გააქტიურება, ხატმებრძოლობა და ა.შ.) და დაახლოებით 835-842 წლებში ეკლესიურადაც ჩამოშორდა ბიზანტიას.¹³ აღნიშნულ მოსაზრებას ამაგრებს ქართლის ცხოვრების ცნობა 830 წელს ბაგრატ პირველის მიერ აფხაზეთის საკათალიკოსოს დაფუძნებისა და კათალიკოსის დანიშვნის შესახებ. არ არსებობს დამაჯერებელი არგუმენტი ამ ცნობის უარსაყოფად, როგორც ამას ნ.ბერძენიშვილი აკეთებდა. 879 წელს VI ნოტიციაში დასავლეთ საქართველოს კათედრების სრულად მოხსენიება, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს აფხაზეთის საკათალიკოსოს არარსებობას. როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლი დასავლეთ საქართველოს დაბრუნების იმედით (843-844 წწ. ლაშქრობა) დიდხანს არ აღიარებდა აფხაზეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ და ეკლესიურ დამოუკიდებლობას, ამიტომ აფხაზთა მეფეებს მთავრების ტიტულით მოიხსენიებდნენ, საეკლესიო ცენტრები კი საკუთარ ნოტიციებში შეჰქონდათ. არც ის არის გამორიცხული, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო თავდაპირველად ბერძნული კათედრების პარალელურად არსებული ქართული საეკლესიო ცენტრების ბაზაზე შექმნილიყო.

ანანია ჯაფარიძე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ანუ ქვემო ივერიის ბერძნული ეკლესიისაგან გამოყოფას VIII საუკუნეში ვარაუდობს, როცა კონსტანტინოპოლში ხატმებრძოლური ერესი მძვინვარებდა. იგი ეყრდნობა XVII ს. იერუსალიმელი პატრიარქის დოსითეოსის შემდეგ ცნობას: „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ. აქვთ ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ეს ეპარქიები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის საყდარს ფასიდის მიტროპოლიტის საშუალებით... ასე რომ, ერეკლეს შემდეგ (ე.ი. 610-

641 წლები შემდეგ — ჯ.გ.) — ლევ ისავროსამდე (ლეონ III — 717-741 წწ. — ჯ.გ.) ქვემო იბერია უკვე იყო ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რომელი იმპერატორის დროს და რომელ კრებაზე მიანიჭეს მას ავტოკეფალია... ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა“ ... ანანია ჯაფარიძე კიდევ ერთ იერუსალიმელ პატრიარქს — ხრისანფის (XVII ს.) იმოწმებს. რომელიც ამბობდა: „საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს... ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე გოთეთის ეპისკოპოსი ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ (გულისხმობს არა მცხეთის, არამედ „ქვემო იბერიის“ კათალიკოსს, ეპ.ან.), რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი. ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე (ლევ ისავროსამდე-ჯ.გ.), ქვემო იბერია“ საარქიეპისკოპოსო გახდა“ ...¹⁴

ხრისანფის მიხედვით გამოდის, რომ ანტიოქელი ქრონოგრაფის ცნობა VIII ს. შუახანებში ქართლის საკათალიკოსოსათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ, რომელმაც ეფრემ მცირეს თარგმანის („უწყუბაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“) მეშვეობით ჩვენამდე მოაღწია, სინამდვილეში დასავლეთ საქართველოს ეხება. საინტერესო ცნობას გვაწვდის ანტიოქიის პატრიარქი მაკარი. პატრიარქ თეოფილაქტეს დროს, — წერდა იგი, — „აფხაზთა მეფე დავითმა მრავალნი მიავლინა ანტიოქიას, რათა პატრიარქს ისინი ეპისკოპოსებად ეკურთხებინა. ამათგანზე თავს დაესხნენ ავაზაკები, წაართვეს მთელი ძღვენი, თან რომ მიჰქონდათ, და ბევრი ამოხოცეს. ავაზაკებს (მხოლოდ) ორი კაცი გადაურჩა, რომელთაც მიაღწიეს ანტიოქიას და მის პატ-

რიარქს — თეოფილაქტეს აცნობეს თავიანთი ამბავი და ის უბედურება, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში მათთან ერთად სხვებსაც თავს დაატყდათ; ისიც, რომ მათი ქვეყანა დიდ გასაჭირშია იმის გამო, რომ ეპისკოპოსის ხელდასხმის უფლება არ გააჩნია.

ამ საქმესთან დაკავშირებით პატრიარქმა შეკრიბა მღვდელმთავართა უმრავლესობა და ამ წმიდა კრებამ დაადგინა მათთვის ეკურთხებიან კათალიკოსი, რომელიც ეპისკოპოსებს ხელთდასხამდა; ამ კათალიკოსს მღვდელმსახურებისას ანტიოქიის პატრიარქი უნდა მოეხსენებინა. (საეკლესიო კრებამ) ისიც დაადგინა, რომ ყოველ წელს ანტიოქიის პატრიარქი ქართველებს გამოუგზავნიდა ეგზარხოსს მღვდელმთავართა და არქონტთა დანაშაულებრივ საქმიანობათა გამოსაძიებლად, აგრეთვე სოფლებიდან შემოწირულობის ასაკრეთად. ამის თაობაზე ანტიოქიის პატრიარქმა ფირმანი უბოძა იმ ორ ლტოლვილს და კენჭი უყარა: ერთი მათგანი კათალიკოსად აკურთხა (მას სახელად იოანე ერქვა. ის იყო ქართველების პირველი კათალიკოსი. ტახტი აფხაზთა ქვეყანაში ედგა). მეორე კი — ეპისკოპოსად. პატრიარქმა ორივენი აქეთკენ გამოაგზავნა“.¹⁵

თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ 744-750 წწ. ხელდასხმულ იოანეს ვგოილაძე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) პირველ (ავტოკეფალურ?) კათალიკოსად მიიჩნევს და თვლის, რომ ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს იმპერიაში ხატმებრძოლობის დროს გუთელი ეპისკოპოსის იოანეს ბიჭვინთაში დაახლოებით 758 წელს ხელდასხმის ცნობილი ფაქტი.¹⁶

აღსანიშნავია, რომ ანტიოქიაში კურთხეული კათალიკოსი იკავებს არა რომელიმე ბერძნულ „ავტოკეფალურ“ კათედრას, არამედ ზის ბიჭვინთაში. მიუხედავად კონსტანტინოპოლის მხრიდან მისი დაკნინების მცდელობისა (იგი ჩაანაცვლეს სებასტოპოლით, არ მოიხსენიებოდა ნოტიციებში და ა.შ.), ბიჭვინთა რჩებოდა და აბაზგიის გაძლიერებასთან ერთად ვითარდებოდა როგორც ხატმებრძოლობის საპირწონე მნიშვნელოვანი ქართული საეკლესიო ცენტრი, სადაც, ალბათ, მხოლოდ გუთელი ეპისკოპოსის კურთხევა არ მომხდარა. ბერძნული კათედრების პარალელურად ბიჭვინთაში საეკლესიო ცენტრის არსებობა VII-VIII საუკუნეებით დათარიღებუ-

ლი კონსტანტინე აბაზგისა და თეოდორიტი ეპისკოპოსის შეკიდული ბეჭდების იქ აღმოჩენითაც დასტურდება.¹⁷

ანტიოქიაში აფხაზეთის კათალიკოსის VIII საუკუნეში კურთხევის უარყოფა მარტო იმ მოტივით, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლს ექვემდებარებოდა, დამაჯერებელი არ არის ამ ფაქტის რეალობას არაპირდაპირ ადასტურებს „მცნებაი სასჯულოც“, რომელმაც XV ს. საფუძველი დაუდო ავტოკეფალურ აფხაზეთის საკათალიკოსოს. დოკუმენტში ანტიოქიის პატრიარქი ამბობდა, რომ ის ჩამოვიდა საქართველოში, ჩატარდა „გამოძიებაი და მოკითხვაი გუართა, დავთართა, და იადგართა“ და დადგინდა, რომ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარხთაგან „იკურთხეოდინან“.¹⁸

ქვემო იბერიის (დასავლეთ საქართველოს) ავტოკეფალია, — წერს ანანია ჭაფარიძე, — სრული არ ყოფილა, ვინაიდან წმ. მირონს ანტიოქიაში ყიდულობდა (როგორც ეფრემ მცირეს ნაწარმოებშია საუბარი); ეს ის პერიოდია, როცა არაბთა შემოსევების გამო მცხეთის საკათალიკოსო განადგურებულია; მაგრამ გრიგოლ ხანძთელისა და სხვა დიდ მამათა ღვაწლით, „ზემო იბერიის“ ეკლესია გაძლიერდა, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთში; გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ, კათალიკოსმა დიდმა არსენმა მოაგვარა აფხაზეთის საკათალიკოსოსა და იერუსალიმს შორის არსებული მირონის საკითხი. თვით იერუსალიმის პატრიარქის თანხმობით, მირონი „ქვემო იბერიის“ (აფხაზეთის) საკათალიკოსოს მცხეთიდან უნდა მიეღო; ამით ქართული ეკლესიის ერთიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. ასეთია ანანია ჭაფარიძის მოსაზრება.¹⁹

ეაჯინჯალი კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის ცნობილ წერილებზე დაყრდნობით უარყოფს ქართულ და აფხაზურ (ზ. ანჩაბაძე) ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს და ამტკიცებს, რომ „до конца X века, а то и в начале XI века Абхазская церковь подчинялась одному из главных христианских центров — Константинополю, а не Мцхете, как об этом пишут большинство историков Грузии“.²⁰

ნიკოლოზ მისტიკოსი ორჯერ იყო კონსტანტინოპოლის პატრი-

არქი — 901-907 და 912-925 წლებში. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, მისი სამივე წერილი აბაზგიის მმართველისადმი დაწერილია აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის (922-957 წწ.) სახელზე 922-925 წლებში.²¹ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, წერილი №51 ყველაზე ადრინდელია და აფხაზეთის მეფის — კონსტანტინე III-ს (893-922 წწ.) სახელზეა გაგზავნილი, ხოლო №46 — 916 წელს იქნა გაგზავნილი გიორგი II-ის სახელზე.²² ვინაიდან ეს უკანასკნელი 922 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა, მისი მისამართით გაგზავნილი წერილი 916 წელს ვერ დაიწერებოდა.

გავეცნოთ სრულად ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებს „გეორგიკაში“ გამოქვეყნებული თანმიმდევრობით. წერილი №46 ეგზავნება „უზეშთაესსა და ჩვენს საყვარელ შვილს აბაზგიის ბრწყინვალე მთავარს“. წერილში ნათქვამია:

„შენი უნეტარესი მამის გარდაცვალების გამო, ჩემო შვილო, როგორც მოსალოდნელი იყო დამწუხრებული ვართ და თანაუფრძნობ შენს დამწუხრებულ გულს და ყველა იმათგან, რომლებსაც კი აქვთ უნარი უყვარდეთ ადამიანი, ვაჟკაცობითა და სიკეთით შემკული, განსაკუთრებული იყო მამაშენი, ყველას მიერ ქებული და განცვიფრების ღირსად აღიარებული. ჩვენ მაინც გვაქვს მწუხარების შემამსუბუქებელი საბუთი, რადგან ღვთის განგებამ განსაჯა რომ მისი ძალაუფლების მემკვიდრე იყო შენ, მისი ღვიძლი ნაშობი, ნაყოფი მისი თესლისა და მის საკუთარ ერს მისცა შესაძლებლობა გხედავდეს შენ როგორც იმის ხატს, ვინც ამ ფუჭ ცხოვრებას გამოეშალმა. აი, ეს გვიმსუბუქებს ჩვენ მწუხარებას და ღვთის წყალობას გვადიდებინებს. მადლობა შევწირეთ და მადლობას ვწირავთ და ვვედრებით ღვთიურ სიკეთეს, რომ არაფერში მოგაკლდეს მამისეული წარმატებები, არამედ კიდევ უფრო გადააჭარბო, და ისეთი მამა და მთავარი იყო ხელქვეითათვის, რომ ღვთის არჩევანი, საქმით გაამართლო და შენი მამა, ეგოდენ უნეტარესი, გამოაჩინო შენი ზნით და ვაჟკაცობით, მოიხვეჭო ამ წუთისოფელში მუდამ სახსოვარი დიდება, ხოლო სამომავლოდ უკვდავი სახელი, პატივი და ნეტარება. წყალობის ნიშნად გიგზავნი წარმოსასხამს; ალანის არქივისკოპოსის შესახებ მოსაწერი არაფერი მაქვს. შენ

საკმაოდ შეგნებული და გონიერი ხარ და მამაშენის საქმიანობასაც იცნობ, რომ ადამიანთა ხსნისათვის, ღვთის დიადი სახელის დიდებისათვის, საზოგადოდ და ჩვენი წერილის გარეშეც, შენი მოღვაწეობით გვერდში ამოუდგე მას (ე.ი. მამას) და მონაწილეობა მიიღო მის შრომაში, რათა ღვთის მეგობრებს მიანიჭო კუთვნილი საზღო. და თუ მას (აღანთა არქიეპისკოპოსს — ჯ.გ.) ამ ტომში, უცხო ქვეყანაში მყოფს, რამე უჭირს ცხოვრების პირობების შესამსუბუქებლად, აღმოუჩინე დახმარება გულისხმიერად, რადგან შენ ღმერთმა ამის ძალა მოგანიჭა; დე იყოს ასე და დაეხმარო დამაშვრალეშს შენ, როდესაც უხვად გაქვს ეს ძალა“.²³

წერილი №51 ეგზავნება „აბაზგიის ბრწყინვალე მთავარს“. ნიკოლოზ მისტიკოსი წერდა:

„შენმა ღვთისმოსავობამ და უმწიკვლო ქცევამ, ღვთის კაცო, აღგვიძრა სიყვარული შენდამი. და, აი, პირველად მოგმართავ შენ წერილით და, თითქოს მანდ ვიყო, ჩაგვეკონები და მამობრივი კოცნით გეამბორები. შენი ღვთისმოსავობის საბუთია შენი ღვთისნიერი სწრაფვა, რომელიც გამოიჩინე და იჩენ, რომ აღანთა ტომი იხსნა და ქეშმარიტება შეაცნობინო. ჩვენ შევიტყვეთ ზოგიერთებისაგან, რომლებმაც შეისწავლეს შენი ვაჟკაცობანი, რომ შენ ღვთის ცნების მიხედვით დიდი ამაგი დასდე და განანათლე აღანთის მმართველი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთად ღირსი გახდა წმინდანათლისღებისა. შენ ქცევათა უმწიკვლოობისა და ქველმოქმედების სხვა რა საბუთი იქნება უფრო თვალსაჩინო? ან სხვა რა მოწმობაა საქმებარი? საკმარისია შენი სტუმართმოყვარეობა, მზრუნველობა და სხვა ყოველგვარი წუხილი, რომელიც შენ გამოიჩინე სულით და გულით ჩვენი შვილის, ღვთივუსაყვარელის არქიეპისკოპოსის მიმართ. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ იმას, ვისაც ძალუძს, მრავალკეცად აუნაზღაუროს საბოძვარი ამ წუთისოფელში და მომავალშიც, რათა მან თავისი მდიდარი გულშემატკივრობის მიხედვით სანაცვლოდ გაამრავლოს წყალობანი, დაგიცვას შენ ახლა ყოველგვარი უბედურებისაგან და ადამიანურ საქმეთა სიმრუდისაგან, ხოლო სამერმისო ცხოვრებაში ჩაგრიცხოს შენ თავის საყვარელ მახლობლებში და იმათ რიცხვში, ვინც მის მსახურებს შეადგენენ. თუ კი, სანამ შენ

შეგიძლია, ღვთიერუსაყვარლესი არქიეპისკოპოსი შენი ვაჟკაცობის ნუგეშისცემას მიიღებს, ჩემო შვილო, საერთოდ ესეც მიუმატე შენ წინანდელ კარგ საქმეებს და მიიღე ქველმოქმედი ღმერთისაგან საზღაური მრავალკეცად“.²⁴

მესამე წერილში (№162) ნიკოლოზ მისტიკოსი ადრესატის სახელსაც უთითებს: „აბაზგიის მთავარს გრიგოლს“ (იგულისხმება გიორგი II). წერილის შინაარსი ასეთია:

„კეთილშობილ ადამიანებს და განსკუთრებით იმათ, ვისაც ღმერთმა ძალაუფლება მიაკუთვნა, რომ სხვებისაგან განსხვავდებოდნენ, მოეთხოვებათ, რომ გამოირჩეოდნენ სხვებში სიკეთითაც, მაგრამ არა მხოლოდ ხორციელი კეთილშობილებით უნდა გამოირჩეოდნენ, არამედ უფრო მეტად სულიერი ბრწყინვალეებითაც იყვნენ შემოსილი. ჩვენ გვსმენია, რომ შენ, ჩემო შვილო, ასეთი ხარ და ძალიან გვიხარია, და ჩვენ ვთხოვთ ღმერთს, რომელიც ყველა სიკეთის მიზეზია, რომ შენ უფრო და უფრო დაგამშვენოს ამგვარი კეთილშობილი თვისებებით, გამოგაჩინოს ამ ცხოვრებაში როგორც კარგი ნიშნუში მთავრის ძალაუფლებისა, ხოლო ამ ფუჭი ცხოვრებიდან გასვლის შემდეგ მიანიჭოს შენს მემკვიდრეებს, რომელნიც შენს სამთავრო ტახტზე იქნებიან დაყენებული, ძალა, რომ აღაპყრონ თვალნი შენს თვისებებზე და არაფერი მოაკლდეთ მამისეული სიკეთიდან და ბედნიერყოფიდან. რაც შეეხება იმას, რასაც შენ ბულგართა შესახებ იწერები, მე არ ვიცი ღვთის რა გადაწყვეტილებებით მისდევს კიდევ ბოროტ მტრობას და მშვიდობის სიკეთე არ იშუამავლა. შენ კი, ჩემო შვილო, მეფური ღირსებისა და ნათელისა კვალობაზე დაიცავი მეგობრობის სიწმინდე, შენს თავში შეინახე მოკავშირეობის ქველი სული და ერთგულება და თუ საჭიროება მოგიჩნობს, მაინც აღასრულე ძიებული (ე.ი. ისწრაფე სანუკვარისაკენ) როგორც კეთილგონიერმა შეგნებულმა მეგობარმა, რათა ამაშიც ნათლად გამოჩნდეს შენი ვაჟკაცობა და გულრწფელი მეგობრობა“.²⁵

მოსაზრება, რომ წერილი №51 უფრო ადრინდელია, ვიდრე №46, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, ამას ადასტურებს როგორც ნიკოლოზ მისტიკოსის სიტყვები — „პირველად მოგმარ-

თავ“ (№46), ისე ალანებთან დაკავშირებული მისი საუბრები. წერილში №51 ნიკოლოზ მისტიკოსი აბაზგიის მთავარს ეუბნება, „დიდი ამაგი დასდევ და განანათლევ ალანიის მმართველი“-ო, ხოლო 46-ე წერილში ალანიის არქიეპისკოპოსთან დაკავშირებით გიორგი II-ს სთხოვს გააგრძელოს მამის შრომა. ეს ყუველივე იმას ნიშნავს, რომ 51-ე წერილის ადრესატი არის კონსტანტინე III და აღნიშნული წერილი 922 წლამდეა დაწერილი.

მიუხედავად ე.აჭინჯალის მტკიცებებისა, ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აბაზგიის (დასავლეთ საქართველოს) მმართველებისადმი ამ დასავლურქართული სახელმწიფოს ბიზანტიისადმი პოლიტიკურ და ეკლესიურ დაქვემდებარებაზე არანაირად არ მიუთითებენ. ჭერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ბ.მელიორანსკი, ეხებოდა რა ნიკოლოზის წერილებს, აღნიშნავდა, რომ „ჩვენს წინაშეა არა მარტო მათიანე, არამედ დიპლომატიური მიწერ-მოწერა, რომელიც, ერთი მხრით, ამბებს აგვიწერს მეტად ზოგადად, ხოლო მეორე მხრით, ტენდენციურია“ (Византийский Временник, X, 1903, გვ.514).²⁶ ამ შეფასებას ს.ყაუხჩი შვილიც იზიარებდა.

გაუგებარია, რატომ მიმართავს ნიკოლოზ მისტიკოსი VIII ს. ბოლოდან დამოუკიდებელი დასავლეთ საქართველოს მეფეებს მთავრის ტიტულით? ძველი ტრადიციითა და იმპერიული აზროვნების ინერციით ხომ არაა? რასაც არ უნდა წერდეს კონსტანტინოპოლის პატრიარქი და რა ახსნაც არ უნდა მოვუძებნოთ მას, დანამდვილებით ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს VIII ს. ბოლოდან მთავრები კი არა, მეფეები განაგებდნენ. 162-ე წერილიდან ირკვევა, რომ ურთიერთობა ბიზანტიასთან იყო არა ქვეშევრდომული, როგორც ე.აჭინჯალს ეჩვენება, არამედ სამოკავშირეო და მეგობრული, რომლის შენარჩუნება-განმტკიცებისკენაც მოუწოდებდა იმპერიულად მოაზროვნე პატრიარქი გიორგი II-ს.

სამივე წერილი კონკრეტულ მიზანს ემსახურება და ის, როგორც წესი, ტექსტების ბოლო ნაწილში მკლავნდება. 51-ე და 46-ე წერილებში კონსტანტინოპოლის პატრიარქს ალანიის არქიეპისკოპოსისათვის დახმარების აღმოჩენა აინტერესებდა. თავად ნიკოლოზ მისტიკოსის მონაწილეობით 901-907 წლებში შედგენილ კა-

თედრათა ნუსხაში ალანიის არქიეპისკოპოსის მოუხსენებლობამ (იმ არქიეპისკოპოსისა, რომელზეც ასე ზრუნავდა ნიკოლოზი და რომელთანაც მიწერ-მოწერაც ჰქონდა), ს.ყაუხჩიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ იგი იჯდა არა ალანიაში, არამედ აფხაზეთში — სავარაუდოდ ბიჭვინთაში.²⁷ სწორედ ამიტომ მიმართავდა პატრიარქი აბაზგიის მეფეებს თხოვნით, მზრუნველობა არ მოაკლონ „უცხო ქვეყანაში“ (ე.ი. არა საკუთარ ალანიაში, არამედ აბაზგიაში) მყოფ არქიეპისკოპოსს.

საინტერესო დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა 162-ე წერილი. ავტორი „მეგობრობის სიწმინდის“ დაცვის, „მოკავშირეობის ქველი სულის“ შენარჩუნების, „კეთილგონიერებისა“ და „გულწრფელი მეგობრობის“ გამოჩენისაკენ მოუწოდებს გიორგი II-ს. უნდა ვივარაუდოთ, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძლიერი და ქართული ეროვნული კულტურის მოამაგე მეფე ამგვარ თვისებებს არ ამჟღავნებდა იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც აბაზგიის დამოუკიდებლობას ბოლომდე არ ცნობდა (მეფეთა მოხსენიება მთავრის ტიტულით და ა.შ.) და ქვეყნის უსაფრთხოებისათვის გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენდა. გამორიცხული არ არის, ბულგართა მტრობაც აბაზგიაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით კონსტანტინოპოლის ინსპირირებული ყოფილიყო. იცოდა რა ამის შესახებ, გიორგი II ბიზანტიას წერილობით მიმართავდა. პასუხად კი ნაცნობი (46-ე წერილი) და გარკვეულწილად „დავალებული“ (ალანიის არქიეპისკოპოსზე ზრუნვით) პატრიარქისაგან იღებს წერილს „გონიერებისა და გულწრფელი მეგობრობის“ გამოვლენის მოწოდებით, რომლის შემდეგაც საგარეო საფრთხე მოიხსენებოდა. გარკვეულ დამაბულობაზე ურთიერთობებში მეტყველებს მიმართვის ფორმაც. 51-ე წერილში აბაზგიის მეფე „ბრწყინვალე“ მთავრად, 46-ში — „უზეშთაეს“, „საყვარელ“ და „ბრწყინვალე“, ხოლო 162-ე წერილში, უბრალოდ, „აბაზგიის მთავრად“ იწოდება. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. გვეჩვენება, რომ მუქანარევ და „დამრიგებლურ“ 162-ე წერილში ნიკოლოზ მისტიკოსს აბაზგიასთან გაცივებული ურთიერთობის გამოსწორება აინტერესებდა, ხოლო ე.აჭინჯალის მსჯელობა პატრიარქის უფლებამოსილებაზე

დაარეგულიროს კონფლიქტები, აფხაზეთის ურთიერთობა მეზობლებთან და ა. შ. სრულიად უსაფუძვლო და არასერიოზულია. 162-ე წერილის მიხედვით, ასეთი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავის წერილებში არ ეხება ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობას აფხაზეთში, არ ახსენებს და არ მიმართავს (თუნდაც მეფესთან ერთად) მღვდელმთავრებს, რათა მათაც ეზრუნათ ალანიის არქიებისკოპოსზე. აბაზგიის ეკლესიის კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში ყოფნის შემთხვევაში ეს იქნებოდა ძალზე უცნაური და ალოგიკური. სინამდვილეში კი, 901-907 წლების კათედრათა ნუხსების თანავეტორმა ნიკოლოზ მისტიკოსმა შესანიშნავად იცოდა დასავლეთ საქართველოს (აბაზგიის) ეკლესიის კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებიდან გასვლის შესახებ.

ერთი სიტყვით, ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებში, რომლებიც იმპერიული დიპლომატიის პრიზმაში უნდა განვიხილოთ, მინიშნებაც კი არ გვხვდება X ს. დასაწყისში აბაზგიის ეკლესიის კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში ყოფნის თაობაზე. მით უმეტეს, ზედმეტია პოლიტიკურ დაქვემდებარებაზე საუბარი.

ჯერ-ჯერობით უცნობია აფხაზეთის პირველ კათალიკოსთა ვინაობა, მათი კურთხევის ზუსტი დრო და ადგილი, თუმცა უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ 744-751 წლებში ანტიოქიაში კურთხეული იოანე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) პირველი კათალიკოსია. ეს გახლდათ ხატმებრძოლობასთან დაკავშირებული დროებითი ღონისძიება; მისი მიზანი ბიზანტიური ერესისაგან ეკლესიის დაცვა უნდა ყოფილიყო. ვახუშტი ადასტურებდა, რომ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო შეიქმნა „უამსა აფხაზთა მეფეთათა“. მისი აზრით, დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ „საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კათალიკოსისა ნებითავე ბერძენთათა“.²⁸ ვახუშტი თავის ნაშრომის იმ ნაწილში, რომელსაც ჰქვია „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ უფრო ვრცლად საუბრობდა ამ საკითხზე და წერდა: „გარნა უზისთ კათალიკოსი თვისი, და არა საჩინოდ უწყებული ცხორებიდამ, თუ როდეს განთავისუფლდა. არამედ მწერა-

ლი იტყვის ცხორებისაგანვე: ოდეს განდგა ლეონ და იწორა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძღვრებულ იყვნენ ბერძენნიცა; და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაითგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინეს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოსსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისა და იმერეთისასა“. ²⁹ ამ და სხვა ცნობების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის (ბიჭვინთის) საკათალიკოსო ბიზანტიის ბატონობის პერიოდშიც არსებობდა; მისი დაფუძნება წინ უსწრებდა დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ბიზანტიისაგან ეგრის-აფხაზეთის გამოყოფის კონსტანტინოპოლში აღიარება და ბერძენთა ნებით აფხაზეთის საკათალიკოსოს განთავისუფლება (და არა შექმნა) ერთდროულად ხდება. მთლიანობაში, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს დაარსებისა და მისი აღიარების დროში გაწეული ისტორია ასე გამოიყურება: იგი დაფუძნდა VIII ს. პირველ ნახევარში (720-750 წწ. შორის) ანტიოქიის პატრიარქის ხელდასხმით; კათალიკოსი იქნა ბიჭვინთაში; მირონს ჯერ ანტიოქიიდან, შემდგომში მცხეთისაგან იღებდა; აფხაზეთის საკათალიკოსოს ავტოკეფალია მცხეთამ 830 წელს, ხოლო კონსტანტინოპოლმა საბოლოოდ IX ს. 80-90-იან წლებში აღიარა.

დამოუკიდებლობის აღიარებამდე აფხაზეთის საკათალიკოსოს, ალბათ, ბერძნული კათედრების პარალელურად არსებული ქართული (არახატმებრძოლური) ეკლესიები ექვემდებარებოდნენ. სავარაუდოდ, ისინი წარმოადგენდნენ ღრმად მორწმუნე, ქრისტიან-მოყვარული აფხაზთა მეფეების მთავარ დასაყრდენს. ბიზანტიის პოლიტიკის გამტარებელი ბერძნული კათედრები აფხაზეთის მეფეთა დასაყრდენი ვერ იქნებოდნენ, რაზეც ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ეს კათედრები პირველი შესაძლებლობისთანავე კი არ გარდაქმნეს, კი არ გააქართულეს, არამედ საერთოდ გააუქმეს.

აფხაზეთის საკათალიკოსო იმთავითვე მცხეთასთან იყო დაკავშირებული. ეს კავშირი (და არა ერთიანობა), შესაძლოა, თავდაპირველად კათალიკოსის კურთხევაში, მცხეთიდან მირონის მიღებასა და კულტურულ ურთიერთობებში გამოიხატებოდა.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას კულტურული აღმავლობა მოჰყვა. ეგრის-აფხაზეთის ეკლესია ქართული მწიგნობრობის, განათლებისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. კულტურის მოღვაწენი აფხაზთა მეფეების მხარდაჭერითა და მფარველობით სარგებლობდნენ. დასავლეთ საქართველოდან იყო მიქაელ საბაწმინდელის მარტვილობის „აბუკურას“ ავტორი; აფხაზეთის მეფის გიორგი II-ს მხარდაჭერით სარგებლობდა მისსავე სამეფოში მოღვაწე ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი; მარტვილის ტაძარში სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა X ს. ცნობილი მთარგმნელი და ჰიმნოგრაფი ჭყონდიდელი სტეფანე სანანოს ძე. აფხაზეთში დაიწერა ეგრის-აფხაზეთის მეფეთა მატთანე VIII-X საუკუნეებისა.³⁰ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთ საეკლესიო და სამწერლო ენას აფხაზეთში ქართული ენა წარმოადგენდა, რომ აფხაზთა სამეფოში არსებობდა და ვითარდებოდა მხოლოდ ქართული კულტურა. თვით აფხაზი მწერლისა და ისტორიკოსის დიმიტრი გულიას აზრით, არსებობენ „многочисленные научно - проверенные факты, которые неопровержимо говорят, что абхазы жили всегда одной исторической и культурной жизнью с грузинами, что абхазы, собственно, те же грузины...“

Неоспоримым образом установлено, что уже в Абхазском царстве, во всяком случае с середины IX в., грузинский язык является единственным языком письменности, государственного и частного делопроизводства, церковного обихода и богослужения. Эту роль свою грузинский язык и культура в Абхазии не теряли и в последующий период феодального раздробления Грузии и выделения Абхазского княжества”.³¹

დ.გულიას სიტყვებს მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ მეცნიერებისათვის უცნობია აფხაზთა სამეფოში აფსუური ან სხვა არაქართული კულტურის ძეგლების შექმნის, არაქართულენოვანი მოსახლეობის იქ მოღვაწეობის დამადასტურებელი რამენაირი ფაქტი.

2 დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქ.ც., ტ.1, გვ.251
2. ქ.ც., ტ.4, გვ.742, 783-784, 795-796.
3. ქართული მწერლობა, ტ.1, გვ.553-557.
4. ანანია ჯაფარიძე. აფხაზეთის ეპარქია. — ჯვარი ვაზისა, 1995, გვ.13.
5. ს.ჯანაშია. შრომები II. თბ., 1952, გვ.306.
6. ქ.ც. ტ.1, გვ.255.
7. ივ.ჯავახი შვილი. თხზ., ტ.2, თბ., 1983, გვ.122.
8. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ.45-46; პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ.244.
9. გეორგიკა, ტ.4, წ.2, გვ.193-201.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973, გვ.423-424; ჯვარი ვაზისა, 1995, გვ.53.
11. ბ.კუდავა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები... გვ.193-195; თ.ქორიძე. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია (IX-X სს.). ავტორეფერატი, თბ., 2003, გვ.9-11; გეორგიკა, ტ.4, წ.2, გვ.201.
12. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.5-8 (დ.დბარის წინასიტყვაობა).
13. ბიჭიკო დიასამიძე. დასახ. ნაშრომი, გვ.215-220.
14. ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.2, გვ.90-91.
15. არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., 1982, გვ.89-90.

16. ვ.გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ.169-178 (გუთეთთან ახლოს მდებარე კათასთან VIII ს. ქართული ეკლესიის აღმოჩენა, რომელიც თავის დროზე კირიონ საძაგლიშვილმა გამოიკვლია, იოანე გუთელის ბიჭვინთაში ხელდასხმის შესაძლებლობას ირიბად ადასტურებს. — ანანია ჭაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.2, გვ.221). ვ.გოილაძის მოსაზრებებს უარყოფს ბ.კუდავა. — იხ. მისი დასავლეთ საქართველოს ეკლესია, გვ.35.

17. ბიჭიკო დიასამიძე. დასახ. ნაშრომი, გვ.114-115.

18. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.221, 222 (იხ.დანართი №4).

19. ანანია ჭაფარიძე. აფხაზეთის ეპარქია, გვ.15; მისივე საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ტ.2, გვ.97-108.

20. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.101.

21. გეორგიკა, ტ.4, წ.2, გვ.217.

22. Е.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ.89, 91.

23. გეორგიკა, ტ.4, წ.2, გვ.212-213.

24. იქვე, გვ.214-215.

25. იქვე, გვ.215-218.

26. იხ. იქვე, გვ.209.

27. იქვე, გვ.218.

28. ქ.ც., ტ.4, გვ.785, 796.

29. იქვე, გვ.746.

30. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, გვ.426-427; ანანია ჭაფარიძე. აფხაზეთი, გვ.44-45.

31. Д.Гулия. О моей книге "История Абхазии". Сухуми, 1951 (Репринтное издание. Тб., 1998), გვ. 10, 15.

3. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეკლესიური ერთიანობა და ქრისტიანობა აფხაზეთში (X ს. - XV ს. შუახანები)

აფხაზეთის ქართული ეკლესია-მონასტრები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან გამოყოფამ დააჩქარა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის „ნაციონალიზაცია“, ბერძნული გავლენისაგან განთავისუფლება, გაქართულება (და არა „გაქართველება“, „ქართიზაცია“). ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით აფხაზეთის მეფეებს, რომლებიც სრულიად საქართველოს გაერთიანებისათვის იწყებენ ბრძოლას. ისინი ენერგიულად ანხორციელებდნენ გიორგი მერჩულეს ეროვნულ კონცეფციას: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების. სწორედ ეგრის-აფხაზეთში განვითარებულ ეროვნულ-კულტურულ და სახელმწიფოებრივ-საეკლესიო პროცესებს ეფუძნება გიორგი მერჩულეს ზოგადქართული კონცეფცია. არსებითად ეს იყო არა იმპერიული, არამედ ეროვნული — დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობის — იდეოლოგია, რომელიც აფხაზეთის მეფეთა მისწრაფებებს გამოხატავდა.

ქვეყნის ეკლესიური გაერთიანება X ს. პირველ ნახევარშია სავარაუდებელი, რასაც ადასტურებს 951 წელს დაწერილი გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. აფხაზთა მეფეებს საქართველოს გაერთიანებისათვის სჭირდებოდათ მცხეთის მხარდაჭერა, რაც ქართული ეკლესიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების არა მხოლოდ კავშირის, არამედ გაერთიანების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. ამ ფაქტორმა დააჩქარა ეკლესიის გა-

ერთიანება. X საუკუნეში საქართველოს უკვე ჰყავდა კათალიკოსი იოვანე „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქის“ ტიტულით. ეს ტიტული მიანიშნებდა, რომ იგი თავის იურისდიქციას ავრცელებდა ქართლზეც და აფხაზეთზეც; „ყოველი აღმოსავლეთი“ — X-XI სს. ბიზანტიურ-ქართული წყაროების მიხედვით, სრულიად საქართველოს ეწოდება.²

ბიზანტიისაგან გამოყოფამ და საქართველოს სულიერმა გაერთიანებამ მძლავრი იმპულსი



მისცა ენგურის ჩრდილოდასავლეთით ეკლესიის განვითარებას. ეს პროცესი მეტი ინტენსიურობით გრძელდება XI ს. დასაწყისიდან, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. სწორედ იმ პერიოდში არის აგებული უნიკალური ქართული ტაძრები. მათ შორის აღსანიშნავია აფხაზთა მეფის ლეონ III-ს (957-967 წწ.) აშენებული მოქვის საკათედრო ტაძარი. გიორგი II-ს ვაჟი ლეონი გამე-

ფებამდე ქართლის ერისთავი იყო. მამის გარდაცვალების შესახებ იმ დროს შეიტყო, როცა კახეთში ლაშქრობდა. მაშინათვე ზავი შეკრა კახეთის მეფესთან (კვირიკე II) და აფხაზეთში დაბრუნდა. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თვისსა, რამეთუ მაშინვე შთავიდა აფხაზეთად. და განადიდა უფალმან ღმერთმან მეფობა მისი მსგავსად მამისა მისისა. იყო იგიცა ღმრთისმოყვარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“.³ ტაძარი სამნავიანი, სამლოცველოების მწკრივით განაპირა ნავების გასწვრივ. აღმოსავლეთის მხრიდან სამი შვერილი აფსიდა აქვს. შუა (საკურთხევლის) აფ-

სიდა შიგნიდან ნალისებრი ფორმისაა, გარედან ხუთწახნაგაა. გუმბათი ეყრდნობა შენობის ცენტრში აღმართულ ოთხ ბოძს. კვადრატისგან გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია აფრების საშუალებით. გუმბათის თორმეტწახნაგა ყლი დაბალია. შენობა შემოსილია თლილი ქვის პერანგით.⁴

მოქვის საეპისკოპოსო ფუნქციონირებდა XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე. აქ მოღვაწეობდნენ საკმაოდ ცნობილი ქართველი მღვდელმთავრები გრიგოლ მაგნისძე (XII ს.), დანიელი (1300 წლის ახლო პერიოდი), აბრაჰამი (XIV ს. I ნახევარი), ამბრია (XIV ს.), ლუკა ოძრხელი (1363 წლის ახლო პერიოდი), ელია (1414 წლის ახლო პერიოდი), რომანოზი (XV ს. I ნახევარი), ფილიპე ჩხეტიძე (XV ს.) , ექვთიმე საყვარელიძე (XVI ს. II ნახევარი, აფხაზეთის კათალიკოსი 1578-1614 წწ.), ანდრია საყვარელიძე (1660-1666 წწ.)⁵ და ა.შ.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ს (985-1014 წწ.) სახელთან არის დაკავშირებული ბედიის ტაძრის მშენებლობა, რომელიც ახალი საქართველოსა და მისი მეფის ძლევა-

ბედიის ტაძარი



მოსილების ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. „ქართლის ცხოვრებამ“ ასეთი ცნობა შემოგვინახა: „ამანვე დიდმან მეფემან ალაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუ-

დაჯესა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ხე-
ვითა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვ-
ლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. უკე-
თუ თუ ვისმე ენებოს განცდად და გულისყოფად სიმადლისათვის



ბედიის
ხარბიზი

დიდებისა მისისა, პირველად
განიცადოს სამკაული ბედიისა
ეკლესიისა, და მისგან გულისხ-
მა ყოს, რომელ არავინ ყოფილ
არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუ-
ეყანასა ქართლისასა და აფხა-
ზეთისასა“.6 მემატინანე პირდა-
პირ წერს, რომ ბედიის საეპის-
კოპოსომ შეცვალა გუდაჯესის
საეპისკოპოსო. თავისთავად ეს
არის მნიშვნელოვანი ფაქტი.

დიდ მეფეს არ სურდა ბერძნების მიერ დაფუძნებული საეპისკო-
პოსოს შენარჩუნება. „გუდაჯესის კათედრის გადატანა ბედიისაში უნ-
და ყოფილიყო შედეგი საქართველოს აღორძინებისა, რომელსაც
მოჰყვა საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაცია“,7 — წერდა ამ-
ბროსი ხელაია. ეს პროცესი „ნაციონალიზაციისა“ სხვა ყოფილ
ბერძულ საეკლესიო ცენტრებსაც შეეხო.8 ძველის მოშლა, ახა-
ლი ქართული ტაძრების მშენებლობა და საეკლესიო ცენტრების
დაფუძნება ხელს უწყობდა უცხო გავლენისაგან საბოლოო განთა-
ვისუფლებას, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას, სარწმუნო-
ების შემდგომ განმტკიცებას; ხაზს უსვამდა ქვეყნის დამოუკიდებ-
ლობისა და ძლიერების ფაქტს. ვახუშტი წერდა: ბაგრატ მეფემ ბე-
დიას ააშენა „ეკლესია დიდ — შუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმ-
დიდრითა დიდითა ფრიად. ამისთვის წერილს არს: „ვისაც გენებოს
სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ ნ-დ (54-ე — ჯ.გ.) მეფისა, გინიხილე
ბედიის ეკლესია და მით სცნობ“. დასუა ეპისკოპოზი ოდიშისა, და
აწცა ზის, და მწყემსი არს ან დადის — წყლისა (ენგუერი — ჯ.გ.) და
მოქვის წყლის შუათისა ადგილთა. აქავ მიიღო იგივე მეფე ბაგრატ
ზვიად ერისთავმან და დაფლა“.9 ბედიის ტაძრის მშენებლობის დას-

რულება და საეპისკოპოსოს დაარსება 999 წლით თარიღდება.¹⁰ იგი ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. აქსაუკუნეების განმავლობაში ესვენა ვლადიმერის ღვთისმშობლის (ორანტის ტიპის) ხატი და ღვთისმშობლის სასწაულ მოქმედი სარტყლის ნახევარი. ეს სიწმინდეები საქართველოში კონსტანტინოპოლიდან 1031 წელს ჩამოაბრძანა საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ს თანამეცხედრემ, დედოფალმა ელენემ, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ III-ს (1028-1034) ძმის — ბასილის ასული იყო. სარტყელი ხატის ბუდეში ყოფილა მოთავსებული. ვლადიმერის ღვთისმშობლის ხატი და სარტყელი შემდგომში დადიანების მთავარ სიწმინდეს წარმოადგენდნენ.¹¹

ბედიის ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგი ასე გამოიყურება: გიორგი (X-XI სს. მიჯნა), სოფრონი (1014-1027 წწ.), იოანე სვინგელოზი (1065 წლის ახლო პერიოდი), სვიმონ გულაბერისძე (1118-1141 წწ.; ის იყო ბედიელ-ალავერდიელი და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), ნიკოლოზ გონგლიბაისძე (XIII ს. 80-90-იანი წლები; აფხაზეთის კათალიკოსი), მიქაელ გონგლიბაისძე (1305 წლის ახლო პერიოდი), სოფრონ გონგლიბაისძე (XIII-XIV სს.), ლაზარე (XIV ს.), მარკოზი (XIV-XV სს. მიჯნა), გრიგოლი (XV ს. 20-40-იანი წლები), იოაკიმე (ცაიშელ-ბედიელი, აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხეს 1470-1474 წწ.), მელქისედეკი (XV ს. II ნახევარი), ანტონ ჟვანისძე (XVI ს.), კვირილე ჟვანისძე (1572-1582 წწ.), ნიკოლოზ მხეიძე XVII ს. I ნახევარი), ექვთიმე (XVII ს. 30-ნი წლები) ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი (XVII ს. შუახანები), ანდრია (1664-1666 წწ.), გაბრიელ ჩიქოვანი (XVII ს. 80-იანი წლები; ჭყონდიდელ-ცაგერელ-ბედიელი), გერმანე ჩხეტისძე (XVII-XVIII სს.), მაქსიმე იაშვილი (XVIII ს. 50-60-იანი წლები),¹² და ა.შ. ბედიელები, ისევე როგორც აფხაზეთის სხვა სასულიერო პირები, ქართველები იყვნენ.

უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და კულტურული ცენტრი გახდა ღვთისმშობლის კათედრა. სამწუხაროდ, ზუსტი ცნობები საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ შემონახული არ არის. მისი მიახლოებითი განსაზღვრის საშუალებას იძლევა ზემო სვანეთში ლენჯერის თემის სოფ. ლაშთხვერში მთავარანგელოზის ეკლესიაში აღმოჩენილი

ხატი (წმ.იოანე მახარებლისა და წმ.პროხორეს გამოსახულებით) ასეთი წარწერით: „წმიდაო იოანე მახარებლო, ადიდე საბადრანდელი“ გიორგი ჩუბინაშვილის მიერ ხატის XI ს. პირველი მესამედით დათარიღება საშუალებას იძლევა დრანდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი XI ს. დასაწყისით ან უფრო ადრინდელი პერიოდით განისაზღვროს.¹³

რა ბედი ეწია ცხუმისა და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოებს? კონსტანტინოპოლისაგან გამოყოფის შემდეგ ისინი წყაროებში არ ჰოიხსენიებიან. პ.ინგროვყას მონაცემებით, ეს ორი ძველბერძნული ქრისტიანული ცენტრი გაუქმდა და მათ ნაცვლად დაფუძნდა, უფრო მართებული იქნება ვთქვათ, გაძლიერდა, გაფართოვდა ახალი ქართული ცენტრი — ბიჭვინთის კათედრა, რომელიც აფხაზეთის კათალიკოსთა რეზიდენციად იქცა.¹⁴ ბიჭვინთის სახელგანთქმული ტაძარი არა იუსტინიანეს დროს, არამედ XI საუკუნეშია აშენებული. მან „მოცვალა“ ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო. ალბათ, ამ ფაქტსაც უკავშირდება თქმულება სიმონ კანანელის ნიკოფსიოდან ბიჭვინთაში გადმოსვენების შესახებ,¹⁵ აგრეთვე ვახუშტის ჰცდარი მოსაზრება ნიკოფსიისა და ბიჭვინთის იგივეობის (იმ მოტივით, რომ სიმონ კანანელი, როგორც ბატონიშვილი თვლიდა, ბიჭვინთაშია დაკრძალული) შესახებ.¹⁶

არსებობა შეწყვეტა ცხუმის საარქიეპისკოპოსომ. უნდა ვივარა-


დრანდის ტაძარი




უდოთ, რომ იგი დრანდამ შეცვალა, ისევე როგორც გუდაყა — ბელიამ.

XI-XIV საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავალი ეკლესია-მონასტერი აშენდა. გუდაუ-

თის რაიონის სოფ. ლიხნში დღესაც დგას კარგად შენახული X-XI სს. კიდევერთი ქართული ქრისტიანული ტაძარი ქართული წარ-



წერებითა და ფრესკებით. თავისი არქიტექტურული სიდიადით იგი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია აფხაზეთის სხვა ქართულ



ქრისტიანულ ძეგლთა შორის.¹⁷

XI ს. დასაწყისში აშენდა ილორის (ოჩამჩირის რ-ნი) წმ. გიორგის ეკლესია — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავი. პროპორციების მოხდენილობითა და შესრულების

ტექნიკის დონით ილორის ეკლესია ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომელშიც ჩანს შუა საუკუნეების საქართველოს წამყვანი რაიონ-



ილორის ტაძარი



ნების მხატვრული მისწრაფებანი. ილორის ეკლესია აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან სხვადასხვა ხანის მინაშენები აქვს. აღმოსავლეთ ფასადზე შემონახულია ძველი ქართული წარწერებიანი ხუთი ქვა, რომლებიც XI ს. პირველი მეოთხედით თარიღდება.¹⁸

X-XI საუკუნეებში არის აშენებული ბიჭვინთის სახელგანთქმული ტაძარი, მიუსერას (გუდაუთის

ბიჭვინთა



რ-ნი), ბზიფის ხეობის (ციხე-კოშკების ტერიტორიაზე), კამანის ტაძრები, აგრეთვე ეკლესიები კოდორის შესართავთან, ლაშქან-დარში (ტყვარჩელის ერთ-ერთი მთა), ჯგერდაში, ქიაჩში. X საუკუნეშია აღდგენილი ანაკოფიის უძველესი ტაძარი. 1032-1073 წწ, როცა ანაკოფია დროებით ბიზანტიას ეჭირა, ივერიის მთაზე წმ. თევდორეს ეკლესია აშენდა, სადაც, სავარაუდოდ, სევასტოპოლიდან გადმოტანილი საეპისკოპოსო კათედრა ფუნქციონირებდა. შუასაუკუნეების ეკლესია-მონასტრები მოქმედებდნენ კალდახვარაში, მუგუძირხვაში, ზვანდრიფში, ჯირხვაში, ბლაბურხვაში, ბარმიში, ოთხარაში, ყულანურხვაში, აცში, გუმისთაში, მერხულში, ჯგერდაში. ქლოუში და სხვაგან. რამდენიმე პატარა ეკლესია არსებობდა სოხუმის ირგვლივ (XII-XIII სს.) — ბირცხაში, ოდიში (აკაფის ეკლესია), იაშთუხაში; ბესლეთის ქართულწარწერიან ხიდთან ახლოს შედარებით კარგად შენარჩუნებული ეკლესიის გვერდით აღმოჩენილია სასახლის ნანგრევებიც. XIX ს. 80-იან წლებში რუსმა და სხვა ეროვნების მოახალშენებმა წებელდის ტყეებში რამდენიმე უძველეს ეკლესიას მიაგნეს — მაჭარკის ხეობაში (სოფელ ოლგინსკოეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), ვორონოვის მამულთან („იასოჩკა“) ახლოს, აპიანჩას მთაზე (ორი ეკლესია), მდ.კელასურის ნაპირებზე (სამი ეკლესია), სოფ. გეორგიევსკოესთან; სოფელ პოლტავსკოეში აღმოჩენილ ეკლესიაში, რომელიც დ.ბაქრაძემ შეისწავლა, რამდენიმე ძვირფასი საეკლესიო ნივთი იქნა ნაპოვნი.¹⁹ ეს ნივთები (სულ 24) სიონთან არსებულ სიძველეთა საცავში (მას გარდაცვალებამდე განაგებდა დ.ბაქრაძე, შემდეგ — თ.ჟორდანიან) იქნა გადატანილი. მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების მოთხოვნითა (1894 წ.) და ეგზარქოსების — პალადისა და ვლადიმირის ძალისხმევით, ისინი მოსკოვის მუზეუმს გადაეცა.²⁰

გუდაუთის რაიონის სოფ. ბომბორაში არსებობდა ორი ეკლესიისაგან და სამეურნეო ნაგებობებისაგან შემდგარი სამონასტრო კომპლექსი. ერთი ეკლესია X-XI საუკუნეებშია აშენებული, მეორე — XIII-XIV სს. ამ ძეგლს თანამედროვე აფხაზები (აფსუები) აილაგა-აბიკუს (მაცდუნებელ კოშკს) უწოდებენ. ეს უცნაური და, შეიძ-

ლება ითქვას, მკრეხელური სახელი უკავშირდება ლეგენდას ყაჩაღის შესახებ, რომელიც იმ ადგილებში ღამ-ღამობით გემების მაცდუნებელ ცეცხლს ანთებდა.²¹ ამ ფაქტიდან კარგად ჩანს, რომ აფსუათა წინაპრებს ბომბორის სამონასტრო კომპლექსი არ აუშენებიათ და იქ არ უღოციათ.

XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება კელასურის ტაძარი. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიხედვით, სოხუმიდან სამ კილომეტრში იმყოფებოდა ნანგრევები „ეკლესიისა ოხვამე“ და კელასურის კედლისა. იმავე ადგილას მ.სელეზნიოვმაც დაათქსირა ტაძრის ნანგრევები, რომელსაც „ტუზემცები“ ოხვამეს ეძახიანო. არც ერთმა და არც მეორე ავტორმა, სამწუხაროდ, არ იცოდა სიტყვა „ოხვამე“-ს მნიშვნელობა (ეკლესიაა მეგრულად); პ.უვაროვა კი მიხვდა, რომ „ოხვამე“ იყო არასაკუთარი, არამედ ეკლესიების საზოგადო სახელი, მაგრამ იგი აფხაზურ სიტყვად მიიჩნია.²² სინამდვილეში, „ოხვამე“ აფხაზური ენის მიერ ნასესხები ერთ-ერთი აშკარად მეგრული სიტყვაა. კელასურის ტაძრის საზოგადო სახელი (ოხვამე) მისი მრევლის ეროვნულ კუთვნილებაზე ღალატებს. უცხოელი ავტორები კი ნებსით თუ უნებლიედ საქართველოს ისტორიას აყალბებდნენ.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიამონასტრები ქართული სულიერების ერთ-ერთ საფუძველს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, სადაც ჩქეფდა ქართული მწიგნობრული და შემოქმედებითი მუშაობა. ამ მხრივ აღსანიშნავია მოქვის ტაძარი. პალეოლოგოსთა ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია 1300 წელს დანიელ მოქველის თაოსნობით ძველი ქართული ნუსხა — ხუცურით გადაწერილი, 152 მინიატურით მდიდრულად დასურათებული ოთხთავი; გადამწერი და გამფორმებელია ბერი ეფრემი.²³

მდინარე ენგურიდან მდ. ფსოუმდე მოფენილ ქრისტიანულ ტაძრებს, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს და ქართველთა სალოცავებს, ქართული ეპიგრაფიკა ამშვენებს. ბიზანტიის გავლენით ადრე არსებული ბერძნული ეპიგრაფიკა IX საუკუნიდან (კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებისაგან ეკლესიის განთავისუფლების შემდეგ) ქართულმა შეცვალა. მისი ნიმუშები ამჟამინ-

დელი აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე გვხვდება.²⁴

გუდაუთის რაიონში ს.პრიმორსკოეს მახლობლად მთაზე (მსიგხუა) ძველი ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილია IX-X სს. ქართული ასომთავრული წარწერები („ქრისტე შეიწყალე მიქაელ, ამინ“, „მიქაელ ამინ“); X-XI საუკუნეებით თარიღდება ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის კედლის ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ტექსტი: „ქრისტე კურთხეულ ხარ ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა დასაბამითგან წელთა ხქით (6669) ქს სპვ (286=1066 წ.) მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიქტიონსა აპრილსა ლ შ თუესა ვარუსკლავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიადსა აღმოვლიდის და წინა მისსა ვითარცა შარავანდი ღიდი მოკიდებით მას ზედა ესე იქმნა ბზობითგან აღვსებამდე“. წარწერა ეხება მეფე ბაგრატ IV-ს დროს კომეტის გამოჩენას. ასტრონომების გაანგარიშებით, ეს მოვლენა 1066 წლის 11-13 აპრილს უნდა მომხდარიყო. ლიხნის კედლის კიდევ ერთ წარწერაში (XI ს.) საქართველოს მეფე გიორგი I არის მოხსენიებული.

XI საუკუნით თარიღდება სოფ. ანუხვის (გუდაუთის რ-ნი) ეკლესიის ნანგრევების სიახლოვეს აღმოჩენილი გიორგი ბასილისძის სამშენებლო (ასომთავრული) ათსტრიქონიანი წარწერა შემდეგი ტექსტით: „სახელითა ღმრთისაითა, აღვაშენე ჭუარი ესე სახელსა ზედა ღმრთისასა მამისა ძისა, სულისა წმიდისსა მე, გიორგი ბასილისძემან. აწ ვინცა ევედრებოდეთ, ჩუენ გ-(ვ)ნივე ძმანი ლოცვასა მოგუიხსენენით; ამენ იყავნ“. სოფელ ანუხვაში ნაპოვნ XI ს. სხვა წარწერაში წმინდანები ბასილი, გიორგი, თევდორე, დიმიტრი და მერკური არიან მოხსენიებული, ხოლო XII ს. წარწერაში — წმინდა მთავარანგელოზი და გაბრიელი.

სოფელ სამათოს (გუდაუთის რ-ნი) დანგრეულ ეკლესიაში ნაპოვნია XI ს. ქართული წარწერა, სადაც იუდეველთა მეფეზე და ქრისტეს ჭვარცმაზეა საუბარი.

XII საუკუნით თარიღდება სოფ. ხუაფის (გუდაუთის რ-ნი) ეკლესიის ნანგრევებში ნაპოვნი ქართული სამშენებლო წარწერა, სადაც კვითხულობთ: „აღაშენა წმიდაი ესე ეკლესიაი... მამადმთავარ-

მან... მეფობასა გიორგისა, ოდეს... დაიბადა... მისსა. წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ იყავ წინაშე ქრისტესა“. ტექსტში მოხსენიებული მეფე უნდა იყოს გიორგი III, ამიტომ წარწერაც 1156-1178 წწ. თარიღდება; ლ. შერვაშიძე და ა. ავიძბა წარწერაში მოხსენიებულ პიროვნებას, ატხაზთა მეფე გიორგი მეორესთან აიგივებენ. აღნიშნული მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, ს. ხუფის წარწერა (რომელიც თითქოს შესრულებულია მეფის ქალიშვილის გურანდუხტის დაბადების აღსანიშნავად) და ეკლესიის მშენებლობა Xსაუკუნით უნდა დათარიღდეს.

სოხუმში ბესლეთის თაღოვანი ხიდის XI ს. ცნობილი წარწერის („ქრისტე, მეუფეო ყოველთა უმეტესად აღიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი...“) გარდა, მდ. კელასურის მარჯვენა მხარეს ორი ტაძრის ნანგრევებში ნაპოვნია რკინის ჯვარი და სხვა ნივთები ქართული წარწერებით. კ. ა. ვლადიმეროვი ამის თაობაზე წერდა: „Затем было с острями серебряный золоченный обреза, куски окладок с иконов с грузинскими буквами церковно-заглавными и кусочки цветного стекла“.

გულრიფშის რაიონში XI-XIV საუკუნეების ქართული წარწერები გვხვდება. წებელდის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა XI ს. შემდეგი ქართული წარწერა: „წმიდაო თევდორე შეიწყალე მიქაელ“. იქვე ძველი ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილი ქვის ერთ-ერთ ფილაზე ასეთი ქართული წარწერაა: „ამით ჯუარისა მაშენებელსა ლუკას მარტინკეს შეუნდოს ღმერთმან. ამინ“. წებელდაში ნაპოვნია XIII-XIV სს. რამდენიმე ქართული წარწერა. ქართული წარწერებითაა შემკობილი წმ. ეკატერინესა და იოანე ნათლისმცემლის ხატები. სოფ. პოლტავსკოეს (ბაღმარანი) XIII ს. ქართულ წარწერებში მოხსენიებულია ერისთავი და სახლთუხუცესი აბოლასანი იობის ძე.

ოჩამჩირის რაიონში ქართული წარწერები აღმოჩენილია ილორში, ბედიაში, მოქესა და ქლოუში. ერთ-ერთი საგნის ნატეხზე არის წარწერა: „წმ. გიორგი ილორის“. იგი XI საუკუნით თარიღდება. XI-XII სს. განეკუთვნება ილორის მხედრულით შესრულებული შემდეგი წარწერა: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე... გიორ-

გი...“ XI-XII საუკუნეებშია შესრულებული ილორის ხუსხური და ასომთავრული კიდევ ოთხი წარწერა: „წმიდაო... ლ მიქაელ... სა... ე... შენ; „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გალატოზი“; „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გიორგი გურგენის ძე“; „წმიდაო გიორგი, შეიწყალე გიორგი ქოჩოლვაი მღვდელი, წმიდაო გიორგი, მფარველ მექმენ დიდსა მას დღესა“. XIII საუკუნითაა დათარიღებული ილორის ხატზე შესრულებული წარწერა: „ქ.წმიდაო გიორგი ილორისაჲო, აღიდენ და სუფევენ ორთავე შინასუფევეათა ძლიერი და უძლეველი ღვთივგვირგვინოსანი მეფე დავით ძე რუსუდანიისი, რომლისა ბრძანებითა გამოიქედა ხატი ესე ილორისა მთავარმოწამისა“.

მოქვის XII ს. ასომთავრული წარწერა მიმართავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, იყოს მფარველი გრიგოლისა და მიქაელ მაგძნისძის: „ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, მეოხ და მფარველ ექმენ გრიგოლის და მიქაელ მაგძნისძესა“.

მრავალფეროვანია ბედიის ტაძრის X-XVIII სს. ქართული ეპიგრაფიკა. X ს. დასასრულის ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, რომ ეს ტაძარი სიმონ გალატოზუხუცესს აუშენებია. ქართული წარწერა ამშვენებს ბაგრატ III და გურანდუხტ დედოფლის მიერ ბედიის ტაძრისათვის შეწირულ ოქროს ბარძიმს (999 წ.). „ქ.წმიდაო ღმრის მშობელო მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ მეფისა და მათსა გურანდუხტ დედოფალსა. ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდის საყდრისა აღმაშენებელთა. ამინ“. ბარძიმის ფეხზე, რომელიც დაკარგულია, XVII-XVIII სს. მიჯნაზე შესრულებული ქართული წარწერა ყოფილა. იგი დ. ბაქრაძისეული რუსული თარგმანითაა შემონახული: „Пресвятая Влахернская Богоматерь, будь помощью мне бедил митроиолиту Герману Чхетидзе, удостоившему украсить ножку святой сей чаши, да будешь ходатайницей перед сыном твоим в день судный, амин“. ბედიის ტაძრის ლაპიდარულ, ფრესკულ და ქედურ წარწერებში მოხსენიებულია აგრეთვე მეფეთა მეფე კონსტანტინეს (დავით ნარინის ძე), მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ და სოფრონ ბედიელების, ანტონ ჟვანის-

ძის, დედოფალთ დედოფლის მარიხისა და გიორგი დადიანის (ლ.ახალაძის მტკიცებით, მარიხი ვამეყ I დადიანის (1386-1396 წწ.) მეუღლეა, ხოლო გიორგი — მათი უფროსი ვაჟი) სახელები.

ქლოუს ეკლესიის ნანგრევებში XIII-XIV სს. ქართულწარწერია-ნი ქვა აღმოაჩინეს. აი, მისი ტექსტი: „ერისთავთ ერისთავი მანდა-ტურთუხუცესი დღნ ობს. შეუნდენ ღმრეთმან“.

რამდენიმე ქართული წარწერაა გალის რაიონში აღმოჩენილი. აქედან უძველესია X-XI სს. მიჯნაზე შესრულებული (მ.მოსეშვილის აზრით) დიხაზურგის წმ. ბარბალეს სახელობის ეკლესიის ნანგრე-ვებში ნაპოვნი წარწერა, სადაც „კალატოზთუხუცესი გრიგოლი“ არის მოხსენიებული. XI საუკუნით დათარიღებულ ს.ღუმურიშში ნაპოვნი წარწერაში, რომელიც ნაწილობრივ დაზიანებულია, შემ-დეგი სიტყვები იკითხება: „ღმერთო შეიწყალე ორთავე ცხოვრება-სა შინა ამის ტაძრისა მაშენებელი დედოფალთა დედოფალი საგდუხტ ნიანიას ასული, ამენ“. XI საუკუნით თარიღდება აგრეთვე სოფ.წკელიკარის დარბაზული ტიპის ეკლესიის სამი წარწერა, რომელთაგან პირველი ორი (დაზიანებულია) ასომთავრულით, ხოლო მესამე — ნუსხურიითაა შესრულებული. აი, ეს ტექსტებიც: „ესე სა-კურთხეველი მე... აღვმართე; წმიდაო გიორგი, შეიწყალე... ჟამთა...“; „წმიდაო გიორგი მწყელიკარისაო, მეოხ ეყავნ წინაშე ღმრთისა მო-ნასა შენსა (თა)რკილ(ს) დღესა მას განკითხვისსა“; „წმიდაო გიორ-გი, შეიწყალე რ-შ; მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ თა-ნამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ მთელს დანარჩენ საქართველოში, უპირატესად მის აღმოსავლეთ ნაწილში, აფხაზე-თის მეფეთა სახელით ან მათი მოხსენიებით შესრულებული საეკ-ლესიო წარწერები.²⁵ ერთ-ერთი ყველაზე უძველესი მათ შორის, არმაზის (ახალგორის რ-ნი) ეკლესიის სამშენებლო წარწერაა (864 წ.), რომელშიც აფხაზეთის მეფე გიორგი I (806-877 წწ.) მოიხსენიება.

ცხინვალის რეგიონის სოფ.ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის ფა-სადზე შესრულებულ წარწერაში (906-914 წწ.) აფხაზეთის მეფე კონსტანტინე III ბაგრატიის ძე (895-922 წწ.) მოიხსენიება (904 წლი-

დან ქართლიც ეკავა); წარწერის ავტორია ხუროთმოძღვარი თევდორე თაფლაისძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ეკლესიის მშენებლობა მან დაიწყო 906 წელს „ხელმწიფობასა ღმრთივდამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთის შიგან, ჰერთა მეფეი გააქცია და მუნით მშვიდობით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრემას გადაჰხთა, მეორედ კულა ავიდა ვეჯინისა ციხე დაღეწა...“ კონსტანტინე III მოიხსენიება აგრეთვე ქარელის რაიონის სოფ. სამწვერისის ტაძრის წარწერაში (912 წ.), საიდანაც ვიგებთ, რომ ამ ეკლესიის მშენებლობა კონსტანტინე მეფის ზეობის მეოცე წელს დაწყებულია. სამშვილდის (თეთრიწყაროს რ-ნი) სიონის ტაძრის წარწერა გვამცნობს, რომ მისი მშენებლობა კონსტანტინე III-ს მეფობის მეოცე წელს დაწყებულია და ლეონ III (957-967 წწ.) ზეობის მეოთხე წელს დასრულებულია.

ათხაზთა მეფის გიორგი II-ს (922-957 წწ.) სახელით შესრულებული წარწერა ნაპოვნია წალენჯიხის რაიონის სოფ. ობუჯის ეკლესიაში. მასში ნათქვამია: „+ წმიდაო ეკლესიაო მეოხ მეყავ მე გიორგი მეფესა წინაშე ღმრთისასა“. გიორგი II-ს ეკუთვნის ამავე სოფლის ქიაჩის ეკლესიაში (ათსუების მიერ XVII ს. ბოლოს მოქვის საეპისკოპოსოში მდებარე სოფ. ქიაჩის ეკლესიის განადგურების შემდეგ ს.ობუჯში აშენებული ეკლესია, სადაც დაასვენეს იმ დანგრეული ეკლესიიდან წამოღებული ქიაჩის ხატი) აღმოჩენილ სამწერობელზე (ქიაჩის ხატზე) შესრულებული წარწერაც: „სახელითა ღმრთისაითა, მე გიორგი მეფემან დავსხენ ესე სამწერობელნი წმიდასა ამას ეკლესიასა ქიაჩს სალოცველად სულისა ჩემისათვის მღვდელნო რაჟამს შესწირვიდით ხორცსა და სისხლსა ქრისტესა ლოცვასა მომიხსენეთ ამენ. წმიდაო ღმრთისმშობელო მეოხ მეყავ წინაშე ძესა შენისა და ღმრთისა ჩვენისა, მე გიორგი მეფესა“

ხოზის ტაძარში აღმოჩენილია ლეონ III შეკვეთით დამზადებული ღმრთისმშობლის ხატი, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: „+ ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა სულსა ლეონ მეფისა“. ლეონ III იხსენიება სოფ წირქოლის (ახალგორის რ-ნი) ეკლესიის სავედრებელი ხასიათის შემდეგ წარ-

წერაში: „დანელი იტყუის: მიხსენ მე უფალო პირისაგან ლომთა-
ისა იხსენ სასჯელისაგან გაბრიელ მთავარანგელოზ ლეონ მეფე“. ლეონ III სახელს ახსენებს აგრეთვე კუმურდოს (ახალქალაქის რ-ნი) სამშენებლო წარწერა.

როგორც ვნახეთ, აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე IX საუკუ-
ნიდან მხოლოდ ქართული ქრისტიანული ეპიგრაფიკა დასტურდებ-
და, აფსუური კი, ცხადია არ ფიქსირდება, ვინაიდან ეს ხალხი მაშინ
ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა. ქართული ეპიგრაფიკის არ-
სებობა სხვა წყაროებთან ერთად დასტურებს, რომ თანამედროვე
აფხაზეთი იყო მხოლოდ ქართველებით დასახლებული ტერიტო-
რია. ადგილობრივი ქრისტიანული ტაძრების, რეგიონის უძველესი
მატერიალური კულტურის შემომქმედი და კანონიერი მემკვიდ-
რეა ქართველი ხალხი — ისტორიული აფხაზი.

აფხაზეთის ფარგლებს გარეთ — დანარჩენ საქართველოში არ-
სებული აფხაზეთის მეფეებთან დაკავშირებული წარწერები მათ
ეთნიკურ წარმომავლობაზე (ქართველობაზე), პოლიტიკურ, კულ-
ტურულ და რელიგიურ-სარწმუნოებრივ საქმიანობაზე მიუთითებ-
ენ; ისინი ცალსახად დასტურებენ, რომ აფხაზეთის სამეფო ქარ-
თული სახელმწიფო იყო, მას განაგებდნენ საქართველოს გაერთი-
ანებისათვის მებრძოლი, ღრმად მორწმუნე, ეკლესია-მონასტრების
მშენებლობისათვის მზრუნველი ქართველი მეფეები. აფსუური
კულტურის რამენაირი კვალი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართვე-
ლოში იმ დროისათვის არ ჩანს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, თანამედროვე ეტაპზე რუსეთში და
მსოფლიო არენაზე საქართველოს ისტორიის ყველაზე თავზედი და
პროფესიონალი ფალსიფიკატორი ვ. შნირელმანი, რომელიც მის
მიერ გამოყენებული შრომებიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ
იციოდეს აფხაზეთის ზემოთმოტანილ ქართულ ეპიგრაფიკას,
თუნდაც მის ნაწილს, უსინდისოდ ატყუებს მკითხველებს და
ცინიკურად აცხადებს, თითქოს ქართველ მეცნიერებს მუდამ
ახსოვთ მხოლოდ 1934 წელს ბესლეთის ხიდზე ნაპოვნი ქართული
წარწერა. იგი საუბრობს მეცნიერებისათვის ჭერ-ჭერობით
სრულიად უცნობ „აფხაზურ ადრექრისტიანულ ტაძრებზე“,

ქართველების მიერ „ამიერკავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში აფხაზეთის როლის დაკნინებაზე ან საერთოდ მიჩუმათებაზე“.²⁶ ობიექტური და ოღონავე კეთილსინდისიერი მკვლევარი კი აფხაზთა სამეფოს შექმნის დროიდან მაინც ენგუზრით ფსოუს მონაკვეთზე, როგორც დავინახეთ ვერაფერს იპოვის, გარდა ათობით ქართული ტაძრისა, ქართული ეპიგრაფიკის მრავალრიცხოვანი ნიმუშისა და მაღალი დონის ქართული კულტურისა.

ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარება აფხაზეთში გახლავთ ერთ-ერთი მთავარი შედეგი დასავლეთ საქართველოს ბერძნული კათედრების დიდი უმრავლესობის (ცაიშის გარდა) მოშლისა და ქართული საეკლესიო ცენტრების დაფუძნებისა. ამ აქტით დიდწილად მოიხსნა ღია საფრთხე კონსტანტინოპოლის მხრიდან საქართველოს საშინაო საეკლესიო თუ სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევისა (რისი მცდელობა არა ერთი იყო), კანონიერი პრეტენზიების (უფლებრივი თუ ქონებრივი) წამოყენებისა აწმყოსა და მომავალში. გარდა ამისა, ძველი კათედრების მოშლის პროცესი დაკავშირებული იყო აფხაზეთში, შემდგომში ერთიან ქართულ სამეფოში პოლიტიკურ-იდეოლოგიური, კულტურული თუ ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებთან, სამომავლო მიზნებთან.

ბიჭვინთის, დრანდის, მოჭვისა და ბედისის საეპისკოპოსოების გარდა, დასავლეთ საქართველოში სხვა საეკლესიო ცენტრებიც დაარსდა. „მატიანე ქართლისა“ გვაწვდის ცნობას აფხაზთა მეფის გიორგი II-ს შესახებ, რომელიც „ღმრთისმოყვარე იყო, უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა... აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ, და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა“.²⁷ ეს იყო პირველი, ყველაზე დაწინაურებული ქართული კათედრა დასავლეთ საქართველოში. როგორც ჩანს, ჭყონდიდის ტაძრის გარდა, გიორგი II-ს სხვა ეკლესიებიც აუშენებია.

ბაგრატ III-მ აკურთხა ქუთაისის ეკლესია (ბაგრატის ტაძარი), „განგებითა დიდითა და მიუწოდომელითა, რამეთუ შემოკრიბნა მახ-

ლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელმოდ-
ვარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დი-
დებულნი ზემონი და ქვემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფ-
ნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთაგანი“.²⁷ XI ს. პირველ ნახე-
ვარში დაარსდა ცაგერის საეპისკოპოსო, რომელიც აფხაზეთის კა-
თალიკოსს ექვემდებარებოდა.

აფხაზეთის საკათალიკოსო ქართული ეკლესიის ერთიანობის პირობებში

ბაგრატიის ტაძრის
კურთხევისას მოხსენიე-
ბული ტერმინი „კათა-
ლიკოსნი“ ადასტურებს
აფხაზეთის კათალიკო-
სის

სის თანამდებობის არსებობას ქართული ეკლესიის გაერთიანების
შემდეგაც. XI ს. 50-იანი წლების შემდგომ „იწყო ღვთისმსახურმან
მეფემან ბაგრატ (IV — გ.გ.) და ძემან მისმან, დედოფალთა და კათა-
ლიკოსთა წვევად“ გიორგი მთაწმინდელისა სამშობლოში.²⁸ აღნიშ-
ნულ ცნობაშიც „კათალიკოსთა“ მოხსენიება ქვეყანაში ორი კა-
თალიკოსის — აფხაზეთისა და ქართლის — არსებობაზე მიუთი-
თებს. ორი კათალიკოსი მონაწილეობდა რუის-ურბნისის კრების
მუშაობაშიც 1104 წელს. ანანია ჯაფარიძის აზრით, კრების მთა-
ვარ დოკუმენტში — „ძეგლისწერაში“ მოხსენიებული ოთხი სასუ-
ლიერო პირიდან ერთ-ერთი, კერძოდ, ევსტათი, სავარაუდოდ, არის
აფხაზეთის კათალიკოსი.²⁹

წყაროებში უფრო კონკრეტული ცნობებიც მოიპოვება. ახალ-
ციხური ტყავის სახარების მინაწერებში იხსენიება „სვიმეონ აფხა-
ზეთისა კათალიკოსი“. ეს არის პირველი შემთხვევა დასავლეთ სა-
ქართველოს მღვდელმთავრის სახელით მოხსენიებისა. სვიმეონი,
სპეციალისტთა მოსაზრებით, XI-XII სს. მიჯნაზე მოღვაწეობდა.³⁰
აფხაზეთის კათალიკოსი თავისი ტიტულით (სახელის გარეშე) ნახ-
სენებია ლაშა გიორგის სიგელში გელათის მონასტრისადმი (1207-
8 წ.): „და თქვენ, წმიდანო მეუფენო: აფხაზთა და ქართლისა კათა-
ლიკოზნო და წმინდანო მღვდელ-მოდღვარნო, უჭუარობითა და-
ამტკიცეთ“.³¹ ლაშა გიორგის უკანონო ქორწინების საკითხის გან-
ხილვასთან დაკავშირებით შეკრებილთა შორის იყვნენ „კათალი-

კოსნი ორნივე“; „კათალიკოსთა ორთავე“ ესწრებოდნენ რუსულად-
ნის მეფედ კურთხევის (1223 წ.) ცერემონიალს.³² ცხადია, „ორნივე“
— „ორთავეში“ სრულიად საქართველოსა და აფხაზეთის კათალი-
კოსები იგულისხმებიან.

გაერთიანებულ საქართველოში აფხაზეთის კათალიკოსის რო-
ლისა და ადგილის, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობის შე-
სახებ ნ. ბერძენი შვილი წერდა: „ერთმეფობისა და ორკათალიკოსო-
ბის ხანაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად მხოლოდ ლიხთ-
იმერეთის ეკლესიის კათალიკოსია მაშინ, როცა ქართლის კათალი-
კოსი სრულიად საქართველოს ეკლესიის საქმეთმპყრობელია. აფ-
ხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს მეფის კურთხევა-
ში მონაწილეობს როგორც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი,
ის ქართლის კათალიკოსთან ერთად სამეფო კარის წევრია; აფხა-
ზეთის კათალიკოსს უფლება არა აქვს მთლიანად საქართველოს მე-
ფის კურთხევისა; საეკლესიო იერარქიის კიბურაზე ის ქართლის კა-
თალიკოსზე დაბლა დგას; აფხაზეთის კათალიკოსი ისევე პატივით
სარგებლობს მეფესთან წვევის, მიგებებისა და პურობის დროს, რო-
გორც ქართლის კათალიკოსი; აფხაზეთის კათალიკოსი მიიღტვის
ქართლის კათალიკოსთან უფლებრივი გათანასწორებისაკენ; აფ-
ხაზეთის კათალიკოსი ხშირად ბედიელი ეპისკოპოსიც არის, მაგ-
რამ მისი ტახტი ბედილაში არ არის; დასავლეთ საქართველოს საში-
ნაო საეკლესიო საკითხების მოწესრიგებაში კათალიკოსი დამოუ-
კიდებელია“.³³

ქართული ეკლესიის მოწყობის, ერთიან ეკლესიაში აფხაზეთის
საკათალიკოსოს ადგილის საკითხებს ეხება ანანია ჯაფარიძე. „სა-
პატრიარქოს მოწყობის სტრუქტურა, — წერს იგი, — ისეთი იყო,
რომ მასში შედიოდა ორი საეკლესიო სამთავრო: მცხეთის (ანუ ქარ-
თლის) საკათალიკოსო, ბიჭვინთის (ანუ აფხაზეთის) საკათალიკო-
სო. აქედან ჩანს, რომ საპატრიარქოს შექმნის დროს აფხაზეთის სა-
კათალიკოსო არ გაუქმებულა, როგორც აღმინისტრაციული ერთ-
ეული. მან შეინარჩუნა ძველი შინაგანი სტრუქტურები. საერთოდ
ქართულ საპატრიარქოში საკათალიკოსოები იმ ფორმით
არსებობდნენ, როგორადაც ბერძნულ საპატრიარქოში სამიტრო-

პოლიტიკები. ბერძნულ სამიტროპოლიტიკებში ერთ-ერთი რომელიმე დიდი ქალაქის ეპისკოპოსი წარმოადგენდა უფროსს, ანუ მთავარს და მას ექვემდებარებოდნენ მის ხელქვეით მყოფი საეპისკოპოსოების მეთაურები — ეპისკოპოსები. სამიტროპოლიტიკებში ათეულობით საეპისკოპოსო არსებობდა, ხოლო მიტროპოლიტი, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა პატრიარქს. ასევე იყო მოწყობილი ქართული საკათალიკოსოებიც. აფხაზეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ დასავლეთ საქართველოს ათეულობით ეპისკოპოსები, ხოლო თავის მხრივ, ის ექვემდებარებოდა საქართველოს პატრიარქს. საპატრიარქო სტრუქტურა ისეთი იყო, რომ საქართველოს პატრიარქი იმავდროულად წარმოადგენდა ქართლის კათალიკოსს. ესე იგი მას ორი ტახტი ეჭირა საქართველოს პატრიარქისა და ქართლის კათალიკოსისა, ამიტომაც შემდგომ უწოდეს კიდევ კათალიკოს პატრიარქი“. ³⁴ XIII ს. 40-იანი წლების აფხაზეთის კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე ერთ-ერთ დოკუმენტში თავის თავს მოიხსენიებს როგორც „მრწემი სიწმინდისა მათისა“. ³⁵ ნ. ბერძენი შვილის მტკიცებით, ამ ფრაზაში უმცროსი კათალიკოსი იგულისხმება. ანანია ჯაფარიძის განმარტებით, საქართველოს პატრიარქს „უხუცესი“, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს, „უმრწემესი“ მამამთავარი ეწოდებოდა. ასე იყო საქართველოს დაშლამდე. ³⁶ ერთიანი ეკლესიის ორ საკათალიკოსოს „ქართლის ცხოვრება“ („ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი“) ორ სამთავროს უწოდებს: „ხოლო შემო-რა-კრბეს ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი...“ ³⁷

ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა „წესი და განგებაი მეფეთ კურთხევისა“ (XIII ს.) და „გარიგება ხელმწიფის კარისა“ (XIV ს.), კარგად ჩანს თუ რა პატივით იყო აღჭურვილი ერთიან საქართველოში აფხაზეთის კათალიკოსი.

მეფეთა კურთხევისას, ეკლესიაში მობრძანებულ მეფეს წინ ეგებებოდნენ მღვდელმთავრები. საქართველოს კათალიკოსის მიმართვის შემდეგ „თაყუანი სცეს მეფემან მდაბლად კათალიკოზსა, და უპყრას ხელი მარჯუენე კათალიკოზმან; ხოლო უკეთუ აფხაზეთისა კათალიკოზი არა იყოს, — იშხნელმან ანუ მთავარეპისკოპოსმან;

და წარიყვანონ და სამეფოსა ადგილს დააყენონ, და იწყონ აღმო-
კუთვალ სეფესა.

ხოლო აფხაზეთის კათალიკოზმან დაჰბუროს, ანუ მთავარეპის-
კოპოსმან და ვითარ დაჰბუროს, უწინარეს დაწყებისა, გამოუღოს
ჯვარის მტკირთელმან ამირსპასალარს სამეფო ხრმალი და საკურ-
თხეველსა შინა ძელსა ცხოვრებისასა მიყრდნობილი დადვას.

და დროშა და შუბი საკურთხეველისა კარს ემჭირნენ იმიერ და
ამიერ.

უწინარეს კათალიკოზთა თქმისა და მთავარდიაკონის გამოსვ-
ლისა, რომელსა მღვდელმოდღვარსა დაებეროს, წინაშე წმიდისა სა-
კურთხეველისა მდგომარეობდეს, აღიღოს საკურთხეველისაგან ბი-
სონი, გამოვიდეს და მეფეს თავი მოუდრიკოს, და ორთავე მუხლთა
ზედა დაფენით დაუდვას, და წამოიყუანოს სადა კათალიკოზი
მდგომარე იყოს. თავი მოუდრიკოს მეფემან კათალიკოზსა და ჰრქუ-
ას: „მაკურთხეო მეუფეო“.

კათალიკოზმან ჯუარი დასწეროს და თქუას: „კურთხეულმცა
არს მეფობა თქუენი დასასრულამდე ჟამთა, და განმტკიცენ სარწ-
მუნობასა მისსა ზედა მიუდრეკელად“. გამოუღოს ბისონი და შთა-
აცვას თავის ხელითა და ჯუარი დასწეროს.

და წარუძღვეს იგივე მღვდელმოდღვარი, რომელსა მიეყვანოს,
და დაადგინოს ადგილსავე თვისსა და ეგრეთ შევიდეს საკურთხე-
ვლად.

და გამოვიდეს მთავარდიაკონი და იწყოს კურეექსი თქუმად. და
ვითარ სახარება წარიკითხონ, გამოვიდეს აფხაზეთის კათალიკო-
ზი და მთავარეპისკოპოსი. და თუ აფხაზეთის კათალიკოზი არ იყოს
— იშხნელი. და იშხნელი და მთავარეპისკოპოსი მოეკიდნენ ხელსა:
ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით, წესისამებრ მღვდელმოდ-
ღუართასა, და წარადგინონ შუა ეკლესიასა საწარდგომესა ადგილ-
სა, და სამგზის ათაყვანონ წმიდასა საკურთხეველსა. და წარადგი-
ნონ საკურთხეველისა კართა. და კუალად მოიყარონ მუხლნი და თა-
ყუანი — სცენ“. ამის შემდეგ კათალიკოსი ლოცავს მეფეს, თავზე
გვირგვინს ადგამს, აძღვეს სკიპტრას. კურთხევის ცერემონიალის
დასასრულს „მარჯუენე ხელი კათალიკოზსა ეჭიროს, ხოლო მარ-

ცხენა ხელი აფხაზეთისა კათალიკოზსა, ანუ ჭყონდიდელსა, ანუ იშხნელსა, და ეგრეთ შეჰყვენ პალატსა შინა“.³⁸ როგორც ვხედავთ, მეფეთა კურთხევისას საქართველოს მღვდელმთავრის შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსი უმთავრესი ფიგურაა. კურთხევაზე არ (ვერ)ჩამოსვლის შემთხვევაში ისიც კი იყო გათვალისწინებული, თუ ვის უნდა შეესრულებინა მისი ფუნქცია.

„გარიგება ხელმწიფის კარისა“—ს მიხედვით, დიდ დარბაზობაზე აფხაზეთის კათალიკოსს საპატიო ადგილი უკავია. საქართველოს მეფის ხელქვეითი მეფე-მთავრები (ტრაპიზონელნი, შარვან-შაპენნი, სომეხთა მეფე და ა.შ.), აფხაზეთის კათალიკოზისა ქვეშეთ და ჭყონდიდელისა ზემოთ“ იკავებდნენ ადგილს. ცალკე იყო რეგლამენტირებული „მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთა ვეზირთა“ (ათაბაგის, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის) წვევა და პურობა. აქვეა ცნობა ბედიელზე, აფხაზეთის კათალიკოსისა და ქუთათელის დაპირისპირებაზე. „ამიერი ბედიელი მოსაფლავეა. და ქუთათელი მოსაფლავეც არის (და დამლოცველიცა). დიდი გიორგი (გიორგი I — 1014-1027 წწ. — ჯ.გ.) , რომელმაც ბასილი ბერძენთა მეფე გააქცია მისსა საყდარსა შიგან არის. მეფენი დაილოცვიან.

და ოდეს პირველ ვახტანგ (აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ II — 1289-1292 — ჯ.გ.) დალოცეს და მერმე კონსტანტინე (ვახტანგ II-ს ძმა, იმერეთის მეფე კონსტანტინე I — 1293-1327 წწ. — ჯ.გ.) დაისარჩლნენ აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმან ასე თქვა: თუ „აწ ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან და არ მემართლები, გვირგვინი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა“

და მერმე ვეზირთ და ერთობლივთ ლაშქართა თქვეს თუ „ქუთათელი უმართლეა“ და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს, და მოანება აფხაზეთის კათალიკოზმა, და ქუთაისის ღმრთისმშობლის წინ სამსქვალნი მოსქედეს“.³⁹

მეფის კურთხევის ცერემონიალისა და მასში აფხაზეთის კათალიკოსის მონაწილეობის შესახებ ვახუშტი შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ესევე ეპისკოპოზი აკურთხევდა მეფესა და დაადგმიდა გვირ-

გვინსა, ხოლო დადგინებისა კათალიკოზისა — კათალიკოზი. და ჟამსა ბაგრატიონთასა ვინაიდგან ლიხთ-იმერეთი იყო დადგმა გვირგვინისა: ქართლისა და აფხაზთა კათალიკოზნი აკურთხევდნენ, არამედ გვირგვინსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთაისის ტახტისათვის, ხოლო შემდგომად განყოფისა იმერთს — კათალიკოზი იმერთა (იგივე აფხაზეთის კათალიკოსი — ჟ.გ.), ქართლს კათალიკოსი ქართლისა და კახეთს — ბოდბელი“.⁴⁰ ამდენად, მეფისთვის გვირგვინის დადგმისა და სამეფო ნიშნების შენახვის ფუნქცია ქუთათელს მოუპოვებია, მაგრამ აფხაზეთის კათალიკოსი მნიშვნელოვან ფიგურად რჩებოდა.

XIII ს. დოკუმენტის — „კურთხევა მირონისა“-ს მიხედვით, დიდი პატივით სარგებლობდა ბედიელი. დასავლეთ საქართველოს კათედრებიდან მხოლოდ ჭყონდიდელი და ბედიელი ლეზულობენ მონაწილეობას (უმალღეს საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან ერთად) წმ.მირონის კურთხევაში. დოკუმენტის „A“ ნუსხაში მეექვსე ნომრის (ალავერდიელის, რომელიც ჭყონდიდელის ქვემოთ იკავებდა ადგილს) გასწვრივ მარცხენა კიდეზე გადამწერის ხელით მიწერილია: „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქუემოდ“.⁴¹ მირონის კურთხევას აფხაზეთის კათალიკოსი არ ესწრებოდა.

საქართველოს ისტორიაში იყო ერთადერთი შემთხვევა აფხაზეთის კათალიკოსის მიერ მეფის (მართალია, მცირეწლოვანის) კურთხევისა. ეს იყო დავით VI რუსუდანის ძე. 1225 წლის შემოდგომაზე, როცა ჯალალ ად-დინმა თბილისისაკენ დასძრა თავისი ლაშქარი, მეფე რუსუდანი ოჯახთან ერთად დროებით ქუთაისში გადავიდა. როგორც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, მეფემ „დაივიწყა შიში ღვთისა და სიყუარული ძმისა“ — გადაწყვიტა ძმისშვილის (დავით ლაშას ძეს) თავიდან მოშორება და საკუთარი მცირეწლოვანი (ხუთი წლის) შვილის — დავითის გამეფება. კურთხევა შედგა ქუთაისში. ვინაიდან „ამიერი ესე სამეფო უცალო იყო ხუარაზმელთაგან“, აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულები „უცალოებისა ძლით ვერ დახუდეს დალოცვასა მეფისა დავითისა“ რუსუდანმა „მოუწორა ყოველთა სპათა მისთა, აფხაზთა, დადიან-ბედიანთა, რა-

ქის ერისთავსა და კათალიკოსსა აფხაზეთისასა და დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთაისს და დაადგეს თავსა მისსა გვირგვინი. დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისამებრ, დასრულყო კათალიკოსმან წესი კურთხევისა“. ⁴² რუსუდანის გარდაცვალების (1245 წ.) შემდეგ, მონღოლთა ნებით, დავით VI (ნარინი) საქართველოში მეფობდა დავით VII-თან (ულუ) ერთად (ორმეფობა); 1259 წლიდან კი იმერეთის მეფეა.

აფხაზეთის კათალიკოსი ესწრებოდა გიორგი V (1313-1346 წწ.) ბრწყინვალეს მიერ მოწვეული სამღვდელთა კრებას. ვახუშტის ცნობით, დიდმა მეფემ, რომელსაც „ყოველი გიორგია“ და „კავკასნიცა“ ემორჩილებოდნენ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, მოიწვია („შემოიკრიბნა“) „კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ივერიისანი და განაახლნეს წესნი და რიგნი საეკლესიონი და სამღვდელონი განმართნეს, და დაადგინეს მოწესენი წესსა ზედა თვისსა და უწესურნი განჰკუთვნეს“.⁴³

აფხაზეთის სამღვდელთა და, სავარაუდოდ, კათალიკოსიც ესწრებოდნენ გიორგი V-ს ძის — დავით IX-ს (1346-1360 წწ.) კურთხევას. ვახუშტი წერდა: „ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჯდა ძე მისი დავით მეფედ. შემოკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსიით, სპერით, დარუბანდამდე და აკურთხეს მეფედ“. დავითის მემკვიდრე, ასევე სრულიად საქართველოს მეფე ბაგრატ V (1360-1395) ქუთაისში ეკურთხა. „შემოკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოზნი, დიდებულნი და წარჩინებულნი“. ვახუშტის მიერ მოხსენიებული „კათალიკოზი“, ალბათ, აფხაზეთის კათალიკოსია, სხვათა შორის, ვახუშტი დავით VI-ს შემთხვევაშიც არ აკონკრეტებს კურთხევაზე მყოფი ერთადერთი კათალიკოსის ვინაობას, თუმცა ჟამთააღმწერელისაგან დანამდვილებით ვიცით, რომ იგი არის აფხაზეთის კათალიკოსი. ექვს არ იწვევს ამ უკანასკნელის დასწრება ბაგრატ V-ს მემკვიდრის — გიორგი VII-ს (1393-1407 წწ.) კურთხევაზე: „შემოჰკრბნენ დიდებულნი, კათალიკოზნი, ეპისკოპოზნი და აკურთხეს“, ⁴⁴ — წერდა ვახუშტი.

აფხაზეთის საკათალიკოსოში შემავალი კათედრებიდან ყველაზე დაწინაურებული და პატივით აღმატებული ჩანს ჭყონდიდის

კათედრა. XV საუკუნემდე მაინც იგი მთელი ქვეყნის მასშტაბით პირველი კათედრაა. დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმის (რუის-ურბნისის კრება) შედეგად ხდება ჭყონდიდის კათედრის პატივის უფრო აღზევება, რაც განაპირობა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს დაარსებამ. ეს რანგით მეორე თანამდებობა (მეფის შემდეგ) სახელმწიფოში გამოჩენილი სასულიერო და საერო მოღვაწის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით (2005 წლის 27 ივნისი) წმინდანად შერაცხული გიორგი ჭყონდიდელის შემდგომ ეკავა მის დისშვილს — სვიმონ ჭყონდიდელს, რომელიც იყო ბედიელ-ალავერდიელი. როცა 1124 წელს დავით აღმაშენებელმა დაამარცხა თურქები, აიღო ქ.შამახია, ციხე ბირიტი და ამით ფაქტობრივად დაასრულა შარვანისათვის ბრძოლა, მან იქ „დაუტევენა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თვისი სვიმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდიელი, მიმსგავსებული გიორგი (ჭყონდიდელი — ჯ.გ.) დედის ძმისა თვისისა, კაცი ყოვლითურთ რჩეული და ბრძენი“.⁴⁵

სახელისუფლებო სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი ეკირა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს — სახელმწიფოს უპირველეს მოხელეს, რომელსაც „პროტოიპერტიმოსის“, „ქრისტეს სწორის“ ტიტულებით ამკობდნენ. როგორც მეორე პირი ცენტრალური მმართველობის სისტემაში, იგი ყველა უწყობის სამეფო კონტროლს ახორციელებდა, განაგებდა „სააჯო კარს“, ზრუნავდა ქვრივ-ობლებზე და ღატაკებზე, ხელმძღვანელობდა სამეფო სპას. მმართველობის ეს ფორმა ახლოს იდგა შუასაუკუნეობრივ დასავლეთ ევროპასთან. მაგალითად, საფრანგეთში არსებობდა „უმალლესი კანცლერის“ თანამდებობა, რომელიც იმავდროულად რეიმსის არქიეპისკოპოსი იყო; ინგლისის კანცლერს ჩვეულებრივ კენტერბერის არქიეპისკოპოსის თანამდებობაც ეკავა. საფრანგეთისა და გერმანიის კანცლერები, მოყოლებული ფრანკთა იმპერიიდან, სასულიერო პირები იყვნენ.⁴⁶

საქართველო ფაქტობრივად თეოკრატიულის მსგავსი სახელმწიფო იყო. უმაღლესი საეკლესიო მთავრობის ოთხი წევრი იმავდროულად უმაღლესი საერო მთავრობის წევრებად იქცნენ. ესენი იყვნენ: საქართველოს პატრიარქი (ქართლის კათალიკოსი), აფხაზეთის კათალიკოსი, მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი და მოძღვართ-მოძღვარი.⁴⁷

საინტერესო მოვლენაა ბედიელ-ალავერდიელის ინსტიტუტის არსებობა. XII-XIII სს. არსებობდნენ აგრეთვე ჭყონდიდელ-მაწყვრელის, ჭყონდიდელ-სამთავენელის, ჭყონდიდელ-უჭარმელის საეკლესიო თანამდებობები,⁴⁸ რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ, ეთნიკურ და სულიერ ერთიანობას განასახიერებდნენ. ამ ერთიანობის განმტკიცებას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებოდა მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის სახელო, რომლის ათაბაგით ჩანაცვლებამ თამარის მეფობის ბოლოს, უკუპროცესები გამოიწვია.

ექსტერიტორიული საეკლესიო თანამდებობები გარკვეულწილად ზღუდავდნენ აფხაზეთის საკათალიკოსო საყდრის იურისდიქციას დასავლეთ საქართველოზე. როგორც მოძღვართ-მოძღვარის პატივის გაზრდამ ოდნავ შეამცირა საქართველოს პატრიარქის პატივი, ისე ჭყონდიდელის პატივის ამალგებამ შეასუსტა აფხაზეთის კათალიკოსის პატივი. მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის სახელომ, როგორც სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთმა უმაღლესმა ორგანომ, შეზღუდა ქართული ეკლესიის თვითმმართველობა, რაც თავისთავად აფხაზეთის საკათალიკოსოსაც შეეხო. საერო და სასულიერო ხელისუფლების გაწონასწორება ხდებოდა, ერთის მხრივ, ოთხი უმაღლესი იერარქის (მათ შორის აფხაზეთის კათალიკოსის) სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობით, მეორეს მხრივ, მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის აღზევებით.

აფხაზეთის საკათალიკოსომ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ეკლესიისა და ქვეყნის ისტორიაში. მისი ხელმძღვანელობით მოხდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების კონსტანტინოპოლისაგან გამიჯვნა და ქრისტიანული სარწმუნოების ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნება; ბერძნული კათედრების ნაცვლად ახა-

ლი ქართული საეკლესიო ცენტრების დაარსება; იგი მხარში ედგა აფხაზთა მეფეებს საქართველოს ეკლესიური და სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის ბრძოლაში. X-XI სს. მიწნაზე ამ პროცესის დასრულებით ფაქტობრივად ამოიწურა აფხაზეთის საკათალიკოსოს ფუნქცია. იგი ზედმეტი რგოლი გახდა ეკლესიურ იერარქიაში. მიუხედავად ამისა, ეს ინსტიტუტი მაინც შეინარჩუნა ქართულმა ეკლესიამ, თუმცა გაერთიანებულ საქართველოში იგი ბუნებრივად შეიცავდა პარტიკულარიზმის გარკვეულ საფრთხეს. ამ საფრთხის ნეიტრალიზება ხდებოდა ბედიელ-ალავერდიელის, სხვა ექსტერიტორიული თანამდებობების, ქყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელს შემოღებით, ქუთათელისათვის გვირგვინით მეფის შემკობისა და სამეფო ნიშნების შენახვის უფლების (ამ უფლების აფხაზეთის კათალიკოსისათვის ჩამორთმევით) მინიჭებით და ა.შ.

ბ.კუდავა კითხვაზე, რატომ არ გაუქმდა აფხაზეთის საკათალიკოსო XI საუკუნეში, პასუხობს, რომ გამართლებულად არ ჩაითვალა საუკუნოვანი ტრადიციისა და უზარმაზარი დამსახურების მქონე საკათალიკოსო საყდრის მოშლა; არც ამის საჭიროება არსებობდა, ვინაიდან საკათალიკოსოს ფუნქციონირება არავითარ საფრთხეს არ შეიცავდა; არ არსებობდა აგრეთვე საკათალიკოსოს გაუქმების იურიდიული საფუძველი; ამ მიზეზებით იგი შენარჩუნდა, მაგრამ გარკვეულწილად დამცრობილი იყო (ის უფრო ბიჭვინთის ეპისკოპოსი იყო, ვიდრე აფხაზეთის კათალიკოსი), რითაც აიხსნება მისი ფრაგმენტული მოხსენიება წყაროებში XI-XII სს.; XIII ს. მეორე ნახევრიდან ორად გაყოფილ საქართველოში აფხაზეთის საკათალიკოსომ რეალური ფუნქცია კვლავ აღიდგინა.⁴⁹

როგორც ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ცნობების უქონლობის გამო, ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის, როგორ იყო მოწყობილი ახალ ვითარებაში აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასმის საქმე. მისი აზრით, მაკურთხეველი შეიძლებოდა ყოფილიყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ან თვით აფხაზეთის ეკლესიის თვითმწყობა და დამოუკიდებლობა უეჭველია დაცული იქნებოდა.⁵⁰

XV საუკუნის 70-იან წლებამდე აფხაზეთის სულ რამდენიმე კა-

თალიკოსის ვინაობაა ცნობილი. ერთ-ერთი არის XII ს. მეორე ნახევარში მოღვაწე ყოფილი ბედიელი — ნიკოლოზი;⁵¹ მოიხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში, სინას მთის სულთა მატთანეში და ბედის ტაძრის სამრეკლოს წარწერაში. ს.კაკაბაძემ დაამტკიცა, რომ XIV ს. 70-80-იან წლებში აფხაზეთის კათალიკოსი იყო დანიელი, რომელიც თავის შვილთან — გიორგი ჭყონდიდელთან ერთად იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში მოიხსენიება.⁵² სავარაუდოდ, დანიელის შემდეგ დაიკავა აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი არსენმა. ვახუშტის ცნობით, იმერეთის მეფემ — გიორგი პირველმა (1389-1392 წწ.) „დასუა კათალიკოზად არსენი 1390 წელს“.⁵³

აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია — ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის ნაწილია. მისი დაარსება, სავსებით კანონზომიერი საუკუნოვანი თუ გაცილებით უფრო მეტი ხნის დამოუკიდებელი არსებობა, ასევე სავსებით კანონზომიერად ქართლის საკათალიკოსოსთან გაერთიანება და ამით ერთიანი სახელმწიფოს მთავარი დასაყრდენის — ქართული ეკლესიის გამთლიანება, ფორმალური არსებობა XI-XII სს. და შემდგომში თანდათანობით კვლავ აღზევება პოლიტიკური ფაქტორებით — უცხო გავლენისაგან განთავისუფლების აუცილებლობით, ეროვნულ ნიადაგზე დაბრუნებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანებითა და ისევ გარედან თავსმოხვეული, დამლუპველი დეზინტეგრაციული პროცესების დაწყებით იყო განპირობებული.

დეზინტეგრაციული პროცესების დასაწყისი

დამპყრობთა ბატონობის მძიმე უღელი ედგა კისერზე. იმ პერიოდში გამოიკვეთა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და დიდი მამული შვილის ცოტნე დადიანის სახელი. იგი იყო მეფე რუსუდანის (1223-1245 წწ.) თანამედროვე, მისი მოწოდებით იბრძოდა ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ. ჟაამთააღმწერელი მას ახასიათებს როგორც „კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა“; ცოტნე დადიანი

XIII ს. შუახანებში საქართველო ფაქტობრივად ორ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაიყო. ქვეყანას მონღოლ-

იყო „კაცი პატივოსანი და სათნოებიანი, და ბრძოლათა შინა სახელოვანი“. რუსუდან მეფის გარდაცვალების შემდეგ, როცა მონღოლებმა ქვეყანა ღუშნებად (ოლქებად) დაყვეს და „გამოარჩინეს მთავარი“, ცოტნე დადიანს და რაჭის ერისთავს ჩააბარეს „ყოველი იმერთა სამეფო“ თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით. ის იყო კონტას თავს მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე. როცა შეთქმულები მზადებას შეუდგნენ, „უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობითა და რაჭის ერისთავი — ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად“. ჟამთააღმწერელი, როგორც ვხედავთ, ცოტნე დადიანს, ბედიანს და რაჭის ერისთავს უწოდებს — „აფხაზნი“. ასევე მონღოლი ნოინებისთვის ცოტნე არის აფხაზეთიდან ჩამოსული კაცი. როცა სასიკვდილოდ განწირულ ქართველ წარჩინებულებს შორის მათ იხილეს თავისი ნებით მოსული შიშველი და შებორკილი ცოტნე, გააკვირვებულებმა თქვეს: „ვინათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თვისი მოყვარეთათვის, და არა განცრუვდეს, ესრე განწირა თავი თვისი სიკუდილდ. — არა არს სიკრუე მათ შინა, და ამის ძლით უბრალოდ ვპოვებთ. ამისთვის განუტყუთ ყოველნი“.⁵⁴

ცოტნე დადიანი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი და ქეშმარიტი მამული შვილია. იგი არის აფხაზი („ნათესავნი ქართველთანი“, ანუ ქართველი). რწმენამ, დიდმა პატრიოტულმა გრძობამ, ზოგადქართულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ უმეფობისა და უმძიმესი განსაცდელის ჟამს ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველოს — ყოფილი აფხაზეთის დამოუკიდებელი სამეფოს — მმართველს სეპარატიზმისაკენ და განკერძოებისაკენ კი არა, თავგანწირვისაკენ უბიძგა. აფხაზი ცოტნე დადიანის თავგანწირულმა ნაბიჯმა არა მხოლოდ დიდებულები, მთელი საქართველო გადაარჩინა მაშინ სრული ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი და სულიერ-ზნეობრივი დაშლა-დევრადაციისაგან.

იგი, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი გმირია. უმთავრესად გარეშე ფაქტორების გამო, საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება არ

ასცდა, მაგრამ სულიერად, ზნეობრივად ის მუდამ ერთიანი იყო. ამაშია ცოტნე დადიანისა და სხვა დიდ მამული შვილთა ისტორიული დამსახურება.

1247-1248 წლებში, ორმეფობის შემოღებისთანავე, ე.წ. დუმნები გაუქმდა. მეფე ნარინ დავითმა (რუსუდანის ძემ) 1259 წელს აჯანყება მოაწყო, მაგრამ მონღოლებმა შეძლეს მისი ჩაქრობა. დამარცხებული მეფე დასავლეთ საქართველოში (ქუთაისში) გადავიდა, სადაც იგი ადგილობრივმა დიდებულებმა აფხაზეთის მეფედ გამოაცხადეს. ჟამთააღმწერლის ცნობა ასეთია: „ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჟის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე ყვეს დავით რუსუდანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე“.⁵⁵ 1266 წლიდან საქართველოს მეფეს სამცხის მთავარი სარგის ჯაყელიც ჩამოშორდა.

ღეზინტეგრაციული პროცესები გაგრძელდა აფხაზეთის სამეფოს შიგნითაც. ნარინ დავითის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულ მის ვაჟს — კონსტანტინეს (1293-1327 წწ.) უმცროსი ძმა მიქელი აუჯანყდა და რაქა-ლეჩხუმ-არგვეთი დაიკავა. “დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო, — წერდა ჟამთააღმწერელი... — არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არ მიიკვალნენ“.⁵⁶ შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთისა და გურჯისტანის მმართველებმა. ვახუშტი გვამცნობს: „იხილა დადიანმან გიორგიმ ესევითარება მათ შორის (მეფე კონსტანტინესა და მის ძმას — მიქელს შორის — ჯ.გ.), მაშინ მიიტაცა საერისთო ცხოვისათა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიამდე. ეგრეთვე შერვაშიძემ აფხაზეთი და გურიელმან გურია და სუანთა ერისთავმან სუანეთი და განიმკვიდრეს თვისად და არღარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა. ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი (1323 წ) და დაჯდა მის წილ ძე მისი მამია და ამან უმეტესად დაიპყრა ოდიში“.⁵⁷ მის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში — ცხუმში არსებული ვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ქალაქის (სადაც XIII ს. ბოლოდან კათოლიკე გენუელები ცხოვრობდნენ) კათოლიკე ეპისკოპოსის (ჯერ ემორჩილებოდა რომის პაპის მიერ 1318 წ. დაფუძნებულ სასულთანოს

საარქივებისკოპოსოს, ხოლო 1333 წლიდან ბოსფორის საარქივებისკოპოსოს დაქვემდებარებაში) პიეტრო გერალდის 1330 წლის წერილი კანტერბერიის არქივებისკოპოსოსისადმი. წერილიდან ვგებულობთ, რომ ქ.ცხუმში, რომელიც „ქვემო საქართველოში“ მდებარეობდა, 30 წლის წინათაც ინგლისელი კათოლიკე მისიონერი იოანხია დეკრემონე იმყოფებოდა (პიეტრო გერალდის შემდეგ ცხუმის კათოლიკე ეპისკოპოსები იყვნენ: 1388-1399 წლებში მოღვაწე რობერტ ბინტელსნამი, ბერტოლდ ვოლი, ნიკოლოზ პასეკი, იოანე პავლე ფრანცისკელი, ჯორჯო და რეჯობო; ამ უკანასკნელის დროს — დაახლოებით XV საუკუნის შუახანებში საეპისკოპოსო გაუქმდა); ქალაქში „ქრისტიანები ბატონობენ“, მაგრამ მშვიდობიან პერიოდში იმდენად არიან შევიწროებული სარაციონებისაგან (მუსულმანებისაგან), რომ თითქმის მზად არიან დატოვონ ქრისტიანობა; ქალაქში ქართველები ცხოვრობენ. ამ ქვეყნის მმართველი, რომელიც მთელი ქართული ჯარების სარდალია (ოდიშის მმართველი იმ დროს იყო მამია I დადიანი — 1323-1345 წწ.), მზად არის ლაშქრობისათვის დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად. მან კათოლიკებს სასაფლაო დაუთმო, მაგრამ თავად კათოლიკები ვერ მიიწვივნენ მართლმადიდებლებს (სქიზმატიკოსებს, როგორც პიეტრო გერალდი წერს) და მიცვალებულებს სასაფლაოს მიღმა ასაფლავებდნენ; ამის გამო მართლმადიდებელი ეპისკოპოსი და სამღვდლოება ისე განაწილებულან და აღმფოთებულან, რომ კათოლიკურ სასაფლაოზე აღმართული ჯვარი, აგრეთვე სასაფლაო ქვები ამოუყრიათ, კათოლიკებს კი ისევ უკან დაუბრუნებიათ; მაშინ სარაციონებისა და ებრაელების დახმარებით, მართლმადიდებელ სამღვდლოებას ხალხთან ერთად ჯვარი და ქვები კვლავ ამოუყრია და მართლმადიდებელ „ეპისკოპოსთა ეპისკოპოსთან“ (ალბათ, კათალიკოსთან) წაუღიათ. ამდენად სოხუმში ორი ეპისკოპოსი მჯდარა — მართლმადიდებელი და კათოლიკე; მართლმადიდებლების „ეპისკოპოსთა ეპისკოპოსი“ ასევე სოხუმში (ან სოხუმშიც) ზის.

ასეთია ცხუმიდან — „ქვემო საქართველოს“ სამეფოდან პიეტრო გერალდის მიერ 1330 წელს გაგზავნილი წერილის შინაარსი.⁵⁸ აფსუების შესახებ ავტორი არაფერს ამბობს და ვერც იტყოდა, ვი-

ნაიდან ისინი იმ პერიოდში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, მით უმეტეს სოხუმში არ ცხოვრობდნენ. ცხუმში ქართველთა მოსახლეობის, ამ ქალაქის დადიანისადმი კუთვნილების დამადასტურებელი არაერთი ფაქტი მოჰყავს თამაზ ბერაძეს. იმ პერიოდში ქართველები დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთითაც ცხოვრობდნენ. მაგალითად, არაბი გეოგრაფი აბულ-ფედა 1331 წელს არა მხოლოდ სოხუმს, არამედ ქაფხაზსაც (სოჭთან) ქრისტიანი ქართველების ქალაქად მიიჩნევდა.⁵⁹

ქსოხუმის საქართველოსადმი კუთვნილებაზე და აქ გაბატონებულ სარწმუნოებაზე ლაღაღებს ქალაქის თავზე აღმართული იტალიელი კარტოგრაფის მარტინ სანუდოს 1321 წლის ხუთჯვრიანი დროშა (იხ. დანართი №1).

ამრიგად, XIV ს. დასაწყისში — თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ოდიშის სამთავროს და მის შემადგენლობაში მყოფ აფხაზეთის საერისთავოს ეჭირა. საზღვარი მათ შორის ანაკოფიაზე გადიოდა. „ხოლო ანაკოფიის იქით არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაიდგან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე. არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე. ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპეტის (ბზიფის — ჯ.გ.) მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამხრით ზღუა შავი. სიგრძე ამის არს ანაკოფიიდან კაპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღვიდამ კავკასის თხემამდე“.⁶⁰

დასავლეთ საქართველოში კონსტანტინეს შემდეგ გამეფებულმა მიქელმა (1327-1329 წწ.) მხოლოდ ის მოახერხა, რომ გამოყოფილი სამთავროები მოხარკედ და მოლაშქრედ გაიხადა.⁶¹

გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ერთიანობა აღადგინა. მისი მეფობის პერიოდში გარდაიცვალა მამია I დადიანი (1345 წ.). გიორგი ბრწყინვალემ დადიანობა მამიას ძეს — გიორგის უბოძა⁶² და

ამით განიმტკიცა ძალაუფლება დასავლეთ საქართველოზე.

გიორგი ბრწყინვალეს კურსი გააგრძელა ბაგრატ V (1360-1393 წწ). მან დაიმორჩილა განდგომილი ოდიშარნი და აფხაზნი.⁶³ ბაგრატ V-ს ძე გიორგი VII (1393-1407 წწ) ასევე ინარჩუნებდა საქართველოს ერთიანობას. მისი მეფობისას გარდაიცვალა გიორგი დადიანის ძე — ვამეყ I დადიანი (1386-1396 წწ); გიორგი VII-მ „დასუა მამია დადიანად (მამია II — 1396-1414 წწ. — ჯ.გ.). ამანვე მეფემან მიუბოძა საერისთო ცხოვრისა დადიანს მამიას ერთგულობისათვის თვისისა, რამეთუ არა მორჩილ ექმნა ძეთა ბაგრატიანთა“.⁶⁴

ამის შემდეგ VIII საუკუნიდან არსებული ცხუმის საერისთავო წყაროებში არ იხსენიება; როგორც ჩანს, ის გაუქმდა, მაგრამ ტერიტორიულად კვლავ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში დარჩა.

ბაგრატ V-სა და გიორგი VII-ს მეფობის წლებში საქართველომ თემურ ლენგის რვაგზის შემოსევა (1386-1403 წწ.) გადაიტანა და უკიდურესად დასუსტდა. მიუხედავად ამისა, გიორგის ძმის — კონსტანტინე I-ს (1407-1411 წწ.) ხანმოკლე მეფობის შემდეგ ტახტზე ასულმა ალექსანდრე (კონსტანტინეს ძემ) პირველმა (1412-1443 წწ.) ქვეყანა მაინც გააერთიანა და გააძლიერა. მისი მეფობის პერიოდში — 1414 წელს მამია II დადიანმა სცადა შერვაშიძის დამორჩილება, მაგრამ უშედეგოდ. თავად მამიაც ბრძოლაში დაიღუპა. როგორც კი დიდმა ალექსანდრე I-მა შეიტყო ამის შესახებ, იგი თავისი ჯარით ოდიშს ჩავიდა. „ხოლო შთასრულსა ოდიშს მოეგება მეფესა ძე მამია დადიანისა ლიპარიტ და ითხოვდა შენდობასა, უკეთეს ცოლად რაი მამამან მისმან. შეუნდო მეფემან, რამეთუ იყო ტკბილ და მოწყალე და არარაი ვის ავნო; გარნა ლიპარიტ აღიყვანა პატივსა მამისასა.“

მერმე წარვიდა აფხაზეთს და წარიყვანა ლიპარიტ დადიანი. მოეგება შერვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთასა; განაგნა მუნებურნი და დაამშვიდნა იგინი და მოვიდა ქუთაისს. შემოკრებულნი იმერ-ამერთა დიდებულთა და კათალიკოზთა და ეპისკოპოსთაგან ეკურთხა მეფედ მუნ“.⁶⁵ აფხაზეთის კათალიკოსის (კათალიკოზთა) მონაწილეობით კურთხეულმა მე-

ფემ ალაგმა თვითნება მთავრები, სულიერად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად აღორძინა საქართველო.

ალექსანდრეს სიცოცხლეშივე გამეფებული მისი ძე ვახტანგ III სულ რაღაც სამ წელიწადს მეფობდა. იგი ძმამ — გიორგი VIII-მ (1446-1466 წწ.) შეცვალა, რომლის რეალური ძალაუფლება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. გიორგის მეფობის წლები დაემთხვა კონსტანტინოპოლის დაცემისა (1453 წლის 29 მაისი) და აგრეთვე ანტიოსმალური კოალიციის შექმნის უშედეგო მცდელობის პერიოდს. ამ მცდელობამ ის დადებითი შედეგი მაინც გამოიღო, რომ ქართველმა მეფე-მთავრებმა 1459 წლის 5 ნოემბერს მიაღწიეს შეთანხმებას ქრისტიანობის მტრების — ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ქართველები ტრაპიზონელების ჩათვლით მზად იყვნენ ასიათასიანი ჯარი გამოეყვანათ. აქედან ოდიშის მთავარს, რომლის ძალაუფლება ანაკოფიამდე ვრცელდებოდა, 10 ათასი კაცი გამოჰყავდა. თავისი ჯარით მოდიოდა ანაკოფიის ერისთავი-შერვაშიძე. დასავლეთ ევროპის მმართველების პოზიციამ ჩაშალა ოსმალების წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის საქმე, რომლის პირველი ინიციატორები დასავლეთ ევროპელები (1458-1464 წ.წ. რომის პაპი პიუს II-ს გეგმა), შემდეგ კი ქართველები იყვნენ.⁶⁶

ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლით 1459 წლის შეთანხმებაც დაირღვა და ქართველმა მეფე-მთავარებმა განაახლეს ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ. სამცხე ყვარყვარეს დარჩა; მის ტყვეობას გადაარჩენილი გიორგი VIII ჯერ კახეთის (მან დაუღო სათავე კახეთის ცალკე სამეფოსა და მისი დინასტიის ისტორიას), შემდეგ ქართლის მეფეც გახდა, დაამარცხა რა — ბაგრატ VI. ეს უკანასკნელი არის იგივე ბაგრატ II (1455-1478 წწ.) — იმერეთის მეფე, რომელმაც წააგო ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოსათვის. „ახალი ქართლის ცხოვრების“ (ბერი ეგნატაშვილი) მიხედვით, იგი ერთი პერიოდი „იყო მორკმული სახელოვანი. ამასა ჰქონდა ქართლი, სომხითი და ჰმონებდნენ პიტიახ შნი ლორისა, კახეთისა, შირვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი, მთიულნი კავკასიანნი.

ამას შინა უკუღმუნენ დადიანი, გურიელი და უკუიტანნეს ოდიშარნი და აფხაზნი, შეიყარნეს ერთად და არლარა მსახურებდეს ბაგრაატ მეფესა“.⁶⁷ ბაგრატმა ეს ურჩი მთავრები დაამარცხა, მაგრამ ქვეყნის ერთიანობა მაინც ვერ აღსდგა. ოდიში მოიცავდა დღევანდელ აჭარას, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს (ანაკოფიამდე). მისი მმართველები ლიპარიტ I (1414-1470 წწ.) და მისი ძე შამადავლე (1470-1474 წწ.) დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ; საკუთრივ აფხაზეთი (ქართველებითა დასახლებული და ქართული ეკლესია-მონასტრებითა მოფენილი), ოდიშის ვასალი იყო.

X-XV საუკუნეებში ტერიტორია ენგურიდან ფსოუმდე (ოდიშაფხაზეთი) ეთნიკურად ჯერ კიდევ ქართული ტერიტორიაა. ქრისტიანულმა კულტურამ აღმავლობის უმაღლეს დონეს მიაღწია. პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველოს სულიერ ერთიანობას ეკლესია უზრუნველყოფდა. დასავლეთ საქართველოს იმ დროს ჰყავდა მცხეთას დაქვემდებარებული საკუთარი კათალიკოსი (ბიჭვინთაში მჯდომი აფხაზეთის კათალიკოსი), რომლის როლი და ადგილი ამა თუ იმ ეტაპზე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად იცვლებოდა. საკუთრივ აფხაზეთში ფუნქციონირებდნენ ზოგადქართული მნიშვნელობის ეკლესია-მონასტრები და მათთან არსებული ცნობილი კულტურული კერები.

კონსტანტინოპოლის დაცემამ, მუსულმანური სამყაროს აგრესიის შედეგად საქართველოს სამეფო-სამთავროებად დანაწევრებამ უარყოფითი გავლენა იქონია ქრისტიანობის შემდგომ განვითარებაზე მთელს ქვეყანაში, განსაკუთრებით მის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში. ეს რეგიონი სულ მალე თურქეთის მოკავშირე წარმართული მთიელი ტომების თავდასხმების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რაც წალეკვით ემუქრებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

3. დაბოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქართული მწერლობა, ტ.1, გვ.591.
2. თ.ქორიძე. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია, გვ.14-15.
3. ქ.ც., ტ.1, გვ.270.
4. თ.მიბჩუანი. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, გვ.40; იხ. აგრეთვე Материалы по археологии Кавказа. вып. III. Под ред. графини Уваровой. М., 1893, с.14-16.
5. გიორგი კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები. თბ., 2004, გვ.123-134. ავტორის მიერ 1639-1640 წლების მოქველ ეპისკოპოსად მიჩნეული მაქსიმე სინამდვილეში არის აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე I მაქუტაძე (1639-1657 წწ.), მანამდე — შემოქმედელი ეპისკოპოსი.
6. ქ.ც., ტ.1, გვ.281.
7. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ა.ხელაია. ბედიის ტაძარი, გვ.4.
8. ბ.კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, გვ.55-135.
9. ქ.ც., ტ.4, გვ.780.
10. ქრონიკები და სხვათა მასალა საქართველოს ისტორიისა. თ.ჟორდანიას. ტფ., 1892, გვ.137; Материалы по археологии Кавказа, вып. III, გვ.26-29.
11. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედიის ტაძარი, გვ.24-27; გ.არახამია. ვლადიკავკასიის ღვთისმშობლის ხატები ქართულ ეკლესიაში (ხელნაწერი).
12. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ა.ხელაია. ბედიის

ტაძარი, გვ.33-39; გიორგი კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები, გვ.79-97.

13. Материалы по археологии Кавказа. Выпуск II. Под ред. графини Уваровой. М., 1889, გვ.39; К.Д.Мачавариани. Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу. Сухум, 1913, გვ.342; ბ.კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, გვ.62-63.

14. პ.ინგოროვა, გიორგი მერჩულე, გვ.248-249.

15. М.Селезнев. Руководство, кн.1, с.64-65.

16. ქ.ც., ტ.4, გვ.785.

17. Материалы по археологии Кавказа, вып. IV, გვ.13-17; თ.მიბჩუანი. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, გვ.21.

18. თ.მიბჩუანი. იქვე, გვ.42-43.

19. Материалы по археологии Кавказа, вып.IV, გვ.11-33; З.В.Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, გვ.144-154; გ.როგავა. რელიგია და ეკლესია აფხაზეთში. თბ., 2004, გვ.158.

20. ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.712. ამ მასალების მოწოდებისათვის მადლობას მოვასხენებ ბ-ნ ანზორ სიჭინავას.

21. Л.Шервашидзе. Айлага-Абыку _ средневековый монастырский комплекс в селе Бомборы, გვ.2-7.

22. Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа у Черкезов и Абхазов, в Колхиде, в Грузии, в Армении и Крыму, т.1. Сухуми, 1937, გვ.136; М.Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн. II. СПб, 1847, с.174; Материалы по археологии Кавказа, вып. IV, გვ.33.

23. ე.მაჭავარიანი. მოქვის დასურათებული ოთხთავი. ჯვარი ვაზისა, I, 1995, გვ.41.

24. ამ საკითხის გაშუქებისას გამოყენებულია დ.ბაქრაძის, თ.ჟორდანიას, პ.უვაროვას, კ.ელადიმიროვის, ხ.ბლაჟბას, ზ.ანჩაბაძის, გ.ძიძარიას, ვ.სილოგავას, თ.ბარნაველის, ო.ხ.ბლაჟბას, ა.ავიძბას, ი.აჭინჭალის, თ.მიბჩუანის, ლ.ახალაძის და სხვათა შრომები.

25. იხ. ამის შესახებ ლია ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზეთა“) მეფეთა წარწერები. — აფხაზეთი, I. თბ., 2004, გვ.56-61.

26. В.А.Шнирельман. ნაშრომი, გვ.335, 372.

27. ქ.ც., ტ.1, გვ.265.

27^ა. ქ.ც., ტ.1, გვ.281.

28. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ.311.

29. ივანე ჯავახიშვილი. თხზ., ტ.2, თბ., 1983, გვ.213; ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.126; ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.3, თბ., 1999, გვ.36-37.

30. თ.ქორიძე. XI-XVI სს. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონოლოგია. — კლიო, საისტორიო აღმნახი, 2002, №15, გვ.4-6.

31. ისტორიული საბუთების კორპუსი, I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.სილოგავამ, ნ.შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ.106.

32. ქ.ც., ტ.2, გვ.156, 158.

33. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები., წ. V, თბ., 1971, გვ.88-89.

34. ანანია ჯაფარიძე. აფხაზეთი, გვ.46-47.

35. თ.ქორიძე, XI-XVI სს. აფხაზეთის... კათალიკოსთა ქრონოლოგია, გვ.6.

36. ანანია ჯაფარიძე. აფხაზეთის ეპარქია, გვ.16.

37. ქ.ც., ტ.2, გვ.118.
38. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.51-53.
39. იქვე, გვ.89-93.
40. ქ.ც. ტ.4, გვ.26.
41. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.48.
42. ქ.ც., ტ.2, გვ.180.
43. ქ.ც., ტ.4, გვ.259.
44. იქვე, გვ.201, 260, 261, 268-269.
45. ქ.ც., ტ.1, გვ.345.
46. ი.ანთელავა. დავითისა და თამარის სახელმწიფო. თბ., 1991, გვ.53, 58-59.
47. ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.3, გვ.35-38.
48. ი.ანთელავა. დასახ. ნაშრომი, გვ.59; თ.ქორიძე. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია, გვ.17.
49. ბ.კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, გვ.142-144. იხ.აგრეთვე თ.ქორიძე. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია, გვ.16-17.
50. ივ.ჯავახიშვილი. თხზ., ტ.4, თბ., 1967, გვ.113.
51. ჩვენ ვეყრდნობით XI-XVI სს. აფხაზეთის კათალიკოსების იმ ქრონოლოგიას, რომელიც დაზუსტებულია თ.ქორიძის მიერ. — კლიო. საისტორიო აღმნახი. 2000, №15, გვ.3-26; იხ. აგრეთვე „საქართველოს კათალიკოს პატრიარქები“. თბ., 2000, გვ.134-172.
52. სარგის კაკაბაძე. წვრილი შტუდიები. ტფ., 1914, გვ.3-6.
53. ქ.ც., ტ.4, გვ.803.
54. ქ.ც., ტ.2, გვ.182, 195, 207-208, 215, 217; ტ.4, 207-208, 209-210.

55. ქ.ც., ტ.2, გვ.229.
56. იქვე, გვ.295.
57. იქვე, ტ.4, გვ.801.
58. Дж. Гамахария, Б.Гогия. დასახ.ნაშრომი, გვ.219-220;
Т.Н.Берадзе. Мореплавание и морская торговля в
Средневековой Грузии. Тб., 1989, გვ.97-98, 102.
59. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.220-221;
Т.Н.Берадзе. დასახ. ნაშრომი, გვ.85, 101, 110 და ა.შ.
60. ქ.ც., ტ.4, გვ.783-784.
61. იქვე, გვ.801.
62. იქვე, გვ.259.
63. იქვე, ტ.2, გვ.342.
64. იქვე, ტ.4, გვ.268-269.
65. იქვე, გვ.278.
66. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, გვ.737-739.
67. ქ.ც., ტ.2, გვ.342.

4. ქრისტიანული სახნმუნოება აფხაზეთში ეკლესიური ეხთიანობის ხლვევისა და დასავლეთ საქახთველოს საჯათადიქოსოს დამოუ- კიდებლობის აღდგენის ჰიხოებში (XV ს. 70-იანი წლები – XVII საუკუნის დასაწყისი)

აფხაზეთის დამოუკიდებელი საკათალიკოსოს აღდგენა

მსოფლიო მართლმადიდებელთა დედაქალაქის — კონსტანტინოპოლის თურქთა მიერ აღების შემდეგ საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში (თანამედროვე აფხაზეთის

ხათვლით) ასობით დევნილი, სიკვდილს გადარჩენილი სასულიერო პირი ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა მორწმუნეთათვის უძვირფასესი ქრისტიანული სიწმინდეები. ქართველმა მეფე-მთავრებმა ისინი დიდი პატივით მიიღეს და შეიფარეს. სათანადო პატივით იღებდნენ აგრეთვე მუსულმანთაგან შევიწროებული ანტიოქიისა და იერუსალიმის მღვდელმთავრებს, რომლებიც შესაწირავის შეგროვების მიზნით ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში. ლოგიკურად, მათი როლი დაშლილ-დაქუცმაცებული ქრისტიანული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკლესიურ გაერთიანებაში (თუნდაც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე) თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში ასე არ მოხდა. ზოგიერთი მათგანის ჩაგონებითა და, რატომ უნდა, პირველ რიგში, ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნებისა-

გან დაცლილი, უპასუხისმგებლო მეფე-მთავართა მეცადინეობით ქართული ეკლესიის ერთიანობა დაირღვა. იმერეთის მეფემ ბაგრატ მეორემ და ოდიშის მთავარმა შამადავლემ დადიანმა საკუთარი პოლიტიკური პოზიციების განსამტკიცებლად დასავლეთ საქართველოს ეკლესია ქართველთა ერთიანობის სიმბოლოს — მცხეთას ჩამოაშორეს. მათ ისარგებლეს იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის მიხაელის (მიხეილის) ჩამოსვლით (შესაწირავის შესაგროვებლად) და მას 1470-1474 წლებს შუა პერიოდში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ავტოკეფალურ კათალიკოსად ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი იოაკიმე (იოვაკიმე) აკურთხებინეს. შემდგომ პერიოდში აფხაზეთის კათალიკოსთა ქრონოლოგია ფაქტობრივად უწყვეტად გრძელდება.

იოვაკიმეს კურთხევისას, იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქმა დაამტკიცა „მცნებაი სასჯულო“, სადაც მისი შემდგენელნი ცდილობენ დაასაბუთონ ერთიანი ქართული ეკლესიის გაყოფის აუცილებლობა და კანონიერება. „ვითარ ინება და იგ ულსმოდგინა მან, არსებით მიუწვდომელმან, და ღმრთაებით მმართველმან სჯული-სა ქრისტეანობისაგან, და უზრწნელად და უბიწოდ მშობელმან მისმან, და მადლმან ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისაგან, და ცათა მობაძვისა ანტიოქიისამან, და მოვივლინე ღმრთისა მიერ მე, ყოველთა ნარჩვევი, იერუსალიმისა და ანტიოქიისა პატრიარქი მიხაელ, მოვიწიე დიდსა მას ქრისტეს სამწყოსი, მაზებელსა იერუსალიმისასა, საქართველოსა“¹ — ნათქვამია დოკუმენტში. შესაწირავის შესაგროვებლად ჩამოსული პატრიარქი აცხადებს, რომ თითქოს უფლისა და ღვთისმშობლის ნებით ჩამოვიდა საქართველოში. „მცნებაი სასჯულოს“ ავტორები ამ შემთხვევაში ცდილობენ გარკვეული პარალელი გააგონან ანდრია მოციქულის საქართველოში ჩამოსვლასთან, რომელიც აღწერილია „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ — შილენონტი მროველთან (ქ.ც., ტ.1, გვ.38). ვითომ იერუსალიმის პატრიარქიც, მათი მტკიცებით, ანდრია მოციქულივით, უფლისა და ღვთისმშობლის ნებით ჩამოვიდა (?!).

ბაგრატ მეფის, შამადავლემ დადიანისა და „მისთა თავადთა თანადგომითა“, აგრეთვე ცაიშელ-ბედიელი იოაკიმეს დახმარებით

პატრიარქს „დაუდგენია“, რომ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები ანტიოქიაში იკურთხებოდნენ, მაგრამ „უამთა სიძულელისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყუნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით“. საქართველოს კათალიკოსების ანტიოქიაში კურთხევა — ისტორიული ფაქტია, მაგრამ ეს არ ხდებოდა ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ. ანტიოქიისადმი საქართველოს ეკლესიის კვლავ დაქვემდებარების მცდელობა ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელმა ჩაშალა. მისი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ „ჩვენს ქვეყანაში“ — აფხაზეთში ქრისტიანობა მოციქულებმა იქადაგეს და ერთ-ერთი მათგანი — სიმონ კანანელი იქარის დასაფლავებულიო. ეს ყოველივე არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ „მცნებაი სასჯულოს“ ავტორებს, მაგრამ ჩაიდინეს ვერაგობა — გამოიყენეს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური აშლილობა და ქართული ეკლესია ორად გაყვეს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, და დიდისა და ცათა მობაძვისა იერუსალიმისა მადლითა, და ცათამდის მადლითა კათოლიკე საყდრისა ანტიოქიისა ღმრთისმშობლისა მეოხებითა, ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯუნაი იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი, და კურთხეულმცა არის, დავაყენეთ და დავსვით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა ყოველთა ქრისტიანეთა ღმრთისა-ამერიისა, ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა. ყოველთა ურჩთა ღმრთისა არა ნებისმყოფელად მყოფთათვის მომაქცეველად ვაკურთხეთ“.² ი.ჯავახი შვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „მარჯუნაი იერუსალიმისა“ ნიშნავს აფხაზეთის ქართული ეკლესიის თვითმწყობის უფლების შელახვას, დამოუკიდებლობის არა მინიჭებას, არამედ მოსპობას და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის დაქვემდებარებაში შესვლას.³

„მცნებაი სასჯულოში“ აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ის გარემოება, რომ „აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“.⁴ მოსაზრება, თითქოს აქ საუბარი იყოს მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთზე და აფსუხალზე, მცდარია.⁵ აღნიშნული მოსაზრების ავტორებს შეუძლიათ დაეყრდნონ

მარტო ლევან II დადიანის ერთ-ერთ სიგელს (მამულების მფლობელობის განახლების სიგელი ხობის საყდრისადმი), სადაც მოტანილია ნაწილი შამადავლე დადიანის უფრო ადრინდელი სიგელიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „ძუელითგანი იადგარი გარყუნილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ღმრთისმშობლისაო, მას ეამსა უღმრთოდ და უსჯულოებად მიიქცეს აფხაზნიო, და აღვიყვანეთ იოაკიმ, კაცი ღირსი ნეტარებისა, დავსვით კათალიკოზადო, რომელი აფხაზთა გარყუნა, სჯული და კათალიკოზობა, ხოლო ჩუენ მარგვენითა ქრისტეს საკლავისათაო და იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქისა მიხალის, ნებადართვითა, გავარიგეთო ჟუარითა და ონოფრითა“.⁶ ლევან II ძველი ტექსტის ზუსტ ციტირებას არ ახდენს. მისი სიტყვები, ანანია ჭაფარიძის აზრით, XVII საუკუნეში შექმნილ ვითარებას უფრო შეეფერება, ვიდრე 200 წლით ადრე „მცნებაი სასჯულოში“ გამოთქმულ შეხედულებას.⁷ ამ დოკუმენტში აშკარად დასავლეთ საქართველო იგულისხმება, ძნელი წარმოსადგენია, იმერეთის მეფეს, ოდიშ-გურიის მთავარს, იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქს საქართველოს ეკლესიის გაყოფის მიზეზად მხოლოდ ანაკოფიის იქით მდებარე შერვაშიძის სამფლობელოში (რომელიც, ამავე დროს ოდიშის ნაწილი იყო) არსებული მძიმე სარწმუნოებრივი ვითარება დაესახელებინათ. „მცნებაი სასჯულოს“ მიხედვით, დასავლეთ საქართველოს განაგებენ ბაგრატი II და „ღიღი ერისთავთ-ერითაჲი“ შამადავლე დადიან-გურიელი. შერვაშიძე კი ამ უკანასკნელის ერისთავია, იგი არც მოიხსენიება დოკუმენტში და როგორც დაბალი რანგის მოხელე აფხაზეთის საკათალიკოსოს დაფუძნებაში არ მონაწილეობს. საკუთრივ აფხაზეთი (თანამედროვე გუდაუთის რაიონი) რომ ყოფილიყო „ქრისტეს მცნებათაგან განშორებული“, მდგომარეობის გამოსასწორებლად დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელ საკათალიკოსოს კი არ შექმნიდნენ, არამედ ერთ ან რამდენიმე ეკლესიას გახსნიდნენ, მისიონერებს მიავლენდნენ; თუ მაინც და მაინც საკათალიკოსოს დაარსება იყო საჭირო, კათალიკოსის ტახტი „ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ“ მხარეში ვერ დარჩებოდა (ამას ადგილობრივი ურწმუნო მმართველი ნებით არ დაუშვებდა).

აშკარაა, რომ „მცნებანი სასჯულოში“ მთელს დასავლეთ საქართველოში — აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობაა რამდენადმე ტენდენციურად წარმოდგენილი, რათა გაემართლებინათ იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის მიერ აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევა. ამ უკანასკნელის იურისდიქცია ვრცელდება ტერიტორიაზე „ლიხთა ამერისა, ჟოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაი პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიქუინტისა სამზღვარი მიაწევს“.⁹ იოვაკიმე მოიხსენიება „აფხაზეთისა“ ან „ლიხთ-ამერისა და აფხაზეთისა“ კათალიკოსად.

„მცნებანი სასჯულოს“ 22-ე პუნქტში პატრიარქი მიხაელი ცდილობდა ქართული ეკლესიის მთლიანობის დარღვევის ისტორიულ-თეორიულ დასაბუთებას. მისი მტკიცებით, დასავლეთ საქართველო ანდრია მოციქულმა მოაქცია, აღმოსავლეთი — წმინდანინომ; ამიტომ, — წერდა იგი, — „ვაკურთხეთ და დავამტკიცეთ სჯულისა თავად კათალიკოზი იოვაკიმ, (კითარცა) ქრისტე ღმერთი თავი არს ეკლესიათა“.⁹ ეს იყო პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველოს სულიერი გახლეჩვის მზაკვრული ჩანაფიქრი. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ადრე საკმარისი დასაბუთების გარეშე ანდრია მოციქულის საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში ყოფნის ფაქტს 1898 წ. დაწერილ სპეციალურ წერილში უარყოფდა,¹⁰ ამჯერად სამართლიანად წერდა: „მთელი ეს მოქადაგეობა საქართველოს საუკეთესო მეცნიერ-მოღვაწეთა მიერ შემუშავებული და განმტკიცებული ისტორიული შეხედულებების გასაცრუებლად და გასაქარწყლებლად იყო მოწყობილი... ანდრია მოციქულიცა და წ-ანინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ქართველი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი... ანტიოქელიერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა (გულისხმობდა გიორგი მთაწმინდელს, ეფრემ მცირეს, რუის-ურბნისის კრების სულისჩამდგმელებს — ჯ.გ.) მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულს შემეცნებას სპობდა“.¹¹

საბედნიეროდ, მოვლენები ისე არ წარიმართა, როგორც ეს, შესაძლოა, „მცნებანი სასჯულოს“ ავტორებს სურდათ. მართალია, სა-

ქართველოს ეკლესია ორ ნაწილად გაიყო (მცხეთასთან ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე), მაგრამ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებმა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს და ანტიოქიაში ან სხვაგან არ ეკურთხებოდნენ; უფრო მეტიც, ერთიანი ქართული სახელმწიფოს არარსებობის, ლიხთ იმერეთის დაქუცმაცების, მეფე-მთავრებს შორის მძაფრი დაპირისპირების, გაუთავებელი შინაომების პირობებში ყოფილი აფხაზეთის სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) და მისი მოსახლეობის ერთიანობის სიმბოლოს აფხაზეთის საკათალიკოსო წარმოადგენდა.

საკათალიკოსოს რეზიდენცია ბიჭვინთაში იმყოფებოდა. 1470-1474 წლებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში აფხაზეთის კათალიკოსთა რეზიდენცია პარალელურად დადიანების საგვარეულო საძვალეში — ხობის მონასტერშიც არსებობდა. ამით აიხსნება იოაკიმეს მომდევნო კათალიკოსის — ბართლომეს ხობის კათალიკოსის ტიტულით მოხსენიება. 1519 წლამდე კიდევ ერთი კათალიკოსის — სტეფანეს სახელია ცნობილი. ამ სამი კათალიკოსის მოღვაწეობის შესახებ ცნობები უკიდურესად მწირია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ერთ-ერთ მათგანს — იოაკიმეს იერუსალიმის ქართველთა მონასტრისათვის გაწეული დიდი დახმარებისათვის იქ საუკუნო აღაპი დაუწესეს.¹² გაცილებით მეტი მონაცემები მოგვეპოვება კათალიკოს მალაქია I-ს (აბაშიძის) შესახებ, რომელიც 1519 წლიდან XVI საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში მოღვაწეობდა.

XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა. 1479-1505 წლებში ქართლში მეფობდა კონსტანტინე II. მან „მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა“.¹³ ოდიშში მაშინ მთავრობდნენ ვამეყ II (1474-1482 წწ.) და ლიპარიტ II (1482-1512 წწ.). ისინი მხოლოდ სიმბოლურად აღიარებდნენ ქართლის მეფის ძალაუფლებას, რათა ნაკლები ზეწოლა ყოფილიყო იმერეთის მეფის მხრიდან; მათ კვლავაც ექირათ თანამედროვე აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიები.

კონსტანტინე II მისმა მემკვიდრემ დავით X-მ (1505-1525 წწ.) შეცვალა. ქართლში დავითის მეფობის პერიოდში დასავლეთ საქართველოში ასეთი ვითარებაა: „დადიანს ეპყრა ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქუემოთი, სუანეთის მთის გაღმომართი, აფხაზეთის ზემოთი. და აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა. კუალად ეპყრა დადიანს ზღუას შემომართი და რიონს გაღმართი“.¹⁴ ოდიშის საზღვრებს უფრო აკონკრეტებს ვახუშტი: „ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე (იმერეთშია — ჯ.გ.), მერმე თაკუერსა და ოდიშს შორის მთა, კავკასილამ ჩამოსული სამხრით და კუალად თაკუერიდამვე წარსრული კავკასი ჩრდილოთ, ვიდრე ეგრისის მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კუალად ეგრის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღუა; დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასილამ ჩამოსული სამხრით ზღუამდე; ჩრდილოთ კავკასის მთა“.¹⁵

ამრიგად, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კვლავ ანაკოფიასთან გადიოდა. მთავრის ტახტი მამია III დადიანს (1512-1533 წწ.) ეჭირა. მისი ვასალი იყო აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე, მაგრამ, როგორც მემამულიანე აღნიშნავდა, დადიანის ყველა ბრძანებას უკვე აღარ ემორჩილებოდა.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა მალაქია I (აბაშიძის) კათალიკოსობა. მისი კურთხევა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ს (1510-1565 წწ.) სახელს უკავშირდება. კათალიკოსი ბიჭვინთაში იჯდა. ვახუშტის ცნობით, 1519 წელს „შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი იმერეთისანი ბაგრატ მეფემან და ჰყო გელათი საეპისკოპოსოდ და დასუა საყუარელიძე მელქისედეკ“.¹⁶

1529 წელს გერასიმე ქუთათელის გარდაცვალების შემდეგ ეს ტახტი მისმა ძმისწულმა სიმონმა დაიკავა. იგი წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინთისასა“. იმავე წელს ბაგრატ მესამემ „განყო ლიხთ-იმერი სამ საეპისკოპოზოდ ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოზისა აბაშიძისათა“. ჩამოყალიბდა გელათის, ქუთაისისა და ხონის საეპისკოპოსოები. ხონელ ეპისკოპოსად მეფემ დანიშნა „მჩხეტის ძე მანოელ მისვე აფხაზეთისა კათალიკოზისა ხელითა საყ

დარსა შიგან ბიჭვინტისათა, ქორონიკონი იყო ს-იზ (1529): წავედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა კ — (20) და მოვედით ივლისს კ — (20)“.¹⁷

მალაქია I აბაშიძის კათალიკოსობის, ბაგრატ III-ს მეფობისა და მამია III დადიანის მთავრობის (ე.ი. 1533 წლამდე) პერიოდშია შედგენილი, ხოლო შემდგომში რედაქტირებული ქართული სამართლის, კონკრეტულად საეკლესიო სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი „ბიჭვინთის იადგარი“ (იხ. დანართი №5). სპარსული სიტყვა „იადგარი“ სახსენებელს, საჩუქარს ნიშნავს. ს.კაკაბაძის მტკიცებით, „იადგარი უნდა ეკუთვნოდეს თავისი არსებითი ნაწილით 1525-1550 წლებს, ხოლო მოწვევულ რედაქციაში დაცულ ნართაული გლოსებით — 1578-1600 წლებს“.¹⁸

„ბიჭვინთის იადგარი“ შეიცავს სავედრებელს ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი; იმერეთის მეფის ბაგრატ III-ს და მის ძეთა (მათ შორის გიორგი II-ს), მამია III დადიანისა და მის მემკვიდრეთა (ლევანის, გიორგის, მამიას), როსტომ გურიელისა (1534-1564 წწ.) და მისი მემკვიდრის (გიორგის — 1564-1600 წწ.) მიერ გაკეთებულ შემოწირულობათა ჩამონათვალს; ბიჭვინთის საყდრის, კათალიკოსის ქონებისა და ყმა-მსახურთა დამცავ სამართლებრივ ნორმებს; განსაზღვრულია აფხაზეთის საკათალიკოსოს საზღვრები „ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის სამზღუარსა და ჭანეთს შუა“. ეს სახელმწიფო საზღვრის დაფიქსირება უფრო იყო, ვიდრე საკათალიკოსოსი, ვინაიდან ფსოუს იქით ბიჭვინთას დაქვემდებარებული ეკლესიების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

დოკუმენტის დამტკიცებას ხელს აწერენ კათალიკოსები მალაქია I აბაშიძე, ევდემონ I ჩხეტიძე, ექვთიმე I საყვარელიძე, მალაქია II გურიელი, მაქსიმე I მაჭუტაძე, ზაქარია ქვარიანი, სვიმონ ჩხეტიძე, დავით ნემსაძე. ეს უკანასკნელი 1696 წელს გარდაიცვალა.

„ბიჭვინთის იადგარში“ იმერეთის მეფეები ბაგრატ II და გიორგი II სრულიად საქართველოს მეფეებად იწოდებიან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ იდეას იზიარებდნენ და მხარს უჭერდნენ დოკუმენტზე ხელისმომწერნი და აგრეთვე სხვა კათალიკოსები. რომლებიც საკუთარ თავს სრულიად საქართველოს მწყემსმთავრებად მოიაზ-

რებდნენ.

„ბიჭვინთის იადგარი“ ძირითადი ტექსტის გარდა შეიცავს გვიანდელი ხანის საერო და სასულიერო მოღვაწეთა მინაწერებს, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

საინტერესოა, ძირითადი ტექსტის მიხედვით, რამამ ულები შესწირა ბიჭვინთას მალაქია I აბაშიძის თანამედროვემ — მამია III დადიანმა. ეს არის: „ეგურის პირს ნაქანეო სამოცი კუამლის კაციითა; ხორის წმიდის გიორგის ეკლესია ოცდახუთის კუამლის კაციითა; წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაციითა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე შამიგია ჭუჭურია და დათია; მარმარისკარს ეგვიბტია და ჩხუნბურია; აგრეთვე აფხაზეთს ბიჭვინტას გარემო სოფელი აიფარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი“. ნაქანეო (ნაქანეული) სოფელ ოტობაიად არის მიჩნეული, წამხარი//სამხარი — გალის რაიონის ქვედა ზონაშია თავილონთან, ხორი სოფელ. ოხურეის ერქვა, სუბეში (სუბეიში) — აჩიგვარას, ტყაურუ — სკურჩას; მარმარისკარი დღეს სოფ. აძიუბუის ნაწილია, იქ შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია, რომელსაც აფსუები მარმად-აბაა-ს (მარმარის კოშკს?!) უწოდებენ. მოხსენიებული ტოპონიმები და ონომასტიკა ადასტურებენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად ქართულია. მხოლოდ სამი სოფელი, რომელთა სახელწოდება ქართულად თითქოს არ ჟღერს, მაგრამ არც აფსუურად იხსნება, აფხაზეთში — ბიჭვინთის გარშემო მდებარეობს. მამია III დადიანის მიერ ამ სოფლების ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის შეწირვა, რასაც მისი მემკვიდრეებიც ადასტურებენ, მიუთითებს, რომ ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აფხაზეთი იმ დროსაც ოდიშის ნაწილი იყო. ძნელი წარმოსადგენია, სოფლები აიფარნე, არუხა და რაბიწა წარმართი მთიელებით ან ქართველებისადმი მტრულად განწყობილი ტომებით ყოფილიყვნენ დასახლებულნი და ისინი ბიჭვინთისთვის შეეწირათ. ეს ფაქტი, პირიქით, იმის მანიშნებელია, რომ სამივე სოფელში ქართველი ქრისტიანები ცხოვრობდნენ. აღნიშნული სოფლების მაცხოვრებლები აფსუები რომ ყოფილიყვნენ, ეს დასახლებული პუნქტები

შემდგომშიაც იარსებებდნენ, არც მათი სახელები დაიკარგებოდა. მხოლოდ მთის სახელწოდება — აითარნე, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს აფსუათა წარმართულ სალოცავ — „აითარ“-თან (შინაური ცხოველების, ბუნების განახლებისა და გამრავლების ღვთაება). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შორეულ წარსულში მეგრელებიც თავიანთ სცემდნენ მეცხოველეობის ღვთაებას — „ანთარს“. არც ის არის გამორიცხული, აქედან მომდინარეობდეს ბიჭვინთისათვის შეწირული ზეთისხილოვანი მთის სახელწოდება.

მალაქია I აბაშიძე, აგრეთვე სხვა სასულიერო პირები დადიანთან და გურიელთან ერთად იცავდნენ აფხაზეთს მთიელთა ექსპანსიისაგან, რომელიც თურქეთის წაქეზებითა და დახმარებით ხორციელდებოდა.

1464 წელს ოსმალებმა ყირიმი დაიპყრეს, 1475 წელს დაეუფლნენ კავას (ყოფილ თეოდოსიას), რომელიც აფხაზეთის საკათალიკოსოს (ქართული სახელმწიფოს) უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან მდებარეობდა; იმავე წელს თურქებმა ხელში ჩაიგდეს ანაპა; დაიწყეს საკუთარი გავლენის გავრცელება ჩერქეზებზე, რომლებიც ეუფლებოდნენ თურქულ ენას, ღებულობდნენ მუსულმანურ სარწმუნოებას. თურქეთს თვალი სამხრეთისაკენ — ოდიშ-აფხაზეთისაკენ ეჭირა. ჯერ კიდევ 1451 წელს თურქეთის ფლოტმა ცხუმში დაარბია. ამჯერად თურქები საკუთარი გავლენის ქვეშ მყოფი ჩერქეზული ტომების მეშვეობით მოქმედებდნენ, ოდიშის წინააღმდეგ ყოველნაირად აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ მთიელ ტომებს. სწორედ ამ პოლიტიკის გამოვლინება გახლდათ ჭიქთახშირი თავდასხმები; როგორც ვახუშტი აღნიშნავდა, „ეკირთებოდნენ იგინი ოდიშს და გურიას“.¹⁹

1533 წელს მამია III დადიანმა და მამია I გურიელმა ჭიქთა შემოხვეების ასალაგმავად ლაშქრობა განახორციელეს, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ; დაიღუპა მამია III დადიანი, გურიელის შვილი გიორგი და ბევრი სხვა. ლაშქრის ნაწილი, მათ შორის „ეპისკოპოზნი“, ტყვედ ჩავარდნენ. ამ დროს ჭიქებთან „წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი, და მკუდარნი ფასით იყიდნა“.²⁰ ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დოკუმენტურად დადასტურებულ

ერთ-ერთ პირველ ფაქტთან ოდიშის (აფხაზეთი მის შემადგენლობაშია) შეიარაღებული დაპირისპირებისა ჯიქებთან ანუ აფსუა-ადილეველებთან. შეტაკება მდინარე ფსოუს ჩრდილო დასავლეთით ხდება. მთიელთა ზურგს უკან შავიზღვისპირეთში გაბატონებული თურქეთი დგას. არსებითად, ეს იყო ქრისტიანული ქვეყნების — იმპერიული ზრახვებით შეპყრობილი რუსეთისა და ისედაც დაუძღვრებული საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ალიანსის ჩანასახი, რომელიც მომავალში უზარმაზარ პრობლემას შეუქმნის ორივე სახელმწიფოს. ეს ალიანსი საქართველოს ოდიშ-აფხაზეთის კოლხური მოსახლეობის გენოციდის, რეგიონში წარმართი მთიელების ჩამოსახლებისა და ადგილობრივი ქრისტიანული კულტურის განადგურების ფასად დაუჭრდება. ეს საშიშროება 1533 წელსაც იგრძნობოდა. სწორედ ამიტომ, მთიელებთან ბრძოლაში რაღაც ფორმით ეპისკოპოსები და, სავარაუდოდ, სხვა უფრო დაბალი რანგის სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. აფხაზეთის კათალიკოსს კი, რომელიც ბიჭვინთაში იჯდა, ჯიქებთან გამგზავრება, მათთან შეხვედრა, ტყვეთა გამოხსნა და დაღუპულთა ცხედრების გამოსყიდვა მოუხდა. ჩვენი აზრით, ეს იყო წერილობით წყაროებში დაფიქსირებული პირველი შეხვედრა აფხაზეთის კათალიკოსისა წარმართ მთიელებთან (აფსუა-ადილეველებთან), რომლებიც მალე თურქეთის დახმარებით აფხაზეთის ოკუპაციას მოახდენდნენ.

მალაქია I აბაშიძის კათალიკოსობა 30-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის ერთ-ერთ საბუთში ის იხსენიება როგორც „დიდი მამამთავარი აღმოსავლისა და ყოვლისა ჩრდილოს და აფხაზეთის კათალიკოზ მსოფლიო პატრიარქი“.²¹

1541 წლიდან, ხოლო გარკვეული ინტერვალის შემდეგ, 1557-1578 წლებში აფხაზეთის საკათალიკოსოს სათავეში ედგა ევდემონ I ჩხეტიძე. 40-ნი წლების დასაწყისიდან 1557 წლამდე აფხაზეთის მღვდელმთავრად მიჩნეულია იოსებ I მაჭუტაძე, რომელიც იხსენიება სინის მთის მონასტრის სულთა მატთანეში.²² სხვა მონაცემები მის შესახებ ჯერჯერობით უცნობია.

საკათალიკოსო ტახტის ბიჭვინთიდან გელათში გადატანა და მდგომარეობა აფხაზეთში

ევდემონ I ჩხეტიძის პერიოდი ეს არის იმერეთში ბაგრატ III-სა და გიორგი II-ს (1565-1583/85 წწ.) მეფობის წლები. ამ უკანასკნელის მეორე

ცოლი იყო შერვაშიძის ქალი — რუსუდანი (გარდაიცვალა 1578 წელს).²³ ვახუშტის მიხედვით, რუსუდანი „ჩერქეზის ბატონის“ ასულია.²⁴ როგორც ჩანს, იმერეთის სამეფო კარზე ქართველ შერვაშიძეებს უკვე ჩერქეზთა ბატონებად აღიქვამდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობის უმეტესობას მიანიც ჩრდილოკავკასიელები შეადგენდნენ.

ევდემონ I ჩხეტიძის კათალიკოსობის პერიოდში ოდიშს განაგებდა ლევან I დადიანი (1533-1572 წწ.), რომელიც ფაქტობრივად გამოვიდა იმერეთის სამეფოს დაქვემდებარებიდან და დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. მისი მთავრობის პერიოდში გახშირდა მთიელთა თავდასხმები.

იგი იძულებული გახდა ბეღიაში დასვენებული ვლახერანის ღვთისმშობლის ხატი მასთან დაცულ ღვთისმშობლის სარტყლიანად სამეგრელოს მთავრის რეზიდენციასთან ერთად ზუგდიდში გადაეტანა.²⁵ ლევან პირველის გარდაცვალების შემდეგ დადიანის ტახტი გიორგი მესამემ (1572-1582 წწ.) დაიკავა. გურიელთან დაპირისპირების გამო ტახტი მალე დაკარგა და მას ლევან პირველის უმცროსი ვაჟი მამია დროებით დაეუფლა. გიორგიმ აფხაზთა, ჯიქთა და ჩერქეზთა დახმარებით სცადა ძალაუფლების დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. 1578 წელს გიორგი დადიანი, გურიელი და იმერეთის მეფე მორიგდნენ. გიორგიმ ტახტი დაიბრუნა, ამასთან ცოლად იმერეთის მეუღლის და (შერვაშიძის ასული, რომელიც ქუთაისში იზრდებოდა) შეირთო.²⁶

XVI ს. შუახანებში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც რამდენიმე საუკუნით განსაზღვრა საქართველოს ბედი. 1555 წ. 29 მაისს თურქეთის ქალაქ ამასიაში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკ-

რულებას, რომელმაც დაასრულა ირან-ოსმალეთის 1514-1555 წლების ომი; აღმოსავლეთ საქართველო ერგო ირანს, დასავლეთი — თურქეთს. ამით საქართველოს დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა.

ასეთ მძიმე ვითარებაში მოუწია მოღვაწეობა ევდემონ I ჩხეტიძეს. არსებობს დასაბუთებული მოსაზრება, რომ სწორედ მისი ზეობის პერიოდში კათალიკოსის რეზიდენცია (და არა საკათედრო ტახტი) ბიჭვინთიდან გელათში გადავიდა; მიზეზად შინაომები, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ს და მისი მემკვიდრის გიორგი მეფის საეკლესიო პოლიტიკა, თურქეთის აგრესია და მთიელთა თავდასხმები სახელდება. უნდა აღინიშნოს, რომ კათალიკოსის რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადატანის ზუსტი თარიღის დადგენა, შესაბამისი წყაროების არარსებობის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. აღნიშნული საკითხი დეტალურად აქვს განხილული ბ.ლომინაძეს.²⁷ იგი ცალკე თავს უძღვნის პრობლემის ისტორიოგრაფიას; უარყოფს ბიჭვინთის საკათალიკოსო რეზიდენციის გელათში XVII საუკუნის შუახანებში გადატანის საკმაოდ გავრცელებულ ვერსიას (ა.მურავიოვი, ლ.კაველინი, თ.ქორდანია, დ.გულია, ზ.ანჩაბაძე, ი.ანთელავა და ა. შ.) და დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ეს ფაქტი 1545-1569 წლებს შუა პერიოდში მოხდა; აზუსტებს და აკონკრეტებს ფრედერიკ დიუბუა და მონპერეს, მარი ბროსეს, დ.ბაქრაძის და სხვათა მოსაზრებებს საკათალიკოსო რეზიდენციის შეცვლის მიზეზებთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემები დოკუმენტურად არის შესწავლილი დასავლეთ საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში არსებული პოლიტიკური და სოციალური ვითარების ფონზე.

აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადასვლა დროში ემთხვევა ლევან I დადიანის მიერ მთავრის რეზიდენციისა და მთავარი საგვარეულო სიწმინდის — ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატისა და ღვთისმშობლის სარტყლის ბედიიდან ზუგდიდში გადატანას. ეს სრულებითაც არ იყო შემთხვევითი დამთხვევა. მთიელები დასავლეთ საქართველოს სიღრმეშიც ახორციელებდნენ თავდასხმებს.

1545-1569 წლებს შუა პერიოდში საკათალიკოსო რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადასვლას ადასტურებს ბაგრატ III-ს გადაწყვეტილება მოშლილი, მიტოვებული გელათის წმ.გიორგის ეკლესიის სამეფო საძვალედ გამოცხადებისა და მისი აღდგენის დაწყების შესახებ (1545 წ.); გიორგი მეფის მიერ წმ.გიორგის ეკლესიის აფხაზეთის კათალიკოსის განკარგულებაში გადაცემა (1569 წ.); ევდემონ ჩხეტიძის მონაწილეობა გელათში სამშენებლო სამუშაოების ჩატარებაში, ეკლესიის მოხატვაში; მისი იქვე დასაფლავება; ევდემონის განკარგულებით დამზადებული ბიჭვინთის ხატის გელათში დასვენება და ა.შ.

მთლიანად გასაზიარებელია ბ.ლომინაძის შემდეგი დასკვნა: „...ბიჭვინტას საკათალიკოსო რეზიდენციის გადმოტანის შემდეგ არ დაუკარგავს საეკლესიო ცენტრის საზოგადო მნიშვნელობა. მოხდა არა კათედრის გადმოტანა, არამედ კათალიკოსის ადგილის მონაცვლება. ეს რომ ასე იყო, ამ მხრივ ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტები:

1) კათალიკოსის წამოსვლის შემდეგ არც ერთ ეკლესიას, სადაც კი კათალიკოსი იჯდა მუდმივად თუ დროებით, თვით გელათის წმ.გიორგის ეკლესიას არ მიუღია საკათედრო ტახტის სახელი.

2) ბიჭვინტიდან წამოსვლის შემდეგ არ მომხდარა ცვლილება კათალიკოსის ტიტულატურაში. იგი შემდეგაც „აფხაზეთის კათალიკოსად“ ან „ბიჭვინტის კათალიკოსად იწოდებოდა“ და ითვლებოდა ბიჭვინტის ანდრია მოციქულის სახელობის ტახტზე მჯდომარედ. საკათალიკოსო შეწირულობაც ჩვეულებრივ ბიჭვინტის ხატის სახელზე შედიოდა...

3) მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს კათალიკოსის წამოსვლის შემდეგ მირონის კურთხევის ტრადიცია აფხაზეთში, ბიჭვინტის ეკლესიაში შენარჩუნებული თვით გვიან პერიოდამდე“.²⁸

არსებული ისტორიული მასალა ნამდვილად იძლევა საშუალებას, დასკვნისათვის, რომ XVI ს. მეორე ნახევარში იმერეთის მეფეთა ნებით გელათში ფუნქციონირება დაიწყო ბიჭვინთიდან იძულებით (უპირველეს ყოვლისა, მთიელი აფსუების მოწოლის გამო) წამოსული კათალიკოსის პარალელურმა რეზიდენციამ. ასეთივე პა-

რალელური რეზიდენცია ერთი პერიოდი არსებობდა, როგორც ზემოთ ითქვა, ხობის მონასტერში; XVIII ს. პირველ ნახევარში აფხაზეთის კათალიკოსები ძირითადად ოდიშში (ლევან II დადიანი კარზე), აგრეთვე გურიაში მოღვაწეობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აფხაზეთის კათალიკოსთა ერთ-ერთი რეზიდენცია სენაკშიც არსებობდა: „ტეხურსაც კიდევ არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოსისა“.²⁹ ეს ეკლესია ვამეყ III დადიანმა (1658-1661 წწ.) შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს. მაშინდელი კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი წერდა: ვამეყლიპარტიანს „დიდის ხვეწნითა საკანონოდ დავადებინეთ და შევაწირვინეთ ბიჭვინთისა ღმრთისმშობელისათვის: სენაკს საყდარი მაცხოვრისა, ორი მისის სასახლითა, ლეჯის ტყითა და ოლუაწყითა, მისის შეწირულის მამულითა და რაც მის გვიჯარსა და დავთარში ეწეროს ყოვლისა ფერითა“ (იხ. დანართი №13). როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან სენაკის ეკლესია — აფხაზეთის კათალიკოსთა ერთ-ერთი რეზიდენციაა. სავარაუდოდ, იგი ვახუშტის დროსაც (1745 წლამდე — ნაშრომის დასრულების წელი) კათალიკოსთა „საყოფელია“. მაშინ — XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში — ოდიშის ტერიტორია ლალიძემდე დიდი ხნის დაკავებული ჰქონდათ აფსუებს, ხოლო ქუთაისი 1666-1770 წლებში თურქების ხელში იყო. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, აფხაზეთის კათალიკოსი ბიჭვინთაში, არამედ გელათშიც მუდმივად ვერ დარჩებოდა და დროებით სენაკში გადავიდა. მ. კელენჯერიძე კი წერდა: „საზაფხულო რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოსს სოფ. შხეფში ჰქონდა მდ. ტეხურზე, ციხე-გოჯის (ნაქალაქევი) ქვემოლ“.³⁰ კათალიკოსის რეზიდენციის შეცვლას არაიშვიათად პოლიტიკური კონიუნქტურა (ოდიშიმერეთის ურთიერთობა) განაპირობებდა.

აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრის ბიჭვინთიდან სადმე სხვაგან გადატანის ფაქტი წყაროებში არ ფიქსირდება. ასეთი რამ არც მომხდარა. ბიჭვინთიდან გელათში თუ სენაკში იძულებით გადავიდა არა საკათალიკოსო ტახტი, არამედ კათალიკოსი. იძულებით ადგილნაცვალი კათალიკოსები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას (ძირითადად გელათში) მოღვაწეობდნენ.

დევნილი მღვდელმთავრები მხოლოდ ბიჭვინთას არ ჰყოლია. როგორც საქართველოს, ისე აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში საკმაოდ იყო ანალოგიური შემთხვევები. მტრის მიერ აოხრებული რუსთავიდან XIII ს. მეორე ნახევარში ეპისკოპოსი მარტყოფში გადავიდა (ამჟამად მარტყოფში იმყოფება აფხაზეთის დევნილი მიტროპოლიტი მეუფე დანიელი); ისტორიული კახეთის უძველესი ცენტრის ჩეღეთის (ივრის ხეობა) V საუკუნეში დაარსებული საეპისკოპოსოს მღვდელმთავარმა რეზიდენცია იძულებით ხარკაშოს საეპისკოპოსო ეკლესიაში გადაიტანა; მანამდე ჩეღეთში დროებით ბინა დაიდო ჭერემის დევნილმა ეპისკოპოსმა და ა.შ.

როცა საეკლესიო კათედრები მტრის ტერიტორიაზე ექცეოდნენ, მღვდელმთავრები ახალ რეზიდენციაში გადადიოდნენ. ასე მოხდა სირიაში, პალესტინაში, ეგვიპტეში და სხვაგან. იმდენად გახშირდა მსგავსი მოვლენები, რომ საჭირო გახდა ადგილნაცვალი მღვდელმთავრების უფლება-მოვალეობების საეკლესიო კანონით დარეგულირება. კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (780 წ.) ამასთან დაკავშირებით გადაწყვიტა:

„მრავალგზის იქმნეს მძლავრებანი წარმართთანი და მრავალნი ქალაქნი დაიპყრეს და ამის ჭერისათვის ვერ ხელეწიფა ეპისკოპოსთა ესე ვითართა მათ ქალაქთასა მისვლად ეკლესიათა თვისთა, არამედ იკურთხნეს რა, ვერ უძლეს ყოვლადვე საყდართა თვისთა დაჯდომად. პირვლითგანცა უკუე განწესებულ არს. და ჩუენცა განვაწესებთ, რათა ქალაქთა მათ თვის კურთხეულთა ეპისკოპოსთა დაღაცათუ საყდართა მათ დაჯდომად არა ხელეწიფა მძლავრებისაგან წარმართთასა, არამედ პატივი იგი მღუდელთმოძღვრებისა აქუნდინ შეუცვალებლად და ყოველსავე წესსა მღუდელთმოძღვრებისასა აღასრულებდნენ დაუწყებლად და სადა ჭერ იყოს მღუდელთაცა აკურთხევდნენ და ყოველსა ზედა წესი და პატივი თუისი აქუნდინ მტკიცედ შეუცვალებლად, რამეთუ მძლავრებისათვის წარმართთასა პატივი და წესი მღუდელთმოძღვრებისა არა შეიცვლების, არცა დაკნინდების“.³¹ ამრიგად, საეკლესიო კანონის თანახმად, დევნილ მღვდელმთავარს უფლებამოსილების განხორციელება შეეძლო თავის დროებით რეზიდენციაში.

აფხაზეთის კათალიკოსების მდგომარეობა, ახლოაღმოსავლეთელ წინამორბედებთან შედარებით, ოდნავ განსხვავებული იყო. მართალია, ტერიტორია ღალიძგასა და ფსოუს შორის წარმართებმა დაიკავეს, მაგრამ იქ დარჩა მრავალრიცხოვანი ქართული ქრისტიანული მოსახლეობა; აფხაზეთის მთავრებიც საკუთარ თავს ქრისტიანებად თვლიდნენ და აღიარებდნენ (გამუსულმანების შემდეგაც) დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის იურისდიქციას საკუთარ ტერიტორიაზე, მათი პოლიტიკური პარტიკულარიზმი არასოდეს გადაზრდილა ეკლესიურ პარტიკულარიზმში, თუმცა აფხაზეთის კათალიკოსების ბიჭვინთაში დაბრუნებისათვის არ უზრუნვიათ (როგორც ჩანს, არ აწყობდათ საკუთარ სამფლობელოში დასავლეთ საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს — აფხაზეთის საკათალიკოსოს ყოფნა); აგრძელებდა ფუნქციონირებას ბიჭვინთის ეკლესია. 1629 წელს ჯოვანი დე ლუკას ბიჭვინთის მოქმედ ტაძარში ქართველი მღვდელი დახვდა.³² ლევან II დადიანის ელჩმა რუსეთში მღვდელმა გაბრიელ გეგენავამ 1638 წელს საგარეო უწყებაში (პასოლსკი პრიკაზი) განაცხადა, რომ ჩვენი „патриарх де Малафей (მალაქია II გურიელი — ჯ.გ.) живет Пинчюском (ბიჭვინთის — ჯ.გ.) Успенском монастыре“.³³

მალაქია II გურიელი მართლაც ჩადიოდა ბიჭვინთაში. ლამბერტი ბიჭვინთას კოლხიდის, გურიისა და ბაშიაჩუკის (იმერეთის) პატრიარქის საჯდომს უწოდებდა.³⁴

XVII ს. შუა ხანებში ღვთისმსახურება ბიჭვინთაში საერთოდ არ არსებობდა (კასტელის მიხედვით), მაგრამ, როგორც ჩანს, მოგვიანებით კვლავ აღუდგენიათ. ვახუშტი წერს: „ამ მუჟის წყლის (მდ. მჩიშთა — ჯ.გ.) დასავლით არს ბიჭვინთის ეკლესია ღიდი, ღიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვის კიდეზა ზედა. ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა ღიდითა. პირველ იყო საეპისკოპოზო. ეამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცუის ამარად, ვინაითგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა“.³⁵ საინტერესო დასკვნა აქვს გაკეთებული XIX ს. უდიდეს სასულიერო მოღვაწეს გაბრიელ ქიქოძეს. მან „კავკასიაში მართლმადიდებლუ-

რი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ დავალებით 1868 წლის მაის-ივნისში აფხაზეთში იქადაგა ქრისტიანობა, შეისწავლა იქ არსებული ეკლესიების მდგომარეობა. გაბრიელის დასკვნაში ნათქვამია: „ბიჭვინთა იყო უძველესი კათალიკოსების კათედრა, რომელსაც ემორჩილებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ეპარქია; ბევრი მათგანის როგორც სახელი, ისე ღვაწლი ცნობილია და ჩაწერილია ეკლესიის ისტორიაში. თუმცა აფხაზეთის ეკლესიის ბედი ყოველთვის როდი იყო ერთნაირად ბედნიერი. ყველა მეზობელი ტომი არ იყო გაქრისტიანებული. მრავალრიცხოვანმა ველურმა კაკასიურმა ტომებმა, რომლებმაც არ მიიღეს ქრისტიანობა და ყოველი მხრიდან ალყაში აქცევდნენ აფხაზეთის ეკლესიას, ხშირად ავიწროებდნენ, ზოგჯერ კი მთლიანად წყვეტდნენ სახელგანთქმული ბიჭვინთის კათედრის არსებობას“. (იხ.დანართი №20). რა თქმა უნდა, ამ „ველურ ტომებს“ მიეკუთვნებოდნენ აფსუები, რომლებიც აქ XVI-XVII სს. დამკვიდრდნენ.

ბიჭვინთის კათედრის დაცემისა და აფხაზეთში ქრისტიანობის დაკნინების მიზეზებს მკვლევარები სხვადასხვანაირად ხსნიან. 1876 წელს დაწერილ ნაშრომში ნ.მურზაკევიჩი შავი ზღვის სანაპიროზე მუსულმანების გაძლიერებას, ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულ ანარქიას და უწესრიგობას უკავშირებდა. მისი აზრით, ბიჭვინთის დაცემა მიეკუთვნება „Главным образом, к эпохе умножавшихся раздоров между владельцами Мингрелии и Абхазии, после того как беспорядки усилились в Абхазии, Абхазские каталикосы хотя продолжали титуловаться “Бичвинтскими и Абхазскими”, но жить в Бичвинте уже не могли, а жили обыкновенно там, где пред избранием они имели право резиденции, и лишь от времени до времени совершали путешествия в Бичвинту“. ეხებოდა რა ბიჭვინთის სიმდიდრეებს, ნ.მურზაკევიჩი წერდა: „Все они, по случаю умножавшихся год от году враждебных набегов, и иногда своих соседей омусульманившихся Абхазов и Мингрелов и других горских народов нехристианских, каталикосами из предосторо-

жности были перевезены сначала в Кутаис, потом в не-
легкоприступный укрепленный монастырь Гелатский, где
они доселе сохраняются. Между прочим, сокровищами
страны абхазской есть и храмовая икона Пицундской
Богоматери, в Георгиевской церкви этого монастыря”.³⁶

ნ.მურზაყვიანი აშკარად ტენდენციურია. კათალიკოსი ბიჭვინთი-
დან, როგორც უკვე ვნახეთ, წავიდა არა ლევან II დადიანის გარ-
დაცვალების შემდეგ, არამედ თითქმის ერთი საუკუნით ადრე. არც
მაშინ და არც შემდგომ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის შა-
ვიზღვისპირეთში მუსულმანობა არ გაბატონებულა იმ დონეზე,
რომ კათალიკოსი იქიდან იძულებით წასულიყო; ისლამი არც მო-
სახლეობას მიუღია (ყოველ შემთხვევაში მასობრივად); ამდენად,
როცა ბიჭვინთის დაცემის მიზეზებს ვიხილავთ, არასწორია მთავა-
რი ყურადღების ისლამზე გადატანა. ნ.მურზაყვიანი იცის, მაგრამ
ბოლომდე არ ამხელს, რომ მთავარი მიზეზი საკათალიკოსო რე-
ზიდენციის გელათში გადატანისა არის მეზობელი მთიელების თავ-
დასხმები, ბრძოლა მეგრელებსა და აფხაზებს (აფსუებს) შორის.
სრულიად გაუგებარია, როცა ავტორი მეგრელებს გამუსულმანე-
ბულ მთიელ ხალხებს მიაკუთვნებს, როცა მეგრელებსაც და
აფხაზებსაც ბიჭვინთის მეზობელ ტომებს უწოდებს.
ნ.მურზაყვიანს არ სურს თქვას, თავიდან ვის ხელში იყო ბიჭვინთა,
ვინ არის მომხდური და ვინ იცავდა თავს. თუ ბიჭვინთა აფსუებს
ეკუთვნოდა, რატომ ესხმოდნენ თავს „საკუთარი“ კულტურისა და
სულიერების უძველეს კერას, რატომ განდევნეს იქიდან „საკუთა-
რი“ კათალიკოსი? თავდაშისმელები მეგრელები რომ ყოფილიყვნენ,
მაშინ კათალიკოსები აფსუებთან შეაფარებდნენ თავს, ხოლო ამ
თავდასხმების მოგერიების შემდეგ დაბრუნდებოდნენ ბიჭვინთაში
და მას ააღორძინებდნენ, ეკლესია-მონასტრების ქონებას სამეგრე-
ლოში და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კი არა, აფ-
სუებით დასახლებულ პუნქტებში გადამალაკდნენ და სულ მალე
კვლავ თავის ადგილას დააბრუნებდნენ. მსგავსი რამ არ მომხდარა,
ვინაიდან ბიჭვინთა გახლდათ ქართველთა (მეგრეელთა) საკუთრება;
იქ მოღვაწეობდნენ ქართველი კათალიკოსები, რომლებიც მომხ-

დურმა არაქრისტიანმა მთიელებმა მოსახლეობის დიდ ნაწილთან ერთად აიძულეს ბიჭვინთა დაეტოვებინათ.

შვეიცარიელი მოგზაური და მეცნიერი ფრედერიკო დიუბუა დე მონპერე 1839 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში წერდა: დადიანები, რომელთა სამფლობელო თავდაპირველად ჭიქეთამდე ვრცელდებოდა, ჩერქეზებისა და თურქების მუდმივი თავდასხმების გამო ორი საუკუნის წინ იძულებული გახდნენ თავიანთი საზღვარი ჭერ ანაკოფიამდე გადაეწიათ, ამჟამად კი დალიძგამდე; ამის შემდეგ „აფხაზეთი — ეს ბედკრული ქვეყანა — ამერიკის ტყეებით ველური გახდა: ყველაფერი ნანგრევებად იქცა, ყველა ეკლესია დაინგრა, ცივილიზაციის ყველა კვალი წაიშალა, მდ.ენგურამდე აღარ არიან ეპისკოპოსები“.³⁷ უცხოელი მიუხედავად ავტორიც ადასტურებდა, რომ აფხაზეთის გავერანება, ეკლესიების (მათ შორის, რა თქმა უნდა, ბიჭვინთის) განადგურება აფსუების მიერ ამ ტერიტორიის ოკუპაციას მოჰყვა.

აფსუური სეპარატისტული ისტორიოგრაფია ამაოდ ცდილობს ამ ფაქტის მიჩქმალვას და ყურადღების თურქულ ექსპანსიაზე გადატანას. ცნობილი სეპარატისტის — მ.ტარნაევის აზრით, თურქებმა „*покорили Абхазию и стали силой вводить в ней магометанство. Тогда Христианские пастыри оставили свои храмы и скрылись в безопасных местностях, забрав с собою святыни и драгоценности обитателей. Опустели тогда христианские храмы в Абхазии*“.³⁸ ამ „ზღაპრებს“ ე.აგინჯალიც იმეორებს.³⁸

სეპარატისტები არ აკონკრეტებენ იმ ქრისტიანულ მოძღვართა ვინაობას (ქართველები იყვნენ ისინი თუ აფსუები), რომლებმაც თან წაიღეს სიწმინდეები და თავი უსაფრთხო ადგილებს შეაფარეს; ისინი არ სვამენ და არ პასუხობენ კითხვებზე: რატომ არ დაბრუნდნენ უკან ეს მოძღვრები? სად იყო ეს უსაფრთხო ადგილები — აფსუებით თუ ქართველებით დასახლებულ პუნქტებში და რეგიონებში; ბიჭვინთიდან კათალიკოსების და საერთოდ აფხაზეთიდან სამღვდელოების წასვლის მიზეზი თუ არის თურქული ექსპანსია, რატომ წავიდნენ ისინი იმერეთ-სამეგრელოში, სადაც ეს ექსპან-

სია გაცილებით ადრე, თანაც უფრო სასტიკი მეთოდებით ხორციელდებოდა? რატომ არ მიიღეს აფსუებმა „ძალით თავს მოხვეული“ ისლამი; რატომ „არ დაცარიელდა ქრისტიანული ტაძრები“ თურქეთის უღელის ქვეშ მყოფ იმერეთ-გურია-სამეგრელოში (რომ არაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ საქართველოზე, სადაც ტახტზე მუსულმანი მეფეები ისხდნენ) და რატომ მოხდა ეს მაინც და მაინც აფხაზეთში? არსებობს XVII-XVIII სს. სპარსეთისა და თურქეთის მბრძანებელთა ფირმანები ქართველი კათალიკოსების დანიშვნის, განთავისუფლების, ეკლესიისათვის კუთვნილი სოფლების დაბრუნების, საკათალიკოსოს შიგნით წესრიგის აღდგენის შესახებ და ა.შ.³⁹ რატომ იგივე არ კეთდებოდა აფხაზეთის მიმართაც?

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა სეპარატისტებს არ სურთ და არც შეუძლიათ, ვინაიდან აღმოჩნდება, რომ აფხაზეთში ქრისტიანობის განადგურების, კათალიკოსებისა და სამღვდლოების იქიდან ევაკუაციის მთავარი მიზეზი აფსუების მიერ ამ ტერიტორიის ოკუპაციაა, ხოლო შემქმნელი და მემკვიდრეც აფხაზეთის უძველესი ქრისტიანული ცივილიზაციისა ქართველები არიან; არც სურთ, ვინაიდან საპნის ბუშტივით გასკდება აფსუათა ავტოხოზობის ყურით მოთრეული თეორია.

აფხაზეთში ქრისტიანობის განადგურების საქმეში დიდი როლი, რა თქმა უნდა, თურქეთმაც ითამაშა. XVII საუკუნის შუა ხანებში სამეგრელო-იმერეთის რუსეთთან დაახლოების (რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი) მცდელობით შეშფოთებულმა ოსმალებმა ჯიქეთის მოსაზღვრე დადიანის სამფლობელოს მთიელი აფსუები მიუსია და თანდათანობით მდ.ენგურამდე შეავიწროვა. ასეთია ელემენტარული სიმართლე, რომლის დანახვაც არ სურთ სეპარატისტებს.

ბიჭვინთიდან იძულებით წასულ კათალიკოსებს პერიოდულად იქ ჩასვლის შესაძლებლობაც ჰქონდათ. პატრიარქ პასიოსის, ძამპის, პავლე ალეპოელის, შარდენის და სხვა ავტორების ცნობით, აფხაზეთის კათალიკოსები, სამღვდლოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, უსაფრთხოების ზომების დაცვით, ბიჭვინთაში ჩადიოდნენ წმ.მირონის დასამზადებლად.

ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ ბიჭვინთა რჩებოდა საკა-

თედრო ტახტად იქიდან კათალიკოსების ევაკუაციის შემდეგაც, ხოლო აფხაზეთის მთავრები ფორმალურად ამ ფაქტს აღიარებდნენ.

აფხაზეთიდან წამოსული კათალიკოსები მზრუნველობას არ აკლებდნენ ბიჭვინთის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარს, მით უფრო, ოდიშის ტერიტორიაზე მდებარე დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოებს, თანამედროვე აფხაზეთის სხვა ეკლესიამონასტრებს. ეს ეხება ევდემონ I ჩხეტიძესაც. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ამ მღვდელმთავრის ღიდი ღვაწლი ქართული ეკლესიის წინაშე, დარღვეული საერო და სასულიერო წესების აღდგენის საქმეში.

მის სახელთან არის დაკავშირებული კათალიკოსის სამართლის შექმნა (იხ. დანართი №5). ვახუშტი ბატონიშვილი ამის თაობაზე გვამცნობს: „არამედ ჟამთა ამათ შინა, ვითარცა ვიხილავთ, იქმნა განტევება ცოლთა, კვლა კაცთა და იღუმალ ტყვის ყიდვა და უჭერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისთვის შეკრბნენ ქართლისა კათალიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ევდემონ და ყოველნი ეპისკოპოზნი იმერეთ-ოდიშისანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმ, ჩაისელი კვირილე. ამათ განაჩინეს მოქმედთა მათათვის ჭეროვანი შერისხუანი, დაწერეს და შეაჩუენნეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი“.⁴⁰ ს.კაკაბაძე სავსებით სამართლიანად არ ეთანხმება აღნიშნული საეკლესიო კრების ვახუშტისეულ დათარიღებას (1605 წელი) და ასაბუთებს, რომ ეს მოვლენა მოხდა „არა უადრეს 1544 წ. და არა უგვიანეს 1562 წ., ანუ უფრო დაახლოვებით მე-XVI საუკუნის 50-იან წლებში“.⁴¹ ჩვენი ვარაუდითაც, კრება 1557 (ევდემონის აღსაყდრების წელი) — 1562 წლებს (1563 წლიდან ქართლში უკვე სხვა კათალიკოსი — ნიკოლოზი ზის) შუა პერიოდში უნდა ჩატარებულიყო. „სამართალი კათალიკოსისა“ — უმნიშვნელოვანესი იურიდიული დოკუმენტია, რომელმაც სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა დააწესა ადამიანებით ვაქრობისთვის, მეფის ღალატისათვის; მძიმე სასჯელი იყო გათვალისწინებული

მკვლევლობის ჩადენისათვის, ქურდობისათვის, კანონიკური ნორმების დარღვევისათვის და ა.შ.

საეკლესიო კრების ჩატარება და სამართლებრივი ნორმების შემუშავება იმავდროულად იყო მეფე ბაგრატ III-სა და კათალიკოს ევდემონ I ჩხეტიძის სერიოზული მცდელობა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა, ერთიან სახელმწიფოდ მისი წარმოჩენისა, ხოლო ქართლის კათალიკოსის კრებაზე მოწვევა და მიღებულ დოკუმენტში პირველად მისი მოხსენიება ჩატარებული ღონისძიების მთავარ ორგანიზატორთა კიდევ უფრო შორსმომავალ მამულიშვილურ გეგმებზე მიუთითებდა.

ევდემონ I ჩხეტიძემ შეაკეთა და მოახატვინა მოქვისა და ბიჭვინთის (ე.წ. „ევდემონის ეგვტერის“) ეკლესიები, ასევე თურქების მიერ დანგრეული გელათის სამონასტრო კომპლექსი. მისი ბრძანებით, 1568 წ. დამზადდა აფხაზეთის საკათალიკოსოს მთავარი სიწმინდე — ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი. საკათალიკოსო რეზიდენციის ევაკუაციის შემდეგ იგი გელათის წმ.გიორგის ეკლესიაში დაასვენეს. „ბიჭვინთის ღვთისმშობელი“ აფხაზეთის საკათალიკოსოს თავისებურ სიმბოლოდ იქცა. ეს ტერმინი აღნიშნავდა საკუთარივე ხატს, საკათალიკოსოს და საკათედრო ტაძარს.

ბიჭვინთის ღვთისმშობელი არის ხატი სანაწილე, ოდიგიტრიის ტიპის ღვთისმშობლის გამოსახულებით, რომელსაც ხელში ყრმა მაცხოვარი უჭირავს, ხოლო ირგვლივ მთავარანგელოზები მიქაელი, გაბრიელი, წმ.იოანე ნათლისმცემელი და წმ.იოანე ოქროპირი არიან გამოსახული. ხატის ზურგზე განთავსებული წარწერიდან ირკვევა, რომ იგი 1568 წელს დაამზადებინა „ჩრდილოსა და ყოვლისა აფხაზეთისა კათალიკოსმან“ ევდემონ ჩხეტიძემ და ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენა. შემდგომში ხატი გელათში გადმოიტანეს, ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ხატის ხელში ჩაგდება 1910 წელს ბიჭვინთის მონასტერში მოკალათებულმა რუსმა ბერებმა (ვითომ აფხაზთა თხოვნით, სინამდვილეში კი მლოცველთა მეტი რაოდენობის მოზიდვისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით) სცადეს. მათ აშკარად ხელს უწყობდნენ სოხუმის რუსი ეპისკოპოსი დიმიტრი და საქართველოს



ასევე რუსი ეგზარქოსი ინოკენტი. იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისა (ალადაშვილი) და ქუთაისის თავადაზნაურობის პრინციპულმა პოზიციამ ეს განზრახვა ჩაშალა (იხ. მე-IX თავი).

ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის ასლი დამზადდა ლევან III დადიანის (1661-1680 წწ.) შეკვეთით და ამჟამად ქუთაისის ნ.ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.⁴²

„ახალი ქართლის ცხოვრების“ (მესამე ტექსტი) ცნობით, 1578 წელს „მიიცვალა აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონ ჩხეტის-ძე“.⁴³ იგი დაკრძალულია გელათში. მისი ფრესკები შემოგვინახეს გელათის ღვთისმშობლისა და წმ.გიორგის ტაძრებმა. ღვთისმშობლის ტაძარში ევდემონ I ჩხეტიძის ფრესკა დავით აღმაშენებლისა და იმერეთის მეფის ბაგრატ III-ს ფრესკებს შუა არის გამოსახული, რაც ამ მღვდელმთავრის განსაკუთრებულმა დამსახურებამ განაპირობა. კათალიკოსის თანამედროვემ მისი ღვაწლი ასე შეაფასა: „ღირსი ხსენებისა, და მუშაკი საღვთო სჯულისა, სიმდაბლითა და სიწმიდითა ღმერთ შემოსილქმნილი... სიბრძნითა სულიერითა და ხორციელითა ზესთა ამაღლებული მნათობი ქართველთა, სახე და კანონი მონაზონობისა, მწყემსი მწყემსთა... ლამპარი... მზე... გმირი... კათალიკოსი აბხაზთა... ნეტარი ევდემონ... ამზეგრძელობე“.⁴⁴

ევდემონ ჩხეტიძის გარდაცვალების შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ეჭვითიმე I საყვარელიძეს (1578-1614 წწ.) ეჭირა; ის იყო აგრეთვე მოქვის მთავარეპისკოპოსი. დასავლეთ საქართველოში მაშინ მიმდინარეობდა ბრძოლა ჰეგემონობისათვის. ამ ბრძოლაში სერიოზულ წარ-

მატებებს სამეგრელოს მთავრებმა მამია IV (1582-1590 წწ.) და მანუჩარ (1590-1611 წწ.) დადიანებმა მიიღწიეს. აფხაზეთზე მათი გავლენა კვლავინდებურად ვრცელდებოდა. 1578 წელს სოხუმში თურქებმა დაიკავეს და შექმნეს საბეგლარბეგო. ისტორიკოს ე.ბუასარდოს ცნობით, თურქეთის სარდალმა სინან ფაშამ ბათუმისა და სოხუმის ქართველი იბერიელების ასალაგმავად საკუთარი ბეგლარბეგები დანიშნა.⁴⁵ სოხუმის ბეგლარბეგად ჩერქეზული წარმოშობის ჰაიდერ ფაშა დაინიშნა. თურქთა უშუალო ბატონობამ დიდხანს ვერ გასტანა. უკვე 1580 წელს სოხუმის საბეგლარბეგო გაუქმდა და თურქები წავიდნენ; ამ პერიოდიდან ოსმალები კიდევ უფრო აქტიურად აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ჩერქეზულადილური ტომების (აფსუების) ექსპანსიას სამხრეთისაკენ, რომელიც ოდიშის დასუსტებისაკენ, შავი ზღვისპირეთის ქართული ქრისტიანული მოსახლეობის დამორჩილებისაკენ იყო მიმართული.

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, კათალიკოსმა ექვთიმე I საყვარელიძემ და აფხაზეთის სამღვდელთაგან უზარმაზარი საქმიანობა გასწიეს. პირველ რიგში, აღსანიშნავია მოღვაწეობა კულტურის სფეროში. მოქვის ტაძარში ექვთიმე საყვარელიძის ბრძანებით ნ. ცინცაძემ გადაწერა მეტაფრასი; ზებედე დიაკვნისა და გიორგი მწერლის მიერ გადაიწერა გულანი; შესანიშნავი წიგნსაცავი არსებობდა ბედიის ტაძარშიც, სადაც ხელნაწერები და უმზადებიათ ბედიელ მღვდელმთავრებს ანტონ ჟვანიძეს და გერმანე ჩხეტიძეს. აქ მოღვაწეობდნენ კალიგრაფები და მწიგნობრები გაბრიელ ლომსაძე, ამბროსი კარგარეთელი, საბა ნაფოტაძე და სხვები⁴⁶ (დანართი №14).

ექვთიმე I საყვარელიძეს ეკუთვნის „ბიჭვინთის იადგარის“ 1600 წლის ახლოხანებით დათარიღებული პირველი მთავარი მინაწერი — შეწირულობის წიგნი ბიჭვინთისადმი (იხ. დანართი №7). იადგარის მეორე მინაწერი ეკუთვნის ლევან II დადიანის მთავრობის პირველ წლებს (1615 წლამდე), როცა კათალიკოსის ტახტი ჯერ კიდევ ექვთიმე I საყვარელიძეს ეჭირა. ოდიშის მთავარმა ბიჭვინთის ღვთისმშობელს სოფ. ჭალას (თანამედროვე ჭლოუ) ჯაიანისეული მამული და ორი მონასტერი შესწირა. მინაწერი შეიცავს „ქრთამის გა-

მოღების წიგნს კათალიკოს ექვთიმე საყვარელიძისა ლევან დადიანისა და გიორგი ლიპარტელიანისადმი“ (ლევან II-ს ბიძა, მისი რეგენტი 1615 წლამდე). მინაწერი ქვეყნდება (იხ. დანართი №8) ს.კაკაბაძის პუბლიკაციის მიხედვით.

ექვთიმე I საყვარელიძის კათალიკოსობის დროს (XVI ს. ბოლოს) არის შედგენილი თანამედროვე გალის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ნაქანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგარის ნუსხა. დოკუმენტში დაფიქსირებულია შემდეგი გვარ-სახელები: შუშანია, ჯგვიბურია თოლიოქრო, სუბუქია თემნა, ჯაკობია გუგუტია, მქიშია კაკაური, ვარსიმეა უჩაია, ხვარაშია უჩაია, მამისშურო უჩაია, სოხერდია უჩაია, თოლსკვამია უჩაია, გაბრიელა დიღია, კაციბაი კოდუა, თომიხილა ელიშია, გულაბა ელიშია, რუსაყია მარცვალია, მატუფია შურითოლი, მამისმამა გოგილავა, შურითოლი გოგილავა, საბელია, მამისმამა ღრუბელაია, მამასფერი, ქუქა გურუა, ცისტარია მამისმამა, ინალი კოღია, ივანე კოღია, თოლიბედი კოღია, დეისმამა ქაჯაია, კურცხაი ლოგუა, გაბელია, შია ქაჯაია, გუტია ხუხუშია, ჯგუბურია ნიკოლა, ძაძუა, კონჯარია, ფიოლია, ივანე დავითა.⁴⁷ აღნიშნული სოფლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XVI ს. ბოლოს ცხადზე უცხადესია — ნაქანეულში მხოლოდ ქართველები (მეგრელები) ცხოვრობენ.

გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული ერთ-ერთი წიგნის მინაწერი ასე წარმოაჩენს ექვთიმე I საყვარელიძის დამსახურებას: „დაიწერა... ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიარხისა კათალიკოზისა პატრონისა ეფთვიმისითა... ბიკვინტისა ლეთისმშობელო, აცოცხლე... რამეთუ ქეშმარიტად იქირვოდა... წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატიოსანთა საყდართა კახეთით, ქართლით, იმერეთ-ოღიშით და გურიით და დასდებდა დიდროან და პატიოსანთა ყოვლითურთ შემოკობილსა წიგნებსა და ჩვენ გვიბოძებთა მათსა ალაღსა, მათითა კონდაკითა ნაბოძებსა საქონელსა მრავალსა და აურაცხელსა და არა დასცხრებოდა ყოველსა წელიწადსა შინა ოთხოთხისა, სამსამისა, ორორისა მწერალთაი; გუაწერინებდა და გუაშრომებდა დიდისა პატივითა და წყალობითა“.⁴⁸ მინაწერი კათალიკოსის ბრძანებით მომუ-

შავე გადამწერებს ეკუთვნით. ისინი აფხაზეთის კათალიკოსის სრულად საქართველოს პატრიარქის ტიტულით მოიხსენიებდნენ. ექვთიმე I საყვარელიძე, მართალია, ოფიციალურად ასეთ ტიტულს არ ატარებდა, მაგრამ თავისი მრწამსით და საქმიანობით სრულიად საქართველოს მასშტაბის სასულიერო მოღვაწე გახლდათ.

1614-1639 წლებში აფხაზეთის საკათალიკოსოს სათავეში ედგა ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსი მალაქია II გურიელი — გურიის მთავრის გიორგი II-ს (1566-1583, 1587-1600 წწ.) ძე. ის იყო ენერგიული სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწე (1625 წლიდან — ერთდროულად გურიის მთავარია). მან ააშენა და შეამკო მრავალი ეკლესია, მფარველობდა კულტურის მოღვაწეებს, ჰქონდა ახლო ურთიერთობა კათოლიკე მისიონერებთან.

კათალიკოსმა მალაქია II გურიელმა თავისი მოღვაწეობა დიპლომატიური მისიის შესრულებით დაიწყო. როცა შაჰ აბას პირველმა იმერეთის მეფე გიორგი III-ს (1604-1639 წწ.) მასთან შეხიზნული ქართლის მეფე ლუარსაბ II-სა (1606-1615 წწ.) და კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს (1606-1660 წწ.) გადაცემა მოსთხოვა, შაჰთან მოსალაპარაკებლად კათალიკოსი მალაქია II გურიელი და ლევან აბაშიძე გაემგზავრნენ. ამ მოვლენას ვახუშტი 1615 წლით ათარიღებდა, რაც საეჭვოა. აღნიშნული ელჩობის დასრულების შემდეგ ლუარსაბ II შაჰს ეახლა. ეს მოხდა 1614 წლის ოქტომბერში⁴⁹ (ამის საფუძველზე, ექვთიმე I საყვარელიძის კათალიკოსობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს და მალაქია II გურიელის კათალიკოსად კურთხევას 1614 წლით ვათარიღებთ).

მალაქია II გურიელისა და ლევან აბაშიძის ელჩობის საკითხი, როგორც ითქვა, გაშუქებული აქვს ვახუშტის; ამ ფაქტის შესახებ მოთხრობილია ახალი ქართლის ცხოვრების პირველ ტექსტშიც. ცბიერმა შაჰმა იმერეთის მეფის წარგზავნილები ვითომ პატივით მიიღო. თხოვნაზე, ქართლ-კახეთის მეფეები ისევ შეირიგოს, თავად კი საკუთარ ქვეყანაში წაბრძანდეს „და დაანებოს ამათ ამათი მამული და საბატონო“, შაჰმა უპასუხა, რომ თეიმურაზი მტერია, ამიტომ მას არ შეურიგდებიო, ლუარსაბთან (ცოლის ძმასთან) შერიგებაზე კი თანხმობა განაცხადა. შაჰ აბასმა „მისცა მრავალი სა-

ბოძვარი და საჩუქარი კათალიკოსს მალაქიას და აბაშიძეს ლევანს და აღავსო პირთამდის“. ელჩები ქუთაისში დაბრუნდნენ. მათთან ერთად შაჰის დავალებით, ჩამოსულმა შადიმან ბარათაშვილმა (ლუარსაბის გამზრდელმა), დაარწმუნა ლუარსაბი შაჰ აბასის გულწრფელობაში და ისიც გორში ეახლა შაჰს. 1615 წელს ქრისტიანობის უარყოფაზე კატეგორიული უარისთვის შაჰმა იგი მოაკვლევინა. ლუარსაბ II წმინდანად იქნა შერაცხული.⁵⁰

იმერეთში მყოფი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები თავიდან წარმატებით ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს მმართველების შეკავშირებას, მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა და ქვეყნის ეს ნაწილი შინაომებმა მოიცვა.

გარეშე აგრესიისა და დაუსრულებელი შიდაომების შედეგად საქართველოს ჯერ სახელმწიფოებრივმა, შემდეგ კი საეკლესიო მთლიანობის რღვევამ სერიოზულად შეაფერხა ქრისტიანობის განმტკიცება, ქვეყნის კულტურული წინსვლა, შეასუსტა ეროვნული თვითშეგნება. რთული ვითარება შეიქმნა საკუთრივ აფხაზეთში, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე XVI საუკუნიდან თანდათანობით ჩამოსახლებული წარმართი მთიელები შეადგენდნენ. ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც იმ დროისათვის აფსუები დამკვიდრდნენ, შეწყდა ღვთისმსახურება და მთიდან ჩამოწოლილმა წარმართულმა წყდიადმა დაისადგურა. მიუხედავად ამისა, წარმართთა გარემოცვაში მდებარე ბიჭვინთა, რომელიც იძულებით დატოვა აფხაზეთის კათალიკოსმა, იურიდიულად საკათალიკოსო ტახტად და წმ. მირონის კურთხევის (დამზადების) ადგილად კვლავ რჩებოდა. თანამედროვე აფხაზეთის (მაშინდელი ოდიშის) დანარჩენ ტერიტორიაზე წარმატებით ფუნქციონირებდნენ დრანდის, მოქვის, ბედიის, საეპისკოპოსოები, სხვა ცნობილი ეკლესია-მონასტრები ქართული სამღვდელოებით, ქართული მრევლითა და ქართველი საკათალიკოსო ყმებით.

წარმართული აფსუებით დასახლებული ტერიტორია ცდუნური ქრისტიანული ოდიშის ნაწილს შეადგენდა, რაზეც ცალსახად მიუთითებს აზოვის ზღვის სიახლოვეს აღმართული დიეგო ომემის 1559 წლის ჯვრიანი რუკა წარწერით „მენგრელია“ (იხ. დანართი №2).

4. დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ. 221 (იხ. დანართი, №4).
2. იქვე, გვ. 222 (იხ. დანართი №4).
3. ივ.ჯავახიშვილი, თხზ., ტ.3. თბ., 1982, გვ.338.
4. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.222 (იხ. დანართი №4).
5. აღრე ამგვარ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებდით. — იხ. Дж. Гама-
хария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.598.
6. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.209.
7. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტო-
რია, ტ.3, გვ.328-329.
8. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.223 (იხ. დანართი №4).
9. იქვე, გვ.227 (იხ. დანართი №4).
10. ივ.ჯავახიშვილი, თხზ., ტ.12 (ანდრია მოციქულის და წმინდა ნი-
ნოს მოღვაწეობა საქართველოში), გვ.43-52.
11. იქვე, ტ.3, გვ.340.
12. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.137.
13. ქ.ც., ტ.2, გვ.343.
14. იქვე, გვ.349.
15. იქვე, ტ.4, გვ.776.
16. იქვე, გვ.810.
17. იქვე, ტ.2, გვ.493.
18. ს.კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი. — საის-
ტორიო მოამბე, 1925 წ., ტ.11, გვ.178.

19. ქ.ც., ტ.4, გვ.811.
20. იქვე, ტ.2, გვ.497.
21. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.138.
22. თ.ქორიძე, XI-XV საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ქრონოლოგია, გვ.16-19.
23. ქ.ც. ტ.2, გვ.521.
24. იქვე, ტ.4, გვ.815.
25. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედიის ტაძარი, გვ.24.
26. ქ.ც., ტ.2, გვ.361-362.
27. ბ.ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები, თბ., 1966, გვ.164-240.
28. იქვე, გვ.235-236.
29. ქ.ც., ტ.4, გვ.781.
30. მკელენჭერიძე, საქართველოს საკათალიკოსოს მოკლე ისტორია, გვ.108.
31. ბ.ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ.238-239.
32. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.238.
33. С. А. Белокуров. Материалы для русской истории. М., 1888, გვ.270.
34. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.252.
35. ქ.ც., ტ.4, გვ.784-785.
36. Н.Мурзакевич Древнейший Пицундский православный храм на восточном берегу Черного моря. Одесса, 1877, გვ.19-21.

37. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.312-313.
38. М.Тарнава Краткий очерк истории Абхазской Церкви. Сухуми, 1917, გვ.15, Е.К.Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ. 118-121.
39. Акты, собранные кавказской археографической комиссией, т.1, 69-77.
40. ქ.ც., ტ.4, გვ.824.
41. ს.კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო. ტფილისი, 1913, გვ.7-10.
42. თ.ქორიძე, აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია, გვ.32-33; ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (ცსია), ფ.489, აღწ.1, ს.52995, ფ.1, 55-60, 74-79.
43. ქ.ც., ტ.2, გვ.521.
44. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.141.
45. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.231, 605-606.
46. ჯვარი ვაზისა, I, 1995, გვ.41.
47. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.382-386.
48. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.141-143.
49. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.Ⅳ, თბ., 1973, გვ.266.
50. ქ.ც., ტ.2, გვ.393-399; ტ.4, გვ.425-427, 825.

5. ქრისტიანობის შენახუნება- განმტყიცებისათვის ბიძოდა და დატყიადებული ტყაგედია (XVII ს. დასაწყისი – XVIII ს. დასაწყისი)


განდგომილი აფხაზეთის საერისთავოს დამორჩილება და საკათალიკოსოს მდგომარეობა

XVII საუკუნის დამ-
დეგიდან იწყება დასაე-
ლეთ საქართველოში
ოდიშის მთავრის ლევან
II დადიანის (1611-1657
წწ.) ჰეგემონიის პერიო-

დი, რომელიც 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა. ახალგაზრდა მთავარმა 1615 წელს თავის ერთ-ერთ რეზიდენციაში — მერკულაში დადებული შეთანხმების საფუძველზე ჯერ თურ-ქეთთან მოაგვარა ურთიერთობა, შემდეგ კი (იმავე წელს) განდგომილ აფხაზებთან, დაქორწინდა რა აფხაზთა ერთ-ერთი მთავრის სეტემან შერვაშიძის ქალიშვილზე — დარეჯანზე.

XVII ს. 20-იანი წლებიდან ლევან II აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. 1622 წელს ამარცხებს იმერეთის მეფეს; იმავე წელს ღალატის მომიზეზებით გაეყარა მეუღლეს და დასახიჩრებული (ცხვირმოჭრილი) დარეჯანი მამას გაუგზავნა. რაც არ უნდა ყოფილიყო, საბაბი თუ მიზეზი აფხაზი მეუღლის ასე დასჯისა, უმთავრესი მაინც ლევან II დადიანის პოლიტიკური მიზნები (აფხაზეთის ხელახლა დამორჩილება) გახლდათ. იგი არა მხოლოდ გაეყარა მეუღლეს, არამედ აფხაზეთიც (თანამედროვე გუდაუთის რაიონი) დალაშქრა. 1625 წელს ლევან მეორემ გახსნა მის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება და მონაწილენი სასტიკად დასაჯა, პირველ რიგში სიძე (დის ქმარი) — სიმონ გურიელი. ნაცვლად მთავრის ტახ-

ტზე აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია გურიელი დასვა. ამ დროი-
 დან გურიაც დადიანის გავლენის ქვეშ მოექცა. მალე აფხაზეთის ჯე-
 რიც დადგა. განაწილებული სეტემან შერვაშიძე შურისძიების სა-
 ბაბით თავს ესხმოდა ოდიშს და მოსახლეობას არბევდა. მისი ნამდ-
 ვილი მიზანი დადიანის სამფლობელოს ჩრდილო-დასავლეთი ნა-
 წილის მიტაცება იყო. 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლე-
 ბის დასაწყისში ლევან II დადიანმა ორჯერ გაილაშქრა აფხაზეთში
 — თანამედროვე გუდაუთის რაიონში და მოწინააღმდეგე სასტი-
 კად დაამარცხა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად ილორის წმ.გიორგის
 ხატზე გაკეთებულ წარწერაში ვკითხულობთ: „ქრისტიანეთა
 ზღუდეო, მორწმუნეთა და მოსავთა შენთა ლხინებაო, ბრძოლათა
 გამარჯვებაო, დიდო ახოვანო გონებითა, მხედარო ძლიერებითა, უკ-



ვდავო მიუდრეკელობითა, უმხნესი ღვაწლითა, ზეცად აღსრულო
 საქმითა, რომელი ჰნათობ სოფელსა, დავლი უფსკრულისა, წინაშე
 მამისა და ძისა და სულისა წმიდისა მდგომარე ხარ უფალო. ყოვ-
 ლისსოფლისაო ვარსკვლავო გაბრწყინებითაო, ქვეყნისა დიდებათ,

ღირსებისა ქებაო, კანდიერებისა ყვავილო, წამებისა მუშაკო და სა-
 ტანჯველითა განათლებულო, მრავალ ფერითა განსაცდელითა უძ-
 ლეველო, ძლიერებითა მძლეო, ჭაბუკობითა ლამპარო ქრისტეს წი-
 ნა მდგომარეო, მეუფისა დიდო დიდებო, ანგელოსთა დასებო,
 მხნეო მხედარო, ღვაწლით შემოსილო, შვიდწილ უძლეველო, ახო-
 ვანო, მოწამეთა მთავარო, სასწაულთა მოქმედო წმიდაო გიორგი.
 ჩვენ ცვა-ფარვითა შენთა მონდობილმან და მოსავემან შენმან ხელმ-
 წიფემან დადიანმან პატრონმა ლევან, ძემან ხელმწიფისა მანუჩა-
 რისამან ვიგ ულე და ვიგ ულისმოდგინე. მას ჟამსა ოდეს განრისხდა
 ღმერთი კურთხეულის მამის ჩემის პატრონის მანუჩარისგან
 ზუგდიდის ნადირობასა ცხენისა რბევასა შიგან შეიძგერდნენ
 ბატონი და გოშაძე ფარუხია და ცხენი წაიქცა, ამიერ სოფლით
 მიიცივალა. მაშინ შემოგწირეთ უწინ მისთა მორჩენისათვის და
 მერმე მისის სულისა სახსრად და საოხად, ჩვენდა გასაძლიერებლად,
 ბატონობისა ჩვენისა წარსამართებლად რეკა ნაეჯიმაუ სასახლე და
 ექვსი მოსახლე კაცი... მას ჟამსა ოდეს მივხვდით შერვაშიძესა ზუ-
 ფუს, მუწუს წყალსა აქათ, მოვაოხრეთ, კიდევ მეორეთ მიუხდით
 ზუფუს კაპოეტის წყალს აქათ სრულებით დავსწვით და ავაოხრეთ
 და სადაცა სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ კაპოეტის წყალზე
 შემოგვებნენ ზუფუარი და სიხუარი არშანიები და გაგვემარჯვა.
 დავბოცეთ, ზოგი ხელთ დაგვრჩა და გამარჯვებულნი მოვედით და
 შემოგწირეთ ერთი მოსახლე ელინჯარს კაჭაბაა მეზეთეო“.¹ ლევან-
 მა ასე დაიმორჩილა აფხაზები, მათ ხარკის გადახდაც დააკისრა. სა-
 მეგრელოს მთავარი აგრძელებდა თავდასხმებს იმერეთზე, ტყვეებს
 იტაცებდა და მათ გამოსასყიდად დიდძალ თანხას ითხოვდა. ლევან
 II დადიანის ლაშქრობების შესახებ ვახუშტი წერდა: „ხოლო დადი-
 ანმან ლევან განიწყო სპანი და მოიწყნა (დალაშქრა — ჟ.გ.) აფხაზნი
 ვიდრე დაპყრობამდე. განმდიდრდა ფრიად, რამეთუ შემუსრა ნავ-
 ნი ზღვისანი და ჰყვა მწედ და მორჩილად ქაიხოსრო გურიელი და
 განაცხადა მტერობა მეფისა გიორგისა... და უხდებოდა მარადის
 დღესასწაულსა შინა იმერეთს და ბრძოდენ მდევრად მრავალგზის
 იმერნი. გარნა იგი მრე იქმნებოდნიან და ტყუეთა ანუ პყრობილთა,
 რომელთა წარიყვანდნენ, დაახსნევიებდნენ ვერცხლით თავთა“.²

ლევან II დადიანის მიერ ტყვეებით ვაჭრობის შემოღებისა და აფხაზეთის დამორჩილების შესახებ წერდა ბერი ეგნატაშვილიც: „ხოლო დადიანი მოუხდებოდა ყოველს საუფლოს დღეს, შობასა, ახალწელიწადსა, ნათლისღებასა და აღდგომასა და აოხრებდა ქვეყანასა იმერეთისა: რომელსამე ხოცდა და რომელსამე ტყუე-ჰყოფდა და ჰყოდდა და დაირჩინდა და თავს დაახსნევიებდა.

და ამას უამსა შემოიღო ლევან დადიანმან ტყვის სყიდვა და თავის დახსნა, რამეთუ არა იყო მანამდი სყიდვა ტყვისა. და იყო დადიანი მდიდარ ფრიად და მორჩილებდნენ სრულად აფხაზნი და შერვაშიძენი ყობდნენ და ულაშქრებდნენ დადიანს“.³

აფხაზთა თავდასხმები ოდიშზე მაინც გრძელდებოდა, რამაც აიძულა ლევან II დადიანი აეგო საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც მდ.კელასურთან იწყებოდა. თავადები და ეპისკოპოსები ვალდებული იყვნენ თავიანთი რაზმებით აფხაზეთის საზღვართან თითო თვე ედარაჯათ.

ლევან II, თითქოს, ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა თურქეთის მიმართ, ხარკსაც იხდიდა, მაგრამ ამავე დროს ქვეშევრდომობას რუსეთს სთხოვდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ირანთან. საბოლოო ჯამში, მისმა პოლიტიკამ იმერეთთან უფლისა, რუსეთთან და ირანთან დაახლოებისა, თურქეთთან ურთიერთობის გაფუჭება, აფსუების მიერ აფხაზეთის (ჩრდილოეთ სამეგრელოს) თანდათანობითი ოკუპაცია და ქვეყნის შემდგომი დეზინტეგრაცია გამოიწვია.

XVII ს. პირველ ნახევარში აფხაზეთის სამთავრო შედარებით სუსტი წარმონაქმნია. ოცდაათიან წლებში მას ორი მთავარი მართავდა — ყარაბეი და პულტო. ერთი ბიჭვინთა-ბზიფის მხარეს განაგებდა, მეორე სოხუმთან — ძველ ქალაქში იჯდა. ქრისტოფორო დე კასტელის მიხედვით (XVII ს. შუახანები), აფხაზეთს უკვე სამი მთავარი ჰყავდა: ბასლაკუსი (ბესლაკო), სალამონი და სეტემანი. მათ შორის პირველი იყო ბესლაკო შარაშია, რომელიც ბიჭვინთაში ცხოვრობდა.⁴

აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარი XVI-XVII სს. სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. ზემოთ ნახსენები პორტუგალიელი კარ-

ტოგრაფის დიეგო ომემის 1559 წელს შედგენილ შავიზღვის რუკაზე სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვასთან ახლოს იწყება. აფხაზეთი რუქაზე აღნიშნული არ არის. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი დიეგო ომემის რუქას და ევროპულ წყაროებში მოცემულ მსგავს ცნობებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს,⁵ რაც ყოვლად დაუშვებელი შეცდომაა. პორტუგალიურ რუქაზე აფხაზეთი იმიტომ არ არის აღნიშნული, რომ იგი იმ დროისათვის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა და სამეგრელოს შემადგენლობაში იგულისხმებოდა. უფრო ადრინდელი ავტორი ს.გერბერშტეინიცი, რომელიც XVI ს. პირველ მეოთხედში საგანგებო მისიით ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში, მდ.ყუბანის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს, რუსების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამეგრელოს მიაკუთვნებს, ხოლო ყუბანთან („при реке Кубани“), მისივე მტკიცებით, „живет народ абхазы“.⁶

გენუელი კარტოგრაფი მაიოლო ატლანტიკისა და ხმელთაშუა ზღვის რუკაზე (შედგენილია 1563 წელს) დაახლოებით ხოსტასთან აფიქსირებდა აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარს, ხოლო სიდერის რუქაზე (1565 წ.) ეს საზღვარი სადღაც გაგრასთან გადის.⁷

ჯოვანი ლუკას მიხედვით, 1630-წელს უკვე სოხუმში აფხაზეთის ერთ-ერთი მმართველი — პუტო იჭდა; არანაკლებ სანდო ავტორი, იტალიელი ემიდიო დორატელი დ-ასკოლი, რომელიც, მისიონერობის გარდა, ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის გამოკვლევებითაც იყო დაკავებული (იგი ერთი პერიოდი ჯ.ლუკასთან ერთად სამეგრელოსა და აფხაზეთში იმყოფებოდა), აღნიშნავდა (1634 წ.), რომ გაგრის ჩრდილოეთით (სოჭთან) მდებარე საზღვაო პორტი (стоянка) Аббаза არის „приморской город Чиркассии, стоит на самой границе Менгрелии“.⁸ შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული ენებიდან ახსენებს მეგრულსა და აბაზინურს. ის არ იცნობს აფხაზურ ენას და თანამედროვე აფხაზეთს, სავარაუდოდ, სამეგრელოს შემადგენლობაში გულისხმობს.

1639-1640 წლებში სამეგრელოში მყოფი რუსეთის ელჩებისხვატაძრებთან ერთად დრანდის მონასტერსაც აღწერენ, რაც იმას

ნიშნავს, რომ იმ პერიოდისათვის საზღვარი კელასურთან გადიოდა. თურქი ისტორიკოსის ქათიბ ჩელების ნაშრომში ჩართული რუქის მიხედვითაც, XVII ს. 40-იან წლებში აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარი მდ.კელასურთანაა დაფიქსირებული.⁹ მისიონერები ქრისტოფორო დე კასტელი და არქანჯელო ლამბერტი საზღვარს მდ.კოდორზე ავლებენ. ამავ დროს, მათი მტკიცებით, ლევან II დადიანის მიერ აგებული სასაზღვრო კედელი კელასურთან იწყება. ეს კედელი კასტელისა და ლამბერტის ცნობილ რუქებზეც არის დატანებული შემდეგი წარწერით: „60 ათასი ნაბიჯის (სიგრძის) კედელი აფხაზეთა თავდასხმების შესაკავებლად“.¹⁰ ფაქტია, რომ XVII საუკუნის შუახანებში ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი აღნიშნული კედლის გასწვრივ ან მის ჩრდილო-დასავლეთით გადიოდა; თოფებით შეიარაღებული მცველები კედელში ჩაშენებული კოშკებიდან უთვალთვალებდნენ მოწინააღმდეგეს. ვახუშტის მიხედვითაც, „ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზეთა გამოუსვლელობისათვის“...¹¹

ამრიგად, აფსუათა თავდასხმების თუ ჩამოსახლების შედეგად ჩრდილო დასავლეთით სამეგრელოს ეთნიკურმა საზღვარმა საუკუნეების განმავლობაში მდინარე ყუბანიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე), შემდგომში ჭერ სოჭამდე, მერე ანაკოფიამდე და ბოლოს, XVII ს. შუა ხანებში კელასურამდე მოაღწია. ქართველთა საცხოვრისის შევიწროებასთან ერთად ვიწროვდებოდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების არეალიც.

ლევან II დადიანის მთავრობის პირველ წლებში მოქვეში მოღვაწეობდა ფრანგი მისიონერი (იეზუიტთა ორდენიდან) ლუი გრანჟე. მას ურთიერთობა ჰქონდა მთავართან და კათალიკოსთან, მონაწილეობდა მერკულაში სამეგრელო-თურქეთის სამშვიდობო მოლაპარაკებაში (1615 წ.).¹² აღნიშნულ მისიონერს სერიოზული კვალი სამეგრელოში არ დაუტოვებია. არსებულ ვითარებაზე გაელენა არ მოუხდენია.

აფხაზეთის საკათალიკოსოს მდგომარეობას ასახავს მალაქია II გურიელის მიერ შედგენილი ბიჭვინთის დიდი დავთარი (1621 წ.), საიდანაც ირკვევა, რომ საკათალიკოსოს 24 მამული (ყმა-

გლახებით) და სასახლე აქვს. მათი დიდი ნაწილი ენგურს გაღმა მდებარეობდა. თანამედროვე გალისა და ოჩამჩირის რაიონებში საკათალიკოსოს ეკუთვნოდა მამულები ყმა-გლახებითა და სასახლეებით ნაქანელში, ხოირში (ოხურეი), სუბეიშში (აჩიგვარა), მუხურში, ხაუჟელში, ქალაში (ქლოუ), ტყავრუში (სქურჩასთან) და თილითში (აბააჟეახუ).¹³ საკუთრივ აფხაზეთის სამთავროში აფხაზეთის საკათალიკოსოს მამულები უკვე არ ჰქონდა, რაც მომხდარ ძირეულ დემოგრაფიულ და სარწმუნოებრივ ცვლილებებზე მიუთითებს. იქ უკვე წარმართი ჩერქეზები (აფსუები) დომინირებდნენ. იტალიელი მისიონერი მიქაელ მოსკო 1628 წელს ვატიკანში გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ ივერიის მეფე თეოფილე (იგულისხმება თეიმურაზ I — 1605-1661 წწ.) უფვართ და მას პატივისცემით ეკიდებიან არა მხოლოდ ქართველები, არამედ საქართველოში მცხოვრები უცხოელები, კერძოდ ჩერქეზები, რომლებსაც ურჩევენ ქრისტიანობის მიღებას.¹⁴ ერთი სიტყვით, იმ დროისათვის საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით არაქრისტიანი ჩერქეზები იყვნენ დამკვიდრებული.

ჯოგანი ლუკას ცნობები

სარწმუნოებრივი მდგომარეობა აფხაზეთში ასახულია მისიონერ ჯოგანი ლუკას ჩანაწერებში. 1629 წელს, სულიწმინდის მოფენის დღეს, ჯ.ლუკას გემი აფხაზეთის სანაპიროს მოადგა — ბიჭვინთასთან ახლოს. ადგილობრივმა მმართველმა ყარაბეიმ მისიონერი ბიჭვინთის მონასტრის ერთადერთ ქართველ მღვდელს შეახვედრა. მათ შეასრულეს ერთობლივი წირვა, რომელსაც ზარის დარეკვაზე შეკრებილი ხალხი დაესწრო. წირვას ყარაბეი თავად არ ესწრებოდა. მმართველის სახელი უკვე მის მუსულმანობაზე მიუთითებს.

ლუკამ ქართველი მღვდლისაგან შეიტყო, რომ ბიჭვინთას არა-იშვიათად სტუმრობენ კაზაკები. როცა შავი ზღვის სანაპიროებზე თურქებთან შეტაკების შემდეგ უკან გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ, კაზაკები შემოვივლიდნენ თურქე ბიჭვინთის მონასტერში და მას ფულს სწირავდნენ.

ჯ.ლუკა ქართველ მღვდელს სახლშიც სტუმრობდა, სადაც მას

კარგად გაუმსაპინძლდნენ. მღვდელმა სტუმარს ძველი კოლხური წესით გასვენებული (ხეზე ჩამოკიდებით) მიცვალებულები აჩვენა.

ბიკვინთიდან წამოსული ჯ.ლუკა 21 მაისს „ძველ ქალაქს“ (სოხუმთან) მოადგა. აქ მას ქრისტიანი მმართველი დახვდა — პუტო, რომელიც ჭვარს ატარებდა, მაგრამ არც მას და არც მის წინაპრებს წირვა არ ჰქონიათ ნანახიც კი. პუტო საკუთარ სახლში გაუმსაპინძლდა სტუმარს. შეიტყო რა მისი სამისიონერო მიზნების შესახებ, სთხოვა დარჩენა; ისიც აღნიშნა, რომ მეზობელ ქართველებთან ცუდი ურთიერთობა აქვს, თუმცა აფხაზეთს ყოველთვის ქართველი მღვდლები ჰყავდა და ისინი მეზობელი საზღვრიდან (სამეგრელოდან) იკურთხებოდნენ; მტრული ურთიერთობების გამო კურთხევა შეწყვეტილია; ამიტომ, ამბობს პუტო, რომ მას მღვდლები სჭირდება.

პუტოს სამფლობელო თითქოს ქრისტიანულია. ჯ.ლუკამ აქ 14 ბავშვი მონათლა და 1 ივლისს გეზი სამეგრელოსაკენ აიღო. სქურჩაში მას დრანდის ეპისკოპოსი დახვდა. ჩამოსვლიდან 10 დღეში ლევან II დადიანს შეხვდა, მასთან ერთად დაათვალიერა ბედიის მონასტერი, მოეწონა მისი არქიტექტურა და ძველი ფერწერა.

ჯ.ლუკა წერდა, რომ დადიანის ქვეყანაში 12 ეკლესიაა — სებასტოპოლის (ასე უწოდებდნენ არა მხოლოდ ცხუმს, არამედ ფოთსაც), დრანდის, მოქვის, ქიაჩის, ბედიის, წიფურიის (თანამედროვე თაგილონი), აგრეთვე ანაკლიის, ობუჯის, ცაიშის, ხობის, წალენჯიხის და ჭყონდიდის; თითოეულ მათგანს თავისი ეპისკოპოსი ჰყავსო. ჯ.ლუკა დაესწრო პეტრე-პავლობის დღესასწაულს დრანდის ლეთისმშობლის მონასტერში. მისიონერმა წმ.ანდრიას ეკლესიაში, აგრეთვე სხვა პატარა ეკლესიებში წირვა შეასრულა. ჯ.ლუკა აღნიშნავდა, რომ მსგავსი პატარა ეკლესიები აქ ბევრია და ისინი უფრო აფხაზებს ეკუთვნით, ვიდრე ქართველებს, თუმცა აფხაზები ეკლესიებში ნაკლებად დადიანო.

აფხაზეთისა და აფხაზეთის დახასიათებისას ლუკა წერს, რომ ამ ქვეყანას ორი მთავარი ჰყავს, იგი 150 მილზეა გადაჭიმული; ქალაქები აქ არ არის, მაგრამ მთებში ბევრი სოფელია. აფხაზები ზღვის სანაპიროზე არიან მიმოფანტული; მათი ცხოვრების წესი იგივეა, რაც

ჩერქეზებისა; არა აქვთ დაწერილი კანონები, არა აქვთ დამწერლობა; სარწმუნოებით ქრისტიანები არიან, მაგრამ ქრისტიანულ რიტუალებს არ ასრულებენ; ისინი ომობენ ჩერქეზებთან და მეგრელებთან.¹⁵

ჯ.ლუკა შედარებით რეალურ სურათს გვიხატავს, მაგრამ, ბუნებრივია, ვერ ერკვევა იმ ეთნო-დემოგრაფიულ პროცესებში, რომლებმაც უკიდურესად დაასუსტეს ქრისტიანული სარწმუნოება აფხაზეთის საერისთავოში.

კათალიკოს მალაქია II

გურიელის ზრუნვა

ბიჭვინთისათვის.

ქრ.კასტელის ცნობები

საინტერესოა ფაქტი ბიჭვინთის ეკლესიის ფუნქციონირებისა; ცნობილია, რომ კათალიკოსი მალაქია II გურიელი მზრუნველობას არ აკლებდა ბიჭვინთის

ეკლესიას. შეწირულობის წიგნში ბიჭვინთისადმი ვკითხულობთ: „ნებითა შეწევნითა და წყალობითა ღმრთისათა ჩუენ გურიელ-კათალიკოზმან მალაქიაი შევსწირეთ ბიჭვინთისა ღმრთის-მშობელსა მცირე ესე შესაწირავი:

თავის ერთი წმიდის ანდრია მოციქულის ხატი მომიჰედინებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვინთას დამისვენებია და სამი კვამლი კაცი იქ იმისთვის შემიწირავს“.¹⁶ გარდაამისა (იხ. დანართი №10), მალაქია II გურიელმა გაამრავლა და შეაკეთა საეკლესიო ადგილ-მამულები. აფხაზეთის ტერიტორიაზე (მაშინდელ ოდიშში) კათალიკოსმა შემდეგი სამუშაოები ჩაატარა: ხაუფელში აშენდა ახალი სასახლე და ჭვითკირის ეკლესია; თილითშიც აშენდა სასახლე, ეკლესიის სამრეკლო და მარანი; ლალიძგას დადიანის ძველი სასახლე შეკეთდა და დიდი მეურნეობა აეწყო; იგივე გაკეთდა ხოირში, სუბეიშა და ნაჟანაურში.

მალაქია II გურიელი პირადად ჩადიოდა ბიჭვინთაში. ერთ-ერთ ჩასვლაზე მას თან ახლდა მისიონერი ქრ.კასტელი. ეს ხდება დაახლოებით 1634-1639 წწ. ეკლესია უკვე აღარ ფუნქციონირებდა, იგი დაზიანებული იყო (შესაძლოა, მთიელთა მორიგი თავდასხმის გამო); კასტელის სურათის მიხედვით, მიმდინარეობდა ტაძრის შეკე-

თება; აფხაზეთის დიდმა მთავარმა ბესლაკო შარაშიამ ბიჭვინთის მონასტერი (და კიდევ ერთი ეკლესია) მისიონერებს გადასცა; ეზო-ში იდგა სვეტი, რომელსაც აფხაზები თაყვანს სცემდნენ; ბიჭვინთა-ში წმ. ზეთს (მირონს) ამზადებდნენ და ავრცელებდნენ მთელს სამეფოში. ქრ. კასტელი წერდა:

„იბერიის პატრიარქის (აფხაზეთის კათალიკოსის — ჯ.გ.) ბრძანებითა და განკარგულებით აფხაზებს მოაქვთ სვეტი წმინდა ანდრია მოციქულის ეკლესიის (ბიჭვინთის — ჯ.გ.) შესაკეთებლად.

დიდად თაყვანს სცემენ სვეტს, რომელიც ღვთაებრივი ანდრია მოციქულის მიერაა აგებული. იბერიის პატრიარქისაგან მიღებულ წმინდა მირონს მთელ სამეფოში ავრცელებენ...

აფხაზეთის პროვინციაში დიდი ეკლესიაა ღვთაებრივი წმინდა ანდრია მოციქულის მიერ აგებული, რომლის შუაში წმინდა ზეთს ამზადებენ და იბერიის პატრიარქის მიერ აპრობირებული, ავრცელებენ თავის სამეფოში.

ღვთაებრივი ანდრია მოციქულის სვეტი აფხაზეთში, რომელიც ჭარბი და წყალუხვი პროვინციაა. ამ ქვეყნის ყველა მცხოვრებმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და დიდი სასოებით ქრისტეს ეთაყვანება.

ღროს ამაოებამ გასაოცარი სვეტის თაყვანისცემა ვერ შეანე-
ლა.

როგორც ამბობენ, ეს მდიდარი და უძველესი ეკლესია აშენებულია წმინდა ანდრია მოციქულის მიერ, რომელმაც ამ მხარეში იქადაგა ქრისტეს წმინდა სახარება. ქვეყნის ამ ადგილს უწოდებენ იუბსს, მეორენაირად მას ეწოდება წმ. მარია პეჩოტა. აქ ცხოვრობს აფხაზეთის უდიდესი მთავარი, სახელად ბეზალუს ჩარასინო, მას ანტონეს უწოდებენ.

ზემოაღნიშნული ეკლესია უდიდესმა მთავარმა გადმოშვა, რათა მისიონერებს ერთობლივად მოგვევლო. ამ ეკლესიაში თაყვანისცემა აღარაა ან, უკეთ რომ ვთქვათ, მიტოვებული იყო კულტის ნაკლოვანებების გამო. აქ მხოლოდ ძველი ჭვარია შემონახული...

ამ პროვინციაში არსებობს უძველესი ეკლესიები, სადაც დახატულია... უწმინდესი ღვთისმშობელი, წმ. გი(ორგი)..., წმ. ანდრია

მოციქული, წმ. გიორგი, წმ. ნიკოლოზი, წმ. ექვთიმე, ონოფრე, ბასილი და სხვა ბერძენთა წმინდანები, მაგრამ... აქ იმყოფება სასულიერო პირი, რამდენიმე მოსამსახურით, და ისინი განაგებენ“.¹⁷

ქრ. კასტელის ცნობები აფხაზეთის შესახებ ძირითადად XVII ს. 30-იანი წლებისა და შემდგომი ათწლეულის სურათს გვიხატავს. მისიონერი აღწერდა ბედიის მონასტრის ძვირფასეულობებს: „სხვა ნივთთა შორის არის ვერცხლგადაკრული ჯვარი. მისი სიმაღლე შვიდ ხელის გულზე უფრო დიდია. შიგნითასივრცეში ძალიან ლამაზი მისტიკურებია ჩვენი ძვირფასი მხსნელის, უწმინდესი ვნებებისა და ზედ ამოკაწრულია ოქროს ნაირსახეობა. ამასთან ერთად მნიშვნელოვანი რელიკვიებია, როგორიცაა სისხლით შეღებილი თეთრი ქსოვილი, რომელზედაც ბერძენთა პატრიარქის ანტიკური წარწერაა... ქრისტე არის ღვთის შვილი. ჯვარცმის სიშიშველე დაფარულია... გემოვნებით დაკავშირებულია ამ ჯვრის სვეტებსა და სხვა ძვირფასეულობასთან.

ჯვრის გასაღები მხოლოდ სამეგრელოს მეფის ხელშია, რომელიც სალოცავად მიდის საზეიმო დღესასწაულზე, რომ ამით წააქეზოს რომელიმე დიდკაცი.

მე რომ ახალგაზრდა და ჯანმრთელი ვიყო, ადგილზე მოვიდოდი ამ მხარეში და მოვქებნიდი მშვენიერ და უძვირფასეს რელიკვიებს ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, მარადიული ქალწულის მარიასი, სანჯოტოს წმინდა ჯვრისა. ამ ქვეყანაში შემოტანილია მას შემდეგ, როცა დიდმა კონსტანტინემ ცოლად (მიათხოვა ქალი) საქართველოს მეფეს.

სხვა რელიკვიები, როგორიცაა ჩვენი უფლის კვართი, უფლის დიდი-ღედა, ზოფის მონასტერშია, სადაც ბერძნებმა მოიტანეს (სარკინოზების მიერ) კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ. ეს ჩანს იმ წარწერებიდან, რომლებიც შემონახულია ამ საუნჯესთან ერთად.

საქართველოს მეფემ მოახატვინა ხატი, ჩაასმევინა სამეფო ტახტში და ამ მხარეში ქრისტეს სახელი დაიცვა სპარსებისა და (სარაციანელებისაგან) სარკინოზებისაგან.

აფხაზეთის ქვეყანაში ულამაზესი ეკლესიებია უამრავი რელიკ-

ვით. ისინი შემოტანილია კავკასიად წოდებულ ამ უმაღლეს მთებში. სპარსელებმა და სარაცინებმა ბევრგზის მოაწყვეს გააფთრებული თავდასხმა მის ხელსაყოფად.

საქართველოს მეფე ქების ღირსია, რომ ებრძოდა და გაუძლო ორ მტერს, ქრისტეს სახელის მოძულეებს, თურქებსა და სპარსელებს“.¹⁸

ქრ.კასტელის მიხედვით, ბეღიაშია „სამეგრელოს არქიეპისკოპოსის ქონების შესანახი ნაგებობა“; აფხაზეთთან ახლოს მდებარე მოქვის საეპისკოპოსო ეკლესია კი ძალიან ლამაზიაო, „შიგ მრავალი ოქროსა და ვერცხლის ხატი და სხვადასხვა წმინდანის რელიკვიაა.

აქვეა სახელოვანი წამებული სტეფანეს მკლავი, რომლის მიტაცების ცდუნება გაგვიჩნდა, რადგან თვალყურსაც არავინ გვადევნებდა. ისეთ ადგილზე იყო, რომ ადვილად წავიღებდით და, ამავე დროს, ჩვენს ქვეყანაში რომ ყოფილიყო უფრო დიდი თაყვანისცემის საგანი გახდებოდა“.¹⁹

ქრ.კასტელის მიხედვით, დრანდის საეპისკოპოსო აფხაზეთშია, კავკასიის მთებში, რაც ეწინააღმდეგება ყველა სხვა ცნობას (მათ შორის კათოლიკე მისიონერებისა), რომელთა თანახმად, დრანდის საეპისკოპოსო სამეგრელოშია ლოკალიზებული. მისიონერის ნათქვამი, ჩვენი აზრით, ისე უნდა იყოს გაგებული, რომ შერვაშიძეთა სამფლობელო (კავკასიის მთებითურთ) ეკლესიურად აღნიშნულ საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა. ეპისკოპოსი, როგორც ჩანს, ხან აფხაზეთში იმყოფებოდა, ხან კიდევ სამეგრელოში. ქრ.კასტელი წერდა, რომ დრანდის „ეპისკოპოსი ჩვენი მეგობარია და კეთილმყოფელი. ჩემი ჩამოსვლის რამდენიმე დღით ადრე გავიგე, რომ თუ ამ ოჯახებს მეთვალყურეობას გავუწყვედი, მაშინ კავკასიელების სახლს მაძლევდა. შემთხვევით სამეგრელოში ჩამოვიდა. მანვე წამიყვანა ამ სახლამდე. შეხეთ ამ ხალხის თავაზიანობას... უფლის მესაყვირენი... ბავშვი უკრავს... აღმართეს ნიშანი მზესა, მთვარესა და ვარსკვლავებზე და სხვ... წმ.ლუკასთან“.²⁰

ქრ.კასტელის აღბრუნებით არის აფხაზეთის მთავრისა და მისი ორი ძმის სურათი. ესენი არიან ბესლაკო (ბასლაკუსი), სალამონი და სეტემანი. „ძალიან ლამაზები არიან სახით და ზნით, — წერს კასტე-

ლი, — არანაკლებ საქურველმტვირთელები, ომისადმი მიდრეკილნი და იტალიელების მოყვარულნი“.²¹

ქრ.კასტელის ერთ-ერთი სურათის (№439) მიხედვით, ცნობილი სასულიერო მოღვაწე ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი), რომელიც ლევან II დადიანის კარზე მოღვაწეობდა, კურთხევას აძლევს მის წინაშე მუხლმოყრილ აფხაზეთის მთავარს — ბესლაკო შარაშიას. მთავარი თითქოს ქრისტიანია; უყვარს იტალიელი მისიონერები, რომლებსაც ორი ეკლესია გადასცა; ითხოვს ახალი მისიონერების გამოგზავნას. მთავრის ძმა სოლომონიც ქრისტიანი უნდა იყოს. 1903 წლის 11 დეკემბრის „ცნობის ფურცელში“ თედო სახოკია ლიხნის ტაძარში ნანახ სხვა განძეულობასთან ერთად ახსენებს 21/2 გოჯის დიამეტრის ვერცხლის ფეშხუმს შემდეგი მხედრული წარწერით: „ქ. ეპა, შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთ უწმინდესო, ესე ვერცხლისა ჩვენ შერვაშიძემან სოლომონ ამ სოფელს სადღეგრძელოდ, გასამარჯვებლად და ცოდვის სულის ჩემის სახსრად და საოხად, ძისა ჩემისა არზაყანის აღსაზრდელად. ამინ“. ამის შემდეგ, ერთი შეხედვით, გაუგებარია რატომ არის (1650 წელს) „აფხაზეთის მთავარი მთელი ოჯახით“ უფრო მაპმადიანი, „ვიდრე სხვა სარწმუნოების“,²² — როგორც კასტელი წერდა. ასეთი გაორებული სარწმუნოებრივი მდგომარეობა აფხაზი მთავრებისა (რომლებიც ქართულად წერენ, საუბრობენ და ლოცულობენ) და საერთოდ აფხაზური (აფსუური) საზოგადოებისა შემდგომშიც გრძელდება. ამის ახსნა ისტორიული რეალობითაა შესაძლებელი — ერთის მხრივ, ღრმა ტრადიციული კავშირით ქრისტიანულ სამყაროსთან, გენეტიკური მახსოვრობით; მეორეს მხრივ, მთის (ნაწილობრივ ოსმალეთის) ზეგავლენით, რომელმაც ძლიერ დაასუსტა, მაგრამ ბოლომდე ვერ წალეკა ქრისტიანობა.

ქრისტოფორო კასტელის მიერ 1652 წელს რომში გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი შეიცავდა უაღრესად საინტერესო ცნობას, რომელიც, სავარაუდოდ, აფსუების მონათვლისა და მათთვის დამწერლობის შექმნის მცდელობას ეხება. კავკასიის მთებსა და მის გვერდობზეც მცხოვრებ ერს (რომელიც აღურიცხავია) არა აქვთ

არც წიგნი, არც საკუთარი ანბანი და არც ქართულ ანბანს ხმა-
რობენ, — წერს მისიონერი; — სრულებით არ იციან თუ რა არის
არითმეტიკა; დასათვლელად ხმარობენ ხან კრიალოსნის მარცვ-
ლებს და ხანაც კენჭებს და თოფის ნასკვებს. ამ უბედურების მო-
სასპობად ახალი (გამოგონილის) ასოებით დაუწერე წიგნები, ძრი-
ელ მოეწონათ, ამიტომ იმედია მალე შეისწავლონ ეს მეცნიერება.
შეიძლება თქვენც გამოგვიგზავნოთ ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი.
მათ დაუწერე ახალი ანბანი, რომელიც გამოირჩია მთავარმა,
რადგან მხედრული და ხუცური ასოები ბევრნაირი დაუწერე“.²³
სამეგრელოში მოღვაწე მისიონერი კავკასიის მთებში მხოლოდ აფ-
სუებს შეხვდებოდა. მათთვის დამწერლობის შექმნა ხელს შეუწყობ-
და ამ წარმართი ტომის კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევას.
ეს გეგმა ვერ განხორციელდა, თუმცა ვატიკანის არქივის საფუძვ-
ლიანი შესწავლის შედეგად, გამორიცხული არ არის, კასტელის
შედგენილი და სავარაუდოდ რომში გაგზავნილი პირველი აფსუ-
ური ხელნაწერი წიგნი (ანბანი) იქნეს მომავალში აღმოჩენილი.

არქანჯელო ლამბერტის ცნობები

XVII ს. 30-იანი წლებიდან
საუკუნის ბოლომდე სამეგრე-
ლოში და მის ჩრდილო-
დასავლეთ ნაწილში — თანა-

მედროვე აფხაზეთში — საკმაოდ აქტიურად იღწვოდნენ სხვა იტა-
ლიელი კათოლიკე მისიონერები თეათინელთა ორდენიდან. მათ
შორის ყველაზე გამორჩეული არქანჯელო ლამბერტი იყო. თავდა-
პირველად (1626 წლიდან) იგი ქართლში მოღვაწეობდა. ლევან და-
დიანის დის — მარიამის ხელის სათხოვნელად როსტომ მეფის
(ქართლის მეფე 1633-1658 წწ; ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656 წწ.)
მიერ სამეგრელოში გამოგზავნილმა ელჩებმა, ნიკიფორე ირუბა-
ქიძე-ჩოლოყაშვილის ინიციატივით, მისიონერები არქანჯელო ლამ-
ბერტი და იოსებ ჯუდიჩი ოდიშში წაიყვანეს. 1633 წლის ოქტომბერ-
ში ისინი სამეგრელოში — კერძოდ, ილორში არიან, სადაც ლევან
II დადიანის მონაწილეობით გიორგობის ტრადიციული დღესას-
წაული იმართებოდა. მთავარმა როგორც კი შეიტყო მისიონერ-
თა ჩამოსვლის შესახებ, სტუმრები მერკულაში — თავის რეზიდენ-

ციაში მიიწვია. მოკლე ხანში მისიონერებმა მთავრის დიდი ყურადღება დაიმსახურეს. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ლევან II დადიანს და მის მეუღლეს; როგორც ყველაზე საპატიო და სასურველი სტუმრები, სამთავრო კარის ღონისძიებების თუ წვეულებების მუდმივი მონაწილენი იყვნენ; მისიონერები მთავარს სანადიროდაც დაჰყავდა. პატრებმა ისარგებლეს ერთ-ერთი გულთბილი შეხვედრით და ლევან მეორეს მის სახელზე ჯერ კიდევ 1626 წელს გამოგზავნილი რომის პაპის ურბან VIII-ს (1623-1644 წწ.) წერილი გადასცეს. პაპი სამეგრელოს მთავარს მისიონერთა პატივით მიღებას და მათ საქმიანობაში ხელშეწყობას ითხოვდა (იხ. დანართი №9).

იტალიელი მისიონერები თითქმის წელიწადი მთავრის რეზიდენციაში ცხოვრობდნენ. 1634 წლის ოქტომბერში მათ გადასცეს სოფელი წიფურია (თაგილონი, გალის რაიონი) ყმა-მამულებით, მოგვიანებით — ამ სოფლის წმ. გიორგის ეკლესია. აღნიშნულ ფაქტს კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და ზოგიერთი ადგილობრივი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირის უკმაყოფილება მოჰყვა.

დაბინავდნენ თუ არა მისიონერები, როგორც რომში გაგზავნილი მათი წერილებიდან ირკვევა, აქტიურ მუშაობას შეუდგნენ. მათ სცადეს სამეგრელოში (თანამედროვე აფხაზეთიანად) გავრცელებული ადამიანთვაჭრობის აკრძალვის აუცილებლობაში მთავრისა და, საერთოდ, თავად-აზნაურობის დარწმუნება; სხვადასხვა მიზეზებით, ჩვილი ბავშვებისათვის სიცოცხლის წართმევის ბარბაროსული სენის აღმოფხვრა და ა. შ. განსაკუთრებულ ყურადღებას მისიონერები ნათლისღების საკითხს ანიჭებდნენ. ისინი არწმუნებდნენ მოსახლეობას, რომ უკანონოდ არიან მონათლულები, ამიტომ ხელახლა მონათვისაქენ მოუწოდებდნენ. აგიტაციამ გაქრა. მისიონერთა მტკიცებით, ხელახლა ინათლებოდა მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი, აგრეთვე სამღვდლოებაც. კათოლიკობაზე გადაიყვანეს სამეგრელოში მყოფი ტრაპიზონის ეპისკოპოსი კირილე, მისი მეშვეობით — სხვა სასულიერო პირებიც. ხელახლა მონათლულან კათალიკოსები მალაქია გურიელი, მაქსიმე I მაქუტაძე, დრანდის ეპისკოპოსი და ბევრი სხვა. სასულიერო პირებს

კათოლიკურად მონათვლისთანავე, ისევ თავის თანამდებობაზე აკურთხებდნენ.²⁴

მისიონერთა მტკიცებით, მათ მოუხერხებიათ ლევან II დადიანის მონათვლა და კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევა.²⁵ მოგვიანებით ამ ფაქტს ადასტურებდა ქრისტოფორო კასტელიც. 1652 წელს ის რომს მოახსენებდა, რომ წინა წელს 400 ბავშვი მონათლა, მიმდინარე წელსაც იმდენივე იქნებიანო; წარმატების საწინდარი მთავრის მონათვლა არისო.²⁶

40-იანი წლების დასაწყისში ლევან II დადიანმა რომში ორი ჰაბუკი გაგზავნა კათოლიკურ სარწმუნოებაში „გასაწვრთნელად“. რომის პაპთან კი თავის ელჩად იოსებ ჯუდიჩი მიაგვლინა. მან რომის პაპ ინოკენტი X-ს (1644-1655 წწ.) და კარდინალებს ლევან დადიანის წერილები გადასცა; უამბო სამეგრელოში მისიონის საქმიანობისა და მთავრის გაკათოლიკების შესახებ. 1646 წელს იოსებ ჯუდიჩი კვლავ სამეგრელოსაკენ გამოემართა; თან მოჰქონდა კარდინალების წერილი ლევან დადიანთან (იხ. დანართი №12). გზაში იგი თურქებმა შეიპყრეს და ციხეში გარდაიცვალა. მისმა თანამგზავრმა, სიკვდილს გადაარჩენილმა პატრებმა (ივანე მონთი, იაკობ მარსი) კი ოდიშში ჩამოაღწიეს კონსტანტინოპოლიდან წამოყვანილ პატრი გაეთანო დალესანდრისა და მორჩილ ძმა ქლაუდიოსთან ერთად. დასწრეულბული პატრი გაეთანო მალე გარდაიცვალა, დანარჩენები გამოჩანმრთელებისთანავე შეუდგნენ მისიონერულ საქმიანობას.

ქრისტოფორო კასტელის ცნობით, ბევრი სახელოვანი ადამიანი მონათლულა კათოლიკური წესით. მათ შორის იგი ასახელებდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ აბუღია პისკაიას (ალბათ ბისკაიას; კასტელის სხვა ცნობით, დათულია ბისკაია ლევან II დადიანის ერთგული და მამაცი სარდალი იყო, რომელიც აფხაზებს — აფსუებს ებრძოდა). იგი ყოფილა „პატრონი კავკასიის მთების ერთი ნაწილისა, სადაც თვით სცხოვრობს. მსგავსადვე თავიანთ ეკლესიაშივე, — წერს კასტელი, — მოუნათლე თავისი უფროსი შვილი მამუკაი და მისი უმცროსი ძმაც, რომელმაც იწება მასთან ერთად შერაცხულიყო იესო ქრისტეს მხედრად“.²⁷

ვფიქრობთ, ლევან II დადიანის (და სხვათა) კათოლიკური წესით მონათვლა (თუ ეს სიმართლეა) მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით — რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მხრიდან თუნდაც მორალური დახმარების აღმოჩენის (ასევე სავაჭრო ურთიერთობის განვითარების) მოლოდინით უნდა ყოფილიყო განპირობებული და არა რელიგიურ-დოგმატური მრწამსის შეცვლით. ეს იმითაც დასტურდება, რომ სამეგრელოს მთავარი აგრძელებდა ზრუნვას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერებისათვის.

1649 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ გამოსცა წიგნები „სამეგრელოს აღწერა“ (1654 წ.) და „წმინდა კოლხიდა“ (1657 წ.). ისინი საქართველოს ისტორიის საუკეთესო პირველწყაროდ არიან მიჩნეული. ამ შრომებში XVII ს. 30-40-იანი წლების სამეგრელოში (თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით) არსებული ვითარება, პირველ რიგში სარწმუნოებრივი მდგომარეობაა ასახული, რა თქმა უნდა, კათოლიკე მისიონერის პოზიციიდან. ავტორი კარგად ერკვევა სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილის ისტორიაში. მან იცის, რომ ქვეყანას წინათ ძლიერი მეფეები ჰყავდა, რომლებიც სახელმწიფო მოხელეების მეშვეობით მართავდნენ სამეფოს; გარკვეულ ეტაპზე ეს მოხელეები, მათ შორის დადიანი, აუჯანყდნენ მეფეს და მათთვის სამოურავოდ ჩაბარებული ტერიტორიების სრული ბატონ-პატრონები გახდნენ.

ალამბერტისათვის ისიც ცნობილია, რომ ერთიანი „საქართველოს სამეფო გავრცელებული იყო ირანის მხრით თავრიზამდი და თურქეთის, უკედ ვთქვა, სამცხის მხრით — არზრუმამდი. კოლხიდისაკენ კი საქართველოს სამეფო მიდიოდა კაფამდი, რომელიც ხერსონეს შია. ამ მხრით საქართველო შეიცავდა თავის სამფლობელოში აფხაზებს, ანუ აბასქებს, ჩერქეზებს და ჯიქებს, ანუ ზიქებს. საქართველოს რომ ასეთი სივრცე ეჭირა, ამის ცხადი კვალი დღესაც იპოვება იქ... კოლხიდის გარედ აფხაზების და ჯიქების ქვეყნებში მშვენიერი ტაძრები დგანან ქართულად აშენებულები და ქართულის ზედწარწერებით. მაგალითად, ანაკოფიაში და ბიჭვინთა-

ში არის კოლხიდის, გურიის და იმერეთის პატრიარქის საჯდომი“.²⁸

ა.ლამბერტის სამეგრელოში მოღვაწეობის პერიოდში (1635-1653 წწ.) კოლხეთი (იგივე სამეგრელო) მდებარეობდა „კოდორსა და ფაზისს შუა“, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა ლევან II დადიანის მიერ აფხაზთა თავდასხმების მოსაგერიებლად აგებული კედელი კელასურთან იწყობოდა, რაც იმის ცალსახა დადასტურებდა, რომ საზღვარი აფხაზებთან მდინარე კელასურთანაა. ამას მოწმობს არა მხოლოდ ა.ლამბერტის რუკა, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, არამედ მისიონერის მიერ დრანდის მონასტრის სამეგრელოს ფარგლებში მოქცევა.²⁹

ა.ლამბერტი იძლევა ლევან II დადიანის პიროვნების დადებით დახასიათებას; წერს მთავრის მიერ მეუღლის — „აფხაზეთის მთავრის შარაშიას ქალი“-ს — დალატისათვის „ბერძნების სჯულისამებრ“ (ე.ი. მართლმადიდებლური წესით — ჯ.გ.) დასჯისა და აფხაზეთზე თავდასხმის შესახებ: ლევან II-მ „შეკრიბა ჯარი და ქალი წაიყვანა მის მამასთან. მამამისს შეეშინდა ამ უცარი თავდასხმისა და მთელი თავისი ერთ მთებში გაიქცა. დადიანმა მოარბია ქვეყანა, ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ყოველივე, და უკან დაბრუნდა თავის სამთავროში; ცოლი კი იქ დასტოვა მარტოკა“. სამეგრელოს მთავარი ამასაც არ დასჯერდა; როგორც კი მოაგვარა ურთიერთობები გურიასთან და იმერეთთან, კვლავ გაილაშქრა აფხაზეთის წინააღმდეგ. ა.ლამბერტი წერდა: „დადიანმა რომ ამგვარად თავისი საქმე შეასრულა და სამთავროს საქმეები მოარიგა, მაშინ განიზრახა აფხაზების დამორჩილება. აფხაზები ბუნებითაც მოუსვენარნი არიან და ამას გარდა, დადიანისგან თავს შეურაცხყოფილად სთვლიდნენ, რადგან ამან გააგდო ცოლი, მათის მთავრის ქალი. ამის გამო აფხაზები ისე ბრახმორეულები იყვნენ დადიანზე, რომ იმ დროს, როცა დადიანი გართული იყო თავის ძმისგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გააოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს. დადიანმა როგორც კი შინაური საქმეებისაგან მოიცილა, საჩქაროდ გაილაშქრა აფხაზების წინააღმდეგ და მალეც დაამარცხა იგინი. აფხაზებმა მორ-

ჩილება განუცხადეს, ხარკი იტვირთეს, მაგრამ რადგან ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია, და არც ფული გააჩნია, არც საქონელი ხარკის გადასახდელად — დადიანმა მათ ხარკად დააღვა რამდენიმე მწვევარ-მაძებარი და მიმინო, რომლებითაც აფხაზები ნაჭებიანა“.³⁰

ა.ლამბერტი ეხება ლევან II დადიანის საეკლესიო (მის საეპარაულო გაკათოლიკებაზე არაფერს ამბობდა, რაც საეპოსს ხდის ინფორმაციას ამის შესახებ) პოლიტიკიკასაც; აღნიშნავდა, რომ ლეთისმსახურების და ეკლესიის საქმეშიც მთავარმა თავი გამოიჩინა. მისიონერი წერდა: „არ არის ოდიშში ახლა არც ერთი ეკლესია, სადაც მისი ლეთის მოყვარეობის ნიშანი არ იყოს; რომელიც დანგრეული ეკლესია იყო, ხელახლავ ააშენა; რომელსაც სახურავი არ ჰქონდა, იმას სახურავი გაუკეთა; რომელსაც ორნამენტები შემოსცლოდა, ისიც გაამშვენებდა და შეამკო. ამასთანავე ყველა ეკლესიას ფრიად შეუმატა შემოსავალი. უთვალავი ოქრო-ვერცხლის ხატი გააკეთებინა თვალ-მარგალიტებით შემკობილი. ათი წლის განმავლობაში ოცზე მეტი ოქრომჭედელი ჰყავდა, რომელნიც განუწყვეტილად აკეთებდნენ საეკლესიო ჭურჭელს“. ეს ნივთები „დადიანმა თავის სამთავროს ყველა ეკლესიებს დაურიგა“. მისიონერის ცნობით, ლევან დადიანის ქვეშევრდომთა სიკვდილით დასჯა დაწესებული ჰქონდა მხოლოდ „ეკლესიის მკრეხელობისათვის, როცა ნივთებს მოიპარავენ ან ეკლესიას გადაწვავენ“. სწორედ ეკლესიის შემთხვევით გადაწვა არ აპატიო მან აფხაზეთის მთავარს, ჩაიტყუა იგი ოდიშში და როგორც პიროვნება, რომელმაც შეურაცხყო „ღმერთი თავის სახლში“, სიცოცხლეს გამოასალმა.³¹ ამ ეკლესიების დიდი ნაწილი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

ა.ლამბერტი, როგორც კათოლიკე მისიონერი, კრიტიკულადაა განწყობილი მართლმადიდებლობის მიმართ — „ბერძენთა შეცდომილებას და მწვალებლობას“ უწოდებს მას. მეგრელები, მისდევნენ რა ამ „შეცდომილებას“, „ბერძენის მსოფლიო პატრიარქს“ ემორჩილებიან, რომელიც კონსტანტინოპოლშია, თუმცა წინათ ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდნენო; ეს მორჩილება მართლ იმასი გამოიხატებოდა, „რომ როცა ხანგამოშვებით კონსტანტინოპოლის პატრიარქი იმ ქვეყნებში (ქართულ სამეფო-სამთავროებში

— ჯ.გ.) თავის ბერებს გაგ ზავნის შემოსაწირავთა მოსაკრეფად, მათ მოწყალებას და შესაწირავს აძლევენ“. საქართველოს ორი კათალიკოსი ჰყავს, — წერდა ა.ლამბერტი; პირველს ექვემდებარებიან ქართლი, კახეთი, საბარათიანო და სამცხე, მეორეს — ოდიში, იმერეთი, გურია, აფხაზეთი და სვანეთი. დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავარს იგი ოდიშის პატრიარქს უწოდებდა, ალბათ, იმიტომ, რომ ლევან II დადიანმა მათი „არჩევის უფლებაც მიითვისა“.

ა.ლამბერტის თავისი კრიტიკული დამოკიდებულება მართლმადიდებლობის მიმართ ავტომატურად გადააქვს კათალიკოსებზეც. მას განსაკუთრებით არ მოსწონდა მალაქია II გურიელი, „რომელსაც თავის საბრძანებელში ისეთი ძალა აქვს, ისეთი სიმდიდრე და სასახლეები, იმდენი ყმები ჰყავს, რომ არამცთუ ეთანასწორება მთავარს, რომელიც მას ირჩევს, არამედ აღემატება კიდევ. პატრიარქი თავის საპატრიარქოს დასახედავად მუდამ დაცის, მაგრამ მას საგნად თავისი სამწყაოს ზნის გამოსწორება როდი აქვს, არამედ მათი ქისების დაცარიელება“.³² ა.ლამბერტი კათალიკოსს და მის მრავალრიცხოვან ამაღას მტაცებელ მგელს და ჭალაში საძოვრად გაშვებულ პირუტყვს ადარებდა. გაცილებით უფრო ლმობიერი იყო მისი დამოკიდებულება კათალიკოს მაქსიმე I მაჭუტაძის მიმართ.

ა.ლამბერტი ჩამოთვლის კათალიკოსის დაქვემდებარებაში მყოფ ოდიშის ექვს საეპისკოპოსოს და იმდენივე მონასტერს. „პირველია დრანდის, რომელიც მდებარეობს კოდორზე, აფხაზეთის საზღვარზე (ამიტომაც შეცდომით ოდიშის საზღვარს კოდორზე ავლებდა — ჯ.გ.) და აშენებულია ღვთისმშობლის სახელობაზე და მის ეპისკოპოსს ჰქვია დრანდელი. მეორეა მოქვის, რომელიც მდებარეობს ფართო ვაკეზე ორ მდინარეს შუა... ეს ეკლესია აშენებულია აგრეთვე ღვთისმშობლის სახელობაზე და ეპისკოპოსს ჰქვია მოქველი. მესამე არის ბედიას, რომელიც აშენებულია გორაკზე, აგრეთვე ღვთისმშობლის სახელობაზე; მისი ეპისკოპოსი იწოდება ბედიელად“; შემდეგ ა.ლამბერტი ჩამოთვლის ცაიშის, წალენჯიხისა და მარტვილის (ჰყონდიდის) საეპისკოპოსოებს. მონასტრების დასახელებასაც ოდიშის ჩრდილო-დასავლეთიდან იწყებს: „პირველია ქი-

აჩის მონასტერი (კვიტოულთან ახლოს — ჯ.გ.) მთაზე აშენებული წმ.მიქელის სახელობაზე. მეორე წიფურიას (თაგილონის, გალის რნი — ჯ.გ.), რომელიც აშენებულია ვაკეზე ენგურის ნაპირად. ეს მონასტერი ეხლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღვთისმშობლის სახელობაზეა და მეორე — წმ.გიორგისაზე“; გარდა ამისა ა.ლამბერტი ასახელებდა ხობის (სადაც ღვთისმშობლის პერანგი ინახება, „რომელსაც იქაურები დიდ პატივსაცემენ“), ობუჯის, ანაკლიისა და სებასტოპოლის (ფოთის) მონასტრებს. ა.ლამბერტის მიხედვით, სებასტოპოლი მდებარეობდა იქ, სადაც „რიონი წყარად შეერთვის ზღვას“; ქალაქიც და მონასტერიც წყალში ყოფილა ჩანთქმული.³³ ლევან II დადიანმა თავისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი ქიაჩის მონასტერში დაასაფლავა (1640 წ.) და მას ძვირფასი ქვებით შემკობილი მთავარანგელოზის ხატი შესწირა.³⁴

ოდიშიში სხვა მრავალი ეკლესიაც იყო. ა.ლამბერტის ცნობილ რუქაზე ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში — თანამედროვე გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში მითითებულ ყველა დასახლებულ პუნქტში (სულ 50) ეკლესიაც არის აღნიშნული. ეს პუნქტები იყო: დრანდა, სათამაშია (ტამიში), წყურგილი, მარმარისკარი, აგუ, ფშია (ფშაფი), გორდა, ტკვაჯა (ტყვარჩელი), დღვანა, პიტაური, ილორი, ლეგიონი, მერკულა, ლალიძგა, მოქვი, თილითი, ოლუშე, მარცხული, ფუცქური, ლიმორი, აპერზოლი, ნაუგილერი, გუდა, ტობაწკარი, ციმური, სუბეიში, გაგინა, პაპათი, ზანარი, საჩინო, წარჩე, არკამა, ბედია, ჩხორთოლი, ჟირპიჯი, ცეიში, სათანჯო, სუჯუნა, გოგეილი, შეშელეთი, ქვითი, გენათი, სამხარი, წიფურია, სიდა, კადარი, ბარლები, ერიწკარი, ნაბაკია, ლეტა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკლესიათა რაოდენობა კიდევ უფრო მეტი იყო (რუქაზე არ არის აღნიშნული ქიაჩი, წიფურიაში ორი ეკლესია არსებობდა და ა.შ.), რაც ამ მხარეში მართლმადიდებლური ქრისტიანობის განვითარების მაჩვენებელია.

ა.ლამბერტი ყურადღებას ამახვილებდა ილორის წმ.გიორგის ეკლესიაზე, სადაც ყოველწლიურად ოც ნოემბერს სახალხო ზეიმი იმართებოდა. როგორც წესი, მას მთავარიც და კათალიკოსიც ეს-

წრებოღნენ. „ამ ეკლესიას დიდ პატივს სცემენ არამც თუ მეგრე-
ლები, არამედ მახლობელი ხალხები, — შერდა ა. ლამბერტი. — ამი-



ლაშბერტის რუკის ფრაგმენტი

ტომაც მდიდარია ეს ეკლესია ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი ქვე-
ბით შემკული ხატებით. თვით კარები ვერცხლის სქელი ფურცლე-
ბით არის შექვედილი; იმდენად თაყვანსა სცემენ ამ ეკლესიას, რომ
თუმცა იგი მოშორებულია და ზღვის პირად დგას, მაგრამ ფიქრი
არ არის, რომ ვინმემ გაქურდოს იგი, ან მტრის გემით მოვიდნენ და
გაძარცვონ იგი; არამც თუ კარის გატეხვის შიში არა აქვთ, არამედ
მისი ძვირფასი ქვები რომ ახლო-ახლო გზაში დააბნიონ, იმასაც
ხელს არავენ ახლებს. ამ წმინდანის შიში მარტო აქაურებს კი არ
აქვთ, არამედ თვით აფხაზებსაც, რომელნიც სახელგანთქმული
ქურდები არიან და თურქებსაც, რომელნიც სრულიად მოკლე-
ბულნი არიან სარწმუნოების სინათლესა, ეშინიათ მისი და თაყვანს
სცემენ მას“.³⁵

როგორც ვხედავთ, ა.ლამბერტი აფხაზებს (აფსუებს) „აქაურე-
ბად“ არ თვლის.

ილორ ში სახალხო ზეიმის დღეს, როცა წმ.გიორგის „მოყვანილ“
ხარს კლავდნენ, იმართებოდა დიდი ბაზრობა; ამ მხრივ, გამორჩეუ-
ლი ადგილი წიფურიას ეჭირა, სადაც ყოველი წლის სექტემბრის
დასაწყისში უზარმაზარი ბაზრობა ეწყობოდა აუცილებლად მთავ-
რის მონაწილეობით. ა.ლამბერტის ცნობით, წიფურიაში ზოგჯერ
20 ათასამდე ადამიანი ჩამოდიოდა. ბაზრობები იმართებოდა აგ-
რეთვე ბედიაში, კორცხელში და სხვა მრავალ ადგილას.

ა.ლამბერტი მოკლედ აღწერს მის თანამედროვე აფხაზთა
(აფსუათა) ყოფა-ცხოვრებას. ისინი სამეგრელოს ჩრდილოეთით
მთებში ცხოვრობენ, თურქები მათ აბასას ეძახიან; მისდევენ მეც-
ხოველეობას, თევზს არ ჭამენ, ქალაქებში და ციხეებში არ ცხოვ-
რობენ; ერთმანეთს თავს ესხმიან და ძარცვავენ, იტაცებენ ტყვეებს;
მიცვალებულებს მიწაში კი არ მარხავენ, არამედ ხეებზე ჰკიდებენ;
აფხაზები, ისევე როგორც სხვა მთიელები, „ქრისტიანებად იწოდე-
ბიან, მაგრამ კანონები კი არა აქვთ, ეტანებიან ნადირობას და მტა-
ცებლობას“; ისინი მხოლოდ „სახელით არიან ქრისტიანები, თორემ
არც სარწმუნოებით და არც მოქმედებით ქრისტიანობა მათ სრუ-
ლებით არ ეტყობოდათ. მათ შორის (აფხაზებს, ალანებს, ჩერქეზებს,
ჯიქებს, ყარაჩაელებს, სვანებს — ჯ.გ.) ყველაზე მშვიდობიანი არიან

სვანები, რომელნიც ღვთისა და კეთილ ცხოვრების შესახებ ქადაგებას გულმოდგინედ ისმენენ“.³⁶

ა.ლამბერტი მოგვითხრობს აფხაზებსა და მეგრელებში გავრცელებული უღმერთო საქციელის — ტყვეებით ვაჭრობის შესახებ. „რა სამწუხარო სანახავია, — წერდა მისიონერი, — როცა ქრისტიან პატრონებს მიჰყავთ ასიოდე ქრისტიანი ბიჭი თურქებზე გასაყიდად. თურქები, როგორც კი იყიდიან მათ, მაშინვე თურქულად ჩააცმევენ, და ნიშნად მათის ცრუ რჯულის მიღებისა, ააწვენიებენ საჩვენებელ თითს, უარს ათქმევენებენ ქრისტეს რჯულზე და ასწავლიან თურქთა რჯულის წესს და რიგს. ამას სჩადიან ქრისტიანთა წინაშე და ქრისტიანთა ქვეყანაში, ვიდრე კონსტანტინოპოლში წავიდოდნენ. აგრევე იქცევიან ქალების მიმართ“. ტყვეებით ვაჭრობდნენ აფხაზებიც, რომლებიც ერთმანეთზე თავდასხმისას, გაყიდვის მიზნით იტაცებდნენ კაცებს, ქალებს, ბიჭებს. „აფხაზის ტყვეს მეტად აფასებენ თურქეთში, — წერდა ა.ლამბერტი: ქალებს სიმშვენიერისათვის და ბიჭებს იმიტომ, რაკი თავის რჯულზე მოაქცევენ და სამხედრო ხელოვნებაში გაავარჯიშებენ, უფრო ხშირად ისეთი კაცები ღვებიან, რომ სახელმწიფო საქმეებსაც და სამხედრო თანამდებობასაც მეტად კარგად ასრულებენ“.³⁷ ტყვეებით ვაჭრობა ეწინააღმდეგებოდა XVI ს. შუა ხანებში აფხაზეთის სამღვდელთა მხრივ დამტკიცებულ საკათალიკოსო სამართალს; ადამიანებით მოვაჭრეებისათვის იგი სასჯელის უმაღლეს ზომას აწესებდა (იხ. დანართი №6, „ბ“ პუნქტი). აფხაზეთის კათალიკოსებმა, მათ შორის, მალაქია II გურიელმა, ვერ მოახერხეს კანონის სრულად ამოქმედება და ტყვეებით ვაჭრობის აღკვეთა.

ერთადერთი, ვინც წინ აღუდგა ტყვეების თურქებზე გაყიდვას, იყო აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ I. როგორც ჩანს, ამ პიროვნებას 1939-1940 წლებში სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ეჭირა კათალიკოსის ტახტი. პ.კარბელაშვილის ცნობით, „ამა გრიგოლმა ამხილა შემწვარი ძაღლის გაგზავნით დადიანს ლევანს 1640 წ. ტყვეთა განსყიდვა მაჰმადიანთა ზედა“.³⁸ სხვა ცნობით, გრიგოლ I 1639 წელსვე გარდაიცვალა.³⁹

1639/40-1657 წლებში აფხაზეთის კათალიკოსი გახლდათ მაქსიმე

1 მაქუტაძე — მანამდე შემოქმედელი ეპისკოპოსი, ლევან II დადიანის ერთგული ადამიანი. მალაქია II გურიელისადმი უაღრესად კრიტიკულად განწყობილი ალამბერტი, პატივისცემით მოიხსენიებდა ახალ კათალიკოსს. „ოდიშის (აფხაზეთის//დასავლეთ საქართველოს — ჯ.გ.) აწინდელი პატრიარქი, — წერდა მისონერი, — წინანდელთან შედარებით უკეთესია და ამიტომაც წმიდა კაცად მიაჩნიათ საერთოდ. მართლაც თუ გარეგნობის კვალობაზე შევადგენთ მის შესახებ აზრს, უნდა ვთქვათ, რომ იგი ღვთის წინაშე დიდ გულმოდგინებას იჩენს ლოცვაში და კაცთა მიმართაც ძლიერ მოწყალეა. ყოველ ღამე უსათუოდ დგება მეტად გრძელ ლოცვაზე, ყველაზე პირველად ტანს იგი იცვამს და პირველადვე იგი შედის ეკლესიაში, სადაც ატარებს უმეტეს ნაწილს ღამისას და დღისასაც. რაც შეეხება მოკვასისადმი მოწყალებას, იგი ისეთი გულკეთილობას იჩენს, რომ არ მოიძებნება არც ერთი ღარიბი და არც ერთი უბედური, რომ იგი არ იცნობდეს და თავისი მოწყალების კალთას არ აფარებდეს. თუ ვინმე ღარიბმა გაიარა, როცა იგი პურის ჭამად ზის, მაშინვე დაუძახებს, თავისთან დასვამს და უმეტეს ნაწილს თავის საჭმელისას უთავაზებს. თუ გაიგონა, რომ სადმე საწყალი ავადმყოფი არის, მეტად გაკვირვებულიო, სხვადასხვა შემწეობას თავის ხარჯით მიაწოდებს. გარდა ამისა, იმდენად ერთგულია იერუსალიმის წმინდა ადგილებისა, რომ სამჯერ იყო მათ სანახავად და ყოველთვის დიდი შეწირულობა წაუღია“.⁴⁰ მაქსიმე I მაქუტაძე, სწორედ იერუსალიმში ეკურთხა კათალიკოსად. 1640 წელს ის ოდიშშია, ჰქონდა შეხვედრა რუსეთის ელჩებთან — დიაკ ფ.ელჩინთან და მღვდელ პ.ზახარევეთან.

რუსეთის ელჩების ცნობები

1636-1639 წწ. რუსეთში იმყოფებოდა ლევან II დადიანის წარმომადგენელი მღვდელი გაბრიელ გეგნავა. 1638 წლის 12 დეკემბერს იგი რუსეთის მეფეს — მიხეილ თევდორეს ძეს შეხვდა და ლევან II დადიანის სიგელი გადასცა. სამეგრელოს მთავარი რუსეთის ქვეშევრდომობას ითხოვდა. 1639 წლის 13 ნოემბერს მოსკოვიდან საპასუხო ელჩობა სამეგრელოში ჩამოვიდა. მისი ანგარიში, რომელიც 1888 წელს ს.ბელოკუროვმა გა-

1636-1639 წწ. რუსეთში იმყოფებოდა ლევან II დადიანის წარმომადგენელი მღვდელი გაბრიელ გეგნავა.

მოსცა, შეიცავს ცნობას გაბრიელ გეგენავას მოსკოვში ყოფნის, რუსთა საპასუხო ელჩობის შედეგების, სამეგრელოს (თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით) პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ.⁴¹ აღსანიშნავია, რომ ლევან II დადიანი, სამეგრელოს (აფხაზეთიანად) ივერიის ქვეყანას უწოდებდა.

გაბრიელ გეგენავა ჭერ კიდევ გზაში იყო, როცა მოსკოვში მყოფმა კახეთის ელჩმა მიტროპოლიტმა ნიკიფორემ სამეგრელოს შესახებ რუსებს პირველი ცნობები მიაწოდა. მიტროპოლიტის ინფორმაციით, სამეგრელო ერთი მხრით ესაზღვრება შავ ზღვას, მეორე მხრით — თურქეთის მიწებს, მესამე მხრით — ყიზილბაშთა ტერიტორიას, მეოთხე მხრით — მთიელ ჩერქეზებს. ცალკე აფხაზეთს და აფხაზებს იგი არ ახსენებდა, ვინაიდან სამეგრელოს შემადგენლობაში გულისხმობდა. თვითონ გაბრიელმა რუსეთის საგარეო უწყებას შემდეგი ცნობა მიაწოდა: „А вера де у них христианская и з грузинскою де верою их вера одна (и книги теж, что и грузинские; только де язык свой как меж собою говорят. И церкви де божий и монастыри у них есть многие; а начальной де у них святитель патриарх Малафей и митрополиты и архиепископы и епископы и архимариты и игумены и попы есть; а патриарх де Малафей живет в Пинчюском успенском (ბიკვინთის — ჯ.გ.) монастыре, а митрополиты и епископы и архимариты и игумены живут по монастырем же. Де и он де Гаврило поп же, а служил у царя Леонта (ლევან II დადიანი — ჯ.გ.) у его церкви, где он приходит“...⁴²

გაბრიელ გეგენავასთან საუბარში რუსებს, უპირველეს ყოვლილსა, დოგმატური ხასიათის საკითხები აინტერესებდათ. სამეგრელოს ელჩთან, რუსეთის მეფის დავალებით, ამ თემებზე საუბრობდა მისი მოძღვარი, ბლაგოვეშენსკის პროტოპოპი ნიკიტა. მიხეილ თევდორეს ქემ ნიკიტას დაავალა „господина священноиереия Гаврила допросити о православной вере христианской греческого закона, как ваш Дадианской Государь Лев и все государство его содержат православную веру хрис-

тову еще ли целу и невредиму и не отпадшу от греческого православия, яко же и мы в нашей велицей России содержим, и не примеснули соблюдают к жидовскому зловерию и к еллинскому поганому нечестию и к латинским ересем и ко агарянским прелестем и ко арянским и ко всяким еретическим блядем". გაბრიელს ჩვიდმეტამდე შეკითხვა დაუსვეს. მან განაცხადა, რომ ის რწმენის საკითხებზე სასაუბროდ არ არის გამოგზავნილი, ამავე დროს სთხოვდა რუსეთის მეფეს თავისი წარმომადგენლები მიავლინოს დადიანთან და იქ ადგილზე გაარკვიონ ეს ყოველივე. მან მთელ რიგ შეკითხვებზე მაინც გასცა შემდეგი პასუხი: „А образу христову и пречистой Его Богоматере и честному кресту и всех святых образом поклоняемся и мощи их почитаем и иконы де у нас в церквах есть и посты содержим, как де и у вас, по греческому закону и празники празнуем такоже.

А духовного де чину патриарх у нас есть, а живет в месте нарицаемем Пичюта (ბიკვინთა — ჯ.გ.); и монастыри де есть где патриарх живет. А как де патриарху быть новому на умершего место, ино де государь наш пишет к Ерусалимскому патриарху о благословении, и патриарх де пришлет благословенную грамоту и потому де и начальствует; а к поставлению во Иерусалим не ездит.

А во крещении де у нас елеом и святым миром младенцев помазуют, а крестят де зимой в купели у церкви воду подогрев, а летом на реке; а в крещении погружают, а не обливают. И протопом Никита спросил: носят ли у вас всякии верный крест на себе?

И поп Гаврило сказал: крестов де у нас на себе не носят, в том де не хочю солгать государьскому величеству: Бог де на небеси, а царь на земли. Как де крестят и в те пори де и крест положат; а как де начнет возмужати и креста де на себе не носит, для того опоясая от нечистот. А как де кого постригут во иноческии образ и тог-

და დე ი оят крест положат.

А при святой литургии божественную тайную жертву действуем кислым хлебом, а не опресноки; а то де какой христианин что опресноки служит?"⁴³

გაბრიელ გეგენავას მრავალმხრივ საინტერესო პასუხებიდან ირკვევა, რომ XVII ს. შუახანებში აფხაზეთის საკათალიკოსოში სუფთად იცავდნენ ქრისტიანულ დოგმატებს. ამ დოგმატების გათვალისწინებით ინათლებოდნენ ბავშვები, მაგრამ მოზრდილ ასაკში არაქრისტიანთა (от нечистот) შიშით ჯვარს არ ატარებდნენ. გაბრიელი კიდევ ერთხელ აღნიშნავდა, რომ პატრიარქი ზის ბიჭვინთაში, რომ მას ჰქონდა აგრეთვე სხვა მონასტრები, სადაც ცხოვრობდა.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მთიელთა (აფსუების) მოძალებისა და ოდიშის საზღვრის კელასურამდე გადმოწევისა, მთელი თანამედროვე აფხაზეთი ეკლესიურად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის იურისდიქციის ქვეშ რჩებოდა. გაბრიელ გეგენავასაგან ვგებულობთ აგრეთვე ახალი კათალიკოსის კურთხევის წესის შესახებ — მეფე წერილობით მიმართავდა იერუსალიმის პატრიარქს, ხოლო ეს უკანასკნელი აგზავნიდა კურთხევის სიგელს. ამ დროს კათალიკოსის იქ ჩასვლა სავალდებულო არ იყო („а к представлению во Иерусалим не ездит“). როგორც ჩანს, იერუსალიმში ჩასვლა ნებაყოფლობით ხდებოდა. მაგალითად, მაქსიმე I მაქუტაძე „წარვიდა იერუსალიმს 1640 წ. და დაადგრა მუნ“,⁴⁴ თუმცა, ეს სავალდებულო არ ყოფილა.

მოსკოვიდან სამეგრელოში გამოგზავნილი ელჩების წინაშე ორი ძირითადი ამოცანა იდგა: ლევან II დადიანთან მოლაპარაკება რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, რუსეთის ერთგულებაზე მისი დაფიცება; სარწმუნოებრივი საკითხების გარკვევის საბაბით, სამეგრელოს ყოველმხრივ დაზვერვა.

ლევან დადიანის მიერ ცივად მიღებულმა (მისი ელჩისგზაში დაყოვნების გამო) ელჩებმა პირველი ამოცანა ვერ შეასრულეს, მაგრამ მეორე საკითხზე დიდძალი მასალა მოაგროვეს.

ფელჩინისათვის მიცემულ განაწესში (наказ) ნათქვამია: „Федоту (ელჩინი — ჯ.გ.) про то царю Левонтию не говорить, что он прислан для досмотру государсдва ево попом Павлом, который с ним послан веры их розсмотреть и разведать гороздо какова у них вера прямо ли истинная греческаго закону и все ли исправляют по преданию апостольскому и по правилом святых отец и нет ли у них в чом розни и нет ли каких прибиных статей иных вер и в службах святые божия литоргии в церквах и в иных церковных правилах и кто у них духовного чину больших начальных людей митрополиты или архиепискупы и епискупы и где живут и как правят область свою и монастыры есть ли и в них ипоческой чин как пребывает и в церквах пение как бывает?..“ გარდა ამისა, რუსეთის ელჩებს ევალებოდათ „проведывать всякими мерами накрепко: есть ли Дадианской земле сокровища святых животворящее древо Креста Господня, на чем распят Господ наш Ис Христос или срачица или хитон или часть ризы его спасовы или убрус или пояс пречистые Богородицы или которых угодников Божиих и святые мощи или миро и иные всякие святыны; да будет им хто про какую святыню обявит или сами где проведуют, и Федоту тех святын с попом Павлом, буде мощно досматривати и допрашивати какая та святыня и от колких лет тут пребывает и откуда что взято, да что хто про которую святыню скажут и им то все писати в список имянно и привести с собою вместе“.⁴⁵ სხვადასხვა დოგმატური საკითხების შესასწავლად ელჩებს 38 პუნქტისაგან შემდგარი კითხვარიც გამოატანეს. ცაიშის ეპისკოპოს ანდრიას, არქიმანდრიტ არტემისა და გაბრიელ გეგენავას თანხლებით მათ მოიარეს მთელი მაშინდელი სამეგრელო თანამედროვე აფხაზეთის, კერძოდ, გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონების ჩათვლით და საკუთარი მთავრობისათვის ანგარიშები ცალ-ცალკე წარადგინეს.

1640 წლის 3 თებერვალს რუსი ელჩები ფუცხურში (Пыскур) არიან, სადაც ხის ეკლესია (სვიმონ მიმრქმელის სახელზე იყო აგებული)ნახეს; 4 თებერვალს ს.ღალიძგაში (Гамбли) ჩავიდნენ და იმავე დღეს მერკულას (Маркули) ესტუმრნენ. ორივე სოფელში ჭვის ეკლესიები ყოფილა, — ღალიძგაში წმ.ნიკოლოზის, ხოლო მერკულაში სამების სახელობის. 5 თებერვალს სტუმრები შავი ზღვის სანაპიროზე გაიყვნეს. ეპისკოპოსმა ანდრია მ რუსებს სთხოვა მიიღონ ზომები, რათა შეწყდეს კაზაკთა თავდასხმები (სავაქრო გემებზე), ვინაიდან მათი შიშით უკვე სამი წელიწადია სამეგრელოში სავაქრო გემები არ ჩამოსულან.

6 თებერვალს ელჩები დრანდის მონასტერში ჩაიყვანეს. ეპისკოპოსმა ანდრია მ და გაბრიელ გეგენავამ რუსებს უამბეს იმის შესახებ, რომ ეს ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი 1637 წლის 18 მაისს თურქებმა დაარბიეს. საინტერესოა დარბევის მიზეზი. თურქებს ლევან II დადიანისთვის კაზაკების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმა შეუთავაზებიათ, რაზეც მთავრისაგან უარი მიუღიათ; ამის გამო ოსმალებს დრანდის მონასტერი დაუნგრევიათ. დოკუმენტში ვკითხულობთ: „И потому де Турской царь стал на Левонтья царя рен держат, потому что де у вас одна вера христианская с русскими людми, а разоряете де вы заодно с казаками мое государство, и будет не захочешь с русскими людми заодно и я де тебе дам людей и ты забей по рекам устья, чтобы им (კაზაკებს — ჯ.გ.) не было пристанища. И наш де царь Левонтей таво не похотел и он де Турской царь на то разгнеvas да прислал каторги во 145 году мая во 18 день и велел монастырь разломать и разметать. А монастырь был во имя Пречистыя Богородицы Одегитрея”.⁴⁶ ქართველები თხოვნენ რუსებს მოეგვარებინათ ურთიერთობა კაზაკებსა და ლევან II დადიანს შორის და ერთად ებრძოლათ თურქების წინააღმდეგ.

პავლე ზახარიევის ანგარიშში ელჩების მიერ დრანდაში ნანახი შემდეგნაირადაა აღწერილი: „А в монастыре каменная церковь во имя пречистыя Богородицы, а того не сказали

Благовещение или Рождество или Успение, а говорят: одна де Богородица; церковь с олтарем прегрожена, а престол и жертвеник по подобию да на престоле иньдикты и покрова нет. А в деисусах три образа _ Вседержителей образ да пречистыя Богородицы да Иоанна Предтечи; а месных образов пречистыя Богородицы, как и в деисах пишедца: а по другую страну кресь в киоте и крест ис Киота вымали и в кресте мощи две кости ручных от локтя да запястья, а сказал епископ Андрей: те де кости ручные мученицы Марины. А другой крест серебрян позлочен и у подножие креста втерты шесть жеребейков мощей и то во не сказали имяны коих святых те мощи и хто их и откуда принес, а сказали: как де церковь воздвигли, тогда де и мощи принесены, а то де подписи нет и хто откуда принес и коих святых имени мощи. И в те поры епископ Андрей велел часы говорить; а на часех апостол и еванелье чол Андрей епископ без потрахели и без риз в церкви стоя на своем месте, а не против царских дверей".⁴⁷ ფედოტეღჩინის ანგარიშის მიხედვით, დრანდის მონასტერში ნანახი წმ.ნაწილები ეკუთვნოდა არა წმ.მარინეს, არამედ ვარვარას. როცა 1640 წ. 3 მაისს რუს ელჩებს ზობის მონასტერშიც წმ.მარინეს წმ. ნაწილები (მარჯვენა ხელის ძვალი) აჩვენეს, პ.ზახარაიევი გაიკვირვა — დრანდაში ორივე ხელის ძვლები გვაჩვენეს, ახლა მესამე ხელი საიდან გაჩნდაო (სამი ხელი ხომ არ 3 ქონდაო)? ზობის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა განმარტა, რომ დრანდაში მოწამე ვარვარას წმ.ნაწილები ინახებო. სხვა წმინდა ნაწილებთან დაკავშირებით, რომლებიც დრანდაში ნახეს და რომელთა კუთვნილების შესახებ არაფერი იცოდნენ, ქართველმასახულიერო პირებმა რუსებს განუმარტეს, რომ შესაბამისი მატრიანები თურქებმა დაწვეს, როცა მონასტერი ააოხრესო, ზეპირად კი არ გვახსოვსო.⁴⁸

7 თებერვალს რუსი ელჩები სოფ. ფშეხაფში მიიყვანეს, მეორე დღეს კი — კვიტოულში; 9 თებერვალს — მოქვის მონასტერში არი-

ახ. „А в том монастыре, — ვკითხულობთ. ზახარიევის ანგარიშში, — каменная церковь с олтарем прегрожена, престол и жертвеник и деисусы по подобию и месные образы _ Спасов образ в Киоте; и образ ис кивота вымали и позади образа написано многие святые, а под теми святыми мощи тех святых, которые тут написаны, а всех их девяносто святых написано; а попу Павлу Федот имян тех святых не велел писать, велел сказывать кто святитель и преподобной и мученик или мученицам преподобная, а тово я поп Павел не ведаю _ всех ли Федот тех святых мощем имена писал, потому написав Федот мне прочитать не давал, а писать мне не велел, Да в той же церкви Максим епископ (მაქსიმე I მაქუტაძე — გ.გ.) показывал крест а сказали епископы Максим и Андрей тот де крест животворящего креста Господня, на чом Христос распят, а письма на кресте образа божья и Распятие христово нет, а крест укращен камением. Да Максим же епископ показывал Веретенца каменная бело, а сказал Максим епископ: то де вретено пречистыя Богородицы. Да Максим же епископ показывал мощи святых две руки ис персты с телам и с кожею позавить да голодной кости немнога да две части ножных и иные кости всех с одною десеть; а сказал Максим епископ: те де руки и ножные части и кости Архидьякона Стефана. И иные многие кости, а сказали: мощи же святых, а имян не сказали коих святых. И мы спрашивали: откуда те мощи принесены и кто принес? И Максим епископ сказал: те де мощи архидьякона Стефана, а руки и кости принесены ис Царяграда, а прислал де царь Константин к нашему царю; а того не ведаем, кто именем мощи принес и сколько тому лет, по тому летописи у нас тому нет“.⁴⁹ უცნობია, ვინ არის „მეფე კონსტანტინე“ ან ვინ იგულისხმება „ჩვენს მეფეში“. როგორც ზემოთ დავინახეთ, ქრისტოფორო კასტელიც საუბრობდა

სიწმინდეების შემოტანაზე „მას შემდეგ, როცა დიდმა კონსტანტინემ ცოლად (მიათხოვა ქალი) საქართველოს მეფეს“. 1640 წლის 29 მარტს ჭყონდიდის მიტროპოლიტი მიტროფანე რუს ელჩებთან საუბრისას, ასევე კონსტანტინე მეფეს ახსენებდა, რომელმაც დადიანის ქვეყანაში სარწმუნოება განამტკიცა და მაშინდელ მმართველებს სასულიერო პირები და ბევრი წმინდა ნაწილი გამოუგზავნა.⁵⁰ მოგვიანებით — 1651 წლის 13 ივლისს რუს ელჩებთან საუბრისას, გელათის მიტროპოლიტმა წმინდა ნაწილების კონსტანტინოპოლიდან საქართველოში ჩამოტანა კონსტანტინე მეფის ქალიშვილის ირინეს სახელს დაუკავშირა, „რომელიც მან იმერეთის მეფეს დავითს მიათხოვა“-ო.⁵¹

გარკვეული ცნობები საქართველოში სიწმინდეების ჩამოტანის შესახებ „ქართლის ცხოვრებაშიც“ მოიპოვება. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორმა რომან III არგირმა (1028-1034 წწ.) „მოსცა ელენე ასული თვისი ცოლად ბაგრატს (ბაგრატ IV — ჯ.გ.), სამკჳალი უფლისა, და ხატი ოქონისა და საუნჯე მრავალი ზითვად“.⁵² იგულისხმება ვლადკერნის ხატის ჩამოტანა, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ბიზანტიელი ქრონოგრაფის გ.კედრენეს (XI ს.) ცნობით, რომან მესამე არგირმა აფხაზეთის (საქართველოს) მეფეს ბაგრატ მეოთხეს არა ქალიშვილი, არამედ ძმისშვილი მიათხოვა.⁵³ გაუგებარია, ვინ არის იმპერატორი კონსტანტინე, რომელმაც ქალიშვილი ელენე ქართველ მეფეს მიათხოვა და მზითვად სიწმინდეები გამოაყოლა? ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია ასეთი ვერსიის წამოყენება.

რომან III არგირი თავისი წინამორბედის — კონსტანტინე VIII-ს (963-1028 წწ.) სიძე გახლდათ. იმპერატორმა, რომელსაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე რომანი პირველ ცოლს დააშორა, 50 წლის საკუთარ ქალიშვილზე დააქორწინა და ტახტიც მას გადააბარა. ეს მოხდა 1028 წელს. რომან არგირს იმპერატორის ქალიშვილისაგან მემკვიდრე არ ჰყოლია. ბაგრატ IV-ს მან 1033 წ. შერთო, ალბათ, თავისი ქალიშვილი (ვახუშტი) პირველი ცოლისაგან ან ძმის შვილი (გ.კედრენე); მზითვად კი გამოატანა არა საკუთარი, არამედ კონსტანტინე VIII-ს კუთვნილი სიწმინდეები.

1034 წელს იმპერატორი შეთქმულებას (ცოლის აქტიური მონაწილეობით) ემსხვერპლა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ამის შემდეგ დედოფალ ელენეს მიერ მზითვად ჩამოტანილი სიწმინდეები სავსებით სამართლიანად კონსტანტინე VIII-ს — სიწმინდეთა ნამდვილი პატრონის სახელს დაუკავშირდა. გარდა ამისა, ქართულ სამღვდელოებაში, ალბათ, ცოცხლობდა ხსოვნა იმპერატორ კონსტანტინე დიდისა (306-337 წწ.), რომელმაც საქართველოში სასულიერო პირები და სიწმინდეები გამოგზავნა.

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე, ვისი ქალიშვილიც (ირინე) იმერეთის დედოფალი (მეფე დავითის მეუღლე) გახდა, ჩვენთვის უცნობია. სავარაუდოდ, საუბარი შეიძლება იყოს დავით VI ნარინზე; 1267 წელს მან ცოლად შეირთო მიხეილ VIII პალეოლოგის (1259-1282 წწ.) ქალიშვილი. მისი სახელი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში მითითებული არ არის, თუმცა ამ ქორწინების შესახებ წერენ ეამთააღმწერელი და ვახუშტი ბატონიშვილი.⁵⁴

ვფიქრობთ, ქართული სამღვდელოება თავად არ იყო გარკვეული, თუ როდის და როგორ მოხვდა წმინდა ნაწილები საქართველოში, ამიტომ ბუნდოვან პასუხს აძლევდნენ რუს ელჩებს. ეს უკანასკნელები კი გულმოდგინედ აგრძელებდნენ სამეგრელოს დაზვერვას.

1640 წ. 9 თებერვალს მაქსიმე I მაკუტაძეს რუსთა თანდასწრებით მოქვის ტაძარში წირვა ჩაუტარებია, რომელშიც ხუთი მღვდელი და ერთი დიაკონი მონაწილეობდა. პავლე ზახარიევი ამის შესახებ წერდა: „Как выход со евангелием и как пришли в церковь к царским дверем и первый поп стал кадит образы и епископов и всех людей, ходи по всей церкви; и как вошли с еваньельем в олтарь и поп Гаврила велел дякону итить с еваньельем около престола и в северные двери в церковь и дьякон один шол с еваньельем около престола и в церковь и в олтар. И как апостол честь тот же дьякон взял со престола тоже еванелье и апостол чол; и после апостола аллилуя пели стоя в олтаре поп Гаврила и иные служащие попы, облегли на

царские двери. После алилуя тот же дьякон не сходя с того места, где апостол чол, в той же книге и еванелье чол." წირვის დამთავრების შემდეგ კათალიკოსმა მაქსიმემ დაეპისკოპოსმა ანდრიამ რუსეთის ელჩები პურობაზე მიიწვიეს.

მოქვენი რუსი ელჩების მიღება უფრო მოკლედ აქვს აღწერილი ფელჩინს. განსხვავებით პ.ზახარევისაგან, მას მითითებული აქვს წმ.სტეფანეს გარდა, კიდევვისი წმიდანაწილები აჩვენეს მონასტერში. ეს იყო „мощи мученицы Ирины, мощи мученицы Меланьи, мощи мученицы Евгении, мощи мученика Никиты, мощи мученика Меркурья, мощи мучеников Проватора и Аньдроника, мощи приподобного Лариона, мощи Власия, мощи святого чодотворца Николы, мощи Лазаревы, мощи Амбросимовы Медиаламскаго, мощи Луки евангелиста, мощи мученика Аверкия“.⁵⁵

1640 წლის 9 თებერვალს ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად რუსები ილორში ჩამოდიან.

„В том монастыре каменная церковь, — ვკითხულობთ პავლე ზახარევის ანგარიშში, — а на церкви крест серебрян и притворы у дверей церковных сребренные; а дейсусов и образов в церкви и в олtare нет. А среди церкви престол, а в нем утвержен крест деревянной — спреди обложен серебром, а среди креста вылит оброз страсотерпца Георгия и мучение его; а по другую страну тово же престола поставлен крест хрустальной, долгое и прекое у креста в меру вершечка, а на той цке вылит оброз Троица“. პ.ზახარევი გადმოგვცემს ეპისკოპოს ანდრიას მონაყოლს ილორში ყოველწლიურად ნოემბერში გიორგობის დღესასწაულის ჩატარების შესახებ. მასში სამეგრელოს მთავარი, კათალიკოსი და სხვა დიდებულები მონაწილეობენ; ზეიმზე კლავენ ხარს და მის ხორცს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ურიგებენ; როგორც ფელჩინი წერდა, „плечо пошлет Гуриельскому князю, а другое пошлет плечо Бошечуйскому (ბაშიაჩუკის// იმერეთის — ჯ.გ.) князю“. გაბრიელ გეგენავამ სტუმრებს უთხრა,

რომ აღრე გიორგობის დღესასწაულზე ირემი მოჰყვდათო.

სტუმრებმა ილორის ეკლესიაში ნახეს „лук железный, прислонен с тене, в меру болшово саженя; да возле товож лука прислонено двенадцет шестов, а у шестов уши сделаны и наперены, как и стрелы, а в других концах шестов вбиты железа, поделаны вилами“. როცა სტუმრებმა იკითხეს, რატომ არის მშვილდი რკინისაგან გაკეთებული და ისრის მსგავსი ქოკები (მახვილი) რატომ ინახება ეკლესიაში, ეპისკოპოსმა ანდრიამ უპასუხა: „тот де лук и те шесты страстотерпца Георгия стрелы и ис тово де железного лука и теми стрелами Георгий неверных побивает и нас де от неверных обороняет“.⁵⁶

იმავ დღეს ანუ 9 თებერვალს, რუსეთის ელჩები ბედიაში ჩაიყვანეს. ბედიის ეპისკოპოსმა (Евтихей//ექვთიმე) სტუმრები სადილზე მიიწვია, ხოლო 10 თებერვალს ბედიის მონასტერი დაათვალიერებინა. პ. ზახარაიევი შემდეგნაირად აღწერს ბედიის მონასტერს და იქნანახსიწმინდეებს: „Каменная церковь, а на церкви крест; а в церкви деисусы и местные образы и олтарь и в олтаре престол и жертвеник и то все по подобию. Да в той же церкви епископ Бедия показывал нам посох как святительской, а на верху посоха зделана что глава, а крыто бархотом черным; а на бархате вишит крест; а по другую сторону вышита царя Константина и матери его Елены (იგ ულისხმება ბიზანტიის კეისარი 306-337 წლებში კონსტანტინე I დიდი, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა; დედამისი — ელენე ქრისტიანი, რომელსაც წერილი გაუგზავნა წმ. ნინომ — ჯ.გ.) и ниже тое главы возле посоха покрышка та бархатная собрана концами около посоха и завязана и запечатана. А сказали епископы Бедия и Ондрей да поп Гаврила: тем де бархатам Христов тернов венец покрыт, как де жидове Христу поругалися и на Христа тот тернов венец на Христову Главу клали, да чем Христа везали и ко кресту пригвоздили. И везание

Христово и гвоздие с веньцем Христовым с терновым вместе завязано и Запечатано царя Леонтия печатью, сказали епископы Бедия и Андрей: мы де без повелень царя Леонтия распечатать и развязать и показать на венца Христова и везание и гвоздей показать вам не сме ем; а как де будете пред царем Леонтием на посольстве и после де царь Леонтей будет сам зде в монастыре и тогда тернов венец Христов и везание и гвозди то все вам покажет. _ И в той церкви в те поры часы говорили а на часех Андрей епископ без потрахели и без риз, стоя в церкви на правой стране, Евенгелье чел, а не против царских дверей”.⁵⁷

1640 წლის აპრილის დასაწყისამდე რუსები თანამედროვე სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრებს (ცაიშის, ხობის, ბანძის, ჭყონდიდის და ა.შ.) ეცნობიან. 7 აპრილს ისინი სუჯუნაში არიან. მათ ამჯერად თან ახლდა განათლებული პიროვნება — ჭყონდიდის მიტროპოლიტი მიტროფანე, რომელიც 12 წლის განმავლობაში წმიდა მთაზე მოღვაწეობდა. როგორც განათლებული ადამიანი, იგი ბევრს საუბრობდა რუსებთან ღოგმატურ და რელიგიის ისტორიის საკითხებზე. ეს საუბრები დაიწყო მარტილში და გაგრძელდა სუჯუნაში. 19 აპრილს მღვდელმა მახარობელმა (Махаробель) წირვა შეასრულა. 22 აპრილს (ფელჩინის მიხედვით კი 23 აპრილს) სუჯუნაში იყვნენ კათალიკოსი მაქსიმე, ჭყონდიდის მიტროპოლიტი მიტროფანე, ტრაპიზონის მიტროპოლიტი კირილე, გურიის მთავარი — князь Гурьярьскай Вохтан (ვახტანგ II გურიელი — 1639-1640 წწ.), სხვა წარჩინებულები. სუჯუნაში ტრადიციულ საეკლესიო დღესასწაულზე ხალხი შეკრებილა; გარეთ იყო გამოტანილი წმ.გიორგის ხატი. წირვა ოთხ მღვდელს და ორ დიაკონს შეუსრულებიათ. ხალხის წინაშე ერთი „წინასწარმეტყველი“ გამოსულა და წმ.გიორგის სახელით ულაპარაკია იმის თაობაზე, თუ როგორი წელი იქნებოდა და რა მოვლენები იყო მოსალოდნელი. წინა წელს მას დედოფლის გარდაცვალება უწინასწარმეტყველებია, ამჯერად კი განუცხადე-

ბია: თუ ლევან II დადიანი იმერეთში გაილაშქრებს, მოკლავენო (УБИТЬ БУДЕТЬ). მიტროპოლიტ მიტროფანეს „წინასწარმეტყველება“ ეშმაკისეულად (ДЬВОЛЬЩИНА) მიუჩნევია, იგი გაბრაზებულა და წირვას არ უსმენდა.⁵⁸

1640 წ. 27 აპრილს რუსები ლევან II დადიანმა მიიღო; 19 მაისს ელჩობა დასრულდა.

რუსეთის ელჩების ჩანაწერები — უნიკალური პირველწყაროა. მათ ობიექტურობაში აფსუებიც კი ექვს ვერ შეიტანენ, ამიტომ ამჯობინებენ მათზე არ ისაუბრონ, ვინაიდან მიუკერძოებელი (ყოველ შემთხვევაში, ქართველთა სასარგებლოდ) რუსი ავტორების მიხედვით, 1640 წელს თანამედროვე გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონები სამეგრელოს შემადგენლობაშია; ამ რაიონებში ყვავის ქართული ქრისტიანული სარწმუნოება; მთელი დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრის საჯდომი ბიჭვინთაშია; ღვთისმსახურება ქართულად მიმდინარეობს; რუსები არც ერთხელ აფხაზებს//აფსუებს არ ახსენებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი ამ ტერიტორიაზე ჭერ არ ცხოვრობდა და, შესაბამისად, დათვალიერებულსავეკლესიო ცენტრებთან არანაირი კავშირი არა ჰქონდათ; ეს ცენტრები ეკუთვნოდა ხალხს, რომელსაც ჰქონდა ქართული მწიგნობრობა, ხოლო ერთმანეთში სასაუბროდ — თავისი (მეგრული) ენა.

ველია ჩელების ცნობები

გარკვეული ცნობები აფსუათა სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ თურქი მოგზაურის ევლია ჩელეების წიგნში მოიპოვება. მან 1635 წელს (სხვა ცნობით, 1641 წელს) იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში. პირველი აფხაზური ტომი (ჩაჩი) თურქმა მოგზაურმა გულდაუთაში ნახა, თანაც ამ ტომის ხალხი ერთმანეთში მეგრულად საუბრობდა და ერთნაირი სარწმუნოება არ ჰქონდათ.⁵⁹ აშკარაა, რომ გულდაუთაში ევლია ჩელეების დროს შერეული მეგრულ-აფსუური მოსახლეობაა. ჩაჩის ტომის შემდეგ თურქმა მოგზაურმა მოინახულა ერთი ენის და ერთი სარწმუნოების მქონე არლანის ტომი, ხოლო თანამედროვე გაგრის ზონაში შეხვდა ჭანდების (ჩანდების) ტომს; ამ უკანასკნელის წარმომადგენლები ევლია ჩელებიმ სუფთა აბაზებად (აფსუებად) მიიჩ-

ნია. მოგზაური აღწერდა სხვა აბაზურ ტომებს, რომელთა ტერიტორია კუტასის ნავსადგურთან მთავრდებოდა. სავარაუდოდ, იგი მდ. ყუბანთან მდებარეობდა. მთელს ამ ტერიტორიაზე თურქმა მოგზაურმა მხოლოდ ერთი მეჩეთი ნახა (აშგილის ტომის სოფელ ატმაში); გზადაგზა აბაზას რამდენიმე ბავშვიც იყოდა. ეჩელები აღნიშნავენ, რომ აბაზებს ქაფირს (ე.ი. გიაურს — არამუსულმანს, მათ შორის ქრისტიანს) თუ უწოდებ, შეიძლება კაცი მოკლან, მუსლიმი რომ უწოდოთ, გაეხარდებათ და მოგეფერებიან; ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ; ამასთანავე ქაფირი არ უყვართ, მუსლიმს კი სულს აძლევენ. ისლამი რომ მიიღონ, ძალზე მორწმუნე და ერთი ღმერთის მიმდევარი იქნებიან.⁶⁰

ველიაჩელების სარწმუნო ცნობები ადასტურებენ, რომ XVII საუკუნეში აფსუებს არა თუ ქრისტიანული, საერთოდ არავითარი სარწმუნოება არა აქვთ; თუმცა ავლენენ პატივისცემას მუსულმანობისადმი.

ყოველივე ამის შემდეგ აფსუა ისტორიკოსები, ურცხვად აყალებებენ რა აფხაზეთის ისტორიას, მაინც ამტკიცებენ, რომ ამ რეგიონის უძველესი ქრისტიანული ცივილიზაციის მემკვიდრეები ქართველები კი არა, თანამედროვე აფხაზები (აფსუები) არიან(?!?!).

იმერეთ-სამეგრელოს

დაპირისპირება და

მდგომარეობა აფხაზეთში

შესახებ რუსეთის ხელმწიფესაც აცნობებდა (1649 წლის 13 აგვისტოს წერილში) მოსკოვში გაგზავნილი ელჩის მეშვეობით. ალექსანდრე III წერდა, რომ გადაუდგამისი მონა-მორჩილი დადიანი; მან „ჩარები შეკრიბა, ორჯერ-სამჯერ თავს დამესხა. აფხაზებს და ჩიქებს აგროვებს და ყოველ წელს ჩემს წინააღმდეგ ლაშქრობს და ხან სამას, ხან ოთხას ქრისტიან ბავშვს თურქეთის სულთანთან ტყვეებად გზავნის“.⁶¹ 50-იანი წლების დასაწყისში მაქსიმე კათალიკოსი, რომელიც ძირითადად დადიანის კარზე იმყოფებოდა, 1651 წ. 24 ივნისს იმერეთის მეფესთან ერთად რუსეთის ელჩებს ხვდება, მონა-

XVII ს. 40-იან წლებში ლევან II დადიანი აგრძელებდა იმერეთზე ყოველწლიურ თავდასხმას. მეფე ალექსანდრე III ამის

წილეობს ოფიციალურ შეხვედრებში; 25 ივნისს მოსკოველი ელჩებისათვის გამართულ სამეფო ნადიმს ესწრება. „მეფის მარჯვენა მხარეს კათალიკოსი იჯდა (პატრიარქის ადგილზე მყოფია იმათთან) , — წერდა იევლევი, — მას ქვეშ აბრეშუმის ხალიჩა ჰქონდა დაგებული. ხალიჩაზე დიდი ბალიში ედო, ზურგს უკანაც ბალიში ჰქონდა, ორივე ალუბლისფერ ატლასზე იყო ოქროსა და ვერცხლის კედით მოქარგული. კათალიკოსს ალუბლისფერი წმინდა აბრეშუმის მანტია ჰქონდა წამოსხმული, ზედა ნაწილი ოქროსა და ვერცხლის კედით იყო მოქარგული, მკერდზედაც საუფლო დღესასწაულებია ამოქარგული — უფლის აღდგომა და ამალღება, მაცხოვარს და წმინდა მოციქულებს კვართები მარგალიტით აქვთ გარს შემოყარებული. კალთებს კუთხეები ამოქარგული აქვთ, ქერუბიმებია გამოსახული ოქრო-ვერცხლის კედით წითელ ატლასზე. კათალიკოსს თავზე ქუდი ეხურა შავხავერდ გადაკრული. ქუდის ჯვარედინი და გარშემო იაგუნდის, ზურმუხტისა და ალმასის ჟიჟმატებით შემკული ოქროთი არის მოჭედილი. ზედ სამი სფეროა. იაგუნდისა და ზურმუხტის ჟიჟმატებითაა შემკული. კათალიკოსის პირდაპირ შავი ხავერდით მორთული სავარძლები იდგა. სავარძლებთან ხალიჩაზე მისი ფეხსაცმელები ეწყო, შავი ხავერდისაგან შეკერილი. ფეხსაცმელს ცხვირი, ქუსლები და ტერფის რკალი ძვირფასი ქვების ჟიჟმატებით შემკული ოქროთი არის მოჭედილი. სადილობის დროს მას ქუდი მოხადეს და იქვე სავარძელში ჩადვეს. კვერთხიც სავარძლებთან იყო მიყუდებული“.⁶²

იმავე წლის 29 ივნისს პეტრე-პავლეს დღესასწაულზე კათალიკოსმა სტუმრების თანდასწრებით ქუთაისის საკათედრო (საკრებულო) ტაძარში წირვა შეასრულა, რომლის მიმდინარეობას ელჩები დაწვრილებით აღწერენ.⁶³ საკათედრო ტაძრის მოპირდაპირე მხარეს ოთხი დიდი პალატი მდებარეობდა, სადაც მასპინძლების თქმით, კათალიკოსები ცხოვრობდნენ.

1651 წლის 13 ივლისს მიტროპოლიტ ზაქარეას (აფხაზეთის მომავალი კათალიკოსის ზაქარია ქვარიანის) თანხლებით რუსი ელჩები გელათის სამონასტრო კომპლექსს ათვალეირებენ, აღწერენ სიწმინდეებს, განძეულობას, ხატებს. ბ.ლომინაძის აზრით, ტოლ-

ჩონოვს ბიჭვინთის ხატიც (ხატების სახელწოდებას ელჩები არ უთითებენ) აქვს აღწერილი: „ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატია მარადიული ყრმით ხელში („ჩვილელი“), კვართი და სახე ოქროზეა ამოტვიფრული. ხატის გარშემო არ შიაზე ორი ანგელოზის და არქიელის გამოსახულებაა დიდი ვასილისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის. მოჭედილობაზე ძვირფასი თვლებია, ღია ქოლოსფერი იაგუნდი, ზურმუხტი და ლალი. „კუბო (КИОТ) დიდია კარებიანი, ოქროთი არის მოჭედილი. ოქროზე ამოტვიფრულია სასწაულები ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინების“.⁶⁴

1651 წლის 9 ოქტომბერს ალექსანდრე III საეკუთარი შვილის, ტახტის მემკვიდრის ბაგრატის, ძმის მამუკას (იმ დროს მამუკა ბატონიშვილი ლევან II დადიანის ტყვეობაში იმყოფებოდა), მაქსიმე კათალიკოსისა და კიდევ 24 მაღალი რანგის სასულიერო პირის, აგრეთვე თავადების (50 კაცამდე) სახელით ფიცს დებს რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისა და მის მემკვიდრეთა ერთგულებაზე.⁶⁵ დოკუმენტიდან არ ჩანს, რომ აფხაზეთის კათალიკოსმაც დაიფიცა რუსეთის ქვეშევრდომობაზე,⁶⁶ თუმცა ის მოხსენებულია ფიცის ტექსტში. დანამდვილებით ისიც არ ვიცით, ესწრებოდა თუ არა კათალიკოსი ფიცის დადების ცერემონიალს (ფიცის ტექსტში კათალიკოსზე ადრე მამუკა ბატონიშვილიც მოიხსენიება, რომელიც ვერ დაესწრებოდა ცერემონიალს). ყოველ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფიცის ტექსტის ბეჭდით დამოწმებულ ცხრა სასულიერო პირს (ერთ-ერთია ზაქარია ქვარიანი) შორის მაქსიმე I მაჭუტაძე არ ფიგურირებდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ის არ დასწრებია ფიცის დადების ცერემონიალს.

კათალიკოსი მაქსიმე I კვლავ დადიანის კარზე ბრუნდება. ჩვენი ვარაუდით, გამორიცხული არ არის იმერეთის მეფის მოსკოველ ელჩებთან შეხვედრებზე ყოფნა რუსეთის ერთგულებაზე დაფიცების ცერემონიალში აფხაზეთის კათალიკოსის სავარაუდო მონაწილეობა (თუ არმონაწილეობა) ლევან II დადიანის თხოვნით თუ დავალებით მომხდარიყო. სამეგრელოს მთავარი ხომ ამ შეხვედრების, შეიძლება ითქვას, უხილავი მონაწილეა — მასზე ბევრს საუბ-

რობდნენ. 1650 წლის 19 ივლისს კი მან ქუთაისში ჩასვლაც სცადა. რუსეთის ელჩებს მოახსენეს, რომ ლევან II დადიანი ქუთაისთან ახლოს იმყოფება, „იგი კარგი და კეთილი საქმისათვის მოვიდაო. დიდებული მეფის ელჩების ჩამოსვლამ მას შიში მოჰკვარა და ახლა მეფე აღექსანდრესთან და მეფე თეიმურაზთან შერიგებასურსო“.⁶⁷ სამწუხაროდ, შერიგება არ მომხდარა. ასეთ ვითარებაში ლევან დადიანის ერთგული მაქსიმე I მაჭუტაძე ქუთაისში მთავრის სურვილისა და თანხმობის გარეშე არ (ვერ) დარჩებოდა.

ძირითადად სამეგრელოს მთავრის კარზე მყოფ მაქსიმე კათალიკოსის მისი წინამორბედებისაგან, განსაკუთრებით მალაქია II გურულისაგან განსხვავებით, დიდად არ უზრუნია საეკლესიო ადგილმამულების გაფართოებისა და სასახლეების მშენებლობისათვის. აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადაგარის ერთ-ერთი მინაწერიდან ვიგებთ, რომ სწორედ მაქსიმეს კათალიკოსობის პერიოდში ლევან II დადიანმა ბიჭვინთის ღვთისმშობელს ახალი მამულები და ყმები შეწირა (იხ. დანართი №11).

კათალიკოსმა მაქსიმე I მაჭუტაძემ „რამდენჯერმე იმოგზაურა იერუსალიმში, სადაც დიდი შეწირულობა ჩაიტანა იქაური ქართული მონასტრებისათვის. ამ ღვაწლისთვის იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გამოუსახავთ ქართველი მეფეების — მირიანის, ვახტანგ გორგასლის და სხვა ფრესკებს შორის... გარდაიცვალა იერუსალიმში 1657 წელს (სავარაუდოდ, იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერშია დაკრძალული)“.⁶⁸

ლევან II დადიანის ხელშეწყობით აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ცნობილმა დიპლომატმა და სასულიერო მოღვაწემ, იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ყოფილმა წინამძღვარმა (1643-1649 წწ.), იმ დროისათვის ევროპულად განათლებულმა პიროვნებამ, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის (გამოიცა იტალიაში) ერთ-ერთმა გამომცემელმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახი) დაიკავა. იგი ირანის შაჰის მიერ დევნილი კახეთის მეფე თეიმურაზთან ერთად გადმოვიდა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მეფეზე განაწყნებული (თეიმურაზმა საკუთარი ქალიშვილის — დარეჯანის მეუღლე, ნ.ჩოლოყაშვილის დისშვილი

ზურაბ ერისთავი მოაკვლევინა და დარეჯანი იმერეთის მეფეს ალექსანდრეს მიათხოვა), ლევან დადიანთან დარჩა და მასთან დაახლოვებული პიროვნება გახდა. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის კათალიკოსობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ მალე ლევან II მოულოდნელად გარდაიცვალა. იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ს ძალისხმევით (მან ოდიშში გაილაშქრა) მთავრის ტახტი ვამეყ III ლიპარტიანმა (1658-1661 წწ.) ჩაიგდო ხელში. კათალიკოსმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა ვამეყ III ტახტის მიტაცებისათვის საჭაროდ შეაჩვენა. განრისხებულმა მთავარმა სხვა მოწინააღმდეგეებთან ერთად იგი შეიპყრო, კათალიკოსობიდან გადააყენა და დააპატიმრა. ასეთი უსამართლო მოპყრობა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა ვერ აიტანა და 1658 წელს ცხენში გარდაიცვალა.⁶⁹ აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი გენათელმა მიტროპოლიტმა ზაქარია ქვარიანმა დაიკავა. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო არა 1657 წელს, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული,⁷⁰ არამედ, 1658 წელს — მას შემდეგ, რაც ვამეყ III-მ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი გადააყენა. ეს უკანასკნელი კათალიკოსების ქრონოლოგიაში არც მოიხსენიება (აღბათ მისი კათოლიკობის გამო). ზაქარია ქვარიანი (1658-1660 წწ.) ატარებდა ტიტულს: „აფხაზეთისა დედაქალწულისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა ბიჭვინტისა საჭეთმპყრობელი კათალიკოზი“.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის გარდაცვალებას და ზაქარია ქვარიანის აფხაზეთის კათალიკოსის რანგში აღზევებას ოდიშისათვის პირველ ეტაპზე მაინც სიმშვიდე არ მოუტანია. ვამეყ III ლიპარტიანს ლევან II დადიანის ძმისშვილი ლიპარიტი (იოსების ძე) აუჯანყდა, რომელიც 1658 წელს ბანძასთან მისი დამარცხებით დასრულდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად გამარჯვებულებმა ბიჭვინთის სახარება მოაქედინეს. ლიპარიტი დადიანის ბანძასთან დამარცხების თაობაზე მინაწერის გარდა იგი შეიცავდა კიდევ ერთ მინაწერს, რომელიც ალექსანდრე მესამისა და ვამეყ მესამის სავარაუდო მოკავშირეს სოლომონ შერვაშიძეს ეკუთვნოდა. მასში ვკითხულობთ: „ქპეი ადამიანთა ძეთა დამყარებულო და სერობინ ქერობინთა ღაღადობითა ცათა ამალლებულო, ყოველსა ჟამსა სადიდებელ და საგალობელო და დედა ქალაქისა ბიჭვინტისა მლთისა მშობელო და ჯვა-

რო პატიოსანო ყოველთა ქრისტიანთა შესაკადრებლო, შეწვენი-
თა თქვენითა ესე პატიოსანი დიდი სახარება მოვაქედინეთ ჩვენ შერ-
ვაშიძემა სოლომონ და ძემან ჩუენმა აზრაყან თქვენდა სადიდებლად
და ჩუენდა სადღეგრძელოდ და აზრაყანისა აღსაზრდელად და მას
საუკუნოსა ჩუენისა სულისა სახსრად და საოხად, დაგვიხსენით
დღესა ამა დიდსა განკითხვისასა, რათა ვიხარებდეთ ყოელსა დღეს
ცხორების ჩუენისასა“.71 ამ მინაწერის თანახმად, სოლომონ შერვა-
შიძე და მისი ძე აზრაყანი (არზაყანი) მორწმუნე ადამიანებად წარ-
მოგვიდგებიან, თუმცა მისიონერი კასტელი, როგორც ზემოთ ით-
ქვა, აფხაზეთის მთავრის ოჯახის წევრებს უფრო მაჰმადიანებად
თვლიდა. თითქოს მორწმუნე სოლომონ შერვაშიძეს, რომელიც
ევდრება ბიჭვინთის ღვთისმშობელს, არც უფიქრია ბიჭვინთაში
საკათალიკოსო ტახტის აღდგენისა და აფხაზეთის კათალიკოსის
თავის კანონიერ რეზიდენციაში დაბრუნების შესახებ. მიუხედავად
სოლომონ შერვაშიძის მორწმუნეობისა, კათალიკოსი დევნილო-
ბაში აგრძელებდა თავის საქმიანობას.

კათალიკოს ზაქარია ჭვარიანმა სამი წლის მანძილზე ის მოახერ-
ხა, რომ მისი მოთხოვნით ვამეყმესამემ ბიჭვინთის ღვთისმშობელს
სენაკის მაცხოვრის ეკლესია (სასახლეებითა და მამულებით) შეს-
წირა, ხოლო სვიმონ II გურიელმა — აკეთის საყდარი (იხ. დანართი
№13). მან ასევე დაამტკიცა ბიჭვინთის XVI საუკუნის იადგარი.

1660 წელს გარდაცვლილი აფხაზეთის კათალიკოსი ზაქარია ჭვ-
არიანი (დაკრძალულია გელათში) სვიმონ ჩხეტიძემ (1660-1666 წწ)
შეცვალა. ადრე ის იყო ნიკორწმინდელი, შემდეგ — ქუთათელი
მიტროპოლიტი; ამ რანგში რუს ელჩებთან შეხვედრებში მონაწი-
ლეობდა; ზაქარია ჭვარიანთან და სხვებთან ერთად ამოწმებდა და
ხელს აწერდა ალექსანდრე III-ს ფიცს რუსეთის ერთგულებაზე; ჩა-
დიოდა ბიჭვინთაში წმ.მირონის დასამზადებლად; მან აღკვეთა კა-
თალიკოსის საქმეებში ოდიშისა და გურიის მთავართა ჩარევის
ცდები. სვიმონ ჩხეტიძის თხოვნით, ვამეყმესამემ დატაცებული სა-
კათალიკოსო მამულები ბიჭვინთის ღვთისმშობელს დაუბრუნა.
1661 წელს თავის აშენებულ რიკოთის ეკლესიაში შემორჩენილი
ასომთავრული წარწერის მიხედვით, სვიმონ ჩხეტიძე იყო „ჩრდი-

ლოეთისა და აფხაზეთის ბიჭვინტისა ემბაზისა საჭეთმპყრობელი“.⁷² ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ამასვე ქორონიკონს (1666 წ.) მოკუდა კათალიკოზი სვიმონ ჩხეიძე და დაჯდა საყვარელიძე ევდემოზ“.⁷³ კათალიკოს ევდემონ II საყვარელიძის (1666-1669 წწ.) მოღვაწეობის შესახებ ცნობები თითქმის არ არსებობს. ვფიქრობთ, რუსეთის ერთგულებაზე აღექსანდრე III-ს ფიცის ხელმომწერ ცხრა სასულიერო პირს შორის დაფიქსირებული ანქიმანდრიტი ევდემონი აფხაზეთის მომავალი კათალიკოსი ევდემონ II საყვარელიძეა. ასევე, სავარაუდოდ, მას ხობის მონასტრის გულანში მოხსენიებულ აფხაზეთის პატრიარქ ევდემოსთან აიგივებენ.

საკმაოდ მწირია ცნობები აფხაზეთის მომდევნო კათალიკოს ექვთიმე II საყვარელიძის შესახებაც (1669-1673 წწ.). ცნობილია, რომ ოდიშის მთავრის ლევან III-ს დადიანის (1661-1681 წწ.) კარზე ის შეხვდა ჟან შარდენს; მისი თხოვნით, ბიჭვინთის ღმრთისმშობელს შანშე ამირეჯიბმა ქუთაისსა და ფარცხანაყანებში ყმა-მამულები შესწირა. აფხაზეთის კათალიკოსი ექვთიმე იმერეთის სამეფოს თავკაცთა შორის იხსენიება ბაგრატ IV-ის მიერ 1669 წელს რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში (როგორც „საქართველოს მაკურთხეველი კათალიკოზი“).⁷⁴

XVII საუკუნის 50-70-იან წლებში პოლიტიკური ვითარება დასავლეთ საქართველოში უკიდურესად გამწვავდა, განსაკუთრებით აღექსანდრე III გარდაცვალების შემდეგ. იმერეთის ტახტისათვის ბრძოლაში ვამეყ III ჩაერთო. ქართლის მეფის — ვახტანგ V (1658-1675 წწ) შაჰნავაზის ამ ბრძოლაში ჩარევამ, მართალია, სულ მცირე ხნით, მაგრამ სასიკეთოდ შეატრიალა ქვეყნის ბედი. 1661 წელს მან ჯერ ქუთაისი დაიკავა, შემდეგ ოდიშში გადავიდა. სვანეთში გაქცეული ვამეყ III-ს ნაცვლად შაჰნავაზმა სამთავრო ტახტზე ლევან II დადიანის ძმისწული ლევან III დადიანი აიყვანა და და მას ცოლად საკუთარი ძმისწული, სილამაზით განთქმული თამარი შერთო. ვახტანგ მეფეს ზუგდიდში შერვაშიძე ეახლა. „მოვიდა ზუგდიდს დამუნ მოერთო შარვაშიძე ძლუნითა დიდითა და აფხაზითა“, — წერდა ვახუშტი.⁷⁵ ე. ი. აფხაზეთის მთავარმა და აფხაზობამ („აფხაზითა“) ქართლის მეფის უზენაესობა აღიარეს. ვახტანგმა აფხაზეთი კვლავ

ოდიშს დაუმორჩილა, თავად კი ქუთაისში დაბრუნდა, სადაც მას დემეტრე გურიელმა მორჩილება გამოუცხადა. იმერეთის სამეფო ტახტზე ვახტანგ მეფის 14 წლის ვაჟი არჩილი აიყვანეს.

საქართველოს გაერთიანების წარმატებით დაწყებული ეს მცდელობა თურქეთის მკაცრი პოზიციის გამო ჩაიშალა (არჩილის გამეფება თურქეთის „კუთვნილ“ დასავლეთ საქართველოში ოსმალეთმა მის „საშინაო“ საქმეებში ირანის ჩარევად ჩათვალა). ვახტანგი იძულებული გახდა არჩილი უკან გაეწვია; იმერეთის ტახტზე უსინათლო ბაგრატ IV (1663-1681 წწ.) ავიდა. აქედან იღებდა სათავეს იმერეთ-სამეგრელოს შორის გაუთავებელი შინაომების ახალი ტალღა. 1664 წელს ლევან III დადიანის პირველი ლაშქრობა იმერეთში მისი შეპყრობითა და ულამაზესი მეუღლის დაკარგვით (იგი ბაგრატ IV-მ შეირთო ცოლად) დასრულდა. ლევანს მოტყუებით ბაგრატის ქვრივი და შერთეს და ზუგდიდში გამოისტუმრეს. ეს ქორწინებები აფხაზეთის კათალიკოსმა სვიმონ ჩხეტიძემ კანონიერად ჩათვალა, რისთვისაც იმ პერიოდში საქართველოში მყოფი მაკარი ანტიოქელისაგან „ბრიყვი კათალიკოსის“ სახელი და ლანძღვა-გინება დაიშაახურა. სვიმონი მაკარის წინაშე თავს იმით იმართლებდა, რომ მეგონა მოქიშპე მხარეებს შორის „დამოყრებითა და ქორწინებით სიყვარულს ჩამოვაგდებდიო. — პირიქით კი მოხდა და ბოროტებამ უფრო იმძლავრა... ბოლოს სვიმონ კათალიკოსმა ინანა რაც გააკეთა,“⁷⁶ — წერდა ანტიოქიელი პატრიარქი. ლევან III აგრძელებდა ბრძოლას მეუღლის დასაბრუნებლად, რასაც ქვეყნის ინტერესები ეწირებოდა.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როცა თურქებმა ლევან III დადიანის ჩამოგდება და ლევან II დადიანის შვილიშვილის გამთავრება გადაწყვიტეს. ოდიში სამოქალაქო ომმა მოიცვა. ტახტის მამიებლის დაღუპვის შემდეგ ბრძოლა თითქოს შეწყდა, მაგრამ სამეგრელოს სამთავრო უკიდურესად დასუსტდა; განახლდა აფხაზეთა გამუდმებული თავდასხმები, რომლებიც არა თუ მოსაზღვრე, სამთავროს შიდა რაიონებზეც ხორციელდებოდა და ზოგჯერ გურიის-იმერეთსაც წვდებოდა. ამ თავდასხმების მთავარი ორგანიზატორი საულსტან შერვაშიძეა. ბიჭვინთის სახარების ერთ-ერთი მი-

ნაწერის თანახმად, საუსტან (ბაგრატი) შერვაშიძემ ბიჭვინთას ორი ადამიანი შესწირა. მინაწერში ნათქვამია: „ქ. ჰეი შენ, ცა) თა სწო-რო ბიჭუტისა ღვთისმშობელო, ჩუენ შერვაშიძემან საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შესაწირავი — ერთი გოგო, ჩუენდა საღღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და სავარეხის აღსაზრდელად... ქ. ჰეი შენ, დიდათ მშვენიერო და ცათა აღმატებულო, შენ ბიჭვიტის ღვთისმშობელო, ჩუენ შენმან მონდობილმან და მოსავემან შარვაშიძემა საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შემოსაწირავი გაიჩქინდი ხუცესი ჩანგელია, ამა სოფელსა ჩუენდა საღღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და ძისა ჩუენისა სავარეხისა აღსაზრდელად და მას საუკუნოს ჩუენის ცოდვილის სულის საცხოვრებლად და საოხად, ოდეს მოვიდეთ სუფევითა შენითა“. იქვე სხვა ხელით გაკეთებულია შემდეგი მინაწერი: „ქ. ეჰ ცათა უმაღლისა და ქერაბინთ უუესთესა ყულწმინდაჲ ბიჭვინთისაჲო ღმრთის მშობელო შემოგწირეთ მცირე შესაწირავი ჩვენ ბაგრატიმან შარვაშიძემან სუსტანმან ჩვენდა საღღეგრძელოდ და გასამარჯვებლად ჩვენი შვილის სავარეხისა ერთ დიდ გვამსწრეთ“. ⁷⁷ აშკარაა, რომ აფხაზეთის ქრისტიანი მთავარი სუსტან (საუსტან, ბაგრატი) შერვაშიძე ქართველი მოღვაწეა. მის მიერ ბიჭვინთისთვის შეწირული პიროვნებაც ქართველია (მეგრელია). ბიჭვინთის სახარებაში მინაწერების გაკეთებას, სადაც სამკერ იმეორებს სიტყვას „გასამარჯვებლად“ (ალბათ, ოდიშთან დაპირისპირებაში), იგი ვერ შეძლებდა იმერეთის მეფის უზენაესობის აღიარების გარეშე. ასეთი აღიარება სუსტან შერვაშიძეს, ალბათ, საშუალებას აძლევდა დაუსჯელად ეთარეშა ბაგრატი მეოთხესთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ლევან III დადიანის დაუძღურებულ სამფლობელოში, რომელიც ჯერ კიდევ კელასურამდე აღწევდა. იმ პერიოდში, როგორც ჩანს, საქართველოს, თუნდაც იმერეთის სამეფოს ტერიტორიის დაკარგვად არ აღიქმებოდა ქართველი შერვაშიძეების ხელმძღვანელობით აფხაზეთა მიერ ოდიშის მიწების მიტაცება. მთავრებს შორის დაპირისპირება და მუდმივი შუღლი, პირიქით, სუსტი მეფისათვის ხელსაყრელიც იყო.

გაუთავებელი შინაომები და ანარქია უარყოფით ზეგავლენას ახ-

დენდა სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე, რომლის შესახებაც ინფორმაციას XVII საუკუნის 50-70-იან წლებში სამეგრელოში მოღვაწე მისიონერები და სხვა უცხოელი ავტორები გვაწვდიან. ესენი არიან პატრიარქი პასიოსი, დოსითეოსი (შემდგომში პატრიარქი), პატრიარქი მაკარი, მისი შვილი პავლე ალექოელი, შარლ შარდენი, მარი ძამპი და ა.შ.

იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ცნობები

1658 წელს საქართველოში ჩამოვიდა იერუსალიმის პატრიარქი პასიოსი

(1645-1660 წწ.). მას თან ახლდა არქიდიაკონი დოსითეოსი — იერუსალიმის პატრიარქი 1669-1707 წლებში. ეს უკანასკნელი კიდევ ორჯერ — 1660 და 1677 წლებშიც — იყო ჩამოსული საქართველოში. მოგზაურობები აღწერილი აქვს დოსითეოსს. 1658 წლის 4 ივლისს პასიოსი და მისი თანმხლები პირები სინოპიდან სამეგრელოსაკენ გემით გამოემგზავრნენ და ხუთდღიანი ცურვის შემდეგ მიადგნენ ნაესადგურს, რომელსაც ადგილობრივი ჩერქეზები (ჩიქები) კონტოზს (აღლერთან) უწოდებენ. დოსითეოსი მოკლედ მიმოიხილა ეს ჩიქების, აბაზგების, აბხაზებისა (წიგნის ქვესათაურში ამ ორ ხალხს გერთმანეთისაგან განასხვავებს) და სხვა ხალხების ისტორიას, აღწერს მათ ზნე-ჩვეულებებს. აღნიშნავს, რომ მდ. უკრუხიდან (ყუბანი) მდ. ნიკოფსიამდე (ნეჩეპსუხო) ჩიქები ცხოვრობენ; ნიკოფსიიდან სოტერიუპოლის (ბიჭვინთის) მიმართულებით 500 მილის მანძილზე გადაჭიმულია აბაზგია; კონსტანტინოპოლის დაცემამდე ეს ხალხები ქრისტიანები იყვნენ, შემდგომში თურქების ზეგავლენით და იმის გამო, რომ სასულიერო პირები არ ჰყავდათ (აღრე მათ კონსტანტინოპოლიდან აგზავნიდნენ), წარმართები გახდნენ. დოსითეოსი, ისევე როგორც ბევრი სხვა ავტორი, ამ შემთხვევაში ცდება. წესით, თურქების ზეგავლენით, XVII ს. აბაზგები წარმართები კი არა, მუსულმანები უნდა გამხდარიყვნენ. მან არ იცის, რომ ისტორიული აბაზგები ქართველები (მეგრელები) იყვნენ, რომ მისი თანამედროვე აბაზგები (აფსუა-აბაზები) იმ ადგილებში (ბიჭვინთა — აღლერის ზონა) დაახლოებით ერთი საუკუნის წინ დამკვიდრდნენ; წარმართობა ახალჩამოსახლებულებმა ჩამოიტანეს;

ისინი არასოდეს ყოფილან ქრისტიანები, მაგრამ, შეერწყნენ რა ადგილობრივ ქრისტიანულ აფხაზურ (მეგრულ) მოსახლეობას, შეითვისეს მისგან გარკვეული (ხშირად დამახინჯებული სახით) ქრისტიანული ნორმები და ზნე-ჩვეულებები. ამან გამოიწვია ქრისტიანობისა და წარმართობის მშვიდობიანი თანაარსებობა აფხაზებში (აფსუებში). ამით არის გამოწვეული ქრისტიანული ტერმინოლოგიის არარსებობა აფსუურ ენაზე და მათ მიერ ქართულ-მეგრული ტერმინების გამოყენება. მ.სელეზნიოვს (რომელმაც გამოაქვეყნა დოსითეოსის ნაშრომი) შენიშვნებში მოჰყავს მინას ბეჟეჟხიანის 1819 წლის ცნობა იმის შესახებ, რომ აბაზები „соединяют Христианство с большою приверженностью к магии“, რომ ზეიმობენ აღდგომას, „называемую у них Тенефе“.⁷⁸ მ.სელეზნიოვმა, დოსითეოსმა და სხვა უცხოელმა ავტორებმა არ იციან, რომ „Тенефе“ აფსუების მიერ შეთვისებული მეგრული სიტყვაა — თანაფა, რაც აღდგომას ნიშნავს.

დოსითეოსს აქვს ცნობა, რომ ყოველი წლის ნოემბერში იმერლები, მეგრელები და აფხაზები სამეგრელოში წმ.გიორგის ეკლესიაში (ილორში) იკრიბებიან, ლიტურგიის წინ ხარს კლავენ და მის ხორცს ერთმანეთში (მათ შორის მეფე-მთავრებიც) ინაწილებენ. აფხაზთა სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ იგი წერდა:

„Надобно заметить: 1) что абхазы, в религиозном отношении, следовали примеру аланов и зикхов; 2) так как цари Нижней Иберии господствовали на Абхазии, то католическая вера долго здесь существовала. Иверийцы для получения св.Мура, находилась (უნდა იყოს находились — ჯ.გ.) всегда в дружестве с абхазами; и приступая к тому, требуют для верности заложников или аманатов и потом приезжают к ним; 3) Лев Дадриан (ლევან II), долго там царствовавший, после 1600 г. окрестив 40000 абхазов, роздал им столько же персидских полукафтаньев и дал им Епископа“.⁷⁹

დოსითეოსის სიტყვებს იმავე გვერდზე თან ახლავს მ.სელეზნიოვის არანაკლებ საინტერესო შენიშვნა ტერმინ „აფხა-

ზის“ ორმაგი მნიშვნელობის შესახებ: „Дабы понять сие, нужно припомнить двойное приложение слова Абхазии: 1) к абазгам, жившим, на северном берегу Черного моря, Абхазам или абазгам нынешним, и 2) Абхазии соделавшейся первым владением Грузинской династии Баградитов, в следствие браков между царями Абхазии и князьями Баградитскими Самцхе (нынешний Ахалцихский пашалык). Во втором смысле Абхазия заключает Мингрелию и Гурию; этим именем называли так же царство Грузинское. Оно долго было единственным Патриаршеством Грузии до того время, когда центр царства был переведен в Тифлис“. მ.სელეზნიოვს მიახლოებით მაინც თუ ესმოდა ისტორიული და თანამედროვე აფხაზის (აფხაზეთის) არაიდენტურობა, ეს სრულებითაც არ იცოდა დოსითეოსმა, თუმცა ისიც კარგად ამჩნევდა საქართველოს სამეფოში შემავალი ძველი და მისი თანამედროვე აფხაზეთის მკვეთრად განსხვავებულ სარწმუნოებრივ მდგომარეობას.

ჩვენთვის უცნობია, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს დოსითეოსის სიტყვები 40 ათასი აფხაზის მონათვლის შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლევან II დადიანმა, წარმართ აფსუათა მოქცევის მიზნით, სერიოზული ზომები დასაბა, რომელთა განხორციელება ერთ-ერთ ეპისკოპოსს — ალბათ, დრანდელს დაავალა. ჩვენი ვარაუდით, რომელიც ლუკასა და კასტელის ცალკეულ ცნობებს ეფუძნება, საკუთრივ აფხაზეთი ლევან II დადიანის დროს ეკლესიურად სწორედ დრანდის საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა; ამ საეპისკოპოსოს ფარგლებში ფუნქციონირებდნენ აფხაზთა კუთვნილი პატარ-პატარა ეკლესიები, რომლებშიც მრევლი ნაკლებად დადიოდა; თვითონ ეპისკოპოსი აფხაზეთ-სამეგრელოში დაიარებოდა. ქრ.კასტელიც, როგორც ვნახეთ, წერდა აფხაზეთში სასულიერო პირების ყოფნის შესახებ, რომლებიც ეკლესია-მონასტრებს განაგებდნენ. ეს ყოველივე აფსუებს შორის სამისიონერო საქმიანობის გაშლაზე მიუთითებს. ლევან II დადიანს არ უნდა გასჭირვებოდა ასეთი საქმიანობა საკუთარი სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ

ნაწილში. დოსითეოსის ცნობას თუ მივიღებთ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ აფხაზეთში ახლად დამკვიდრებულ (სხვა შემთხვევაში მისიონერების გაგზავნა და ამ მხარის კიდევ ერთხელ მონათვლა საჭირო არ იქნებოდა) აფსუებს შორის ქრისტიანული სარწმუნოების მარცვლები პირველად ისტორიაში სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა გაავრცელა.

1656 წლის 8 ივლისს კონტოზიდან გადმოსული პასიოსისა და დოსითეოსის გემი სამეგრელოს ნავსადგურს სქურჩას მიაღწა. ორი დღის შემდეგ სტუმრებს მოქვის ეპისკოპოსი ეახლა. სავარაუდოდ, კათალიკოსმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა და მოქველმა ეპისკოპოსმა პასიოსი და დოსითეოსი მოქვის მონასტერში მიიყვანეს, სადაც დადიანების მთავარი სასახლე მდებარეობდა. აქვე მ.სელეზნიოვი შენიშნავს, რომ „Мокфи есть название Грузинское Мокви, с произношением боле крепким. Деревня этого имени находится при реке, называемой Моквисцхале... Мы в 1841 г. посетили это место. Мокфинский монастырь находится в 17 верстах от Самурзаканского селения Илори. Живопись в нем чуть видна, надписей не видно никаких. Храм необыкновенной постройки, внутренность его глубоко величественна и подобна расположением и колоннами храму Иерусалимского Воскресения Христова“.⁸⁰

ბოლო ჩამოსვლისას (1677 წ.) დოსითეოსი მოწმე გახდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შიდაომებისა, რომელთა შედეგად ქუთაისის ოსმალები დაეუფლნენ (მათ არჩილი გააქციეს და ბაგრატ IV მეფედ დააბრუნეს), ხოლო ბაგრატ IV-ს მიერ შეურაცხყოფილი ლევან III დადიანი (ცოლი წაართვა) იმდენად დასუსტდა, რომ „абазги опустошали его владение, разорили храмы и монастыри: Мокви, Хоби, Кианси (ალბათ, მოქვთან მდებარე ქიაჩი, ან ცაიში — ზ.გ.), Зугдиди и все страны от Диоскурии до Гиппуса (ცხენისწყალი — ზ.გ.) и Фазиса, исключая Любардии“.⁸¹ ამრიგად, იერუსალიმის პატრიარქმა საკუთარი თვლით იხილა როგორ იპყრობდნენ აფსუები სამეგრელოს ტერიტორიას, როგორ ანადგურებდნენ ქართველების — ისტორიული აფხაზების

მიერ აშენებულ ეკლესია-მონასტრებს, მათ შორის უდიდესი მნიშვნელობის ქრისტიანულ ცენტრს, ქართული კულტურის უძველეს კერას — მოქვის ტაძარს. აფსუების მიერ მოქვის ტაძრის დანგრევის ფაქტს მ.სელეზნიოვიც ადასტურებს. იგი წერდა: „Внутреннее расположение приделов, каменных возвышенных хор и колонн столь поразительно, что даже дикие умы абхазов изумляются. При храме, в старину, были устроены два дворца: Дадияни и епископа, но они разрушены с храмом в 1678 г. абхазами”.⁸² ეს იყო მომხდურთა მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული.

არქიდიაკონ პავლე ალეპოელის ცნობები საინტერესო ცნობებს გვაწვდის ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (1648-1672 წწ.) და მისი შვილი არქიდიაკონი პავლე ალეპოელი (1627-1669 წწ.), რომლებიც, მიემგზავრებოდნენ რა მოსკოვში, 1664 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ და წელიწადნახევარი აქ იმყოფებოდნენ. მოსკოვიდან მობრუნებულები 1669 წელს კვლავ ჩამოდიან საქართველოში, სადაც მაკარიმ ნახევარი წელი დაჰყო, პავლე კი ერთ თვეში თბილისში გარდაიცვალა.

პავლე ალეპოელის ცნობები მოსკოვში ყოფნისას (1667 წ.) დაიწერა (ალბათ, რუსებისათვის). მასში ჩამოთვლილია სამეგრელოს საეპისკოპოსოები: დრანდის, მოქვის, ბედიის, ცაიშის, ხობის და ჭყონდიდის; ბედიის ტაძარში ღვთისმშობლის ხატი ინახებოდა, რომელიც „зывается влахерской. И лице и руки ее есть что плоть человеческая”.⁸³ პავლე ალეპოელის ეს ცნობა იმით არის საინტერესო, რომ ვლაჟერნის ხატი ბედიის მონასტერში XVII საუკუნეში სხვას არავის უნახავს. დაახლოებით 1033 წელს კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი და ბედიაში დასვენებული ვლაჟერნის ღვთისმშობლის ხატი ღვთისმშობლის სარტყლთან ერთად, როგორც ზემოთ (თავი III) იყო ნაჩვენები, ჭერ კიდევ ლევან I დადიანმა (1532-1571 წწ.) სამთავროს რეზიდენციასთან ერთად უსაფრთხოების მიზნით ზუგდიდში გადმოიტანა; დადიანების ეს მთავარი სიწმინდე არ უნახავთ სამეგრელოში ჩამოსულ რუს ელჩებს (1639-1640

წწ.), თუმცა, მათ სპეციალურად ეძებდნენ; ამბროსი ხელია სიტყვებით, როცა მაჰმადიანების მიერ შევიწროებულმა მეგრელობამ კოდორამდე დაიხია (მისი აზრით, XVII ს. შუა ხანები), ხატი სარტყლითურთ მარტვილში გადაუტანიათ.⁸⁴ 1664-1665 წწ. სიწმინდეები კვლავ ბედიის ტაძარშია დასვენებული. ორ ცეცხლს შუა (ერთის მხრივ, იმერეთის მეფე, მეორეს მხრივ, საუსტან შერვაშიძე) მოქცეულმა ლევან III დადიანმა, როგორც ჩანს, შედარებით უსაფრთხო ადგილად ბედიის ტაძარი ჩათვალა.

პავლე ალექპოელს მოქვის ტაძარიც მოუნახულებია. მოქვის საეპისკოპოსო საბერძნეთის მეფის ანდრონიკე კომნენოსის შექმნილია, სადაც არქიდიაკონი სტეფანეს წმ.ნაწილები ინახებაო, — წერდა არქიდიაკონი. პავლე ცდება, როცა საეპისკოპოსოს ანდრონიკეს დაფუძნებულად მიიჩნევს მაშინ, როცა იგი აფხაზთა მეფის ლეონ მესამის (957-967 წწ.) დაარსებულია. ანდრონიკე კომნენოსი ბიზანტიის იმპერატორ მანუელ I კომნენოსის (1143-1180 წწ.) ძმისწულია; საქართველოში იმყოფებოდა XII ს. 70-იან წლებში; 1183-1185 წლებში იგი თავად იყო ბიზანტიის იმპერატორი. ძნელი სათქმელია, რა აკავშირებდა მას მოქვის ტაძართან. პავლეს, ალბათ, მხედველობაში აქვს პასიოსისა და დოსითეოსის მიერ მოქვის ტაძარში ნანახი შემდეგი ფრესკული წარწერა: „Это рисовал живописец, в царствование Императора Алексея Комнина и Давида, великого царя Абхазского, некто Николай, Грузинского дворянского происхождения, который ушел в Иерусалим и жил там как монах в монастыре св.Креста, принадлежавшем каталикосам Иверии“.⁸⁵ დავით აღმაშენებლის თანამედროვე, კომნენოსთა დინასტიის ფუძემდებელი ალექსი I (1081-1118 წწ.) და ანდრონიკე კომნენოსები სხვადასხვა პიროვნებები არიან. პავლე ალექპოელის ცნობების გამომცემელი ნ.ასათიანი ვარაუდობს, რომ მოქვის ტაძარში, შესაძლოა, იყო სხვა წარწერაც, სადაც ანდრონიკე კომნენოსი, როგორც მოქვის ტაძრის განმაახლებელი, იქნებოდა მოხსენიებული.⁸⁶ ასეთი რამ გამორიცხული არ უნდა იყოს.

დრანდის საეპისკოპოსთან დაკავშირებით პავლე ალექპოელი აღ-

ნიშნავდა, რომ იქ ინახება „рука святые Варвары и от чесно-
го древа и мощи святых многих во образах“.⁸⁷ ე.ი.
წმ.ნაწილები ხატებში დატანებულ მცირე უჯრედებში ინახებოდა.

დრანდიდან „до престола Абхазии“ (ბიჰვინთამდე) ოთხი
დღის სავალია, — წერდა პავლე. — „И тамо ходит каталикос
со архирееми своими и творят святое великое миро“.
მან იცოდა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ანაკოფიაში მდებარე-
ობდა ეკლესია, სადაც, წინაპართა გადმოცემით, წმ.მოციქული სი-
მონ კანანელია დამარხული. ადგილობრივი მოსახლეობა დიდი პა-
ტივისცემით ეკიდებოდა აქაურ ეკლესიებს, — წერდა პავლე და აგრ-
ძელებდა: „И как нечестивии пленища Грузи и Опхазию
(„ბიწიერებმა როგორც კი დაიპყრეს საქართველო და აფხაზეთი“
— ჯ.გ.), перенесли престол каталикосов в Кутаис жити
вместе с царем Понгратием“.⁸⁸ მოტანილ ცნობაში მთავა-
რია ბიჰვინთიდან ქუთაისში კათალიკოსის რეზიდენციის გადატა-
ნის მიზეზი — ანტიოქიელი პატრიარქის შვილისა და არქიდიაკო-
ნის მხრიდან იმ ფაქტის დადასტურება, რომ საქართველოს შემად-
გენლობაში მყოფი ბიჰვინთა და აფხაზეთის დიდი ნაწილი XVII სა-
უკუნეში უკვე დაპყრობილი იყო „ბიწიერების“ (არაქრისტიანების)
ანუ გარედან მოსული აფსუა-აბაზების მიერ.

პავლე ალექსოვლს საკუთარი თვალით უხილავს აგრეთვე გიორ-
გობის დიდი დღესასწაული ილორში.

იერუსალიმის პატრიარქ მაკარის ცნობები

გაცილებით უფრო
ვრცელ ინფორმაციას შე-
იცავს პატრიარქ მაკარის
ცნობები, რომლებიც 1669

წელს წალენჯიხის მონასტერშია დაწერილი.⁸⁹ მოკლე ისტორიუ-
ლი ექსკურსის შემდეგ (სადაც ავტორი ეხება ქართველთა მოქცე-
ვის, ანტიოქიასთან ქართული ეკლესიის ურთიერთობის, აფხაზე-
თის პირველი კათალიკოსის იოანეს კურთხევის, საქართველოში მი-
რონის კურთხევის ნებართვის გაცემის, იუსტინიანეს მიერ აბაზგ-
თა მონათვლის საკითხებს) ვრცლად მიმოიხილავს ცნობებს ქართ-
ველთა ქვეყნის, მათი ცუდი და კარგი თვისებების შესახებ. დასაწ-

ყს შივე აღნიშნავს, რომ ქართველებს წინათ მხოლოდ ერთი მეფე ჰყავდათ; იმ დროს არსებულ ქართულ სამეფო — სამთავროთა გარდა, ის მართავდა „ვრცელი მთის ბინადარ მრავალ ტომს“. მაკარის აზრით, „ამ ვრცელ მთაზე“ ცხოვრობენ „აფხაზები, ამჟამად წოდებულნი აბაზებად..., ზიქხოსები, იგივე ჩერქეზები..., ჯიქები, ალანები“⁹⁰ და ა. შ. საყურადღებოა პატრიარქის შენიშვნა — აფხაზებს ამჟამად აბაზები ეწოდებათო, თუმცა არ უთითებს რით არის სახელის შეცვლა გამოწვეული. როგორც ჩანს, მან არ იცის, რომ ახლო წარსულში ისტორიული აფხაზები (ქართველები) ამ ტერიტორიაზე აფსუა-აბაზებმა შეცვალეს და ქართველებს დაუპირისპირდნენ.

პატრიარქი მაკარი ხაზგასმით აღნიშნავდა სასულიერო პირების განათლების ძალზე დაბალ დონეს; ბევრმა დიაკონმა და მღვდელმა წერა-კითხვაც არ იცისო; მღვდელმთავრებმა ახალი ეკლესიების კურთხევის წესი და ჩვილი ბავშვების მონათვლა არ იცინანო. სამღვდლოება, — წერდა მაკარი, — გამგებლების უფლებებით სარგებლობენ თავის ეპარქიებში — ვისაც უნდათ დასჯიან, დააჯარიმებენ, ვისაც უნდათ თურქებს მიჰყდიანო. პატრიარქმა თვითონ ნახა „როგორ გაყიდა მარტო ერთ წელიწადში მოქვის ეპარქიის ეპისკოპოსმა, სახელად ანდრიამ, თავისი სამწყოსი სამოცი კაცი. ოცდასამი გაჰყიდა ქობულეთის ნავსადგურში, გურიის ქვეყანაში რომაა, დანარჩენი კი ყველანი ერთად შავი ზღვის სხვა ნავსადგურში. ეს წყუული მოკვებით, გადავაყენე და ეპისკოპოსად ახალი ღირსეული კაცი ვაკურთხე“.⁹¹

მაკარი ნაკლოვან მხარედ მიიჩნევდა აგრეთვე კათალიკოსებისა და მთავრების მიერ კურთხევის გარეშე ეპისკოპოსის ტახტზე ერისკაცის ან დიაკვნის დასმას. ეპისკოპოსებს თავიანთი შეიარაღებული ლაშქარიც ჰყოლიათ. როცა ერთი რაზმი მეორეს ამარცხებდა, გამარჯვებული თურმე ძარცვავდა ან ჰყიდდა დამარცხებულს. პატრიარქს არ მოსწონდა ადამიანებისათვის წმინდანთა სახელების ნაცვლად „ნაირ-ნაირი უმაქნისი“ სახელების დარქმევა, ზოგჯერ მოუხნათლავი ადამიანების დიაკვნად და მღვდლად კურთხევა, მათი განათლების დაბალი დონე და ა. შ.

„ქართველთა ეკლესიების დიდ ნაწილს, — წერდა მაკარი, — არ გააჩნია საკურთხევლები. ჩვენ ვეუბნებოდით მათ, რომ წმიდა სამსხვერპლო ნიშანია გოლგოთასი, რომელზედაც ჯვარს აცვეს მესია. მერე იგი ჯვრიდან იოსებმა, ნიკოდიმემ, ღვთისმშობელმა, იოანე მახარებელმა და მენელსაცხებლებმა გარდამოხსნეს, სუდარაში გაახვიეს და წმიდა საფლავს მიაბარეს. ეს საფლავი ღვთისმშობელს აცხადებდა. მართლაც წმიდა საკურთხეველი უფალი მესიის საფლავს ჰგავს. ჩვენ სიტყვას (ქართველები) უჯერებდნენ და ჩვენც იმ ეკლესიებში საკურთხევლები დავდგით“.⁹²

ასეთი ამბები მეგრელთა ქვეყანაში იმიტომ ხდება, რომ ისინი, მაკარის აზრით, მეტისმეტად უმეცარნი არიან და არც მოძღვარი ჰყავთ; ეპისკოპოსები არ მოძღვრავენ მრევლს, ასევე ექცევიან სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული პატრიარქები და სხვა სასულიერო პირები. „ისინი არაფერს ასწავლიან მრევლს და არ განუმარტავენ რწმენის საკითხებს, — თვლიდა ანტიოქელი პატრიარქი, გულსისხმობდა რა იერუსალიმელ მღვდელმთავრებს; — მხოლოდ ფულს აგროვებენ და ისე გაეცლებიან, რომ სასარგებლოს არაფერს ეუბნებიან“.

მაკარი ზრუნავდა იმისათვის, რომ არ ყოფილიყო უკანონო ქორწინებები. ამ მხრივ გამოირჩეოდა „მეგრელთა ქვეყნის დიდი ეპარქია — ბედის საეპისკოპოსო, სადაც ანდრია ბედიელის მონაცემებით ხუთასამდე უკანონო ქორწინების ფაქტი იყო ცნობილი. ანტიოქიის პატრიარქმა და ეპისკოპოსმა ანდრიამ მდგომარეობა შედარებით გამოასწორეს.

მაკარის მოქვეშე იასვლის შესახებ გაუგია ღრანდაში მცხოვრებ ერთ მდიდარ ქალს, რომელიც შვიდჯერ ყოფილა გათხოვილი (ძირითადად ბიძაშვილებზე) და ბოლო მეშვიდე ქმართან ერთად „აფხაზთა ქვეყანაში“ (ღრანდა იმ დროს არ იყო აფხაზთა ქვეყანა) გაქცეულა.

პატრიარქს არ მოსწონებია მიცვალებულთა ზომაზე მეტად გლოვა.

ზემოთხსენები და სხვა ცოდვების გამო მაკარი თვლიდა, რომ ღმერთმა ქართველთა თავს მრავალი უბედურება დაატეხა:

„პირველი ისაა, რომ ქართველთა უმეტესობა მოუნათლავი იხო-

ცება... მეორე უბედურება ისაა, რომ ბევრი ქართველი აღსარების გარეშე, ზემოთ ნახსენები ცოდვებით და ღვთიური ზიარების მიუღებლად იხოცება... მესამე ისაა, რომ ბევრი ქართველი თანამოძმეს მიჰყიდის ხოლმე სხვადასხვა ხალხს, ცეცხლთაფხანისმცემლებსაც კი. მერე გაყიდულნი თავიანთ სჯულს ტოვებენ. მეოთხე უბედურება ისაა, რომ ქართველები მუდამ ერთმანეთს ეომებიან... მეხუთე ისაა, რომ მეზობელი ხალხები (ვგულისხმობ აფხაზებს, ჩერქეზებს, სვანებს, ალანებს და სხვებს) თავს ესხმიან ქართველთა ქვეყნის განაპირა სანაპებს, იტაცებენ ვისაც მოიხელთებენ, მიჰყავთ და ჰყიდიან („მეზობლებში“ სვანების ჩართვა ავტორის შეცდომაა — ჯ.გ.). მეექვსე უბედურება და ყველაზე დიდი ისაა, რომ ბევრი ქართველი დედაცაცი ახრჩობს თავის ჩვილს“ (რათა არ გაუყიდონ — ჯ.გ.).⁹³

პატრიარქ მაკარის კრიტიკული შენიშვნების ნაწილი, ალბათ, სამართლიანია, მაგრამ მთლიანობაში ის მეტისმეტად მუქ ფერებში ხატავდა შექმნილ ვითარებას. თავისი ტენდენციური ჩანაწერით, როგორც თედო ჟორდანიძე აღნიშნავდა, ანტიოქელ პატრიარქს სურდა დაემტკიცებინა, რომ ანტიოქიისაგან დამოუკიდებლად არსებობა საზიანოა ქართული ეკლესიისათვის.⁹⁴

პატრიარქმა, როგორც თვითონ ამბობდა, დიდი შრომა გასწია, რათა ქართველობა ნამდვილი ეკლესიური ცხოვრების გზაზე დამდგარიყო. იგი არა მხოლოდ ნაკლოვანებებზე და ცოდვებზე, არამედ ქართველთა „კეთილ და სანაქებო“ თვისებებზე „საამაყო“ საქმეებიც მიუთითებდა. ასეთ თვისებებს და საქმეებს, მისი აზრით განეკუთვნებოდა:

„ქართველები ხედავენ თავიანთ მღვდელმთავართა და მღვდელთა აშკარა სამარცხვინო საქციელს..., მაგრამ არ განსჯიან მათ ამის გამო; პირიქით ღირსებითა და პატივით ექცევიან...

თავს დატეხილ უბედურებას... მუდამ უღრტვინველად და ამბოხის გარეშე იტანენ ყოველივეს...

გინებით არ ახსენებენ სჯულს და არც არავის...

ქალთა უმეტესობა (განსაკუთრებით თავადთა ოჯახებში) ნამუხიანი, ღვთისმოშიში და საღმრთო მცნებათა ერთგულია...

წყალობის მოყვარულები არიან და უხვად გასცემენ მოწყალე-

ბას; ისინი ასრულებენ წირვა-ლოცვას, პატივს სცემენ პატრიარქს და მღვდელმთავარს; განსაკუთრებით უყვართ შაბათობით მიცვალებულზე შესანდობარი ლოცვის თქმა. მიცვალებულებზე ისინი აუწერლად ბევრს ხარჯავენ... ისინი განსვენებულის სულის მოსახსენიებლად მთელ მის მიერ დატოვებულ ქონებას ხარჯავენ...

ქართველ ქალთა უმეტესობა მაღალი ზნეობის, ღვთისმოშიში და ჩინებული დიასახლისია. განსაკუთრებით ეს თავადის ქალებზე ითქმის. მათ ძალზე უყვართ მოწყალების გაცემა, წირვა-ლოცვის შესრულება, წმიდა წიგნების კითხვა და მათი გადაწერა.

ყველა ქართველ თავადის ქალს ხელთა აქვს კრიალოსანი. ისინი დღენიადაგ წმიდა, ძვირფასი ხატების წინ ლოცვად დგანან... ბევრი მათგანი გამოისყიდის ხოლმე ტყვეებს, გამოიხსნის მათ ფულით და თავისუფლებას ანიჭებს...

ქართველებს ძალზე უყვართ ზეთის კურთხევის წესი...

ბზობის კვირას ქართველებს მოაქვთ ხოლმე გამტკიცული ფქვილი, დებენ ქურქლით საწიგნეს შუაში და წესისამებრ ვნების კვირის ოთხი დღის განმავლობაში კითხულობენ... აცხობენ დიდ სეფისკვერს, რომელსაც მორწმუნენი მთელი წლისათვის იმარაგებენ...

ქართველთა სანაქებო თვისებებს ისიც მიეკუთვნება, რომ თავადები და მათი ცოლები, როცა კი დააპირებენ შეხვდნენ მღვდელმთავარს, ჯერ შორიდანვე ძირს დაემხოებიან, მერე წამოდგებიან, მოწიწებით ეახლებიან და ამბორს უყაფენ ხელზე, მერე ზურგ შეუქცევლად უკან-უკან იხევენ და მეორედ სცემენ თაყვანს. ასე იქცევიან ქართველთა მეფეებიც და დედოფლებიც.

კიდევ, ქართველი, თუ თავისზე უფროსს ელაპარაკება, მუხლზე ჩაჩოქილი დგას და ისე ლაპარაკობს ან უსმენს უფროსის სიტყვას...

ქართველთა სანაქებო თვისებათაგან ისიც არის, რომ როგორც კი ჩვენგან მოისმენდნენ საღმრთო საუბარს, კაციცა და ქალიც უმაღვე ყურად იღებდნენ და სულ იმისდა მიხედვით იქცეოდნენ, როგორც ჩვენ მათ ვეუბნებოდით.

ქართველების კარგ თვისებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ რომელიმე მათგანი შინ მიიპატიჟებს მღვდელმთავარს ან უცხო ძვირ-

ფას სტუმარს და სუფრას უშლის, იგი ფეხზე მდგარი ემსახურება მათ და კერძებს მიართმევს, თუნდაც მასპინძელი იყოს მეფე და კათალიკოსი...

ქართველები ფრიად განათლებული და კარგი მოუბარი ხალხია, თუმცა თავიანთ ქვეყანას არ ტოვებენ...

ქართველთა კეთილი თვისება ისიცაა, რომ მდიდრები და განსაკუთრებით მათი ცოლები, აგრეთვე მთავრები და მათი ცოლები ღვთისმოშიშნი არიან. მათ უყვართ წირვის გადახდა თავიანთი და მიცვალებულების სულთა სახსნელად“.⁹⁵

მაკარი სარგებლობდა ქართველთა დადებითი თვისებებით და იმდენი ადამიანი მონათლა (სხვა მღვდელმთავრებთან ერთად), რომ „მცირედის გარდა არავინ დარჩა ამ ქვეყანაში მოუნათლავი“.⁹⁶ ახალმონათლულებს წმინდანების სახელებს არქმევდნენ.

„ჩვენთან აფხაზებიც მოვიდნენ, — წერდა ანტიოქელი პატრიარქი, — რიცხვით ოცდახუთი კაცი. ჩვენ ისინი მოვნათლეთ. მათ ორი უხუცესი ახლდათ. ამათ გვითხრეს წავყალოდით მათ ქვეყანაში და აფხაზთა მთელი ტომი მოგვენათლა. მათ გაგონილი ჰქონდათ ჩვენი ჩამოსვლის ამბავი, როგორ ვუქადაგეთ ქართველებს, როგორ დავმოძღვრეთ. აფხაზებს გულით სწყუროდათ გამოჩენილიყო ვინმე, ვინც მონათლავდა მათ და ქრისტიანულ სჯულს ასწავლიდა. აფხაზები ხალხმრავალი ტომია. ამჟამად აბაზებად იწოდებიან. სულ ცოტა ხნის წინათ ისინი ყველანი ქრისტიანები იყვნენ. კათალიკოსის ტახტი, რომელიც ამჟამად იმერეთშია, წინათ მათთან იყო. დღემდე იქ არსებობს ანდრია მოციქულის ეკლესია, ვისი ხელითაც ეს აფხაზები მორწმუნენი გახდნენ. ეს ეკლესია ვეებერთელაა და დიდი პატივით სარგებლობს აფხაზთა შორის. მხოლოდ ზოგმა აფხაზმა თუ იცის პირჯვარის გადაწერა და მუხლმოყრა. ესაა და ეს. მათ არ გააჩნიათ მღვდელი და არც არავინ, ვინც მათზე იზრუნებს ან რაიმეს ასწავლის. მე ვუკუროთხე მათ მოქვის ახალი ეპისკოპოსი და ვუბრძანე მას წასულიყო აფხაზებთან, დაემოძღვრა ისინი და მოენათლა. ჩვენ ეს ეპისკოპოსი ზემონახსენებ აფხაზ უხუცესებს შევახვედრეთ“.⁹⁷

პატრიარქი საინტერესო ცნობას კი გვაწვდის, მაგრამ ამჯერა-

დაც შეცდომას უშვებდა და არ ითვალისწინებდა აფხაზეთში (გაგრა-სოხუმის მონაკვეთში) მომხდარ დემოგრაფიულ ცვლილებას; პავლე ალექსოელისაგან (საკუთარი შვილისაგან) განსხვავებით, არ იცოდა (ან შეგნებულად გვერდს უვლიდა საკითხის გარკვევას), თუ რამ განაპირობა საკათალიკოსო რეზიდენციის ბიჭვინთიდან (აფხაზეთიდან) იმერეთში გადატანა, ოდესღაც ვითომ ქრისტიანი აფხაზთა ტომის ხელახლა (უკვე მერამდენედ) მონათვლის აუცილებლობა. საექვოა, მაკართან მოსული აფხაზები აფსუაბაზები ყოფილიყვნენ (პატრიარქი კვლავ ადასტურებს, რომ აფხაზებს ამჟამად აბაზებს ეძახიან, აბაზები კი მასთან არ მოსულან). როგორც ჩანს, ისინი აფსუების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრები, მოძღვართა გარეშე (აფსუებმა გააძევეს) დაარჩენილი ქრისტიანი ქართველები იყვნენ.

მაკარის მიხედვითაც, სამეგრელოს ტერიტორია ჯერ კიდევ მოციავდა თანამედროვე გულრიფშის რაიონს (დრანდის ეპარქია); სამთავროს ექვსი ეპარქიდან სამი (ბედიის, მოქვისა და დრანდის) დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეა და აფხაზეთიდან აფსუების მიერ გამოძევებულ აფხაზეთის კათალიკოსს ექვემდებარებიან. ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაში მყოფი რეგიონებიდან (იმერეთი, სამეგრელო, გურია) მაკარი აფხაზეთს არ ასახელებდა, თუმცა აღნიშნავდა, რომ „ამ კათალიკოსის ტახტი წინათ თვით აფხაზეთში იყო. ეს არის დღემდე ცნობილი და ძალზე დიდი ეკლესია (ბიჭვინთის — ჯ.გ.), მაგრამ იქ ქრისტიანთა მცირე ჯგუფილა შემორჩა“.⁹⁸ ამჟერადაც მაკარი თავს არიდებდა აფხაზეთში მომხდარი სარწმუნოებრივი ცვლილებების მიზეზების დადგენას თუ მასზე საუბარს.

ანტოქელი პატრიარქი წერდა, რომ ქართველებს წმინდა გიორგის დიდი რწმენა აქვთ, ამიტომ ამ წმინდანის სახელს ურიცხვი ეკლესია ატარებდა. ამათგან სამში — ილორში, სუჯუნასა (ქყონდიდის ეპარქია) და ობუჯში (წალენჯიხის რაიონი), როგორც მაკარი აღნიშნავდა, სასწაულები ხდებოდა. იგი მოკლედ მოგვითხრობს ილორის წმ. გიორგის დღესასწაულის შესახებ, რომელიც ყოველი წლის შემოდგომაზე იმართებოდა. აი, რას წერდა მაკარი: „ილორის ტაძრის დღესასწაულს ოქტომბრის ათს (სხვა ავტორე-

ბის მიხედვით, ნოემბერში — ჯ. გ.) იხდიან, რაც ახლოა ილორის განახლების დღესასწაულთან, ამ თვეში რომ აღინიშნება. ესაა რკინის კარიანი ქვის დიდი ეკლესია. ამ დღეს აქ დიდი დღესასწაული იმართება. ამბობენ, რომ ქართველი მთავრები და თავადები სადამოს ჟამს მწუხრის ლოცვის შემდეგ ჩარაზავენ ხოლმე ამ ეკლესიის კარს და დალუქავენ. დილით კი მოდიან, ბეჭედს ხსნიან, შედიან და ეკლესიის შიგნით პოულობენ დაბმულ ხარს, შეხსნიან მას და გარეთ გამოიყვანენ. შემდეგ ამ ხარიანასამეჯერ უვლიან ლიტანიას ეკლესიას და ამ ხარით დაილოცებიან. ამ დროს მთელი ხალხი ერთხმად იძახის: „უფალო შეგვიწყალებ“. ამის შემდეგ ხარი მიჰყავთ მონასტრის გადაღმა, მსხვერპლად სწირავენ, ასო-ასო ქნიან და მთელ ხორცს საკურთხად ხალხს ურიგებენ. ხორცის ამ ნაწილს ან მაშინვე ჭამენ ან (თავიანთ) ავადმყოფებს უნახავენ (შეაჭმევენ მათ ან საკმეველივით უკმევენ, რათა ავადმყოფი განიკურნოს). ღმერთი ანიჭებს ყოველსა მისი რწმენის გვარობაზე!“⁹⁹

მაკარი აღწერდა აგრეთვე ყოველი წლის 23 აპრილს წმ. გიორგის დღესასწაულის სუჯუნასა და ობუჯში ჩატარების ცერემონიას. ამასთან დაკავშირებით ინტერეს მოკლებული არ იქნება ერთ მცირე დეტალზე ყურადღების გამახვილება. როცა 1640 წლის 23 აპრილს რუსმა ელჩებმა სუჯუნის დღესასწაულზე „წინასწარმეტყველის“ გამოსვლა მოისმინეს, თქვეს: „ми тому не веруем, ложь то есть, потому что после Рождества Христова пророки лживы“. იქვე მყოფ ჭყონდიდის ეპისკოპოს მიტროფანესაც არ მოეწონა „წინასწარმეტყველი“ და მისი გამოსვლა ეშმაკისეულ („творят дявольшину“) ქმედებად მიიჩნია.¹⁰⁰ განსხვავებული დამოკიდებულება გამოხატა მაკარმა ისეთივე „წინასწარმეტყველის“ მიმართ, რომელიც სუჯუნაში იხილა. პატრიარქი დაინტერესდა მისი პიროვნებით, შეხვდა და ესაუბრა, საიდანაც ასეთი დასკვნა გამოიტანა: „მე მჯეროდა მისი, იმდენად გულუბრყვილო იყო, რამეთუ „სასწაულნი ლეთისა მის წმინდათა წიალთა“ და კიდევ: „ღმერთი მალალიმც განიხარებს თავისი ქმნილებით“. ამ კაცის ყველა სიტყვა წარმოადგენს ჭადაგებას, რომ (აღამიანმა) კეთილი საქმე აკეთოს და მოინანიოს (ცოდვები). ამ ჭადაგებაში ცუდი არაფერი არ არის.“¹⁰¹

მაკარი მოუხიბლავს საქართველოში ნანახ სიძველეებსა და ღირსშესანიშნაობებს. „ქართველებთან ისეთი დიდებული სიძველენი და ღირსშესანიშნაობანი ვნახეთ, მთელ დუნიაზე არსად რომ არ გვინახავს, — წერდა იგი. — ჩვენ მათთან თაყვანსაცემი ლურსმნები ვიხილეთ, რომლებითაც მიქედნილ იქნა უფალი მესია, დიდი და პატარა ნატეხები თაყვანსაცემი ჯვარისა; ბევრი ხატი, რომელთაც შუაში გაკეთებული ჰქონდათ წმინდათა ნაწილებით ამოვსებული დიდი თუ პატარა უჯრედები. ხატებზე ამ წმინდათა სახელები ეწერა. ისინი იყვნენ მოვარაყბულ-მოსევადებულნი და (პატიოსანი) თელებით მოოქვილნი“.¹⁰² სხვა სიწმინდეები ბედიის, მოქვისა და დრანდის მონასტრებში ინახებოდა.

ჟან შარდენისა და მარი ჰამპის ცნობები სამეგრელო-აფხაზეთის შესახებ ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური და ვაჭარი ჟან შარდენი, რომელმაც საქართველოს გავლით სპარსეთში იმოგზაურა. ჯერ ის იყო ჩერქეზეთში, შემდეგ-აფხაზეთში, ხოლო 1672 წლის 10 სექტემბერს სამეგრელოში (სქურჩის ნავსადგურში) ჩამოვიდა. თავის წიგნში აღნიშნავდა, რომ ოდესღაც ქრისტიან ჩერქეზებს ამჟამად თვით პირველყოფილი სარწმუნოებაც კი არა აქვთ. „მე არაფრად ვთვლი ზოგიერთ ცრუმორწმუნოებრივ ჩვევას, რომლებიც მათ მეზობელი ქრისტიანებისა და მაჰმადიანებისაგან უნდა ჰქონდეთ გადმოღებული“,¹⁰³ — წერდა შარდენი. მისი სიტყვები, პირველ რიგში, აფსუა-აბაზებს ეხება. მათ მიერ თითქოს ოდესღაც მიღებული ქრისტიანობის „დავიწყებაზე“ (ვითომ თურქეთის ზეგავლენით და სხვა მიზეზებით) საუბარი იმ მოტივით, რომ იცავენ (თანაც ზედპირულად და დამახინჯებულად) ზოგიერთ ქრისტიანულ წესს, ღრმად მცდარი აზრია. მათში ზოგიერთი მუსულმანური წესიც არსებობდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა „ოდესღაც“ მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე აფსუების მოქცევას და შემდგომში (ქართველების ზეგავლენით) მის დავიწყებას. ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტები აფსუა-აბაზებმა ქართველებისაგან (რომლის ტერიტორია დაიპყრეს) და თურქებისაგან (რომლის დახმარებითაც სამეგრელოს ნაწილი დაიპყრეს) შეითვისეს. ან ერთ ან მეორე რჯულზე მათი მოქ-

ცევა არასოდეს მომხდარა. ამიტომაც ისინი, როგორც არაერთ-ხელ თქმულა, არც ქრისტიანები არიან და არც მუსულმანები — სარწმუნოება არ გააჩნიათ. მოსაზრებაც ჩერქეზთა ოდინდელი გაქრისტიანების შესახებ ასევე საკამათოა.

როგორც უკვე ითქვა, ეს შარდენი სამეგრელოს ნავსადგურში — სქურჩაში (ისგაური) შემოვიდა. მოგზაურის ცნობით, ეს იყო უკაცრიელი ადგილი, სადაც ვაჭართა ჩამოსვლისას წყნელისაგან გაკეთებულ ფაცხებს დგამდნენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ აფხაზთა თავდასხმა არ იყო მოსალოდნელი; 60 მილის სიგრძის კელასურის კედელი, რომელიც აფხაზთა თავდვლასხმების მოსაგერიებლად იყო აშენებული, იმ დროისათვის დანგრეული ყოფილა.

ეს შარდენის ცნობები განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებენ. იგი თავად აღნიშნავდა, რომ სამეგრელოსა და მოსაზღვრე ადგილების აღწერისას მოვერიდებით “ყოველგვარ საეჭვოს, რაშიც კარგად გათვითცნობიერებული არავარ”.¹⁰⁴ ალბათ, საესებით გათვითცნობიერებული იყო შარდენი, როცა წერდა: „კოლხთა სამეფოს ასეთი მცირე ტერიტორია (იგულისხმება სამეგრელოს ტერიტორია — ჯ.გ.) როდი ეჭირა, როგორც დღეს. იგი, ერთი მხრივ განვრცობილი იყო მეოტიდის (აზოვის — ჯ.გ.) ქაობამდე, მეორე მხრივ კი — იბერიამდე”.¹⁰⁵ მოგზაური მოხიბლულია ადგილობრივი მოსახლეობით. „მეგრელები ძალიან კარგი ზღვის ხელოვნების კარგი აღნაგობისა არიან, ქალები კი ძალიან ლამაზები... აქვთ ქეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება. არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი.“¹⁰⁶ ყოველივე ამის შემდეგ, გაუგებარია როგორ იყვნენ ისინი ერთდროულად „ქედმაღალნი, ბოროტნი, დაუნდობელნი“ და ა.შ. შესაძლოა, ეს შარდენი გულისხმობდა ბატონების მიერ დაბალი ფენების სასტიკ ჩაგვრას, ადამიანებით ვაჭრობას. მოგზაურის ცნობით, სამეგრელოდან ყოველწლიურად 12 ათასი ქალ-ვაჟი გაჰყავდათ გასაყიდად.

ეს შარდენი სარწმუნოებრივ საკითხებსაც ეხება. მან იცის, რომ კოლხებს ძველ დროში იგივე სარწმუნოება ჰქონდათ, რაც ბერძნებს. მან იცის ეკლესიის ისტორიკოსთა ცნობები წმ. ნინოს შესახებ, ხოლო მეგრელთაგან გაუგია, რომ ზღვის ნაპირას მდინარე

კორაქსთან „ახლოს ერთ ადგილზე, რომელსაც ბიჭვინთა ჰქვია და სადაც დიდი სამნავიანი ეკლესია დგას, წმ.ანდრია ქადაგებდაო. ეკლესია მე შორიდან ვნახე. იგი, რამდენადაც ამის შესახებ ერთი მილის სიშორიდან შეიძლება ვიმსჯელოთ, ძველი ნაგებობა უნდა იყოს. იქ კათალიკოსი წელიწადში ერთხელ ჩადის ზეთის დასამზადებლად, რასაც ბერძნები მირონს უწოდებენ“.¹⁰⁷ ქ. შარდენი აღიარებდა, რომ ადგილობრივი ენების (ქართულ-მეგრულის) არცოდნის გამო სარწმუნოებრივ საკითხებში ბოლომდე ვერ გაერკვა, ამიტომ თავის წიგნში ჩართო სამეგრელოში მოღვაწე იტალიელი მისიონერის, თეათინელების პრეფექტის დონ იოსებ მარი ძამპის ნაშრომი, რომელიც მან თავად გადასცა ფრანგ მოგზაურს. ძამპი 23 წლის განმავლობაში სამეგრელოში იმყოფებოდა. რეზიდენცია კასტელისა და ლამბერტის რუქებიდან კარგად ნაცნობ წიფურიაში (თაგილონში) ანუ თანამედროვე აფხაზეთში ჰქონდა. ძირითადად იქ აქვს მიღებული თავისი შთაბეჭდილებებიც; ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი ვრცლად წარმოდგენა.

თავისი ნაშრომის დასაწყისში ძამპი კოლხთა (მეგრელთა, აფხაზთა და ა. შ.) მოქცევის ისტორიას მიმოიხილავს და აცხადებს, რომ ისინი ანდრია პირველწოდებულმა მონათლა, რაზეც მისი აზრით, ბიჭვინთაში მოციქულის სახელზე აგებული სამნავიანი ეკლესიაც მეტყველებს. „ეს ეკლესია მთელი კოლხიდის მეტროპოლიას წარმოადგენს, სადაც სიცოცხლეში ერთხელ, თითოეული კათალიკოსი ან პატრიარქი ჩამოდის ყველა ეპისკოპოსის თანხლებით წმინდა ზეთის დასამზადებლად... აქ ჩამოდის მთავარიც მთელი თავისი კარით. თავდაპირველად ამ ეკლესიას ბიჭვინტის წმ. მარიაშის სახელი ერქვა, მაგრამ ხალხის თაყვანისცემამ წმ.ანდრიასადმი, რომელმაც, მათი აზრით, ეს ეკლესია ალაშენა, დასძლია და ეკლესიაც მის სახელზე აკურთხეს“.¹⁰⁸ მოტანილ ცნობაში სიახლეს წარმოადგენს ინფორმაცია მთავრისა და მთელი მისი კარის პერიოდულად ბიჭვინთაში ჩასვლის შესახებ. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, აქ იგულისხმება სამეგრელოს მთავარი.

ძამპის ნაშრომის მეორე თავი ადგილობრივი სამღვდელოების მეთაურს — კათალიკოსს ეძღვნება. პირველ რიგში აღნიშნავს, რომ

დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავარს იმერეთის მეფე ნიშნავდა; კონსტანტინოპოლისა და ალექსანდრიის პატრიარქებს კი არაფერს ეკითხებიან, რისი დასტურიც არის გენათელი ეპისკოპოსის აფხაზეთის კათალიკოსად დანიშვნა (იგულისხმება ზაქარია ქვარიანი). მისი ძალაუფლება მთელს დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთის ჩათვლით) ვრცელდება; „სამიტროპოლიტო საყდარი არის ბიჭვინტაში, აფხაზეთის ახლოს“,¹⁰⁹ — წერდა ძამპი. როგორც ვხედავთ, ძამპი ბიჭვინტას აფხაზეთის ტერიტორიად არ მიიჩნევდა; ის აფხაზეთთან ახლოს მდებარეობდა და არა აფხაზეთში. 23 წლის განმავლობაში კოლხეთში მოღვაწე მისიონერმა იცოდა, რომ ბიჭვინტა სამეგრელოს ეკუთვნოდა და ეკუთვნის.

ძამპი კათალიკოსთა დახასიათებისას ლამბერტივით მკაცრია; აღნიშნავდა, რომ ისინი გაუნათლებელნი, ხარბები და მეჭრთამეები არიან, ნაკლებად ზრუნავენ სარწმუნოებრივ საკითხებზე და ა.შ. ამგვარი შეფასება ტენდენციურად გვეჩვენება თუნდაც იმიტომ, რომ ძამპი თავად საუბრობდა კათალიკოსთა სიწმინდეზე, რისთვისაც ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. „კათალიკოსის სიწმინდე, რასაც ხალხი ესოდენ აფასებს, — წერდა ძამპი, — მდგომარეობს იმაში, რომ მან მუდმივ უნდა ილოცოს არა მარტო დღისით, არამედ, მეტწილად, ღამით. რამდენადაც კათალიკოსი გამუდმებით ეკლესიაში უნდა იყოს, მან მთელი ღამის განმავლობაში უნდა ილოცოს, მას თავჯანს სცემენ აგრეთვე საჭმელსასმელისაგან თავშეკავებისთვისაც; მარხვის დროს იგი ღვინოს სრულიად არ სვამს. როდესაც ბერი კათალიკოსი ზდება, იგი ახალ ცხოვრებას იწყებს — დღე და ღამეს ეკლესიაში ატარებს; მარხვის დროს და განსაკუთრებით ვნების კვირაში, თავს იკავებს ჩვეულებრივი საჭმელებისა და ღვინისაგან“.¹¹⁰

ძამპი კიდევ უფრო მკაცრი და ასევე არასამართლიანი ეპისკოპოსების მიმართ (თავი III). როცა მისიონერი კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებს გაუნათლებლებს, უმეცრებს უწოდებდა, ალბათ, მართლმადიდებლური (და არა კათოლიკური) სარწმუნოებისადმი ქართველ მღვდელმთავართა ერთგულებას გულისხმობდა. „უმეცარი“ ეპისკოპოსებიც მრევლში ავტორიტეტით სარგებლობდნენ,

თუმცა მისიონერი მათაც მექრთამეობაში აღანაშაულებდა.

სრულიად განსხვავებულ შეფასებას აძლევდა ძამპი კათალიკოს-სა და ეპისკოპოსებს 1655 წელს რომში გაგზავნილ წერილში (მას ხელს აწერდა აგრეთვე პრეფექტო პატრი ანდრია ბორომე და ივანე მონთი), სადაც ვკითხულობთ: „რაკი მთავარი ნდობითა და სიყვარულით გვეპყრობა, მისნი ქვეშევრდომნიც ამავე გრძნობას გვიცხადებენ. პატრიარქი, აქ კათალიკოსად წოდებული, მუდამ დიდს სიყვარულს გვიცხადებს, ხშირად სახლში გვიგზავნის დიდს მოწყალებას და როდესაც შემთხვევა მოგვეცემა მისის ნახვისა, მუდამ დიდი პატივით გვეპყრობა. კათალიკოსის შემდგომ ყველა სხვა დანარჩენი ეპისკოპოსებიც სიყვარულით გვეპყრობიან“.¹¹¹

შემდგომში ასე მკვეთრად რატომ შეიცვალა შეფასებები? საქმე იმაშია, რომ მართლმადიდებელი კათალიკოსები და ეპისკოპოსები პატრებთან ურთიერთობაში „სიყვარულით მოპყრობის“ იქით არ მიდიოდნენ — კათოლიკურ სარწმუნოებაზე არ გადადიოდნენ. მისიონერებს უხდებოდათ თავის მართლება უფროსების წინაშე რომში და ახსნა იმისა, ათწლეულების მანძილზე რატომ ვერ ხერხდებოდა მათდამი ძალიან კეთილად განწყობილი (როგორც თავად იწერებოდნენ სამეგრელოდან პირველ ეტაპზე) ხალხის მოქცევა კათოლიკობაზე. ამის „ახსნას“ ძამპი (და სხვებიც) შეეცადა არა ქართული სამღვდლოების მართლმადიდებლობისადმი ერთგულებაზე საუბრით, არამედ მათი აშკარად გადაჭარბებული კრიტიკითა და ლანძღვა-გინებით. კათოლიკობის მიღების შემთხვევაში ქართველი კათალიკოსები და ეპისკოპოსები სულ სხვა შეფასებას მიიღებდნენ.

თავის ნაშრომში ძამპი საუბრობდა წინამძღვრების შესახებაც. მათსაკუთარი ეკლესიები ჰქონიათ, მდიდრები ყოფილან და „ცხოვრობენ როგორც ეპისკოპოსები“.¹¹² სამეგრელოში ყოფილან აგრეთვე ათონის მთიდან იერუსალიმისათვის შემოწირულობის შესაგროვებლად ჩამოსული და აქ დაჩინილი ბერები, რომლებსაც მთავარი მფარველობდა და ეკლესიებს აძლევდა. ზოგიერთი მათგანი თავშესაფარს ნიკიფორე ირბახის სახლში პოულობდა. ძამპი უაღრესად დადებით შეფასებას აძლევდა მას (აღბათ იმიტომაც,

რომ კათოლიკე იყო). როგორც იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის ყოფილ იღუმენს, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს, ჯვრის მამას ეძახიან, აქვს არქიმანდრიტის ანუ წინამძღვრის ხარისხი, ხალხი დიდ პატივს სცემს; როგორც დიპლომატს, ელჩს, 1626-1629 წლებში მოვლილი აქვს რუსეთი და მთელი ევროპა, იცის ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური ენები. 1627 წელს კათოლიკური სარწმუნოება პაპ ურბან მერვესაგან (1623-1644 წწ.) მიუღია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში მოღვაწეობდა კიდევ ერთი ნიკოლოზ-ნიკიფორე (ასევე „ჯვარის მამად“ წოდებული), მაგრამ ის იყო ბერძენი ბერი, რომელიც იერუსალიმის პატრიარქივით მსურველებს კურთხევას აძლევდა, რაც მათ წარსული და მომავალში ჩადენილი ცოდვებისაგან ათავისუფლებდა. ამ გზით იგი ფულს აგროვებდა და იერუსალიმში გზავნიდა.¹¹³

ძამპი მონაზონების რამდენიმე სახეობას ასახელებს: ქალწულნი, რომლებიც არ თხოვდებიან; მხევალნი, რომლებიც შემონაზონდებიან თავიანთ დაქვრივებულ ქალბატონებთან ერთად; ქვრივები, რომლებსაც არ სურთ კვლავ გათხოვება; ქალები, რომლებსაც მოყირქდათ ეს ცხოვრება; ღარიბები, რომლებიც ეკლესიაში მოწყალებას თხოულობენ. მონაზვნებს ძაძები ეცვათ, ეხურათ შავი თავსაფარი, ხორცს არ ჭამდნენ; სამუდამოდ მონაზვნად დარჩენის აღთქმას არ დებდნენ და ნებისმიერ დროს შეეძლოთ მონასტრის დატოვება.¹¹⁴

ძამპის ცნობით, ყველაზე მრავალრიცხოვანი და ამავე დროს ღარიბები ყოფილან მღვდლები ანუ პაპები. ისინი გლეხებივით მუშაობდნენ როგორც საკუთარ, ისე მემამულეთა მიწაზე, ამიტომ მრევლისაგან დაფასება მხოლოდ წირვის დროს ჰქონიათ. ავადმყოფებიც სამკურნალოდ მარტო მღვდელს მიმართავენ. მთელი მკურნალობა კი „გამწყრალი ხატისადმი“ შესაწირავის გაღებაში გამოიხატებოდა. ალბათ, ამითაც აიხსნებოდა ხატების განსაკუთრებული კულტი სამეგრელოში, რის შესახებაც წერდა ძამპი. ე.წ. მრისხანე ხატთაგან ცნობილი იყო ილორის წმ.გიორგის ხატი. მას თაყვანს სცემდნენ ქართველები, აფხაზები და სხვა ხალხებიც. მისი-

ონერი იმასაც აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ხატებს მეგრელები არ ეთაყვანებიან და არავითარ პატივს არ სცემენ“, ¹¹⁵ ვინაიდან არ იყვნენ „ძლიერნი“. ხატისადმი შიშისა და თაყვანისცემის მაგალითი მოპყვდა შარდენსაც. „ერთხელ ჩვენს გემზე მოვიდა მაღალი წოდების აფხაზი, შვიდი თუ რვა კაციანი ამალით, — წერდა იგი. — მას სამიტყვე მოპყვდა. ამაღას კი მოჰქონდა ნადავლი; მრავალნაირ საქონელს შორის იყო ხატის ვერცხლის ჩარჩო. ჩვენს შეკითხვაზე, სად იყო თვით ხატი, მათ გვიპასუხეს, რომ ხატი ეკლესიაში დატოვეს, ვერ გაბედეს მისი წამოღება, რადგან შეეშინდათ, ხატს არ დაეხოცა ისინი“ ¹¹⁶.

თავისი ნაშრომის VII თავში ძამპი საუბრობდა „ნიეთიერ საყდრებზე“ — ეკლესიებზე (სამღვდელოებას კი „სულთერ საყდრებს“ უწოდებდა); ასახელებდა ოთხი ტიპის ეკლესიას. პირველი იყო პატარა ეკლესიები, სამლოცველოები, რომლებიც თითქმის ყველა მეგრელს ჰქონდა და „საჯვარეს“ ანუ გოლგოთას უწოდებდნენ; მეორე — მთავრების კარის ეკლესიები, რომელთაც ასევე საჯვარე ერქვათ; მესამე — სამრევლო ეკლესიები; მეოთხე — კათედრალური. ძამპი გამოყოფდა ეკლესიათა კიდევ ერთ — მეხუთე კატეგორიას, ეს იყო „მარანი ანუ სარდაფი, სადაც პაპები სალოცავად ჩადიან, რომ უფრო აღიგზნონ უფლისადმი სიყვარული“ ¹¹⁷.

ყველა ეკლესია, — წერდა ძამპი, — დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ, როგორც ისრაელ-იუდეველთა მეფის სოლომონის (დაახლ. ძვ.წ. 960-936 წწ.) მიერ კულტის ცენტრალიზაციის მიზნით იერუსალიმში აგებული ტაძარი; ყველა მათგანს ჰქონია წმინდა ადგილი, ტრაპეზი მრგვალი საკუროთხევლით, სადაც წირვალოცვა სრულდებოდა; „ხატებს შორის, — აღნიშნავდა მისიონერი, — არის ბერძნული ყიდის ღვთისმშობელი, ასეთივე მამა ღვთისა, ჯვარცმა, ბერძენ და სხვა წმინდა მამათა მრავალრიცხოვანი ხატები. ყველა ხატს ჩამოფარებული აქვს აბრეშუმის ფარდა. ამ ხატებს შორის წმ.გიორგის ხატი ყველაზე მეტად სათაყვანოა. მის წინ ჯოველთვის მრავლად არიან ანთებული სანთლები“ ¹¹⁸.

ეკლესიები უმეტესად ქვისაგან იყო ნაშენები, ზოგჯერ კი ხისაგან. კათედრალებს (საეპისკოპოსო ეკლესიებს) შორის, ძამპის აზ-

რით, ყველაზე ლამაზი იყო მოქვის ეკლესია. ამ ტიპის ეკლესიების აღწერისას, მისიონერი აღნიშნავდა, რომ ისინი ნაშენია მარმარილოს მსგავსი თეთრი, რბილი, მაგრამ სხვადასხვანაირად ნათალი ქვებით; იმავენაირად აგებული კარიბჭეები მხატვრობითა და მრავალრიცხოვანი ქართული წარწერებით ყოფილა შემკული; სამრევლო ეკლესიებისაგან განსხვავებით, გამოირჩეოდნენ სისუფთავით. კედლები იესო ქრისტეს ცხოვრების ამსახველი ფრესკებით ყოფილა მოხატული. „ამ ეკლესიათაგან ზოგიერთი ძალიან ძველია, — წერდა ძამპი, — რაც კარგად ჩანს ქვის წყობაზე და კედლების დიდი სისქიდან. დღეს უკვე აღარ აგებენ ეკლესიებს არც ასეთი ლამაზი არქიტექტურული სახისას და არც ქვისას. აგებენ უბრალო ხის ეკლესიებს.“¹¹⁹ მიზეზი ყოველივე ამისა იყო არა იმდენად სამშენებლო ქვის უკმარისობა და საუკეთესო ჯიშის ხე-ტყის სიუხვე, როგორც მ.მგალობლიშვილი მიიჩნევს, არამედ მთიელთა შემოსევებით, შინაომებითა და თურქეთის ბატონობით გამოწვეული ეკონომიკურ-კულტურული დაქვეითება.

მრევლის მოსახმობად ეკლესიებში იყვნენდნენ ზარებს, ან ე.წ. წმინდა ძელს, უფრო ხშირად — ორივეს ერთად. არსებული ტრადიციით, პირველად წმ.ძელს (სიგანით ერთი მტკაველი და სიგრძით — ხუთი) შემოჰკრავდნენ, შემდეგ ზარი რეკავდა. ადგილობრივმა სასულიერო პირებმა ძამპის აუხსნეს, რომ „ეს არის პირველი ქრისტიანების წესი და რომ ამ ძელის ხმა მოგვაგონებს ხის ჯვარსო. მის ხმის გაგონებაზე ყველა პირგვარს ისახავს და ღმერთს აღიდებს. რადგანაც ძელის ხმა სუსტია, ამიტომ ზარს რეკავენ, რათა აცნობონ ყველას, რომ ზარს წმ.ძელის ხმა წინ უძღოდაო“. მისიონერს ასევე აუხსნეს, რომ „ეს წმ.ძელი აღნიშნავს ჩვენი პირველი წინაპრების, ადამისა და ევას ცოდვას და რომ მორწმუნენი, გაიგონებენ თუ არა მის ხმას, ამ ცოდვას ინანიებენ და ღმერთს შესთხოვენ პატიებასო, ისევე როგორც ზარის ხმა აგონებს მათ ღვთის მოწყალებას ადამიანის მიმართ, რაც გამოიხატა უფლის გარდასახვით ან ანგელოზის მიერ ქალწული მარიამისათვის ხარებით“.¹²⁰

ძამპის ნაშრომის X თავი წმინდა რელიქვიებს ეხება; ისინი ჩამოტანილია „იმ დროს, როცა აქ ქრისტიანობა ყვალდა და ადგილობ-

რივე მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიქვიას უგზავნიდნენ საჩუქრად, — ამბობს მისიონერი, — შემდეგ ეს რელიქვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან, რომლებიც ცდილობდნენ ეს ხალხი ღვთისმოსაობაში განემტკიცებინათ. დაბოლოს, რელიქვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაკპადიანთა ტირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადაიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში“.¹²¹ სწორედ მაშინ ჩამოუტანიათ ნაქერი ძელი ქემშარიტისა, იესო ქრისტეს წვერის ღერები, ბაწარი, რომლითაც იგი გათოკეს, სახვევი, რომელშიც მას ბავშვობაში ღვთისმშობელი ახვევდა (ეს სიწმინდეები ბედიაში ინახებოდა), ღვთისმშობლის კვართი (ხოვში ინახებოდა) და ა. შ.

ეკლესიებში ბევრი ლიტურგიული წიგნი ინახებოდა; „წიგნები დიდი ფორმატისაა და მსხვილი ასოებით არის დაწერილი ქართულ ენაზე, — აღნიშნავს ძამპი. — ეპისკოპოსები განაახლებენ ხოლმე თითოეულ მათგანს გადაწერით სიცოცხლეში ერთხელ“.¹²² ეს ცნობა ეწინააღმდეგება მისიონერის განცხადებებს ქართველი სასულიერო პირების უწიგნურობის თაობაზე.

ღვთისმსახურება და წირვა-ლოცვა სამეგრელოში ძველ ქართულ ენაზე სრულდებოდა. ამასთანავე ძამპი სამღვდლოებას საღმრთო წერილის უცოდინრობაში ადანაშაულებდა, რის გამო ხალხიც და სასულიერო პირებიც, მისიონერის აზრით, „დიდ ცდომილებაში“ ვარდებოდნენ.¹²³ „ცდომილებაში“ ძამპი, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლობას გულისხმობდა. მას არ მოსწონდა აგრეთვე მართლმადიდებლურად („ბერძნების მსგავსად“) პირჯვარის გამოსახვა.¹²⁴

ძამპის ნაშრომის XXII თავში მიმოხილულია ქრისტიანული დღესასწაულები. უქმობდნენ და წირვის მოსასმენად დადიოდნენ ისეთ დღეებში, როგორებიცაა შობა, ახალი წლის პირველი დღე (კალანდა), ხარება, ბზობის კვირა, უძღვები შვილის კვირეულის ხუთშაბათი (კაპონობა), ორმოც მოწამეთა დღე (10 მარტი), აღდგომა, ახალკვირა, წმ. ელია წინასწარმეტყველის დღე (30 ივლისი)

და ა.შ. ნახევრად უქმობდნენ (წირვის დაწყებამდე მუშაობდნენ) წყალკურთხევის, პეტრობა-მირსობის, მარიამობის, დიდი მარხვის (პირველ დღეს), ჯვრის ამალლებისა და სხვა დღეებში, გარდა ამისა, აღნიშნავდნენ თავისკვეთას (11 სექტემბერი) — იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს, ფერისცვალებას, გიორგობას, წიფურიაში (თაგილონში) ბაზრობის დღეს (14 სექტემბერი), ყოველი თვისა და წლის პირველ ორშაბათს და ა.შ.¹²⁵

არსებობს ძამპის მიერ რომში არაუგვიანეს 1674 წლისა გაგზავნილი წერილი, სადაც იგი აფხაზთა შემოსევების გამო სამეგრელოში შექმნილ ვითარებას აღწერდა. „სამეგრელო, სამეგრელო აღარ არის, — წერდა მისიონერი, — რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია. თვით ხომალდები, რომლებიც სავაჭროდ მოდიოდნენ კავროს და მორბილაში, ახლა შიშის გამო ანარგიაში მიდიან. აგრეთვე ხმელეთზედ, ვიდრე ოლასყურამდე აბხაზებისა ეშინიათ, რადგან იჭაურობას ხშირად იკლებენ, რის გამო არკამაში ჩვენი ხალხი დამით ტყეშია გახიზნული და დღისით დარაჯები ჰყავთ დაყნებულნი. ისე დაშინებულნი არიან, რომ ჩრდილიც კი აფრთხობს და გაქცევას აწყობინებს. ოჰ, რაოდენ ვსტირი ჩემს უბედურებას! წმიდა კრებამ რა მომანდო ეს მისიონი, დიდი ნაყოფის გამოღების იმედი მქონდა, მაგრამ ომებმა უსარგებლო გამხადეს. რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდის გამოგზავნას ვაპირებდი პროპაგანდის კოლეგიაში, მაგრამ დაუსრულებელმა ომებმა, ურთიერთშორის უთანხმოებამ და კაცის მკვლელობამ ნება არ მომცა ყველა ჩემი კეთილი სურვილი ამესრულებინა“. 1679 წელს რომში კარდინალებისათვის წარდგენილ მოხსენებაში კი ძამპი ამბობდა: „ჩვენი მოციქულებრივი მოღვაწეობა დღითიდღე მომეტებულს ნაყოფს გამოიღებდა, რომ ამ მთავრის მტრები და სამეგრელოს მოსაზღვრე ხალხი, როგორც არიან ალანები, ჩერქეზები, ჯიჭები, აფხაზები და სხვა ამ ქვეყანას მუდამ არ იკლებდნენ“.¹²⁶

წერილებიდან აშკარად ჩანს, რომ აფსუა-აფხაზები ძირითადად თავს ესხმოდნენ თანამედროვე გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის

რაიონებში მდებარე ქართულ დასახლებულ პუნქტებს; მისიონერები კი აკარმარის ტყეებში (არკამაში) იმალებოდნენ.

სამეგრელოში ქაშპის მოღვაწეობის ბოლო წლებში გრძელდებოდა აფხაზების (აფსუების) ექსპანსია, ბრძოლა ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიების (სადაც უპირატესად მისიონერები მოღვაწეობდნენ) დაპყრობისათვის. იმ პერიოდში „ჩრდილოსა და აფხაზეთის“ კათალიკოსის ტახტი დავით ნემსაძეს (1673-1696 წწ.) ეჭირათ ბაგრატ IV-ს, „ნება დართულობითა“ და ლევან III დადიანის თანხმობით. კათალიკოსმა დავითმა აღადგინა აფხაზეთის კათალიკოსის უფლებები ოდიშის სამთავროში; ლევან III-ს დაადებინა პირობა, რომ იგი კათალიკოსის ნებართვის გარეშე საეკლესიო საქმეებში არ ჩაერეოდა; მთავარმა ბიჭვინთის ღვთისმშობელს დაუბრუნა თავისი საკუთრება — ხობი, ხოლო კათალიკოსებს სადგომად და სასაფლაოდ შესწირა ხობის ღვთისმშობლის ეკლესია ორი სასახლით. ამიერიდან, სამეგრელოში ყოფნისას, აფხაზეთის კათალიკოსებს ღვთისმსახურება ხობის ეკლესიაში უნდაჩაეტარებინათ. დავით ნემსაძემ ბიჭვინთის ღვთისმშობელს შესწირა ყმა-მამულები ოდიშსა და იმერეთში.¹²⁷

ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოს ანექსია და მართლმადიდებლობის განადგურება

დავითის კათალიკოსობის წლებში დასრულდა აფხაზების (აფსუების) მიერ სამეგრელოს მიწების დიდი ნაწილის მიტაცება, რასაც ძირეული

პოლიტიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სარწმუნოებრივი ცვლილებები მოჰყვა. მთავარი მიზეზი ყოველივე ამისა (გარეშე ფაქტორებთან ერთად) XVII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში დაწყებული და 60-იანი წლებიდან კიდევ უფრო გამწვავებული შიდაომები გახლდათ.

70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში აფხაზებმა დაიპყრეს სამეგრელოს ტერიტორია მდ.ენგურამდე. მათ ისარგებლეს ლევან მესამის გარდაცვალების შემდეგ (1681 წ.) სამეგრელოს ტახტისათვის გაჩაღებული ბრძოლით და საუსტან შერვა-

შიძის ვაჟის — სორეხის კანდიდატურა წამოაყენეს. სორეხ შერვაშიძე 80-იანი წლებიდან სამეგრელოს მთავრის ტიტულით მართავდა ტერიტორიას ენგურიდან კელასურამდე. 1683 წელს სამეგრელოს (თანამედროვე საზღვრებში) მთავარი გახდა ლევან მესამის უკანონო შვილი ლევან IV (1683-1691 წწ.), თუმცა რეალური ძალაუფლება ხელთ ეპყრა გიორგი ლიპარტიანს — სამეგრელოს ფაქტობრივი მმართველის, 1681 წ. გარდაცვლილი კაცია ჩიქვანის ვაჟს.

სორეხ შერვაშიძის მოღვაწეობის, სამეგრელოდან ძამპის გამგზავრების (1679 წ.) შემდეგ ჩამოსული თეათინელი მისიონერებისადმი (ონორათ დრაგო, გაეთანო ტურქო, ფრანჩისკე ბეცი და ა.შ.), ზოგადად ეკლესიისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ მ.თამარაშვილი წერდა: „ლევან დადიანის სიკვდილის შემდგომ აფხაზების მთავრის სუსტარ სარაზიას შვილი სარეკ სარაზია გამოცხადდა მთავრად, რადგან იმას დაეპყრო აქაურობა. იმან რა დაიწყო მმართველობა, მაშინვე ყურადღება მიაქცია პატრებს. რამდენი პატრიც კი იპოვებოდა იქ იმ დროს, ყველა გაგზავნა ლარიკუჯაში მახარებელ ლატარია მღვდელთან, რათა იმდენი შეწუხების შემდეგ იქ დაესვენებინათ. იმ დროის განმავლობაში თავისი ხარჯით პატრებს აუშენა სახლი და შეუყვთა ეკლესია. რაც კი შეიძლებოდა, მათი ეკლესიითგან გაძარცული შესამოსები და ნივთები შემოჰკრიფა; ხოლო რაც ვერ იპოვეს, მაგიერ თავის გულუხვობით შეუფსო დანაკლისი, ასე რომ უწინდელებრ მისიონი ფეხზე დააყენა. ამნაირად ლევან დადიანის არ იყოს, ეს მთავარიც მისიონერების დიდი მოყვარე, მათი კეთილისმყოფელი და მათი მფარველი შეიქმნა“.¹²⁸

იმ პერიოდში ბერძენი (მართლმადიდებელი) მღვდელმონაზონების მეცადინეობით, როგორც მ.თამარაშვილი აღნიშნავდა, სორეხ შერვაშიძეს გული აუცრუებია თეათინელ მისიონერებზე, მაგრამ ვითარება სულ მალე კვლავ მისიონერთა სასარგებლოდ შეცვლილა. ბერძენებს (მართლმადიდებლებს) სორეხის ბიძაშვილის ყაფო სარაზიას (ყვაპუ შერვაშიძის) კუთვნილი წმინდა სტეფანეს ძვირფასი თვლებით შემკული, ერთი ადლის სიმაღლის (75 სმ.) ვერცხლის ძეგლი მოუპარავთ. ამის გამო ყვაპუმ ასზე მეტი მართლმადიდებელი (ბერძენი) მღვდელი მოაკვლევინა, დანარჩენებ-

მათურმე თავს გაქცევით უშველეს; მათი მცირე ნაწილი პატრებმა შეიფარეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ყვავუს ბრძანება გაუცია, ნებართვის გარეშე ბერძნის მღვდელმა (ე. ი. მართლმადიდებელმა) ჩემ სამთავროში დგომა არ გაბედოსო. ამ ფაქტის შემდეგ მისიონერებისადმი დამოკიდებულება შეცვლილა. სორეხი მათ პატიოსნებაში დარწმუნებულა, „მეტადრე როდესაც შეიტყო, რომ თავიანთი მოსისხლე ბერძნებისათვის სიკეთე ექმნათ და სიკვდილისაგან გადაერჩინათ. ამის გამო უფრო შეუყვარდა იგინი და დაუწყაო მათ პატივისცემა უწინდელზედ უფრო ერთგულად; შეიქმნა მათი მორწმუნე იმ ზომამდე, რომ ყოველდღე დაიარებოდა მათ წირვაზედ და თვითვე ეხმარებოდა წირვის დროს, რაც იშვიათი მაგალითია თვით დასავლეთის მთავრებში.“¹²⁹

ყვავუ შერვაშიძის მიერ დახოცილი სასულიერო პირები („ბერძნები“), უეპველად ქართველი მართლმადიდებლები იყვნენ. მათი ფიზიკური განადგურების ნამდვილი მიზეზი, ალბათ, ახლადმოვლენილი მმართველებისადმი (შერვაშიძეებისადმი) დაუმორჩილებლობა და დადიანებისადმი მხარდაქერა იქნებოდა. შერვაშიძეებმა მიტაცებულ ტერიტორიაზე დადიანების მთავარი დასაყრდენი — სამღვდლოება, აგრეთვე თავადაზნაურობა გაანადგურეს.

ასზე მეტი მართლმადიდებელი ქართველი მღვდელის ფიზიკური განადგურების ბარბაროსული აქტით, მართლმადიდებელი სასულიერო პირებისათვის შერვაშიძეთა სამფლობელოში მთავრის ნებართვის გარეშე ყოფნის აკრძალვით ქართულმა ეკლესიამ ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება ჩრდილო-დასავლეთსამეგრელოში — აწინდელ აფხაზეთში; დაცარიელდა და გავერანდა ეკლესია-მონასტრები. იქ კიდევ მცირე ხნით დარჩნენ მხოლოდ კათოლიკე მისიონერები, რომლებზეც შერვაშიძეები გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ.

როგორც ზემოთ ითქვა, სორეხ შერვაშიძე სამეგრელოს მთავრის ტიტულს ატარებდა; მას არც უცდია დაკავებული ტერიტორიის აფხაზეთისათვის შეერთება. უფრო მეტიც, სორეხს წინააღმდეგობები ჰქონდა აფხაზებთან, რაც გახდა მიზეზი 1685 წლის 10 აპრილს აფხაზეთის მთავრის მიერ სამეგრელოში (სორეხის სამფ-

ლობელოში) მოწყობილი ლაშქრობისა და ამ მხარის აოხრებისა. აფხაზთა გამანადგურებელ ლაშქრობას მისიონერებიც დაუზარალებია, მაგრამ მალე იქაურობა დაწყნარებულა. პატრებს გაუგრძელებიათ თავიანთი საქმიანობა, „რაშიც მათ დიდად ხელს უწყობდა სარეკ სარაზია, სამეგრელოს მთავარი. მისმა გულკეთილობამ ძრიელ მიიზიდა პატრები, რომელთაც გადაწყვიტეს არსად წასულიყვნენ და სამეგრელოში დარჩენილიყვნენ“ მისიონერები შეეცადნენ, რომიც დაერწმუნებინათ მათი გადაწყვეტილების (სამეგრელოში დარჩენის) სისწორეში. ამ მიზნით 1686 წლის 19 მაისს პატრი გაეთანო ტურქომ და პატრი იოსებ ტორიჩელმა კარდინალს წერილი გაუგზავნეს, რომელიც რასპონის იტალიაში გაატანეს. წერილში ნათქვამია, რომ „გულკეთილი მთავარი“ (სორეხ შერვაშიძე) პატრი რასპონის არ უშვებდა, „ამიტომ ფიცი მისცა, ან თვით დაბრუნდეს ან სხვა პატრები გამოგზავნოს“. მანამდე სორეხი ყველა ზომას მიმართავდა, რათა რასპონი სამეგრელოში დაეტოვებინა. ჭერ დარაგები მიუჩინა, რომ არ გაპარულიყო, შემდეგ კი — „ქარდარძს გაგზავნა თავად სიმონ დათვისკარიასთან, რომელმაც რა სცნო მთავრის აზრი, რაც შეეძლო პატივი სცა და გაართო იგი. პატრი იქიდგან გაგზავნა ალანებთან და თან გააყოლა ორი მისი მეგობარიმეგრელი: ჩეზარუყჩიხოდარია, პაპუნა ქობაკია, კიოსინო ალბარია და ჯუჭანცა ბორქია, ეგრეთვე ერთი მოსამსახურეც“ ალანიის გამგებელმა ბუზლაცსამაზენიამ დიდი პატივით მიიღო პატრი, რომელიც მხოლოდ ორი თვის შემდეგ დაბრუნდა სამეგრელოში. როცა მისიონერებმა დაარწმუნეს სორეხი, რომ იტალიაში ყველას გვიბარებენ და რასპონი მაინც გაუშვითო, მთავარი დათანხმდა უკან დაბრუნების ან სხვა პატრების გამოგზავნის პირობით. იტალიაში ჩასული რასპონი გენუიდან წერილს უგზავნის რომში პროპაგანდის განყოფილებას და მოკლედ აცნობებს სამეგრელოში გაწეული მუშაობის შესახებ: „იქაურობა რა დამშვიდდა, ჩვენმა მამებმა საჭიროდ დაინახეს იქაურობას თავი არ დაანებონ, მეტადრე ახლა, როდესაც ადვილად შეიძლება მოზრდილთა შორისაც დიდინაყოფი გამოვიდოთ, ვინაითგან იქ აღარ არიან ჩვენის ქადაგების მოწინააღმდეგე ბერძნები. ეგრეთვე ქეშმარიტად

გარწმუნებ, რომ ახლანდელ მთავარს (სორეხ შერვაშიძეს — ჯ.გ.) ძრიელ ვუყვარვართ, სულმუდამ ჩვენსას მოდის სადილად და ვგრეთვე წირვის დროს მოსახმარებლად. რაც ამ მხარეს მისიონი გვაქვს, ასეთი ამბავი ჯერ არავის სმენია. გარდა ამისა, ჩვენის რჩევით გამოსცა ბრძანება, რომლითაც სიკვიდილის სასჯელით უკრძალავს ყველას ყმაწვილების გაყიდვას. აქიდგან შეგიძლიათ სცნოთ თუ რაოდენ ერთგულია ჩვენის სარწმუნოებისა". რასპონი მიზანშეწონილად არ თვლიდა სამეგრელოს მისიონის დატოვების შესახებ რომში მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას. „ნუთუსასარგებლო იქნება დატოვება ასეთის მისიონისა, რომელშიაც ჩვენმა მამებმა ბევრი ოფლი დაღვარეს“. ¹³⁰ რასპონიმ მხოლოდ ის მოახერხა, რომ სამეგრელოში 1691 წელს ერთი პატრი-გაეთანო ქაეცა გამოგზავნა, რომელიც იქვე გარდაიცვალა 1699 წელს. განუწყვეტელი ომების გამო, რომში დაბრუნება ვერ გაბედეს პატრებმა ტურქომ და ტორიჩელიმ. ორივე სამეგრელოში გარდაიცვალა — პირველი 1699 წელს, მეორე — 1700 წელს.

ამით დასრულდა თეათინელი მისიონერების თითქმის სამოცდაათ წლიანი მოღვაწეობა სამეგრელოში, უმთავრესად მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც XVII საუკუნის ბოლოს აფსუებმა დაიპყრეს. მიუხედავად სამეგრელოს მთავრების მხრიდან კეთილი დამოკიდებულებისა და ყოველმხრივი დახმარებისა (როგორც უკვე ითქვა, არა სარწმუნოებრივი, არამედ დასავლეთის ქვეყნებთან დაახლოების პრაგმატული პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივებით), მათ ვერ შეძლეს მართლმადიდებლობის საფუძვლების შერყევა და კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება. ერთსაც და მეორესაც თურქეთის დახმარებით ბოლო მოუღეს მდ.ენგურის ჩრდილო-დასავლეთით დამკვიდრებულმა აფსუებმა.

XVII საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთის მთავარმა ზეგნაყ შერვაშიძემ ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელო შემოიერთა, რისთვისაც ოსტატურად გამოიყენა დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარება, კერძოდ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის გამუდმებული შუღლი, ოდიშის უკიდურესი დასუსტება, იმერეთის ტახ-

ტის ხელში ჩასაგდებად არჩილის მიერ დაწყებული ბრძოლა. ამ ბრძოლაში გარკვეულწილად ზეგნაყ შერვაშიძეც იყო ჩართული. იგი ფორმალურად არჩილს აღიარებდა მეფედ. ეს უკანასკნელი 1689 წელს (ყოჩიში მიმავალი) აფხაზეთში ჩავიდა, „სადაც მოეგება შერვაშიძე, ისტუმრა პატივით, ვითარცა მეფე და იყოფებოდა ზუფუს ქამრაოდენმე“.¹³¹

ზეგნაყ შერვაშიძის მიერ არჩილის მხარდაჭერა იმერეთის სამეფოს დასუსტების ინტერესებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რაც ენგურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დაუძღურებული ოდიშის ტერიტორიების შემომტკიცების საშუალებას მისცემდა.

რთული ვითარება შეიქმნა ოდიშშიც. 1691 წელს გიორგი ლიპარტიანის მიერ ძალაუფლება ჩამორთმეული ლევან IV დადიანი თურქეთში გადაიხვეწა.

1696 წელს ოსმალეთმა იმერეთის მეფედ გიორგი IV (1696-1698 წწ.) დაამტკიცა, ხოლო დადიანობა მამია III გურიელს (1689-1711 წწ.) უბოძა. 1698 წელს არჩილმა გიორგი IV ტახტიდან ჩამოაგდო, მაგრამ სულ მალე ოსმალთა ჩარევის შემდეგ ძალაუფლება დაკარგა. იმერეთის ტახტზე ალექსანდრე მეოთხის უკანონო შვილი სვიმონ I (1698-1701 წწ.) აიყვანეს, რეალური ძალაუფლება კი ხელთ ეპყრა გიორგი აბაშიძეს. სამეგრელოს ფაქტობრივ გამგებლად გიორგი ლიპარტიანი რჩებოდა. „დადიანობა გურიელს მამიას დარჩა და თავობა გიორგი ლიპარტიანს“,¹³² — ნათქვამია კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნში ბიჭვინთისადმი (1706-1712 წწ.).

სწორედ ეს ვითარება გამოიყენა აფხაზეთის მთავარმა და XVII საუკუნის ბოლოსათვის ენგურსა და კელასურს შორის მდებარე სამეგრელოს მიწების ოკუპაცია და ანექსია დაასრულა.

ზეგნაყ შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთი, რომელიც უკვე მოიცავდა ტერიტორიას ბზიფიდან ენგურამდე, მისმა შვილებმა გაინაწილეს. საკუთრივ აფხაზეთი ბზიფიდან კოდორამდე უფროს შვილს — როსტომს ერგო წილად, კოდორიდან ლალიძგამდე — ჭიჭეშიას, ლალიძგიდან ენგურამდე — ყვავუს. ეს არ იყო ჩვეულებრივი შიდაფეოდალური დაპირისპირება, ვინაიდან დაპყ-

რობილ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მკვიდრი ქრისტიანული ქართული მოსახლეობის გაყიდვა ან აყრა და აფსუების ჩასახლება. თავის დროზე ამის შესახებ წერდნენ ევროპელი, რუსი და ქართველი ავტორები. ასე მაგალითად, XVII საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის სამეფო კარის გეოგრაფი და კარტოგრაფი გ.სანსონი (ავტორი XVII ს. 70-90-იან წლებში გამოცემული რუქებისა, რომლებშიც აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაშია მოთავსებული) თავის სპეციალურ ტოპონიმიკურ სიაში აღნიშნავდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დაძრული სირკასები (ჩერქეზები) დასახლდნენ აფხაზეთში, ხელში ჩაიგდეს ესკი-სოხუმში და მიწები მდინარე კოდორამდე. მან იცოდა აგრეთვე, რომ ანტიკური ხანის აბაზგები სხვა ხალხია და კოლხიდაში ცხოვრობდნენ.¹³³ გერმანელი ენათმეცნიერისა და მოგზაურის ჰეინრიხ იულიუს კლაპროტის (1783-1735 წწ.) მიხედვითაც აფსუები ანტიკურ ხანაში ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ „Они аборигены северо-западного Кавказа и позже распространились в других районах“.¹³⁴

ინგლისელი ედმუნდ სპენსერი 1851 წელს გამოცემულ წიგნში აფხაზებს ჩერქეზების სახელით მოიხსენიებდა, სოხუმზე საუბრისას კი წერდა: „სოხუმის ციხესიმაგრის ახლომდებარე მიდამოებიც ყველაზე მიუღდგომელი და ველური ადგილია მთელს კავკასიაში. მოსახლეობა რუსეთის ყველაზე საშიში და შეუერივებელი მტერია. ისინი ნაწილობრივ ყირიმისა და ყუბანის ხანებისა და სულთნების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში“.¹³⁵

ყველაზე კარგადაფსუების წარმომავლობა რუსებმა იცოდნენ. მათთვის ცნობილი იყო, რომ ეს ხალხი ჩრდილოეთ კავკასიიდან და ყუბანიდან გადმოსახლდა. პირველ რუს პროფესიონალ ისტორიკოსს, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეს ვ.ნ.ტატიშევს (1686-1750 წწ.) მიაჩნდა, რომ რუსული წყაროების ობეზები აფხაზები (აფსუები) კი არა, ქართველები არიან; აბაზა — თათრული წარმოშობის ხალხია; აფხაზეთი — სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილია, რომელსაც თურქები აფხაზს ეძახიან, ჩვენი წინაპრები კი ობეზებს

უწოდებდნენ. „Паче же мню, — წერდა ვ.ნ. ტატიშჩევი, — часть Мингрелии Северная, которую турки и кабардинцы именуют Авхазос, наши древние именовали обезы. Ныне оной большую часть кубанцы наполняют“.¹³⁶ ეს ყუბანელე-ბი კი ატსუები იყვნენ.

თანამედროვე აფხაზეთის სამეგრელოსადმი კუთვნილებისა და აფხაზეთის (ატსუების) ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების შესახებ წერდა ა. დიაჩკოვ-ტარასოვი: „Думается, что большое племя абасков, ...теснимое адыгейскими племенами, частью перевалили за Гагринский кряж, частью за перевалы Псеашка, Ахбирц, Цагеркер, Марух, Клухор. Произошло это не так давно, быть может, в XVI, XVII веках... Некоторые думают, что мингрельцы жили значительно севернее, что в эпоху основания г. Сухуми здесь господствовали мингрельцы, так как слово "Сухум" мингрельского происхождения (Цхуми _ жаркий); что при раскопках близ Сухума найдены вазы, носящие печать Грузинской культуры, и монеты с Грузинской надписью. Однако эта гипотеза требует дальнейшей разработки. Со своей стороны, имея в виду большую близость языков мингрельского и лазского, упоминаемое древними географами поселение Старую Лазику (Vetus Lazica) близ села Новомихайловского, на р. Нечепсухо, в 41 версте от Туапсе, упоминание Белля, что в его время Абхазы в окрестностях Лихны говорили на языке азра (მეგრულად — ჯ.გ.), указание Безыменного в его перипле на то, что от Диоскуриады до р. Апсары жил прежде народ, называвшийся колхами, впоследствии переименованные в лазов, сильное культурное влияние, оказанное мингрельцами на абхазцев, _ мы признаем, что за этой гипотезой есть будущность“.¹³⁷ თავის მომდევნო შრომებში ა. დიაჩკოვ-ტარასოვი აღნიშნულ ჰიპოთეზას დამტკიცებულად მიიჩნევდა. 1905 წელს იგი გარკვევით უთითებდა: „Абхазцы не всегда обитали там, где

теперь живут, а предания их и многие исторические данные и обычаи указывают, что они пришли с севера и потеснили картвельские племена, пока не остановились у Интури“. ა.დიჩკოვ-ტარასოვი სრულებითაც არ გახლდათ პროქართულად განწყობილი მკვლევარი. როგორც აფხაზეთის კოლონიზაციის გეგმის ერთ-ერთი აქტიური გამტარებელი (ფსირცხიდან კოდორამდე, წებელდის ჩათვლით), ის თვლიდა, რომ იმპერიის მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ ტერიტორიის დაცვა „სომეხთა და მეგრელთა შემოსევისაგან“. ამავ დროს, უტყუარი ფაქტები აიძულებდნენ ეწერა სიმართლე აფხაზეთზე, ელიარებინა აფსუების მიერ აფხაზეთის დაპყრობისა და იქიდან ქართული (მეგრული) მოსახლეობის გამოდევნის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. „Тесня в предшествующие века Мингрельцев на юг, — წერდა ა.ნ.დიჩკოვ-ტარასოვი, — абхазцы в своей передовой линии смещивались с тесными, переняли от них многие обычаи, твердо стояли за храстничество, чего нельзя сказать про северные округа Абхазии, быстро подчинившиеся проповеди ислама“.¹³⁸ ამრიგად, რუსი მეცნიერიც ადასტურებდა, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო აფხაზებს (აფსუებს) კი არ „დაავიწყდათ“ თითქოს პირველ საუკუნეებში მიღებული ქრისტიანობა, არამედ XVI-XVII საუკუნეებში, დაიპყრეს რა სამეგრელოს მნიშვნელოვანი ნაწილი (ფაქტობრივად მთელი თანამედროვე აფხაზეთი), ადგილობრივი ძირძველი ქართული მართლმადიდებელი მოსახლეობისაგან გადმოიღეს ქრისტიანული ადათ-წესები. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მათ მოქცევას, მონათვლას, რისი მცდელობაც იყო XVII-XVIII საუკუნეებში.

ა.დიჩკოვ-ტარასოვის მიერ ნახსენები გათხრები სოხუმთან ახლოს ასევე რუსებმა ჩაატარეს XIX ს. 80-ს წლებში. არქეოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელის ვ.სიზოვის ანგარიში აფხაზეთში ოდითგანვე ქართველების მოსახლეობაზე მიუთითებდა. მაშინ იქნა აღმოჩენილი XVI-XVII სს. სამარხი, რომელიც „принадлежал христианскому притом грузинскому населению Сухума“; გათხრების შედეგად, ვ.სიზოვის მიერ მოპოვე-

ბული ადგილობრივი (სოხუმის) წარმოების ნივთებიც „НОСЯТ, главным образом, печать грузинской культуры“.¹³⁹ აფხაზეთის ქართული მოსახლეობა და მისი კულტურა აფსუათა ამ ადგილებში დამკვიდრების შედეგად გაქრა, მაგრამ არა ბოლომდე.

აფხაზეთში, კერძოდ ამჟამინდელი გალის რაიონის ტერიტორიაზე აფსუათა ჩამოსახლების შესახებ ცნობებს შეაცავენ ოფიციალური რუსული წყაროებიც. სამურზაყანოში თავის დროზე აფხაზები გადმოსახლდნენ „не отдельными семьями, а целыми организованными общинами“, — ნათქვამია წიგნში „Утверждение Русского владычества на Кавказе“.¹⁴⁰

უტყუარი ცნობები აფსუების მიერ სამეგრელოს ჩრდილოდასავლეთი რაიონების ხელში ჩაგდებისა და განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილებების შესახებ საკმარისად მოიპოვება ქართულ წყაროებშიც. პირველ რიგში, დავასახელებთ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებას „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამ კაპიტალური ნაშრომის ავტორმა — ზემოთაღნიშნული მოვლენების თითქმის თანამედროვემ (1696-1757 წწ.) — კარგად იცოდა, რომ ოდიშის ტერიტორია აფხაზეთმა „დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არლარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“.¹⁴¹

აფსუები მდინარე ღალიძგის (ეგრისის) სამხრეთითაც „დაეშენებოდნენ“. ეს ხდებოდა ამ მხარეში ყვაპუ შერვაშიძის მმართველობის პერიოდში. პოლიტიკური დასაყრდენის მოპოვებისა და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით მან უფროსი ძმის — როსტომის სამფლობელოდან, კერძოდ ბზიფიდან თანამედროვე გალის რაიონის ტერიტორიაზე ჩამოასახლა, გვარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაქართველებული აფსუები თუ, პირიქით, გააფსუებული ქართველები, თავადაზნაურობის წარმომადგენლები. აი, მათი გვარებიც: ანჩაბაძეები, ემუხვარები, ინალიშვილები, მარღანიები, ზვანბაიები, ლაკერბაიები და აქირთაეები. სამურზაყანოში ჩამოსახლდა ქართველ შერვაშიძეთა ერთი შტოც, აგრეთვე დაბალი წოდების წარმომადგენლები ზუხბაიები, კაკუბაეები, ყოლბაიები, აკიშბაიები, ბუთბაიები, ქეცბაიები, ეზუგბაიები, წარალბაიე-

ბი, წუშბაიები, ცხუცხუბაიები, ქირთბაიები, თარბაიები, ივანბაი-
ები, ხინთბაიები, ქვაცაბაიები. ისინი სამურზაყანოს სხვადასხვა სოფ-
ლებში დამკვიდრდნენ და ყოველგვარი პრობლემების გარეშე შე-
ერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ვინაიდან, როგორც
ვ.ზუზბაია მიიჩნევს, ქართველი აფხაზები იყვნენ, თუმცა ბზიფიდან
გადმოსახლებულებში აშკარად აფსუური ელემენტიც ურევია.¹⁴²

აფსუათა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების შესახებ არა
მხოლოდ უცხოური და ქართული წყაროები, არამედ მათივე
(აფსუების) გენეალოგიური გადმოცემებიც მეტყველებენ. 145
წლის მაჟაგვ აღლეობა ამბობდა, რომ „აფხაზეთის პირველ მოსახ-
ლეებს განეკუთვნებიან გვარები — აგრბა, აღლეობა, ინაფშბა... ყე-
ლა ისინი გამოვიდნენ ყირიმიდან (ყარაჩაიდან — ჯ.გ.)... ჩვენი წინაპ-
რები გადმოსახლდნენ, როცა გაიგეს, რომ აფხაზეთის მოსახლეო-
ბა გაიფანტა და იგი უდაბნოდ იქცა“. „გაფანტულ“ მოსახლეობა-
ში უეჭველად ქართველები უნდა ვიგულისხმოთ; მათი გასახლება-
აჭრა ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოდან მთელი XVII საუკუნის
განმავლობაში (განსაკუთრებით საუკუნის ბოლოს) მიმდინარეობ-
და.

აფსუებში შემონახულია გადმოცემები ჩრდილოეთ კავკასიიდან
ან ჯიქეთიდან ავიძბების, ამფარების, აშუბების, არშბების, მარშა-
ნიების (მარშანი), შამბების, კაპბების დასხვათა გადმოსახლების თა-
ობაზე. ამაზე მიუთითებს საერთო გვარ-სახელების არსებობა აღი-
ლეველებში, ყაბარდოელებში, აბაზებში და აფხაზებში. ყოველივე
ამის შესახებ წერდნენ თვით ისეთი აფხაზი ავტორები, როგორებიც
იყვნენ დ.გულია, ს.ბასარია, შ.ინალ-იფა, ს.ზუზბა.¹⁴³

ამრიგად, სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მთიელი
აფსუების ჩამოსახლების ფაქტი დოკუმენტურად დასაბუთებულია
და ეჭვს არ იწვევს. ევროპული, რუსული და ქართული წყაროე-
ბის, ასევე აფსუური გენეალოგიური გადმოცემების გათვალისწი-
ნებით თამამად შეგვიძლით ვამტკიცოთ, რომ აფსუებმა კი არ შექ-
მნეს, როგორც თანამედროვე სეპარატისტ-ფალსიფიკატორები
ამტკიცებენ, არამედ გაანადგურეს ქართველების მიერ ამჟამინდე-
ლი აფხაზეთის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე შექმნილი

ქრისტიანული ცივილიზაცია; XVI საუკუნეში, როგორც ზემოთ იყა ნაჩვენები, ბოლო მოუღეს ბიჭვინთის საეპისკოპოსოს და ერთდროულად დასაველეთ საქართველოს საკათალიკოსო ტახტს (თუმცა იურიდიულად იგი ასეთად რჩებოდა XVIII ს. ბოლომდე), XVIII ს. მიწურულს კი გაანადგურეს ქართული ქრისტიანული კულტურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერები — მოქვი და დრანდა. თანამედროვე გალის რაიონის (რომელიც ეთნიკურად აფსუებმა ვერ აითვისეს) ქრისტიანული მოსახლეობის წყალობით, სრულ აოხრებას გადაურჩა მხოლოდ ბედიის საეპისკოპოსო. გაუქმდა და განადგურდა ცნობილი ეკლესიები ქიაჩში, თილითში, მერკულაში და სხვაგან. ამ ვითარებაში დაპყრობილი ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრებიდან „ოდიშის შიდა რაიონებში გადაქონდათ საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ინვენტარები. ცნობილია, რომ მოქვის ახლოს იყო ქიაჩის მონასტერი, სადაც ესვენა ქიაჩის წმ. გიორგის ხატი. ეს ხატი სოფ. ობუჯში გადაუტანიათ. ამის შემდეგ, ეკლესიას, რომელშიაც ეს ხატი დაასვენეს და სოფლის იმ უბანს, სადაც ეს ეკლესია იყო ქიაჩი ეწოდა. მთავარანგელოზის ხატი რომელიც ასევე ქიაჩში იყო დასვენებული, ჭოლაში გადმოუსვენებიათ. მოქვის სახარება (1300 წ.) მარტვილში გადმოუტანიათ. მოქვის ორი ღვთისმშობლის ხატიდან ერთი, მოგვიანებით ზუგდიდის ეკლესიაში აღმოჩნდა, ხოლო მეორე — ხობის მონასტერში. ბეღიაში განისვენებდა ვლადკერნის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დადიანების მთავარ სალოცავად ითვლებოდა. მოგვიანებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი მარტვილში გადმოასვენეს და ა. შ.“¹⁴⁴ ამ და სხვა რელიქვიებთან ერთად ჩრდილო-დასაველეთ ოდიშიდან წამოიღეს წმ. გიორგის ოქროსა და ვერცხლის ხატები. XX საუკუნის დასაწყისში ისინი შესაბამისად ინახებოდნენ სოფ. გამოჩინებულის (სამტრედიის რაიონი) წმ. გიორგისა და ბზვანის (ვანის რაიონი) წმ. ნიკოლოზის ეკლესიებში.¹⁴⁵ დრანდაში, მოქვსა და ბეღიაში დაცული ქრისტიანული სიწმინდეებისა და რელიქვიების დიდი ნაწილი, რომელთა შესახებ წერდნენ რუსი ელჩები, და სხვადასხვა მისიონერები, აფსუებმა გაანადგურეს. სამწუხაროდ, ეს ყოველივე ხდებოდა ყურადღე-

ბითა და მზრუნველობით გარემოცული (როგორც თავად წერდნენ) კათოლიკე (თეათინელი) მისიონერების თვალწინ, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ. ჩრდილო-დასავლეთ ოდიშში მართლმადიდებლობის ამოძირკვას ემსახურებოდა როგორც ქართული ქრისტიანული ცენტრების, წმინდა რელიქვიების განადგურება, ისე უმნიშვნელო (შესაძლოა პროვოკაციის მიზნით მოგონილი) საბაბით ასზე მეტი მართლმადიდებელი სასულიერო პირის ფიზიკური განადგურებაც. მართალია, ამ საშინელი ტრაგედიის დღეებში კათოლიკე მისიონერებმა რამდენიმე მართლმადიდებლის სიცოცხლე გადაარჩინეს, მაგრამ არანაირი პროტესტი არ გამოუხატავთ. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, იტალიაში დაბრუნებული რასპონი თავის ხელმძღვანელობას მისიონერთა სამეგრელოში (აფსუების მიერ დაპყრობილ ნაწილში) დატოვების აუცილებლობას იმით უსაბუთებდა, რომ შეიქმნა პირობები „მოზრდილთა შორისაც“ ნაყოფიერი მუშაობისათვის, „ვინაითგან იქ აღარ არიან ჩვენის ქადაგების მოწინააღმდეგე ბერძნები“. ბერძნებში ჩრდილო-დასავლეთ ოდიშიდან აფსუების მიერ გამოძევებული ქართული მართლმადიდებლური სამღვდლოება იგულისხმება. ქართველი ქრისტიანების, მართლმადიდებლების სისხლით მორწყულ მიწაზე კათოლიკობამ ვერ გაიხარა.

ოდიშისაგან ჩამოცილებულ ტერიტორიაზე ქართველთა გენოციდი ხორციელდებოდა. შემორჩენილია ამ უდიდესი ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტები, სადაც საუბარია საკათალიკოსო სოფლებიდან მოსახლეობის „აყრაზე“ და გაყიდვაზე. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი გახლავთ ყვაპუ შერვაშიძის ფიცვი. ვინაიდან ფიცვის წიგნი კათალიკოს დავით ნემსაძეს ებოძა, იგი 1696 წლამდე პერიოდით უნდა დათარიღდეს. მოგვყავს ყვაპუ შერვაშიძის ფიცვის სრული ტექსტი:

„ქ: სახელითა სახიერისა, ზეშთა არსისა, დაუსრულებელისა ღვთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, ძლიერებითა პატიოსნისა ცხო-

ველს მყოფელისა ჯუარისათა, რომელმან განაპყრნა ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან უხრწნელნი მკლავნი თვისნი სამეფუთონი და მეწამულყო სისხლითა პატიოსნითა ხსნისათვის კაცთა ნათესავთა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, და ცხრათა დასთა ანგელოზთათა; თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისა, წინა მორბედისა და ყოველთა ნაშობთა დედათასა უზე შთაესისათა და იოვანე ქალწულ მახარებელისათა, და თვით მოციქულთა პეტრე და პაულესათა, ათორმეტთა მოციქულთა და კვალად სამეოცდა ათთა მოციქულთათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა და რანიცა დიდსა საუფლოსა სვინაქსარსა შიგან წმიდანი ღვთისანი სწერიან და ან დღითი დღედ ყოველ მოიხსენიებიან, ამათის მადლითა და მეოხებითა, ზეცისა და ქვეყნისათა, ხორციელთა და უხორცოთა, სათნო ყოფილთა და კვალად სათნო ყოფილთა ღვთისა, ამა ყოველთა წმიდათა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, ესე აუარებელი და დღეთა ჩვენთა სიკუდილამდის საბოლოოდ გასათავებელი, მტკიცე, უტყუარი ფიცი, პირი და წიგნი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ შერვა შიძემან ბატონმან ყაპუ და ჩემმან ძმამან ქერექიმ თქუენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს ასრე და ამა პირსა ზედა, რომელ ნაენაურელი და ხოარული კაცები, რომელიც ახლა იყოს, ის შეუცოდებლად და თქვენდა უკითხავად აღარც გაეყდოთ, და თქვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილის კაცისაგან კარგად შემოუაროთ, არც თქვენი ხლება და სამსახური დაუშალოთ და არც თქვენი ბეგარა და სარგო, რომელიცა ემართოს, და ჩვენ, რომელიც არ დავხარჯოთ, ის მოგიშალოთ, და დაგიჭიროთ კიდევ. როდესაც მობრძანდეთ, როგორათაც სხვას ძველს კათალიკოზებს ემსახურებინოს და ეხმაროს, თქვენც ასრე გემსახუროთ და გერგებოდეს. ამასდა თავდებად და გასათავებლად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი, და ქუეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი და ამაზე მოწერილის მადლმან ჩვენ ხელიცა გულის მართლით ჩაგვიერთავს“ ...¹⁴⁶

მოტანილი დოკუმენტი მეტად საყურადღებოა, ვინაიდან უაღრესად აქტუალურ საკითხებზე საფუძვლიანი მსჯელობისა და გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია: ვინ — უცხო დამყობლებმა თუ ქრისტიანმა ქართველებმა დაიკავეს ოდიშის ტერიტორიის დიდი ნაწილი? ფიცის მიხედვით, ჩვენს წინაშეა თითქოს ღრმადმორწმუნე ქართველი მთავარი, თუმცა ისიც ვიცით, რომ მის კისერზეა ასამდე მართლმადიდებელი მღვდელის დახოცვა, ლალიძგა-ენგურის სექტორში ქართველთა გაყიდვა-აყრა, ამ ტერიტორიაზე აფსუათა ჩამოსახლება. ამდენად, ჩრდილო-დასავლეთი ოდიში ქართველმა მთავრებმა შერვაშიძეებმა თურქეთის დანშარებით დადიანებთან შიდაომების შედეგად დაიპყრეს, ოღონდ უმთავრესად უცხოელებზე, ჩრდილოეთ-კავკასიიდან გამოდევნილ და საქართველოში (სამეგრელოში) ჩამოსახლებულ აფსუებზე დაყრდობით. შემდგომში ამან მიტაცებული ტერიტორიის ქართული სამყაროსაგან გაუცხოება (ლალიძგა-ენგურის სექტორის გარდა) გამოიწვია.

ფიცის ტექსტიდან აგრეთვე ირკვევა, რომ შერვაშიძის პოლიტიკური სეპარატიზმი ამჭერადაც რელიგიურ სეპარატიზმში არ გადაზრდილა. ისინი „ჩრდილოისა და აფხაზეთის“ ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის იურისდიქციის ქვეშ რჩებოდნენ. მიუხედავად გაუთავებელი შიდაომებისა, შერვაშიძეები, მათი დასაყრდენი აფსუებისაგან განსხვავებით, საკუთარ თავს ქართულ სამყაროდან არ გამოყოფდნენ. აფხაზეთის კათალიკოსს, ფიცის მიხედვით, უფლება ჰქონდა ჩასულიყო აფსუების მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე, ჰყოლოდა იქ ყმები, რომლებიც ვალდებული იყვნენ ეხადათ ბეგარა, მათ შეეძლოთ კათალიკოსის ხლება და სამსახური, როგორც ეს „ძველი კათალიკოსების“ დროს ხდებოდა.

კათალიკოსი დავით ნემსაძე გამოჩენილმა სასულიერო მოღვაწემ გრიგოლ ლორთქიფანიძემ (1606-1742 წწ.) შეცვალა. კვაპუ შერვაშიძემ ახალ კათალიკოსსაც მიართვა ფიცის წიგნი. მას შემდეგ, რაც მისი სამფლობელო (ტერიტორია ენგურსა და ლალიძგას შორის) კვლავ ოდიშის სამთავრომ დაიბრუნა. 1701 წელს გადადიანებულმა გიორგი ლიპარტიამ (1701-1709 წწ.) მისი სიმამრი-

სა და იმერეთის უგვირგვინო მეფის გიორგი აბაშიძის (1701-1707 წწ.) დახმარებით აფხაზეთზე გაილაშქრა. ეს ფაქტი ასახულია ერთ-ერთ იმდროინდელ გუჯარში, რომელსაც ე.თაყაიშვილი შეცდომით 1673-1696 წლებით (დავით ნემსაძის კათოლიკოსობის წლებით) ათარიღებდა: „ქ. ეპა შენ ცათა უმაღლესო, სერაბინთა უზეშთაესო და ქერაბინთა უწმინდესო... ცათა მობაძვაო ხობისა ღვთისმშობელო, ჩვენ ცვა ფარვათა შენთა მინდობილმან და მსასოებელმან სიწმინდისა შენისამან, და საკუთრებით მოურნემან ნამსახურისაგან, კინმან მადლთამან... და ფრიადმან ცოდვითა, წინამძღვარმან ზებედუე, შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ამას წინათ ხობს ვიდექით... მერმე ლიპარტიანი ქვემოთ წაბრძანდა აფხაზეთს ლაშქრად, და ჩვენ ზუგდიდამდის ვიახელით, და ცოტა უძლებად ვიყავით, და დავბრუნდით, და აქ ხობს მოვედით“.¹⁴⁷

გიორგი აბაშიძისა და გიორგი ლიპარტიანის აფხაზეთში ლაშქრობის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ზამთარსა ამას (1702 წელი — ზ.გ.) ევედრა ლიპარტიანი აბაშიძეს, რათა შეეწიოს აფხაზთა ზედა, რამეთუ მიეღოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოხრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყუეობითა. უსმინა აბაშიძემ, შემოიკრიბნა სპანი იმერთა, წარვიდა და შთავიდა აფხაზეთს. ვერ წინააღუდგა შერვაშიძე, მოსტყუევენეს აფხაზეთი, აღილო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარტიანი და შერვაშიძე, გამოუხუნა ქუაყანა მიღებული და მძევალნი, მერმე წარმოვიდა და მოვიდა იმერეთსავე“.¹⁴⁸ დოკუმენტში ყვაპუ შერვაშიძეზეა საუბარი. იგი ამიერიდან სამეგრელოს მთავარს ემორჩილებოდა, თუმცა თავის სამფლობელოში ფართო უფლებებითაც სარგებლობდა.

ყვაპუ შერვაშიძის ფიცის წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი XVIII საუკუნის პირველ წლებში (1704-1705 წლებთან ახლო პერიოდში) უნდა იყოს შედგენილი. ე.თაყაიშვილი მას 1696-1704 წლებით ათარიღებდა, ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ ყვაპუ შერვაშიძე 1705 წელს უკვე გარდაცვლილი იყო. საფიცოს წიგნი კვლავ ნაქანეულისა და ხიორის (ოხურეი) საკათალიკოსო გლეხების მდგომარეობას ეხებოდა. „ესე საფიცარი ფი-

ცი და წიგნი მოგეცით ჩვენ შარვაშიძემან ყვამ და ჩვენმა შვილმა ავთანდილ თქვენ ქათალიკოზს ბატონს გრიგოლს, — ნათქვამია დოკუმენტში, — ასე და ამა პირსა ზედან რომე ჟამთა ვითარობით ქვეყანა ამოწყდათ და საქათალიკოზო ნაქანეური და ხირული კაცები ზოგიერთი ჩვენ მოვარჩინეთ. ახლა დაგველაპარაკეთ ბატონის შვილი ჩვენი დისწულის შუამავლობით და რომელიც ნაქანეური და ხირული კაცები ჩვენ გვყავს, თავს ხატისთვის მემ (სიტყვა გაუგებარია — ჯ.გ.) თქვენთვის სასამსახუროთ მომირთმევიან, თავს ერთი მოსახლე კაცი ბაბადიში კონდარია, მეორე მოსახლე ხუცესი ღუბელაია, მესამე მოსახლე კაკა ელიშია, მეოთხე მოსახლე ზუმალეი კოდიია, მეხუთე მოსახლე ჭიმადიში უჩაძე, მეექვსე მოსახლე მამაკოჩი სუბუქია, მეშვიდე მოსახლე ხუხუტა ჯგუბურია, მერვე მოსახლე ობოლი ციცორია, მოჯალაბე ბაძლაღე მარკოზია, ამას გარეთ ერთი მოსახლე სახირო მიამია ბიგვავა. ეს ათი მოსახლე კაცი მოჯალაბიანად როგორც სხვა ქათალიკოზს სახურებდა, აგრე გამსახუროთ და თქვენი სამსახური არ დაუშალოთ და არც ჩვენგან ამ კაცებს არც აყრით და არც გაყიდვით არა უშავდეს რა. აწ ამის თავდებათ გასათავებლად მომიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი, ქვეყნისა, უხორცონი და ხორციელნი ამაზე. ამაზე მოწერილის წმინდანთ მადლმან ხელიც მართლის გულით ჩაგვიერთავს“.¹⁴⁹ ამჭერადაც ყვამუ შერვაშიძე ქართველ ქრისტიან მთავრად წარმოგვიდგება. მდ.ენგურის ჩრდილო-დასავლეთით აფსუების ჩამოსახლების შემდეგაც ქართული ენა კვლავ რჩება იქაურ ქრისტიანთა ოფიციალურ თუ საეკლესიო ენად (იხ. აგრეთვე დანართი №3).

ფიცის გამეორების აუცილებლობა, სავარაუდოდ, ყვამუ შერვაშიძის მიერ ქათალიკოს დავით ნემსაძისათვის მიცემული პირობის შეუსრულებლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. არც მეორე ფიცის პირობები შესრულებულა. შეწირულობის სიგელში ქათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინთისადმი (1706 წელი) ვკითხულობთ: „ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან, შეწვენისა შენისა მოიმედოვნემან, ერთგულებისა მსასოებელმან და მოსავმან სიწმიდისა თქუენისამან ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კა-

თალიკოზმან ლორთქიფანიძემან ბატონმან გრიგოლ გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი: ...კიდევ ნაჟანვეს სოფელი საკათალიკოზო ნემსაძე კათალიკოსის ხელშიდ აფხაზისგან აყრილიყო, ყვპ შერვაშიძეს სხვა დაეყოდა და ექუსი მოსახლე კაცი ყავდა. ის კათალიკოზიც ბევრს ედევა და ჩუენც, მაგრამ არც მას და არც ჩუენ პასუხი მოგ უცა. რომ შერვაშიძე მოკუდა, მივედით ჩუენ და ნიშანიც მართებული ავიღეთ და ექუსი მოსახლე კაცის მეტი აღარ იყო და ის წამოვიყვანეთ მისის ყოვლისფერითა: ღრუბელაია ამხსნელი და მისი სახლიკაცი ელი შია ხუტალა და მისი ძმები კიდევ ელი შია ხუხა და მისი ძმები ზუმალა, კოდია და მისი შვილები.

კიდევ ჳგუბერია სუბუქია და ბიგვაა; კიდევ ერთი მოსახლე კაცი ჳღერიას ნაჟმევი პაპა ხუცობავა და მისი ძმა შარვაშიძისაგან სადგო კაცი იყო. ჩუენი და იმა შედ წამოვიყვანეთ და ხობს დავასახლეთ. არმანია ყვპსეული კაცი მაგიერშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ.

კიდევ ელიშახუ ნანაის შვილი ეგერის გაღმიდან წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ხიბულას დავასახლეთ“.¹⁵⁰

„ყვპსეული“ (ყვპუ შერვაშიძის) კაცი იყო „ნარმანიაი შარვაშიხუ და მისი ძმა ჳფათი“, რომლებიც კათალიკოსმა გრიგოლმა ხიბულას დაასახლა და „მათის ცოლ შვილითა და სხვის შვილითა“ ბიჳვინთის ღვთისმშობელს შესწირა „სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათა“.¹⁵¹

ნაჟანეულში ქართველების „აყრისა“ და ენგურის მარცხენა მხარეს მათი გაღმოყვანის შესახებ კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე კიდევ ერთხელ წერდა თავის შეწირულობის წიგნში ბიჳვინთისადმი (1712 წ.). ვინაიდან ის არა მხოლოდ იმეორებს, არამედ გარკვეულწილად ავსებს 1706 წლის სიგელში მოტანილ სოფ. ნაჟანეულთან დაკავშირებულ ფაქტებს, დოკუმენტი მოგვყავს მთლიანად: „ნაჟანეეს სოფელი აფხაზს აყარა; სამოცი მოსახლე კაცი ნეფსაძე კათალიკოსს ყვპუ შერვაშიძისათვის მიებარებინა. უფროსი ერთი დაკარგულიყო. ის კათალიკოზი ეცადა და ჩვენც ვცადეთ, მაგრამ ვერ ამოვიყვანეთ. შარვაშიძე რუხს მოკვდა, წავედით და უწირეთ, ნიშანიც მართებული ავიღეთ; მეტი აღარ იყო. შვიდი მოსახლე კა-

ცი წამოვიყვანე მათის ყოვლისფერითა: ღრუბელაია ამახსნელი და მისი სახლიკაცი ელიშია ხუხა და მისი ძმები კოდია, ზუმილა, ჯგუბურია, სუბუქია, ბიგვავა და უჩაია და ერთი მოჯალაძე.

სხუა კიდევ ელიშახუ ნანაის შვილი ნარმანია და ხუცობავა პაპა ენგურიდალმი. ყველა ფასით აღმოვიყვანე. ზოგი ხიბულას დაეასახლე, ზოგი ხობს“.¹⁵²

საინტერესოა მოტანილი დოკუმენტების ცნობა ყვაპუ შერვაშიძის რუხში გარდაცვალების, კათალიკოსის იქ ჩასვლის, მიცვალებულისათვის წირვის გადახდისა და ნიშანის (ერთდროული გადასახადი, რომელიც მართებდა მიცვალებულის პატრონს) აღების შესახებ. ყოველივე ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ, მიუხედავად ოდიშთან ადრე არსებული სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისა, მისი მიწების მიტაცებისა, აფსუათა ჩამოსახლებისა, მათ მიერ დაკავებული მიწებიდან ქართველთა „აყრისა“ და გაყიდვისა, შერვაშიძეები ფორმალურად აფხაზეთის კათალიკოსს დაქვემდებარებული ქართველი ქრისტიანები იყვნენ; მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ყვაპუ შერვაშიძეს ორჯერ მიცემული ფიცი დაერღვია, რამაც აიძულა კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე ჩასულიყო მის სამფლობელოში, უცხოეთში (თურქეთში) გაყიდვას გადარჩენილი, ბიჭვინთის ღვთისმშობლის საკუთრებაში მყოფი სოფ.ნაქანეულის გლეხები თავადვე გამოესყოდა და სამეგრელოში (ხობსა და ხიბულაში) დაესახლებინა. დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი ფიცის ტექსტებში ნაქანეულთან ერთად მოხსენიებული ხოირის (ოხურეის) გლეხების შესახებ. სავარაუდოდ, ისინი გაყიდეს ან თავს გაქცევით უშველეს.

გრიგოლ ლორთქიფანიძემ ბიჭვინთის ღვთისმშობელს ცოლშვილიანად შესწირა ბიბია ბოლქვაძე, რომელიც „აფხაზს ცოლშვილიანად წაეყვანა, ნემსაძე კათალიკოსს სორეხისაგან დაეხსნა, ნოჯინევეს დაესახლებინა“.¹⁵³

მიტაცებული ტერიტორიიდან მასობრივად გამოაძევეს. ქართველი თავადები, როგორც პოლიტიკურად არასაიმედონი, როგორც დაღიანების ერთგულები. მათი მამულები ახლადჩამოსახლებულმა აფსუურმა ზედაფენამ დაიკავა. მერაბ ჯაიანის

(ჯაიანები სოფ. ჭალას/ჭლოუს მფლობელები იყვნენ) პირობის წიგნში კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი ამის შესახებ ვკითხულობთ: „ესე მტკიცე წიგნი მოგართვი თქვენ კათალიკოსს ბატონს გრიგოლს ჩვენი ჯაიანმა მერაბ, ასე რომ ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქმნა და მერმე ამ ხელი კაცი ვარ და იქ აღარ გვედგომებოდა და მოვედი, შემოგეხვეწეთ და წყალობა გვიყავით და ჩვენს სიცოცხლეში დაგვაყენეთ და ჭიქთუბანს სამი მოსახლე გლეხი გვიბოძეთ კოპალაის შვილი და სასახლის ადგილი გვიბოძეთ, ოღონდ ჩვენს სიცოცხლეში, თვარა ეს ამ მიზეზით ხატს არ გამოეწიროს და თუ რამ შევიძლო და შევემატო, ისიც თქვენს ხატს შევესწიროთ და შევემატოთ“.¹⁵⁴ მერაბ ჯაიანის ბედი მთელმა თავადაზნაურობამ გაიზიარა, ვინაიდან „ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქმნა“. აი, როგორ შეფასებას აძლევდნენ მაშინ ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში განვითარებულ მოვლენებს.

XVII-XVIII სს. მიჯნაზე აწინდელ აფხაზეთში ძირითადად მთავრდება აფსუათა ჩამოსახლება (თუმცა ეს პროცესი შემდგომშიაც გრძელდებოდა) და იქიდან სიკვდილს გადაარჩენილი ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილის მათ შორის სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის იძულებით გამოყვანა ან თურქეთში გაყიდვა; დასრულდა ქრისტიანული კერებისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების განადგურება, განსაკუთრებით მდ.ღალიძგამდე.

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე წმ.მოციქულთა მიერ ქრისტეს მოძღვრების გავრცელების, ახალი სარწმუნოების განმტკიცებისა და XVII ს. დამღვევისათვის მისი დაცემის ისტორია — ეს არის ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში ქრისტიანობის გავრცელებისა და აყვავების, მის ბაზაზე რეგიონში ქართული კულტურის გაფურჩქვნის, ბოლოს კი, თურქეთის წაჭეზებითა და მხარდაჭერით აფსუათა მიერ ამ ტერიტორიის თანდათანობითი მიტაცების, ქართული მართლმადიდებელი მოსახლეობის, უძველესი ქრისტიანული ცენტრებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი კერების განადგურების ტრაგიკული ისტორია.

ნ. დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Материалы по археологии Кавказа, вып.III, с.21.
2. ქ.ც., ტ.4, გვ.828.
3. ქ.ც., ტ.2, გვ.421.
4. დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ., 1977, გვ.177, 192, 194.
5. ბ.ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996, გვ.60.
6. С.Герберштейн. Записки о Московии. М., 1988, გვ.181.
7. Дж.Гамахария, Б.Гогия, დასახ. ნაშრომი, გვ.831-836.
8. იქვე, გვ.240.
9. იქვე, გვ.623.
10. იქვე, გვ.837-840.
11. ქ.ც., ტ.4, გვ.782.
12. Дж. Гамахариа, Б.Гогия, დასახ. ნაშრომი, გვ.233-234;609.
13. იქვე, გვ. 234-237; 609-611.
14. იქვე, გვ.237, 616.
15. ი.ტაბაღუა. საქართველო..., ტ.3, გვ.155-171.
16. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.498 (დანართი №10).
17. დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ.177.
18. იქვე, გვ.172.

19. იქვე, გვ.176.
20. იქვე, გვ.180.
21. იქვე, გვ.194.
22. იქვე, გვ.171.
23. მ.თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ.1902, გვ.197-198.
24. იქვე, გვ.181-186.
25. იქვე, გვ.190-192.
26. იქვე, გვ.197.
27. იქვე.
28. ა.ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ.9-10; სიტყვების „ქართულის ზედწარწერების“ ნაცვლად ზურაბ ანჩაბაძის თარგმანის მიხედვით უნდა იყოს „წიგნებით ქართულ ენაზე“ („с книгами на грузинском языке“). _ Из истории средневековой Абхазии, გვ.276.
29. ა.ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 4-5, 160, 176.
30. იქვე, გვ.16, 22.
31. იქვე, გვ.26-27, 72-73.
32. იქვე, გვ.118-119.
33. იქვე, გვ.5, 120-121.
34. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.242-243.
35. ა.ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ.141.
36. იქვე, 5-6, გვ.157-158, 166-169.
37. იქვე, გვ.158, 168.
38. პ.კარბელაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ.208.

39. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.147-148.
40. ა.ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ.119.
41. С.В.Белокуров. Материалы для русской истории. М., 1888.
42. იქვე, გვ.270.
43. იქვე, გვ.273, 274-275.
44. პ.კარბელაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ.208.
45. С.Белокуров. დასახ. ნაშრომი, გვ. 284, 285.
46. იქვე, გვ.324.
47. იქვე, გვ.352.
48. იქვე, გვ.324-325, 373.
49. იქვე, გვ.352.
50. იქვე, გვ.362-363.
51. აღექი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში საანგარიშო აღწერილობა. რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ., 1969, გვ.131.
52. ქ.ც., ტ.4, გვ.144.
53. გეორგიკა, ტ.5, გვ.55.
54. ქ.ც. ტ.2, გვ.261; ტ.4, გვ.225-226.
55. С.Белокуров. დასახ. ნაშრომი, გვ.325, 352-353.
56. იქვე, გვ.325, 353-354.
57. იქვე, გვ.354-355.
58. იქვე, გვ.330-331; 370-372.
59. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.245-246.

60. იქვე, გვ.246-248, 624-629.
61. ტოლჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ., 1970, გვ.36.
62. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ.118.
63. ტოლჩანოვის იმერეთში..., გვ. 104-106; ალექსი იევლევის..., გვ.122-126.
64. ტოლჩანოვის იმერეთში, გვ.113; ბ.ლომინაძე ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ.197.
65. ალექსი იევლევის..., გვ.173-175.
66. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.148.
67. ტოლჩანოვის იმერეთში..., გვ.74.
68. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.149.
69. დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და აღბოში საქართველოს შესახებ, გვ.178 (შენიშვნა).
70. ბ.ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, გვ.132. მისივე — ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ.200; საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.150 და ა.შ.
71. ხელნაწერთა აღწერილობა (კოლექცია H), ტ. V. შედგენილი და დასაბუქდად მოამზადებულია ლ.მეფარიშვილის მიერ აღ.ბარამიძის რედაქციით. თბ., 1949, გვ.74.
72. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.153-154.
73. ქ.ც., ტ.4, გვ.838.
74. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.155.

75. ქ.ც., ტ.4, გვ.836.
76. მაკარი ანტიოქელი. ცნობები საქართველოს შესახებ. — არმადანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. შემდგენელი მაგალი თოდუა. თბ., 1982, გვ.118-119.
77. ხელნაწერთა აღწერილობა (კოლექცია H), ტ.V, გვ.74.
78. М.Селезнев. დასახ.ნაშრომი, გვ.14.
79. იქვე, გვ.28.
80. იქვე, გვ.31.
81. იქვე, გვ.46; იხ. აგრეთვე Дж. Гамахариа, Б.Гогиа. დასახ. ნაშრომი, გვ.263-264; 635-637.
82. М.Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн.II. СПб, 1847, ст.162-163.
83. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალექსანდრის მიერ). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ.ასათიანმა, თბ., 1973, გვ.71.
84. გ.კალანდია. მარიამ ღვთისმშობლის სიწმინდეები და საქართველო. თბ., 1999, გვ.34-42; კ.კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედიის ტაძარი, გვ.24.
85. М.Селезнев, დასახ. ნაშრომი, წ.1, გვ.31.
86. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, გვ.83-84.
87. იქვე, გვ.71.
88. იქვე, გვ.72.
89. მაკარი ანტიოქელი. ცნობები საქართველოს შესახებ, გვ.121, 529.
90. იქვე, გვ.91.

91. იქვე, გვ.98.
92. იქვე, გვ.102.
93. იქვე, გვ.102-105.
94. Ф.Жордания. Краткие исторические сведения об автокефалии Грузинской Церкви. Кутаис, 1905, გვ.15.
95. მაკარი ანტიოქელი. ცნობები საქართველოს შესახებ, გვ.106-108; 114-115; 117.
96. იქვე, გვ.109.
97. იქვე, გვ.110-111.
98. იქვე, გვ.112.
99. იქვე, გვ.120.
100. С.Белокуров. დასახ.ნაშრომი, გვ.331,372.
101. მაკარი ანტიოქელი. ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 121.
102. იქვე, გვ. 111.
103. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1975, გვ. 105.
104. იქვე, გვ.107.
105. იქვე, გვ.108.
106. იქვე, გვ.116-117.
107. იქვე, გვ.126-127.
108. იქვე, გვ.132.
109. იქვე, გვ.137.
110. იქვე, გვ.138.

111. მიხეილ თამარაშვილი. ისტორია კათალიკოსობისა ქართველ-
თა შორის, გვ.199.

112. ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ.140.

113. იქვე, გვ.199, 384.

114. იქვე, გვ.142.

115. იქვე, გვ.155.

116. იქვე, გვ.212.

117. იქვე, გვ.147.

118. იქვე.

119. იგვე, გვ.150.

120. იქვე, გვ.151.

121. იქვე, გვ.156.

122. იქვე, გვ.157.

123. იქვე, გვ.179.

124. იქვე, გვ.180-181.

125. იქვე, გვ.186-198.

126. მ.თამარაშვილი. ისტორია კათალიკოსობისა, გვ.204-207.

127. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.156. ქართული
სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.612-613; 676-677, და ა.შ.

128. მ.თამარაშვილი. ისტორია კათალიკოსობისა, გვ.208.

129. იქვე, გვ.209.

130. იქვე, გვ.210-212.

131. ქ.ც., ტ.4, გვ.851.

132. ქართული სამართლის ძეგლები, გვ.676.

133. Дж.Гамахария, Б.Гогия, დასახ. ნაშრომი, გვ.845.
134. იქვე, გვ.289-290, 298, 301.
135. კ.კოხისა და ე.სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ.მამაცაშვილმა. თბ., 1981, გვ.135.
136. В.Н.Татищев. История Российская, т.1. М-Л., 1962, с. 164, 171, 202, 375, 414, 418, 422.
137. А.Н.Дьячков-Тарасов. Гагры и их окрестности. Тифлис, 1903, с.36-37.
138. А.Н.Дьячков-Тарасов. Бзыбская Абхазия. _ Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т.XVIII. Тифлис, 1905, с.85; მისივე, Абхазия и Сухум в XIX столетии. _ Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т.XX. Тифлис, 1909-1910, с.152, 210.
139. Материалы по археологии Кавказа. Выпуск II, გვ.10, 26-29, 33, 34-35, 38-39, 46, 49.
140. Утверждение Русского владычества на Кавказе. т. XII. თბ., 1902, გვ.417.
141. ქ.ც., ტ.4, გვ.845.
142. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ.ნაშრომი, გვ.292; ვ.ზუხბაია, გალი. თბ., 2002, გვ.73.
143. Д.И.Гулия. История Абхазии. Собр. соч., ტ.6, გვ.268; С.Басария. Редкие случаи долголетия в Абхазии. _ Труды АБНИИ, II. Сухуми, 1934, გვ.108; Ш.Д.Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, 1976, გვ.175; სერგეი ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, გვ.214-215. იხ. აგრეთვე Л.И.Лавров. Историко-этнографические очерки Кавказа. Л., 1978, გვ.127-128.

144. ბეჟან ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ.112-113.
145. გ.ბოჭორიძე. იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბ., 1995, გვ. 41, 50.
146. საქართველოს სიძველენი, ტ.1. ე.თაყაიშვილი. თბ., 1920, გვ.35-36.
147. იქვე, გვ.30-31.
148. ქ.ც., ქ.4, გვ.862-863.
149. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ.ი. თბ., 1921, გვ.88.
150. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.647-648.
151. იქვე, გვ.764.
152. იქვე, გვ.670.
153. იქვე, გვ.677.
154. ს.კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გვ.149-150.

6. ახალი აფხაზეთი და ბიჭვინთის ღვთისმშობელი. აფსუათა ხელიგიუხი ნახმოდგენები (XVIII ს.)

პოლიტიკური ვითარება დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთის საკათალიკოსო

XVIII საუკუნის პირ-
ველ ნახევარში პოლი-
ტიკური ვითარება და-
სავლეთ საქართველო-
ში კვლავ არასტაბი-

ლური რჩებოდა, რაც გამოწვეული იყო თურქეთის აგრესიით, აგრეთვე სამეფო-სამთავროებში ტახტისათვის ბრძოლის გამწვავებით.¹ იმერეთის მეფეს — გიორგი მეექვსეს (1703-1720 წწ) ხელისუფლებას ეცილებოდა გიორგი აბაშიძე. 1707 წელს რეალური ძალაუფლების დაკარგვის შემდეგაც სამეგრელოს მთავრის მხარდაქერით იგი აგრძელებდა ბრძოლას მეფის წინააღმდეგ. 1713-1714 წლებში იმერეთის ტახტი მამია III გურიელს, ხოლო 1717-1719 წლებში — გიორგი IV გურიელს ეკავათ. მომდევნო ორი წლის განმავლობაში იმერეთი სამართავად გაინაწილეს ზურაბ აბაშიძემ, ბეჟან დადიანმა და რაჭის ერისთავმა შოშიტამ.

1721 წელს ოსმალებმა იმერეთის ტახტზე ქართლის მეფის ვახტანგ VI-ს აღზარდილი და თანამოაზრე ალექსანდრე მეხუთე (გიორგი მეექვსეს ვაჟი) დასვეს; თურქეთისა და ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ მან 1724 წელს რუსეთს დახმარება სთხოვა; 1737 წელს მეფე პეტერბურგში გზავნის ქუთათელ მიტროპოლიტს ტიმოთე გაბაშვილს. იგი შეხვდა იმპერატრიცა ანა იოანეს ასულს და იმერეთის რუჟა გადასცა,² რომელზეც აფხაზეთი, ბუნებრივია, იმერეთის ფარგლებშია მოქცეული. რუჟაზე აღნიშნულია სამეფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სამხედრო და ქრისტიანული ცენტრები, მათ შორის ბედია, ილორი, მოქვი, დრანდა, ცხუმი,

ანაკოფია, ლიხნი და ბიჭვინთა.

რუსეთთან დაახლოების მცდელობის გამო, 1741წ, თურქეთის წაქეზებით ალექსანდრე V ტახტიდან ჩამოაგდეს ოტია დადიანმა, ზურაბ აბაშიძემ, აფხაზეთისა და რაჭის მმართველებმა. მეფემ ტახტი მალე დაიბრუნა, მაგრამ 1746 წელს კვლავ დაკარგა. 1749 წელს ალექსანდრე V ტახტს ხელახლა იბრუნებს; 1752 წელს — გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე მისი შვილი, ძლიერი მმართველი სოლომონ I (1752-1784 წწ) ავიდა.

სამეგრელოს მთავარს გიორგი IV დადიანს (ლიპარტელიანს) იმერეთის მეფესთან დაპირისპირების გამო შვილები აუჯანყდნენ და დახმარებისათვის მეფეს მიმართეს. გიორგი მეექვსე თავისი ლაშქრით ოდიშში შემოვიდა; სამეგრელოს მთავარმა თავი აფხაზეთს შეაფარა, ტახტზე კაცია I დადიანი (1709-1710 წწ) აიჯანეს. ეს უკანასკნელი მალე გარდაიცვალა, ტახტი ისევ აფხაზეთიდან დაბრუნებულმა გიორგი IV-მ დაიკავა; 1714წ, იგი კვლავ დაამხეს და სამეგრელოს მთავარი გიორგი IV-ს შვილი ბეჟან დადიანი (1714-1728 წწ) გახდა. ბეჟანი და მისი მემკვიდრე ოტია დადიანი (1728-1758 წწ) იმერეთის მეფეებთან იყვნენ დაპირისპირებულები.

სამეგრელოს შემადგენლობაში შემოდიოდა სამურზაყანო — თანამედროვე გალის რაიონი, რომელსაც XVIII ს. პირველ ნახევარში ყვამუ შერვაშიძის მემკვიდრე მურზაყანი განაგებდა. მან მოახერხა შედარებითი სიმშვიდისა და წესრიგის დამყარება, აკრძალა ტყე-თა სყიდვა. მადლიერმა მოსახლეობამ ამ მხარეს მთავრის სიცოცხლეშივე სამურზაყანო უწოდა. მურზაყან შერვაშიძის მემკვიდრე — ხუტუნია 1757 წელს ზრესილის ბრძოლაში დაიღუპა. მისი შვილი ლევანი კი სამურზაყანოს ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს — 1810 წლამდე განაგებდა.

აფხაზეთი მთლიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა. თავიანთი მმართველები ჰყავდათ საკუთრივ აფხაზეთს (ბზიფსა და კოდორს შუა მდებარე ტერიტორია), შუასოფელს — თანამედროვე ოჩამჩირის რაიონი და ტყვარჩელი (ამ მხარის ქართული სახელწოდება აფსუებმა პირდაპირ თარგმნეს — აბჟუა), წებელდას (ამ უკანასკნელს მარშანიები განაგებდნენ). აფსუები იოლად ახერხებ-

დნენ გაერთიანებას საერთო მტრის წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის დასაწყისში შავ ზღვაზე პეტრე პირველის დაპყრობითი გეგმებით შემფოთებული თურქეთი, ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში რუსეთის სავარაუდო დასაყრდენის — დასავლეთსაქართველოს წინასწარ დაკავებას შეეცადა. ამისათვის ქუთაისისა და სოხუმის თურქული გარნიზონები საკმარისი არ იყო, ამიტომ 1703 წელს თურქები გურია — იმერეთ — სამეგრელოში შეიჭრნენ. აფხაზები ამჯერად თურქეთის მხარეზე გამოდიოდნენ. საქართველო მაშინ სტამბოლში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებამ იხსნა.

1704 წელს აფხაზები უკვე ოდიშის მთავრის მხარეზე თურქების წინააღმდეგ იბრძვიან. ასე იყო 1714 წელსაც.³

1722 წელს იმერეთმა ქართლის სამეფოსთან ერთად რუსეთთან დიპლომატიური კავშირი დაამყარა. ამის საპასუხოდ თურქეთმა საქართველოს მთელი შავი ზღვისპირეთი — ბათუმიდან ბიჭვინთამდე — დაიკავა. მოსახლეობა, მათ შორის აფხაზეთში, სადაც ტრადიციულად ყველაზე ძლიერი იყო თურქთა გავლენა, ოსმალთა ბატონობას არ ურიგდებოდა. 1725 და 1728 წლებში აფხაზთა მცდელობა თურქთა განდევნისა უშედეგოდ დამთავრდა.

დაკავებულ ტერიტორიებზე საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად თურქები ისლამს ავრცელებდნენ. მათი გარნიზონების პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში გამაჰმადიანებული ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენდა.

1730 წელს ოსმალებმა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ჯიქების დამორჩილება განიზრახეს და ამ მიზნით ფოთის ფაშის სარდლობით ლაშქრობა წამოიწყეს. იმერეთის მეფე ალექსანდრე V თავისი რაზმით თურქეთის მხარეზე გამოდიოდა. თურქთა მოწოდებით, — როგორც წერდა ვახუშტი ბატონიშვილი, — მეფე აღეკაზმა, წარსვლად განმზრახი, რამეთუ შემდგომად მსახურებისა ოსმალთა დაიმორჩილოს მათით ურჩნი თვისნი იმერნი და, რა მივიდა ოდიშს, ეტყოდა დადიანი არა წარსლვასა: „ვინაითგან არა კეთილ არს დაპყრობა მათგან ზღვის კიდისა ჩვენთვის“. მეფემ

არ დაუჭერა ოტია დადიანს, ეახლა ფაშას და მასთან ერთად „წარვიდნენ ოდიშს. გარნა ოდიშარნი სრულიად დახიზნულ იყვნენ აფხაზეთამდე, ვინაილგან დადიანი არა იყო ფაშასა თანა. არამედ არბევდნენ ოსმალნი და იმერნი და სტყუევიდნენ, სადა ვის ჰპოვებდნენ. შევიდნენ ოსმალნი ილორს არამედ ხატნი და ჭუარნი და სახმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუღვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპეს დახატულობანი, და შემდგომად განვლეს და მოვიდნენ აფხაზეთს.

მაშინ არა მიენდო შარვაშიძე აფხაზით და ოსმალთა მოარბივნეს და ტყუე-ყვნეს, სადა რაი ჰპოვეს. არამედ შემდგომად მიენდო შარვაშიძეცა, ჰყვეს იგი მაჰმადიანად და ყოველნი მისთანა მყოფნი სრულიად.“⁴ ალექსანდრე V ამჭერად მიხვდა თავის შეცდომას და აზოვის მიმართულებით ზიქთა წინააღმდეგ არ წავიდა და გადალახეს თუ არა კოდორი, უკან გაბრუნდა. როგორც კი მდ. ეგრისამდე მოვიდნენ, „მაშინ ეწივნენ ოსმალნი აფხაზითურთ და იმერთა განამაგრეს კიდე მდინარისა“. მეფის რაზმის ნაწილი ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს, დანარჩენები ოდიშის გავლით („ყვეს ზავი“ დადიანთან) იმერეთში დიდი დანაკარგებით დაბრუნდნენ, ვინაიდან „აფხაზთა აილაფეს ბარგი იმერთა“. ამის შემდეგ აფხაზებსა და ოსმალებს შორისაც „იქმნა შფოთი, განეღტნენ აფხაზნი და უწყეს ღამით პარვა, კლვა კაცთა და კირთება ოსმალთა, — წერდა ვახუშტი.

იხილა ფაშამ და უკუმოიქცა ოდიშსვე, მაშინ დაესხნენ აფხაზნი, მოსრეს ბანაკი ოსმალთა და აოტნეს, რამეთუ ფაშა ივლტოდა ზღვით და სხუანი მოსრნეს უმეტესნი და მოიშთუნენ ზღუასა და მდინარესა შინა, აღიღეს ალაფი მათი დიდ-ფრიად და დაუტევეს მაჰმადიანობა და დაიპყრეს აფხაზთა თავისივე რჯული (არამედ ძლევისა ამას იტყოდიან სასწაულსა წმიდისა გიორგისა ილორისასა, რამეთუ ღამესა ამას ეტყოდა აფხაზთა განსვლად და განძლიერებდამათ ბრძოლად)“.⁵ ვახუშტი აკონკრეტებდა, რომ კოდორელი აფხაზები თურქთა განდევნისა და ძალით თავსმოხვეული ისლამის უარყოფის შემდეგ, მაშინათვე დაუბრუნდნენ ქრისტიანობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია არა ახლადჩამოსახლებულ, დრანდისა და მოჭკის გამანადგურებელ წარმართ აფ-

სუბეზე, არამედ შუა სოფელში (აბჟუაში) ბლომად დარჩენილ ქრისტიან ქართველ აფხაზებზე.

მიუხედავად სასტიკი მარცხისა, თურქებმა მალე მოახერხეს აფხაზებისა და ჯიქების დამორჩილება. მათ შეიპყრეს აფხაზეთის მთავრები — ჯიქშია შერვაშიძის მემკვიდრენი (მანუჩარი, შერვანი და ზურაბი) და თურქეთში წაიყვანეს, აფხაზეთის გამგებლობა კი სოხუმის კომენდანტის ასლან-ბეი გეჩისა (ჯიქი) და შერვაშიძეთა მეტოქე ძიადეშიფების ხელში გადავიდა. შერვაშიძეები თურქეთში გამაჰმადიანდნენ და ოსმალეთის სამსახურში ჩადგნენ. 1744 წელს მანუჩარი ბათუმის ბეგად, შერვანი ფოთის ციხისა და ჭანეთის გამგებლად, ხოლო ზურაბი სოხუმის მმართველად დაამტკიცეს. მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს იმერეთის მეფესთან და სამეგრელო-გურიის მთავრებთან. შერვაშიძეთა ასულები შეირთეს სოლომონ პირველმა, კაცია II დადიანმა და გურიის თავადმა გიორგი თავდგირიძემ.⁶ ამ კავშირს რაიმე სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია. ქართველი მეფე-მთავრები ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. ჭერჭერობით დახმარება არსაიდან ჩანდა. საქართველოსათვის არც ოსმალეთის მიერ დაშინებულ ევროპას ეცალა (ს.ს. ორბელიანის ელჩობა) და არც რუსეთს.⁷ ეს უკანასკნელი ტაქტიკური მოსაზრებით საქართველოს თურქეთის საკუთრებად აღიარებდა (რუსეთ-თურქეთის 1724 წლის 12 ივლისის ხელშეკრულება), შესაბამისად არანაირ დახმარებას არ უწყევდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა მისი ნაწილ-ნაწილ ანექსიისათვის.

შექმნილ ვითარებაში დიდ როლს თამაშობდა აფხაზეთის საკათალიკოსო გრიგოლ ლორთქიფანიძის მეთაურობით. ეკლესია რჩებოდა დასავლეთ საქართველოს ერთად-ერთ გამაერთიანებელ ძალად; იმ უმძიმეს ჟამს მთელი ეს რეგიონი მან გამუსულმანებას გადაარჩინა. კათალიკოსი თავისი შეუვალი ავტორიტეტით აქტიურად ერეოდა პოლიტიკურ საკითხებში. მისი ხელშეწყობით იმერეთში ხელისუფლებას ჩამოაცილეს გიორგი აბაშიძე და ტახტის კანონიერი მემკვიდრე გიორგი VI (ალექსანდრეს ძე) გაამეფეს. კათალიკოსმა ტახტიდან ჩამოგდებული გიორგი ლიპარტიანი თავის შვილს, დასავლეთ საქართველოში ანტიოსმალური მოძრაობის

ერთ-ერთ ხელმძღვანელს — ბეჟანს შეარიგა.

ახალჩამოსახლებულ წარმართ აფსუათა მოქცევის მცდელობა

გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომლის იურიდიული აფხაზეთზე ვრცელდებოდა, მიზნად ისახავდა ახალჩამოსახლებული აფსუების მოქცევას, მო-

ნათვლას. ამის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის მ.თამარაშვილი.

1713 წელს სპარსეთში მყოფი ფრანგი მისიონერი ი.რიშარდი, რომელიც საქართველოს გავლით სამშობლოში მიემგზავრებოდა, გაკათოლიკებულ სულხან-საბა ორბელიანს გორში შეხვდა და მისივე თხოვნით საფრანგეთში წაიყვანა. ისინი დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და 40 დღის განმავლობაში აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლ ლორთქიფანიძის სტუმრები იყვნენ. კონსტანტინოპოლში ჩასული რიშარდი 1713წ. 17 ნოემბერს საფრანგეთის მეფის მინისტრს ტურსის წერდა: „სამეგრელოსა და სხვა პროვინციების პატრიარქი შავ ზღვამდე წამოგვეყვანა. წინათ ამ პატრიარქმა ბევრ გზის გამოძიება და კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების სურვილი. მთხოვა გამოემგზავნა მისიონერები სამი ადგილისათვის, რადგან უნდოდა დაეყენებინა სამეგრელოსა, იმერეთსა და აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში. ამას აზრად აქვს სარწმუნოება განავრცელოს ჩერქეზთა შორისაც და აგრეთვე სხვა მახლობელ პროვინციებში, სადაც სულ წარმართები არიან. ბატონი საბა დაესწრო ყველა ჩვენს საუბარს და შეაგულიანა პატრიარქი, რომ მისთვის გაეყოლებინა თავისი შემწე დავით მონაზონი, რათა შემდგომ წამოჰყოლოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე გამოვგზავნიდი“.⁸

1714 წლის იანვარში რიშარდი, სულხან-საბა ორბელიანი და აფხაზეთის კათალიკოსის თანაშემწე დავითი მარსელში არიან. 1 თებერვალს ი.რიშარდი მინისტრ ტურსის წერილობით აცნობებდა: „ვგონებ, თქვენს ღიდებულებას ბატონი დეზალური (საფრანგეთის ელჩი თურქეთში — ჯ.გ.) აუწყებდა, რომ ამ ბატონს (სულხან-საბას — ჯ.გ.) სამეგრელოდან წამოჰყვანა ერთი მონაზონი, რომელმაც თავისი პატრიარქის ბრძანებისამებრ, უნდა წაიყვანოს ფრანგი მისი-

ონერები თავის ქვეყანაში; მათ პატრიარქი მისცემს სამ სახლს: ერთს-სამეგრელოში, ერთს-აბაშიძეებთან (იმერეთში) და მესამეც-აფხაზეთში, სადაც წარმართები არიან და მეზობლებადაც წარმართი ჩერქეზები ჰყავთ. სამეგრელოში იმ პატრიარქთან 40 დღე დავრჩი. ძრიელ კაი ხასიათის და გონიერი კაცია, კათოლიკე სარწმუნოების სიყვარულით და აგრეთვე ჩემის პატივის ცემით ბევრ გზის მეხვეწა, რათა მისთვის მომეყვანა მისიონერები. მეც მის მრავალგზის განმეორებულ ვედრებას უარი ვეღარ უთხარი და ამიტომ ვიკისრე ეს მინდობილობა. მას რა ვაცნობე ეს ჩემი თანხმობა, მომანდო წამომეყვანა ხსენებული მონაზონი, რომელსაც ძალიან ენდობა და დიდი იმედიცა აქვს, რომ ამან შეისწავლოს ჩვენი ენა და შემდგომ ასწავლოს თავისი ენა იმ მისიონერებს, რომლებიც ამას წაპყებინან.“

1714 წლის 11 თებერვალს ს.-ს. ორბელიანი წერილით მიმართავდა რომში კარდინალს და ითხოვდა მისიონერების გამოგზავნას დასავლეთ საქართველოში. საპასუხო წერილში (1714 წლის 17 აპრილი) გამოთქმული იყო კმაყოფილება საქართველოში და „მის გარეშე პროვინციებში“ კათოლიკობის გავრცელების სურვილისათვის და სულხან საბას რომში ჩასვლას სთხოვდნენ, რათა მისგან მოესმინათ „ყველაფერი და იხმარონ ყველანაირი შესაფერი და საჭირო საშუალება ამ წმიდა აზრის განსახორციელებლად.“⁹

საფრანგეთის მეფე ლუი მეთოთხმეტესათვის (მეფობდა 1643-1715 წწ) წარდგენილ მოხსენებაში (ფრანგულად შეადგინა რიშარდმა) სულხან-საბა, პირველ რიგში, ითხოვდა ქართლის გამგებლის, ირანში ტყვედ მყოფი ვახტანგ VI-ს (1703-1714 წლებში ქართლის გამგებელი, 1716-1721 წლებში ქართლის მეფე) განთავისუფლებაში დახმარებას. „გარდა ამ წყალობისა, — წერდა იგი საფრანგეთის მეფეს, — რომელსაც ვახტანგისათვის ვსთხოვ საფრანგეთის უძლიერეს იმპერატორს, კვლავ მინდა მოვახსენო მას ყოველად მდაბალი სათხოვარი სამეგრელოს პატრიარქისა. ამ ეპისკოპოსს მე, ძრიელ დიდი ხანია ვიცნობ სათნო კაცად; როცა მის პროვინციაში გამოვიარე, დიდის ვედრებით მევედრა, რათა რვა ანუ ათი მისიონერი ვსთხოვო მათ ხელმწიფებას, რომელიც ცნობილია მთელს აღმო-

სავლეთში ყველა მისიონერების მფარველად და შემწედ.

ამ პატრიარქის აზრის არის, რომ შეუერთდეს წმინდასაყდარსა და მისიონერებთან ერთად ეცადოს აფხაზების მოქცევა. იმის საბუთად, რომ ყოველსავე ამას გულწრფელად მთხოვდა, თან გამომატანა მონაზონი დავით, რომელსაც იგი უზომოდ ენდობა. ამან უნდა მოუყვანოს მას მისიონერები, რომლების გამოგზავნასაც მოელის მათის ხელმწიფობის გულკეთილობისაგან... ინებოს და მოწყალების თვალთ გადახედოს ეგოდენ გაჭირვებულ პროვინციებს. მას შეუძლია ამათგანს ზოგს გააცნოს ქეშმარიტი ღმერთი და ზოგიც ეკლესიის მორჩილი გახადოს.“¹⁰

საფრანგეთის მთავრობამ ვახტანგ მეფის განთავისუფლებისათვის საჭირო თანხის გაცემაზე თავი შეიკავა, მაგრამ მზად იყო, რომის პაპის თანხმობის შემთხვევაში, ყველაფერი ელონა დასავლეთსაქართველოში მისიონერთა გასაგზავნად.

1714 წლის 25 აპრილით დათარიღებულ მოხსენებაში (ავტორი უცნობია), რომელიც სულხან-საბას მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზეა შედგენილი (ასე ფიქრობდა მ.თამარაშვილი), კვლავ არის საუბარი „სამეგრელოს პატრიარქზე“ — გრიგოლ ლორთქიფანიძეზე, „რომელიც იმავე დროს პატრიარქია აფხაზებისა, იმერლებისა და გურულებისა;“ მის სურვილზე, „ჩერ თვითონ შეისწავლოს კათოლიკობა და შემდგომ რომის ეკლესიას შეუერთოს ყველა ეს ქვეყნები“. მოხსენების ავტორი წერდა, რომ საქართველოს მეფე ვახტანგიც „ძრიელ ნატრობს მიიღოს კათოლიკობა“; გარდა ამისა, იგი „თავისი მეუღლის საშუალებით დაკავშირებულია სამ მთავართან, რომლებიც განაგებენ ჩერქეზეთს და რომლებიც ძმები არიან: ამის გამო შემდეგში ადვილი იქნება მოქცევა ამათი ქვეშევრდომებისა, რომლებსაც ვრცელი და მიუდგომელი ადგილი უკავიათ კავკასიონის მთების იქითა მხარეს“. ვახტანგ VI-ს მეუღლე ნამდვილად იყო „ჩერქეზების ბატონის ასული რუსუდან“. მოხსენებაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დახასიათებულია როგორც პატიოსანი, მშვიდი, ზრდილი, უცხოელთა პატივისცემელი და შემწყნარებელი, მაგრამ „არც ერთ სარწმუნოებას არ ადგანან: ზოგნი ქრისტიანედ უწოდებენ თავიანთ თავს და

ზოგნიც მაჰმადიანად, ხოლო არც ერთმა და არც მეორემ იცის, თუ რა არის ის სარწმუნოება, რომელსაც ვითომ თვითონ აღიარებს“. ამ ხალხთან მისიონერების გაგზავნის „მიზანი ჭეშმარიტად ღირსია მეფის დიდებისა, მისი გულმოდგინებისა და მხურვალეებისა“;¹³ — ნათქვამია მოხსენებაში.

სულხან-საბა ორჯერ შეხვდა ლუი XIV-ს, ხოლო 1714 წლის ივნის-ივლისში ის რომშია, სადაც პაპმა კლიმენტი XI-მ (1700-1721 წწ) და კარდინალებმა დიდი პატივით მიიღეს. თბილისის მისიონში გასაგზავნად 12 კაპუცინი სწრაფად მოიძებნა, მაგრამ სამეგრელოში გასაგზავნათა ვინაობა, როცა საბამ რომი დატოვა, ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი. მალტის გავლით ის კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა, სადაც დიდხანს ელოდა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძესთან წასაყვან მისიონერებს. ნაშრომში „მოგზაურობა ევროპაში“ სულხან-საბა ორბელიანი, საუბრობდა რა მალტაში ყოფნის (1714 წლის დეკემბერი) შესახებ, წერდა: „ქართველნიც ვნახე — ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგად იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული“.¹⁴ სულხან-საბამ აფხაზი ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ქართველად ჩათვალა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი თანამედროვე წარმართი აფსუები, რომელთა მოსაქცევად პარიზსა და რომში მისიონერებს ითხოვდა, ქართველები არ იყვნენ; აფხაზეთი, მისი წარმოდგენით, სოხუმის იქით მდებარე ტერიტორიაა (იხ. სულხან-საბას ინფორმაციის გამოყენებით შედგენილი კავკასიის ფრანგული რუქა).¹⁵ ამიტომაც გაუკვირდა, „რატომ იცოდა“ ქართული, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია. 1714 წლისათვის ჩრდილო-დასავლეთი სამეგრელო აფსუათა მიერ 25-30 წლის ოკუპირებულია; იქ დარჩენილ ქართულ მოსახლეობას ენა და სარწმუნოება შენარჩუნებული ჰქონდა. ტყვებადაც სწორედ ქართველ აფხაზებს ყიდიდნენ და არა აფსუებს. ერთი სიტყვით, სულხან-საბა მალტაში, სავარაუდოდ, ქართველ აფხაზს შეხვდა.

1715 წლის გაზაფხულზე რომმა აფხაზეთის კათალიკოსის განკარგულებაში გასაგზავნი პატრები დანიშნა და ეს ახალი მისიონი

პარიზში მყოფ სამისრონერო კონგრეგაციას მიანდო. საფრანგეთის მეფემაც დაპირება შეასრულა — მისიონერთა შენახვის ხარჯები თავის თავზე აიღო. ამ მიზნით, ლუი XIV-მ წელიწადში ათასი სკუდო გადადო. რომის პაპმა კლიმენტი XI-მ სულხან საბას და აფხაზეთის კათალიკოსს გრიგოლ ლორთქიფანიძეს წერილობით აცნობა მისიონერების დანიშვნის შესახებ და თხოვა მათ, ყოველნაირი დახმარება აღმოეჩინათ პატრებისათვის. აი, კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილი პაპის წერილის სრული ტექსტი:

„პატივცემულ ჩვენს ძმასა, სამეგრელოს პატრიარქს, პაპი კლიმენტე XI.

პატივცემულო ძმაო, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი.

ვინაიდან ჩვენის მწყობრივის ვალდებულების გამო, მოვალე ვართ მამობრივი მზრუნველობა ვიქონიოთ მთელის ქვეყნის ყველა ქრისტიანებისათვის, ამიტომ სხვას არას ვნატრობთ, მის უმეტეს, რომ ყველა თვითოეული მათგანი შეუდგეს ქეშმარიტს საუკუნო ცხოვრების გზას. აწ აქედან შეგიძლიათ იგულისხმოთ, თუ როგორ გულმოდგინედ გვედრებით, რათა მოციქულებრივი მისიონერები, რომლებიც ამ მოკლე დროში მანდეთ უნდა გამოვგზავნოთ, გულკეთილად დაიფაროთ და თქვენის მფარველობით შეეწიოთ მათ კეთილისთვის შრომას, ვითარცა დაგვარწმუნეს თქვენს პატიოსნებასა და სიმართლის მოყვარებაზედ, რომ მზად ხართ ყველა უხვად მიანიჭოთ, ამიტომ დიდად ვიმედოვნებთ, როდესაც მათ აღმოუჩინთ თქვენს უხვს შემწეობას, მაშინ ამითი ჰყოფთ თქვენის ვალდებულების ღირსეულ საქმეს, ჩვენთვისაც მეტად სასიამოვნო და სათნო საყოფელი იქმნება ეგა და ეგრეთვე თქვენდამი მონდობილი ერისთვისაც შეიქმნება ფრიად სასარგებლო. აწ მხურვალედ ვვედრებით ყოვლის სიკეთის მომნიჭებელ უფალსა, რათა თქვენს ძმობას მოჰმადლოს ყოველი ბედნიერება და ჰყოს თვისის მოწყალებით, რომ სანთელი ფერხთა შენთა იყოს სიტყვა შენი და ნათელი ადგილთა შენთა. რომით. 7 მაისისა, 1715“.¹⁵

სულხან-საბა ორბელიანი კონსტანტინოპოლში ამაოდ ელოდა დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში წასაყვან მისი-

ონერებს. ლუი XIV-ს გარდაცვალებამ ეს გეგმა ჩაშალა.

მოტანილი მასალები ადასტურებენ, რომ აფსუების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთს და აგრეთვე ჩერქეზეთს დანარჩენ საქართველოსთან პოლიტიკური და განსაკუთრებით რელიგიური კავშირი არ გაუწყვეტიათ. აღნიშნულ ტერიტორიებზე აფხაზეთის კათალიკოსის იურისდიქცია ვრცელდებოდა. საკათალიკოსოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო აფხაზეთის პროვინციაში ჩამოსახლებული წარმართების მოქცევა. აქსაუბარია აფსუებისათვის არაადრე „მიღებული“, მაგრამ შემდგომში „დავიწყებული“ სარწმუნოების „შეხსენებაზე“, არამედ ამ წარმართი ხალხის მონათვლაზე. აფსუების მოქცევის საკითხი ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ პირველად XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ დასვა, თანაც საერთაშორისო არენაზე. როცა მისი თხოვნის შესახებ ლუი XIV-ს მოახსენებდა, სულხან-საბა აღნიშნავდა, რომ მისიონერთა გამოგზავნით მეფეს შეუძლია საქართველოს გაჭირვებული პროვინციებიდან „ზოგს გააცნოს ჭეშმარიტი ღმერთი და ზოგიც ეკლესიის მორჩილი გახადოს“. ჭეშმარიტი ღმერთის გაცნობა, ქრისტიანულ რწმენაზე მოქცევა ესაჭიროებოდათ წარმართებს (აფსუებს), ქართველებს კი — რწმენაში განმტკიცება, ეკლესიური ცხოვრების წესის დამკვიდრება. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ იმაზე მიუთითებს, რომ პირველ საუკუნეებში მონათლული აბაზგები, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული ცენტრების შემქმნელები და XVIII საუკუნეში წარმართობის მიმდევარი აფსუები სხვადასხვა ხალხებია.

აფხაზეთის საკათალიკოსო ახალი აფხაზეთის გარეშე

გორც გონიერი და სამართლიანი ადამიანი. დასავლეთ საქართველოს სახელით არა რომელიმე მეფე ან მთავარი უკავშირდება საფრანგეთის მეფეს და რომის პაპს, არამედ კათალიკოსი გრიგოლ

განხილული მასალებიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი იყო კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ავტორიტეტი. იგი ხასიათდება რო-

ლორთქიფანიძე, რაც მის გავლენაზე და ზოგადად ქართული ეკლესიის ავტორიტეტზე მეტყველებს. კათოლიკური სარწმუნოებისადმი მის ლოიალურ დამოკიდებულება კი, რაზეც სულხან-საბა და რიშარდი უთითებენ, ურთულესი პილიტიკური სიტუაციით, ერის ფიზიკური და სულიერი განადგურებისაგან ხსნის მიზნით დასავლეთ ევროპასთან დაახლოების სურვილით უნდა აიხსნას; პირადად მას კათოლიკობა არ მიუღია, პირიქით, იგი მართლმადიდებლობის გაძლიერებისათვის ზრუნავდა.

გრიგოლ ლორთქიფანიძე იბრძოდა ტყვის ყიდვის საშინელი სენის აღმოსაფხვრელად. 1701 წელს კათალიკოსმა ასეთი ხელწერილი ჩამოართვა გიორგი ლიპარტიანს: „...ასე რომ, დიდი საცოდავი საქმე მომიხდა და თქვენ საკანონოდ ტყვის ყიდვის გადაგდება გვიბრძანეთ, ანუ თუ გურიელი და ჩვენ გავერთიანდით და გავრიგდით, მას უკან ტყვის ყიდვა გარდავაგდო, და სხვა რომელიც შემეძლოს, რომელიც ან თქვენ, ან ჩემა მოძღვარმა და ან ანტონმა გენათელმა გვიბრძანოს, ის ვქნათ, თვარამ თქვენ უბრალო და უკანონო ბრძანებოდეთ. ამის თავდებად მოგვცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი, უხორციონი და ხორციელნი. არის ამისი მოწამე თავად ბატონი გენათელი ნიკოლოზ, ჩაისელი ღოღობერიძე სვიმონ, პატრიარქის ვეჟილი პაპა ლავრენტი“.¹⁶

კათალიკოსმა ფიცი დაადებინა (გიორგი VI-ს მეფობის პერიოდში) აგრეთვე ბიჭვინთის ღვთისმშობლის ყმებს ბურჯანაძეებს, რომ „არც ტყვის გაყიდვას და შუამავლობაშიდ გავერიოთ, არც მოპარული ტყვე დავიჭიროთ...“¹⁷ მან ოდიშში ღვთის მსახურების შეწყვეტის მუქარით 1717წ. ბეჟან დადიანს ფიცი დაადებინა თავის სამფლობელოში ტყვის ყიდვის აკრძალვის შესახებ.¹⁸

გრიგოლ ლორთქიფანიძე ცდილობდა ქვეყნის დამღუპველი შიდაომების შეწყვეტას, მეფე — მთავართა გაერთიანებას საერთო მტრის — ოსმალეთის წინააღმდეგ, მართლმადიდებლობის დაცვას ისლამის შემოტრევისაგან, ერთიანი ძალისხმევით თურქების მიერ დაკავებული ქუთაისის ციხის განთავისუფლებას. გიორგი აბაშიძისა და გიორგი ლიპარტიანის მმართველობის პერიოდში იმერეთის, ოდიშისა და რაჭის ყველაზე გავლენიანმა თავადებმა დასამ-

ღველოვებამ „ეჲ აუარებელი, მტკიცე შეუცვლებელი, უტყუარი, უჩხუბარი, სიტყვით სრულ-ქმნილი და დღეთა ჩვენთა სიკვდილამდის გასათავებელი ფიცი, პირი და საფიცრის წიგნი“ უბოძეს „ჩრდილოისა და აფხაზეთის კათალიკოსს ბატონს გრიგოლს და ქუთათელს ევდემონს და გენათელს ნიკოლოზს ასრე და ამა პირსა ზედან, რომე იმერეთს თათრებისაგან დიად ძალი დამართებოდათ და ქრისტიანობა მოუძღურებულეიყო მერმე მოგვიდექით კარსა და ერთობით საფიცარი მოგართვით ჩვენ, რომ დღეს შემდგომში იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად ჩვენ თათარს არც პირი მივსცეთ და თუ ვინ იცის და თათარი ლაშქრით აქ ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად, ჩვენ არც მივიდეთ მასთან და უწინამძღვაროთ, და არც არა მათი ვიწამოთ რა. ამ იმერეთის წახდენის საქმეზედ და კიდეცა ამ ციხის აღება და წახდენა მართლის გულით მოვიჭირვოთ, და არ უსუსტოთ ციხის აღების საქმე“.¹⁹

კათალიკოსმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ ბიჭვინთის ღვთისმშობლის დაცემული მეურნეობა აღადგინა. მის მიერ სხვადასხვა დროს შედგენილი შეწირულობის წიგნების მიხედვით, კათალიკოსმა ბიჭვინთას ყმა-მამულეები შესწირა ან იმერეთის მეფეებსა და ოდიშის მთავრებს შეაწირვინა ხორგაში (ნაპარკვეის სასახლე), ხობში, ბიაში, სახარაბედოში, „ოდიშის თავს მეჯეთს“, სენაკში, თეკლათში, ტყვირში (მეფე ალექსანდრე მეხუთემ მეუღლის, დადიანის ქალის „ნიშანშიდ შესწირა“ ტყვირის მონასტერი „მისის სამწყაოიანად და ნიშნიანათ, ტყთ, წყლით, აგარაკით, სავენახით, უძებრით და საძებრით და ყოვლის მისის შემოსავლით“), მათხოჯში, გეგუთში, კონტუათში, ჩხარში, ოკრიბაში, ხრესილში, კრიხში, ახალსოფელში, წყალიძგაში, „რაჰის ბარის თავს სასახლე ვარდის გორაკბოში... თავის ყოვლისფერიანად“, ფუტყეთში, ამბროლაურში და ა.შ.²⁰ გრიგოლ ლორთქიფანიძის მთელი საქმიანობა ამ მიმართულებით შეჯამებულია მისსავე შეწირულობის სიგელში ბიჭვინთისადმი (1733 წლის 16 ოქტომბერი). დოკუმენტისთვის წამძღვარებულ იმ დროის ცნობილი მწერლისა და ღვთისმეტყველის ნიკოლოზ ჩერქეზიშვილ-რუსთაველის იამბიკოში წარმოჩენილია კათალიკოსის ღვაწლი ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე (იხ. დანართი №15)

. მის ერთ-ერთ დამსახურებად მწერალს მიაჩნდა ის, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძეს „უვის აფხაზნი საწვრთნელად, რაი ჩრდილოსათვის არს მშრომ“.

აფსუათა შემოსევების შედეგად სოფლების ნაქანეულისა და ხორის განადგურების, გადარჩენილი გლეხების სამეგრელოში გადმოყვანის შემდეგ ბიჭვინთის ღვთისმშობელს აფხაზეთში ყმამაშულები არ დარჩა.

გრიგოლ ლორთქიფანიძემ წინამორბედი კათალიკოსის დავით ნემსაძის შექმნილი, მაგრამ შეუწირავად დარჩენილი გლეხები, რომლებიც მისივე სიტყვებით, ჩვენ ვიქრთამეთ და ვიშოვნეთ, „ბიჭვინთის ღვთისმშობელს შესწირა.“²¹

ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკონომიურ გაძლიერებას ემსახურებოდა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ გატარებული ღონისძიება — ძველი სულადი გადასახადის ნაწილისა და იმ დროისათვის უკვე დაკარგული ფულადი ბეგარის სასაქონლო მნიშვნელობის სანთლის ბეგარით შეცვლა.²² მან შეადგინა სანთლის ბეგარის დავთარი ბიჭვინთისადმი, სადაც ვკითხულობთ:

„ჩრდილოსა და აფხაზეთის კათალიკოზმან ლორთქიფანიძემ გრიგოლ... მოგართვით დავთარი ესე, დავდევით ტაძარსა შინა თქვენსა, ასე რომე მოკითხული ვქენით იმერეთს, ოდიშს, გურიას და ბიჭვინტას ჟამთა ვითარებისაგან შეწირული სანთელი საკათალიკოსო მონასტრებშიდ აღარ იყო, არც შევიდოდა...“

ჩვენს კათალიკოზობაშიდ თქვენს მონასტრებს სანთლები დაკლებოდა, არ იქნებოდა; ზოგი რომელიმე ოცისა და ათის წლიდგან დაკარული ყოფილიყო და ჩვენ ამოვიყვანეთ და ხელახლა ჩვენ დავასახლეთ და შემოგწირეთ.

ზოგს ბეგარის თეთრი ემართა. იმ თეთრის ნაცვლად სანთლის ბეგარა დავადევით. რუბისთვის ჩარეჟი და მარჩილისთვის შამახური იმერეთს, ოდიშსა და გურიას ლოღარიკით.

და ჩვენი ნაშოვარი და ხელახლა შეწირული კაცები, რომელიც არის, მეხადილეს საჩუქარი შევაწიეთ და მელორეს საკლავი უმფროსის მისის ქათმიანათ; და ესე შელავათით მის-მისი სანთელი დავადევით.

აწ ჩვენი ამოყვანილი და შეწირულიც რომელიც არის მესანთ-
ლე, იმათ გასამყოფო აღარ ეთხოვებოდეს არც კათალიკოზისაგან
არც სხვა მოხელისაგან. და რომ გაიყოფოდნენ, ხატის სანთლის ბე-
გარა მთლად გაყვებოდეს“.²³

დიდი მამულიშვილი — გრიგოლ ლორთქიფანიძე საქართველოს
სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ერთიანობის აღდგენაზე ოც-
ნებობდა. მის ერთ-ერთ ბეჭედს ასეთი წარწერა ამშვენებდა: „გრი-
გორ მწუქსი ქეს მიერ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოსი“. ცნო-
ბილია მისი სხვა ბეჭედებიც წარწერებით: „მეუფე და მღვდელი
მთავარნი აფხაზეთის კზი გრიგოლ“. „მეუ(ფე) და მღვდელთ მთავა-
რი აფხაზეთისა კათალიკოზი გრიგოლ“; „მეუფე და მღვდელმთა-
ვარი ყოვლისა აფხაზეთისა კ-ზი გრიგოლ“.²⁴ კათალიკოსი გრიგოლ
ლორთქიფანიძე ვერ მოესწრო „ყოვლისა საქართველოსა“ და „ყო-
ვლისა აფხაზეთის“ ხილვას — 1742 წელს გარდაიცვალა.

აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ბესარიონ რაჭის ერისთავის ძემ
(იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ს შვილიშვილმა) დაიკავა. არ არის გა-
მორიცხული, 1742 წელს მცირე ხნით, როგორც ვახუშტი ბატო-
ნიშვილს მიაჩნია, კათალიკოსის ტახტზე გერმანე წულუკიძე მჯდა-
რიყო. კ.კარაბელაშვილისა და ს.კაკაბაძის აზრით, იგი 1742-1750
წლებში მართავდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიას.²⁵ გამოთქ-
მულია სხვა მოსაზრებაც — გერმანე XVIII საუკუნის შუახანებში
სხვა კათალიკოსთან ერთად იყო ბიჭვინთის საქეთმშპრობელი,²⁶
თუმცა ამის დამადასტურებელი წყაროები ჯერ-ჯერობით ჩვენთ-
ვის უცნობია.

ყველა შემთხვევაში აშკარაა, რომ აფხაზეთის კათალიკოსის ტახ-
ტზე ბესარიონ ერისთავი 1742 წელს ავიდა. ეს ჩანს მისი ბეჭედიდა-
ნაც, რომელზეც იკითხება: „ქ.მფე და მღვდელმთავარი აფხაზეთი-
სა კ-ზი ბესარიონ 1742“.²⁷ მფე II მეფე სამეფო ოჯახთან კათალიკო-
სის ახლო ნათესაურ კავშირზე, ამ ოჯახის წევრობაზე მიუთითებდა.

საკუთრივ აფხაზეთთან და აფსუებთან აფხაზეთის კათალი-
კოს ბესარიონ ერისთავის ურთიერთობის შესახებ ცნობები არ
მოგვეპოვება. სავარაუდოდ, ეს ურთიერთობა არც არსებობდა,
თუმცა, მხედველობაშია მისაღები ბედიელ მიტროპოლიტის

მაქსიმეს ხელმოწერა სამეგრელო-გურიის მთავრების, სხვა წარჩინებულთა და სამღვდელთა წარმომადგენელთა მიერ 1759 წლის 30 დეკემბერს სოლომონ მეფისათვის მირთმეულ პირობის წიგნზე ტყვეთა სყიდვის აკრძალვის თაობაზე (მასში დაფიქსირებულია თედო ჟორდანისა შორეული წინაპრების გვარიც — „ერთობით ჟორდანია“; მათი შთამომავლები აფხაზეთში XIX საუკუნეში აქტიურ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ); მაქსიმე ბედიელი მონაწილეობდა აგრეთვე 1759 და 1761 წლების დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებებში. პირველმა კრებამ (1659წ) მიიღო გადაწყვეტილება ქუთათლის კათედრის აღდგენის („საქუთათლოს მოუშლელობის“) შესახებ; მეორემ (1761წ,) — ხონის საყდრის სახეცო და სამრევლო გამოსაღების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტებს სოლომონ პირველთან, აფხაზეთის კათალიკოს ბესარიონ ერისთავთან და სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ხელს აწერდა ბედიელ მიტროპოლიტი მაქსიმე იაშვილი.²⁸

მართალია, ბესარიონ ერისთავს აფხაზეთთან უშუალო ურთიერთობა არ ჰქონდა, მაგრამ შეწირულობის წიგნში ბიჭვინთისადმი იგი ასე მიმართავდა ღვთისმშობელს: „...ჩვენ სიწმინდისა შენისა მოსაგ-მსასოებელმან და ცვა-ფარვათა შენთა მონღობილმან ლიხთამერთა, ოდიშართა, პონტო-აფხაზ-გერიათა, რაჭა-ლეჩხუმთ-სვანთ-ოსთ-დვალთა და სრულიად ჩრდილოეთისა საქეთმპყრობელმან რაჭის ერისთავის ძემან კათალიკოზ-პატრიარხმან უფალმან, ბატონმან ბესარიონ შემოგწირეთ კნინი ესე შესაწირავი“... (შესაწირავი მართლაც კნინი“ იყო: „ძიროანს ორი გლეხი“).²⁹ ერთ-ერთ დოკუმენტში თავის ტიტულატურას იგი ასე წარმოადგენდა: „განგებელმან ყოვლისა აფხაზეთისა მწყობთავარმან და ბიჭვინთისა ეკლესიისა საქეთმპყრობელმან კათალიკოზმან ბატონმან, რაჭის ერისთავის ძემან ბესარიონ.“³⁰

კათალიკოსს დიდად არ უზრუნია ბიჭვინთის ღვთისმშობლის მამულების გაფართოებისათვის, სამაგიეროდ აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის ეწინააღმდეგებოდა სოლო-

მონ I-ის გამაერთიანებელ პოლიტიკას და მეფის წინააღმდეგ მებრძოლ საკუთარ ძმას — რაჭის ერისთავს როსტომს და მის მოკავშირეს, თავის დისწულს — კაცია II დადიანს უჭერდა მხარს. ერისთავმა და დადიანმა მეფის წინააღმდეგ ოსმალეთის ჯარის გამოყენება განიზრახეს. 1768წ. ახალციხის ფაშასთან მოსალაპარაკებლად ბესარიონი გაგზავნეს. ფაშამ კათალიკოსი დააპატიმრა. მან მოახერხა იქიდან გაქცევა და ოდიშში დაბრუნდა. კაცია II დადიანმა ბესარიონი სამეგრელოს „კათალიკოსად“ გამოაცხადა. აფხაზეთის კათალიკოსად კი 1769 წლის 10 მაისს სოლომონ I-ს ძმა ბატონიშვილი იოსები (1769-1776 წწ) იქნა დადგენილი. ორხელის უფლებიანობა ბესარიონ ერისთავის გარდაცვალებამდე (1773 წელი) გრძელდებოდა.³¹

კათალიკოსი იოსები, იბრძოდა რა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ერთიანობისათვის, არ ცნობდა სამეგრელოს „კათალიკოს“ ბესარიონს; იგი ცდილობდა კაცია II დადიანისა და სოლომონ I-ს შერიგებას, სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებას; როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებელს, კონფესიონალურ ნიადაგზე უთანხმოება ჰქონდა იმერეთში მყოფ იტალიელ კათოლიკე მისიონერებთან.³² შეწირულობის წიგნში ბიჭვინთისადმი იგი თავის თავს „პონტო-ჩრდილო და აფხაზ-იმერთა სავსებისა კათალიკოზ მამამთავარს“ უწოდებდა, ხოლო ერთ-ერთ დოკუმენტში მოიხსენიება როგორც „აფხაზ იმერ გურია სამეგრელოსა, ესე იგი სრულიად ქვემოისა ივერიისა კ-ზე მამამთავარი იოსიფ დავითიანი“.³³

კათალიკოს იოსების მოღვაწეობის ამსახველ მასალებში საკუთარი აფხაზეთთან მისი კავშირ-ურთიერთობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ეს გასაგებიცაა. თურქეთის ბატონობის, ისლამის მოძალებისა და მწვავე შიდაფეოდალური დაპირისპირებების პირობებში ვერ ხერხდებოდა აფხაზეთისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, ამ ტერიტორიაზე ახლად დამკვიდრებული მოსახლეობის მონათვლა, რისი სერიოზული მცდელობა გრიგოლ ლორთქიფანიძის კათალიკოსობის შემდეგ XVIII საუკუნეში არც ყოფილა.

აფსუათა რელიგიური წარმოდგენები. თანამედროვე აფხაზი ერის ჩამოყალიბების თავისებურებანი

ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულმა ჩერქეზულ-ადილურმა ტომებმა თან ჩამოიტანეს თავიანთი უძველესი რელიგიური მრწამსი — წარმართობა. მიუხედავად თურქულ-ისლამური ექსპანსიისა, ადგილობრივი ქართული

ქრისტიანული კულტურის გავლენისა, აფსუებმა ვერ თუ არ გაითავისეს არც ერთი და არც მეორე ახალი, მათთვის უცხო რელიგია, დარჩნენ რა ერთგულები მამა-პაპური წარმართობისა. დღემდე შემორჩენილია მთების, საქართველოში ჩამოსახლებისას გადალახული გადასასვლელების (ხიმსა და ძინა, სანჩარი, მდინარეების ბზიფისა და ზელენჩუკის სათავეები და ა.შ.), მდინარეების, ქალების, ხეების თავყანისცემა. ეს საკითხები დეტალურად აქვს შესწავლილი სალომე ბახია — ოქრუაშვილს.³⁴ მართალია, ის ცდება, როცა ზოგიერთი მკვლევარის ზეგავლენით (ნ.ლომოური და სხვა), აფსუებს თანამედროვე აფხაზეთის უძველეს (პირველი საუკუნეებიდან) ბინადრებად (რომლებსაც ვითომ XVI-XVII საუკუნეებში ახლადჩამოსახლებული თანატომელები შეემატათ) მიიჩნევს, მაგრამ ამავე დროს გვაწვდის საკმაოდ მდიდარ და საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას მათი ჩამოსახლებისა და აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე თანდათანობითი განფენის კვალობაზე წარმართული სალოცავების დაფუძნების შესახებ. ავტორი ასაბუთებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებული მოსახლეობის განსახლების თანმიმდევრობის, სალოცავების მოძრაობისა და გადაადგილების მთელი სისტემა შეიქმნა; მიგრანტთა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა შემოჭრილი ნაკადების მიმართულების გეზით ათვისებულ იქნა ჯერ აფხაზეთის მთა, შემდეგ მთისწინეთი და ბოლოს-ბარბი. შესაბამისად, მიმდინარეობდა საგვარო სალოცავების ამ მიმართულებით გადანაცვლება.

წარმართულ სალოცავებს შორის უძველესია აფსუათა ძირითადი გვარებისათვის საგვარო მფარველი ღვთაება, ძირი სალოცა-

ვი მთა ფსხუ. მისი დაფუძნება XV-XVI საუკუნეებზე ადრე არ არის სავარაუდებელი. აფსუური სალოცავების შესახებ ცნობები კი XVIII საუკუნიდან მოიპოვება. ფსხუს სალოცავი (ნიხა) ამჟამადაც ღვთაების ფუნქციას ასრულებს მასთან დაკავშირებული გვარებისათვის: ადღეობა, ბაზბა, ემუხვარი, ზუხბა, ინალ-იფა, კია-ხირიფა, კვიწინია, მარშანია, ნანბა, პტიში, საძბა, სიმსიმი, ტრაფში, ჩამბა, ჩხუფი, ციმციმი, ხვატიში და ა.შ. აფსუათა წარმოდგენებში ფსხუ უკავშირდებოდა ლეგენდარულ თუ რეალურ წინაპრებს, რომლებმაც უცნობი გადასასვლელისადმი შიშის ზღვარი გადალახეს და გადმოიარეს, სადაც სამყარო „მთავრდებოდა“. მისი გადმოლახვის შემდეგ კი აღმოაჩინეს მათთვის სრულიად უცნობი ახალი ტერიტორია, რომელიც ახალი ცხოვრების დასაწყისი გახდა. ამისათვის მიგრირებული მოსახლეობა მადლობას სწირავდა მთა ფსხუს. იგი თანდათანობით მათი საკრალური ობიექტი და თაყვანისცემის საგანი ხდებოდა. სალოცავი დღესაც ტაბუირებულია. ამ ადგილებში აქრძალულია ნადირობა, ტერიტორიის საძოვრად გამოყენება. აქაური ცხოველები, ხეები და ბალახები მხოლოდ ამ ღვთაების კუთვნილებაა; ფსხუსადმი რწმენა მათი ძველი და ახალი ბინადრობის ურთიერთდამაკავშირებელია.³⁵

ფსხუდან მთისწინეთსა და ბარში ჩამონაცვლებული მთიელები გადაადგილების მიმართულებით თავის კვალს ახალი საგვარო სალოცავების დაარსებით ტოვებდნენ. ჩამოსახლებულთ თან მოჰქონდათ ფსხუ სალოცავის განაყოფი „წილები“ და ახალ-ახალ მოსახლო ადგილებთან ამკვიდრებდნენ. ასეთ „წილებს“ შორის ბზიფის აფხაზურ მოსახლეობას ფსხუს შემდეგ ყველაზე ძველ და ყოვლის შემძლე დიდრიფშის სალოცავი მიაჩნდა. იგი გუდაუთის რაიონში მთა დიდრიფშზე უძველესი ქრისტიანული ძეგლის — წმ. მარიამის მიძინების ტაძრის ნანგრევებთანაა დაბრძანებული. მთის ძირში გაშლილია სოფ. აჭანდარა. ტოპონიმის ქართული ქდერადობა (მეგრ. ჭანდარი // ჭადარი) და ქრისტიანული ძეგლის არსებობა აფსუათა მოსვლამდე აქ ქართული მოსახლეობის ყოფნაზე მიუთითებს.

ფსხუს სალოცავის „წილია“ ლიძავას სალოცავი, რომელიც ამა-

ვესახელწოდების გორაკზე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ნანგრევებზე იყო დაფუძნებული. მას ეძღვნება ა.ჩუკბარის წერილი „Анан Лдзაа-ных“, რომელიც 1915 წ. აპრილ-მაისში ყურნალ „Содрудник“-ში (№9-11) არის გამოქვეყნებული. ფსხუს „წილებიდან“ საინტერესოა ლაშქენდარის (ტყვარჩელთან) სალოცავი. ტოპონიმი სვანურად სამქედლოს ნიშნავს. ლაშქენდარის მთაზე შუასაუკუნეების ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი იდგა, რომელიც თავად ა.გ. შერვაშიძის (ის მაშინ სოხუმის ქალაქის თავი იყო) გადმოცემით, თავისი ზომებით, ბიჰენთის ტაძარსაც კი აღემატებოდა.³⁶ წარმართული სალოცავის დაფუძნებამდე, ს.ბახია — ოქრუაშვილის აზრით, აქ ქართული ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობდა.

ფსხუს სალოცავის გამონაყოფი „წილია“ იმავე მთაზე დაფუძნებული ინალის საფლავის (ინალ ყუბე) სალოცავი, ჩერქეზთა ერთ-ერთი ნათესაური ჯგუფის წინამძღოლი, მხედართმთავარი ინალი მშვიდობისმოყვარე და ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველი ადამიანი ყოფილა. მას აბაზთა წინამძღოლი ოზდემირი დაპირისპირებია. უძლეველი ჩერქეზების შიშით იგი მთაში გაქცეულა. ინალი დასდევნებია და ბევრი აბაზი, მათ შორის ოზდემირიც მოუკლავს. ასე აღმოჩნდა ჩერქეზთა მხედართმთავარი მდ. ბზიფის სათავეებთან. ინალს აქ არსებული აბაზური მოსახლეობა დაუმორჩილებია და თავის მებრძოლებთან ერთად იქვე დასახლებულა. გარდაცვალების შემდეგ მთა ფსხუსზე დაუკრძალავთ. ინალი რეალური წინაპარი იყო, რომელმაც ჯერ აფხაზეთის მთაში და შემდეგ ბარში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულთა ახალ ტალღას დაუდო საფუძველი. ამიტომ მათ თვალში ზებუნებრივი ძალით დაჭილდოებული ბელადი ღვთაებამდე ამაღლდა. აფსუები და ჩერქეზები საკუთარი წინაპრის საფლავს უვლიან და აღმერთებენ. თავისი სიძლიერითა და სიწმინდით იგი ფსხუსა და დიდრიფშის სალოცავებს გაუტოლდა. ინალ ყუბეს და სხვა ძლიერი სალოცავების მიდამოებში სიმშვიდის დარღვევა, საქონლის ძოვება, ხისა და ბალახის მოჭრა აკრძალულია.

ინალ ყუბეს სალოცავმა მთელი რიგი აფსუური, უმეტესად

მუსულმანური ორიენტაციის გვარების ძირი სალოცავის ფუნქცია შეიძინა. ვინაიდან ადიღე-ჩერქეზთში მუსულმანობის ნაწილობრივი გავრცელება XVI საუკუნიდან იწყება, მუსულმანური იერის მქონე ინალ ყუბეს სალოცავის დაფუძნება და მაჰმადიანური მოსახლეობის ჩამოწოლა XVI საუკუნის შემდგომ პერიოდშია სავარაუდებელი. მთავარ ღვთაებას — ფსხუს სალოცავსაც მუსულმანური იერი აქვს.³⁷ ეს გარემოება გვეხმარება ამ სალოცავების დაფუძნების მიხსლოებითი დროის დადგენაში — XVI-XVIII სს.

მიგრაციული პროცესები გრძელდებოდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე აფსუბმა ეთნიკურად აითვისეს ტერიტორია მდ. ლალიძგამდე და ნაწილობრივ თანამედროვე გალის რაიონშიც შემოაღწიეს. მიგრაციული პროცესის პარალელურად წარმართულმა სალოცავებმა მთებიდან ტყის ნაპირებზე, ქალებში და ზოგჯერ მრავალწლიანი ხეების ქვეშ გადმონაცვლეს. ამგვარ „წილებს“ შორის თავისი სიძლიერით გამოირჩეოდა თავდაპირველად დოპუას საგვარო სალოცავი, რომელმაც მოგვიანებით სოფ. აძიუბუას სხვა გვარების მფარველი ფუნქციაც შეიძინა. ცნობილია ლეიბას გვარის ძირი სალოცავის არსებობა სოფ. მუგუძირხვაში. 1912 წელს მღვდელმა ნ. პატეიფამ სპეციალურ წერილში აღწერა ლეიბების წარმართული დღესასწაული, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა. „Этот посёлок (მუგუძირხვა — ჯ.გ.) — წერდა იგი, — ежегодно в первую среду после сошествия Св. Духа на апостолов с особым торжеством совершает языческий обряд моления и жертвоприношения в особой священной роще “Аны хварта” (место моления). Главные заботы по приготовлению к этому дню возлагаются по строго соблюдаемой очереди на одного из членов этого поселка. Все приготовления и менее важные обряды, относящиеся к этому празднику, совершается в доме этого очередного, _ он должен кождий раз угощать весь посёлок и гостей, которых бывает много и из других селений.

Лейбовы в своей молитве обращаются к “аныхе”

(иконе), называя ее “Леиаарныха” (икона Лейбовых). Специально для этой аныхи есть знахарка, избранная, по ее словам, самой аныхой и говорящая по вдохновению аныхи. А самим поселком раз навсегда избирается из своей среды старик _ жрец “аныхапаявы” и шесть старух “ачакуахацва”. В случае смерти кого либо из избранных поселком лиц сейчас же избирается новое лицо взамен умершего...

Недели за две до главного торжественного дня выбирают до трех человек и посылают их в пастбишные места ближайших гор, выдав деньги из специальных средств аныхи, для закупки самых больших козлов... Вот и жертвенные козлы... Но вот настал самый день торжества, среда... Почти со всех селений Гудаутского участка абхазцы презжают сюда в этот день посмотреть на это громадное скопище народа. С утра же народ собирается на широком поле близ священной рощи. Здесь происходит целый день танцы при песнях и хлопании ладош и стрельбе из револьверов, бывают игры в мяч, джигитовка, борьба лошадей... В это время хозяева, все Лейбовы, заняты приговлениями к самому жертвоприпошению...; все взрослые мужчины этого поселка часов восемь утра ведут в священную рощу жертвенных козлов. При свершении обряда моления в роще воспрещается присутствие женщин, детей и посторонних лиц... Все, снявшие башлыки, становятся на молитву, к востоку. Старий _ жрец держит за рога большого из этих двух козлов и произносит длинную молитву, обращенную невидимо присутствующему в этой роще, скорее всего, духу, а не аныхе (иконе), потому что существо, к которому Лейбовы обращаются, они считают мусульманским, и знахарка каждый раз, когда она бывает, как она уверяет, вдохновлена этой аныхой, произносит краткую мусульманс-

кую молитву... В экспромтной своей молитве жрец просит этого духа, чтобы он всегда покровительствовал над Лейбовыми, сохранял их с имуществом от всякого несчастья, болезни, смерти и т.п. Жрец зарезывает обоих козлов... Мясо козлов варят в больших котлах в роще. Девушки, из фамилии Лейбовых, вышедшие в том году замуж, приезжают в этот день в дом родителей, чтобы последний раз принести жертву "аныхе" их родителей... Они с этого года перестают приносить жертву аныхе; но среду, как запретный день, все же строго соблюдают во всю жизнь... После этого приглашают весь народ в священную рощу..., кладут гостям обед, состоящий из мяса этих козлов, мамалыги, священного чурека и вина... Женщины не имеют права есть ни мяса жертвенных козлов, ни священного чурека; они совершенно не допускаются в рощу.

Священная роща "Анихварта" Лейбовых расположена на возвышенном бугре у обрывистого склона Мчишской (Черноречинской) долины. Занимает она площадь около пол десятины. Роща состоит, главным образом, из дубовых и чинаровых деревьев. Есть между ними деревья большого размера. Лейбовы верят, что аныха сейчас же накажет того, кто осмелится в этой роще срубить хоть одну ветку, чтобы ее взять... Проезжая по этой дороге, можно видеть до поздней осени, высящую на дереве кожу жертвенного козла".³⁸

ჩამოსულმა მოსახლეობამ უამრავი მსგავსი, ადრე ამ მხარისათვის სრულიად უცხო სალოცავი დააფუძნა. ასე, მაგალითად, მდინარე კოდორის პირას, სადაც გადმოცემით ანუასა და ბგანბას გვარების წინაპრები დასახლებულან, წმინდა ქალაში გამართული იყო ამ გვარების სალოცავი. ამიქბას საგვარო ძირი ხატის, ინალ ყუბეს „წილი“ ჯგერდაში გადმოსახლების შემდეგ იქვე ქალაში იქნა გადმოტანილი. პირველ სამოსახლო ადგილებთანაა დაკავშირებული

გუნბას (ს.ლოხნი), ჟიბას (ს.მუგუშირხვა), შულუმბას და აიბას (ს.ოთხარა), ლაქერბაიას (ს.ყულანურხვა), კიახირიფას, ციმციმის, ბიჯბას, დბარის, ლასარიას (ს.ბარმიში და ბლაბურხვა) და სხვა გვარების სალოცავები. წლის სხვადასხვა დროს იმართებოდა მათი დღესასწაულები. ლოცვის დროს ქურუმი ჯერ ფსხუსა და ინალ ყუბეს, შემდეგ კი მის წილ სალოცავებს შეავედრებდა შესაბამისი გვარის წევრებს. ს.ბახია — ოქრუაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამით შეგნებულად თუ უნებურად წინაპრების აღრინდელი ბინადრობის ადგილის არსებობის ფაქტი და საერთო წარსულის ხსოვნა მოსახლეობის მემსიერებაში ილექებოდა.³⁹

აფსუათა წარმოდგენებით, უზენაესმა („ანცვამ“) „ღმერთების ღმერთმა“ დედამიწაზე ადამიანების დასაცავად შექმნა ღვთაებები. „Божества эти, — წერდა ნ.დუმბროვინი, — по понятиям абхазов, не имеют определенных образов и форм, но им необходимо приносить жертвы для испрошения покровительства“.⁴⁰ აფსუები თავიანთ სცემენ სამკედლოს. ახალი წლის წინა დღეს მკედლები მსხვერპლს სწირავდნენ „Щасшу Абж-ныха“-ს (შვიდ წმინდანს); ისინი ეთაყვანებოდნენ „Мизитха“-ს (ტყის ღმერთს), „Ажвепшаа-Абна-инцваху“-ს (ტყეების, მხეცეებისა და ნადირობის ღმერთს), „Ары“-ს (ქუხილის ღმერთს), „Аыта-ра-ს (შინაური ცხოველების, ბუნების განახლებისა და გამრავლების ღმერთს). ეს უკანასკნელი წარმოდგენილი ყუდათ შვიდსახოვანი ერთიანი ღვთაების სახით, რომელიც თავისთავში შემდეგ ღმერთებს აერთიანებდა: ჯაბრან და ჯვაბრან (თხისა და ცხვრის ღვთაება), ალიშკინტრ (ძაღლის ღვთაება), ამზანიჰვა (მთვარის ღვთაება), ამრანიჰვა (მზის ღვთაება), ანაჰანაგა (მოსავლის ღვთაება), აჩი შიაშინა (ცხენის ღვთაება). გ.როგავა „აითარ“-ს მეგრულ „ანთართან“ („უინი ანთარი“) და წინააზიელ „ანატორთან“ აიგივებს.

აფსუათა წარმართული ღვთაებებია აგრეთვე „ჯაჯა“ (მიწათმოქმედების), „ერიშ“ (ქსოვის ხელოვნების), ატში (ცხენების ღვთაება), ანანა გუნდა (ფუტკრების ღვთაება), აყანჰ-ნიხა (მეხობის; „ყანჰი“ მეგრულად აბრეშუმის კიას ნიშნავს);

„ადგილ დედფალ“ (მიწის, ადგილის; ადგილის დედოფალი), „აშა-ცა — ჩაფაცა“ ან უ „შემქმნელი და გამომჟღავნელი“ (ახალ შობილთა ბედის განმსაზღვრელნი), აგა-ნიხა (ზღვის), აშხა ინცვახუ (მთის). აფხაზებს ჰყავთ ქურდობის ღმერთიც — ერიხ-ანციხ.

ყველა ღვთაება უზენაეს ღვთაებას — „ანცვას“ ემორჩილება; მისი ღელა, აფხაზთა წარმოდგენით, მეგრული თავადური გვარის — მხეიძეთა (აფხაზურად — ხეცია) ჩამომავალია; ანცვას დისაგან იღებს სათავეს ღემონების მოღგმა, ამიტომ იგი (ანცვა) არ ებრძვის თავის სისხლით ნათესავეებს.⁴¹

ს. ბასარია არ თვლის, რომ აფხაზი (აფსუა) მრავალ ღვთაებას ეთაყვანება, თუმცა ის ეთანხმება ნ. ჯანაშიას დასკვნას აფსუებში ქრისტიანულ-წარმართული წარმოდგენების შერწყმის შესახებ და წერს: „Поэтому выходит, что христианство или признает многобожество абхазов, “стараясь их переварить” (ნ. ჯანაშიას სიტყვებია — ჯ.გ.) или не видя в верованиях абхазов ничего абсолютно, что противоречило бы истинному учению Христа, “облекло их в свои покровы” (ნ. ჯანაშიას სიტყვები — ჯ.გ.). Безуловно надо согласиться с последним“.⁴²

ს. ბასარიას მიხედვით, აფსუების რელიგია განსაკუთრებულია; ისინი ინდიფერენტულები და გულგრილები არიან „к тем учениям и обрядам, к которым им призывали “православные” священники и “правоверные” муллы. Но абхазы не язычники: они исповедуют правильную веру, вовсе ни чуждую ни истинному учению Христа, ни нравственной стороне учения Магомета, ни учению Будды и других великих основателей религии“.⁴³ ს. ბასარია არაარტერს ამბობდა იმაზე, რომ აფსუებს ქრისტიანობისადმი „გულგრილი“ დამოკიდებულება ადრეც — აფხაზეთში მართლმადიდებელი მისიონერების ჩასვლამდეც — ჰქონდათ; დუმდა იმის თაობაზე, თუ ვინ გაანადგურა აფხაზეთში არსებული უნიკალური ეკლესიამონასტრები. თავისი მსჯელობით ს. ბასარია აფსუათა წარმართობას ადასტურებდა, მაგრამ, გასაგები მიზეზების (აფხაზეთში არსებული ქრისტიანული ცივილიზაციის შემქმნელებად და მემკვიდ-

რეებად აფსუათა წარმოჩენის სურვილით) გამო, ამის აღიარება არ უნდოდა.

XVIII საუკუნეში არ იყო დასრულებული ჩამოსახლებული აფსუებისა და იქდარჩენილი ქართული მოსახლეობის შერწყმის პროცესი. კავკასიაში, კერძოდ საქართველოში რუსეთის აგენტი, გერმანელი ი. რეინეგსი 1796წ. გამოცემულ წიგნში კავკასიის შესახებ წერდა აფხაზეთში ფარული ქრისტიანული ჯგუფების არსებობის თაობაზე, რომლებიც პატარა ხის ჯვრებს ატარებდნენ და პერიოდულად ტყეში დაყნებულ დიდ ჯვრებთან იკრიბებოდნენ. ე. აჩინჯალის აზრით, „мы здесь имеем собрание членов тайного христианского общества правоверных абхазов в условиях официального гонения на христианство в Абхазии“.⁴⁴ ე. აჩინჯალი ტყუის. თურქები ქრისტიანობას ავიწროებდნენ ყველგან, სადაც ბატონობდნენ, მაგრამ ეკლესიები მასობრივად არ გაუნადგურებიათ და ოფიციალური დევნა დაპყრობილი ქრისტიანების წინააღმდეგ არ გამოუცხადებიათ. დადგენილი ფაქტია, რომ ქრისტიანობა აფხაზეთში აფსუებმა გაანადგურეს, თუმცა ეს ვერ შეძლეს სამურზაყანოში, ვინაიდან იქ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ (თურქებს ვერაინ შეუშლიდა ხელს ბედიისა და ილორის ტაძრების სრულ განადგურებაში, მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ). ვფიქრობთ, ფარული ქრისტიანული საზოგადოების წევრები XVIII საუკუნეში, რომელთა შესახებ წერდა რეინეგსი, ქართველები იყვნენ. აფსუებმა მათ ეკლესიები გაუნადგურეს, წირვა-ლოცვა აუკრძალეს, ამიტომ იძულებული გახდნენ ტყეში გადამალული (ხის ფულუროში თუ სხვა შეუმჩნეველ ადგილას) ჯვრების წინაშე ელოცათ. ისინი აფხაზეთში გაბატონებული აფსუასაგან (და არა თურქებისაგან, რომლებიც იქ ფიზიკურად არც იმყოფებოდნენ XVIII ს. მეორე ნახევრამდე) ჯერ მალულად, შემდგომში (გააფსუების შემდეგ) კი აშკარად ქრისტიანულ რიტუალებს ტყეში ასრულებდნენ. ქრისტიანულმა სიწმინდეებმა თანდათანობით წარმართული შინაარსი შეიძინეს. თითქმის XIX საუკუნემდე — აფხაზეთში ქართველი მისიონერების მიერ ეკლესია-მონასტრების აღდგენამდე — შემორჩა (ძირითადად გუ-

დაუთის რაიონში) ფულუროებში დასვენებული ჯვრების თაყვანისცემა. შემდგომში ეს ჯვრები ახლადამენებულ ეკლესიებში იქნა დასვენებული⁴⁵ (იხ. მერვე თავი).

ათხაზეთში მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ადგილობრივი ათხაზების (ქართველების) თანდათანობითი გააფსუების პროცესი, უცხოეთნიკური ჯგუფის მრწამსზე გადასვლა. გავლენა ორმხრივი იყო. აფსუებმაც ათხაზებისაგან ქრისტიანული წესჩვეულებები შეითვისეს (ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობის გამო ცდებოდნენ უცხოელი ავტორები და აფსუებს უძველეს ქრისტიანებად მიიჩნევდნენ, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვითომ „დაავიწყდათ“ თავიანთი სარწმუნოება და წარმართობას „დაუბრუნდნენ“). გააფსუებული ქართველები მაინც ვერ წყვეტდნენ კავშირს ქრისტიანულ ეკლესიებთან. ბევრ მათგანს საგვარო ძირხატად ილორის წმ. გიორგის ეკლესია მიაჩნდა. ქართველთა გავლენით, აფსუებიც ილორის წმ. გიორგის სალოცავს ძლიერ და სამართლიან ხატად თვლიდნენ, რომელსაც შეეძლო მტყუან-მართლის გარჩევა (დასავლეთ ათხაზეთში ამ ფუნქციას დიდრიფშის სალოცავი ასრულებდა), დამნაშავის დასჯა და ა.შ. ურთიერთგავლენის შედეგია წარმართული სალოცავების ქრისტიანული ტაძრების ნანგრევებზე დაფუძნების ტრადიცია. ამ სალოცავების მომვლელიები, პატრონები და მისი „მეხატურები“ ქართველები იყვნენ.

აფსუათა წარმოდგენებით, ილორის, ქიაჩის და სხვა ქრისტიანულ ძეგლებს „ნათესაური“ კავშირი ჰქონდათ ფსჰუს სალოცავთან და ინალ ყუბესთან; ილორი უფროსი ქრისტიანი, ხოლო ფსჰუ და ინალ ყუბე უმცროსი მაჰმადიანი ძმები არიან. საფიქრებელია, — წერს სალომე ბახია-ოქრიუაშვილი, — ამით შუასაუკუნეებში ჩამოსახლებული ოჩამჩირის რაიონის ათხაზობა თავის ჩრდილო კავკასიურ წარმომავლობას არ უარყოფდა, მაგრამ ამავე დროს ქართული ქრისტიანული საზოგადოების გავლენით ქვეცნობიერად ქრისტიანულ სალოცავებსაც პატივს სცემდა.⁴⁶ იგი არა უბრალოდ პატივს სცემდა ამ სალოცავებს, არამედ, როგორც არა ერთხელ იყო ნათქვამი, ქართველებისაგან ზედაპირულად ითვისებდა ქრისტიანულ კულტურას, ცხოვრების წესს, ზნე-ჩვეულებებს; ქრისტი-

ანულ სალოცავებს კი თავის საკუთრებად ასაღებდა და წარმართულ სალოცავებთან აკავშირებდა. ასე, მაგალითად, აფსუური ისტორიოგრაფია სრულიად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი მონაცემების გარეშე ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფხაზეთში ცნობილი ქრისტიანული ტაძრები, თითქოს, უძველესი აფსუური წარმართული სალოცავების-დიდრიფშის, ლიძავას (ბიჭვინთის), ლიხნის, ილორის, ქიაჩის, ლაშკინდარის — ადგილზე აშენდა.⁴⁷ ეს არის გაუგონარი სიცრუე. ხშირი იყო შემთხვევები, როცა საქართველოში წარმართული სალოცავების ადგილას ქრისტიანულ ეკლესიებს აშენებდნენ, მაგრამ XVI-XVII საუკუნეში ჩამოსახლებული აფსუები აქარაფერ შუაშია. მათ გააკეთეს პირიქით — ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოტანილი წარმართული სალოცავები ქრისტიანულ ტაძრებთან დააფუძნეს. ამ გზით, დაპყრობილ ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ცივილიზაციის კანონიერ მემკვიდრედ საკუთარ თავს წარმოაჩენდნენ. საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან, რომლის გააზრებაში დაგვეხმარება XIV საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსის ნიკიფორე გრიგორასის მოსაზრებები.

ეხებოდა რა ორ ნაწილად გაყოფილი სკვითების ისტორიას, იგი წერდა: „ერთმა ნაწილმა დაარბია აზიაში მცხოვრები სავრომატები და გაემართა ვიდრე კასპიის ზღვამდე; მათ დავიწყებას მისცეს თავიანთი მშობლიური სახელი და მიიღეს სახელწოდება სავრომატებისა, მასაგეტებისა, მელანხლენებისა, ამაზონებისა და ყველა იმათი სახელი, რომლებსაც ატარებდნენ მათ მიერ დამონებული ტომები — დაესენი მათ შეეზიარნენ მტკიცედ და წარუხოცველად გადმოიღეს მათი ჩვეულებები...

ჩინგისხანის მეორე ვაჟი ტელეპუგა, მას შემდეგ რაც მან თავის სამფლობელოს საზღვრად დასდო ჩრდილოეთ კავკასიის ზეკარები და შემდეგ კასპიის ზღვის ნაპირები, მიღის სავრომატებისა და მასაგეტების მიწაწყალზე, იმორჩილებს მთელ ამ ქვეყანას და ყველა იმ ტომებს, რომელნიც ცხოვრობენ მეოტის ტბასთან (აზოვის ზღვა — ჯ. გ.) და ტანაისთან (მდ. დონი — ჯ. გ.). შემდეგ გადალახა ტანაისის სათავეები და დიდი (ნაკადით) გასწია ქვემოთ ევროპულ ტომთა მიწაწყლის გზით. ეს ტომები ბევრნი იყვნენ და სხვადასხვანი მათგან, რო-

მელნიც შუაგულ ხმელეთში იყვნენ, წარმოდგენდნენ ძველ სკვით-
თა ნამსხვრევებს და ნაშთებს... ხოლო რომელინიც მეოტის ტბის მე-
ზობლად იყვნენ და პონტოს (შავი ზღვა — ჯ. გ.) სანაპიროს მოსდე-
ბოდნენ, ესენი იყვნენ ჭიქები და აბაზგები, გუთები და ამა ქსოვიები,
ტავროსკვითები და ბორისთენელები.“⁴⁸ როგორც ვხედავთ, დაპყ-
რობილი ხალხების სახელის დარქმევა, მათი კულტურისა და ზნე-
ჩვეულებების შესისხლზორცება დაპყრობითი ომების ისტორიაში
ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. ნ. გრიგორასის თეორიის გათვა-
ლისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ მონღოლებისა და
სკვითების მიერ შევიწროებული ჭიქები (ჩერქეზულ-ადიღური ტო-
მები, მათ შორის აფსუები) მეოტის ტბიდან და ყუბანიდან ნელ-ნელა
ინაცვლებენ სამხრეთისაკენ და მოგვიანებით მოვიდნენ ისტორიუ-
ლი აფხაზებით (რუსული ობეზებით, ბერძნული აბაზგებით) დასახ-
ლებულ ქართულ ტერიტორიაზე, ვიდრე არ გაჩერდნენ მდ. ღალიძ-
გასთან და ენგურთან, დაირქვეს (თუ ქართველებმა დაარქვეს) დაპყ-
რობილი ტერიტორიისა და იქ მცხოვრები ხალხის სახელი
(თვითსახელწოდებაც შეინარჩუნეს), „მათ შეეზიარნენ მტკიცედ და
წარუხოცელად გადმოიღეს მათი ჩვეულებები“. ნ. გრიგორასის თე-
ორია, ამრიგად, გვეხმარება აფხაზეთის ისტორიის ურთულესი სა-
კითხების, მათ შორის აფსუა ერის ჩამოყალიბებასთან, მის რელიგი-
ურობასთან დაკავშირებული საკითხების გააზრებაში.

თანამედროვე აფხაზი (აფსუა) ერი ფაქტობრივად XVIII საუკუ-
ნიდან ყალიბდება ქართულ-ადიღური ეთნოსებისა და, შესაბამი-
სად, ქართული ქრისტიანული კულტურისა და ჩრდილოეთ კავკა-
სიიდან ჩამოტანილი წარმართობის გარკვეული დოზით შერწყმის
საფუძველზე, ვინაიდან აფსუას გაბატონებული მდგომარეობა
ეკავა, ეს შერწყმა ქართველთა (მეგრელთა) ასიმილაციის ხარჯზე
ხდებოდა. აღნიშნულ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა
ანანია ჯაფარიძემ. როგორც ცნობილია, შერვაშიძეების მიერ
ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოს დაპყრობის შემდეგ ადგილზე
დარჩენილი ქართული მოსახლეობა აფხაზური საზოგადოების
ყველაზე უუფლებო ნაწილს წარმოდგენდა. გლეხთა სამი
კატეგორიიდან — ანხაიუ (თავისუფალი მეთემეები), ახოიუ

(მიწასმიმაგრებული ყოფილი მონები) და ახაშვალა (მონები), ორ უკანასკნელს აგირუას (აფხაზურად მეგრელი) უწოდებდნენ. ისინი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. „XVII საუკუნიდან მთიელ აფსუა-ადიღელთა გაბატონების შემდეგ, — წერს ანანია ჯაფარიძე, — აფხაზურ საზოგადოებაში დაბალი ფენის წარმომადგენლებს შეეძლოთ სოციალური კიბის უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყვნენ, მაგალითად, ახაშვალები ახოიუს კატეგორიაში გადადიოდნენ. რუსთა მიერ გატარებული საგლეხო რეფორმის შემდეგ, ცხადია, ახოიუებიც — ანხაიუებად, ე.ი. თავისუფალ მიწათმოქმედებად გადაიქცნენ. რევოლუციის შემდეგ კი მეოცე საუკუნეში ყველანი გათანაბრდნენ — კოლმეურნე გლეხებად იქცნენ. ჩვენთვის აქ საინტერესოა ის, რომ სოციალური კიბის ერთი საფეხურიდან მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა ფაქტიურად ერთი ეთნიკური წარმოშობის ადამიანების სხვა ეთნოჯგუფში გადასვლას წარმოადგენდა. კერძოდ, აფხაზეთში ამ სოციალური საშუალებით ქართველების ანუ აგირუების გააფხაზება, ანუ აფხაზეთის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად გადაქცევა ხდებოდა“.⁴⁹ ასეთი იყო გააფსუების ტექნოლოგია, ასე ხდებოდა ქრისტიან ქართველთა და წარმართ ადიღეველთა შერწყმა და ერთიანი ერის ჩამოყალიბება, რამაც განაპირობა აფსუას რელიგიური წარმოდგენების გავრცელება; იგი საკუთარ თავს ქრისტიანად აცხადებდა, ქრისტიანულ დღესასწაულებსაც აღნიშნავდა, მაგრამ წარმართად რჩებოდა. აფსუა ერის ჩამოყალიბების თავისებურებამ განსაზღვრა აფსუებისა და ქართველების ტრადიციისა და კულტურის სიახლოვე.

აფსუათა მცდელობამ, წარმოეჩინათ საკუთარი თავი აფხაზეთის ქრისტიანული ცივილიზაციის მემკვიდრეებად, ის დადებითი შედეგი მაინც გამოიღო, რომ ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი სრულ დანგრევას გადაურჩა. შენარჩუნდა სულიერი კავშირი აფხაზეთისა მეზობელ სამეგრელოსთან, ხოლო, ამ უკანასკნელის მეშვეობით — დანარჩენ საქართველოსთან.

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში ახალი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის საკითხი.

6. დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4. თბ., 1973, გვ.455-478.
2. შ.ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუქა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. მოამბე I. თბ., 1959, გვ.177-198; ი.მათურელი. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. თბ., 1990, გვ.29-35.
3. ვ.ზუხბაია. გალი, გვ.72, 76; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, გვ.458; ბ.ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ.126, 127.
4. ქ.ც., ტ.4, გვ.886-887.
5. იქვე, გვ. 887-888.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, გვ. 469-470.
7. იქვე, გვ. 474-478.
8. მ.თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 313.
9. იქვე, გვ. 314-318.
10. იქვე, გვ. 321-322.
11. ქ.ც., ტ.4, გვ. 474.
12. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. სულხან-საბა ორბელიანის რუქა. — Q 958.
13. მ.თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 323-324.
14. ქართული მწერლობა, ტომი მეშვიდე. თბ., 1989, გვ. 272.
15. მ.თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 332-333.
16. საქართველოს სიძველენი, გვ. 45-46.

17. იქვე, გვ. 47.
18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, გვ. 485.
19. საქართველოს სიძველენი, გვ. 43-45.
20. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ. 646-648, 669-672, 677, 715-716, 765-768 და ა.შ. ბიჭვინთის ღვთისმშობლის სახელზე ქართველი მეფე-მთავრებისა და აფხაზეთის კათალიკოსების მიერ გაკეთებული შეწირულობების შესახებ იხ. აგრეთვე, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა“ IV. კაქელიძის რედაქციით. შეადგინა ქ. შარაბიძემ. თბ., 1954, გვ. 127-145.
21. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ. 646, 676-677, 764, 765, 767 და ა.შ.
22. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ.159.
23. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ. 772-773.
24. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ. 675; თ.ჟორდანი. ქრონიკები. წ. III. თბ., 1967, გვ. 131-133.
25. პ. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210; ს. კაკაბაძე; წვრილი შტუდიები, გვ. 24-26.
26. ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, გვ. 135-136; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 164.
27. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები, გვ. 163.
28. АКТЫ, т.1, გვ. 57; ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ I-ს დროს თბ., 1913, გვ. 4, 6, 7; ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ. 880.
29. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ. 880.
30. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ), წ. I. ტექსტი გამოსცა, წი-

ნასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ.ბურჯანაძემ. თბ., 1958, გვ. 117.

31. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 163-165.

32. იქვე, გვ. 166.

33. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, გვ. 896-897. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 167-168.

34. სალომე ბახია — ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის (საგვარეულო სალოცავეები). — კლიო. საისტორიო აღმანახი. 2000, №7, გვ. 3-42. აფსუათა რელიგიურ წარმოდგენებზე საუბრისას, ვეყრდნობით სტატიაში მოტანილ ეთნოგრაფიულ მასალებს და დასაბუთებულ დასკვნებს.

35. იქვე, გვ. 5-8.

36. К.Д.Мачавариани. Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу. Сухум, 1913, გვ. 132.

37. ს. ბახია — ოქრუაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 25-27.

38. Сотрудник Закавказкой Миссии, 1912, №7, გვ. 107-112; №8, გვ. 124-127.

39. სალომე ბახია — ოქრუაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 28-30.

40. Н.Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, том, 1. Очерк Кавказа и народов его населяющих. Кн. II. СПб, 1871, с. 15.

41. Н.С.Джанашия. Статьи по этнографии Абхазии; М.Джанашвили. Абхазия и Абхазцы. Тифлис, 1892, გვ. 31-59; Н.Дубровин. დასახელებული ნაშრომი, გვ. 17-36; გივი როგავა, რელიგია და ეკლესია აფხაზებში. თბ., 2004, გვ. 9-17.

42. С.Басария. Абхазия. Сухум-кале, 1923, გვ. 62.

43. იქვე, გვ. 57.

44. **Е. Аджинджал.** დასახ. ნაშრომი, გვ. 126.
45. **Отчет общества возстановления православнаго христианства на Кавказе, за 1870 год.** Тифлис, 1871, გვ. 26.
46. **სალომე ბახია-ოქრუაშვილი.** დასახ. ნაშრომი, გვ. 30-34.
47. **Ш. Д. Инал-ина.** Абхазы. Сухуми, 1965, с. 565; **А. К. Кация.** Илори. Сухуми, 1963, с. 19; **Е. А. Аджинджал.** დასახ. ნაშრომი, გვ. 29, და ა.შ.
48. **გეორგია, ტ. 7,** გვ. 128-131.
49. **მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე.** დედა ეკლესია. ქადაგებანი, წერილები. თბ., 1996, გვ. 234.

7. აფხაზეთის საჯიოხი ქახთუღ-ჩუსუღ უხითიუხითობებში და მახითღმადიდებელი სამღვდელთობა (XVIII ს. დასასხუღი – XIX ს. დასანუიხი)

**ახალი პოლიტიკური
რეალიები და კათოლიკოს
მაქსიმე მეორის
ღიბლომატიური მოღვაწეობა.
საკათალიკოსოს გაუქმება**

რუსეთ – თურ-
ქეთის 1768-1774
წლების ომმა მნიშ-
ვნელოვანწილად
შეცვალა პოლიტი-
კური სიტუაცია
სრულიად საქართ-

ველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში. რუსეთმა, რო-
მელიც უწევდა რა ანგარიშს თურქეთს, ადრე თავს იკავებდა ქარ-
თულ სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობისაგან, უარს ეუბნე-
ბოდა მათ დახმარების გაწევაზე, ამჯერად ომის დაწყებისთანავე პო-
ზიცია შეიცვალა. იგი დაინტერესებული იყო თურქეთის წინააღმ-
დეგ ომში ერთმორწმუნე ქართველების ჩართვით. ამიტომ პეტერ-
ბურგი ცდილობდა თავისი დაპყრობითი გეგმების (შავი ზღვის სა-
ნაპიროების ხელში ჩაგდება) რელიგიური მოტივებით შენიღბვას.
ქართულ მხარეს კი ოსმალეთის უღლისაგან განთავისუფლებისა
და მიტაცებული მიწების დაბრუნების ინტერესები ამოძრავებდა.

1769 წელს სოლომონ პირველმა რუსეთში თავისი ელჩი — მიტ-
როპოლიტი მაქსიმე აბაშიძე მიავლინა და ქვეშევრდომობა ითხო-
ვა. ელჩობამ ის შედეგი გამოიღო, რომ 1770-1772 წლებში საქართ-
ველოში რუსეთის ჭარი (4000 კაცამდე) შემოვიდა ჭერ გენერალ
ტოტლებენის, შემდეგ გენერალ სუხოტინის სარდლობით. ერს-
საც და მეორესაც ნაკლებად აინტერესებდათ საქართველოს

პრობლემები. რუსეთს ფოთის ნავსადგურის ხელში ჩაგდება ჰქონდა განზრახული. ამ მიზნით ქალაქი ალყაში მოაქციეს. ჭარის ხელმძღვანელები ანგარიშს არ უწევდნენ ერეკლე II-ს და სოლომონ I-ს. პირიქით, ცდილობდნენ მათი ოპოზიციის გაძლიერებას, სამეფოსამთავროთა შორის არსებული დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავებას, რუსეთის ერთგულებაზე მოსახლეობის დაფიცებას. საკუთარი რაზმით ფოთთან ბრძოლებში მონაწილეობდა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შერვაშიძე. 1770 წელს მან რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების თხოვნით გენერალ ტოტლებენს მიმართა, მაგრამ ამ საკითხზე მოლაპარაკება რუსეთის რაზმზე აფხაზთა („буйных ахазов“) თავდასხმამ ჩაშალა.

რუსეთის ხელი ერია იმ პერიოდში თურქეთის წინააღმდეგ აფხაზეთის მთავრის ზურაბ შერვაშიძისა და ლევან შერვაშიძის მიერ მოწყობილ აჯანყებაში. აჯანყებულებმა სოხუმის ციხეც აიღეს. ხელმძღვანელთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო ლევანმა იგი თურქებს მიჰყიდა. მან მაჰმადიანობაც მიიღო და სოხუმის ციხის მმართველი გახდა.¹ თურქეთმა ზურაბ შერვაშიძის გადაყენება გადაწყვიტა, მაგრამ აფხაზთა თავდასხმების გამო არ ჩქარობდა მის სისრულეში მოყვანას.

რუსეთის ჭარებმა 1772 წელს საქართველო დატოვეს. 1774 წელს დადებული ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების 23-ე მუხლის თანახმად, ოსმალეთი უარს ამბობდა დასავლეთ საქართველოდან ხარკად ქაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნაზე, სარწმუნოების შევიწროებაზე; იგი ხელს არ შეუშლიდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობას და შეკეთებას. იგივე მუხლი რუსეთსაც ავალდებულებდა დასავლეთ საქართველოს „საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი“.²

პირველი წარმატება სახეზე იყო. სოლომონ I-ს ძალაუფლება გაძლიერდა. 1776 წელს მან სამეგრელო დაიმორჩილა, მთავარს აუკრძალა ტყვის სყიდვა, ხელი ააღებინა აფხაზეთის კათალიკოსის ურჩობაზე (კაცია დადიანი ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა კათალიკოს იოსებს).

1776 წელს აფხაზ-იმერთა კათალიკოსის ტახტი გამოჩენილმა სა-

სულიერო მოღვაწეებ და დიპლომატმა მაქსიმე II აბაშიძემ (1776-1795 წწ) დაიკავა. ამის შესახებ ბიჭვინთის ერთ-ერთ გუჯარში ვკითხულობთ: „მისმა უწმინდესობამ კათალიკოსმან მაქსიმემ აბხაზეთისა დასრულიად საიმერეთოსამან მიიღო ტახტი საკათალიკოსო თთვესა ივნისსა 12, დღესა კვირიაკესა, ქ-კსა 1776 მეფობასა სოლომონისსა, რომლისაცა წელნი არიან ცხოვრებისანი ორმოცდათორმეტ“.³ 1769 წელს, როცა იგი ჯერ კიდევ ქუთათელი იყო, ქსოხუმს (ბათუმთან და ფოთთან ერთად) იმერეთის ნავსადგურად განიხილავდა; მაქსიმე II ბიჭვინთაში დაბრუნებაზე ოცნებობდა. კათალიკოსად არჩევისთანავე, მან ბიჭვინთის მამულებთან დაკავშირებული საკითხები მოაგვარა. სოლომონ მეფემ ახალ კათალიკოსს პირობისა და ბრძანების წიგნი მისცა (1776წ), რომლის ძალითაც ეკლესიის მამულები „მეფის კაცების“ მეურვეობისაგან განთავისუფლდა („ეკლესიის მამულებზე მოხელე და მოურავი და განმგებელი არ დაიდგინოს და არცა ვინა ფლობდეს და განაგებდეს“). კათალიკოსის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი 1776-1777 წლებში გურიისამეგრელოში მოგზაურობა იყო. ორივე სამთავროში კათალიკოსმა დაიბრუნა ბიჭვინთის ღვთისმშობლის მამულები, განაგო სასჯულო საქმეები. ორი წინამორბედი კათალიკოსის დროს დარღვეული დასავლეთ საქართველოს, მისი ეკლესიის ერთიანობა აღადგინა და კიდევ უფრო განამტკიცა.⁴

სოლომონ პირველთან ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო მაქსიმე მეორე აბაშიძე 80-ნი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთში გადავიდა და მეფის გარდაცვალებისთანავე (1784წ.) კვლავ ქუთაისში დაბრუნდა. თავის სამწყურსში არყოფნის პერიოდში მას კათალიკოსობა არ დაუკარგავს, მაგრამ, როგორც ჩანს, 1784 წელს ხელმეორედ მოხდა მისი კურთხევა. ამაზე მიუთითებს კაცია დადიანის ერთ-ერთი სიგელი (დათარიღებულია 1784 წლით), სადაც ვკითხულობთ: „რომლისამე საქმისა და მიზეზისათვის წარვიდა სხვად სამეფოდ (ქართლ-კახეთში — ჯ. გ.) დიდი უფალი ჩვენი კათალიკოზ მამამთავარი მაქსიმე, რომელიც ყოვლითა ძალითა თვისითა ფრიად მოღუაწე ექმნა და შემწე ეყო ქვეყანასა ჩვენსა; და ჩვენ კვალად დიდითა ტრფიალებითა და გულმოდგინებითა ვინებეთ და ვიგუ-

ლისმოდგინეთ, და მეუფებაცა მათი მორჩილ გვექმნა და მოვიყვანეთ ჩვენადვე ჩრდილო აფხაზ იმერთა კათალიკოზი მაქსიმე და დავადგინეთ სამოციქულოსა კათედრასავე ზედა თვისსა“.⁵ ს. კაკაბაძე ცდებოდა, როცა ამ დოკუმენტისა და აგრეთვე კათალიკოს ბესარიონის გარდაცვალების არასწორად განსაზღვრული თარიღის (1784წ.) საფუძველზე ამტკიცებდა, რომ მხოლოდ 1784 წელს „სამეგრელოც გურია-იმერეთთან ერთად დაემორჩილა ერთს აფხაზ-იმერეთის კათალიკოზს, სახელდობრ მაქსიმე აბაშიძეს“.⁶ სინამდვილეში ასეთი დამორჩილება მოხდა უფრო ადრე — 1776-1777 წლებში. 1784 წელს კი, როგორც ბ. ლომინაძე (ისიც კაცია დადიანის სიგელს ეყრდნობა) მიიჩნევს, ქართლ-კახეთიდან დაბრუნებული კათალიკოსი ფორმალურად ხელმეორედ აკურთხეს.

მძიმე ვითარება იყო აფხაზეთში, რომელსაც გამაჰმადიანებული მთავრები განაგებდნენ, თუმცა კ. მაჰაუარიანის ცნობით, თურქეთიდან დაბრუნებული ზურაბ შერვაშიძე გამთავრებამდე ილორის ეკლესიაში მოინათლა.⁷ მაჰმადიანები იყვნენ სოხუმის მმართველი და ტახტის მემკვიდრე, სტამბულში გაზრდილი ქელაიშ აჰმედ-ბეგი (მანუჩარის ძე) და აბჟუას მმართველი ბექირ ბეგი (შერვანის ძე). თურქეთის წაქეზებით თუ დავალებით 1780 წელს მათ ერთობლივად გაილაშქრეს სამეგრელოს წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა სოფ. რუხთან. ნ. დადიანი ამის შესახებ წერდა: „ამათ შეიკრიბნეს ჭიჭნი, ალანნი, ზუხუა და მუზამაი და ამასთან აფხაზეთი და წამოემართნენ დადიანსა ზედა. განუდგენ დადიანსა სამფლობელო თვისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ წოდებული და მიერთვენ მათ ხსენებულთა შერვაშიძეთა. მცნობმან ამისმან დადიანმა შეიკრიბა სპანი თვისნი ოდიშ-ლეჩხუმისა და სვანეთისა და დაებანაკა რუხს კიდესა ზედა ეგურისასა. გარნა რა სცნო სიმრავლე და ძალი შერვაშიძეთა, მაშინ თუმცა იყვნენ მტერად მეფე სოლომონ და დადიანი, გარნა მაშინცა მიუწერა ავთრათი მეფესა და შეუთვალა: „მოვიდენ აგარიანნი დასამხობელად ჩემდა და სამფლობელოსა ჩემისა და შებღალვად ქრისტიანობისა და ნუ მოიხსენებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყენასა და მოვედ შემწედ ჩემდა“.⁸ წერილის მიღებისთანავე, სოლომონ I თავისი ჯარით ოდიშისაკენ გამოემართა. სისხლისმღვრელი

ომი ქართველთა სრული გამარჯვებით დასრულდა. საზოგადოებამ იგი აღიჭყა როგორც ბრძოლა მუსულმანობასა და ქრისტიანობას შორის.

თურქეთის დახმარებით ქელაიშ აჰმედ-ბეგი თავის ბიძას — ზურაბ შერვაშიძეს აუჯანყდა. კაცია II დადიანმა ზურაბს მისივე თხოვნით დამხმარე ძალა გაუგზავნა, რომელსაც გიორგი დადიანი (მთავრის ძმა) სარდლობდა. მან დაამარცხა აჯანყებულები, ცხუმის ციხეც აიღო და გამარჯვებული სამეგრელოში დაბრუნდა.⁹ მალე ქელაიშ აჰმედ-ბეგმა შერვაშიძე მაინც დაამხო და მთავრის ტახტს დაეუფლა. იგი როგორც მაჰმადიანი და ოსმალეთის ერთგული, თურქეთის მთავრობამ მთავრის პოსტზე დაამტკიცა; აფხაზეთი ოსმალეთის ქვეშევრდომი გახდა. რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორეს ომებმა თურქები იმ დასკვნამდე მიიყვანეს, რომ მათი გავლენის განსამტკიცებლად საჭიროა შავი ზღვისპირა ხალხების, მათ შორის აფხაზეთის ქრისტიან მკვიდრთა გამაჰმადიანება. ამბროსი ხელაია წერდა, რომ ამ მიზნით ოსმალეთის მთავრობამ კავკასიაში გამოგზავნა მთელი არმია მქადაგებელთა — 20 000 მოლა; ეს ცნობა გაზვიადებულიც რომ იყოს, მაინც მკაფიოდ ახასიათებს იმ დროს, რომელიც დაუდგა ქრისტიანებს აფხაზეთში; გამაჰმადიანდა მთავრის ოჯახი (ქელაიშ აჰმედ ბეგი მხოლოდ ამის შემდეგ დაამტკიცეს მთავრის პოსტზე); გამუსულმანების თურქული პოლიტიკა სამურზაყანოსაც შეეხო. გამაჰმადიანებული ლევან შერვაშიძის მიერ ბედიის დაკავებამ ტაძრის დაცარიელება და X საუკუნის ბოლოდან პირველად იქ წირვა-ლოცვის შეწყვეტა გამოიწვია. ეს მოხდა XVIII ს. ბოლოს.¹⁰

1784 წელს სოლომონ I მოულოდნელად გარდაიცვალა. იმერეთის მეფის ტახტი დავით გიორგის ძემ დაიკავა. ეს ის პერიოდია, როცა გეორგიევსკის ტრაქტატი უკვე ხელმოწერილია და თურქეთი ყვლანაირად ცდილობს დასავლეთ საქართველოს შენარჩუნებას. იმერეთის მეფე კი რუსეთთან ანალოგიური ტრაქტატის დადების მიზნით 1784 წელს პეტერბურგში აფხაზეთის კათალიკოს მაქსიმე II აბაშიძეს, ზ. წერეთელს და დ. კვინიხიძეს აგზავნის. 1784 წლის 29 დეკემბერს იმერეთის ელჩები ეკატერინე II-მ მიიღო, მაგრამ პასუ-

ხის მოლოდინში ერთი წელი პეტერბურგში იმყოფებოდნენ. 1785 წლის ივლისში მათ გრ. პოტიომკინს წარუდგინეს გეგმა — იმერეთზე რუსული გავლენის გავრცელება და კინტრიშთან ციხისძირის ნავსადგურის აგება, საიდანაც რუსეთი იმერეთ-გურია-სამეგრელო-აფხაზეთზე ბატონობას შეძლებდა.¹¹ პასუხი კვლავ აყოვნებდა. ელჩებმა პეტერბურგი დატოვეს. ზ. წერეთელი და დ. კვინიხიძე იმერეთში ბრუნდებიან, მაქსიმე II აბაშიძე კი მოზდოკში რჩება გრ. პოტიომკინისაგან პასუხის მოლოდინში. კათალიკოსი დავით მეფის მიერ 1787 წელს რუსეთში ელჩად გაგზავნილ ბესარიონ გაბაშვილთან (ბესიკი) ერთად აგრძელებს დიპლომატიურ მოღვაწეობას. 1787წ. დასაწყისში აფხაზეთის კათალიკოსი პავლე პოტიომკინს ხვდება, იმავე წლის ივნისში მაქსიმე II აბაშიძე და ბესიკი მოზდოკში ერთად არიან. მალე ბესიკი გრ. პოტიომკინთან კრემენჩუკში მიემგზავრება, აფხაზეთის კათალიკოსი კი 1787-1789 წლებში მოსკოვში ვისოკოპეტროვოს მონასტერში აგრძელებს თავის მოღვაწეობას. ერთ-ერთი ცნობით, მაქსიმე II აბაშიძემ მოინახულა და თაყვანისცა წმ. ნინოს ჯვარს, რომელიც ვახტანგ მეექვსის შთამომავალთან — გიორგი ალექსანდრესძე გრუზინსკისთან ინახებოდა (ნიჟნი ნოვგოროდში). ამის შესახებ პლატონ იოსელიანი წერდა: „კათალიკოსი იმერთა მაქსიმე დიდად მოსურნე ჯვარისა ხილვისა წარვიდა მოსკოვით და თაყვანისცა მას. მცირედი ნაწილი მისი წამოიღო“.¹²

1787 წლის სექტემბერში ბესიკი შეხვდა გრ. პოტიომკინს და მას საიდუმლო ბარათი გადასცა დასავლეთ საქართველოს — იმერეთის, სამეგრელოს, გურიის რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებისა და აფხაზეთში თურქების გამაგრებამდე იქ რუსეთის ჯარების შეყვანის შესახებ; საიდუმლო ბარათი შეიცავდა თხოვნას რუსეთის მთავრობისადმი, მიემართა ქართველი მეფე-მთავრებისათვის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების თაობაზე (ასეთი ხელშეკრულება მართლაც იქნა დადებული 1790 წელს).

დასავლეთ საქართველოს უსაფრთხოება ბევრად იყო დამოკიდებული აფხაზეთის განთავისუფლებაზე, სადაც თურქებს ძლიერი პოზიციები ჰქონდათ. გრ. პოტიომკინისათვის გადაცემულ ბა-

რათში ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთში რუსეთის ჯარის შეყვანისას, მნიშვნელოვანი როლის თამაში შეეძლო სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს „აფხაზების უფროსებთან საქმის გამოყვანით“. ბარათში ნათქვამია: „ჩვენის ქვეყნების გამოხსნა და თქვენის ჯარების გაძლიერება აფხაზეთის დაპყრობით იქნება. თუმცა ღმერთი შემწე გვეყო, თქვენის წყალობით მოიმედენი ვართ, რომ რუსეთის ჯარს გზა უშოვნოთ და აფხაზეთში შემოვიდეს და რადგან რუსეთის ჯარი იქ შემოვა სხვა უკვე აღვილი იქნება, ამისათვის რომ აფხაზეთს ქრისტიანობა სურისთ და აღვილი არის მათი გაქრისტიანება და მრავალნიც არიან ქრისტიანენი და იქაურის უფროსების სახლში საყდრები არის, კიდევ წირვა-ლოცვა არის ღვთის ნებით, თუმცა თქვენი უგანათლებულებობა შეგვეწევა, ყოველი საქმე აქედამ მიიღებს ბედნიერობას და ყოველი გზები გაიმართვის სიმარჯვით“.¹³

დოკუმენტი შეიცავდა იმერეთის სამეფოს კანონიერ პრეტენზიას აფხაზეთზე, რომელიც რუსეთის დახმარებით უნდა დაბრუნებულყო. გარდა ამისა, წამოწეული იყო ერთმორწმუნეობის, აფხაზეთში ქრისტიანობის მდგომარეობისა და შემდგომში მისი კიდევ უფრო ფართოდ გავრცელების საკითხი.

გრ. პოტიომკინს პასუხისათვის არ ეცალა — 1789 წელს იწუბა რუსეთ-თურქეთის ომი.

1789 წლის ივლის-აგვისტოში დავით მეფისაგან ბესიკი ლებულობს 1 ივნისით დათარიღებულ წერილს, ხოლო აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოს მაქსიმე II აბაშიძის ხელმოწერით — მოსკოვიდან 2 ივლისს გამოგზავნილ წერილს. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შედგენილ წერილებში ყურადღება, აფხაზეთზეა გამახვილებული. მეფე აცნობებდა ბესიკს აფხაზეთის მთავრის ქუთაისში ჩამოსვლის შესახებ. აფხაზეთის (სამურზაყანოს) მთავარი ლეონ (ლევან) შერვაშიძე და მისი თანმხლები პირები გამოთქვამდნენ მზადყოფნას, ეცნოთ იმერეთის მეფის უზენაესი ხელისუფლება, თუ მეფე სამეგრელოს მთავრად ლევან შერვაშიძის სიძეს მანუჩარ დადიანს დაამტკიცებდა და არა გრიგოლს. სამურზაყანოელები სიხარულით შეხვდნენ იმერეთის მეფის დაპირებას აფხაზეთისათვის რუსეთის მფარველობის მოპოვების შესახებ.¹⁴

ლევან შერვაშიძის სტუმრობა ქუთაისში იმ დროისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა.

დავით მეფე სულ მალე გადააყვანა ლევან შერვაშიძის თხოვნის შესრულების მცდელობას. მან 1788 წელს გარდაცვლილი კაცია II დადიანის მემკვიდრის გრიგოლის (1788-1804 წწ.) გადაყენებისა და მისი ძმის მანუჩარის გამთავრების მიზნით სამეგრელოზე გაილაშქრა. გრიგოლ დადიანმა დახმარებისათვის ერეკლე II-ს მიმართა. ქართლ-კახეთის მეფემ ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა, დადიანთან ერთად დაამარცხა დავით გიორგის ძე და იმერეთის მეფის ტახტზე თავისი შვილი შვილი დავით არჩილის ძე დასვა, რომელმაც სოლომონ II-ს (1789-1810 წწ) სახელი მიიღო.¹⁵

ეს მოვლენები მაშინ განვითარდა, როცა ბესიკმა აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსის მაქსიმე II აბაშიძის წერილი მიიღო. იგი ბესიკს ურჩევდა, თუ გრ. პრიტიომკინი დავით მეფესთან შესახვედრად გამოისტუმრებდა, „იმ დროს კნიაზს მოახსენე, რომ შარვასიძე, აფხაზეთის მთავარი, მეფემან ჩვენმან თავისი ცდით შეიერთოს და მეფის თანახმა იქნეს რუსეთის ხემწიფის ერთგულობაზე. აჯობინებს თუ არა, თუ რომ ამ საქმეზე მოჰყვება, ერთხმა იქნება მეფისა ჩვენისა შარვასიძე, აფხაზეთის მთავარი, ვგონებ, დიდ ბედნიერებას მიიღებს. თუ რომ არ უსმინა მეფესა ჩვენსა ერთხმობად რუსეთისა ერთგულობა, ბოლოს, ვგონებ, შეინანოს და ახლაც სჯობს, რომ ჩვენს მეფესთან შეერთდეს, ერთგულობა აჩვენოს რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა. ამითი ძლიერება მახლობელად არის აფხაზეთზე, აგრეთვე სხვას ოსმალთ მხარეზე და მღვთის მადლით და შეწევნით დიდი უბედურებაც მიიღეს ოსმალთ დიდისა რუსეთისა ზღვით თუ ხმელით. ვგონებ, ესე ყოველი განცხადებულად უწყის აფხაზეთის მთავარმა და, თუ რომ უსმინოს მეფესა ჩვენსა შარვასიძემ და მეფესთან ერთობა მოიგოს, უნდა გამოუცხადოს მეფემან ჩვენმან აფხაზეთის მთავრის შეერთება უგანათლებულეს კნიაზს, თუ არ უსმინოს შარვაშიძემ მეფესა ჩვენსა, ესეც ადრე უნდა მოხსენდეს ჩვენის მეფისაგან სვეტლეიშ კნიაზს. და ესეც ისმის აქ, რომ ყუბანელებს ამათ მტრობაზე შეეწეოდეს აფხაზეთი. ეს, ღიახ ავია, რუსეთის მტრობა არის, რადგან ყუბანელთ შეეწევიან, თავის სახ-

ლში მიუშვებენ. ესეც უნდა დაუშალოთ აფხაზეთის მთავარს, თუ რომ შეიძლოს, ამით მტერს კიდევ უმტეროს, თორემ შეწევნას ნუ მისცემენ, ნურც თავის ქვეყანაში მიუშვებენ, თორემ ბოლოს ესენიც მტერად შეირაცხვიან ყუბანელებთან. მღვთის მოწყალებით ჩანს ნიშანი ჩვენის ქვეყნის გამოხსნისა და ვინემდის ამათი ძალი და შეწევნა მოახლებოდეს იმერეთს, ეცადენით, მტერი არსიდგან შემოგივიდესთ, როგორც მანამდინ ცდილობდნენ იმერეთის და გურიის მტერობას და, ვგონებ, ღვაწლსა თქვენსა ღმერთი მახლობელს დროში სარგებლიანად გვიჩვენებსთ. ღვისა მიმართ მინდობილ იყვენით, რათა ერთგულება თქვენი სხუათაგან უფრო მალე დაანახოთ ღმერთსა თქვენსა და ქრისტიანობისათვის გაისარჯოს და ღმერთიც შეეწევა და დიდი ეკატერინეც, რომელიც საზოგადოდ ყოვლისა ქრისტიანისათვის იღვწის. და ესეც, თუ გაგისტუმროს კნიაზმა, ხომ ხედავ, ამ ომიანობის ეგების შერიგება მოხდეს. იმ დროს, შერიგებაში, რომ ჩვენი კაცი არ დაესწროს, ჩვენთვის ავია დასჯობს, ღმერთი შეგაძლებინებს, იმ დღეებს, კნიაზის ბრძანებით კნიაზსთან გამოსცხადდე მეფის შენის დასტურით. კარგის გასინჯულობით ეგების სხვაც ვინმე იქმნეს, მაგრამ უშენობა კი არ იქნება... ჩვენ უმეტესად გვმართებს, ჩვენთვისაც და რუსეთისთვისაც გავისარჯნეთ. ჩვენად მიზეზის გამოხსნად რუსეთი სჩანს ძალთა მღვთისათა განძლიერებული“.

წერილს თან ერთვის მინაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „თუ რომ ამათი ჯარი ჩვენის ქვეყნის შავი ზღვის პირისკენ წარემართა, მეც ხომ მაშინვე წამოვალ. თუ ეს არ იქნა, შერიგება მოხად, ვიცი მოწყალე ხელმწიფე დიდი ეკატერინა იმერეთს გამოიხსნის, რათა არღარა უფლებდეს ჩვენ ზედა უღვთონი მახმადიანნი და ამ დღის მხილველი უეჭველად მეც მხიარულის სახით წამოვალ ქვეყნად ჩემდა, რათა არ გვეციხოდნენ მტერნი ჩვენნი, ამ დღეს შევესწრო, ღმერთს ამას ვთხოვ. ეს არის ჩემი განზრახულობა. ვგონებ, მცირეს ხანში ამ საქმემაც დასასრული მიიღოს“. ხელმოწერაში მაქსიმე II თავის ტიტულს უთითებდა: „ბრწყინვალეებისა თქვენისა მარადის მღვთის მავედრებელი აფხაზ-იმერთა კათალიკოზი მაქსიმე“.¹⁶

როგორც ვხედავთ, აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი უცხოეთ-

ში იღწვის აფხაზეთის იმერეთთან შემოსაერთებლად და მამადიანთა ბატონობისაგან თავის დაღწევის მიზნით ერთიანად რუსეთის მფარველობის ქვეშ შესასვლელად.

აფხაზეთის ტერიტორიით რუსეთის უფრო მეტად დაინტერესების მიზნით, მაქსიმე II ეხება ყუბანის საკითხს და მიანიშნებს, რომ არსებობს რუსეთის წინააღმდეგ ყუბანელთა და აფხაზთა ერთად გამოსვლის საფრთხე. ეს საფრთხე იმ შემთხვევაში გამოირიცხებოდა, თუ აფხაზეთი იმერეთთან გაერთიანდებოდა. მაქსიმე II ბესიკს ურჩევდა საზავო მოლაპარაკებაში მეფის დასტურით მონაწილეობის მიღებას, რათა რუსეთსა და თურქეთს გაეთვალისწინებინათ დასავლეთ საქართველოს ინტერესები.

მაქსიმე II ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე: „თუ რომ ამათი (რუსეთის — ჯ. გ.) ჯარი ჩვენის ქვეყნის შავი ზღვის პირისკენ წარემართა, მეც ხომ მაშინვე წამოვალ“. ამისათვის არსებობდა ერთად-ერთი სახმელეთო გზა აფხაზეთის გავლით. მაქსიმე II აბაშიძეს სწორედ ამ გზით სურდა სამშობლოში დაბრუნება, ერთმორწმუნე რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ქვეყნის გაერთიანება, მისი განთავისუფლება ოსმალეთისაგან.

1789 წლის 2 ივლისს აფხაზ-იმერთა კათალიკოსმა მაქსიმემ მეორე წერილიც დაწერა. ამჯერად იგი მიმართავდა გრ. პრიტიომკინს: „იისუს მაცხოვრისა მიერ იყავნ სახელი შენი კურთხეულ ცათა შინა ქვეყანასა ზედა“. კათალიკოსი სთხოვდა მას გამამხნეველნი წერილი გაუგზავნოს იმერეთის მეფეს და მოუწოდებდა: „უკეთუ მხნეობითა და რჯილობითა შენითა იღვაწე ძალითა უძლიერესისა მღვთისათა იმერეთის გამოსნისათვის მახმადიანთა უღლისაგან, მაშინ ესე თქვენი ნამუშავევი ღვაწლი ქრისტიანეთათვის შეირატხების უმდიდრეს მსხვერპლად და ძვირფას ძღვენად წინაშე უმაღლესისა მღვთისა და მის ნაცვლად მოგენიჭების ქრისტეს მიერ სასუფეველი ცათა და საუკუნო ნეტარება“.¹⁷ წერილს ხელს აწერდა „უგანათლებულესობისა თქვენისა მოწყალისა ხელმწიფისა მარადისა მღვთის მავედრებელი აფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე“

1789 წლის ზაფხულში ბესიკი ღებულობს კათალიკოსის კიდევ

ერთ წერილს, სადაც იმერეთის მეფესთან აფხაზეთის მთავრების გამოცხადების შესახებ აუწყებს. მაქსიმე II აბაშიძემ არ იცოდა, რომ, ჯერ ერთი, ბესიკს მეფისაგან უკვე ჰქონდა ეს ინფორმაცია; მეორეც, ქუთაისში ჩამოვიდნენ სამურზაყანოს და არა აფხაზეთის მფლობელები; მესამეც, დავით მეფემ იმ დროისათვის ტახტი უკვე დაკარგა. მაქსიმე II მოთმინებას ურჩევდა ბესიკს: „ბევრი საქმეები აქვთ (რუსებს — ჯ. გ.) და არ მოვითმინოთ, არ გავსძლოთ, მაშ რა ღონეა. ყოვლის ქრისტიანის სასარგებლოდ სჩანს ამათი ღვაწლი და, სჩანს, ღმერთი ამათი შემწეა. ჩვენც ამათი მოიძედე ვართ და ამისთვის უნდა გავსძლოთ ღვთის მოწყალებით. ეგები კეთილი დასასრული ექმნეს ამ ჩვენს შრომასა“.¹⁸

1789 წლის სექტემბერში ბესიკი ბარათს უგზავნის გრ. პოტიომკინს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად კვლავ ეხება აფხაზეთს, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული ყუბანის პოზიციის სიმტკიცე, და ურჩევდა იმერეთის მეფისათვის სათანადო განკარგულების მიცემას. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ბესიკი ითვალისწინებდა აფხაზ-იმერთა კათალიკოსის მაქსიმეს II მიერ 1789წ. 2 ივლისით დათარიღებულ წერილში ყუბანთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს.

1789 წლის დეკემბერში ბესიკი კიდევ ერთხელ თხოვნით მიმართავს გრ. პოტიომკინს: თუ რუსეთს ამჯერად იმერეთის აშკარად მფარველობაში მიღება არ შეუძლია, გაათორმოს საიდუმლო ხელშეკრულება, დასვას კონსულები ფოთში, ბათუმსა და ახალციხეში. საინტერესოა აფხაზეთთან დაკავშირებული წინადადება: „აფხაზეთი დაიდუას თავის უფლად, რომელნიც ოსმალის ხმლით დაპყრობილნი არიან, და ნება მიეცეს მათ, რომელთაც საქმე ჩვენ ვიცით, რომ მალე აღირჩევენ ქრისტიანობას და ისინიც, როგორც ჩვენ, საფარველსა ქვეშ რუსეთისასა შემოვლენ და უხმლოდ მორჩილებას მიიღებენ და ესეც დაიდუას, რათა ამ აფხაზეთის ნავთსა-უფდლებზედაც რუსეთის ნავებმა ივაჭრონ, რომლითაც თქუენ მალე ნახავთ სარგებელსა არამცირესა“.¹⁹

თურქეთთან ომში ჩართულ რუსეთს იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოსათვის ჯერ კიდევ არ ეცალა. 1791 წელს ბესიკიც უც-

ხოეთში გარდაიცვალა. იმავე წლის დეკემბერში დადებული იასის ზავით თურქეთის უპირატესი უფლებები დასავლეთ საქართველოზე ძირითადად ისევე დამტკიცდა, როგორც ეს ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებაში იყო ჩაწერილი. ქვეყანა კვლავ თურქთა აგრესიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ საფრთხეს აძლიერებდა შიდა დაპირისპირებები. სოლომონ მეორემ გრიგოლ დადიანს 1791 წელს ტყვის სყიდვასთან ძრძოლის პირობა დაადებინა, მაგრამ მომდევნო წელს ტახტის დაბრუნებისათვის მებრძოლ ყოფილ მეფესთან — დავით გიორგის ძესთან კავშირის გამო იგი გადააყენა და სამეგრელოს ტახტი მის ძმას, ლევან შერვაშიძის სიძეს — მანუჩარს გადასცა. 1795 წელს გრიგოლმა ისარგებლა სამეფო ტახტისათვის ბრძოლის გამწვავებით და სამეგრელოში კვლავ გაბატონდა.²⁰ ყველა ამ დაპირისპირების უკან თურქეთი იდგა.

იმ პერიოდში აფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე II ასტრახანში იმყოფებოდა და 1789-1792 წლებში ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა.²¹ 1792 წლის 27 ივლისს კათალიკოსი საპასუხო წერილს უგზავნიდა სამეგრელოს სამღვდელთაგანს, რომელსაც აფხაზეთი (სამურზაყანო) ექვემდებარებოდა. მაქსიმე II ამცნობს მათ გაწეული მუშაობის, აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიმართ მისი განუხორციელებელი მიზნებისა და გაცრუებული იმედების, აგრეთვე ახალი კათალიკოსის არჩევის აუცილებლობის შესახებ. წერილი, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოგვყავს მთლიანად:

„მათს ყოვლად სამღვდელთაგანს ჭყონდიდელ მიტროპოლიტს უფალს ანტონის და ბესარიონს (ორი მიტროპოლიტი იჯდა ჭყონდიდში — გრიგოლ დადიანის ბიძა ანტონი და ძმა-ბესარიონი — გ.გ.) , ცაგერელს უფალს სოფრომს და ცაიშელს უფალს (გრიგოლს), ქრისტეს მიერ ძმათა და უფალთა!

გონიერთა თვალითას ულისათა ამბორება ქრისტესმიერი მოგხსენდესთ. ეპისტოლე მადლისა მეუფებისა თქვენისა მრავალგზის მომეკლინა, კანონისამებრ წმიდათა მამათასა, სრულითა სიყვარულითა და ჭეშმარიტითა სვინიდისითა განშვილი და განკარგული და მიმწოდებელი სამწყოსიდევე ჩემდა, და ესეც: თუ რომ აღარ ინებებ მოსვლასაო, დასტური მომწერეო; უკათოლიკოსოდ ვერ დავს-

დგებითო. დიად, პატიოსანი და სამართლიანი თქმობა და მოწერა(ა) ეპისტოლეთა თქვენთა. ამის ძ(ა)ლით უმეტესსა მადლობასა აღუარებ პირველად უფალსა ჩემსა იისუს მაცხოვარსა და თქვენსაცა კეთილგონიერებასა ვაქებ და ვმადლობ; რომ ესოდენი სიყვარული გარდამატეთ ჩვენდა მომართ და, თვინიერ კანონისა მამათასა, არარაი ხელყავთ.

აწ ჩემი მოხსენება მეუფებისა თქვენისა მომართ ესრე არს. ღმერთი არის გონების განმკითხველი და ვგონებ თქვენც მოწამე ბრძანდებოდეთ; რაც ჩემგან შეიძლებოდა, სრულის გულის და გონებით ერთგული ვყოფილვარ მისისა და აგრეთვე ზოგად საიმერეთოსა და სამწყოსა ჩემისა; სულიერათაცა და ხორციელათაცა, რისი შეძლებათა იყო ჩემ შორის, თავი არ დამიზოგავს. მაგრამ უნაყოფოება ღვაწლისა ჩემისა ისევ ჩემს ცოდვას უნდა მივაწეროთ.

აწ ჩემის დაგვიანებისა ესრეთ მოიხსენეთ: მოსკოვს რომ მოველ, ერთ წელს მერმეთ ხელმწიფეს დავეთხოვე, ასტრახანს მოვედი. აქ არქიმანდრიტი ეფრემ რომ იყო, თბილელობა რომ ებოძა, მე დამას ერთად გვინდოდა წამოსულა. მე ხელმწიფეს მივართვი დათხოვნის წიგნი და არქიმანდრიტმა სინოდს. იმას კი მოუვიდა დასტური, მე სულ არა რა მებრძანა. მეორე და მესამე გავაგზავნე. არც მითი იქნა. მერმე დავაცადე ამ მიზეზით: მაგ შავს ზღვის პირებზედ რომ ჯარი წამოვიდა, სათუოდ აღარ მქონდა: ანაფიას (ანაპის — ჯ. გ.) აღების მერე აფხაზეთში და იმერეთში მივლენ. ანაფია რომ აიღეს (ეს მოხდა 1791 წ. 22 ივნისს — ჯ. გ.), იმასა და ბიჭინტას შუა ორმოცდაათი ვერსის მეტი თურმე არ არის; ვილას ეგონა იმ მხარეს გაუშვებდნენ!

მე ამას ვემზადებოდი: რაც იმ ჩვენს საყდარს ეჭირვებოდა, სულ ხელმწიფეს მოვახსენებ და წყალობას ვსთხოვ ყოველსავე საჭიროებასა იმ ჩვენის ეკლესიისა (საუბარია ბიჭვინთაზე — ჯ. გ.), და უთუოდ იმედნიც იყო აღსრულებისა. მაგრამ ჩემის ცოდვის ძ(ა)ლით, ესეც უსრული შეიქმნა და საუკუნო ტკივილი და შთა სულსა შინა ჩემსა.

და აწ ჩემი მოხსენება თქვენდა მომართ ესრეთ მიიღევით. ესეები რომ ასრე ასრულებულიყო თქვენთა მიმართ მომეწია, ჩემი ჰაზრი

ეს იყო: ვისაც გამოირჩევდით, ვითარცა ყოვლად წმინდა სული გა-
უწყებდათ, და კათალიკოსად ის უნდა დაგედგინათ. და მე, თქვენის
ნებითა და განწყევებით, საცა ვიცოცხლებდი, ერთს მონასტერში
მეცხოვრა. ირწმუნეთ, ჩემი ჰაზრი ეს იყო. და აწ ვითარცა სთნდეს
სულსა ყოვლად წმიდასა, ესრეთითა სვინილისითა და სამლთოთა
მსჯავრითა, და არა კაცობრივითა, ღთისაგან ითხოვეთ და ღირსი
მწყემსობისა, საზოგადოს განზრახულობითა და არა კერძო კერ-
ძოთი გამოირჩივთ და დაადგინეთ მოურნედ და მწყემსად სიტყვი-
ერთა ცხოვართა სისხლითა ქრისტესითა მოსყიდულთა. ჩემი ჰაზ-
რი პირველათაჲც ეს იყო და ახლაც ეს არის, ჩემი სრული მოხსენე-
ბა თქვენდა მიმართ: ჩემის მიზეზით, რომ ამდენს ხანს ეგ ქვეყანა უკა-
თოლიკოსოდ იყო, ესეც ჩემი შესაწუხებელი არის, თორემ აწ ნება
უფლისა და თქვენისა ყოვლად სამლუდელოებისა იყავნ, ვითარცა
ინებოთ! და მეცა წ(მიდა)თა ლოცვათა შინა თქვენთა დაუვიწყებ-
ლობას ქ(რისტ)ეს გულისათვის.

მათის ყოვლად სამლუდელოების ქრისტეს მიერი სულით ძმა აფ-
ხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე. ჩღებ (1792) წელს, ივლისის კზ (27)
რიცხუსა. ასტრახანით“.²²

კათალიკოს მაქსიმე II აბაშიძის მთავარი ოცნება ბიჭვინთის ტა-
ძარში დაბრუნება იყო. წერილი სამეგრელოს სამლუდელოებისად-
მი დაიწერა მას შემდეგ, რაც ცხოვრების ამ მთავარი ოცნების აღ-
სრულების იმედები გადაეწურა. ის მაინც ფარ-ხმალს არ ყრიდა
და შემდგომ კათალიკოსს ანდერძად უბარებდა: რადგან მას არ
ელირსა საკუთრივ აფხაზეთის ნახვა და „მათი სამსახური“, „უმე-
ტესი ღვაწლი თქვენი იყავნ აფხაზეთის მოქცევასა და ბიჭვინთის ეკ-
ლესიის განახლებისათვის. ახლავ უნდა მიტანება, დრო გაქვთ, თქვენ
ვიცი, შეგვევლებათ და კიდევაც კეთილად მიგიღებენ და ამის ძა-
ლით იქნებით ქეშმარიტი პირველწოდებულისა, მოციქულისა ან-
დრიას მოსაყდრე“.²³ კათალიკოსი იერუსალიმსა და ათონის მთაზე
გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ხელი ავადმყოფობამ შეუშალა.
1792 წელს მაქსიმე II კიევში გადავიდა. ეპისკოპოსი კირიონი 1911
წლის 10 მაისს კიევის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ნ. ნ.
პალმოვს (რომელიც კათალიკოს მაქსიმე აბაშიძის ბიოგრაფიაზე

მუშაობდა) აცნობებდა, რომ მაქსიმე II აბაშიძე დარჩა კიევში, სა-
ხელმწიფოსაგან იღებდა პენსიას წელიწადში 1200 მანეთის ოდენ-
ობით.²⁴ 1795 წელს ღვაწლმოსილი აფხაზეთის კათალიკოსი გარ-
დაიცვალა, დაკრძალულია კიევ-პეჩერის ლავრაში, სადაც ბოლო
წლებში მოღვაწეობდა. იქ ყოფნისას (1911წ.) ეპ. კირიონმა ნახა ლავ-
რის სამხრეთის კედელში დატანებული ბრინჯაოს მემორიალური
დაფა შემდეგი წარწერით: „В царствование благо честивыя
Императрицы Екатерины Алексеевны от воплощения бо-
га Слова 1795 год месяца мая 30 дня в среду в начале
7-го часа пополудни преставился Преосвященный Мак-
сим. Каталикос Имеретинский и Абхазский, пребывавший
на покое в граде Астрахане, приехавший же в город Ки-
ев на Богомолье, имевший от рождения своего не с боль-
шим 70 лет, болевший коменною болезнью и простудою
и погребен здесь в Киево-Печерской Лавре на правой
стороне великия церкви Успения Пресвятыя Богородцы
от стены предела девять разстоянием семь аршин ис-
полнен духовного пред светом слова“.²⁵

სიკვდილის წინ მაქსიმემ ბიჭვინთის ეკლესიას უანდერძა მიტრა,
პანაგია, ბარტყულა დიდი და პატარა ჯვრით. კათალიკოსის ანდერძი
არ შესრულებულა. ეს ნივთები XX ს. დასაწყისში (შესაძლოა,
ამჟამადაც) ჯერ კიდევ ლავრის არქივში ინახებოდა.

აფხაზეთის სამთავროს იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში
დაბრუნების, მისი გაქრისტიანების, მთლიანად დასავლეთ საქარ-
თველოს ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლებისა და რუსეთის
იმპერიის მფარველობის ქვეშ შეყვანის გეგმა, რომლის განხორცი-
ელებას შეალიასიცოცხლე აფხაზეთის კათალიკოსმა მაქსიმე II აბა-
შიძემ, ვერ განხორციელდა რუსეთის ნამდვილი ზრახვების არას-
წორი შეფასების, არახელსაყრელი საერთაშორისო პირობებისა
და, რაც მთავარია, საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცების,
შიდადაპირისპირებების შედეგად მისი დასუსტების გამო.

მაქსიმე II აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის კათალი-
კოსის ტახტი ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოს წერეთელ-

მა დაიკავა. ვინაიდან სხვადასხვა საბუთებში იგი თავს მოიხსენიებს, როგორც „ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ და გამგე საკათალიკოზოსი“, მიჩნეულია, რომ კათალიკოსის თანამდებობაზე მისი კურთხევა არ მომხდარა; საკათალიკოსოს კი, სავარაუდოდ, მაქსიმე II აბაშიძის არყოფნის წლებშიც განაგებდა. ზოგიერთი საბუთის მიხედვით, დოსითეოსი კათალიკოსის ხარისხში იყო აყვანილი. ქართლ-კახეთის დედოფალი დარეჯანი 1797 წლის 26 აპრილით დათარიღებულ წერილში დოსითეოსს (თავის მამიდა შვილს) — „სრულიად იმერთა და ოდიშ-აფხაზთა კათალიკოსს“ — ულოცავდა კათალიკოსობას, ხოლო სოლომონ II 1798 წლის საბუთში ამბობდა: „ამისა შდ ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსს კათალიკოსობა უბოძეთ“.²⁶ ამრიგად, კათალიკოსის ხარისხში დოსითეოსის აყვანა გამორიცხული არ არის, თუმცა გაუზრკვეველია თარიღი — 1792 წელი (როცა მაქსიმე II-მ სამეგრელოს სამღვდელოებას ახალი კათალიკოსის არჩევა სთხოვა), 1795 წელი (კათალიკოს მაქსიმე II-ს გარდაცვალება) თუ 1797 წელი (როცა მას კათალიკოსობას ულოცავენ).

დოსითეოს წერეთელი — აფხაზეთის საკათალიკოსოს უკანასკნელი მმართველია. ის ამ თანამდებობაზე 1814 წლამდე — საკათალიკოსოს გაუქმებამდე — იმყოფებოდა; ენერგიულად იღწვოდა საკათალიკოსო ყმებისა და მამულების დაბრუნებისათვის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის; დოსითეოსი მონაწილეობდა იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ მმართველ აჯანყებაში (1819-1820 წლები), რისთვისაც 1820წ. მარტში დააპატიმრეს და რუსეთში გადასახლება მიუსაჯეს; იგი გზაში გარდაიცვალა და ანანურის ეკლესიაში დაკრძალეს. 2005 წ. 27 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის განჩინებით მიტროპოლიტი დოსითეოზი წმიდათა დასში შეირაცხა.

ერთმორწმუნეობა და პოლიტიკა

აფხაზეთის საკითხი დღის წესრიგიდან არ იხსნება. 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტის საფუძველზე ქართლ-კახეთის რუსეთთან იძულებით მიერთებამ სერიოზულად დააფიქრა სოლომონ II. მისი ოც-

ნებები რუსეთის დახმარებით საქართველოს გაერთიანების შესახებ დაიძახებდა. სოლომონ მეფეს მწვავე დაპირისპირება ჰქონდა სამეგრელოს მთავართან. 1802 წლის შემოდგომაზე აფხაზთა დახმარებით გრიგოლ დადიანი ქუთაისს მიუახლოვდა. სოლომონ მეორემ იმავე წლის ნოემბერში დადიანს ლეჩხუმში წაართვა; მოემზადა ქლაიში ახმედ-ბეგის მეთაურობით შემოსული აფხაზების წინააღმდეგ შეტევისათვის. აფხაზეთის მთავარმა სოლომონ მეფეს შუამავლად ბეჟან შერვაშიძე გაუგზავნა, სთხოვა პატიება და მორჩილება გამოუცხადა; აფხაზებმა სამეგრელო დატოვეს, სოლომონი ოდიშში შევიდა. 1802 წლის 5 დეკემბერს გენერალ-მაიორი ლაზარევი გენერალ-ლეიტენანტ კ. კნორინგს მოახსენებდა, რომ სოლომონ მეორემ დაიმორჩილა ოდიში, ლეჩხუმში, გურია, სვანეთი და აფხაზები შავ ზღვამდე.²⁷

შექმნილ ვითარებაში სამეგრელოს სამთავრო სოლომონ მეორისაგან თავის დაცვის საბაბით ცდილობდა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას და აფხაზეთის შემოერთებას. ამ შემთხვევაშიც ქრისტიანული სარწმუნოების ფაქტორი, შესაბამისად ქართული სამღვდელოება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა. სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის იმპერატორ ალექსანდრე I-ს (1801-1825 წწ.) სახელზე 1803 წლის დეკემბერში რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების თაობაზე დაწერილ თხოვნაში სამეგრელოს მთავარი საკუთარ ტიტულატურაში აფხაზეთსაც უთითებდა, რითაც გამოხატავდა პრეტენზიას თავის ისტორიულ ტერიტორიაზე. სამეგრელოს ნაწილად აფხაზეთის წარმოჩენას ისახავდა მიზნად გრიგოლ დადიანის მიერ რუსეთში დესპანად გაგზავნილი არჩიმანდრიტ პატნოტი ხოზია შვილისათვის (აღმოსავლეთ საქართველოდან სამეგრელოში გადმოვიდა 1802-1804 წლების შუა პერიოდში) მოქვის ეპისკოპოსის ხარისხის მინიჭება „ჯილდოდ ესრეთისა დესპანობისა“.²⁸ XVII ს. 70-ნ წლებში აფსუების ხელით დანგრეულ მოქვის ტაძარში, ცხადია პატნოტი ხოზია შვილს, არ უმოღვაწია. მოქვის ეპისკოპოსის ფორმალური თანამდებობა ამ შემთხვევაში პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა (1811 წლიდან პატნოტი ხოზია შვილი ნინო დადიანთან ერთად რუსეთში გაემგზავრა, დამკვიდრდა

მოსკოვის ჩუდოვის მონასტერში, სადაც 1823 წელს გარდაიცვალა; იქვეა დაკრძალული).

გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლე — სამთავროს დროებითი მმართველი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ს ქალიშვილი ნინო დადიანი აფხაზეთთან მიმართებაში ატარებდა აქტიურ პოლიტიკას, რომელსაც მისი შვილი — ლევან V დადიანიც (1805-1840 წწ) აგრძელებდა.

რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის ფარული სურვილი ქელაიშ-აჰმედ ბეგს 1803 წელს გაუჩნდა. შუამდგომლობას რუსულ ხელისუფლების წინაშე იგი გრიგოლ დადიანს სთხოვდა. პ. ციციანოვი ამასთან დაკავშირებით სამეგრელოს მთავარს წერდა (1803წ.), რომ ურჩიოს ქელაიშ აჰმედ-ბეგს, „რათა მას ესრეთისა საქმისათვის ანუ გამოეგ ზავნა ჩემდამი კაცი საგანგებოდ ყოვლითა გამოცხადებითა ესევეითარითა წადილისა მისისათა, ანუ აღესრულებინა ესე წერილითა გარნაცხადითა გამოცხადებითა, რომელ სწაღს მას თავისა თვისისა და ყოვლისა სამფლობელოსა თვისისა შემოყვანა ყობასა შინა ყოვლისა რუსეთის ტახტისასა“ პ. ციციანოვმა მშვენიერად იცოდა აფხაზეთის ისტორია, მისი საქართველოსადმი კუთვნილება, იცოდა აგრეთვე სამთავროს სარწმუნოებრივი მდგომარეობა. 1803წ. 27 ოქტომბერს იგი გრაფ ვორონცოვს წერდა: „Между тем долгом почитаю коснуться здесь истории Келеш-бека (მხედველობაში აქვს შერვაშიძეთა ისტორია — ჯ. გ.) и его владения. В 15-ом веке, а именно до 1414 года от Рождества Христова, когда Иверия не была разделена, он Келеш-бек известен был по имени Шервашидзе: владение его составляло одну из провинции Иверии... Впрочем остатки христианства видны еще в подданных Келеш бека, соблюдающих воликий пост и некоторые дни праздников; так же несколько князей его дома со своими владениями сохраняют во всей непоколебимости исповедание веры христианской“.²⁹

აფხაზეთის მთავარი, მოქმედებდა, რა საიდუმლოდ, 1805 წელს

1. იოს მფარველობის ქვეშ მიღების თხოვნით წერილს წერს გერ

3. ციციანოვს, შემდეგ კი გენ. ე. ო. რიშელიეს მეშვეობით იგივე თხოვნა იმპერატორს წარუდგინა.³⁰ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რუსებმა აფხაზეთის მთავარს 1799 წელს მიტაცებული ანაკლიის ციხე წაართვეს და მასთან მძევლად მყოფი სამეგრელოს ტახტის მემკვიდრე, მკირეწლოვანი ლევან დადიანი გაანთავისუფლეს. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში აფხაზეთში იმყოფებოდა. 1818 წლის 22 ივლისს სულიერი მასწავლებლისადმი და აღმზრდელისადმი — არქიმანდრიტ გიორგი კუხალაშვილისადმი (სამეგრელოს მომავალი ეპისკოპოსი) გაგზავნილ წერილში, რომელიც რუსულ თარგმანშია ჩვენთვის ცნობილი, ლევან V დადიანი იხსენებდა მძევლად ყაფნის წლებს და წერდა: როცა მე გამაგზავნეს აფხაზეთში „В роде аманатчика к томовладетелю Келеш Ахмад беку Шарвашидзе, в четырехлетнее мое там нахождение вы при мне в неверной и непросвещенной стране были“.³¹

ანაკლიის ინციდენტმა, თურქეთთან ურთიერთობის გართულებამ, სამეგრელო-სამურზაყანოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ქელაიშ აჰმედ-ბეგის ორიენტაციაზე რუსეთის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, პეტერბურგი თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით ფრთხილად და გარკვეულწილად უნდობლობითაც ეკიდებოდა აფხაზეთის მთავრის თხოვნას. მხოლოდ ანკარასთან ურთიერთობის გაწყვეტის შემთხვევაში იყო რუსეთი მზად აფხაზეთის საკუთარი მფარველობის ქვეშ მისაღებად. მანამდე მთავართან თბილი ურთიერთობა უნდა შეენარჩუნებინათ. 1806 წლის მაისში, რუსების შუამავლობით, ქელაიშ აჰმედ-ბეგი სამეგრელოს დროებით მმართველთან-ნინო დადიანთან შეარიგეს. აფხაზეთის მთავარი ქართულად შედგენილ ხელწერილში (არსებობს ქელაიშ აჰმედ-ბეგის მიერ ქართულად შედგენილი სხვა ხელწერილიც) აღნიშნავდა: „...ასე რომ, თქვენ თუ ჩვენს დასამდაბლებელს საქმეშიდ არ შეხვიდეთ, ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელ საქმეშიდ არ შევიდეთ და არც შემეძლოს; შენის კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე“.³² აფხაზეთის მთავართან 1806 წელს მოსალაპარაკებლად თბილისიდან საიდუმლოდ

გამოგზავნილ თავად გ. ამირეჯიბს ქელაიშ აჰმედ-ბეგი ეუბნება: „Когда в Имеретии и Грузии были только одни цари, то Абхазия была под властью тех царей, а не под властью Оттоманский порты и в доказательство построены здесь церкви от них; теперь и я отдал Абхазию Государю“.³³ სწორედ იმ ქარული ეკლესიების ზეგავლენამ და რუსეთის მთავრობის ქვეშ შესვლის სურვილმა აფხაზეთის მაჰმადიან მთავარს, ბოლომდე დაუზუსტებელი ცნობებით, ქრისტიანობა მიაღებინა. როგორც ციანის მიტროპოლიტი გრიგოლ ჩიქოვანი 1822 წელს წერდა რუსეთიდან აფხაზეთის გავლით 1806წ. დაბრუნებულმა დეკანოზმა იოანე იოსელიანმა, მისი კურთხევით, მთავარი ოჯახის წევრებთან ერთად მონათლა; ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობითაც აფხაზეთის მთავარი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მონათლულა.³⁴

ქელაიშ აჰმედ-ბეგის რუსეთთან ფარული ურთიერთობებისა და მისი სავარაუდო მონათელის შესახებ ცნობილი გახდა თურქეთისათვის, რომლის დავალებითა და დახმარებით 1808 წელს საკუთარმა უმცროსმა შვილმა ასლან-ბეგმა აფხაზეთის მთავარი სიცოცხლეს გამოასალმა; მანვე ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. შექმნილ ვითარებაში სამეგრელოს სამთავრო კარი იწყებს აქტიურ მოქმედებას, რათა აფხაზეთის მთავარი გახდეს ქელაიშ აჰმედ-ბეგის უფროსი ვაჟი, გრიგოლ დადიანის სიძე (დის ქმარი) საფარ-ბეგი, რომელიც ქორწინების წინ, გრიგოლის მოთხოვნით, ფარულად მონათლა და გიორგი დაირქვა. მამის დაღუპვის შემდეგ საფარ-ბეგი (გიორგი) შერვაშიძე ომს უცხადებს უმცროს ძმას და დახმარებისათვის რუსეთის ქვეშევრდომ სამეგრელოს მიმართავს. მის წერილში, ნინოსადმი და ლევან დადიანისადმი, რომელიც ქართულადაა დაწერილი, ვკითხულობთ: „მე მთავარი და მპყრობელი აფხაზთა უშინაგანისა ადგილებისა და მემკვიდრე ზუფუსა და წებელდისა, სათნო ვექმნები მე კეთილსა განზრახვასა თქვენსა და დავაწესებ თავსა ჩემსა ქვეყნითურთ ჩემით მონებათა და ერთგულებათა ქვეშე ყოვლად უმოწყაღესისა და უთვითმპყრობელესისა სრულიად როსოსიისა იმპერატორისა და ყოვლითა ჩემითა შემძლებლობითა, ვითარცა თქვენ ხართ ნიჭებულნი და მიღებულნი მის მიერ... ხოლო ოდეს

თქვენ მიერ იგი აღთქმული კარი უთვითმპყრობელესისა ხელმწიფისა ჩემისა იმპერატორისა განმელება და ვიხილავ მე მოწყალეებასა ერთმთავრულსა, დასამტკიცებელსა ჰაზრისა ჩემისასა, მაშინ უმოსწრაფესად გავაცხადებ სარწმუნოებასა ჩემსა, რომელიცა მივიღე უწინარესვე მოქმედებითა უფლისა გარდაცვალებულისა გრიგოლ დადიანისათა და ვაწვევ ყოველთა ჩემთა სამფლობელოთა, რათა მათთა განაცხადონ და რომელთა არა აქვთ ნათელი, ნათელიღონ სარწმუნოებითა ბერძენისათა და დაუწყონ მსახურება თვისთისთა ეკლესიათა“. გიორგი სთხოვს ნინოს და ლევან დადიანს იშუამდგომლონ იმპერატორის წინაშე რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე. „მაშასადამე თქვენდამი დამოკიდებულ არს, თუ ვითარ იგი იღწვით ჩემთვის ანუ ვითარ იგი განმიღებთ კარსა უთვითმპყრობელისასა ხელმწიფისა ჩვენისასა“,³⁵ — წერდა იგი.

1808 წლის 8 ივნისს ნინო დადიანი წერილობით მიმართავს რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პირველს და საქართველოს მმართველს ნ. ვ. გუდოვიჩს (1806-1809 წწ) რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე. იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „სიძემან ჩვენმან საფარბებგ მოვიდა ჩვენდა ყოვლითა თავადითა და კეთილშობილთა აფხაზეთისათა და ითხოვა ჩვენ მიერ ერთობა და სიმტკიცე მეზობლური, გარნა შევიყვანეთ მონებათა ქვეშე უთვითმპყრობელესისა ტახტისა თქვენისა, რომელიცა დავაფიცეთ ერთგულეებით მონებად საიმპერიოსა ტახტისა თქვენისა... და ესერა, უთვითმპყრობელესო ხელმწიფეო, მარჯვე ჟამი არს მიღებად საყვარელთა თქვენთა ქვეშე, ვინაიდან არს წევრი და მეზობელი ჩვენი და იყო უწინარესვე ხელთაქვეშე სამთავროთა ჩვენთა მყოფი.

და ესერა მოქმედებითა ჩვენითა მითვალულ იქნეს მონებათა იმპერატორებისა თქვენისათა, რომელ მიემატების რუსეთისა საიმპერიოსა, ჩვენთანა აფხაზეთი ვიდრე ჭიქეთამდე განვრცელებად, რომელიცა ემახლობლების ტავრიასა.

თუმცალა ჟამმან ცვლილებისამან მეზობლის უთანხმოობანამ განხადა მფლობელობისაგან სამთავროისა ჩვენისა ესე აფხაზეთი,

გარნა უწინარეს იყო მკვიდრი ტახტი ნიკოპსისა, დადიანისა ლევანისა და წინაპართა მათთა და გარდაცვალებული კაცია დადიანი (1758-1788 წწ. — ჯ. გ.) მამა ახალგარდაცვალებულისა გრიგოლ დადიანისა, ახლევინებდა ხარკსა და არს უკვე წევრი სამეგრელოსა“.³⁶

წერილიდან ჩანს, რომ ნინომ უკვე დაადებინა ფიცი გიორგი შერვაშიძეს რუსეთის ერთგულებაზე, რის შემდეგაც იმპერიის საზღვრები ტავრიის მეზობლად მდებარე ჯიქეთამდე გავრცელდა. ამ სასიამოვნო ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად ნინო პირდაპირ მიანიშნებდა პეტერბურგს, რომ აფხაზეთი სამეგრელოს ისტორიული ნაწილია.

ვ. ი. გუდოვიჩისადმი გაგზავნილ წერილშიც სამეგრელოს დროებით მმართველი ლაპარაკობდა იმპერატორის ერთგულებაზე გიორგის დაფიცების შესახებ; აფხაზეთის რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების აუცილებლობას კი იმითაც ასაბუთებდა, რომ აფხაზეთი მთლიანად გაქრისტიანდება. ნინო წერდა: „გარნა ჩვენ, ვითარ იგი გვაქენდა წადილი მარად ერთგულებისათვის ყოვლად უმოწყალესისა ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისა, შევიყვანეთ მათდამი პატიოსანი სიტყვა და მოვიზიდეთ იგი მონებად და შევრდომად ხელმწიფისა ჩვენისა, რომლისათვის გამოვართვით ჩვენ ესე ვითარ წერილი, რომელიც წარსადგინებელ არს უშევრდომილესად ყოვლად უმოწყალესისა ხელმწიფისა ჩვენისა უზენაესისა მოსმენისამდე. ამას უკვე საფარბეგსა მამან მისმა ქელაიშ-აჰმედბეგმან უთხოვა მეუღლედ გარდაცვალებულისა უფლისა გრიგოლ დადიანის და, გარნა არა მისცა მას, ვიდრე არ ნათელსცა ამას და ოდეს ნათელ იღო ხელითა კარისა ჩვენისა მღვდლისა სიმონ ასათიანისათა და აღიარა სარწმუნოება ჩვენი, მაშინ მისცა და თვისი კურთხევითა გვირგვინისათა და აქამომდე იყო ფარული და აწცა ოდეს მოხედავს თქვენ მიერთთა კარისა განლებითა უთვითმპყრობელესი ხელმწიფე ჩვენი და მიიღებს მონად თვისდა, მაშინ განაცხადებს სარწმუნოებასა არა თუ ესე მხოლოდ, არამედ ყოველი აფხაზეთი, — ესრედ აღმითქვებს მე ყოველთა აფხაზეთისა თავადთა და აზნაურთა და ხოლო გლეხნი მოსწრაფებით მზა არიან, ვინაითგან უმეტესნი ქრისტიანობენ და სწამსთ ჭვარი და ხატი ჩვენი და არს დიდნი პირ-

ველად ზუფუჟს საპატრიარქო ეკლესია ბიჭვინტისა, მეორედ კვალად სასახლისა ეკლესია, კვალადვე ზუფუჟს, მესამე დორანდისა, რომელიცა დღესვე დაურღვეველად სდგას სამფლობელოსა ამისსა, და ჩვენსა სამფლობელო აფხაზეთსა შინა არს ეკლესია ილორისა, მოქვისა და ბედიისა და არს ამათ შორის ადგილ-ადგილ ლოცვა და წირვა და აქეთ წადილი მცხოვრებთა აფხაზეთისათა ქრისტიანობა, რომლისათვის უსაშველოდ მთხოვეს მე მოსვლა ყოველთავე სარწმუნობასა ჩვენსა ზედა, რომლისათვის ვსთხოვ შენსა უპირატეს კეთილ მმართველობასა იღვაწო ამათთვის და კვალად პატივისათვის ჩემისა შეიწყნაროს უთვითმპყრობელესმან ხელმწიფემან ჩემმან და მიიღოს მონად თვისდა ესე სიძე ჩემი საფარბეგ, რომელსაცა საიდუმლოდ ნათლისა სახელი ეწოდების გიორგი და აღინიშნოს ნიშნითა და გრამოტითა და ეგრეთვე მხედრობისა და ყნებითა აფხაზეთა შორის“.²⁷

ნინოს წერილმა დიდწილად შეუწყო ხელი და დააჩქარა აფხაზეთის მიღება რუსეთის მფარველობის ქვეშ. იგი ამავე დროს გვაწვდის მეტნაკლებად ზუსტ და სრულ ინფორმაციას აფხაზეთში ქრისტიანული ეკლესიის მდგომარეობის, ქრისტიანობის გავრცელების პერსპექტივების შესახებ.

საინტერესოა აგრეთვე ვ. ი. გუდოვიჩის მიერ 1809 წლის 3 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის პრეზიდენტის ნ. ი. სალტიკოვის სახელზე გაგზავნილი წერილი, სადაც დაწვრილებითაა მიმოხილული აფხაზეთის საკითხი. პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად იგი საუბრობდა აფხაზეთში ეკლესიის მდგომარეობისა და ქრისტიანობის გავრცელების შესახებაც. აქვე თავს მოვალედ ვთვლი განუმარტო თქვენს ბრწყინვალეობას, — წერდა ვ. ი. გუდოვიჩი, — თურატომ უწოდებს საფარბეგი თავის წერილებში საკუთარ თავს გიორგის. „უძველესი დროიდან აფხაზეთის მფლობელები წარმოშობით ქრისტიანები იყვნენ, — წერდა იგი, — მაგრამ სეფერ-ალიბეგის ბაბუა (მან უჩარ შერვაშიძე — ჯ. გ.) გამოეყო რა იმერეთს, და მორჩილდა ოტომანის პორტას, ამასთანავე მუსულმანობაც მიიღო. აწ განსვენებული ქელეშ-ბეგი ასევე მუსულმანი გახლდათ და თავის შვილებსაც ამ კანონით ზრდიდა. როცა სამეგრელოს სახლ-

თან კავშირის დასამყარებლად მან გადაწყვიტა თავისი შვილი სეფერ-ალი-ბეგი აწ განსვენებული სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის დაზე დაქორწინებინა, გრიგოლი მანამდე ეუბნებოდა უარს, სანამ სეფერ-ბეგი არ დაეთანხმა შვილის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების მიღებას. ამრიგად, სეფერ-ალი-ბეგი ფარულადაა მონათლული. წმ. ნათლობისას დაარქვეს გიორგი და თავად გრიგოლ დადიანის დაზე დაქორწინდა. ნათლობა აქამდე იყო ფარული. მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მუდმივი მფარველობის ქვეშ შესვლის თაობაზე საკუთარი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მან დაირქვა ნათლობის სახელი და ივალდებულა ეცადოს, რათა ქრისტიანულ აღმსარებლობაზე მოაქციოს თავისი ხელქვეითებიც, რომელთა შორის ძალიან ბევრი ფარულად აღიარებს ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამის დამადასტურებელიც შეიძლება იყოს აფხაზეთში მდებარე ბევრი მონასტერი და ეკლესია, რომელთა უმრავლესობა გაპარტახებულია და მუსლუმანთა შიშით ღვთისმსახურების გარეშეა დარჩენილი“.³⁸

1808 წლის 12 აგვისტოს გიორგი შერვაშიძე და აფხაზეთის სხვა გავლენიანი თავადები ხელს აწერენ იმპერატორის სახელზე შედგენილ თხოვნას რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ. მის დედანს, რომელიც ქართულ ენაზეა შედგენილი, ს. ლეკიშვილმა რუსეთში მოაკვლია და პირველად გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (1989 წლის 31 მაისი) გამოაქვეყნა. რუსეთმა გიორგი შერვაშიძის „თხოვნა“ 1810 წლის 17 თებერვალს დააკმაყოფილა.

ე.წ. თხოვნის ერთ-ერთი რუსულ ენაზე თარგმნილი ასლი საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული. აღნიშნულ დოკუმენტს გიორგი შერვაშიძემ საკუთარი ხელით გაუკეთა მინაწერი, რომ მის მიერ ადრე გაგზავნილი წერილები და ეს თხოვნაც დაწერილია „დეკანოზ იოანე იოსელიანის მიერ, რომელიც წრფელი გულით მირჩევდა გავმხდარვიყავი საიმპერატორო ტახტის ქვეშევრდომი“.³⁹

მოტანილი საბუთები ადასტურებენ, რომ სამეგრელოს სამთავრო კარმა, განიხილავდა რა აფხაზეთს თავის ისტორიულ რეგიონად, ქართულ სამღვდლოებასთან ერთად მთავარი როლი ითამა-

შა მისი ბედის გადაწყვეტაში, რასაც რუსეთის მაშინდელი ხელი-სუფლებაც აღიარებდა. როგორც საქართველოში რუსეთის ჯარების სარდალი გენერალი ა. ი. ტორმასოვი 1810 წლის 11 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ნ. პ. რუმიანცევს წერდა, სწორედ ნინო და დიანის მონდომებას „უნდა მივაკუთვნოთ სეფერ-ალი-ბეგის იქითკენ გადახრა (НАКЛОНЕНИЕ), რომ მთელი აფხაზეთის სამფლობელოთი შესულიყო რუსეთის მუდმივი მფარველობისა და ქვეშევრდომობის ქვეშ“. ⁴⁰ ლევან V და დიანი 1816 წლის 31 დეკემბერს არქიმანდრიტ გიორგი კუხალაშვილისადმი (იგი ახალ მთავარმართებელს ა. ერმოლოვს უნდა შეხვედროდა; ლევან და დიანის აღმზრდელმა გიორგიმ რუსული ენაც კარგად იცოდა.) წერილში ჩამოთვლის სამეგრელოს სამთავრო კარის დამსახურებებს რუსეთის წინაშე (ეს ყოველივე არქიმანდრიტს ა. ერმოლოვისათვის უნდა მოეხსენებინა). „პირველ და უწინარეს ზემოთქმულისა მსახურებისა, — წერდა სამეგრელოს მთავარი, — მსახურება ჩვენი იყო შემოყვანა საიმპერიოსა ტახტისად მონებასა ქვეშე სამთავროი აფხაზეთისა და მთავარი მისი ღალიძგიდან დაწყებით ვიდრე ჩიქთა საზღვრამდე, ამისთვისაც ვსასოებ, რომელ არა დაშთენ თვინიერ უმაღლესისა ცნობისა და ყურადღებისა“. ⁴¹ სამეგრელოს, კერძოდ მისი დროებითი მმართველის — ნინო და დიანის დამსახურებას აფხაზეთისა და წებელდის მიმართ რუსული გეგმების განხორციელებაში დიდად აფასებდა იმპერიული ისტორიოგრაფია. ⁴²

ნინო და დიანს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ რუსეთისადმი ერთგულების საფასურად აფხაზეთს შემოიერთებდა და გააქრისტიანებდა, თუმცა მიზნის მისაღწევად იგი მხოლოდ რუსეთის იმედზე არ იყო; ჩვენი აზრით, ნინო მომავალში აფხაზეთზე კონტროლის აღდგენას ტახტის მემკვიდრის დიმიტრი გიორგის ძე შერვაშიძის მეშვეობით გეგმავდა. ამ მიზნით მცირეწლოვან დიმიტრის „სიყრმითგან იგი ზრდიდა შვილად თვისად“. ⁴³ შვილობილის გამთავრებას კი ხელი უნდა შეეწყო აფხაზეთის შემოერთების გეგმის განხორციელებისათვის. 1811 წელს, როცა ნინომ ძალაუღლება ლევან V და დიანს გადასცა და პეტერბურგს გაემგზავრა, დიმიტრიც თან წაიყვანა. შემდგომი მოვლენები კი, როგორც მოსალოდნელი იყო,

სულ სხვა გეგმით წარიმართა.

ქართული სამღვდელთა აქტიურად ეხმარებოდა რუსეთს აფხაზეთ-სამეგრელოში დამკვიდრების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეგრელოს სამთავრო კარის დეკანოზის იოანე იოსელიანის ღვაწლი რუსეთის სასარგებლოდ. სანამ აფხაზეთის საკითხებით დაკავდებოდა, დეკანოზი იოანე 1805-1806 წწ. სამეგრელოს დელეგაციის შემადგენლობაში (ნიკო და ბეჟან დადიანებთან ერთად) პეტერბურგში იმყოფებოდა; შეხვდა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რომელსაც დადიანების მთავარი სიწმინდევლაქერნის ღვთისმშობლის ხატი და ღვთისმშობლის წმ. სარტყელი საჩუქრად გადასცა. როგორც ვიცით, საქართველოში 1033 წელს ჩამოტანილი ეს სიწმინდეები ჯერ ბედიის ტაძარში, მოგვიანებით კი ჭყონდიდში ან მთავრის სასახლეში (ზუგდიდში) ესვენა. იმერეთისაგან შევიწროებულმა გრიგოლ დადიანმა ისინი შესანახად თავის სიმამრს — გიორგი XII-ს მიაბარა. მეფის გარდაცვალებისა და სამეფოს გაუქმების შემდეგ სიწმინდეები, — როგორც პ. ციციანოვი 1805 წლის აპრილში იმპერატორს წერდა, — „присвоена сыном его царевичем Давидом и ныне находится у него в Престольном граде В. И. В. По препоручению же ее светлости (ნინო დადიანის — ჯ. გ.) и по согласию самого брата ея, сего царевича Давида он будет взят от него депутатами и В.И.В. всеподданнейше представлен. При сем случае дерзаю изложить всеподданнейше мое мнение о сей иконе. Как известно, мингрельцы весьма преданы христианской вере и найвеличайшим благом Мингрелии почитали обладание сею иконою, возлагая на него все свои надежды, а теперь все бедствия Мингрелию претерпенная относят единственно лишению сея покровительницы земли их, то возвращение оной с сими депутатами, наполнив неизъяснимою радостью все сие владение и произведши в жителях стольже сильное впечатление, какое произвело в Грузии возвращение креста св. Нины, усугубит в них

верноподданническую преданность к В.И.В., яко милосердному об них, попечителю и отцу”.⁴⁴ პ. ციციანოვის ეს წერილი ნ. დადიანის თხოვნით დაიწერა. მოვლენებიც მასში ჩამოყალიბებული სცენარით წარიმართა. იმპერატორმა ძვირფასი საჩუქარი თავისი სასახლის ეკლესიაში დაასვენა „დიდის ცერემონიით“.⁴⁵ სამეგრელოში დაბრუნებულ დელეგაციას ალექსანდრე პირველმა ვლადიკავრიის ხატი უკან გამოაბრუნა და ამასთან დაკავშირებით ნინო დადიანს 1806 წლის 31 მაისით დათარიღებული რესკრიპტი გამოუგზავნა. აი, მისი სრული ტექსტი:

„Поднесенную мне в дар от имени вашего, через депутатов полк. Кн. Николая и подпол. Кн. Бежена Дадиани, св. икону Влахернская Божией Матери с пречестным Ея поясом принял Я с удовольствием, яко знак истинной преданности ко мне дома вашего и всего мингрельского народа. Сия икона с подобающей честью принесена была в Императорский Мой дом и поставлена в придворную церковь, и принесший оную протоиерей Иоанн Иоселианов пожалован золотым крестом камиллавою. Зная, что народ Мингрельский питает издревле благоговение и теплую веру и сему св. образу Влахернская Божией Матери, Я обращаю оный от себя в дар дому вашему и всему мингрельскому народу. Да будет оный обоюдным залогом и свидетелем всегдашнего вашего ко Мне усердия и моего неотступного покровительства. А дабы соделать незабвенным столь приятное для Меня происшествие, я дал повеление построить в Одиши, в том месте, которое от вас будет назначено, церковь Божию во имя пресвятой Влахернская Божия Матери и на первый раз приказал отпустить для сего 2000 червонных. Я желаю, чтобы место, где будет сооружен сей храм, соделалось местом пребывания дома князей. Дадиани и чтоб со временем приумножившиеся вокруг оного обывателя могли составить город, который да име-

ნუთსა გრიგორიოპოლ, ვ პამაყა ლობეზნოვერნოჲ სუპრუგუ ვაშეჲ სუელ. კნ. გრიგორიუ დადიანი. ალექსანდრ".⁴⁶

სამეგრელოში დაბრუნების წინ ვლადიკერის ხატი ნ. დადიანის ცნობით, „უძვირფასესად“ შეამკეს. ამან ამბროსი ხელაიას აზრით, ხატს „დაუკარგა ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა ისტორიისათვის, როგორც ძვირფას ისტორიულ განძს“. „უძვირფასესად“ შემკობისას, ხატს, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სარტყელი მოაცილეს. სხვადასხვა ცნობით, ის მხოლოდ 1810 წელს დაბრუნდა სამეგრელოში.⁴⁷

იმპერატორ ალექსანდრე პირველის რესკრიპტში გამოხატული სურვილი ნაწილობრივ, შესრულდა. მართალია, ზუგდიდისათვის გრიგორიოპოლი არ დაურქმევიათ, მაგრამ XIX ს. 20-6 წლებში იმპერატორის მიერ გამოყოფილი ფულით ვლადიკერის ღვთისმშობლის სახელზე მართლაც აშენდა სამთავრო კარის ეკლესია, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

პეტერბურგში იოანე იოსელიანს უბოძეს „ოქროს ჭვარი, კამილაგვა და სიკვდილამდე პენცია და თეთრი მრავალი“.⁴⁸ იმპერიის დედაქალაქიდან დაბრუნებული დეკანოზი მეტი მონდომებით ილწვის აფხაზეთში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის; ერთდროულად ცდილობდა შესაბამის დოკუმენტებში დაეფიქსირებინა სამეგრელოს კანონიერი პრეტენზიები აღნიშნულ ტერიტორიაზე, რათა ერთმორწმუნე რუსეთის მეშვეობით მისი შემოერთება მომხდარიყო. 1812 წლის 1 იანვარს იგი ასეთ მინაწერს აკეთებს ბიჭვინთის სახარებაზე: „მოვედი თაყვანის ცემად და განსახილველად წმიდისა ამის ეკლესიისა მე პროთოპოპი იოანე იოსელიანოვი მუშუღლითა ჩემითა, ინალის შვილისა ასულისა ასტანდრისითა, და ძეთა ჩემითა ვასილ და ალექსისათა. წარმიმართე ღვთისმშობელო განზრახუანი“.⁴⁹ რუსეთის ერთგულების ნიშნად დეკანოზმა საკუთარ გვარს რუსული ფორმა მისცა, შვილებს-რუსული სახელები დაარქვა. მისი „განზრახუანი“ კი, რუსეთის მსახურება და მისი დახმარებით ვითომ ქართული საქმის კეთება იყო. ამის ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება წებელდის მფლობელი, დაუმორჩილებელი მარშანიების ფიცი ლევან დადიანისადმი 1815 წლის 29 ნოემ-

ბერს. მარშანიები არც აფხაზეთის მთავარს ემორჩილებოდნენ და არც რუსეთის ქვეშევრდომობას ლებულობდნენ. ლევან დადიანმა მოახერხა წებელდის მფლობელებთან ურთიერთობის დამყარება და მათი ოქუმში ჩამოყვანა, სადაც ხელი მოეწერა ქართულ ენაზე შედგენილი ფიცის შემდეგ ტექსტს:

„ქ. ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი წებელის თემის ბატონები, თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს თქვენს უგანათლებულესობას მთავარს დადიანს ლეონს, ასე რომ ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ერთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შფოთებმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან, და აწი გინებებიათ ჩვენი თქვენდა მახლობლობა დაპირველისამებრ სიყვარული და წყალობა განვიახლეთ, და ჩვენც რწმუნებულ ვართ ამ თქვენის ქეშმარიტის სიტყვით ჩვენდა დაჯერებას, და ჩვენც ვფიცავთ ამას წმიდასა ალყურანსა ზედა ესრეთ, რომელ პირველ ყოველთასა ვიყვნეთ არა რაისამე შინა წინააღმდეგომ მისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა, და მისგან დაწესებულთა ამა მხარეთა მმართველთა საშუალობითა თქვენითა. და თქვენისაცა ბრძანებისა ჩვენგან შესაძლებელსა მორჩილ და შეძლებისაებრ ჩვენისავე მტერთა რუსეთისა და თქვენის უგანათლებულესობისათა წინააღმდეგომ ყოვლითა გზითა და არცა რაიმესა შინა თანხმა მათთანა სიტყვით ანუ საქმით, და ვიყვნეთუ კეთილითა მეზობლობითა სამთავროსა ნაწილსა თანა და ოდიშისა და მასთა მცხოვრებთა და არცა შეიწყნაროთლა წინა აღმდეგომი ვინმე უმაღლესის რუსეთის ტახტისა და თქვენის უგანათლებულესობისაგან გამოქცეულნი ვინმე, და არცა ჩვენგან რაიმე იქნას ავის მოქმედება სამფლობელოსა რუსეთისა და საკუთრათ თქვენისაც უგანათლებულესობასა სამთავროსა შინა, — არცა ტაცება ტყვისა, არცა სხვა რაიმე, და რომელიც არა არიან აქა სახლიკაცნი ჩვენნი, მათსაცა ვეცდებით ესთავე მოყვანასა და მორჩილებასა ესრეთვე, ვითა აღვთქვით ჩვენ. და ამა ფიცისა შემდგომად ვემთხვევით ამას წმიდასა ალყურანსა და სამტკიცებელად ფიცისა ჩვენისასა და ვაწერთ ხელთა: თავადი მისოსტ შვილი უჩარდიასი მარშანია, თავადი სარალუფ შვილი თულაფსისა მარშანია,

თავადი ზერეფსუ ომერის ძე მარშანია. რადგან ამ თავადმა მარშანიებმა წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით ხელს ვაწერ მათის უგანათლებულესობის ჩვენის მთავრის დადიანის ლეონის კარის დეკანოზი იოანე იოსელიანოვი.

ამ თავადის მარშანიების ფიცში დავესწარ ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლ (აზის ბექელი). დავესწარ არხიმანდრიტი გიორგი და დეკანოზი იოანე იოსელიანოვი“. ⁵⁰ იმპერატორის კარზე ნამყოფი დეკანოზი იოანე იოსელიანი, როგორც ვხედავთ, ამჭერადაც აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის ბედის გადაწყვეტაში.

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ წებელდის მფლობელებმა რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულებაზე დაიფიცეს ყურანზე არა მოღების, არამედ მართლმადიდებელი სამღვდელოების წინაშე. ფიცის ტექსტიც შედგენილი, ხელმოწერილი და დამოწმებულია ქართველი სასულიერო პირების მიერ. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დასტურდება აფხაზთა რელიგიურობისათვის დამახასიათებელი თავისებურება, რაზეც რუსული ისტორიოგრაფიაც უთითებდა: „Воровские наклонности, хищничество и вероломство составляли отличительные черты абхазцев, не имевших и тому же никаких прочных религиозных убеждений“. ⁵¹

ქართულმა სამღვდელოებამ ორჯერ (1805 და 1815 წლებში) დააფიცა სამურზაყანოს მმართველებიც, რასაც წინ უძღოდა მანუჩარ შერვაშიძის ქართულ ენაზე დაწერილი წერილი (1804 წ. 26 ნოემბერი) პ. ციციანოვისადმი. სამურზაყანოს მფლობელი ამ წერილში თავს სამეგრელოს ვასალად მიიჩნევდა და მზადყოფნას გამოთქვამდა გრიგოლ დადიანს მიბაძოს. იგი წერდა: „ადრიდგანვე უფლის დადიანის გრიგოლის დამორჩილებულ ვიყავ და ბრძანებითა მისითა პუნქტსა თქვენს მიერ წარმოგ ზაენილსა ხელი მოვაწერე უფლის მაინოვისაგან (პოლკოვნიკი — გ. გ.) თქვენ მიერ წარმოგ ზაენილსა და მწადს, სადაც უფალი დადიანი გრიგოლ საფარველსა უმაღლესსა შინა შევიდა, თქვენ ძლით მეცა ვიყო მასვე მთარველობასა ქვეშე“. ⁵²

1805 წლის 9 ივლისს სამურზაყანოს მფლობელებმა სოფ. ბანძა-

შიხელი მოაწერეს ფიცს რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულებაზე. აი, მისი ტექსტიც: „ჩვენ ქვემოთ ხელს-მომწერნი აფხაზის თავადნი, სამურზაყანოს მპყრობელნი, შემო-ვვლით ყბად ჩვენის ქვეყნით და თავადაზნაურებით მისს იმპერატო-რობის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა რუსთა ხელმწიფის-სა; ვფიცავთ ყოვლად ძლიერს ღმერთს და წმინდას სახარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამინდლოდ და მისს დიდებუ-ლობის ურჩობაში და ღალატში არასდროს არ შევიდეთ და აგრეთ-ვე თუ რომ სხვათაგან ღალატი ანუ ურჩობა შევიტყოთ, დიახ სწრაფლ შევატყობინოთ საცა მართებული იყოს და თუ როგორც ზემორეთ სწერია ისე არ აღვასრულოთ, ღვთისაგან და წმინდა სა-ხარებისაგან შეჩვენებულნი ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად უმოწყა-ლესი ხელმწიფისაგან განრისხულნი ვიყვნეთ. როგორც რომ ყოვ-ლად უმოწყალესი ხელმწიფისა ყბა ვიყოფებით, აგრეთვე სამეგრე-ლოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ძველიდგან ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელი თავადი დადიანისა“.⁵³ დოკუმენტს ბეჭდით ამოწმებენ და ხელს აწე-რენ ლევან და მან უჩარ შერვაშიძეები. ეს არის ქეშმარიტ მორაწ-მუნეთა მიერ დადებული ფიცი უფლისა და წმ. წიგნის — ბიბლიის მოხსენიებით. დოკუმენტს აქვს ასეთი მინაწერი: „დაიწერა ბანძას ივლისის თ. ქორონიკონს ჩყე (1805 წ. 9 ივლისს — ჯ. გ.). ყოვლად სამღვდელომ ჭყანდიდელ მიტროპოლიტმან ბესარიონმან ესენი ვაფიცე“. დასმულია ჭყანდიდელ მიტროპოლიტის ბეჭედი. მიტ-როპოლიტი ბესარიონი გრიგოლ დადიანის ძმა იყო.

ცაიშელი მიტროპოლიტის — გრიგოლის ბეჭდითაა დამოწმე-ბული სამურზაყანოს მმართველთა ფიცი ლევან V დადიანისადმი 1815 წლის 20 ნოემბერს, რაც დაკავშირებული იყო რუსეთის ნე-ბით ამ ტერიტორიის ოდიშის შემადგენლობაში დაბრუნებასთან, სამეგრელოს მთავრის მიერ მაჰმადიანთა მიერ შემოღებული ტყვის სყიდვის, მტრობის, ქურდობის აკრძალვასთან. ფიცს ხელს აწერდ-ნენ შერვაშიძეები, ანჩაბაძეები, ჩქოტუები, ემუხვარები, მარლანი-ები და სხვები.⁵⁴

სამეგრელოს სამთავრო კარისა და ქართული სამღვდელოების

მიზნები აფხაზეთთან მიმართებაში მათი არარეალურობის გამო მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც დროებით (იმპერიის ტაქტიკური ამოცანების შესაბამისად) განხორციელდა. მოხერხდა მარტო სამურზაყანოს შემოერთება. დანარჩენი ტერიტორიის სამეგრელოს შემადგენლობაში დაბრუნებას რუსეთი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა. როცა 1821 წლის სექტემბერში მთავრის გარეშე დროებით დარჩენილი აფხაზეთი ასლან-ბეიმ დაიპყრო და სამურზაყანოს მოადგა, ლევან V დადიანმა იმერეთის გამგებელს მ. დ. გორჩაკოვს აცნობა, რომ ის აგროვებს ჯარს, რათა დაიცვას თავისი სამფლობელო, გარდაცვლილი მთავრის გიორგი შერვაშიძის მეუღლე თამარი (ლევანის მამიდა, რომელიც ახალი მთავრის დანიშვნამდე სამთავროს განაგებდა) და მისი შვილები ("чтобы помочь вдове и сиротам"). სამეგრელოს მთავარს აფხაზეთზე გალაშქრების უფლება არ მისცეს, რადგანაც „князь Горчаков проник, однако, в истинные намерения Дадиани, желавшего только воспользоваться смутами, чтобы отторгнуть от Абхазии ту часть ея, которая когда то принадлежала Мингрелии и потребовал настоятельно, чтобы князь Леван оставил свои замысли, предоставив заботы "о вдове и сиротам" русскому правительству".⁵⁵

ერთადერთი რეალური მონაპოვარი გახლდათ მხოლოდ ის, რომ შეიქმნა მეტნაკლებად ხელსაყრელი პირობები აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების, ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და აფსუათა მოქცევისათვის.

7. დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Картина Кавказского края. Платона Зубова. Ч.2. СПб, 1835, გვ. 228; Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. П. Буткова, ч.1. 1869, გვ. 284.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 663.
3. თ. ჟორდანია. ქრონიკები, წ. III, გვ. 348.
4. ს. ჯანაშია. შრომები. ტ. 6. თბ., 1988, გვ. 289; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 663; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. IV. კ. კეკელიძის რედაქციით. შეადგინა ქ. შარაბიძემ. თბ., 1954, გვ. 139.
5. ს. კაკაბაძე. წვრილი შტუდიები, გვ. 29; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, IV, გვ. 141.
6. ს. კაკაბაძე. წვრილი შტუდიები, გვ. 31.
7. К. Мачавариани. Описательный путеводитель, გვ. 246.
8. ნიკო დადიანი. ქართველთა ცხოვრება. თბ., 1962, გვ. 180.
9. იქვე, გვ. 180-181.
10. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედიის ტაძარი, გვ. 45-46.
11. ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბ., 1968, გვ. 124.
12. პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება. თბ., 1893, გვ. 183; პ. კარბელაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 210.
13. ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 151-152.

14. იქვე, გვ. 163-164. 277-280.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 750-751.
16. ვ. მაქარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 165-167; 281-283.
17. იქვე, გვ. 167; 283-284.
18. იქვე, გვ. 167-168; 285-286.
19. იქვე, გვ. 294-295.
20. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 751-752.
21. პ. კარბელაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 210.
22. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II. თბ., 1953, გვ. 22-23.
23. საქართველოს კათალიკოს — პატრიარქები, გვ. 171; ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს, გვ. 138.
24. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი. ს. 193ა, 905.
25. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს. 397; მ. კელენჯერიძე. გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა. ქუთაისი, 1913, გვ. 105.
26. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, გვ. 171-172; ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს..., გვ. 138-139.
27. АКТЫ, Т. 1, გვ. 578, 580, 630, 704.
28. პლ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 183. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 287; АКТЫ, Т. 2, გვ. 511.
29. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 30; АКТЫ, Т. 2, გვ. 463.
30. АКТЫ, Т. 3, გვ. 191-192.
31. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 2185, ფ. 29-31.

32. Акты, т. 3, გვ. 189.
33. იქვე, გვ. 193.
34. ცსია, ფ. 1458, აღწ. 1, ს. 15, ფ. 3; უაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. 1. თბ., 1987, გვ. 85.
35. Акты, т. 3, გვ. 205.
36. იქვე, გვ. 201.
37. იქვე, გვ. 202.
38. იქვე, გვ. 208-209.
39. ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 1212, ფ. 4; Акты, т. 3, გვ. 209.
40. Акты, ტ. 4, გვ. 393.
41. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 144.
42. Утверждение русского владычества на Кавказе, т. II. Тифлис, 1902, გვ. 37.
43. ნიკო დადიანი. ქართველთა ცხოვრება, გვ. 203.
44. Акты, т. 2, გვ. 513-514.
45. ნიკო დადიანი. ქართველთა ცხოვრება, გვ. 195.
46. Акты, т. 3, გვ. 177.
47. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედიის ტაძარი, გვ. 29.
48. ნ. დადიანი. ქართველთა ცხოვრება, გვ. 196.
49. ხელნაწერთა აღწერილობა (კოლექცია Н), ტ. 5, გვ. 74.
50. Акты, ტ. 5, გვ. 507-508.
51. Утверждение русского владычества на Кавказе, т. II, გვ. 40.

52. Акты, т. 2, გვ. 536.
53. Акты, ტ. 2, გვ. 527.
54. Дж. Гамахария, Б, Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 293-195, 666.
55. Утверждение русского владычества на Кавказе, т. 3, ч. 2-я. Тифлис, 1904. Под. ред. В. Потто, გვ. 560.

8. ქახთვედ მისიონეითა ხოცი აფხაზეთ-სამეხზაყანოში ქიხისტიანობის აღდგენისა და აფსუა ეთნოსის ფიზიკური გადახჩენის საქმეში (XX ს. დასნყისი – 1886 წ.).

მისიონერული საქმიანობისათვის წინაპირობების შექმნა

XIX საუკუნის პირველი მე-სამედი თითქმის მთლიანად აფხაზეთში რუსეთის პოზიციების განმტკიცებას დასჯირდა. უპირველეს ამოცანას

თურქული ექსპანსიისაგან ამ ტერიტორიის დაცვა წარმოადგენდა. 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებამ და რუსეთ-საფრანგეთის ომის წინ ბუქარესტის ზავის გაფორმებამ ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვა. თურქეთი ხელმოწერილი დოკუმენტის მეექვსე პუნქტის საფუძველზე რუსეთისაგან აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების დაბრუნებას მოითხოვდა. აფხაზეთის პროთურქული ძალები რუსეთის ბატონობას არ ცნობდნენ, ეყრდნობოდნენ რა ოსმალეთის ძლიერ მხარდაჭერას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე სვამდა აფხაზეთის თურქეთისათვის დათმობის საკითხს; კატეგორიული წინააღმდეგი მთავარმართებელი და კავკასიაში რუსეთის ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი ა. პ. ერმოლოვი. (1816-1827 წწ) წავიდა. მისი აზრით, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის მმართველები — „сие уродливое исчадие безобразной фодальнойности“ — აფხაზეთისა და მისი მთავრის ბედის გაზიარების შიშით წინასწარ დაიწყებდნენ თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას; იგი თვლიდა, რომ ოსმალეთისათვის აფხაზეთის გადაცემა აღმოფხვრი-

და ქრისტიანობას, დაისჯებოდნენ ისლამის უარმყოფელები, განახლდებოდა ადამიანებით ვაჭრობა, მეკობრეობა და ა. შ.¹ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიზიარა ა. პ. ერმოლოვის არგუმენტები და უარი თქვა აფხაზეთის დათმობაზე.

ერთ-ერთ მთავრ ამოცანას მთავრის ძალაუფლების განმტკიცება წარმოადგენდა. მიუხედავად სერიოზული დახმარებისა, გიორგი შერვაშიძემ მთელს აფხაზეთზე ძალაუფლების გავრცელება ვერ მოახერხა. ძირითადად იგი რუსეთის ჯარებისა და ლევან V დადიანის მხარდაჭერას ეყრდნობოდა.

1821 წელს გარდაცვლილი გიორგი შერვაშიძე მისმა ვაჟი შვილმა, პეტერბურგში გაზრდილმა დიმიტრი შერვაშიძემ (1821-1822 წწ) შეცვალა. მისი მოულოდნელი დაღუპვის შემდეგ ტახტზე გიორგი შერვაშიძის მეორე ვაჟი შვილი — მიხეილი (1823-1866 წწ) ავიდა და სამთავროს გაუქმებამდე მართავდა აფხაზეთს. მისი ძალაუფლებამ ნელ-ნელა იწყებს განმტკიცებას, განსაკუთრებით რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომისა და ანდრიანოპოლის ზავის (მისი პირობებით, აფხაზეთი რუსეთის ნაწილად იყო აღიარებული) დადების შემდეგ, თუმცა რუსეთის ჯარები კიდევ დიდხანს რჩებოდნენ მის მთავარ დასაყრდენად.

საკუთარი პოზიციის განმტკიცების მიზნით, რუსეთი, აგრეთვე აფხაზეთის მთავრები ცდილობდნენ რეგიონში ქრისტიანობის გავრცელებას.

XIX საუკუნის დასაწყისში საკუთთორივ აფხაზეთში არც ერთი მოქმედი ქრისტიანული ეკლესია არ არსებობდა. მართლმადიდებლურ სარწმუნოებას მისდევდნენ უპირველესად სამურზაყანოელები, განურჩევლად ეროვნებისა. ფუნქციონირებდა ცაიშის ეპარქიაში შემავალი ილორის წმ. გიორგის ეკლესია. 1810 წელს ღვთისმსახურება აღსდგა ადრე დაცარიელებულ ბედიის ტაძარში. 1814 წელს ლევან დახუტუნია შერვაშიძეების წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო ექსპედიციის დროს რუსულმა ზარბაზნებმა ტაძარი დაანგრიეს და მან ფუნქციონირება შეწყვიტა.

1809 წლის 23 დეკემბერს დეკანოზი იოანე იოსელიანი მთავარმართებელ ა. პ. ტორმასოვისაგან (1809-1811 წწ.), აფხაზეთის

ეკლესიების აღდგენაში ხელშეწყობას ითხოვდა. იგი წერდა, რომ აფხაზები ჩამოშორებული არიან ქრისტიანულ სარწმუნოებას, თუმცა იყვნენ გაქრისტიანებისა და მღვდლების დანიშვნის მომხრეები. დეკანოზი გამოთქვამდა მათი მონათვლის სურვილს, რათა *вселить в них верноподданническую преданность к Е. И. В., через что будет усиливаться в сердцах их желание научиться российскому языку и другим полезнейшим нравственностям*... ი. იოსელიანი აღნიშნავდა, რომ მისი მეუღლე (გვარად ინალიშვილი) მთავრის ნათესავია, კარგად იცის აფხაზური ენა და მისი მეშვეობით აფხაზებისათვის გასაგები გახდებოდა ქრისტიანული ქადაგების შინაარსი. იგი ითხოვდა ბიჭვინთის, დრანდის, ლიხნის, მოჭკის, ბედიის ტაძრებში მღვდლების დანიშვნას (ილორში ყოველთვის იყო მღვდელი) და საეკლესიო ნივთებით მათ მომარაგებას, რათა არაფრით არ ყოფილიყვნენ აფხაზებზე დამოკიდებული. მეორე წერილში, რომელიც 1810 წლის 2 იანვრით არის დათარიღებული, ი. იოსელიანი მთავარმართებელს ლიხნის ეკლესიის განახლებას, ორი მღვდლისა და ერთი დიაკონის დანიშვნას სთხოვდა.² როგორც ქვემოთ დავინახავთ, თხოვნა ნაწილობრივ მაინც შესრულდა.

წამხარში (თაგილონში) სამურზაყანოს მფლობელ მანუჩარ შერვაშიძეს ეკლესია განუახლებია და მისთვის ღვთისმშობლის ხატი შეუწირავს. XIX ს. ბოლოს პედაგოგმა თ. ქიქინაძემ ეს ხატი ზუგდიდის რაიონის სოფ. კოკის წმ. გიორგის ეკლესიაში ნახა (სოფლის უხუცესებმა უთხრეს, რომ იგი წამხარის ეკლესიის ნანგრევებშია ნაპოვნი და აქ დასვენებული). 1897 წელს თ. ქიქინაძემ გაზეთ „კვალში“ (№28) გამოაქვეყნა წამხარის ღვთისმშობლის ხატზე გაკეთებული შემდეგი წარწერა: „ქ დედაო ღვთისა ჩვენისა მაცხოვრისაო, ქალწულო მარიამ შენდავე აღვიმსთობ მსახურებად, რომ აღმიღე მონა ესე შენი და ვჟავ მრავლისა განსაცდელისაგან ხსნილი და კეთილდღეობასა და ბედნიერებასა შემთხვეული. რომლისათვის კვალადვე მოწყალებითმან შენმან მომცა სული მე მონასა შენსა შერვაშიძეს მანუჩარს, რათამც ეკლესია ესე წამხარისა მრავლის წლითგან და მრავლის დღისაგან დაცემული და დატოვებული და

დარღვეული აღმე შენებინა და განმეახლებინა და ვითარ განვიზრახე, მყის ვიწყე განახლებად და მრავალთა ღვაწლითა და ხარჯითა გარდავხურე და განვაწყობინე შინაგან და გარეგან, ვითარც ტაძარი ღვთისა და მოვიყვანე მწემსმთავარი ჩვენი და სულიერი მამაჩემი ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლ და ვაკურთხებინე საყდარი ესე სახელსა ზედა ღვაწლით შემოსილისა წმიდისა გიორგისათა და დავაყენე ხუცესნი მწირველი მლოცველად და მსახურებად ეკლესიისა ამის და შეეწირე მოჯალაბე კოჩიაი ცხადაია თავისი ცოლშვილით მსახურად ამა ეკლესიისა ზედა ზღუდელთათვის, ხოლო წმინდა ესე ხატი მოვაჭედვინე და დავსდე ამავე ეკლესიასა შინა სიმთელედ და მშვიდობად ჩვენდა და მეუღლისა ჩემისა და დიანის ასულის ქეთევანისა და ძეთა ჩვენთა მრავალქამიერობად ამავე ქვეყნისა შინა და შემდგომ სიცოცხლისა ჩვენისა მოცემად ჩვენდა რომელს განუმზადე მოყვარეთა თვისსა. ამინ წელს ჩყობ (1812).

ყდ წმინდაო დედა ღვთისა შეიწყალუ ამ ხატის მამკობი მეუნარგია პეპუ“.

თ. ჭიჭინაძე იქვე აქვეყნებს კოკის ეკლესიაში ნანახი ბარძიმფეშუმის (ისიც წამხარიდან ყოფილა მოტანილი) წარწერას: „ქრისტე შეიწირე შენსა წამხარსა ამის საკურთხეველისა შინა სირმისა ბარძიმფეშუმი ჩვენდა ცოდვათა მოსატეველად და ასულთა ჩვენდა სიმრთელედ, ამინ, შარვაშიძე მანუჩარ წელსა ჩყობ“ (1812).

ხატზე წარწერასაინტერესო ინფორმაციას შეიცავს: სამურზაყანო ცაიშის ეპარქიაში შედიოდა; მხარის მფლობელი ღვთისმოსიშია, ზრუნავდა ეკლესიების აღდგენაზე; შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენელი წერდა და მეტყველებდა ქართულად. წარწერაში მოხსენიებული ქეთევან დადიანი (მანუჩარის მეუღლე) იყო ლევან V დადიანის და; ცაიშის ეპისკოპოსი გრიგოლი (ჩიქოვანი) კარგად ცნობილი და ღვაწლმოსილი სასულიერო მოღვაწეა; „ხატის მამკობი“ პეპუ მეუნარგია — ასევე ცნობილი ოქრომჭედელია.³

რუსული ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა მთიელებში, მათ შორის აფხაზებში ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობას და ამ საქმეში ქართული სამღვდლოების ჩართვის აუცილებლობას. აღნიშნულ საკითხზე უწმინდესმა სინოდმა 1818 წლის 28

დეკემბერს მიიღო იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ დამტკიცებული ბრძანებულება. მასში ნათქვამი იყო: 1) ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ეპარქიები ესაზღვრებიან მთიელ წარმართებს და შიგნითაც ჰყავთ ასეთი ურწმუნოები, ეგზარქოსის კონტროლის ქვეშ ყველა ეპარქიალურ მღვდელმთავარზე გავრცელდეს ოსური კომისიის მოვალეობები. 2) თითოეული ეპარქიალური მღვდელმთავარი ორ-სამ მქადაგებელს-მისიონერს აგზავნის მთებში ფარულად — „თვინიერ უმცირესისა განთქმისა და ყოვლისა ცხენოსნის მხლებელთა“ (без малейшей огласки и без всякого конвоя); 3) ეპარქიალური მღვდელმთავრები ეგზარქოსს საიდუმლოდ აცნობებდნენ მიღწეული წარმართებების თუ დაბრკოლებების შესახებ, ელოდნენ შესაბამის მითითებებს; 4) ეგზარქოსები იღებდნენ წლიურ ანგარიშებს იმის თაობაზე, თუ რამდენი ადამიანი მონათლა, რამდენი მღვდელი დაინიშნა ახალმონათლულებთან, რამდენი ეკლესია აშენდა, ვის დაევალა სასულიერო პირების ქცევაზე და ეკლესიების კეთილდღეობაზე ზედამხედველობა; 5) ეგზარქოსი ყოველწლიურ ანგარიშს აგზავნიდა უწმინდეს სინოდში ყველაზე მონდომებული და ურწმუნოთა მოქცევის საქმეში წარმატებული მღვდელმთავრების მითითებით.⁴

აფხაზეთ-სამურზაყანოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების, სამისიონერო საქმიანობის დაწყების პირველი მცდელობა აღწერილია ეპისკოპოს კირიონის მიერ 1902 წელს ქ. კამენეც-პოდოლსკში დაწერილ და 1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Состояние христианства в Абхазии в первой четверти XIX столетия и попытка организации в ней миссионерского дела в 1831-1834 годах“. მისი ხელნაწერი საქართველოს ისტორიულ არქივში (კირიონის ფონდში) არის დაცული. XIX ს. პირველ მეოთხედში აფხაზეთში მართლმადიდებლობის მდგომარეობას ავტორი ცაიშის მიტროპოლიტის გრიგოლის ერთ-ერთი წერილის მიხედვით აშუქებდა. 1822 წლის 3 ოქტომბერს გრიგოლ ჩიქოვანი ცაიშის ეპარქიის მოსალოდნელ გაუქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეგზარქოს იონას (1821-1832 წწ) მიმართავდა

და წერდა რომ იგი ჯერ კიდევ კაცია დადიანის მიერ არის დანიშნული, ეპარქიის იურისდიქცია მდ. ხობისწყალიდან მდ. ღალიძგამდე ვრცელდებოდა, მისი შთაგონებით ბევრი აფხაზიც მონათლულა. ცაიშის ეპარქიის შენარჩუნების სასარგებლოდ მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანს ის არგუმენტი მოჰყავდა, რომ არსებობდა რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი აფხაზი ხალხის მონათვლის იმედი, მით უმეტეს, ბევრი მათგანი, განსაკუთრებით ჭიჭეთს აქეთ მცხოვრებნი, ოდესღაც ქრისტიანები იყვნენო; ცალკეული აფხაზების მიერ მაჰმადიანობის მიღებას დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოების გაუქმებითა და მოსახლეობას შორის ახლო ხანებში არსებული განხეთქილებით ხსნიდა.

მიტროპოლიტი გრიგოლი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებულმა აფხაზეთის დესპანმა იოანე იოსელიანმა, რომელმაც გიორგი შერვაშიძეს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა ურჩია (იგი სამეგრელოს დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც ზემოთ ითქვა, პეტერბურგში 1805-1806 წლებში იმყოფებოდა), „проходя Абхазию для прославления имени Его Императорского Величества, обратил в христианскую веру с благословения его, митрополита, многих абхазцев и даже самого владельца (იგულისხმება ქელაიშ აჰმედ ბეგი — ჯ. გ.) с детьми его и дворянством; восстановил упраздненную Лыхненскую церковь собственным иждивением, открыл в оной богослужение и определил туда двух священников _ Иоанна Кавтарадзе и Симеона Жордания, (თედო ჟორდანიას ბაბუის მამა — ჯ. გ.), из коих последний и ныне исполняет свою должность при оной”.⁵

აფხაზეთში სამისიონერო მოღვაწეობის ფართოდ გაშლას ისახავდა მიზნად გრიგოლ ჩიქოვანის წინადადება მის ნაცვლად 54 წლის არქიმანდრიტის (სავარაუდოდ, იოანე ჩიქოვანის) დანიშვნას, რომელსაც “глубоко почитают абхазцы”.

მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანის წერილი საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ განიხილა. საკუთარი უფლებამოსილების დაზუსტების მიზნით, აღნიშნულმა უწყებამ საქარ-

თველოს მთავარმართებელ ა. ერმოლოვს სთხოვა განმარტება იმპერატორის მიერ 1821 წლის 19 ნოემბერს დამტკიცებული უწმინდესი სინოდის მოხსენების 7-ე პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც სამეგრელოს მფლობელს სამთავროს სამღვდელთა საქართველოს ეგზარქოსის დაქვემდებარებაში შეყვანის „უფლებას“ აძლევდა. მთავარმართებელმა 1822 წლის 5 დეკემბერს უპასუხა, რომ მეშვიდე პუნქტის სამეგრელოს მთავრისათვის გამოცხადება იმერეთის მმართველს — მ. გორჩაკოვს დაევალა („сообразуясь с обстоятельствами и местным положением дела“), მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა, რადგანაც „соседственная с Мингрелиею Абхазская земля, имеющая между собой взаимную связь и влияние одна на другую, обуреваема была в продолжение нынешнего (1822) лета мятежом, который укрощать должно силою оружия“.⁶ ვინაიდან ადგილობრივ რუსულ ხელისუფლებას, პოლიტიკური მოტივებით, ჭერ არ შეეძლო ე.წ. 7-ე პუნქტის სისრულეში მოყვანა (სამეგრელოს ქართული ეკლესიის რუსი ეგზარქოსისადმი დაქვემდებარება), იმერეთსაქართველოს სინოდალურმა კანტორამ, რომელსაც არ ჰქონდა „доселе влияние на мингрельское духовенство“, ვერ დააკმაყოფილა ცაიშის მიტროპოლიტის თხოვნა და ამის შესახებ 1822 18 დეკემბერს უწმინდეს სინოდსაც აცნობა. ამასთან დაკავშირებით, კირიონი იქვე წერდა, რომ ხსენებულ გარემოებათა გამო სამისიონერო საქმიანობის დაწყება აფხაზეთში მთელი ათწლეულით შეფერხდა. 1834 წელს ეგზარქოსების მოისეისა და ევგენის დროს შედგენილ დოკუმენტში — „Разсмотрение исторического хода существовавших до сего времени духовных осетинских миссий“ — ნათქვამია რომ 1822 წელს აფხაზეთში სამისიონერო საქმიანობის გადატანის წინააღმდეგ ა. ერმოლოვი წასულა იქ არსებული ანტირუსული გამოსვლების გამო; იმ პერიოდში შეუძლებელი გახდა ქრისტიანობის გავრცელება, ვინაიდან ამისათვის საჭირო იყო „не страсть мести и крови, но дух смирения и внутреннее спокойствие человека“.⁶

გარკვეული სამუშაოები მაინც ჩატარდა. გიორგი შერვაშიძის

კარის ეკლესიის მღვდელმა იოანე იოსელიანმა ლიხნში ათობით აფსუა მონათლა და სასულიერო სასწავლებლის დაარსების საკითხიც დასვა.⁷

სოხუმის ციხის ეკლესიის მღვდელმა სოლომონ ნადიროვმა (ნადირაძე, ნადარეიშვილი), როგორც ირკვევა მის მიერ საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილი ინფორმაციიდან, 1817 წლიდან მრავალი აფსუა მოაქცია. 1823 წელს აფხაზეთის ახალგაზრდა მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ სიმონ ნადიროვს მისცა მოწმობა („Свидетельство“), სადაც აღნიშნავდა, რომ ის არის მაგალითი სხვა მღვდლებისათვის, „проповедует по долгу своему неверным и незнающим горским и абхазским народам веру“. საინტერესოა მიხეილ შერვაშიძის მიერ საკუთარი სამთავროს მოსახლეობის მთიელებად და აფხაზებად დაყოფა; ნებისთ თუ უნებლიედ მთავარი აღიარებდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობა მთიელებისაგან (აფსუებისაგან) და ისტორიული აფხაზებისაგან (ქართველებისაგან) შედგებოდა. სიმონ ნადიროვისათვის მიცემულ მოწმობაში მიხეილ შერვაშიძე წერდა: „Абхазские народы (აქაც აფხაზეთის მოსახლეობის მრავალეროვნულობა იგულისხმება — ჯ.გ.) приходят к священнику сему с полным и верным желанием просить крещение“. მთავარი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებდა სოუკ-სუ-ში სიმონ ნადიროვის მიერ 55 სულის მონათვლის ფაქტს. 1824 წელს სოხუმ-კალეს კომენდანტი მიხინიცი ს. ნადიროვს აძლევს მოწმობას, სადაც აღნიშნავდა, რომ „он вел себя прилично“, ავრცელებდა აფხაზთა შორის ქრისტიანობას, „где только имел случаи“.⁸

აფხაზეთში სამოსიონერო მოღვაწეობას ეწეოდნენ იოანე ქავთარაძე და მიხეილ შერვაშიძის მოძღვარი (ДУХОВНИК) სიმონ ჟორდანი. იოანე ქავთარაძე 1816 წლიდან, როგორც თვითონ წერდა, გიორგი შერვაშიძესთან იმყოფებოდა. 1818 წელს პეტერბურგში მიემგზავრება და ნევის მონასტერში მოღვაწეობს. 1821 წლის 15 აგვისტოს იმპერატორის ბრძანებითა და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით მიტროპოლიტმა სერაფიმემ იოანე ქავთარაძე „благословил в церковь успения архимандритом во всей Аб-

ხაზსკიერი რეაქციის გამოწვევით. იმპერატორის ბრძანებით, რომელიც 1821 წელს იმპერატორს მიმართული იყო, იმპერატორს უნდა ეხმარებოდა ახალი რელიგიური მოძრაობის წინააღმდეგ. იმპერატორის ბრძანებით, რომელიც 1821 წელს იმპერატორს მიმართული იყო, იმპერატორს უნდა ეხმარებოდა ახალი რელიგიური მოძრაობის წინააღმდეგ.

ხაზსკიერი რეაქციის გამოწვევით. იმპერატორის ბრძანებით, რომელიც 1821 წელს იმპერატორს მიმართული იყო, იმპერატორს უნდა ეხმარებოდა ახალი რელიგიური მოძრაობის წინააღმდეგ. იმპერატორის ბრძანებით, რომელიც 1821 წელს იმპერატორს მიმართული იყო, იმპერატორს უნდა ეხმარებოდა ახალი რელიგიური მოძრაობის წინააღმდეგ.

ხაზსკიერი რეაქციის გამოწვევით. იმპერატორის ბრძანებით, რომელიც 1821 წელს იმპერატორს მიმართული იყო, იმპერატორს უნდა ეხმარებოდა ახალი რელიგიური მოძრაობის წინააღმდეგ. იმპერატორის ბრძანებით, რომელიც 1821 წელს იმპერატორს მიმართული იყო, იმპერატორს უნდა ეხმარებოდა ახალი რელიგიური მოძრაობის წინააღმდეგ.

არუსი მღვდელმთავარი იოანე ქავთარაძისაგან შემდგომში უფრო სრულყოფილი სიების (მონათლულთა ძველი და ახალი სახელების, მათი საცხოვრებელი ადგილის მითითებას; სოფლის მაცხოვრებელთა საერთო რაოდენობის ჩვენებას) გამოგზავნას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ, სამეგრელოს მსგავსად, აფხაზეთიც ეკლესიურად ეგზარქოსს ოფიციალურად ჯერ არ ექვემდებარებოდა, ფაქტობრივად ეგზარქატი მთელს საქართველოზე ავრცელებდა თავის იურისდიქციას. იმ დროისათვის აფხაზეთის ეკლესია, როგორც ასეთი, არც არსებობდა, შესაბამისად, ეგზარქატის სტრუქტურაში ეს ტერიტორიული ერთეული არ ფიგურირებდა. იქ არსებობდნენ მხოლოდ ლიხნის კარისა და სოხუმის ციხის ეკლესიები, სადაც ქართველი სასულიერო პირების ძალისხმევით აფხაზეთი ინათლებოდნენ. 1822 წელს ლიხნის ტაძარში მოსულ ფრანგ კომერსანტ პოლ გიბალს იქაურმა მღვდელმა — „ძალიან ღარიბმა იმერელმა“ — ალბათ, იოანე ქავთარაძემ — აჩვენა თავისი ერთ-ერთი კოხტად

აკინძული საეკლესიო წიგნი, რომელსაც ვერცხლის შესაკრავები ჰქონდა; ეს ნახევარი ფურცლის ფორმატის ქართული წიგნი დაწერილი იყო ხელით განსაკუთრებულად მკაფიო „შირფტით“. კიდევ ერთი ფრანგი, ამჯერად დიპლომატი — საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც აფხაზეთში XIX ს. 20-ნი წლების დასაწყისში იმოგზაურა, აღნიშნავდა, რომ აფხაზეთა მღვდლები მეგრელები არიანო.¹¹ არქივებში დღემდე არის შემორჩენილი მათ მიერ მონათლულ აფხაზეთა სიები (150 კაცზე მეტი). ერთ-ერთი ასეთი სია ხელმოწერილია ქართულად და რუსულად მიხეილ შერვაშიძის, აგრეთვე მთავრის დედის, იმ პერიოდში აფხაზეთის ფაქტობრივი მმართველის — თამარა დადიანის და არქიმანდრიტ იოანეს მიერ. იოანე ჭავთარაძეს აფხაზეთში სულ 216 აფხაზი მოუნათლავს.¹²

1821 წელს ქ. სოხუმში ბერძენი ეროვნების გიორგი სკარდანას მეცადინეობით წმ. გიორგის ეკლესია (სოხუმის სასაფლაოს ეკლესია) აშენდა, რომელიც გასაბჭოებამდე ფუნქციონირებდა.¹³ იმავე წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა საქართველოს მმართველს — გენერალ ა. პ. ერმოლოვს ბიჭვინთის ტაძრის აღდგენა დაავალა. ჟაკ ფრანსუა გამბას ზუსტად იმჟამინდელი ცნობით, ბიჭვინთის მონასტერს მაჰმადიან აფხაზებზე, სომხებზე და თურქებზეც კი დიდი გავლენა ჰქონია. „აფხაზები ცრუმორწმუნენი არიან, — წერდა იგი, — რის გამოც ამ მონასტერში შემორჩენილ ავეჯს, საეკლესიო მორთულობასა და წიგნებს დღესაც ეთაყვანებიან. ვერც ერთი აფხაზი, თურქი თუ სომეხი, რომელიც ბიჭვინთაში ჩამოდის, რათა ბზაში გაცვალოს (ბიჭვინთა ბზის ერთ-ერთი ბაზარია) ვერ ბედავს ამ ნივთებს მკრეხელური ხელი ახლოს“.¹⁴ ფრანგმა კონსულმა ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან მოისმინა ასეთი სასწაულის შესახებ: 1821 წელს სავაჭროდ ჩამოსულ სომეხს ბიჭვინთის ტაძარში დაცული ერთ-ერთი წიგნიდან (იმ დროს აქ ინახებოდა XV ს. ქართული სახარება) „მისთვის უცნობი ასოებით“ დაწერილი ორი ფურცელი მოუპარავს. სოხუმში დაბრუნებისთანავე იგი თურმე ციებით დაავადდა და მანამდე ვერ განიკურნა, სანამ მოპარული ფურცლები მონასტერს არ დაუბრუნა.¹⁵

ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის შესახებ იმპერატორის დავალების შესრულებას აფხაზეთში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ დაწყებულმა აჯანყებამ შეუშალა ხელი. იმდენად რთული ვითარება შეიქმნა, რომ 1824-1827 წლებში მიხეილ შერვაშიძე იძულებით სამეგრელოში გადავიდა საცხოვრებლად. აფხაზეთში რუსულ-ქრისტიანული ორიენტაციის, მაგრამ მოსახლეობაში მხარდაჭერის არმქონე სამთავრო სახლი და გაცილებით უფრო ძლიერი პროთურქული დასი უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ამ უკანასკნელს სათავეში კვლავ მამისმკვლელი ასლან-ბეი ედგა. სიტუაციას ძაბვდა მიხეილ შერვაშიძისა და მისი ბიძის — ჰასან-ბეის მტრული ურთიერთდამოკიდებულება. 1821-1827 წლებში ციმბირში გადასახლებული და ფორმალურად მიხეილ შერვაშიძის (აგრეთვე დედამისის) თხოვნით განთავისუფლებული გაელენიანი აფხაზი თავადი (სოხუმის მხარის მფლობელი) თავისის ავტორიტეტით და გავლენით მთავრის რეალურ ალტერნატივას წარმოადგენდა.

აფხაზეთში XIX ს. 20-5 წლებში გამწვავებული მდგომარეობა მისიონერული საქმიანობის გაგრძელების, მით უფრო ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის საშუალებას არ იძლეოდა. აჯანყებულები ბზიფის მხარეში ერთადერთ მოქმედ ლიხნის ეკლესიასაც თავს ესხმოდნენ. 1824 წლის ოქტომბერში არქიმანდრიტი იოანე საქართველოს ეგზარქოსს აცნობებდა: „მთელი აფხაზეთი აჯანყდა. სოუკ-სუ დატოვეს რუსის რაზმებმა, ტაძარი გაწითლებულია სისხლით. ტაძრის შიგნით აფხაზების მიერ მოკლულია ათი კაცი, საეკლესიონიეოები და ფული დაიკარგა. ბუნტოვშიკების მალე დაწყნარება შეუძლებელია“.¹⁶ არქიმანდრიტი შესაბამის მითითებებს ითხოვდა ეგზარქოსისაგან, მაგრამ ასეთი მითითებები არ ჩანდა.

მღელვარება აფხაზეთში გრძელდებოდა. 1830 წელს აჯანყებულებმა დაწვეს მიხეილ შერვაშიძის სახლი ილორში, თავს დაესხნენ ილორისა და ბიჭვინთის ტაძრებს, რაც აფსუათა გამოსვლების არა მხოლოდ ანტირუსულ, არამედ ანტიქრისტიანულ მიმართულებაზეც მიუთითებდა. ამასვე მოწმობს 1835 წელს რუსეთის წინააღმდეგ ისლამის დროშით მებრძოლი ს. ჯოპუას პარტიზანული რაზმის მიერ ილორის ეკლესიაზე თავდასხმა (ეკლესიაში რუსი

ჯარისკაცები იყვნენ გამაგრებული) და მისი დანგრევა.¹⁷ ეკლესიის აღდგენას დიდი დრო დასჭირდა.

ქართული სამღვდელოების მოღვაწეობა აფხაზეთში შედარებით უფრო აქტიური 30-ნი წლების შუახანებიდან ხდება, რასაც წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები. მიზეზი, რომელმაც, კირიონის აზრით, აფხაზეთში მისიონერული მუშაობის დაწყება ათწლეულით შეათვალა (სამეგრელოს სამთავროს ეკლესიის ეგზარქოსის მორჩილებაში არყოფნა), მოიხსნა. ლევან V დადიანის თანხმობით, 1825 წლის 26 მარტიდან სამეგრელოს ეკლესია ეგზარქოსის დაქვემდებარებაში შევიდა. იმავე დღეს ეგზარქოსმა ჭყონდიდელ მეტროპოლიტ ბესარიონს გარკვეული კითხვარის მიხედვით შედგენილი სამთავროს ეკლესიებისა და სამღვდლოების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის წარდგენა დაავალა. მასში მოცემული უნდა ყოფილიყო პასუხი ასეთ კითხვაზეც: “Так как обращение в христианство горских народов, магометан и язычников дело богоугодное, в который в особенности занимается Благочестивейший Государь Император и еслиб Высокопреосвященный Екзарх усмотрел возможность послать для проповеди слова Божия к сим народам чрез посредство преосвященного митрополита Виссариона, священнослужителей, то с которого пункта, по местной удобности и по обстоятельством, можно начать Евангельскую проповедь, и какие средства и правила к спомоществованию в сим деле признает он нужным и благонадежным?”¹⁸ ლევან დადიანს მიტროპოლიტ ბესარიონისათვის, ეგზარქოსის მოთხოვნის შესაბამისად, სამთავროს სასულიერო საქმეთა აღწერა და „მთის ხალხთა ურწმუნოთა შორის წარგზავნა მქადაგებელთა“¹⁹ უბრძანებია. 1826 წლის 30 სექტემბერს, როცა აღნიშნული სამუშაოები (აღწერა) ჯერ დამთავრებული არ იყო, ლევან V დადიანი საქართველოს ეგზარქოსს ცაიშისა და ცაგერის 1824 წელს გარდაცვლილი მიტროპოლიტების გრიგოლისა და იოანეს ნაცვლად იოანე ჩიქოვანისა (ცაიშის) და ანტონ დადიანის (ცაგერის) დანიშვნის („მწემსმთავრობასა ქვეშე ბესარი-

ონ ქყონდიდისა მიტროპოლიტისასა“) შესახებ ხელმეორედ აცნობებდა და ყურადღებას ანტონ დადიანის პიროვნებაზე, მის მომავალ მისიაზე ამახვილებდა. მთავარი წერდა: „ხოლო იღუმენი იგი ზემოხსენებული ანტონი დადიანოვი იქცევის ყოვლად მშვენიერად სახისა თვისისა, მატებს ყოველსავე ყოველ ჟამ კეთილ ქცევასა, მსახურებს შემატებით მისდამი შემწყლოდ საღმრთოისა სწავლისა, აქცევს თავსა თვისსა სიმშვიდითა და კეთილთა ქცევითა, და ვინაიდგან ესე ვითარნი კეთილნი ქცევანი წარმოაჩინა მან, ამისთვის მე ვალად ვრაცხ, რათა მოგახსენ თქუენ და ნებითა თქუენითა ვაკურთხო იგი არხიმანდრიტად, ვინაიდგან ყოვლად ქცევა მისი და ღირსება ხელისა მისისა მაიძულებელ მექმნებიან; ამისათვის მე უმორჩილესად და უგულითადესად ვსთხოვ თქვენს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, რათა პატივი სცეთ თხოვნასა ჩემსა და ნება მომცეთ, რათა ვაკურთხო იგი ხსენებული იღუმენი ანტონი არხიმანდრიტად, და ვექვ უჯეროვანესცა არს, რათა განმგებელი ეპარხიისა იყო არხიმანდრიტი; ხოლო ესეცა მწადიან, ოდეს ვაკურთხებთ მას არხიმანდრიტად, მაშინ ბრძანებისა თქვენისაებრ წარვგზავნი მას მთის ხალხითა შორის საქადაგებლად, ვინაიდგან იგი უყვარსთ ხალხსა კეთილისა და მშვიდისა ქცევისათვის, და რაოდენცა შეიძლებისა ამა ქვეყანასა შინა არს სწავლულიცა წერილისა ზედა საღმრთოისა და საფოლოსო ჟოსისა, და ესე ვითარითა სახითა იმედებულ ვარ, რათა მან ხალხთა შორის მთისათა რაოდენთამე არწმუნებს ქადაგებანი მართლისა სარწმუნოებისა ქრისტეს მღმერთისა ჩვენისა“. ლევანი სთხოვდა ეგ ზარქოსს ებრძანებინა ბესარიონ მიტროპოლიტისათვის „ოდეს მოვსთხოვო მე, აკურთხოს იგი არხიმანდრიტად, რომლისათვის მივიღებ მე ჩემდა დიდ პატივად და ვიქმნები თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისადმი უდიდესი მადლობელი“.²⁰ ეს თხოვნა კიდევ ერთხელ განმეორებულია მთავრის მიერ ეგ ზარქოსისათვის 1826 წლის 18 დეკემბერს გაგზავნილ მორიგ წერილშიც.²¹

1826 წლის დეკემბრისათვის სამეგრელოს ეკლესიების აღწერა დასრულდა. ციაშის ეპარქიის შემადგენლობაში მითითებული იყო „Илори, что в Абхазии“, სადაც ერთი მღვდელი მსახურობდა.²²

იმავე წლის 26 დეკემბერს სამეგრელოს მიტროპოლიტი ბესარიონი ეგზარქოსს აცნობებდა, რომ მისი უსამღვდელოესობის, მოწერილობის თანახმად „აღწერისათვის ეკლესიათა და ეკლესიის ნივთთა და სამღვდელოთა, და ეგრეთვე ქადაგებისათვის მთების ადგილებთა შინა“, სამუშაოები დამთავრებულია; აღნიშნავდა რამდენიმე სასულიერო პირის, მათ შორის ანტონ დადიანის, არქიდიაკონ ლუკა (იოანეს ძე) იოსელიანის დამსახურებას აღწერის ჩატარებაში, ითხოვდა მათ დაჯილდოებას, ანტონისათვის არქიმანდრიტის ხარისხის მინიჭებას. ჯილდოზე წარდგენილთა შორის დასახელებულია 1816 წლიდან საირმისა და ნამარნევის მონასტრების წინამძღოლი, ლევან დადიანის აღმზრდელი, მასწავლებელი და სულიერი მოძღვარი, მთავართან დაახლოებული პიროვნება — არქიმანდრიტი გიორგი კუხალაშვილი (იგი თან ახლდა სამეგრელოს მთავრარს როგორც აფხაზეთში მძევლად ყოფნის წლებში, ისე სამხედრო ოპერაციების ჩატარებისას აფხაზეთა და მოშმინებისა და დამორჩილების მიზნით). იმავე წერილში მიტროპოლიტი ბესარიონი საუბრობდა ნიკო დადიანის თანადგომის შესახებაც და წერდა: „და აწ ქადაგებისათვის მთების ადგილებთა შორის მოველი ამისაგან დიდთა შემწეობათა“.²³

ასე ეყრებოდა საფუძველი მომავალ ქართულ მართლმადიდებლურ მისიას აფხაზეთში ანტონ დადიანის ხელმძღვანელობით. მთელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას ითვალისწინებდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის 1829 წლის 13 აპრილის ბრძანებულება კავკასიაში ბერძნულ-რუსული სარწმუნოების ქადაგების მიზნით, სპეციალური მისიონერული საზოგადოების დაფუძნების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მთავარმართებელი ი. ფ. პასკევიჩი (1827-1831 წწ) ეგზარქოს იონას 1830 წლის 26 იანვარს წერდა: „В отношении миссионеров или проповедников весьма согласен с тем, чтобы первоначально избирать в это звание духовных особ из грузинского духовенства“.²⁴ ამდენად, რუსულ გეგმებში იმთავითვე იყო ჩადებული მისიონერულ საქმიანობაში ქართველი სასულიერო პირების მხოლოდ დროებით — საწყის ეტაპზე გამოყენება, რაც მომავალში მწვავე რუსულ-

ქართული დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

პირველი

სასულიერო მისია

1831 წელს მიხეილ შერვაშიძე, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა სამთავროში ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობა (თუნდაც რუსეთის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად და საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად), 1831 წელს იმერეთის მმართველს წერილობით მიმართავდა აფსუების მონათვლის მიზნით აფხაზეთის ცალკე ეპარქიის შექმნისა და მის სათავეში ცაგერის მონასტრის ილუმენის (მიუხედავად ლ. დადიანის არაერთგზის თხოვნისა, ეგ ზარქოსმა მას არქიმანდრიტის ხარისხი არ მიანიჭა) ანტონ დადიანის (მთავრის მეუღლის ახლო ნათესავი) დანიშვნის თხოვნით. აფხაზეთის მთავრის წერილი საქართველოს მთავარმართველის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ადიუტანტ ნ. პ. პანკრატიევს (მოვალეობას ასრულებდა ი. პასკევიჩის წასვლიდან გ. როზენის დანიშვნამდე — 1831 წლის აპრილიდან იმავე წლის 13 სექტემბრამდე) გადაეგზავნა. როგორც 1902 წელს დაწერილ კირიონის ნაშრომში ვკითხულობთ, 1831 წლის 2 აგვისტოს მთავარმართველი საქართველოს ეგზარქოს იონას შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის: „Владетель княжества Абхазского, гвардии полковник, князь Михаил Шервашидзе в письме своем к управляющему Имеретией, объяснил, что жители подвластного ему владения, исключая самой малой части, все суть магометанского исповедания; они по сношению своему с черкесами, во многих случаях не соглашаются с его предположениями, клоняющимся как к спокойствию края, так и к благим видам Российского правительства. Чтобы отвлечь народ сей от всяких сообщений с черкесами, производящими вредныя действия в его владении, он полагает обратить всех жителей княжества в христианскую религию, для чего находит одно средство: иметь в Абхазии архиерея. В виду этого и просит об определении туда таковым родственника его, настоятеля Цагерского, в Мингрельском владении,

монастыря игумена Антония Дадрианова, как известного ему по отличному знанию своей обязанности, тамошнего языка и похвальному поведению. Игумена сего ходатайствует и утвердить епархиальным начальником Абхазии, уверяя при том, что сия особа, как уважаемая народом по сану и происхождению из владетельной фамилии, так и по отличным способностям, сделает много пользы в столь важном предприятии его и будет способствовать ему к установлению в Абхазии порядка”.²⁵ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორამ გენერალ ნ. პ. პანკრატიევის წერილთან დაკავშირებით სამეგრელოს მიტროპოლიტს — დავით წერეთელს სთხოვა აფხაზეთში არსებული მართლმადიდებლური ეკლესიებისა და იქ მოქმედი სამღვდელოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. 1831 წლის 5 ნოემბერს მიტროპოლიტი დავითი სინოდალურ კანტორას აწვდის ცნობას, რომლის შინაარსს კირიონი შემდეგნაირად გადმოგვცემს:

“... Жители Абхазии, подвластные князю Шервашидзе, исповедывающему со своим семейством христианскую религию, все магометанского исповедования и что как ему, митрополиту известно, во всей Абхазии имеется только одна церковь, именно при доме владетеля Хупусах (ზუფუს), где совершаются божественные службы священником вверенной ему епархии Симоном Жордания, определенным туда предместником его, митрополитом Висарионом. Впрочем, добавляет митрополит — введено... просвещение в земле Мингрельского владетеля в Самурзакани, по сию сторону реки Галидзги (ღალიძის), протекающим между Мингрельским владением и внутри Абхазии, причем подвластные Мингрельскому владетелю жители исповедуют православную веру и составляют паству митрополита Цайшского монастыря; здесь поставлены священники для проповедования св. Евангеля и окрещения в греко-мингрельскую веру

всех обращающихся в Самурзакано Абхазцев"...²⁶ მიტროპოლიტმა დავითმა არ იცოდა სოხუმში წმ. გიორგის ეკლესიის არსებობის (1821 წლიდან) შესახებ ან არ ასახელებდა მას იმის გამო, რომ მხოლოდ სამხედროებს და ვაჭრებს ემსახურებოდა.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორამ არ დააკმაყოფილა აფხაზეთში ეპარქიის დაფუძნებისა და ეპისკოპოსად ანტონ დადიანის დანიშვნის შესახებ მიხეილ შერვაშიძის თხოვნა. ამასთან, იგი დაეყრდნო იმპერატორის მიერ 1821 წლის 19 ნოემბერს დამტკიცებულ მოხსენებას წმ. სინოდისა, რომელიც ითვალისწინებდა ეპარქიების არსებობას იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში; მოხსენების შესაბამისად, ეპისკოპოსები მხოლოდ იმ ადგილებში ინიშნებოდნენ, სადაც იყო ეკლესიებისა და სამღვდლოების საკმარისი რაოდენობა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მართლმადიდებლები შეადგენდნენ. ამავე დროს, გადაწყდა „на первый раз назначить, при согласии владетельного князя необходимое число священников из Мингрельской епархии, по примеру Самурзакани“. აღნიშნული საკითხი უწმინდესმა სინოდმა განიხილა და გადაწყვიტა:

„1) Возвести игумена Антона Дадиани в сан архимандрита и если он, титулуясь Цагерским или Лечхумским, не управляет монастырем, дать в управление ему один из монастырей в Мингрелии по усмотрению Грузино-Имеретинской синодальной канторы; 2) вместе с сим званием поставить ему в обязанность преимущественно заниматься делом обращения в христианство неверных как в Абхазии, так и Мингрелии и для того подчинить и все другие лица, какие есть и какие впредь могут быть назначены для проповедования в сих областях слова Божия и 3) назначение содержания ему и канцелярии его, ежели толко он будет иметь в ней нужду, отнести к усмотрению Главноуправляющего Грузией“.²⁷

ქ. პავლიაშვილი აღნიშნულ დოკუმენტს შეცდომით არა უწმინდესი სინოდის, არამედ საქართველო-იმერეთის სინოდალური კან-

ტორის გადაწყვეტილებად მიიჩნევის და საკუთარ ქართულ თარგმანში უხეშად ამახინჯებს მის შინაარსს, განსაკუთრებით პირველ პუნქტს (ნაწილობრივ მეორე და მესამე პუნქტებსაც).²⁸

1833 წლის 12 თებერვალს, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ეგზარქოსმა მოისეიმ (1832-1834 წწ) ანტონ დადიანი როგორც იქნა არქიმანდრიტად აკურთხა და ცაგერის სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი თავისი ყმამამულებით მის გამგებლობაში დატოვა. ვინაიდან ანტონი მასზე დაკისრებული სამისიონერო მოვალეობის შესასრულებლად აფხაზეთში უნდა გამგზავრებულიყო და ამიტომ ცაგერის მონასტრის მართვას უშუალოდ ვერ შეძლებდა, მისი დროებითი გამგებლობა არქიმანდრიტ გიორგის დაევალა. ცაგერის მონასტრიდან ანტონ დადიანის კუთვნილი შემოსავლების ნაცვლად, საქართველოს მთავარმართებელმა ბარონმა გ. ვ. როზენმა, იმპერატორის მიერ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, მისიონერს ჯამაგირი თავის განკარგულებაში მყოფი სახსრებიდან დაუნიშნა. გარდა ამისა, „архимандриту Антонию с причтами обещано было достаточное пособие жизненными припасами от владетельного князя Михаила“.

თუ რა პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ხელისუფლება აფხაზეთში ანტონ დადიანის მისიას და რა მდგომარეობა არსებობდა იქ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, კარგად ჩანს ბარონ გ. როზენის წერილიდან ეგზარქოსისადმი, რომლის შინაარსს ეპისკოპოსი კირიონი გადმოგვცემს: „По некоторым политическим видам, писал барон Розен Экзарку Грузии, и по местным обстоятельствам архимандрит должен будет иметь сношения прямо со мной, а в отношении обращения неверующих к православной церкви обо всем он должен относиться к Вашему Высокопреосвященству и получать Ваши архипастырские наставления... Пологаю только совершенно невозможным и даже излишним обременять архимандрита Антония какими либо формами по духовному управлению в Абхазии, ни тре-

бованием тех сведений, какие следует по нашим положениям в Грузии и в других подчиненных здешней синодальной канторе местах, ибо в Абхазии нет еще ни монастырей, ни церковных имений, ни прихожан, ни священников и там по всем обстоятельствам нельзя надеяться ни на какие доходы в пользу церкви, так как там число христиан весьма малочисленно и владетель распоряжается ни от кого независимо по своему собственному усмотрению по местным обычаям и по обстоятельствами, часто там изменяющимся".²⁹ მთავარმართებელს, რა თქმა უნდა, ანტონ დადიანის საქმეებით „გადატვირთვა“ ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა. იგი ცდილობდა ქართველი მისიონერი არ მიეშვა აფხაზეთში სასულიერო მმართველობის სათავეებთან და მისიონის მთელი საქმიანობა კავკასიის რუსულ ხელისუფლებას (საეროს და სასულიეროს) ცენტრალიზებული წესით გაეკონტროლებინა.

XIX ს. 30-ნი წლების დასაწყისში დაკომპლექტდა პირველი მისიონი სამურზაყანოსათვის. ამის თაობაზე კირიონის ნაშრომში ვკითხულობთ, რომ მღვდელი ვასილ კუცია მედავითნესთან ერთად ოქუმში მიაველინეს; სავა თოფურია და ერთი დიაკონი — გალში; ნიკოლოზ კუპრავა, დავით სვანიძე და მიხეილ გაგუა — ნაბაკევეში; მარკოზ შონია და მარკოზ არქანია — საბერიოსა და ლეჟარაიეში; დავით ანთელავა — დიხაზურგაში; იესე ხოჭოლავა — განარჯიამ მუხურში; პეტრე ჟღენტე — ილორში; სამურზაყანოში გაიგზავნა აგრეთვე მღვდელი იოანე ჭიქია, დიაკონი ქოიავა, მედავითნე ხოჭოლავა; ბლალოჩინად იესე მიქაბერიძე დაინიშნა, რომელიც დარჩეულში იჯდა. სამურზაყანოს სასულიერო მისიის მიერ გაწეული მუშაობის პირველი მაღალი შეფასება მოცემულია ზემოთხსენებულ დოკუმენტში „Разсмотрение исторического хода существовавших до сего времени духовных осетинских миссий“ (1834წ.): „что касается до обращения 1071 души абхазцев и самурзаканцев в 1832 году, то сие не было так же делом Духовной Комиссии (ოსური კომისიის — ჯ. გ.). Племя

სიე, გრანიჩაჲს მენგრელიუ ს დავნაგო ვრემენი უპრავლასოჲს ი ბყო სოვერშენო პოდვლასთო ვლადეელუ მინგრელიი, კოტორჲი ლიჩნჲმ ნა ნეგო ვლიანთიემ ი უსილიამი სვაჲენიკოვობრათილ ოზნაჩენნჲს აბჲაჲსცეჲვ".³⁰ რუსული სასულიერო ხელისუფლება მუშაობის დადებით შეფასებასთან ერთად, იმ ფაქტსაც აფიქსირებდა, რომ სამურზაყანოელები და აფხაზები „ს დავნაგო ვრემენი“ დადიანების მართვა-გამგეობის ქვეშ იმყოფებოდნენ, რომ აფხაზები სწორედ დადიანისა და ქართველი სასულიერო პირების მიერ არიან მონათლულები.

მიტროპოლიტმა დავით წერეთელმა საკუთარი და — მართა (ლევან V დადიანის მეუღლე) დაარწმუნა ბედიის ტაძრის აღდგენის აუცილებლობაში. ორივეს ძალისხმევით, 1832 წელს აღდგენითი სამუშაოებიც დაიწყო, მაგრამ მალე შეწყდა მართას მოულოდნელი გარდაცვალების გამო.³¹

სამეგრელოს მთავარმა და მიტროპოლიტმა საკუთრივ აფხაზეთში ანტონ დადიანთან ერთად გასაგზავნი მისიონერებიც შეარჩიეს. ლევან დადიანმა არქიმანდრიტ ანტონს აცნობა, რომ მიტროპოლიტმა დავითმა აფხაზეთის მისიის წევრებად უკვე დანიშნა ცაგერის მონასტრის ილუმენი დავით ახვლედიანი და თეოფანე გაბუნია, აგრეთვე მღვდლები გიორგი ბერიძე და ანდრია გელოვანი, დიაკვნები პავლე დეკანოზი შვილი და და ვასილ ნემსაძე.³² მომდევნო წლებში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

ანტონ დადიანს, როგორც ზემოთ ითქვა, აფხაზეთის სასულიერო მართვის ფუნქცია არ გააჩნდა, მაგრამ მისიონერები მას ემორჩილებოდნენ. ლევან V დადიანის განცხადების შესაბამისად, უწმინდესმა სინოდმა მიზანშეუწონლად ჩათვალა ცაგერის არქიმანდრიტ ანტონისათვის სამურზაყანოს სამღვდლოელების დამორჩილებაც იმ მოტივით, რომ ეს ოლქები ერთმანეთისაგან დაშორებული იყვნენ. გადაწყდა სამურზაყანოს დატოვება სამეგრელოს ეპარქიის გამგებლობაში („во владение местного епархиального начальства“). მასვე დაევალა „заботиться, чтобы действия этих миссионеров имели надлежащий успех“.³³ ფორმალურად (ისტორიული ტრადიციისამებრ) მთლიანად აფხაზეთი ეკლესიუ-

რად სამეგრელოს (ჰყონდიდის) ეპარქიის გამგებლობაში იყო; ის ნიშნავდა იქ (მოქვეში, ლიხნში) სასულიერო პირებს. 1831 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში („ანდერძში“) ნათქვამია, რომ იგი „სრულ იქმნა ბრძანებითა მისის უწმინდესობის სრულიად ყოვლისა მელრელიისა ქუეყანისა და ეგრეთვე სვანთა და აფხაზთა მწყემსისა, რომელიც უძღვის საღმრთოთა დოღმატითა პირმეტყველთა ქრისტეს ცხოვართა იმერთ სახლუხუცესის ღენერალ და მაიორის კავალერის ზურაბ წერეთლის ძისა ჰყონდიდის მიტროპოლიტის დავითისათა“; ლევან V დადიანის მოძღვარი, 1842 წელს გარდაცვლილი ჰყონდიდელი ეპისკოპოსი გიორგი, 1827 წლით დათარიღებული დოკუმენტისათვის გაკეთებულ მინაწერში საკუთარ თავზე ამბობდა: „მე უღირსი და გლახაკი ბერი გიორგი ეპისკოპოზი მინდრელიისა ნაწილთა, იმერეთისა, სამურძაყანო — აფხაზეთისა და სვანეთისა“.³⁴

1833 წლის 22 ივლისს ანტონ დადიანმა ეგზარქოსს აცნობა, რომ ცაგერის მონასტერი არქიმანდრიტ გიორგის (კუხალაშვილს) უკვე გადააბარა, მაგრამ აფხაზეთში ვერ მიემგზავრება ჩერქეზთა მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის გამო; ამ საფრთხის შესახებ მას მიხეილ შერვაშიძემ 30 ივნისს გამოგზავნილი წერილით შეატყობინა და ურჩია დალოდებოდა იმ დროს, როცა აფხაზეთის მთავარი საქართველოს მთავარმართებელს ჩერქეზთა შემოსევების საშიშროების მოხსნის თაობაზე აცნობებდა. როგორც ჩანს, ეს დრო 1834 წლის დასაწყისში დადგა. ანტონ დადიანი აფხაზეთში ჩავიდა. იმავე წლის 2 მარტით დათარიღებულ წერილში ბარონ გ. ვ. როზენისადმი ცაგერის არქიმანდრიტი წერდა: „По приказанию вашего высокопревосходительства прибыл в Абхазию в дом владетеля Михаила Шервашидзе благополучно и приступил к исполнению по повелению вашему возложенного на меня поручения“.³⁵

სამისიონერო საქმიანობას აფხაზეთში ე.წ. ოსური კომისია წარმართავდა. კავკასიის მთიელებში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით, იგი ჭერ კიდეც XVIII საუკუნის შუახანებში დაფუძნდა. თავის დროზე მისი შექმნის ინიციატორები იყვნენ ქართველი არქიეპის-

კოპოსი იოსებ სამებელი, იოანე მანგლელი და მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის ქართველი არქიმანდრიტი ნიკოლოზი. 1743 წლის 9 თებერვალს მათ თხოვნით მიმართეს იმპერატრიცა ელიზაბეტა პეტრეს ასულს ოსებს შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ხელ შეწყობის თაობაზე. 1745 წელს ქართველი სასულიერო პირების თხოვნა დაკმაყოფილდა, რასაც ე.წ. ოსური კომისიის შექმნა მოჰყვა. მან XIX საუკუნის 60-ნი წლების დასაწყისამდე იარსება.³⁶ მისი მოღვაწეობა მთლიანობაში არ გამოირჩეოდა დიდი წარმატებებით, მაგრამ აფხაზეთში თავისი კვალი მაინც დატოვა, რაც, პირველ რიგში, დაკავშირებულია ანტონ დადიანისა და მის გვერდით მოღვაწე სხვა ქართველ მისიონერთა სახელებთან. XIX საუკუნის 30-ნ წლებში, მიუხედავად მაჰმადიანთა მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობისა, აფხაზეთში ქრისტიანობას ავრცელებდნენ მიხეილ შერვაშიძის კარის ეკლესიის (ლიხნში) დეკანოზი სვიმონ ჟორდანიას, თეოფანე გაბუნია, მარკოზ კიზირია, მარკოზ და იოსებ თათარაშვილები, ათანასე ჭკადუა, დავით ახვლედიანი, ანდრია გოლეთიანი, რომან მერკვილე და სხვები. მათმა უმრავლესობამ აფსუური ენაც ისწავლა და მოსახლეობას ქრისტეს რჯულს მშობლიურ ენაზე უქადაგებდა. ანტონ დადიანს (რომელმაც ასევე იცოდა აფხაზური ენა) მხარში ედგა, როგორც თარჯიმანი, აფხაზეთის პირველი არქიმანდრიტის — იოანე ქავთარაძის ვაჟი, აფხაზური, რუსული და თურქული ენების მცოდნე გიორგი ქავთარაძე. XVII საუკუნის ბოლოდან, როცა აფსუებმა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია დაიკავეს, ეს იყო ამ რეგიონში გაგზავნილი პირველი ორგანიზებული მართლმადიდებლური მისიონი, რომლის მიზანს საუკუნე ნახევრის წინ აქ ჩამოსახლებულ წარმართ თუ მუსულმან მთიელთა მოქცევა და გააფსუებულ ქართველებში (აფხაზებში) დავიწყებული სარწმუნოების აღდგენა წარმოადგენდა. ამ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის შესრულების დაწყება ქართველ მისიონერებს ხვდათ წილად. ისინი დიდი მონდომებით შეუდგნენ მუშაობას.

თავიდანვე გარკვეული პრობლემები შეიქმნა მსურველების მონათვლასთან დაკავშირებით. ანტონ დადიანი ეგზარქოსს გაუფრ-

თხილებია, რომ ის „без доставления подробного сведения не совершал крещение“. საჭირო მონაცემების შეგროვება კი, თვლიდა ანტონი, ადამიანების მონათვლისა და მათთვის ჯვრების დარიგების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. ეგ ზარქოსმა მოისიემ სულ მალე ოსეთის კომისიიდან ანტონ დადიანს 300 ვერცხლის მანეთი, 800 სპილენძის, 10 ვერცხლისა და 5 მოქროვილი ჯვარი გაუგზავნა. 1834 წლის 9 მაისს ანტონი ეგ ზარქოსს აცნობებდა, რომ 2 მაისს ფული და ჯვრები სოუკ-სუ-ში (ლიხნში) მივიღეო და იმ დროიდან (ე. ი. ერთ კვირაში) “во исполнение предписания вашего и во славу Бога приступив к крещению язычников и магометан, окрестил 155 душ обоого пола более из домов старейших людей”...³⁷ მისიონერებს მარტო ლიხნში 1834 წელს 233 ადამიანი მოუნათლავთ, მათთვის იმდენივე ჯვარი და ასევე თითოეულისათვის საპერანგო ტილოს საყიდი ფული — 20-50 კაპიკი (ვერცხლის) დაურიგებიათ (სულ 52 ვერცხლის მანეთი დაუხარჯავთ).³⁸ ახალ მონათლულებს არქიმანდრიტმა სასახლის კარის ეკლესიის დეკანოზი სვიმონ ჟორდანიამ მიუჩინა.

1834 წლის 31 მაისს ანტონ დადიანი ეგ ზარქოსს წერდა: „უუ-მოწყაღესო მწყემსმთავარო: გაგებდავ მოხსენებასა და წარმოდგენასა თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებისადმი, რომელნიცა თანა შემწყვდნენ და ჩემთანა შვრებოდნენ ამა ღვთის სათნოსა საქმისა აღსრულებასა ზედა, იღუმენი დავით, დეკანოზი სვიმონი, მღვდელმონაზონი თეოფანე, და ჩემთანა მყოფი აფხაზურის პერევილჩიკად აზნაური გრიგოლ იოანეს ძე ქავთარაძე, რომლისათვისაც გთხოვ უმორჩილესად უუწმინდესო მეუფეო, ყურად იღოთ მოხსენება ესე ჩემი და ინებოთ უმაღლისისა ადგილიდამ ამა სამთა სამღვდლოთათვის გამოთხოვნად გულსაკიდი ჯვარი ოქროისა, აფხაზურისა ენის პერევილჩიკისათვის მენდალი“.³⁹ წერილს თან ერთვის მონაცემები თითოეულის ნამსახურეობის შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე.

მისიონერები აბჯუის მხარეშიც მოღვაწეობდნენ. 1834 წელს კვიტოულში 155 კაცი მოინათლა, ტამიშში — 93, კინდლში — 72. მთლიანად აფხაზეთში მისიონერებმა პირველ წელს 554 აფხაზი

მონათლეს.⁴⁰ 1835 წელს კვიტოულის, ტამიშისა და კინდლის ერთიანი მრევლისათვის ახალი ეკლესია აშენდა; ახალი ეკლესიები გაიხსნა ათარასა და შუაწყარში. ამ სამი ეკლესიის ასაშენებლად ანტონ დადიანს 600 მანეთი გამოუყვეს. კვიტოულის, ტამიშისა და კინდლის მრევლს მღვდელი ანდრია გოლეთიანი დაუნიშნეს, ათარელებს — გიორგი ბერიძე; შუაწყარში ოდნავ მოგვიანებით ვასილ ნემსაძე დაინიშნა. 1836 წლისათვის აფხაზეთის სამ ახლადაშენებულ ეკლესიაში და აგრეთვე ლიხნის ტაძარში 221 აფხაზი მონათლა.⁴¹

ეგზარქოსი მოისეი არქიმანდრიტ ანტონ დადიანის (რომელსაც იგი აფხაზეთის მღვდელმთავარს უწოდებდა) მისიასთან დაკავშირებით 1834წ. წერდა, რომ მისი იმედები გამართლდა, „ბევრმა აფხაზმა მიიღო ქრისტიანობა და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ მთავრის ბიძამ ჰასან ბეიმ, რომელსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვს გონებაზე (На умѣ) და უყვართ აფხაზებს, ამასწინათ თავისი ერთადერთი ვაჟი (სეით ბეი, ნათლობის სახელი დიმიტრი, მომავალში ლევან V დადიანის სიძე — ქალიშვილის ეკატერინეს მეუღლე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, გენერალ გიორგი შერვაშიძის მამა — ჯ. გ.) მონათლა. შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ ახლოვდება ამ ხალხის მონათვლის დრო და მღვდელმთავარი ანტონის, მონდომებული ქრისტიანის, საშუალებების გაძლიერება, რა თქმა უნდა, მოგვცემს კიდევ უფრო მეტი იმედს საიმისოდ“.⁴² ეგზარქოსის აზრით, ანტონს უნდა ჰქონოდა მოქმედების სრული თავისუფლება.

1834-1936 წლებში ქართველმა მისიონერებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს; ჩვენი გაანგარიშებით, დაახლოებით 2 ათასამდე (შესაძლოა მეტიც) აფხაზი მონათლეს. აფსუათა ჩამოსახლების შედეგად განადგურებული ქრისტიანობის აღორძინების პროცესი დაიწყო. ბარონი ფ. ტორნაუ (რუსი ოფიცერი) XIX ს. 30-ნი წლების შუახანებში ადასტურებდა, რომ „აფხაზეთში ბევრი ახლმონათლული ქრისტიანია“.⁴³ არსებობს იმ წლებში მონათლულთა სიები, რომლებიც პირველად გერონტი გასვიანმა 1997 წელს ეურნალ „ცისკარში გამოაქვეყნა, მომდევნო წელს კი — მონოგ-

რათიაში „ძველი და ახალი აფხაზები.“⁴⁴ ქართველ მისიონერებს ყველაზე მეტად უმუშავიათ ლიხნში, ბიჭვინთაში, ლიძიაში, ებერნუხვაში, კვიტოულში, კინდლში, შუაწყალში, ტამიშში, ფოქვეში, ათარაში, თხინაში, მოქვეში, ტყვარჩელში, მერკულაში და ეშკეტში. გამოქვეყნებული სიები შესანიშნავი წყაროა XIX ს. პირველ ნახევარში აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესასწავლად. გ. გასვიანის აზრით, მოსახლეობის 80 პროცენტი ქართველური წარმოშობისა იყო. მონათლულთა არა მხოლოდ გვარების, არამედ ძველი (ნათლობამდე) სახელების მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, ბზიფის მხარეში გაათესუებული მეგრელები ქარბობდნენ; აბუჟაშიც ბლომად იყვნენ გამეგრელებული აფსუები, თუმცა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, როგორც გ. გასვიანმა დაამტკიცა, ქართველები შეადგენდნენ.

მონათლულთა შორის ვერ ვხედავთ გუმისთის (თანამედროვე სოხუმისა და გულრიფშის რაიონების), წებელდისა და თავისუფალი საზოგადოებების (ფსხუს, ახჩიფსხუს, აიბგას) მაცხოვრებლებს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სოხუმში მცხოვრები ჰასან-ბეისა და მიხეილ შერვაშიძის დაპირისპირება, წებელდელი მარშანიების მთავრისადმი დაუმორჩილებლობა, თავისუფალი საზოგადოებების მქიდრო კავშირი ჩრდილოეთ კავკასიელ თანატომელებთან და მათი ანტირუსული განწყობილებები. ქრისტიანობის არმილება აღნიშნულ მხარეებს მომავალში მასობრივი მაჰაჯირობის ფასად დაუჯდება.

მისიონერთა წარმატებას ბზიფის მხარეში დიდად შეუწყო ხელი მიხეილ შერვაშიძის დედამ-თამარ კაცუას ასულმა დადიანმა, ხოლო შუა სოფელში (აბუჟაში) — ამ მხარის მფლობელის ალექსანდრე (ალი-ბეი) შერვაშიძის მეუღლემ — კესარია ნიკოს ასულმა დადიანმა. იგი 1817 წელს გათხოვდა და მეუღლეს მაშინ მოექცა ქრისტეს რჯულზე. ნიკო დადიანი ამის შესახებ წერდა: „სიძე ჩემი ალიბეგ შარვაშიძე, რომელი იყო შთამომავლობითა მაჰმადიან, უწინარეს ამისა ოთხის წლითა (იგულისხმება 1821 წელს მთავრის ტახტზე დიმიტრი შერვაშიძის აცვანის მიზნით აფხაზეთში მოწყობილ სამხედრო ლაშქრობამდე 4 წლით ადრე — ე.ი. 1817 წელს — ჯ.

გ.) მოვიყვანე მართალსა სარწმუნოებასა ქრისტეს ღვთისა ჩვენისა, ნათელ-ვეც და უწოდე ალექსანდრე და მივეც ცოლად ასული ჩემი კესარია. ესე იყო მფლობელი ნახევრისა სრულის აფხაზეთისა, რომელსა უწოდებენ შვა სოფელს“. კესარია დადიანი ათწლეულების მანძილზე ემსახურებოდა აფხაზების გაქრისტიანების კეთილშობილურ საქმეს, ეხმარებოდა აბჯუის მხარეში სხვადასხვა დროს მოქმედ მისიონერებს, მათ შორის უპირველესს — ანტონ დადიანს. ამ უკანასკნელის წარდგინებით, 1835 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მადლობა გამოუცხადა კესარია დადიანს იმისათვის, რომ ჩაიდინა „Полезные и богоугодные подвиги“.⁴⁵

მისიონერები წარმატებებს ვერ მიაღწევდნენ მთავრის — მიხეილ შერვაშიძის მხარდაჭერის გარეშე, თუმცა მისმა გაუაზრებელმა, ანტიმართლმადიდებლურმა საქციელმა, რომელმაც რუსული ხელისუფლების აღშფოთება გამოიწვია, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუშალა აფხაზეთში ქრისტიანობის შემდგომ გავრცელებას. ჯერ კიდევ 1833 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავდა კანონიერი მეუღლე, მთავარმა გადაწყვიტა ექორწინა ლევან V დადიანის (მიხეილი და ლევანი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ) ქალიშვილზე — ნინოზე. აფხაზეთის მთავრის განზრახვას წინ აღუდგა ლევან V დადიანი, ასევე ბარონი გ. როზენი. 1833 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მთავარმართებელი (გ. როზენი) სამეგრელოს მთავარს წერდა, რომ გავიგეო „о странном и бессовестном предложении“ მიხეილ შერვაშიძისა. „Поступка сего, — წერდა გ. როზენი, — нельзя принимать иначе, как за явную неблагонамеренность и за отречение даже от законов Спасителя Иисуса Христа“. გ. როზენი ურჩევდა ლევან დადიანს კატეგორიული უარი ეთქვა მიხეილ შერვაშიძისათვის, რომელიც იმდენად სუსტია, რომ რუსეთის მხარდაჭერის გარეშე მარტო ჰასანბეის ვერ გადაუჩებოდა. იმავე დღეს მთავარმართებელმა წერილი გაუგზავნა თამარა დადიანს და მოითხოვა მისგან უარი ათქმევინოს შვილს თავის განზრახვაზე, ხოლო ცალკე წერილით მიხეილ შერვაშიძე გააფრთხილა (1833 წლის 28 დეკემბერს): „Я решительно

უვებოდნა ვაქ, ჭო პრავიტელვო ნიკოგა ნე დოვოლიტ
ი ნე უტვრდიტ სთლქ ბოგოპროტივნო ბრაკა”, რომელიც იქ-
ნებოდა ცუდი მებალითი „დლქ სავიქ ვაშიქ პოდვლასთნიქ, კო-
თორე ი ბეზ თოგო ვამ ვ პოლნოი მერე ნე პოვინოუთქ, ა
პრი თაკოვომ ბოგოპროტივნომ პოსტუპკე ი ვოვსე პოვინო-
ვანქ ნე ბუდუტ”.

გ. როზენი არ დაკმაყოფილა მ. შერვაშიძის სპასუხო წერილ-
მა (1834 წ. 5 მარტი) დ კიდევ ერთხელ კატეგორიულად აუკრძა-
ლა (1834წ. 11 აპრილის წერილი) მესამედ ქორწინება.⁴⁶

1836 წლის იანვარში მიხეილ შერვაშიძე მესამედ მაინც დაქორ-
წინდა (პირველი მეუღლე ართოს ტომის თავადის ქალიშვილი იყო,
მეორე — მარია ნიკოს ასული დადიანი), მაგრამ არა ლევან V და-
დიანის ქალიშვილზე, არამედ გიორგი ნიკოს ძე დადიანის ასულ
ალექსანდრაზე, რომელიც მამიდის — კესარია დადიანის სახლი-
დან (კვიტოულიდან) მოიტაცა. 1836 წლის თებერვალში სამეგრე-
ლოს მიტროპოლიტი გიორგი კუხალაშვილი (1835-1842 წწ) საქარ-
თველოს ეგზარქოს ევგენის (1834-1844 წწ) აცნობებდა, რომ აფხა-
ზეთის მთავარმა ალექსანდრა გიორგის ასული „წარიტაცა... აღი-
ბეგ შერვაშიძის ქერივის კესარია შერვაშიძისა სახლიდამ“ დ ჳვა-
რი დაიწერა მასზე „შუა წყაროს, რომელიც საიდუმლო ესე იძუ-
ლებით სრულაყოფნა ჩემ მიერ წარგზავნილისა (მისიონერად — ჳ.
გ.) მღვდელისა ანდრია გოლეთიანისა“.⁴⁷

გ. როზენი აღაშფოთა მიხეილ შერვაშიძის საქციელმა. წერილ-
ში თამარა დადიანისადმი მთავარმართებელი აცხადებდა, რომ ეს
ქორწინება არასოდეს იქნება აღიარებული კანონიერად. 1836 წ. 6
თებერვალს გ. როზენი სთხოვდა სამხედრო მინისტრ ა. ი. ჩერნიშოვს
ეცნობებინა იმპერატორისათვის მიხეილის საქციელის შესახებ დ
აყენებდა წინადადებას მთავრის კანონიერ მეუღლედ მარია ნიკოს
ასული დადიანის აღიარების შესახებ. მთავრობამ ქმარს გაცილე-
ბულ მარია დადიანს მთავრის სუბსიდიის ნახევარი დაუნიშნა. რუ-
სეთის ხელისუფლებამ, საბოლოო ჳამში, მაინც აღიარა აფხაზე-
თის მთავრის მესამე ქორწინება, როცა საიმპერატორო ტახტის ერ-
თგულებისათვის მთავრინა ალექსანდრა, როგორც აფხაზეთის

მფლობელის მეუღლე, წმ. ეკატერინეს ორდენით დააჯილდოვა.

მთელმა რიგმა სუბიექტურმა და განსაკუთრებით ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობეს 1837 წლისათვის სამისიონერო საქმიანობის შესუსტება, აფხაზთა მოქცევის პროცესის შენელება, მისიონერთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და ა. შ. მთავარი მიზეზი ქრისტიანობის გავრცელების შეფერხებისა იმ სერიოზულ წინააღმდეგობაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც აწყდებოდნენ მისიონერები მაჰმადიანი და წარმართი მთიელების მხრიდან. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური ფაქტორი. ქრისტიანობის გავრცელება აფხაზებისათვის მიუღებელი რუსული ხელისუფლების განმტკიცებას, სხვა მთიელებთან დაპირისპირებას ნიშნავდა. 1835 წელს რუსი მეცნიერი პლატონ ზუბოვი ღიად წერდა, რომ მთიელთა დასამორჩილებლად ყველაზე ეფექტურ საშუალებას ქრისტიანობის გავრცელება წარმოადგენდა; აფხაზთა მაგალითზე ამტკიცებდა მათი მონათვლის არა მხოლოდ აუცილებლობას, არამედ შესაძლებლობასაც. ერთდროულად იგი ეკლესიებთან რუსული ენის შემსწავლელი სკოლების გახსნას, ღვთისმსახურების პირველ ეტაპზე ადგილობრივენაზე, შემდგომში — რუსულად ჩატარებას მოითხოვდა.⁴⁸ აფხაზები ხვდებოდნენ, რომ რუსები მათ მონათვლას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ცდილობდნენ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ძლიერი წინააღმდეგობისა მთიელი მაჰმადიანების მხრიდან. ისინი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანობის გავრცელებას, უფრო მეტიც, მონათლულთა კვლავ გამაჰმადიანებას ცდილობდნენ. 1835 წლის 24 იანვარს ანტონ დადიანი ეგზარქოსს აცნობებდა „о совращении абхазского новокрещенного народа в магометанство приезжающими из разных мест татарами“.⁴⁹

ქართველი მისიონერები თბილისში აგზავნიდნენ ცნობებს აფხაზეთში ქრისტიანობის პარალელურად მუსულმანობის გავრცელების შესახებაც. ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, ანტონ დადიანი ერთ-ერთ თავის მიმართვაში ეგზარქოსისადმი წერდა: „უმეტეს და უმეტეს ძნელდების მონათვლა მათი. მიზეზთა ამით, რომელთა არიან მოსანათლავნი მთის ხალხი და უმეტეს მაჰ

მადიანობის მქონებელნი, და ამისათვის, თუმცა არა ვკრიდებთ, თავსაჩვენსა შრომასა, გარნა ძნელდების მოქცევა და მოყვანა მათი ჩვენთა მართალსა სარწმუნობასა ზედა“.⁵⁰

მისიონერული საქმიანობის წარმატება აფხაზეთში უმთავრესად სამეგრელოს ეპარქიის აქტიურ მოქმედებაზე იყო დამოკიდებული. ლევან დადიანსა და მიხეილ შერვაშიძეს შორის ბოლო წლებში გართულებული ურთიერთობების (აფხაზეთის მთავრის ქორწინებისა და სამურზაყანოს საკითხის გამო) ფონზე ასეთი აქტიურობა გამოირიცხა. ყოველივე ამან, აგრეთვე ანტონ დადიანის მიერ მიწოდებულმა საგანგაშო ინფორმაციებმა, როგორც ჩანს, ძლიერ შეაშფოთა საქართველოს ეგზარქოსი. 1836 წლის 25 იანვარს იგი ვრცელ წერილს უგზავნის სამეგრელოს ეპისკოპოს გიორგის, სადაც შეახსენებდა მას ოსური კომისიის ხშირ შემთხვევაში წარმატებული მუშაობის შესახებ, „в приобщении в недра истинной христовой церкви многих язычников и магометан“; მოჰყავდა უწმინდესი სინოდის 1818 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულების ძირითადი მუხლები; გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სამეგრელოს ეპისკოპოსი ამ მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებას არ ასრულებდა და ეგზარქოსს მისიონერული საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ცნობებს არ აწვდიდა; რუს მღვდელმთავარს აინტერესებდა, თუ რა მწუხმსებრივ ზომებს მიმართავდა თავად ეპისკოპოსი მთიელთა მოქცევის მიზნით; იგი მოითხოვდა გიორგისაგან „იხმაროთ თქვენის მხრით მწუხმსებრივი ზრუნვა განვრცელებისა და დანერგვისათვის ქრისტიანობრივისა სარწმუნოებისა როგორც იმა მთის ხალხთა შორის, რომელნიც უსამზღვრებენ თქვენს ეპარხიასა თანა“, ისე ეპარქიის შიგნით მცხოვრებ ურწმუნო მოსახლეობაში. ეგზარქოსს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა აფხაზეთ-სამურზაყანოზე. მას აინტერესებდა: 1) თქვენი ეპარქიის მოსაზღვრე რომელ ხალხს აქვს უფრო მეტი მიდრეკილება ქრისტიანობის მიღებისაკენ; 2) მთიელ ხალხთა რომელ ხეობაში აპირებთ მისიონერთა გაგზავნას; 3) მისიონერთა შორის ვინ მიგაჩნიათ ამ საქმიანობისათვის ყველაზე შესაფერისად — საიმედოდ და უნარიანად; 4) სხვა რა საშუალებებს მიმართავთ, რომ-

ლებიც ხელს შეუწყობდნენ წარმატების მიღწევას მთიელთა მოქცევის საქმეში; 5) წარმოადგინეთ თქვენს მიერ შერჩეული მისიონერების სია.

ეპარქიის შიგნით მცხოვრებ ურწმუნოთა (მათ შორის სამურზაყანოში) მოქცევის მიზნით, ეგზარქოსი ურჩევდა ეპისკოპოს გიორგის დაუყონებლივ შეერჩია საიმედო და მომზადებული მღვდლები, რომლებიც კეთილგონიერებით და სიფრთხილით მოეკიდებოდნენ საქმეს; იმოქმედებდნენ მხოლოდ მშვიდი შთაგონებითა და დარწმუნებით, არ მიმართავდნენ ძალადობასა და იძულებას; ნათლობის ნებართვა ეპისკოპოსს თავად უნდა გაეცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისიონერი მღვდელი დარწმუნდებოდა, რომ ესა თუ ის პიროვნება სინდისისა და გულის კარნახით ღებულობდა ქრისტიანობას და არა ანგარების მიზნით. ეპისკოპოსს ევალებოდა ყოველი წლის ბოლოს ეგზარქოსისათვის გარკვეული წესით შედგენილი მონათლულთა სიების წარდგენა იმ სასულიერო პირთა მითითებით, ვინც თავი გამოიჩინა წარმართთა მოქცევის საქმეში.⁵¹

ეგზარქოსმა წერილს თან დაურთო უწმინდესი სინოდის 1818 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე შედგენილი ინსტრუქცია მისიონერებისათვის, რომლებიც გაიგზავნებოდნენ „К горским народам язычникам и другим неверующим для обращения их в православную греко – грузинскую христианскую веру“. იგი შემდეგი შინაარსის ცხრა პუნქტისაგან შედგებოდა: 1) მთიელთა გაქრისტიანებისათვის გამოყენებულ იქნას უპირატესად სულიერი, ვიდრე ამქვეყნიური გულის წადილი (побуждения) ისე, რომ „сии последние служили некоторым возмездием, а не воззванием“; 2) არ უნდა თქვან, რომ ბრძანებით არიან გამოგზავნილი; 3) წმ. ნათლობა შეთავაზებულ იქნას სარწმუნოებაში საკმარისად განმტკიცების შემდეგ; 4) ქადაგებასთან კავშირში არამყოფი არავითარი უხამსობა არ გამოამჟღავნონ („Никаких не пристойных и до звания проповеднической не касающихся разглашении не чинить“); 5) გაქრისტიანებულად მანამდე არ ჩაითვალოს, სანამ მონათლულები არ მოი-

სურვებენ ჰქონდეთ ეკლესია და ჰყავდეთ მღვდელი; 6) ამქვეყნიური საკითხების გარჩევაში მონაწილეობა არ მიიღონ, არც ერთი ხელისუფლების წინააღმდეგ არ იმოქმედონ აშკარა თუ ფარული ჩაგონებებით, ვინაიდან უფალი, როცა ის დედამიწაზე ცხოვრობდა, არ გამოხატავდა მმართველობის არც ერთ ფორმას და არც არავის ქონებრივ უფლებებს შეხებია; 7) დანიშნულების ადგილზე ჩასული მისიონერები თავს ასალებენ არა მთავრობის გამოგზავნილებად, არამედ როგორც უბრალო მწირები („за простых странников“), რომელთაც ყველა ადამიანის გადარჩენა და ქრისტიანთა რწმენაში მოყვანა სურთ; 8) სადაც თქვენს სწავლებას არ მიიღებენ, მშვიდობიანად გაეცალეთ იქაურობას, ხოლო სადაც მიიღებენ, იქ დარჩით სწავლებისათვის და რწმენაში განსამტკიცებლად; ნათლობას შეუდევით მოქცეულთა საკმარისი გამოცდის შემდეგ, როცა დარწმუნდებით მათ სურვილში, ჰყავდეთ ქრისტიანი მღვდელი და ჰქონდეთ ეკლესია; 9) ადგილობრივი ეპარქიალური უფროსობისაგან მღვდლისა და ეკლესიის მოთხოვნა შეუძლიათ საიმედო მისიონერებსაც, თუ მათ ახალმონათლულთა რწმუნება ექნებათ.⁵²

აფხაზეთში მყოფი ქართველი მისიონერები ეგზარქოსის ინსტრუქციას და მის წერილში ჩამოყალიბებულ სხვა მოთხოვნებს (განსაკუთრებით მონათვლის პირობებს) სრულად ვერც ადრე (რის შესახებაც წერდა ანტონ დადიანი), ვერც მომავალში ვერ დაიცვდნენ იქ არსებული სპეციფიკური პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ვითარების, მისიონერთა სათანადო მოუმზადებლობის, ზოგიერთი რეკომენდაციის არარეალურობის გამო. სამეგრელოს ეპისკოპოსისათვის გამოგზავნილმა წერილმა და ინსტრუქციამ ლევან დადიანის აშკარა გაღიზიანება გამოიწვია. 1836 წლის 31 მარტს იგი წერილს უგზავნის მთავარმართებელ გ. როზენს. ეგზარქოსის წერილი და ინსტრუქცია წარმომიდგინა ეპისკოპოსმა გიორგიმ, — წერდა სამეგრელოს მთავარი, — რომელიც მონდომებულია მოაქციოს ურწმუნოები, მაგრამ არ გააჩნია შესაძლებლობა, რათა ველოდოთ წარმატებებს და მთავარი მიზნის მიღწევას მთავრობისა — „მსურველის განფინებისა ნათლისათა წყნარის სახარებითის დარიგებითა და საქურვლითა გვარისათა დამარცხებად შეუპოვრო-

ბისა და ურჩობისა მთის ერისა, უმჯობესის კეთილმდგომარეობისათვის მრთელის კავკასიის აქეთის მხარისა...

არა რას ძალუძს ყვედრებად ჩემდა ერთსულოვნებასა შინა საქმისადმი განვრცელებისა და დამტკიცებისა სჯულისა ქრისტიანებისა, სასტიკ კანონთა შინა, რომლისაცა მყოფნი აღზრდილ, მე ვპოვებ მას შინა სულიერსა დამშვიდებასა, ხოლო გულისმოდგინებითი ერთგულება ჩემი სამსახურისადმი როსიის მართებლობისა და მზაობა შემწეობად ყოველის წინად განზრახულობისადმი მისისა ცნობილ არს თქვენის მაღალაღმატებულობისადმი. გარნავიცი რა ადგილობრივნი გარემოებანი მხარისანი, საერო ცნობა და ხარაქტირი, ეგრეთვე შეერთება მფლობელთა სხვადასხვა მთიელთა ნათესაეთა ერთისა მეორისადმი, მათნი ღონენი საზრდელად თვისისა, იმედნი, რომელთა მიერთთა ზოგნი მათგანი იძულებულ არიან მიღებისადმი მართლმადიდებლობის ქრისტიანების სჯულისა და თვით მიზეზნი შემაყენებელნი კვალად მისთა ურწმუნობათა შინა; მე მაქვს პატივი აღგიწეროთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, პაზრი ჩემი, რომელ წარგ ზავნა მოქადაგეთა მინგრელიის სამღვდელოითასა, ქადაგებათგან რომელთა არა სრულიადის განათლებისაგამ მათისა არა შესაძლო არს მოლოდინება იმა ძალის დატანებისა, რომელმანცა იმოქმედოსმცა გონებათა და გულთა ზედა ურწმუნოთასა, არა შემოგვიტანს მოლოდინებულსა სარგებლობასა“.³³

ლევან დადიანი ვარაუდობდა, რომ მისიონერთა გამოჩენას ველურ ხალხში, ქრისტიანობის გავრცელების ნაცვლად, შეეძლო მათში შეშფოთების გამოწვევა, როგორც ეს სვანეთში („თავისუფალ სვანეთთა შორის“) 1834 წელს მომხდარა (რუსი მისიონერის კულმატიცკის იქ ჩასვლის გამო). რაც შეეხება ანაკლიის თურქული კოლონიის მოქცევას, — აგრძელებდა თავის წერილს ლ. დადიანი, — „მე ვპოვებ მანატიზმითა ამა თათართა სრულიად შეუძლებლად, ეგრეთვე ვითარცა მყოფთ სამურზაყანოსა შინა უმეტეს წილად ქვეშევრდომთა ჩემდა თათართაგან ჰურწმუნოთა ველურის ზნისა გამო, რომელთაცა ჯერე არა შემოსვლია დროი, რათა შესაძლო იყოს წინად განზრახულება მათის მოქცევისა; მით რომელ

პირველთავე განვრცელებათა ხმაურობისათა მაზედ, სრულიადსა მაზრასა ძალუმს დატოვებთ თვისის საცხოვრებლისა და იპოვის სარწმუნოსა თავშესაფარებელსა მეზობელთა შორის თვისთა აფხაზთასა და წებელთა შინა, და თვით ამით მიუმატებს რიცხვი მტაცებელთა და თითქმის ცხადად მტერთა პირისპირ თვით მმართველობისათა“.⁵⁴

ამრიგად, ლევან დადიანმა კავკასიის რუსულ ხელისუფლებას აუხსნა, უჩვენა აფხაზეთ — სამურზაყანოში მისიონერულ მუშაობასთან დაკავშირებული ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელები. ის ექვსქვეშ აყენებდა რეალობას მთავრობის სურვილისა „საქურვლისა ჯვარისათა“ დაამარცხოს, დაძლიოს მთიელთა ურჩობა და დაუმორჩილებლობა, მიანიშნებდა, რომ ერთმანეთთან კავშირში მყოფ მთიელ ტომთა ცალკეული მთავრების მხრიდან ქრისტიანობის მიღებაზე თანხმობაც და თავშეკავებაც პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული. ხელისშემშლელ ფაქტორებად სამეგრელოს მთავარს ხალხის ცნობიერება, წარმოდგენები და ხასიათი („საერო ცნობა და ხარაქტირი“), აგრეთვე მისიონერთა არასათანადო მომზადება მიაჩნდა.

წერილის დასასრულს, ლევან დადიანი გ. როზენს სთხოვდა, რომ სამეგრელოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ეგზარქოსმა მომავალში მისი (მთავარმართებლის) მეშვეობით იქონიოს ურთიერთობა პირადად მთავართან, როგორც ეს იყო ადრე, „ვინაითგან მოთხოვნილებანი მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებისანი თქვენის, მოწყალეო ხელმწიფევ, საშუალობითა, რომლისადმიცა ცნობილ არს მდგომარეობა მინგრელიისა და მოსამზღვრეთა მისადმი ერთა, საჩქაროდ და უკეთესად იქმნებიან აღსრულებულნი თვით ჩემ მიერ“, ან ჩემი მითითებებით სამეგრელოს ეპისკოპოსის მიერ, რომელიც „თვინიერ საშუალებათა ჩემ მიერ ჩვენებულთა“ დამოუკიდებლად, როგორც თქვენთვის ცნობილია, ვერ იმოქმედებსო.

ცხადია, ლევან დადიანის გაღიზიანება სამეგრელო-აფხაზეთის პრობლემებში ბოლომდე ჩაუხედავი ეგზარქოსის წერილს გამოუწვევია. როგორც ჩანს, იგი თვლიდა, რომ მისმა უსამღვდელოესობამ თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა, როდესაც მთავარ-

მართველისა და მთავრის გვერდის ავლით სამეგრელოს ეპისკოპოსს აფხაზეთში და თვით სამთავროს შიგნით მისიონერული საქმიანობის შესახებ მითითებებს აძლევდა. ალბათ, ამის გამო ლ. დადიანმა აფხაზეთ-სამეგრელოში, განსაკუთრებით სამურზაყანოში არსებული ვითარება ზედმეტად გამუქებულ ფერებში წარმოაჩინა, რათა ეგზარქოსის დავალება არ შეესრულებინა. გარდა ამისა, ლევან დადიანი წერილში გ. როზენისადმი აშკარად ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგის — მიხეილ შერვაშიძის რუსული ხელისუფლების წინაშე დისკრედიტაციას.

მიუხედავად რეალურად არსებული ურთულესი პირობებებისა, ქართველი მისიონერები სამეგრელოდან აგრძელებდნენ მუშაობას აფხაზეთში. აფსუათა მხრიდან წინააღმდეგობის გაზრდას და სამისიონერო საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობას უკავშირდება ანტონ დადიანის მიერ 1835 წლის ივლისში ეგზარქოსის წინაშე სახელგანთქმული ბიჭვინთის ტაძრის აღდგენისა და იქ მღვდლის დანიშვნის წინადადების დაყენება. ეგზარქოსმა აღნიშნული წინადადების შესახებ აცნობა მთავარმართველს. ამ უკანასკნელის პასუხი უარყოფითი იყო. ვინაიდან ტაძრის ტერიტორიაზე განლაგებულია სამხედრო ნაწილი თავისი ყაზარმებითა და იარაღის საწყობებით, — წერდა იგი, — „Пицунда не может быть передана в ведение архимандрита Антония... В прочем храм сей содержится в возможной приличной чистоте и опрятности и хотя служения литургии в нем быть не может, но при посещении гарнизона священником для духовных треб и повременам в большие праздники, в оном бывает приличные службы, как то обедница, за утрения и вечерня“. ტაძართან ახლოს მდგარ ხეზე ეკიდა ზარი, რომლის ჩამოსხმის თარიღზე მიუთითებდა ლათინური წარწერა: MCCCC XXVIII (1429).⁵⁵ მას იყენებდნენ არა დანიშნულებისამებრ, არამედ ჭარისკაცთა შესაკრებად.

ტაძრის აღდგენასთან დაკავშირებული მიმოწერა თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მათ შორის XIX ს. 30-ნ წლებში. ბიჭვინთის განახლების იდეას მხარს უჭერდნენ იმ-

პერატორები ალექსანდრე I და ნიკოლოზ I. საწინააღმდეგო მოსახრება აღმოაჩნდა საქართველოს მთავარმართებულს 1837-1842 წლებში გენერალ ე.ა. გოლოვინს, რამაც გავლენა იქონია ნიკოლოზ პირველის პოზიციებზე და ტაძრის აღდგენის დაწყება შეაფერხა. 1838 წლის 17 ნოემბერს ე.ა. გოლოვინმა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ნ.ა. პროტასოვს (1836-1855 წწ.) შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „В дополнение моего отношения к в(ашему) с(иятельству)ву от 30 апреля №291, имею честь уведомить, что в бытность мою, минувшим летом в Абхазии, я лично осматривал находящийся в Пицунде храм, на возобновление и снабжение коего иконостасом и церковной утварью последовало в 1832 году Высочайшее повеление”. ე. გოლოვინი აგრძელებდა, რომ ეს დიდი და უძველესი ტაძარი მართლაც იპყრობდა ყურადღებას და ამ მხარის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა, მაგრამ სერიოზული დაზიანების გამო მის აღსადგენად საჭირო იყო ძალზე მნიშვნელოვანი სახსრები. გარდა ამისა, ე. გოლოვინის მტკიცებით, ბიჭვინთის აღდგენის განსაკუთრებული აუცილებლობა არც არსებობდა, ვინაიდან „в окрестности онаго почти нет никакого поселения, и Абхазцы, кроме весьма малого числа, суть магометане, обращение коих в христианскую веру может продлиться еще на долгое время, так как находящийся для сего в Абхазии архимандрит Антонии не имеет большого успеха: следственно еслибы и возобновлен был помянутый храм, то посещать оный будут разве одни только в малом числе солдаты расположенных в Пицунде войск”. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ე. გოლოვინი აყენებდა წინადადებას „оставить Пицундский храм, как великолепный памятник прошедших веков в настоящем виде”. ობერ-პროკურორმა ნ. პროტასოვმა 1838 წლის 28 დეკემბერს ე. გოლოვინს წერილობით აცნობა, რომ მან იმპერატორს მოახსენა „о личном осмотре вашем находящегося в Пицунде древняго христианского храма, и о сделанном на счет онаго пред-

положения: Государю Императору благоугодно было собственноручно на докладе моем резолюциею Высочайше повелеть: "Повременить предназначаемым возобновлением того храма".⁵⁶ ასე უშედეგოდ დასრულდა XIX ს. 30-ნ წლებში ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის მცდელობა.

ქართველ მისიონერებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა. აფხაზეთის მოსახლეობაში „ღვთის სიტყვის ქადაგებისა და წარმართთა და მაჰმადიანთა დიდი რაოდენობით მართლმადიდებელ ქრისტიანობაზე მოქცევისათვის“ 1837 წლის მაისში იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ბრძანებით არქიმანდრიტი ანტონი დაჯილდოვდა წმ. ანას II ხარისხის ორდენითა და შესაბამისი სიგელით, იღუმენი დავით ახვლედიანი — ოქროს ჯვრით, დეკანოზი სიმონ ჟორდანიანი — ხავერდის იისფერი კამილაკით.⁵⁷

აფხაზეთი სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში

ბარონ როზენის მთავარმართებლობის ბოლო წლებში (მიხეილ შერვაშიძის აფხაზეთიდან გაძევების საკითხს აყენებდა), განსაკუთრებით

კი მისი მონაცვლევების — ე.ა. გოლოვინისა და ა.ი. ნეიდგარდტის (1842-1844 წწ.) მმართველობის პერიოდში აფხაზეთის მოქცევის საკითხისადმი მიდგომა რამდენადმე შეიცვალა (თავისი გავლენა უექველად იქონია ლევან V დადიანის ზემოთგანხილულმა წერილმა) და ეს მხოლოდ ბიჭვინთის ტაძრის აღდგენაზე უარის თქმაში არ გამოიხატებოდა. რუსულმა ხელისუფლებამ მართლმადიდებლობის მეშვეობით აფხაზეთში იმპერიის პოზიციების განმტკიცების ილუზიას სამხედრო ძალის გამოყენებით მოქმედება არჩია; მით უმეტეს, გენერალი ე. გოლოვინი აფხაზეთა მონათვლას შორეული მომავლის საქმედ მიიჩნევდა. მთავარმართებელი შავი ზღვის სანაპირო ხაზის (სამხედრო სიმაგრეებისა და საგუშაგოების სისტემის) ხელახალი მოწყობით იყო დაკავებული. იგი შეიქმნა 1837-1839 წწ. მთიელთა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისა და შავი ზღვის სანაპიროებიდან მათი განდევნის მიზნით. სანაპირო ხაზის ხელახალი მოწყობის გოლოვინისეული გეგმა განიხილა ნიკოლოზ პირველმა

და, როგორც სამხედრო მინისტრი ა.ი. ჩერნიშოვი 1839 წ. 5 აპრილს წერდა, „Повелеть соизволил“ ამ ხაზის უფროს გენერალ ნ. რაევსკის დაემორჩილოს „все укрепления на восточном берегу Черного моря от устья Кубани до Мингрелии, а так же Абхазию и Цебельду, с войсками там расположенными“. სანაპირო ხაზი ორ განყოფილებად დაიყო. მეორე განყოფილება აფხაზეთის ტერიტორიას მოიცავდა. იმპერატორის განკარგულებით, მეორე განყოფილების უფროსს შეუთავსდა „власть командующего войсками в Абхазии, с сохранением прежних отношений к владельцу сего края и к Цебельде.“⁵⁸ 1840 წელს შავი ზღვის სანაპირო ხაზის ახალი რეორგანიზაცია განხორციელდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე გამაგრებულმა პუნქტებმა გაგრაში, ბიჰვინთაში, ბომბორაში, წებელდაში (მრამბაში), აგრეთვე სოხუმის ციხემ და საგუშაგოებმა დრანდაში, კვიტოულში, სამურზაყანოს სოფ. ილორში შეადგინეს სანაპირო ხაზის მესამე განყოფილება. მის უფროსებს აფხაზეთზე პოლიტიკური ზედამხედველობა ევალებოდათ, საჭიროების შემთხვევაში კი იარაღის გამოყენების უფლებაც ჰქონდათ.⁵⁹

1840 წელს საქართველოს რუსული ხელისუფლება ამბოხებული წებელდის დამორჩილებით იყო დაკავებული, რომელიც 1841 წ. იანვარში დაღის აფხაზეთი მოსახლეობის ამოყლევით დასრულდა; წებელდის წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ექსპედიციის მონაწილეობდნენ აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის რაზმი (მთავარმა 2280 კაცი შეკრება), ე.წ. მილიცია იმერეთიდან და სამეგრელოდან. წებელდელი მარშანიები შემდგომ წლებშიც აგრძელებდნენ ბრძოლას.

1841 წელს მიხეილ შერვაშიძის აქტიური მონაწილეობით მოეწყო ლაშქრობა უბიხების წინააღმდეგ.⁶⁰

რუსეთმა ისარგებლა სამურზაყანოსთან დაკავშირებით აფხაზეთ-სამეგრელოს შორის არსებული დაპირისპირებით და 1840 წელს სადავო ტერიტორიაზე რუსული მმართველობა დამყარდა — შეიქმნასაბოქაულო ცენტრით ოქუშში. სამეგრელოს დაუბრუნდა სოფლები კოკი (ბორბალო) და ფახულანი. სამურზაყანოს

დანარჩენი ტერიტორიის ჩამორთმევისათვის რუსეთმა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს (1840-1953 წწ) კომპენსაციის სახით 25 ათასი ვერცხლის მანეთი გადაუხადა; ყოველივე ამან მიხეილ შერვაშიძის უკმაყოფილება გამოიწვია. იმ დროისათვის (1840 წელს) სამურზაყანოში 10 ეკლსია ფუნქციონირებდა.⁶¹

რუსეთი სამხედრო ძალის გამოყენებით თანდათანობით აძლიერებდა თავის პოზიციას აფხაზეთში. საკუთარი მოსახლეობისა (წებელდღეობის) და სხვა მთიელების წინააღმდეგ რუსეთის ომში მონაწილეობით პოზიციები მიხეილ შერვაშიძემაც განიმტკიცა. ასეთ პირობებში ქართველ ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობა აფხაზეთში ზოგიერთებისათვის მიუღებელი ხდებოდა. განხორციელებული სამხედრო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესაბამისად, კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბის უფროსი გენერალი ე.კოცებუ საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილ წერილში (1840 წ. 10 მარტი) „ნახევრად ველურ მთიელთა შორის“ — აფხაზებში ქრისტიანობის გასავრცელებლად აუცილებლად მიიჩნევდა სამთავროში რუსის სასულიერო პირების დანიშვნას და შავი ზღვის სანაპირო ხაზის სამხედრო ნაწილთან არსებულ საეკლესიო განყოფილებისადმი აფხაზეთის ეკლესიის დაქვემდებარებას. იგივე აზრი გაიმეორა ე.კოცებუმ ეგზარქოსისადმი 1840 წლის 20 მარტს გაგზავნილ მიმართვაში. თავის წინადადებას გენერალი მეგრელებსა და აფხაზებს შორის არსებული „სიძულვილით“ ასაბუთებდა და დასძინდა, რომ ანტონ დადიანი აფხაზეთში სამეგრელოს მთავრის მოთხოვნით დაინიშნა (ჩვენ ვნახეთ, რომ იგი მიხეილ შერვაშიძის მოთხოვნითა და რუს ხელისუფალთა გადაწყვეტილებით დაინიშნა), რათა მისი გავლენა იქ გაძლიერებულიყო. ე.კოცებუს წინადადებებს მხარი დაუჭირა მთავარმართებელმა ე.გოლოვინმა საქართველოს ეგზარქოსისადმი 1840 წლის 10 აგვისტოს მიმართვაში. შექმნილ სიტუაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიხეილ შერვაშიძის პოზიციას ენიჭებოდა. მან კი განაცხადა: „მე მსურს ჩემს სამფლობელოში ანტონის წასვლის შემდეგ მის ადგილზე იყოს იღუმენი თეოფანე, რომელიც ანტონთან ერთად კარგად იცნობს აფხაზებს და თავისი კეთილგანწყობილებითა და გონიერი მიდგო-

მით დაიშასაზურა მათი პატივისცემა... მე მსურს, რომ ჩემი სამფლობელოს ეკლესია უშუალოდ დაექვემდებაროს სამეგრელოს ეპისკოპოს ანტონს".⁶² განცხადება 1842 წელს გაკეთდა. ეს იყო აფხაზეთის მთავრის მამული შვილური პოზიცია, რა მოტივებითაც — პოლიტიკური (რუსეთისაგან მეტი თავისუფლების შენარჩუნება და ა.შ.) თუ პირადი (ანტონ დადიანთან ნათესაური ურთიერთობა) — არ უნდა ყოფილიყო იგი განპირობებული. ამავე დროს, თავისი გადაწყვეტილებით, მიხეილ შერვაშიძემ დაათვალიერა სამეგრელოდან მოვლინებულ და ანტონ დადიანის ხელმძღვანელობით მოღვაწე მართლმადიდებელ მისიონერთა მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომა აფხაზეთში.

1842 წლის აპრილში გარდაიცვალა სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი კუხალაშვილი. უწმინდესი სინოდის 1842 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გამონთავისუფლებული ტახტი ცაგერის მონასტრის არქიმანდრიტმა და აფხაზეთში მართლმადიდებლური მისიის ხელმძღვანელმა ანტონ დადიანმა დაიკავა (1842-1852 წწ.). მისი კურთხევა შედგა სიონის საკათედრო ტაძარში 1843 წლის 14 თებერვალს.⁶³ აფხაზეთის ეკლესია, რუს ხელისუფალთა ნების წინააღმდეგ, მიხეილ შერვაშიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სამეგრელოს ეპარქიას და მის თავკაცს — ანტონ დადიანს დაექვემდებარა. გავრცელებული მოსაზრება, თითქოს აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ საკუთრივ აფხაზეთის ეკლესია ჭყონდიდის ეპარქიას დაექვემდებარა, დაზურსტებას მოითხოვს. აფხაზეთში (სამურზაყანოს გარეშე) XVII ს. ბოლოდან XIX საუკუნის 20-ნ წლებამდე მართლმადიდებლური ეკლესია არ არსებობდა. შესაბამისად, იგი ვერავის ვერ დაექვემდებარებოდა. ცაგერის არქიმანდრიტის ხელმძღვანელობით აფხაზეთში მართლმადიდებლური მისიის გაგზავნა, სულაც არ ნიშნავდა აფხაზეთის ეკლესიის ცაგერისადმი დაქვემდებარებას. ანტონ დადიანისათვის, როგორც ზემოთ ვნახეთ (საქართველოს მთავარმართებლის გ. როზენის წერილი ეგზარქოსისადმი აფხაზეთში ანტონ დადიანის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით), აფხაზეთის ეკლესიის მართვის ფუნქციები არ მიუნიჭებიან. ისიც უნდა გავითვალისწინოთ,

რომ ცაგერის ეპარქია 1823 წლიდან სამეგრელოს (ჭყონდიდის) ეპარქიის შემადგენლობაში შემოვიდა. XIX ს. 30-ნ წლებში, როცა ქართველი მისიონერების ძალისხმევით ნაწილობრივ აღსდგა XVII ს. ბოლოს განადგურებული აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოს) ეკლესია, იგი მაშინათვე — 1842 წელს, ფორმალურად კი გაცილებით ადრე (20-ან-30-ან წლებში) ჭყონდიდის ეპარქიას დაექვემდებარა; სამურზაყანოს ეკლესია (ბეღია, ილორი) კი სამეგრელოსაგან არასოდეს გამოყოფილა და ცაიშის საეპისკოპოსოს დაექვემდებარებოდა.

სამისიონერო მოღვაწეობა აფხაზეთში გაგრძელდა. ამჯერად მას მიხეილ შერვაშიძის ხელდასხმული თეოფანე გაბუნია წარმართავდა. საერთო ხელმძღვანელობას კვლავ ანტონ დადიანი ანხორციელებდა, რომელიც სამეგრელოსა და აფხაზეთის ეპისკოპოსად იწოდებოდა. არქივებში დაცული სიების თანახმად, 1843 წელს ქართველ მისიონერებს აფხაზეთში 149 ადამიანი მოუწიათლავთ, 1844 წელს — 350 კაცამდე.⁶⁴

1845 წლის შემოდგომაზე ეპისკოპოსმა ანტონ დადიანმა აფხაზეთ-სამურზაყანოში იმოგზაურა. იმავე წლის 25 სექტემბერს, იგი ეგზარქოს ისიდორეს (1844-1859 წწ) მოახსენებდა, რომ „მე განზრახულ ვარ წავიდე აფხაზეთს სამფლობელოსში აფხაზეთის მთავრისასა, განსახილველად იქაურთა ეკლესიებთა და სამღვდლო საეკლესიო მსახურთა და მსურს რათმცა მოსვლითა ჩემითა და მღვდელმთავრულითა სამსახურითა ჩემითა ურწმუნოთა ხალხთა შორის აღმოვაჩინო მოქცევისადმი მათისა ჩუენს სარწმუნოებაზედ წარმატებით; რასაც მაქვს პატივი უმორჩილესად მოხსენებად თქვენთვის (ყოვლად) უსამღვდლოესობისადმი არაკეთილ ინებებთა უმოწყალესო მწყემსმთავარო! პრაღონის დანიშვნის ხაზინიდგან ჩემის მუნ მგზავრობისთვის, უყოყმც ესევეთარი დადებულ იყოს. — ერთად ამასთანვე მომცემთა თქვენსა მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობავე ნებასა, რათამცა ვაკურთხო ჩემს იქ მყოფობაშიდ ჩემის შეგონებით იმა აფხაზეთსაში აღშენებულნი პრიხოდისა და სასახლის ეკლესიები, რომელნიცა როგორც მესმის უკუე აღშენებულ არიანო და დამზადებულ საკურთხად.

თქვენს მაღალ ყდ უსამღვდელოესობისა უმოწყალებისა მწყემსმთავრისა უმორჩილესი მოსამსახურე ეპისკოპოსი მენდრელიისა და აფხაზეთისა ანტონი“.⁶⁵

სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ქართულად დაწერილ ანტონ დადიანის მიმართვებსა და წერილებს ეგზარქოსებისათვის გასაცნობად რუსულ ენაზე თარგმნიდნენ. ზოგ შემთხვევაში თარგმანი მიზანმიმართულად მახინჯდებოდა. ასე მაგალითად, მოტანილი მიმართვის ის ადგილი, სადაც ანტონი ლაპარაკობს, რომ სურს ჩავიდეს აფხაზეთში „ურწმუნოთა ხალხთა“ მოსაქცევად, თარგმნილია: „желаю... обратить некоторых тамошних диких народов“.⁶⁶ როგორც ცნობილია, რუსები აფხაზებს მხოლოდ ველურებად მოიხსენიებდნენ, ამიტომ ეგზარქოსის ხელქვეითებმა ქართული ტექსტი მღვდელმთავრისათვის უფრო „გასაგები“ და მისაღები ფორმით თარგმნეს.

ანტონ დადიანმა ეგზარქოსისაგან თანხმობა მიიღო, აფხაზეთს გაემგზავრა და, როგორც ჩანს, მთელი რეგიონი მოიარა. 1845 წლის 5 დეკემბერს იგი ეგზარქოსს ატყობინებდა, რომ „ახლად აღშენებულნი აფხაზეთსა შინა სამრევლო და სასახლის ეკლესიები ვაკურთხე“. ეპისკოპოსი გამოყოფდა ააცის (გუდაუთის მხარე) ეკლესიის მღვდლის ათანასე კკადუას, შუა წყაროს (ოჩამჩირის მხარე) — იოანე ხოშტარიას, გუდავის (სამურზაყანო) და მაზუხვის (გუდაუთის მხარე) — ნიკოლოზ მასხარაშვილის კარგ მუშაობას. ისინი თურმე მრევლში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, პირველი ორი ფლობდა აფხაზურ ენას; წარმართების მოქცევის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის ანტონ დადიანი სამივეს დაჯილდოვებას ითხოვდა.

აფხაზეთიდან მობრუნებული ეპისკოპოსი 1845 წლის 11 ნოემბერს, სამურზაყანოს ბლალოჩინ მიქაბერიძის თხოვნით, ოქუმში ჩავიდა, სადაც ორი ეკლესიის (ერთი-განახლებული და მეორე — სრულად ახალი) კურთხევა იყო დაგეგმილი. კურთხევა ვერ შედგა, რისი მიზეზიც ახალი ეკლესიისათვის მიწის არასწორად გამოყოფა გამხდარა. უკმაყოფილო ხალხის მოთხოვნით, ახალი ეკლესიის სხვაგან გადატანა და მხოლოდ ამის შემდეგ კურთხევა გადაწყდა.⁶⁷

1845 წლის ბოლოს ილუმენი თეოფანე გაბუნია აფხაზეთიდან წავიდა (1854 წელს მან ჰყონდიდელის ტახტი დაიკავა, შეცვალა რა სამეგრელოს ეპარქიის მმართველის თანამდებობაზე ზაქარია დგებუაძე), რისი მიზეზი, შესაძლოა იყო მიხეილ შერვაშიძესთან მისი დაპირისპირება. 1845 წლის 3 დეკემბერს ჯერ კიდევ აფხაზეთში მყოფი ილუმენი თეოფანე ეგზარქოსს აცნობებდა მიხეილ შერვაშიძის თვითნებობის შესახებ; იგი თავის თავზე ამბობს, წერდა თეოფანე, — „что он есть и владетель и экзарх... Он, князь Шервашидзе, всеми мерами старается не только не распространить христианство, но и совершенно уничтожить оное в своем владении, чем и угрожает священникам, а равно и меня не допускает к исполнению своих обязанностей, а потому и абхазцы, хотя и имеют желание принять христианство, не осмеливаются просвятиться св(ятым) крещением“.⁶⁸ ამ ინფორმაციის ერთმნიშვნელოვანი ახსნა შეუძლებელია. დანამდვილებით არ ვიცით, არის ეს სიმართლე (რაც, ჩვენი აზრით, ძალიან საეჭვოა, თუმცა რუსული ხელისუფლება მოგვიანებით იგივე ში ადანაშაულებდა აფხაზეთის მთავარს), თუ მიხეილ შერვაშიძის ფიცხი ხასიათის გამოვლინება, ან უმადურობა თეოფანე გაბუნიას მხრიდან.

ილუმენი თეოფანე აფხაზეთის მთავრის მოძღვარმა და მასთან დაახლოვებულმა პირმა — ილუმენმა გერმანე გოგოლაშვილმა შეცვალა. მოკლე ხანში — 1846 წლის პირველ ნახევარში — მას 1000 აფხაზი მოუნათლავს და მათთვის ეგზარქოსის მიერ გამოყოფილი 700 ვერცხლის მანეთი („ქრისტიანული მოწყალება“) დაურიგებია. მომდევნო წელს უწმინდესმა სინოდმა გერმანე გოგოლაშვილი აფხაზეთის არქიმანდრიტად დანიშნა და ამ წოდებაში იგი სამეგრელოს ეპისკოპოსმა ანტონ დადიანმა აკურთხა.⁶⁹

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდა კავკასიაში მეფისნაცვლის მ.ს. ვორონცოვის (1844-1854 წწ) მოქნილი და ლიბერალური პოლიტიკა. მეფისნაცვლის ინსტიტუტის შემოღება და რუსეთისადმი შედარებით ლოალურად განწყობილი ქართველების მიმართ რბილი პოლიტიკის გატარება ჩრდილოეთ კავკა-

სიაში შამილის მეთაურობით მიმდინარე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებს უკავშირდება. შამილი ცდილობდა მოძრაობის მთავარი იდეოლოგიის-მიურიდიზმის დროშის ქვეშ დაერაზმა მთელი ჩრდილოეთ კავკასი და შავ ზღვაზე გასასვლელი მოეპოვებინა. ამ მიზნით, მან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში თავისი ერთ-ერთი ნაიბი-მუჰამედ ემინი მიაგვლინა, რომლის ძალაუფლება ცნეს აბაძეებმა, ეგერუყეებმა, უბიხებმა, შაფსულებმა, ნათხვაჭებმა და აფსუათა მონათესავე სხვა ტომებმა. ემინი საკუთარი გავლენის, ანუ მიურიდიზმის გავრცელებას აფხაზეთშიც (აფსუებშიც) ცდილობდა.

ვითარებას კიდევ უფრო ძაბავდა XIX ს. 40-ნი წლების ბოლოსათვის ე.წ. აღმოსავლეთის საკითხის გამწვავება. ინგლისი ცდილობდა რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას, რუსების განდევნას ყირიმიდან და კავკასიიდან; იგეგმებოდა სამხრეთის მიმართულებით რუსეთის ექსპანსიის შემკავებელი დამოუკიდებელი ან თურქეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ჩერქეზეთის (ჩრდილოეთ კავკასიის) სახელმწიფოს შექმნა შამილის მეთაურობით, ხოლო საქართველოს-თურქეთისათვის გადაცემა.

ეს ყოველივე, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, განაპირობებდა რუსეთის პოლიტიკის ლიბერალიზაციას ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში და სერიოზულ ზრუნვას იმპერიისაქრისტიანობის გავრცელებისათვის აფხაზეთში, თანაც უპირატესად ქართველთა მეშვეობით.

XIX საუკუნის 40-50 წლების მიჯნაზე რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში ჩამოყალიბებულია მ.ს. ვორონცოვის, უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის ნ.ა. პროტასოვისა და შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსის მ. სერებრიაკოვის წერილებში, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებებში.

მ. ვორონცოვის 1846 წლის 14-18 ივნისის წერილიდან ნ.პროტასოვისადმი ვიგებთ, რომ იმავე წლის დასაწყისში იმპერატორს მიუღია გადაწყვეტილება აფხაზეთში სასულიერო მისიის დაფუძ-

ნების შესახებ; ამასთან დაკავშირებით, უწმინდეს სინოდს გაუცია დავალება მომავალი მისიისათვის საჭირო კადრების შერჩევის თაობაზე და მიუღია გადაწყვეტილება მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. მ. ვორონცოვი თავის წერილში დაწვრილებით მიმოიხილავდა ძირითად, საკვანძო პრობლემებს. მეფისნაცვალს მიაჩნდა, რომ წარმატების მთავარი წინაპირობა მისიის წევრების, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთების მიერ მაინც „ტუზებცების“ ენის ცოდნა იქნებოდა. მთლიანად რუსებისაგან შემდგარ მისიას, რომელიც არქიმანდრიტით, სამი მღვდელმონაზონით, ორი მთავარდიაკონით, ორი მედავითნეთი და ერთი თარჯიმანით დაკომპლექტდებოდა, მ. ვორონცოვის აზრით, დიდი დრო დასჭირდება აფხაზური ენის სრულყოფილად შესწავლისათვის; აფხაზეთის უცხო გარემოში მისიონერები უმძიმეს პირობებში აღმოჩნდებოდნენ; ადგილობრივი სამღვდლოების მხარდაჭერის იმედი კი მისიას არ უნდა ჰქონდეს (ვინაიდან არც ერთი მათგანი ახალ მისიაში შეყვანილი არ იყო), — წერდა მ. ვორონცოვი. მეფისნაცვალს აუცილებლად მიიჩნევდა აფხაზეთის მთავარის სურვილის გათვალისწინებას და მისიის შემადგენლობაში მისი მოძღვარის — გერმანეს შეყვანას, რათა მოეპოვებინა როგორც ამ მხარის მმართველის, ისე ადგილობრივი სასულიერო პირის მფარველობა და მხარდაჭერა. მ. ვორონცოვი ურჩევდა ნ.პროტასოვს მისიაში ისეთი პირების დანიშვნას, რომლებიც ასაკიდან და განათლებიდან გამომდინარე, ადგილობრივენას შეისწავლიდნენ. „При этом, — აგრძელებდა მეფისნაცვალს, — мне казалось бы полезным в этом деле содействии Мингрельского епископа Антония, пользующегося большим уважением в этом крае, а потому и его можно бы пригласить содействовать в этом полезном деле“. მ. ვორონცოვი თვლიდა, რომ ადგილობრივი ენის არმცოდნე მისიის წევრებს რამდენიმე თარჯიმანი დასჭირდებოდათ.

წერილში წამოყენებულია ე.წ. ქრისტიანული მოწყალების გაცემის (სინამდვილეში მოსახლეობის მოქრთამვის) შეწყვეტის წინადადება, ვინაიდან მოსახლეობის ნაწილი, მისი ხასიათიდან და

მიღრეკილებებიდან გამომდინარე, ფულის მიღების შემდეგ უარყოფდა ქრისტიანობას და ხელმეორედ მოდიოდა, როგორც ახალი პროზელიტი. ეს ხდებოდა აფხაზეთში, წებელდასა და სვანეთში, — წერდა მ. ვორონცოვი. „Не будет ли гораздо полезнее и сообразнее с целью правительства, — აღნიშნავდა მეფის ნაცვალს, — учредить насчет этих сумм и даже, если нужно, с некоторым прибавлением оных, хотя на первый раз, одно духовное училище для образования детей абхазцев и других соседственных с ней племен. Это медленная но верная мера; она хотя не скоро, но принесет плоды, которых мы не можем теперь достигнуть пожертвовани-ем значительных сумм. Училище это должно находиться в месте пребывания архимандрита”

უწმინდესი სინოდის პროექტის შესაბამისად, აფხაზეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ერთდროულად შავიზღვისპირეთის სანაპირო ხაზის სამღვდლოების უფროსიც იქნებოდა (როგორც ეს 1840 წელს გენ. ე. კოცებუს სურდა) და უშუალოდ უწმინდეს სინოდს დაექვემდებარებოდა. მ. ვორონცოვი ამ გეგმის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა: „Утвердительно можно сказать, что последнее распоряжение не принесет пользы”, — წერდა იგი და დამაჯერებელი არგუმენტების მოშველიებით ნ.პროტასოვს ურჩევდა: “оставить миссию в некоторой зависимости от здешнего экзарха”.⁷⁰

1846 წლის 24 აგვისტოს ნ.პროტასოვი თავის საპასუხო წერილში მ. ვორონცოვს აცნობებდა, რომ უწმინდესმა სინოდმა მთლიანად გაიზიარა მისი მოსაზრებები აფხაზეთში სასულიერო მისიის დაფუძნებასთან დაკავშირებით და თავის პროექტში შემდეგი ცვლილებები შეიტანა:

„1) Пригласить Мингрельского епископа Антония к принятию участия в миссии с званием почетного члена оной, и обязать миссионеров обращаться к нему для испрошения наставлений, руководства и проч.

2) В состав миссии включить состоящего при владе-

теле Абхазии кн. Шервашидзе игумена Германа с оставлением его на настоящем месте жительства и с содержанием, назначенным старшему иеромонаху, т. е. 700 р (рублей) с (серебряных) жалованья и 3 пайки муки и крупы.

3) Поелику в состав миссии назначается архимандрит и три иеромонаха..., то, до окончательного изучения ими местного языка, назначить к ним, исключая игумена Германа, как знающего язык, по одному переводчику...

4) На начальника миссии не возлагать начальствования над духовенством по береговой Черноморской линии.

5) Подчинить миссию экзарху Грузии, поручив ему при том, по сношению с в(ашей) с(ветлостью), составить инструкцию для миссии и представить оную Св(ятейшему) Синоду, и

6) При начальнике миссии _ архимандрите и в месте его пребывания _ в Пицунде учредить училище для образования детей абхазцев и соседственных, племен, на счет той суммы, которая предназначалась для раздачи христианской милостыни".⁷¹

ამასთანავე, სინოდმა გადაწყვიტა აფხაზეთის სასულიერო მისიის დაფუძნება დროში დაამთხვიოს ბიჭვინთის ტაძრის აღდგენას, რასაც, მისი აზრით, ორი წელიწადი მაინც დასჭირდებოდა. ამასობაში კი უნდა დასრულებულიყო აფხაზეთში გასაგზავნი სასულიერო პირების შერჩევა, წინასწარ თბილისში მივლინება და იქმათი მომზადება (აფხაზური ენის შესწავლა და ა.შ.) სამისიონერო საქმიანობისათვის.

ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მ. ვორონცოვის მმართველობის დროს გახდა შესაძლებელი (შუამდგომლობა ამის შესახებ ა. ნეიდგარდტმაც წამოაყენა). მან ჯერ კიდევ 1836 წლის 16 ივნისს — ნოვოროსიისა და ბესარაბიის გუბერნატორობის (1823-1844 წწ) პერიოდში მოი-

ნახულა ბიჭვინთა და (მ. ვორონცოვი მაშინ მიხეილ შერვაშიძესაც ეწვია ლიხნის რეზიდენციაში, იყო სოხუმშიც) და მასთან ერთად მყოფ აკადემიკოს ნ. ჩერენცოვს დაავალა „снять фасад и внутренность храма, помещенные в изданиях гг. Фабра _ в Арриановском перипле, и Сафонова _ “Поездка к Восочным берегам Черного моря на корвете “Ифигения” в 1836 году”. მ. ვორონცოვის ამაღლაში მაშინ როგორღაც თავი მოიხვედრა ჩერქეზეთში ინგლისის რეზიდენტმა და ქურნალისტმა, კაპიტანმა ედმუნდ სპენსერმა. იგი აღწერს ბიჭვინთის საეკლესიო მდგომარეობას. მონასტრის ნანგრევები რუსებს სამაგრედ გადაეჭიათ, სადაც 400-500 ჯარისკაცი ცხოვრობდა. მისი განახლების შესახებ განკარგულება იმპერატორმა 1844 წელს გასცა. აღდგენითი სამუშაოების დასაწყებად შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროს ვიცე-ადმირალ მ. სერებრიაკოვს 12 2449 მანეთი და 10 კაპიკი გადაეცა. 1845 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა, „при ходатайстве Одесского Общества древностей (ამ საზოგადოებას მეფისნაცვალის ნოვოროსიაში გუბერნატორად ყოფნის პერიოდში კარგად იცნობდა — ჯ.გ.) на восстановление опустевшего и разграбленного Пицундского храма”, გამოყო საწყისი თანხა 35193 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით. ტაძრის აღდგენა ახალგაზრდა არქიტექტორის აკადემიკოს ნოროვის მიზეზით გაჭიანურდა. მან ჯერ კავკასიაში იმოგზაურა ბიჭვინთის თანამედროვე ტაძრების შესწავლის მიზნით; ბოლოს, ეს ქართული ტაძარი მან ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშად მიიჩნია და მოინდომა მისი იტალიური ეკლესიების სტილში აღდგენა. ამასობაში ყრიმის ომმაც მოუსწრო და აღდგენითი სამუშაოები დიდი ხნით გადაიდო.⁷²

აფხაზეთის ეპარქიის

დაფუძნება. ყირიმის ომი

მიუხედავად ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის გაჭიანურებისა, ქართველ მისიონერებს სამეგრელოდან ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ აქტიური საქმიანობა. 40-ნი წლების ბოლოს მომწიფდა აფხაზეთის ცალკე ეპარქიის შექმნის საკითხი. შესაბამისი წინადადებით საქარ-

თველოს ეგზარქოსს 1849 წელს მიხეილ შერვაშიძემ მიმართა. მთავარი სპეციალურად თბილისში ჩავიდა და აღნიშნულ საკითხზე ეგზარქოსს შეუთანხმდა. იმავე წელს აფხაზეთის ეპარქიის გახსნის თაობაზე შუამდგომლობა მ. ვორონცოვმა იმპერატორს წარუდგინა. 1851 წლის 10 თებერვალს რუსეთის სამხედრო მინისტრმა ა.ი. ჩერნიშოვმა მეფისნაცვალს აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის შექმნისა და სასულიერო მისიის დაფუძნების შესახებ წარმოდგენილი წინადადების იმპერატორის მიერ მოწონების შესახებ აცნობა. თავის მხრივ, მ. ვორონცოვმა 1851 წლის 26 მარტს ვრცელი წერილმა გაუგზავნა ა.ი. ჩერნიშოვს. მეფისნაცვალმა ამ წერილში, იმპერიის უსაზღვრო ერთგულებასთან ერთად, თავისი ლიბერალიზმი, დიპლომატიური ნიჭი, კავკასიის პრობლემების ღრმა ცოდნა, პრინციპულობა, გამბედაობა, პირდაპირობა, ქართველი და აფხაზი ხალხებისადმი პატივისცემა ჩააქსოვა. მ. ვორონცოვი ცალცალკე მიმოიხილავდა სასულიერო მისიის დაფუძნებისა და საეპისკოპოსო კათედრის გახსნასთან დაკავშირებულ საკითხებს.

რაც შეეხება სასულიერო მისიის მომავალ მოღვაწეობას აფხაზეთში. მეფისნაცვალმა თვლიდა, რომ ამ საქმეში დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. მისი აზრით, აფხაზეთში, რომლის მოსახლეობა მხოლოდ ფორმალურად იყო ქრისტიანული (წებელდაში კი „христианство почти ничтожное“), ყველა წინაპირობა არსებობდა მართლმადიდებლობის გავრცელებისათვის, „потому что управляющая там лица, не говоря уже о владетеле Абхазии, и лучшие жители все к тому склонны; но я не могу не согласиться с преосвященным экзархом (იგულისხმება ეგზარქოსი ისიდორე — ჯ.გ.) и даже, может быть, более еще его уверен, что миссионеры должны быть предпочтительно туземцы... Невозможно быть теплее в православной вере, как вообще грузины и имеретинцы, а из других племен те, которые воспитаны в Тифлисе. Для сообщения же с жителями, для разговоров и для увещания их, туземцы несравненно более склонны и будут всегда полезнее, нежели русские... Им будет гораздо труднее не-

жели грузину или имеретину, познакомиться довольно с другими наречиями, ни в чем между собой не схожими, как мингрельским, абхазским и сванетским... К этому нельзя не прибавить, что кроме знания языков есть и другие условия, которые несомненно скорее найдутся у туземцев, нежели у русских. По увещанию полудиких жителей этих стран, для пребывания между ними, для получения их доверия и на них влияния миссионеры из туземцев будут иметь ту великую выгоду, что родились, и с детства воспитаны за Кавказом, привыкли к жизни, к обычаям, пище и климату. Все это для русского чуждо, и в нем жители увидят чужого, тогда как в грузине или имеретине они узнают от части своего. Сих последних не удивит и не остановит то, что русскому покажется странным и послужит препоною”.

აფხაზეთის ცალკე ეპარქიის გახსნასთან დაკავშირებით, მ. ვორონცოვი იმოწმებდა ეგ ზარქოს ისიდორეს და ხაზგასმით აღნიშნავდა ამ საკითხში მიხეილ შერვაშიძის დამსახურებას. მიუხედავად იმისა, — წერდა მეფისნაცვალი, რომ მიხეილი ახალგაზრდობაში მაკმადიანი იყო, „უსერდნო действует в пользу христианской веры в своем владении и весьма справедливо представляет, что христианство не может не получить огромная выгоды от учреждения кафедры и прибавления важности и власти духовенству как в Абхазии, так и в соседственных провинциях”. ამავ დროს, — აღნიშნავდა მ. ვორონცოვი, — მ. შერვაშიძეს იმედი აქვს, რომ აფხაზეთის პირველი მღვდელმთავარი (ეპისკოპოსი) ახლანდელი მისი მოძღვარი გერმანე (გოგელაშვილი) იქნება. მართალია, ის მთავრის გავლენის ქვეშაა, მაგრამ ეს გავლენა ქრისტიანობის სასარგებლოდ იმუშაებს, — წერდა მეფისნაცვალი. მას მიაჩნდა, რომ აფხაზეთში, „где многие жители мухаммедане и где сам владетель, воспитанный в Черкесских горах был в юности мухаммеданином и где власть владетеля, как почти везде в здешнем

крае, в иных отношениях сильна, а вдругих-почти ничтожна, — я не могу не быть уверенным, что для достижения желаемой нами цели необходимы, чтобы это влияние, эта сила, эта власть გამოყენებული იქნება “в пользу христианства, для распространения онаго в крае, находящемся... под начальством владетеля Абхазии”. ჩვენთვის აუცილებელი მხარდაჭერა, — აგრძელებდა მ. ვორონცოვი, — მთავრის მხრიდან არ იქნება, თუ ეპისკოპოსად არ დაინიშნება ის, ვისაც მიხეილ შერვაშიძე ელოდება. მეფისნაცვალმა კატეგორიულად აყენებდა საკითხს: „Я должен откровенно сказать и, вместе с экзархом, мы оба в этом уверены, что если не благоугодно будет Е(го) Императорскому) В(еличеству) назначить архиереем в Абхазии духовника владетеля, архимандрита Германа, то гораздо лучше уже не назначать никого и оставить дело об учреждении кафедры в Абхазии на неопределенное время”. აფხაზეთის კათედრის გახსნის გადაღება კი, როგორც მ. ვორონცოვი ფიქრობდა, ძალიან ცუდ ზემოქმედებას მოახდენდა „на великие успехи для нашей православной веры и для христианства вообще и для того полезного в политическом виде влияния, которое мы в этих диких горах и плоскостях всегда должны получать от распространения нашей веры и от убавления мухаммеданства и возможного возбуждения в оном против нас фанатизма”. მეფისნაცვალმა თავის წერილში უაღრესად დადებით დახასიათებას აძლევდა არქიმანდრიტ გერმანე გოგელაშვილს და თვლიდა, რომ ის იყო “благонамеренный и совершенно преданный как Российскому престолу, так и святой нашей вере”. მისი გავლენა მთავარზე და, პირიქით, მთავრის გავლენა თავის მოძღვარზე, მ. ვორონცოვის აზრით, იქნებოდა ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც იმოქმედებდა „совершенно в нашу пользу, для усиления христианской веры, между тем как оба сии влияния при назначении другого архиерея, в противность желания и надежд владетеля и его

духовника, не только будет для нашей цели потерены, но будут более или менее действовать против нас и против великого и священного предмета всего этого дела". დასასრულს, მ.ვორონცოვი სთხოვდა სამხედრო მინისტრს ყოველივე ამის იმპერატორისათვის მოხსენებას და იმედს გამოთქვამდა, რომ მონარქი დაინახავდა, „в этом вполне откровенное и, может быть, смелое, но совершенно истинное по совести изложение того, что мне кажется необходимо иметь в виду при решении обоих вопросов вашего ко мне обращения".⁷³ მ.ვორონცოვი იმდენ ყურადღებას უთმობდა მიხეილ შერვაშიძისა და გერმანე გოგელაშვილის ურთიერთგავლენის საკითხს, იმდენს საუბრობდა ამ გავლენის მნიშვნელობაზე, რომ სინოდში, როგორც ჩანს, ეს მომენტი ყველაზე მეტად არ მოსწონდათ; მათ, ალბათ, უფრო ანაფორაში გახვეული ჯაშუშის ჩასმა სურდათ აფხაზეთში, ვიდრე მისიონერისა. მ.ვორონცოვი კი მათ არწმუნებდა, რომ ეს უკუშედეგს გამოიღებდა.

მეფისნაცვალმა თავისი გაიტანა. 1851 წლის 30 აპრილს იმპერატორის განკარგულებით აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრა გაიხსნა. იმავე განკარგულებით დამტკიცდა შტატები: ერთი არქიმანდრიტი ან ილუმენი (ხელფასი 700 მან წელიწადში), სამი მღვდელმონაზონი (ხელფასი თითო 500 მანეთი), სამი დიაკონი (ხელფასი თითო 400 მანეთი) ორი მედავითნე (ხელფასი 250 მანეთი), ორი თარჯიმანი (ხელფასი 250 მანეთი). ეპისკოპოსს 1500 მანეთი ენიშნებოდა, მისიის შესანახად წელიწადში 4750 მანეთი გამოიყო. მისიონერებს დამატებითი ანაზღაურების გარეშე ვევალებოდათ მასწავლებელთა თანამდებობის დაკავება სასულიერო სკოლაში, რომელიც საეპისკოპოსო კათედრასთან უნდა გახსნილიყო.

1851 წლის 8 სექტემბერს თბილისში სიონის ტაძარში აფხაზეთის პირველი ეპისკოპოსის გერმანე გოგელაშვილის (1851-1857 წწ) კურთხევა შედგა.⁷⁴ მ.ვორონცოვი იმპერატორისადმი წარდგენილ 1849-1851 წლების ანგარიშში აფხაზეთის საეპისკოპოსოს გახსნისა და სასულიერო მისიის დაფუძნებების მნიშვნელობის შესახებ წერდა: „Удостоившееся в настоящем году Высочайшего

В(ашего) И(мператорского) В(еличества) одобрения предложение об учреждении в Абхазии архиерейской кафедры и духовной миссии, приготовляя для последней цели воспитанников, которые, изучив языки: грузинский и татарский при испытанных дарованиях и нравственных качествах, изъявят готовность с полным самоотвержением посвятить себя трудам миссионерского служения в Абхазии, _ будет иметь самые благодетельные последствия в видах распространения христианства и утверждения оно на прочных, незыблемых началах".⁷⁵

აფხაზეთის პირველი ეპისკოპოსის მოღვაწეობა იმ ურთულეს პერიოდს დაემთხვა, როცა აფსუური მუსულმანური მოსახლეობის ყურადღება მიუჩრიდიზმის დროშის ქვეშ მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიელი თანამოძმეებისაკენ იყო მიპყრობილი; აჯანყებულ მთიელებს რუსეთი სასტიკად უსწორდებოდა. 1851 წლის მაისში მუჰამედ ემინმა მდინარე ურუპზე სასტიკი მარცხი განიცადა. შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსმა ვიცე-ადმირალმა მ. სერებრიაკოვმა მდ. ბელაიასა და ფშიფს შორის მობინადრე ჩერჩენეები დაიმორჩილა, ხოლო 1852 წელს შავსულებისა და ნათხვაჯების 44 აული გაანადგურა. 1852 წელსვე მუჰამედ ემინი გაგრის ვიწრობების გავლით აფხაზეთში შექრას შეეცადა. (ამ საფრთხის შესახებ მ. შერვაშიძე ჯერ კიდევ 1851 წლის მარტში აცნობებდა მ. ვორონცოვს), მაგრამ რუსებმა მდინარე მძიმთასთან შეაჩერეს და უკუაგდეს.⁷⁶

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული მიუჩრიდიზმი განსაკუთრებით უბიხების ძალისხმევით ფეხს იკიდებდა ჩიქეთში, ხოლო იქიდან აფხაზეთშიც შემოდიოდა. აფხაზებზე ზემოქმედებას უბიხების მეთაური, მუხამედ ემინის თანამებრძოლი ხაჯი ბერზეკ დაგომუკო ცდილობდა. იგი ჯერ კიდევ 1840 წელს შეეცადა აფხაზეთში შემოჭრას, მაგრამ უშედეგოდ. 1852 წელს უბიხების რაზმი კვლავ ცდილობდა აფხაზეთში შემოჭრას, მაგრამ ამჯერად იგი აფხაზურმა მილიციამ (კაც მარღანის მეთაურობით) მოიგერია. მიხეილ შერვაშიძე წინააღმდეგი იყო შამილის იდეების აფხაზეთში გავრცელებისა, მაგრამ მთელი რიგი გავლენიანი თავადები

ამბოხებულ მთიელებთან იყვნენ დაკავშირებული. პირველ რიგში, ეს ეხება წებელდელ მარშანიებს. ეს შოუ მარშანიამ კავშირი მუხამედ ემინთან დაამყარა, მონაწილეობდა მის მიერ ჩატარებულ ცალკეულ ბრძოლებში, შემდეგ კი — წებელდაში შემოიჭრა. აფხაზეთში ჩამოდიოდნენ სხვადასხვა შეიხები, ქადაგებდნენ შარიათის კანონებს, მოუწოდებდნენ რუსეთის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისაკენ. აფხაზურ ჰეროიკულ სიმღერებში, რომლის ძირითადი თემა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლაა, კარგად არის ცნობილი გაზავატი („კაზაუტი“).⁷⁷

1850 წელს შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსი ა.ი. ბუდბერგი წერდა, რომ მუხამედ ემინის წარმატებები „между джикетами принесли бы тот большой вред, что из зтого абхазского племени мюридизм легко мог бы постепенно распространиться во владении Абхазском, которого народонаселение наполовину состоит из мусульман“.⁷⁸

შექმნილ ვითარებაში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა რელიგიის მნიშვნელობა კავკასიაში, აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების აუცილებლობა, რათა რეგიონში მიურიდიზმის შემოღწევის საფრთხე თავიდან ყოფილიყო აცილებული. 1852 წლის 11 დეკემბერს ვიცე-ადმირალი მ.სერებრიაკოვი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში შამილის მიმდევრების წინააღმდეგ სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდა, თავის ანალიტიკური ხასიათის ბარათში ვრცლად მიმოიხილაედა სარწმუნოებრივ მდგომარეობას აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, მათ შორის აფხაზეთში, ხაზს უსვამდა ახლადგახსნილი ეპარქიის მნიშვნელობას, იძლეოდა გარკვეულ რეკომენდაციებს. ავტორი აფხაზეთს განანსხვავებდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისაგან პოლიტიკური წყობის მიხედვით; აღნიშნავდა, რომ ჩერქეზებს და უბიხებს დემოკრატიული წყობა აქვთ და მუსულმანები არიან, რაც ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს მიურიდიზმის გავრცელებისათვის; აფხაზეთში და მისგან დამოუკიდებელ წებელდაში, სამურზაყანოში, ფსხუში, ახჩიფსხუში, აიბგასა და ჭიჭეთში ასეთი ნიადაგი არ უნდა არსებუ-ლიყო, ვინაიდან ამ საზოგადოებებში, ავტორის აზრით, არისტოკ-

რატიული წყობა (ფართო უფლებებით აღჭურვილი თავადაზნაურობა, ამ უფლებების მემკვიდრეობით გადაცემა) არსებობდა. მსერებრიაკოვმა იცოდა, რომ აფხაზეთსა (მთავრის სამფლობელოში) და სამურზაყანოში, მოსახლეობის ნაწილი მართლმადიდებელი, ხოლო წებელდაში, ფსხუში, ახჩიფსხუში, აიბგასა და ჭიქეთში მთელი მოსახლეობა მუსულმანური აღმსარებლობისა იყო; აფხაზეთშიც მთავრის ოჯახის, დაბალი ფენებისა და არისტოკრატიული გვარების მცირე ნაწილის გარდა, — წერდა ვიცე-ადმირალი, — მუსულმანები ცხოვრობდნენ; გავლენიანი გვარებიდან დასახელებული იყვნენ ანჩაბაძეები და მარშანიები. ეს უკანასკნელები ფლობდნენ მუსულმანებით დასახლებულ წებელდას, ფსხუსა და ახჩიფსხუს. ავტორს დიდად არ მოსწონდა აფხაზეთში არსებული რელიგიური შემწყნარებლობა, როცა ქრისტიანები და მუსულმანები ერთმანეთზე თავისუფლად ქორწინდებოდნენ; კარგია, როცა ქრისტიანი შედის მუსულმანის ოჯახში და მასზე გავლენას ახდენს, მაგრამ ხშირი იყო უკუგავლენაც. მ. სერებრიაკოვი ამას ბოროტებას უწოდებდა და აცხადებდა: „Зло это следует истреблять с терпением и постепенно без всяких резких и насильственных мер... Зло это должно даже уничтожаться само собою, если вновь открытая епархия будет с успехом действовать в Абхазии. Необходимо только предохранить Абхазию от внесения в нее вредного учения мюридизма. Святая церковь должна предупредить действия фанатических последователей лжепророка, идущих к своей цели с лживыми обещаниями с силою и упорством... Необходимо не допустить Абхазию до того, чтобы она сделалась поприщем борьбы между христианством и мюридизмом, _ борьбы, которая при невежестве абхазцев может быть продолжительною и кровопролитною. Отсюда видна вся важность открытия Абхазской епархии, возобновления древнего Пицундского храма и учреждения при нем монастыря и духовной миссии на пределах последователей лжепророка. Каковой святой и ве-

ლიკიი პოდვიგ იჟიდაეტ ნოვუი ეპარხიუ”.

ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მ. სერებრიაკოვს მონათლული აფხაზების რწმენაში განმტკიცება მიაჩნდა. მისი აზრით, ისე არ უნდა ხდებოდეს, როცა ქრისტიანები და მუსულმანები ერთად აღნიშნავდნენ წარმართულ დღესასწაულებს; დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მთავრობის გადაწყვეტილებას სოხუმსა და ლიხნში სკოლების გახსნის შესახებ; განსაკუთრებულ იმედებს კი ახალ ეპარქიაზე ამყარებდა. „Открытие Абхазской епархии, _ წერდა იგი, — и возобновление Пицундского храма с монастырем, миссией и духовным училищем должно придать движение и развитие христианству”. ავტორს ეშინოდა მიურიდიზმის შემოქრისა აფხაზეთში, რომელიც ტერიტორიულად ახლოს იყო აბაქებთან და უბიხებთან. მართალია, მიურიდიზმი ჯერ არ იყო გავრცელებული მათთვის მონათესავე აფსუებში, მაგრამ ჭიჭებსა და ახჩიფსხუს უკვე ჰქონდათ შეხება „с этою сектою”. მ. სერებრიაკოვი იძლეოდა რეკომენდაციას „противопоставить демократическому направлению мюридизма ту охранительную политическую систему, которой следует христианство, но противопоставить сознательно, чтобы было ясно видно... различие в образе действия двух религии”. ამის გაკეთება კი კარგად მომზადებულ სასულიერო პირებს შეეძლოთ. მათ უნდა განემარტათ, პირველ რიგში, თავადაზნაურობისათვის, რომ მიურიდიზმი საფრთხეს უქმნიდა აფხაზეთში გაბატონებულ არისტოკრატიულ წეს-წყობილებას, ვინაიდან იგი “клонится к уничтожению наследственных властей и прав княжеских и дворянских фамилии к управлению всех сословий и к освобождению подвластных и рабов, что секта эта легко находит поборников в низшем сословии мусульманских племен и когда успеет приобрести достаточное число своих последователей, то высшие сословия не в состоянии уже бывают удержать мусульманскую веру в одном духовном ея значении и остановить революцию”. ეს საფრთხე აფხაზებს უნდა გაეცნობიერებინათ, თუმცა მათი „ვე-

ლურობის“ გამო ამის მიღწევა ძნელი იყო, მიაჩნდა მ. სერებრიაკოვს. მისი აზრით, ხსნა სიძნელეების გადალახვასა და ქრისტიანობის გავრცელებაშია. ვიცე-ადმირალი წერდა: „Если юридизм, не устрасая неудач и препятствия, с упорством стремится к своей цели, то может-ли остановиться пред затруднениями святая церковь, напутствуемая благословением свыше. В Абхазии может непосредственно действовать на жителей епархия и, по мере успехов, продолжать свои действия далее“.⁷⁹

მიუხრიდი ზმთან ბრძოლისა და აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების სერებრიაკოვისეული პროგრამა არსებითად კავკასიის დაპყრობის იმპერიული გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ ეს გეგმა აფერხებდა მართლმადიდებელ მისიონერთა საქმიანობას, ხელს უშლიდა ქრისტიანობის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებას, განსაკუთრებით 50-ნი წლების დასაწყისში, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა. იმ პერიოდში ქრისტიანობის წარმატებაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ აფხაზეთის ისტორიაში მაინც მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებიც ისევ და ისევ ქართველი მისიონერების სახელებთან არის დაკავშირებული. 1851 წელს დაბა ოქუმში სამურზაყანოსა და მთელი აფხაზეთის მასშტაბით პირველი სამრევლო სკოლა გაიხსნა. იგი ყოველთვის ითვლებოდა სანიმუშოდ, არსებობა არასოდეს შეუწყვეტია და დღესაც კი ფუნქციონირებს. სკოლის დაარსება ცნობილი სასულიერო მოღვაწის, იმ დროისათვის განათლებული, მაგრამ წინააღმდეგობრივი პიროვნების დავით მაჭავარიანის სახელს უკავშირდება. ის 1820 წელს დაიბადა, 1843წ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და იმავე წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1844 წელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად (და მასწავლებლადაც) დაინიშნა; 1850 წელს ჯერ დიაკონის, შემდეგ მღვდლის ხარისხში აკურთხეს; იმავე წელს ოქუმის ხარების ეკლესიის მღვდელი და სამურზაყანოს ბლალოჩინი გახდა. პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება დაეხმარა ოქუმის სკოლის

დაფუძნებაში. სასწავლებელს სასულიერო და საერო კადრები უნდა მოემზადებინა. თავიდან მან ფარდულში დაიწყო ფუნქციონირება; შესაფერისი შენობის ასაგებად მ. ვორონცოვმა 400 ვერცხლის მანეთი გამოყო. მანვე 1851 წელს ოქუმის ეკლესიის ახალი შენობის გეგმა დაამტკიცა.⁸⁰

1851 წლის ზაფხულში უწმინდესი სინოდის ბრძანებით აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ინიშნება მომავალში გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, ყაზანის სასულიერო აკადემიადამთავრებული, ღვთისმეტყველების კანდიდატი, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი ალექსანდრე ოქროპირიძე. მასვე მიენდო აფხაზეთის საეპისკოპოსოს მღვდელმსახურთა შორის მღვდელ-მონაზონობა. ილორის სასწავლებლის წარმატებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს ეგზარქოსმა ისიღორემ 1852 წლის 8 მაისს ალექსანდრე ე.წ. ნაბედრენიკით დააჯილდოვა; იმავე წლის 25 სექტემბრიდან ალექსანდრე ლიხნის ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია. აფხაზეთში სასწავლებლის გახსნას მთავრობა განახლებულ ბიჭვინთის ტაძართან (სადაც ეპისკოპოსის საჯღომიც იქნებოდა) გეგმავდა. ვინაიდან ტაძრის აღდგენა ჭიანურდებოდა, სასწავლებელი ლიხნში დააფუძნეს და წლიური დაფინანსება 1525 მანეთი დაუნიშნეს; ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამის მიხედვით, შემდეგ საგნებს ასწავლიდნენ: საღმრთო რჯული, რუსული ენა, ქართული ენა (ხუცური და მხედრული წერა), სუფთა წერა რუსულსა და ქართულ ენებში, არითმეტიკა, რუსული და ქართული ენების გრამატიკა, საეკლესიო გალობა, გეოგრაფია, პრაქტიკული ვარჯიში აფხაზურ ენაში. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ აფხაზური ენის სწავლება, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ალექსანდრესა და სამურზაყანოს ბლალოჩინის დ. მაჭავარიანის სახელზე 1853 წლის 4 მარტს თბილისიდან გამოგზავნილი წერილი. მასში ნათქვამია, რომ ეგზარქოსმა, მიიღო რა მხედველობაში აფხაზური დამწერლობის არარსებობა, სიტყვიერი მარაგის შედარებითი სიმცირე, შეარჩია რამდენიმე სიტყვა, „близких понятиям грубого

народа” და ითხოვა ყოველი ამ სიტყვის ქართულად თარგმნა, აგრეთვე ცხრილის (таблица) შედგენა, სადაც „против каждого слова написать абхазское слово русскими и грузинскими буквами”.⁸¹ სავარაუდოდ, ასეთი უნდა ყოფილიყო აფხაზური ენის პირველი „სახელმძღვანელო“.

1853 წლის 7 თებერვალს აფხაზეთის (ლიხნის) სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ გაღებულ შეწირულობებისათვის უწმინდესმა სინოდმა ალექსანდრე ოქროპირიძეს მადლობა გამოუცხადა.⁸²

XIX საუკუნის შუახანებისათვის აფხაზეთში გაწეული მისიონერული მუშაობის საერთო შედეგზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ აფხაზი ეთნოგრაფისა და სამხედრო ოფიცრის ს. ზვანბას (გმირულად დაიღუპა 1855წ. 25 ოქტომბერს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში სოფ. კოკთან) ნაშრომში გაკეთებული დასკვნის მიხედვით: „За исключением владетельного дома, коего члены исповедуют православную веру, весьма немногая часть народонаселения Абхазии считается христианами и очень ограниченное число жителей ее признают себя магометанами; остальные же все язычники”.⁸³ ყირიმის ომის წინაპერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, მით უფრო ომის წლებმა (1853-1856 წწ) საგრძნობლად შეაფერხეს აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელება. 1854 წლის გაზაფხულზე რუსეთი იძულებული გახდა საკუთარი ჯარის ნაწილები აფხაზეთიდან გამოეყვანა. იმავე წლის 19 მარტიდან 5 აპრილამდე ეს ოპერაცია ბრწყინვალედ განახორციელა მიხეილ შერვაშიძემ. ამის შემდეგ აფხაზეთის მთავარი ოჯახთან ერთად თითქმის ერთი წელიწადი სიმამრთან ცხოვრობდა სოფ. ქკადუაშში, აგრეთვე კურზუში. აფხაზეთის თურქულმა ოკუპაციამ მისიონერებიც აიძულა ეს ტერიტორია დაეტოვებინათ. ეპისკოპოსი გერმანე გოგელაშვილი დროებით ხონში გადავიდა. ალექსანდრე ოქროპირიძე 1854-1855 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია, იყო გაენათის მონასტრის წინამძღვარიც; 1854 წლის ბოლოს ეპისკოპოს გერმანესთან ერთად ცდილობდა ლიხნის სასულიერო სასწავლებლის ხონში (თავის

სახლში) გახსნას, მაგრამ მიხეილ შერვაშიძემ ჰკადუაშში მიიწვია. მთავარმა საკუთარი შვილი, 9 წლის გიორგი (1846-1918 წწ), რომელიც, ტრადიციისამებრ, კესარია დადიან — შერვაშიძესთან იზრდებოდა, გამოცდილ პედაგოგს, უაღრესად განათლებულ პიროვნებას — ალექსანდრე ოქროპირიძეს მიაბარა აღსაზრდელად. მალე მას აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის ილუმენობა ებოძა. ალექსანდრემ ჰკადუაშში გახსნა აფხაზეთის (ლიხნის) სასულიერო სასწავლებელი. საქართველოს ეგზარქოსი ისიდორე 1855წ. 30 ივლისს მეფისნაცვალ ნ.მურავიოვს (1854-1856 წწ) წერდა, რომ 1 ივლისს აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, ილუმენი ალექსანდრე „В донесении о состоянии училища очень хвалит обучающегося у него, вместе с 6-ю абхазскими детьми (სხვა მონაცემებით, ოთხი აფხაზი ბავშვი სწავლობდა — ჯ.გ.), сына владельца“.⁸⁴ 1855 წლის ოქტომბერში, როცა თურქებმა ომერ-ფაშას სარდლობით სამეგრელო დაიკავეს, მაშინვე დაიხურა ლიხნის სასულიერო სასწავლებელი.

1855 წლის მაისში სამეგრელოში უქმად მყოფი მიხეილ შერვაშიძე თურქების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში დაბრუნდა. აფხაზეთის მთავარმა თავისი ამ განზრახვის შესახებ ჯერ კიდევ 1854 წლის დეკემბერში აცნობა რუსულ ხელისუფლებას — მეფისნაცვალს, აგრეთვე სამხედრო მინისტრს ვ.დოლოგორუკოვს. ამ უკანასკნელისადმი 1854 წლის 11 დეკემბერს გაგზავნილ წერილში თბილისში მყოფი მ.შერვაშიძე მყარ რწმენას გამოთქვამდა, რომ „Всевищный не оставит наше правое дело, и войска его Императорского Величества одержат верх над союзными“.⁸⁵ სამეგრელოდან გამგზავრების წინ მიხეილმა ხონში მყოფ ეპისკოპოს გერმანეს წერილობით აცნობა, რომ „собирается, по обыкновению, на время нынешней охоты в Самурзакань“.⁸⁶ ერთი შეხედვით, მთავარი „ატყუებს“ ეპისკოპოსს. სინამდვილეში ეს ასე არ არის. მიხეილს არ შეეძლო წინასწარ საქმის კურსში არ ჩაეყენებინა აფხაზეთის მღვდელმთავარი, მაგრამ ამავე დროს უფროსილდება მისთვის ახლობელი ადამიანის, მოძღვრის სულიერ სიმშვიდეს და ეუბნება, რომ მიემგზავრება არა მტრის მიერ ოკუპირე-

ბულ ტერიტორიაზე (მოძღვარს შეეძლო დაეშალა სულიერი შვილისათვის საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება და აფხაზეთში გამგზავრება ან მასთან ერთად წასვლა მოეთხოვა, რაც მას თავად ჩააგდებდა საფრთხეში), არამედ უსაფრთხო სამურზაყანოში, თანაც სანადიროდ. მოძღვარმა და სულიერმა შვილმა ერთმანეთს კარგად გაუგეს. ეპისკოპოს გერმანეს, სხვებისაგან განსხვავებით (როგორც ქვემოთ დავინახავთ), „დონოსები“ არ დაუწერია რუს საერო და სასულიერო ხელისუფალთა სახელზე მიხეილის „საქციელის“ შესახებ, ვინაიდან იყო უსაზღვროდ ერთგული აფხაზეთის მთავრისა და სჯეროდა მისი (სწორედ ასეთი ურთიერთობის გამო რუსეთის ხელისუფლებას თავის დროზე არ უნდოდა მისი ეპისკოპოსად დანიშვნა).

როცა მიხეილ შერვაშიძე სამურზაყანოდან ოჩამჩირისაკენ ცხენით მიემართებოდა, ოქუმიის ეკლესიის მღვდელსა და მთელი საბოქაულოს ბლალოჩინ დ.მაჭავარიანს მან უბრძანა „не выносить из церкви никаких утварей и укрощений до его возвращения“.⁸⁷ ეს ფაქტიც გარკვეულწილად აფხაზეთში მიმავალი მიხეილის ნამდვილ მიზნებზე მიუთითებდა.

აფხაზეთის მთავრის შეხვედრები თურქეთის სარდლობის წარმომადგენლებთან, მათ შორის ომერ-თაშასთან, აგრეთვე რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მთიელების წინამძღოლებთან მიხეილის სავარაუდო ღალატის შესახებ ყველა დონეზე (იმპერატორის ჩათვლით) გაუთავებელი მიწერ-მოწერისა და შემოწმებების საბაბი გახდა. ყველა ეს მასალა, რომელთა შორის გვხვდება აფხაზეთის მთავრის მიერ ბრწყინვალე ქართულით დაწერილი ოფიციალური და პირადი (მეუღლესთან და ა.შ.) წერილები, თავმოყრილია შ.ჩხეტიას პუბლიკაციაში „აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856)“. მიუხედავად იმისა, რომ შერვაშიძემ აფხაზეთიდან არაერთი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მიაწოდა რუსულ სარდლობას, მას მაინც თავის მართლება უხდებოდა. ზოგიერთ წერილში სარწმუნოებრივი მომენტებიც არის წამოწეული. 1855 წლის 16 ივნისს ვ.ო. ბებუთოვისათვის (კორპუსის მეთაური, ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსი) ლიხნიდან გაგზავნილ წე-

რილში მიხეილი აღნიშნავდა, რომ იგი ამასწინათ ბზუფუს იმყოფებოდა, სადაც სოხუმისაკენ მიმავალი ჩერკეზებისა უბიხების ჯარს შეხვდა. მთავრის მეცადინეობით, მათ უარი თქვეს (სხვადასხვა მოგონილი საბაბით) რომში მონაწილეობაზე, რის შესახებაც თურქეთის სარდლობას მოახსენეს. „გაიკვირვა მუშირმან, — წერდა მიხეილი, — მათი ლაპარაკი და უთხრა, რომ აგრე უცებ რამ გამოგცვალათ, გაიურის (ქრისტიანის — ჯ.გ.) ფული თუ არ მიიღეთო, ან თუ გაიური არ ხართ, უნდა წამოხვიდეთო“.⁸⁸ მთიელები კი უკან გაბრუნდნენ.

1855 წლის 1 ოქტომბერს მიხეილ შერვაშიძე ლიხნიდან წერილს უგზავნის დ. ყოფიანს (რომელიც მთავრობის დავალებით მთავრის „საქმეს“ იძიებდა), სადაც უთითებდა: „კინაზს ვასილს (ბებუთოვს — ჯ.გ.) ორი ქალაღი მივსწერე, პასუხი არა მიმიღია. მაგრამ მუშავობა ჩემი არ დარჩენილა უსარგებლოდ, რომელსაც ქვეყანა ხედავს და სჩანს, რაც ეს ოთხი თვე მე ვისარგებლე: პირველი, ათას ხუთასი რეკურტი (რეკრუტი — ჯ.გ.) უნდა გამოეყვანათ აფხაზეთში და წებელს, რომელნიც იყო გამოყვანილი ასოცამდე; მეორე, ჩერკეზის ჯარი სოხუმიდან მე დავაბრუნე — უთანხმოება შემოუვიდათ მათ; ჩვენი მილიცია, რომელიც ბათუმსა და ქობულეთს იყო, დავაბრუნეთ. ჩერკეზის რეკურტი კი არა, მილიციაც ვერ იშოვეს. ამ დრომდის სამურზაყანოს აგრე დარჩენა ვის უნდა უმადლონ? მათი რეკურტები თათარში იქნებოდა. თუმც სხვა სარგებლობა ვერ ვქენი, ამდონი ქრისტიანი აფხაზი და სამურზაყანო გადარჩა გაუთათრებელი და რეკურტად თათარში წაუყვანელი“. ანალოგიური ინფორმაცია მიხეილმა 1855წ. დეკემბერში და 1856 წლის იანვარში ვ. ბებუთოვსაც მიაწოდა.⁸⁹

აფხაზეთის მთავრის პოზიციას მისი სიმამრი გიორგი დადიანიც იცავდა. 1855 წლის 10 ოქტომბერს იგი ვ. ბებუთოვს წერდა, რომ, მისი რწმენით, მიხეილი „ცდილობს ჩერკეზეთიდან და აფხაზეთიდან ვერ იშოვიან ქრისტეს მოლალატეთა მტერთა ვითარიმე შემწეობა“.⁹⁰

მიხეილ შერვაშიძის ქმედობების ირგვლივ გაჩაღებულ მიმოწერაში სამურზაყანოს ბლალოჩინი დ. მაჭავარიანიც ძალიან აქტიუ-

რად მონაწილეობდა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწერილებით გავეცნოთ მისი წერილების შინაარსს, ვინაიდან სრულ წარმოდგენას თავად დ.მაჭავარიანის პიროვნებაზეც გვიქმნიან. დაახლოებით 1855 წლის ზაფხულში ის ტოვებს სამურზაყანოს და თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით (მას შვიდი შვილი ჰყავდა) ქუთაისში გადადის; იქიდან ჩამოდიოდა სამეგრელოში — ზუგდიდსა და მარტვილში. მან მოკრძალებით უარი უთხრა ეგ ზარქოსს თავის მშობლიურ მხარეში — ქართლში გადასვლაზე, ვინაიდან არ ისურვა „жить на шет насостоятельного старика, отца моего“. იგი ომის დამთავრებამდე დარჩა ქუთაისში „с ожиданием... Архипастырского (ე.ი. ეგ ზარქოსის — ჯ.გ.) отеческого пособия“ დ.მაჭავარიანმა 1855 წლის 26 ივნისს პირველი წერილი გაუგზავნა საქართველოს ეგ ზარქოსს მიხეილ შერვაშიძის თურქეთის სარდლობასთან შეხვედრის შესახებ. „Владелец Абхазии князь Шервашидзе, — წერდა იგი, — в конце истекшего мая месяца отправляясь из Мингрелии в Абхазию, проехал через Самурзаканский округ, где я имел честь кланяться ему, и, наконец, готовясь ехать, приказал мне: “Батюшка, прощайте, я еду в Абхазию для усмирения волнуемого абхазского народа, если в том успею, а вы продолжайте свои примерные труды, за что начальство не оставит вас без особенного внимания”; потом сел на лошадь и оправался прямо в м. Очемчир.” აქედან მიხეილს, როგორც დ.მაჭავარიანი წერდა, თავისი წარმომადგენლები გენკაცია მარღანია და ბატალ-ბეი მარშანია გაუგზავნია სოხუმში, საიდანაც თურქეთის სარდალი გემით ოჩამჩირეში ჩამოსულა. მიხეილს მასთან პირისპირ ნახევარი საათი უსაუბრია, რომლის შინაარსი წერილის ავტორმა არ იცოდა; ყველა ლაპარაკობს მიხეილის თურქების მხარეზე გადასვლის შესახებ, აგრძელებდა დ.მაჭავარიანი, რასაც ძალზე უარყოფითი გავლენა მოუხდენია სამურზაყანოს მოსახლეობის განწყობაზეც. გავიგეო, — წერდა ბლალოჩინი, — თითქოს მიხეილმა ფიცი დასდო თურქეთის მთავრობის წინაშე და მას არა მხოლოდ სამურზაყანოს, მთელს ქუთაისის

გუბერნიას აღლევნო; ხალხი დარწმუნებულია, რომ მიხეილმა რუსეთს უღალატაო. უფრო მეტიც: „Абхазия и Самурзакань готовы изменить святой своей присяге, но я твердо надеюсь, что сила св. веры нашей, крепкая мышца победоносных русских и грома молниеносных орудий скоро уничтожат все ихние пагубные замыслы и в последствии заставят их раскаиваться. Все это, большей частью мной лично дознанное, представляю вашему высокопреосвященству в секрет, как сын отцу, и за последующим буду следить тайно и докладывать вашему высокопревосходительству подробно. Вашего высокопреосвященства, милостивейшего архипастыря и отца, всенижайший послушник и богомолец священник Оккумской церкви Давид Мачаварианни”.⁹¹ დ.მაჭავარიანის წერილში კორეები და ტყუილ-მართალი ერთმანეთშია აღრეული.

აღნიშნული წერილი ეგზარქოსმა ისილორემ თითქმის ერთი თვის შემდეგ — 29 ივლისს მიიღო და მეორე დღესვე მეფისნაცვალს გადაუგზავნა თავის ბარათთან ერთად, რომელშიც ვკითხულობთ: „Могу только засвидетельствовать, что Мачаварианов человек добросовестный и правительству душевно преданный, и надеюсь, что его имя останется безгласности, иначе ему придется бежать оттуда и заменить его будет трудно.

Поведение владетеля слишком загодично. Верно то, что он всегда считал Самурзакань своею и роптал на правительство за отнятые области. Присуждение деревни Коки на Ингуре Мингрельскому владетелю усилило его ропот и поссорило с Дадианом. Покойный Давид Дадиани сказывал мне, будто Шервашидзе и прежде приглашал его, вместе отложиться от России, но я мало верил безпристрастию отзыва по причине взаимной их ссоры”. ეგზარქოსი მაინც ეკვის თვალით უყურებდა დ.მაჭავარიანის ინფორმაციას, ამასთან იმ ფაქტსაც აღნიშნავდა, რომ ილუმე-

ნი ალექსანდრე ოქროპირიძე 1855 წლის 1 ივლისს წერილში აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის შესახებ არაფერს წერდამიხეილის „ღალატის“ თაობაზე, თუმცა, შესაძლოა, იმიტომ, „что это училище теперь находится в доме тестя Шервашидзе. Желал бы не верить, что умный человек может прийти до такой глупости. Но ум плохой руководитель, когда преобладают страсти“.⁹² რუსი ეგზარქოსი, ბუნებრივია, ვერ ითვალისწინებდა პრინციპულ განსხვავებას ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციაზე მდგარ ალექსანდრე ოქროპირიძესა (რომელსაც ქართველებივით უყვარდა აფხაზები, განურჩევლად მათი აღმსარებლობისა) და რუსეთის სამსახურში ბრმად ჩამდგარ, თუნდაც თავისებურად „კეთილსინდისიერ“ დ.მაჭავარიანის პიროვნებებს შორის.

დაპირებისამებრ, სამურზაყანოს ბლალოჩინი 1855 წლის 7 აგვისტოს კიდევ ერთ წერილს უგზავნის ეგზარქოსს მ.შერვაშიძის საქციელისა და აფხაზეთ-სამურზაყანოში შექმნილი ვითარების შესახებ. 26 ივნისს გაგზავნილი წერილის შემდეგ, — ამბობდა დ.მაჭავარიანი, — „До 1 сего августа я делал тайные наблюдения над секретными действиями и частыми сношениями самурзаканцев с абхазцами, но благодаря бога, вредного не предвидится еще. Быть может, они делают тайные совещания против благодетельного русского престола, но я до сих пор не могу еще постыгнуть их. Знаю только, что самурзаканцы нар(авне) с абхазцами более привержены к турецкому правительству, нежели к русскому. Сказывают, что владетель Абхазии осматривал в июле месяце восточные черноморские прибрежные места, ездил в Кобулеты, вероятно, и в Батум, посещал пашей, командующих Турецкими войсками и возвратился опять в Абхазию и ныне живет в своем летнем доме в с.Соуксу. Говорят, что в Сухум-кале прибыло огромное число черкесов, цебельдинцев, убыхцев и джигетцев и, явившись к паше, ждали приказания его, куда

მითი отправиться против русских; паша велел им нагрянуть прямо на Имеретию, Менгрелию, Гурию и Самурзакань и покорить их султану, не оказывая им никакого содействия со стороны своей, нужного в военных делах. Упомянутые черкесы, цецельдинцы, убыхцы и джикетцы, будучи этим чрезвычайно оскорблены, обратились к владетелю Абхазии, в то время там бывшему, и просили его, что им делать; но владетель, отклоняя от себя подозрения окружающих его турок, велел им по-своему действовать-как им угодно, и что он не вмещивается в их дела. Вследствие чего упомянутые народы до одного разъехались по местожительствам своим, где будто выбрали 50 важнейших по роду и благоразумных человек и отправили их к нашему государю для заключения мира с Россиею, и это все будто сделано по тайному совету владетеля Абхазии, имевшего большой вес у сказанных народов. Дай бог ему исполниться! Говорят, что турки стали подозревать владетеля Абхазии в измене, в верности его турецкому правительству и не знают что с ним делать. Но владетель, как говорят, в настоящее время действует очень умно. Теперь гласно о том везде говорят, что владетель Абхазии в пользу русских действует. Но одному богу только известно верно, как он действует. Конец все ясно покажет. Дай бог, чтобы свет святой нашей веры горел в душе его неугосимо и сила присяги в верности к Всероссийскому престолу оставалась в той непоколебленности, в которой она была в нем сначала".

სამურზაკანოელების განწყობის შესახებ დ. მაჭავარიანი წერდა, რომ სევასტოპოლში რუსების ბრწყინვალე „გამარჯვებების“(!) შემდეგ “довольно значительно переменялись в своих гибельных мнениях” და ახლა შიმშილობის გამო ძარცვით არიან დაკავებული. იგი პირდება ეგ ზარქოსს მომავალშიც, „если бог продолжит жизнь мою”, დაწერილებითი მოხსენების

წარდგენას.⁹³

ამჟერადაც დ. მაჭავარიანმა დაპირება შეასრულა და 1856 წლის 23 იანვარს სამურზაყანო-სამეგრელოში მომხდარი ამბების შესახებ ეგზარქოსს კიდევ ერთი მოხსენება წარუდგინა; აცნობა, რომ ომერ-ფაშამ სამურზაყანო მიხეილ შერვაშიძეს უბოძა, „и он, Шервашидзе, живет с семейством своим в Самурзакани и распоряжается в ней, как в собственном своем владении, который довольно заботиться о поддержании и распространении христианства. Слышал я от Самурзаканского священника, что абхазская владетельница в день рождества Г (оспода) нашего Иисуса Христа заставила самурзаканских саберийских князей и дворян носить чины, в кои они пожалованы от нашего всемилостивейшего государя, и чтобы они в чинах явились в церковь для выслушивания обедни“.

წერილში საუბარია თურქების მოქმედებებზე სამეგრელოში, მათ მიერ თითქოს ნანახ ქრისტიანულ სასწაულებზე; ერთ თურქ ჯარისკაცს, — წერდა დ. მაჭავარიანი, — უნდოდა ესროლა „в образ св. великомученика Георгия и вдруг невидимая сила удержала руки его ит сей варварской дерзости; так же ночью будто часовые видели из Хобинского монастыря, обращенного турками в пороховой дом, восходящего на небо человека в блестящем священном облачении, о чем немедленно было ими донесено начальству их, и порох вынесли оттуда“. სამეგრელოში ადრე თურქები თავს თუ უსაფრთხოდ გრძნობდნენ, ახლა მთელი თავიანთი შეიარაღებით რედუტ-კალესაკენ გადაადგილდებიანო, იტყობინებოდა დ. მაჭავარიანი. მას აგრეთვე მოუსმენია საუბარი საფრანგეთისა და ინგლისის 72 გემის ზღვაში დაღუპვის შესახებ, რაც მათთვის მოვლინებულ ღვთის სასჯელად და მართლმადიდებელთა დახმარებად მიიჩნდა. სამურზაყანოს ბლალოჩინი გამოთქვამდა რწმენას, რომ, რამდენადაც „постиг и понимаю дух здешних народов _ имеретинского, мингрельского и абхазского _ კავკასიის მეფისნაც-

ვალის ამასწინანდელი ზუგდიდში ჩამოსვლა “много пользы принесет церкви и отечеству. Я вполне уверен, что с приходом г(осподина) наместника все варварские замыслы здешних народов исчезнут, возымутся все единодушно за оружие и неприязнели-турки-быстро будут прогнаны. Это я говорю языком двенадцатилетней моей здесь опытности;” დ. მაჭავარიანი აცნობებდა ეგზარქოსს სამურზაყანოს სამღვდელოების წარმომადგენლის ნიკოლოზ ხუბულოვის (ალბათ, ხუბულავას) ქუთაისში ჩამოსვლის შესახებ: ის იყო გამოგზავნილი, რათა ეთხოვა წმ. მირონი „для крещения самурзаканцев. Услышав это, я с душевной радостью поспешил к Имеретинскому епископу Евфимию (წულუკიძე — 1853-1856 წწ. — გ.გ.) и просил такого мира у него и, получив от него св. миро, я без отлагательства времени отослал им оное через священника Хубулова, одобряя их старание и усердие в распространении христианства их будущими временными и вечными наградами”.⁹⁴ მოხსენებასთან ერთად დ. მაჭავარიანმა ეგზარქოსს სამურზაყანოს მღვდელმსახურთა დაჯილდოების მიზნით მათი დახასიათებები და რეკომენდაციები წარუდგინა.

სამურზაყანოს ბლალოჩინის — დ. მაჭავარიანის წერილებში კი გვხვდება საინტერესო ცნობები, მაგრამ ისინი უპირატესად ყურმოკრულ, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს და ხშირად არასწორ, ტენდენციურ შეფასებებს შეიცავენ. ეს წერილები ნამდვილად არ გამოადგებოდა რუსულ სარდლობას, რომელიც გაცილებით უფრო სრულყოფილ ინფორმაციას თავად მიხეილ შერვაშიძისაგან ღებულობდა. ხელისუფლებას ინფორმაცია (მთავრის საწინააღმდეგო) მოსდიოდა გრიგოლ და დიმიტრი შერვაშიძეებისაგან, სხვადასხვა აგენტებისაგან. ამ უკანასკნელთა შორის, შესაძლოა, საკუთარი სურვილით, იყო დ. მაჭავარიანიც, რომელიც დასავლელ ქართველებს რატომღაც სხვადასხვა ხალხებად მოიხსენიებდა და, საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით, რუსი ეგზარქოსის წინაშე აბეზლებდა. იგი არაობიექტური იყო აფხაზეთის

მთავრისა და აფხაზი ხალხის, განსაკუთრებით სამურზაყანოელთა მიმართაც. ძალიან სამწუხაროა, რომ ათწლეულების მანძილზე აფხაზეთში ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მქადაგებელი, რეგიონის ბოლო საუკუნეების ისტორიაში პირველი სკოლის დამფუძნებელი და განათლების სისტემის მოამაგე ბლალოჩინი დაცლილი იყო ეროვნული თვითშეგნებისაგან; მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში — ღრმად მოხუცებულმა იძულებით ოდნავ შეიცვალა პოზიცია. ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასა დ. მაჭავარიანის ღვაწლი რუსეთის წინაშე. იგი იყო მრავალი ჯილდოს (ორ ათეულზე მეტი) მფლობელი. ყირიმის ომის წლებში წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა (1854წ.), ხოლო 1855 წელს მდინარე ენგურთან თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა „светлой бронзовой медалью на Георгиевской ленте“, 1853-1856 წლების ომის სამახსოვროდ ატარებდა ბრინჯაოს ჯვარს ვლადიმირის ლენტზე.⁹⁵

აფხაზეთ-სამურზაყანოს მოსახლეობის უმრავლესობა, პირველ რიგში მისი ქრისტიანული ნაწილი არ მიემხრო თურქებსა და მთიელებს, მაგრამ ოსმალეთის სამსახურში ბევრი გავლენიანი თავადი და მათზე დამოკიდებული მრავალრიცხოვანი დაბალი ფენა ჩადგა. თურქეთის მხარეზე გადავიდნენ ძმები გიდი და მაჟარა შერვაშიძეები, ჰასან და კაც მარღანიები, ზურაბ ჩქოტუა და სხვები. მთავრის ძმა, მაიორი ალექსანდრე შერვაშიძე სულეიმან-ფაშას სახელით აფხაზეთის მმართველად დაინიშნა.

ამასთან დაკავშირებით მიხეილი აცხადებდა, რომ მისი ძმა, მართალია, თურქეთის მთავრობის დავალებებს ასრულებდა, მაგრამ ცდილობდა მთავრის მითითებით ემოქმედა; ალექსანდრეს ყოფნა თურქეთის სამსახურში მიხეილ შერვაშიძეს ტაქტიკური მოსაზრებით მიაჩნდა „не только полезным, но и необходимым“. გრიგოლ შერვაშიძის ინფორმაციით კი, ალექსანდრე შერვაშიძემ, რომელიც ყოველთვის რუსეთის წინააღმდეგ იყო განწყობილი, ჯერ კიდევ ომამდე „начал носить чалму“.⁹⁶

ასეა თუ ისე, სწორედ ალექსანდრე შერვაშიძემ ჩააგდო აფხაზი ახალგაზრდობის თურქულ ჯარში გაწვევის გეგმა და თავი იმით

იმართლა, რომ მისი ქვეყანა „христианская и население испытывает большое нерасположение к туркам“.⁹⁷

აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ ჩერქეზული წარმოშობის სეფერ-ბეი თავის მთავრობას კონსტანტინოპოლში აცნობებდა, „что эта часть Абазии (აფხაზეთი — ჯ.გ.) была заселена гиаурами, с которыми нельзя справиться“. სხვა ცნობებითაც (ტ. ლაპინსკი), თურქი ოკუპანტები სძულდათ მუსულმან მთიელებს, რომ არაფერი ვთქვათ ქრისტიან აფხაზებზე და ქართველებზე.⁹⁸

ქართველი მისიონერების მიერ ომის წინაწლებში ათასობით აფხაზის მონათვლამ, ეკლესია-მონასტრების აშენებამ თუ განახლებამ და, რა თქმა უნდა, მიხეილ შერვაშიძის ძალისხმევამ ჩაშალა თურქეთის გეგმები. მათ ვერ შეძლეს აფხაზების მასობრივად დამობირება; ვერც მუჰამედ ემინმა მოახერხა ბზიფის მოსახლეობის უმეტესობის მიმხრობა და სოხუმისაკენ გალაშქრება, რისიც ძალიან ეშინოდა რუსეთის სარდლობას. ქრისტიანი აფხაზები ზოგჯერ საოცარ სიმტკიცეს იჩენდნენ. სოფელ ხუაფში (გუდაუთის რნი)საინტერესო ფაქტი მოხდა; ერთ-ერთმა იქაურმა მაცხოვრებელმა ქრისტიანმა აფხაზმა, მეზობლებისაგან განსხვავებით, კატეგორიული უარი თქვა მუსულმანობის მიღებაზე. თურქმა ჯარისკაცებმა კი მას კუთვნილი ღორები დაუხოცეს. ქრისტიანმა აფხაზმა ოსმალებს დაცინვით განუცხადა: „Кажется, султан послал вас сражаться с войсками, а не с свиньями“. ეს სიტყვები ომერ-ფაშამდე (ის წარმოშობით ავსტრიელი ანუ ყოფილი ქრისტიანი იყო) მივიდა და „вынудил его похвалить этого твердого христианина“.⁹⁹

ყრიმის ფრონტზე დამარცხების კომპენსირება რუსეთმა კავკასიის ფრონტზე მოახდინა, სადაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. 1856 წლის თებერვალში თურქებმა აფხაზეთ-სამეგრელო დატოვეს. მათთან ერთად ოსმალეთში აფხაზური მუსულმანური მოსახლეობის მცირე ნაწილიც წავიდა, უპირატესად თავადაზნაურობის წარმომადგენლები. თურქებმა აფხაზეთი მიწასთან გაასწორეს, გაანადგურეს სახლები, ხილები, ჩამოხსნეს ზემოთ ნახსენე-

ბი ბიკვინთის ზარი ლათინური წარწერით MCCCCXXVIII — ე.ი. 1429წ.

1856 წლის 30 მარტის პარიზის საზავო შეთანხმებით, რუსეთმა კავკასია შეინარჩუნა. იმავე შეთანხმებით, პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდნენ მოწინააღმდეგესთან თანამშრომლობაში მხილებული ადამიანები. ყოველ შემთხვევისათვის, იმავე წლის აპრილში სოხუმში შეკრებილმა აფხაზეთ-სამურზაყანოს წარმომადგენლებმა ითათბირეს „о том, что бы стать снова под покровительством России и не быть наказанными. Владетель Абхазии князь Михаил Шервашидзе отправился в Тифлис и удалил этот вопрос“.¹⁰⁰ 1856 წლის 10 ივლისს რუსებმა სოხუმში დაიკავეს. აფხაზეთში რუსეთის ჯარებს კვლავ მიხეილ შერვაშიძე შემოუძღვა.

ყორიმის ომის შედეგად რუსეთის პოზიციები საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში, კიდევ უფრო განმტკიცდა. მართვის ცენტრალიზაციის მიზნით, შეიქმნა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორი, რომელსაც შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყოფილება ანუ აფხაზეთ-სამურზაყანოს მონაკვეთიც დაექვემდებარა. აღსდგა შავი ზღვის სანაპირო ხაზის შექმნასთან დაკავშირებით ადრე გაუქმებული აფხაზეთში რუსეთის ჯარების უფროსის თანამდებობა. აფხაზეთის სამთავრო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ემორჩილებოდა, სამურზაყანო-სამეგრელოს (სამთავრო 1857 წელს გაუქმდა) რუსულ მმართველობას.

სამეგრელოსა და სვანეთის (1858წ.) სამთავროების გაუქმებასთან ერთად აფხაზეთის თვითმმართველობის ყოფნა-არყოფნის საკითხიც განიხილებოდა. ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება აღნიშნულ ტერიტორიას განიხილავდა როგორც უმნიშვნელოვანეს პლაცდრამს მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, გადაწყდა არსებული მმართველობის დროებით შენარჩუნება. რუსეთს სურდა მიხეილ შერვაშიძის პიროვნული ავტორიტეტისა და გავლენის გამოყენება ჩრდილო-დასავლელ კავკასიელთა წინააღმდეგ. იმპერიისათვის პოლიტიკურად უაღრესად მომგებიანი იყო აფხაზეთი შეიარაღებული ფორმირებების (მილიციის) უშუალო მონაწილეო-

ბაშთიელი თანატომელების წინააღმდეგ, როგორც ეს წინაწლებში ხდებოდა.

მისიონერები კავკასიის ომის დასრულებისა და აფხაზეთის სამთავროს გაუქმების პირობებში

ომის დამთავრებას ეკლესიებისა და შესაბამისად სულიერი ცხოვრების აღორძინება მოჰყვა. ეპისკოპოსი გერმანე გოგელაშვილი, მღვდელმონაზონი

აღუქსანდრე ოქროპირიძე, დავით მაჭავარიანი და სხვა სასულიერო პირები აფხაზეთში დაბრუნდნენ. 1856 წლის 2 სექტემბერს გერმანემ იმერეთის ეპისკოპოსის თანამდებობა დაიკავა (1860 წელს ამ ბოლო თანამდებობაზე იგი გაბრიელ ქიქოძემ შეცვალა). აფხაზეთის ეპისკოპოსის მოვალეობას არქიმანდრიტი აღუქსანდრე ოქროპირიძე ასრულებდა. 1857 წლის 7 ოქტომბერს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ გრაფ ა.პ. ტოლსტოის აცნობებდა, რომ 6 ოქტომბერს, კირას სიონში „проходило посвящение архимандрита Геронтия в сан епископа Абхазского. Священное сие действие совершено преосвященным экзархом Грузии митрополитом Исидором с преосвященными: Имеретинским Епископом Германом и Иоанием, Епископосом Горийским, Викарием Грузинским“.¹⁰¹ აფხაზეთის ეპისკოპოსის ტახტი დავით-გარეჯელმა არქიმანდრიტმა გერონტი პაპიტაშვილმა დაიკავა. 1857 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში გერონტი აფხაზეთში ჩამოვიდა, მაგრამ კირიონის მონაცემებით, თავისი მოვალეობის შესრულებას 1859 წლის 16 აპრილიდან შეუდგა. იმავე წლის აგვისტოში, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საერთო საქმეთა დეპარტამენტი ეგზარქოს ვესევის უგზავნის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თხოვნას სამეგრელოს ეპისკოპოსად გერონტის დანიშვნის შესახებ. მეფისნაცვალი ეთანხმებოდა ამ წინადადებას, „не упраздняя абхазской кафедры“ (როგორც ჩანს, ხელისუფლება, იხილავდა კათედრის გაუქმების საკითხს). საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ ამის თაობაზე 1859 წლის

20 აგვისტოს უწმინდეს სინოდს აცნობა და იმავდროულად აფხაზეთის ეპარქიის დროებით მმართველად ალექსანდრე ოქროპირიძის დანიშვნა ითხოვა. 1859წ. 16 ნოემბერს უწმინდესი სინოდის მოხსენებაზე სამეგრელოს ეპისკოპოსად გერონტი პაპიტაშვილის დანიშვნისა და აფხაზეთის ეპისკოპოსის თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის თაობაზე დადებულია იმპერატორის რეზოლუცია: „Быть посему“.¹⁰² ახალი ეპისკოპოსის დანიშვნამდე აფხაზეთის კათედრის მართვა ისევ გერონტის ვეალებოდა. ეს მდგომარეობა 1862 წლამდე გაგრძელდა, დიდხანს იხილებოდა აფხაზეთის ეპისკოპოსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურები (მთიელთა წინააღმდეგ მიმდინარე ომის პირობებში რუსეთი არ ჩქარობდა აფხაზეთში ეპისკოპოსის დანიშვნას). ესენი იყვნენ ქვაბთახევის მონასტრის წინამძღოლი ტარასი, ხობის მონასტრის არქიმანდრიტი ბესარიონი და აფხაზეთის სასულიერო სკოლების ზედამხედველი, არქიმანდრიტი ალექსანდრე ოქროპირიძე. ამ უკანასკნელის ბიოგრაფიული მონაცემები უფრო შთამბეჭქდავად გამოიყურებოდა. გარდა აკადემიური განათლებისა და სასკოლო-სფეროში აქტიური მოღვაწეობისა, ხელისუფლებამ გაითვალისწინა, ალბათ, მისი შემდეგი დამსახურებები: „В следствие указа Св. Синода за пожертвование в пользу героев, защитников Севастополя возведен в сан архимандрита“ (1856წ. 26 თებერვალი); „За жертвования в пользу героев, защитников Севастополя и их разоренных семейств по двести рублей серебром в год в течение войны объявлена дважды Высочайшая благодарность“ (1856წ. 31 აგვისტო); „За ревностную и усердную службу Высочайше сопричислен к ордену Св. Анны 3-й степени“ (1859წ. 2 მაისი); „Имеет бронзовый крест в память минувшей войны 1853-1856 годов“, და ა.შ. 1862 წლის 4 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში აფხაზეთის ეპისკოპოსად ალექსანდრე ოქროპირიძე აკურთხეს.¹⁰³

1862-1863 წლებისათვის აფხაზეთში ოსური კომისიის გამგებლობაში მყოფი 29 ეკლესია ფუნქციონირებდა, აქედან 13-საკუთრივ აფხაზეთში და 16-სამურზაყანოში (იხ. დანართი №16); აგრძელებ-

და მოქმედებას ოქუმის ორკლასიანი სკოლა, სადაც 1864 წელს 68 ბავშვი სწავლობდა. იმავე წელს აფხაზეთში პირველად ოქუმში გაახსნა საეკლესიო-სამისიონერო ბიბლიოთეკა, ზოლო 1865წ. ასევე პირველად-საერთო საცხოვრებელი ბავშვებისათვის. კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების რევიზორი ნ.ლოლობერიძე, რომელმაც სამურზაყანო — აფხაზეთი 1864 წელს შეამოწმა, მალალ შეფასებას აძლევდა ოქუმის სკოლას, მის პედაგოგს, ოქუმის მრევლის მღვდელს ი.კეკელიას. რევიზიის შედეგად გაირკვა, რომ სამურზაყანოში 268 მოსწავლე ირიცხებოდა. გარდა ოქუმისა, სკოლები ფუნქციონირებდნენ დიხაზურგაში (43 მოსწავლე), ფახულანში (20 მოსწავლე), საბერიოში (32 მოსწავლე), ჭუბურხინჯში (43 მოსწავლე), ნაბაკევი (16 მოსწავლე), თაგილონში (13 მოსწავლე), ბარლებში (14 მოსწავლე), გალში (15 მოსწავლე), გუდავაში (4 მოსწავლე). სამურზაყანოელ მოსწავლეებს შორის „встречается очень много способных детей. Они одарены сметливым умом, живым воображением, соображения у них очень быстрые“, — წერდა რევიზორი. მისი ანგარიშის მიხედვით, საკუთრივ აფხაზეთში სკოლები არ არსებობდნენ, მაგრამ ტამიშში მღვდელი გ.ახვლედიანი ოთხ აფხაზს (კესარია დადიანის შვილიშვილებს და კიდევ ორ მათ ნათესავს) ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. „Кроме того, — წერდა ნ.ლოლობერიძე, — Я видел еще в Сухуме шесть молодых абхазцев, которые обучались церковным книгам в Цайшском монастыре, в Мингрелии, на счет преосвященного Александра, Епископа Абхазского“^{103a}

XIX საუკუნის 60-ნი წლების დასაწყისში ოსურ კომისიას კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება ჩაენაცვლა. საზოგადოების შექმნის იდეა კავკასიის მეფისნაცვალს ა.ი. ბარიატინსკის (1856-1862 წ.წ.) ეკუთვნის. საქართველოს ეგზარქოს ისიდორესთან შეთანხმებით, მან ჯერ კიდევ 1857 წელს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა კავკასიის კომიტეტს (1845-1882 წ.წ. არსებული საუწყებათაშორისო სამთავრობო ორგანო) საზო-

გადოების (საძმოს) დაფუძნების მოტივებისა და მიზნების შესახებ. „Под русским, владычеством христианство осетин, хевсуров, сванетов и абхазцев, — წერდა მეფისნაცვალი, — осталось в таком положении, как если бы Кавказ не принадлежал Христианскому государству”. კავკასიის კომიტეტმა, იმპერატორმა და უწმინდესმა სინოდმა არაერთელ განიხილეს ა.ი. ბარიატინსკის წინადადებები. 1860 წლის 9 ივნისს იმპერატორმა ხელი მოაწერა სიგელს კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელების საზოგადოების დაფუძნების შესახებ. დამტკიცებული წესდების მიხედვით, საზოგადოება რუსეთის დედოფლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა; მისი თავმჯდომარე იყო მეფისნაცვალი, ვიცე-თავმჯდომარე — საქართველოს ეგზარქოსი. საზოგადოების წევრები ოთხ ჯგუფად (თანრიგად) იყოფოდნენ; პირველი თანრიგის წევრების ყოველწლიური შესატანი თანხა არანაკლებ 1000 მანეთს შეადგენდა, მეორე თანრიგისა — არანაკლებ 500 მანეთს, მესამე — არანაკლებ 200 მანეთს, მეოთხე — არანაკლებ 20 მანეთს. წესდების 71- მუხლის მიხედვით, მისიონერებს ეკუთვნოდათ „содержание вполне обеспечивающее их существование”; მისიონერებად უპირატესად ის ტუზემცები უნდა დანიშნულიყვნენ, რომლებმაც მიიღეს განათლება საზოგადოების ხარჯზე და იყვნენ „особенно преданные Христианскому делу” (73-ე მუხლი). საზოგადოებას შეეძლო მოეწვია ბერები რუსეთიდან для возложения на них обязанностей миссионеров или для других поручений, согласных с религиозною целью общества” (74-ე მუხლი). წინასწარ ვიტყვით, რომ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ, საკუთარი წესდების §74-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთი გაავსო (ახალი ათონი, ბიჭვინთა, ღრანდა, მოქვი) ყოვლად უმაქნისი რუსი ბერებით, რომლებსაც დიდძალი მამულები დაურიგეს). წესდების 75-ე მუხლი ითვალისწინებდა საზოგადოების ხარჯზე „ტუზემცების“ ენაზე ბიბლიის თარგმნას და გამოცემას. 76-ე მუხლის თანახმად, კი „переводы сии первоначально должны быть сделаны на языки: сванетский, абхазский и преимущественно на

ოსეტინსკი, а потом и на другие горские языки и наречия".¹⁰⁴

ახლად შექმნილი საზოგადოების სტრუქტურული ჩამოყალიბება 1862-1863 წწ დასრულდა. იმ დროისათვის მისი რიგები ოთხივე თანრიგის წევრებითა (მათი შევსება შემდგომ წლებში გრძელდებოდა) და კანცელარიის თანამშრომლებით (სულ 959 ადამიანი, მათ შორის 916 ქომადგი — IV თანრიგის წევრი) დაკომპლექტდა. ჩამოყალიბებისთანავე საზოგადოებამ აფხაზეთთან მიმართებაში რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო; კერძოდ, 1863 წელს დაიგეგმა დურიფშის, ბაშკიტის, ოქუშის ეკლესიების მშენებლობა და ბედის ტაძრის აღდგენა. საკუთრივ აფხაზეთში სკოლების არარსებობის გამო საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია ბიჭვინთაში განლაგებული ასეულის მეთაურის კაპიტან ვორონოვისა და ცალკეული ჯარისკაცების ინიციატივას. დასვენების დღეებში ისინი მეზობელი სოფლებიდან აფხაზ ბავშვებს იწვევდნენ და რუსულ ენაში ამეცადინებდნენ, ასწავლიდნენ ლოცვებს, უყოფდნენ მათ ჯარისკაცის ულუფას. აღნიშნული ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა მეფისნაცვლისათვის, რომელმაც ასეულის მეთაურს მადლობა გამოუცხადა; კავკაიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა კომისიამ კი ამ საინტერესო წამოწყების მხარდაჭერის მიზნით ბიჭვინთის ასეულის დაბალჩინოსნებს საჩუქრად ასი მანეთი გამოუყრა და მათი მომზადებული ერთი აფხაზი ბავშვი საკუთარი ხარჯებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩარიცხა. 1864 წელს მეცადინეობები შეწყდა ცალკეული სამხედრო მოსამსახურეების სხვა ნაწილში გადაყვანის გამო.¹⁰⁵

60-ნი წლების დასაწყისში კვლავ დღის წესრიგში დგება ბიჭვინთის აღდგენის საკითხი. ყირიმის ომამდე რაც გაკეთდა, თურქებმა გაანადგურეს. საჭირო იყო აღდგენითი სამუშაოების განახლება, რისთვისაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მეფისნაცვლისაგან 2000 მანეთს ითხოვდა. 1863 წლის აგვისტოში ეპისკოპოსმა ალექსანდრემ წერილობით მიმართა საქართველოს ეგზარქოს ევსევსს (1858-1877 წწ), სადაც აღნიშნავდა, რომ 1851 წელს გახსნილ აფხაზეთის საეპისკოპოსოს დღემდე არ ჰქონდა თავისი ადგილსამ-

ყოფელი, საკათედრო ტაძარი ღვთისმსახურების შესასრულებლად. ეს ყოველივე (ადგილსამყოფელი — საცხოვრებელი სახლი და ტაძარი), იმპერატორის განკარგულების თანახმად, ბიჭვინთაში უნდა ყოფილიყო, — წერდა, ეპისკოპოსი ალექსანდრე, მაგრამ აღდგენილი ტაძარი და დაუმთავრებელი ორსართულიანი სახლი „ДЛЯ архиерея и его свиты“ ბოლო ომის დროს განადგურდა. ალექსანდრე მშენებლობის დაჩქარებას ითხოვდა, „дабы возможно было ему навсегда поселиться в Пицунде“ ეპისკოპოსის წერილი კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას გადაეგზავნა. 1863წ. სექტემბერში საზოგადოების თავჯდომარემ — მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა ბიჭვინთის ტაძარი მონახულა. იმავე წლის დეკემბერში მისი კანცელარიიდან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს აცნობეს: „Его императорское величество наместник (იგულისხმება მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი — იმპერატორ ალექსანდრე მეორის ძმა, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე 1862-1881 წლებში იმყოფებოდა), принимая во внимание, что Пицундский храм по историческим воспоминаниям и значению своему заслуживает особого внимания, и что сохранение этого древнего, во многих отношениях замечательного здания должно составлять предмет заботливости правительства, изволил выразить непрременную волю, чтобы впредь до особого по этому предмету распоряжения, приняты были всевозможные меры к поддержанию и сохранению памятника“. ამრიგად, მეფისნაცვალმა საკუთარი კანცელარიის მეშვეობით დიპლომატიური უარი განაცხადა ბიჭვინთის ტაძრის განახლების დაუწყონებლივ დაწყებაზე და ამ საკითხზე სპეციალური განკარგულების გაცემამდე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ძეგლის დაცვაშენარჩუნებაზე ზრუნვა დაავალა. ამასთანავე, ტაძრის სახურავის შეკეთების მიზნით მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებიდან მან გამოყო 2000 მანეთი, რომელიც ბიჭვინთის სამხედრო ასეულის მეთაურს ვორონოვს გადაეცა. გამოყოფილ თანხას ამ მორწმუნე ოფიცერმა საკუთარი 1746 მანეთიც დაუმა-

ტა და არა მხოლოდ გადახურა ტაძარი, არამედ დაახლოებით ხუთ წელიწადში მისი მთლიანად აღდგენაც მოახერხა.¹⁰⁶

ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე წლების მანძილზე (1858 წლიდან) ამოად ცდილობდა 1855 წელს დახურული ლიხნის სასულიერო სკოლის აღდგენას. იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთის ეკლესიისათვის და განათლებისათვის ნაკლებად ეცალა. მის მთავარ მიზანს კავკასიის ომის დასრულება, აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, მთიელების, მათ შორის აფსუების დიდი ნაწილის თურქეთში გადასახლება წარმოადგენდა. ამის შესახებ არაფერი იცოდა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. 1863 წლის აგვისტოში მან შეადგინა ეპარქიის აღწერა, რომელიც შეიცავდა აფხაზეთის რუსეთთან შეერთების (ხაზგასმული იყო სამეგრელოს სამთავროს როლი ამ საქმეში), ეპარქიის შექმნის (1851წ.) მოკლე ისტორიას, რეგიონის ფიზიკურ-ბუნებრივი პირობებისა და, რაც მთავარია, მოსახლეობის სარწმუნოებრივი მდგომარეობის შეფასებას. ავტორი მიმოიხილავდა იმ ფაქტორებს, რომლებიც აფერხებდნენ ქრისტიანობის გავრცელებას; შექმნილი ვითარების გამოსწორების მიზნით აყენებდა კონკრეტულ წინადადებებს.

ეპისკოპოსი რვა ხელის შემწეულ ფაქტორს ასახელებდა. პირველი იყო აფხაზურ ენაზე დამწერლობისა და ლიტერატურის არარსებობა, მეორე — აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა; ავტორი აღნიშნავდა, რომ აფხაზთა ჩრდილოელი მეზობლები (უბიხები, ალანები, ჯიქები, ჩეჩნები, ყარაჩაეველები და ა.შ.) მუსულმანები ან წარმართები არიან, რუსეთი კი „далеко за горами, следовательно, с этой стороны не может идти свет христианского учения в Абхазию“. ის ვერ შემოვიდოდა სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან — შავი ზღვიდან და თურქეთიდან. ქრისტიანობა, — წერდა ეპისკოპოსი, — საქართველოდან, უფრო კონკრეტულად, სამეგრელოდან შემოდოდა ზემო აფხაზეთში — სამურზაყანოში და ასევე „ნამდვილ აფხაზეთში“, თუმცა ეს საკმარისი არ იყო. მართალია, სამურზაყანოელები მოინათლნენ, მაგრამ იდგნენ „невыше Абхазии ни в каком отношении“; ვინაიდან აფხაზები ყველა მხრიდან ურწმუნოებით არიან გარ შემორტყმულები,

„ნაღო დეიფთვოფთ ვნუფრი, ა ეფო დელო არქიერეი, ეგო სვითი დ სვუენნიკოფ ვოოფცე. ეფო დელო მიფიონეროფ, კოფორე დოღნი დეიფთვოფთ ბლღოფრუმნო პრი სოდეიფთვი ვლადეტელი დ დუფოვნოღო ნაჩალფთვოფ“, — წერდო ეპიფკოპოფი ალექფანდრე. მესამე ხელისშემშლელო ფაქტორი იყო სოფულოერო პირფო ნოკლებობო (აფხოზეფოში სოფურზოფნოს გორეშე სულ რვო მღვდელი ყოფილო); ალექფანდრე მათი რიცხვის გოორმეგებოფს იფხოვდო. კიდევ ერთი — მეოფხე ფაქტორი გოხლდოფთ შოვიზღვისპირო თურქული სოვოქრო დოფსოხლებები; აფხოზეფოფს მონოკვეფთზე ასეფი დოფსოხლებები არსებობდნენ გუდოვოში, ოჩოამჩირეში, კელოფურსო დო გუდოფოფოში. ვოქრები მეთოდუროდ მუშოობდნენ მოფსოხლებოფსოფთ დო პოროლეღუროდ ისლამოფოც ავრცელებდნენ; გორდო ამისო, როგოროც ალექფანდრე წერდო, მოჰმადიოფნობოფს აფხოზეფოში მუდმივოდ მაცხოვრებელი აფხოზი დო თურქი მოლები ქოდოგებდნენ.

ქრისტიოფნობის გოვრცელებიფს შემოფერხებელ მეფუფე მიზეზოდ აფხოზეფოფს ეპიფკოპოფს მიოინდო ჩვეულება, რომლის თოფნოხმოდოც მუფულმონური აღმსორებლობის თოვოდის (მნიშვნელოვოფნი პერსონის) გორდოცვოლებიფს შემდგეფ აფოვისუფლებდნენ ერთ, ორ, ზოგჯერ სოფ ყოფწილს — გლებს დო აღსოზრდელოდ თურქებს აძლევდნენ. შემდგომში მათი რიცებიდოფნ გომოდიოდნენ მოლები, რომლებსოც ევოლებოდოფთ მოჰმადიოფნური წესიფთ ელოცოფთ გორდოცვლილი ბოტონის სულის მოფსოხენიებლოდ. ზუსფოდ იგივე ჩვეულება ქონოფოფთ ქრისტიოფნ აფხოზეფსოც; მოროფმადიღებელი თოვოდის გორდოცვოლებიფსოფს, ერთ ან რომდენიმე ყოფწილს აღსოზრდელოდ რომელიმე ქოროფულ მონოფსტერში (ცოიფში, მოროტიფლში დო ა.შ.) მიობოარებდნენ. შემდგომში ისინი სოფულოერო პირები ხდებოდნენ დო მათოც ამ ქვეყნიდოფნ წოფული ბოტონის სულის მოფსოხენიებელი ლოცვების ჩოტორება ევოლებოდოფთ. ამ პირობიფთ იყო აღზრდილი ერთ-ერთი პირველი აფხოზი ღვთისმსოხური დო ცნობილი მოღვოწე, ლიხნის ეკლესიიფს მღვდელი იოფნე გეგოი; ეპიფკოპოფსო მეგრონტიფმ, როგოროც ალექფანდრე წერდო, კიდევ ერთი ასეფი აფხოზი ახოღოზრდო აღზოროდო, მეორე — ცოიფის მონოფსტერში სწოვლობდო. ეპიფკოპოფს მიოინდო, რომ ეს წესი ხელს უწყობდო ქრისტიოფნობის გოვრცელებოფს,

თუმცა მართლმადიდებელთა ძალისხმევას იმავე პირობით აღზრდილი მაჰმადიანები ანეიტრალებდნენ.

მეექვსე შემაფერხებელი მიზეზი, ავტორის აზრით, იყო რუსეთ-თურქეთის ომის (1853-1856 წწ) დროს მრავალი აფხაზის მიერ ქრისტიანობის უარყოფა.

მეშვიდე მიზეზად ალექსანდრე ოქროპირიძეს ქრისტიანი ქალიშვილების მუსულმანებზე გათხოვების ჩვეულება მიაჩნდა. თვით კესარია დადიანის ქრისტიანი ქალი შვილებიც წებელდელ მუსულმანებს — ბატალბეი და მახათგერ მარშანიებს წაუყვანიათ და რწმენაც შეუცვლიათ. ეპისკოპოსი ალექსანდრე ქრისტიანობის შემაფერხებელ მერვე მიზეზად თვლიდა იმ გარემოებას, რომ აფხაზი თავადების დიდი ნაწილი (მარშანიები, ანჩაბაძეები, მარლანიები, ინალიფები), გარდა შერვაშიძეებისა, მაჰმადიანობას აღიარებდნენ. ყველა ამ წინააღმდეგობის გადასალახავად, — წერდა ალექსანდრე, — საჭიროა „употребить не одно средство человеческое, но и средство божеское; добрый труженический пример в жизни: посты и молитва. Эти средства освящены примером Спасителя...“ ეპისკოპოსი ალექსანდრე, ბუნებრივია, არაფერს ლაპარაკობდა ქრისტიანობის გავრცელების შემაფერხებელ მთავარ, იმპერიულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ მიზეზებზე, სამაგიეროდ უპასუხა მის მიერვე დასმულ კითხვაზე — „რა შეუწყობს ხელს აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას“? პასუხიც 8 პუნქტისაგან შედგებოდა.

1. საეპარქიო უფროსობის კეთილი ურთიერთობა აფხაზეთის მთავართან. „Что солнце для мира, то владетель для Абхазии. Поэтому святителю надобно жить дружно с владетелем, но чтобы быть в близких, хороших отношениях с владетелем, надобно жить в разные времена года при его светлости“. ამისათვის კი ეპისკოპოსს სახლი უნდა ჰქონოდა ლიხნში — მთავრის ძირითად რეზიდენციასთან ახლოს, ასევე ოჩამჩირეში, სადაც მთავარი ზამთრობით ცხოვრობდა. ამით აფხაზთა თვალში ეპისკოპოსის ავტორიტეტი ამალღდებოდა, ის ძალას და გავლენას შეიძენდა; მთავართან ახლოს ყოფნით უკეთესად გაიც-

ნობდა აფხაზებს, მათ ზნე-ჩვეულებებს, შეისწავლიდა ენას, რაც მნიშვნელოვანი იყო მისიონერისათვის; გარდა ამისა, თავისუფლად და უსაფრთხოდ იმოგზაურებდა მთელს აფხაზეთში, მოინახულებდა სამრევლოებს. მთაერთან კარგი ურთიერთობის გარეშე შედეგი არ იქნება, — ასკვნიდა ეპისკოპოსი ალექსანდრე. შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს რამდენად მართალი იყო აფხაზეთის მღვდელმთავარი.

2. აფხაზურის, როგორც ადგილობრივი ენის, შესწავლა უდაოდ სასარგებლო იქნება; უფრო მეტად სასარგებლო და აუცილებელი იყო ქართული ენის შესწავლა, ვინაიდან

— არ არსებობდა აფხაზური დამწერლობა, ქართული კი წიგნიერი, საეკლესიო ენაა, რომელზეც მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა მთელს აფხაზეთში; წარსულშიც „уже несколько столетий, как здесь все служили на грузинском языке. Самые пастыри церкви, начиная с патриарха или каталикоса были Грузины. Вообще надобно сказать, что в Абхазии царствовали цари грузинские и язык грузинский. Самые древние храмы и расписаны по-грузински, а частично гречески;

— დამწერლობის მქონე ქართული ენა გამოიყენებოდა აფხაზთა შორის და ვაქართა კლასის მიერ ტრაპიზონიდან რუსეთის საზღვრამდე, ანაპამდე და ნოვოროსიისკამდე;

— ქართულ ენას მეტნაკლებად იყენებდნენ აფხაზები, განსაკუთრებით თავადები და აზნაურები. „Так семейство представителя Абхазии, его светлости, владельца чисто и природно владеет грузинским гражданским и церковным языком, и отнюдь не русским, и вообще семейство Шервашидзевиных говорят и пишут на грузинском языке. Да грузины, как соседи, более в уважении у абхазцев. Грузинский язык то же в Абхазии, что французский в Европе, то есть кабинетный и модный и ученый-литературный или то же грузинский язык на Кавказе и за Кавказом, что турецкий и османский в Турецкой империи, т.е. общеу-

потребительный. Грузинский язык, так выразиться, составляет пищу для ума и сердца Кавказского народа, поелику он есть и учено – литературный и церковно священный. Не распространяясь много, вообще надобно сказать, что грузинский язык употребляется и уважается в Абхазии, отчего предстоит нужда каждому миссионеру знать и изучать грузинский язык: проидут столетии и слова грузинского языка не померкнут в Абхазии”. აი, ასე, პოლიტიკური ქვეტექსტებით, ასაბუთებდა ეპისკოპოსი ალექსანდრე აფხაზეთში ქართული ენის შესწავლის აუცილებლობას. ის აღნიშნავდა აგრეთვე, რომ აფხაზეთის ზღვისპირა თურქულ დასახლებებში გამოიყენება თურქული ენაც. სოხუმიდან, უფრო კოდორიდან ენგურამდე ხმარებაშია მეგრული, რომელიც ქართულის შტოა; „საეკლესიო და საერო ლიტერატურა მეგრელებისათვის ოდითგანვე ყოველთვის იყო და არის ქართული“;

3. არქიელისა და მისი ამალის გულმოდგინე მოციქულებრივი სამსახური. ეპარქიისათვის მათი თავიცი უნდა გასწირონ, როგორც ამას წმ. მოციქულები აკეთებდნენ; უნდა შესწირონ ქონებაც. აფხაზეთში იმისათვის კი არ უნდა მიდიოდნენ, რომ მიიღონ სამღვდლო ხარისხი და ხალხს დაემალონ, იყონ მშვიდად, მერე კი ახალ, უფრო შემოსავლიან კათედრაზე გადავიდნენ, იცხოვრონ თბილად და კეთილმოწყობილად, „Подобными поступками никакого добра нельзя сделать в Абхазии, но еще больше можно портить дело”. ვინც სატანას ემორჩილება და ოქროს აღმერთებს ნუ წამოვა აფხაზეთში. არქიელი თავისი ხარისხის შესაბამისად უნდა იქცეოდეს, ჰყავდეს ამალაში მგალობლები, ჰქონდეს კარგი სამოსელი. „Сан и великолепная служба архиерея, а равно и великолепная жизнь весьма великое может иметь влияние на умы и сердца абхазцев и расположит их в пользу христианской веры“;

4. აფხაზეთში სასულიერო სასწავლებლის გახსნა. ის ყველა თვალსაზრისით სასარგებლო იქნებოდა მთელი აფხაზეთი სამყაროსათვის; აფხაზთა ბავშვები შეისწავლიდნენ ქართულ და რუსულ

ენებს, ამ ენებზე არსებული სასულიერო წიგნების გაცნობით ჩამოუყალიბდებოდა წარმოდგენა სამყაროს შექმნის, ადამიანის წარმოშობისა და დანიშნულების, მის მიერ ცოდვების მონანიებისა და მარადიული ცხოვრების შესახებ; ყოველივე ამით აფხაზები განთავისუფლდებოდნენ ცრურწმენებისა და ცდომილებებისაგან. სასულიერო სასწავლებელს კეთილისმყოფელი გავლენა ექნებოდა აფხაზ ბავშვებზე გონებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით; იქ მიღებული განათლება, სწორი აღზრდა „Будут весьма полезны для своей Родины“.

5. ეკლესიების მომრავლება (размножение). იმისათვის, რომ აფხაზეთში ქრისტიანული განათლების მარცვლები დავთესოთ და გავავრცელოთ იგი, ეპისკოპოსის აზრით, საჭირო იყო ახალი სამრევლოების გახსნა. ამჟამად რვა საშტატო აფხაზური სამრევლო (ილორის, ოჩამჩირისა და კვიტოულის შტატგარეშე ეკლესიების გაუთვალისწინებლად) და იმდენივე მღვდელია (ოდნავ განსხვავებული მონაცემები იხილეთ დანართში №16). თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთში დაახლოებით 14 ათასი ოჯახია (თითოში საშუალოდ 6 სულით), მაშინ ერთ მღვდელზე 1700-1800 (ალექსანდრე წერს, ორი ათასი) ოჯახი მოდიოდა (რუსეთში და საქართველოში ეს მაჩვენებელი 100 ოჯახს უდრიდა). ასეთ პირობებში მისიონერი (რომელსაც მუდამ წინ ეღობებოდნენ მდინარეები, მთები, ჭაობი და ა.შ.) აფხაზეთში წარმატებას ვერ მიაღწევდა.

6. უძველესი ეკლესიების განახლება. უნდა აღდგეს ანაკოფიის (ფსირცხის) ეკლესია, სადაც, გადმოცემის მიხედვით, სიმონ კანანელი არის დასაფლავებული; „განახლდეს დრანდის დიდებული ტაძარი, განახლდეს მოკვის უდიდებულესი ტაძარი“... ამ ტაძრებში ბერების დაყენება თუ შეუძლებელია, აღნიშნავდა აფხაზეთის ეპისკოპოსი, დაინიშნოს თითო მღვდელი. „Это было бы весьма благотельно и имело бы величайшее влияние на умы и сердца абхазцев. Упомянутые храмы Драндский, Моквский составляли кафедры в прежние времена и святители имели там свое местопребывание в те времена, когда в Абхазии цвело христианство“, — წერდა ალექსანდრე ოქროპირიძე.

7. მღვდლების მუდმივად ყოფნა აფხაზეთში ოჯახთან ერთად. სასარგებლო იქნებოდა აფხაზეთისათვის თუ მღვდლები მუდმივად ადგილზე იქნებოდნენ და ოჯახის მონახულების მიზნით არ მოუწევდათ პერიოდულად სამრევლოების დატოვება. ამჟამად მათ არ შეუძლიათ ოჯახის აფხაზეთში ჩამოყვანა ელემენტარული პირობების უქონლობის გამო. თუ მთავრობა დაეხმარება სამღვდლოებს „и дать им средства для того, чтобы могли держать семейства в Абхазии в своих приходах, тогда успешнее распространится христианство в Абхазии“;

8. მემამულეთა თანამონაწილეობა ქრისტიანობის ქადაგებაში. მემამულეებს შეუძლიათ ბევრი სიკეთე გაუკეთონ სასულიერო უწყებას, თუ მონაწილეობას მიიღებენ უფლის სიტყვის გავრცელებაში. „მემამულეთა ქრისტიანული ცხოვრების კეთილ მაგალითს და მათ მიერ ხალხისთვის უფლის სიტყვის შთაგონებას უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება. და ბოლოს, იმისათვის, რათა აფხაზეთმა პატივი სცენ მღვდლისა და ეპისკოპოსის (СВЯТИТЕЛЯ) წოდებას, უპირველესად ამაში მაგალითი მემამულეებმა უნდა უჩვენონ“.¹⁰⁷

ამრიგად, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს შესანიშნავად ჰქონდა გააზრებული მისი, როგორც აფხაზეთის მღვდელმთავრის, წინაშე მდგარი ამოცანები, ქრისტიანობის გავრცელების შემაფერხებელი მიზეზები, პრობლემათა დაძლევის გზები და მეთოდები. იგი ცდილობდა საკუთარი პროექტის თუ გეგმის მიხედვით ემოქმედა, მაგრამ რუსული ხელისუფლებისათვის, რომელიც კავკასიის ომის დასრულებისათვის, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისათვის, მთიულთა, მათ შორის აფხაზთა გადასახლებისათვის, მხარის კოლონიზაციისა და მოსახლეობის ასიმილაციისათვის ემზადებოდა, ეპისკოპოს ალექსანდრეს იდეები, ცხადია, მიუღებელი იქნებოდა, რაც დაადასტურა კიდევაც მოვლენების განვითარებამ.

1858-1859 წწ რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია დაიმორჩილა, შამილი დაატყვევა და მთელი ძალები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გადმოისროლა. 1859 წელს წინააღმდეგობა მუჰამედ-ემინმაც შეწყვიტა. რუსებმა ძლიერი დარტყმები მიაყ-

ნეს მთიელებს, მათ შორის ფსხუს აფსუურ მოსახლეობას (1860წ.). დაიწყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა თურქეთში, ნაწილობრივ მთებიდან ბარში გადასახლება.

ამ პროცესის დაჩქარებასაც ისახავდა მიზნად იმპერატორ ალექსანდრე მეორის კავკასიაში მოგზაურობა. 1861 წლის 15 სექტემბერს ის სოხუმში გემით ჩამოვიდა. სანაპიროზე სოხუმის მოსახლეობისა და მთიელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ. იმპერატორის წინაშე წარდგნენ „дворяне Абхазии и депутации горских племен“.¹⁰⁸

სისხლისმღვრელი ომები შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. 1864 წლის 21 მაისს ახჩიფსხუს ტერიტორიაზე — კბაადაში (კრასნაია პოლიანა) გამართული „გამარჯვების აღლუმით“ (მასში, სამწუხაროდ, ქართული და აფხაზური მილიციაც მონაწილეობდა) კავკასიის ომი დასრულდა. მეფისნაცვალმა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯარების მოქმედებას, იმავე დღეს იმპერატორთან შემდეგი შინაარსის დეპეშა აფრინა: „Имею счастье поздравить ваше величество с окончанием славной Кавказской войны. Отныне не осталось более на Кавказе ни одного непокорного племени. Вчера сосредоточились здесь отряды генерал-лейтенанта, князя Мирского, генерал-майора Шатилова, Геймана и Граббе и сегодня при общем сборе совершен благодарственный молебен“. საპასუხო დეპეშაში იმპერატორი ჯარის პირად შემადგენლობას მადლობას უხდოდა და წერდა, რომ ის ამაყობს „ИМИ БОЛЬШЕ, ЧЕМ КОГДА-ЛИБО“.¹⁰⁹ რუსული ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა მთიელებს, დაიწყო მასობრივი მძაჭირობა. მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიიდან 1866 წლამდე 493194 ადამიანი თურქეთში გადასახლეს. მათი დიდი უმრავლესობა — 356858 კაცი, მათ შორის 3642 აფსუა-ჩერქეზული ტომის წარმომადგენლები იყვნენ. კავკასიელ ხალხებს თავს დაატყდათ არნახული ტრაგედია. რუსეთი სასწრაფოდ შეუდგა დაცარიელებული მიწების კოლონიზაციას.

კავკასიის ომის დამთავრებამდე დაახლოებით ორი თვით ადრე — 1864 წლის 27 მარტს კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომა-

ნოვი სამხედრო მინისტრის გ. მილიუტინის წინაშე აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და ამ ტერიტორიაზე კაზაკების ჩასახლების საკითხს აყენებდა. „Народ абхазский, — წერდა მეფისნაცვალი, — занимающий самую лучшую часть Кавказского края, упал до последней степени нищеты и дикости, половина его приняла исламизм, другая-потеряла почти всякое понятие о религии. Россия вместо благодарной союзницы приобрела в Абхазии непокорную и коварную рабу, готовую с распростертыми объятиями принять каждого врага нашего, который явится у ее берегов. Так поступила она в минувшую войну и еще ставит себе в заслугу то, что выпустила войска наши из своих пределов, не истребив их. В экспедицию, предпринятую в 1861 году в общество Псху, во время дела, происходившего в 20 верстах от Сухума, колонна наша имела против себя втрое больше абхазцев, чем горцев. И в настоящее время еще не один солдат не смеет обоити двух верст от Сухума, не подвергаясь опасности быть убитым, ни один начальник не решается проехать по этому краю без сильного конвоя“. მეფისნაცვალი ჟელაფერში მიხეილ შერვაშიძეს ადანაშაულებდა და აცხადებდა: „Нельзя не спросить, что заставляло его отклонять абхазцев от службы в наших войсках и в собственном конвое его величества, почему он запрещал им отдавать детей своих на воспитание в русские учебные заведения, с каким намерением удалил от берега все христианское население и поселил в прибрежных деревнях исключительно мусульман и преимущественно турок. Не без его же ведома и участия даже близкие родственники его переходят в магометанство, и мусульманская пропаганда непрерывно усиливается во всех частях Абхазии“. მიხეილ რომანოვის აზრით, აფხაზეთის სამთავრო, მისი იმჟამინდელი სახით შენარჩუნების შემთხვევაში, ყოველთვის იქნებოდა გამზადებული პლაცდარში მტრისათვის

ზღვის მხრიდან ამიერკავკასიის წინააღმდეგ სამოქმედოდ; გარდა ამისა, აფხაზეთი „будет составлять клин, которым казачье прибрежное население наше будет отрезано от преданного и верного нам христианского населения Мингрелии“, — წერდა მეფისნაცვალს; ერთ-ერთი ბრალდება მდგომარეობდა იმაში, რომ აფხაზეთიდან „продано в рабство мусульманам несколько десятков христианского семейства“.¹¹⁰

მეფისნაცვალს კავკასიის ომის დამთავებისთანავე აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას, მხარეში ე.წ. სამხედრო-სახალხო მმართველობის შემოღებას, შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ენგურამდე კაზაკური დასახლებების შექმნას ითხოვდა.

აფხაზეთისა და მისი მთავრის მიმართ წაყენებული ბრალდებები, მათ შორის სარწმუნოებრივ საკითხებზე, არ იყო საკმარისად დასაბუთებული (სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროები ყოველგვარი ბრალდებების გარეშეც გააუქმეს). აფხაზეთში არსებული მმართველობის გაუქმების შესახებ საკითხის დაყენება განაპირობა, არა ზემოთაღნიშნულმა ბრალდებებმა, არამედ იმ გარემოებამ, რომ სამთავრომ ამოწურა თავისი ფუნქცია პლაცდარმისა მთიელებთან ბრძოლაში. შემდგომში მისი შენარჩუნება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დიდმპყრობელურ ინტერესებს.

1864 წლის 1 მაისს გ.მილიუტინმა მიხეილ რომანოვს აცნობა, რომ იმპერატორი დაეთანხმა მის წინადადებებს და აძლევს უფლებას გამოუცხადოს მთავარს „о высочайшем соизволении на увольнение его от управления Абхазиею... Абхазия должна на вечные времена поступить в непосредственное управление поставленных от правительства властей“.¹¹¹ კავკასიის ომის დამთავრებიდან სამი დღის შემდეგ — 1864წ. 24 მაისს მიხეილ შერვაშიძეს ეცნობა იმპერატორის გადაწყვეტილების შესახებ. 1864წ. 1 ივლისს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ დ.სვიატოპოლკ-მირსკისადმი გაგზავნილ წერილში მიხეილ შერვაშიძე ეთანხმებოდა მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ ყოველნაირად აჭიანურებდა აფხაზეთიდან გამგზავრებას, რასაც დაჟინებით მოითხოვდა მისგან რუსული ხელისუფლება. კონსტანტინო-

პოლში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ მეფის-ნაცვლის კანცელარიაში გამოგზავნილი შეტყობინების საფუძველზე მიხეილ შერვაშიძე თურქეთში გადასახლების სურვილში დაადანაშაულეს და 1864 წლის ნოემბრის დასაწყისში დაპატიმრეს. იმავე წლის 14 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია თითქოს ადასტურებდა მიხეილის განზრახვას თურქეთთან მიმართებაში. მიღებული ინფორმაციის მიხედვით, „Кн. Шервашидзе, называя себя Хамудбеем и выдавая себя и свое племя за мусульман, принужденных некоторое время скрывать свою веру под личиной христианства, письмом трапезондскому генерал-губернатору просил содействия Порты к переселению абхазцев в Турцию, и что Турецкое правительство, на основании сего ходатайства, сообщенного ему Эмин Мухли пашею, намерено было сделать распоряжение о переселении, рассчитывая приблизительно, что число выходцев будет простираться до 20 тыс. человек.“¹¹² ძნელია მტკიცება, რამდენად შეესაბამება ეს ყოველივე სინამდვილეს. მიხეილ შერვაშიძე, ჩვენი აზრით, ნამდვილი ქრისტიანი იყო, რაზეც მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა მეტყველებს. სამთავროს გაუქმების შემდეგაც იგი ეკლესიურ ცხოვრებას ეწეოდა, მის გარემოცვას ძირითადად სასულიერო პირები შეადგენდნენ. 1864 წლის შემოდგომაზე, როცა მიხეილი ოჩამჩირის სასახლეში ცხოვრობდა, მას თან ახლდნენ აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, სულიერი მოძღვარი-დეკანოზი ვასილ (ბესარიონ) მიქაბერიძე, ორი მთავარი დიაკონი — ივანე თვალთვაძე და იოსებ ტვიტვინიძე, მედავითნენი — გრიგოლ კასრაძე და ალექსი ღვებუაძე.¹¹³ ვფიქრობთ, რუსებს ყველაზე ნაკლებად ამ შემთხვევაში სარწმუნოებრივი საკითხები აღელვებდათ. ისინი ეძებდნენ მიხეილ შერვაშიძის დაპატიმრებისა და აფხაზეთიდან გასახლების საბაბს; შეთითხნილი ბრალდებებით მიხეილი ჯერ სტავროპოლში, შემდეგ-როსტოვში და ბოლოს ვორონეჟში გადასახლეს. სულ მალე (1865 წლის 16 აპრილს) იგი გარდაიცვალა. დასაფლავებულია მოქვის ტაძარში — წინაპართა საძვალეში.

ქართველი მისიონერების დამსახურება აფხაზთა ფიზიკური გადარჩენის საქმეში

სამთავროს გაუქმება
გახდა ერთ-ერთი მთავარი
მიზეზი ლიხნის ცნობილი
აჯანყებისა (1866წ.), რომე-
ლიც ჩაბშობილ იქნა სამ-
ხედრო ძალის გამოყენე-

ბით. იმ პერიოდში დაიწყო მასობრივი მავპაჩირობა — მუსულმანური აღმსარებლობისა და რუსეთისადმი მტრულად განწყობილი აფხაზების თურქეთში გადასახლება პირველ რიგში, ეს შეეხო წაბელდას, სადაც 1866წ. ასევე იფეთქა აჯანყებამ. ამბოხებულებმა რუსული გამაგრებული პუნქტი ალყაში მოაქციეს. ალყაშემორტყმულ ჭარისკაცებს შორის „находился и абхазский миссионер протоирей Давид Мачавариани, который с крестом в руках ободрял горст русских войнов, защищавших честь(?) русского оружия“¹¹⁴ მაშველმარუსულმა ძალამ, რომელსაც მიხეილ რომანოვის ნათლულის — აღმასხან მარშანიას რაზმიც ეხმარებოდა, სასტიკად ჩაახშო ეს აჯანყება. წებელდისა და დალის მთელი მოსახლეობა თურქეთში გადაასახლეს.

იმპერატორის ნებართვით (1866წ. ნოემბერი), სხვა რაიონებიდანაც აფხაზების ორგანიზებული გასახლება იწყება. 1867 წლისათვის სულ 19342 აფხაზს დაატოვებინეს სამშობლო. ეს ციფრი შეიძლებოდა გაცილებით უფრო დიდი ყოფილიყო, რომ არა ქართველი სასულიერო და საერო პირების ძალისხმევა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ღვაწლი აფხაზთა წინაშე. აი, რას ამბობდა ამის შესახებ თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ამბროსი ხელაია: „ღმერთმა პირველ ხანებში მას (ალექსანდრე ოქროპირიძეს — ჯ.გ.) არგუნა სამსახური და მოღვაწეობა საქართველოს განაპირა მხარეში ჯერ როგორც აფხაზთა შვილების აღმზრდელს, შემდეგ როგორც მისიონერ-მქადაგებელს და ბოლოს როგორც მწყემსმთავარს. ის მუდამ თავგანწირულად ემსახურებოდა აფხაზთა მოქცევის საქმეს, არ ზოგავდა საკუთარ საშუალებას შკოლათ დაარსებისათვის, თავისი ხარჯით ზრდიდა აფხაზთა შვილებს და ამზადებდა მათ მღვდლობის ხა-

რისხში სამოღვაწეოდ, მედგრად იცავდა სამღვდლოების და სამ-
წყოს ინტერესებს, უხვად ეწეოდა ქვრივ-ობოლთა, მის და სამწყ-
სოს შორის არსებობდა მამაშვილური კავშირი, დაფუძნებული
ქეშმარიტად ქრისტიანულ სიყვარულზე... მოვიყვან ერთ მაგალითს
იმისას, თუ რანაირი გავლენა ჰქონდა განსვენებული მწიგნობარ-
ების ხალხზედ, რანაირი ნდობა ჰქონდა დამსახურებული თვით



მაჰმადიან აფხაზთა შორის. 1866
წლის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ
აფხაზების უმრავლესობა იძულე-
ბული გახდა გადასახლებულიყო
ოსმალეთში.

ამ უბედურ დროს, როცა აფ-
ხაზთათვის ყველა ქრისტიანის სა-
ხელის მატარებელი საზიზღარი
იყო, მხოლოდ ყოვლადსამღვდლო
ალექსანდრეს ჰქონდა აფხაზებთან
კავშირი, მხოლოდ მას უზიარებ-
დნენ თავიანთ ქირ-ვარამს, მას ენ-
დობოდნენ.

აი, ამ ხანებში მწყემსმთავარ-
თან შემოდის ერთი მაჰმადიანი
აფხაზი, სახელად ურუსი, თავისის

თორმეტი წლის შვილით. როდესაც ყოვლადსამღვდლომ ჩვეუ-
ლებრივი ალერსიანი კილოთი ჰკითხა ურუსს მოსიძლეს თუ არა,

უკანასკნელმა მოახსენა შემდეგი: „შენთან მოვედო
სო დამამო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს“.

მალეთში საცხოვრებლად და ჩემი ვაჟი უნდა დავსტოვო შენთან.
მეტი არ გამაჩნია რა, ცოლი და სხვა შვილები ადრე დაკარგე. არ
ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვსტოვებ ჩემს საყ-
ვარელ სამშობლოს. არ მინდა ჩემი უბედურება გავუზიარო ჩემს
ერთად-ერთის შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვი-
ცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულათ და იქნება ბედნიერი“-ო.

თვალცრემლიანი მამა გამოეთხოვა საყვარელ შვილს, რომე-

ლიც განსვენებულის მეოხებით და საფასით აღიზარდა და მღვდელ-
ლობაში დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას აფხაზეთში.

ამ ფაქტს განმარტება არ სჭირია. ამნაირ განწყობილებას სამწ-
ყოსთან დიდი ნაყოფი მოჰქონდა...

ნეტარხსენებულო მწყემსმთავარო, სხვა შენი მრავალმხრივ
ღვაწლთან ერთად ამასაც არ დაივიწყებს ქართველი ერი, აფხაზე-
თის ქრისტიანი ნაწილი და იქაური სამღვდელთაობა“.¹¹⁶

ალექსანდრე ოქროპირიძესთან ერთად აფხაზეთში მოღვა-
წეობდა დეკანოზი — ვასილ მიქაბერიძე — XIX. 40-ნ-50-ნ წლებ-
ში სამურზაყანოს ბლალოჩინი 1856 წლიდან ეშკეტის, ხოლო 1858
წლიდან ლიხნის კარის ეკლესიის მღვდელი და მიხეილ შერვაშიძის
სულიერი მოძღვარი; 1860 წელს სამეგრელოს ეპისკოპოსმა გერონ-
ტიმ (რომელიც აფხაზეთის ეპარქიასაც მართავდა) იგი ბერად აღ-
კვეცა. აქტიურ საქმიანობას ეწეოდა სამურზაყანოს ბლალოჩინი დ.
მაჭავარიანი; აფხაზეთში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა
1857 წელს სამეგრელოდან გადმოყვანილი მღვდელი გრიგოლ და-
დიანი; 1858 წელს ის ბიკვინთის, ხოლო 1859 წლიდან აბეუის ბლა-
ლოჩინია; 1862 წელს აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის იღუმენ-
ის ხარისხში აიყვანეს, 1865წ ალექსანდრე ოქროპირიძეს 65 აფხა-
ზის მონათვლაში დაეხმარა (1867 წლიდან კვლავ სამეგრელოშია,
იყო ხობის მონასტრის არქიმანდრიტი, სამეგრელოს ეპისკოპოსი,
საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი).
ეპისკოპოს ალექსანდრეს მმართველობის წლებში გამოჩნდნენ
პირველი აფხაზი სასულიერო პირები, მათ შორის ყველაზე
გამორჩეული იყო ლიხნის მკვიდრ ივანე გეგია, ქართულ-აფხაზური
ენების მცოდნე, პედაგოგი, აფხაზური ანბანის შექმნაში მონაწილე,
ლიხნის ტაძრის მღვდელი; შეიძლება დასახელდეს იოანე არგუნი,
რომელიც მარტვილის ტაძარში განათლების მიღების შემდეგ
(1858 წ.) მსახურობდა ეშკეტში (მედავითნედ), ანუხვაში (დიაკონად),
ეშერასა და ტყვარჩელში (მღვდლად).¹¹⁷ აფხაზეთში ბევრი სხვა ღირ-
სეული სასულიერო პირი მსახურობდა. თითოეულ მათგანს დიდი
წვლილი მიუძღვის აფხაზი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის გაქ-
რისტიანებაში, ამ ერის სულიერ და ფიზიკურ გადარჩენაში. მაჰა-

ჭირობამდე აფხაზებს შორის ქრისტიანთა მიახლოებით რაოდენობაზე მიუთითებენ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის კონიარის მიერ 1865 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის მიწოდებული ცნობები აფხაზეთში და მის ცალკეულ ოლქებში არსებული სოციალური ფენების შესახებ მათი სარწმუნოებრივი მდგომარეობის აღნიშვნით. ბზიფის ოლქის დაბალ ფენებში ქრისტიანთა რაოდენობამ 2907, ხოლო მუსულმანებისა — 15853 აღამიანი შეადგინა. ოლქის უფროსმა დ. ჰავკავაძემ თავისი აგიტაციით და მამობრივი მზრუნველობით თურქეთში გადასახლება გადააფიქრებინა ათასობით აფხაზს, 1867 წელს მან 2867 აფსუა მონათლა, რითაც ისინი ქვეშარიტ სარწმუნოებასაც აზიარა და მაჰაჯირობის საფრთხისაგანაც იხსნა. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის მონაცემებით, 1865 წელს წებელდაში არც ერთი ქრისტიანი არ ცხოვრობდა; სამურზაყანოში კი, პირიქით, მთელი მოსახლეობა (23 მუსულმანის გამოკლებით) მართლმადიდებლობას აღიარებდა. ამა თუ იმ ოლქში მოსახლეობის სარწმუნოებრივმა მდგომარეობამ პირდაპირი ასახვა ჰპოვა მაჰაჯირობა რაოდენობაზე. რომ არა ქართველი მისიონერები, აფხაზიერი, რომელსაც რუსეთი არასაიმედო ხალხად მიიჩნევდა და რომელსაც, მიხეილ რომანოვის სიტყვებით, „კავკასიის მხარის საუკეთესო ნაწილი ეკავა“, უბიხების ტრადიკულ ბედს უექველად გაიზიარებდა. მაჰაჯირობა უპირატესად მოსახლეობის მუსულმანურ ნაწილს შეეხო; მთლიანად დაიცალა წებელდა და დალის ხეობა, საიდანაც 14740 მუსულმანი აფხაზი თურქეთში გადასახლეს. ამ მხარის „გაწმენდა“ მხოლოდ მისი სტრატეგიული მნიშვნელობით როდი აიხსნება. ზღვისპირეთი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული თვალსაზრისით, მაგრამ იქიდან აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი არ გაუსახლებიათ. გადამწყვეტი როლი ამ შემთხვევაში სარწმუნოებრივმა ფაქტორმა ითამაშა. გასაგები მიზეზების გამო, ქართველმა მისიონერებმა ვერ გაშალეს მუშაობა წებელდასა და დალის ხეობაში, მოსახლეობა იქ, როგორც ითქვა, მთლიანად მუსულმანური იყო. ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უნდობლობისა და წებელდის ოლქის მთელი მოსახლეობის თურქეთში

განდევნისა. იმავე მიზეზით იგივე ბელი ეწია ფსხუს, ახჩიფსხუს და აიბგას აფხაზურ მოსახლეობას.

სულ სხვა ვითარება იყო ბიჭვინთის (1357 მაჰაჯარი), ღრანდისა (3245 მაჰაჯარი) და ოქუმის (არც ერთი მაჰაჯარი) ოლქებში, სადაც ქართველმა მისიონერებმა ათასობით ადამიანი მონათლეს, დააარსეს ან განაახლეს ეკლესია-მონასტრები, საფუძველი ჩაუყარეს სასულიერო და საერო განათლებას. მოსახლეობის ამ ნაწილს შედარებით ნაკლებად შეეხო მაჰაჯირობა, ყოველ შემთხვევაში, აფხაზი ხალხი სრულ განადგურებას გადაურჩა. ეს არის ქართველ მისიონერთა მრავალწლიანი მოღვაწეობის უმთავრესი შედეგი, მათი უპირველესი ისტორიული მნიშვნელობის დამსახურება.

XIX საუკუნის 60-წლებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ფონზე მისიონერული მუშაობა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულ აფხაზურ მოსახლეობაში უდიდეს სიძნელებთან, ძალიან ხშირად რეალურ საფრთხესთან და რისკთან იყო დაკავშირებული. ცნობილია შემთხვევები სასულიერო პირებზე თავდასხმისა და მათი ქონების განადგურებისა, რის შესახებაც ეპისკოპოსი ალექსანდრე 1866 წლის დეკემბერში კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს აცნობებდა. აფხაზეთის ეპისკოპოსი ხელისუფლებას მოახსენებდა იმის თაობაზე, რომ ყირიმის ომის შემდეგ აფხაზები სულ უფრო და უფრო ნაკლები რაოდენობით ინათლებოდნენ; ხშირი იყო ქრისტიანობის უარყოფის შემთხვევები (ორასი შემთხვევა), მათ შორის თავადების მხრიდანაც (10 შემთხვევა); ფართო მასშტაბები მიიღო თურქი მოკლეთის საქმიანობამ, განსაკუთრებით ოჩამჩირეში, კელასურსა და გუდაუთაში. მათ საოჯახო სკოლებიც კი ჰქონიათ გახსნილი, სადაც აფხაზ ბავშვებს იღებდნენ. მოკლები ეუფლებოდნენ აფხაზურ ენას, ქორწინდებოდნენ აფხაზ გოგონებზე, მათ შორის ქრისტიანებზე, ღიად ეწეოდნენ ისლამის პროპაგანდას. ეპისკოპოს ალექსანდრეს აზრით, აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ მესამედი ადიარებდა ქრისტიანობას; უმრავლესობა, პირველ რიგში, თავადაზნაურობა (სამთავრო სახლის გამოკლებით) ისლამის მიმდევარი იყო. ეპისკოპოსი წუხილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ აფხაზეთის

მთელ რიგ ადგილებში ქრისტიანი მმართველები და თავადები არ ზრუნავდნენ მართლმადიდებლობის გავრცელებისათვის, არ აშენებდნენ ეკლესიებს, არ იწვევდნენ მისიონერებს. უმთავრესად ეს ეხებოდა წებელდას, სადაც არც ერთ მისიონერს ფეხი არ დაუდგამს, აგრეთვე ტერიტორიას მდ. გუმისთიდან ახალ ათონამდე; მძიმე ვითარება იყო ამ მხრივ გუმისთის უბანში. აფხაზეთის ეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ „ни местное начальство края, ни христианские помещики Абхазии в настоящее время не исполнены того усердия и не оказывают того воздействия к распространению слова Божия, какими они отличались в первые годы водворения русских в Абхазии, когда все с таким рвением принялись за дело православного прозелитизма“.¹¹⁹ ეპისკოპოსი, ალბათ, შეგნებულად არ ამბობდა სრულ სიმართლეს. არ შეიძლებოდა მას არ სცოდნოდა, რომ აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას რუსეთის იმპერიული პოლიტიკა — ჩრდილოკავკასიელი თანამომხმეების უმოწყალო გენოციდი, აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, 1866 წლის ლიხნის აჯანყების ჩახშობა, დაწყებული მაჰაჯირობა — აფერხებდა. შექმნილ ვითარებაში რელიგიამ პოლიტიკური შინაარსი შეიძინა. დამპყრობელი და მოძალადე რუსეთი, რომელმაც უხეშად დაარღვია 1810წ. 10 თებერვლის სიგელი ქვეშევრდომობის შესახებ და აფხაზეთის სამთავრო გააუქმა, ქრისტიანობასთან გაიგივდა; შესაბამისად, მოსახლეობა, განსაკუთრებით თავადაზნაურობა, მის წინააღმდეგ განეწყა; თურქეთი, რომელიც კავკასიელ ხალხებს რუსეთის უღლისაგან განთავისუფლებას, სახელმწიფოებრივ და ეროვნულ დამოუკიდებლობას პირდებოდა, ისლამს განასახიერებდა. ამრიგად, თავისი უგუნური პოლიტიკით რუსეთმა მთიელთა თვალში ქრისტიანობა მონობის, უუფლებობის, ხოლო ისლამი კი თავისუფლების სიმბოლოდ აქცია. აი, რაში მდგომარეობდა XIX ს. 60-ნ წლების აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების შეფერხებისა და ისლამის გააქტიურების მიზეზი.

ყოველივე ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ ქართველი მისიონერები მონობისა და უუფლებობის იდეას ემსახურებოდნენ. რე-

ალობიდან გამომდინარე, მათი ძალისხმევა ობიექტურად ხალხის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისაკენ იყო მიმართული, რაც მაპაჯირობის ტრაგიკულ წლებში მკაფიოდ გამოვლინდა. ქართველ მისიონერთა დეაწლი იმიტომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ამგვარ პირობებშიც კი ახერხებდნენ აფხაზთა გარკვეული ნაწილის გაქრისტიანებას, ეკლესიების განახლებას, სკოლების გახსნას და მათზე ზრუნვას. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ „განაახლა სოხუმის ახლოს ძველი ეკლესია მოსახსენებლად იმპერატორის ალექსანდრე მეორის სასწაულებრივი გადარჩენისა 4 აპრილს 1866 წელსა“¹²⁰ (ამ დღეს პეტერბურგში მას თავს დაესხა დ.ვ. კორაკოზოვი), რისთვისაც იმპერატორის მადლობა დაიმსახურა. 1868 წელს ეპისკოპოსმა სოხუმის სასაფლაოს ეკლესია განაახლა. იმავე წელს იგი წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ალექსანდრეს ეპისკოპოსობის დროს კიდევ ერთხელ (1858 წლის შემდეგ) დაისვა სოხუმის საკათედრო ტაძრის მშენებლობის საკითხი. იგი სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა ვ. გეიმანმა 1867წ. ნოემბერში წამოაყენა (დანართი №7) და შემდგომში ბიუროკრატიული მიწერ-მოწერის საგანი გახდა. 1868 წლის 7 მარტს კავკასიის მთიელთა სამმართველოდან (კავკასიის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში იყო) მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოში გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ ამჟამად, როცა სოხუმი უკვე აფხაზეთის ცენტრია და მიმდინარეობს მუსულმანთა გაქრისტიანება, ქალაქში საკათედრო ტაძრის აგების აუცილებლობამ სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. სოხუმში, სადაც უპირატესად ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობს და საეპისკოპოსო კათედრაც იმყოფება, — გვითხულობთ ხსენებულ დოკუმენტში, — „есть всего навсего один разваливающийся молитвенный дом с алтарем на юг. Такая мизерная наружная обстановка церкви едва-ли производит благоприятное впечатление на новообращенных“. ამასთან დაკავშირებით, კავკასიის მთიელთა სამმართველო ითხოვდა დადგეს საკითხი „о крайней необходимости возведения в Сухуме

პრილიჩნოგო ხრამა". სამმართველო საქართველოს ეგზარქოსს საჭირო თანხის გამოყოფას სთხოვდა. სოხუმის საკათედრო ტაძარი მოგვიანებით (1884 წელს) აშენდა, მაგრამ საჭირო თანხა (38753 მან, 29 კაპ.) ვგვიმანმა მოაგროვა.¹²¹

1866 წლის დეკემბერში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ თბილისში ალექსანდრეს სამასწავლებლო სკოლა დააფუძნა და 1867 წლიდან მის დირექციას საზოგადოების სკოლების მართვა-გამგეობის ფუნქცია დააკისრა. აფხაზეთის ეპარქია დიდ ყურადღებას აქცევდა განათლების საკითხებს, სკოლების გახსნას. მაგალითად, სამურზაყანოში 1868 წლისათვის მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 11 სკოლა (ოქუმის, დიხაზურგის, ბედლის, გუდავის, თავილონის, I და II საბერიოს, ბარლების, ნაბაკევის, ქუბერხინჯის, ფახულანის) მოქმედებდა, სადაც 12 მასწავლებელი (მღვდელი) და 287 მოსწავლე (მათ შორის 37 გოგონა) ირიცხებოდა. (1865 წელს ამ სკოლებში 340 მოსწავლე, მათ შორის 48 გოგო სწავლობდა). 1869 წელს მოსწავლეთა რიცხვი ოდნავ შემცირდა (იხ. დანართი №25). საკუთრივ აფხაზეთში 1864 წელს, კაკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების რევიზორის ნ.ლოლობერიძის ზემოთმოტანილი ანგარიშის მიხედვით, ოფიციალურად სკოლები არ არსებობდნენ, მაგრამ სხვადასხვა მონაცემებით ტამიშში (ამის შესახებ ნ.ლოლობერიძეც წერდა), შუაწყალში, ააცში, ლიხნში, ეშკეტსა და ბაშკიტში ადგილობრივ მღვდლებთან 10 ბავშვი იღებდა ელემენტარულ განათლებას. ილორში თითქოს სკოლაც არსებობდა, სადაც 12 ბავშვი სწავლობდა. მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა აფხაზეთში ქართველები ყოფილან. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ილორის სკოლას საკუთარი ხელფასიდან 200 მანეთი შესწირა. აღნიშნული სკოლა შედარებით უზრუნველყოფილი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ილორის წმ. გიორგის ეკლესიას მარტო ხონში თავის საკუთრებაში ჰყავდა ყვები — 72 ოჯახი (შემდგომში ოჯახების რაოდენობა გაიზარდა), საიდანაც სოლიდურ შემოსავალს იღებდა. 1866 წლისათვის აფხაზეთში მოსწავლეთა კონტინგენტი გაიზარდა (49 ბავშვი). აგრძელებდა ფუნქციონირებას სოხუმის მთიელთა სკოლა. მისი

მასწავლებელი თოფურია 1865 წლის 4 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექციას აცნობებდა, რომ სკოლაში 13 მოსწავლე (მათ შორის 4 სტიპენდიანტი) ირიცხებოდა.¹²²

1866 წლის 19 ივნისს გაზეთი „კავკაზ“ (№47) სოხუმში იმავე წლის 3 მარტს ქალთა სასწავლებლის საზეიმო გახსნის შესახებ იუწყებოდა. „Молебен совершил преосвященный Александр, епископ Абхазский, в присутствии начальника военно-Сухумского отдела и супруги его Л.Н. Конярь, основательницы этого заведения, почетных лиц города и нескольких отцов и матерей с их дочерьми. По окончании молебна было провозглашено протодиакonom многолетие Государю Императору, всему Августейшему дому и великому князю Наместнику“, — წერდა გაზეთი. ეს იყო ორი განყოფილებისაგან (უმცროსი და უფროსი) შემდგარი ფასიანი სკოლა. უმცროს განყოფილებაში ასწავლიდნენ ლოცვებს, ძველი და ახალი აღთქმის მოკლე ისტორიას, წერა-კითხვას რუსულ ენაზე, არითმეტიკას (ოთხივე მოქმედებას), კალიგრაფიას და ხელგარჯილობას; მეორე — უფროს განყოფილებაში მოსწავლეებს რთული პროგრამით ასწავლიდნენ: „По закону божию-та же священная история с кратким катехизисом, объяснительное чтение и заучивание полезных по содержанию статей и практическая грамматика...; по арифметике-до дробей включительно; по географим — краткий обзор пяти частей света и несколько подробнее география России, так же краткие космические понятия о земле; каллиграфия, рукоделие и французский язык“ (ეს უკანასკნელი, სურვილის მიხედვით). საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი (უცნობია) პირადად დასწრებია მეცადინეობას უფროს კლასში, სადაც მას 10-13 წლის 7 რუსი გოგონა უნახავს. ისინი თურმე ყურადღებით უსმენდნენ „рассказ законоучителя о продаже Иосифа братьями. Перед ними на пюпитре лежала картина Шнорра, изображавшая это ветхозаветное событие. По окончании рассказа священник стал поодиночке перес-

прашивать девиц, и те, смотря на картины, довольно от-
четливо отвечали". ბავშვები „весьма недурно“ პასუხობდ-
ნენ მღვდლის შეკითხვებზე სურათის გარეშეც. სკოლაში ჰქონიათ
გერმანელი მხატვრის იულიუს შნორ ფონ-კაროლსფელდის (1796-
1872 წწ) ბიბლიური ისტორიის სურათების სრული გამოცემა
(გამოვიდა გერმანიაში 1860წ., შეიცავდა 240 სურათს), ფ. სიმამ-
კოს (1821-1893 წწ) ატლასი, რუსი პედაგოგისა და კარტოგრაფის
ნ. ზუევის რუსეთის რუქა.

სკოლის მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა ასეთი ყოფი-
ლა: 13 რუსი, 2 ბერძენი, 1 ებრაელი, 5 აფხაზი (სულ 21 ბავშვი). ავ-
ტორს განსაკუთრებით აფხაზი გოგონები აინტერესებდა. „Из аб-
хазок поступила пока 5 учениц, — წერდა იგი; — но я сли-
шал, что многие родители абхазцы желают отдать своих
дочерей в училище, затрудняются только в помещении
и содержании их, потому что постоянных жителей из ту-
земцев в Сухуми вовсе нет, а отдавать к русским или
купцам мингрельцам они не решаются или по своей не-
состоятельности, или же по религиозным предрассуд-
кам“. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ 1866 წელს ქ.
სოხუმში არც ერთი აფხაზი არ ცხოვრობდა. ამ ცნობას ნაწილობ-
რივ ადასტურებენ ქ. სოხუმის აღწერის 1864 წლის ოფიციალური
მონაცემები. ქალაქის მკვიდრნი ეროვნების მიხედვით შემდეგნაი-
რად იყვნენ განაწილებულნი: 450 ქართველი (მეგრელი), 217 ბერ-
ძენი, 78 სომეხი, 25 აფხაზი, 25 თურქი და 25 რუსი; გარდა ამისა,
სოხუმში დროებით ცხოვრობდა 320 უცხოელი, 42 ოფიცერი, 24
ჩინოვნიკი და 5 ვაჭარი; ქალაქში და მის შემოგარენში უძრავ ქონე-
ბას (სახლს) ფლობდა 173 დაბალი რანგის სამხედრო მოსამსახურე,
45 მეგრელი, 43 ვაჭარი და მეშხანი, 30 ოფიცერი, 12 ჩინოვნიკი, ხუ-
თი უცხოელი და სამი აფხაზი. „არც ერთი თურქი და არც ერთი
აფხაზი ქალაქში არ დასახლებულა“,¹²³ — ნათქვამია დოკუმენტში.
ქალაქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა გარკვეულ წარ-
მოდგენას გვიქმნის მისი სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ
— უმრავლესობას მართლმადიდებლები შეადგენდნენ.

იმ პერიოდში ფუნქციონირებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზური განყოფილება გენერალი გიორგი ალექსანდრეს ძე შერვაშიძის ხელმძღვანელობით. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან, ნიკო ნიკოლაძესთან, რაფიელ ერისთავთან, ნიკო დადიანთან; გ. შერვაშიძე თანამშრომლობდა კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების კომისიასთანაც (ი.ა. ბარტოლომეი, პ.კ. უსლარი, დ. ფურცელაძე), რომელმაც აფხაზური დამწერლობის შექმნა და ბიბლიის თარგმნა გადაწყვიტა. კომისიის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ მიხეილ შერვაშიძის ძმა, ქართველი თავადაზნაურობის 1832 წლის აჯანყების მონაწილე კონსტანტინე შერვაშიძე, ქართული და აფხაზური ენების კარგი მცოდნე ლიხნის ეკლესიის მღვდელი ივანე გეგია, პრაპორ შიკი გ. ქურციკიძე, ს. ეშბა.

ეს უკანასკნელი (დაიბადა 1825 წელს) იმ დროისათვის განათლებულ ადამიანად ითვლებოდა; ობლად გაზრდილი ბავშვი ბომბორის სამხედრო-გამაგრებულ პუნქტში რუსულ წერა-კითხვას ნ წელიწადს ეუფლებოდა; 1837 წელს მისიონერ ანტონ დადიანის მითითებით, სიმონ ეშბა ს. ჟორდანიამ მონათლა; ფლობდა აფხაზურ, ქართულ, მეგრულ, რუსულ და თურქულ ენებს, მსახურობდა აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის თარჯიმნად. 1858წ. ეპისკოპოსმა გერონტიმ ს. ეშბა ჯილდოზეც წარადგინა.¹²⁴

ქართველ და აფხაზ სწავლულთა მონაწილეობით მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ შექმნა და 1865წ. გამოაქვეყნა აფხაზური ანბანი სათაურით „Доброе чтение православным“. მასში ანბანთან ერთად ძირითადი ქრისტიანული ჭეშმარიტებები იყო ჩართული. 1866 წელს ამ ანბანით სარგებლობდნენ აფხაზური სკოლები. სულ მალე — 1868 წელს საზოგადოების საბჭომ აფხაზური აღიარა „ჩვილ და განუვითარებელ“ („Младенческим и неразвитым“) ენად, ამიტომ „всякие попытки к передаче на нем книг Священного Писания были оставлены“.¹²⁵ ცხადია, ეს იყო, თუ ასე შეიძლება ითქვას, არა ლინგვისტური, არამედ პოლიტიკური გაწყვეტილება, რომელიც 1866-1867

წწ მოვლენებს, ასევე აფხაზეთის სკოლების გაუქმებას (ვითომ მოსწავლეთა მცირერიცხოვნობის გამო) უკავშირდებოდა.

1868 წლისათვის აფხაზეთში მორიგი ადმინისტრაციული რეფორმა განხორციელდა. სამთავროს გაუქმებისთანავე, სოხუმის სამხედრო განყოფილების შემადგენლობაში შეყვანილი სამი ოლქი (ბზიფის, სოხუმის, აბჟუის) და ორი საბოქაულოს (სამურზაყანოს, წებელდის) ნაცვლად, 1866 წელს ოთხი ოლქი (ბიჭვინთის, წებელდის, დრანდის, ოქუმის) ჩამოყალიბდა; 1868 წელს კი იქმნება ორი ოლქი, რომლებიც უზნებად იყოფოდნენ. ბიჭვინთის ოლქი მოიცავდა გუდაუთისა და გუმისთის უბნებს, ოჩამჩირის ოლქი კი კოდორისა და სამურზაყანოს უბნებისაგან შედგებოდა. ცალკე მმართველობა ჰქონდა წებელდას.¹²⁶

1868 წლისათვის ქართველი მისიონერების ძალისხმევით, სამურზაყანოს მთელი მოსახლეობა (გარდა გუდავაში მცხოვრები 21 მუსულმანისა) — 22426 ადამიანი მართლმადიდებლობას აღიარებდა. მისიონერთა ღვაწლის დაკნინების გარეშე უნდა ითქვას, რომ ისინი ამ ქართულ რეგიონში გაცილებით ნაკლებ სიძნელეებს აწყდებოდნენ, ვიდრე საკუთრივ აფხაზეთში. თავად ბლალოჩინი დ. მაქავარიანის ინფორმაციით, „ბოლო დროს დაწყებული სამურზაყანოელთა მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, თუმცა არის დიდი დამსახურება, მაგრამ არ წარმოადგენდა ისეთ სიძნელეს, როგორსაც ის უცილობლად შეხვდებოდა, აქ რომ მუსულმანობას ღრმა ფესვები ჰქონოდა გადგმული“.¹²⁷ ამიტომაც იყო განსხვავებული სურათი დანარჩენ აფხაზეთში. გუდაუთის უბანში 8126 ქრისტიანი და 14451 მუსულმანი თუ წარმართი ცხოვრობდა; კოდორში (ოჩამჩირის რაიონი) — 6671 ქრისტიანი და 7645 მუსულმანი (წარმართი). სრულიად უმნიშვნელო გახლდათ ქრისტიანთა რაოდენობა გუმისთის უბანში — 507. აქედან 497 — დრანდის თემიდან იყო. მუსულმან-წარმართთა რიცხვმა მთელს უბანში 6021 ადამიანი შეადგინა. ამრიგად, აფხაზეთში (სამურზაყანოს გარეშე) 15404 ქრისტიანი და 28127 მუსულმანი (წარმართი) ცხოვრობდა. ეკლესიათა რაოდენობამ იმ პერიოდისათვის შეადგინა აფხაზეთში — 16, სამურზაყანოში — 15; მღვდლების რაოდენობამ — შესაბამის-

სად, 18 და 15 (იხ. დანართები №№18-19). ეს იყო ქართული სამღვდელ-
ლოების სერიოზული წარმატება, რომელიც ურთულეს ვითარე-
ბაში ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ხელმძღვანელობით იქ-
ნა მიღწეული.

ეპისკოპოს გაბრიელის მონათლულთა რწმენაში (ქიქოძე) ეპოქა განმტკიცებისა და ქრისტიანობის შემდგომი გავრცელებების მიზნით, ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა აფხაზეთის ეპარქიაში რეფორმის ჩატარება. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა ვ. გეიმანმა 1867 წლის 14 ნოემბერს ამ საკითხზე სპეციალური მოხსენება გაუგზავნა მეფისნაცვალს (იხ. დანართი №17) იგი არაობიექტურ შეფასებას აძლევდა ყოფილი მთავრის მიხედვლ შერვაშიძისა და მოქმედი ეპისკოპოსის ალექსანდრეს, მთლიანად აფხაზეთის სამღვდელოების მოღვაწეობას, აყენებდა ეპარქიის გაუქმებისა და მისი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი (ქიქოძე) დაქვემდებარების საკითხს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეგზარქოსი ევსევი მთიელთა სამმართველოს უფროსს დ. სტაროსელსკის წერდა, რომ თუ ეპისკოპოსი გაბრიელი თანახმაა შეიერთოს აფხაზეთ-სამურზაყანოს ეკლესიები, მაშინ მიეცეს წინადადება ჩავიდეს იქ და უშუალოდ ადგილზე გაეცნოს ეკლესიის მდგომარეობას, ღრმად გაერკვეს იქაურ პრობლემებში. ეს წინადადება მეფისნაცვალთანაც იყო შეთანხმებული. 1868წ. 20 აპრილს კავკასიის მთიელთა სამმართველოში გენ. ი. ბარტოლომეის, ეპისკოპოს გაბრიელისა და სხვათა მონაწილეობით თათბირი ჩატარდა, სადაც განიხილეს საკითხი აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აუცილებელი ზომების შესახებ. შემუშავებული წინადადებები (მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების თანხები მოხმარდეს აფხაზეთში ქრისტიანობის განვითარებას; გაიგზავნოს იქ მეტი მასწავლებელი, ვიდრე სხვა ადგილებში; მღვდლების ხელფასი ნაცვლად 350 მანეთისა, 500-600 მანეთამდე გაიზარდოს; სოხუმის მთიელთა სკოლის ოცივე მოსწავლეს დაენიშნოს სტიპენდია — თითოზე 80 მანეთი და ა.შ.) 23 აპრილს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭომ განიხილა; გადაწყდა ეთხო-

ვოს ეპისკოპოსს გაბრიელს „предварительно осмотреть аб-
хазские приходы и по собрании на месте сведений о ду-
ховных и материальных нуждах местного духовенства и
паствы, сообщить об них совету, с указанием средств,
необходимых для их устранения и за тем по получении
этих сведений принять оныя в соображение при состав-
лении бюджета общества на 1869 год“.¹²⁸ ამ გადაწყვეტი-
ლების შესასრულებლად იმერეთის ეპისკოპოსმა, გამოჩენილმა
ქართველმა სასულიერო მოღვაწემ გაბრიელ ქიქოძემ 1868 წლის
მაის-ივნისში აფხაზეთში იმოგზაურა, ეკლესია მოანსტრები დაათ-
ვალიერა, ათაობით ადამიანს შეხვდა და ეს ყოველივე თავადვე აღ-
წერა. მოგზაურობისას მღვდელმთავარს თან ახლდნენ სოხუმის
სამხედრო განყოფილების უფროსი ვ.ა. გეიმაანი, აფხაზეთის ეპის-
კოპოსი ალექსანდრე, ბლალოჩინი დ. მაქავარიანი და სხვა სასული-
ერო თუ საერო პირები. 13 მაისს სოხუმში ჩამოსული გაბრიელი
მეორე დღეს ქალაქის სამხედრო ეკლესიას ეწვია, სადაც მრავალ-
რიცხოვანი პუბლიკა (ძირითადად სამხედროები) იყო შეკრებილი;
ჩაატარა წირვა, საზოგადოებას აცნობა „о радостном для цар-
ского дома и для всей России событии“ – უფლისწული
ალექსანდრეს ვაჟი შვილის, მომავალი (ბოლო) იმპერატორის – ნი-
კოლოზის დაბადების (1868წ. 6 მაისი) შესახებ; მოუწოდა მათხელი
შეუწყონ მთიელთა შორის მართლმადიდებლობის გავრცელებას,
„без чего Кавказ нельзя еще считать совершенно завое-
ванным и усвоенным“

15 მაისს გაბრიელი და მისი თანმხლები პირები ბიკვინთაში ჩა-
დიან; სტუმრები კარგად მიიღეს როგორც ადგილობრივმა ქრის-
ტიანებმა, ისე მუსულმანებმა; დაათვალიერეს ტაძარი, რომლის აღ-
დგენა ფაქტობრივად დამთავრებული იყო. იმავე დღეს იმერეთის
ეპისკოპოსი ლიხნში ჩამოვიდა; უამრავი ხალხი მას პურ-მარილით
დახვდა; ეპისკოპოსმა შეკრებილ საზოგადოებას ქართულ ენაზე მი-
მართა, მის ნათქვამს აფხაზეთად ცნობილი პედაგოგი და მღვდ-
ელი ივანე გეგია თარგმნიდა. 16 მაისს გაბრიელმა ლიხნის ტაძარში
წირვა ჩაატარა. ერთ-ერთმა აფხაზეთმა თავადმა მონათვლის სურვი-

ლი გამოთქვა, რისი შესრულება ადგილობრივ მღვდელს დაევალა. ეპისკოპოსმა სოხუმის განყოფილების ყოთილი უფროსის, 1866 წლის აჯანყების დღეებში მოკლული კონიარის საფლავიც მოინახულა და მისი სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

16 მაისს გაბრიელი ხუაფში (დოკუმენტის მიხედვით, ხონში) ჩადის და ქრისტიან ტიტო მარლანიას სახლის წინ შეკრებილ დიდ-ძალ ხალხს — მართლმადიდებლებს და მუსულმანებს ხვდება. აქგაიცნო გაბრიელმა ის მტკიცე ქრისტიანი აფხაზი, რომელმაც 1855წ. ომერ-ფაშას შექებაც კი დაიმსახურა. აღმოჩნდა, რომ სოფელში ბევრი ახალმონათლული ქრისტიანია (ოლქის უფროსის დ. ქავკავაძის მონათლულები). მაგრამ არ იყო ეკლესია, არც მღვდელი ჰყოლიათ. ეპისკოპოსმა თავისი ამალიდან მღვდელი დგებუაძე შეარჩია და ხუაფში დატოვა.

17 მაისს გაბრიელი სოფ. დურიფშს (დოკუმენტის მიხედვით, დირიშს) ეწვია. აქაც ეკლესია არ ჰქონიათ, მაგრამ ჰყავდათ მღვდელი, რომლის სახლის წინ შეკრებილ ქრისტიანებს და მუსულმანებს ეპისკოპოსმა სიტყვით მიმართა. იმავე დღეს გაბრიელი სოფ. ააცში ჩადის და ადგილობრივი ეკლესიის წინ შეკრებილ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს ხვდება. სტუმარმა ღამე ალექსანდრე შერვაშიძის სახლში გაათია და მეორე დღეს ეკლესიაში წირვა ჩაატარა.

ააციდან წამოსული სტუმრები ანაკოფიაში ჩამოვიდნენ, პირველ რიგში, სიმონ კანანელის ტაძრის ნანგრევები მოინახულეს, სადაც გაბრიელმა ლოცვა ჩაატარა; ამის შემდეგ ფსირცხაში — ცნობილი თურქოფილის, 1856წ. ოსმალეთში გადახვეწილი ჰასან მარლანიას სახლში მივიდნენ; მაჰმადიანი ჰასანი საკუთარი სახლის მშენებლობისას თურმე სიმონ კანანელის ტაძრის ნანგრევების ქვებს იყენებდა. გაბრიელი წერს: „Рассказывают, что сам бывший владетель Абхазии Михаил предсказал ему, что он не будет жить в этом доме. Что же случилось. Как только Маргания поселился в оконченном доме, начались его семейные невзгоды кончиною старшего любимого им сына, а потом и других детей. Наконец, и он сам... пере-

სელიлся с семейством в Турцию". მისი ერთი შვილი დაბრუნდა აფხაზეთში, მიიღო ქრისტიანობა (კ.მაქაევარიანის ცნობით, ჰასან მარლანიას ქალი შვილი მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა მონათლა; დასაფლავებულია სიმონ კანანელის ეკლესიის ეზოში. — იხ. მისი *Описательный путеводитель*, გვ. 187), უარი თქვა მამისეულ სახლზე და იგი ეკლესიას შესწირა. ეპისკოპოსმა ეს სახლი სიმონ კანანელის სახელზე აკურთხა. ჰასან მარლანიას ოჯახთან დაკავშირებულ ისტორიას, რის შესახებაც აფხაზეთში ყველამ იცოდა, გაბრიელი ქადაგებისად იყენებდა. ფსირცხაში შეკრებილ ხალხს იგი სიმონ კანანელზე ესაუბრა. შეკრებილთა შორის მარლანიას მონათლული შვილიც იმყოფებოდა. ამ სოფელში 200 ქრისტიანი ცხოვრობდა, მაგრამ ეკლესია არ ჰქონდათ.

19 მაისს — სულთმოფენობის დღეს — გაბრიელმა სოხუმის ეკლესიაში უამრავი ხალხის, მათ შორის აფხაზების თანდასწრებით ლიტურგია ჩაატარა.

20 მაისს იგი დრანდაშია. აქ გრიგოლ შერვაშიძე დახვდარამდენიმე თავადით და სამურზაყანომდე მიაცილა. დრანდის მონასტერი გაბრიელს მოეჩვენა „одною из оригинальнейших из всех виденных мною во всем Закавказье“; აუცილებლად მიიჩნია მისი აღდგენა და იქვე სკოლის გახსნა. დრანდაში ბევრი ადამიანი შეკრებილა, ძირითადად მუსულმანები; სოფელში სულ 5-6 ოჯახი ყოფილა იმ დროს ქრისტიანული. აქედან სადეკუაში ჩასულან, სადაც 30 ქრისტიანული ოჯახი ცხოვრობდა. ამ სოფლის გარდა, ქრისტიანები ბაბუშერაში, განსაკუთრებით ვარჩეში (სულ 100 ოჯახი) ცხოვრობდნენ; ვინაიდან მათ ეკლესია არ ჰქონდათ, აძიუბეჟის მრევლზე ყოფილან მიწერილი, გაბრიელმა სოფ. სადეკუას სასაფლაოზე აგებული ხის ეკლესია აკურთხა, ხალხს ეკლესიის მნიშვნელობა და ქრისტიანთა მოვალეობები აუხსნა; მოსახლეობის მოთხოვნით, მღვდელი თოფურია დრანდაში დანიშნა და მდინარე კოდორამდე მდებარე სოფლების მომსახურება დაავალა. აქედან აძიუბეჟისაკენ აიღეს გეზი; კოდორის შესართავთან უბნის უფროსი გ. შელკაჩოვი, სამურზაყანოსა და მიმდებარე ადგილების თავადები დახვდნენ. აძიუბეჟის ეკლესიაში მრავალი ქრისტიანი კაცი, ქალი და

ბავშვი იყო შეკრებილი. ისინი უსმენდნენ გაბრიელს „не только внимательно, но и с умилением“. თუ აქამდე თარჯიმნობდა მღვდელი ი. გეგია, ამჯერად ეს მოვალეობა გრიგოლ შერვაშიძემ იკისრა. გაბრიელმა ბევრი ისაუბრა დოგმატურ და ზნეობრივ საკითხებზე.

22 მაისს ეპისკოპოსი ათარაში ჩავიდა და გრიგოლ შერვაშიძის სახლში შეჩერდა. მეორე დღეს უამრავი ხალხის, მათ შორის არაქრისტიანების თანდასწრებით ადგილობრივ ეკლესიაში წირვა ჩატარა. აქედან კინდლში გადავიდნენ, სადაც თითქმის მთელი მოსახლეობა (90 ოჯახი) ქრისტიანული ყოფილა. ასეთ სოფელს ეკლესია არ ჰქონია, არც მღვდელი ჰყოლია და ტამიშზე ყოფილა მიწერილი. შეკრებილ კაცებს, ქალებსა და ბავშვებს გაბრიელი ესაუბრა: „Я доволен учил их вере и нравственности христианской, убеждая их жить так свято и чисто, чтобы те, кой еще не крещены, из самого их поведения и образа жизни, могли увериться в том, что православная вера есть единая, истинная, просвещающая людей“. სოფლის მაცხოვრებლებმა მღვდლის დანიშვნა მოითხოვეს და ეკლესიის აშენების სურვილიც გამოთქვეს. გაბრიელმა იქვე მიიღო გადაწყვეტილება აფხაზურის მცოდნე მეგრელი მღვდლის კინდლში დანიშვნის შესახებ.

იმავე დღეს გაბრიელი სოფ. ტამიშში ჩადის და კნეინა კესარია დადიანთან (გრ. შერვაშიძის დედა) ჩერდება. მეორე დღეს — 23 მაისს ადგილობრივ ეკლესიაში წირვა ჩატარა და ხალხს სიტყვით მიმართა. თარჯიმნობდა ივანე გეგია, რომელსაც აფხაზურის კარგად მცოდნე კნ. კესარია ეხმარებოდა. „По окончании поучения, — წერდა გაბრიელი, — я роздал маленьким детям крестики, заставляя боле возрастных изображать на себе крестное знамение, чтобы узнать, умеют ли они это делать.“ გაბრიელი კვლავ ესტუმრა კესარია დადიანს და ჰქონდა მასთან დაწვრილებითი საუბარი აფხაზეთში მართლმადიდებლობის მდგომარეობის შესახებ. „Эта женщина замечательна в своем роде, — ამბობს ეპისკოპოსი, — она принесла много пользы

христианству в Абхазии, ее стараниями обращены сотни абхазцев, особенно из дворянского сословия. Еще очень молодою она вышла замуж из Мингрелии за одного из князей Шервашидзе, пользовавшегося влиянием и значением в Абхазии, который желая ее руки, принял крещение, с тех пор ее муж, а по смерти его она были покровителями и ревностными распространителями христианства.

По его смерти она продолжает трудиться в пользу христианства еще ревностнее”.

გაბრიელისა და დ. მაჭავარიანის საუბარი კნენასთან ეხებოდა საკითხებს „какими способами действовать на нерекрещенных, в каких местностях можно ожидать успеха проповеди, нет ли кого из влиятельных особ, склонных к христианству и проч”. გაბრიელმა სთხოვა კესარიას, როგორც აფხაზური ენის შესანიშნავ მცოდნეს, მღვდელ ი. გეგიასთან და დეკანოზ დ. მაჭავარიანთან ერთად შეედგინათ კომიტეტი და „поставиться перевести по абхазски первоначальные молитвы, Верую, десять заповедей и если возможно и что возможно из Литургии и воскресных евангелии”. კნენას სიხარულით მიუღია დავალება. მას ასევე დაუსახელებია რამდენიმე გაელენიანი თავადის გვარი, რომლებიც მართლმადიდებლობისაკენ იხრებოდნენ; უთქვამს, რომ შეეცდება მათ გადმოიბრებინოს და ეპისკოპოსთან მოყვანას.

23-24 მაისი გაბრიელმა კესარიას სახლში გაატარა. მეორე დღეს კვიტოულის ეკლესიაში წირვა შეასრულა; ხალხთან საუბრისას, აუხსნა მათ „дневное Евангелие о любви к ближним, о чистоте нравов и другие великие истины из нагорной проповеди. Показал какой любви, мира и согласия требует от нас Евангелие, я старался вразумить их как оно улучшает и возвышает человека и как оно располагает и улучшает хорошо взаимные отношения членов семьи, общества и народа”...

კვიტოულში გაბრიელმა კესარიას მეორე შვილის — გვიდო (გიდო) შერვაშიძის სახლში ისაძლია. დედა შვილს არ ელაპარაკებოდა. ამის მიზეზი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, ვფიქრობთ, დედის უკმაყოფილება ყირიმის ომის წლებში გიდი შერვაშიძის თურქებთან თანამშრომლობას უკავშირდება. ასეთ თუ ისე, გაბრიელმა ისინი შეარიგა. კესარიამ განაცხადა: „Мой сын нанес мне жестокую обиду, клянусь, если бы сам русский царь просил меня простить ему, я не послушалась бы его, но вы говорите мне именем христовым и я не смею Вас не слушаться”.

კვიტოულიდან წამოსულები, მოქვეში ჩამოვიდნენ და ახლად აღგენილ, სახელგანთქმულ უძველეს ტაძართან გაჩერდნენ. მისი დათვალიერების შემდეგ ეპისკოპოსი ქლოუდან ჩამოსულ მამადიანებს ესაუბრა. გაბრიელს გაგონილი ჰქონდა, რომ, რაღაც მიზეზით, ქლოუს მცხოვრებთა გადასახლება უნდოდათ, მაგრამ მათ დატოვება ითხოვეს და მონათვლის სურვილიც თითქოს გამოთქვეს. გაბრიელმა ქლოუდან ჩამოსულთ ამ სურვილის შესახებაც შეახსენა და ბოლოს განაცხადა: „если в моих речах есть что-либо противное разуму и истине, объясните; если не можете объяснить вы, пусть ваши наставники муллы теперь же пред вами опровергнут мои слова и докажут превосходство магометанского учения”. ქლოუელებს მოლები არ მოუყვანიათ, მაგრამ ძალიან განაწყენდნენ გადასახლების თაობაზე ძველი მუქარის შესხენების გამო. გ. შელკაჩოვმა და დ. მაკავარიანმა ისინი ძლივს დააწყარეს.

მოქვეში კნ. კესარიამ, დაპირებისამებრ, ორი პროზელიტი — მარშანია და მარლანია მოიყვანა.

25 მაისს მოქვის ტაძარში გამართულ წირვას სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული ბევრი ქრისტიანი და მუსულმანიც კი დაესწრო. მათ შორის იყო მთელს აფხაზეთში ცნობილი ასი წლის ანჩაბაძის ქალი — მთავრის ერთ-ერთი შვილის გამზრდელი. როცა ბავშვი ავად გამხდარა და არანაირმა მკურნალობამ არ უშველა, მას უფლისთვის უთხოვია ავადმყოფის გადარჩენა, რის შემდეგაც მო-

ინათლებოდა. ბავშვი გამოჯანმრთელებულა. ანჩაბაძის ქალი მტკიცე მართლმადიდებელი გამხდარა. წირვას ესწრებოდა აგრეთვე ვინმე მარლანია, რომელსაც ავადმყოფობის დროს სიზმარი (ხილვა) უნახავს — თუ მოინათლებოდა, მაშინ გადაჩეხებოდა. მონათვლის შემდეგ ის მართლაც გამოჯანმრთელებულა.

გაბრიელმა, როგორც კი წირვა დაასრულა, კესარიას მოყვანილი მარშანია, მარლანია და ამ უკანასკნელის ცოლ-შვილი მონათლა. მარლანიამ მეუფეს ნათლიობა სთხოვა, რასაც იგი დაეთანხმა. ნათლობა დ. მაქავარიანმა მდინარის ნაპირას ხალხის თანდასწრებით ჩაატარა.

დ. მაქავარიანი იმავე დღეს ჭლოუს ორ წარმომადგენელს შეხვდა (იმ ასი წლის ანჩაბაძის ქალის ნათესავებს), აგრეთვე სვანეთის თავადის თენგიზ დადეშქელიანის მეუღლეს (იმავე ქალბატონის ქალიშვილს). ისინი მონათვლის სურვილს გამოთქვამდნენ, მაგრამ თანასოფლელებისა ეშინოდათ. ერთ-ერთმა მათგანმა თავისი 9 წლის შვილი 26 მაისს ოჩამჩირეში მონათლა.

მოქვეში გაბრიელმა მღვდელი ჩიკვაძე გაანთავისუფლა („по слабости характера“) და კვიტოულიდან გადმოყვანილი, აფხაზური ენის მცოდნე თოფურია დანიშნა.

მოქვიდან წამოსულები, ფოქვეშში ჩამოვიდნენ და ქრისტიანი თავადის ანჩაბაძის სახლში გაჩერდნენ. ამ სოფელში გაბრიელმა პირველად მოისმინა აფხაზური გუნდური სიმღერა. 26 მაისს ფოქვეშის ეკლესიასთან ბევრმა ქრისტიანმა მოიყარა თავი.

იმავე დღეს გაბრიელი ბესლახუბაში ჩავიდა; სოფელში მიხეილ შერვაშიძის მიერ აღდგენილი ჭვის ეკლესია იდგა, მაგრამ მღვდელი არ ჰყოლიათ. ეკლესიასთან შეკრებილ ასამდე ბესლახუბელს გაბრიელი მუსულმანი თანასოფლელების მონათვლის შემდეგ მათთვის სასურველი მღვდლის დანიშვნას დაპირდა. ერთ კვირაში მთელი სოფელი (65 სული) მონათლა.

ბესლახუბიდან გაბრიელი ოჩამჩირეში ჩავიდა. მოქვეში მონათლულმა ეგნატე მარშანიამ აქ ჯვარიც დაიწერა. ჯერ მოქვეში, მერე ოჩამჩირეში გაბრიელი მიხეილ რომანოვის ნათლულს — ალმასხან მარშანიას შეხვდა და მართლმადიდებლური წესებით ცხოვრე-

ბა მოსთხოვა. ერთ-ერთი შენიშვნა ჯვრისწერას ეხებოდა. „В оправдание свое, _ წერდა იგი, — Алмасхан ссылался на то, что князь Д. Святополк _ Мирский ему дал слово быть посаженным отцем и воспреемником его сына, а потому он дожидая его проезда, не венчался и не крестил сына. Я объяснил ему, что князь Мирский не может ехать в Абхазию, а ему, Алмасхану Маршания, ехать в Тифлис для этой цели будет слышком убыточно, а потому убедил, вместо князя при венчании и крещении принять представителем здешних окружного начальника и его помощника, на что он изъявил согласие. По просьбе князя Алмасхита Маршания об этом событии намерен я известить князя Святополк-Мирского”.

27 მაისს გაბრიელი ილორში ჩავიდა; ბევრი ხალხი დასწრები წირვას; ამ სოფლიდან, — ამბობდა, — გაბრიელი, — მთელს სამურზაყანოში მეგრული ენა ბატონობს. ილორში მან ნახა ძველებური ხატები ქართული წარწერებით; რკინის სკივრში ოქროსა და ვერცხლის ნივთები იყო შენახული.

ილორიდან ეპისკოპოსი გუდავაში გადავიდა, სადაც კარგად მოწყობილ ხის ეკლესიასთან იმავე სოფლის სკოლის მოსწავლეები რუსული სიმღერით დახვდნენ. მეორე დღეს ეკლესიაში ხალხი შეიკრიბა, მათ შორის სხვა სოფლებიდანაც.

28 მაისს გაბრიელი ბედიას ესტუმრა; ეკლესიასთან ხალხი მრავლად შეკრებილა. წირვის შემდეგ ბედიის დაცარიელებული უძველესი ტაძარი მოინახულა; წერდა, რომ მისი აღდგენა „будет весьма полезно для дела христианства и оно будет стоит недорого”.

29 მაისს გაბრიელი ჩხორთოლის ეკლესიაში წირვას ატარებს. ხალხს, რომელიც ბლომად ყოფილა შეკრებილი, ყველაფერი აინტერესებდა. გაბრიელი წერს: „В Абхазии и Самурзакани жители гораздо любопытнее и жадные ко всем рассказам о странах и предметах, известным им по темным слухам... Когда и где представляя случаи, я не упускал и здесь

рассказывать жителям о величии Европейской цивилизации, происходящей от учения, труда, порядка и проч. Я старался внушить им и объяснить исторически, что такая цивилизация существует и может процветать только в Христианских государствах: нехристианские государства погружены в страшное невежество. Такое направление беседы мне казалось необходимым дополнением церковной проповеди”.

იმავე დღეს გაბრიელი ოქუმის ორკლასიან სასწავლებელს ათვალეირებს. ეკლესიასთან ჩამწკრივებულ რუს ჯარისკაცთა ასეულს მოუწოდა თავიანთი საქციელით დაიცვან მართლმადიდებლური სარწმუნოება და რუსის სახელის ღირსება; 30 მაისს ეკლესიასთან შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა.

ამის შემდეგ გაბრიელი მრავალრიცხოვანი მრევლის თანდასწრებით წირვას გალის ეკლესიაში ატარებს. ხალხთან საუბარი მანვე ჩვევებს შეეხებოდა.

31 მაისს ეპისკოპოსი პირველი საბერიოს ეკლესიაში მრევლს ხვდება, ათვალეირებს სოფლის სკოლას. 1 ივნისს — მეორე საბერიოს ეკლესიაში წირვას ატარებს. ხალხი მეზობელი სოფლებიდანაც იყო ჩამოსული.

ორ ივნისს იგი დიხაზურგაშია. ეკლესიასთან შეკრებილ ხალხთან საუბრობდა „об обязанностях, касающихся более сельских жителей”.

იმავე დღეს გაბრიელი თავილონის ეკლესიაში შეკრებილ მრავალრიცხოვან მრევლს ხვდება, ესაუბრება მათ „о вере, надежде и любви, трех основных добродетелях, необходимых христианину и в чем они должны проявляться собственно у простых сельских жителей”.

3 ივნისს, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, რის გამოც ბევრი მსურველი ვერ მოვიდა, ეპისკოპოსმა ნაბაკევის ეკლესიაში წირვა შეასრულა. ამ ეკლესიაში წმ. გიორგის ხატი ინახებოდა, რომელსაც ნაბაკეველები და მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებიც ეთაყვანებოდნენ; წელიწადში 500 მანეთამდე შესაწირი შემო-

დიოდა, რომელსაც ორი-სამი ადამიანი ინაწილებდა, თვლიდნენ რა ხატს თავიანთ საკუთრებად. მეუფე გაბრიელმა ეს არასწორად მიიჩნია.

ნაბაკევის წმ. გიორგის ხატის პოპულარობამ განაპირობა მისი გატაცება 1854 წელს სოფ. კოკის აზნაურების შმაგი და შევარდენ ჩიკვატიების, აგრეთვე მათი სამურზაყანოელი (ალბათ, ოტობაიელი) თანამოგვარეების დავითისა და გუდუას მიერ. შესაბამის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამტაცებლებმა წაიღეს დიდმოწამე გიორგის ორი ხატი, რომლებიც წმ. ნაწილებთან (რომელი წმინდანის, არ არის მითითებული) ერთად ვერცხლის მოოქროვილ, მარგალიტითა და ძვირფასი ქვებით მოჭედნილ ჩარჩოში თუ ფუტლარში იყო მოთავსებული. ამ ფაქტის შესახებ საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ (ამ უკანასკნელს ინფორმაცია დ. მაჭავარიანმა მიაწოდა) მეფისნაცვალს — მ.ვორონცოვს აცნობა, მაგრამ ყირიმის ომის გამო ზომები არ მიუღიათ. 1856წ. ნოემბერში ბლალოჩინმა დ. მაჭავარიანმა ეგზარქოსს შეატყობინა, რომ აზნაურებმა ჩიკვატიებმა ხატები დააბრუნეს „по убеждению ротмистра, князя Левана Шервашидзе“.¹²⁹ უნდა ვივარაუდოთ, რომ მეუფე გაბრიელმა დაბრუნებული ხატებიდან ერთ-ერთი ნახა ნაბაკევიში.

3 ივნისს მისიონერი ასწრებს ოტობაიაში — სამურზაყანოს ბოლო სამრევლოში ჩასვლას და ეკლესიასთან შეკრებილ ხალხთან შეხვედრას. „Я учил их, — წერდა ეპისკოპოსი, — главнейшим обязанностям христианина, изображенных в 10-ти заповедях“. 4 ივნისს დილით ადრე გაბრიელი წირვას ატარებს და მრავლად შეკრებილი ოტობაიელების სახით მთელ აფხაზეთ-სამურზაყანოს მოსახლეობას ასეთი სიტყვებით გამომეშვიდობა: „Прощаясь в лице предстоящих, как бы со всем виденными мною и оглащенными словом божьим абхазцами и самурзаканцами, я умолял всех их оставаться верными обетам, данным ими при крещении Богу, который со своей стороны, видимо не оставляет эту страну своими милостями, ибо немного лет пред сим, вся она была предана грабежу, насилию, воровству, словом в ней свиреп-

ствовал ад; теперь же в ней, благодаря русского правительства, водворяется порядок, мир, правосудие. Об образовании здешних жителей, о построении церквей и украшении их заботится новое общество; словом, вместе с принятием православия в стране этой водворяется благоденствие и счастье. Поэтому жители этой страны в православии должны видеть будущее свое спасение и благополучие".¹³⁰

1868 წლის 4 ივნისს XIX საუკუნის უდიდესი ქართველი მოძღვარი გაბრიელი ოტობაიიდან „через дремучий лес“ ანაკლიაში ჩაბრძანდა, იქიდან — ფოთში და, ბოლოს, ქუთაისში დაბრუნდა. მისმა ყოფნამ აფხაზეთში უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია. სოხუმის ოლქის უფროსი ვ. გეიზანი 1868 წლის 25 მაისს, როცა გაბრიელი ჯერ კიდევ კოდორის უბანში იმყოფებოდა, კავკასიის მთიელთა სამმართველოს მოახსენებდა, რომ „Преосвященный Гавриил в настоящее время объезжает вверенный мне край и я буду иметь честь сообщить вам особо о результатах этого объезда, теперь же скажу только..., что с настоящей минуты начался огромный перевес нашей пропаганды противу мусульманской, которую давно и совершенно без успеха Правительство старалось вытеснить из этого края".¹³¹

აფხაზეთიდან დაბრუნებისთანავე, ეპისკოპოსმა გაბრიელმა კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას წარუდგინა ზემოთ განხილული დოკუმენტი — „Обозрение абхазских и самурзаканских приходов"; მის დასკვნით ნაწილში ჩამოაყალიბა ზოგადი შენიშვნები აფხაზეთში მართლმადიდებლობის მდგომარეობის, მისი განმტკიცებისა და გავრცელებისათვის საჭირო ზომების შესახებ (იხ. დანართი №20). 1868 წლის 7 ივლისს გაბრიელმა საზოგადოებას წარუდგინა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი — ბარათი „О нуждах, о будущем устройстве и управлении абхазских церквей и о мерах к утверждению православия в Абхазии". მან მხარი არ დაუჭირა აფხაზეთის

ეპარქიის გაუქმების იდეას, მაგრამ იმერეთის ეპარქიის გამგებლობაში მის გადაცემას დაეთანხმა; აფხაზეთის უფროსი ბლალოჩინის თანამდებობაზე დ. მაქავარიანის კანდიდატურა შესთავაზა; წამოაყენა წინადადება კიდევ ორი ბლალოჩინის (ადმინისტრაციული ოლქების მიხედვით) დანიშვნის შესახებ; ვ. გვიმანისაგან განსხვავებით, მაღალი შეფასება მისცა აფხაზეთ-სამურზაყანოს სამღვდლოების მოღვაწეობას, რომელთა უმეტესობამ აფხაზეთი ენა იცოდა; სასურველად მიიჩნია აფხაზთა შორის ღვთისმსახურების რუსულ ენაზე, ხოლო სამურზაყანოში ქართულად წარმოება; შეეხო სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც (იხ. დანართი №21).

აფხაზეთის ეპარქიის შენარჩუნებისა და იმერეთის ეპისკოპოსისათვის მისი დაქვემდებარების იდეას მხარს უჭერდნენ მეფისნაცვალნი, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი, ეგზარქოსი ევსევი, კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსი დ. სტაროსელსკი და სხვა. მათ ძირითადად შიგაიზიარეს გაბრიელის ბარათში ჩამოყალიბებული სხვა დებულებებიც. იმერეთის ეპისკოპოსი 1869 წლის მაისამდეც დროებით მართავდა აფხაზეთის ეპარქიას. 30 მაისს აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე ქართლ-კახეთის ქორეპისკოპოსად დაინიშნა; აფხაზეთის ეპარქიიდან მისი გადაყვანა რუსულმა ხელისუფლებამ ოფიციალურად „ხალხში რაღაც აღრეულობის მოხდენის“¹³² საფრთხეს დაუკავშირა (1882-1886 წწ ალექსანდრე სამეგრელო-გურიის ეპარქიას ხელმძღვანელობდა, შემდგომში კვლავ აღმოსავლეთ საქართველოში ძველ თანამდებობაზე დაბრუნდა; თავმჯდომარეობდა საქართველოს სინოდალურ კანტორას, ხშირად ასრულებდა ეგზარქოსის მოვალეობასაც, მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, ეწეოდა ფართო საქველმოქმედო და კულტურულ-საგამომცემლო მოღვაწეობას; მის მრავალმხრივ საქმიანობას დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე, მაშინდელი ქართული საზოგადოება; ძლიერ განიცადა ილიას მკვლელობა 1907 წელს, იმავე წელს თვითონაც აღესრულა). ალექსანდრეს წასვლის შემდეგ აფხაზეთ-სამურზაყანოს ეკლესიები ეპისკოპოს გაბრიელის უშუალო გამგებლობაში გადავიდნენ. 1869 წლის სექტემბერ-ოქტომბერში უკვე იმერეთისა და აფხაზეთის ეპისკოპოსის რანგ-

ში მან კვლავ მოინახულა აფხაზეთი და მისთვის ჩვეული მგზნებარებით ლეთის სიტყვა იქადაგა. კავკასიის მეფისნაცვალ პირველ დიდ წარმატებაზე ალაპარაკდა. 1869 წლის 31 მარტს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის სახელზე გაგზავნილ წერილში მიხეილ რომანოვი აღნიშნავდა, რომ „принятие правительством управление Абхазиею в непосредственное свое ведение и приведенное затем в исполнение выселение в 1867 году в Турцию наиболее твердой в мусульманстве части населения Сухумского отдела, дало делу развития христианства быстрый поворот к лучшему” (იხ. დანართი №23). იმავე წლის 7 ნოემბერს მეფისნაცვალ ობერ-პროკურორისადმი გაგზავნილ მორიგ წერილში ქრისტიანობის წარმატებას აფხაზეთში უკავშირებდა ბოლო დროს განხორციელებულ ზომებს, „из коих важнейшею должны признать удачно сделанный выбор духовных деятелей, предназначенных для религиозного просвещения этой страны... В течении настоящего года крестившихся из абхазцев насчитывается более 8 тысяч человек, и затем настроение умов населения Сухумского отдела в настоящее время токово, что подает надежду на скорое принятие православия почти всеми абхазцами” (იხ. დანართი №24). ვ. გეიმანის ინფორმაციით, 1869 წლის პირველ ნახევარში 5 ათასი აფხაზი მოინათლა; იმ დროისათვის სოხუმის სამხედრო განყოფილების მთელი მოსახლეობის (66468 სული) დიდი უმეტესობა — 43 ათასი სული — ქრისტიანობის მიმდევარი ყოფილა.¹³³ წლის ბოლომდე მიღწეული წარმატების შესახებ მიხეილ რომანოვი მოსკოვის მოტროპოლიტ ინოკენტის შემდეგ აცნობებდა (1870წ. 9 ივნისი): „В течение прошлого 1869 года из 45 тысячного населения этой страны (сачур-шах-ханос გარეშე — ჯ.გ.), в коем числилось просвещенных православием не более одной трети, крестилось вновь до 10 тые. человек”.¹³⁴ მეფისნაცვალ აქაც იმეორებდა, რომ მოსახლეობის განწყობა მთელი აფხაზი ხალხის მიერ მართლმადიდებლობის მიღების იმედს ბადებდა.

მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ოფიციალური მონაცემებით, 1869 წელს აფხაზეთში მოინათლა არა 10 ათასი, არამედ 7894 ადამიანი. საზოგადოების ანგარიშში მითითებული იყო, რომ ეს დიდი წარმატება მიღწეულ იქნა „просвещенными трудами и ревностью Гавриила, епископа Имеретинского“; როგორც ზემოთ ითქვა, მუუფემ 1869 წელს აფხაზეთში მისიონერული მიზნით იმოგზაურა. 27 სექტემბერს (იოანე ნათლისმცემლის მიძინების დღეს) ეპისკოპოსმა გაბრიელმა ქ. სოხუმის სამხედრო ეკლესიაში წირვა ჩაატარა. იმავე დღეს ეპისკოპოსი, აგრეთვე ვ. გეიმანი, მასთან ერთად კიდევ 30 სამხედრო და სამოქალაქო პირი ბიჭვინთისაკენ გაემგზავრნენ. 1869 წლის 28 სექტემბერს მეუფემ ტაძარი საზეიმოდ აკურთხა, რასაც 2 ათასამდე ქრისტიანი და მუსულმანი აფხაზი დაესწრო. „Пицундский храм до того беден средствами, _ ნათქვამია საზოგადოების ანგარიშში, — что едва нашлись деньги на покупку свечей, необходимых для служения... Ризница крайне бедна, имеется только два священнических облачения, из которых одно новое, пожертвованное Государынией Императрицей, а другое старое и едва годное для служения“. 29 სექტემბერს გაბრიელმა ბიჭვინთის ტაძარში წირვა ჩაატარა და შემდეგ, თანმხლებ პირებთან ერთად, სოფ. კალდახვარაში ჩავიდა, სადაც ახალმონათლულებს შეხვდა. ის ეწვია სოფ. აფიცხვას; აქ მთელი მოსახლეობა 1869 წელს მონათლულა. საღამოსათვის ეპისკოპოსი გაბრიელი სოფ. მაზუხვის ეკლესიასთან შეკრებილ საზოგადოებას ესაუბრა; ასეთივე შეხვედრები და საუბრები ჩაატარა ხუაფში (30 სექტემბერი), ლიხნში, ზვანდრიფში (1 ოქტომბერი), აჭანდარაში, დურიფში (2 ოქტომბერი), ააცში (3 ოქტომბერი). 4 ოქტომბერს მეუფე გაბრიელმა ფსირცხის ეკლესია (ჰასან მარლანის ყოფილი სახლი) აკურთხა და იმავე დღეს სოფ. ეშერის მაცხოვრებლებს შეხვდა. აქაურ თავად-აზნაურობას მართლმადიდებლობა მიუღია, გაბრიელმა მოსახლეობას მოუწოდა მიბაძონ მათ. სოხუმში ერთდღიანი დასვენების შემდეგ მისიონერი აგრძელებს მოსახლეობასთან შეხვედრებს დრანდაში (6 ოქტომბერი), ათარაში (7 ოქტომბერი),

აძიუბუაში, ტამიშში, კინდლში (8 ოქტომბერი); 9 ოქტომბერს კვიტოულის ეკლესიაში წირვის ჩატარების შემდეგ იქვე შეკრებილ მოსახლეობას (მათ შორის მეზობელი სოფლებიდან) შეხვდა. ჯგერდელებმა ქრისტიანობის მიღებაზე უარი თქვეს, სამაგიეროდ ტამიშის 100 მაცხოვრებელი მოინათლა. 10 ოქტომბერს წარმატებით ჩაიარა შეხვედრამ მოქვეში, სადაც სოფ. კლოუს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. „Главнейшие лица сего общества: князя Анчабадзе со всем родством и близкими лицами, после многих колебаний, затруднений и препятствии, изъявили, наконец, твердое намерение принять крещение“, — ნათქვამია საზოგადოების ანგარიშში. აფხაზეთის უფროსმა ბლალოჩინმა დ. მაქავარიანმა და სხვა სასულიერო პირებმა ასამდე აღამიანი მონათლეს.

ავადმყოფობამ ხელი შეუშალა მეუფე გაბრიელს გაეგრძელებინა მოგზაურობა და ხალხთან შეხვედრები. მისი დავალებით, სამი მისიონერი დ. მაქავარიანის ხელმძღვანელობით ბიჭვინთის ოლქში მუშაობდა. მათი ქადაგება იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ გაგრაშიც გადავიდნენ, სადაც თურქეთში გადასახლების შემდეგ დარჩენილი ჯიქებიც კი მონათლეს.¹³⁵

მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1870 წლის ანგარიშში უფრო ვრცლად არის გაშუქებული ეპისკოპოს გაბრიელის მორიგი მისიონერული მოგზაურობა აფხაზეთ-სამურზაყანოში. 11-20 მაისს მეუფეს სამურზაყანოს ყველა სამრევლო მოუნახულებია და მოსახლეობასთან შეხვედრისას მთავარი ყურადღება მავნე ჩვევებზე გაუმახვილებია; 21 მაისს — ამაღლების დღეს — ოჩამჩირის ეკლესიაში რუსულ ენაზე წირვა ჩატარებია, სადამოს — ფოქვეშის ქრისტიან მოსახლეობას შეხვედრია; იქიდან 22 მაისს ეპისკოპოსი გაემგზავრა „в общину Ткварчели. С этой общины, — ნათქვამია ანგარიშში, — начинается собственно Абхазия и господствует абхазский язык хотя как здесь, так и в некоторых в ближайших к Самурзакани общинах, хорошо понимают и мингрельский язык“, — კვითხულობთ საზოგადოების ანგარიშში. მასში მოთხრობილია მეუფე გაბრიე-

ლის ტყვარჩელში ჩასვლის (ამ თემის მოსახლეობა მონათლული ყოფილა), იქაური თავადის კვაჯ ანჩაბაძისა და მისი ოჯახის წევრების მონათვლის შესახებ; საინტერესოდ არის აღწერილი გუფის თემთან შეხვედრა, სადაც მისოუსტ მარშანიას ეზოში შეკრებილ ხალხს მისიონერი ღმერთისა და მეფის სახელით ესაუბრა. ქადაგებამ გაქრა. გარკვეული მერყეობისა და ერთმანეთში კამათის შემდეგ მოსახლეობამ გაქრისტიანება გადაწყვიტა. 23 მაისს 150 ადამიანი მოინათლა, შემდეგ დღეებში — 900. მეუფემ მისოუსტ მარშანიას 12 წლის ვაჟი მონათლა და საკუთარ ხარჯებით მისი აღზრდა გადაწყვიტა.

24 მაისს მისიონერი უკვე მოქვეში ჩადის, ატარებს წირვას, ესაუბრება ხალხს; ტაძრის მდგომარეობის დათვალიერების შემდეგ სასწრაფო დეპეშას უგზავნის ბორჯომში მყოფ მეფისნაცვალს, ასევე ეგზარქოსს მოქვის ტაძრის შესაკეთებლად აფხაზეთის კათედრის კუთვნილი თანხების გამოყოფის შესახებ. მოთხოვნილი თანხა დაუყოვნებლივ იქნა გამოგზავნილი და სარემონტო სამუშაოებიც დაიწყო.

24 მაისის საღამოს ეპისკოპოსი ჟლოუს ესტუმრა, ხალხთან შეხვედრა 1869 წელს მონათლული სალიბეი (ვასილ) ანჩაბაძის (მის ვაჟს მეუფე საკუთარი სახსრებით ზრდიდა) ეზოში შედგა. აღსანიშნავია, რომ მასპინძელმა გუფის თემის გაქრისტიანებაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ჟლოუში, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ რთული ვითარება გამოიკვეთა, რომელსაც მოლეები კიდევ უფრო ამძიმებდნენ. დიდი კამათის, ფიქრისა და განსჯის შემდეგ ხალხი კვლავ შეიკრიბა სალიბეი ანჩაბაძის სახლში და გაქრისტიანების გადაწყვეტილება მიიღო, სოფლის მთელი მოსახლეობა მდინარის პირას გავიდა, სადაც ნათლობა ჩატარდა. საზოგადოების ანგარიშში ნათქვამია, რომ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე 2000 კაცამდე მოინათლა.

26 მაისს მისიონერი ჯგერდაში ჩავიდა და ალმასხიტ (ალმასხან) მარშანიას სახლში შეკრებილ ხალხს შეხვდა. საუბრის დასასრულს მან აღნიშნა, რომ სარწმუნოების შეცვლისაკენ კი არ მოუწოდებს მათ, არამედ ორიდან ერთის — ქრისტიანობის ან მაჰმადიანობის

მიღებისაკენ, ვინაიდან არანაირი სარწმუნოება რეალურად არ ჰქონდათ; ამავე დროს უმტკიცებდა პირველის უპირატესობას მეორესთან შედარებით.

აქაც, ისევე როგორც გუფსა და ქლოუში, ხალხი დიდხანს არ დაშლილა, გრძელდებოდა ერთმანეთში კამათი, ბჭობა. 1869 წელს ჯგერდელებმა, როგორც ზემოთ ითქვა, მონათვლაზე უარი განაცხადეს. მეუფეს არც ამჯერად ჰქონდა წარმატებების იმედი, მაგრამ ვარაუდობდა, რომ ალმასხლიტ მარშანიას ახლობლები და კესარიის დადიანის (შერვაშიძის) მომზადებული ხალხი მაინც მონათლებოდა. როგორც გაირკვა, თანასოფლელებს მონათვლის მსურველები წინასწარ გაუფრთხილებიათ — გაქრისტიანების შემდეგ სოფელში ვერ იცხოვრებთო. ოჩამჩირის ოლქის უფროსის ცნობით, ჯგერდაში თურქეთიდან და ყარაჩაიდან ფარულად ჩამოსული მოლები ისლამის პროპაგანდას ეწეოდნენ. გადაწყდა მათი აფხაზეთიდან გაქევება, რასაც ვ. გეიშანი დაეთანხმა.

27 მაისს მეუფე გაბრიელს დეპუტაციის მოსვლის შესახებ მოახსენეს. მან დეპუტაცია არ მიიღო (იციოდა, რომ მონათვლაზე უარის სათქმელად მოდიოდნენ) და უშუალოდ ხალხს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „Я вижу, что злонамеренные люди сильно вооружили вас против христианской веры, а потому и не стану теперь снова вас убеждать принять ее. Скажу только несколько слов об одном. Вы постоянно любите распространяться о своей верности и преданности русскому правительству; особенно когда отказывается принять нашу св. веру, то всегда прибавляете, что вы усерднейшие слуги русской державы. Не знаю, почему вы это делаете. Конечно, можно и магометанину быть верным слугою христианского царя; у русского царя тысячи таких слуг; но я вашей верности Царю русскому не верю. У вас глаза и сердца все еще обращены туда, за море, к турецкаму султану, хотя оттуда ваша страна никогда и ничего доброгор не получала, а, напротив, всегда видела гибель, разорение и продажу в неволю. Раз-

ვე მოგვითხროს, თუ როგორ შეუძლიათ ამის დასაბუთება. ანუ, როგორ შეუძლიათ ამის დასაბუთება, რომელიც არის მათი მთავარი მიზანი. თუ ისინი არ შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არ არიან მართლები. თუ ისინი შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არიან მართლები. თუ ისინი არ შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არ არიან მართლები. თუ ისინი შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არიან მართლები.

ვე მოგვითხროს, თუ როგორ შეუძლიათ ამის დასაბუთება. ანუ, როგორ შეუძლიათ ამის დასაბუთება, რომელიც არის მათი მთავარი მიზანი. თუ ისინი არ შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არ არიან მართლები. თუ ისინი შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არიან მართლები. თუ ისინი არ შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არ არიან მართლები. თუ ისინი შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არიან მართლები.

ვე მოგვითხროს, თუ როგორ შეუძლიათ ამის დასაბუთება. ანუ, როგორ შეუძლიათ ამის დასაბუთება, რომელიც არის მათი მთავარი მიზანი. თუ ისინი არ შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არ არიან მართლები. თუ ისინი შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არიან მართლები. თუ ისინი არ შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არ არიან მართლები. თუ ისინი შეუძლიათ ამის დასაბუთება, მაშინ ისინი არიან მართლები.

28 მაისს ეპისკოპოსმა გაბრიელმა კვიციანის ეკლესიაში წირვა ჩაატარა, ხოლო მეორე დღეს კოდორს გაღმა — ბიჭვინთის ოლქში გადავიდა. პირველ შეხვედრაზე დრანდაში იქაურ მუსულმანებთან საუბრისას, ყურადღება იმ გარემოებაზე გაამახვილა, რომ ისინი ცხოვრობენ უძველესი დრანდის ეკლესიის კუთვნილ მიწებზე, რომ, არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით, მათი წინაპრები ახლო წარსულში ქრისტიანები იყვნენ და დრანდის ეკლესიას ეკუთვნოდნენ. „Отступив от христианства, _ განაცხადა მისიონერმა, — они и себя отняли у церкви и присвоили себе земли, принадлежавшие Церкви“. მან აღნიშნა, რომ აფხაზები ნამდვილი მუსულმანები არ არიან, რადგანაც არ იცავენ შესაბამის წესებს, მათ შორის ყველაზე მთავარს — წინადაცვეთას. დრანდაში გაბრიელმა ქვრივი ქალბატონი ლაქერბაია, როგორც ყოფილი ქრისტიანი, საკუთარი სურვილით, კვლავ მართლმადიდებლობას მიუერთა, მისი შვილები კი მონათლა.

31 მაისს მეუფე მრავალრიცხოვანი მლოცველების თანდასწრებით სოხუმის ეკლესიაში ჯერ წირვას, შემდეგ კი ქადაგებას ატარებს. იმ დღეს სოფ. იაშთხვიდან ჩამოსული 10 აფხაზი (თავადაზნაურული ფენის წარმომადგენელი) მოინათლა. 3 ივნისს მეუფე იაშთხვაში ჩავიდა და ადგილობრივი აზნაურის ჩირიკბაიას სახლში გაჩერდა. მოსახლეობასთან შეხვედრის წინ იმ ოჯახის წევრები და ახლობლები (12 სული) მოინათლნენ. „Когда тайнство крещения было окончено, преосвященный вышел к собравшемуся уже народу и беседовал с ним, убеждая его последовать примеру прочих жителей и принять православие; но никто из них не изъявил на это желаний”

იმავ დღეს მეუფე ეშერაში ქრისტიანებსა და მუსულმანებს შეხვდა, სადაც უალრესად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა თურქეთში გადასახლების საკითხთან დაკავშირებით. აი, მისი ტექსტიც: „Абхазия в настоящее время точно в таком положении, в каком была лет за тридцать пять, когда я был еще ребенком, моя родина Гурия. Русское правительство только что водворилось тогда в Гурии. Народ, малознакомый с русскими и наущаемый турками, более склонился к последним и думал переселиться в Турцию. Помною, как старик, мой отец, наставлял жителей и удержал; русские, говорит он, христиане, православные, они научены Евангелием любить ближних и покровительствовать слабым и обиженным, от них мы можем ждать всего хорошего: они будут нас учить, просвещать, защищать. От турков же мы ничего, кроме разорения, смут, плена и разврата не видали и не увидим. Предсказание моего отца оправдалось: состояние моей родины теперь в тысячу раз лучше, чем было до прихода русских. Посмотрите, например, хоть на меня. Я был сын бедного священника, но бог дал мне способность учиться: благодаря русскому правительству, я получил образование сначала в Тифлисе, потом меня повезли в Россию для окон-

чания учения; после того дали мне должность, _ службу; за службу награждают и поощряют, и вот теперь вы видите, как меня все почитают и уважают. Все это будет и с вашей родиной и с вашими детьми, ежели только вы искренно и теесно соединитесь с русскими". ეს, ერთი შეხედვით, პრორუსული განცხადება და ქადაგება სინამდვილეში აფხაზთა თურქეთში გადასახლების შეჩერებისაკენ მოწოდებას შეიცავდა; აფხაზი ერისათვის მომაკვდინებელი მაჰაჯირობის წინააღმდეგ ქადაგება სხვა ფორმით არც შეეძლო უმაღლესი რანგის სასულიერო პირს. მეუფე გაბრიელის სიტყვები, ობიექტურად ხალხის ფიზიკური გადარჩენისაკენ, ეკონომიკური და სულიერი აღორძინებისაკენ იყო მიმართული.

იმავ დღეს (3 ივნისს) მეუფე გაბრიელი 1869 წელს ნაკურთხ ფსირცხის ეკლესიაში (ჰასან მარლანიას ყოფილ სახლში) 38 მუსულმანურ ოჯახს ესაუბრა, შემდეგ კი ააცში ჩავიდა. აღმოჩნდა, რომ ამ სოფელში მხოლოდ 30 ოჯახი დარჩენილა მოუნათლავი. ეკლესიასთან შეკრებილ ხალხთან მეუფე გაბრიელის საუბრისა და ქადაგების შემდეგ მათმა უმეტესობამ ქრისტიანობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა.

5-11 ივნისს ეპისკოპოსმა გაბრიელმა ახალმონათლულთა მიერ ადგილობრივი სახსრებით აშენებული შვიდი ხის ეკლესია აკურთხა; თითოეულში დაახლოებით 200 მლოცველი ეტეოდა; საეკლესიო ნივთებით მათი უზრუნველყოფა მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ საკუთარ თავზე აიღო. ეკლესიების კურთხევას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. მეუფე კურთხევის შემდეგ წირვას და ქადაგებას ატარებდა. ერთ-ერთი ასეთი ეკლესია სოფ. ხუაფში გაიხსნა. მისი მშენებლობის დაწყებამდე სოფლის ერთმა მცხოვრებმა მიწაში ჩამარხული ოქროს ჯვარი იპოვა და აფხაზეთის უფროს ბლალოჩინს დ.მაჭავარიანს გადასცა. ბორჯომში ყოფნის დროს ბლალოჩინმავეს ჯვარი მეფისნაცვალს აჩვენა. მალე შეკეთებული და ჩარჩოში ჩასმული ოქროს ჯვარი სოფლის ახალ ეკლესიას დაუბრუნდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად ხუაფის ეკლესია ჯვრის ამაღლების სახელზე ეკურთხა.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ მაცხოვრებლებს როგორც ხუთწუთში, ისე სხვა სოფლებში ეკლესიების კურთხევისას, არც თუ ისე შორეულ წარსულში დამზადებული სხვადასხვა ზომის რკინისა და სპილენძის ჯვრები მოჰქონდათ; ამბობდნენ, რომ ისინი ტყეებში ხის ფულუროებში ინახებოდნენ. ჩვენი ღრმა რწმენით, წინასწარუხეებში აფსუების შემოსევებისა და თურქული ექსპანსიის შედეგად ქართული ქრისტიანული კერების განადგურების შემდეგ ადგილობრივმა მართლმადიდებელურმა მოსახლეობამ — შემდგომში გაათესუებულმა ქართველებმა — ფულუროებში გადამალული ჯვრები სალოცავად გაიხადეს. ყველა შემთხვევაში, ეს ფაქტი სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში XVI-XVIII სს. ქრისტიანობის დევნისა და მისი ამოძიკვის მცდელობას, ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ტრაგიკულ მოვლენას უკავშირდება.

ბაგაკიტის თემში ახალი ეკლესიის კურთხევის დღეს სოფლის მამასახლისმა უძველესი საეკლესიო ზარი და გრძელი რკინის მილი (ზარის არქონის შემთხვევაში მის მაგივრობას ასრულებდა) მოიტანა ეს ნივთები უძველესი ეკლესიის ნანგრევებთან უპოვიათ.

12 ივნისს მეუფე სოფელ ლიხნის ძირძველ ქრისტიანებს შეხვდა, მოუთხრო მათ ბიბლიური იგავი ორი შვილის შესახებ, რომელთაგან უფროსმა, დაპირების მიუხედავად, მამის ნება არ შეასრულა; ხოლო უმცროსმა, რომელიც თავიდან მამას ეწინააღმდეგებოდა, ბოლოს მოინანია და მისი ნება შეასრულა. თუ თქვენ, ძველი ქრისტიანები, განაცხადა მისიონერმა, — *не будете лучше новообращенных соседей ваших, то вы уподобитесь старшему сыну, а те младшему, исполнившему волю отца своего*" (იხ. მათე, 21, 28-31).

14 ივნისს ეპისკოპოსი გაბრიელი სოხუმში დაბრუნდა, მეორე დღეს სოხუმის ეკლესიაში წირვა მოისმინა. 16 ივნისს მან აფხაზეთი დატოვა.¹³⁶

შემდგომ წლებში მეუფე გაბრიელს მთავარ ამოცანად ახალმონათლულთა რწმენაში განმტკიცება მიაჩნდა. მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1873 წლის ანგარიშში დაფიქსირე-

ბულია სარწმუნოებრივი თვალსაზრისით აფხაზეთში არსებული ვითარების მისეული შეფასება. მეუფე ამბობდა: „Положение и дела православной веры в Абхазии в 1873 году были почти те же, что и в предыдущем 1872 году. Приходские священники, по мере своих способностей и средств, трудились для утверждения в Абхазии новокрещенных христиан. Хотя вновь для православия в отчетном году, в сравнении с прошлыми годами, приобретено немного верующих, но все таки и в этом отношении 1873 год нельзя назвать вовсе бесплодным. Вновь крещено в Абхазии в отчетном году 274 взрослых мужчин и женщин в разных общинах. Если принять в соображение некоторые обстоятельства, то не только обращение в христианство упомянутого числа душ можно считать за хороший успех, но даже и то, что обращенные в прежние года стоят твердо в новой вере и, благодаря Бога, между ними не было вовсе отступлений от веры-есть положительный успех. Ибо обращение абхазцев в прошлых годах происходило массами: крещение принимали единовременно целыя сотни, даже тысячи людей. При таком множестве крещаемых можно было опасаться, что многие из абхазцев принимали крещение не по убеждению, а в минуту увлечения, или из подражания другим; поэтому можно было в последствии ожидать реакции охлаждения и даже отступничества. Но ничего этого не случилось”.¹³⁷

ახალმონათლულთა რწმენაში განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული როლი ბიჰვინთის აღდგენილ ტაძარს ენიჭებოდა. მისი ამოქმედებით ქართული ეკლესიის დიდი ხნის ოცნება ახდა, მაგრამ მან ვერ დაიბრუნა ძველი დიდება, ვერ იქცა მართლმადიდებლობის არა თუ მთავარ, რამდენადმე მნიშვნელოვან ცენტრად აკი. რუსებმა იგი სულ სხვა მიზნით აღადგინეს. მიხეილ რომანოვის გეგმით, ბიჰვინთაში უნდა დაფუძნებულიყო მონასტერი — მისი-

ონერული ხასიათის ბერ-მონაზონთა სავანე თავისი სასულიერო სკოლით 20 ათხაზ ბავშვზე და მიწის ნაკვეთით დამხმარე მეურნეობისათვის; ტაძართან ახლოს მეფისნაცვალი აპირებდა რუსული დასახლების მოწყობას, რომლის წევრები 15 წლის განმავლობაში ყოფელგვარი გადასახადისაგან განთავისუფლდებოდნენ (იხ. დანართი №24). 1870წ. 9 ივნისს მიხეილ რომანოვი მოსკოვის მიტროპოლიტი ინოკენტიისადმი გაგზავნილ წერილში ბიჭვინთის სამონასტრო კომპლექსის შექმნას ახალ მონათლულთა რწმენაში განმტკიცების, ქრისტიანობის შემდგომ გავრცელებისა და აფხაზური მოსახლეობის რუსულ ელემენტთან პოლიტიკური დაახლოების მიზნებს უკავშირებდა. მისი აზრით, „учреждение Пицундской обители должно послужить, между прочим, для политического сближения Абхазцев с русским элементом. Я предположил, чтоб из монашествующих в обители, — Настоятель, Иеромонах и Иеродиакон были из русских уроженцев и при том, по возможности, из окончивших курс воспитания в Духовной Академии, и также, чтобы вблизи обители, на свободной казенной земле, устроено было небольшое русское население“ (იხ. დანართი №26). 1870 წლის 30 დეკემბერს მეფისნაცვალს სინოლიდან აცნობეს, რომ არც ფინანსთა სამინისტროს, არც უწმინდეს სინოდს ბიჭვინთის სამონასტრო კომპლექსის გახსნისა და შენახვისათვის საჭირო თავისუფალი თანხები არ გააჩნია. მონასტერი მცირე შტატით მაინც გაიხსნა სკოლის გარეშე. მის წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი თეოფილე, რომელსაც ალიასკაზე მისიონერული მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე მონასტერი ფაქტობრივად თავისთვის არსებობდა. ვინაიდან იგი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა იყო, საზეიმო ღონისძიებები ყოველი წლის 15 აგვისტოდან იწყებოდა. მლოცველები რუსეთიდან ჩამოდიოდნენ. წირვა-ლოცვაც, ბუნებრივია, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. იშვიათად ტაძარში აფხაზი თუ გამოჩნდებოდა, მას საუბრებს უტარებდნენ. მონასტერი დახმარებისათვის კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციებს მიმართავდა. პირველ რიგ-

ში, ითხოვდნენ ფრესკების აღდგენას „по древнему образцу “Влахернитисы”, აგრეთვე სკოლის შენობის აგებას, ბერების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მლოცველებისათვის სასტუმროს აშენებას, საბოსტნე მიწის ნაკვეთის გამოყოფას, ცხენით მოსიარულე აფხაზებისა და მეგრელებისათვის ცხენის დასაბმელის მოწყობას და ა. შ.¹³⁸ არავითარი მისიონერული საქმიანობა ბიჭვინთის რუს ბერებს არ უწარმოებიათ. 1877-1878 წწ. ისინი გელათში გადაიყვანეს, საიდანაც საცხოვრებლად რუსეთში გადავიდნენ.

1875 წელს ძველი ათონის (საბერძნეთი) ბერებმა აფხაზეთში საფუძველი ჩაუყარეს ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსს. მათაც არ შეუწუხებიათ თავი მისიონერული საქმიანობით. ამ ფუნქციას კვლავ ეპისკოპოსი გაბრიელი და მისი ხელმძღვანელობით მოღვაწე ქართული სამღვდლოება ასრულებდა. აფხაზეთში მომუშავე მისიონერების შესახებ მეუფეს მოსაზრება ასეთი იყო: „О настоящих священниках абхазских и самурзаканских приходов по справедливости должен сказать, что они лучше, нежели об них составлено понятие. Они большею частью все знают туземный язык и совершенно и легко освоились с нравами и обычиями туземцев, а эти свойства, соединенные с чистою жизнью, самые нужнейшие. Прибавлю к тому, что собственно русские уроженцы, даже если бы и они имели все нужные для миссионера нравственные качества, едва ли могут выносить убийственный климат Абхазии, привыкнуть к ее нравам и изучить их язык, а потому до времени всего лучше стараться посылать в Абхазию священников _ уроженцев ближайших местностей, а именно Менгрелии, Имеретии и Грузии, но постоянно иметь в виду и стремиться создать у них духовенство из местных же уроженцев _ абхазцев и самурзаканцев, а с этой целью будет полезно посылать из них детей в Ставрапольскую семинарию, а так же Тифлисскую” (იხ. დანართი №21).

ომამღე მეუფე გაბრიელი კიდევ რამდენჯერმე ჩამოვიდა აფხა-

ზეთში: 1871 წლის ოქტომბერში, 1874 წ. აპრილ-მაისში, 1875 წლის ოქტომბერში. ყოველი მისი ჩამობრძანება და უფლის სიტყვის ქადაგება წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაჰაჯირობა (1867 წლის) ახლადგადატანილ აფხაზურ მოსახლეობაზე, რომელსაც სწორედ მაშინ სკირდებოდა ნუგეში და თანადგომა, ისეთი მღვდელმთავრის მაცოცხლებელი სიტყვა, როგორც იყო მეუფე გაბრიელი. იცნობდა რა კარგად ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, ფლობდა რა თითოეული თანამოსაუბრის სულიერ მდგომარეობასთან შეწყობის შესანიშნავ ხელოვნებას, — წერდა კირიონი, — იგი ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს რელიგიურ საკითხებზე საუბრისათვის; ეპისკოპოსი „ფრთხილად, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ, შეუპოვრად და გადაქრით მიდიოდა მიზნისაკენ — აფხაზთა რელიგიური განათლებისაკენ“. კირიონი თავის წიგნში ცალკე პარაგრაფს უძღვნის აფხაზეთში გაბრიელ ქიქოძის მისიონერულ მოღვაწეობას და მისი, როგორც მოციქულის, ზუსტ პორტრეტს გვიხატავს. მოციქულებრივ შრომას ამ სახელოვანი მახარობლისა, — წერდა იგი, — ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია და ყოველთვის ქრისტეს რჯულზე ათასობით ადამიანის გულწრფელი, გააზრებული მოქცევით სრულდებოდა; გაბრიელი ითვალისწინებდა, რომ მონათვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ადამიანის შეხედულებების, რწმენის ძირეულ ცვლილებას; მისი აზრით, ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, როცა ექვების, მერყობისა და შინაგანი ბრძოლის გზით ხდებოდა ძვალ-რბილში გამჭდარი ძველი წარმოდგენის დაძლევა; იგი ამიტომ არ ჩქარობდა, მოქმედებდა წინდახედულად და ძალიან ფრთხილად, რაც მისი დაუღალავი შრომის ნაყოფს განაპირობებდა.

წარმატებას მისიონერულ საქმიანობაში, — თვლიდა კირიონი, — ხელს უწყობდა გაბრიელის წარმოსადგევი გარეგნობა თბილი, უწყინარი, მამობრივი გამოხედვით, მისი რბილი, გამომხატველობითი, სულში ჩამწვდომი ხმა, რომელიც უხვ ნაკადად აფრქვევდა ყოველთვის ნარნარ, ენერგიულ სიტყვას; თავის დარიგებებში, საუბრებში ის ძალიან უბრალოდ ლაპარაკობდა, მაგრამ ამავე დროს შთაგონებით და, ასე ვთქვათ, საზეიმოდ, ნებისმიერი ადამიანისათ-

ვის გასაგებად: მისი მოგზაურობები მოციქულებრივი უბრალოებით გამოირჩეოდა. ეს უაღრესად განათლებული ადამიანი ნიმუში იყო სიმშვიდისა, უბრალოებისა და თავმდაბლობისა; აფხაზეთში და სხვა მხარეებში მოციქულებრივი საქმიანობის დროს სრულებითაც არ ზრუნავდა თავისი მოგზაურობების ბრწყინვალეობაზე, კომფორტზე; ქადაგების მიზნით, უხდებოდა მთების, ხეობების, ტყეების გავლა; ბევრჯერ თავი ხრამში გადაჩეხვის რეალური საფრთხის ქვეშ დაუყენებია, მაგრამ უფლისა და სამწყსოს სიყვარულით გამხნეებული არაფრად აგდებდა ნებისმიერ ხიფათს და საკუთარ სიცოცხლეს ხალისით ანდობდა ცხენსა და ეტლს.¹³⁹ „ეპისკოპოსი გაბრიელი ახალი ეპარქიის მართვის მთელს პერიოდში მოციქულის როლში გამოდიოდა“.¹⁴⁰ მას თანამედროვეთაგან განსხვავებულ პირწავარდნილ მოციქულს უწოდებდა მღვდელი მ. კელენჯერიძე და აცხადებდა: „რით არ გაეს იგი ტიმოთეს, ტიტეს, ეგნატეს, პოლიკარპოსს, ლინს, ანაკლეტს, ტერტულიანს, კიპრიანეს!“¹⁴¹ ქუთაისში გამოძვალა ეურნალი „მწყემსი“, ეხებოდა რა ეპისკოპოს გაბრიელის აფხაზეთში მოღვაწეობას, წერდა: „ყოვლად სამღვდლო ყველგან სასულიერო ქადაგებასთან მქერმეტყველურად უქადაგებდა მორწმუნეთა ჰუმანურ კაცობრიული ურთიერთობის ვალდებულებასა, ერთი სიტყვით, იგი გამოდიოდა არა თუ ისე, როგორც მქადაგებელი სიტყვისა ღვთისა, არამედ ისე როგორც მისიონერი განათლებისა, მოღვაწე მოქალაქეობრიობისა“.¹⁴²

ნ. კანდელაკის აზრით, გაბრიელ ქიქოძის „მაღალი ორატორული ოსტატობა საკაცობრიო მნიშვნელობის ხელოვნებაა“. მეუფის „სამქადაგებლო შემოქმედების ცენტრში, — წერდა იგი, — დგას ადამიანი, მისი სულიერი ამაღლება და სრულყოფა წარმოადგენს ორატორის მიზანს... ეს განსაზღვრავს მისი ხელოვნების ფორმასა და გამომსახველობას“. 1858 წელს პეტერბურგში გამოცემულ თავის წიგნში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (ქართულად 1999 წელს ითარგმნა), რომელიც წლების მანძილზე რუსეთის სასულიერო სემინარიებში სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა, ეპისკოპოსი გაბრიელი ძირითად განსხვავებას ადამიანებსა და ცხოველებს შორის ღმერთის არსებობის რწმენაში ხედავდა.¹⁴³ ამიტომაც

მის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი სამისიონერო საქმიანობას, ღვთის სიტყვის ქადაგებას, ადამიანებში რწმენის განმტკიცებას ეკავა.

ეპისკოპოს გაბრიელის ქადაგებაში, განსაკუთრებით აფხაზეთში არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ქვეშევრდომული განცხადებები, რომლებმაც მეუფის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თაყვანისმცემელს — ეპისკოპოს კირიონსაც კი 1907წ. 12 თებერვალს მეგობრისათვის გაგზავნილ წერილში ათქმევინეს: „ჩვენთან კი იყოს ნათქვამი — დაბალი ღირსების მამულიშვილი იყო“ -ო. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ასე არ იყო საქმე, როგორც ამგვიჩვენებს სოხუმიდან კონოში გადაყვანილ (საერთოდ ხელისუფლების მხრიდან დევნა — შევიწროებით) შეწუხებული კირიონი ბრძანდება. ეპისკოპოს გაბრიელს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მიუხედავად ქვეშევრდომული განცხადებებისა, იგი უდიდესი მამულიშვილი გახლდათ, რომელიც ქრისტეს ჯვრით ხელში იცავდა ქართულ ინტერესებს, აქტიურად ილაშქრებდა შოვინისტებისა და აგრეთვე ქართველი რენეგატების წინააღმდეგ. მეუფე გაბრიელი ეროვნულ ნიადაგზე უპირისპირდებოდა მის თანამედროვე ეგზარქოსებს (ევსევოს და პალადის), კავკასიის სასწავლო ოლქის უფროს კ.პ. იანოვსკის და მათ ხელქვეითებს; თავის წერილებში (ეგზარქოსებისადმი) მეუფე იცავდა ქართული ეკლესიისა და მრევლის ინტერესებს, მოითხოვდა ღვთისმსახურებისა და განათლების მხოლოდ მშობლიურ ენაზე წარმართვას (ეს ეხებოდა აფხაზებსაც, მაგრამ არა მეგრელებსა და სვანებს, რომელთა მშობლიური საეკლესიო-სალიტერატურო ენა იყო ქართული), ეროვნული კადრების დაწინაურებას; შოვინისტებთან კამათისას, აფხაზეთში ქართველი მღვდლების დანიშვნას იმით ხსნიდა, რომ თავისი სასულიერო პირები მათ არ ჰყავდათ, აუტანელი კლიმატის გამო, ქართველების გარდა იქსხვა არავინ მიდიოდა. მოვიტანთ ერთ-ერთ მაგალითს საკადრო საკითხებზე ეგზარქოს ევსევოსთან დაპირისპირებისა. 1874წ. 22 აპრილის წერილში გაბრიელი ურჩევდა ეგზარქოსს „Не делать никакого иного различия между соискателями (ამა თუ იმ თანამდებობის მაძიებლებს შორის — გ.გ.), кроме благонамеренности, честности и

სპრავედლივოსი იხ, ა ვ ოსობენოსი ნე დელაქ რაზლიჩია მეჟდუ ლიცაი რუსსკოგო ი ნერუსსკოგო პროისხოჟდენია".¹⁴⁴

საქართველოს ეკლესიის რუსულ ხელმძღვანელობას ძალიან აფრთხობდა ეპისკოპოს გაბრიელს უზარმაზარი ავტორიტეტი და მისი დისკრედიტაცია განიზრახა. 1872წ. 26 იანვარს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ განიხილა საკითხი ეპისკოპოს გაბრიელის მიერ კანტორის ბრძანებულებების შეუსრულებლობისა და ურთიერთობების დადგენილი ფორმების დარღვევის შესახებ. საუბარი შეეხებოდა თითიდან გამოწოვილ თემას — 1872 წელს საეკლესიო საგლეხო მეურნეობებიდან და მამულებიდან მოსალოდნელი გადასახადების ნარჩენების ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. სინოდალურმა კანტორამ გადაწყვიტა შენიშვნა მიეცეს („поставить... на вид“) ეპისკოპოს გაბრიელს და ამის შესახებ უწმინდეს სინოდს ეცნობოს. როგორც ჩანს, მას სურდა ჩრდილი მიეყენებინა ეპისკოპოსისათვის იმერეთის ეპარქიაში ფინანსური „დარღვევების“ არსებობის თაობაზე საზოგადოებაში კორიუმების გავრცელებით. ვინაიდან სინოდალური კანტორის სხდომაზე გაბრიელი არ მოუწვევიათ, იგი იძულებული გახდა დაეწერა ვრცელი „პატაკი“ (1872წ. 4 თებერვალი), სადაც უარყოფდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს; ზოგიერთ შენიშვნას კი „არა მნიშვნელოვანს, არა არსებითს“ უწოდებდა და აცხადებდა: „И вот за это Синодальная кантора поспешила нанести мне оскорбление, даже не потребовав от меня предварительно объяснений. Я жалуюсь на это пред нею же самою! Я прошу, хотя по закону имею право и требовать, впредь не произносить противу меня никаких угроз прежде нежели будут выслушаны мои объяснения“.¹⁴⁵

მსგავსი გამოხდომებით ეპისკოპოს გაბრიელს ვერაფერსაც ვერ აკლებდნენ, მისი ავტორიტეტი და გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. იმერეთის ეპისკოპოსის იურისდიქციას, მსგავსად აფხაზეთის (აფხაზ-იმერთა) კათალიკოსებისა, ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველო ექვემდებარებოდა. მას თაყვანს სცემდა

სრულიად საქართველო. მეუფეს დიდად აფასებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მისი ყოფილი მოსწავლე (თბილისის სასულიერო სემინარიაში) იაკობ გოგებაშვილი, სხვა სახელოვანი ერისკაცები.

მეუფე გაბრიელის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ქველმოქმედებას ეჭირა. როგორი ხელმოქერილიც იყო თავისთვის, ისეთივე გულუხვი და მოწყალე ყოფილა ყველა გაქირვებულის მიმართ, განურჩევლად მათი სარწმუნოებისა. მის დღიურებში, სადაც აღნუსხულია გაცემული მოწყალება და ჩატარებული ქველმოქმედება, გვხვდება ასეთი ჩანაწერები: „В Абхазии 34 р., подарки для абхазских мальчиков 3-50;“ „Жгенты на поездку в Абхазию 10 р.“; „за обучение чтению абхазцев отдано 20 р.“; „на выписку 3 крестов для абхазцев 300 р.“; „свите в Абхазию 75 р.“; „В Абхазии истрач(ено) 120 р.“; „Салибею Анчабадзе 20 р.“; „Абхаз. 25 р.“; „подар(ок) Абхазцу 3 р.“; „бедн(ому) абхазу 20 р., прос(ил) 1 р., еще абхазу 10 р. ...отосл(ал) в Абхазию на восп(итание Г.М. 40 р.“ (სავარაუდოდ, მისოუსტ მარშანიას ვაჟი უნდა იყოს — ჯ.გ.) „отослал в Сухум на воспит(ание) Анчабадзе 40 р.“ (სავარაუდოდ, სალიბეი ანჩაბაძის ვაჟი უნდა იყოს — ჯ.გ.); „На воспитание абхазца 40 р.“; „В Сухум на воспитание абхазца 40 р.“; „Абхазцу 12 р. 50 к.“; „абхазцу 10 р.“; „за абхазца 10 р.“; „ в Абхазии получено 550 р.“; „абхазу Даншиеву за обучение 10 р.“; „абхазу за учение 8 р.“; „ в Абхазии истрач(ено) 135 р.“ აფხაზეთში ყოფნის დროს ერთი უსიამოვნო ფაქტი მომხდარა: „მაზრის უფროსის სახლში მოსამსახურემ ბალიშქვეშიდან 400 მან. გამოაცალა გაბრიელს, თუ დარჩენოდა მას, ეპოვნა და დაემალა. როცა დამნაშავე (მისი ეროვნება უცნობია — ჯ.გ.) მონახეს და დეპეშით ჰკითხეს გაბრიელს, როგორ დავსაჯათო, გაბრიელმა მოსწერა: „დამნაშავეს აპატიეთ და ფული სოხუმის სასწავლებელს გადაეცით“¹⁴⁰ გაბრიელი ამბობდა, რომ აფხაზები „мастера говорить с чувством и красноречиво,.... не тверды по характеру и скоро склоняются как к добру, так и к

პლუ".¹⁴⁷ მღვდელმთავარი თავისი ქადაგებებითა და ქველმოქმედებით აფხაზ ხალხში კეთილი საწყისის განვითარება-განმტკიცებას უწყობდა ხელს.

ეპისკოპოს გაბრიელის წარმატებულმა მისიონერულმა მოღვაწეობამ აფხაზეთში რუსული საზოგადოებაც კი აალაპარაკა და პატივისცემით განაწყო მისი პიროვნებისადმი. ცნობილი მოგზაური ან. მურავიოვ-აპოსტოლი 1871 წლის 8 თებერვალს გაბრიელს წერდა, რომ სიხარულით წავიკითხეო „дневник Вашего миссионерского странствия по Абхазии и это внушило мне мысль выразить вам письменно то глубокое уважение, которое я к вам с тех пор питаю. Слава богу, что этот дикий край, который я видел в 1847 году в совершенном запустении, нашел, наконец, своего просветителя, который вернее понял его духовныя нужды, как туземец, нежели все миссии, которые хотели туда послать без всякой пользы. Ожила опять древняя Пицунда и возникает из развалин церковь Симона Канонита и обитель Дранды и столько иных запустелых святылиц".¹⁴⁸

მეუფე გაბრიელს აფხაზეთში ჰყავდა შესანიშნავი კრებული გამოცდილი და თავდადებული მისიონერებისა. 1869 წელს აფხაზეთის უფროს ბლალოჩინად მან დ. მაჭავარიანი დანიშნა, რომელიც მანამდე თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდა სამურზაყანოში. მის წინაშე აფხაზთა შორის მისიონერული საქმიანობის ფართო ასპარეზი გაიშალა. დ. მაჭავარიანი, როგორც კირიონი აღნიშნავდა, გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით და ღირსეული თანამებრძოლების შერჩევის უნარით. მას მხარეში ედგნენ მღვდელმონაზვნები ბესარიონ დგებია (დგებუაძე) და ათანასე ჟორდანი. „ამ უკანასკნელებმა, უფლის დიდებისადმი წმინდა თავგამოდებით გამხნეებულებმა, გააკეთეს წმინდა მოციქულებრივი საქმე აფხაზთა შორის“.¹⁴⁹ დ. მაჭავარიანმა ბესარიონს ბზიფის უბანი ჩააბარა, ათანასეს კი — კოდორის. აფხაზეთში მოღვაწეობდნენ სხვა მისიონერებიც — ძალიან „მონდომებულები და მისიის საქმის ერთგულები“, მაგრამ ბესარიონი და

ათანასე ყველასაგან გამორჩეულები იყვნენ. მათ საკუთარი ოთახიც არ ჰქონდათ, მუდმივად აფხაზთა შორის ტრიალებდნენ, ქადაგებდნენ ბიბლიას, მოსახლეობას რჩევა-დარიგებებითა და მედიკამენტებით ეხმარებოდნენ. ამ უნგარო ადამიანებმა მალე საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეს, სულ რაღაც „სამ-ოთხ წელიწადში მაპ მადიანურ ცრურწმენებში ჩაფლული ველური ხალხი ქრისტეს მორჩილ მსახურებად აქციეს“. ხალხი მასობრივად (ერთდროულად 100-300 ადამიანი) ინათლებოდა. მღვდელმონაზონი ათანასე მოქვეში მყარად დამკვიდრდა, აქცია იგი ქრისტიანულ ოაზისად, ხოლო იქიდან მეზობელ სოფლებში გადიოდა და ქრისტიანობის პროპაგანდას ეწეოდა. ოლქის უფროსის შელკაჩოვისა და ნაწილობრივ ვ. გეიმანის ხელშეწყობით, მან წარმატებით დაასრულა მისიონერული საქმე. „დეკანოზი დ. მაქავარიანისა და მისი თანამოღვაწეების ბეჭითი და უნგარო საქმიანობის შედეგად მთელი აფხაზეთის მოსახლეობის 4/5 მართლმადიდებლობა მიიღო“.¹⁵⁰ სამურზაყანო მთლიანად ქრისტიანული იყო. კ. მაქავარიანი იქაური მოსახლეობის რწმენის სიმტკიცისა და ღრმა რელიგიურობის დამადასტურებელ ასეთ ფაქტს იხსენებდა: ვ. გეიმანმა სამურზაყანოს წარმომადგენლები სოხუმში მიიწვია და მათ ბატონყმობის გაუქმების შესახებ აუწყა; ჩამოსული სტუმრების საპატივცემულოდ გაშლილი სუფრა სამარხვო კერძებით გააწყვეს, ვინაიდან მარხვის დღე დაემთხვა და სამურზაყანოელებმა ხორცის მირთმევაზე უარი განაცხადეს.¹⁵¹

ათანასე (ერისკაცობაში დავითი) ჟორდანია იყო XIX საუკუნის 20-30 წლებში აფხაზეთში მოღვაწე მისიონერთა ღირსეული წარმომადგენლის, ლიხნის კარის ეკლესიის დეკანოზისა და მიხეილ შერვაშიძის სულიერი მოძღვარის სვიმონ ჟორდანიას შვილიშვილი, მარტვილელი დეკანოზის ოქროპირ ჟორდანიას შვილი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის თედო ჟორდანიას მამა. 1906წ. აპრილში კირიონისადმი გაგზავნილ წერილში თ. ჟორდანია წერდა: „კერძოდ ჩემთვის აფხაზეთი ორწილ ჩემი სამშობლოა: აქ ქრისტეს სარწმუნოების გავრცელების ღვაწლში სული დალია ჩემმა პაპის მამამ სვიმეონმა (იხ. Акты архео-

рафической комиссии, т. I-III), ყველა ჩემმა ბიძებმა, მამაჩემმა — ბერობაში ათანასემ (რომელმაც მოაქცია სოფლები მოჭვი, მერკული, თხინა, არადუ, ქლოუ, აკვასკე, გუფუ და ჯგერდე), ჩემმა ძმამ იესემ და სხვა. ჩემი სახლიც — დღეს ოხერი — ოქუმშია და იქვე მაქვს ცოტაოდენი მიწაწყალი თუ რუსის მოლოზნებმა არ წარმართვეს, რომელთაც მოჭვის დიდებულ ლეონ მეფისაგან აღშენებულ ტაძარი დაისაკუთრეს“. ათანასეს უფროსი ვაჟი იოსები (იესე) თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ აფხაზეთში დაბრუნდა და 80-ნ წლებში მოჭვის ეკლესიის მღვდელი იყო; იმავე პერიოდში სიძე (ქალი შვილის მეუღლე) ანდრია თათარაშვილი სამურზაყანოში ს. გუდავის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი გახლდათ. მისი შვილი მიხეილ თათარაშვილიც სასულიერო პირი იყო და მუხურში მსახურობდა. სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული ჟორდანიების მეორე სიძეს — ალექსანდრე ჩხიკვაძეს (რომლის მამა ბესარიონი საბერიოს მღვდელი იყო) — საბერიოს საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელს. მათი უახლოესი ნათესავები იყვნენ მღვდლები (ოქუმის მაცხოვრებლები) — მამა-შვილი მათე და ნესტორ ჟორდანიები. ეს უკანასკნელი XX ს. დასაწყისიდან მრავალი წლის მანძილზე მოჭვის მიძინების ეკლესიის მღვდლად მსახურობდა; იყო მესამე საბლალოჩინოს ოლქის (ოჩამჩირის რ-ნი) ბლალოჩინის თანაშემწე, ზოგჯერ ბლალოჩინის მოვალეობასაც ასრულებდა. სასულიერო პირები იყვნენ ჟორდანიების შორეული წინაპრები, რომლებიც ხელს აწერდნენ 1759წ. სოლომონ მეფისათვის მირთმეულ პირობის წიგნზე ტყვეთა სყიდვის აკრძალვის შესახებ (როგორც ამის თაობაზე წერდა თ. ჟორდანი კირიონისათვის 1906წ. გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში). თედო ჟორდანიას შვილი შვილის მოგონებების მიხედვით, დავით (ათანასე) ჟორდანი 26 წლის ასაკში დაქვრივებულია; 1853 წელს დაბადებული თედო მაშინ ორი წლის, ხოლო იოსები — 4 წლისა ყოფილან; ამის შემდეგ შედგომია ის ბერობას (ე.ი. XIX ს. 50-ნ წლებში). თავდაპირველად ათანასე სამურზაყანოში მოღვაწეობდა (სახლ-კარი ოქუმში ჰქონია), 60-70-ნ წლებში — კოდორში (ოჩამჩირის რაიონში). 1882 წელს თედო ჟორდანიას, როგორც აფხაზეთის მკვიდრთან გათა-

ნაბრებულ პიროვნებას, მოქვეშ 30 დესეტ. მიწა გამოეყო, მაგრამ 1904 წელს უარი უთხრეს გაზრდილი მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე; მოქვის მღვდელი იესე ჟორდანიას 1886 წელს ასევე ითხოვდა აფხაზეთში მიწის გამოყოფას იმ მოტივით, რომ მამამისი — ათანასე — 50 წელი მსახურობდა აფხაზეთში (50 წლის ნამსახურობა რეალური არ უნდა იყოს; ათანასე დაახლოებით 1880წ. გარდაიცვალა) და შვილები მასთან იზრდებოდნენ.

ათანასე ჟორდანიას წარმატებული მისიონერული მოღვაწეობით შემფოთებულმა მოლებმა იგი მოწამლეს.¹⁵²

უნდა აღინიშნოს ოლქების ბლალოჩინების დამსახურებაც. 70-ნ წლებში ბიჭვინთის ოლქის ბლალოჩინი გახლდათ ი.ტიტუინიძე, აბეუსა — ი. ბერძენოვი (ბერძენიშვილი); დ. მაჭავარიანის აფხაზეთის უფროს ბლალოჩინად დანიშვნის შემდეგ სამურზაყანოს ბლალოჩინი ხდება დეკანოზი ი. ჭიჭინაძე.¹⁵³ 1880 წელს იგი მღვდელმა იოანე ჩხენკელმა (გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის აკაკი ჩხენკელის მამა) შეცვალა, რომელიც მანამდე 11 წლის განმავლობაში ოქუმში მოღვაწეობდა. არსებობს ასეთი საბუთი:

„Свидетельство

Дано сие благочинному Самурзаканских церквей Абхазской епархии священнику Окумской благовещенской церкви Иоанну Чхенкели, сагласно просьбы его, в том, что он по скудости получаемого им содержания и бедности своей не в состоянии дать приличное образование своим детям на свой счет, в чем подписью моею с приложением казенной печати свидетельствую. г. Кутаис, 16 декабря 1881 года.

Гавриил Епископ Имеретинский”.¹⁵⁴

როგორც ჩანს, ეპისკოპოს გაბრიელის მიერ გაცემულმა საბუთმა გაქრა. იოანე ჩხენკელის უფროსმა შვილმა მიხეილმა სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გააგრძელა, ნეონინა (ქალიშვილი) ჯერ სოხუმის ქალთა პროგიმნაზიაში, შემდეგ — ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ხარჯზე, აკაკი — სამეგრელოს სასულიერო სასწავლე-

ბელში, ლუკა — სოხუმის მთიელთა სკოლაში (იოანეს ჰყავდა კიდეც 1879წ. დაბადებული ქალიშვილი ანა და 1883წ. დაბადებული მარია). აკაკიმ 90-ნი წლების ბოლოს სწავლა კიევში, შემდგომში საზღვარგარეთ გააგრძელა. იმ დროისათვის უკვე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე აკაკი ჩხენკელი და სხვა ქართველი სტუდენტები (გ. ნათაძე, კ. ანდრონიკაშვილი, თ. მჭედლიშვილი) გულთბილ წერილს უგზავნიან (1899წ. 10 ნოემბერს) ეპისკოპოს კირიონს კიეველი ღარიბი ქართველი სტუდენტებისათვის და ხმარების აღმოჩენის გამო, მოახსენებენ მადლობას და აცნობებენ, რომ „კიველ ქართველი სტუდენტები ირჩევენ თქვენს მეუფებას თავის საპატიო წევრად“.¹⁵⁵

60-ნი წლების ბოლოდან 1877 წლამდე აფხაზეთში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების, ასევე აფხაზეთის კათედრის მიერ წინა წლებში დაზოგილი სახსრებით რამდენიმე ახალი ეკლესია გაიხსნა: 1869 წელს — დურიფშში; 1870 წელს — მუგუძირხვაში; 1871 წელს — წმ. გიორგის ეკლესია ბლაბურხვაში, იოანე ნათლისმცემლისა — კინდლში, ამალღებისა ჭლოუში, პეტრე პავლეს — გუფში, წმ. მოციქულების კრების — ტყვარჩელში; 1876 წელს ღვთისმშობლისა — ეშკეთში. ეპისკოპოს გაბრიელის გადაწყვეტილებით, ილორის ეკლესიისაგან ნასესხები 2774 მანეთით აშენდა ან შეკეთდა ააცის, კალდახვარის, ოთხარისა და კულანურხვის ეკლესიები (სწორედ ეს ეკლესიები, ასევე ხუაფის, აქანდარის, ბაგაკიტის — აკურთხა გაბრიელმა 1870 წელს). ამასთან დაკავშირებით, 1873 წლის 12 იანვარს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საქმეთა მმართველს იმერეთ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა წერილით მიმართა; მასში აღნიშნულია, რომ 1870-1871 წლებში ბევრი ეკლესია აშენდა და განახლდა, რისთვისაც ასიგნებული იყო აფხაზეთის საეპისკოპოსოს მიერ წინა წლებში დაზოგილი სახსრები. ვინაიდან თანხები საკმარისი არ აღმოჩნდა, აგრძელებდა გაბრიელი, იძულებული გავხდით სოხუმის სამხედრო განყოფილებაში შენახული ილორის ეკლესიის 2774 მანეთი მესესხა; აქედან 2313 მანეთი უკვე დახარჯულიაო. რადგანაც ამ თანხის მეტი ნაწილი ილორის ეკლესიას მიღებული აქვს იმერეთის ეპარქიაში, კერძოდ,

ხონში მდებარე მისი მამულებიდან, სადაც ასამდე ოჯახი ცხოვრობს, — წერდა ეპისკოპოსი გაბრიელი, — “Я мог употребить эту сумму на нужды всей Абхазской церкви, тем более, что сама Илорская церковь ни в чем не нуждается”; გაბრიელი ნებართვას ითხოვდა „ввиду исключительного положения православной церкви в Абхазии и недостатка средств общества, позволять и наперед подобные заимствования”. მიღებული პასუხის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი ეკლესიის სახსრების გამოყენება მეორე ეკლესიის საჭიროებისათვის სესხის გადახდის გარეშე „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს დაშვებული“.¹⁵⁶

ქრისტიანობის გავრცელების პროცესში თავადაზნაურობის ცალკეული წარმომადგენლებიც ერთვებოდნენ, რასაც ჰქონდა როგორც სარწმუნოებრივი, ისე პრაგმატული საფუძველიც. მოახლოებული საგლეხო რეფორმის პირობებში ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ თბილისის წოდებრივ-საადგილმამულო კომიტეტი (თავჯდომარე გენ. დ. სვიატოპოლკ-მირსკი) აფხაზეთ — სამურზაყანოში რეფორმის საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად ჩატარების აუცილებლობაში. აქედან გამომდინარე, 1870 წლის 22 მარტის მოხსენებით ბარათში დ. სვიატოპოლკ-მირსკის სახელზე თავადები ტ. მარლანია, კ. ინალ-იფა, ბ. ემუხვარი და მ. მარშანია ხაზს უსვამდნენ სოხუმის განყოფილების ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და რელიგიურ ერთობას დანარჩენ საქართველოსთან. „Изддревле Абхазия состоявляла часть бывшего Грузинского Царства, — წერდნენ ისინი, — ... Древний Пицундский храм был в течение нескольких веков престольным храмом каталикосов абхазских и грузинских... До очень недавнего времени процветали в Абхазии епископства Драндское, Моквинское и Бедийское... Народ Абхазский и Самурзаканский почти до последнего времени имел с Грузией, Мингрелией и Имеретией одну религию, один обычай, одни законы. Если вера христианская, под влиянием мусульманского ига и разных неурядиц в Аб-

ხაზიი значительно ослабела, то несомненные следы ее сохранились в жизни абхазского народа"... მოხსენებით ბარათზე ხელისმომწერი თავადები იმედს გამოთქვამდნენ, რომ აფხაზეთ-სამურზაყანოში საგლეხო რეფორმის ჩატარებისას „**мы не будем исключены из общей семьи грузинских народов, к которой искони принадлежали**“.¹⁵⁷ თავადაზნაურობის ნაწილი ქრისტიანობაზე ზრუნვით თავის წოდებრივ-საადგილმამულო უფლებებსაც იცავდა; რეფორმის შემდგომ პერიოდში საზოგადოებაში „წარმმართველი“ როლის შენარჩუნების, ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილისა და, ცხადია, რწმენიდან გამომდინარე, იგი, წინა წლებისაგან განსხვავებით, საკმაოდ აქტიურად ეხმარებოდა მისიონერებს ქრისტიანობის გავრცელებაში.

1871 წლის მარტში ეპისკოპოსმა გაბრიელმა და ვ. გეიმანმა კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი კომისიის თავჯდომარეს, მეფისნაცვალ მ. რომანოვს წარუდგინეს იმ პირთა სია, ვინც უნდა დაეჯილდოვებინათ „**за успешное содействие их к приведению в христианство абхазцев и за другое усердие, установленным для членов общества 4-го разряда, знаком без взноса членского платежа**“.¹⁵⁸ სიაში შეყვანილი იყვნენ გუფიდან ჩვენთვის უკვე ნაცნობი თავადი ვასილ (მისოუსტ) მარშანია (1870 წლის 23 მარტის მოხსენებით ბარათზე ხელმომწერი და თანასაფლელთა მონათვლის ერთ-ერთი ინიციატორი), მისი მეუღლე-ეკატერინე ანჩაბაძე; ჭლოუდან — ასევე კარგად ნაცნობი თავადი ვასილ (სალი-ბეი) ანჩაბაძე, მისი მეუღლე მართა მარშანია; მერკულადან შინაყმა-პეტრე (მისოუსტ) ფილია; ფოქვეშიდან — თავადი ალექსანდრე (კიზილ-ბეი) ანჩაბაძე თარჯიმანთან ერთად; ბიჭვინთის ოლქიდან — თავადი კონსტანტინე ინალ-იფა (1870წ. 23 მარტის მოხსენებით ბარათზე ხელისმომწერი), თავადი ალექსანდრე ინალ-იფა, თავადი ვასილ მარლანია და მათთან ერთად ექვსი თარჯიმანი. სიაში იყო შეყვანილი აგრეთვე ოჩამჩირეში მცხოვრები თავადი სამეგრელოდან ისლამ ბარკალაია; მან თავისი ხარჯებით 1871 წ. ჭლოუს ეკლესია ააშენა, რამაც ხელი შეუწყო სოფლის მოქცევას. საინტერესოა, რომ რუსულ ენაზე შედგენილ ამ დოკუმენტ-

ში ყოველი გვარის წინ წერია არა „КНЯЗЬ“ არამედ „ТАВАД“ მე-
 თისნაცვალმა 1871წ. 25 ივლისს აღნიშნული სია თავისი შუამდგომ-
 ლობით პეტერბურგში გადააგზავნა; იმავე წლის 5 ოქტომბერს კავ-
 კასიის კომიტეტმა განიხილა მართლმადიდებლობის აღმდგენი კო-
 მისიის თავმჯდომარის, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მიმარ-
 თვა „О предоставлении 17-ти абхазским туземцам зна-
 ков, установленных для членов этого общества 4-го раз-
 ряда“, და დაადგინა: წარმოდგენილ კანდიდატურებს „за осо-
 бые заслуги, оказанные ими обществу восстановления
 православного христианства на Кавказе предоставить,
 в виде изъятия из правил, знаки, установленные для чле-
 нов этого общества четвертого разряда, без внесения
 членского платежа“ (გამონაკლისი იმაში მდგომარეობდა, რომ
 ისინი გაანთავისუფლეს საზოგადოების წესდების თანახმად მეოთ-
 ხე თანრიგის წევრებისათვის დადგენილი ყოველწლიური ოცმანე-
 თიანი შენატანისაგან). მიღებულ დადგენილებას 1871 წლის 16 ოქ-
 ტომბერს იმპერატორმა საკუთარი ხელით გაუყეოთ რეზოლუცია:
 „Исполнить“.¹⁵⁸

მართლმადიდებლობის გავრცელების საქმეში დიდი მნიშვნე-
 ლობა სკოლას ენიჭებოდა. როცა ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1868
 წლის მაის-ივნისში აფხაზეთი პირველად მონახულა, სკოლები
 მხოლოდ სამურზაყანოში ნახა, რომლებშიც სწავლების დონე, მი-
 სი შეფასებით, არც თუ ისე მაღალი იყო. მთელს დანარჩენ აფხა-
 ზეთში ერთი სამრევლო სკოლაც მაშინ არ არსებობდა. მხოლოდ
 სოხუმში ფუნქციონირებდა 1863 წელს დაარსებული ცნობილი
 მთიელთა სკოლა (ხაზინის ანგარიშზე). 1868 წლის 7 ივლისის ბა-
 რათში შეუფე აღნიშნავდა, რომ აფხაზეთა თანამედროვე თაობა მო-
 ნათვლის შემთხვევაშიც, საეჭვოა მართლმადიდებლობაში განმტ-
 კიცდეს; მთავარ იმედებს მოზარდ თაობაზე ამყარებდა. მისი მოსაზ-
 რებით, „единственное средство оканчательно закрепить
 сию страну за православною церковью а, следовательно-
 но, и за Россиею, это образовать, по возможности, все
 грядущее поколение“ (იხ. დანართი №21); იმავე დროს მიანიშ-
 ნებდა:

ნებადა, რომ განათლება აფხაზეთში მათ მშობლიურ ენაზე (აზლახან შექმნილი დამწერლობის) საფუძველზე უნდა განვითარდეს. ბართში დასმულია ოქუმში ქალთა სასწავლებლის დაარსების საკითხი. სამურზაყანოს საზოგადოების წარმომადგენელთა თხოვნა სასწავლებლისათვის შენობის აგების თაობაზე ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1868 წლის 6 სექტემბერს მართლმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას გადაუგზავნა (იხ. დანართი №22). მოგვიანებით ოქუმის სკოლასთან ქალთა განყოფილება გაიხსნა.

1868 წლის 15 ივლისს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა ვ. გეიმანმა მართლმადიდებლობის აღმდგენ კომისიას აფხაზეთში განათლების რეფორმის თაობაზე საკუთარი წინადადებები წარუდგინა. იქაური ბავშვები (იგულისხმებოდნენ აფხაზებიც და სამურზაყანოელებიც), — აღნიშნავდა ვ. გეიმანი, ღღემდე წერა-კითხვას სწავლობდნენ ქართულ ან რუსულ ენებზე, „ОДИНАКОВО НУЖНЫХ ТУЗЕМНОМУ НАСЕЛЕНИЮ“; სკოლის დასრულების შემდეგ ბავშვებს წერა-კითხვა ავიწყდებოდათ, რამაც სწავლების ასეთი ფორმის დისკრედიტაცია გამოიწვია; თითოეული ჩვენთაგანის ბუნებრივმა სურვილმა, — აგრძელებდა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი, — რაც შეიძლება სწრაფად გვესწავლებინა რუსული „ტუზემცებისათვის“ და შემოგველო იგი როგორც სახელმწიფო ენა, მხოლოდ ზიანი მოგვიტანა და განაპირობა წარუმატებლობა ზომებისა, „ПРИНЯТЫХ НАМИ ДЛЯ ЦИВИЛИЗАЦИИ ТУЗЕМНОГО НАСЕЛЕНИЯ“; აყენებდა აფხაზეთში თავდაპირველი განათლების მშობლიურ ენაზე შემოღების წინადადებას; ამტკიცებდა, რომ „абхазская грамота должна будет служить первой ступенью, долженствующею вести туземцев к дальнейшему образованию уже на русском языке. С этой целью полагаю необходимым в приходских школах вверенного мне края, обучать детей на абхазском языке, подготавливая их только к познанию языка русского, а в Сухумской горской школе ввести преподавание исключительно на русском языке“. სამრევლო სკოლა წარჩინებით დამთავრებულ ბავშვებს, ვ. გეიმანის გეგმით, სწავლა სოხუმის მთიელ-

თასკოლაში უნდა გაეგრძელებინათ, ხოლო ვინც ამ სასწავლებელსაც წარმატებით დაასრულებდა, ჩაირიცხებოდა ეისკის გიმნაზიაში ან სტავროპოლის სემინარიაში, შესაძლოა სამხედრო სასწავლებელშიც — იქ, სადაც „элемент исключительно русский“. რუსულ გარემოში გაზრდილი აფხაზი, როგორც ვ. გეიმანს მიაჩნდა, „гораздо удобнее будет, помимо всякого постороннего влияния, слиться с этим элементом и укрепив в нем свои убеждения, потом при возвращении на родину сделаться усердным и сознательным распространителем своих воззрений в массу одноплеменников.

Как ни хороши гимназии и семинарии в Тифлисе, но всякий абхазец скорей, и хорошо выучится по-грузински, а по-русски будет весьма плох и выйдет, что мы будем тратить средства, чтобы обучить абхазцев совершенно чуждому для них языку и сближение абхазца с Россией будет совершенно в таком виде, как и теперь; наконец, для Абхазии необходимы священники абхазцы, а не мингрельцы или грузины”.

ვ. გეიმანი აყენებდა წინადადებებს, სოხუმის მთიელთა სკოლაში, სადაც 20 ბავშვი სწავლობდა (თითო ბავშვზე წელიწადში 80 მან. იხარჯებოდა), მოსწავლეთა კონტინგენტი ორმოცდაათამდე გაზრდილიყო; მათ შესანახ ხარჯებს თანაბრად გაინაწილებდნენ ხაზინა და მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოება; ეს უკანასკნელი აფინანსებდა სამურზაყანოს სკოლებს, მათ შორის ოქტომბისას, სადაც თითო მოსწავლეზე (სულ 20 ბავშვი სწავლობდა) 40 მანეთი იხარჯებოდა, დანარჩენ სკოლებში ძირითადად მხოლოდ მასწავლებლებს უხდიდნენ ხელფასებს. ვ. გეიმანის წინადადებით, ოქტომბის სკოლა სამრევლო სასწავლებლად უნდა გადაკეთებულიყო. ის ითხოვდა ასეთივე სკოლების გახსნას ილორსა და ლიხნში, აგრეთვე სოხუმში ქალთა პროგიმნაზიის დაარსებას.¹⁵⁹

რუსეთს აფხაზეთის ტერიტორიის შემომტკიცების პრობლემა გადაჭრილად მიაჩნდა და ამჟერად ახალ ამოცანას — მოსახლეობის თანდათანობით ასიმილაციას — ისახავდა მიზნად. ეს მიზანი

ზოგადი სახით თუ იყო ვ. გეიმანის მიერ გაცხადებული, უფრო კონკრეტულად და ღიად ამის შესახებ ხელისუფლების ნების გამოძახებული იმპერიული პრესა წერდა. 1870 წლის ივლისიდან რამდენიმე თვის განმავლობაში გაზეთი „კავკაზ“-ი აქვეყნებდა ე. პრუდკოვის წერილების („Из Сухума“, „Очерки Цебельды“) სერიას, რომელთა შორის პირველი პუბლიკაცია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებს (დანარჩენებში ძირითადად სამეურნეო საკითხებზე იყო საუბარი) შეეხებოდა. ავტორის აზრით, აფხაზი — „дикарь, загнанное и болезненное создание“, რომლის „მოთვინიერება“ მხოლოდ რუსული ენის გავრცელებით, გაქრისტიანებითა და გარუსებით იქნებოდა შესაძლებელი. რუსული ადმინისტრაციის გულისნადებს ე. პრუდკოვი ასე ახმოვანებდა:

„Нельзя умолчать, что скорое распространение русского языка в крае _ вопрос первостепенной важности (ვ. გეიმანს კი აჩქარება ამ საკითხში, როგორც ზემოთ ვნახეთ, საზიანოდ მიაჩნდა — ჯ.გ.): без него и христианские правила будут прививаться очень туго, да и к чему нам создавать в будущем лишняя хлопоты, заботясь о поддержании абхазской национальности... Преобладание или, точнее сказать полное господство грузинского духовенства во вновь обращенном крае _ едва ли выгодно для нас...

Младенчаствующее состояние абхазцев, принятие православия и новое гражданское управление _ создаст для нас прекрасную почву, на которой предстоит очень легко создать в непродолжительном времени чисто русскую провинцию. Влияние русского развития духовенства принесет несомненную пользу своим содействием и к упрочению полного слияния...

Преподавание на русском языке во всех школах Абхазии и Самурзакани... будет могущественно содействовать миссионерским трудам наших священников для скорейшего обрусения края”.¹⁶⁰ ამ მიზნის მისაღწევად, ე.

პრუდკოვის გეგმის შესაბამისად, საკმარისი იქნებოდა „ორი თაობის“ შეცვლა.

ამრიგად, კავკასიაში რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის რუპორმა ქართული სამღვდლოების აფხაზეთში „სრულად გაბატონების“ გამო საჭვეყნოდ უკმაყოფილება გამოთქვა და დაუფარავად გამოაცხადა რუსი მისიონერების მეშვეობით შედარებით ახლო მომავალში აფხაზთა გარუსების გეგმა. მეუფე გაბრიელისა და სხვა ქართველ მისიონერთა ერთ-ერთი ისტორიული დამსახურება აფხაზეთში მათი მოღვაწეობის მთელი პერიოდის მანძილზე ამ დანაშაულებრივი გეგმის რეალიზაციისათვის ხელის შეშლაში მდგომარეობდა. თავის ქადაგებებში მეუფე გაბრიელი აფხაზებს წინაპართა — ბიჭვინთის, ლიხნის, მოქვის და სხვა უძველესი ტაძრების შემქმნელთა — სარწმუნოების მიღებისაკენ და არა გადაგვარებისაკენ მოუწოდებდა.

ე. პრუდკოვი ხელისუფლების პოზიციას რომ გამოხატავდა, მაშინათვე გამოჩნდა, როგორც კი იგივე იდეების მატარებელი, მაგრამ შედარებით ზომიერი, მორწმუნე, ძლიერი ადმინისტრატორი და რეფორმატორი გენერალი ვ. გეიმანი 1871 წელს გენერალმა პ.კრავჩენკომ შეცვალა. 1873 წლის 4 დეკემბერს მეფისნაცვალს მან წარუდგინა ბარათი „По поводу распространения в Сухумском отделе русской грамотности“ (იხ. დანართი №27) ;დოკუმენტში თავიდან ბოლომდე საუბარი მიდის ეკლესიიდან და სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნის შესახებ, თუმცა ავტორმა კარგად იცოდა, რომ აფხაზეთში „вся церковная служба с давних времен исполняется по церковным грузинским книгам и на грузинском языке“. პ. კრავჩენკო ღარწმუნებით აცხადებდა, „что вместо теперешних 49 приходских священников (ქართველების — ჯ.გ.) 10 русских проповедников, если не принесли бы много пользы, то по крайней мере вытеснили бы совершенно грузинский язык, положительно здесь бесполезный (აფხაზეთის გასარუსებლად — ჯ.გ.) и тормозящий русское развитие“. ამდენად, სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს აფხაზეთში ქრისტიანობის გავრ-

ცვლება კი არა, იქიდან ქართული ენის გამოდევნა აინტერესებდა. აი, რა მძიმე პირობებში უხდებოდა შრომა ქართველ მისიონერებს და რატომ არის მათი ღვაწლი განსაკუთრებულად დასაფასებელი.

მეუფე გაბრიელის უზარმაზარმა ავტორიტეტმა და ძალისხმევამ შეუშალა ხელი პ. კრაჟჩენკოს მსგავს მოხელეებს იმპერიალისტური ზრახვების სრულად განხორციელებაში. ცალკეული რუსოფილური განცხადებები სრულებითაც არ უშლიდნენ ხელს იმერთ-აფხაზეთის ეპისკოპოსს ქართულ-აფხაზური საქმეების კეთებაში. სწორედ მან უზრუნველყო იმ ეტაპზე ქართული სამღვდლოების „გაბატონებული“ მდგომარეობის შენარჩუნება აფხაზეთში. სასულიერო პირთა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ხალხში განათლების შეტანა გახლდათ. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1870 წელს ლიხნის სამრევლო სკოლის აღდგენა, მასთან საერთო საცხოვრებლის გახსნა, სადაც მოსწავლეები შედარებით კარგ პირობებში ცხოვრობდნენ. პედაგოგმა გ.ლოღობერიძემ, ამ განათლებულმა ადამიანმა, რომელიც აფხაზთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ლიხნის სკოლა (30 ბავშვი სწავლობდა) ყველა მაჩვენებლით საუკეთესო სკოლად აქცია არა მხოლოდ აფხაზეთის მასშტაბით. 1870 წელს სოხუმში ქალთა სასწავლებლის ბაზაზე იხსნება ქალთა პროგიმნაზია, 1872 წელს — სკოლა ოჩამჩირეში, 1875 წელს — გუფში (დამფუძნებელი ვ.ინალ-იფა), 1876 წელს — ქლოუში. იმავე წელს ახალი ათონის რუსმა ბერებმა ოც ბავშვზე სკოლა-ინტერნატი დაარსეს. 70-ნ წლებში საუკეთესო მასწავლებლები (მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების შეფასებით) იყვნენ ჭინჭიხაძე (გუდავა), საყვარელიძე (ლიხნი), იოსელიანი (ოქუმი), გ.ემუხვარი (ოჩამჩირე), გ.შერვაშიძე (ბედია). იმ პერიოდში იწყებს მოღვაწეობას ცნობილი აფხაზი პედაგოგი ა.ემუხვარი. საუკეთესო სასწავლებლად სოხუმის მთიელთა სკოლა ითვლებოდა, სადაც 1874წ. 80 ბავშვი სწავლობდა. სკოლის მზრუნველი სამხედრო განყოფილების უფროსი იყო. 1875 წელს მთიელთა სკოლას სათავეში ჩაუდგა კ.დ. მაჭავარიანი (წინა წელს იგი ამ სკოლის მასწავლებელ-ზედამხედველად დაინიშნა), რომელიც ცნობილია ანტიქართული საქმიანობით (დაჟინებით ამტკიცებდა,

სამურზაყანოელები აფსუები არიანო); სჯულის კანონს აფხაზეთის უფროსი — ბლალოჩინის დ. მაქავარიანის თანაშემწე ი. ტიტვინიძე ასწავლიდა. დანარჩენი მასწავლებლები (სულ სამი) რუსები იყვნენ. მთიელთა სკოლის 1875 წლის ანგარიშში კ. მაქავარიანი საუბრობდა „სუფთა აფხაზებისა“ და სამურზაყანოელების სწავლა-განათლებისადმი განსხვავებული დამოკიდებულების შესახებ. „Последние (სამურზაყანოელები — ჯ.გ.), составляя одно и то же племя с абхазцами (?!) по нраву, обычаю, характеру и отчасти по языку, _ წერდა იგი, _ больше проникнуты сознанием необходимости образования своих детей, чем первые“ (აფხაზები — ჯ.გ.). კ. მაქავარიანის აზრით, სამურზაყანოელთა ასეთი მიდრეკილება სწავლისადმი განაპირობა სიახლოვემ ქუთაისის გუბერნიასთან, სადაც განათლება კარგად ვითარდებოდა; აგრეთვე მართლმადიდებლობის მიღებამ და რუსული მმართველობის შემოღებამ; აფხაზები კი „находясь постоянно во враждебных между собой отношениях, и исполняя свято свои нравы и обычай, освященные временем и религиею в духе магометанских законов, едва ли имели до последнего времени возможность думать не только о народном образовании, (но и) о своем безопасном житии и битии“. მთიელთა სკოლაში, — აღნიშნავდა კ. მაქავარიანი, — უპირატესად სამურზაყანოელები ითხოვდნენ ჩარიცხვას. იგი წერდა: „Все дети из Самурзаканцев отличаются богатыми способностями, прилежанием, вниманием, тщательным исполнением заданных им самостоятельных работ, особою энергиею, безукоризненным поведением, полным повиновением школьной жизни и особенным желанием во что бы то ни стало попасть в другое, более высшее учебное заведение, чем горская школа. Попадая в такие заведения, он и там оставляет за собою эти достоинства и неуклонно стремится к цели. Между тем, к сожалению, чисто абхазские дети, обладая такими же способностями, не считают себя обязанными удержи-

ვათა ზა სობოი ეტი ჯე სამიე დოსთოიგსთა".¹⁶¹

სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა პ. კრაჟენკომ მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორ სტრელეცკის მეშვეობით მიიღო საზოგადოების მითითება აფხაზეთში „ტუზემცების“ ბავშვთა სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. 1874 წლის იანვარში განყოფილების უფროსი სტრელეცკის აცნობებდა, რომ მიღებული დავალების შესრულების მიზნით, მან ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ოლქების უფროსებს უბრძანა შესაბამისი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება აფხაზურ მოსახლეობაში; დაავალა მათ მოეწვიათ სასოფლო კრებები, რათა აფხაზებს თავადვე დაეწესებინათ ჭარბები იმ მშობლებისათვის, ვინც შვილების განათლებაზე უარს იტყოდა. საჭარიმო თანხები, — წერდა პ. კრაჟენკო, — „будут употребляемы на обязательное обучение детей неисправных родителей“...¹⁶² ამგვარი მეთოდებით ხალხში სწავლა-განათლებისადმი ინტერესის გაღვივება შეუძლებელი იყო.

მიუხედავად მრავალი ხელის შემშლელი ფაქტორისა, ქართული სამღვდელთა მისიონერული და საგანმანათლებლო მუშაობის შედეგები შთამბეჭდავი აღმოჩნდა. არსებობს ოფიციალური მონაცემები (ჩვენი აზრით, არასრული) წლების მიხედვით აფხაზთა (აგრეთვე სხვადასხვა ჯურის სექტანტების) მონათვლის შესახებ: 1866წ. — 366, 1867წ. — 2867, 1868წ. — 1330, 1869წ. — 7894 (მეფისნაცვლის მონაცემებით — 10 ათასი აფხაზი მოინათლა — იხ. დანართი, №26), 1870წ. — 4421, 1871წ. — 1332, 1872წ. — 302 (სხვა მონაცემებით — 181), 1873წ. — 274, 1874წ. — 452, 1875წ. — 147 (თუ ოდნავ ნაკლები), 1876წ. — 98, 1877წ. — 134 და ა.შ.¹⁶³ მთლიანად გაბრიელის ეპისკოპოსობის პერიოდში 18 ათასი (სხვა მონაცემებით, 18100 და 19000) აფხაზი მოინათლა. ეს ციფრია მოტანილი მის ბიოგრაფიაშიც (იხ. დანართი №28). 1886 წლის 30 ოქტომბერს ეჟურნალი „მწყმისი“ აფხაზეთში გაბრიელის ბოლო ჩასვლასთან დაკავშირებით, ჰქონდა რა მხედველობაში ომამდელი პერიოდი, აღნიშნავდა: „ველური აფხაზნი, რომელთა შორის უწინ საშიში იყო მოგზაურობაც, ისე მოარბილა ქრისტიეს სწავლა-

მოძღვრებამ, რომ ისინი დიდის სიხარულით და თანაგრძნობით ეგებოდნენ ქრისტეს სწავლა-მოძღვრების მქადაგებელთა“.¹⁶⁴

18 ათასი აფხაზი, ჩვენი აზრით, ძირითადად 1877 წლამდეა მონათლული, ვინაიდან შემდგომში, ცნობილი მიზეზების გამო, გაქრისტიანების მსურველთა რიცხვმა მკვეთრად იკლო.

ქრისტიანობის გავრცელების პარალელურად, აფხაზეთში აქტიურად მუშაობდნენ ისლამისტი პროპაგანდისტებიც. ესენი იყვნენ თურქეთიდან დაბრუნებული მაჰაჯირები (მეფისნაცვლის განკარგულებით მათ ეკრძალებოდათ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მაინც ახერხებდნენ ჩამოსვლას), თურქი და ჩრდილოეთ კავკასიელი მოღვაწეები. სოხუმის გარშემო მდებარე სოფლებში ისლამს ავრცელებდნენ და ანტირუსულ პროპაგანდას ეწეოდნენ თურქი ვაჭრები, მეთევზეები, კონტრაბანდისტები, რომლებიც იქწლების განმავლობაში ჩადიოდნენ. იგივე საქმიანობას ეწეოდა სოხუმში არსებული თურქეთის საკონსულოც. თანამედროვე გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში იმდენად მომძლავრდა მაჰმადიანობა, რომ მართლმადიდებელმა მისიონერებმა იქ ფეხი ვერ მოიკიდეს.

ეპისკოპოსმა გაბრიელმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1870 წელს აფხაზეთში მოგზაურობისას შეიტყო თურქი და ყარაჩაიელი მოღვაწეების აბჟუაში (ჯგერდასა და ქლოუში) საქმიანობის შესახებ. ისინი მოსახლეობას ქრისტიანობის წინააღმდეგ განაწყობდნენ. გენერალი პ. კრავჩენკო 1877 წლის იანვარ-თებერვალში ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ოლქების უფროსებს აფხაზეთში თურქი პროპაგანდისტების ჩამოსვლის გახშირების შესახებ ატყობინებდა.

თურქეთის ხელისუფლებას აფხაზეთში თავისი დასაყრდენი ძალაც ჰყავდა გადაბირებული თავადაზნაურობის ნაწილისა და ოსმალეთის ქვეშევრდომების სახით. მარტო სოხუმში 1877 წლის დასაწყისში 177 ასეთი ადამიანი ცხოვრობდა, რომელთაგან 148 ომის დაწყების მერე დღესვე — 1877წ. 13 აპრილს თურქეთში გადაიხვეწა.¹⁶⁵

1877წ. 12 აპრილს რუსეთ — თურქეთის ომი დაიწყო. მასში აქტიურ მონაწილეობას მაჰაჯირები ღებულობდნენ. აფხაზი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა, რომელსაც თურქეთში გაქ-

ცეული ოზბეკ მარღანია (კაც მარღანიას შვილიშვილი), მისი ბიძა კალმატ მარღანია (თურქეთის არმიის პოლკოვნიკი), სალახ მარღანია, ხერიპს მარღანია, ჯიქი თავადი გეჩი რეშიდი და სხვები ხელმძღვანელობდნენ. ქართული სამღვდელოება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, უმრავლესობამ აფხაზეთი იძულებით დატოვა. მრევლთან დარჩა სამურზაყანოს სამღვდელოება. ომმა ანტიმართლმადიდებლური მიმართულებაც მიიღო. აჯანყებულმა აფხაზებმა ახალი ათონის მონასტერი დაარბიეს, რომელიც რუს ბერებს ეკუთვნოდათ. 2 მაისს პ. კრაჟენკოს უნიათო მოქმედების გამო, აჯანყებულები თურქეთის ფლოტის დახმარებით სოხუმში შეიჭრნენ, ქალაქი გაძარცვეს და შერე გადაწვეს. თითქმის მთელი აფხაზეთი თურქეთის ხელში აღმოჩნდა. რუსეთისადმი ერთგულება მხოლოდ სამურზაყანომ შეინარჩუნა. მისი წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში. ინგურის, სოჭისა და მარუხის რაზმებმა სამი მიმართულებით განახორციელეს შეტევა და 1877 წლის 20 აგვისტოს სოხუმში (და მთლიანად აფხაზეთიც) გაანთავისუფლეს. ქალაქი ფაქტობრივად არ არსებობდა, „окрестное население поголовно ушло в Турцию“.¹⁶⁶ მასობრივი ნებაყოფლობითი და იძულებითი მაჰაჯირობა საომარი მოქმედებების დროს დაიწყო. ბიჭვინთის ოლქში მოღვაწე მღვდელმონაზონი, მიხეილ შერვაშიძის ყოფილი სულიერი მოძღვარი ბესარიონ მიქაბერიძე და თავადი ჰუსეინ ლაკრბა 1877 წლის 7 აგვისტოს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების წევრის კონსტანტინე ინალ-იფას მეშვეობით წერილს უგზავნიან სოჭის რაზმის მეთაურს, გენერალ ბ. შელკოვნიკოვს თურქებზე მოულოდნელი თავდასხმის განხორციელების თხოვნით, რათა ხელი შეშლოდა აფხაზთა თურქეთში გადასახლებას. მალე ჰუსეინი და მისი მეუღლე ეკატერინე ანჩაბაძე დააპატიმრეს; მღვდელმონაზონ ბესარიონ მიქაბერიძეს და მის სიძეს, მღვდელ დავით ახვლედიანს თურქმა სარდალმა შევეეთ-ფაშამ ოსმალეთის წინააღმდეგ აფხაზების ამხედრებისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. დასახვრეტად გაყვანილი ქართველი მღვდლები გადაარჩინეს თურქეთის არმიის აფხაზმა პოლკოვნიკმა, სხვა აფხაზმა თავადებმა,

რომლებიც თავის დროზე ახლოს იყვნენ მიხეილ შერვაშიძესთან, კარგად იცნობდნენ და პატივს სცემდნენ მთავრის მოძღვარს — ბ.მიქაბერიძეს. სიკვდილს გადაურჩა აგრეთვე აკათის მღვდელი გოგორიშვილი, რომელსაც ერთ-ერთმა აფხაზმა წინასწარ აცნობა მის წინააღმდეგ დაგეგმილი თავდასხმის შესახებ. ტრაგიკული აღმოჩნდა ლიხნის მღვდლის — ივანე გეგიას ბედი. ის როგორც აფხაზი, რომელსაც ბევრი ნაცნობი და ნათესავი თავადი ჰყავდა, დარჩა აფხაზეთში, მოახერხა საეკლესიო ნივთების გადამალვა და მათი გადარჩენა. ი.გეგია მრევლს რუსეთის ერთგულებისაკენ და აფხაზეთში დარჩენისაკენ მოუწოდებდა. ამის გამო, ეპისკოპოს გაბრიელის დახასიათებით, ეს „**весьма честный и благочестивый**“ ადამიანი 1877 წ. აგვისტოში მაჰაჯირებმა შეიპყრეს და დაახვრჩვეს. ომი შეეხო საკუთრივ აფხაზეთში მოღვაწე თითქმის ყველა მღვდელს — მათ საცხოვრებელი სახლები და არსებობისათვის მნიშვნელოვანი ოჯახური მეურნეობა გაუნადგურეს. ბევრს ჭანმრთელობა შეერყა და ომის დასრულების შემდეგ მალე გარდაიცვალნენ, მათ შორის ბ.მიქაბერიძე, გოგორიშვილი და სხვები. იმდენად მძიმე იყო ვითარება აფხაზეთში, რომ ბევრს არ სურდა ამ მხარეში სამსახური.¹⁶⁷

ომის შედეგად თურქების ხელით განადგურდა აფხაზეთის 16 ეკლესია, 26 ეკლესიაში დაწვეს საეკლესიო წიგნები და დოკუმენტები; მიწასთან გაასწორეს სოხუმის მთიელთა სკოლა, ქალთა პროგიმნაზია; კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 10 სკოლიდან 4 დაიწვა (ლიხნის, ჭლოუს, ოჩამჩირის, ახალი ათონის), ერთი (გუფის) დაზიანდა, ოქუმის ცნობილი სკოლა დროებით ჰოსპიტლად გადაკეთდა და იქსწავლა მხოლოდ 1879 წ. განახლდა. სამურზაყანოს დანარჩენი ოთხი სკოლა (ღიზაზურგის, საბერიოს, ბედიისა და გუდავის) არ დაზარალებულა. სამურზაყანოელი პედაგოგები ა.ემუხვარი, გ.ემუხვარი, გ.შერვაშიძე და ბ.ინალ-იფა ომის დროს ენგურის რაზმში მსახურობდნენ, რისთვისაც ოთხივე წმ.გიორგის ორდენებით დააჯილდოვეს. რუსთა მხარეს მებრძოლ მილიციაში მოზრდილი მოსწავლეებიც ირიცხებოდნენ. საკუთრივ აფხაზეთიდან კი მოს-

წავლეთა ნაწილი თურქეთში წაიყვანეს. თურქეთში აღმოჩნდა ახალი ათონის მონასტერთან არსებული სკოლის რამდენიმე მოსწავლე.¹⁶⁸ მთლიანობაში რუსეთ-თურქეთის ომს აფხაზი ხალხისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვა. მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, რომლებიც სოხუმის სამხედრო განყოფილების ახალმა უფროსმა პ. არაკინმა გაზეთ „კავკაზ“-ს (1878 წლის 11 ივნისი) მიაწოდა, სამურზაყანოდან არაეინ გასახლებულა, კოდორის უბნის 3935 ოჯახიდან 1071 თურქეთში წავიდა, მთლიანად დაცარიელდა გუმისთის უბანი, სადაც ომამდე 2221 ოჯახი ცხოვრობდა; გუდაუთის უბნის 5293 ოჯახიდან 1518 — მაჰაჯირი გახდა. ერთ ოჯახზე საშუალოდ 4,5 სულის გაანგარიშებით, მაჰაჯირთა საერთო რაოდენობამ 21190 ადამიანი შეადგინა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სოხუმიდან, სადაც აფხაზები არც ცხოვრობდნენ, თბილისშიც გადასახლებულა.¹⁶⁹

მაჰაჯირობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა რელიგიას ენიჭებოდა, თუმცა აჯანყებაში, რომელიც გამანთავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს ატარებდა, სხვადასხვა აღმსარებლობის აფხაზები მონაწილეობდნენ. ალბათ, ამით აიხსნება ქრისტიანთა ნაწილის თურქეთში გადასახლება. კ. მაჰაჯარიანი აღნიშნავდა: „Трудно было склонить абхазцев-христиан на сторону турок“¹⁷⁰ ისინი მოტყუებითა და მუქარით წაუყვანიათ ოსმალეთში.

გ. ძიძარია სამართლიანად წერდა მაჰმადიანობის უარყოფით როლზე აფხაზთა გადასახლებაში.¹⁷¹ ისევე როგორც 1867 წელს, ამჯერადაც მთლიანად ის რეგიონი დაცარიელდა, სადაც ქართველ მისიონერებს მუშაობის საშუალება არ მიეცათ, ვერ ამოქმედეს ეკლესია — მონასტრები და მთელი მოსახლეობა, რამდენიმე ასეული ადამიანის გარდა, მუსულმანურ აღმსარებლობას მისდევდა; სადაც ყველაზე მეტად იგრძნობოდა თურქეთის გავლენა. როგორც ვიცით, 1867 წელს ეს იყო წებელდა, ფსხუ და ა.შ., 1877წ. — გუმისთის უბანი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რუსულ პოლიტიკაში წინასწარ იყო ჩადებული ამ რეგიონების სრული დაცლა, მათი კოლონიზაცია და აფხაზური მოსახლეობის შუაში გახლეჩვა. სხვანაირად გაუგებარია, XIXს. 60-70-ნ წლებში რა უშლიდა

ხელს მისიონერთა დამატებით მოზიდვას გუმისთის უბანში სამუშაოდ, რატომ იყო ყურადღება ამგერადაც მხოლოდ გუდაუთის, კოდორისა და სამურზაყანოს უბნებზე გამახვილებული.

1877 წელსაც უფრო გუდაუთის უბანი დაზარალდა, ნაკლებად — კოდორი, ვინაიდან პირველში გაცილებით მეტი მუსულმანი ცხოვრობდა, ვიდრე მეორეში. ქრისტიანულ უბანს — სამურზაყანოს მაჰაჯირობა ამგერადაც არ შეხებია. როგორც ზ. პაპასჭირი აღნიშნავს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს აფხაზური ფეოდალური ელიტის ერთი ნაწილი (ძირითადად აბუჟიდან და სამურზაყანოდან) არ მოექცა თურქეთის ისლამისტური აგიტაციის გავლენის ქვეშ. უფრო მეტიც, ეს ნაწილი ქრისტიანი თავადაზნაურობისა (გრიგოლ შერვაშიძე, ერისტო, ჩაგუ და ბათა ემუხვარები, ალმასხან და ჩაგუ მარშანიები, შემათღამურზაყან ანჩაბაძეები და ა.შ.) რუსებისა და ქართველების მხარდამხარ იბრძოდა თურქების წინააღმდეგ.¹⁷



1877 წლის მაჰაჯირობის ტრაგიკული შედეგები არის დადასტურებული იმ დასკვნისა, რომ ქართველი მისიონერების დაულალავმა შრომამ, ათასობით ადამიანის მონათვლამ აფხაზი ხალხი სრულ მაჰაჯირობას და, ამდენად, უბიხების მსგავსად, ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. იმ 18-19 ათასი აფხაზის მონათვლის გარეშე ერის კატასტროფა გარდუვალი იქნებოდა. ეს მოსალოდნელი უბედურება აფხაზ ხალხს ეპისკოპოს გაბრიელისა და სხვა ქართველ მისიონერთა ძალისხმევამ ააცილა თავიდან.

ყოველივე ამის შემდეგ სრულიად უსაფუძვლოდ უნდა მივიჩნიოთ ზაქარია კიკინაძის მტკიცება, თითქოს აფხაზთა მაჰაჯირობის მიზეზი იყო არა ისლამური პროპაგანდა და მაჰმადიანობა, არა რუს-

სული იმპერიული პოლიტიკა კავკასიელთა გენოციდისა, არამედ ქართველთა მიერ ძალით (?!) ქრისტიანობის გავრცელება.¹⁷³ ამგვარი დასკვნა ყოველგვარ ლოგიკას და საღ აზრს მოკლებულია და, ცხადია, არანაირ ფაქტოლოგიურ მასალას არ ემყარება. აფხაზეთში და მის ფარგლებს გარეთაც მაჰაჯირობამ პირველ რიგში და უმთავრესად ის რეგიონები მოიცვა, სადაც მართლმადიდებელ მისიონერებს არ უმუშავიათ — წებელდა, ფსხუ, ახჩიფსხუ, აიბგა, გუმისთის უბანი, აგრეთვე ჩიქეთი, უბიხეთი, შაფსულია და ა.შ. მათთვის სერიოზულად არც შეუთავაზებიათ ქრისტიანობის მიღება, მაგრამ მაჰაჯირობის მსხვერპლად იქცნენ. ამდენად, ქრისტიანობა, მით უმეტეს ქართველობა აქ არაფერ შუაშია.

გარდა ამისა, აფხაზებს არასოდეს ახასიათებდათ რელიგიური თანატიზმი. ვისაც კი გარკვეული შეხება ჰქონია აფხაზებთან და რაიმე დაუწერია მათი სარწმუნოების შესახებ (მაჰაჯირობამდეც და მაჰაჯირობის შემდეგ), ყველაერთხმად აღნიშნავდა, რომ ისინი ცუდი მუსულმანები (ასევე ცუდი ქრისტიანები) არიან. გაზეთი „კავკაზ“-ი 1854წ. წერდა: როგორც ქრისტიანული ნორმები, ისე, „Коран Магомета плохо соблюдают абхазцами“.¹⁷⁴ ასეთი იყო აფხაზი ეთნოგრაფის ს. ზვანბას შეხედულებაც საკუთარ ხალხზე.¹⁷⁵ ყირიმის ომის შემდეგ ისლამი აფხაზეთში უფრო აგრესიული და ქრისტიანობის მიმართ ნაკლებად შემწყარებელი გახდა, — ნათქვამია გაზ. „კავკაზ“-ში გამოქვეყნებულ წერილში „О положении в Абхазии в религиозном отношении“, მაგრამ აფხაზები კვლავ რჩებოდნენ ცუდი მუსულმანებად, რომლებმაც დოგმატები არ იცოდნენ.¹⁷⁶

მუსულმანი აფხაზები სვამდნენ ღვინოს, მიირთმევდნენ ღორის ხორცს, აღნიშნავდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებს (შობას, აღდგომას). „В таком магоматанстве, — წერდა ნ. დუბროვინი, — нетрудно заметить следы христианства, с примесью язычества. Абхазы мусульмане плохие последователи пророка; между ними нет ни одного, кто бы знал в чем заключается учение Магомета. Большинство не знает кто такой был Магомет“. აფხაზური საზოგადოება სარწმუნოებრივი

ნიშნით არ იყო დაყოფილი. რელიგია „ни в каком отношении не налагает различия между жителями, — აგრძელებდა ნ. დუბროვინი. — В одном и том же семействе можно встретить весьма часто и христианина, и магометанина, живущих между собой в совершенном согласии“. ამავე დროს მუჰამედის მოძღვრებამ, „приняв политическое направление, успела достигнуть того, что исповедание мусульманской религии сделалось как бы отличительным признаком высшего класса людей. Многие без всякого убеждения, а из одного желания не отделяться от порядочных людей, принимали магометанскую веру“.¹⁷⁷

რელიგიისადმი ასეთი დამოკიდებულების პირობებში აფხაზისათვის დიდ პრობლემას, მით უმეტეს ტრაგედიას არ წარმოადგენდა ერთი სარწმუნოების მეორით შეცვლა.

კავკასიის მეფისნაცვალის მიხეილ რომანოვი 1869წ. 31 მარტს წერდა, რომ პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით, აფხაზური მოსახლეობა „с поразительной легкостью стало отказываться от мусульманства, как только увидело, что положение дел и характер влияния изменилось“ (იხ. დანართი №23). ამიტომ ქრისტიანობის მიღება ვერ გახდებოდა და არც გამხდარა მაჰაჯირობის მიზეზი. ჭიჭინაძის აბსურდულ მტკიცებას თუ დავუჭერებთ, მაშინ ქართველების მიერ „ძალით გაქრისტიანებულებს“ პირველ რიგში და უფრო მეტად უნდა დაეტოვებინათ სამშობლო. მოხდა კი პირიქით. უპირატესად სწორედ მონათლულები დარჩნენ აფხაზეთში და ამით საკუთარი ხალხი სრულ გაქრობას გადაარჩინეს. ერთადერთი ერიც, რომელმაც ხმა აღიმალა აფხაზთა გადასახლების წინააღმდეგ, იყო ქართველობა — მისი ყველაზე ელიტარული ნაწილი.¹⁷⁸

გ. ძიძარია მართალია, როცა ზოგადად რუსულ ეკლესიას ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის იარაღს უწოდებდა, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ აფხაზეთში „მოსყიდვებითა და ძალადობით“ (მოსყიდვებს ადგილი ჰქონდა 1851 წლამდე, ხოლო ძალადობას — 1885 წლის შემდეგ) ქრისტიანობის გავრცელება

„обективно опособствовала не только известному оживлению древних обычаев, но и некоторому распространению мусульманства“ უფრო ადრეც, როცა გ.ძიძარია აფხაზთა 1866 წ. აჯანყების მიზეზებზე საუბრობდა, მართლმადიდებელ ეკლესიას, 1851 წელს დაფუძნებული ეპარქიის მისიონერებს ადანაშაულებდა იძულებითი მეთოდების გამოყენებაში, სხვა „ცოდვებში“, რომლებიც ვითომ მასების უკმაყოფილებას იწვევდნენ; ამ სერიოზული ბრალდების დასამტკიცებლად ავტორმა, მიუხედავად მცდელობისა, ვერც ერთი დამაჯერებელი ფაქტი ვერ მოიტანა, გარდა ვ.გეიმანის განცხადებისა, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ქრისტიანობის „чуть не насильственно“ გავრცელებას.¹⁷⁹ ჯედა ეს დასკვნა (ქრისტიანობის ძალით გავრცელება, მასების უკმაყოფილების გამოწვევა, მუსულმანობის გავრცელებისათვის ხელშეწყობა) ვფიქრობთ, მხოლოდ გარკვეული ხარკია შესანიშნავი მეცნიერისა საბჭოური ათეისტური იდეოლოგიის წინაშე; შებამისად, მაჰაჯირობის რეალური მიზეზების გასააზრებლად, ამ მოვლენაზე (ისევე როგორც 1866 წ. აჯანყებაზე) პასუხისმგებლობის ეკლესიაზე დასაკისრებლად ვერ გამოდგება.

დამღუპველი როლი ითამაშა არა ქრისტიანობის გავრცელებამ, არამედ ისლამის პროპაგანდამ, მის მიერ პოლიტიკური დატვირთვის შექმნამ, ეროვნული თავისუფლების იდეასთან მაჰმადიანობის გაიგივების მცდელობამ, ამ თავისუფლების მედრო შედკისულთანის აღიარებამ. მართლმადიდებლობის გავრცელებაც გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ, მაჰმადიანობისაგან განსხვავებით, სამხედრო დამარცხების შემთხვევაში ქრისტეს მიმდევრების სადმე გადასახლებას მიზნად არ ისახავდა. ამდენად, მაჰაჯირობისათვის პასუხისმგებლობა რუსულიმპერიულ პოლიტიკასთან ერთად ისლამს ეკისრება.

როცა საუბარი არის ისეთ რთულ და ტრაგიკულ მოვლენაზე, როგორიცაა მაჰაჯირობა, პირველ პლანზე რუსულ-თურქული იმპერიული, დაპყრობითი გეგმები დგება; გასათვალისწინებელია სოციალური ფაქტორიც (აფხაზი თავადაზნაურობის სურვილი „სა-

კუთარ“ გლეხებთან — მუშახელთან ერთად გადასახლებისა), აგრეთვე 1877 წლის გაზაფხულ-ზაფხულში რუსული სარდლობის უსუსურობის გამო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია. „Не абхазцы виноваты, а виноваты мы, отдав их на произвол судьбы“, ¹⁸⁰ — სამართლიანად ამბობდა სოხუმის სამხედრო განყოფილების ყოფილი უფროსი ვ. გეიმანი.

მეზობელი კავკასიელი ხალხების ტრაგიკული ხვედრის გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ 1877 წლის მაკაჩირობის მასშტაბები გაცილებით უფრო კატასტროფული იქნებოდა, რომ არა მოსახლეობის უმრავლესობის გაქრისტიანება. ქართველ მისიონერთა ამ გმირობას პრეცედენტი არა აქვს მსოფლიო ხალხებისა და მართლმადიდებლობის ისტორიაში, ამიტომ მათმა სახელებმა სათანადო ადგილი უნდა დაიმკვიდრონ ჩვენი სამოციქულო ეკლესიის ღირსეულ მამათა შორის.

აფხაზი ხალხის ფიზიკურ გადარჩენას რამდენადმე შეუწყო ხელი XIX ს. დასაწყისიდან არსებულმა და ბოლო პერიოდში გამწვავებულმა რუსულ-ქართულმა დაპირისპირებამ შიგ აფხაზეთში. რუსიფიკაციის, ასიმილაციის და ამ მიზნით მხარის კოლონიზაციის იმპერიულ პოლიტიკას უპირისპირდებოდა XVII საუკუნეში განადგურებული ქართული ეკლესიის, კულტურის აღორძინების, მოსახლეობასთან სულიერი კავშირის დამყარების, დანარჩენ საქართველოსთან ერთიანობის გრძნობის გაღვივების, ორი საუკუნის წინ სამეგრელოსაგან ჩამოცილებულ მიწაწყალზე ქართული ეთნიკური ელემენტის კვლავ დაბრუნების სამომავლოდ გათვლილი პოლიტიკა. პირველის ხელში არსებულ მრავალფეროვან ბერკეტებს შორის უმთავრესი იყო „ურჩი მოსახლეობის“ სამშობლოდან გაქცევა; ამის გარეშე რუსული პოლიტიკა აფხაზეთში ვერ გაიმარჯვებდა; მეორე — ქართული პოლიტიკა — მხოლოდ სარწმუნოებრივ-კულტურული თუ სავაჭრო-ეკონომიკური სფეროთი შემოიფარგლებოდა და აზრადაც არ უშვებდა რაიმე ნიშნით იქიდან მოსახლეობის განდევნას. 1867 და 1877 წლებში ეს ორი პოლიტიკაც ეჭახებოდა ერთმანეთს, რისი დადებითი შედეგი აფხაზთა სრულ გენოციდზე უარის თქმა (რათა ეს ტერიტორია მხოლოდ

ქართველთა კონტროლის ქვეშ არ მოქცეულიყო) გახლავთ. რუსეთს აფხაზთა დაახლოებით ის რაოდენობა სჭირდებოდა, რომელიც მას პრობლემას ვერ შეუქმნიდა, მაგრამ საკმარისი იქნებოდა, საჭიროების შემთხვევაში, ქართველთა განეიტრალებისათვის. ქართულ-რუსულმა დაპირისპირებამ აფხაზეთში შექმნა, თუ ასე შეიძლება ითქვას, დამცავი გარსი, რომლის შიგნით კატასტროფული შედეგების მქონე მაჰაჯირობის შემდეგ თანდათანობით აღორძინდა და განვითარდა აფხაზი ერი, რომელიც ოსტატურად იყვნებდა ამ დაპირისპირებას.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად მართლმადიდებლობა აფხაზეთში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მკვეთრად შემცირდა ქრისტიანთა რაოდენობა. სამრევლოთა რიცხვი 36-დან 20-მდე დავიდა. მათგან მღვდელმსახურება 1878 წლისათვის მხოლოდ ათში წარმოებდა. გაუქმდა სამრევლოები: ხუაფის, ზვანდრიფ შის, ყულანურხვის, დურიფ შის, ანუხვის, აზანთის, ააცის, ბაშკიტის, ეშერის, აკაფის, დრანდის, ათარის და ა. შ. მთლიანად დაიწვა ჯირხვის, აქანდარის, ჯგერდის, ეშკეთისა და ოჩამჩირის ეკლესიები;¹⁸¹ ბევრიც დაზიანდა. აფხაზეთში 1875 წელს თუ იყო 57, ხოლო 1876 წელს — 60 ეკლესია, 1877 წლის ბოლოსათვის დარჩა 45. არ დაზარალებულან მხოლოდ სამურზაყანოს ეკლესიები. 1876 წელს აფხაზეთში მოღვაწეობდა 2 დეკანოზი, 56 მღვდელი, 2 დიაკონი და 121 მედავითნე, ომის შემდეგ (1881 წლის მონაცემებით) დარჩა 43 მღვდელი, ორი დეკანოზი, 1 დიაკონი, 82 მედავითნე.¹⁸²

ვითარებას ართულებდა თურქი მოღლების მოძალეობა. ისლამის აქტიური პროპაგანდისტები ხდებოდნენ სამშობლოში დაბრუნებული მაჰაჯირები. როგორც ღროება (1880, №223) წერდა, პოლკოვნიკი პ. არაკინი „თოფითა და ზარბაზნებით“ ხედებოდა „ყველა აფხაზსა და ჩერქეზს, ვინც კი იმის მაზრაში შავი ზღვის ნაპირზე ფეხის დადგმას გაბედავს“. მიუხედავად ამისა, მაჰაჯირთა ნაწილმა დაბრუნება მაინც მოახერხა. აფხაზურ მოსახლეობაში ისლამის პროზციების გაძლიერებას და ქრისტიანობის დასუსტებას უწყობდა ხელს აფხაზი ხალხის „დამნაშავე ერად“ გამოცხადება (1880 წ.

31 მაისი), მასთან დაკავშირებული სოციალური თუ პოლიტიკური შეზღუდვები და მხარის კოლონიზაცია.

ომის შემდგომ პერიოდში ეპისკოპოსი გაბრიელი აფხაზეთში პირველად 1879 წლის 10 მაისს — ამაღლებას ჩავიდა. იმავე დღეს მეუფემ საბერიოში საზეიმო ლიტურგია ჩაატარა, შეხვდა ხალხს, ესტუმრასკოლას. 11 მაისს ეპისკოპოსი ჭუბურხინჯშია, 13 მაისს — დიხაზურგაში, 15-16 მაისს მოინახულა ოტობაიის, ბარლების, რეფის, მუხურისა და გუდავის სამრევლოები; ყველგან წირვა შეასრულა, შეხვდა მოსახლეობას, მათ შორის მოსწავლეებს. 17 მაისს ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში აფხაზეთის მღვდელმთავარმა მისი კარგი ნაცნობის, ერთი წლის წინ გარდაცვლილი თავადის აღმასხიჩ მარშანიას სულის მოსახსენებელი პარაკლისი გადაიხადა, 18-19 მაისს კი დაესწრო მისი წლისთავისადმი მიძღვნილ რიტუალურ ღონისძიებებს — დატირებას, სუფრას და მარულას. ამ უკანასკნელმა თურმე ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რამდენიმეც დაშავებულა. ვინაიდან მსგავს ღონისძიებებზე ხშირი იყო ტრაგიკული შემთხვევები, კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ მარულა შეათასა როგორც მავნე ჩვევა.

20-21 მაისს ეპისკოპოსმა გაბრიელმა მოქვის ტაძარში უამრავი ხალხის (მათ შორის ქლოუელების) თანდასწრებით სწირა. მეუფის სიტყვებს აფხაზურ ენაზე გენერალი გრ. შერვაშიძე თარგმნიდა. მღვდელმთავარმა გასული ომის შედეგებზეც ისაუბრა; თქვა, რომ აფხაზები ყოველთვის თანაუგრძნობდნენ ოსმალებს, რომლებმაც მხოლოდ უბედურება მოუტანეს აფხაზეთს. „Они разграбили и зажгли все дома и церкви, а потом обманом и насилием переселили в Турцию большую часть абхазцев, не дав им никаких средств для существования. Там абхазцы большей части перемерлись (от) голода и холода, а остальные _ всегда только желали и желают переселиться обратно в Абхазию“.

21 მაისს ეპისკოპოსი ჩადის ეშკეტში (აკვასკაში), სადაც ეკლესია, ასევე აქაური მღვდლის — თვალთვაძის სახლკარი მაპაჭირებს გადაუწევავთ. სოფლის ახალმა აფხაზმა მღვდელმა, რუსული გვა-

რის მატარებელმა გ.რომანოვმა აფხაზურ ენაზე იქადაგა, რითაც მეუფე ძალიან კმაყოფილი დარჩა. 22 მაისს მრავალრიცხოვანი მრევლის თანდასწრებით მან სწირა ჭერ გუფის, შემდეგ კი ტყვარჩელის ეკლესიებში.

სოხუმის მიმართულებით მღვდელმთავარი ამჯერად არ წასულა, ვინაიდან აფხაზეთის ამ ნაწილში ფაქტობრივად ყველა ეკლესია განადგურებული იყო, მოსახლეობის უმრავლესობა — თურქეთში გადასახლებული. ამიტომ იგი კვლავ სამურზაყანოში დაბრუნდა, 24-25 მაისს სწირა ბედიასა და ოქუმში, 27 მაისს ჩაატარა ლიტურგია გალში, ეკლესიის აივნისა და დიდი რაოდენობით შეკრებილ მოსახლეობას და კმაყოფილი დარჩა იმით, რომ „народ с величайшим вниманием выслушал проповедь. Впрочем, — ნათქვამია კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1879 წლის ანგარიშში, здешние жители те же мингрельцы и старинные христиане“ 28 მაისს მეუფე უკვე ზუგდიდში იყო.

აფხაზეთში მოგზაურობამ ეპისკოპოსს გაბრიელს დაანახა, რომ სამღვდლოების მატერიალური მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა; სამურზაყანოში იგრძნობოდა ახალი სამრევლოების გაბნის აუცილებლობა, რაზეც თავად მრევლს უნდა ეზრუნა, როგორც ეს ოტობაიელებს გაუკეთებიათ: „часть жителей селения Отобая построила на свой счет церковь, — კვითხულობთ კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ანგარიშში, — при которой давно уже содержит причт. Точно то же можно было сделать в селении Репи, а также и в других многочисленных приходах“.¹⁸³

მეუფე გაბრიელი 1881 წლის მაის-ივნისში კვლავ ჩამოვიდა აფხაზეთში და მთელი რეგიონი მოიარა. დაიწყო ახალი ეკლესიების მშენებლობა და დანგრეულის აღდგენა. 1879-1886 წწ დაიწეს (ან განაახლეს) ფუნქციონირება შემდეგმა ეკლესიებმა: არადუს მაცხოვრის (1879 წ.), ოჩამჩირის აღდგომის (1879 წ.), აქანდარის აღდგომის (1880 წ.) მერხეულის წმ.გიორგის (1881 წ.), გუდაუთის ღვთისმშობლის საფარველის (1882 წ.), ჭუბურხინჯის ილია

წინასწარმეტყველის (1882 წ.), აბუაყვის წმ.გიორგის (1883 წ.), II ბედიის წმ.ანდრია მოციქულის (1883 წ.), ქუთურხინჯის მაცხოვრის ამალლების (1883 წ.), სოხუმის საკათედრო ტაძარმა აღ.ნეველის სახელზე (1884 წ.), I გალის წმ.გიორგის, II გალის მიძინების, ეშკეტის მთავარანგელოზის, II ოტობაიის წმ.თევდორე ტირონის, რეჩხის წმ.ნიკოლოზის, მიხაილოვსკის პეტრე-პავლეს, ჯგერდის აღდგომის (1885 წ.), კალდახვარის წმ.გიორგის, ცხირის პეტრე-პავლეს (1886 წ.). 1884 წლისათვის სამრევლოთა რაოდენობამ ომამდელ დონეს მიაღწია — 20 აფხაზური და 17 — ქართული (სამურზაყანოში). აფხაზურ სამრევლოებში 16 ეკლესია შეკეთებას საჭიროებდა, სამი — ახლად აშენებას.¹⁸⁴ ალბათ, ამის გამოც მონათლულთა რიცხვი უკიდურესად მცირე რჩებოდა. ასე, მაგალითად, 1881 წელს 191 აფხაზი მოინათლა, 1886 წელს — 104 და ა.შ.¹⁸⁵ ამ ეტაპზეც მთავარ ამოცანად ადრე მონათლულთა რწმენაში განმტკიცება, ხალხში განათლების შეტანა, მავნე ჩვევებისაგან განთავისუფლება, შრომით საქმიანობაში ჩაბმა რჩებოდა.

ნელ-ნელა ფეხზე დგებოდა ომის შედეგად მოშლილი განათლების სისტემა. სოხუმის მთიელთა სკოლამ ფუნქციონირება 1879 წელს, ხოლო ქალთა პროგიმნაზიამ — 1882 წელს განაახლეს. ბიჭვინთის ოლქში ომამდე მოქმედი სასწავლებლებიდან აღსდგა მხოლოდ ერთი — ახალი ათონის სკოლა, სადაც 22 სტიპენდიანტი სწავლობდა და იქვე მოწყობილ პანსიონში შედარებით კარგ პირობებში ცხოვრობდა. ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების 1880 წლის ანგარიშში ნათქვამია: „Трудами настоятеля монастыря Иерона и учителя, содержимого за счет общества Эшибая, школа эта все более и более улучшается в учебном и воспитательном отношениях“.¹⁸⁶ ანგარიშში მოხსენიებული მოსწავლებელი გახლავთ სამურზაყანოელი აფხაზი, შემდგომში ცნობილი პედაგოგი თ.ხ.ეშმა.¹⁸⁷ მას დამთავრებული ჰქონდა ბედიის სკოლა, სოხუმის მთიელთა სკოლა და ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია გორში. ფ.ეშმას მოსწავლეების ერთი ნაწილიც ახალი ათონის სკოლის დამთავრების შემდეგ სწორედ გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლის გაგრძელების სურ-

ვილს გამოთქვამდა, მეორე ნაწილი კი სოფლის ეკლესიების მედა-
ვითნეობას აპირებდა.

თუ 1877 წელს მთელს აფხაზეთში სკოლები თითქმის
პარალიზებული იყო, მომდევნო წელს მოსწავლეთა კონტინგენტი
ომისწინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა. 1878 წლის 11
ნოემბერს მთიელთა სამმართველოს უფროსმა გენერალმა
კომაროვმა სოხუმში თათბირი ჩაატარა, სადაც ლიხნის,
ოჩამჩირისა და ქლოუს დამწვარი სკოლების აღდგენა გადაწყდა.
1879-1880 წლებში (და შემდგომშიც) ოჩამჩირის ოლქში ხუთი
სკოლა მოქმედებდა (ძირითადად სამურზაყანოში): ოქუმის, დიხა-
ძურგის, საბერიოს, ბედიის, გუდავის, გუფის.

1880 წლის მონაცემებით, აფხაზეთის სკოლებში 190 ქართველი
(მეგრელი) და 36 აფხაზი სწავლობდა. მართლმადიდებლობის აღმ-
დგენმა საზოგადოებამ სკოლების საუკეთესო მზრუნველებად ოქუ-
მელი ვაჭარი სირო თურქია (ბედიის სკოლა საკუთარი სახსრებით
აღადგინა) და ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი იერონი აღი-
არა, საუკეთესო მასწავლებლებად — ოქუმის სკოლის მასწავლე-
ბელი ნიჟარაძე (გადავიდა სოხუმის მთიელთა სკოლაში) და ეშიბა-
ია (თ.ეშბა) ახალი ათონის სკოლიდან; საღმრთო სჯულის საუკეთე-
სო მასწავლებლად პაველე ასათიანი (დიხაზურგა) დასახელდა.
თავიდან ბავშვებს მშობლიურ ენაზე ასწავლიდნენ, შემდეგ —
რუსულად. როგორც კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგე-
ნი საზოგადოების 1878 წლის ანგარიშშია აღნიშნული, მოსწავლე-
თა შორის ქართულ ენაზე განათლების მიღების მსურველებიც
იყვნენ: „так как все мелкие торговые дела в Сухумском
отделе ведутся при помощи грузинской письменности;
точно так же все приказы по селениям Самурзакани
пишутся по грузински“. მასწავლებელთა წლიური ხელფასი
350-500 მანეთს შეადგენდა, მასწავლებლის თანაშემწისა — 100-
150 მანეთს. სასწავლო ნივთების შესაძენად სკოლებს წელიწადში
20-20 მანეთი ეძლეოდათ.¹⁸⁸

1885 წელს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების
სკოლები საეკლესიო-სამრევლო სკოლებად გადაკეთდნენ. მაშინ,

როდესაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია), — წერდა კირიონი, — საღმრთო სჯულის სკოლებში სწავლების (თუ არ სწავლების) საკითხთან დაკავშირებით უკიდურესად გამწვავებული სიტუაცია შეიქმნა, 1884 წლის 13 ივნისს იმპერატორმა დაამტკიცა „Правила о церковно-приходских школах“ საეკლესიო-სამრევლო სკოლებად იწოდებოდნენ მართლმადიდებელი სამღვდლოების მიერ ეკლესიებთან გახსნილი დაწყებითი სკოლები. მათი მიზანი იყო „утверждать в народе православное учение веры и нравственности христианской и сообщать первоначальные полезные занятия“

1885 წლის 27 სექტემბერს უწმინდესმა სინოდმა საქართველოს საეგზარქოსოს სკოლებისათვის განსაკუთრებული „სასკოლო გეგმა“ დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც არარუსულ ერთკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლების ხანგრძლივობა სამწლიანი ვადით განისაზღვრა (რუსულ სკოლებში — ორწლიანი ვადის); ორკლასიან სკოლებში ყველასათვის ოთხწლიანი ვადა დაწესდა. ერთკლასიან სკოლებში ისწავლებოდა სჯულის კანონი, გალობა, წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, რუსული ენა, არითმეტიკა. ორკლასიან სკოლებში ამ საგნების გარდა ასწავლიდნენ საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიას, საჭირო პირობებისა და აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში — ხელოსნობას და ა.შ.¹⁸⁹

საერო და სასულიერო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა მონასტრების აღდგენა-მშენებლობას და რუსეთიდან ასობით ბერის ჩამოყვანას. განახლდა ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. იგი ჩაფიქრებული იყო როგორც საბერძნეთის ათონში რუსეთის წმ. პანტელეიმონის მონასტრის განყოფილება. საფუძველი მას 1875 წელს ჩაეყარა. მაშინ თურქეთში რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის შუამდგომლობითა და მეფისნაცვლის — მიხეილ რომანოვის თანხმობით ათონიდან მღვდელმონაზონი არსენი და ბერები — ავაპი და იოანე ჩამოვიდნენ. სწორედ მათ შეარჩიეს მომავალი მონასტრის გასაშენებლად ფსირცხა და ანაკოფიის ნანგრევები. 1875 წლის ნოემბერში ათონიდან ჩამოვიდა კიდევ ერთი მღვდელმონაზონი, ახალი ათონის სა-

მონასტრო კომპლექსის შექმნის იდეის ერთ-ერთი ავტორი იერონი. მეფისნაცვალმა მაშინათვე უსასყიდლოდ გამოუყრა ბერებს 1327 დესეტინა მიწა. ახალი მონასტერი ფუძნდებოდა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და მხარის რუსიფიკაციის მიზნით. 1877-1878 წლების ომის პერიოდში ბერებმა აფხაზეთის ტერიტორია დატოვეს; 1878 წელს ისინი ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში მსახურობდნენ, რისთვისაც მედლები დაიმსახურეს. ომის დამთავრებისთანავე ბერები კვლავ შეუდგნენ მუშაობას. მიყენებული ზარალი (ფსირცხაში თურქებს გამაგრებული პუნქტი ჰქონდათ) სწრაფად იქნა ლიკვიდირებული. მოკლე ვადებში მოხერხდა ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიის აშენება, რომლის კურთხევა 1879 წ. 3 თებერვალს შედგა. ახალი ათონის მონასტერი გაიხსნა როგორც ათონის პანტელეიმონის რუსული მონასტრის განყოფილება. იმავე წლის 8 დეკემბერს იმპერატორმა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის მოხსენების საფუძველზე დაამტკიცა ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის წესდება, რომლის საფუძველზე მომდევნო 1880 წელს ახალ წინამძღვრად (პირველი წინამძღვარი არსენი 1879 წ. ნოემბერში გარდაიცვალა) იერონი დაამტკიცა; მას თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ეკავა ეს თანამდებობა. სწორედ იერონის ენერგიული მოღვაწეობის შედეგად მოხერხდა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. 1881 წლის 10 მაისს საქართველოს ეგზარქოსმა იოანიკემ (1877-1882 წწ.) სიმონ კანანელის აღდგენილი უძველესი ტაძარი აკურთხა; იმავე წელს აშენდა ახალი ათონის სკოლის შენობა საერთო საცხოვრებლით. 1883 წელს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველის ტაძართან მისი ფაქტობრივი ქტიტორის მიხეილ რომანოვის (მეფისნაცვალი) პატივისცემის ნიშნად წმ. მიხეილის სახელზე ეკვდერი აშენდა, რომელიც იმავე წლის 6 ივნისს ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა. 1884 წ. დაიწყო და 1900 წლამდე გაგრძელდა ძირითადი მონასტრის მშენებლობა. მანამდე ანდრია პირველწოდებულის ტაძარი აკურთხეს (1895 წ. სექტემბერი); სამონასტრო კომპლექსში შედიოდა ივერიის მთა ივერიის ეკვდერით, სადაც ღვთისმშობლის ხატი ესვენა.

ახალ ათონში ათასობით მლოცველი ჩამოდიოდა, მათ შორის

გამორჩეული სტუმრებიც იყვნენ: 1879 წელს — დიდი თავადები კონსტანტინე ნიკოლოზის ძე და კონსტანტინე კონსტანტინეს ძე; 1880 წელს — მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი და მისი შვილი მიხეილი; 1882 წელს — დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე და ა.შ.¹⁹⁰

1885 წელს ახალი ათონის ბერებმა ბიჭვინთის ტაძრის აღდგენაც დაასრულეს. იმავე წელს იმპერატორის განკარგულებით ეს უძველესი ტაძარი მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთით, ფიჭვნართა და ტბით ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერს შეუერთდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისტორიულად ქართული ეკლესიის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი — დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა რეზიდენციაც რუსი ბერების ხელში გადავიდა. მოხდა ისე, რომ დანიშნულ დღეს ბიჭვინთის ტაძრის კურთხევას ბუნებამ ხელი შეუშალა. 1885 წლის 1 სექტემბერს სიმონ კანანელის მონასტრის წინამძღვრის თხოვნით, საქართველოს ეგზარქოსი პავლე (1882-1887 წწ.) სოხუმში ჩამოვიდა, რათა ხელახლა აღდგენილი მონასტერი ეკურთხებინა. აქ მას აფხაზეთის უფროსი ბლალოჩინი დ.მაჭავარიანი დახვდა, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ ეგზარქოსი „ყურადღებას მიაქცევს მრავალგზის მტრისგან დაქცეულს და დატანჯულს აფხაზეთის კუთხეს“. იმავე დღეს სტუმარი გემით ახალ ათონში ჩავიდა, სადაც ბერები, მორჩილები, რუსი მლოცველები და ადგილობრივი მაცხოვრებლები დახვდნენ. ზღვიდან მონასტრამდე გზა ყვავილებით იყო მოფენილი. წირვის ჩატარების შემდეგ ეგზარქოსი იმავე გემით ბიჭვინთაში ჩავიდა, მაგრამ ზღვის ღელვის გამო, ნაპირზე გადმოსვლა ვერ მოახერხა და ისევ სოხუმში დაბრუნდა. ტაძრის კურთხევა ეგზარქოსმა მხოლოდ 3 სექტემბერს ჩაატარა. კურთხევის შემდეგ შესრულებულ საღმრთო ლიტურგიას კავკასიის მთავარმართებელი ა.მ.დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890 წწ.) დაესწრო. გამართულ ვახშამზე მთავარმართებელმა ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვა, მაღლობა გადაუხადა წინამძღვარს და მის „ძმობას“, „რომ ემსახურებიან არა მარტო სარწმუნოების საქმეს, არამედ საქმესაც ცივილიზაციისა შთაწერავით ადგილობრივს აფხაზებში საფუძველთა შრომისმოყვარე-

ობისა, მეურნეობისა და სხვა.¹⁹¹ ეპისკოპოსი გაბრიელი ბიჭვინთის ტაძრის კურთხევაზე, როგორც ჩანს, არ მიუწვევიათ. ის იმ დღეებში რაქის სოფლებში მოგზაურობდა. შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ მონასტრების აღდგენა-მშენებლობა, რუსი ბერების დიდი რაოდენობით ჩამოყვანა მხარის კოლონიზაციის დაჩქარების ინტერესებს უფრო ემსახურებოდა და ნაკლებად იყო დაკავშირებული მართლმადიდებლობის გაძლიერების დეკლარირებულ, კეთილშობილურ მიზნებთან. გარდა ამისა, აღნიშნული მონასტრების დაფუძნებით ხელისუფლებამ აფხაზეთში ქართული სამღვდლოების რუსული ალტერნატივა ჩამოაყალიბა.

80-ნ წლებში როგორც ადმინისტრაციულ, ისე საეკლესიო სფეროში რეფორმები განხორციელდა. 1883 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილებას სოხუმის სამხედრო ოლქი ეწოდა და ქუთაისის გუბერნატორს დაექვემდებარა. ადრე არსებული ორი ოლქისაგან ოთხი უბანი ჩამოყალიბდა: გუდაუთის, გუმისთის, კოდორისა და სამურზაყანოს.

1885 წელს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების წესდებაში გარკვეული ცვლილებები შევიდა. საზოგადოება უშუალოდ უწმინდეს სინოდს დაექვემდებარა, მისი მუშაობის წარმართვა (თავმჯდომარეობა) კი საქართველოს ეგზარქოსებს ეკისრებოდათ.

1885 წ. 12 ივნისს იმპერატორის ბრძანებითა და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით აღსდგა აფხაზეთის (სოხუმის) ცალკე ეპარქია. იმავე წელს განხორციელდა კავკასიის ეპარქიის რეორგანიზაცია — იგი ვლადიკავკაზისა და სტავროპოლის ეპარქიებად დაიყო, ხოლო შავიზღვისპირეთის გუბერნიის 10 ეკლესია სოხუმის ეპარქიას შემოუერთდა.¹⁹² ეპისკოპოსი გაბრიელი ჭერ-ჭერობით რჩებოდა ახალი ეპარქიის ხელმძღვანელად.

1886 წლის სექტემბერში უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი კ.პ.პობედონოსცევი და სინოდის კანცელარიის უფროსი ვ.კ.საბლერი აფხაზეთს ეწვივნენ. 4 სექტემბერს ისინი გემით ახალ ათონში ჩავიდნენ და მონასტერი დაათვალიერეს. „მისი მაღალაღმატებულება ყველას თავმდაბლა და სიყვარულით ექცეო-

და, განსაკუთრებით აკვირდებოდა და თვალყურს აქცევდა ეკლესიების და სამღვდელოების მდგომარეობას".¹⁹³ ობერ-პროკურორი მეულესთან ერთად ორი დღე დარჩა ახალ ათონში.

1886 წლის სექტემბერის ბოლოს აფხაზეთს უკანასკნელად ესტუმრა ეპისკოპოსი გაბრიელი. იმ დროისათვის მან 1877-1878 წწ. ომის შედეგად განადგურებული ეკლესიის აღდგენა და მისიონერთა კრებულის კიდევ უფრო გაძლიერება მოახერხა. მთლიანად აფხაზეთში 47 ეკლესია ფუნქციონირებდა, რომელსაც ორი დეკანოზი და 43 მღვდელი ემსახურებოდა. აფხაზეთის უფროს ბლალოჩინად კვლავ დეკანოზი დ.მაჭვარიანი რჩებოდა; 1878-1889 წლებში (სოხუმის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნვამდე) ის ბათუმის ეკლესიის მართვასაც ითავსებდა და იწოდებოდა აფხაზეთისა და ბათუმის ეკლესიების უფროს ბლალოჩინად. ომის შემდგომ წლებში ბიჭვინთის ოლქის ბლალოჩინებად მსახურობდნენ ჯერ იოსებ ტიტვინიძე, შემდეგ — იოსებ ბერძენიშვილი; ოჩამჩირისა — თავიდან ი.ბერძენიშვილი, რომელიც 80-ნი წლების დასაწყისში იოანე კერესელიძემ შეცვალა; სამურზაყანოს ბლალოჩინი კვლავ იოანე ჩხენკელი გახლდათ.¹⁹⁴

ამჯერად მეუფე გაბრიელი აფხაზეთში სპეციალური მისიით ჩამოვიდა. ეგზარქოსისაგან მას დავალებული ჰქონდა ხელმეორედ აღდგენილი დრანდის მონასტრის კურთხევა. ჯერ კიდევ 1869 წელს ეპისკოპოს გაბრიელის შუამდგომლობით მთავრობამ დრანდის ეკლესიის აღსადგენად 8 ათასი მანეთი გამოყო. 1871 წელს კი აღდგენილ ტაძარში მღვდელი დაინიშნა და ღვთისმსახურება განახლდა. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, ეკლესია დაზიანდა, ხოლო მის გარშემო მდებარე აფხაზური სოფლები, თითქმის მთლიანად დაცარიელდა. 1880 წელს ათონელმა ბერებმა რუსეთის მთავრობას დრანდის მონასტრის დაფუძნების ნებართვა სთხოვეს. 1881 წლის 9 მაისს უწმინდესმა სინოდმა თხოვნა დააკმაყოფილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც იმპერატორმა 1883 წლის 9 მაისს დაამტკიცა. 1886 წელს რუსმა ბერებმა (ვარლამი, მოდესტი, ალიპი, და ინოკენტი) აღდგენითი სამუშაოები დაასრულეს.¹⁹⁵

ათხაზეთის მღვდელმთავარმა ეგზარქოსის დავალება შეასრულა — მონასტრის კურთხევა 27 სექტემბერს რუსეთიდან ჩამოყვანილი მომლოცველებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანდასწრებით შედგა; მისი პირველი წინამძღვარი ილუმენი ვარლამი გახდა. მეორე დღეს ეპისკოპოსმა გაბრიელმა სოხუმის ახალ საკათედრო ტაძარში, რომლის აშენებაში მას დიდი წვლილი მიუძღოდა, წირვა ჩაატარა და ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა. იქვე მყოფი ცნობილი სოხუმელი პედაგოგი ანთიმოზ ჯუღელი (ვალიკო ჯუღელის მამა) ამის თაობაზე წერდა: „მქადაგებელი, მართალი უნდა მოგახსენოთ, მოციქულთ შესადარია... ყოველ წამში ახალსა და ახალს აზრს და ქეშმარიტებას იტყვის“ ა.ჯუღელი გადმოგვცემს ეპისკოპოს გაბრიელის სიტყვის შინაარსს. მეუფემ „მოავლო თვალი, — წერდა იგი, — ეკლესიაში მდგომთ და სთქვა: „ამ ეკლესიაში დღეს მე პირველად და უკანასკნელად ვსწირე; ყველა აქ მყოფს გემშვიდობებით. აწ ჩემ მაგიერად სხვა მღვდელმთავარი გეყოლებათ, მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელნიც შემწეობას მაძლევდნენ ჩემს მძიმე საქმის შესრულებაში. ღვთის შეწევნით მე და ჩემმა ხელის მწყობლებმა ისეთ გზაზე დავაყენეთ ქრისტიანობის საქმე აქ, რომ დღემდის თითქმის მთელი აფხაზები გაქრისტიანდებოდნენ, მაგრამ რუს-ოსმალოს ომმა შეგვიშალა ხელი. სულ თვრამეტი წელია, რაც მე ამ ქვეყნის მღვდელმთავარი ვარ. ამ დროის განმავლობაში დიდი შემწეობა გამომიჩინეს ჩემმა სამღვდლოებამ, განსაკუთრებით მ.დავ.მაჭავარიანმა, რაისთვისაც დიდი მადლობელი ვარ ამისი; ამასთანავე მადლობას ვუძღვნი ყველა აქაურ სამღვდლოებას. ამათ შემდეგ მადლობას ვუძღვნი ჩემი ვედრებით ღვთისადმი აქაურსს ძველს უფროსს, აწ უკვე განსვენებულს ლენერალს გეიმანს. ეს კაცი, როგორც კარგი ადმინისტრატორი იყო, ისე დიდი ღვთისმოყვარე და ქრისტიანი იყო. ის უბრალო აფხაზს, რომელსაც ტყეში ხეტილის მეტი არაფერი ესმის, ისე უყურებდა, როგორც რომელიმე განათლებულ კაცს; განსხვავება ამათში, იმისი სიტყვით ის იყო, რომ უსწავლელს და უმეცარს აფხაზს უფრო შებრალება და დახმარება უნდაო, ვინემ ნასწავლს და ჭკუა-გონება გახსნილსო. მუდამ ჩემთან დაიარებოდა სოფელ-სოფელ და უმარ-

ტავდა ხალხს ქრისტიანობის დიდ მნიშვნელობას და ქრისტეს მოძღვრებას. თუ არ ეცდები, გეიმანი ყველა აფხაზს უყვარდა, როგორც თავისი კეთილისმყოფელი. დღესაც კი დაუვიწყარია იმისი სახელი ამ ქვეყანაში. ვილოცვიდეთ ღვთის წინაშე განსვენებულისათვის სულისა მისისა წიაღსა შინა აბრაამისა“

„მშვიდობით“ — ასე უბრძანებია ბოლოს ეპისკოპოსს და „თითქმის ყველა იქ მდგომთ თვალთაგან ცრემლები გარდმოღვარეს“. ¹⁹⁵

ეურნალი „მწყმისი“ 1886 წლის 30 ოქტომბრის ნომერში (№30) კიდევ ერთხელ ამუქებდა მეუფე გაბრიელის დრანდასა და სოხუმში ყოფნას. სარედაქციო წერილში ხაზგასმულია მისი დიდი დამსახურება აფხაზთა მოქცევის საქმეში, აღნიშნულია, რომ ამჟამად სხვა ვითარებაა. მას შემდეგ, რაც რუსის ჯარმა მიატოვა აფხაზეთი, აფხაზები ტყვედ წაიყვანეს სათათრეთში, მათ შორის გაქრისტიანებულები, — წერდა ეურნალი. აფხაზებთან ერთად, იქ მომუშავე ქართველებიც თურქებს წაუყვანიათ. „მწყმის“ მოჰყავდა გაბრიელის მიერ სოხუმის საკათედრო ტაძარში წარმოთქმული სიტყვის შინაარსი (იგი ძირითადში ემთხვევა ა.ჯუღელის ზემოთმოტანილ ვერსიას). თავისი „უკანასკნელი სიტყვა აფხაზეთის სამწყაოსადმი“ მეუფეს ასე დაუმთავრებია: „განაცხოველეთ თქვენს გულში სარწმუნოება, უჩვენეთ აქაურებს კეთილი მაგალითი ქრისტიანული ცხოვრებისა, გადმოიბირეთ ისინი მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი ერთი მხოლოდ კეთილის საქმეებით. ამით თქვენ ყველაზე მეტად აღასრულებთ თქვენს სამოქალაქოსაცა და ქრისტიანულ მოვალეობას. ამინ“ ეურნალის რედაქცია კი დასძინდა: „ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. თითქმის ეკლესიაში ყველა მდგომთ თვალთაგან გადმოღვარეს ცრემლები. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მსმენელთ ეს სიტყვა ესმოდათ იმისთანა კაცის პირითგან, რომელმაც ამდენი თავისი შრომა და ძალა არ დაიშურა ამ თვრამეტი წლის განმავლობაში, რომ ქრისტეს სწავლა მოეფინა ამ გაუნათლებელ ქვეყანაში“. ¹⁹⁶

მეუფე გაბრიელის სიტყვა, თუ ასე შეიძლება ითქვას, სტრიქონებს შუა შეიცავდა უკმაყოფილებას აფხაზეთში იმჟამად არსებული ვითარების მიმართ. მან მადლობა გამოუცხადა მხოლოდ აფხა-

ზეთში მოღვაწე ქართველ მისიონერებს და რუსეთ-თურქეთის ომამდე (1871 წლამდე) სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მყოფ, 1878 წ. გარდაცვლილ — გენერალ ვ.გეიმანს. ამავე დროს, არც ერთი სიტყვით არ უხსენებია მომდევნო უფროსი — გენერალი პ.კრაჟჩენკო, რომლის კისერზეა აფხაზეთის თურქებისათვის ჩაბარება, რასაც მაჰაჯირობა და სხვა გამოსწორებელი შედეგები მოჰყვა. აღნიშნული გენერლისადმი გაბრიელის დამოკიდებულება ჟურნალმა „მწყემსმა“ იმით გამოხატა, რომ აფხაზეთის ტყვედ წაყვანასათათრეთში რუსის ჯარის მიერ აფხაზეთის მიტოვებით ახსნა. ამით ჟურნალმა და, შესაბამისად, მეუფე გაბრიელმა მაჰაჯირობის მთავარი მიზეზისა და ამ ტრაგიკული მოვლენის არსის თავისებური შეფასებაც მოგვცეს — მტრისათვის ჩაბარებულ, რუსის ჯარის მიერ მიტოვებულ ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობის თურქეთში ტყვედ წაყვანა. როგორც ვხედავთ, უარყოფილია დაღატის ბრალდება; მომხდარზე პასუხისმგებლობა არა ტყვეებზე, არამედ რუსის ჯარზე და მის მეთაურ პ.კრაჟჩენკოზეა დაკისრებული; ამით დაგმობილია (შეფარვით) აფხაზი ხალხის დამნაშავე ერად გამოცხადება.

მეუფე გაბრიელს თავის სიტყვაში არც სოხუმის სამხედრო განყოფილების შემდეგი უფროსი, პ.არაკინი უხსენებია, რომელიც აფხაზეთის რუსული კოლონიზაციის გეგმის განხორციელებით იყო დაკავებული.

ეპისკოპოსი გაბრიელის ბოლო ჩაბრძანება სოხუმში გახლდათ პირველი შემთხვევა, როცა მას ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია და მისი ხელმძღვანელობა არ ხლებია. ეს არც არის გასაკვირი. მეუფე იმ პერიოდში ოხრანკის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, „რადგანაც ის მთავრობისათვის არასაიმედო კაცად იყო მიჩნეული. მას ფიზიკური განადგურებითაც ემუქრებოდნენ, რის გამოც 1885 წელს საქართველოს დატოვებაც კი განუზრახავს, რათა მოსალოდნელი მკვლევლობით ქართველი ხალხისთვის ჩირქი არ მოეცხოთ“.¹⁹⁷ ინფორმაცია ამის შესახებ გამოაქვეყნეს რუსულმა გაზეთებმა „კავკაზ“-მა და „ნოვოე ობოზრენიე“-მ. განგაში ატეხეს გაზეთებმა „ივერიამ“ და „დროებამ“. ერთ-ერთ კორესპონდენციამში

ნათქვამია: „გაბრიელ ეპისკოპოსსა ჰსურს თავისი სამწყაო დასტოვოს და სხვა რომელიმე რუსეთის ეპარქია მიიღოსო. ამ ხმამ შეაწყუხა სრულიად საქართველო, ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ეს ამბავი გამართლდეს“.¹⁹⁸ მეუფის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ყოფილა „სისიძაგლით სავსე“ ანონიმური ბარათები, „რომელნიც სისიძაგლითვე სავსე პირბადე დაფარულ, გარყვნილ სულიერო მიუგზავნიათ იმ ყოველ ღირსებით სავსე არსებისათვის“.¹⁹⁹

ეპისკოპოს გაბრიელის გარშემო შექმნილი ვითარება, მისი „არასაიმედობა“ გვაფიქრებინებს, რომ ის საკუთარი ნების წინააღმდეგ ჩამოაშორეს აფხაზეთის ეპარქიას როგორც რუსული ასიმილატორული და კოლონიზატორული პოლიტიკის მოწინააღმდეგე ეროვნული მოღვაწე.

1886 წლის შემოდგომაზე აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში დიდი და მნიშვნელოვანი ეპოქა დასრულდა. XIX ს. დასაწყისიდან ქართველმა სასულიერო პირებმა წარმოუდგენლად მძიმე ვითარებაში — რუსული მმართველობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების, კავკასიელ თანამომხეთა გენოციდის, რუსეთთურქეთის დაპყრობითი ომების, პოლიტიზირებული ისლამის მოძალების, მაჰმადიანობასა და მართლმადიდებლობას შორის მკვეთარი იდეოლოგიური დაპირისპირების, ხალხის ნების წინააღმდეგ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების, აფხაზთა ეროვნულ-გამანათვისუფლებელი გამოსვლების, მასობრივი მაჰაჯირობის, ინტენსიური კოლონიზაციის პირობებში — ამ უძველეს ქართულ მიწაზე ქრისტიანობის გავრცელება — აღდგენა მოახერხეს და ამით ხელი შეუწყვეს აფხაზი (აფსუა) ერის გადარჩენას, მის ხსნას სრული კატასტროფისაგან, ერთიანად თურქეთში გადასახლებისაგან.

მეუფე გაბრიელი იმერეთის ეპარქიას კიდევ დიდხანს ედგა სათავეში. 1896 წლის 26 იანვარს ის გარდაიცვალა; ანდერძისამებრ, გელათში დაიკრძალა. ვინაიდან გელათისაკენ მიმავალი გზები დიდთოვლობის გამო ჩაიკეტა, მეუფის ცხედარი თვენახევარის განმავლობაში — 10 მარტამდე ქუთაისის საკათედრო ტაძარში ესვენა; მიუხედავად ამისა, ყველას გასაოცრად, არავითარი ნიშანწყალი ხრწნისა არ ეტყობოდა. პირველი წირვა ქუთაისში ჩამოსულ გუ-

რია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანს გადაუხდია და ასე მიუმართავს მიცვალებულისათვის: „ლამპარო საქართველოს ეკლესიისა, დიდებო ქართველთაო, მოძღვარო, ოქროპირო გაბრიელ“.²⁰⁰ საქართველოს ეკლესიებში მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი პანაშვილები იმართებოდა. სოხუმიდან გახეთმა „დროებამ“ ასეთი ინფორმაცია მიიღო: „მრავლის ხალხის თანდასწრებით პანაშვიდი გარდავიხადეთ განსვენებულის გაბრიელის სულის მოსახსენიებლად“.²⁰¹ აფხაზეთის საზოგადოებამ მეუფის გასვენებაზე თედო სახოკია მიავლინა. 10 მარტს მას მთელი საქართველო ეთხოვებოდა. ჩამოსულ სტუმართა შორის იყო ილია ქავკაძე (აკაკი წერეთელი ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა, მაგრამ წლისთაზე პატივი მიაგო გაბრიელის საფლავს). დაკრძალვას საქართველოს ეგზარქოსი ვლადიმირიცი (1892-1898 წწ.) დაესწრო. გელათში ეპისკოპოს გაბრიელის საფლავის ქვაზე მისი ნამოდვაწარის გრძელი ნუსხიდან ყველაზე მნიშვნელოვანი — 18 ათასი აფხაზის მონათვლაც არის მითითებული. კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებაც, მიუხედავად ყველაფრისა, აღიარებდა მეუფის განსაკუთრებულ როლს მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. საზოგადოების ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ წიგნში აღნიშნულია: „Первым по времени в 50 летней истории общества и самым выдающимся проповедником среди горцев Кавказа является преосвященный Гавриил, епископ Имеретинский“.²⁰² რუსი მეცნიერი ნ. დურნოვა კი წერდა: „იმერეთის მწვემსმთავარი გაბრიელი იყო ერთ-ერთი უგანათლებლესი მართლმადიდებლური ეკლესიის მწვემსთავარაგან, ხოლო თავისი ამალგებულებული ქრისტიანული ცხოვრებით ის მღვდელმთავარი, რომელიც აღსრულების შემდეგ ღმერთმა სრული უხრწნელობით განადიდა. იგი მიწას აღსრულებიდან ექვსი კვირის შემდეგ მიაბარეს. ასეთ იერარქს დევნიდა გახრწნილი რუსი ეგზარქოსი ევსევი, რომელიც 1877 წელს გააძევეს საქართველოდან“.²⁰³


1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის კრებამ მოისმინა ცრუმ-აფხაზეთის მთავარე-

პისკოპოსის დანიელის (დათუაშვილი) მოხსენება ახალი წმინდანების კანონიზირების შესახებ. კრების განჩინებით, სხვა ღირს მამებთან ერთად წმინდანებად შერაცხულ იქნენ: „— იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ჭიჭოძე) წმიდა მღვდელმთავრის სახელწოდებით.

— ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) წმიდა მღვდელმთავ-



წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი



წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე

რის სახელწოდებით“ 204

მადლიერმა შთამომავლობამ. ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ ასე შეაფასა XIX ს. მეორე ნახევარის ორი უდიდესი სასულიერო მოღვაწის, ეპისკოპოსების — ალექსანდრესა (ხსენების დღე 29 (9) ოქტომბერი) და გაბრიელის (ხსენების დღე 13 (26) დეკემბერი) დამსახურება; ისინი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგნენ აფხაზეთის ეპარქიას, მათ სახელებთან ყველაზე მეტად არის დაკავშირებული აფხაზთა მოქცევა 60-ნ — 80-ნ წლებში.

8. დაბოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Утверждение русского владычества на Кавказе, т. 3, ч. 2-я, გვ. 548-549.

2. Акты, т. 4, გვ. 415-416.

3. ვ. ზუხბაია. გალი, გვ. 81-82.

4. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 5095, ფ. 4ა — 6

5. ცსია, ფ. 1458, აღწ. 1, ს. 15, ფ. 3; *Весь Кавказ*, №1. Исторический отдел, გვ. 59. მიტროპოლიტ გრიგოლის 1822 წ. 3 ოქტომბრის წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ის ითხოვდა არა „სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოდ გარდაქმნას“, როგორც ქეთევან პავლიაშვილს მიაჩნია (იხ. მისი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. თბ., 2000, გვ. 43), არამედ ეპარქიის შენარჩუნებას, მის გაუქმებაზე უარის თქმას.

6. ცსია ფ. 1458, აღწ. 1, ს. 15, ფ. 4; *Весь Кавказ*, №1. Исторический отдел, გვ. 59; *Акты*, ტ. 8, გვ. 252.

7. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX ს.ს. თბ., 2002, გვ. 79.

8. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 963, ფ. 1, 9, 14, 15.

9. იქვე, ფ. 3. აღრინდელ ნაშრომში XIX ს. 20-ნი წლების აფხაზეთის არქიმანდრიტად შეცდომით იოანე იოსელიანს მივიჩნევდით. — *Дж. Гамахария, Б. Гогия*. დასახ. ნაშრომი, გვ. 689.

10. სცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 963, ფ. 1-2.

Ⓜ *Г.А. Дзидзария*. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции. Сухуми, 1979, გვ. 64; უაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. 1. თბ., 1987, გვ. 88. ნაშრომის გამომცემელი მზია მგალობლიშვილი მოტანილ ტექსტს

შეცდომით შემდეგნაირად თარგმნის: „მათ (აფხაზთა — ჯ. გ.) წინაპრებად მეგრელები ითვლებიან“. სინამდვილეში უნდა იყოს: „მათი მღვდლები მეგრელები არიან“. იხ. Дж. Гамахария, Б. Гогия, დასახ. ნაშრომი, გვ. 301, 672-673.

12. სცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 963, ფ. 17-20, 22. Кирион. Краткий очерк истории грузинской церкви. Тб., 1901, გვ. 103.

13. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 54949, ფ. 1; ს. 58702, ფ. 1-6.

14. ეაკ ფრანსუა გამბა. დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

15. იქვე, გვ. 79-80.

16. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 81.

17. Очерки истории Абхазской АССР, Ч. 1, გვ. 177; А. К. Кация. დასახ. ნაშრომი, გვ. 28-29.

18. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 2185, ფ. 9-10.

19. იქვე, ფ. 22.

20. იქვე, ფ. 1; რუსული თარგმანი — ფ. 3-4.

21. იქვე, ფ. 22.

22. იქვე, ს. 2186, ფ. 80ა.

23. იქვე, ს. 2185, ფ. 16, 39, 63-65.

24. Акты, т. 7, გვ. 248; т. 8, გვ. 247.

25. ცსია, ფ. 1458, აღწ. 1, ს. 15, ფ. 5, 6; იხ. აგრეთვე *Весь Кавказ, №1. Исторический отдел*, გვ. 59-60.

26. იქვე.

27. იქვე.

28. ქ. პავლიაშვილი პირველ პუნქტს შემდეგნაირად თარგმნის: „1. დაინიშნოს ილუმენი ანტონ დადიანი სან — არქიმანდრიტის პოსტზე, ხოლო რადგან იგი ცაგერისა და ლეჩხუმის მონასტრებს განა-

გებდა, ერთ-ერთი მათგანი გადაეცეს სამეგრელოს ეპარქიის გამგებლობას“ (იხ. მისი „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, გვ. 49); შედარებით უფრო სწორი თარგმანი იქნებოდა: „1. ილუმენი ანტონ დადიანი აფხაილ იქნეს არქიმანდრიტის ხარისხში და თუ იგი, იწოდება რა ცაგერელად ან ლეჩხუმელად, არ მართავს მონასტერს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით, მის გამგებლობაში გადაეცეს ერთ-ერთი მონასტერი სამეგრელოში“ როგორც ვხედავთ, განსხვავება თარგმანებს შორის არსებითია.

29. ცსია, ფ. 1458, აღწ. 1, ს. 15, ფ. 6-7. Весь Кавказ, №1. Исторический отдел, გვ.60.

30. Акты, т. 8, გვ. 249-250; Весь Кавказ, №1. Исторический отдел, გვ.60-61; ცსია, ფ. 1458, აღწ. 1, ს. 15, ფ. 7.

31. Нечто о Самурзакани. Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества, кн. VI. Тифлис, 1864. Критика и библиография, გვ. 79.

32. ცსია, ფ. 1458, აღწ. 1, ს. 15, ფ. 7; Весь Кавказ, №1. Исторический отдел, გვ.61.

33. იქვე.

34. საქართველოს ხელნაწერთა სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (А კოლექცია). აღ. ბარამიძის რედაქციით, ტ. V. შეადგინა ლ. ქუთათელაძემ. თბ., 1955, გვ. 42, 59.

35. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 3741, ფ. 6; ფ. 1458, აღწ. 1, ს. 15, ფ. 7ა.

36. Обзор деятельности общества восстановления православнаго христианства на Кавказе за 1860-1910 гг. Тифлис, 1910, с. 79-81; ვ.ა. თორაძე ნ.ვ. თორაძე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში. თბ., 1995, გვ. 67.

37. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 3741, ფ. 6, 10-12, 14.
38. იქვე, ფ. 16, 24-28.
39. იქვე, ფ. 33-38; 41-45.
40. იქვე, ფ. 49-56; 58.
41. იქვე, ს. 4296, ფ. 2, 7, 44; ს. 25701, ფ. 4-16; გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 83-86.
42. Акты, т. 8, გვ. 252.
43. Дж. Гамахария, Б. Гогия, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.
44. გ. გასვიანი. ძველი აფხაზები და თანამედროვე აფსუები. — ცისკარი, 1997, №6, გვ. 117-119; მისივე — ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998, გვ. 139-184.
45. ნ. დადიანი. ქართველთა ცხოვრება, გვ. 209; ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 3741, ფ. 65, 66.
46. Акты, т. 8, с. 444-448.
47. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 4296, ფ. 13.
48. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 308-309.
49. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 25638, ფ. 1-4.
50. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 87.
51. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 5095, ფ. 5-8ა.
52. იქვე, ფ. 9-10.
53. იქვე, ფ. 1-2ა.
54. იქვე, ფ. 3-3ა.
55. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 4296, ფ. 32-35; Н. Мурзакевич. Пицундский православный храм, გვ. 10.
56. Н. Мурзакевич. Пицундский православный храм, გვ. 22-24; ქეთევან პავლიაშვილი გენერალ ე.ა. გოლოვინის 1838 წლის

17 ნოემბრის წერილის ავტორობას შეცდომით „რუსეთის საზოგადოების ავტორიტეტულ მოღვაწე მურზაკევიჩს“ მიაწერს და დოკუმენტის შინაარსს დამახინჯებულად გადმოსცემს. — იხ. მისი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1921 წლებში, გვ. 45-46.

57. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 91.

58. Акты, ტ. 9, გვ. 460-461.

59. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 683-684.

60. იქვე, გვ. 317-322; 685-688.

61. Акты, ტ. 10, გვ. 248-249; ვალერიან ზუხბაია. გალი, გვ. 83;

62. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 93-94.

63. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 7413, ფ. 1; Кирион Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ. 75.

64. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 9600 (საქმე მთლიანად მონათლულთა სიებით არის დაკომპლექტებული), ფ. 5-8, 131, 280 და ა.შ.

65. იქვე, ს. 10653, ფ. 2.

66. იქვე, ფ. 1.

67. იქვე, ფ. 7, 9, 10, 14, 15, 19.

68. იქვე, ფ. 11.

69. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 95.

70. Акты, т. 10, გვ. 225-226.

71. იქვე, გვ. 227.

72. Очет общества возстановления православнаго христианства на Кавказе, за 1869 год. Тифлис, 1870, გვ. 13; Н. Мурзакевич. Пицундский православный храм, გა. 24-25; კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო

ლონდა მამაცაშვილმა. თბ., 1981, გვ. 119-121; ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 23, ფ. 3.

73. Акты, т. 10, გვ. 230-232.

74. Кирион. Краткий очерк истории грузинской церкви, გვ. 79-80. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 691.

75. Акты, ტ. 10, გვ. 899.

76. ბეჟან ზორავა. აფხაზთა მუჰაჯირობა. თბ., 2004, გვ. 38-39.

77. Г.А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, გვ. 89.

78. იქვე, გვ. 92.

79. Акты, ტ. 10, გვ. 233-239.

80. Дудко А.П. Из Истории дореволюционной школы в Абхазии (1851-1917 гг.). Сухуми. 1956, გვ. 18-21; გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 113-114; ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 40090, ფ. 1-3; ს. 42034, ფ. 2-8; ფ. 493, აღწ. 1, ს. 23, ფ. 1.

81. ზ. ჭიჭინაძე. სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე (თბ., 1907), გვ. 77. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 114-122; ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 160, ფ. 2; ფ. 488, აღწ. 1, ს. 26487, ფ. 1.

82. ზ. ჭიჭინაძე. სიტყვები და წერილები, გვ. 77.

83. С.Т. Званба. Абхазские этнографические этюды. Сухуми. 1982, გვ. 31.

84. შ. ჩხეტია. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856). — საისტორიო მოამბე, 1963, №15-16, გვ. 181; ზ. ჭიჭინაძე, სიტყვები და წერილები, გვ. 77; ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 160, ფ. 2.

85. შ. ჩხეტია. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 142.

86. იქვე, გვ. 208.

87. იქვე.
88. იქვე, გვ. 163-164.
89. იქვე, გვ. 195, 232, 239.
90. იქვე, გვ. 198.
91. იქვე, გვ. 170-171.
92. იქვე, გვ. 181-182.
93. იქვე, გვ. 185-186.
94. იქვე, გვ. 242-244.
95. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 40090, ფ. 1-3; ს. 42034, ფ. 6ა.
96. შ. ჩხეტია. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 143, 154, 155, 178.
97. Г.А. Дзидзария. Махаджиретво, გვ. 132-133.
98. იქვე, გვ. 150-151.
99. ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 1255, ფ. 42.
100. К.Д. Мачавариани. Описательный путеводитель, გვ. 285.
101. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 17679, ფ. 1-2.
102. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 19003, ფ. 2-3, 8-10.
103. იქვე, ფ. 30-34; Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ. 75, 80; ზ. ჭიჭინაძე. სიტყვები და წერილები, გვ. 78; მოტანილი მასალები არ ადასტურებენ, რომ აფხაზეთი შედიოდა სამეგრელოს ეპარქიაში, თუმცა, როგორც ანანია ჯაფარიძე წერს, გერონტი პაპიტაშვილს 1859-1862 წლებში ორივე კათედრა ნამდვილად ეკავა. — იხ. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. მეოთხე. თბ., 2003, გვ. 206.

103. ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.77, ფ.32, 38-52.
104. Обзор, გვ. 91-114.
105. Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 годы., Тифлис, 1965, გვ. 3, 4, 16-17, 21, 28; ცსია, ფ.493, აღწ. 1, ს. 23, ფ. 1, 5; ქეთევან ჰავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, გვ. 57-59; ცსია, ფ.493, აღწ. 1, ს.77, ფ.48.
106. Отчет общества... за 1869 год, გვ. 13; ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 38, ფ. 3, 7-9.
107. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.62901, ფ.1-24.
108. К. Мачавариани. Описательный путеводитель, გვ. 291.
109. С. Эсадзе. Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны. Тифлис, 1914, გვ. 167-174. А. Берже. Выселение горцев с Кавказа. _ Русская старина, 1882, т. 33, გვ. 166-167; Д.А. Милютин. Воспоминания. 1863-1864. М., 2003, გვ. 450-452.
110. Дж. Гамахария, Б. Гогия, დასახ. ნაშრომი, გვ. 329-333; 705-709.
111. ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 117, ფ. 24.
112. ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 183, ფ. 1.
113. ცნობის ფურცელი, 1903, 18 დეკემბერი.
114. К. Мачавариани. Описательный путеводитель, გვ. 298.
115. Г.А. Дзидзария. Махаджирство, გვ. 289. ბ. ხორავა. აფხაზთა მუჰარაჯობა, გვ. 72-73.
116. ზ.ჭიჭინაძე. სიტყვები და წერილები, გვ. 11-13.
117. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 20118, ფ. 1, 3; ს. 34993, ფ. 3-8; ს. 37365, ფ. 47-49. Г.А. Дзидзария. Формирование, გვ.64-67;137.

118. Документы по истории Грузии. Под ред. проф. Ш.К. Чхетия. Серия II, т. 1, ч. 1. Тб., 1954, გვ. 503, 505, 510-513; ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 1255, ფ. 40.

119. ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 1255, ფ. 1-5; ფ. 493, აღწ. 1, ს. 123, ფ. 1-3.

120. ზ. ჭიჭინაძე. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. თბ., 1903, გვ. 8, 16.

121. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 57654, ფ. 1-34; ფ. 493, აღწ. 1, ს. 182, ფ. 1-2; ფ. 416, აღწ. 3, ს. 1255, ფ. 18-19.

122. Отчет общества восстановления православного христианства за 1864г. Тифлис, 1865, გვ. 47-48; Отчет общества... за 1868г., გვ. 52; Документы по истории Грузии. Серия II, т. 1, ч. II. Тб., 1960, გვ. 788; ზ. ჭიჭინაძე. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, გვ. 26; А.П. Дудко. Из истории..., გვ. 32-35, 46; Г.А. Дзидзария. Формирование, გვ. 72; გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 125-126; ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 72, ფ. 8, 10, 41.

123. Документ по истории Грузии, серия II, т.1, ч. II, გვ. 76-77, 79.

124. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 18366, ფ. 2-3, 6-7.

125. Обзор, გვ. 149-150, 157. Очерки истории Абхазской АССР, ч. 1, გვ. 275; Г.А. Дзидзария. Формирование, გვ. 57-59, 64-67.

126. С. Лакоба. Очерки, გვ. 32.

127. Нечто о Самурзакани, გვ. 78.

128. ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 187, ფ. 4; ფ. 416, აღწ. 3, ს. 1225, ფ. 10.

129. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 16042, ფ. 1-4.

130. ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 1255, ფ. 37-62 ("Обозрение абхазских и самурзаканских приходов"). ეპისკოპოს გაბრიელის მი-

ერ შედგენილი ეს დოკუმენტი მცირე შემოკლებებით (ზოგჯერ არსებითი მომენტებია გამოტოვებული) 1869წ. გამოქვეყნდა. იხ. Отчет общества возстановления православнаго христианства на Кавказе за 1868 год. Тифлис, 1869, გვ. 5-34.

131. იქვე, ფ. 12.

132. მწუხსი, 1887, №3, გვ. 2.

133. დროება, 1869, 10 (22) იელისი.

134. ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 1255, ფ. 71.

135. Отчет общества возстановления православнаго христианства на Кавказе, за 1869 год. Тифлис, 1870, გვ. 1-14.

136. Отчет общества возстановления православнаго христианства на Кавказе, за 1870 год. Тифлис, 1871, გვ. 3-27.

137. Отчет общества возстановления православнаго христианства на Кавказе, за 1873 год. Тифлис, 1875, გვ. 20-21.

138. Н. Мурзакевич. Древнейший Пицундский православный храм, გვ. 26-29.

139. Кирион. Краткий. очерк истории грузинской церкви, გვ. 126-128.

140. К. Мачавариани. Описательный путеводитель, გვ. 332.

141. მ. კელენჯერიძე. გაბრიელი, გვ. 172.

142. მწუხსი, 1888, №14-15, გვ. 2

143. ნ. კანდელაკი. ქართული მქვევრმეტყველება. თბ., 1968, გვ. 346, 348; თ. კუკავა ნარკვევები XIXს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან. თბ., 1956, გვ. 101-102. ცირა

ელილაშვილი. გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებები. თბ., 2001, და ა. შ. 1859 წელს ჟურნალ „სოვრემენნიკში“ (№3, განყოფილება III, გვ. 70-74) გამოქვეყნდა. დობროლუბოვის რეცენზია გაბრიელის წიგნზე. რეცენზენტმა აღნიშნა, მისი აზრით, ნაშრომის დადებითი და უარყოფითი მხარეები; გააკრიტიკა იგი მატერიალიზმის პოზიციებიდან.

144. Правда об автокефалии Грузинской церкви (ответы Б. Самуилову и Ко). Кутаис, 1906, с. 150-182; ს. სხირტლადე, გადანახული საგანძურიდან. თბ., 1965, გვ. 185-186; კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს. 295.

145. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 29701, ფ. 1-11.

146. მ. კელენჯერიძე. გაბრიელი, გვ. 149, 170-187.

147. ცსია, ფ. 416, აღწ. 3, ს. 1255, ფ. 54.

148. К. Мачавариани. Описательный путеводитель, გვ. 332-333.

149. Кирион. Краткий очерк истории грузинской церкви, გვ. 130.

150. იქვე, გვ. 131.

151. К. Мачавариани. Описательный путеводитель, გვ. 332.

152. ჭეთევან ნადირაძე. თედო ჟორდანიას საქართველოს ისტორიის მკვლევარი. თბ., 2004, გვ. 17; АКТЫ, ტ. 1. გვ. 57; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თ. ჟორდანიას ფონდი, ს. 1, 7, 166; იქვე, კირიონის ფონდი, ს. 1010, 1011; ცსია, ფ. 489. აღწ. 1, ს. 40089, ფ. 12; ს. 47984. ფ. 86-87; ს. 51846, ფ. 32; ს. 54950, ფ. 11-14; ს. 58705, ფ. 18-23.

153. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 24063, ფ. 14; ს. 33887, ფ. 33, 67; ს. 34924, ფ. 20; ს. 37326, ფ. 44; ს. 38562, ფ. 51.

154. ცსია, ფ. 493., აღწ. 1, ს. 382, ფ. 4.

155. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 40089, ფ. 1ა; ს. 41289, ფ. 3ა; ს. 41681, ფ. 3ა; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს. 1286.
156. ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 272, ფ. 1-9; გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 98-99.
157. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 336-339, 714-715.
158. ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 230, ფ. 4, 7, 9 — 10, 13, 17.
159. ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 187, ფ. 1-6.
160. Кавказ, 1870, №82, 17 (29) июля.
161. ცსია, ფ. 433, აღწ. 1, ს. 183, ფ. 2; ს. 187, 14-18; ს. 188, ფ. 3, 15; ს. 189, ფ. 2-4; А.П. Дудко. Из истории, გვ. 66; Г.А. Дзидзария. Формирование, გვ. 73-76; გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 126-128.
162. ცსია, ფ. 433, აღწ. 1, ს. 41, ფ. 5.
163. Обзор, გვ. 173-173; ცსია, ფ. 489, აღწ. 1, 30623, ფ. 27. ს. 33887, ფ. 27; ს. 35992, ფ. 59.
164. მწყემსი, 1886, №30, გვ. 7; 1888, №14-15, გვ. 2; 1896, №2, გვ. 4.
165. Г.А. Дзидзария. Махаджирство, გვ. 303-306.
166. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახელებული ნაშრომი, გვ. 349.
167. Отчет общества возстановления православного христианства на Кавказе за 1877 год. Тифлис, 1882, გვ. 10-14.
168. Г.А. Дзидзария. Махаджирство, გვ. 365; Г.А. Дзидзария. Формирование, გვ. 64-65; Обзор, გვ. 176.
169. Г.А. Дзидзария. Махаджирство, გვ. 326.

170. К. Мачавариани, Описательный путеводитель, გვ. 342.
171. Г.А. Дзидзария. Махаджирство, გვ. 97.
172. ზურაბ პაპასკირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაწ. I. თბ., 2004, გვ. 198-199. იხ. აგრეთვე Г.А. Дзидзария. Формирование, გვ.75.
173. ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთში, გვ. 167.
174. Кавказ, 1854, №60-61.
175. С. Званба. Абхазские этнографические этюды, გვ. 31.
176. Кавказ, 1868, №5, 12 (24) января.
177. Н.Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, Т. 1, кн. II, გვ. 13-15.
178. Г.А. Дзидзария. Махаджирство, გვ. 398-401; ზურაბ პაპასკირი. ნარკვევები, ნაკვ. I, გვ. 204-206.
179. Г.А. Дзидзария. Махаджирство, გვ. 94, 98; Г.А. Дзидзария. Восстание 1866 года в Абхазии. Сухуми, 1955, გვ.117-120.
180. К. Мачавариани. Описательный путеводитель, გვ. 8.
181. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 102.
182. ცსია, ფ. 489, აღწ. I, ს. 33857, ფ. 51-52; ს. 34993, ფ. 64; ს. 35992, ფ. 36-37; ს.39254, ფ.4335.
183. Отчет Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1879 год. Тифлис, 1883, გვ. 6-16,
184. ცსია, ფ. 489, აღწ. I, ს.40089, ფ. 8, 12, 24, 26; ს.51845, ფ.1-3, 19-21, 38-41; ს.53061, ფ.21-27; ს.53083, ფ.1; ს.53087, ფ.65-70; ს.54950, ფ.19-23, 99-102, 116-121; ს.56385, ფ.1-14, 73-77; ს.56386,

ფ.20-27; ს.56635, ფ.7-10, 70-81; Отчет Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1885г. Тифлис, 1886, გვ. 15, 17; Кирион. Краткий очерк истории Грузинской Церкви, გვ. 112.

185. Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе, за 1886 год. Тифлис, 1887, გვ. 44; Обзор, გვ. 173.

186. Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе, за 1880г. Тифлис, 1884г., გვ. 85.

187. А.П. Дудко. Из истории, გვ. 73-75; Г.А. Дзидзария. Формирование, გვ. 108-111.

188. Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе, за 1878 год. Тифлис, 1883, გვ. 15-19; Отчет общества за 1879 год, გვ. 36-37, 119-121; Отчет общества... за 1880 год, გვ. 73-74, 92, 161-162; Отчет общества... за 1886 год, გვ. 116-122.

189. Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ. 213-215; А.П. Дудко. Из истории, გვ. 104.

190. Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ. 329-332; Абхазия и в ней Ново _ Афонский Симоно _ Кананитский монастырь, გვ. 185-228.

191. მწუჟსი, 1885, №18, გვ. 8-9; №19, გვ. 2-4; №20, გვ. 6; №21, გვ. 6.

192. მწუჟსი, 1885, №18, გვ. 1; Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ. 80; Гедеон. История христианства на Северном Кавказе до и после присоединения к Рос-си. Москва _ Пятигорск, 1992. გვ. 141-142.

193. მწუჟსი, 1886, №26, გვ. 9. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно _ Кананитский монастырь, გვ. 180, 186.

194. ცხიბ, ფ. 489, აღწ. 1, ს. 37326, ფ. 68, 69; ს. 39254, ფ. 43-45; ს.

40088, ფ. 1-26; ს. 42034, ფ. 1-12.

195. Епископ Агафадор. Успенско-Драндский общежительный монастырь, გვ.21-27.

196. მწკმსი, 1886, №28, გვ. 3.

197. ა. ნიკოლეიშვილი. გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე). თბ., 1990, გვ. 33-34.

198. დროება, 1885, 28 ივნისი.

199. დროება, 1885, 15 ივნისი.

200. ი. ზურაბიშვილი. კარგ ქართველთა ხსოვნისათვის. პარიზი 1962, გვ. 78.

2001. დროება, 1896, 6 თებერვალი.

202. Обзор, გვ. 165-166.

203. ნ.ნ. დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა. მ., 1907 (ქართული თარგმანის ხელნაწერი, დაცულია საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში) , გვ. 27-28. ავტორს იქვე მოჰყავს ეპისკოპოს გაბრიელის მიერ ეგ-ზარქოს ევსევისადმი 1875წ. გაგზავნილი წერილი, რომელშიც, ნათქვამია: „აგერ 15 წელია, რაც თქვენი უმაღლესობა გამუდმებით მესხმის თავს და არ უშვებს შემთხვევას მაწყენინოს და შეურაცხყოფა არ მომაყენოს. არ არსებობს ცილისწამება ჩემზე, რომელსაც თქვენ არ მიიღებთ და არ დაიჯერებთ. მე ყველაფერს ვითმენ და არსად გიჩივით, თუ არ ჩათვლით, რომ თქვენთანვე ვჩივი წერილობით, მაგრამ თქვენი გულის გაღლობა ვერაფრით შევძელი. დაე, უფალმა განგესაჯოს“.

204. გაზ. მადლი, 1995, 30 სექტემბერი.

9. იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის გამჯაცხება აფხაზეთში და მახთღმადიდებლობის დასუსტება (1886-1917 წლის თებეხვადი.)

ეკლესიისა და სკოლის რუსიფიკაციის პირველი შედეგები

რუსულ ადმინისტრაცი-
ის აფხაზეთის კოლონიზაცი-
ისა და მის სრულ ათვისებას-
თან დაკავშირებული საკით-
ხები უფრო მეტად აინტერე-

სებდა, ვიდრე „დამნაშავედ“ გამოცხადებულ და მაჰაჩირობის შე-
დეგად უკიდურესად დასუსტებულ აფხაზ ხალხში ქრისტიანობის
გავრცელება, მისიონერული საქმიანობა. თუ ამ მიმართულებით
გარკვეული მუშაობა მაინც წარმოებდა, ეს მხოლოდ იმისათვის
კეთდებოდა, რათა რუსული კოლონიზაციისა და ასიმილაციის
მთავარი დამაბრკოლებელი ძალა — ქართული სამღვდელოება,
ზოგადად ქართული გავლენა მაქსიმალურად შეეზღუდათ ან სა-
ერთოდ აღმოეფხვრათ, ხოლო ეკლესიისა და სწავლა-განათლების
საქმე მთლიანად რუსების ხელში გადაეცათ. ამ მიზანს ემსახურე-
ბოდა ეპისკოპოსი გაბრიელის შემდეგ სოხუმის კათედრაზე რუსი
ეპისკოპოსების დანიშვნა.

1886 წლის 22 დეკემბერს „მოსკოვის სინოდალნი კანტორაში
ათორმეტთა მოციქულთა სობოროში... მოხდა სახელწოდება
სერგის არქიმანდრიტის გენადისა სოხუმის ეპისკოპოსის ხარისხ-
ზედ... 28 დეკემბერს, საღმრთო ლიტურგიის შესრულების დროს
სამების სობოროში აკურთხეს მ.არქიმანდრიტი გენადი (პავლინსკი
— ჟ.გ.) სოხუმის ეპისკოპოსად. კურთხევა შეასრულა მოსკოვის
მიტროპოლიტმა იოანნიკემ“, რომელმაც განაცხადა: „Избран-
ный Святейшим синодом, утвержденный изволением

благочестивейшего Государя нашего Императора во епископа богоспасаемого града Сухума, ты, боголюбезный брат наш, чрез рукоположение святительское удостоился ныне орхиерискія благодати, сделался епископом, а следовательно и преемником апостолов".² მიტროპოლიტმა გენადის ურჩია, რომ აფხაზეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არაქრისტიანია, არ ესმით თუ რა სწამთ, სადაც ქრისტიანებიც არ არიან რწმენაში განმტკიცებულები, საჭირო არ არის „არც ღრმა და ვრცელი სწავლა-განათლება, რომლის გაგება და შეთვისება არ შეუძლია დაბალს და უმეცარ ხალხს, არც უმაღლესი ქადაგებითი ნიჭია საჭირო... თავდაპირველად იზრუნე, რომ საკუთარ თავში აღძრა თავგანწირული სიყვარული შენი სამწყოსადმი და გქონდეს ჭეშმარიტი სურვილი, რათა სამწყოს კეთილდღეობისათვის თავი შესწირო“. მიტროპოლიტი ბრძანებდა: „Люди простые, живущие непосредственно жизнью, как дети, скорее поймут, более способны угодать. оценить чувства любви, отозваться на них, чем люди образованные“. ეპისკოპოსმა გენადიმ 22 დეკემბერს თორმეტი მოციქულის ტაძარში განაცხადა: „დღეს მე მცირე თანამდებობიდან მოწოდებულმა მოციქულებრივ უმაღლეს სამსახურისათვის იმ მხარეში, რომელიც ნახევრობით გაველურებულია და სადაც ქრისტეს სარწმუნოებრივი სხივი, ანთებული ოდესმე წმიდა მოციქულებისაგან, დღეს თითქმის გამქრალია, რა უნდა ვსთქვა?“³ მან შეწყალება ითხოვა.

ეპისკოპოსი გენადი, მართალია, აფხაზეთის ეკლესიის რუსიფიკაციის მიზნით დაინიშნა, მაგრამ თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე მან ნამდვილად შეუწყო ხელი ქრისტიანობის გავრცელებას. 1887 წ. ივნისში ეპისკოპოსმა საკუთარი ეპარქიის დათვალიერება მოაწყო. სამურზაყანოს უბანში მის ყოფნას მღვდელი სპირიდონ ჯინჯიხაძე აღწერდა. მისი ცნობით, ეპისკოპოსი ჩამობრძანდა დეკანოზ დ.მაქავარიანთან, მღვდელმონაზონ ხარლამპისთან და ეპარქიის კანცელარიის მდივანთან ერთად. აღმინისტრაციულ საზღვართან სტუმრებს მიეგებნენ სამურზაყანოს ბლალოჩინი იოანე

ჩხენკელი და უბნის უფროსი; ყველა ეკლესიაში, სადაც გენადი მივიდა, დიდძალი ხალხი იკრიბებოდა. ეპისკოპოსი უქადაგებდა მათ სარწმუნოებაზე, ურჩევდა სკოლების გახსნას, ოქუმში ის თბილად მიუღიათ; იქაური სკოლის დათვალიერებისას, ბავშვების ცოდნის დონე შეუშოწმებია და კმაყოფილი დარჩენილა. ეპისკოპოსს მიზანშეწონილად მიუჩნევია სამრევლო სკოლის გახსნა ორივე სქესის ბავშვებისათვის. ოქუმში ახლადამენებული ქვითკირის ეკლესიისათვის ხატებისა და სხვა ნივთების უფასოდ გამოგზავნას დაპირდა. სამურზაყანოში გენადის თათრებიც უნახავს და მათი იძულებით თათრეთში გამგზავრება უბრძანებია. ხალხთან შეხვედრისას, ეპისკოპოსს სხვადასხვა მავნე, არაქრისტიანული ჩვევების აღმოფხვრის აუცილებლობაზე უსაუბრია, კერძოდ, იმაზე, რომ მიცვალებულზე ზედმეტი ხარჯები არ გაიღონ და ის ფული შვილების განათლების საქმეს მოახმარონ.⁴ ცუდ ჩვევებს განეკუთვნებოდა ნათლობის სახელების ნაცვლად სხვა სახელების (პეხუ, კაზა, კუზუ, ბეჩუ, კიქო, ძუკუ, კვაჯი, ზიფა და ა.შ.) დარქმევა, რაც პრობლემებს ქმნიდან როგორც საკომლო სიების შედგენისას, ისე სამართალში მიცემულ პირებზე ცნობების გაცემისას. საჭიროა, — აღნიშნავდა მღვდელი პ.ასათიანი, — „სახორციელო მთავრობამ აღუქრძალოს აქაურებს, ნათლობის სახელებს გარდა სხვა სახელები დაარქვან თავიანთ შვილებს“.⁵

მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1887 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ეპისკოპოს გენადის, უფროსი ბლალოჩინისა და საზოგადოების სკოლების ინსპექტორის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, აფხაზეთ-სამურზაყანოს მოსახლეობის ზნეობრივი მდგომარეობა უბადრუკ მდგომარეობაშია; გამახვილებულია ყურადღება როგორც უძველესი დანგრეული ტაძრების, ისე განსაკუთრებით მოქმედი ეკლესიების, რომლებიც „напоминают простые сараи“, განახლების აუცილებლობაზე; რელიგიური განათლებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორებად დასახელებულია აფხაზური ენის მცოდნე და კარგად მომზადებული მღვდლების ნაკლებობა (ქართველი მღვდლების უმრავლესობამ კარგად იცოდა აფხაზური ენა, მაგრამ რუსულ ხელისუფლებას მა-

თი შეცვლა ჰქონდა განზრახული), აფხაზი ეროვნების სასულიერო პირთა მცირერიცხოვნობა (სულ ორი მღვდელი), მოსახლეობის გაფანტულობა (разбросанность), თვითმარქვია მოღობის მომრავლება, აფხაზური დამწერლობის არარსებობის გამო ღვთისმსახურების „გაუგებარ ქართულ ენაზე“ ჩატარება; ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად საზოგადოებას მიაჩნდა „вредное влияние омусульманившихся абхазцев, эмигрировавших в Турцию и вновь возвратившихся на родину; постоянным издевательством над своими собратиями, принявшими недавно Христианство, эти ренегаты вносят большую смугу в религиозную жизнь прозелитов Христиан“.⁶ საზოგადოების აზრით, აფხაზეთ-სამურზაყანოში სულიერი განათლების ღრმად და ფართოდ გავრცელება მხოლოდ სკოლების მეშვეობით ახლო მომავალში შეუძლებელი იყო; სოხუმის ეპარქიასთან ერთად იგი აფხაზეთში ეროვნული (აფხაზთა და სამურზაყანოელთა) პედაგოგიური და სასულიერო კადრების მომზადების მიზნით სასულიერო სასწავლებლის გახსნის საკითხს სვამდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასულიერო პირები უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, სასკოლო შენობები დიხაზურგასა და ოქუმში კაპიტალურ რემონტს საჭიროებდნენ (საზოგადოება აფხაზეთში დიხაზურგის, ოქუმის, გუფისა და ახალი ათონის სკოლებს აფინანსებდა); სწავლების დონე კი დამაკმაყოფილებლად შეფასებული დიხაზურგაში, კარგად — ოქუმში, არადამაკმაყოფილებლად — გუფში; თავის დანიშნულებას (მისიონერების მომზადების თვალსაზრისით) არ ამართლებდა ახალი ათონის სკოლა. სამურზაყანოსთან მიმართებაში საზოგადოებას ჰქონდა შემდეგი „შენიშვნა“: „Учащиеся знают очень много молитв на русском языке, но так как до настоящего времени грамотности на мингрельском языке еще не существовало, то очевидно нет в переводе на этом языке молитв, а, следовательно, можно признать, что не только для массы населения, но даже и для учащихся в школе сознательного усвоения христианского просвещения в Мингрелии и Са-

მურზაკანი еще не начиналось. Богослужение и Требы в Мингрелии и Самурзакани отправляются на Грузинском языке, но он понятен только для высших классов мингрельского населения".⁷

მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების არსებობის მთელი ხნის მანძილზე (1860 წლიდან) პირველად 1887 წლის ოფიციალურ ანგარიშში ღიად დაფიქსირდა საეკლესიო პოლიტიკის იმპერიული მიზნები — აფხაზთა და მეგრელთა ასიმილაცია, ქართველი ერის გახლეჩვა, თუმცა რუსეთის მეცადინეობა საქართველოში შემოსვლის პირველი დღიდანვე აქეთკენ იყო მიმართული. საზოგადოებამ აშკარა პოლიტიზაცია განიცადა. მისთვის ქრისტიანობის გავრცელებაზე უფრო მნიშვნელოვანი გახდა ქართული სამღვდლოების შეზღუდვა აფხაზეთში, ქართული ღვთისმსახურების შეწყვეტა — ანუ იმ ბარიერების მოხსნა, რომლებიც აფერხებდნენ აფხაზთა ასიმილაციას. რუსები იწყებენ „ზრუნვას“ აფხაზებზე და ამ დროს ეწინააღმდეგებიან მაჰაჯირების სამშობლოში დაბრუნებას, უწოდებენ მათ რენეგატებს და ა. შ. ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზური (აფსუური) დამწერლობის შექმნას, მაგრამ რუსებს სულ სხვა მიზანი ამოძრავებდათ. აი, რას წერდა ე. გ. ვეიდენბაუმი: „Абхазский язык, не имеющий письменности и литературы, обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том: какой язык заменит его? Очевидно, что роль проводника в населении культурных идей и понятий должен бы играть не грузинский, а русский язык. Мне кажется поэтому, что учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению путем церкви и школы потребности в Грузинском языке и постепенной замене его языком государственным".⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში, — აცხადებდა რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შემქმნელი პ. კ. უსლარი, — „Мы рискуем создать сверх Грузинской и прочих автономий еще и автономию абхазскую".⁹ ამრი-

გად, აფხაზური დამწერლობა იქმნებოდა არა ხალხის კულტურული განვითარებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, არამედ აფსუათა გარუსების დასაჩქარებლად. ეს გეგმანაწილობრივ მაინც ჩაიშალა; მისი სრულად რეალიზება აფხაზეთში მწვავე ქართულ-რუსული დაპირისპირების პირობებში იმპერიამ ვერ მოახერხა.

რუსებს როცა სჭირდებოდათ, სამურზაყანოელებს აფხაზებად აცხადებდნენ, ისე კი მშვენივრად იცოდნენ, რომ ისინი ქართველები (მეგრელები) იყვნენ. ამიტომაც გადაწყვიტეს მათთვის მეგრული დამწერლობის შემოღება; ამით სურდათ ეს შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობა ერთიანი ქართველი ერისაგან ჩამოეცილებინათ ისეთნაირად, რომ არც „დამნაშავე“ აფხაზებს შერწყმოდნენ და იოლად გაერუსებინათ. აღნიშნული გეგმა სამუდამოდ ჩაიშალა და დღეს მხოლოდ სასაცილო „Гал“-ის (გალის უკანონო აფხაზური ადმინისტრაციის გაზეთი) ამარაა დარჩენილი.

მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭომ 1887 წელს მიიღო გადაწყვეტილება ეგზარქატის ფარგლებში ყოველდღიური საეკლესიო და საოჯახო გამოყენების მიზნით ხალხისათვის განსაკუთრებით თავიანთსავე ხატების გავრცელების შესახებ: ქართველებში — წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულის, წმ. დიდმოწამის გიორგის, წმ. მოციქულის სწორი ნინოს და წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის; აფხაზებში — იგივე ხატები და დამატებითი — წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ხატი.¹⁰

1888 წლისათვის ეპისკოპოსმა გენადიმ გუდაუთის უბანში ფართო მისიონერული მუშაობის გაშლა გადაწყვიტა; პირველ რიგში, უბნის უფროსისაგან მოითხოვა ზუსტი მონაცემები მოლეების შესახებ. იმავე წლის 14 თებერვალს უბნის მმართველმა ეპისკოპოსს ასეთი პასუხი გაუგზავნა: „Вследствие личного поручения Вашего преосвященства, имею честь уведомить, что нижепоименованные муллы, находящиеся во вверенном мне участке, есть жители следующих общин: Хасан Чедия, Решид Григолия-Звандрипшской; Шахан Битпв, Мустафа Цушба-Лихненской; Яхия Битпв и Хусейн Базба-

Ацинской".¹¹ ამასთან დაკავშირებით, 1888 წლის 20 თებერვალს სოხუმის ეპისკოპოსი ოლქის უფროსს წერდა, რომ მოღლები თავიანთი ყალბი მოძღვრებით „служат большим препятствием к принятию святого крещения желающих из магометан“; მოსანათლავად მომზადებული 50 მუსულმანიდან მხოლოდ 30 მონათლულა, დანარჩენებს, მოღლების ზეგავლენით, უარი უთქვამთ ქრისტიანობის მიღებაზე; ეპისკოპოსის წერილში ნათქვამია: იმის გამო, რომ მოღლების წყალობით „обращение магометан в православие будет идти весьма медленно, имею честь покорнейше просить Ваше Высокоблагородие для большего успеха в миссионерской деятельности удалить их из пределов Абхазии или на время, или всего лучше, навсегда”.¹² როგორც ვხედავთ, სოხუმის ეპისკოპოსი აფხაზეთიდან აფხაზების (თუნდაც მოღლების) დროებით ან სამუდამო გასახლებას მოითხოვდა, ნაცვლად იმისა, რომ, მეუფე გაბრიელივით, თავისი ქადაგებებით ხალხი მართლმადიდებლობის უპირატესობაში დაერწმუნებინა.

1888 წლის ზაფხულში ეპისკოპოსმა გენადიმ საქართველოს ეგზარქოსს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ვიჩქარი ვაცნობო თქვენს მაღალყოვლად უსამღვდელოესობას, რომ 16-29 ივლისამდე გუდაუთის მაზრაში აფხაზეთში მოიქცნენ მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე და მოინათლნენ ათასზე მეტი სახლობა აფხაზებისა — მრავალი ქალნი და კაცნი, დიდნი და პატარანი”.¹³ „მწყემსის“ ინფორმაციით, დიდი შრომა გაუწევია კნეინა სოფიო ელიზბარ დადიანის ასულს შერვაშიძისას, რომელსაც შთაუგონებია აფხაზებისათვის მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევა. ამ ფაქტთან დაკავშირებით კირიონი წერდა, რომ სოხუმის ეპისკოპოსის გენადისა და ადგილობრივი სამღვდელოების წყალობით აფხაზეთში 1918 მუსულმანი აფხაზი მოინათლა — „факт в высшей степени отрадный, составляющий одну из лучших страниц летописи миссионерской деятельности Общества на Кавказе”.¹⁴ საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (1887-1892 წწ.) სოხუმიდან მიღებული ინფორმაცია 1918 აფხაზის მონათვლის შე-

სახებ აცნობა უწმინდეს სინოდს, რომელმაც ეპისკოპოს გენადის და უფროს ბლადოჩინ დ.მაჭავარიანს მადლობა გამოუცხადა, ხოლო კნენინა სოფიო დადიანი-შერვაშიძისა ქების სიგელით დააჯილდოვა. კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1890 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ეს „მნიშვნელოვანი წარმატება“ ეგზარქოსის ხელშეწყობითაა მიღწეული.¹⁵

1888 წლის 24 სექტემბერს აფხაზეთს, უფრო კონკრეტულად, ახალ ათონს იმპერატორი ალექსანდრე III ესტუმრა. მას თან ახლდნენ მეუღლე — მარია თევდორეს ასული, ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, სასახლის მინისტრი ი.ი.ვორონცოვ-დაშკოვი, კავკასიის მთავარმართებელი ა.მ.დონდუკოვ-კორსაკოვი, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე და ა.შ. იახტით ჩამოსულ სტუმრებს სანაპიროზე სამურზაყანოელებით დაკომპლექტებული საპატიო ყარაული დაახვედრეს (აფხაზებს, როგორც ჩანს, არ ენდნენ). ყარაულს ხელმწიფის ერთგულებისათვის სამურზაყანოსათვის 1841 წელს გადაცემული დროშა ჰქონდა გაშლილი. იმპერატორს ქალაქსოხუმის დელეგაცია „პურმარილით“ მიეგება. იმპერატორიცას თაიგულები მიართვეს სოხუმის ოლქის უფროსის ა.ნ.ვედენსკის დამ და „ტუხუმცების“ წარმომადგენელმა კნენინა შერვაშიძემ. ამ უკანასკნელმა სტუმარს ქართულ ენაზე ასე მიმართა (ტექსტი თარგმანში — რუსულ ენაზეა შემონახული): „Позвольте Всемилостивейшая Государыня от лица абхазских и самурзаканских жен и матерей приветствовать ваш приезд и подвертнуть к стопам Вашго Величества чувства безпредельной преданности к Вам и Вашему Августейшему семейству“.¹⁶ იმპერატორს დახვდა ასევე აფხაზი ხალხის დეპუტაცია გენერალ-მაიორ გ.ა. შერვაშიძის ხელმძღვანელობით. ყვავილებითა და დაფნის ფოთლებით მოფენილი გზით იმპერატორი და მისი თანმხლები პირები წმ.პანტელეიმონის ეკლესიაში მივიდნენ. აქმათ სოხუმის ეპისკოპოსი გენადი მიეგება, მობრძანება მიულოცა და შესხმა მოახსენა. იმპერატორი და იმპერატრიცა შეხვდნენ ახალი ათონის სამონასტრო სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც რუსული ნაციონალური ჰიმნი — „Боже Царя

Храни” შეასრულეს. სამეფო ოჯახი კმაყოფილი დარჩენილა ბავშვებით, „среди которых было только двое русских, а остальные абхазцы, самурзаканцы и даже сванеты”.¹⁷ წმ.სიმონ კანანელის ეკლესიაში სტუმრებს მღვდელ-მონაზონთა დიდძალი კრებული და მონასტრის წინამძღვარი დახვდათ; იმპერატორს წმ.სვიმონ კანანელის ხატი მიართვეს, იმპერატრიცას — წმ.ღვთისმშობლის ხატი, უფლისწულს — ხატი წმ.ნიკოლოზოსა („Николая угодника“); ალექსანდრე მესამისა და მისი ოჯახის წევრების თანდასწრებით საძირკველი ჩაეყარა სამონასტრო ტაძარს დიდმოწამე პანტელეიმონის, წმ.ალექსანდრე ნეველისა და წმ.მარია მაგდალინას სახელზე. ხელმწიფემ თავის ოჯახთან ერთად სოხუმის ეპისკოპოსის სახლში ისადილა, რის შემდეგაც ახალი ათონი დატოვა. საღამოს შვიდ საათზე იმპერიტრიცამ გემიდან მონასტერს საჩუქრად 5000 მანეთი გამოუგზავნა.¹⁸

ახალ ათონში და ეპისკოპოსის სახლში იმპერატორის სტუმრობამ ორიოდ თვეში ის შედეგიც გამოიღო, რომ 1888 წ. 2 დეკემბერს მან „უმაღლესად იწება“ სოხუმის არქიელის სახლისათვის ზემო წებელდაში-ლათაში 200 დესეტინა სახაზინო მიწის ნაკვეთის გამოყოფა; 1892 წლიდან სოხუმის ეპისკოპოსები ითხოვდნენ მის გაცვლას სხვა ნაკვეთზე სოხუმთან ახლოს. ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ 1900 წლის 10 ივნისს „ინება“ ლათაში გამოყოფილი 200 დესეტინა მიწის ნაკვეთის გაცვლა 470 დესეტინაზე დრანდასთან ახლოს.¹⁹ როგორც 1905 წლის 14 მაისს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ თედო სახოკია (სოხუმელი) წერდა, ეპისკოპოსმა ამ მიწებზე რუსების დასახლება გადაწყვიტა, მაგრამ მათ უარი თქვეს იჯარის გადახდაზე (ვინაიდან მთავრობისაგან შეღავათიან პირობებში იღებდნენ მიწებს), ამიტომ მეგრელები მოიწვიეს; 1904 წ. 25 მარტს ეპისკოპოს არსენის განკარგულებით მოიჯარე მეგრელები (70 სული) ამ უკვე დამუშავებული და ბაღნარად ქცეული მიწებიდან ძალით აყარეს, მათი სახლების ნაწილი დაწვეს, ნაწილი დაკეტეს; არც ეპისკოპოსის სახლთან ამ ხალხის მისვლამ და ხვეწნა-მუდარამ, არც ადმინისტრაციის შუამდგომლობამ უშველა — „ისინი აქედან განდევნეს როგორც წესიერების დამრღ-

ვენი“, — წერდა თ.სახოკია.

მოსახლეობის გარუსების ჟინით შეპყრობილი ადმინისტრაცია (საეროც და სასულიეროც) უდიერად ეპყრობოდა მისადმი მტრულად განწყობილ, „დამნაშავე ერად“ გამოცხადებულ აფხაზებს და კავკასიაში იმ დროს იმპერიის ყველაზე საიმედო დასაყრდენ ძალას — ერთმორწმუნე ქართველობას. მისთვის არაფერს ნიშნავდა თუნდაც იმპერატორის ახალ ათონში სტუმრობისას გამოხატული ერგულება. მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1888 წლის ანგარიშში კვლავ „გაუგებარ“ ქართულ ენაზე (რომელზეც ქართველი და აფხაზი ქალების სახელით, ერგულებას უმტკიცებდნენ იმპერატორს) და აფხაზეთში მომუშავე ქართველ სასულიერო პირებზეა საუბარი; ეპისკოპოს გენადის მტკიცებით, მათი ბრალი ყოფილა აფხაზთა შორის ქრისტიანობის წარუმატებლობა.²⁰ 1888 წლის ანგარიშს თან ახლავს მონაცემები სოხუმის ეპარქიაში შემავალი ეკლესიების, მათი მდგომარეობის, შესაბამისი სოფლების მოსახლეობის რაოდენობის, სამღვდელელოების, მისი შესანახი წლიური ხარჯების შესახებ (იხ. დანართი №29). ეპარქია ოთხი საბლალოჩინო ოლქისაგან შედგებოდა (ერთ-ერთი მოიცავდა შავი ზღვის ოლქის ტერიტორიას). სამურზაყანოს ანუ ოქუშუმის საბლალოჩინოში (ბლალოჩინი იოანე ჩხენკელი) მდ.ენგურიდან ილორამდე ყველა მართლმადიდებელი იყო. „ქრისტიანობას აქ მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული“, — წერდა კალდახეარის ეკლესიის მღვდელი ი.ოსიძე ე.„მწყემსში“ და ამ გარემოებას სამეგრელოსთან მჭიდრო კავშირით ხსნიდა. მისი მონაცემებით, სამურზაყანოში 13 საეკლესიო სამრევლო სკოლა არსებობდა. იმავე ავტორის მიხედვით, ოჩამჩირის ანუ კოდორის საბლალოჩინო ოლქში (ბლალოჩინი იოანე კერესელიძე), რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მდ.ილორიდან მდ.კოდორამდე, ბევრი მაჰმადიანობას აღიარებდა; „აქ ქრისტიანობის გავრცელების საქმეს მეტად აბრკოლებენ თათრები და მარჩიელები... გუდაუთის საბლალოჩინო მაზრა მდებარეობს შავი ზღვის პირას და საკმაოდ ვრცელია (თანამედროვე გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონები, ბლალოჩინი ი.ბერძენიშვილი — ჯ.გ.). სამწუხაროდ ისტორიულ უბედურებათა გამო ამ საბლა-

ლოჩინოში მეტად შემცირებულია ქრისტიანობა. ადგილობრივ მკვიდრთა უმეტესობა მაჰმადიანის სარწმუნოებას აღიარებს (იგულისხმება გუდაუთის აფხაზური მოსახლეობა — ჯ.გ.), ხოლო მცირე ნაწილი მართლმადიდებელი აღსარებისაა. როგორც აქაური თათრები, ისე ქრისტიანები სიტყვით უფრო აღიარებენ თავიანთ სარწმუნოებას, ვინემ საქმით“, — წერდა ი.ოსიძე. ავტორი ახსენებდა 1888 წელს ეპისკოპოს გენადის, უფროსი ბლადოჩინის დ.მაჭავარიანის და კნ.ალათი (სოფიო) დადიანის მიერ 2000 აფხაზის მონათვლის ფაქტს და აცხადებდა, რომ კიდევ ბევრი მოუნათლავი რჩება; მათი გაქრისტიანებისთვის მეტი შრომა, ასევე სამრევლო სკოლების გახსნა, სხვადასხვა აღმსარებლობის ქალ-ვაჟს შორის ქორწინების აკრძალვაა საჭირო.²¹ ბოლო რეკომენდაცია აფხაზთათვის მიუღებელი იქნებოდა, ვინაიდან, ი.ოსიძის სიტყვებითაც, ისინი ამა თუ იმ რელიგიას მხოლოდ სიტყვით აღიარებდნენ, ამიტომ აღმსარებლობა ქორწინებისას და საერთოდ ოჯახურ ცხოვრებაში ხელს არ უშლიდა.

1889 წლის 31 მარტს ეპისკოპოსი გენადი გარდაიცვალა, რისი მიზეზიც გამხდარა ავთვისებიანი ციება (злокачественная лихорадка). დაკრძალვის დღეს (4 აპრილს) საღმრთო ლიტურგია ჩაატარა და მიცვალებულს წესი აუგო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა. მან ეგზარქოს პალადის (რომლის დავალებითაც ჩამოვიდა ახალ ათონში) წერილობით აცნობა, რომ ეპისკოპოსი გენადი დაასაფლავეს ახალი ათონის სიმონ კანანელის ეკლესიაში (ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი შემთხვევა აფხაზეთის ეპისკოპოსის აფხაზეთშივე დასაფლავებისა) „с произнесением слова, соответствующего выдающимся заслугам покойного в пользу Сухумской Епархии“.²² გარკვეული დამსახურება მას ნამდვილად ჰქონდა, რის შესახებაც ე.„მწკმსში“ წერდა შესანიშნავი ახალგაზრდა პედაგოგი და მღვდელი, მომავალში სოხუმის ეპარქიის ახლადგახსნილი (1892წ) V საბლადოჩინო ოლქის ბლადოჩინი ნიკოლოზ შენგელაია. მისი აზრით, გენადი „დაულაღავად ზრუნავდა მისდამი რწმუნებულ ეპარქიის კეთილდღეობისათვის. სწორეთ უსამართლობა და უმადურობა იქნება ჩვენის

მხრით, რომ ორიოდ სიტყვით არ მოვიხსენიოთ განსვენებული ეპისკოპოსის თავგანწირული სამსახური ჩვენი ეპარქიის სასარგებლოდ“; ორი წლის განმავლობაში ორჯერ შემოუვლია ეპარქიის ყველა ეკლესია, გასცნობია ეკლესიებსა და მრევლს; „განსვენებული დღე და დამ სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა ღონით, რა საშუალებით აღმოეჩინა შემწეობა ეკლესიებისა და სკოლებისათვის“. მისი მეცადინეობით მხოლოდ სამურზაყანოში 14 სკოლა დაარსებულია; იგი რუსეთის მდიდარ ეკლესიებს სთხოვდა დახმარებას და იქიდან მოდიოდა ხატები, საეკლესიო ნივთები, წიგნები, რომლებსაც ეკლესიებს უფასოდ ურიგებდა. გენადის თაოსნობით 1889 წელს ოქუმში დაარსდა წიგნსაცავი სამურზაყანოს სამღვდელთებისა და სამრევლო სკოლების მასწავლებლებისათვის; ეპისკოპოსმა წიგნსაცავს საერო და სასულიერო მწერალთა წიგნები შესწირა; 1888 წელს საკუთარი ჯიბის ფულით ოქუმში სამურზაყანოს სამრევლო სკოლების პედაგოგთა კრება ჩაუტარებია; თავისი ჭამაგირის დიდ ნაწილს ეკლესიას და სკოლას ახმარდა; „ისეთი სკოლა არ არის აფხაზეთში, — წერდა ნ. შენგელაია, — რომელშიაც მის მეუფეებს შეგირდებისათვის თუმანი, ან ხუთი-ექვსი მანეთი არ დაეტოვებინოს. არ ყოფილა მაგალითი, რომ ახლად ნაკურთხი მღვდელი ან დაიკვანი უსადილოდ ან უჩაეთ გაეშვას კურთხევის დღეს“.²² გენადი ცხარე ცრემლებით დაუტირია მრევლს და სოხუმის ეპარქიის სამღვდლოებას, რომელსაც ყოველწლიურად კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების წინაშე აბეზლებდა. აფხაზეთის პირველი რუსი ეპისკოპოსი გარეგნულად ბევრ რამეში მეუფე გაბრიელს ბაძვდა (მოგზაურობები, მრევლთან შეხვედრები, ქველმოქმედება და ა. შ.). მართალია, მას იმპერიული მიზნები (ქართველთა და აფხაზთა ასიმილაცია) ამოძრავებდა, მაგრამ სკოლების გახსნაზე, სწავლა-განათლებაზე (თუნდაც რუსულად), ეკლესიების სხვადასხვა ნივთებით მომარაგებაზე ზრუნვა, ქადაგებები და ქველმოქმედება ობიექტურად ქრისტიანობის განმტკიცებასა და მოსახლეობის საერთო კულტურული ღონის ამძღვრებას ემსახურებოდა.

1889 წლის მაისში იმპერატორმა დაამტკიცა უწმინდესი სინო-

დის მოხსენება ვლადიმერ-ვოლინის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ალექსანდრეს (ხოვანსკი) სოხუმის ეტისკოპოსად დანიშვნის თაობაზე. 24 მაისს იგი „იქმნა წოდებული ეპისკოპოსად“ უწმინდესი სინოდის ეკლესიაში (პეტერბურგში), მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა მოხდა 1889 შლის 29 მაისს — სულიწმინდის დღეს. იგი მალე აგაფადორმა (პრეობრაჟენსკი) შეცვალა (1891-1893 წწ.); ამ უკანასკნელს პეტრე დრუგოვი (1893-1894 წწ.) ჩაენაცვლა. მისი შემდგომი ეპისკოპოსი არსენ იზოტოვი 1895-1904 წლებში მართავდა სოხუმის ეპარქიას. ამ თანამდებობაზე მცირე ხნით იმყოფებოდა სერაფიმე ჩიხაგოვი (1905-1906 წწ.).²⁴ აღნიშნული ეპისკოპოსები, ისევე როგორც იმდროინდელი (უფრო ადრინდელებზე რომ არაფერი ვთქვათ) საქართველოს ეგზარქოსები პალადი (1887-1892 წწ.), ვლადიმერი (1892-1898 წწ.), ფლაბიანე (1898-1901 წწ.), ალექსი (1901-1905 წწ.), ნიკოლოზი (1905-1906 წწ.), აგრეთვე მთავარმართებლები ა.მ.დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890 წწ.), ს.ა.შერემეტიევი (1890-1896 წწ.), გ.ს.გოლიცინი (1896-1905 წწ.), საგუბერნიო (ქუთაისის), ადგილობრივი (სოხუმის ოლქის) რუსული ადმინისტრაცია ყველასფეროში უკიდურესად რეაქციულ, შოვინისტურ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. განსაკუთრებით უხეშ ფორმებში იგი ვლინდებოდა საეკლესიო და საგანმანათლებლო სფეროებში.

XIX ს. 80-იანი წლების ბოლოდან რუსი ეპისკოპოსები დიდად არ იწუხებდნენ თავს ახალი ეკლესიების მშენებლობით. მთელი ოცი წლის განმავლობაში 20-25 ეკლესია თუ აშენდა ან განახლდა, თანაც დიდი უმეტესობა — მრევლის ძალისხმევით. 1888 წელს შეშელეთის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია აშენდა; 1889 წელს — II ოქუმის (ღუმურიშის) იოანე ნათლისმცემლის, ხუმუშქურის ფერისცვალების, პავლოვსკოეს იოანე ნათლისმცემლის; 1891 წელს — კონსტანტინოვკის წმ.კონსტანტინესა და ელენეს; 1892 წელს — ჭირხვის ყველა წმინდანის; ეპისკოპოსმა აგაფადორმა კამანის უძველესი ეკლესია აღადგინა და იქ 1893 წ. ვასილისკო-იოანე ოქროპირის სახელობის დედათა მონასტერი (რუსული) დააფუძნა; 1894 წელს აკაფა-კელასურის წმ.გიორგის ეკლესია გაიხსნა; 1895 წელს

— II გუდავის მთავარანგელოზის, ფშაფი — დრანდის ღვთისმშობლის, ბარლების წმ. გიორგის, ქვემო ბარლების იოანე ნათლისმცემლის, წარჩეს მიძინების, 1896 წ. — I ოქუმის ხარების (აშენდა ქვის ახალი ეკლესია), ალექსანდროვკის აღ.ნეველისა და წმ.ნიკოლოზ სასწაულმოქმედის, 1898 წელს — ზემო ცხირის ნიკოლოზ სასწაულმოქმედის, 1899 წ. — I გუდავის წმ.გიორგის, 1900 წელს — I თაგილონის მიძინების (II თაგილონის წმ.გიორგის უძველესი ეკლესია 1898 წ. განაახლეს), ცხენისწყლის ღვთისმშობლის; 1901 წელს — სამი მოქმედი მონასტრის ეკვდერი; გარემონტდა ცხრა ეკლესია; 1903 წელს განახლდა გაგრის უძველესი წმ.იპატის ეკლესია; 1904 წელს აშენდა შუაწყლის ღვთისმშობლის ეკლესია; 1905 წელს — აჟარის წმ.ნიკოლოზის, ეკატერინოვკის წმ.ეკატერინეს; 1908 წელს — მუხურის მთავარანგელოზის.²⁵

ეპისკოპოს აგათაღორის პერიოდში წმ.ალექსანდრე ნეველის საეპარქიო სამშო ჩამოყალიბდა, შემოიღეს სამშოსთან არსებული მისიონერის თანამდებობა (1892 წელს ამ თანამდებობაზე ბლალოჩინი მღვდელი ი.კერესელიძე დაინიშნა), შეიქმნა საეპარქიო სამზრუნველო ღარიბ სასულიერო პირებისათვის, გაფართოვდა საკათედრო ტაძარი, დაარსდა სოხუმის საეკლესიო-სამრევლო სკოლა. ძველი ტაძრების შესწავლისა და აღდგენის მიზნით 1892 წელს საეპარქიო საეკლესიო-არქეოლოგიური კომისია დაფუძნდა. უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით (1891 წ., აპრილი), აგათაღორმა დრანდის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა შეითავსა (შემდგომში დრანდის მონასტერს სოხუმის ეპისკოპოსები განაგებდნენ). მონასტერთან გაიხსნა ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, ფუნქციონირებდა სასწავლებელი (პედაგოგს მონასტერი უხდიდა ხელფასს).²⁶

1893 წ. 23 აპრილს იმპერატორის ბრძანებითა და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით აიკრძალა მონასტრებიდან თუ სამრევლო ეკლესიებიდან სოფლებში და ქალაქებში წირვა-ლოცვის ჩატარების მიზნით იმ წმ.ხატების გატანა, რომლებსაც მოსახლეობა განსაკუთრებულად თავყვანს სცემდა. სოხუმის ეპარქიაში ასეთ ხატებად მიიჩნევდნენ დამწუხრებული (сгоревшей) ღვთისმშობ-

ლის შობის (კიევ-პეჩერის ლავრაში დასვენებული სასწაულმოქმედი ხატის ასლი), ღვთისმშობლის მიძინების, ივერიის ღვთისმშობლის (ოთხივე ხატის დრანდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ესვენა) და წმ.გიორგის (ილორისა და ჩხორჩთოლის ეკლესიებში ესვენა). „Выше поименованные иконы для свершения молебствия за пределы обители и приходов не износятся“,²⁷ — აცნობებდა სოხუმის ეპისკოპოსი პეტრე საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას 1893 წ. 13 ნოემბერს.

სამწუხაროდ, თავიანთ რეზიდენციას თვით ეპისკოპოსებიც იშვიათად ტოვებდნენ. მრევლთან მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა მოაწყო ეპისკოპოსმა გენადიმ; 1892 წელს გუდაუთაში, კოდორსა და სამურზაყანოში იმყოფებოდა აგაფალორი; 1895 წ. მაის-ივნისში ეპისკოპოსმა — არსენმა აფხაზეთის რვა ეკლესია მოინახულა.²⁸ ცხადია, ეს არ იყო სრულებითაც საკმარისი, მოსახლეობა არ იცნობდა და პატივს არ სცემდა სოხუმის ოლქის გარუშებისათვის, აფხაზებსა და ქართველებს შორის ეთნიკური შუღლის ჩამოსაგდებად მოვლენილ მღვდელმთავრებს, რაც აისახა კიდევაც სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე აფხაზეთში.

მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ოფიციალური მონაცემებით (ისინი ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა), 1884 წლიდან 1901 წლამდე სამრევლოთა რიცხვი აფხაზეთში იყო და დარჩა 20, სამურზაყანოში — 17-დან 18-მდე გაიზარდა, ეკლესიების რაოდენობა 47-დან 62-მდე ავიდა. მონათლულთა რიცხვი მაინც უმნიშვნელო იყო: 1889 წ. — 454; 1890 წ. — 21; 1891 წ. — 70 (მათ შორის 38 აფხაზი); 1892 წ. — 276 (მათ შორის 241 მუსულმანი); 1893-1895 წ. — 378 (სინოდალური კანტორის მონაცემებით მარტო 1893 წ. მონათლა 273 ადამიანი); 1897 წ. — 71, მათ შორის 30 აფხაზი; 1898-1901 წწ. — 322 (სინოდალური კანტორის მონაცემებით, 1899 წ. მონათლა 167 ადამიანი, მათ შორის 141 აფხაზი; 1901 წ. — 180, მათ შორის 141 აფხაზი (ეს მონაცემები ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების მონაცემებს); 1902 წ. — 41. მთლიანად 1866-1902 წლებში აფხაზეთში 21 336 ადამიანი მონათ-

ლა, აქედან 90 პროცენტზე მეტი გაბრიელ ჭიქოძის ეპისკოპოსობის პერიოდზე მოდის. რუსი არქიელები, სამწუხაროდ, მონათლულთა ყალბისიების შედგენით იყვნენ დაკავებულები, მიმართავდნენ ძალადობასაც. საქმეს დიდად ახალი მისიონერების ჩამოსვლამაც ვერ უშველა. ქართველი მისიონერები მაინც ახერხებდნენ აფხაზებთან დაახლოებას და მათ გაქრისტიანებას. 1899 წლის 1 იანვრიდან 1903 წლამდე მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების გადაწყვეტილებით, აფხაზეთის დამოუკიდებელ სამისიონერო რაიონში (დაფუძნდა საზოგადოების საბჭოს 1898 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით) მოღვაწეობდა ზაქათალის ოლქიდან გადმოყვანილი მღვდელი ტარას ივანიცკი (ეროვნებით ქართველი; 1922 წ. საკუთარი თხოვნის საფუძველზე კვლავ სოხუმში გადმოიყვანეს და საკათედრო ტაძრის დეკანოზად დანიშნეს). პირველ წლებში მას 200 აფხაზი მოუხატლავს. ტ. ივანიცკის ენერგიულმა და მრავალმხრივმა სამისიონერო საქმიანობამ სოხუმის ეპარქიაში, განსაკუთრებით მუსულმანებთან მუშაობის მისეულმა ფორმებმა და მეთოდებმა მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების უაღრესად მაღალი შეფასება დაიმსახურეს.²⁹ იმავე საზოგადოებამ 1896 წ. აფხაზეთში მისიონერად დანიშნა მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ევტისი მამინაიშვილი. მან „მოიარა აფხაზეთი და ქრისტიანობის გავრცელების საქმე ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში ჰპოვა, ახლად მონათლული აფხაზები ისევ მაჰმადის სარწმუნოებაზედ გადასულან. სოფლებში მოლები გამრავლებულან და მედრესები გაუხსნიათ აფხაზების ბავშვებისათვის. კვირა უქმობით ეკლესიებში მარტო მღვდელ-დიაკონს თუ ნახავს კაცი. ეს სამწუხარო მოვლენა შენიშნულია უფრო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში), რომელიც მამა ამბროსი კავკასიძის შემდეგ უმისიონეროდ იყო დარჩენილი. ბ-ნმა მამინაიშვილმა ქრისტიანობის ამ უნუგეშო მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და აღგვითქვა, სათანადო ღონეს ვიღონებ ქრისტიანობის აყვავებისათვის აფხაზეთშიო“, — წერდა სოხუმელი კორესპონდენტი და იმედს გამოთქვამდა, რომ ეს ახალგაზრდა, „ყოველის კეთილის მისწრაფებით გამსჭ-

ვალული“ და, რაც მთავარია, „ჩვენებური კაცი, უფრო მიხვდება ადგილობრივის საჭიროებას და მისთვის შესაფერ წამლის გამოძებნას“.30 სამწუხაროდ, ე.მამინაი შვილს აფხაზეთში დიდხანს არ უმუშავია. მისი ეროვნული სულისკვეთება მიუღებელი იყო რუსული ხელისუფლებისათვის.

აფხაზეთში დაიწყო მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარია დამთავრებულმა (1885 წ.) ამბროსი ხელაიამ — მომავალში საქართველოს წამებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა. 1887 წელს მოხდა მისი ხელდასხმა მღვდლად სოქში; 1892 წელს მამა ამბროსი სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკია, მუშაობდა სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველად და ქართული ენის მასწავლებლად. როგორც ზ.ქიქინაძე წერდა, ამბროსი ხელაია „საუკეთესო მოძღვარი იყო. მალე გახდა სოხუმის ბლალოჩინიც, მასთანვე სასულიერო წოდებაში შემსვლელ პირთა გამომცდელიც“; როგორც რუსიფიკატორული და შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურმა მებრძოლმა, განათლებულმა და სპეციალმა მოძღვარმა ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. 1897 წ. ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით სოხუმიდან მის წასვლას გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ასე გამოეხმაურა: „ამ ზაფხულში აქაურის საკრებულო ტაძრის მღვდელმა მამა ბესარიონ ხელაიამ სოხუმს თავი დაანება და ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა სწავლის გასაგრძელებლად. მამა ბ.ხელაიას მთელის მრევლის განუხსაზღვრელი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავისის მამა-შვილურისა და სათნო ქცევით. ყველას გული დასწვა საყვარელის მოძღვრის მოშორება“.31

მძიმე მდგომარეობა იყო აფხაზურ დასახლებებში. ქრისტიანობის წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ს.ბასარია სავსებით სამართლიანად ადამიანების იძულებით მონათვლაში ხედავდა, თუმცა აშკარად ცდებოდა მოვლენების ქრონოლოგიაში. ასე მაგალითად, ეხებოდა რა ეპისკოპოს გენადის მიერ 1918 აფხაზის მონათვლის (1888 წ. 18-29 ივნისს) ფაქტს, წერდა: „Конечно, это было в период экзекуционных способов насаждения

христианства, когда „по благодати“ ген. Геймана и епископа Геннадия казачья кавалерия присоединяла к православию мусульман абхазов”.³² ცხადია, 1871 წლამდე სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი ვ.გეიმანი (გარდაიცვალა 1878 წ.) და 1886 წელს დანიშნული სოხუმის ეპისკოპოსი გენადი ერთობლივებზე უცუციებს სოფლებში ვერ მოაწყობდნენ. ვ.გეიმანის უფროსობის პერიოდში (1867-1871 წწ.) ყოველგვარი „კაზაკური კავალერიის“ გარეშე ქადაგებდნენ ეპისკოპოსი გაბრიელი, მისი წინამორბედი ალექსანდრე ოქროპირიძე და ნებაყოფლობით ნათლავდნენ ადამიანებს. ძალადობა რუსულმა სამღვდლოებამ დანერგა. მათი მისიონერობა რელიგიურ დევნას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქრისტიანობის გავრცელებას. როგორც ს.ბასარია აღნიშნავდა, სხვადასხვა აღმსარებლობის ცოლ-ქმარს ხელისუფლება ძალით გაყრიდა და მათ შორის არაქრისტიანს მონათვლას „შესთავაზებდა“; ყოფილა შემთხვევები, როცა არაქრისტიანული წესით დაკრძალულ აფხაზს საფლავიდან ამოასვენებდნენ და მართლმადიდებელი მღვდელის მონაწილეობით კვლავ დამარხავდნენ; აფხაზები ასევე იძულებით დაჰყავდათ ეკლესიებში. მღვდელმსახურება როგორც აფხაზურ, ისე ქართულ სამრევლოებში მხოლოდ გაუგებარ რუსულ ენაზე წარმოებდა. ხელისუფლება ცდილობდა ეკლესია გარუსების პოლიტიკის ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტად ექცია. ეს ყოველივე უკიდურესად აღიზიანებდა მოსახლეობას და არც თუ ისე მტკიცე მართლმადიდებლური მრწამსის აფხაზობას მაჰ მადიანობისაკენ უბიძგებდა.

ქრისტიანობის გავრცელებას აფერხებდა რუსული კანონმდებლობა, რომლის ძალითაც მუსულმანებს სამხედრო სამსახურისაგან გარკვეული თანხის საფასურად ათავისუფლებდნენ. ამასთან დაკავშირებით ჟურნალ „მწყმსში“ სპეციალური წერილი გამოქვეყნდა შემდეგი სათაურით: „ახალი დაბრკოლებანი აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში“. მასში ნათქვამია, რომ ოჩამჩირის საბლალოჩინოში, სადაც ორი სამრევლოს გარდა, მართლმადიდებლობამ მტკიცედ გაიდგა ფესვი, ჯარში გაწვევის არსებული წესი სერიოზული პრობლემის წინაშე აყენებდა სამღვდლოე-

ბას და მოსახლეობას; აფხაზი ჯარში სამსახურისათვის თავის აცილების მიზნით იოლად იცვლიდა სარწმუნოებას ან უარს ამბობდა მონათვლაზე; ხშირად ოჯახის წევრები სხვადასხვა სარწმუნოებისანი იყვნენ, ზოგჯერ ერთი ძმა მოინათლებოდა, მეორე — არა; მონათლული ჯარში მიჰყავდათ, მოუნათლავი ფულის შეტანით იცილებდა სამხედრო ვალდებულებას; „ეს გარემოება ერთსა და იმავე სოფლის მცხოვრებთა და ერთსა და იგივე ოჯახის წევრებს შორის ახდენს შუღლსა და მტრობას“, — ვკითხულობთ ჟურნალში. ერთერთ მომდევნო ნომერში „მწყემსი“ იტყობინებოდა, რომ პუბლიკაციამ „ახალი დაბრკოლებანი აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში“ გარკვეული შედეგები გამოიღო. ამ თემაზე შედგა საუბარი პეტერბურგში უწყინდესი სინოდის წევრებთან, რასაც აღნიშნულ საკითხზე მიმოწერის დაწყება მოჰყვა. ჟურნალი იმედოვნებდა, რომ „ჩვენგან აღძრული კითხვა გაქრისტიანებული აფხაზების სასარგებლოდ დაბოლოვდება“. ³³ ქართული სამღვდელთაების ძალისხმევამ ამ მიმართულებით სასურველი შედეგი გამოიღო. გაზეთ „ივერიაში“ ასეთი ცნობა გამოქვეყნდა: „სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტია, რომ სოხუმის ოლქის ქრისტიან აფხაზებს 1890 წ. 1 იანვრიდან დაწყებული, ვიდრე განსაკუთრებული განკარგულება არ მოხდება, სამხედრო ბეგარის მაგივრად ფული გადახდესთო. 1890-1891 წლებში ვალდებულნი იქმნებიან გადაიხადონ ხუთი ათას ოთხას ორმოცი მანათი“.

მთავრობის ამ გადაწყვეტილების შესახებ გუდაუთელებს პირველად 1890 წ. 15 აპრილს ლიხნში ჩასულმა მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა მამა ამბროსი კავკასიძემ აცნობა. მას ელემენტარული საკითხების განმარტება მოუხდა. ასე, მაგალითად, მუსულმანი მოლები სარგებლობდნენ ხალხის გაუნათლებლობით და საზოგადოებაში ისეთ აზრს ამკვიდრებდნენ, რომ მთავრობა უპირატესობას თითქოს მუსულმანს ანიჭებდა, მას უფრო ენდობოდა, ამიტომაც სამხედრო ბეგარა აფხაზთა ამ ნაწილს არ ეხებოდა; „ნაკლებად სანდო“ მართლმადიდებლები კი ჯარში მიჰყავდათ (!) და ა.შ. მამა ამბროსიმ ხალხს აუხსნა საქმის რეალური ვითარება; ვინაიდან თქვენ ხელისუფლების ნამდ-

ვილი აზრი ვერ გაგიგიათ, — განაცხადა მან, — „მთავრობამ შესცვალა ეს განკარგულება და... შემდეგში თქვენც და მუსულმანებსაც „სალდათად“ აღარ გაგიყვანენ და გადასახადს ყველასაგან ფულად აიღებენო. ხალხმა დიდი სიამოვნებით მოისმინა ყველა ეს სიტყვები“. ³⁵ ჭარში გაწვევის ახალი წესი ძალაში დარჩა გასაბჭოებამდე. იგი უკვე აღარ იყო ხელის შემშლელი ფაქტორი მართლმადიდებლობისათვის, მაგრამ გახდა საფუძველი ქართველების დიდი ნაწილის გააფხაზებისა. სამხედრო ბეგარისათვის თავის არიდების მიზნით, ბევრი ქართველი ნებაყოფლობით აფხაზად ეწერებოდა. რუსები თვალს ხუჭავდნენ სამხედრო ვალდებულთა რაოდენობის ხელოვნურ შემცირებაზე; მათთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აფხაზეთში ქართული გავლენის შესუსტება იყო.

ქურნალი „მწყემსი“ აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების დამაბრკოლებელ სხვა გარემოებებზეც ამახვილებდა საზოგადოების ყურადღებას. გუფის პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი პ.ფარეიშვილი წერდა, რომ ტერიტორიულად უზარმაზარ სოფლებში ცენტრიდან შორს მცხოვრები აფხაზები ეკლესიებში არ დადიან და მღვდლების ქადაგებას ვერ ისმენენ, ყოფილი მაჰაჯირები კი ისლამს ავრცელებენო; სხვა ქართველი მისიონერების ცნობებით, აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას აფერხებდნენ ცრუ მოლელი და მკითხავეები. „საზოგადოდ ამ მისიონერების წერილებიდან სჩანს, — წერდა ქურნალი, — რომ ქრისტიანობის გავრცელების საქმე დღეს უფრო ცუდად მიდის აფხაზეთში, ვინემ განსვენებულის გენადის დროს“ ³⁶

კავკასიის რუსული სასულიერო და საერო ადმინისტრაციის პირველი პირები იძულებით აღიარებდნენ მათ მიერ გატარებული საეკლესიო პოლიტიკის კრახს აფხაზეთში. 1898 წ. მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებისათვის წარდგენილ ანგარიშში პოლიტიკანი ეპისკოპოსი არსენი აღიარებდა, რომ აფხაზთა გამაჰმადიანება „იღებს ქრისტიანობისათვის სერიოზულ და საშიშ ხასიათს“; სწორედ მისი მღვდელმთავრობის პერიოდში მთელ რიგ აფხაზურ სოფლებში (ააცი, ჭგერდა, ცხენისწყალი) ფარული მეჩეთები გაიხსნა. ძალით მათი დახურვა უკუშედეგებს იძლეოდა.

1901 წლის 27 თებერვალს მთავარმართებელი გ.გოლიციანი უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს წერდა, რომ XIXს. 70-80-იან წლებში აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში მიღწეული წარმატებების შემდეგ „усилилась и тайная магометанская пропаганда, под влиянием которой в начале 1890 _ х годов замечалось уже обратное движение абхазцев из православия в магометанство. Это движение вызвало даже репрессивные меры со стороны главного кавказского начальства, распорядившегося высылкою в Турцию более 30 турок, тайно пропагандировавших ислам среди абхазцев. Этот факт массового движения абхазцев в магаметанство наглядно и красноречиво свидетельствует, что последнее пустило среди них глубокие корни, хотя в 1868 году по донесению местного начальства, у них не было ни одного муллы и ни одной мечети и что против этого врага русского владычества, особенно опасного на соседней с мусульманским государством окраине, необходимо принять энергичные и более радикальные меры“.³⁷ როგორც ვხედავთ, ქართველი მისიონერების მიერ წარმატებით დაწყებული საქმე რუსული შოვინისტური პოლიტიკის მეოხებითა და რუსი მღვდელმთავრების ძალისხმევით უკუღმა შეტრიალდა — მასობრივი ნებაყოფლობითი გაქრისტიანების თითქოს შეუქცევადი პროცესი მასობრივი გამუსულმანებით შეიცვალა. უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელე კი აღიარებდა ამ სავალალო ფაქტს, მაგრამ არაფერს ამბობდა მის ნამდვილ მიზეზზე. 30 თურქის, სინამდვილეში კი სამშობლოში დაბრუნებული აფხაზი მაჰაჯირების, კვლავ ოსმალეთში გაძევებით, ბუნებრივია, საქმეს არ ეშველებოდა.

გარუსების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საშუალებად ხელისუფლება სკოლას მიიჩნევდა. 1900 წელს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოება აფხაზეთში ცხრა სკოლას აფინანსებდა. 1890 წლიდან გურიაში, სვანეთში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში საზოგადოების სკოლების ინსპექტორად არქიმანდრიტი ამბროსი

კავკასიძე დაინიშნა. მან არაერთხელ შემოიარა მთელი აფხაზეთი. პირველსავე წელს იყო ახალი ათონის სამონასტრო სკოლაში (პედაგოგები — მღვდელმონაზონი დოროთე, ბორის ხორავა), ბიჭვინთაში. მისი ინციატივითა და მოსახლეობის მხარდაჭერით, 1890 წელს ლიხნის სკოლა ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას გადაეცა. ამბროსი კავკასიძემ თავის თავზე აიღო პედაგოგთა საკითხის მოგვარება (გადააწყდა ი.ლაკერბაიასა და კ.თოლორაიას დანიშვნა), ასევე წიგნებითა და საჭირო ნივთებით სკოლის მომარაგება.

მამა ამბროსი გუფის სკოლასაც (პედაგოგები — პ.ფარეიშვილი და პ.ქარაია) ესტუმრა; იგი ესაუბრა ხალხს სარწმუნოების, ზნეობისა და განათლების საკითხებზე. ადგილობრივი სკოლა აფხაზი ბავშვებისათვის იყო გახსნილი, მაგრამ მოსწავლეთა (სულ 14 ბავშვი სწავლობდა გუფში) ნახევარზე მეტი მეგრელები აღმოჩნდნენ. 1890 წლის 27 აპრილს არქიმანდრიტი ამბროსი ოქუშმის სკოლას ათვალეერებს (1890 წ. ბოლოს გარდაცვლილი სჯულისკანონის მასწავლებლის ს.ჯინჯიხაძის ნაცვლად ი.ქავთარაძე დაინიშნა, უფროსი მასწავლებელი იყო პ.კამკია, მეორე მასწავლებელი — ს.ხასია), იქიდან დიხაზურგაში გადავიდა. მამა ამბროსიმ დიდი ყურადღება გაამახვილა ქართული ენის სწავლების აუცილებლობაზე (დიხაზურგის სკოლაში ასწავლიდნენ პ.ასათიანი და პ.ბარნაბიშვილი). გენერალმა ზ.ჩქორტუამ ამბროსი კავკასიძე საბერიოში მიიწვია და რუსეთ-საქართველოს 1877-1878 წწ. ომის დროს გაუქმებული სკოლის აღდგენა სთხოვა. ამბროსის შუამდგომლობამ გაჭრა და 1891 წელს საბერიოში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სკოლა (პედაგოგები — პ.ფარეიშვილი, ბ.ემუხვარი) იწყებს ფუნქციონირებას. აფხაზეთის სოფლებში, სადაც კი იგი ჩავიდა, ყველგან „ჰმოძღვრავდა და ქადაგებდა. მამა არქიმანდრიტმა დიდი ყურადღება მიიქცია ყოველის საზოგადოებისა, სადაც კი იყო და რამდენიმე სიტყვა სთქვა იმის შესახებ, თუ რა ძალას შეადგენს ქრისტიანობრივი სარწმუნოება და სწავლავანათლება კაცობრიობის ზნეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის“.³⁸

არქიმანდრიტმა ამბროსი კავკასიძემ მართლმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას აფხაზეთში მოგზაურობის შესახებ ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა; ეხებოდა რა მოსახლეობის სარწმუნოებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, აღნიშნავდა, რომ აფხაზეთიუფრო წარმართები არიან, ვიდრე ქრისტიანები ან მუსულმანები, რაზეც, მისიონერის აზრით, ღმერთის აფხაზეთი სახელწოდებაც მიუთითებდა. „По-абхазски бог — „анца“. Это слово, по объяснению абхазцев, поставлено во множественном числе, женском роде и означает „матери“, „создательницы“, „причины“ всех существ, значит — богини“, — წერდა მამა ამბროსი. მისი მტკიცებით, ქრისტიანობისა და მუსულმანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლას, მაგრამ ეს პროცესი არ იყო დამთავრებული — აფხაზეთი კვლავ წარმართებად რჩებოდნენ. „თქვენ ეკითხებით აფხაზს: ვინ არის იგი, ქრისტიანია თუ არა? ის პასუხობს: „არა“;

— მუსულმანი ხარ?

— არა,

— აბა ვინ ხართ?

— აფხაზი, აფსუა“. როგორც ამბროსი კავკასიძე აღნიშნავდა, აფხაზს ჰქონდა საკუთარი რელიგია, რომლის არსში თვითონაც არ იყო გარკვეული; აფხაზის სარწმუნოებრივი მდგომარეობა „представляет полнейшую путаницу в своем мировоззрении, — ასკვნიდა მისიონერი და თავის მოხსენებით ბარათში დეტალურად მიმოიხილავდა საკითხებს აფხაზთა რელიგიური წარმოდგენებისა (მსხვერპლ შეწირვა, სახალხო ზეიმები, სულის უკვდავება) და ზნე-ჩვეულებების შესახებ.

ამბროსი კავკასიძე არ იზიარებდა რუსი ჩინოვნიკებისა და მღვდელმთავრების მიერ მიზანმიმართულად დანერგილ უარყოფით მოსაზრებას აფხაზეთის ქართული სამღვდლოების გონებრივ-ზნეობრივ დონესთან დაკავშირებით. პირიქით, ამტკიცებდა, რომ მათი უმრავლესობა საკმარისად განათლებული იყო; მატერიალური მდგომარეობა კი უკიდურესად მძიმე გახლდათ. აფხაზეთურ

სამრევლოებში მომსახურე ქართველი მღვდლები აფხაზურ ენასაც საკმარისად ფლობდნენ, რუსულს კი ნაკლებად. იმ პერიოდში, საეპარქიო მთავრობის განკარგულებით, წირვა-ლოცვა აფხაზეთში საეკლესიო სლავურ ენაზე წარმოებდა. ვინაიდან ეს ენა, — აღნიშნავდა მამა ამბროსი, — რიგიანად არ იცოდა სამღვდლოებამ, მით უმეტეს, მრევლმა, ღვთისმსახურება (რომელიც ისედაც იშვიათად ტარდებოდა მცირერიცხოვანი მრევლის მონაწილეობით) მსმენელებზე სასურველ ზემოქმედებას ვერ ახდენდა. ამით ამბროსი კავკასიძე მიანიშნებდა, რომ აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას „გაუგებარი“ ქართული კი არა, მართლაც ჭაუგებარი სლავური ენა აფერხებდა.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდნენ თვითმარქვია მოლები. ყოველ აფხაზურ სამრევლოში, როგორც ამბროსი კავკასიძე აღნიშნავდა, 3-4 ასეთი მოლა ანტიქრისტიანულ პროპაგანდას ეწეოდა.

მოხსენებითი ბარათის დასასრულს მისიონერმა თავისი რეკომენდაციები ჩამოაყალიბა, რომელთა უმეტესობა (სკოლების გახსნის, სამღვდლოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და ა.შ.) კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ გაიზიარა.³⁹ იგი თავად ცდილობდა საკუთარი რეკომენდაციების რეალიზაციას, განსაკუთრებით განათლების სფეროში.

1891 წლის 5 თებერვალს არქიმანდრიტ ამბროსის გალის წარმომადგენლებმა 580 კაცის ხელმოწერით სკოლის გახსნის თხოვნა გადასცეს. მიუხედავად ამბროსის შუამდგომლობისა საქართველოს ეგზარქოსის წინაშე და ამ უკანასკნელის თანხმობისა, სკოლის გახსნა 1896 წლამდე გაიწელა.⁴⁰ მართლმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას სკოლის მასწავლებლის დანიშვნისა და მისი დაფინანსების თხოვნით 1897 წლის მარტში სოფ. ფოქვეშის მცხოვრებთა სახელით თავადები სესირქვე და ჩაგუ ანჩაბაძეები, ასევე გლეხი კ.ჩინჯოლია მიმართავენ. „Благодаря миссионерской деятельности общества восстановления христианства на Кавказе, _ წერდნენ ფოქვეშელები, — мы абхазцы _ жители

სელა ჲოკვეში ვოხოდლი ჲი მრაკი ჲიზიკესოკო ნევეჲესტ-
 ვი დი პროსვეშაემჲი პონემოკო სვეთო ევანგელჲესოკო Ი-
 ენიი (სტილი დაცულია — ჯ.გ.). მი სთლი სოზნავთი ვი პოსლედ-
 ნეე ვრემი დი პოლჲი Იენიი დი, პო სოვეთი დი პროდოჲენიი
 ნიშის პასტირეი ცერკვი, პოსთროილი ნი სვოი სოტ ხორო-
 შეე დერევიანოე ჲინიი” ჲეენ — „ბედნიე აბხაზცი, გო-
 ცი“ — ჲეენივე ხარჯებოთ მასწავლებელს ჲერი შევინახავთ, ნათქვამი
 აწერილში. ამიტომაც მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებისაგან
 ფინანსურ დახმარებას ითხოვდნენ. მღვდელი, რომელმაც ფოქვეში
 მაცხოვრებლებს სკოლის აშენება ურჩია დი შემდგომშიაც მის
 გახსნაში ეხმარებოდა, იყო ჲავრენტი საჯაია. მან მიმართა
 შესაბამისი თხოვნით სოხუმის ეპარქიალურ ჲედამხედველს —
 ვიასტრებოვს. ამ უკანასკნელმა სოხუმის ეპისკოპოს არსენის
 წარუდგინა დასკვნა ფოქვეში სკოლის გახსნის აუცილებლობის
 შესახებ. მის მიერ შედგენილ დოკუმენტში ნათქვამია, რომ კოდორის
 Იოლქში, სადაც 11195 მამაკაცი დი 10359 ქალი ცხოვრობს (მათ შორის
 2 ათასი მუსულმანი, 10 კათოლიკე, 9 გრიგორიანელი) ფუნქციონირებდა
 მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1 სკოლა, სამინისტრო —
 3, საეკლესიო-სამრევლო — 3; 4 ათასამდე სასკოლო ასაკის ბავშვისათვის
 (მათ შორის 203 ფოქვეში) ეს საკმარისი არ იყო. ფოქვეში სკოლის
 გახსნის თხოვნით მართლმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას
 წერილი ეპისკოპოსმა არსენმაც გაუგზავნა. 1 იანვრიდან სკოლის გახსნას დაპირდა
 ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი.⁴¹ დაპირება
 შესრულდა. საზოგადოების სასწავლებლებს შორის გამორჩეული იყო
 ახალი ათონის სამონასტრო სკოლა, სადაც ძირითადი საგნების გარდა
 ხელოსნობასაც ასწავლიდნენ. 1896 წელს სკოლის მოსწავლეთა
 ნამუშევრები სრულიად რუსეთის გამოფენაზე (ნიჲინი-ნოვგოროდში)
 გაიგზავნა.⁴²

ჲელაზე წარმატებულ დი წამყვან სასწავლებლად აფხაზეთში კვლავ
 სოხუმის მთიელთა სკოლა ითვლებოდა. 1887 წელს აქ 103 ბავშვი
 სწავლობდა 1890 წელს — 127, 1899 წელს — 134. სარწმუნოების
 მიხედვით მოსწავლეები ასე იყოფოდნენ: 1887 წელს — 96

მართლმადიდებელი, 5 გრიგორიანელი, 2 მუსულმანი; 1899 წელს — 112 მართლმადიდებელი, 12 გრიგორიანელი, 5 კათოლიკე, 2 პროტესტანტი, 1 იუდეველი. მოსწავლეთა უმრავლესობას გლეხთა შვილები შეადგენდნენ. მთიელთა სკოლას, ასევე სოხუმის ქალთა პროგიმნაზიას (მოსწავლეთა რაოდენობა 1899 წელს — 117) კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა და სწავლის შედარებით ნორმალური პირობები ჰქონდათ.⁴³ 90-იანი წლებიდან ამ პრესტიჟულ სკოლებში მოხვედრა მუსულმანი აფხაზებისათვის შეუძლებელი გახდა.

სასწავლებელთა ძირითად კატეგორიას მთელს იმპერიაში საეკლესიო სამრევლო სკოლები შეადგენდნენ, რომლებიც უწმინდესი სინოდისა და მასთან არსებული სასწავლო საბჭოს გამგებლობაში იმყოფებოდნენ. ადგილებზე კი ეს სკოლები საეპარქიო სასწავლო საბჭოებს და მათ სამაზრო განყოფილებებს ექვემდებარებოდნენ. საკლესიო-სამრევლო სკოლების დებულების (დამტკიცდა 1884 წელს) მეოთხე პარაგრაფის მიხედვით, დასაშვები იყო საეპარქიო საქმოთა საბჭოების გამგებლობაში სკოლების გადაცემა. აღნიშნული დებულების საფუძველზე, სოხუმის საეპარქიო საბჭო 1891 წლის დასაწყისიდან საეპარქიო საქმოსადმი დაქვემდებარებული ორგანო გახდა. ასე გრძელდებოდა 1906 წლამდე, როცა საეპარქიო სასწავლო საბჭო კვლავ სოხუმის ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში გადავიდა. იმ დროიდან „братство уже не вмешивается в дела епархиального училищного совета, поставив своей дальнейшей целью “служить нуждам и пользам православной церкви и заботам о распространении православия среди магометан-абхазцев и других инородцев епархии”.⁴⁴ ე.წ. საეპარქიო საქმოს რუს წევრებს ქრისტიანობის გავრცელებისათვის სერიოზულად არ უზრუნიათ, მაგრამ დიდი მონდომებით ცდილობდნენ სკოლების სრულ რუსიფიკაციას, რაც, თავის მხრივ, ძლიერ აფერხებდა სწავლა-განათლების საქმეს, ხელს უშლიდა მართლმადიდებლობის გავრცელებას და განმტკიცებას.

საეპარქიო სასწავლო საბჭოს შემადგენლობაში არსებობდა სასკოლო კომისია სასწავლო საბჭოს თავმჯდომარის, საეპარქიო

ზედამხედველისა და კანცელარიის მდივნის შემადგენლობით. 1899 წლამდე ისინი წყვეტდნენ სკოლების გამგებლების, ასევე მასწავლებელთა (მათ შორის სკოლის კანონის მასწავლებელთა) დანიშვნის, გადაადგილებისა და განთავისუფლების საკითხებს.

სოხუმის საეპარქიო სასწავლო საბჭო, რომელსაც 1889 წლიდან დ.მაჭავარიანი თავმჯდომარეობდა, ეპისკოპოსის მიერ დანიშნული 8 ზედამხედველის მეშვეობით აკონტროლებდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს. პასუხისმგებლობა სკოლების მუშაობაზე ბლადოჩინებსაც ეკისრებოდათ.

1896 წელს შემოღებულ იქნა საეპარქიო ზედამხედველის თანამდებობა, რომელიც უწმ. სინოდის გადაწყვეტილებით აფხაზეთში მღვდელმა ვ.იასტრებოვმა დაიკავა. 1897 წელს სოხუმის საეპარქიო სასწავლო საბჭოს ორი განყოფილება გაიხსნა: ოქუმის, რომელსაც სოხუმის ოლქის სკოლები დაექვემდებარა, და ნოვოროსიისკის (სოხუმის ეპარქიაში შემავალი შავი ზღვის გუბერნიის სკოლებისათვის). უმოქმედობისათვის ოქუმის განყოფილება გაუქმდა და მისი ფუნქციები ახლადგახსნილ სოხუმის განყოფილებას გადაეცა. ცუდი მუშაობისათვის ისიც 1907 წელს დაიხურა.⁴⁵ ყველა გარდაქმნა და რეორგანიზაცია სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნას და რუსულის დანერგვას ემსახურებოდა. უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის კ.პ.პობედონოსცევის ანგარიშის (იმპერატორის წინაშე) მიხედვით 1899 წლის 1 იანვრისათვის სოხუმის ეპარქიის 45 სკოლაში 1165 ბიჭი და 459 გოგო სწავლობდა.⁴⁶ მთელი სასწავლო პროცესი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

საეკლესიო-სამრევლო სკოლებმა მათი მცირერიცხოვნობის, აგრეთვე სახსრებისა და პედაგოგიური კადრების ნაკლებობის გამო ვერ მოიცივეს მოსახლეობის ფართო ფენები. მოთხოვნილება თუნდაც ელემენტარული განათლების მიღებისა კი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მისი დაკმაყოფილების მიზნით, უწმინდესმა სინოდმა 1891 წლიდან წერა-კითხვის სკოლები (школы грамоты) შემოიღო. ასეთი ტიპის სკოლები ეკლესიებთან იხსნებოდნენ და დაწყებით განთლებას იძლეოდნენ. 1899 წლისათვის სოხუმის ეპარქიაში იყო 26 ასეთი სკოლა, სადაც 565 ბიჭი და 151 გოგო სწავლობდა.⁴⁷

ერთკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლებში და წერა-კითხვის სკოლებში სწავლების ვადა საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში თავიდან, შესაბამისად, 3 და 2 წელი თუ დაწესდა, 1898 წლიდან ეს ვადა პროგრამის სირთულის გამო ერთი წლით გაიზარდა. აფხაზეთის სკოლების უმრავლესობამ ოთხწლიან სწავლებაზე გადასვლა ვერ მოახერხა. იგივე მდგომარეობა იყო სხვა ეპარქიებშიც. ამიტომ 1902 წლის 1 აპრილიდან გამოვიდა ახალი დებულება მართლმადიდებლური აღმსარებლობის დაწესებულების საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ („Положение о церковно-приходских школах ведомства православного исповедования“). მისი პირველი პარაგრაფის მიხედვით, საეკლესიო სკოლების მიზანი იყო ხალხში განათლების გავრცელება მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ეკლესიის სულისკვეთების შესაბამისად. სკოლების ტიპი იგივე დარჩა. საქართველოს საეგზარქოსოში, მათ შორის აფხაზეთში, წერა-კითხვის სკოლებისათვის კვლავ ორწლიანი ვადა დაკანონდა; ამ ტიპის სკოლებში ასწავლიდნენ სკულისკანონს, საეკლესიო-სლავურ და რუსულ ენებს, წერას, მათემატიკას (ოთხ მოქმედებას), გალობას. ერთკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ამიერიდან დაწესდა ოთხწლიანი ვადა და შემდეგი საგნები: სკულისკანონი, გალობა, საეკლესიო სლავური ენა, რუსული ენა, წერა, დაწყებითი არითმეტიკა, ხელგარჯილობა (გოგონებისათვის); ორკლასიან სასწავლებლებში სწავლის ხანგრძლივობა ხუთ წლამდე გაიზარდა. ერთკლასიანი სასწავლებლებისათვის დადგენილი საგნების გარდა, მათთვის დამატებით დაწესდა მოკლე საეკლესიო და საერო (церкви о отечества) ისტორია, გეოგრაფია ბუნების მოვლენების შესახებ მოკლე მონაცემებით, ხაზვა, შესაძლებლობის შემთხვევაში — ხატვა. საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში მშობლიური ენის სწავლებასთან დაკავშირებით 1902 წლის დებულება ვერაგულ, უკიდურესად მტრულ გეგმებს შეიცავდა. იმ რაიონებში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას არ ესმოდა ქართული ენა, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში, მსგავსად სამინისტრო სასწავლებლებისა, სწავლება უნდა ეწარმოებინათ რუსულ ენაზე „при помощи родного язы-

კა, т.е. того, на котором в действительности говорит население. Такое справедливое и разумное распоряжение вполне соответствует и желанию самого населения _ абхазцев, осетин, мингрельцев и сванов“.⁴⁸ ხელისუფლებას ბრწყინვალედ ესმოდა, რომ „დამხმარე“ აფხაზურ და ოსურ ენებზე სწავლების შემოღება ამ იდეის დეკლარირებაზე იქით ბევრად შორს ვერ წავიდოდა, ამიტომ XIX ს. 80-იანი წლებიდან მთელი ძალისხმევა მეგრელებისა და სვანების ქართული ორგანიზმისაგან ჩამოშორებისაკენ იყო მიმართული.

აფხაზეთში სასკოლო განათლების ერთ-ერთ ამოცანას მაჰმადიანობასთან დაპირისპირება წარმოადგენდა. თურქეთიდან დაბრუნებული მაჰაჯირების წყალობით ისლამმა ღრმა ფესვები გაიდგა ააღვი, აქანდარაში, ოთხარაში. აბლარხუკში, დურუფში, ჭგერდაში, ქლოუში, მოქეში და სხვა სოფლებში. თურქეთში ყოფნა, — წერდა თავის ანგარიშში 1892 წელს გუდაუთის ბლალოჩინი, — не могло не иметь своих вредных последствий для православия. И действительно, абхазы, вернувшись из Турции, все почти стали называть себя магометанами и уже окрещенные в православие стали отрекаться от Христианства” თურქეთიდან ბევრი მოლა დაბრუნდა. ისინი ხსნიდნენ მეჩეთებს და მაჰმადიანურ სკოლებს. აი, რას წერდა მღვდელი, რომელმაც სოფელ აბლარხუკში ერთ-ერთი ასეთი სკოლა მოინახულა: „Учащихя в ней 40 исключительно абхазских мальчиков. Занимается в школе ходжа с двумя помощниками. Курс учения в этой школе 6-ти летний и все это время посвящается исключительно чтению Корана, без всякого понимания читаемого, и турецкому языку; никаких других общеобразовательных предметов не проходят. Предложенную мною одному из окончивших курс мальчиков задачу _ сколько получит каждый, если 270 яблок разделить 9-ти мальчикам поровну _ не мог решить ни устно, ни письменно, даже с помощью самого главного ходжи, который, повидимому, и сам не пони-

მალ, как решить эту задачу, ибо давал скорее отводящие вопросы, чем окончательно сбивал мальчика".⁴⁹ საეკლესიო-სამრევლო სკოლები მსგავს მაჰმადიანურ „სასწავლებლებზე“ უკეთეს განათლებას იძლეოდნენ, მაგრამ მუსულმანური სოფლები მაინც თავისას არ იშლიდნენ. აი, რას წერდა გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“: „Жители сел. Ацы, Ешера, Ачандар, Куланурхва, Абгархук и Арейта Сухумского округа, в числе 800 дымов, недавно обратились с коллективной просьбой к министру земледелия о разрешении им, как магометанам, иметь свои магометанские школы для воспитания детей. В настоящее время они вовсе не имеют школ. Кроме того, просители ходатайствуют позволить им реставрировать магометанские молитвенные дома, которые были разрушены в последнюю русско-турецкую войну. Просьбу свою они мотивируют тем, что дети их, оставшись без всякого образования, портятся и развращаются".⁵⁰ ამ სოფელთაგან ერთ-ერთში — ააცში 1898 წელს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა გაუხსნიათ, მაგრამ მოსახლეობა, რომელსაც კარგად ესმოდა განათლების მნიშვნელობა, არ სარგებლობდა სკოლით, — წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“; ამის ერთ-ერთი მიზეზი შოვინისტ ლევიცკის მუნჯური მეთოდია, აკონკრეტებდა იგივე გაზეთი. სოფ. ააცის მოსახლეობის უმეტესობა მოითხოვდა „მაჰმადის სჯულის სწავლებას ადგილი მიეცეს ჩვენს სკოლაში“. როცა ბლალოჩინი შეეკითხა სოფლელებს, ბავშვებს სკოლაში რატომ არ უშვებთო, უპასუხეს: „გავვიმწესეთ სჯულის მასწავლებელი სკოლაში და ნახავთ, რომ მაშინ ბავშვების ტევაც კი არ იქნება იქ, უამისოდ კი უსწავლელობას ვარჩევთ“.⁵¹ ასეთი იყო იმპერიული საეკლესიო და საგანმანათლებლო პოლიტიკის პირველი შედეგი აფხაზეთში.

სოხუმში სასულიერო სასწავლებლის გახსნის მცდელობა

სასულიერო და პედაგოგიურ კადრებს აფხაზეთისათვის ძირითადად მეუფე გაბრიელის მიერ ქუ-

თაისში 1894 წ. დაფუძნებული სასულიერო სემინარია ამზადებდა. მისი არსებობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს სასემინარიო ოლქში შემავალი დასავლეთ საქართველოს ეპარქიების ყოველწლიური შენატანები შეადგენდა. სოხუმის ეპარქიას ყველაზე მცირე თანხა — 1000 მანეთი შეჰქონდა. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, სადაც ასევე სწავლობდნენ აფხაზეთის მკვიდრნი, ეპარქია ყოველწლიურად 689 მანეთს რიცხავდა.⁵²

XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან სოხუმის ოლქის საერო და სასულიერო ხელისუფლება ზემდგომი ორგანოების წინაშე მუდმივად სვამდა საკითხს აფხაზეთში პედაგოგიური და სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ. მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭო წლების მანძილზე იხილავდა აფხაზეთში სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების საკითხს. ამის შესახებ საუბარი იყო საზოგადოების 1887 წლის ანგარიშში. მაშინ გადაწყვეტილება არ მიუღიათ. შემდგომ წლებში გაჩნდა ახალი იდეა — აფხაზეთისათვის, სამურზაყანოელებისათვის და აგრეთვე სოხუმის ოლქში ჩამოსახლებული რუსებისათვის სასულიერო სასწავლებელი გაეხსნათ არა აფხაზეთში, არამედ ნოვოროსიისკში. ამ პროექტის ავტორთა მთავარ მიზანს, ცხადია, მოსწავლეთა გარუსება წარმოადგენდა. XIX ს. 90-იანი წლების ბოლოს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოება აფხაზეთისა და სვანეთისათვის საერთო სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების გეგმას იხილავდა. 1899 წ. 23 ნოემბერს საზოგადოების სკოლების მისიონერინსპექტორი ევტიხი მამინაიშვილი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა აფხაზეთს, საზოგადოების საბჭოსადმი მირთმეულ მოხსენებაში ასაბუთებდა (ძირითადად კლიმატურ-გეოგრაფიული ფაქტორების თუ მიზეზების მოშველიებით) ამგვარი ერთიანი სასწავლებლის დაფუძნების მიზანშეუწონლობას. იგი აღნიშნული რეგიონებისათვის ცალ-ცალკე სასწავლებლის გახსნას უჭერდა მხარს (სვანთა მცირერიცხოვნობის გამო ევტიხი მამინაიშვილი ითხოვდა ერთი სასულიერო სასწავლებლის გახსნას საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის ცაგერში ან ლენტეხში; უკიდურეს შემთხვევაში — სვანებისათვის სტიპენდიების გამოყოფას ქუთაისის სასულიერო

სემინარიაში).⁵³ კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭომ მეორე დღესვე განიხილა არქიმანდრიტ ევტიხი მაშინაიშვილის მოხსენებაში დასმული საკითხები და მიზანშეწონილად ჩათვალა სასულიერო სასწავლებლის აფხაზეთში გახსნა, „где более всего ощущается необходимость в воспитании нового поколения, в духе православной религии“ საქართველოს ეგზარქოსი ფლაბიანე აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ 1900 წლის 23 თებერვალს სოხუმის ეპისკოპოს არსენის აცნობებდა და მისგან მოითხოვდა ინფორმაციას თუ კონკრეტულად სად და რამდენ მოსწავლეზე გახსნილიყო სასწავლებელი, რა თანხა იქნებოდა ამისათვის საჭირო და რა წვლილს შეიტანდა აფხაზეთის სამღვდელოება ამ პროექტის რეალიზაციაში. სოხუმის საზოგადოება მაშინათვე გამოეხმაურა გადაწყვეტილებას ქალაქში სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების შესახებ. 1900 წ. 28 თებერვალს ქალაქის სათათბირომ 2200 კვ.საყენი მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გამოყო სასწავლებლის შენობისათვის.⁵⁴ ეპისკოპოს არსენის პასუხებიდან გაირკვა, რომ სასწავლებელი ქ.სოხუმში უნდა გახსნილიყო; მისთვის შენობის, საერთო საცხოვრებლის, საავადმყოფოსა და ასევე მასწავლებელთა ბინების აგებას 70 ათას მანეთზე მეტი დასჭირდებოდა, ხოლო სასწავლებლის შენახვა ყოველწლიურად 13740 მანეთი დაჯდებოდა. ვინაიდან ამდენი თანხის გაღება ვერ ხერხდებოდა, ეგზარქოსმა ფლაბიანემ 1901 წლის 9 იანვარს მთავარმართებელს აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების მიზნით სოხუმის მთიელთა სკოლის შენობის, მთელი უძრავი ქონების და ყოველწლიურად მის შესანახად განკუთვნილი სახაზინო სუბსიდიის (7422 მანეთი) მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებისათვის გადაცემა სთხოვა. როცა ეს საკითხი პირველად 1994 წელს დადგა, მაშინდელმა მთავარმართებელმა ს.ა. შერემეტეევმა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს თავისი თანხმობა წერილობით დაუდასტურა. გ.გოლიცინმა, ალბათ, ეს გარემოებაც გაითვალისწინა და სოხუმის მთიელთა სკოლის (რომელსაც „ე.წ. მთიელთა სკოლას“ უწოდებდა) მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებისათვის გადაცემის თაობაზე ეგზარ-

ქოსის თხოვნას დათანხმდა, რის შესახებაც აცნობა ფლადიანეს და უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს. ამ უკანასკნელისადმი 1901 წ. 27 თებერვალს გაგზავნილ წერილში მთავარმართებელი სოხუმის სასულიერო სასწავლებლის გახსნის გადაწყვეტილებას ორი მთავარი არგუმენტით — აფხაზურ მოსახლეობაში ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელებული მუსულმანობის დაძლევისა და აფხაზთა გარუსების საქმეში ხელის შემშლელი ქართული გავლენის შეზღუდვის აუცილებლობით — ასაბუთებდა. მსგავსი სასწავლებელი „тем более необходимо, — წერდა გ.გოლიცინი, — что в последнее время значительным тормозом к просвещению абхазцев, соответствующему интересам церкви и государства, является стремление грузин, преобладающих среди местного духовенства и отчасти местной интеллигенции, _ навязать абхазцам свою грузинскую культуру в ущерб обрусению, с каковой целью ведется грузинами так же усиленная тайная пропаганда“.⁵⁵ მთავარმართებლის სიტყვებიდან უკვე ჩანს, რომ სოხუმში სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების მთავარი მიზანი აფხაზთა გარუსება ყოფილა. სასწავლებლის პროექტიც აფხაზურ და ქართულ ენებზე სწავლებას არ ითვალისწინებდა მაშინ, როცა პროგრამებში ბერძნული ენის სწავლება (სავსებით სამართლიანად) იყო შეტანილი. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა სტეფანემ ძირითადად მოიწონა პროექტი და მის ავტორებს ურჩევდა მსურველებისათვის შემოეღოთ „по одному уроку абхазского языка“.⁵⁶ ქართული ენა მასაც არ „გახსენებია“. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა ტიპის სასწავლებლის დაფუძნება სურდათ სოხუმში, თუმცა მის გახსნას, სხვადასხვა მოსაზრებებით, ხელის უფლება მაინც არ ჩქარობდა.

1904 წლის დასაწყისში მთავრობამ ქუთაისის სასულიერო სემინარია დახურა, რისი მიზეზიც საპროტესტო გამოსვლებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობა გამხდარა; ყველა ქართველი პედაგოგი დაითხოვეს, მრავალი მოსწავლე გარიცხეს. ამ ფაქტის შესახებ იმავე წლის 27 მარტს თედო ჟორდანიამ ეპისკოპოს კი-

რიონს აცნობა: „ჩვენ ქართველნი კაცად არ მივაჩნევართ, გაგონი-
ლა ამისთანა უგუნურობა! დიდი აღელვებაა და მითქმა-მოთქმა ამის
შესახებ. ძნელი გასაგონია! სწორედ ქკუაზე შეიშალნენ რუსის ჩი-
ნოვნეიკები, რომ მეგობრებს იორგულებენ. ეს ხელმწიფის მოღალა-
ტეობაა“.⁵⁷ დიდი მეცნიერი მხოლოდ იმაში ცდებოდა, რომ რუსის
ჩინოვნეიკებს „ხელმწიფის მოღალატეობაში“ ადანაშაულებდა. ისი-
ნი, პირიქით, ზედმიწევნით ასრულებდნენ „ხელმწიფის“ პოლიტი-
კას. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დახურვამ კვლავ დღის
წესრიგში დააყენა სოხუმში ამჟერად საღვთისმეტყველო სკოლის
გახსნის საკითხი. უწმინდეს სინოდს და საქართველო-იმერეთის სი-
ნოდალურ კანტორას გადაწყვეტილი ჰქონდათ დასავლეთ საქარ-
თველოს რომელიმე ქალაქში ქუთაისის დახურული სასწავლებლის
ნაცვლად „განსაკუთრებული საღვთისმეტყველო სკოლის“ გახსნა.
მისი განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ სასწავლო
პროგრამის პროექტის მიხედვით, სკოლა სასულიერო სემინარიას
უტოლდებოდა, სადაც შეისწავლიდნენ წმ.წიგნებს, რუსეთისა და
მსოფლიო საეკლესიო ისტორიას, პატრისტიკას, ღვთისმეტყველე-
ბას, ლიტურგიკას, კანონიკას, პრაქტიკულ ჰომილეოტიკას, დიდაქ-
ტიკას, ლოგიკის საფუძვლებს, ფსიქოლოგიას, ჰიგიენას, მსოფლიო-
ოსა და რუსეთის სამოქალაქო ისტორიას, რუსულ სიტყვიერებას
რუსულ ლიტერატურასთან ერთად, გეომეტრიის, ფიზიკისა და
კოსმოგრაფიის მოკლე კურსს, ადგილობრივენას და ქადაგებას ად-
გილობრივენაზე, გალობას სლავურ ენაზე.

ეპისკოპოსი არსენი 1904 წ. 7 ივლისს საქართველოს ეგზარქოს
ალექსის (ამ უკანასკნელის მიერ სოხუმში 1904 წ. ივნისში გამოგ-
ზავნილი წერილის — „О предполагаемом открытии в За-
падной Грузии особой Богословской школы“ — პასუხად)
საღვთისმეტყველო სკოლის სოხუმში გახსნის აუცილებლობას შემ-
დეგი „უცილობელი“ არგუმენტების მოშველიებით უმტკიცებდა:
„Сухум имеет облик русского города и туземный дух в
нем почти не чувствуется, а потому юношество может
воспитываться вне всякого зловредного туземного
влияния, замечаемого во многих местностях Закавказья;

в зимнее время Сухум, хотя и наводняется пришлым населением, но таковое по преимуществу русское и по большей части из интеллигентных лиц, которые прибивают в этот город исключительно по климатическим условиям, а потому эти лица, как занятые собою, конечно не могут оказывать того или другого влияния на школу” დასასრულს ეპისკოპოსი არსენი დასკვნის სახით წერდა: „Сухум, по моему крайнему разумению, представляет самый благоприятный пункт в Западной Грузии для открытия Богословской школы”.⁵⁸

ვინაიდან სოხუმში „სულ უფრო და უფრო მეტია მოსახლეობის მოთხოვნილება საეკლესიო განათლებაზე“, საქალაქო მმართველობამ (городская управа) და სათათბირომ (городская дума) 1904 წლის 21-25 ივნისს ცალ-ცალკე მიიღეს დადგენილებები მომავალი საღვთისმეტყველო სკოლის ასაშენებლად ერთდროულად 5000 მანეთის, ხოლო შენობის შესანახად ყოველწლიურად 500 მანეთის გამოყოფის შესახებ.⁵⁹

გ.როგავას მონაცემებით, 1898 წლიდან მთელი 15 წლის განმავლობაში აფხაზეთში სასულიერო სასწავლებლის გახსნის საკითხი 10-ჯერ იქნა დაყენებული უწმინდესი სინოდის სასწავლო საბჭოს წინაშე (მხოლოდ 1915 წელს გაიხსნა სოხუმის სამასწავლებლო სემინარია), მაგრამ უშედეგოდ. 1916 წ. იანვარში სინოდმა ნება დართო იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიებს ქუთაისში გახსნან (1916/17 სასწავლო წლიდან) სასულიერო სემინარია.⁶⁰

ხელისუფლება, ერთის მხრივ, კარგად ხედავდა სოხუმში სასულიერო სასწავლებლის გახსნის აუცილებლობას; მეორეს მხრივ, ყველანაირად აქიანურებდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან თვალწინ ედგა ორი სავსებით რეალური საფრთხე: მომავალი სასწავლებლის ქართული კულტურისა და ქართული მოძრაობის ახალ მძლავრ რეგიონალურ კერად გადაქცევის, აგრეთვე აფხაზთა გარუსების ნაცვლად ეროვნული კადრების, პატრიოტული ინტელიგენციის ჩამოყალიბების (რუსებს იმპერიის ერთგული, დენაციონალიზებული აფხაზი კადრები ესაჭიროებოდათ), შესა-

ბამისად, დამატებით აფხაზური „პრობლემის“ წარმოშობის სა-
შიშროება. ერთიც და მეორეც თანაბრად მიუღებელი იყო რუსე-
თისათვის; ამიტომ სოხუმში არა და არ ხსნიდნენ სასულიერო სემი-
ნარიას ან მისი დონის სხვა სასწავლებელს.

ქართული სამღვდელოება — რუსიფიკატორული პოლიტიკის მთავარი მოწინააღმდეგე

აფხაზეთში სასულიერო პი-
რებისა და პედაგოგების დიდ
უმრავლესობას, მიუხედავად
რუსული ხელისუფლების მხრი-
დან ყოველივე ქართულის დევ-
ნისა და შევიწროებისა, მაინც
ქართველები შეადგენდნენ. ეს
ამუხრუჭებდა, აფერხებდა მო-

სახლეობის, მათ შორის აფხაზების ასიმილაციის, გარუსების იმპე-
რიული გეგმის განხორციელებას. ამის გამო ქართულ-რუსულმა
დაპირისპირებამ აფხაზეთში XIX-XX სს. მიჯნაზე თავის აპოგეას მი-
აღწია.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ეს დაპირისპირება მთელს
საქართველოში მიმდინარეობდა. 1894 წელს ქართულმა სამღვდე-
ლოებამ უწმინდეს სინოდში წერილი წარადგინა, სადაც ნათქვა-
მია: „რუსმა ეგ ზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა
ქართული ეკლესია დასაეკლესიო ქონებასა შემოსავლო საქმედ აქ-
ციეს“.⁶¹ ქართულმა საზოგადოებამ, მათ შორის აფხაზეთის ქართ-
ველობამ ხმა აღიმალა ძარცვისა და გარუსების დანაშაულებრი-
ვი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც მართლმადიდებლური
ქრისტიანობის ინტერესები ეწირებოდა.

1895 წელს ჟურნალ „მოამბეში“ (№ XI) მწვავე წერილი გამოაქ-
ვეყნა სოხუმელმა საზოგადო მოღვაწემ თედო სახოკიამ. ავტორი
აფხაზეთში სარწმუნოებრივი თვალსაზრისით არსებულ მძიმე ვი-
თარებას მიმოიხილაედა. 1887 წლიდან, — წერდა იგი, — ახლად აღ-
დგენილმა სოხუმის ეპარქიამ ოთხი მღვდელმთავარი გამოიცვალა;
ვერც ერთმა რიგიანად ვერ მოასწრო აფხაზთა გაცნობა, მასთან
დაახლოება, აფხაზეთში ოდესლაც აყვავებული ქრისტიანობის და-
ცემის მიზეზების შესწავლა, სამაგიეროდ მათ „დაუდგენიათ“: ჟთა-

ვი-და-თავი მიზეზი აფხაზეთში ქრისტიანობის დაქვეითებისა — ქართული ენა არისო, რადგან ეგ ქართული ენა მკვიდრთ არ ესმითო, სწორედ ის ქართული ენა, რომლითაც ჩვენი წმ.მამანი აფხაზეთ ქრისტეს მოძღვრებას უქადაგებდნენ ბიჭვინტისა, ლიხინისა, მოქვისა, დრანდისა, ფსირცხისა (აწინდელი ახალი ათონი), ბედისა, ილორისა და აფხაზეთის სხვა ტაძრებში. ამ სახით, ათვალისწინებული იქმნა ქართული ენა აქაურს ეკლესიებში. სარჩლი კი ვედარავინ გაუწია ამ აფხაზეთათვის მოამაგესა და ღვაწლ-მოსილსა ენასა“. ქართული ენის ათვალისწინების სიმწარე, — აგრძელებდა თედო სახოკია, — პირველად ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ თითქმის სამი ათეული წლის წინ ქართველებისათვის აშენებულ (აღდგენილ) სოხუმის სასაფლაოს ეკლესიას გამოუცდია; ალექსანდრეს მიერ დანიშნული ამ ეკლესიის მღვდლის ტიმ სახოკიას (თედო სახოკიას მამა) გარდაცვალების შემდეგ (1887 წ.) ქართულ მრევლს იშვიათად ჰქონია მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების მოსმენის შესაძლებლობა 1889 წლიდან⁹² კი, როცა აქაური მღვდელი სხვაგან გადაუყვანიათ, ეკლესიის კარებს ათასში ერთხელ აღებდნენ მხოლოდ იმისათვის, „რომ მრევლისათვის გაუგებარ ენაზე სწირონ-ილოცონ“; უკმაყოფილო მოსახლეობას ქართული ენის მცოდნე მღვდლის დანიშვნა (მრევლის ხარჯზე) მოუთხოვია, მაგრამ „თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული, არ მიეცა გზა ამ აჯასა; და, ამ სახით, ქრისტეს ბრძანება და მისთა მოციქულთა მოქმედებით გაკვლეული გზა სარწმუნოების გავრცელებისა (მშობლიურ ენაზე — ჯ.გ.) და ღვთისმოსაობისა უყურადღებოდ დარჩა“.

«სოხუმის საკათედრო ტაძარში ბრწყინვალე აღდგომის დღეს სახარება სლავურ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე წაუკითხავთ, — ამბობდა თ.სახოკია, — „ხოლო ქართული არავის მოჰგონებია“ ჯგანაწყნებულ ქართველებს უკვე ფულის შეგროვება დაუწყიათ საკუთარი ეკლესიის ასაშენებლად; ავტორი გულისტკივილით წერდა, ბიჭვინთის, ფსირცხისა და დრანდის უძველეს მონასტრებში ოსმალეთის ქვეშევრდომი რუსი ბერ-მონაზვნების დამკვიდრების შესახებ. „ამ ტაძრებში ამჟამად ქართულად წირვა-ლოცვის ხსენება აღარც კია, თითქოს აღარც ქართველი მლოცველები დადიოდნენ

აქა და არც ყოფილიყოს ოდესმე აქწირვა-ლოცვა ქართულადა. სიცილად არა ყოფნით ამ ბერ-მონაზნებსა, ქართულად წირვა-ლოცვა რომ გაუხსენოთ. „განა ბუსურმანულს (ე.ი. ქართულს) ენაზე ღვთის დადება შეიძლება“?!

თ.სახოკიას წერილის მიხედვით, იგივე მდგომარეობა ყოფილა მთელ რიგ სოფლებში. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ქართველი მღვდელი მრევლისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე ატარებდა ღვთისმსახურებას; საქმისწარმოება სოხუმის ეპარქიაში მხოლოდ რუსულად მიმდინარეობდა; ქართული ენა იდევენებოდა სკოლებშიც. სამინისტრო სასწავლებლებში ის არ ისწავლებოდა; აფხაზეთის სამრევლო და მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სკოლებში „კიდევ ედგა სული ქართულ ენასა“, მაგრამ არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიის ნაცვლად ზედამხედველად მღვდელი ი.კავქარაძის „დანი შვნის შემდეგ დაადგა შავი ორ შაბათი ამ სკოლებში“; ასრულებდა რა ხელისუფლების დავალებას, მას სასტიკად აუკრძალავს სამურზაყანოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა; ოჩამჩირის საბლალოჩინოში იგივე გაუყეთებია იქაური სკოლების ზედამხედველს, ვინმე ბორის ხორაუას (ეს ანტიქართველი მოგვიანებით სამურზაყანოში სკოლების ზედამხედველად გადაიყვანეს; როგორც გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1905 წ. 13 მარტს იუწყებოდა, იმავე წლის 25 თებერვალს ბორის ხორაუა მოუკლავთ). ამ დასხვა ქართველ რენეგატებს ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა. წერილის დასკვნით ნაწილში თ.სახოკია აცხადებდა:

„გაბრიელ ეპისკოპოსის ღვთიური ქადაგების შემდეგ ხალხს, სწორედ იმ ხალხს, რომელსაც ყველაზე მეტად ეჭირვებოდა მზრუნველობა, — ეკლესიებში არავინ არიგებს მამა-შვილურად, არავინ უხსნის ქრისტეს მოძღვრებასა. სოხუმში რამდენი მაგალითები ვიცი, მთელის ხუთისწლობით არაპზიარებულან.

აი, სადა გვჭირდება ნამდვილი სულიერი მამანი, აი, სად ექმნებათ ყველა პატიოსანსა და გულმოდგინე მუშაკსა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა... აი, ამ მხარეს უნდა მიატანონ ჩვენმა ახალგაზრდა მღვდლებმა, სემინარიაში ნასწავლებმა, ვისაც კი ჰსურს მათი შრომა ნაყოფიერი იქმნეს და თვისთა დაჩაგრულთა მოძმეთა გაჭირ-

ვების ტალკვესობა გაუწიონ, ჭირსა და ლხინში მათი სულიერი მამანი იყვნენ“.

კიდე უფრო გაბედული და მძაფრი წერილი გამოაქვეყნა თედო სახოკიამ 1900 წლის 1(14) ივლისს გაზეთ „ს.პეტერბურგსკიე ვედომოსტ“-ში სათაურით „Из Сухума“. პუბლიკაციას როგორც საზოგადოებაში, ისე სამთავრობო წრეებში (ცენტრში და განსაკუთრებით კავკასიაში) დიდი რეზონანსი მოჰყვა. წერილი სენსაციური და მამხილებელი პოლიტიკური განცხადებით იწყებოდა: „Настоящее письмо имеет целью познакомить читателя с теми фактами нетерпимости, которые со строгою систематичностью повторяются в нашем округе и с теми репрессиями, жертвою которых является местное население, благодаря своеобразному и превратному толкованию епархиальною властью идеи руссификации, носительницей которой она якобы призвана в наш край“ ასე საქვეყნოდ გაცხადდა და სააშკარაოზე იქნა გამოტანილი აფხაზეთში რუსული სამღვდელოების რუსიფიკატორული მიზნები. წერილის ავტორი სოხუმის ეპარქიის ხელმძღვანელობას უწმინდესი სინოდის განკარგულების შეუსრულებლობაშიც ადანაშაულებდა. იმპერატორის ბრძანებულებითა და სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით სოხუმის საეპისკოპოსოს მიეთითა „совершать богослужение в приходах с менгрельским населением на понятном церковно _ грузинском языке“; აღნიშნული მითითება⁶³ კი მხოლოდ სამ სამრევლოში სრულდებოდა, დანარჩენ 39 სამრევლოში 55 ათასიანი მეგრული მოსახლეობით სოხუმის ეპისკოპოს არსენის ადრინდელი გადაწყვეტილება (ღვთისმსახურების რუსულ ენაზე ჩატარების შესახებ) მოქმედებდა.

სოხუმის 8 ათასიანი მოსახლეობის 3/5 ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები) არიან, წერდა თ.სახოკია, მაგრამ ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე მოსმენის შესაძლებლობა არა აქვთ; ბრწყინვალე აღდგომის დღეს წასაკითხად გამზადებული ქართული ბიბლია პირდაპირ საკუთხველიდან გამქრალა, რასაც ტაძარ-

ში შეკრებილი ქართველობის გულისწყრომა გამოუწვევია.

თ.სახოკიას სხვა ფაქტებიც მოჰყავდა. გარდაცვლილ ქართველ მწერალს გიორგი წერეთელს 1900 წლის 19 იანვარს სოხუმის ქართულმა საზოგადოებამ საკათედრო ტაძარში პანაშვიდი ქართულ ენაზე გადაუხადა. საეკლესიო და საერო ხელისუფალთა მხრიდან ამ „დემონსტრაციას“ (ასეთი შეფასება მიუყვია პოლიციას პანაშვიდისათვის) მძაფრი რეაქცია მოჰყოლია, ტაძრის ხანდაზმული წინამძღვრისათვის (დ.მაჭავარიანი), რომელმაც აფხაზეთში მისიონერულ-საგანმანათლებლო საქმიანობითა და რუსეთის ერთგულებით გაითქვა სახელი, პასუხი მოუთხოვიათ. „Население, узнавшее об этом, не в меру было взволновано и огорчено“, — წერდა თ.სახოკია. ცნობილ კნეინას — აღათი (სოფიო) დადიანს-შერვაშიძისას (გენერალ გ.ა. შერვაშიძის ქვრივი) თურმე ეპისკოპოსის სპეციალური ნებართვა დასჭირდა, რათა გარდაცვლილი ნათესავისათვის (მ.მ. შერვაშიძისათვის) პანაშვიდი გადაეხადა.

წერილში გაკრიტიკებულია ეპარქიის ხელმძღვანელი; მას სოფ.ლინდავაში მცხოვრები ლუთერანელი ესტონელებისათვის, რომლებსაც მართლმადიდებლობის მიღების სურვილი გამოუთქვამთ და ეპისკოპოსისათვის მოსახლეობის მიერ შერჩეული ესტონურ-რუსული ენების მცოდნე მღვდლის დანიშვნის თხოვნით მიუმართავთ (1896 წ.), უარყოფითი პასუხი გაუცია. მომხდარის შესახებ თ.სახოკია წერდა: „Ходатайство это преосвященным Арсением было отклонено. В других местах тратиться столько средств, столько энергии для обращения иноверцев в православие — здесь же без всякого труда представлялась возможность местной духовной власти обратиться в православие более 200 лютеран, и таким случаем не только не воспользовалось епархиальное начальство, но своим ответом на ходатайство навсегда отбыло охоту у других принимать православие“.

თავის წერილში ავტორი უბრუნდება სოფ.ლუმურიშის (ოქუმის თემი) მღვდლისა და ბლალოჩინის, ქართული ენის დევნით ცნობილი ი.კავჭარაძის საკითხს, რომელსაც საკუთარი მრევლი

დაპირისპირება.⁶⁴ 1899 წლის 26 აგვისტოს სოფელს ასეთი გადაწყვეტილება მიუღია: „С ноября месяца 1898 г. мы ведем тяжбу с нашим священником и.д. (исполняющий должность _ ж.г.) благочинного с Иоанном Кавжарадзе. Наша тяжба вытекает из массы различных преступлений и поступков, совершенных в разное время священником Кавжарадзе, и из его бесчеловечных отношений с прихожанами. Одним словом, священник И.Кавжарадзе довел нас до такой деморализации. что оставаться его духовными сынами для нас более чем невозможно. Наоборот, мы все заключаем между собой нерушимое условие в том, чтобы никто из нижеподписавшихся, включая сюда и их домочадцев, не обращался к священнику Кавжарадзе никогда за исполнением каких бы то ни было христианских обрядов. Крещение, исповедь, причащение, бракосочетание, панихида и всякое богослужение для нас будут упразднены до того времени, пока в нашем приходе состоит священником Иоанн Кавжарадзе”. სოფლის ამ გადაწყვეტილებას ხელს აწერდა 169 ადამიანი. მიუხედავად ამისა, მღვდელი თანამდებობიდან არ გაანთავისუფლეს; ქუთაისის გუბერნატორი და სოხუმის ეპისკოპოსი მას კბილებით იცავდნენ როგორც „ინტრიგებისა და პარტიულობის მსხვერპლს“.⁶⁵ თ.სახოკია თავის წერილს ასე ასრულებდა: „Население отвыкло в священнике видеть духовного отца, наставника и защитника его духовных интересов. Основы христианства пошатнулись в той стране, которая с IV века высоко несла знамя православия”.⁶⁶

თ.სახოკიას წერილები, ასევე აფხაზეთის თემაზე ძირითადად ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული სხვა კრიტიკული მასალები კავკასიის რუსული ხელისუფლების სერიოზული შეშფოთებისა და განსჯის საგანი გახდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, ცნობილი რეაქციონერი თ.გერშელმანი. მისმა თანაშემწემ, გენერალმა სამოილოვმა ჯერ კიდევ 1896 წ. 15

სექტემბერს წარადგინა მოხსენება, სადაც უკვე იყო საუბარი აფხაზეთში მოქმედ ჯგუფზე, რომელიც ქართულ ინტერესებს იცავდა. მისი რეკომენდაციით, „для полного слияния абхазцев с населением империи“ საჭირო იყო ქართველების ნაცვლად რუსების დანიშვნა აფხაზეთის ეკლესიების მღვდლებად, ბლალოჩინებად, მასწავლებლებად და ყველა დაწესებულების ჩინოვნიკებად.

ს. პეტერბურგსკიე ვედომოსტ“-ში თ.სახოკიას გახმაურებული წერილის გამოქვეყნებამ უკიდურესად აღაშფოთა გენერალი თ.გერშელმანი და აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე რამდენიმე მოხსენება წარუდგინა მთავარმართებელს. 1900 წლის 3 აგვისტოს კონფიდენციალურ მოხსენებაში იგი აღნიშნავდა, რომ თედო სახოკიამ აფხაზეთ-სამურზაყანოში რუსული მოქალაქეობრიობის საწყისების დამყარებისათვის ხელის შეშლის მიზნით სოხუმის ოლქის ფარგლებში ჩამოაყალიბა ქართველთა პარტია, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა: ა) ეკლესიებში აფხაზური მრევლით ღვთისმსახურების მხოლოდ ქართულ და არა სლავურ ენაზე ჩატარებას; ბ) აფხაზეთ-სამურზაყანოს საეკლესიო-სამრევლო დაკავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სკოლებში ყველა დისციპლინის ქართულ და არა რუსულ ენაზე სწავლებას, რათა ამ გზით მოსახლეობა გაქართველდეს. აღნიშნული პარტია (მას არ ჰქონდა სახელწოდება, ჩამოაყალიბებული პოლიტიკური პლატფორმა და წესდება; სინამდვილეში ეს იყო აფხაზეთში ქართული ინტერესების დამცველ ინტელიგენტთა, როგორც ჩანს, საკმაოდ ორგანიზებული ჯგუფი), — წერდა თ.გერშელმანი, — „გაუნათლებელ“ (რუსულის არმცოდნე) ქართულ სამღვდლოებას და პედაგოგებს ეყრდნობოდა; მისი წევრები „ღვენიდნენ“ ყველას, ვინც მათი გეგმების განხორციელებას ეწინააღმდეგებოდა; დაუმსახურებლად აკრიტიკებდნენ და ლანძღავდნენ სასულიერო თუ სამოქალაქო თანამდებობის პირებს(!). გენერალ-გუბერნატორი ცდილობდა თ.სახოკიას წერილში მოტანილი ფაქტების უარყოფას და ამ დროს თავად ეწეოდა ფაქტების ფალსიფიკაციას. ასე მაგალითად, იგი არ ეთანხმებოდა ოპონენტს, რომ უწმინდესი სინოდის 1898 წ. 3 სექტემბრის გადაწყვეტილება არ სრულდებოდა 39

სამრევლოში 55 ათასიანი მეგრული მოსახლეობით, თვლიდა რა 36352 სამურზაყანოელს ხან აფხაზებად, ხან ცალკე ხალხად. თ.გერშელმანი შეგნებულად ცრუობდა. ამას კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1898-1901 წ.წ. ანგარიშიც ადასტურებდა, სადაც შავით თეთრზე ეწერა: „როცა XVIII საუკუნეში, თურქეთის ბატონობის ქაშს აფხაზეთ აღნიშნული საეკლესიო კათედრა დახურეს, სამურზაყანო ეკლესიურად ცაიშის ეპარქიას (სამეგრელო შია) შეუერთდა. სწორედ ამ დროს მოხდა აქ რუსეთის ხელისუფლების შემოსვლა და გაბატონება. სამურზაყანოელები რომ ნამდვილი ქართული ტომის ხალხია, ამაში ექვის შეტანა შეუძლებელია... ისინი ლაპარაკობენ მეგრულად და არა აფხაზეურად, როგორც ამას წერენ და ფიქრობენ ზოგიერთები. აფხაზეურ ენაზე ლაპარაკობენ აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები...“

მათ (სამურზაყანოელებმა — ჯ.გ.) ძლიერი გავლენა მოახდინეს აფხაზებზე... და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ განემტკიცებინათ მათში ქრისტიანობა... ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ კოდორის უბანში სამურზაყანოელთა მეზობლად მოსახლე აფხაზები, სამურზაყანოელებთან ერთად უფრო არიან განმტკიცებული ქრისტიანულ რწმენაში, ვიდრე გუდაუთელები“.⁹⁷ თ.გერშელმანს არ შეიძლებოდა ეს არ ცოდნოდა, მაგრამ ის მაინც ჭიუტად ამტკიცებდა, რომ სოხუმის ოლქში მხოლოდ 19351 ქართველი ცხოვრობდა. რუსული ხელისუფლება ერთი ხელით აფხაზეთის ქართულ სამრევლოებში მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარების ნებართვას იძლეოდა, მეორე ხელით კი რეგიონის ქართული მოსახლეობის ძირითად ნაწილს — სამურზაყანოელებს სხვა ეროვნებად ასაღებდა და მათ კატეგორიულად უკრძალავდა ქართულად წირვა-ლოცვას, ასევე განათლების ქართულ ენაზე მიღებას. აფხაზეთში ქართულ-რუსული დაპირისპირების მთავარი მიზეზი ეს იყო, აქედან მომდინარეობდა შეთითხნილი ბრალდებაც — აფხაზეთ-სამურზაყანოს მოსახლეობის „გაქართველების“ მცდელობის შესახებ.

ამგვარი „არგუმენტების“ მოშველიებით თ.გერშელმანი უარყოფდა თ.სახოკიას წერილში წამოყენებულ სხვა ბრალდებებსაც.

განსაკუთრებული მონღომებით გენერალი იცავდა იმ მოსყიდულ ქართველებს (ი.კავეარაძე, ბ.ხორავა), ვინც დევნიდა ქართულ ენას, უსიტყვოდ ასრულებდა სოხუმის ეპისკოპოს არსენის 1896 წ. 19 იანვრის და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიხედვითაც „преподавание грузинского языка в школах Абхазии и Самурзакани совсем воспрещено“

ახალ მოხსენებაში — „სოხუმის ოლქში ქართული მოძრაობის შესახებ“ (1900 წ. 2 სექტემბერი) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კვლავ ამახინჯებდა სტატისტიკურ მონაცემებს აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. სოხუმის ოლქის მცხოვრებთა (სულ 963777 ადამიანი) 71% -ს, — ცრუობდა გენერალი, — აფხაზები შეადგენენ; იქვე აკონკრეტებდა და წერდა, რომ 37,5% სამურზაყანოელები, ხოლო 33,5% აფხაზები არიანო; თ.გერშელმანის მიხედვით, აფხაზეთში ქართველები შეადგენდნენ 13% -ს, რუსები — 6% -ს, დანარჩენები 10% -ს. ეს ფალსიფიციური მონაცემები გუბერნატორს იმისათვის დასჭირდა, რათა მხარის რუსული კოლონიზაციის სიკეთე და მისი დაჩქარების აუცილებლობა დაესაბუთებინა, „Русская колонизация округа имеет для него большое государственное значение в политическом отношении, — წერდა თ.გერშელმანი. — Абхазцы, составляющие главную массу населения округа, до сих пор представляют из себя народность крайне малокультурную как в умственном, там и в нравственном отношении, шаткую в своих религиозных убеждениях и не раз уже проявившую свою политическую неблагонадежность“. სწორედ აქედან გამომდინარეობდა, გენერლის აზრით, აფხაზეთის რუსული კოლონიზაციის, „რუსული მოქალაქეობრიობის განმტკიცების“ აუცილებლობა; ამ პროცესს კი ხელს უშლიდნენ ქართველები, უპირატესად მეგრელები, „наводнивших округ, но не имеющих никакого нравственного права на преобладание в нем, как люди пришлые, не составляющие коренного населения“. ვინაიდან წინა თავებში საკმარისად არის

განხილული აფხაზეთის ეთნიკური ისტორია, თ.გერშელმანის „აღმოჩენაზე“ ყურადღებას ამაჯერად არ გავამახვილებთ და ქართველებსადმი ზიზლით გაუღენთილი მისი მოხსენების სხვა „დებულებებს“ შევხებით. ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა თ.სახოკიას „ქართულ პარტიას“, კვლავ მიმოიხილავდა მის მიზნებს, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ პარტია ემყარებოდა ქართველ სამღვდლოებასა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლებს, რომელთა უმეტესობა „являются послушными исполнителями всех предначертаний грузинской партии и парализуют всякие распоряжения, направленные к искоренению этого зла со стороны Сухумского епископа, наблюдателей школ и местной административной власти“... თ.გერშელმანი წუხდა იმის გამო, რომ საკუთარი მიზნების მისაღწევად, „ქართული პარტია“ ეფექტურად იყენებდა სკოლას და ეკლესიას — ყველაზე ძლიერ ბერკეტებს მოსახლეობაზე სასურველი მიმართულებით ზემოქმედების მოსახდენად, აგრეთვე იმის გამო, რომ ეს საშუალებები (სკოლა და ეკლესია) ადმინისტრაციამ ხელიდან გაუშვა, გადასცა რა „ქართულ სამღვდლოებას და ქართველ მასწავლებლებს სახალხო განათლების საქმე საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაფუძნების გზით“. გუბერნატორის მტკიცებით, აფხაზეთში 80 სასულიერო პირი მოღვაწეობდა — 4 რუსი (მათ შორის ორი სოხუმში), 2 აფხაზი, 10 ბერძენი და 64 ქართველი; სკოლების საერთო რაოდენობა ყოფილა 102 (მათ შორის საეკლესიო-სამრევლო 71, განათლების სამინისტროს — 31).

თ.გერშელმანის მოხსენებაში ყველაზე საინტერესოა ის ადგილი, სადაც ჩამოთვლილია „სოხუმის ოლქში რუსული გავლენის გაძლიერების“ მიზნით მთავრობის მიერ უკვე გატარებული შემდეგი ღონისძიებები: „1) უწმინდესი სამთავრობო სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით განსაზღვრულია — სამრევლოებში აფხაზური მოსახლეობით ღვთისმსახურება და ყველა ქრისტიანული წესი შესრულდეს სლავურ ენაზე. 2) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წ. 17 მარტის ბრძანებულებით ქართული ენის სწავლება აფხაზეთისა და სამურზაყანოს სკოლებში აკ-

რძალულია. 3) სოხუმის მთიელთა სკოლის დაფუძნება უპირატესად აფხაზი ბავშვების აღსაზრდელად და მათთვის სახაზინო სტიპენდიების გამოყოფა სტავროპოლის გიმნაზიაში. 4) ლეთისმსახურებისა და სასკოლო სწავლების თაობაზე მითითებული განკარგულებების შესრულებაზე საეპარქიო და ადმინისტრაციულ ხელისუფალთა ზედამხედველობის დაწესება. 5) ქართველთა შეზღუდვა სასოფლო საზოგადოებების მკვიდრ მოსახლეობასთან მიწერის უფლებაში, რომელიც ეძლევა იმათ, ვინც 1865 წლამდე ჩამოვიდა. 6) სოხუმის ოლქის კოლონიზაცია რუსი ადამიანებით, ბოლოს 7) წელს შვიდი მეგრელი, რომლებიც გამოძიების გზით იმხილებიან ოლქში მიმდინარე ქართულ მოძრაობაში ენერგიული მონაწილეობის მიღებაში, კავკასიის ფარგლებიდან გასახლებაზე არიან წარდგენილი“ მეშვიდე ღონისძიებაში გუბერნატორი გულისხმობდა მის მიერ მთავარმართლებლისათვის 1900 წლის 28 ივლისს წარდგენილ მოხსენებას აფხაზეთში მოღვაწე პოლიტიკურად არასაიმედო პირების — თ.სახოკიას, ა.ჯუღელის, ი.გეგიას, გ.კანდელაკის, ი.ბურჭულაძის, ფ.დავითაიასა და ს.ნორაკიძის წინააღმდეგ ადმინისტრაციული ზომების გატარების აუცილებლობის შესახებ.

ჩამოთვლილ ღონისძიებებს თ.გერშელმანი მაინც ნახევარზომებად მიიჩნევდა და რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა, პირველ რიგში, ქართული სამღვდლოებისათვის ეკლესიისა და სკოლის წართმევას, მათ მაგივრად კი „назначать в Сухумскую епархию в приходы с абхазским и самурзаканским населением русских священников и по мере возможности абхазцев“; ეს შექმნიდა პირობებს „в будущем для слияния туземного населения с русским“; გუბერნატორი მოითხოვდა აგრეთვე „заменить русскими людьми и учителей сухумских школ“. თ.გერშელმანის აზრით, მისი წინადადებების რეალიზება გაქართველებისაგან იხსნიდა სოხუმის ოლქს, „который никогда не имел ничего общего с Грузией и в пестром населении которого сами грузины составляют элемент пришлый“.⁶⁸

ისტორიულ საფუძველს მოკლებული თ.გერშელმანის ზემოთ

მოტანილი შოვინისტური იდეები, რომლებიც განმეორებულია მის წიგნში კავკასიის შესახებ,⁶⁹ დღემდე წარმოადგენენ აფსუა სეპარატისტთა სულიერ საზრდოს. ქუთაისის გუბერნატორის მიერ მოწვევებული სტატისტიკური მონაცემები და სხვა ფაქტობრივი მასალა, ასევე გაკეთებული შეფასებები ეწინააღმდეგებიან მისივე მმართველობის დროს — 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგებს. სამურზაყანოელთა აფხაზებად ჩაწერამ არა მხოლოდ გაზარდა ხელოვნურად აფხაზთა რაოდენობა, არამედ მთლიანად დაამახინჯა მონაცემები სარწმუნოებრივი მდგომარეობის, ასევე განათლების შესახებ. სოხუმის ოლქის მოსახლეობამ 114177 კაცი შეადგინა, მათ შორის ვითომ იყო 58853 აფხაზი (აღწერის მასალებში ჯერ კიდევ „დამნაწავის სტატუსის მქონე აფხაზები კავკასიელ მთიელებად და ჩერქეზებად მოიხსენიებიან, რაც არის ირიბი მინიშნება მათ არააბორიგენობაზე) და მხოლოდ 28347 ქართველი; მართლმადიდებელთა საერთო რიცხვი 1897 წელს ყოფილა 87165, აქედან 51366 — აფხაზი და 25758 — ქართველი. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს რუსული სტატისტიკის მთელი სიყალბე. რუსი ეპისკოპოსები აფხაზთა უმრავლესობას არაქრისტიანებად მიიჩნევდნენ, თვითონ თ.გერ შელმანიც მათ მერყე რელიგიურობაზე, ზნეობრივ განუვითარებლობაზე საუბრობდა, ცრუსტატისტიკის მიხედვით კი საპირისპირო სურათი გამოდიოდა.

იგივე ითქმის მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და მათი ოჯახის წევრების რაოდენობასთან დაკავშირებითაც. თ.გერ შელმანი 1900 წლის 2 სექტემბრის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ მთელს აფხაზეთში მხოლოდ 2 აფხაზი მღვდელი მოღვაწეობდა. 1897 წლის აღწერით, სოხუმის ოლქში მართლმადიდებელი სამღვდლოებისა და მათი ოჯახის წევრების საერთო რაოდენობა იყო 801, მათ შორის 102 აფხაზი, 333 ქართველი, 266 რუსი (უკრაინელებთან და ბელორუსებთან ერთად) და ა.შ. ერთ შემთხვევაში 2 აფხაზია დაფიქსირებული, მეორე შემთხვევაში — 102 (ოჯახის წევრებთან ერთად). აი, როგორ ცრუობდა ქართველთა სიძულვილით გონებადაბინდული იმპერიული ხელისუფლება. ასეთივე კომიკურია მონაცემები განათლების შესახებაც. საყოველთა-

ოდ ცნობილი იყო იმდროინდელ აფხაზთა კულტურული ჩამორჩენილობა, გაუნათლებლობა, რასაც თ.გერ შელმანიც ხაზს უსვამდა. აღწერის თანახმად კი, სოხუმის ოლქში წერა-კითხვის მცოდნე 8326 ადამიანიდან აფხაზი იყო ნახევარზე მეტი — 4374; ხოლო ქართველი, რომელსაც ხელთ ეპყრა აფხაზეთში განათლების საქმე, — 1817 (?).⁷⁰ ყველა ეს კურიოზი სამურზაყანოელი ქართველების აფხაზეთად ჩაწერამ, შესაბამისად, რეალური სურათის უხეშად დამახინჯებამ გამოიწვია. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის შეგნებული და მიზანმიმართულად გაყალბებული შედეგები გამოქვეყნების დღიდან მულმივად გამოიყენებოდა (ამჟამადაც გამოიყენება) აფხაზეთთან დაკავშირებული სოვიინისტურ-სეპარატისტული იდეების თუ გეგმების „დასაბუთებისათვის“

XX ს. დასაწყისში ინტენსიურად მიმდინარეობდა აფხაზეთში მოქმედი „ქართული პარტიის“ საქმის გამოძიება, რომელსაც საფუძვლად ედო მთავარმართებლისათვის წარდგენილი თ.გერ შელმანის 1900 წლის 28 ივლისის, 3 აგვისტოსა და 2 სექტემბრის მოხსენებები. რუსულმა მოუქნელმა ბიუროკრატებმა საკითხის შესწავლას და საბრალდებო დასკვნის მსგავსი საკმაოდ ვრცელი დოკუმენტის შედგენას თითქმის ოთხი წელიწადი მოანდომა. 1904 წლის 12-15 მარტს მთავარმართებლის საბჭოს წარედგინა მასალა „Об исследовании политической благонадежности проживающих в Сухумском округе Федота Тимофеевича Сахокия, Антимоза Ивановича Джугели, Ивана Константиновича Гегия, Григория Ивановича Канделаки, Ивана Гавриловича Бурчуладзе, Парны Николаевича Давитая и Спиридона Левановича Норакидзе, являющихся главными представителями Грузинской партии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа и принятии против них административных мер воздействия“ როგორც ვხედავთ, „ქართული პარტიის“ მთავარი „დანაშაული“ აფხაზეთის მოსახლეობის გარუსების სამთავრობო პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევაში მდგომარეობდა.

აღნიშნული დოკუმენტი, როგორც ქვეყნის ბოლო ინსტანციას, ისე იმეორებდა ქართველთა მოძულე თვითშეზღვევის მოხსენების ცალკეულ დებულებებს; იგი შეიცავდა „ქართული პარტიის“ წევრების ბინების ჩხრეკისა და დაკითხვის მასალებს. ყურადღებას იმსახურებენ „მოწმეთა“ — ეპისკოპოს არსენისა და სოხუმის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველის ვიასტრეხოვის ჩვენებები. ქუთაისის გუბერნიის უნდადრმა სამართველოს უფროსმა, რომელიც იძიებდა „აფხაზეთ-სამურზაყანოს გაქართველების“ მოსურნე პირების საქმეს, სპეციალური საიდუმლო კითხვარი შეადგინა და ეპისკოპოს არსენს სთხოვა მათზე პასუხის გაცემა. კითხვარიც და პასუხებიც მკაფიოდ წარმოაჩენენ რუსული საერო-სასულიერო ადმინისტრაციის ნამდვილ სახეს, აფხაზეთში შექმნილ აუტანელ ატმოსფეროს.

აი, უნდადრმა მიერ შედგენილი კითხვარიც: „1) იცით თუ არა, რომ სოხუმის ოლქში არსებობს მკვიდრი ორგანიზაცია ქართველთა, რომელთაც დაუსახავთ აფხაზეთა გაქართველება და მით რუსეთის ინტერესებს მათი ჩამოშორება; 2) სდევნის თუ არა ქართველთა პარტია იმ მღვდლებსა და მასწავლებლებს, რომელნიც თქვენს განკარგულებას ასრულებენ და მათ არ თანაუგრძობენ და არ ემორჩილებიან მათ უკანონო მოქმედებას, ე.ი. ქართული ენის სწავლებას სკოლებში და ჩუმიდ მაინც წირვა-ლოცვის აღსრულებას ქართულად; 3) ცდილობენ თუ არა აფხაზეთის გაქართველებს შემდეგი პირნი: თედო სახოკია, ანთიმოზ ჭულელი, მღვდელნი მაქავარიანი, კერესელიძე, ჩხენკელი და ხელაია ბესარიონი; 4) გჯერათ და უწყით, რომ ქსოხუმის მცხოვრები თედო სახოკია პრესაში და საზოგადოებაში კრიტიკას იწვევს და მასხრად იგდებს ყოველივე თქვენს განკარგულებას; 5) მართალია, რომ მღ.მაქავარიანმა პანაშვიდი გადაიხადა ქართულ ენაზედ გარდაცვალებულის მწერლის წერეთლის გამო და ქართულადვე სიტყვა წარმოთქვა თედო სახოკიასა და ანთიმოზ ჭულელის თხოვნით; 6) მართალია თუ არა, რომ მღვდელმა ბესარიონ ხელაიამ, რომელიც ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღებას მოითხოვდა, განგიცხადათ, რომ აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომ წირვა-ლოცვაც ქართულად

უნდა იყოს; 7) მართალია თუ არა, რომ მღვდელი კერესელიძე წინააღმდეგობას უწევდა თქვენს განკარგულებებს და როცა მოინდომეთ მისი გაძევება, სინოდალურმა კანტორამ წინააღმდეგობა გაგიწიათ; 8) რადგანაც უტყუარი ცნობები მაქვს, რომ ნაცნობობა აქვთ არასაიმედო და წარმართი მიმართულების ხალხთან (ე.ი. აფხაზებთან — ჯ.გ.) თედო სახოკიას, ჩხენკელს, კერესელიძეს, მაჭავარიანს, ბესარიონ ხელაიას, ამიტომ გთხოვთ აღნიშნული პირნი დამიხსნათოთ ზნეობრივის მხრივ თითო მათგანი კერძოდ და დაწვრილებით გამაცნოთ მათი მოღვაწეობა; 9) მართალია თუ არა, კორესპონდენტი თედო სახოკია განგებ, წინდაწინვე განზრახულის მიზნით ამახინჯებდა ფაქტებს და ყალბ სტატისტიკურ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში მეგრელებსა და ქართველების შესახებ, რათა დაემტკიცებინა აუცილებელი საჭიროება ქართული ენის შემოღებისა სასწავლებლებში; 10) რით აიხსნება სინოდალური კანტორისაგან მხარდაჭერა მღ.კერესელიძისა და სრულიად უდანაშაულო მღვდლის კავკასიძის (უნდა იყოს კავთარაძის — ჯ.გ.) გაძევება; 11) სცნობთ თუ არა, რომ მღვდელნი მაჭავარიანი, ჩხენკელი, კერესელიძე და ხელაია მავნებელნი და საშიშნი არიან რუსეთის იმპერიის ინტერესებისათვის; 12) მართლმადიდებელ ეკლესიისათვის მავნებელნი არის თუ არა მოღვაწეობა თედო სახოკიასი და ჯუღელისა“

ქანდარმერიის „საიდუმლო შეკითხვებზე“ ეპისკოპოსი არსენი ოპერატიულად პასუხობს. სოხუმში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე შევნიშნეო, რომ ეპარქიაში მცხოვრები ქართველები „ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ დანერგვას სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობის, რაშიაც სრულ დახმარებას უწევს მას სამღვდლოება, რომელნიც განსაკუთრებით ქართველთა და მეგრელთაგან შესდგება. ამის დასამტკიცებელი საბუთი მრავალი მომეპოვება. 1895 წელს სამასწავლებლო საბჭოში ქართველებმა აღძრეს შუამდგომლობა ქართულის ენის სწავლებისა აფხაზეთ-სამურზაყანოში და წარმოადგინეს განჩინებაც სოფლების საზოგადოებებითგან, რომელნიც ითხოვდნენ ქართულის სწავლებას სკოლებში. მე წინაღუდექი ამას, რის გამოც (1898 წ. — ჯ.გ.)

ეურნალ „რუსსკი ტრუდ“-ში მოათავსეს წერილი, რითაც უკმაყოფილებას მიცხადებდნენ. როცა 14 იანვარს წმინდანინობას ნება არ მივეცი ქართულს ენაზედ წირვისა სოხუმის საკრებულო ტაძარში, მაშინ ხომ მათი უკმაყოფილება აშკარა იყო და ნათლად დავრწმუნდი, რომ ქართველები აღარა ხუმრობდნენ აფხაზეთის გაქართულებას. ქართველების მოძრაობა დიდათ აბრკოლებს აფხაზეთის გარუსების და გადაგვარების საქმეს“. ასეთი „ამომწურავი“ და „დამაჯერებელი“ გახლდათ პასუხი პირველ კითხვაზე. მომდევნო კითხვებზე პასუხის გაცემისას, ეპისკოპოსი არსენი ადასტურებდა, რომ აფხაზეთში იღვენებიან ისეთი პიროვნებები, როგორიც იყო კავჟარაძე — „მარჯვე დამცველი“ და „გამტარებელი ცხოვრებაში რუსულის მოქალაქეობრიობისა“. იგი თურმე სამურზაყანოდან გაუძევებიათ ქართველებს. თედო სახოკია „ყოფილა გამავრცელებელი და დამამკვიდრებელი ქართულის ენისა და მოქალაქეობისა აფხაზეთში“ ოჩამჩირის ბლალოჩინ ი.კერესელიძეს კი შესძლებია ცუდი გავლენის მოხდენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, როგორც საღმრთო სჯულის მასწავლებელს; იგი „თავისი უხასიათობის გამო ვერა რიგდებოდა მრევლთან და უვარგისი იყო როგორც მასწავლებელი საღმრთო სჯულისა“, ამიტომაც სხვა მრევლში გადავიყვანეო. ი.კერესელიძის საკითხი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას განუხილავს და ეპ. არსენის გადაწყვეტილება გაუბათილებია. ამის მიზეზი იყო ის, რომ ეგზარქოსის არყოფნის გამო სინოდალური კანტორის სხდომას ალექსანდრე ოქროპირიძე თავმჯდომარეობდაო. ეპისკოპოსმა არსენმა ჟანდარმების წინაშე „ჩაუშვა“ ბესარიონ ხელაია — პირად საუბარში მითხრაო: „აქ საქართველოა და არა რუსეთი და წირვა-ლოცვაც ქართულად უნდა იყვესო“; დ.მაჭავარიანმა კი მართლაც ქართულ ენაზე გადაუხადა პანაშვიდი მწერალ წერეთელს და სიტყვაც წარმოსთქვაო. მე-11 და მე-12 კითხვებზე სოხუმის შოვინისტი ეპისკოპოსი ასე პასუხობდა: „თუ რომ მღვდლები მაჭავარიანი, კერესელიძე და ხელაია მოქმედებენ აფხაზეთ-სამურზაყანოს გასაქართველებლად, მაშინ, რასაკვირველია, მავნეთ უნდა ჩაითვალოს მათი მოღვაწეობა, რადგანაც ამით ისინი ეწინააღმდეგებიან რუსეთის იმპერიის

მიზანსა და მისწრაფებასა. მოქმედება თედო სახოკიასი და ჯუღელი-ლისა მავნებლად უნდა ჩაითვალოს მართლმადიდებელ ეკლესიისათვის, რადგანაც გაქართულებული მათგან ახალგაზრდობა მტრად გაუხდება რუსეთის ეკლესიას, რომელიც სულ სხვა მიზნით მოქმედებს აფხაზეთში“.⁷¹ ამ პასუხებთან ერთად ეპ.არსენმა ენდარმერიას ქართულად სწავლების შემოღებაზე აუარის თქმის შესახებ სამურზაყანოელთა სახელით შეთითხნილი განცხადებაც გაუგზავნა. აფხაზეთის მღვდელმთავარი აფხაზეთის სამღვდელოებას ენდარმერიის წინაშე აბეზღებდა იმისათვის, რომ იგი თანაუგრძნობდა ქართველიზმს (грузинизму); მას ძალიან არ მოსწონდა ქართული მოძრაობა სოხუმის ოლქში, ვინაიდან იგი „СЛУЖИТ ТОРМОЗОМ К ОБРУСЕНИЮ КРАЯ“. ასეთი ეპისკოპოსი მართავდა სოხუმის ეპარქიას.

მთავარმართებლის საბჭოში 1904 წ. მარტში წარდგენილი მასალების მიხედვით, ვ.იასტრეხოვმაც თურმე დაადასტურა აფხაზეთში ქართული პარტიის არსებობა, რომელიც სკოლებში და ეკლესიებში ქართული ენის დანერგვით ხელს უშლიდა აფხაზეთში მოსახლეობის იმპერიასთან შერწყმას, „в уповании создать грузинское царство“. ქართული პარტია, ვ.იასტრეხოვის მტკიცებით, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (აფხაზეთის ყოფილი ეპისკოპოსი), რუსეთში გადაყვანილი კირიონის, იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე), ე.მამინაიშვილის (ცნობილი მისიონერი, მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი), თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგ ნატრო შვილის ფარული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა; სოხუმის ოლქში მისი აგიტატორები იყვნენ თ.სახოკია, ა.ჯუღელი, ფ.დავითაია, ს.ნორაკიძე, ი.გეგია, მღვდლები — ფანცულაია, გაბისონია, ი.ჩხენკელი, ხარებავა და სხვები; „все эти лица, — უთქვამს ვ. იასტრეხოვს, — пользуются в округе благословением и поощрением протоиерея Сухумского кафедрального собора Давида Мачавариани и священника Виссариона Хелая“; „ქართული პარტიის“ ლიდერები სარგებლობენ „в Сухумском округе большим авторитетом среди духовенства и

народа“, — განუცხადებია ვ.იასტრებოვს; მას დაწვრილებით უსაუბრია, „как во время подчинения Абхазии Кутайсскому епископу Гавриилу, последний занимался политикою, насаждая при помощи протоиерея Мачавариани в абхазские приходы грузинских священников, оказавшихся самыми недостойными людьми, без всякого образования, без понятия о долге, чести и совести, кляузниками, лжесвидетелями, клятвопреступниками и даже конокрадами“. მსგავსი „ჩვენება“ არა მხოლოდ მისი ავტორის ბინძურ სახეს წარმოაჩენდა, არამედ ქართულ-რუსული დაპირისპირების უკიდურესად გამწვავებაზე მიუთითებდა. თავისი ბეცი და დერჟიმორდული პოლიტიკით XIX ს. ბოლოსათვის რუსულმა ადმინისტრაციამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ რუსეთისადმი უსაზღვროდ ერთგული დ.მაჭავარიანიც კი „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი წამყვანი წევრი გახდა.

ათხაზეთში „ქართული პარტიის“ არსებობის დადასტურებად იქნა მიჩნეული გაზეთ „კვალში“ 1895 წ. 16 ივლისს გამოქვეყნებული ი.ჩხენკელის წერილი და სხვა პუბლიკაციები ქართულ გაზეთებში.⁷²

1904 წლის 1 მაისს მთავარმართებლის საბჭომ განიხილა 12-15 მარტს შემოსული გამოძიების მასალები თ.სახოკიას, ა.ჯულელის, ი.გეგიას, გ.კანდელაკის, ი.ბურჭულაძის, ფ.დავითიას, ს.ნორაკიძის და აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური საიმედოობის შესახებ. მიზანშეწონილად ჩაითვალა, მათ, როგორც მთავარ წევრებს „ქართული პარტიისა“, „противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа, უვადოდ დეტოვებინათ კავკასიის ფარგლები. გარდა ამისა, საბჭომ იმსჯელა სოხუმის ოლქში დანიშნული სასულიერო პირების შესახებ, რომლებიც „ვალდებული არიან თავიანთი სულიერი დარიგებებით ხელი შეუწყონ ხელისუფალთ ოლქში რუსული მოქალაქეობრიობის განმტკიცებაში“; სინამდვილეში კი ისინი, — აღნიშნა საბჭომ, — „зачастую, благодаря низкому уровню образовательного ценза, незнанию русского языка и к тому же своей

крайне политической неблагонадежности, не только не сочувствуют всем благим мероприятием правительства, направленным к скорейшему обрусению населения округа, но даже явно выказывают со своей стороны противодействия таковым". ამიტომ მთავარმართებლის საბჭომ გადაწყვიტა სოხუმის ეპარქიაში მოღვაწე ქართული სამღვდლოების ამგვარი საქმიანობის შესახებ აცნობოს საქართველოს ეგზარქოსს და გადაუგზავნოს მას 1904 წლის 12-15 მარტით დათარიღებული დოკუმენტი აფხაზეთში „ქართული პარტიის“ მოღვაწეობის შესახებ. 1904 წლის 10 მაისს მთავარმართებელმა გ.ს.გოლიცინმა საბჭოს გადაწყვეტილებები დაამტკიცა.⁷³ რუსეთ-იაპონიის ომისა და დაწყებული რევოლუციის პირობებში ცარიზმმა მისი რეალიზება ვერ შეძლო.

აფხაზეთის ქართული სამღვდლოებისადმი მთავარმართებლის საბჭოს მიერ წაყენებული ოფიციალური ბრალდება, რომ იგი ეწინააღმდეგება სოხუმის „ოლქის მოსახლეობის უსწრაფესად გარუსებისაკენ მიმართულ მთავრობის საკეთილდღეო(?) ღონისძიებებს“, სინამდვილეში არის უმადლესი შეფასება მისი მოღვაწეობისა და ისტორიული მნიშვნელობის კიდევ ერთი დიდი დამსახურება. ქართველი მისიონერების ძალისხმევამ XIX ს. 60-70-იან წლებში, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აფხაზი (აფსუა) ერი თურქეთში ერთიანად გადასახლებას და გარდაუვალ დაღუპვას გადაარჩინა. XIX-XX სს მიჯნაზე რუსეთის იმპერიის ყველაზე შავზნელი ძალების აღიარებითაც კი „გაუნათლებელმა“, „რუსულის არმცოდნე“, „არაკეთილსაიმედო“ ქართულმა სამღვდლოებამ აფხაზეთის მოსახლეობა, პირველ რიგში, აფხაზობა ასიმილაციისა და გარუსების რეალური საფრთხისაგან დაიცვა.

კავკასიის, მათ შორის აფხაზეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფალთა მხრიდან წამოსული და სეპარატისტების მიერ დაზეპირებული კიდევ ერთი „ბრალდება“, თითქოს ქართველებს აფხაზთა გაქართველება სურდათ, ყოვლად უსუსური და სიმწრის ღიმილის მომგვრელი გახლდათ. სამურზაყანოელები, რომლებსაც შოვინისტები, იმპერიული გეგმების შესაბამისად, ხან ცალკე ეთნოსს, ხან

კიდევ აფხაზებს მიაკუთვნებდნენ, ეროვნებით ქართველები (კუთხური ნიშნით კი აფხაზები) იყვნენ; ამდენად, ბრძოლა მძლავრ რუსულ სახელმწიფო მანქანასთან მიდიოდა არა მათი „გაქართველებისათვის“ (ქართველებს „გაქართველება“ არ სჭირდებოდათ), არამედ უხეში ასიმილაციური პოლიტიკის პირობებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, ეროვნებასთან გაიგივებული ქართული მართლმადიდებლობის განმტკიცებისა და მოსახლეობაში განათლების შეტანისათვის. უმძიმესი იმპერიული წნეხის ქვეშ მყოფი ქართული სამღვდელოება თავისი სამურზაყანოელი მრევლის აქტიური მხარდაჭერით ამ, ერთი შეხედვით, უთანასწორო ბრძოლიდან ამკარად გამარჯვებული გამოვიდა.

საკუთრივ აფხაზებთან (აფსუებთან) მიმართებაშიც არავითარი „გაქართველების“ პოლიტიკა არ ტარდებოდა და ვერც გატარდებოდა. იმპერიის მარწუხებში თავადვე მოქცეულ ქართველობას, რომელიც სულს დათავდა და საკუთარი გადარჩენისათვის იღწვოდა, რომელსაც არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობა, მძლავრი პოლიტიკური, კულტურული და ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტები, მხოლოდ სასულიერო პირების მეშვეობით, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, სხვის ასიმილაციას ვერანაირად ვერ მოახერხებდა. ქართველობის, მათ შორის სასულიერო პირების წინაშე იდგა არა აფხაზთა გაქართველების, არამედ რუსების ხელში მყოფი ქართული ეკლესიისა და ქართული სკოლის მეშვეობით (სხვა ბერკეტები იმ ეტაპზე არც არსებობდნენ) გარუსებისაგან, გადაგვარებისაგან შეძლებისდაგვარად მათი დაცვის ამოცანა. იგი, თავის მხრივ, უფრო დიდ და შორს მიმავალ სტრატეგიას — ისტორიულ საზღვრებში რუსეთის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიზნებს უკავშირდებოდა. ქართული ენა, რომელიც აფხაზეთის გაათესუების შემდეგაც მუდამ იყო მთავართა (შერვაშიძეთა) საქმისწარმოების, მოსახლეობის ზედაფენის ერთადერთი სამწერლობო ენა, აფხაზებისათვის არ იყო უცხო და მიუღებელი. გარდა ამისა, ქართველი მღვდლების დიდი ნაწილი მშვენივრად ფლობდა აფხაზურ ენასაც და ამიტომ თითქმის საერთო ზნე-ჩვეულებების მქონე მოსახლეო-

ბასთან ყოფით ღონეზე ურთიერთობის პრობლემა არ არსებობდა.

გასათვალისწინებელია ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოებაც, კერძოდ, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI-XVII ს.ს. დამკვიდრებული ჩერქეზულ-ადიდური წარმართულ-მუსულმანური ტომებისა და ადგილობრივი მართლმადიდებლური ქართული (მეგრული) მოსახლეობის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი და შერეული სარწმუნოების მქონე აფხაზი ერის მნიშვნელოვანი ნაწილის ისტორიული მესხიერების ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით, 1866-1870 წლების შუა ხანებში გენერალი ი.ბაგრატიონ-მუხრანსკი თავის ბარათში (გ.დ. შერვაშიძის მამულების შესახებ), მოკლედ ეხებოდა რა XV საუკუნეში დადიანთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი, ხოლო სამეგრელოში ჩიქოვანების გამთავრების შემდეგ (XVII ს. ბოლოს) თურქეთის მფარველობაში შესული აფხაზეთის სამთავროს ისტორიის საკითხებს, წერდა: „Это время (ე.ი. XVII ს. ბოლოს — ჯ.გ.) собственно Абхазию составляли земли по берегу моря к югу до реки Галыдзги, к северу до реки бзыби (по грузински Капетисцкали) и, кроме того, к Абхазии принадлежали горные округа: Псхе, Ачхи-Псхе, Либго (Айбга — ჯ.გ.) и другие, известные в последнее время под именем Медовеевских обществ. Собственно абхазцы жили только частью в Бзыбском округе и только что упомянутых мною горных округах. В остальных частях Абхазии, т.е. частью в Бзыбском, в бывшем Абхазском и Абживском округах жили большей частью жители смещанные-полуменгрельского, полуабхазского происхождения. Это будет совершенно очевидно, если мы обратим внимание на то, что большая часть земель на плоскости в Бзыбском округе принадлежала Пицундскому каталикосу и монастырю Симона Кананита, в Абхазском округе епископству Драндскому (что теперь Дранда) и в Абживском округе епископству Моквинскому-церкви св. Георгия Илорского. Все

эти церковные земли были заселены крестьянами, пожертвованными церквам и монастырям царями грузинскими и имеретинскими и владельцами Мингрелии, а так же разными помещиками тех стран. Так и теперь большинство крестьян, живущих на плоскости, очень хорошо помнит свое мингрельское происхождение".⁷⁴ 1903 წელს თ.სახოკია ც აღნიშნავდა, რომ სოფ. ლიხნის „მოსახლეთა შორის მხოლოდ მეგრული გვარებია დარჩენილი და ხსოვნა მათის მეგრულის ჩამომავლობისა“.⁷⁵ ი.ბაგრატიონ-მუხრანსკისა და თ.სახოკიას ზოგადი ცნობები გააფხაზეთული ქართველების (მეგრელების) შესახებ დოკუმენტურად (XIX ს. 30-იან წლებში მონათლულთა სიების საფუძველზე) დაასაბუთა გ.გასვიანმა. მან დაამტკიცა (ზემოთ ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ), რომ ქართული წარმოშობის ელემენტი აფხაზეთი მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა;⁷⁶ ი.ბაგრატიონ-მუხრანსკი და თ.სახოკია გვიდასტურებენ, რომ მათ ახსოვდათ და იცოდნენ თავიანთი მეგრული წარმომავლობის შესახებ. ამ გარემოების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთა დიდი ნაწილისათვის ქართული საეკლესიო ენა და ქართული წერა-კითხვა სრულებითაც არ იყო უცხო და მიუღებელი.

ქართული ენის რუსულით შეცვლამ თუ რამოუტანა აფხაზებს კარგად ჩანს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ანგარიშებიდანაც კი. ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ერთ-ერთ მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად 1898-1901 წლების ანგარიშში დასახელებულია „ხალხისათვის გაუგებარ სლავურ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარება“.⁷⁷ განათლების სფეროში რუსიფიკაციის შედეგების შესახებ წერდათ თ.სახოკია გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1903 წლის ოქტომბერ-დეკემბერში გამოქვეყნებულ წერილში („აფხაზეთში მგზავრის შენიშვნები“), სადაც ის მკითხველს ოქტომბრის მეორე ნახევარში სოხუმიდან გაგრამდე მოგზაურობისას ნანახისა და განცდილის თაობაზე უყვებოდა. ავტორი აღნიშნავდა, რომ „აფხაზი ბუნებით ნიჭიერია, მიხვედრილია, მაგრამ მარტო ბუნებრივი ნიჭი რას გახდება“; აკრიტიკებდა

საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რომლებიც ყველაფერს ემსახურებოდნენ, „თვინიერ მთავარის დანიშნულებისა — ყრმათა გონებრივის და ზნეობრივის გაწვრთნისა“. აფხაზეთში პედაგოგებად ჩამოაყვადათ „ყოველი ლოთი, ყოველი გზადაკარგული“, რომლისგანაც ბავშვს, ყველაზე დიდი, შეეძლო ესწავლა „რუსულად ათამდე თვლა და ორიოდ საგინებელი სიტყვა“. ირგვლივ გამეფებული წყდიადიდან მოსახლეობის გამოყვანა, — თ.სახოკიას აზრით, — ქრისტიანობას შეეძლო, მაგრამ სამღვდელოება, პირველ რიგში, მღვდელმთავარი სამწყოს მოყვარული მოძღვრის მოვალეობას არ ასრულებდა; მთელი მათი მოღვაწეობა ამ მხარეში „მონათლულთა“ სიების შედგენით, ვითომ გაწეული მუშაობისათვის ჭილდოს მიღებითა და დაწინაურებით შემოიფარგლებოდა, არავინ ზრუნავდა ახალმონათლულთა სარწმუნოებაში განმტკიცებისათვის; ყოველივე ამის გამო, — წერდა თ.სახოკია, — აფხაზთა შორის მოღვლები უფრო მეტი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ვიდრე მართლმადიდებელი მღვდლები; აფხაზეთის სასულიერო მთავრობა მოღვლების წინააღმდეგ ბრძოლას უფლის სიტყვის ქადაგებით კი არა, მათ მიმართ რეპრესიების განხორციელების გზით ცდილობდა, რაც უკუშედეგს იძლეოდა — დევნილი მოღვები აფხაზთა შორის მეტ თანაგრძნობას და სიყვარულს იხვეჭდნენ (ცნობის ფურცელი, 1903, 31 დეკემბერი). სრულიად აშკარაა, რომ ეკლესიებსა და სკოლებში რუსული ენის შემოღებამ საგრძნობლად შეასუსტა მართლმადიდებლობის პოზიციები აფხაზურ მოსახლეობაში და, შესაბამისად, ისლამის გავლენა გააძლიერა.

აფხაზეთში სახალხო განათლების მდგომარეობას თედო სახოკიამ კიდევ ერთი მძაფრი წერილი მიუძღვნა, რომელიც 1905 წლის 1 აპრილს გაზ. „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნა. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ განათლების სისტემა საკმაოდ ნიჭიერ აფხაზთა გარუსებისაკენ, გონებრივი და ფიზიკური გადაგვარებისაკენ, ქართველებისაგან ჩამოშორებისაკენ იყო მიმართული. ამ მიზანს, პირველ რიგში, სოხუმის მთიელთა სკოლა ემსახურებოდა. თუ რა ზოგად ცოდნას იძლეოდა აღნიშნული სასწავლებელი, ამაზე, თ. სახოკიას აზრით, ის გარემოება მიუთითებდა, რომ სკო-

ლის არსებობის 40 წლის მანძილზე მის არცერთ კურს დამთავრებულ აფხაზს უმაღლესი განათლება არ მიუღია. „აფხაზები, რუსის ბიუროკრატიის სატრფიალო სისტემის წყალობით, გონებრივად გადაშენების გზას ადგანან და ჭერჭერობით სრულს ინდეფერენტიზმს იჩენენ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა თავის მეზობლებს — ქართველებს; ამ პოლიტიკამ უკუღმართი აღზრდის წყალობით იმდენად დაამახინჯა ეს ხალხი გონებრივად, რომ დაავიწყდა, რომ თუ კი საერთო ვისთანმე უნდა ჰქონდეს აფხაზის ხალხსა, ისევ მეზობლებთან, ისევ ქართველებთან, რომელთანაც ისტორიულად დაკავშირებული არიან და მათის სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობაც ისეთია, რომ ქართველებს იქით ამ ხალხს ხსნა არა აქვს.

დღეს კი აფხაზეთის ხალხს ქართველებთან ერთობა არავითარი არა აქვს. ამ შემთხვევაში მწერლობა უნდა გაედოს ხოლმე შემაერთებელ გზად და ხიდად მეზობლებს. სავალალოდ ეს შემაერთებელი გზა და ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ ქართული ენა აქაურ სკოლებიდან განდევნილია“. ამით სარგებლობდნენ შოვინისტურად განწყობილი გაზეთები, აგრძელებდა თ. სახოკია, — და აფხაზებს უჩიჩინებდნენ „ქართველები (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ მოდიან, თქვენს მიწებს იჩემებენო და სხ(ვა) და სხ(ვა)“.

იგივე გარუსების პოლიტიკა ტარდებოდა სამურზაყანოელთა მიმართაც. „თუ აფხაზთა ნათესაობა ქართველებთან საეჭვოა, იგივე არ ითქმის სამურზაყანოელთა შესახებ, — აცხადებდა თ. სახოკია. — მათი ნათესაობა ქართველებთან (მეგრელებთან) ყოველ ეჭვს გარეშეა“; ამ ქეშმარიტებისა არ სჭეროდა მხოლოდ რუსულ ბიუროკრატიას, რომელიც უარყოფდა „ყოველს ისტორიულს, ეტნოგრაფიულ და ლინგვისტურ საბუთებს, რომელნიც აშკარად ამტკიცებენ სამურზაყანოელთა მეგრულ ჩამომავლობას და, მაშასადამე, მათს ნათესაობას ქართველებთან. ერთის მხრივ, ამ ნათესაობას უარყოფს და, მეორეს მხრივ, სამურზაყანოელთა აფხაზებს უნათესავეებს და თანაც გაიძახის, რაკი სამურზაყანოელნი მეგრე-

ლები კი არა, აფხაზები არიან... მათთვის ქართული ენა საჭირო არ არისო; რაკი სამურზაყანოელნი აფხაზები არიან და აფხაზებს კისაკუთარი მწერლობა არა აქვთ, სამურზაყანოელებმა ისევ რუსული ენა ისწავლონო. „ასწავლიან“ კიდევ რუსულ ენას.

ოღონდაც სავალალოა, რომ ჩვენის მწერლობით ვეღარ სარგებლობენ ჩვენის ქვეყნის მივარდნილ კუთხის მცხოვრებნი. ადგილობრივი მთავრობა რომ არ აბკოლებდეს ქართულ წერა-კითხვის გავრცელებას საქართველოს ამ პროვინციაში, სადაც ქართული ლაპარაკი, როგორც ქართველთა მონათესავეთ, თითქმის ყველას ემარჯვება, ქართული წერა-კითხვა ადვილად გავრცელდებოდა და ქართული მწერლობა შეძლებისა და გვარად საგარძობელ სამსახურს გაგვიწევდა ამ მხარის გონებრივად ამალღების საქმეში. თორემ ახლა სამურზაყანოელთ სამშობლო (ქართულ) ენაზედაც უშლიან გონების განვითარებას და ვეღარც რუსულს ენაზედ ანათლებენ და არამც თუ ვერ ანათლებენ, არსებულ მახინჯ მუნჯურის სისტემის წყალობით სოფლებით აძულებენ სკოლას და მწიგნობრობას, გონებრივად ამახინჯებენ, ზნეობრივად აქვეითებენ, ქართველობას აშორებენ, გადაშენების გზაზე აყენებენ“. გარუსების პოლიტიკის გამო „სკოლის შეძლების“ მაგალითები მრავლად იყო აფხაზეთ-სამურზაყანოში. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (1905 წლის 13 მარტი) იტყობინებოდა, რომ იმავე წლის 5-6 მარტს დაწვეს ს. ზვანდრიფშის, დურიფშის სამინისტრო და სამრევლო სკოლები; ლიხნის სკოლის შენობა დააზიანეს (ფანჯრები ჩალეწეს); როგორც ზემოთ ითქვა, 1905 წ. 25 თებერვალს სამურზაყანოს სკოლების ზედამხედველი (ოჩამჩირიდან გადმოყვანილი) ბორის ხორავა მოკლეს, ჭუბურხინჯში საეკლესიო სკოლა დაწვეს; გაღში ორკლასიანი სკოლა დაკეტილიაო, — წერდა გაზეთი.

თ. სახოკიასა და სხვა ქართველ მოღვაწეთა წერილები განათლების საკითხებზე მთავარი „გამრუსებლის“ ი. ვოსტორგოვის პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. სარგებლობდა რა უწმინდესი სინოდის, მთავარმართებელ გ. გოლიცინისა და საქართველოს ეგზარქოსების სრული მხარდაჭერით, იგი აფხაზეთის სკოლებიდან ქართული ენის ამოძირკვას შეუდგა. მისი აზრით, აფხაზებისა და

მეგრელების ნარევი სამურზაყანოელებს ქართველებთან საერთო არაფერი ჰქონდათ, ამიტომ აქ „и богослужение, и обучение, конечно, должно совершаться прямо по-русски, за неимением самурзаканской письменности и своего богослужебного языка“. განსაკუთრებულ „მზრუნველობას“ იგი აფხაზების მიმართ იჩენდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ სოხუმის ოლქში ქართულის ნაცვლად რუსული ენა დანერგა, თვითონ აფხაზი ხალხი კი მთელი იმპერიის წინაშე შეარცხვინა. აი, რას წერდა ი. ვოსტორგოვი: „Абхазцы _ племя очень способное; в школах они учатся, но на содержание церквей, причтов и школ не дают буквально ни одной копейки. Религиозном и нравственном отношении они стоят невысоко; Церквей не посещают, живут суевериями; особенно отличаются они лживостью и вороватостью. Ложь в присяге _ обычное явление и, как это ни странно только присяги в кузнице на наковальне ценится и почитается высоко; что касается вороватости, то она в среде абхазцев считается особым молодечеством и удальством. Девушки, избирая женихов, отдают предпочтение тем молодым людям, которые славятся ловкостью в деле воровства“. ნათქვამის გასამაგრებლად ი. ვოსტორგოვი საუბრობდა უშუალო შთაბეჭდილებებზე. 1904 წლის ნოემბერში, როცა აფხაზეთში იმყოფებოდა, „გაიგო“, რომ გუდაუთაში არც ერთი ძროხა არ დარჩენილა — ყველა აფხაზებს მოუპარავთ და დაუკლავთ (?!), ხოლო „в Гудаутской второкласной школе абхазцы разворовали все культурные посадки в саду, украли лампы, котлы, скрипку, наконец, в одной школе украли даже учительницу..“

Церковных школ в Абхазии около 50; до последнего времени и в церквах и школах служили и обучали здесь на грузинском языке (სინამღვილეში — რუსულ-ქართულად — ჯ.გ.). Но теперь обучение в школах идет на русском языке; богослужение совершается по славянски; только некоторые молитвы переведены с большими трудностями

на абхазский язык... Теперь абхазцы оказываются удивительно способными к изучению русского языка, усвоят его с любовью".⁷⁸ სამაგიეროდ თვითონ ი. ვოსტორგოვი ვერ შეძლო „უსვოять“, თუ რას ნიშნავდა მასწავლებელი გოგონას „მოპარვა“. მისთვის მთავარი იყო ქართულის გამოდევნა აფხაზეთიდან და რუსულის სრული გაბატონება, აფხაზი ხალხის პრესტიჟი კი, ქართველებზე რომ არაფერი ვთქვათ, სულაც არ აღარდებდა. ი. ვოსტორგოვი შეგნებულად წარმოაჩენდა აფხაზებს ფიცის გამტეხებად, ქურდებად და მატყუარებად, რათა რუს მკითხველს XX საუკუნის დასაწყისშიც ექვი არ შეპარვოდა 1880 წელს მთელი ხალხის დამნაშავედ გამოცხადების „სამართლიანობაში“.

ქართველთა და აფხაზთა ასიმილაციის მედრო შეეხება რუსი ეგზარქოსები გამოდიოდნენ. მათ, რა თქმა უნდა, შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები ძალიან აღიზიანებდათ. გაზეთებში („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“) მომრავლებულმა კრიტიკულმა პუბლიკაციებმა ეკლესიის, განათლების, ამა თუ იმ ენის სწავლების საკითხებზე საქართველოს ეგზარქოს ალექსის (1901-1905 წწ) შეშფოთება გამოიწვია; მას განსაკუთრებით სახელმწიფო (რუსული) ენის ბედი აღელვებდა. 1904 წლის აპრილში მთავარმართებელ გ.ს. გოლიცინს იგი წერდა, რომ ქართულ გაზეთებში, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ „სახელმწიფო ენის სწავლებას“, არის მისწრაფება „обратить церковную школу Закавказья в учреждение религиозно-национальное, как средство воспитывать в народе дух отчуждения от России“.⁷⁹ ეგზარქოსმა ჯერ კიდევ 1902 წ. სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს სპეციალური განკარგულებით მოეხდინა ქართული გაზეთების შეზღუდვა, რათა არ ყოფილიყო განხილვა „вопросов церковно _ школьных в грузинском экзархате“. მინისტრმა მაშინათვე გამოსცა ასეთი განკარგულება, რომლის ძალითაც საცენზურო კომიტეტს ეძლეოდა წინადადება: „все предзначаемые к печатению в грузинских повременных изданиях статьи и корреспонденции, обсуждающие внутренний строй, учебные програм-

мы, метод и язык преподавания, а так же и действие в этом направлении церковно _ школьных деятелей и вообще известия о направлении учебной и воспитательной жизни в церковно _ приходских школах Грузинского экзархата представлять на просмотр экзарха Грузии и разрешать к печати не иначе, как по одобрению экзархом Грузии подобных статей и известий".⁸⁰ აღნიშნული განკარგულება თავიდან ასე თუ ისე მოქმედებდა, ზღუდავდა ქართული პრესის თავისუფლებას, მაგრამ იმპერიაში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობამ, როცა წინა პლანზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის თემამ წამოიწია, კვლავ ხელფეხი გაუხსნა პრესას.

სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის წარუმატებელი მცდელობა. 1901-1906 წწ.

მომავალში მოსალოდნელი ახალი პრობლემების თავიდან აცილების, აფხაზეთში ქართული გავლენის შეზღუდვისა და მხარის ასიმილაციის დაჩქარების ინტერესებს ემსახურებოდა აღმინისტრაციულ მართვაში განხორციელებული გარკვეული ცვლილებები. 1902 წლის იანვარში გაგრის ტერიტორია იმპერატორის ნათესავმა პრინცმა ა.პ. ოლდენბურგსკიმ შეიძინა და წლისთავ-

ზე — 1903 წლის 9 იანვარს გაგრის კლიმატოლოგიური სადგური გახსნა.⁸¹ იმავე დღეს პრინცესა ევგენია ოლდენბურგსკაიას მეცადინეობით აღდენილი გაგრის წმ. იპატის უძველესი ტაძრის (VI ს.) კურთხევაც მოხდა.⁸² ეკლესიის კრებულს ხელფასები პრინცმა დაუნიშნა: მღვდელს — 850 მანეთი წელიწადში, მედავითნეს — 450 მან (სახელმწიფო კი მღვდელს აფხაზეთში 350-400 მანეთს უხდიდა, მედავითნეს — 100-150 მანეთს).

1903წ. მაისში ახალგახსნილი სკოლის მოსანახულებლად, სადაც ქართულს ასწავლიდნენ, პრინც ოლდენბურგსკის მოწვევით, გაგრას ილია ჭავჭავაძე ესტუმრა. იქიდან მობრუნებული საქართ-

ველოს უგვირგვინო მეფე სოხუმის ქართულ საზოგადოებას შეხვდა, რის შესახებაც მოკლე ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „ივერიამ“ (1903 წლის 28 ივნისი). სოხუმში ილია აღფრთოვანებით საუბრობდა ადგილობრივი ქართველების ძლიერებაზე. „აქ, თქვენ რომ გიყურებთ, — აცხადებდა იგი, — გული მინათლდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია, აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ“.⁸³ ამავე დროს, დიდი ილია, გაგრაში ნანახის (მდიდარი უცხოელის მიერ ქართული მიწის შესყიდვა) გათვალისწინებით, საუბრობდა მოსალოდნელ საფრთხეზეც — უხმლოდ და უსისხლოდ აფხაზეთის დაკარგვის საშიშროებაზე. მისი სიტყვები სულ მალე ახდა. 1903 წელს სოხუმის ოლქი ჯერ გამოიყვანეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დაქვემდებარებიდან და უშუალოდ მთავარმართებელს დაუმორჩილეს; 1904 წლის 25 დეკემბერს კი იმპერატორის სპეციალური ბრძანებულებით გაგრის კლიმატოლოგიური სადგურის ტერიტორია გამოეყო სოხუმის ოლქს და შავიზღვისპირეთის გუბერნიას შეუერთეს.⁸⁴ ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი. პარალელურად ხელისუფლება შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან აფხაზეთის მიერთებას და სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფას გეგმავდა. გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ სოხუმიდან ასეთი ინფორმაცია მიიღო: „აქპეტერბურგიდან მოვიდა ამბავი, რომ სახელმწიფო საბჭოში ამ მოკლე ხანში განხილული იქნება პროექტი შესახებ სოხუმის ოლქის შეერთებისა ჩერნომორიის გუბერნიასთან. ნოვოროსიისკიდან საგუბერნიო მმართველობა დ. სოჩაში გადმოვა. სამურზაყანო ზუგდიდის მაზრას მიეწერება, ხოლო აფხაზეთი ჩერნომორიის გუბერნიის ნაწილი შეიქმნება და გაიყოფა სამ მაზრად: ოჩამჩირის, სოხუმისა და გუდაუთისად“.⁸⁵ 1901წ. 20 ოქტომბერს სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა უწმინდესი სინოდის წინაშე აღძრა უშამდგომლობა მისდამი რწმუნებული ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფისა და მისთვის თვითმდგომი ეპარქიის (ვლადიკავკაზის ეპარქიის მსგავსად) სტატუსის მინიჭების შესახებ. თავის მოსაზრებას იგი სხვადასხვა არგუმენტებით ასაბუთებდა. პირველ რიგში, მას მიაჩნდა, რომ სოხუმის ეპარქიას უპირატესად

აფხაზური და რუსული მოსახლეობით საეგზარქოსოში შემავალ სხვა ეპარქიებთან ვითომ არავითარი ტომობრივი კავშირი არ ჰქონდა. გამოყოფის აუცილებლობას, არსენის მტკიცებით, მართვის მოუხერხებელი სისტემის არსებობაც განაპირობებდა; კონსისტორიის არ არსებობა (არსებობდნენ რუსეთის ეპარქიებში) და მიმდინარე საკითხების (მეტრიკების გაცემა, საჩივრების განხილვა, სასულიერო პირთა დანაშაულობებზე გამოძიების ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.) საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში განხილვა ზოგჯერ წლობით აჭიანურებდა არც თუ ისე რთულ, მაგრამ ადამიანებისათვის (სასულიერო და საერო პირებისათვის) ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას (ეს პრობლემა მართლაც არსებობდა, მაგრამ მართვის სრულყოფას არა გამოყოფა, არამედ ეპარქიებისათვის უფლებამოსილების გაზრდა სჭირდებოდა). ერთ-ერთი არგუმენტი გამოყოფის სასარგებლოდ ის იყო, რომ ეპარქია თბილისიდან შორს მდებარეობდა. არსენის აზრით, მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხელს შეუწყობდა აფხაზთა შორის მისიონერული საქმიანობის გააქტიურებას.

სოხუმის ეპისკოპოსმა ერთდროულად მთავარმართებელ გ. გოლიცინსაც მიმართა (უწმინდეს სინოდში გაგზავნილი დოკუმენტის ასლი მიართვა) და სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის საქმეში დახმარება სთხოვა. 1901 წლის 15 დეკემბერს გ. გოლიცინმა წერილი გაუგზავნა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ კ. პობედონოსცევს, რომელშიაც მთლიანად დაეთანხმა არსენის მოსაზრებებს. არ შემოძლია თანაგრძნობით არ მოვეკიდო ეპისკოპოს არსენის შუამდგომლობას, — წერდა მთავარმართებელი, — განსაკუთრებით იმიტომ, რომ „Сухумскую епархию с ее преобладающим абхазским и русским населением, было бы желательно, не только в отношении духовного управления, но и по политическим соображениям, совершенно изолировать от крайне нежелательного грузинского влияния, возможного чрез упомянутую Синодальную Кантору. Поэтому я вполне присоединя-

იუს კრედპოლოჟენიამ პრეოსვაჟენენო არსენიო ო ვუდელენი სუხუმსკოი ეპარქიი იზ ვედენიე გრუზინო _ იმერეტინსკოი სინოდალნოი კანტორი, ს ოსტროიჟვომ დია ნეე ოსობოე ეპარქიალნოე უპრავლენიე".⁸⁶

უწმინდესმა სინოდმა 1902წ. 4 იანვარს ეპისკოპოს არსენის შუამდგომლობა მთავარმართებლის 1901წ. 15 დეკემბრის წერილთან ერთად დასკვნისათვის საქართველოს ეგზარქოსს გადმოუგზავნა. უმაღლეს სასულიერო დაწესებულებას აინტერესებდა მომავალი თვითმდგომი სოხუმის ეპარქიის საზღვრები, სამრევლოებისა და სამღვდელთების რაოდენობა, ცნობები მონასტრებისა და სხვა საეპარქიო დაწესებულებების შესახებ, ეპისკოპოს არსენის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ხარჯების სავარაუდო მოცულობა და ამ ხარჯების ან მისი ნაწილის ადგილობრივი სახსრებით დაფარვის შესაძლებლობა.

1902 წლის 8 თებერვალს ეგზარქოსი თავის დასკვნას უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს უგზავნის. „ვიჩქარი მოგაწოდოთ ჩემი მოსაზრება სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის საკითხებზე“, — წერდა ეგზარქოსი. იგი მთლიანად იზიარებდა ეპისკოპოს არსენის არგუმენტებს საეკლესიო მართვის თვალსაზრისით არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით; მათ შორის ყველაზე მთავარი იყო მისთვის „იძულებითი ხასიათი, სოხუმის ეპარქიის მისწრაფებისა საქართველოსაკენ, რომელთანაც არაფერი აქვს საერთო მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობით“. სოხუმის ეპისკოპოსის შუამდგომლობასა და მთავარმართებლის დასკვნაში დასმულ საკითხებს, — აღნიშნავდა ალექსი, — „მიყვავართ მოსაზრებამდე საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის საჩქაროდ გამოყოფისა და მისთვის თვითმდგომი საეპარქიო მმართველობის მინიჭების („о даровании“) აუცილებლობამდე“. არსენის პროექტის განხორციელების შემთხვევაში, განმარტავდა ეგზარქოსი, სოხუმის ეპარქია მოიცავდა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქს და შავი ზღვის გუბერნიას მთლიანად, ყუბანის ოლქის ნაწილს — ქ. ანაპის მიმდებარე ადგილებით; ამ რეგიონის 600 კილომეტრიან ზღვისპირა ვიწრო ზოლში იყო 102 სამ-

რევლო და სამი მონასტერი, 124 ეკლესია და სამლოცველო სახლი; მოსახლეობა 103 ათასს უღის შეადგენდა, მათ შორის შავი ზღვის ოლქში — 53 ათასამდე, სოხუმის ოლქში 48 ათასამდე, ანაპაში — 2 ათასამდე. „მართლმადიდებლური მოსახლეობა შედგება უმთავრესად აფხაზებისაგან და რუსებისაგან, აგრეთვე სამურზაყანოელებისაგან“, — წერდა ალექსი. მისი აზრით, პროექტის რეალიზაცია უზარმაზარ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, ადგილობრივი შემოსავლები კი არ არსებობდა; დაფინანსების ერთადერთ წყაროდ ხაზინა რჩებოდა, რადგანაც „ახლო მომავალში ძნელია ველოდოთ, რომ სოხუმის ეპარქიის სამრევლოები, რომლებიც მთებზეა მიმოფენილი და რომლებიც ახლახან მონათლული ან ჯერ კიდევ ველური აფხაზებისაგან შედგებიან, ადგილობრივი სახსრებით ეპარქიის კეთილდღეობის განმტკიცებას შეძლებენ“.

ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ეგ ზარქოსმა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორს საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის ახალი პროექტი შესთავაზა. „ჩემი აზრით, მოსახერხებელია და სოხუმის ეპარქიისათვის ყველა თვალსაზრისით სასარგებლო დღევანდელი თავისი შემადგენლობით ისწრაფოდეს ჩრდილოეთისაკენ, ერთიანად რუსული მოსახლეობისაკენ და არა სამხრეთისაკენ, საქართველოსაკენ, — წერდა ალექსი. — სულ 20 წლის წინ (1885 წლამდე — ჯ.გ.) შავი ზღვის გუბერნია (ყოფილი ოლქი) ქნოვოროსიისკენ ერთად კავკასიის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც ამ ადგილების გარდა, მოიცავდა ყუბანისა და თერგის ოლქებს და სტავროპოლის გუბერნიას, გადაჭიმული იყო რა ზღვიდან ზღვამდე. ბოლო ოცი წლის განმავლობაში თერგის ოლქი გაერთიანდა რა დაღესტნის ოლქთან, გამოიყო ცალკე ეპარქიად (საუბარია იმაზე, რომ 1885 წელს კავკასიის ეპარქია გაიყო სტავროპოლისა და ვლადიკავკაზის ეპარქიებად; მაშინვე აღსდგა სოხუმის ეპარქია, რომელსაც ყოფილი კავკასიის ეპარქიის ნაწილი — შავი ზღვის გუბერნია შემოუერთდა — ჯ.გ.). უეჭველად მომწიფდა სტავროპოლის ეპარქიისაგან ყუბანის ოლქის გამოყოფის საკითხი და, როგორც გვსმენია, ეკატერინოდარში — ყუბანის ჯარე-

ბის საოლქო ქალაქში ეს საკითხი ისმება და განიხილება სულ უფრო და უფრო დაჟინებით. ბუნებრივად წარმოიშობა აზრი, უფრო მოხერხებული ხომ არ იქნებოდა ახალი სავარაუდო ეპარქია შეიქმნას ამჟამინდელი სოხუმის ეპარქიისაგან, რომელსაც შეუერთდება მისი უშუალო მოსაზღვრე ყუბანის ოლქი, რომელთანაც ახლო დრომდე მნიშვნელოვანწილად ერთ ეპარქიას შეადგენდა (მხედველობაში აქვს სოხუმის ეპარქიის ნაწილის — შავი ზღვის ოლქის ყუბანთან ერთად 1885 წლამდე კავკასიის ეპარქიაში ყოფნა — ჯ.გ.). შავი ზღვის სამღვდლოებას ამჟამადაც შვილები ეკატერინოდარში მიჰყავს, სადაც არის ეპარქიალური ქალთა (სტავროპ. ეპარქიაში მეორე) სასწავლებელი და სასულიერო სასწავლებელი მამაკაცებისათვის...

მცირე და მრავალენოვანი სოხუმის ეპარქიისათვის ყუბანის ოლქთან შეერთება ძალიან სასარგებლო იქნებოდა. ყუბანის ოლქში ირიცხება 1. 716. 245 სული შავი ზღვისპირეთის სუფთა რუსული მართლმადიდებლური მოსახლეობა. სოხუმის ეპარქია შეუერთდება შეიძლება, ადგილობრივი საშუალებებით მდიდარ მხარეს: შვილების განათლებაც, სასულიერო სემინარიის — სრულის და არა გამარტივებულის, როგორც ივარაუდებოდა სოხუმში — გახსნაც, სასულიერო სასწავლებელთა შენახვაც, ქვრივთა და ობოლთა უზრუნველყოფაც, კონსისტორიისათვის, სასულიერო სემინარიისათვის საჭირო შენობების აგებაც და სხვა დანარჩენი ხარჯი — ყველაფერ ამას იოლად აიღებს თავის თავზე შეიძლება ყუბანის ოლქი, რომელიც წლითი-წლობით მდიდრდება“. ეს რომ ასეა, აგრძელებდა ეგ ზარქოსი, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ საკმაოდ შემოსავლიანი დრანდისა და ახალი ათონის მონასტრები მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიელი რუსი მომლოცველების ხარჯზე არსებობდნენ; მხოლოდ მათი იმედი შეიძლება ჰქონდესო სოხუმთან ახლოს მდებარე ვასილისკო — იოანე ოქროპირის, მონასტერსაც. ალექსის მტკიცებით, სოხუმის ეპარქიის ყუბანის ოლქთან გაერთიანების შემთხვევაში იქაური სამღვდლოების შვილები „სუფთა რუსულ გარემოში“ ისწავლიდნენ; არ იქნებოდა მიმოსვლის პრობლემა, ვინაიდან განვითარებული იყო საზღვაო და სახმელეთო ტრანს-

პორტი (მალე რკინიგზაც გაივლიდა); არ შეიქმნებოდა გართულე-ბები ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რადგანაც ყუბანის ოლქი, სტავროპოლის გუბერნიისაგან განსხვავებით, მთავარმართებელს ექვემდებარებოდა; არც საეკლესიო — სასკოლო სამმართველოს პრობლემა შეიქმნებოდა — სოხუმის საეპარქიო ზედამხედველი, რომელიც სულ რამდენიმე ათეულ სკოლას განაგებდა, დარჩებოდა „ახალი ყუბან — სოხუმის ეპარქიის ზედამხედველადაც“. თვითმდგომი ეპარქიის შექმნის ერთადერთი მოტივი, — წერდა ალექსი, — არის სოხუმის ოლქისა და შავი ზღვის გუბერნიის სამისიონერო მნიშვნელობა; თუ უწმინდესი სინოდი მართლაც ინებებს „ამ ადგილებში სამისიონერო საქმის გაძლიერებას, მაშინ შესაძლებელია ამ მიზნით სოხუმში საეპარქიო ეპისკოპოსის დატოვება, რომელიც, განთავისუფლდება რა საეპარქიო მართვის ფუნქციებისაგან, მთლიანად დაკავდება აფხაზთა შორის მისიონერული საქმიანობით, თანაც მის თანაშემწემედ იქნება მისიონერი, რომელსაც ხელფასი კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ხარჯზე ეძლევა. ამ მისიონერის ადგილსამყოფელი ამჟამადაც ქ.სოხუმშია“.⁸⁷

1902 წლის 31 მარტს გ. გოლიცინმა თავის წერილში ეგზარქოსისადმი მთლიანად დაუჭირა მხარი ალექსის წინადადებას ყუბანის ოლქის ამჟამინდელ სოხუმის ეპარქიასთან მიერთების შესახებ.⁸⁸

ამრიგად, რუსული საერო და სასულიერო ხელისუფლება სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფას და ყუბანის ოლქთან გაერთიანებას, პირველ რიგში, აფხაზეთის მოსახლეობის რუსულ მასაში გათქვეფის, ქართველთა და აფხაზთა ასიმილაციის მიზნით გვემავდა. ამ განზრახვას არაფერი ჰქონდა საერთო მართლმადიდებლობის ინტერესებთან.

უწმინდესი სინოდი და მისი ობერპროკურორი კ.პობედონოსცევი დიდი მონდომებით შეუდგნენ მუშაობას. 1903 წლის ოქტომბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოხუმის ეპარქია უკვე ჩამოაცილეს საქართველოს საეგზარქოსოს და უშუალოდ უწმინდეს სინოდს დაუქვემდებარეს. ინფორმაციას გარკვეული საფუძველი გააჩნდა. ეგზარქოსი ალექსი 1903წ. აპრილში სო-

ხუმის ეპისკოპოსისადმი გაგზავნილ „ფრიალ საიდუმლო“ წერილში აღნიშნავდა, რომ სოხუმის ეპარქიას, რომელიც უკვე გამოყოფილი იქნებოდა საქართველოს საეგზარქოსოდან, უნდა მიერთებოდა „В ЦЕРЯХ ГОСУДАРСТВЕННЫХ“ ლეჩხუმის ანუ სვანეთის მაზრაც.⁸⁹ სავარაუდოდ, სოხუმის ეპარქიის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილება იყო მიღებული, მაგრამ უწმინდესი სინოდი მისი გაცხადებისათვის ხელსაყრელ მომენტს ეძებდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს 1905 წლის 31 ივლისს ქართველი სასულიერო მოღვაწის პეტრე იერუსალიმელის მიერ კირიონისადმი კისლოვოდსკიდან გაგზავნილი წერილი, რომელიც ასეთ ცნობას შეიცავდა: „1 ივლისიდან განთავისუფლდა სოხუმის ეპარქია ეგზარქის დამოკიდებულებისაგან, როგორც ეპისკოპოსს უცნობებია დეპეშით ეს ამბავი. სოხუმის ეპისკოპოზიც ესენტუკშია ეხლა, ეს ნახავდა ეგზარქს ესენტუკის სადგურზედ“.⁹⁰ 1905 წლის ივლისი — რევოლუციის აღმავლობის პერიოდი ნამდვილად არ იყო სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის გამოცხადებისათვის საუკეთესო დრო. შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ უწმინდესი სინოდი აიძულა ამ ეტაპზე უარი ეთქვა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე თუ უკვე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებაზე.

სოხუმის ეპარქიის ყუბანის ოლქთან მიერთების საკითხი მუდმივად და ძალიან სერიოზულად იდგა უწმინდესი სინოდის წინაშე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1917 წლამდე, მაგრამ, მას ერთდროულად ქართველ ავტოკეფალისტებზე ზეწოლისთვისაც იყენებდნენ. ძნელია სხვა ახსნა მოუძებნო მოტანილ ცნობებს სოხუმის ეპარქიის გამოყოფის შესახებ.

რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომმა და ამ ომში რუსეთის სასტიკმა დამარცხებამ მთელს იმპერიაში დემოკრატიული რევოლუციის აღმავლობა გამოიწვია. სახალხო გამოსვლები საქართველოს, მათ შორის აფხაზეთსაც მოედო. რეგიონში ანტისამთავრობო მოძრაობის წამყვან ძალას შეადგენდა ქართველობა მაშინ, როცა აფხაზურმა მოსახლეობამ მეფის რეჟიმის მიმართ აშკარად ლოიალური პოზიცია დაიჭირა. საყოველთაო-სახალხო გამოსვლებმა

მეფის ხელისუფლება აიძულა ქვეყანაში მთელი რიგი დემოკრატიული და ლიბერალური რეფორმები განეხორციელებინა. გარდაქმნები კავკასიასაც შეეხო. პირველ რიგში, კვლავ აღსდგა მეფისნაცვლის თანამდებობა; მთავარმართებელი გ.ს. გოლიცინი 1905 წლის იანვარში თანამდებობიდან გაანთავისუფლეს, ხოლო იმავე წლის თებერვალში მის ადგილზე ი.ი. ვორონცოვ-დაშკოვი დანიშნეს. როგორც 1905 წლის 31 ივლისს პეტრე იერუსალიმელი ეპ. კირიონს აცნობებდა, მეფისნაცვალს „ნება დაურთავს, რომ აღშენდეს მეჩეთები ოჩამჩირეში და გუდაუთაში, სადაც თავის დღეს არ ყოფილა ეს ისლამის სალოცავნი. ესლა აკლდა ქრისტიანობის დაღუპვას“.⁹¹ თანამდებობა საქართველოს ეგზარქოსსაც დაატოვებინეს — ალექსი ოპოცკი ნიკოლოზ ნალიმოვით (1905-1906 წწ) შეცვალეს. აფხაზეთს მოაშორეს უკიდურესი შოვინისტი და რეაქციონერი, სოხუმიდან ისედაც გაქცეული (ვ. იასტრეხოვთან ერთად) ეპისკოპოსი არსენი. სოხუმის კათედრა ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ (პოლკოვნიკმა), 1893 წლიდან სასულიერო პირმა სერაფიმე ჩიჩაგოვმა დაიკავა (1905-1906 წწ).⁹² თითქმის ერთდროულად სოხუმის ოლქის უფროსი, შოვინისტი ვ. პროგულბიცკი თავადმა ლ. ჯანდიერმა შეცვალა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1905 წლის მარტში საქართველოდან გაიწვიეს თუ გააძევეს რუსიფიკაციის პოლიტიკის მთავარი იდეოლოგი და მისი ცხოვრებაში გამტარებელი, ქართველი ხალხის დაუძინებელი მტერი დეკანოზი ი.ი. ვოსტორგოვი. იგი 1866წ. ყუბანის ოლქში (სტანიცა ნოვო-ალექსანდროვსკაია) მღვდლის ოჯახში დაიბადა; 1887 წელს სტავროპოლის სასულიერო სემინარია დაამთავრა და 1894 წლამდე მშობლიურ მხარეში პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდა. იყო სტავროპოლის სასულიერო სემინარიის გამგეობის წევრი, საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრი; 1894 წლის ოქტომბერში ი. ვოსტორგოვი ელისავეტოპოლში გადაიყვანეს, 1897 წლის ივლისიდან კი საქართველოშია. მუშაობს თბილისის I ქალთა გიმნაზიის, მომღვენო წელს — I კლასიკური გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებლად, 1900 წელს თბილისის რვა სამისიონერო საეკლესიო-სამრევლო სკოლის (კუკიაზე)

გამგედ დანიშნა; 1900 წლის მარტოში ეპ. კირიონის რეკომენდაციით, „за образцовую постановку преподавания Закона Божия, за благотверное воспитательное влияние на учащихся в духе православной церкви, а так же ввиду ревностного служения делу духовно-нравственного просвещения среди местного населения путем проповеднической деятельности“, ეგზარქოსმა განსაკუთრებული მადლობა გამოუცხადა; 1900წ. დეკემბერში უწმინდესმა სინოდმა საქართველოს ეპარქიის (აღმოსავლეთ საქართველოს) საეკლესიო და წერა-კითხვის სკოლების ზედამხედველად დანიშნა და დეკანოზის ხარისხში აიყვანა; ერთდროულად ეგზარქოს ფლაბიანეს მიერ საქართველოს საეგზარქოსოს დაწესებით სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებაზე ზედამხედველად ინიშნება; 1901წ. თებერვალში ეურნალ „დუხოვნი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეგზარხატა“-ს რედაქტორი ხდება, ხოლო აგვისტოში საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების სამხარეო ზედამხედველად ინიშნება, ოქტომბერში — საეგზარქოსოს ფარგლებში განათლების სამინისტროს სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებისა და რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის დარგში ზედამხედველად. ეს თანამდებობები მას აფხაზეთშიც სიტუაციის არევის საშუალებას აძლევდა. 1902წ. აპრილში ი. ვოსტორგოვი სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტის — ანტონის წარდგინებით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის უტატგარეშე (сверхштатным) წევრად ინიშნება; იყო თბილისის საქალაქო სათათბიროს ხმოსანი (დანიშნა ეგზარქოსმა). აი, ეს პიროვნება ცდილობდა ქართული ენის აღგვას პირისაგან მიწისა. ამ საქმიანობას იგი მოსკოვში დაფუძნების შემდეგაც აგრძელებდა. იმპერიის მეორე დედაქალაქში მას მისიონერის თანამდებობა (სექტებთან სამუშაოდ) შეუქმნეს, ხელმძღვანელობდა საეპარქიო სახლს, იყო „მოსკოვსკიე ცერკოვნიე ვედომისტის“ რედაქტორი. ნ. დურნოვო მკაცრად გამოხატავდა ვოსტორგოვის ძალადობისა და უსამართლობისათვის, რასაც იგი, „опираясь на военные, гражданские и духовные административные власти, творил над лучшим из народов России _ наро-

дом грузинским"; უწოდებდა მას საქართველოს უბოროტეს მტერს, რომელიც „служит прежде всего мамоне“, რომელიც თავის თანამოაზრეებთან ერთად არ უშვებდა აღგენას „тех братско-дружеских отношений, которые до Голицынско-Восторговского режима существовали между русскими и грузинами на Кавказе“.⁹³

ი. ვოსტორგოვი თავად წერდა, რომ ის კი არ გააძევეს საქართველოდან, არამედ 1905წ. მარტში პეტერბურგში გამოიძახეს, სადაც ახლადდანიშნულ მეფისნაცვალს — ი. ვორონცოვ-დაშკოვს შეხვდა. მასთან საუბრისას, „изложил ему план моей школьной работы, и так как не мог согласиться с графом, что надобно учить грузин только по-грузински, а осетин и абхазов тоже по-грузински, то я подал в отставку. Справедливость требует сказать, что граф впоследствии сознал свою ошибку и школьная система и учебный план, мною выработанный для церковных школ Закавказья, и теперь в общих основах в принципе остаются непоколебимы“.⁹⁴ ი. ვორონცოვ — დაშკოვის მიერ „შეცდომის“ დაშვებაზე და მის აღიარებაზე საუბარი არასერიოზულია. კავკასიაში ახლადდანიშნული ჩინოვნიკები რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მოჩვენებით ლიბერალურ პოლიტიკას ატარებდნენ, რომელიც მალე თავის ჩვეულ შოვინისტურ გზას დაუბრუნდა.

დაწვებული რევოლუცია კავკასიის საერო და სასულიერო ხელისუფლებას აიძულებდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყვნენ. ლიბერალიზაციის პოლიტიკა სოხუმის ეპარქიასაც შეეხო. მნიშვნელოვანი დღე იყო აფხაზეთელი ქართველებისათვის 1905 წლის 5 ივნისი. 15 წლიანი აკრძალვის შემდეგ იმ დღეს ეპისკოპოს სერაფიმეს ნებართვით სოხუმის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ჩატარდა. იქ შეკრებილი დიდძალი ხალხი მანამ არ დაიშალა, სანამ სოხუმის ეპისკოპოსი არ მოვიდა და მთელი ქართველობის სახელით ივანე შერვაშიძემ მას მადლობა არ გადაუხადა. რა იყო ასეთი აღტაცების მიზეზი? — კითხულობდა ამ ფაქტისადმი მიძღვნილ წერილში თედო სახოკია და თავადვე პასუხობდა: 25 წლის

განმავლობაში რუსული ბიუროკრატია ასიმილაციის პოლიტიკას ატარებდა, მან „იწყო ხელის ფათური ენასა და სარწმუნოებაში, თავის მიზანს დაუმორჩილა ეკლესიაც და სკოლაც, რომლებიც აცდნენ თავის გზას და პოლიტიკანობის მორევში ჩაეფლნენ“. სანაქებო მოხელედ ის ითვლებოდა, ვინც მეტ დევნას და ზიზღს იჩენდა „ტუზემცებისადმი“; „ამ ზიზღისა და დევნის გამო სავსებით იგემეს სოხუმის ოლქში მცხოვრებმა ქართველებმა — რიცხვით 60 ათასამდის. დანაშაულად კმაროდა ის, რომ ქართველი იყავი, სკოლაში ჩვენს შვილებს „დიკარებს“ ეძახდნენ, ეკლესიებში ჩვენს ენას „ძალის ღმუილს“; მთელი ამ წლების მანძილზე „ადამიანის ადამიანურობას მხოლოდ რუსული ენის ცოდნით თუ უცოდინრობით სჯიდნენ“. თ. სახოკია იხსენებს ი. ვოსტორგოვის სიტყვებს: „აფხაზები კავკასიის ყველა ხალხს სჯობიან, რადგანაც ყველაზე უფრო რუსულს ითვისებენ! აი, რა სიტუაციამდის მივიდნენ“.⁹⁵ ყოველივე ამის შემდეგ, როგორც თ. სახოკია წერდა, სოხუმელთა ალტაცების საფუძველი ნამდვილად არსებობდა. სოხუმის ახალი ეპისკოპოსი სერაფიმე ლოიალობას იჩენდა აფხაზური სამრევლოების მიმართაც. 1906წ. 10-12 იანვარს შემდგარმა სოხუმის ოლქის სამღვდელოების ყრილობამ დაადგინა: „Все церковные службы в чисто абхазских приходах совершать на том языке, на котором пожелают прихожане“.⁹⁶

ეპისკოპოსი სერაფიმე გარუსების პოლიტიკის ერთგული რჩებოდა, მაგრამ წინამორბედი რუსი მღვდელმთავრებისაგან განსხვავებით უფრო „ცივილიზებული“ მეთოდებით მოქმედებდა; არარუსი ხალხებისადმი, მათ შორის ქართველებისადმი ცხოველურ სიძულვილს არ გამოხატავდა, რითაც მან გარკვეული პატივისცემა დაიმსახურა. ბოლოს იგი იმასაც მიხვდა, რომ აფხაზეთში წარმატებული მუშაობისათვის საჭირო იყო არა რუსი, არამედ ქართველი ეპისკოპოსის დანიშვნა (იხ. დანართი №31).

მიმდინარე დემოკრატიულმა რევოლუციამ სხვა მრავალ სასიკეთო ცვლილებას დაუდო სათავე. 1905 წლის რევოლუციურ მოვლენებში აფხაზები არ მონაწილეობდნენ, თუმცა არც ისინი იხსდნენ გულხელდაკრეფილები. მთავრობის განზრახვა, სახალხო გა-

მოსვლები აფხაზეთში „ქართულ რევოლუციად“ (აფხაზებისათვის თითქოს მიწების წართმევის მიზნით) მოენათლათ, რათა ორ ხალხს შორის სისხლისღვრის პროვოცირება მოეხდინათ, ჩაიშალა. როგორც პრესა იტყობინებოდა, „ეროვნული განხეთქილება აფხაზთა და ქართველთ შორის მიჩუმ-მიწყნარდა, თუმცა ბნელ ძალებს არ სძინავს“...⁹⁷ აფხაზებს შორის არსებული შიდა უთანხმოებების გამო, ვერ მოხერხდა ერთიანი მოთხოვნების წამოყენება, მაგრამ იყო მთელი მოსახლეობის სახელით მოთხოვნების შედგენის მცდელობა. ასე, მაგალითად, ნიკო თავდგირიძემ და ალექსანდრე შერვაშიძემ აფხაზეთის სახელით მეფისნაცვალს „უშამდგომლობა წარუდგინეს სოხუმის ოლქის არა შავიზღვისპირეთის, არამედ ქუთაისის გუბერნიისათვის მიერთების შესახებ. „ეს უშამდგომლობა ნამესტნიკმა გადასცა ქუთაისის გუბერნატორს და დაავალა ამ საგნის შესახებ მცოდნე პირთაგან კომისია შეადგინოს და გამოაკვლიოს ქუთაისის თუ ჩერნომორის გუბერნიას მიეწეროს სოხუმის ოლქი. სოხუმის ოლქი წინათ ქუთაისის გუბერნიაზე იყო მიწერილი და დიდი ხანია რაც დამოუკიდებელი გახადეს“.⁹⁸ აშკარად ერთობლივი ქართულ-აფხაზური ინტერესების გამომხატველი იყო 1905 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული სოხუმის ოლქის მცხოვრებთა მოთხოვნები (წარედგინა მეფისნაცვალს). დოკუმენტის ავტორები (მათი ვინაობა ჩვენთვის უცნობია) მეფისნაცვალს სთხოვდნენ: 1. სოხუმის ოლქის დატოვებას „თავის ისტორიულ საზღვრებში, როგორც განსაკუთრებული დამოუკიდებელი კუთხე ადმინისტრაციულ მმართველობის მხრივ — და თუ ასეთი დატოვება არ მოხერხდა მაშინ იგი შეუერთდეს ჩერნომორსკის გუბერნიას, ისე კი, რომ ადმინისტრაციულ ცენტრად სოხუმი იყოს;

2. ამ ოლქში მცხოვრები აფხაზები აღარ მოიხსენიონ მეტად საძრახის და დაუმსახურებელ სახელით: „დამნაშავენი“, როგორც ამჟამად სჩადიან ადმინისტრაციის მოხელენი მიწერ-მოწერის და მათთან საუბრის დროს;

3. ამ ოლქის მცხოვრებთაც მიენიჭოთ ის უფლებანი, რაც სამურზაყანოს ოლქის მცხოვრებთა აქვთ; ოლქის უმიწაწყლო მკვიდრთ ეხლავ დაურიგდეთ მიწები. ის მცხოვრებნი ამ ოლქისა,

რუსის ქვეშევრდომნი, რომელიც არანაკლებ 7 წლისა დასახლებულან და მფლობელობენ ამა თუ იმ მიწით, ეხლავ მიეწერონ ამა თუ იმ საზოგადოებას... მეგრელები, რომლებიც ამ ოლქში ცხოვრობენ ნაყიდ მიწებზე, ჩაირიცხონ იმ საზოგადოებებში, სადაც ამჟამად სცხოვრობენ და ამოიშალნონ იმ საზოგადოებებიდან, საიდანაც მოსულნი არიან.

4. უმაღლესად ნება დართონ დაბრუნდნენ ის აფხაზები, რომელნიც 1877-1878 წწ. ოსმალეთში გადასახლდნენ და ამჟამად დაბრუნება სურთ. ამათ უნდა დაუბრუნდეთ სასახლკაროდ სახელმწიფო მიწები..;

7. ეხლავ გაიხსნას საფოსტო გზა გაგრასა და ზუგდიდს შუა...

8. ეხლავ შემოღებულ იქნას საერო, უფასო და სავალდებულო სწავლება;

9. ყველა სტიპენდია სტავროპოლის ვაჟთა გიმნაზიიდან განთავისუფლების შემდეგ გადმოტანილ იქნას სოხუმის რეალურ სასწავლებელში და თვით სტიპენდიების რიცხვი გამრავლდეს;

10. ყველა ამ ოლქში არსებულ სასწავლებელში სავალდებულო გახდეს სწავლება ქართული ენისა, ხოლო ვისაც სურს, აფხაზურისა და მაჰმადიან აფხაზებისათვის — არაბულ ენებისა;

11. უმაღლეს სასწავლებლებში ამ ოლქის მცხოვრებთათვის დაარსდეს სტიპენდიები..;

16. ხალხს მიეცეს უფლება თვითონ აირჩიოს სასულიერო პირი, როგორც მართლმადიდებელ, ისე მაჰმადიანურ მოძღვრებისა;

17. ყველა სამსახურში, თუ განათლების ცენზი უფლებას აძლევს, ადგილი დაეთმოს ადგილობრივ მკვიდრს“.⁹⁹

აღნიშნულ მოთხოვნებში შეჭერებულია ყველა ეროვნული ჯგუფის ინტერესები, გათვალისწინებულია თვით ხელისუფალთა სურვილი სოხუმის ოლქის შავი ზღვისპირეთის გუბერნიასთან მიერთებისა, მაგრამ ისეთნაირად, რომ ფაქტობრივად ხდებოდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების აღდგენა ისტორიულ ფარგლებში. ხელისუფლება, როგორც ჩანს, მიუხედა ამ განზრახვას, ამიტომ ყოველგვარი ღია საუბრები სოხუმის ოლქის შავი ზღვისპირეთის გუბერნიასთან შეერთების შესახებ გარკვეული დროით

შეწყდა. ადმინისტრაციულ მართვაში 1903 წელს განხორციელებული ცვლილებები ძალაში რჩებოდა.

სოხუმის ოლქის მცხოვრებთა მოთხოვნების 16-ე პუნქტი სასულიერო პირთა არჩევითობის შესახებ ეხმიანებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სამურზაყანოს, აფხაზეთისა და ზაქათალის ოლქების ფარგლებში) მომხრეთა მიერ 1906წ. უწმინდესი სინოდის წინაშე დაყენებულ ერთ-ერთ მოთხოვნას: „возстановление выборного начала при замещении освобождающихся мест священно-церковно-служительских“.¹⁰⁰

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობა და აფხაზეთის საკითხი. კირიონი — სოხუმის ეპისკოპოსი

1905 წელს ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობამ მთელი რუსეთის ყურადღება მიიქცია. 1905წ. 31 მარტს იმერეთის სამღვდელოება რუსეთის მინისტრთა კაბინეტს პეტიციას უგზავნის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით. 1905წ. 29 მაისს ხელისუფლებამ სასტიკად და-

არბია ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობა, ხოლო უწმინდესმა სინოდმა მის ორგანიზატორთა მიმართ მკაცრი ზომების გატარება გადაწყვიტა. ამის საპასუხოდ დაფუძნდა „საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღმდგენი ძმობა“, რომელმაც 1905წ. 8 აგვისტოს თავისი მიმართვა გამოაქვეყნა. დოკუმენტი ავტოკეფალიის აღდგენის, ღვთისმსახურებისას ეგზარქოსის მოხსენების შეწყვეტის, ბლალოჩინების გადადგომისა და მათ ნაცვლად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღმდგენი ძმობის სამკაციანი საბჭოების შექმნის მოთხოვნას შეიცავდა. მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიის სამღვდელოება უერთდება ქართლ-კახეთის სამღვდელოებას, მოიწვევა სრულიად საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება, რომელიც გადაამწყვეტ ნაბიჯებს გადადგამს. 1905 წლის

შემოდგომაზე ქართველ ავტოკეფალისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძემ) უწმინდეს სინოდს საქართველოს ეკლესიის აუცილებელი რეფორმის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა. ეს მოხსენება დაედო საფუძვლად 1905წ. 12 დეკემბერს ქართული სამღვდელოების კრების მიერ მიღებულ „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტს“. 1906 წლის გაზაფხულზე ქართული სამღვდელოების მოთხოვნით საქათველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი უწმინდესი სინოდის წინაშე განსახილველად ეგზარქოსმა ნიკოლოზმა დააყენა.¹⁰¹ ქართული ეკლესიისათვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას თვეების მანძილზე უწმინდესი სინოდის მიერ საქართველოს საეგზარქოსოს საქმეების განსახილველად 1906 წ. 18 იანვარს შექმნილი განსაკუთრებული სათათბირო¹⁰² იხილაედა ყოფილი ეგზარქოსების — მოსკოვის მიტროპოლიტის ვლადიმერის, ფლაბიანეს, ვლადიმერის არქიეპისკოპოს ნიკოლოზის, ორლოვის ეპისკოპოსის კირიონის და იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდეს შემადგენლობით.¹⁰³

იმ პერიოდში უკვე განიხილებოდა კირიონის საქართველოში, კერძოდ სოხუმში გადმოყვანის საკითხი. ამაში დიდად იყო დაინტერესებული სოხუმის მოქმედი ეპისკოპოსი სერაფიმე ჩიჩაგოვიც (მას კირიონთან თანამდებობის გაცვლა სურდა), რაც კარგად ჩანს მის მიერ პეტერბურგიდან ორიოლში კირიონისათვის 1905 წლის 15 ნოემბერს გაგზავნილი დეპეშიდან: „Снова отложили назначение. Предполагают вас вызвать в Петербург к 15 января. Очень смущен отсрочкой, зависит все от вас. Приезжайте скорей или пишите телеграмму митрополиту“¹⁰⁴ (ალბათ, პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი იგულისხმებდა). 1906 წლის იანვარში კირიონი, მართლაც ჩამოვიდა პეტერბურგში და ეპისკოპოს ლეონიდემ ოქროპირიძესთან ერთად უწმინდესი სინოდის განსაკუთრებული სათათბიროს სხდომებში აქტიურად მონაწილეობდა; 21 იანვარს კი ორიოლის ეპარქიის ხაზინადარსა და დიდი ხნის მეგობარ ტარას კანდელაკს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „უურნალები გამოწერას თავის დაანებე, რადგანაც ობერ-პროკურორი დამპირდა ჩემს სოხუმში გადაყვანას, ამ დღე-

ებში წარუდგენს ხელმწიფეს დასამტკიცებლად... ჩვენი კრებები არაფრით გათავდება, რადგანაც თავსაგანს — ავტოკეფალიას უქცევენ და უარ ზედ ღვანან. თებერვლის პირველ რიცხვებში ჩემი გადაწყვანის საქმეც დაბოლოვდება და ჩვენი კრებებიც გათავდება. ეცადე მანდ ყველა საქმე გაასწორო“. 1906წ. 4 თებერვალს უწმინდესი სინოდის კანცელარიიდან ობერ-მდივნის ხელწერით ეპისკოპოსმა კირიონმა ასეთი წერილი მიიღო:

“Преосвященному Кириону, Епископу Орловскому и Севскому

По указу Его Императорского Величества святейший правительственный Синод день сего февраля всеподданнейший доклад Святейшего Синода о битии Вашему преосвященству _ епископом Сухумским и Сухумскому Серафиму _ епископом Орловским и Севским. Приказали: 1) Об изъясненном Высочайше утвержденном докладе Святейшего Синода объявить указом Вашему Преосвященству, с предписанием, чтобы вы, сдав все, что могло находиться в Вашем ведении по занимаемой Вами кафедре и получив расчет в следующем Вам содержании по сей кафедре по день Высочайшего о Вас повеления, т.е. 3 сего февраля отправились к месту нового служения, когда на то последует осебое разрешение Святейшего Синода и II) поручить хозяйственному управлению при Святейшем Синоде сделать распоряжение о выдаче Вам следующих по положению из подлежащего источника прогонных денег на проезд Ваш от места настоящего Вашего служения к месту назначения и, сверх сего, из того же источника в пособие на подъем и путевые издержки, причитающиеся по разстоянию суммы, согласно Высочайше утвержденному в 27 день ноября 1889г. мнению Государственного Совета. Февраля 4 дня 1906 года”.¹⁰⁶

ქართული საზოგადოება აღფრთოვანებული, მტრები კი შეშ-

ფოთებულები შეხვდნენ სამშობლოდან ფაქტობრივად გაძევებულ დიდი მამულიშვილის სოხუმში დაბრუნებას. 1906 წლის 8 მარტს ამბროსი ხელაია ეპისკოპოს კირიონს წერდა: „მოგიკითხავთ და გისურვებთ წარმატებას იმ საქმეში, რომლის გადასაწყვეტადაც (ავტოკეფალიის საკითხების — ჯ.გ.) ბრძანდებით მიწვეული პეტრეს ქალაქში. თქვენი სოხუმში დანიშნვამ სოხუმის სამღვდელთა და მთლად ქართველობა მეტად გაახარა და გასახარებელიც არის, მაგრამ არა ქართველებს, პოლიტიკანებს, როგორც ეტყობა, ლახვრად დაესო გულში. ეტყობა, ვერ მოუნელებიათ ის გარემოება, რომ ბოლო მოეღება სოხუმის ეპარქიაში იმ უსამართლობას, რომელიც მეფობდა იქ ქართველების შესახებ. თქვენ, დარწმუნებული ვარ, უსამართლოდ არც ერთ ერის წარმომადგენელს არ მოექცევით. ამის თავდებია თქვენი წარსული მოღვაწეობა რუსეთში, მაგრამ ამას „ბნელი ძალების“ წარმომადგენლები ვერ შეიგნებენ და აკი კიდევ ხულიგნურად გამოილაშქრეს თქვენს წინააღმდეგ გაზ. „კოლოკოლში“. იმეღია, ღირსეულ პასუხს გასცემთ. შეიძლება თქვენს შემდეგ მეც რამე მოვახსენო ამ ხულიგნურ წერილის ავტორს. მე ვგონებ, იმ წერილის დამწერი არა სოხუმელია, არამედ ჩრდილოეთში აქიდან გადასახლებული, შეიძლება კიდევაც იცოდეთ, ვინც არის ეს ვაჟბატონი (იგულისხმება ი. ვოსტორგოვი და მისი ბინძური წერილი კირიონის წინააღმდეგ — ჯ.გ.). სწერონ რაც უნდათ. ჩვენი ხსნა ეკლესიის თავისუფლებაშია, რომელსაც თქვენ მედგრად იცავთ“.¹⁰⁷ ამბროსი ხელაიამ მართლაც გასცა საკადრისი პასუხი პროვოკატორ ი. ვოსტორგოვს,¹⁰⁸ რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

კირიონის სოხუმში დანიშნვას მიესალმა აფხაზეთის სახელოვანი შვილი თედო ჟორდანი (კირიონი და თ. ჟორდანი თბილისის სასულიერო სემინარიაში ერთად სწავლობდნენ). 1906წ. 12 აპრილს იგი კირიონს წერდა: „უმოწყალესო მღვდელმთავარო, გასაღმერთებელო კირიონ!

დიდება ღვთის განგებას, რომელმაც თქვენი ბანოვანი თავი დაუბრუნა კავკასიას; მოგილოცავ, რომ თქვენი საწადელი, რომელზედაც ორი თვის წინ მწერდით, ღლეს აღსრულდა. თქვენ შემობ-

რძანდით ჩვენს სამშობლოში, აფხაზეთში... ოსანნა“.¹⁰⁹ ოდნავ მოგვიანებით — 1906წ. 19 ივლისს კირიონისათვის გაგზავნილ მორიგ წერილში თ. ჟორდანიას იწინასწარმეტყველებს: „ამ არევ-დარევის დროს მარტო შენ გხედავ ნუგეშად ეკლესიისა... მწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა დედა ღმრთისა ღვთისმშობელი შენგონიერს, ფრთხილ კირიონს (რომელ არს კლდე) ჩაგაბარებს ჩვენის ეკლესიის მეთაურობას“.¹¹⁰

1906 წლის 25 თებერვალს კირიონის სოხუმში დანიშვნას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ი. ლოსიევსკი მიესალმა. „Считаю своим долгом, _ წერდა იგი, — принести Вашему преосвященству искреннее поздравление по случаю назначения Вас на кафедру Епископа Сухумского. От души радуюсь, что ваша деятельность теперь будет протекать в родном для вас в крае, где вас так ждут и где, несомненно, будут любить Вас так же как любили везде“.¹¹¹

1906 წლის ივლისამდე ეპისკოპოს კირიონს სოხუმში ფაქტობრივად არ უმუშავია. პეტერბურგიდან მას არ უშვებდა უწმინდესი სინოდი, რომელიც ყველანაირად აჭიანურებდა საქართველოს ეკლესიის საკითხის განხილვას, შესაბამისად, კირიონისათვის სოხუმში გამგზავრების ნებართვის მიცემას. სინოდის წევრი, მიტროპოლიტი ფლაბიანე (მას კირიონის ასტრახანში გადაყვანა უნდოდა) კირიონის სოხუმში დანიშვნის წინააღმდეგ წასულა და მის იქიდან საჩქაროდ გაძევებას მოითხოვდა. კირიონმა, როგორც იგი ს. ჩიჯავაძეს 1906წ. 2 ივნისს წერდა, შეიტყო, რომ ფლაბიანეს, სოხუმში დანიშვნასთან დაკავშირებით „ესე უთქვამს ჩემზედ — козла загнали в огород—ო, ყველა მოძრაობის თავი კირიონია და პეტრიციებიც სულ იმის ჩაგონებით არიან დაწერილიო. ძალიან ცდილობს თურმე ჩემს მანდიდან (სოხუმიდან — ჯ.გ.) გამოძევებას და არავითარ ღონისძიებას არ ერიდება“.¹¹² გულდაწყვეტილი კირიონი ამასთან დაკავშირებით იქვე წერდა: „იმოდენა ქონებას თავი დავანებე, ბერული ფარაჯა გადავიცვი იმ განზრახვით, რომ სამშობლოსათვის მემსახურა და ჩემს სამშობლოში კი აღარ მაყენებენ“.¹¹²

თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში კირიონმა პეტერბურგში უზარმაზარი შრომა გასწია, ჩაატარა მრავალი შეხვედრა, მოამზადა და სათათბიროს კრებებზე წაიკითხა მოხსენებები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე. სოხუმის ეპისკოპოსად დამტკიცებიდან ერთ თვეში (1906წ. 3 მარტს) მან დეპეშა გამოუგზავნა სოხუმის ოლქის უფროსს — თავად ლ. ჯანდიერს და ოლქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თაობაზე მონაცემების მიწოდებასთხოვა. ლ. ჯანდიერი მეორე დღესვე პეტერბურგში აღექსანდრე ნეველის ლავრაში კირიონის სახელზე დეპეშას აგზავნის და აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ შემდეგ მონაცემებს აწვდის: რუსები — 3419, აფხაზები — 40 978, მეგრელები — 9037, სამურზაყანოელები — 44623, გურულები — 56, ქართველები — 60, იმერლები — 53, ბერძნები — 4946, სომხები — 6313, თურქები — 935, ირანელები — 17, ესტონელები — 299, ლატვიელები — 48, ბულგარელები — 230, მოლდაველები — 254, ოსები — 2, ლეზგინები — 9, ალბანელები — 12, თათრები — 2, პოლონელები — 8, ფრანგები — 5, ჩეხები — 3, ავსტრიელები — 2, სხვები — 5.¹¹³ ეს მონაცემები კირიონს აფხაზეთის საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენლობაში შეყვანის დასასაბუთებლად სჭირდებოდა (დეპეშის ტექსტში კირიონის ხელით გამოყოფილია ქართველური ტომები, რომლებიც ერთიანობაში ოლქის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ); ისინი გამოყენებულია ბროშურაში „აფხაზეთი“.

პეტერბურგში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან ერთად აფხაზეთის ბედიც წყდებოდა. ალბათ, ამან განაპირობა კირიონისა და ლეონიდეს შეხვედრა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძესთან (1847-1918 წწ). ის იყო აფხაზეთის მთავრის — ქელაიშ აჰმედ ბეგის შვილის, გავლენიანი თავადის ჰასან ბეგის შვილიშვილი, დედის მხრიდან კი სამეგრელოს მთავრის — ლევან V დადიანის შვილიშვილი (ეკატერინე დადიანისა და დიმიტრი შერვაშიძის შვილი); სწავლობდა მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში, დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი; 1883-1888 წწ თბილისის ვიცე-გუბერნატორია, 1889-

1897 წწ — გუბერნატორი. შემდგომ წლებში იმპერატორის კარზე მსახურობდა, იყო ნიკოლოზ II-ს დედის — იმპერატრიცა მარია თევდორეს ასულის (ამ უკანასკნელმა გ.დ. შერვაშიძე 1888 წ. ახალათონში სტუმრობისას გაიცნო და ძალიან მოეწონა) ამალის წევრი, 1905-1913 წლებში მის კანცელარიას განაგებდა და იმპერატორის კარზე გაავლენით სარგებლობდა; მინიჭებული ჰქონდა ობერგოფმეისტერის მაღალი წოდება. გ.დ. შერვაშიძე ცნობილია ასევე როგორც პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან; მისი მეუღლე ბარონესა მარია ალექსანდრეს ასული ნიკოლაი (მეფისნაცვალის მთავარი სამმართველოს უფროსის ქალიშვილი) ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი გახლდათ.

1906წ. 21 თებერვალს კირიონმა გ.დ. შერვაშიძეს დეპეშა გაუგზავნა და მიღება სთხოვა. იმავე დღეს კირიონმა საპასუხო დეპეშა მიიღო: „Если не затруднит, прошу Вас и епископа Леониды приехать ко мне сюда в Гатчину завтра в среду днем. Благоволите выехать из Петербурга по Варшавской дороге с поездом 1 час или 3 часа. Прошу дать ответа. Шервашидзе“. კირიონმაც მაშინათვე უპასუხა: „Воспользуемся Вашим разрешением выехать завтра в час. Е.К.“¹⁴ 1906წ. 22 თებერვალს ეს შეხვედრა შედგა. კირიონს იგი აღწერილი აქვს ს. ჩიჯავაძისადმი 1906წ. 24 თებერვალს გამოგზავნილ წერილში. გატჩინის სადგურზე ქართველ სტუმრებს გ. შერვაშიძის შვეიცარი დახვდა. „ლეონიდეს თვალები აუჭრელდა, — წერდა კირიონი. — შვეიცარი მოწინებით გაგვიძღვა წინ, ჩაგვსვა კარეტაში და გავემგზავრენით სასახლისაკენ. სასახლეში შეგვხვდნენ შვეიცარები ფორმებით, რომელთაც გულზედ ფოლაქ-ფოლაქ ოქროს მენდლები ეკერათ და შეგვიყვანეს სახლში. ოთახებში სურათები ეკიდა და ზედ სულ, უმართებულო მოხსენებაა, ტიტლიკინა ქალები ეხატნენ შესაცდენელ პოზებში. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, — კი არ მოგწყჩნია, სურათებს ვშინჯავდით, შემოვიდა ჩვენთან პარტიკულიარულად გამოწყობილი და ქართულად გვითხრა: კნი-აზი გთხოვთ, მობრძანდითო. შევედით გვერდით მეორე სადგომში,

მეორე ოთახიდან გამოვიდა შერვაშიძე და სალამი მოგვცა. ძალიან ესიამოვნა ჩვენი მისვლა. ჩამოაგდო ლაპარაკი ჩვენს საქმეზედ. ჩვენ შეძლებისა და გვარად ავუსხენით მიზანი ჩვენი მისიისა. იმან სთქვა: მე თანავუგრძნობ ავტოკეფალიას, ავტონომიას, მხოლოდ რუსულ ენას არ უღალატოთო. ჩვენ განუმარტეთ, რომ ჩვენში რუსულ ენას მუდამ პატივისცემით ექცეოდნენ, მხოლოდ ქართულ ენას კი ხალხი არ დასთმობსო. დიდის თანაგრძნობით უცქერის ჩვენს საქმეს. დავაპირეთ წამოსვლა, მაგრამ არ გამოგვიშვა, ჩემ ცოლ-შვილს მოველი, გაგაცნობებთო. მართლაც ცოტა ხნის შემდეგ პეტერბურგიდან მოვიდნენ იმის ცოლ-შვილი და თ. კოჭაკიძე. შერვაშიძეს სცოდნია, რომ ჩვენი საეკლესიო წიგნების თარგმანი გაცილებით სჯობიან რუსულს. გვკითხა: როგორ არის ქართულად — премудрость прости... ჩვენ ვუპასუხეთ — სიბრძნით აღემართენით. ჩვენი თარგმანი სჯობიან, რუსული უაზროაო. მე მოვუყვანე კიდევ რამდენიმე ამგვარი თვე მაგალითი. ხუთი საათის მატარებლით გამოვემგზავრეთ პეტერბურგისაკენ. ბევრისაგან გამიგია, რომ შერვაშიძე არ არის გულით ქართველიო, მაგრამ ეს ცილისწამებაა“.¹¹⁵

1906წ. მაისში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მისმა თავჯდომარემ ს.ა. მურომცევმა დიდი პატივით მიიღო კირიონი, მინისტრების გვერდზე ლოჟა დაუთმო. „მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ბაასი, — წერდა სოხუმის ეპისკოპოსი. — ისე თავისუფლად ჩემ დღეში არ ამომისუნთქია, როგორც სათათბიროში. მქვერმეტყველება დულს და გადმოდის“.¹¹⁶

1906 წლის მაისის პირველ რიცხვებში კირიონი ჯერ ს. — პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის, შემდეგ კი უწმინდესი სინოდის ახალ ობერ-პროკურორს — თ. შორინსკი — შიხმატოვს შეხვდა და გაცემული დარჩა მათთან საუბრით. ობერ-პროკურორს იგი ასე ახასიათებდა: „როგორც ლაპარაკში ეტყობა, ეს ძველი რეჟიმის სამქედლოშია გამოქედილი... რამდენადაც ობოლენსკი ახალი მიმართულების კაცი იყო, იმდენად ეს ხავსმოკიდებულისავეთ ძველი (პობედონოსცევის) აღთქმის კაცია“.¹¹⁷ ორივე ავტოკეფალიის სასტიკი წინააღმდეგი აღმოჩნდნენ.

იმ დროისათვის კირიონს მომზადებული ჰქონდა მოხსენებები:

„О грузинском церковном вопросе“ და „Что побуждает грузин добиваться автокефалии своей церкви“. როგორც იქნა, თვეების ლოდინის შემდეგ, 1906 წლის 2 ივნისს მოწვეულ უწმინდესი სინოდის განსაკუთრებული სათათბიროს პირველ კრებაზე მან ეს მოხსენებები წაიკითხა. იმავე წლის 8 ივნისის სხდომაზე კირიონმა წარადგინა კიდევ ერთი მოხსენება — „Какой Иверии дарована была автокефалия в XIв.“, ხოლო 20-21 ივნისისათვის მზად ჰქონდა მეოთხე მოხსენება სათაურით: „Национальный принцип в церкви“. პირველ მოხსენებაში ავტორი მიმოიხილავდა საქართველოს ეკლესიის დაარსების, VIII ს. შუახანებში ანტიოქიისაგან დამოუკიდებლობის მიღების, რუსეთის მიერ მისი უკანონოდ გაუქმების ისტორიას. მეორე მოხსენებაში კირიონი საუბრობდა ქართველი ხალხის ისტორიულ და კანონიკურ უფლებებზე, თანამედროვე სავალალო სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე, რომლის გამოსწორება მხოლოდ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით იქნებოდა შესაძლებელი; უარყოფდა მოსაზრებას, თითქოს აღნიშნული საკითხი პოლიტიკური მიზნებით რევოლუციურმა მოძრაობამ (რომელიც არ ცნობდა ეკლესიას, ქრისტიანობას) წამოაყენა; ქართული სამღვდელოება, აცხადებდა კირიონი, XIX ს. დასაწყისიდან პერიოდულად გამოხატავდა უკმაყოფილებას სინოდალური მმართველობის მიმართ. მესამე მოხსენება ტაოკლარჯელი ბაგრატიონების მიერ XI საუკუნეში ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების საკითხებს ეხებოდა. მეოთხე მოხსენებაში კი მითითებული იყო, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ მისი ისტორიის სათავე შივე აღიარა ნაციონალური პრინციპი; როცა სული წმიდა გადმოვიდა მოციქულებზე, — წერდა კირიონი —, იმათ დაუწყეს ღმერთს დიდება სხვადასხვა ენაზე და შემდეგ უქადაგეს ხალხებს სახარება მათთვის გასაგებ ენაზე.¹¹⁸

კირიონის მოხსენების განხილვა ცხარე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა. ერთ-ერთ მთავარ საკამათო თემად აფხაზეთის საკითხი იქცა. ი. ვოსტორგოვისა და სხვა შოვინისტების მტკიცებით, რუსული იარაღით შემოერთებული ფოთი, ბათუმი, სოხუმი, ახალციხე, სადაც ქართველები ვითომ არ ცხოვრობდნენ, არც ერთ შემ-

თხვევაში არ უნდა შესულიყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შემადგენლობაში. კირიონის პასუხი კი ასეთი იყო: „საქართველომ განანათლა ისინი ქრისტიანობით და აქვთ უფლება მათ მმართველობაზეც“.¹¹⁹ კირიონის ამ კონტექსტიდან ამომგლეჯილ ფრაზას, რომელიც 1906 წელს „ცერკოვნიე ვედომოსტში“ (№47) გამოქვეყნდა, იმთავითვე დაუპირისპირდნენ საქართველოს ისტორიის გამყალბებელი შოვინისტები;¹²⁰ უპირისპირდებიან დღევანდელი სეპარატისტ-ფალსიფიკატორებიც.¹²¹ უნდა ვივარაუდოთ, რომ კირიონის პასუხი უფრო ვრცელი და დასაბუთებული იქნებოდა. ამას გრძნობდა ნ. დურნოვოც და ამიტომ წერდა: „ხემათჩამოთვლილი ქალაქები ქართულ მიწაზე დგანან და ქართველებით არიან დასახლებულნი, აი, რა უნდა დაემატოს“ (კირიონის სიტყვებს — ჯ.გ.).¹²²

სოხუმის ეპისკოპოსს უხდებოდა პასუხის გაცემა უსინდისო, მაგრამ ტრადიციულ ბრალდებაზე აფხაზებისა და ოსების გაქართველების შესახებ. ნ. დურნოვო ამის თაობაზე აცხადებდა: „ქართველებს შეუძლიათ ათასი ფაქტი წარმოადგინონ ქართველთა, ოსთა და აფხაზთა ძალმომრეობით რუსიფიკაციაზე, მაგრამ თვით ქართველები ამაში დამნაშავენი არ არიან. სად შეუძლია რუსული იერარქიისაგან დაჩაგრულებსა და დამონებულებს, მძლავრობდნენ სხვებზე და აქართველებდნენ. ცრუობს მ-მა პოლიტიკოს — გამრუსებელი (იგ ულისხმება ი. ვოსტორგოვი — ჯ.გ.). დაე, გაიხსენოს მან, თუ როგორ მონათლა რუსმა ეპისკოპოსმა აგაფადორომა 1892 წელს თითქმის ათი ათასი აფხაზი, რომლის ენა მან არ იცოდა... ეს ხომ ტყუილი იყო, რაც იმით დამთავრდა, რომ ყოვლად სამღვდელმომიიღო სამმილიონიანი მრევლი (სტავროპოლის ეპარქია — ჯ.გ.) და 25 ათასამდე ყოველწლიური შემოსავალი. აფხაზებს კი დაავიწყდათ ნათლობის დროს მიღებული სახელები და მაჰმადიანურ რწმენაზე დარჩნენ. 20 წელი მართავდნენ რუსი ეპისკოპოსები სოხუმის ეპარქიას და გამოირჩეოდნენ იმით, რომ შლიდნენ მართლმადიდებლურ საქმეს, რომელსაც 35 წელი ადადგენდნენ ქართველი ეპისკოპოსები და მისიონერები, რომელთაც იცოდნენ აფხაზური ენა“.¹²³

კირიონი ხედავდა, რომ უწმინდეს სინოდში ქართული ეკლესიის საკითხის განხილვას და სამართლიანად გადაჭრას ხელს უშლიდნენ ი. ვოსტორგოვი (რომელიც „აქ დაწარწის“), ფლაბიანე და სხვები. „როგორც მსჯელობას შევატყუე, ჩვენი საეკლესიო კითხვა აქაილულის წყალს დაჰლევს“, ¹²⁴ — წერდა სოხუმის ეპისკოპოსი 1906წ. 2 ივნისს. ეს რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცა მას 16 ივნისს დანიშნულ ახალ ეგზარქოსთან — ნიკონთან ერთსაათიანმა საუბარმა. ავტოკეფალიის საკითხისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულებითა და გარეგნობითაც (საზოგადოდ უნდა შევნიშნო, — წერდა კირიონი, რომ XIXს. მეორე ნახევრიდან — ევსევიდან დაწყებული მსხვილ ხალხს ნიშნავენ: „ეტყობა, გარეგნობას აქ მეტ მნიშვნელობას აწერენ, სანამ შინაგან ღირსებას“) იგი დიდად არ განსხვავდებოდა წინამორბედებისაგან, თუმცა ხმა გააგრცელებს, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მომხრეაო. კირიონმა შეგნებულად არ მიულოცა ნიკონს ეგზარქოსად დანიშვნა. ¹²⁵

1906 წლის 11 აგვისტოს იმპერატორის ბრძანებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განსახილველად სრულიად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას (რომელიც არც იყო დანიშნული) გადაეცა. რეალურად ეს გახლდათ უარის ტოლფასი, მაგრამ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს თვით ფაქტი უმაღლეს სახელმწიფო დონეზე ასეთი პრობლემის არსებობის, ფართოდ და დეტალურად მისი განხილვის აუცილებლობის აღიარებისა. უწმინდეს სინოდთან ამის შემდეგ შეიქმნა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი სათათბირო, რომლის მეორე განყოფილებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა დაეკისრა.

ახალი სათათბირო ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით, 1906 წლის 23 აგვისტოს მუშაობა დაასრულა იმავე წლის 18 იანვარს შექმნილმა უწმინდესი სინოდის განსაკუთრებულმა სათათბირომ, რომელმაც იმპერატორის ბრძანებისამებრ, შეიმუშავა და დაამტკიცა დოკუმენტი საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის შესახებ. იგი ავტოკეფალისტთა წინაშე უმნიშვნელო დათმობას წარმოადგენდა. საეგზარქოსოში არსებული პრობლემების გან-

ბილვის შემდეგ უწმინდესმა სინოდმა გაითვალისწინა, რომ „ა) епархиальные архиереи экзархата не обладают полностью епископской властью. Епископы отдельных епархий, именующиеся самостоятельными, а не викарными (Имеретинский, Гурийско – Мингрельский и Сухумский) находятся в зависимости от Синодальной Канторы в тех проявлениях архиерейской власти, которые должны всецело принадлежать им. При них вовсе нет исполнительных органов (консистории или правлений), чрез которые они могли бы осуществлять предоставленную архиереям церковными канонами и действующими постановлениями власть. За ними остается лишь право рукоположения в священник сан, назначение, перемещение, увольнение и временное запрещение священнослужителей. Все же прочие дела – судные, бракоразводные, по выдаче метрических записей и другие сосредоточены в Грузино-Имеретинской синодальной канторе; б) Преподавание школьных предметов в некоторых церковных школах экзархата требует тщательного пересмотра, так как в них недостаточно обращается внимания на значение родного языка при первоначальном обучении; в) В духовно – учебных заведениях недостаточно отводится места церковно – грузинскому языку и вообще местным языкам, последствием чего нередко является неподготовленность пастырей к своему служению”.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, უწმინდესმა სინოდმა დაადგინა: 1) საქართველოს საეგზარქოსოში საეპარქიო ხელმძღვანელობის ძალაუფლების სრულად აღდგენის მიზნით, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის საეპისკოპოსოები გარდაიქმნას დამოუკიდებელ ეპარქიებად. საეგზარქოსოს ყველა დამოუკიდებელ ეპისკოპოსთან შეიქმნას საეპარქიო სამმართველოები, რომელთა შემადგენლობაში შევიდეს ადგილობრივი მღვდელმთავრების მიერ შერჩეული და ეგზარქოსის მიერ დამტკიცებული სამ-

სამი სასულიერო პირი; სამმართველოთა კანცელარიები ჩამოყალიბდეს ამჟამად არსებული საეპარქიო კანცელარიებისაგან, გაიზარდოს მათი შემადგენლობა; კონსისტორიების წესდების მიხედვით, საეპარქიო ხელმძღვანელების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები გადაეცეს იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის საეპარქიო სამმართველოებს; დაევალოს სინოდალურ კანტორას დაუმთავრებელი საქმეები თანდათანობით შესაბამის სამმართველოებს გადასცეს; საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა გარდაიქმნას ისეთნაირად, რომ მან სამი მუდმივი წევრის შემადგენლობით ეგ ზარქოსთან არსებული სასულიერო კონსისტორიის ფუნქცია შეასრულოს, ხოლო ეპისკოპოსების შემადგენლობითა (მათ ექნებოდათ კანტორის წევრების სტატუსი) და ეგ ზარქოსის თავჯდომარეობით — ფუნქცია საეკლესიო დაწესებულებისა, რომელსაც ყველა ეპარქია დაექვემდებარება; კანტორის წევრებს (ე.ი. ეპისკოპოსებს) ეგ ზარქოსის საჭიროებისამებრ წელიწადში ორ-სამჯერ მოიწვევდა. ეპისკოპოსებით დაკომპლექტებული სინოდალური კანტორის გამგებლობაში შედიოდა კავკასიაში მართლმადიდებლობის გავრცელებისა და დაცვის ზოგადი საკითხები, მწიქმსმთავართა და სამწყოსოს ზნეობრივ-რელიგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, უწმინდესი სინოდისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ინფორმაციის მიწოდება, მღვდელმთავრების ადმინისტრაციულ განკარგულებებზე სასულიერო და საერო პირთა საჩივრების განხილვა, სასულიერო პირთა საჩივრების მოსმენა მღვდელმთავრების მიერ მათზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სასჯელთან, აგრეთვე არქიელთა სასამართლო გადაწყვეტილებებთან (გარდა უწმინდესი სინოდის გამგებლობაში შემავალი საკითხებისა) დაკავშირებით, საეგ ზარქოსს ეპარქიებს შორის სახაზინო თანხებისა და სინოდალური სპეც-სახსრების განაწილება. ეპისკოპოსები უწმინდეს სინოდს მხოლოდ ეგ ზარქოსის მეშვეობით მიმართავდნენ.

2) უნდა მომხდარიყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და ეგ ზარქოსის კანცელარიების შემცირება და საეპარქიო სამმართველოების კანცელარიათა შტატების, გაზრდა.

3) უწმინდეს სინოდთან არსებულ სასწავლო საბჭოს დაევალოს საეგზარქოსოს საეკლესიო სკოლების მოწყობის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების დაჩქარება.

4) „Усилить в духовно-учебных заведениях экзархата преподавания церковно-грузинского богослужебного языка и местного церковного пения взамен церковнославянского языка, озаботиться упражнением воспитанников в проповедничестве на местных языках и ознакомлением их с порядком совершения богослужения на местном богослужебном языке, дабы получившие образование в школе пастыри церковные могли и строго и благоговейно совершать богослужения на их родном языке.“

5) Образовать на месте комиссию для перевода Библии на местные языки и для издания, в потребном для приходов количестве церковно _ богослужебных книг и церковно _ певческих сборников”.¹²⁶

ასეთი იყო უწმინდესი სინოდის 1906წ. 23 აგვისტოს გადაწყვეტილება.

საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის თაობაზე უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილების მიღებაში ეპისკოპოს კირიონს მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მისი აღრინდელი რეკომენდაციები მხედველობაში იქნა მიღებული. 1906 წლის ივლისიდან იგი სოხუმში იმყოფებოდა. ეპარქიის სათავეში ყოფნის პერიოდში (რამდენიმე თვის განმავლობაში) კირიონმა უზარმაზარი მუშაობა გასწია და მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა. მან იმთავითვე უარყო რუსი ეპისკოპოსების მიერ დანერგილი იძულებით „გაქრისტიანების“, მონათლულთა ყალბი სიების შედგენის (ჭილდოსა და ახალი თანამდებობის მიღების მიზნით) მანკიერი პრაქტიკა (იხ. დანართი №30) და მთელი ყურადღება მრევლთან შეხვედრებზე, ქადაგებაზე, ახალი სამრევლოების გახსნაზე, ეკლესიების აღდგენა-მშენებლობაზე გადაიტანა. ასე, მაგალითად, გუმისთის უბანში მომდევნო ორი წლის განმავლობაში 10 ეკლესიის აშე-

ნება იყო დაგეგმილი.¹²⁷ ქსოხუშში 511 ქართველის ხელმოწერით შემოტანილი განცხადების საფუძველზე გადაწყდა წმ.ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის აშენება, რისთვისაც შეიქმნა კომიტეტი აღათი შერვაშიძის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრები იყვნენ ვ.გოგრიჭიძე, ტ.გაბუნია, მღვდელი მ.გვაზავა, გ.თურქია, რ.კარანაძე, ბ.ქარჩავა, გ.ნადარეიშვილი, მ.კირთაძე და სხვები. ეპისკოპოსი კირიონი მომავალი ტაძრისათვის ძვირფასი სამკაულებით გაწყობილი ვერცხლის ხატის დამზადებას მოსკოვში ფაბრიკანტ რინდინის საწარმოში აპირებდა. შავიზღვისპირეთში რკინიგზის გაყვანის გეგმის რეალიზაცია, როგორც კირიონი თვლიდა, აფხაზეთის უცხოური კოლონიზაციის ახალ ტალღას გამოიწვევდა, რომელთანაც გამკლავებას იქაური ქართველები ვერ შეძლებდნენ. ამიტომ იგი ჩქარობდა სოხუმში „ორი შეუპოვარი სიმაგრე ქართველი ეროვნებისა“ — ეკლესია და სკოლა აეშენებინა.¹²⁸

1906 წლის 14 აგვისტოს კირიონი დრანდის მონასტერს ეწვია და მეორე დღეს ტაძრის დღესასწაულთან დაკავშირებით წირვა ჩაატარა, ხოლო 6-11 სექტემბერს ეპარქიის დათვალიერება მოაწყო; ესტუმრა თანამედროვე გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებს. ახალი მღვდელმთავარი დიდი პატივით მიიღეს აფხაზებმაც და ქართველებმაც (იხ.დანართი №30). სრულიად გაქარწყლდა ვოსტორგოვების მიერ აგორებული ქორი, რომ თითქოს აფხაზები კირიონს სოხუმში ჩასვლისთანავე მოკლავდნენ, უკეთეს შემთხვევაში, არ მიიღებდნენ.¹²⁹ 1906 წლის ნოემბერში კირიონმა კვლავ რამდენიმე სამრევლო მონახულა, ათ რიცხვში იყო ილორის ეკლესიის დღესასწაულზე, სადაც ქართულად სწირა, ხოლო ეპისკოპოსის გუნდიდან სამმა კაცმა გალობა ქართულად შეასრულა.¹³⁰

სოხუმის ქართველი ეპისკოპოსის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან ყველა ეროვნების მრევლს — ქართველებს, რუსებს, ბერძნებს — საკუთარ ენაზე ლეთისმსახურების შესაძლებლობა შეუქმნა. რათა ასეთივე შესაძლებლობა აფხაზებსაც ჰქონოდათ, კირიონმა ჩამოაყალიბა და ინტენსიურად მუშაობდა საეკლესიო ლიტერატურის აფხაზურ ენაზე მთარგმნელი კომისია (იხ.დანართი №№31, 33, 34). ეროვნული მოთხოვნების

დაკმაყოფილებას ემსახურებოდა ეპარქიის ახალი დაყოფა შედარებით მცირე საბლალოჩინო ოლქებად, რის შესახებაც გადაწყვეტილება ეპარქიის სამღვდელთა კრების მიერ მიიღო.¹³¹ იგი 1906 წ. 18-24 სექტემბერს შედგა და 18 საკითხი განიხილა. ყრილობა ეპისკოპოსმა გახსნა; მის თავმჯდომარედ სამურზაყანოელი ბლალოჩინი ს. სვანიძე (მისი შთამომავალია ამჟამინდელი ცნობილი რუსი ეურნალისტი ნიკოლოზ სვანიძე) აირჩიეს, მდივნად (საქმისმწარმოებლად) — მღვდელი ნ. ყორდანი. ეს არ მოეწონა შავი ზღვისპირეთის გუბერნიის რუს სამღვდელოებს და, მიუხედავად მათ მიმართ თავაზიანი მოპყრობისა, ყრილობა დემონსტრაციულად დატოვა. ამის თაობაზე დელეგატებმა ოქმი შეადგინეს და ეპისკოპოსს წარუდგინეს. კირიონმა რუსი მღვდლების ეს საქციელი გაკიცხა, ვინაიდან ის არ შეესაბამებოდა „მღვდლის მაღალ ხარისხს. ქრისტეს ენა პირში უდევთ და ამისთანა საქმეს კი სჩადიან. ესეც წმინდა ტრაპეზის მოსამსახურენი!“¹³² ყრილობის ერთ-ერთი გადაწყვეტილება ახალი ათონის მონასტრის რელიგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაბმას შეეხებოდა. მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენის მიზნით თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ შექმნილ მონასტერს, რომელიც სოხუმის ოლქში 6 ათასამდე დესეტინა მიწას ფლობდა, თითქმის არაფერი გაუკეთებია ამ მთავარი მიზნის მისაღწევად, თუ არ ჩავთვლით ერთკლასიანი საეკლესიო სკოლის გახსნას, რომლის პედაგოგებსაც კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოება ინახავდა; ყრილობა სთხოვდა ეპისკოპოს კირიონს ეშუამდგომლა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წინაშე, რათა ახალი ათონის მონასტერს ყოველწლიურად აფხაზთა და მათი ღარიბი მღვდლების შვილების აღსაზრდელად გაეღო 5 ათასი მანეთი სასტიპენდიო ფონდის დასაფუძნებლად. ყრილობის გადაწყვეტილება კირიონმა მოიწონა და იმავე წლის 6 ნოემბერს სინოდალურ კანტორას შესაბამისი ეშუამდგომლობა წარუდგინა და მისი დაკმაყოფილება მოითხოვა, ვინაიდან „для религиозно-нравственного просвещения в Абхазии весьма важное значение имеет научное образование де-

თეი აბხაზცევი, დაბი მნიღიე იზ ნიხ ვპოსლედივი მოღი ს პოლზოე დლე სვოეი როდინი პოტრუდიტსე ვ დოღნიტი ნაროდნიხ უჩიტელი ილი ჟე ვ სვუიენო _ ცერკოვნოსლუჟიტელსკიხ დოღნიტსუხაჟი“; სტიპენდიის დოფუძენბე, — წერდა კირიონი, — “პოსლუჟილო ბი ბოღსიმი პოდსპორემ დლე სვუიენო _ ცერკოვნო _ სლუჟიტელი აბხაზსკიხ პრიხოდოვ”.¹³³

სოხუმის ეპარქიის სამღვდელოების ყრილობის დამთავრებამდე საპარქიო საბჭომ თხოვნით მიმართა ახალი ათონის მონასტრის ხელმძღვანელობას ეცნობებინა, თუ რა დახმარების გაწევა შეეძლო მას. მონასტრის წინამძღვარმა იერონმა სოხუმის მომღვწეო ეპისკოპოსის დიმიტრის მხარდაჭერით სასტიპენდიო ფონდის დასაფუძნებლად ყოველწლიურად 5000 მანეთის სოხუმის ეპარქიაში შეტანა (სოხუმში სასულიერო სასწავლებლის გახსნის შემთხვევაში მზად იყვნენ მის დასაფინანსებლად ყოველწლიურად 1000 მანეთი გაეღოთ) ისევე აიცილა თავიდან, როგორც 1903 წელს მცირეწლოვან დამნაშავეთა გამოსასწორებელი სკოლის დაარსება (უწმინდესი სინოდის 1901 წ. გადაწყვეტილებისა და იუსტიციის სამინისტროს ცირკულიარის შესაბამისად) და მისი დაფინანსება.¹³⁴

მთლიანობაში, სოხუმის ეპარქიის ყრილობის შედეგებით ეპისკოპოსი კირიონი კმაყოფილი დარჩა, იგი ხედავდა, რომ „სოხუმის ეპარქიაში ქართული საქმე თანდათან გამოკეთდა... (შეწყდა შევიწროება — ჯ.გ.). სამღვდელოების პირველმა კრებამ საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ. ბევრი დეპუტატთაგანი შესამჩნევად დახელოვნდა ლაპარაკში. პირველ სხდომაზედ თურმე ვერ ახერხებდნენ თათბირს, მერე კი თანდათან გაბედულად და მოთქერებით დაიწყეს კამათი. ესეც, რასაკვირველია, სკოლაა, რომელშიც იწურთნებიან და ლაპარაკის უნარს იძენენ. ყველას დაეტყო გამოთხიზლება, ხალისი, სითამამე. ეს ახალი სიოს ბრალია. დაჩაგრულთა და დევნილთა ახლა თავისუფლად ამოისუნთქეს.

მღვდელი ტ.ჯოხთაბერიძე გადმოვიყვანე გურია-სამეგრელოს ეპარხიიდან (ზუგდიდიდან — ჯ.გ.) და კაპანაძის ადგილზედ სკოლების მეთვალყურედ დავნიშნე. ქართველ სემინარიელ მღვდლებს ვამრავლებ, მომავალ ეპარხიალურ სამმართველოს წევრებად გამო-

მადგებიან“.¹³⁵

ეპისკოპოსი კირიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საკადრო პოლიტიკას განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე აფხაზურ სამღვდლოებას შეეხებოდა. ამის შესახებ იგი თავად წერდა: „В Сухумской епархии установлен следующий порядок назначения священников в абхазские приходы. Если нет кандидата из абхазцев, то желающий получить место священника подвергается экзамену в абхазской комиссии, состоящей исключительно из природных абхазцев, и если комиссия выдает ему свидетельство в знании абхазского языка, то ему предоставляется место. Я неоднократно просил просвещенных абхазцев-мирового посредника А.М.Лакербая и благочинного священника о.Д.Маргания приискывать мне кандидатов для замещения священнослужительских вакансии в абхазских приходах, но получал от них ответ, что в настоящее время нет правоспособных кандидатов между абхазцами. В абхазских приходах все священники из грузин владеют абхазским языком и абхазцы почти все знают язык мингрельский _ наречие грузинского языка. Сами абхазцы иногда ходатайствовали о назначении грузина в место абхазца. У меня был такой случай. Я назначил в абхазский приход (ბარმიშუი — ჯ.გ.) на вакансию священника абхазца Яджибу и рукоположил его, сельчане же приговором просили меня назначить к ним грузина Меладзе, знавшего абхазский как природный свой язык. Я долго колебался, но вследствие усиленной просьбы новой депутации от сельского общества, уважил их ходатайство. Во время ревизии благочинный о.Д.Маргания (абхазец) заявил мне в присутствии почетных лиц Очемчиры, что мингрельский язык такое же значение имеет для абхазцев, как французский в Европе“.¹³⁶

საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა კირიონს ახა-

ლიათონის მონასტრისადმი (საერთოდ რუსული მონასტრებისადმი აფხაზეთში), სადაც ის 1906 წლის 1 ოქტომბერს სტუმრობდა ძველი ქართული საყდრის დღეობასთან დაკავშირებით.

როგორც ეპისკოპოსი წერდა, მონასტერმა მასზე ვერ მოახდინა ის შთაბეჭდილება, რომელიც მომლოცველებისა და კალმოსნების ზეგავლენით ჩამოუყალიბდა; „მართალიანამუშევარი ბევრია, მაგრამ იმის შეათედიც არ არის გაკეთებული, რასაც ამბობენ“; ათასობით დესეტინა მიწის, შემოსავლიანი სათევზაოებისა და ძველი ათონის პანტელეიმონის მონასტრიდან ყოველწლიურად გამოყოფილი 25-30 მანეთის პატრონებს, კირიონის აზრით, გაცილებით მეტი უნდა გაეკეთებინათ.

მონასტრის კიბეებზე, რომელთაც წმ.ალაყფის კარებს უწოდებენო, — აგრძელებდა კირიონი, — ქართულ წმინდანებს (ნინოს, შიოს და ა.შ.) „შეუფარებიათ თავი“, თითქოს „მათი შიგნით დახატვა დიდ მონასტერს დაამცილებდა“.

კირიონმა წირვა ჩაატარა, რომელსაც დიდძალი ხალხი დასწრებია. მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა იერონმა (ღრმად მოხუცებულმა, გაუნათლებელმა, მაგრამ ენერგიულმა და მაგარი ხასიათის პიროვნებამ) მისვლისთანავე მშვენიერი ვერცხლის ხატი (მინანქრით შემკული) მიართვა ეპისკოპოსს. კირიონმა სიმონ კანანელის საყდარიც მოინახულა, უწოდა მას „მშვენიერი ნიმუში ქართული გეგმისა“ და ამასთანავე აღნიშნა, რომ „შეკეთების დროს ძლიერ დაუმახინჯებიათ — წვეტებიანი გუმბათის მაგივრად ხახვის თავი დაუდგამთო; ასეთივე „მეტამორფოზა უქნიათ დრანდას, მოქვს და სხვა ეკლესიებში“.

ახალი მონასტრის გარშემო 11 ეკლესია ყოფილა, სადაც ყოველცისმარე დღეს წირვა-ლოცვას ატარებდნენ; ჰქონიათ პატარა რეღსებიანი რკინიგზა, რომლის მეშვეობით ვაგონებით კლდის სამშენებლო ქვებს ეზიდებოდნენ, ასევე ელექტროსადგური, ზეთის ხილის ბაღი, ვენახი, კარტოფილი, ლიმონი, ფორთოხალი; მონასტერს ემსახურებოდა წყლისა და ელექტრონის (ელექტრონის მანქანა ხელმწიფეს უჩუქნია) წისკვილები.

კირიონმა ნახა მონასტერთან გახსნილი სკოლა, არ მოეწონა ის,

რომ საკუთარ სახლში ქირით ფოსტა-ტელეგრაფი, სადაზღვევა სა-
ლარო და სანაოსნოს სააგენტო მოუთავსებიათ.

1 ოქტომბერს სოხუმში დაბრუნებული კირიონი მეორე დღეს
დრანდის მონასტერში ჩავიდა; 3 ოქტომბერს მონასტრის
წმ.ნიკოლოზის ეკვდერი აკურთხა, ბერებს და მლოცველებს სიტყ-
ვით მიმართა.¹³⁶

ეპისკოპოსი კირიონი ყურადღებით აკვირდებოდა და სწავლობ-
და აფხაზეთში შექმნილ ვითარებას.

1906 წლის აგვისტოში იგი წერდა, რომ „ყველაზე გამჭრიახნი
აღებ-მიცემობაში მეგრელები არიან და ამიტომ ცოტა არ იყოს კარ-
გი თვალთ არ უყურებენ მათ; რომ მომავალი აქმეგრელებს ეკუთ-
ვნით, ეს ექვს გარეშეა. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ მეგრე-
ლებისაგან აქამდინ დიდი ვაჭარი, რომელსაც ევროპულ ყაიდაზედ
დაეყენებინოს აღებ-მიცემობა, არ გამოსულა. დიდი საქმის დაწყ-
ებას სიღარბაისლე უნდა და არა აჩქარებული ხასიათი. ყოველ შემ-
თხვევაში შავი ზღვის ნაპირი მეგრელებისაა, მათ ზარბაზნებით ვერ
გამოსდევნიან აქიდან“.¹³⁷ ადგილობრივი მოსახლეობის შემდგომ-
ში უფრო ახლოს გაცნობამ ეპისკოპოსი კირიონი იმ დასკვნამდე
მიიყვანა, რომ აფხაზეთში მეგრელებს აკლდათ გამბედაობა. ეს იყო
მწარე სიმართლე. ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოდან აფსუათა
მონობაში ჩავარდნილ, ეკლესიის გარეშე დარჩენილ მეგრულ მო-
სახლეობას აფხაზეთში არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოუ-
ყალიბდა; უპატრონოდ დარჩენილებს თავი დაყვავებითა და მძიმე
შრომით გაჰქონდათ. XIX ს. ვითარება დიდად არ შეცვლილა. რუ-
სული საერო დასასულიერო ადმინისტრაციული მანქანა მეგრელ-
თა დათრგუნვაზე, მათ გადაგვარება-ასიმილაციაზე, აფხაზეთთან
დაპირისპირებაზე, ყველაზე „ურჩების“ აფხაზეთიდან გამოძევება-
ზე მუშაობდა; ადგილობრივი ქართველობა მუდმივად რეალური
საფრთხისა და შიშის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ იჩენდა იგი ზოგ-
ჯერ ზედმეტ სიფრთხილეს, რაც დიდად არ განსხვავდებოდა ლაჩ-
რობისაგან. ამას მიაქცია ყურადღება ეპისკოპოსმა და ერისკაცმა.¹³⁸
მონური ფსიქოლოგიის დამკვიდრებას ის გარემოებაც უწყობდა
ხელს, რომ მოწინავე ქართულმა ინტელიგენციამ ადექვატური შე-

ფასება არ თუ ვერ მისცა აფხაზეთში განვითარებულ დემოკრატიულ პროცესებს; დ.ბაქრაძის, თ.ჯორდანიას, ა.ხახანაშვილის შრომების საფუძველზე (ისინი უკვე წერდნენ აფსუათა გვიან ჩამოსახლებაზე ისტორიული სამეგრელოს ტერიტორიაზე) ვერ მოახერხა სწორი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება. ამიტომ ქართველების (მეგრელების) მოზღვავენებას აფხაზეთში არ დაერქვა თავისი სახელი, არ გაცხადდა, რომ ეს იყო დაბრუნება სამშობლოში, საიდანაც XVII ს. გამოაძევეს; ამავე დროს გრძელდებოდა მტკიცება, რომ აფხაზები ამ მხარის უძველესი მკვიდრნი, უძველესი ქრისტიანები არიან, რომლებსაც შემდგომში „დაავიწყდათ“ მამა-პაპური სარწმუნოება და ა.შ. ეს ყოველივე ქართველობას უნერგავდა „სხვის მიწაზე“ მოსულის რწმენას და შესაბამის მენტალიტეტს უყალიბებდა, რომლისგანაც დღემდე არ ვართ ბოლომდე განთავისუფლებული.

ეპისკოპოსი კირიონი სოხუმის ეპარქიის რეორგანიზაციისათვის (კონსისტორიის შექმნა უნდოდა) ემზადებოდა. 1906 წლის ნოემბრისათვის უკვე მზად ჰქონდა კონსისტორიის ახალი შენობის პროექტიც. მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია საქართველოს ავტოკეფალიისათვის ბრძოლა, სოხუმში მოამზადა მეხუთე მოხსენება უწმინდეს სინოდში წარსადგენად.¹³⁹

1907 წლის 26 თებერვალს პეტერბურგში მყოფი კირიონი სოხუმის არქიელის სახლის ეკონომ ტარას კანდელაკს წერდა: „ჩემი წიგნაკი აფხაზეთზედ შევამსე და დასაბეჭდად მოვამზადე, კარგა ვრცელი წიგნი გამოვა“.¹⁴⁰

რომელ წიგნზეა საუბარი?

ცხადია, ის სოხუმში დაიწერა, პეტერბურგში შეივსო და დასაბეჭდად მომზადდა. ვფიქრობთ, საუბარია ცხუმელის ავტორობით პეტერბურგში გამოსული ბროშურის შესახებ, რომელსაც ჰქვია „აფხაზეთი, ისტორიულ-საეკლესიო ესკიზი“. ს.ლევკიშვილი (მისი ზეგავლენით, ამ სტრიქონების ავტორიც), ბროშურის ავტორობას საჯარაუდოდ, ამბროსი ხელაიას მიაწერდა.¹⁴¹ წიგნის „Абхазия — не Грузия,“-ს საკმაოდ ინფორმირებული ავტორი ჯერ კიდევ 1907 წელს ვარაუდობდა, რომ ცხუმელი — იგივე კირიონია. იგი წერდა:

„...Абхазия _ Грузинская провинция и христианство в Абхазии из Грузии, _ с поспешностью заявляет г.Цхумели (может быть, впрочем и не г., а отец _ и даже преосвященный, как говорят сведущие люди)”.¹⁴² კირიონის ავტორობის სასარგებლოდ მიუთითებს მის მიერ აფხაზეთზე დაწერილი გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი შრომების ცალკეული ფრაგმენტებისა და დებულებების თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორება ცხუმელის ბროშურაში. მასში ვკითხულობთ: „Богослужение в Абхазских церквах совершалось на грузинском языке, вошедшем так же в обыденную их жизнь, и вся вообще церковная письменность с священно-богослужбными книгами была на церковно-грузинском языке. Поэтому неудивительно если в языке этого народа мы встречаем массу грузинских существительных имен, впрочем с приставкою впереди звука “а”. Относительно языка абхазцев Лингвистика еще окончательно не успела установить неоспоримых данных о грузинском их происхождении... Лучший знаток абхазского языка, природный абхазец П.Дчарая, лингвистические труды которого известны ученым, близкое родство его с грузинским языком считает вне всякого сомнения”.¹⁴³

ცხუმელი ამ შემთხვევაში იმეორებს კირიონის მიერ 1902 წელს დაწერილი ნაშრომის ცალკეულ დებულებებს: „Касательно первых (აფხაზების შესახებ— ჯ.გ.) лингвистика. правда, пока не успела еще установить неоспоримых данных о грузинском происхождении их... В храмах этих (აფხაზეთის — ჯ.გ.) богослужение совершалось на грузинском языке, вошедшем так же и в обыденную жизнь всех абхазцев. Вообще вся церковная письменность с священно-богослужбными книгами была на церковно-грузинском языке. Отсюда неудивительно, если в языке этого народа, иеющего родство с картвельским языком, мы встречаем массу грузинских существительных имен, впрочем,

ს приставкою впереди звука а".¹⁴⁴ თავის ახსნა-განმარტებებში (ი.ვოსტორგოვის ცრუ ბრალდებებთან დაკავშირებით) 1907 წელს კირიონი წერდა: „Известный лингвист и знаток абхазского языка П.Дчарая, сам природный абхазец, принадлежность абхазского языка к картвельскому считает вне всякого сомнения”.¹⁴⁵ ცხუმელის ბროშურაში სიტყვა-სიტყვით არის აგრეთვე ჩართული კირიონის თხოვნით სოხუმის ოლქის უფროსის ლ.ჯანდიერის მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაცია აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ,¹⁴⁶ რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამგვარი და სხვა, მათ შორის სტილისტური დამთხვევები, ჩვენი აზრით, მხოლოდ კირიონისა და ცხუმელის იგივეობაზე მიუთითებენ. კირიონი თანამდებობრივადც იყო ცხუმელი — ე.ი. ცხუმის (სოხუმის) ეპისკოპოსი.

ეპისკოპოს კირიონის ენერგიული მოღვაწეობა და მისი ავტორიტეტის ზრდა მრავალეროვან აფხაზეთში მოსვენებას უკარგავდა შოვინისტებს, განსაკუთრებით, საქართველოდან გაძევებულ ი.ვოსტორგოვს. როგორც „სპეციალისტი“ საქართველოს საკითხებში, ის მონაწილეობდა უწმინდეს სინოდთან შექმნილ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების ე.წ. წინასწარი სათათბიროს მუშაობაში, რომლის მეორე განყოფილება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს იხილავდა. ი.ვოსტორგოვი, ცხადია, ამ ავტოკეფალიის წინააღმდეგ გამოდიოდა. მას არც აფხაზეთი და ეპისკოპოსი კირიონი ავიწყდებოდა. 1906 წლის მარტში ი.ვოსტორგოვმა უწმინდესი სინოდის გაზეთ „კოლოკოლში“ (№45) ფსევდონიმით „რუსი“ გამოაქვეყნა ბინძური წერილი „ხმა სოხუმიდან“; 1906 წლის სექტემბერში კი იმავე გაზეთ „კოლოკოლში“ (№261) ი.ვოსტორგოვი „კავკასიელის ფსევდონიმით ბეჭდავს ახალ, კიდევ უფრო საზიზღარ წერილს „Скоро ли конец“. პირველი „ექლენება“ კირიონის დანიშვნას აფხაზეთში, მეორე — მის მოღვაწეობას სოხუმის ეპისკოპოსის თანამდებობაზე. ორივე წერილი გაქლენთილია ცხოველური სიძულვილით ქართველებისადმი, ეპისკოპოს კირიონისადმი, გაჭერებულია ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი განცხადებებით. აღნიშნულმა პუბლიკაცი-

ებმა ქართული საზოგადოებისა და თვით რუსი სწავლულების აღ-
შფოთება გამოიწვია (მაგალითად, მ.ბოგოიაველენსკის წერილები
„მოსკოვსკიე ვედომოსტში, 1906, №№65-67 და ა.შ.). ვინაიდან სა-
პასუხო წერილები ამხელენ პროვოკატორ ი.ვოსტორგოვს,
აგრეთვე „გრუზინოფობით“ შეპყრობილი რუსული ეკლესიის
ანტიმართლმადიდებლურ პოლიტიკას საქართველოში, საჭიროდ
მიგვაჩნია ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება.

ი.ვოსტორგოვის წერილს „ხმა სოხუმიდან“ საკადრისი პასუხი
არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ გასცა. ის დაიბეჭდა ჟურნალში
„Духовный Вестник Грузинского Экзархата“ (1906, №9-10);
1995 წელს კი ითარგმნა ქართულად (ნ.პაპუაშვილი) და „ჯვარი ვა-
ზისა“-ში გამოქვეყნდა.

კირიონის აფხაზეთში დანიშვნას ივოსტორგოვი სოხუმის ეპარ-
ქიაში რუსული საქმის დაღუპვად მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირე-
ბით ამბროსი ხელაია წერდა: „თუ რატომ უყურებს ავტორი საქ-
მეს ასე, რატომ ეძიებს იგი სოხუმის კათედრაზე კირიონის დანიშ-
ნაში შავნებლურს, სავსებით ცხადია, რადგან არ მოსწონს ქართვე-
ლი ეპისკოპოსის ქართველობა. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწი-
ნებთ, როგორ ესმოდა კავკასიაში რუსული კულტურისა და მოქა-
ლაქეობის ზოგიერთ დამწერგავს საკუთარი ხალხისადმი სიყვარუ-
ლი. ყველას ემახსოვრება შეუწყნარებლობა და სიძულვილი ყოვე-
ლივე ქართულისადმი, მისწრაფება ასევე არასწორად გაგებული
რუსიფიკაციისადმი, რითაც დასნებოვნებულნი იყვნენ კავკასიაში
ცნობილი მოღვაწენი: ეპისკოპოსი არსენი (სოხუმის ეპისკოპოსი
— ჯ.გ.), დეკანოზები ვოსტორგოვი, იასტრებოვი (სოხუმის ეპარქი-
ალური ზედამხედველი — ჯ.გ.) და სხვა. ახლა კი ყველა, ვისაც აქვს
საქმის სალად დანახვის უნარი, ვინც არ არის დაავადებული უცხო
ტომთა სიძულვილით, ნათლად ხედავს, როგორია ასეთ რუსიფი-
კატორთა მოღვაწეობის ნაყოფი. ამჟამინდელი მდგომარეობა კავ-
კასიაში, — საყოველთაო უკმაყოფილება ახლანდელი საეკლესიო
წყობის გამო, საკუთარი ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნები-
საკენ სწრაფვის გაძლიერება, ამ მიმართულებით ხალხის გამოღ-
ვიძება, — არის ზემოხსენებულთა და მათ მსგავს კაცთა მოღვაწეო-

ბის ნაყოფი და სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ აზრით მათ ხალხს გაუწიეს დიდი სამსახური. უბედურება იმაშია, რომ საკუთარი მოღვაწეობით მათ ზიანი მიაყენეს საქმეს, რასაც ემსახურებოდნენ. აღნიშნულ პირთა მოღვაწეობის მიზანი უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის რუსებთან დაახლოება რუსული კულტურისა და მოქალაქეობის დანერგვის გზით, მაგრამ ისინი ამით როდი შემოიფარგლნენ, მათ მეტი მოინდომეს — რაც შეიძლება სწრაფი გარუსება მხარის, — ქართველი და რუსი ხალხების სრული გათქვეფა პირველთა ნაციონალური თეზიონომიის, საკუთარი ენის, ზნე-ჩვეულებების მოსპობის ხარჯზე. ეს აღმოჩნდა შეუძლებელი, პირიქით ამ მიმართულებით მეტისმეტმა აქტიურობამ განაპირობა სრულიად საწინააღმდეგო: ქართველი მოსახლეობის იმ ნაწილშიც კი, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, გამოაღვიძა ეროვნულობის შენარჩუნების ძალუმი სწრაფვა. მოინდომეს სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა, რამაც გამოაფხიზლა ხალხი: მეგრელები ერთობ განიმსკვეალებნენ თავიანთი სალიტერატურო და საეკლესიო-საღვთისმსახურო ენის დაცვის იდეით და მივიღეთ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი იმ მიზნისა, რისკენაც მიისწრაფოდნენ აღნიშნული საქმის ინიციატორები. ხალხი პირდაპირ აღიარებს, რომ აქამდე ასე ღრმად არ ესმოდათ ამ ენის დაცვისა და საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობა და რომ დეკ. ვოსტორგოვმა აუხილა მათ თვალები. ხშირად გაიგონებთ ხუმრობით წარმოთქმულ სიტყვას, რომ ღვთის ყანის ამ მუშაკებს ეკუთვნით ძეგლის დადგმა სამეგრელოს ცენტრში. მეტიც, ასეთმა მუშაკებმა დასთესეს უნდობლობა არა მხოლოდ სასულიერო ხელისუფლების მიმართ, არამედ ეკლესიის მწყემსებისადმიც, რომლებიც აღმოჩნდნენ წინასწარდასახული აშკარა რუსიფიკაციის დამქაშებად“.

არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას აზრით, თუ რუსეთში ხდებოდა „რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევა“, საქართველოში პირველი მთლიანად შეიცვალა უკანასკნელით; ვითარება მძაფრდებოდა „მხარის გარუსების ძლიერი ჟინით“. ამ ამოცანის განხორციელება „რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ

დაისახა მიზნად. სწორედ მათ შორის ვაწყდებით შეუწყნარებლობის უკიდურეს ფორმებს უცხოტომელთადმი და ყოველივე იმისადმი, რამაც მათი ნაციონალური სახე უნდა წარმოაჩინოს. ასეთ სიძულვილს ქართველთა მიმართ, რასაც ამჟღავნებენ ქრისტეს სწავლებისამებრ მტერთა მიმართაც კი სიყვარულის მქადაგებელნი, თითოეული ხალხის ნაციონალური თავისებურებების პატივისცემელნი (კოლ.3.11), საბედნიეროდ, ჩვენ ვერ ვხედავთ საერო ადმინისტრაციის მუშაკებში, რომლებიც ყველაზე აშკარად ემსახურებიან რუსიფიკატორულ იდეებს. მხოლოდ ანაფორაში გამოხვეულ რუსიფიკატორებს — ეკლესიის მწყემსებს — შეუძლიათ უწოდონ ქართულ ენას ძაღლების ენა, ქართულ საეკლესიო გალობას — ძაღლების ყუთა, მღვდელმთავრის პირით — მთელი ერის დაწყველა“. ყოველივე ამის გამო, — აგრძელებდა ამბროსი ხელაია, — მწყემსებმა, პოლიტიკანმა მღვდლებმა დაკარგეს ცხოვართა ნდობა; ხალხი ვერ ეგუება მისი ნაციონალური ზნე-ჩვეულების, ენის ხელყოფას; ქართველებმა სიძულვილით უპასუხეს არა ერთმორწმუნე რუს ხალხს, არამედ მის უღირს წარმომადგენლებს, რომლებმაც „კარიერის შექმნა ქართველების შევიწროებისა და ყალბი დონოსების ხარჯზე“ გადაწყვიტეს, „უპატიოჰყვეს რუსის სახელი კავკასიაში“ და რომლებსაც უნდათ კავკასიელი ხალხების ერთმანეთზე წასევა და „სისხლისღვრამდე მიყვანა“.

ეს რუსიფიკატორები დამარცხდნენ, სამარცხვინოდ დატოვეს კავკასიის საზღვრები, მაგრამ მათმა მოღვაწეობამ დამლუპველი შედეგები გამოიღო. ქართველები, — წერდა არქიმანდრიტი ამბროსი, — ერთმორწმუნე ძლევამოსილი მფარველის ხელში კარგავენ იმას, რაც ყველაზე შფოთიან საუკუნეებში მაჰმადიანებთან უთანასწორო ბრძოლების დროს სრული სიწმინდით შეინარჩუნეს — ერთგულებას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი; სასულიერო ხელისუფლების რუსიფიკატორულმა მისწრაფებებმა, როგორც ამის შესახებ ღიად წერდნენ ქართული ჟურნალ-გაზეთები, ქართველი ხალხის შეგნება მიიყვანეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის იდეამდე და პრაქტიკულად შეამზადეს ნიადაგი ხალხში რევოლუციური სულის ჩასახვისათვის“.

თავისი წერილით ამბროსი ხელაიამ მთელს იმპერიას დაანახა ი.ვოსტორგოვის, ეპ. არსენის და მათი მსგავსი „თავგამოდებულნი რუსიფიკატორების“ სახელმწიფოსათვის „სასარგებლო“ მოღვაწეობის შედეგები: მართლმადიდებლობის შებღალვა, დისკრედიტაცია; ეკლესიასა და ხალხს, მწყემსმთავრებსა და ცხოვართა შორის ნებისთ თუ უნებლიედ ბზარის გაჩენა; საქართველოში ეროვნული თვითშეგნების გაღრმავება, რუსი და ქართველი ხალხების წარმომადგენლებს შორის სიძულვილის, მტრობის დათესვა; სასულიერო პირთა დევნის დაწყება, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის იდეის წარმოშობა და ა.შ. ამ ზოგადი, მაგრამ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შემდეგ არქიმანდრიტი ამბროსი მოკლედ ეხება აფხაზეთის პრობლემატიკას; მოჰყავს ი.ვოსტორგოვის სიტყვები, თითქოს ეპისკოპოს კირიონის დანიშვნამ შეიძლება „აფხაზები აამხედროს მათთვის საძულველი ქართველების წინააღმდეგ და გამოიწვიოს ისეთივე ზოცვა-ქლევა, როგორიც ვიხილეთ ბაქოს გუბერნიაში“; ყოვლადსამღვდელო კირიონის დანიშვნას იგი თვლიდა „რუსული გრძნობისათვის შეურაცხყოფად და არა აქვს იმედი, რომ იპოვის მასში იმ სამართლიანობას, ტაქტს და გულისხმიერებას, — ყველა იმ ღირსებას, რაც ასე აუცილებელია ისეთი მრავალეროვანი ეპარქიისათვის, როგორიც სოხუმი“. ამ „ბეზღებასთან“ დაკავშირებით ამბროსი ხელაია ხაზს უსვამდა: კირიონის მთელი „მოღვაწეობა იძლევა გარანტიას, რომ იგი არ იქნება ისეთი უსამართლო, არ გამოიჩინოს ისეთ სიძულვილს არაქართველებისადმი, როგორც გამოიჩინეს მისმა წინამორბედებმა სოხუმის კათედრაზე არარუსი წარმოშობის ნებისმიერი ეროვნების მიმართ, მეტადრე — ქართველებისადმი“. არქიმანდრიტი ამბროსი მკითხველებს შეახსენებდა ეპისკოპოსების არსენისა და აგაფადორის მიერ აფხაზეთის ქართველობის, მათ შორის სამურზაყანოელების ეროვნული ჩაგვრის, შეუწყნარებლობის, ღვთისმსახურების სლავურენაზე შემოდების ფაქტებს მაშინ, როდესაც სოხუმის ოლქის მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ ქრისტიანი ქართველები შეადგენდნენ.¹⁴⁷

ნამდვილად აღმაშფოთებელი იყო დეკანოზ ი.ვოსტორგოვის გე-

ორე პასკვილიც, რომელსაც სოხუმიდან გადაყვანის შემდეგ არ-
გუმენტირებული პასუხი გასცა ეპისკოპოსმა კირიონმა უწმინდე-
სი სინოდისათვის გაგზავნილ ახსნა-განმარტებაში (Объяснение)
; აღნიშნულ დოკუმენტში პროვოკატორი დეკანოზი ფაქტებისა და
დოკუმენტების შეგნებულად დამახინჯებაში, აშკარა სიცრუეში,
არაკომპეტენტურობასა და ქართველებისადმი სიძულვილშია მხი-
ლებული.

20 პუნქტისაგან შემდგარ ახსნა-განმარტებაში 20 ბრალდება-
ზეა დამაჯერებელი პასუხი გაცემული. კირიონის მიმართ წაყენე-
ბულ ბრალდებათა უმეტესობა ი.ვოსტორგოვმა გაიმეორა თავის
მოხსენებაში „К вопросу об автокефалии Грузинской церк-
ви“ (ცერკოვნიე ვედომოსტი, 1907, №№8-10). „სიცრუითა და ცი-
ლისწამებით აღსავსე“ ... ეს მოხსენება დეტალურად გაანალიზა სო-
ხუმის ოლქის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველმა,
მღვდელმა ტ.ჯონთაბერიძემ თავის სტატიაში „Правда об епис-
копе Кирионе и положении дел в Сухумской епархии“.¹⁴⁸
კირიონის 20 პუნქტიანი ახსნა-განმარტება და ტ.ჯონთაბერიძის წე-
რილი დიდწილად ერთი და იგივე ბრალდებების გაბათილებას ეხე-
ბა. ამდენად, ისინი ავსებენ ერთმანეთს და მკაფიოდ წარმოაჩენენ
სოხუმის ეპარქიაში თუ მის გარშემო შექმნილ უმძიმეს ვითარე-
ბას. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი ერთად, თანაც
შედარებით ვრცლად მიმოხილვა.

ახსნა-განმარტების პირველ პუნქტში ეპისკოპოსი კირიონი
უარყოფს ბრალდებას, რომ სოხუმში მისი გადმოყვანა მოხდა თით-
ქოს მისივე დაყენებული თხოვნით და განმარტავს: „Перевод мой
совершился не по моей настойчивой просьбе, а по обо-
юдному нашему согласию с преосвященным Серафимом, что хорошо известно высшему духовному началь-
ству“.

მეორე პუნქტი ეხება ვოსტორგოვის შემდეგ ბრალდებას:
„Объявлен приказ Кириона ввести Грузинский язык во
всех школах“. კირიონის განმარტებით, საქმე ეხებოდა მეფისნაც-
ვლის განკარგულების შესრულებას სასოფლო სკოლებში მშობ-

ლიურ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, აფხაზური სკოლები აფხაზური ენის ახალი სახელმძღვანელოებით მოამარაგეს, გამოიწერეს „დედა ენის“ 500 ეგზემპლიარი ქართული სკოლებისათვის. მიუხედავად საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და უწმინდესი სინოდის არაერთი მითითებისა, — წერდა კირიონი, — რომ სამურზაყანოელები ქართველები არიან და ისინი ქართულად უნდა სწავლობდნენ, სოხუმის ეპარქიალური სასწავლო საბჭო „упорствовал пока своей резолюцией не положил конец этому упорству“. ერთი სიტყვით, კირიონის განკარგულება ამ შემთხვევაში ეხებოდა მხოლოდ ქართულ სკოლებს. მეფისნაცვლის განკარგულების შესრულებისათვის ხელისშეშლის მიზნით, ეპარქიალურ სასწავლო საბჭოს გამოუტანია გადაწყვეტილება ქართულ სკოლებში (სადაც მასწავლებლები ვერ შეძლებდნენ(?) ქართული ენის სწავლებას) საკუთარ ხარჯზე კერძო მასწავლებლების მოწვევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით კირიონს გაუცია განკარგულება: „Озаботиться, чтобы сами учителя преподавали грузинский язык, приглашение же частных учителей для преподавания указанного языка считаю непедагогичным“.

ახსნა-განმარტების მესამე პუნქტში კონკრეტული ფაქტების საფუძველზე უარყოფილია ბრალდება, თითქოს კირიონი რუსულ სამრევლოებში „გაუნათლებელ“ ქართველ მღვდლებს აგზავნიდა (იგულისხმებოდა დაბა სოჭი). ამ „ბრალდებასთან დაკავშირებით ტ.ჯოხთაბერიძე აღნიშნავდა, რომ კირიონის წინამორბედი ეპისკოპოსი სერაფიმე დაპირდა სოჭის ქართველობას ადგილობრივ ეკლესიაში ქართული შტატის გახსნას; მანამდე პლასტუნსკის მღვდელს სოჭის ეკლესიაში თვეში ორჯერ ღვთისმსახურების ქართულად ჩატარება დაევალა. კირიონს კი იქ არავინ დაუნიშნავს.

„Грузины стали назначаться в Сухумский кафедральный собор“, — ასეთი იყო, ი.ვოსტორგოვის აზრით, კირიონის კიდევ ერთი „დანაშაული“. ამასთან დაკავშირებით განმარტებულია (მეოთხე პუნქტი), რომ საკათედრო ტაძარში 4 მღვდელი, 4 დიაკონი და 4 მედავითნე — სულ 12 სასულიერო პირი ირიცხება, რო-

მელთაგან 11 რუსი და 1 ქართველია. ქ.სოხუმის 10 ათასიანი მოსახლეობიდან კი ქართველები ნახევარს — 5 ათას კაცს შეადგენდნენ. „Почему автор не возмущается таким ненормальным распределением штатных мест в соборном клире между грузинами и русскими“, — კითხულობდა კირიონი და უარყოფდა ი.ვოსტორგოვის მორიგ მონაქორს.

სოხუმის საკათედრო ტაძარში დანიშნული ის ერთადერთი ქართველი სასულიერო პირი ტ.ჯოხთაბერიძე გახლდათ. ის თავადაც ეხება ამ საკითხს და წერს, რომ სოხუმის ეპარქიალურმა სასწავლო საბჭომ ვერ იპოვა შესაფერისი კანდიდატურა საეკლესიოსამრევლო სკოლების ზედამხედველის თანამდებობაზე. ბოლოს არჩევანი გაკეთდა ზუგდიდის მაზრის ბლადოჩინზე, საეკლესიოსამრევლო სკოლების ზედამხედველზე (ტ.ჯოხთაბერიძეზე), რომელიც აფხაზეთში გადმოსვლას სოხუმის საკათედრო ტაძარში მისი დანიშვნის პირობით დათანხმდა. „Что тут преступного? А разве в Сухуме больше половины населения не из Грузин ли состоит? — კითხულობდა ტ.ჯოხთაბერიძე.

სოხუმის საკათედრო ტაძართან მიმართებაში ი. ვოსტორგოვს ასეთი „პრობლემა“ აწუხებდა: „Среди подонков населения собираются подписи под ходатайство о введении в этом соборе грузинского богослужения“. გამოთქმამ „подонки“ (ნაძირალები) კირიონი აღაშფოთა — რუსი შოვინისტი ქართველ მართლმადიდებლებს, რომლებიც კანონიერად მოითხოვდნენ ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე მოსმენას, ზიზლით „ნაძირალებს“ უწოდებდა. „Что преступного в том, — წერდა კირიონი ახსნა-განმარტების მეხუთე პუნქტში, — что подавляющее большинство грузинского местного населения ходатайствует по очереди совершать богослужение в соборе на русском и грузинском языках“.

მეექვსე პუნქტში საუბარია ბრალდებაზე იმის შესახებ, რომ კირიონს არ უნდოდა ეპარქიის კანცელარიის მდივნად რუსის დანიშვნა და „ამაზე მხოლოდ ზემოდან ბრძანების დაშვების შემდეგ დათანხმდა“. ი.ვოსტორგოვს მხედველობაში ჰქონდა სოხუმის ეპარ-

ქიის კანცელარიის მდივნად ტ.ავტონომოვის დანიშვნის გახმაურებულ ისტორია. იგი წლების განმავლობაში სოხუმში კანცელარიის მდივნის თანაშემწედ, ხოლო ბოლო პერიოდში გურია-სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიის მდივნად მუშაობდა. ტ.ავტონომოვმა ყველგან უხეში, უვიცი, გარყვნილი და ქართველთა მოძულე პიროვნების სახელი მოიხვეჭა. 1905 წლის 14 ივლისს გურია-სამეგრელოს ბლალოჩინებმა და სამღვდელოებმა კანცელარიის მდივანს ბოიკოტი გამოუცხადეს და მისი თანამდებობიდან განთავისუფლება მოითხოვეს. ამ დროს სოხუმის ეპარქიის კანცელარიის მდივანი (ტროიცი) გარდაიცვალა და ტ.ავტონომოვმა მის ადგილზე დანიშვნა მოითხოვა, რის შესახებაც 1906 წლის მარტში განცხადებით მიმართა ეგზარქოს ნიკონს (1906-1908 წწ). ამ უკანასკნელმა 1906 წ. 28 ივლისს ეპისკოპოს კირიონს აცნობა, რომ მის მიერ კანცელარიის მდივნის თანამდებობაზე წარდგენილი კარკაღინოვის კანდიდატურა უწმინდესი სინოდის მიერ დაწუნებულია კანდიდატის გამოუცდელობის გამო; ეგზარქოსს აინტერესებდა, კირიონი ხომ არ იქნებოდა მდივნის თანამდებობაზე ავტონომოვის დანიშვნის წინააღმდეგი. 1906 წლის 3 სექტემბერს კირიონის თანხმობის გარეშე ტ.ავტონომოვი სოხუმის ეპარქიის კანცელარიის მდივნად დაინიშნა, რამაც აფხაზეთის სამღვდელოების უკმაყოფილება გამოიწვია. 1906 წ. 22 სექტემბერს ბლალოჩინებმა და ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებმა კირიონისადმი გაგზავნილ საპროტესტო წერილში ტ.ავტონომოვის განთავისუფლება, ხოლო მის ადგილზე „ღირსეული და ადგილობრივი ენების მცოდნე“ ადამიანის დანიშვნა მოითხოვეს.¹⁴⁹ ხმა აღიმალლა საზოგადოებაშიც. ხელმოწერით „**ПОСТОЯННО СУХУМЕЦ**“ გაზეთ „ჩერნომორსკი ენოვოსტ“-ში სპეციალური წერილიც გამოქვეყნდა. მისი ავტორი მკითხველებს შეახსენებდა, თუ როგორ იჩაგრებოდნენ ახლო წარსულში რუსულის არმცოდნე სოხუმელები, როცა ეპარქიაში არსენი, ტროიცი (მისი თანაშემწე იყო ავტონომოვი) და სხვები ბატონობდნენ. ის მხარს უჭერდა აფხაზეთის სამღვდელოების მოთხოვნას გურია-სამეგრელოს ეპარქიიდან სამარცხვინოდ გაძევებული ტ.ავტონომოვის სოხუმის ეპარქიის კანცელარიის მდივნის თა-

ნამდებობიდან განთავისუფლებისა და ეპარქიის სამღვდელთაგან 1906 წ. 10-12 იანვრის ყრილობის დადგენილების შესაბამისად, აღნიშნულ თანამდებობაზე ადგილობრივი ენების მცოდნე ადამიანის დანიშვნას.¹⁵⁰

როგორც ახსნა-განმარტებაში კირიონმა დაასაბუთა, საქმე ეხებოდა კანცელარიის მდივნად არა რუსის, არამედ უღირსი პიროვნების დანიშვნას.

ტყუილი აღმოჩნდა ბრალდება ადგილობრივი სასწავლო საბჭოდან რუსების დათხოვნის შესახებ (მეშვიდე პუნქტი). საბჭოს წევრობა შეუწყდათ ანტისამთავრობო გამოსვლების აქტიურ ხელმძღვანელებს, პასუხისგებაში მიცემულ სოციალ-დემოკრატებს კოტლიაროვსა და ზახაროვს (ეს უკანასკნელი 1917 წელს აფხაზეთის პირველი პირი იყო, ხოლო 1919-1921 წლებში აფხაზეთის სახალხო საბჭოში ქართულ პოზიციას იცავდა), ასევე ორ რუსს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში საბჭოში არ გამოჩენილან.

ი.ვოსტორგოვს არ მოეწონა სასწავლო საბჭოში ორი ქართველის, განსაკუთრებით ცნობილი პედაგოგის ანთიმოზ ჯულელის დანიშვნა იმ მოტივით, რომ იგი „за русофобскую агитацию был выслан из края“. როგორც ზემოთ ვნახეთ, 1904 წელს აფხაზეთიდან რვა ქართველის, მათ შორის ა.ჯულელის გასახლება მოხდა არა რუსოფობიისათვის, არამედ იმისათვის, რომ ეკუთვნოდნენ პარტიას, „противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа“. რევოლუციის შედეგად განაჩენმა, რომლის შესახებაც კირიონმა არაფერი იცოდა (მერვე პუნქტი), ძალა დაკარგა, გამოცდილი პედაგოგის საბჭოში დანიშვნა კი არავითარ დანაშაულს არ წარმოადგენდა (მეორე ქართველი კი ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე გახლდათ).

ტ.ჯოხთაბერიძე ადასტურებდა სასწავლო საბჭოში ორი ქართველის დანიშვნის ფაქტს. ამასთანავე მოჰყავდა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: სოხუმის ოლქის 82 სკოლიდან 50 იყო ქართული, 6 — ქართულ-აფხაზური, 1 (გუდაუთის ორკლასიანი სასწავლებელი) — რამდენიმე ეროვნების (მოსწავლეთა თითქმის ნახევარი იქაც ქართველები იყვნენ), დანარჩენი 25 სკოლა — აფხაზური,

ბერძნული ან რუსული გახლდათ. სოხუმის ეპარქიაში შემავალი შავიზღვისპირეთის გუბერნიის კიდე 25 რუსული და ბერძნული სკოლების გათვალისწინების შემთხვევაშიც უმეტესობას ქართული სკოლები შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, სოხუმის ეპარქიალურ სასწავლო საბჭოში კირიონის მოსვლამდე იყო მხოლოდ ერთი ქართველი — მღვდელი მ.გვაზავა. ეს მიაჩნდა დანაშაულად ტ.ჯოხთაბერიძეს და არა კირიონის მიერ საბჭოში ორი ქართველის შეყვანა.

მორიგი ბრალდება (მეცხრე პუნქტი) რუსული ხაზინის ფულით ქართული სახელმძღვანელოების შემოღებას შეეხებოდა, რაც კირიონმა მეფისნაცვლის განკარგულების (მშობლიურ ენაზე სწავლების თაობაზე) შესრულებით ახსნა.

კირიონისათვის წაყენებული მეათე ბრალდება ასე ჟღერდა: „Насильно вводит грузинский язык среди абхазцев“. გაირკვა, რომ ქართული ენა შემოღებულ იქნა სამურზაყანოში, რომლის მოსახლეობას ი ვოსტორგოვი და სხვა შოვინისტები აფხაზებად მიიჩნევდნენ. ქართულ ენაზე სწავლების შემოღების თხოვნა ზოგიერთი აფხაზური სოფლიდანაც მოდიოდა, მაგრამ, როგორც კირიონი აღნიშნავდა, ყველა ქართულ სკოლაშიც კი ვერ მოასწერეს სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანა, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზურ სკოლებზე.

ი.ვოსტორგოვის შემდეგი პრეტენზია იაკობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს შემოღებას შეეხებოდა. ეპისკოპოსი კირიონი განმარტავდა (მეთერთმეტე პუნქტი), რომ სოხუმის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით (გ.გოლუბცოვის მოხსენების საფუძველზე), აფხაზეთის ქართულ სკოლებში ი.გოგებაშვილის „Русское слово“-ს, ხოლო აფხაზურ-რუსულ სკოლებში ა.გრიგორიევის სახელმძღვანელოთი (Русское слово) ასწავლიდნენ, რაშიც იგი, ბუნებრივია, ვერანაირ დანაშაულს ვერ ხედავდა, მით უმეტეს, როგორც ტ.ჯოხთაბერიძე წერდა, ი.გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ უწმინდესი სინოდის მიერაც იყო დაშვებული ქართული სკოლებისათვის.

აშკარა ტყუილი აღმოჩნდა ბრალდება სასწავლო საბჭოში აფ-

ხაზი ლაკერბაიას ნაცვლად ქართველი შერვაშიძის დანიშვნის შესახებ (მეთორმეტე პუნქტი). სინამდვილეში, მსგავსი არაფერი მომხდარა. სამურზაყანოელი ა. ლაკერბაია (მომრიგებელი მოსამართლე, პოლკოვნიკი, აფხაზური ენის არმცოდნე), რომლის „განთავისუფლების“ გამო „წუხდა“ ი. ვოსტორგოვი, საბჭოს შემადგენლობაში რჩებოდა; ხოლო მის მიერ დაწუნებული „ქართველი“ ა. შერვაშიძე — ცნობილი აფხაზი საზოგადო (აფხაზური და ქართული ენების მცოდნე) მოღვაწე, ხან ქართული, ხან თურქული, ხან კიდევ დენიკინური ორიენტაციის პიროვნება (იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაუძინებელი მტერი) გახლდათ.

კირიონი აბათილებს სოხუმის სასაფლაოს ქართულ (და არა რუსულ, როგორც ი. ვოსტორგოვს მიაჩნია) ეკლესიასთან დაკავშირებულ უსაფუძვლო პრეტენზიებს (მეცამეტე და მეთოთხმეტე პუნქტები). პრეტენზიები შეეხებოდა ქართველი მედავითნის დანიშვნას ეკლესიაში, სადაც მრევლის უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ.

ი. ვოსტორგოვი აყენებდა, როგორც კირიონმა დაასაბუთა, თითიდან გამოწოვილ ბრალდებას ეპარქიალურ სასწავლო საბჭოსთან არსებული სასკოლო კომისიიდან, ასევე სახელმძღვანელოთა გამოწერის (по выписке учебников) კომისიიდან ორი რუსის გაყვანისა და ქართველების შეყვანის შესახებ (მეთუთხმეტე პუნქტი). ტ. ჯოხთაბერიძეც აღნიშნავდა, რომ კომისიებში ქართველების შეყვანა უკიდურესი აუცილებლობით (ქართველებმა უკეთესად იცოდნენ, რა სახელმძღვანელოები სჭირდებოდათ ქართულ სკოლებს) იყო გამოწვეული; ამით რუსების დისკრიმინაცია არ მომხდარა, ვინაიდან სამ-სამი წევრისაგან შემდგარ ორივე კომისიაში ორ-ორი ადგილი მათ დარჩათ.

ერთ-ერთი ბრალდება შეეხებოდა გუდაუთის ორკლასიან სასწავლებელში უფროს მასწავლებლად არა რუსის, არამედ ქართველი გიგინეი შვილის დანიშვნას (მეთექვსმეტე პუნქტი). კირიონი იოლად აბათილებდა წაყენებულ „ბრალდებას“. ამ საკითხს ტ. ჯოხთაბერიძეც შეეხო. იგი წერდა, რომ გუდაუთის ორკლასიანი სკოლის 42 მოსწავლიდან 20 ქართველია, გიგინეი შვილი სწო-

რედ ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა; ის იყო სტავროპოლის სასულიერო სემინარიის სტუდენტი, სოხუმში დაბადებული, ჰყავდა რუსი მეუღლე. „Неужели ему не нужно было дать преимущество перед сибиряком? Если для учителя _ грузина незнание абхазского языка осудительно, почему таковое же неосудительно для русского?“ — კითხულობდა ტ.ჭოხთაბერიძე.

ი.ვოსტორგოვის მომდევნო ბრალდება ბერძნულ სკოლებში ბერძნული ენის არმცოდნე პირების დანიშვნას შეეხებოდა (მეჩვიდმეტე პუნქტი), რაც სიცრუე აღმოჩნდა. კირიონს, პირიქით, ბერძნულ სოფლებში ორი ბერძენი მასწავლებელი დაუნიშნავს.

კირიონის ახსნა-განმარტების მეთვრამეტე და მეცხრამეტე პუნქტები რუსი პედაგოგების „დისკრიმინაციის“ შესახებ მოგონილ ჭორებს შეეხებოდა.

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბრალდება შემდეგში მდგომარეობდა: „Сам еп. Кирион изволил заявить, что если он пробудет год на Сухумской кафедре, то все абхазцы сделаются грузинами“. სად და ვისთან გაკეთდა ასეთი განცხადება, ი.ვოსტორგოვი, რა თქმა უნდა, არ უთითებდა. თავისი ახსნა-განმარტების მეოცე პუნქტში აღშფოთებული კირიონი წერდა: „Явная выдумка или нелепо создавшийся слух. Опасения автора напрасны. У меня в руках не чудодейственный жезль, чтобы совершить подобные метаморфозы. Абхазцы находились около двух тысяч лет под сильным культурным влиянием грузин, более 1000 лет, за неимением своей письменности, совершалось у них богослужение на грузинском языке¹⁵¹ и, однако, от этого они не огрузинились и странно было бы с моей стороны говорить о том, что они огрузинятся в течение одного года. Всех абхазцев 40978, из них не менее 20 тысяч мусульман. Спрашивается, как я могу в год огрузинить этих фанатиков мусульман. Напротив, каждый истинный грузин должен оберегать от исчезновения абхазский язык. Этот

язык, как принадлежащий к семье картвельского языка, много поможет в деле выяснения древнейших форм грузинского языка. Известный лингвист и знаток абхазского языка П.Дчарая, сам природный абхазец (პ.ჭარაია ქართველი იყო — ჯ.გ.), принадлежность абхазского языка к картвельскому считает вне всякого сомнения. Исследование г.Дчарая о принадлежности абхазского языка к картвельскому представлено в Академию наук для напечатания. В целях поддержания абхазского языка мною учреждена комиссия для разработки абхазской письменности и начатков литературы применительно к школьным надобностям и для перевода богослужебных книг (жур. 16, ст. 1, п.3) на абхазский язык, которая и по сие время работает. Язык богослужения не должен никому навязываться. Так смотрит и духовенство Сухумского округа". კირიონს მხედველობაში ჰქონდა აფხაზეთის სამღვდლოების 1906 წ. 10-12 იანვრის ყრილობის გადაწყვეტილება აფხაზურ სამრევლოებში ღვთისმსახურების მრევლისათვის სასურველ ენაზე წარმოების შესახებ.

თავისი „დონოსის“ დასასრულს ი ვოსტორგოვი საეკლესიო მთავრობას მოუწოდებდა: „Пощадите, помогите, защитите церковное и русское дело вы, поставленные у власти в Св. Синоде“. ხომ არ სურს ავტორს, — პასუხობდა კირიონი, — დაბრუნება სოხუმის ოლქში არსებული უგვანო თვითნებობისა, „когда недостойные русского имени провокаторы пита-ли к грузинам непримиримую ненависть“.¹⁵²

ტ. ჭობთაბერიძე კირიონის დიდ დამსახურებად თვლიდა იმ ფაქტს, რომ ყოვლად სამღვდლო გაბრიელ ქიქოძის შემდეგ სოხუმის ეპისკოპოსებიდან მხოლოდ მან დაუჭირა მხარი აფხაზურ ენაზე საეკლესიო წიგნების თარგმნის იდეას და დაიწყო მისი განხორციელება, რასაც ეპარქიის სამღვდლოების 1906 წლის სექტემბრის ყრილობაც (რომლის დღეგატების უმეტესობა ქართველები იყვნენ) დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, — აგრძელებდა ტ. ჭობთაბე-

რიძე, — ცალკეული პროვოკატორები ქართველი სასულიერო პირებისადმი აფხაზთა დაპირისპირების მიზნით ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს ქართული სამღვდელთა საეკლესიო წიგნების აფხაზურ ენაზე თარგმნის წინააღმდეგი ყოფილიყოს. „Грузинское духовенство со своей стороны, — წერდა იგი, — готово оказать делу перевода книг во всем возможное содействие, но его всячески устраняют от этого дела“.

ტ. ჯოხთაბერიძე ეხებოდა სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებსაც, მათ შორის უსაფუძვლო პრეტენზიების „გასამაგრებლად“ დეკანოზ ი. ვოსტორგოვის მიერ მოტანილ ყალბ სტატისტიკას სოხუმის ოლქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. დეკანოზის მონაცემებით, აფხაზეთში 55 ათასი რუსი, 55 ათასი აფხაზი, 23 ათასი მეგრელი და 3 ათასი ქართველი ცხოვრობდა. ტ. ჯოხთაბერიძეს ამის საპირისპიროდ მოჰყავდა სოხუმის ოლქის მმართველობის 1905 წლის ოფიციალური მონაცემები: 41265 აფხაზი, მათ შორის 28448 მართლმადიდებელი (სინდისის თავისუფლების გამოცხადების შემდეგ, ტ. ჯოხთაბერიძის აზრით, მაჰმადიან აფხაზთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა), ქართველური ტომები — 56 ათასი, რუსები (უკრაინელებთან და რუსინებთან ერთად) — 46 ათასი (შავიზღვისპირეთის გუბერნიის ჩათვლით). ქართველთა რიცხობრივი უპირატესობა აშკარაა — შენიშნავდა ტ. ჯოხთაბერიძე და წერდა, რომ ოლქის კიდევ 20-30 ათას მაცხოვრებელს ქართული გვარები აქვსო.¹⁵³ მას, ცხადია, მხედველობაში ჰყავდა აფხაზებზე და ჩაწერილი (თუ გააფხაზებული) ქართველები.

ი. ვოსტორგოვის წერილებში წამოყენებული უსაფუძვლო ბრალდებები და მათზე გაცემული არგუმენტირებული პასუხები ნათლად წარმოაჩენენ რუსეთის იმპერიის დანაშაულებრივ გეგმებს აფხაზეთთან მიმართებაში, გვიჩვენებენ თუ რა აუტანელ პირობებში უხებოდა მუშაობა სოხუმის ეპარქიის ქართულ სამღვდელთა, რა შორის შეტოპეს აფხაზებისა და ქართველების გარუსების ყინით შეპყრობილმა ანაფორიანმა მოვიინსტებმა, რომლებმაც უღალატეს ქრისტიანულ მოძღვრებას, დაკარგეს ადამიანის სახე, დასაღუპავად გაიმეტეს ერთმორწმუნე და ამავე დროს რუსეთის

ერთგული ქართველი ერი. მიუხედავად ყოველივე ამისა, ეპისკოპოსი კირიონი მშვიდად აგრძელებდა მუშაობას, დიდი სიყვარულით ეპყრობოდა ყველა ერის წარმომადგენელს, მათ შორის რუსებს. მას ბევრი საინტერესო გეგმაც ჰქონდა, მაგრამ მათი რეალიზება არ დასცალდა. საკუთარი ნებისა და, რაც მთავარია, მრავალეროვანი მრევლის სურვილის წინააღმდეგ კირიონი აფხაზეთს მოაშორეს. როგორც კი გაჟონა ინფორმაციამ კირიონის მოსალოდნელი გადაყენის შესახებ, აფხაზეთის სამღვდელოება აღსდგა მის დასაცავად.

უწმინდეს სინოდს კირიონის აფხაზეთში დატოვების (თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ადგილობრივი ენებისა და ზნე-ჩვეულების მცოდნე მღვდელმთავრის დანიშვნის) შესახებ თხოვნით მიმართასოხუმის ეპარქიის მესამე, მეოთხე და მეხუთე საბლალოჩინო ოლქების სამღვდელოებამ; წერილის ავტორები მოკლედ მიმოიხილავდნენ ბოლო ათწლეულების მანძილზე აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას, მაღალ შეფასებას აძლევდნენ ეპისკოპოსების გაბრიელის (ქიქოძე), ალექსანდრეს (ოქროპირიძე) და დეკანოზ დ. მაქავარიანის ღვაწლს, უთითებდნენ რუსი ეპისკოპოსების წყალობით უკანასკნელ პერიოდში შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე, კატეგორიულად აცხადებდნენ, „что время с 1887г. до 1906г. для христианства в Сухумской епархии было не лучше времени Турецкого владычества, хотя на бумаге, в разных отчетах, дела представлялись в ином виде“ (იხ. დანართი №31). ეპისკოპოს კირიონს მოკლე დროში მოუხერხებია სიტუაციის ნაწილობრივ გამოსწორება. იგივე თხოვნა კირიონის აფხაზეთში დატოვების შესახებ წარუდგინა უწმინდეს სინოდს სოხუმის ეპარქიის მეორე საბლალოჩინო ოლქის სამღვდელოებამ, რომელმაც ასევე გაუსვა ხაზი რუსი ეპისკოპოსების პოლიტიკანობის გამო აფხაზეთში მართლმადიდებლობის დასუსტების ფაქტს. „Главною ошибкою, _ наотķвамя წერილში, — основным злом, ставшим причиной безуспешности духовенства Сухумского округа в деле развития и поддержания православия в этом районе, было внесение и приобщение

კ საყთო დელო მისიონერსტოვო პოლიტიკანსტოვო" (იბ. დანარ-
თი №33). ეპისკოპოსი კირიონი ვასილისკო — იოანე ოქროპირის
დედათო რუსული მონასტრის
მონაზვნებმაც დაიცვეს. უწმინ-
დეს სინოდში გაგზავნილ წერილ-
ში ისინი ითხოვდნენ „не верить
всем врагам правды, кото-
рые, якобы в русских интере-
сах, распространяют клевету
по адресу доброго архие-
рея... Умоляем защитить
правду и не лишить нас хрис-
топодобного архипастыря”
(იბ. დანართი №32).

კირიონ სპაჰლიშვილი (1855-1918)



სხვადასხვა ეროვნების 909 სო-
ხუმელი აწერდა ხელს თხოვნა —
შუმადგომლობას უწმინდესი სი-
ნოდის წინაშე. „Не лишайте
нас апостолоподобного архипастыря Кириона”, — წერ-
დნენ სოხუმელები (იბ. დანართი №34). გუმისთის უბნის შვილი თე-
მის რწმუნებულები, უწმინდესი სინოდისაგან ითხოვდნენ რა კი-
რიონის აფხაზეთში დატოვებას, წერდნენ: „После преосвящен-
ного Гавриила, епископа Имеретинского, управлявшего
и Абхазскою, ныне Сухумскою Епархиею, преосвящен-
ного Кириона мы можем считать нашим архипастырем,
ибо архиереи, управлявшие Сухумскою епархиею с
1887г. до 1906г. февраля месяца, нас не понимали и мы
их не понимали...

Распустили слухи о переводе из Сухума преосвящен-
ного Кириона против его желания.

Встревожились мы и впали в духовное отчаяние. Го-
ворим, неужели русское духовное начальство старает-
ся окончательно искоренить христианство в Сухумском

округе... Просим не лишить нас доброго архипастыря".¹⁵⁴ მოკლე, მაგრამ კატეგორიული იყო სამურზაყანოს ყველა თემის რწმუნებულთა ხელმოწერით უწმინდეს მინოდში გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „Мы ходили в церковь, Слышали богослужение на непонятном нам языке. Хотели мы к комунибудь обратиться, но не могли обратиться к человеку, обратились мы к Богу. И бог услышал нашу молитву. После двадцатилетнего нашего духовного пленения (სამურზაყანოელებს მხედველობაში აქვთ რუსი ეპისკოპოსების ხანა — ჯ.გ.) удостоились мы архипастыря, которого мы узнали и который нас узнал. Это был преосвященный Кирион. Не знаем откуда пошли слухи, но заговорили о том, что лишают нас духовного отца епархии, в истинном смысле слова “архипастыря”. Много мы не в состоянии писать. Скажем только: если после перевода преосвященного Кириона результаты для христианства в Сухумской епархии будут плохие, да отвечают виновные пред пастыреначальником”.¹⁵⁵

უწმინდესმა სინოდმა არ შეისმინა სოხუმის ეპარქიის მრევლისა და სამღვდლოების თხოვნა-მუდარა. 1907 წლის 24 იანვარს კირიონი პეტერბურგიდან ტარას კანდელაკს წერდა: „ღღეს სინოდს დაუდგენია ჩემი დანიშვნა ლიტვის ეპარქიის ქორეპისკოპოსად. ვიკარნის საცხოვრებელი ქალაქი არის კოვნა (თანამედროვე კაუნასი — ჯ.გ.) — გუბერნიის ქალაქია. ჯერ მიტროპოლიტი ანტონი არ მინახავს. ეს ამბავი გადმომცა ეპისკოპოსმა ანტონიმმა, ალბათ უნდათ გაიგონ რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს უეცარი და მოულოდნელ ამბავი ჩემზედ. მე გულგრილად მივიღე ჩემი ასეთი დამცირება, მხოლოდ შევნიშნე, რომ ეს ამბავი ძალიან წინ წასწევს ავტოკეფალიის კითხვის გადაწყვეტას მეთქი... გიგზავნი ბლალოჩინების დანიშვნის რეზოლუციას, ვისთანმე თანდასწრებით გადაეცი და საჭიროც არის შემოწმებული კობიო გადაღებინო რომ არ დამალონ მანდ“¹⁵⁶ (საუბარია სოხუმის ახალი ეპისკოპოსისა და მისი კანცელარიისთვის მითითებული რეზოლუციის გადაცემის თაო-

ბაზე). 1907 წლის 12 თებერვალს კირიონი წერდა, რომ მისი ინფორმაციით, ნ. დურნოვოს „ჩემი ვიკარნის ადგილზედ ჩამოგდების და ჩვენი ავტოკეფალიის გამო მოუწერია წერილები მიტროპოლიტ ანტონის, და ობერ-პროკურორისათვის. დიდად და გაბედულად ჰკიცხამს სინოდის მოქმედებას, ამასთანავე თურმე ვადას უღებს მათ ამ თვის ოცამდის. თუ მანამდის პასუხები არ მიიღო, ემუქრება ორასი ათას პირს დაგებქდამ ამ წერილისაო, მთელ რუსეთს მოვსდებ და ვაუწყებ ქვეყანას სინოდის უსამართლობას“. სინოდის მართლაც უსამართლო გადაწყვეტილებით შეწუხებული კირიონი იმავე 12 თებერვალს გაგზავნილ კიდევ ერთ წერილში მეგობარს (ს. ჩიჩავაძეს) თავის გულსტკივილს უზიარებდა: მამამ დიდი ქონება დამიტოვა, ყველაფერი მაქვს უზრუნველი ცხოვრებისათვის, მაგრამ დავინახე, რომ ეპისკოპოსს გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ ჩვენს ბერობაში რიგიანი კანდიდატი არავინ იყო, გარდა ლეონიდისა; „ამ გარემოებამ იძულებული მყო ღრმად ჩამეხედა და შემეგნო ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა. ასი წლის მონობის უღელმთა მეტად დააქვეითა ჩვენი ეკლესია. როდესაც გავითვალისწინებ ჩვენი აწმყო, დავრწმუნდი, რომ, თუ გვსურს ჩვენი ხალხოსნობა არ აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა, აუცილებელია ჩვენი ნაციონალური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ამის განხორციელებისათვის საჭირო იყო გაგვემრალეებინა ბერები მაღალის სწავლით აღჭურვილნი. მაგრამ პირველი მძიმე ნაბიჯი ვის უნდა გადაედგა? სტატისკი სოვეტნიკი ვიყავი, პენსიას ორიოდ წელიწადში დავიმსახურებდი, სახლ-კარი, მამული, საქონელი მზათ, სხვა უჩემო შეირთავდა ლამაზს ცოლს და მყუდრო ოჯახებრივ ცხოვრებით დატკბებოდა, მაგრამ ეს ყველა უარყავ, დავიდგი თავზედ ბაბილონის გოდოლი, შეუდეგ საქმეს დასაარაკო თავგადასავალი გადამხდა. პირველსავე ხანაში აღექსანდრე ოქროპირის და ლეონიდის მხრით ქომავობის ნაცვლად მტრობა ვიგრძენი. ამას ყოველს მოველოდი და უარესისთვისაც მზად ვიყავი“.¹⁵⁷ შესაძლოა, ასეც იყო „პირველსავე ხანაში“, მაგრამ შემდგომში კირიონი და ლეონიდე ერთად ეწეოდნენ შეურიგებელ ბრძოლას ავტოკეფალიისათვის. თავის წერილებში ლეონიდე ოქროპირიძე უდიდეს პატივისცემას გამოხატავდა კირიონ

ნისადმი, რომელსაც ასე მიმართავდა: „სასიქადულო მწყემსმთავარო“ (1907წ. 3 იანვარი); „თქვენო მეუფებავ, დაუვიწყარო მღვდელმთავარო კირიონ! თუ თქვენი აქ ყოფნა ვისმეს მოაკლდა, — ეს გახლავთ პირველი მე“,¹⁵⁸ და ა.შ.

კოვნოში ჩასვლისთანავე (1907წ. მარტის დასაწყისი), კირიონმა სცადა სოხუმიდან თავისი განუყრელი მეგობრის ტარას კანდელაკის ლიტვაში გადაყვანა, მაგრამ უწმინდესმა სინოდმა უარი უთხრა სასამსახურისადმი თითქოს მისი შეუფერებლობის გამო. ამით მანიშნებენ, არც „შენ შეპფერი აქაურ მხარის მოთხოვნილებასაო“,¹⁵⁹ — წერდა კირიონი 1907 29 მარტს.

1906 წელს გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის სოხუმის ეპისკოპოსად დანიშვნა უთუოდ იმპერიაში სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის აზვირთებას, იმპერიაში განხორციელებულ გარკვეულ ლიბერალურ რეფორმებს და ქართველ ავტოკეფალისტთა „დაშოშმინების“ მცდელობას უკავშირდებოდა, ხოლო 1907 წლის იანვარში აფხაზეთიდან მისი გაწვევა რუსეთში რეაქციის გამარჯვებამ განაპირობა. რეაქციამ საეკლესიო სფეროშიც გაიმარჯვა. რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი სათათბიროს მეორე განყოფილებამ უარი თქვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე, სამაგიეროდ ცნობად მიიღო ი. ვოსტორგოვის პროექტები საეგზარქოსოს გაუქმების, აგრეთვე სამიტროპოლიტოების შექმნის თაობაზე. ამ ბოლო პროექტის შესახებ გაზეთი „ზაკავკაზიე“ საეკლესიო კრების წინასწარი სათათბიროს ანგარიშზე დაყრდნობით წერდა: „Отчет приводит проект знаменитого Восторгова об учреждении на Кавказе двух митрополичьих округов _ русского со включением в состав его всех негрузин, и грузинского, из состава которого однако исключаются, по проекту, в целости города Тифлис и Батум, вся нынешняя Сухумская епархия за Ингуром (ერთ-ერთი პროექტით სამურზაყანო გურია-სამეგრელოს ეპარქიას უერთდებოდა — ჯ.გ.), горцы от Джавского ущелья и Гудаурского перевала, Борчалинский уезд, Карсская область и губернии Эриванская, Елисаветопольская и Бакинская“.¹⁶⁰

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე უარის თქმამ და ი. ვოსტოგოვის პროექტების ცნობად მიღებამ (რაც უწმინდესი სინოდის მხრიდან მათ მოწონებას ნიშნავდა) ალაშფოთა ქართული სამღვდლოება, მორწმუნე საზოგადოება, საქართველოს მეგობრები რუსეთში. ნ. დურნოვოს მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის რუს მიტროპოლიტზე აფხაზეთის გადაცემა და ქართული საკათალიკოსოდან „მისი გამოყოფა არაკანონიერია, ეწინააღმდეგება ისტორიის აზრს. ქართველები არასოდეს იტყვიან უარს აფხაზ ბაგრიტებზე (ბაგრატიონებზე — ჯ.გ.) და აფხაზეთ-იმერეთის ბიჰვინთის ტახტზე და უარის უფლებაც არა აქვთ. ბიჰვინთა რომ ზემოხსენებულ კათალიკოსთა კათედრა იყო და ბაგრატთა სამეფო ტახტი, ამის ისტორიიდან ამოგდება შეუძლებელია“.¹⁶¹

1907 წელს ქართულმა სამღვდლოებამ მრევლთან ერთად უწმინდეს სინოდს მთელი რიგი მოთხოვნები წარუდგინა, მათ შორის ასეთი პირობაც იყო: „მოსკოვში სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის შემთხვევაში ქართველთა მონაწილეობა მასში მოხდეს იმ პირობით, თუ მანამდე ქართლი, კახეთი, აფხაზეთი და გურია მიიღებენ თავიანთ ეპისკოპოსებს, მშობლიურს სულითა და ენით“; ქართულ სამღვდლოებაზე და მრევლზე ძალადობის გაგრძელების შემთხვევაში საჩივარი გაეგზავნებოდათ აღმოსავლეთის პატრიარქებს, ამავე დროს შეწყდებოდა „ყველა ქართულ ეკლესიაში უწმინდესი სინოდის, რუსი ეგზარქოსებისა და აფხაზეთში სოხუმის ეპისკოპოსის მოხსენიება წირვა-ლოცვის დროს“.¹⁶²

ზეწოლამ, ძალადობამ ქართულ ეკლესიაზე კიდევ უფრო უბეში და ცინიკური ფორმები მიიღო. წიგნის — „Правда об автокефалии Грузинской церкви“ — ავტორი მ. კელენჯერიძე შოვინისტებს შეახსენებდა ჭერ კიდევ 1770 წელს საქართველოში გამოგზავნილი გენერალ ტოტლებენისათვის იმპერატრიცა ეკატერინე II-ს სახელით გრაფ ნ.პ. პანიჩის მიერ მიცემულ ინტრუქციას, სამოქმედო პროგრამას, რომლის განხორციელების შედეგად ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ჰქონოდა რუსული სული და ქართული სხეული. „Этот античеловеческий, антихристианский принцип... царит и в церкви, и школе, и управлении.“

Из всякого дела и тела грузинского выголяется, выживается грузинская собственная душа — это оживляющее начало и втискивают в них душу чужую”,¹⁶³ წერდა მ. კვლენგერიძე და სახარებიდან უფლის სიტყვებს იშველიებდა: „რას გამოიჩება კაცი თუ მოიგებს მთელს ქვეყანას, და სულს კი წააგებს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ“ (მათე, 16, 26).

რუსი შოვინისტები მთავარ დარტყმას მაინც აფხაზეთის მიმართულებით ახორციელებდნენ. მოსკოვში დაფუძნებულმა ი. ვოსტორგოვმა თავისი რეზიდენციის (ე.წ. „ეპარხიალნი დომ“) ირგვლივ თავი მოუყარა შავრაზმელებს, უკიდურეს რეაქციონერებს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ ვინმე ლ. ვორონოვი (საფუძვლიანად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ ეს არის დღემდე უცნობი პიროვნების ფსევდონიმი; ბროშურის ნამდვილ ავტორად, სავარაუდოდ, მიიჩნევენ სხვადასხვა პიროვნებებს — აფხაზეთში XIX-XX სს. მიჯნაზე მცხოვრებ ეთნოგრაფ ი. ვორონოვს, წებელდაში მცხოვრებ შოვინისტ დ. ყუდრას, 1899-1905 წწ. სოხუმის ოლქის უფროს ლ. პროვულბიციკის და ა. შ.; ეს პიროვნებები ქართული ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის დროშით იღწვოდნენ აფხაზეთის გარუსებისათვის): ი. ვოსტორგოვის მოხსენების — „პრავედაობ ავტოკეფალი გრუზინსკოი ცერკვი“-ს (ცერკოვნიე ვედომოსტი, 1907, №8-10) საფუძველზე მან დაწერა ბროშურა „Абхазия-не Грузия“, რომელიც 1907წ. გამოსცა მოსკოვში გამომცემლობა „ვეროსტი“-მა. ეს უკანასკნელი სულ მალე ი. ვოსტორგოვის საკუთრება გახდა და „პატრიოტულ“ წიგნებს უშვებდა.¹⁶⁴ მიუხედავად მკვირალა სათაურისა, ლ. ვორონოვის ბროშურა არის პრიმიტიულზე პრიმიტიული ხასიათის ნარკვევი; მას არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ავტორმა თავის დანაშაულებრივ მიზანს — ქართველთა და აფხაზთა შორის დაპირისპირების პროვოცირებას და გაღრმავებას — ნამდვილად მიაღწია. „აფხაზია ნე გრუზია“ დღემდე სეპარატისტთა ერთ-ერთ იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს. იგი იწყობა და მთავრდება ცხუმელის, ეპისკოპოს კირიონის, არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას და პროფესორ ა. ხახანოვის

(ხახანაშვილის) კრიტიკით იმის გამო, რომ თავიანთ შრომებში აფხაზეთს საქართველოს ნაწილად განიხილავენ. ავტორი გაშმაგებით თავს ესხმის ცხუმელს და ეპისკოპოს კირიონს (როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ცხუმელი იგივე კირიონია). ცხუმელის ბროშურა საქართველოს შავი ზღვისპირეთის, აფხაზეთის საეკლესიო ისტორიის საკითხებს ეხებოდა და სოხუმის ეპარქიის ყუბანის ოლქთან შეერთების მთავრობისეული გეგმის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ბროშურის ავტორი ყურადღებას აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ქართველი მისიონერების დამსახურებაზე ამახვილებდა. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ცხუმელი ასაბუთებდა, რომ აფხაზეთის სამწყაო 1500 წლის მანძილზე ქართული ეკლესიის ნაწილს შეადგენდა, რაც I და II მსოფლიო საეკლესიო კრებების (325 და 381 წწ) დადგენილებების თანახმად, გამორიცხავდა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფას და სხვა ოლქის ეკლესიასთან მიერთებას. ცხუმელის, იგივე კირიონის ეს პატარა ბროშურა და სხვა მისი შრომები, ა. ხახანაშვილის 1903 წელს გამოცემული წიგნი, რომლის მიხედვითაც ქართველური ტომები კავკასიის ქედამდე ვრცელდებოდნენ, განსაკუთრებით აღიზიანებდა ვორონოვს. იგი ზოგჯერ იმოწმებდა დ. ბაქრაძესა და თ. ჟორდანიას, მაგრამ არაფერს ამბობდა იმის თაობაზე, რომ ამ გამოჩენილმა მეცნიერებმა ა. ხახანოვზე და კირიონზე აღრე დაამტკიცეს უძველესი დროიდან ქართველთა მოსახლეობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და მის ჩრდილოდასავლეთითაც.¹⁶⁵

ბროშურის — „აფხაზეთი საქართველო არაა“ — პირველ თავში („აფხაზები, მათი ქვეყანა, ენა სახელმწიფოებრივი და ეკლესიური წარსული“) ავტორმა სულ რაღაც 16 გვერდზე „მოახერხა“ საქართველოს ისტორიული პროვინციის — აფხაზეთის, მთლიანად დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-რელიგიური ისტორიის ქართველებისათვის „ჩამორთმევა“ და აფსუებისათვის „მიკუთვნება“. შავი ზღვის სანაპიროზე „всегда жили абхазцы и никогда грузины“,¹⁶⁶ — პირდაპირ ყვირის ლ. ვორონოვი (წინადადების ბოლოს კითხვისა და ძახილის ნიშნებია დასმული). იგი, რა თქმა უნდა,

დუმლით უვლის გვერდს გამოჩენილი პირველი რუსი პროფესიონალი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის ვ. ტატიშევის (1686-1750 წწ) შრომებს, სადაც გასაგებად არის ნათქვამი, რომ მისი თანამედროვე აფხაზეთი არის ჩრდილოეთ სამეგრელო და იგი ამჟამად ყუბანელებითაა დასახლებულიო. აფხაზეთის ისტორიით დაინტერესებული ლ. ვორონოვი ვალდებული იყო გაცნობოდა მოსკოვში 1888 წელს ს.ა. ბელოკუროვის მიერ გამოცემულ წიგნს „რუსული ისტორიის მასალები“. მასში გამოქვეყნებულია ანგარიშები რუსეთის მეფის მიხეილ თევდორეს ძეს ელჩების სამეგრელოში ჩამოსვლის შესახებ (1639-1640 წწ). რუსმა ელჩებმა ლევან დადიანის სამფლობელოში ეკლესიების დათვალიერებისას, ნახეს და დაწვრილებით აღწერეს დრანდის, მოქვის ილორის ბედიისა და თანამედროვე აფხაზეთის (მაშინდელი სამეგრელოს) ტერიტორიაზე მდებარე სხვა ეკლესიები. რუსებმა ისიც შეიტყვეს, რომ ამ ეკლესიების მრევლის საღვთისმსახურო-სამწერლობო ენა იყო ქართული; რომ აქაური კათალიკოსი ბიჭვინთაში იჯდა (იხ. თავი V). ლ. ვორონოვის მიერ მიჩუმათებული ეს უტყუარი ფაქტი ადასტურებდა, რომ ეკლესია აფხაზეთში იყო ქართული და გვიან ჩამოსახლებულ აფხაზებთან (აფსუებთან) მას კავშირი არ ჰქონდა.

ლ. ვორონოვი არც მასზე არანაკლები შოვინისტის ა. დიაჩკოვ-ტარასოვის 1903 წელს გამოცემულ ნაშრომში წამოყენებული პირობებით (თანამედროვე აფხაზეთში აფსუათა XVI-XVII ს.ს. ჩამოსახლების, ადრე მეგრელების „ძველ ლაზიკამდე“ გავრცელების შესახებ და ა.შ.) დაინტერესებულა.¹⁶⁷

ლ. ვორონოვს მისთვის სავსებით ხელმისაწვდომი რუსი ავტორების შრომები მაინც რომ გაეთვალისწინებინა, სულ სხვა დასკვნებამდე მივიდოდა, მაგრამ მას მეცნიერული ობიექტურობა, ქეშმარიტების დადგენა კი არა, ისტორიის ფალსიფიკაცია, ცხუმელის (კირიონის) ნაშრომის კრიტიკა დაევალა და ისიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა დავალების შესრულებას.

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის მრუდე სარკეში წარმოჩენამ ლ. ვორონოვს შესაძლებლობა მისცა აფსუათა ემოციებზე გათვლილი „ბრალდე-

ბები“ წაეყენებინა შუა საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსებისათვის, რომელთა ქართველობას ავტორი აღიარებდა. თურმე მათ აფსუებისათვის დამწერლობა არ შეუქმნიათ, საეკლესიო წიგნები აფსუურად არ უთარგმნიათ; ამის გამო ხალხს ქრისტიანული მოძღვრება გაუგებარ ქართულ ენაზე ღრმად ვერ შეუთვისებია და ამიტომ ფაქტობრივად წარმართებად დარჩენილან. იგივე გზას დადგომიან XIX. ქართველი მისიონერები და ეპისკოპოსები, რაც აფხაზეთში ქრისტიანობის წარუმატებლობის მიზეზი გამხდარა.¹⁶⁸

აფხაზეთის ისტორიის თავდაყირა დაყენებამ ლ. ვორონოვი ამგვარ სისულელეებამდე მიიყვანა. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსები ვერანაირად ვერ შექმნიდნენ დამწერლობას აფსუურ ენაზე, რომლის მატარებელი ხალხი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ XVI-XVII ს.ს. დამკვიდრდა; დაეუფლნენ რა ტერიტორიას მდ. ღალიძგამდე და ენგურამდე, როგორც წინა თავებშია ნაჩვენები, აფსუებმა გაანადგურეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ამოჟლიტეს ან იქიდან გააძევეს ქართული სამღვდლოება კათალიკოსის ხელმძღვანელობით; იმერეთის სამეფომ და სამეგრელომ დაკარგეს კონტროლი ამ ტერიტორიაზე. აფხაზეთიდან გამოძევებულ ქართველ კათალიკოსებს და სამღვდლოებას რანაირად უნდა შეექმნათ აფსუური დამწერლობა არაკონტროლირებად ტერიტორიაზე? გარდა ამისა, ლ. ვორონოვი არც იმ გარემოებას ითვალისწინებდა, რომ აფხაზური არისტოკრატია, სამთავრო კარი მშვენივრად წერდა და მეტყველებდა ქართულ ენაზე, რომ რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ შესვლის თაობაზე შედგენილი თხოვნაც კი ქართულ ენაზეა დაწერილი.

XIX საუკუნეში აფხაზური დამწერლობის შექმნა არა ქართულ სამღვდლოებაზე, არამედ, პირველ რიგში, რუსულ ადმინისტრაციაზე და თავად აფხაზებზე იყო დამოკიდებული. აფხაზებმა კი შესანიშნავად იცოდნენ, რომ დამწერლობის თემას რუსები პოლიტიკური სპეკულაციებისათვის იყენებდნენ, ამიტომ დიდ დაინტერესებას არ იჩენდნენ. საქართველოს მიმართ სეპარატისტულად განწყობილი ს.მ. აშხაცავაც კი ამის თაობაზე წერდა: რუსულმა მო-

ნარჩეულმა ხელისუფლებამ „желая разъединить абхазов от родственных им народов“, გადაწყვიტა ხალხური ენის დახმარებისათვის მიემართა; „Абхазы инстинктивно чувствовали эту подоплеку и относились к этому делу враждебно и потому дальше Усларовского алфавита и Бартоломеевского букваря эта письменность не двигалась, а вместе с тем задерживалось, конечно, и культурное развитие. Кроме того, сам алфавит не удовлетворял основным требованиям абхазского языка; русский алфавит, положенный в основу Усларовского, далеко не выражал все звуки абхазского языка“. ¹⁶⁹ გასაგებია, რა ინტრიგის სარჩულზე საუბრობდა ს.მ. აშხაცავა. გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ ციტირებული ე. ვეიდენბაუმის სიტყვები; მას მიაჩნდა, „რომ აფხაზური დამწერლობის დამკვიდრება კი არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ მხოლოდ საშუალება ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენის ხმარების დასუსტებისა და მისი თანდათან შეცვლისა სახელმწიფო ენით. როცა ლ. ვორონოვი თავის ნაცოდვილარს წერდა, ბუნებრივია, არც ე. ვეიდენბაუმის სიტყვებისათვის მიუქცევია ყურადღება.

აფხაზური დამწერლობის თემას ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯანაშიაც (აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მამა, რომელიც თავს აფხაზად თვლიდა) შეეხო. იგი წერდა: ქართველთა და აფხაზთა დასაპირისპირებლად რუსულმა ადმინისტრაციამ გამოიყენა „ისეთი სასიამოვნო და კულტურული მოვლენა, როგორც არის დამწერლობის შექმნა აფხაზურ ენაზე. როგორ შეიძლება ეს სასიამოვნო გარემოება იარაღად გამოიყენოს კაცმა, სხვათა შორის, შუღლისა და მტრობის დასათესადაო, იკითხავთ. სულ ადვილად, მაგრამ ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. იმთავითვე, როცა აზრი დაიბადა აფხაზთათვის ანბანის შექმნისა, ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: ბ-ნმა ბარტოლომეიმ ქართული ასოები შემოიღო აფხაზთათვის, ხოლო ბარონმა პ. უსლარმა-რუსული ასოები. ამ უკანასკნელმა პირველად შეუდგინა ასოები აფხაზებს ჯერ კიდევ 1862 წელს, ხოლო ანბანი (ბუკვარი) გამოვიდა 1865 წელს. როგორც აღვნიშნეთ

ბარტოლომეიმ ქართული ასოები იხმარა, როგორც უფრო შესაფერისი აფხაზური ენისათვის და რაც აკლდა, მიუმატა. გარნა მისი აზრი არ იქნა შეწყნარებული: უცდელ ქართულ ასოებსაც შესწამეს პოლიტიკური „ნებლადონადიოვნობა“ და უარყოფილ იქმნა. გაიმარჯვა უსლარმა, მაგრამ ამ საქმეს მსვლელობა მაინც არ მიეცა (იხ. თავი VIII — ჯ.გ.), სანამ ჩვენმა თანამემამულემ ცნობილმა კოწია მაქავარიანმა ხელი არ მოჰკიდა. მეოთხმოცდაათე წლებში იგი თავის მოწაფეთა თუ ნამოწაფართა დახმარებით შეუდგა საქმეს და იწყა თარგმნა საღმრთო წერილისა აფხაზურ ენაზე (1892 წელს სოხუმის საეპისკოპოსო კათედრასთან შექმნილ მთარგმნელობით კომისიაში კ.მაქავარიანის გარდა შედიოდა გ.ა.შერვაშიძე, დ.გ.აჭამოვი, დ.გულია, ვ.გარკცია, კ.ლაღარია, ლ.მალანია და ნ.გუბლია. ამ უკანასკნელმა 1891 წ. დეკემბერში წერილით მიმართა უწმ. სინოდის ობერპროკურორს აფხაზურ ენაზე საეკლესიო წიგნების თარგმნის აუცილებლობის შესახებ — ჯ.გ.). 1892 წელს უკვე გამოვიდა პირველად ცოტად თუ ბევრად შემუშავებული აფხაზური ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი კ.მაქავარიანისა და აფხაზ დიმიტრი გულიასი და მით ჩაეყარა საძირკველი მწიგნობრობას აფხაზურს ენაზე. ამ დროიდან თითო-ოროლა სკოლაში შემოიღეს ეს წიგნაკი და ვითომდა ასწავლიდნენ. ხოლო უკანასკნელმა მოძრაობამ (1905-1907 წწ. — ჯ.გ.) სული ჩაუბერა და სიცოცხლის ძალა მიანიჭა საკითხს: მით მიმართულება მიეცა უკუღმართი და იეზუიტური, აქ შავრაზმელობამ გამოჰყო თავი და ეს წმინდა საქმე შუღლისა და მტრობის ჩასათესად იხმარეს: „აი ხედავთ, როგორ მზრუნველობას ვიჩინთ თქვენზე, ხოლო ამაში ხელს გვიშლიან ქართველები, რომელთაც თქვენი ჩაყლაპვა სურთ“, გაიძახიან ყოველ ნაბიჯზე. ამ მიზნითვე ამ კომისიაში, რომელიც მთარგმნის საღმრთო წერილს აფხაზურს ენაზე, არ მოიწვიეს არც ერთი ისეთი პირი, რომელსაც ასე თუ ისე შესწამეს ქართველთადმი მიდრეკილება. ერთი პატივცემული აფხაზი, რომელმაც გააჰხედა და აღიარა, რომ მეზობელ ხალხთან შუღლსა და მტრობაზე კი არ უნდა აღვაშენოთ ჩვენი ბედნიერება, არამედ იმის დახმარებითაო, ჩამოაშორეს კომისიას. გარდა ამისა, აქ მოიპოვება იმისთანა ქარ-

თველნიც, ზოგი მათგანი აფხაზთაენის ზედმიწევნით მცოდნეა, რომელნიც დიდს და დაუფასებელ სამსახურს გაუწევენ ამ შემთხვევაში აფხაზთ. მე აქ ვასახელებ ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილ პეტრე ქარაის, რომელმაც ზედმიწევნით იცის აფხაზური ენა და თან ლინგვისტური მომზადდებაც აქვს; გარნა, სამწუხაროდ, სათოფე ზედაც არ გაიკარეს იგი, აქაო და ქართველიაო. უშლის ქართველობა ამაში რასმეს? რა თქმა უნდა, არა. ქართველებს თავის ზურგზე ძალიან კარგად გამოუცდიათ თუ რა არის ეროვნული დევნა, და ეს მწარე გამოცდილება თავმდებია იმისა, რომ თვითონ არ იკისრებს იმავე ჯალათის როლს, მერე ჯალათის არა ერთი ადამიანისა, არამედ მთელი ხალხისას! და რამდენადაც საქმესთან გაცნობილი ვარ, ჯერ ერთს ქართველს არ უთქვამს: „აფხაზნო, ნუ გინდათ საკუთარი მწერლობა, ჩვენი იკმარეთო!“ პირიქით, ეპ. კირიონს არ დააცალეს (ეპისკოპოსმა კირიონმა მოკლე დროში ჩამოაყალიბა მთარგმნელობითი კომისია, მოიწვია მისი ორი ყრილობა. პირველი — ორგანიზაციულ საკითხებს შეეხებოდა. მეორე ყრილობაზე, რომელიც 1906 წ. 27 დეკემბრიდან 6 იანვრამდე მიმდინარეობდა მონაწილეობა მიიღეს აფხაზმა მღვდლებმა დ.მარღანიამ, ნ.ლაღარიამ, ა.აჟიბამ, ი.კუჩუბერიამ, მასწავლებლებმა დ.გულიამ, თ.ეშბამ, ა.ჩოჩუამ, კ.მაჭავარიანმა, ა.ჩუკბარმა, მომავალმა მღვდელმა ნ.პატეიფამ. 1908-1909 წლებში შედგა კომისიის III და IV ყრილობები — ჯ.გ.), თორემ უნდა სერიოზულად მოეკიდა ამ საქმისთვის ხელი, გაიხსენეთ ბატონი ი. გოგებაშვილის წერილიც. სხვა საკითხია. შეიძლება თუ არა მწიგნობრობის არსებობა იმ ენაზე, რომელზედაც 40 ათასი სული ლაპარაკობს.

დღეს სოხუმში არსებობს კომისია, სამი პირისაგან შემდგარი (პირველი აფხაზი მწერალი დ. გულია, აფხაზი მღვდლები ნ. პატეიფა, ს. კაცია, რომელიც 1909 წ. ნ.ლაღარიამ შეცვალა — ჯ.გ.), რომელიც სთარგმნის საღმრთო წერილს და თან დროგამოშვებით იწვევს დასახმარებლად სხვა ინტელიგენტ აფხაზთაც. ხარჯი, ვგონებ, სინოდისაა (1909 წელს უწმინდესმა სინოდმა ამ მიზნით 9 ათასი მანეთი გამოყო; 1911 წლამდე კომისიის ძალისხმევით 10 წიგნი

გამოიცა — ჯ.გ.). ჩემი მხრივ არ შემიძლიან სალაში არ მიუძღვნა ამ მცირე ჯგუფს და არ ვუსურვო სრული გამარჯვება“.¹⁷¹

ნ. ჯანაშიას წერილი, თითქოს ლ. ვორონოვის წინააღმდეგაა დაწერილი, რომელსაც ნამდვილად ქართველთა და აფხაზთა შორის შუღლის ჩამოგდების გარდასხვა არაფერი აინტერესებდა და ამისთვის აფხაზური დამწერლობის თემას იყენებდა. ნ. ჯანაშიას მიერ მოხსენებული დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი მართლაც უჭერდა მხარს აფხაზური დამწერლობის შემოღებას. იგი ილაშქრებდა იმ მოსაზრების წინააღმდეგ, თითქოს „პირველდაწყებითი ელემენტარული სწავლების წარმოება აფხაზურ ენაზე შეუძლებელიაო. არა თუ საგანს თავის სახელს ვუწოდებთ, მაშინ მოვალე ვართ, ვთქვათ, რომ ეს აზრი უალრესად არაკეთილსინდისიერია, ვინაიდან არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც არ მოხერხდება პირველდაწყებითი სწავლების მოგვარება“.¹⁷² იაკობ გოგებაშვილმა კატეგორიულად დაუჭირა მხარი აფხაზურ ენაზე დამწერლობისა და ღვთისმსახურების შემოღებას. „გაზეთების ზოგი კორესპონდენტი, — წერდა იგი 1907 წელს, — მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მეტისმეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“.¹⁷³ იაკობ გოგებაშვილის თქმით, უსამღვდელოესი კირიონი დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას; მან სთხოვა იაკობს მონაწილეობა მიეღო აფხაზური ენის ნაციონალური სახელმძღვანელოების შედგენაში. „ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ სოხუმელმა ქართველებმა და ყოველნაირად დაეხმარონ აფხაზებს ამ

კულტურულ წამოწყებაში“.¹⁷⁴ — წერდა იაკობ გოგებაშვილი. იგი გმობდა აფხაზურ სკოლებში აფხაზურ ენაზე სწავლების ნაცვლად რუსების მიერ ე.წ. მუნჯური მეთოდის დანერგვას, რაც მოსწავლეთა გონებრივ დამახინჯებას და დაჩლუნგებას იწვევდა; დიდი პედაგოგი სოხუმელ ქართველებსა და აფხაზებს მოუწოდებდა შეერთებული ძალებით შეედგინათ და დაებეჭდათ აფხაზური დედა-ენა; თუ კი ამას ვერ მოახერხებდნენ, გამოეგზავნათ თბილისში, სადაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მზად იყო საკუთარი ხარჯებით გამოეცა აფხაზური დედა-ენა.¹⁷⁵

იაკობ გოგებაშვილი მშვენივრად ხედავდა თუ რა უშლიდა ხელს მშობლიურ ენაზე აფხაზთა განათლებას — ეს იყო რუსული შოვინისტური პოლიტიკა. „ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს, ერთნი სცდილობენ სრულიად დააშორონ იგი საქართველოს, გაიმარტოვონ და გადაიბირონ თავისკენ. მეორენი მონატრებულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან“.¹⁷⁶ საქართველოსაგან ჩამოშორებამ აფხაზები კატასტროფადე მიიყვანა, „მოზრდილი ერის ნაცვლად ერთ მუჟა თემად იქცა, რომელსაც გაქრობა ემუქრება, თუ პოლიტიკანებმა გააცალკევეს, გაიმარტოვეს და მოსწყვიტეს საქართველოს“, — თვლიდა იაკობ გოგებაშვილი. მისი აზრით, გაწყვეტილი ისტორიული კავშირის აღდგენა ქართველებთან „წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღაღებს“.¹⁷⁷

სრულიად საპირისპირო მიზნები ამოძრავებდა ლ. ვორონოვის. როგორც ვხედავთ, აფხაზური დამწერლობისა და განათლების საკითხებზე მისი განცხადება იყო სუფთა პროვოკაციული ხასიათის. ქართული საზოგადოება, მათ შორის სამღვდელოება მხარს უჭერდა აფხაზური დამწერლობის შექმნას, აფხაზურ ენაზე ღვთისმსახურების შემოღებას, მაგრამ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად მაინც იმპერიულ-შოვინისტური პოლიტიკა რჩებოდა.

ლ. ვორონოვის ბროშურის მეორე თავი სამურზაყანოელთა ვინაობის საკითხს ეძღვნება („ვინ არიან სამურზაყანოელები? დიდი ხანია თუ არა მათ დაკარგეს აფხაზური ენა? ესმით თუ არა ღვთის-

მსახურება ქართულ ენაზე“?). აღნიშნულ თემას ავტორი „აშუ-
ქებს“ ისე, რომ არც ერთი ისტორიული დოკუმენტი არ მოჰყავს.
მისთვის სამურზაყანოელები, რა თქმა უნდა, აფხაზები არიან. ეს
ლიტონი განცხადება ერთადერთ „არგუმენტს“ ეფუძნება: „სამურ-
ზაყანოში თავადაზნაურული გვარები მთლიანად აფხაზურია.¹⁷⁸
ჯერ ერთი, ყველა თავადაზნაურული გვარი სამურზაყანოში, აფხა-
ზური არ იყო; მეორეც, ქართული თავადაზნაურობა XVIII. ბოლოს
აფხაზეთში ჩამოსახლებულმა აფსუებმა გაანადგურეს (დიდი ნაწი-
ლი სამღვდლოელებსთან ერთად სამეგრელოში გადავიდა); მესასა-
მეც, აფხაზი თავადაზნაურობა სამურზაყანოში ბზიფის ოლქიდან
XVII-XVIII სს მიჯნაზე გადმოსახლდა (იხილეთ თავი V).

სხვა „არგუმენტები“ ლ. ვორონოვის არ გააჩნია, ამიტომ კვლავ
ჩვეულ სტილში ზოგადად ქართულ-აფხაზურ პოლიტიკურ და რე-
ლიგიურ ურთიერთობებზე საუბრობს, ცხადია, ისტორიული წყა-
როების მითითების გარეშე; მოჰყავს ჩვენთვის უკვე ნაცნობი ვოს-
ტორგოვისეული ტყუილები, ცილისწამებები კირიონის წინააღმ-
დეგ (აფხაზურ და რუსულ სამრევლოებში ქართველი მღვდლების
დანიშვნა და ა. შ.),¹⁷⁹ „აკრიტიკებს“ ცხუმელს, ა. ხახანაშვილს, ი. გო-
გებაშვილის „რუსსკოე სლოვო“-ს, სადაც სამურზაყანო-
აფხაზეთის საზღვრად მდ. კოდორია მითითებული.

1995წ. სეპარატისტებმა ლ. ვორონოვის ბროშურა ხელახლა გა-
მოსცეს და დაურთეს წერილი „88 лет спустя (вместо предис-
ловия)“. იგი ხელმოუწერელია. მსგავს სისულელეზე, რომელიც
თავისი სულისკვეთებით, სტილით ტყუპისცალივით ჰგავს XIX-XX
სს მიჯნაზე დაწერილ შოვინისტურ წერილებს, ოდნავ თავმოყვა-
რე ადამიანი ხელს არც მოაწერდა. წერილის ავტორი თვლის, რომ
1907 წელს გამოცემული „აფხაზეთი-საქართველო არაა“, დღემდე
აქტუალურია და მიმართულია „против фальсификаторов ис-
тории Абхазии“¹⁸⁰(?!); სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ქარ-
თველი სასულიერო პირებისათვის წაყენებული უზნეო ბრალდე-
ბა; ისინი, თურმე, „возлагали на себя антихристианскую по
своему духу миссию-поддерживать и благословлять
ложь, грабежи и насилие по отношению к народу Абха-

зии".¹⁸¹ ნამდვილად მკრეხელობაა, ანტიქრისტიუნული ქმედობაა მსგავსი ცილისწამება (შოვინისტებისაგან ნასესხები) ქართულ სამღვდელთაზე, რომელმაც აფხაზები სრულ მაჰაჯირობას და გარუსებას გადაარჩინა. ოფიციალური რუსული ხელისუფლება, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აფხაზეთის ქართულ ეკლესიას სწორედ მხარის გარუსების საქმეში ხელის შეშლაში ადანაშაულებდა. ეს კი ისტორიული მნიშვნელობის მქონე უდიდესი დამსახურებაა, რითაც უნდა იამაყოს მთლიანად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა ეკლესიამ.

1908 წელს პეტერბურგში გამოიცა ჩვენთვის უკვე ნაცნობი ქუთაისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის თ. გერშელმანის შოვინისტური შინაარსის წიგნი „Причины неурядиц на Кавказе“, რომელშიც ვრცლად იყენებდა მის მიერ მთავარმართებლისათვის 1900 წელს წარდგენილ ზემოთგანხილულ მოხსენებებს სოხუმის ოლქში არსებული ვითარების (ქართული მოძრაობის) შესახებ. კავკასიაში, კერძოდ, აფხაზეთში უწესრიგობების (неурядиц) აღმოფხვრის მიზნით, ავტორს საჭიროდ მიაჩნდა „назначать туда русское духовенство и отправлять службу на церковно _ славянском языке, но никак не на грузинском. ...Кроме того, весьма важно оберегать Абхазию, т.е. Сухумский округ от грузинского влияния, которое в последнее время туда проникает. Домогательство это не имеет за собой никакого основания, так как население округа (Абхазии и Самурзакани) никогда не имело ничего общего с грузинами, состоящими в нем элемент пришлый. Территория его никогда не была Грузией... В последнее время во главе Сухумской епархии был поставлен между прочим, епископ Кирион, известный грузинский патриот-националист, ярый агитатор в деле автономии Грузии.

В Сухумской епархии с самого основния ея были всегда русские епископы, что конечно, имело не малое значение в смысле упрочения русского влияния и граждан-

სტვენისტი ვ ოკრუგე. ს ნაზნაჩენიე კირიონა, კაკ სლყშნო, ს სამოგო ნაჩალა სთალი ზამეტნი გრუზინსკიე ვეზნიზ, ვყრაზაშვიესე ვ დელე ვყბორა დუზოვნყ ლიზ, ნაროდნყ უჩიტელეყ, ვვედენიზ გრუზინსკოგო ზყზიკა ვ სზოლახ, ზო ოპრავდყვათ სობოზ უზე ოპასენიე ზა რუსსკოე დელე ვ სუზუმსკოე ოკრუგე. ვ ნასთყზეე ვრემე ეპისკოპ კირიონ უზე პერევედენ ვ დრუგოზ ეპარზიზ. ვო ვნუტრენნიე გუბერნიი”.¹⁸²

ქართული გავლენისაგან სოხუმის ოლქის დასაცავად თ. გერშელმანი მოითხოვდა აგრეთვე აფხაზურ და სამურზაყანურ სამრევლოებში არა მხოლოდ რუსი მღვდლების, არამედ რუსი პედაგოგების (შეძლებისდაგვარად აფხაზების) დანიშვნას, მეგრელების აფხაზეთში დასახლების წინააღმდეგ ზომების მიღებას და ა. შ.¹⁸³ თ. გერშელმანის წიგნი თავისი შინაარსითა და სულისკვეთებით ტყუპისცალივით ჰგავს ი. ვოსტორგოვის „შრომებს“, ლ. ვორონოვის „Абхазия — не Грузия“-ს, სხვა შოვინისტურ პუბლიკაციებს მსგავს თემაზე.

ქართველობა, შეიძლება ითქვას, შეეჩვიარუსი ავტორების მხრიდან გამუდმებულ ლანძღვა-გინებას, ცილისწამებებს, საქართველოს ისტორიის გაყალბების, ენის, სარწმუნოების, ტერიტორიული და ეროვნული ერთიანობის, მონათესავე ერებთან, მათ შორის აფხაზებთან დაპირისპირების პროვოცირების, ღირსების შელახვის მცდელობას. ასეთ ვითარებაში გამოჩნდა რუსი ეროვნების აღამიანი — ნ. დურნოვო, რომელიც თავის მრავალრიცხოვან წერილებში და წიგნებში ენერგიულად იცავდა ქართველი ერის კანონიერ ინტერესებს, მათ შორის მოთხოვნას ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. დაუნდობლად ამხელდა რუსი ეგზარქოსების ბოროტ-მოქმედებებს, ი. ვოსტორგოვის მსგავს პოლიტიკან მღვდელმსახურებს; სასტიკად ილაშქრებდა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ. ნ. დურნოვოს შრომებში, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1907 წელს გამოცემული „ბედი ქართული ეკლესიისა“, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი აფხაზეთის თემას. 1917 წლის ოქტომბერში საქართველოს ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II იგონებდა: „ისეთი ძნელი დრო იყო მაშინ, რომ ავტოკეფალიაზედ მხოლოდ ჩურჩულით შეგვეძლო ლაპარაკი. გამოგვიჩნდა

რუსეთში ღვთისნიერი და პატიოსანი ადამიანი ნ.დურნოვო, რომელიც უშიშრად ქადაგებდა ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალიაზედ. ჩვენც ამოუდევით მას გვერდში და შევუდევით საქმეს. არავის ეგონა, რომ დურნოვო რუსი იყო. ფიქრობდნენ, რომ მე ჩემი გვარი (საძაგლიშვილი) რუსულად გადავთარგმნე და მე მაწერდნენ მის სტატიებს“. ¹⁸⁴ შემორჩენილია ნ. დურნოვოს წერილები კირიონისადმი (1907-1908 წწ), სადაც იგი ეხება საკითხებს სოხუმის ეკლესიაში წირვა-ლოცვის ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენებზე ჩატარების აუცილებლობის, გამოსაცემად მომზადებული წიგნების („ბედი ქართული ეკლესიისა“ და „დეკანოზი ი. ვოსტორგოვი და მისი პოლიტიკური მოღვაწეობა“) შესახებ; ურჩევს კირიონს, უწმინდეს სინოდს დაუმტკიცოს სრული უდანაშაულობა სოხუმის ეპისკოპოსად ყოფნის პერიოდში. სრულიად გამორჩეულია მისი ღვაწლი საქართველოს ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში. იგი მედგრად და უშიშრად უპირისპირდებოდა შოვინისტებს, მოითხოვდა ქართული ეკლესიის საქმეებში სინოდის ჩარევის აღკვეთას, რუსი ეგზარქოსისა და სოხუმის რუსი ეპისკოპოსის საქართველოდან გაწვევას. ¹⁸⁵

ნ. დურნოვომ სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა საქართველოს. 1917 წლის სექტემბერში მან გულწრფელად მიულოცა ქართულ სამღვდელოებას და ქართველ ხალხს ავტოკეფალიის მოპოვება, „რომელსაც აგერ 40 წელი მოველოდი“-ო და მოუწოდა გააგრძელონ ბრძოლა პოლიტიკური ავტონომიისათვის. ¹⁸⁶

შოვინისტთა ახალი შეტევა სოხუმის ეპარქიაზე

შოვინისტები არა მხოლოდ წერდნენ ანტიქართულ წიგნებს და წერილებს, არამედ აქტიურადაც მოქმედებდნენ. 1907 წლის მარტში სოხუმის კათედრა ეპის-

კოპოსმა დიმიტრიმ (სპეროვსკი) დაიკავა. მისი განცხადებით, ვილაც უცნობები მას მოკვლით ემუქრებოდნენ ქართული ენის უცოდინრობისათვის; ეპისკოპოსი კი პირობას იძლეოდა, რომ იღებოდა „პოლიტიკის გარეთ“. ¹⁸⁷ მიცემული პირობა მან, რა თქმა უნდა, არ შეასრულა და თავისი საქმიანობა ქართველი სასულიერო პირების

შევიწროებით დაიწყო. აფხაზეთის სამღვდლოების წარმომადგენლებმა 1907წ. რუსეთის იმპერიაში ყველაზე „მრავალტანჯული ეპარქიის“ სახელით საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას თხოვნით მიმართეს. 1886 წელს გახსნილი სოხუმის ეპარქია, — წერდნენ ისინი, — „служила в лице своих архиереев только политике. Единственной целью преосвященных владык было вытеснение богослужбных и школьных яхыков-грузинского и греческого из школ и церквей. Только преосвященный Серефим, единственный из всех Сухумских архиереев оказался более корректным, чуждым политике. Но, зная, что ему не место в Сухуме, за незнанием языка паствы, он добровольно перешел в Россию. Преосвященный Кирион, оклеветанный якобы в разных преступлениях, переведен из Сухума. Назначенный на Сухумскую кафедру преосвященный Димитрий при вступлении в паству объявил себя в стороне от политики. Духовенство Сухумской епархии, зная его по Кутаисской семинарии, где он служил инспектором и ректором (1894-1897 წლებში — ჯ.გ.), ожидало, что он постарается умиротворить разноплеменную епархию, но надежда духовенства оказалась кратковременною. Преосвященный Димитрий за короткое время успел зарекомендовать себя крайним грузинофобом“.¹⁸⁸ პირველ რიგში, მან ეპისკოპოს კირიონის ინიციატივითა და სოხუმის ოლქის სამღვდლოების 1906წ. 18-24 სექტემბრის ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე შემოღებული საბლალოჩინო ოლქების ფორმირების წესი შეცვალა. კირიონმა შედარებით წვრილი ოლქები (მაგრამ უფრო მსხვილი, ვიდრე შავი ზღვისპირეთის გუბერნიაში) ჩამოაყალიბა, რათა ყველა მართლმადიდებელი ერის მრევლს თავისი ბლალოჩინი ჰყოლოდა; ამასთანავე მან გაითვალისწინა გამოცდილება, როცა უგზოობის გამო მსხვილ ოლქებში ბლალოჩინები ვერ ახერხებდნენ ეკლესიებთან მუდმივი კავშირ-ურთიერთობის დამყარებას. ეპისკოპოსმა დიმიტრიმ საბლალოჩინო ოლქები ისეთნაირად გარდაქმნა,

რომ მხოლოდ ქართველ ბლალოჩინთა რაოდენობა შემცირდა. ისეთივე გარდაქმნები მას არ განუხორციელებია შავი ზღვისპირეთის გუბერნიაში, სადაც კიდევ უფრო წვრილი საბლალოჩინო ოლქები არსებობდნენ და არც მიმოსვლის პრობლემა აწუხებდათ. ახალი ეპისკოპოსი თურმე ღიად ამტკიცებდა, რომ რუს ადამიანს მხოლოდ რუსი მართლმადიდებელი უნდა უყვარდეს; ასევე ღიად გამოხატავდა სიძულვილს ქართველებისადმი და მათ უცხადებდა: „Вы народ обманчивый“, “Вы люди обманшики; Вы обманываете Духа Святого; Я не боюсь бомб еврейских и Ваших”, და ა. შ. დიმიტრის ბრალდებობა მოქვის მონასტერთან არსებული არქიელის უძველესი სახლის და მასთან არსებული ეკლესიის დანგრევა ვითომ ახალი სამონასტრო კორპუსისა და ეკლესიის აშენების მიზნით. წერილში მოტანილი იყო ეპისკოპოსის მიერ ქართველთა შევიწროების კონკრეტული ფაქტები.

მწკმსმთავრისათვის შეუფერებელი საქციელით შეშფოთებული სამღვდლოება სინოდალურ კანტორას წერდა: „Мы желаем и христианское учение требует, чтобы Сухумский владыка считал и любил одинаково как русских и греков, так и абхазцев и грузин. В противном случае разве он архипастырь! Если за такое еретическое учение мы, пастыры, прервем общение с нашим архипастырем, не будет ли поступок наш строго каноническим“.¹⁸⁹ რათა საქმე ეპისკოპოსთან ურთიერთობის გაწყვეტამდე არ მისულიყო, აფხაზეთის სამღვდლოება ითხოვდა სინოდალური კანტორის ჩარევას, საბლალოჩინო ოლქებთან დაკავშირებით ეპისკოპოს დიმიტრის გადაწყვეტილებების გაუქმებას; მათ ასევე მართებულად მიაჩნდათ შავი ზღვისპირეთის ოლქის ეკლესიების მიერ 1906წ. ნოემბერში უწმინდეს სინოდში გაგზავნილი თხოვნა სოხუმის ეპარქიიდან მათი გამოყოფისა და სტავროპოლის ეპარქიასთან მიერთების შესახებ“.¹⁹⁰ იგივე თხოვნას (შავი ზღვისპირეთის სტავროპოლთან შეერთებას), სხვათა შორის, შეიცავდა სოხუმის ეპარქიის III, IV და V საბლალოჩინო ოლქების სამღვდლოების მიმართვა უწმინდესი სინოდისათვის 1907 დასაწყისში (იხ. დანართი, №31).

საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას აფხაზეთის სამღვდელოების რწმუნებულთა თხოვნა არ დაუკმაყოფილებია. ეპისკოპოსი დიმიტრი დაუსჯელად აგრძელებდა ქართველ მღვდელმსახურთა და პედაგოგთა შევიწროებას, რის შესახებაც ცნობილი გახდა მთელს იმპერიაში. ნ. დურნოვო ამასთან დაკავშირებით კათხვას სვამდა: ეპისკოპოს დიმიტრის, რომელიც ქუთაისის სემინარიაში მოღვაწეობის პერიოდში სიყვარულით ეპყრობოდა ქართველ აღსაზრდელებს, „რატომ ხვდა წილად გამხდარიყო ეპისკოპოსი უცხო ქვეყანაში, თანაც ეპისკოპოსი ანტიკანონიკური და უზურპატორის როლში გამოსულიყო? აქამდის სოხუმში აგზავნიდნენ ან იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც საძრახისი ცხოვრებისთვის ჩამოაქვეითეს წოდებიდან (მაგ. ყოვლად სამღვდ. ხოვანსკი, გარდ. 1891წ.) ან მარტივი წყობის ეპისკოპოსებს (გენადი, აგაფადორი, არსენი)“.¹⁹¹ ეპისკოპოსი დიმიტრი, ნ. დურნოვოს აზრით, ამ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა. რუს მწყემსმთავართა შორის მან 1905წ. პირველმა გაილაშქრა პეტრე I-ს მიერ შემოღებული ანტიკანონიკური ეკლესიური მმართველობის (1721 წელს პატრიარქის ინსტიტუტის გაუქმებისა და სინოდის შექმნის) წინააღმდეგ; ნ. დურნოვოს მიაჩნდა, რომ ამ განათლებული და მართალი ადამიანის საქმის სასარგებლოდ გამოყენება შეიძლებოდა რუსეთის რომელიმე საეპარქიო კათედრაზე მისი დანიშვნის შემთხვევაში; სხვაენოვან სამწყოსში, სადაც იგი უზურპატორის როლში გამოდიოდა, მხოლოდ ზიანი მოჰქონდა მართლმადიდებლობისათვის.

აფხაზური მოსახლეობის გადაბირების, იმპერიის სამსახურში მისი ჩაყენების მიზნით, იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ გაითვალისწინა კავკასიაში მეფისნაცვლის შუამდგომლობა და 1907 წლის 27 აპრილს მას დამნაშავე ერის სტატუსი (მიენიქა 1880წ. 31 მაისს) მოუხსნა. 1906 წლის მაისში, როცა ეს საკითხი წინასწარ მეფისნაცვლის საბჭომ განიხილა, აღინიშნა: „В течение событий последних месяцев, население Абхазии, носящее название виновного, выделялось своею лояльностью по отношению к правительству, как по сравнению с населением соседних районов, так равно и по сравнению с

პრისლემ ელემენტო ვ აბხაზიი".¹⁹² იმპერატორის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ი. ვორონცოვ-დაშკოვმა 1907წ. 11 მაისს აფხაზებს მიმართა, სადაც მაპაჯირობის მოწყობისა და „დამნაშავედ“ გამოცხადებისათვის ბოდიშის მოხდის ნაცვლად, ურცხვად საუბრობდა 1877-1878წწ. ვითომ ჩადენილი დანაშაულის „დავიწყების“ შესახებ; იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალში (?) აფხაზები დანაშაულს (?) არ ჩაიდენდნენ (?).¹⁹³ 1907წ. მაისის ბოლოს აღნიშნული მიმართვა გენერალმა პავლოვმა და გ. ვეიდენბაუმმა ლიხნის ეკლესიაში საზეიმო წირვის ჩატარების შემდეგ გამოაცხადეს.¹⁹⁴ ეს იყო დაცინვა და აბუჩად აგდება — ნამდვილი დამნაშავეთაგან მსხვერპლს, რუსების მიერ დასაღუპავად განწირულ აფხაზებს „დანაშაულს“ პატიობდა (?). რუსეთ-იაპონიის ომისა და დემოკრატიული რევოლუციის შედეგად ძირფესვიანად შერყულ, გადარჩენისათვის მებრძოლ იმპერიას 1907წ. 27 აპრილის აქტივ კავკასიაში ახალი საიმედო მოკავშირის შეძენა სურდა. სამწუხაროდ, აფხაზთა სახით მან მართლაც შეიძინა არც თუ ისე საიმედო, მაგრამ მაინც მოკავშირე.

ეპისკოპოსმა დიმიტრიმ, ახალი ვითარების შესაბამისად, 1907წ. 6 ნოემბერს ლიხნის ტაძარში ზეიმი და აფხაზურ ენაზე ღვთისმსახურება მოაწყო. როგორც გაზეთი „კავკაზ“-ი (1907წ. 14 ნოემბერი) იუწყებოდა ღვთისმსახურება დიმიტრის (რომელმაც, ცხადია, აფხაზური ენა არ იცოდა) ჩაუტარებია შვიდი აფხაზი მღვდლის (დ.მარლანია, ნ.ლაღარია, ი.ლაკერბაია და ა.შ.) მონაწილეობით. საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ პრინცი ა.პ. ოლდენბურგსკი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი ე.გ. ვეიდენბაუმი, სოხუმის ოლქის უფროსი ლ. ჯანდიერი და სოხუმის ქალაქისთავი ნ. თავდგირიძე. აღნიშნულ საზეიმო ღონისძიებას 3 ათასი კაცი დასწრებია. ერთ კვირაში — 1913 წ. 13 ნოემბერს — საზეიმო ვითარებაში ღვთისმსახურება აფხაზურ ენაზე მოეწყო მოქვეში. საპატიო სტუმართა შორის გ.მ. შერვაშიძეც იმყოფებოდა (გოლოს კავკაზა, 1907, 20 დეკემბერი).

დღის წესრიგში კვლავ დადგა სოხუმის ეპარქიის გამოყოფის საკითხი. ამის თაობაზე ეგზარქოსი ნიკონი (1906-1908 წლები) ჯერ იმ-

პერატორს, შემდეგ კი მეფისნაცვალს მიმართავდა. 1908 წ. აპრილში ი.ვორონცოვ-დაშკოვისადმი გაგზავნილ წარდგინებაში საქართველოს საეგზარქოსოსაგან ბაქოსა და სოხუმის ეპარქიების გამოყოფის შესახებნათქვამია: „Эриванскую губернию и Карскую область необходимо причислить к Бакинской епархии по соображениям, изложенным мною в памятной записке Государю Императору для ослабления автономных и автокефальных вожделений грузин чрез сокращение границ Грузии, неправильно расширенных в воображении грузин от Каспийского моря до Черного и от Анапы Кубанской области до границ к Персии и Турции и через превращение ее из окраины государства и церкви в крапину“.¹⁹⁵ თავის წარდგინებაში ეგზარქოსი აღნიშნავდა, რომ სოხუმის ეპარქია, რომელიც მოიცავდა სოხუმის ოლქს (მოსახლეობა — 106179), შავი ზღვისპირეთის გუბერნიას (მოსახლეობა — 57478), ზუგდიდის რაიონის სოფელ ფახულანს (მოსახლეობა — 2515) და ყუბანის ოლქის ქალაქ ანაპას (მოსახლეობა — 9785) იმჟამინდელ საზღვრებში დარჩებოდა; ეპარქიის მრავალეროვნული მოსახლეობის (175957) დიდი უმეტესობა — 142395 სული — მართლმადიდებელი იყო. ეგზარქოსის მტკიცებით, რუსული და ბერძნული სამრევლოების რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო, სამაგიეროდ სავალალო ვითარება სუფევდა აფხაზურ სამრევლოებში, სადაც მოსახლეობა „в христианской вере нетвердо; склонно к магометанству, церкви почти не посещаются. Главная причина этого заключается в отсутствии абхазской письменности, лишаящем абхазцев возможности слышать богослужение на родном языке“.¹⁹⁶ ეგზარქოსი წერდა, რომ საღვთო წიგნების აფხაზურ ენაზე თარგმნა გრძელდებოდა; აფხაზებს ეროვნული სამღვდლოება არ ჰყავდა, იგი მოლებთან შედარებით ნაკლებად მომზადებული და ნაკლებად აქტიური იყო (ეგზარქოსი „უკეთესად მომზადებული“ და „უფრო აქტიური“ რუსი მღვდლების დანიშვნის აუცილებლობაზე მიანიშნებდა). ეპარქიაში არსებული სამრევლოების, ეკლესიე-

ბისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ ეგ ზარქოს ნიკონს 1906 წლის მონაცემები მოჰყავდა: სამრევლოთა საერთო რაოდენობა — 109, მათ შორის სოხუმის ოლქში — 81, შავიზღვისპირეთის გუბერნიაში — 25, ანაპაში — 2, ფახულანში — 1; ეკლესიების საერთო რაოდენობა — 137, მათ შორის ორი საკრებულო ტაძარი, 101 სამრევლო ეკლესია, 12 — მიწერილი, 10 — სახლის, 10 — მონასტრებთან, 2 — სასაფლაოს, 2 — საქაშნო (ЧАСОВНЯ), 5 — სამლოცველო სახლი, 5 — მონასტერი, მათ შორის 2 — დედათა; მისიონერული დაწესებულება და სასულიერო-სასწავლებელი ეპარქიაში არ არსებობდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლების საერთო რაოდენობამ შეადგინა 114, მათ შორის მეორე კლასის — 2, ორკლასიანი — 7, ერთკლასიანი — 64, წერა-კითხვის სკოლა — 41 (მათში მოსწავლეთა რაოდენობა 3809). ეგ ზარქოსი ითხოვდა სოხუმის ეპარქიის ხაზინიდან დაფინანსებას, ვინაიდან მას სხვა შემოსავალი არ გააჩნდა. წარდგინებაში მოტანილი ცნობები სოხუმის ეპარქიის საზღვრების, მოსახლეობის ეთნოგრაფიული, რელიგიურ-სარწმუნოებრივი მდგომარეობის, საჭირო სახსრების შესახებ და ა. შ. ეგ ზარქოსის მოთხოვნით სოხუმიდან იქნა გამოგზავნილი.¹⁹⁷

საკუთარი გეგმის სისრულეში მოყვანა ეგ ზარქოსმა ვერ მოასწრო. 1908 წლის მაისში იგი სიცოცხლეს გამოასალმეს, რასაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლ მღვდელმსახურთა წინააღმდეგ რეპრესიების ახალი ტალღა მოჰყვა. შოვინისტებმა აფხაზეთის მიმართულებით შეტევა გააძლიერეს. 1908 წ. 10 დეკემბერს III სახელმწიფო სათათბიროში სიტყვით გამოსულმა პურიშკევიჩმა ეგ ზარქოს ნიკონის მკვლელობაში ეპისკოპოსი კირიონი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, მღვდელი ი.ჩიჭავაძე (კირიონის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე) დაადანაშაულა. კირიონი იმ დროს საქართველოში არც იმყოფებოდა. მან გადაწყვიტა კოვნოდან წამოსულიყო და მოღვაწეობა ძველ ათონში გაეგრძელებინა, მაგრამ სინოდმა ამის ნება არ დართო (ი.ვოსტორგოვს ყვირილი აუტეხია — იმიტომ უნდა ძველ ათონზე ცხოვრება, რომ ოსმალებთან კავშირი დაამყაროს და საქართველო რუსეთს ჩამოაშოროს) და იგი ძველ — ხარკოვის კუურიაჟის მონასტერში გააგზავნა; 1908

წლის 25 აპრილიდან კირიონი უკვე კურიაჟში ცხოვრობდა. პურიშკევიჩის განცხადების შემდეგ — 1909 წლის იანვარში, მიუხედავად ავადმყოფობისა, იგი ჟანდარმების თანხლებით ტამბოვის გუბერნიაში — სანაჰსარის უდაბნოში გაასახლეს, სადაც მასზე ფარული ზედამხედველობა დაწესდა. ეგ ზარქოს ნიკონის მკვლელობის დაგეგმვაში ექვმიტანილი კირიონი აუტანელ პირობებში იმყოფებოდა. მისი დევისა და შვიწროების ამბავი მთელი რუსეთისათვის და ოლივერ უორდროპის მეშვეობით ევროპული სახელმწიფოებისათვის გახდა ცნობილი. კირიონი დაიცვა სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ევგენი გეგეჟკორმა. მან „ველური და შესაბამო ბრალდება“ უწოდა ეპისკოპოსის წინააღმდეგ გავრცელებულ ცილისწამებებს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში დაიწყო ხელმოწერების შეგროვება კირიონის განთავისუფლების მოთხოვნით. III სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ ნ.ხომიაკოვმა ბელგიის „ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის“ თავმჯდომარისა და დეპუტატის ჟორჟ ლორენისაგან 1909 წლის 10 მარტს მიიღო ოფიციალური მომართვა დენა-შვიწროებისაგან კირიონის დაცვის თაობაზე.¹⁹⁸ ვფიქრობთ, საერთაშორისო საზოგადოებრიობის აქტიურობას უკავშირდება სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრის პ.ლ. შერვაშიძის (იყო I და III მოწვევის სათათბიროს წევრი) 1909 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული შემდეგი წერილი კირიონისადმი: „Ваше преосвященство! Почтительнейше прошу сообщить, можете ли принять в четверг 10 декабря в 2 часа дня меня, а так же членов Государственной Думы Николая Николаевича Львова и Василия Андреевича Караулова, желающих Вас посетить. В ожидании благословения Вашего преосвященства, член Государственной Думы кн. П.Л.Шервашидзе“.¹⁹⁹ სამწუხაროდ, ჩვენთვის ჟერჯერობით უცნობია შედგა (სად და როდის) თუ არა ეს შეხვედრა და კონკრეტულად რა საკითხები იქნა განხილული.

ეგ ზარქოს ნიკონის მკვლელობაში ექვმიტანილი ამბროსი ხელა-

ია ყოველგვარი სასამართლოს გარეშე საქართველოდან გაიწვიეს და რიაზანის ტროიციკის მონასტერში გადაიყვანეს.

1909 წლის 4 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროს 46-ე სხდომაზე აფხაზეთის პრობლემებსაც შეეხნენ. უკიდურესმა შოვინისტმა მარკოვ მეორემ²⁰⁰ პროვოკაციული განცხადება გააკეთა, რომელსაც პ.ლ. შერვაშიძე გამოეხმაურა. სათათბიროში, ასევე პრესის მეშვეობით მან შემდეგი წერილი (1909 წ. 7 თებერვალი) გაავრცელა: „Просматривая сегодня стенографический отчет 46-го заседания Госдумы 4 февраля, на котором я, к сожалению, по болезни не имел возможности присутствовать, я с величайшим изумлением нашел в нем следующие слова Курского депутата Маркова 2-го относительно Абхазии:

“Мы знаем, что после запроса был уволен знаменитый князь Джандиери, начальник Сухумского округа, который во времена революции являлся к абхазцам и требовал от них приговора, в котором бы они выразили желание самоуправления с грузинским языком. Абхазцы в этом отказали и вместо этого явились в Сухум вооруженными и заявили: “Если вы не прекратите революцию, мы вас всех перережем”. Это была одна из самых реальных мер, которая успокоила Сухум. В наказание за это Кн. Джандиери представил к высылке 8 абхазских князей чуть ли не в Сибирь. Это может рассказать кн. Шервашидзе, который хлопотал за них и просил, чтобы этих героев не выслали в Сибирь по приказанию наместника Его Императорского Величества”.

Я не только не могу, как этого требует депутат Марков 2-й, засвидетельствовать того, будто ходатайство о высылке означенных выше лиц было возбуждено князем Джандиери, но, наоборот, считаю долгом заявить, что сама инициатива обращения за содействием к местным князям, на наиболее влиятельн(ых) представ(ителей)

მეწივე (ნოგ) დვორიანსთვ, იმენო პრიანდლჳჳი კნიჳჳუ დჳჳიანდირი, კოტორჳჳი სვოიმ ჳნიანემ მესთნი ჳიჳნი ი მესთნოგო ნაროდო ი სვოიმ რედკიმ ადმინისტრაციონიმ თაკთომ ვ ტრუდნიუ გოდინუ რევოლუციი სუმელ სოჳრანით პრესტიჳჳ ვლასთი ვ ოკრუგე ი ჳ ოგუ ვერაჳიჳი თოლკო სვოე გლუბკოე სოჳლენიე პოვოდუ ოდალენიე ოგო ს პოსთო, ნო კოტორო ონ ვსე ვრემი ოსთავალსო ნო ვისოტე სვოეოგო პოლოჳენიე”²⁰¹ (ლ. ჳანდირი სოხუმის ოლქის უფროსის თანამდებობიდან 1909 წ. იანვარში დაითხოვეს; მის ადგილზე პოლკოვნიკი პროჳპანკვი დაინიშნა; სულ მალე ლ. ჳანდირმა სოხუმის ქალაქის თავის თანამდებობაზე ნ. თავდგირიძე შეცვალა).

1909 წელს III სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე იყო სხვა გამოსვლაც, სადაც მოტანილია იგივე ზღაპრები შეიარაღებული აფხაზების მიერ თავად ლ. ჳანდირისათვის ქართველების ამოხოცვის მუქარით რევოლუციის დამთავრების თაობაზე ულტიმატუმის წაყენების შესახებ. მასში ასევე ნათქვამი იყო: „გაქართველება მიმდინარეობს გამუდმებით („на всех порах“). აფხაზეთი გამალებით ქართველდება. აფხაზები საუბრობენ საკუთარ ენაზე, არაქართულად, არაიმერულად. ისინი სულ ახლახან ქართველების მტრები იყვნენ, დღემდე ლაპარაკობენ, რომ რუსი მეფის დაპყრობილი ვართო, ქართველებს კი ყოველთვის ვამარცხებდით („били всегда“), ჩვენ ქართველების ქვეშ ყოფნა არ გვინდაო. მაგრამ რუს ხელისუფალთა თვლემის წყალობით ადგილობრივი ხელისუფლება თანდათანობით აქართველებს აფხაზებს; ისინი აგ ზავნიან მათ ეკლესიებში ქართველ მღვდლებს, რომლებსაც აფხაზები ვერ უგებენ ისევე, როგორც ისინი ვერ გაუგებდნენ რუსებს. გვეჩვენება, რადგანაც მათთვის გაუგებარია რუსულიც და ქართულიც, უმჯობესი იქნებოდა რუსული ენის შემოღება, ის მაინც სახელმწიფოებრივია, ხოლო ქართული — ავტონომიის ენაა“.²⁰² რუსი შოვინისტები ხმაურს ყოველთვის აფხაზეთის „გაქართველების“ საფრთხით იწყებდნენ და მისი გარუსების აუცილებლობის „დასაბუთებით“ ამთავრებდნენ. ასე იყო ამჳერადაც.

განცხადებები სახელმწიფო სათათბიროში აფხაზეთის გარუსე-

ბის პოლიტიკის შემდგომ გამკაცრებას მოასწავებდნენ. უწმინდესი სინოდის 1910 წლის 21 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე აფხაზეთში ეპისკოპოს დიმიტრის მიერ მხოლოდ რუსი ეროვნების სასულიერო პირები ინიშნებოდნენ. ამ ღონისძიებამ სოხუმის ქართული საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც სინოდი აიძულა, მოსალოდნელი უსიამოვნებების თავიდან აცილების მიზნით იმავე წლის 25 ოქტომბერს დიმიტრისათვის რუსებთან ერთად დროებით ქართველების დანიშვნის უფლებაც მიეცა. აფხაზეთის გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდნენ საეგზარქოსოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომლებსაც რუსული წიგნებით აკომპლექტებდნენ. თუ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს უზარმაზარ ეპარქიებში (რომელთა გარუსების იმედი ეგზარქოსს არ ჰქონდა) ორ-ორი ასეთი ბიბლიოთეკა არსებობდა, სოხუმის პატარა ეპარქიაში მათი რიცხვი იყო 27.²⁰³

ეპისკოპოს დიმიტრის ანტიქართული მოღვაწეობა იმაშიც გამოიხატა, რომ იგი აქტიურად ეხმარებოდა აფხაზეთში მოკალათებულ რუს ბერ-მონაზონებს გელათში დასვენებული ბიჰვინთის ღვთისმშობლის ხატის მისაკუთრებაში. თანაც ეს უნდა გაკეთებულიყო ვითომ აფხაზი ხალხის მოთხოვნით (გუდაუთისა და კოდორის უბნების 20 აფხაზურ სოფელში მიღებული შესაბამისი „გადაწყვეტილებები“ იქნა წარმოდგენილი). სოხუმის ოლქის უფროსმა „აფხაზთა მოთხოვნა“ მეფისნაცვალს წარუდგინა, რომელმაც 1910 წლის ივნისში იგი საქართველოს ეგზარქოსს გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა იმავე წლის 4 აგვისტოს გამოგზავნილი სოხუმის ეპისკოპოსის წერილიც მიიღო, სადაც ასევე „აფხაზთა მოთხოვნებზე“ იყო საუბარი. დიმიტრის ცნობით, 20 აფხაზური სოფელი კათალიკოს ზაქარიას მიერ 1658 წ. აფხაზეთიდან გატანილი ბიჰვინთის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის დაბრუნებას ითხოვდა; თავის მხრივ, ეპისკოპოსი მხარს უჭერდა აღნიშნულ იდეას, ვინაიდან ხატის დაბრუნებას ექნებოდა „благотворное значение в деле укрепления их (აფხაზების — ჯ.გ.) в православии“, გაანთავისუფლებდა აფხაზებს „მაჰმადიანობის გავლენისაგან, რომელიც მათში ჯერ კიდევ ძლიერი იყო“. დიმიტრი ეგზარ-

ქოს ინოკენტის არწმუნებდა, რომ აფხაზთა შორის სამისიონერო მუშაობის გააქტიურების შედეგად შეიმჩნევა „**сильное религиозное оживление**“, ამიტომ აფხაზეთში სახალხო სიწმინდის (народной святыни) დაბრუნება იქნება „**в настоящее время как нельзя более благосклонным**“.

წარმოდგენილი შუამდგომლობების საფუძველზე, ეგზარქოსმა ინოკენტიმ იმერეთის ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) ბიჭვინთის ხატის დაბრუნება მოსთხოვა. ამასთან დაკავშირებით გიორგიმ ეგზარქოსს ვრცელი წერილი მიართვა. გარდა უკმაყოფილო და კატეგორიული ტონისა, იგი შეიცავდა კვალიფიციურ ისტორიულ დასაბუთებას იმ ფაქტისა, რომ XVI ს. კათალიკოს ვედემონ ჩხეტიძის მიერ დამზადებული და სალოცავად ბიჭვინთაში დასვენებული (და არა ტაძრისათვის შეწირული) ხატი კათალიკოსის საკუთრებას წარმოადგენდა; საკუთრების უფლება კი მხოლოდ მომდევნო კათალიკოსებზე გადადიოდა. ზაქარია (ჭვარიანი) ერთ-ერთი მათგანი იყო; მის მიერ ბიჭვინთის ხატის აფხაზეთიდან გატანის შესახებ, როგორც ეპისკოპოსი გიორგი განმარტავდა, არავითარი ცნობები არ მოიპოვებოდა. ბიჭვინთის ტაძრისათვის ხატის დაბრუნება „**вызовет целую путаницу в понятии о собственности**“, — წერდა იმერეთის ეპისკოპოსი და რუსეთში მიმობნეული ქართული საეკლესიო სიწმინდეების (მათ შორის აფხაზეთის კათალიკოს მაქსიმე II აბაშიძის ნივთების) საქართველოში დაბრუნების მოთხოვნის წამოყენებით იმუქრებოდა. ეპისკოპოს გიორგის ღრმა რწმენით, აფხაზური სოფლების „გადაწყვეტილებები“ შედგენილი იყო „**под влиянием сторонних сил и по подсказку заинтересованных, не туземных особ**“. გიორგი შეახსენებდა ეგზარქოსს, რომ ბიჭვინთის მონასტრის იერომონახ ევსტათის თხოვნით 1909 წელს მას ბიჭვინთის ხატის ფოტოპირი გაუგზავნეს; ამის შემდეგ იერომონახმა ხატის დეტალური აღწერა მოითხოვა. იმერეთის ეპარქიის შეშფოთებულმა ხელმძღვანელობამ ევსტათის ახალი თხოვნა უპასუხოდ დატოვა. მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდა აფხაზური სოფლების „გადაწყვეტილებები“. აქედან გამომდინარე, ეპისკოპოს გიორგის აზრით, ბიჭვინთის ღვთისმშობე-

ლისკირდებოდათ რუს ბერ-მონაზონებს „не для привлечения абхазцев, которые давно оставили христианские храмы и монастыри, а для привлечения русских Богомельцев, которые, узнав о возвращении в Пицундский монастырь древней святыни, окружа ее надлежащим почитанием при обильных приношениях. Забота об абхазцах в данном случае представляется ширмой для прикрытия других целей, хотя, быть может, очень похвальных. Что нынешние абхазцы во все не помнят сказанной иконы, не почитают ее и никакого у них предания об ней не сохранилось, это видно, между прочим, из того, что никто не знает ни одного поломника-абхазца, пришедшего в Гелати на поклонение Бичвинтской иконе. Со времени распространения в Абхазии магометанства, никогда никем из абхазцев не делалось заявления о принадлежности названной иконы абхазскому народу“. თუ ხელისუფლება საჭიროდ ჩათვლიდა ბიჭვინთის ხატის იმერეთიდან წაღებას, „просил бы, не обижая ни нас, ни сухумцев, решение спора предоставить суду“, — წერდა გიორგი, — სადაც მოსარჩელე მხარედ სოხუმის ეპარქიიდან დაინტერესებული პირები გამოვიდოდნენ.

რუსი სამღვდელოებისაგან ბიჭვინთის ღვთისმშობელის დაცვის მიზნით, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა ნესტორ წერეთელმა 1910 წლის 15 ოქტომბერს დასაბუთებული მიმართვა გაუგზავნა მეფისნაცვალს. ამ უკანასკნელმა ამჭერადაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ეგზარქოსს მიანდო.

1910 წლის 26 ოქტომბერს ბიჭვინთის ღვთისმშობლის დაბრუნების საკითხი საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ განიხილა და დაადგინა, აღნიშნული თხოვნა „как не имеющее законных оснований отклонить“.²⁰⁴ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეგზარქოს ინოკენტის სახელით აცნობეს მეფისნაცვალს და სოხუმის ეპისკოპოსს.

ქართული ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული სიწმინდის — ბიჭ-

ვინთის ღვთისმშობლის ხატის რუსი სამღვდლოების მიერ ხელში ჩაგდების გეგმა მაშინ ჩაიშალა. ამავე დროს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, ადრე თუ გვიან, ბიჭვინთის ღვთისმშობელი აღორძინებულ ბიჭვინთას დაუბრუნდება.

ეპისკოპოს ანდრიას (უხტომსკი) ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკა

ეპისკოპოსი დიმიტრი, რომლის მოღვაწეობა აფხაზეთის სამღვდლოების უკმაყოფილებას იწვევდა, რუსეთში

გაიწვიეს. მისი ადგილი 1911-1913 წწ. ეპისკოპოს ანდრიას (უხტომსკი) ეკავა. ის, თითქოს, ლიბერალურ, უფრო ზუსტად — ფარისევლურ პოლიტიკას ატარებდა, ხვდებოდა მრევლს (ფსხუშიც კი ავიდა), ბედის ტაძრის აღდგენაც გადაწყვიტა, 1912 წ. დააარსა ქურნალი „Сотрудник Закавказской миссий“.

ქართველებისადმი ლოიალური დამოკიდებულება ეპისკოპოსმა ანდრიამ 1912 წ. 14 იანვარს — წმ. ნინოს ხსენების დღეს — სოხუმის საკათედრო ტაძარში წირვის ჩატარებით გამოხატა. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით თავადმა ნიკო თავდგირიძემ მიმართა. მან მადლობა მოახსენა ეპისკოპოსს „ღღევანდელი ნათელი ღღისათვის“ და დასძინა, რომ კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთაც რუსეთის დამკვიდრების საფუძველი გახდა „принадлежность Грузии к православно́й вере“; ამავე დროს თავადი საუბრობდა სამწუხარო მოვლენებზე — კავკასიაში, მათ შორის საქართველოში ქრისტიანული გრძნობების შესუსტებაზე, გუდაუთაში ისლამის გაძლიერებაზე, რელიგიისადმი მოსახლეობის ნაწილის ინდუფერენტულ დამოკიდებულებაზე. ნ. თავდგირიძე ღიად არ საუბრობდა ქრისტიანობის შესუსტების მიზეზებზე, მაგრამ მისი გამოსვლიდან კარგად ჩანდა, რომ შექმნილ სავალალო მდგომარეობას ქართული ეკლესიის იგნორირებასა და შოვინისტურ პოლიტიკას უკავშირებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ახალი ეპისკოპოსი აფხაზებს აქცევდა. 1913 წ. 27 ოქტომბერს მისი თანდასწრებით ლიხნში ლიტურგია აფხაზურ ენაზე ჩატარდა; განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ეპისკოპოს ანდრიას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს 1913 წლის ბოლოსათვის ბიბლიის აფხაზურ ენაზე თარგმნის (შეასრულეს დ.გულიამ, ნ.ლაღარიამ, ნ.პატეიფამ და დ.მარლანიამ) დასრულება (მუშაობა სამი წლის მანძილზე მიმდინარეობდა) და მისი გამოცემა. ამისათვის კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ 9880 მანეთი და 79 კაპიკი გაიღო. აფხაზურ ენაზე ბიბლიის გამოცემაზე და მასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის შესახებ საუბარი იყო 1914 წლის 21 აპრილს თბილისში მეფისნაცვლის სასახლეში გამართულ მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების კრებაზე, რომელსაც ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე გრაფინია ე.ა.ვორონცოვ-დაშკოვა უძღვებოდა.

1912 წლის 27 აგვისტოს უწმინდესმა სინოდმა ეპისკოპოს ანდრიას შუამდგომლობით მიიღო გადაწყვეტილება სოხუმში არქიელის სახლთან სასულიერო პირთა მოსამზადებელი მოკლევადიანი (ერთწლიანი) კურსების („краткосрочные священнические курсы“) დაფუძნების შესახებ, რისთვისაც 5 ათასი მანეთი (თითო ათასი წელიწადში; კურსები ხუთი წლით იყო შექმნილი) გაიღო. თავისი არსებობის მანძილზე ეს კურსები ათობით ქართველმა, აფხაზმა, რუსმა და ბერძენმა დაამთავრა. ერთმა ნაწილმა განათლება უწმინდესი სინოდის ხარჯზე მიიღო, მეორემ — საკუთარი სახსრებით. კურსები საეკლესიო-სამრევლო სკოლების პედაგოგებსა და მედავითნეებს უშვებდა.²⁰⁵

გარკვეული ყურადღება ეთმობოდა განათლების საკითხებს. 1913 წლის აპრილში ეპისკოპოსმა ანდრიამ გალში მოიწვია სამურზაყანოს უბნის სჯულისკანონის მასწავლებელ მღვდელთა პირველი კრება, სადაც გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებული მეტოდური საკითხები განიხილეს. კრების 34 მონაწილეს საჩვენებელი გაკვეთილები ჩაუტარეს II გალის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მღვდელმა, ბლალოჩინმა ს.სვანიძემ, ბარლების წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელმა ლ.ნინუამ, ხუმ უმჭურის ფერისცვალების ეკლესიის მღვდელმა ა.მასხარაშვილმა. სამურზაყანოელებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ოჩამჩირის აღდგომის ეკლესიის წინამძღვარმა, უბნის ბლალოჩინმა დეკანოზმა დ.მარლანიამ, ტა-

მიშის წმ.ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელმა ნ.პატიფამ, რომლებმაც ასევე ჩაატარეს საჩვენებელი გაკვეთილები. კრების მუშაობის ასეთი ფორმა მისმა მონაწილეებმა მოიწონეს და მომავალში მსგავსი საინტერესო ღონისძიების სასწავლო წლის დასაწყისში გამართვის სურვილი გამოთქვეს (Сотрудник, 1914, 1 მაისი, №9; 15 მაისი, №10).

აფხაზთა კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1913 წლის 25 აგვისტოს ს.ლიხნში აფხაზთა შორის განათლების გავრცელების ბზიფის კომიტეტის დაარსება. საზეიმო კრებას, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარემ ს.აშხაცავამ გახსნა, უბნის უფროსი დ.ქელბაქიანი უძღვებოდა. შეკრებილთ მიესალმა ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მღვდელი, უბნის ბლალოჩინი ი.ლაკერბაია. მან იმედი გამოთქვა, რომ კომიტეტი „წარმატებით მოემსახურება ჩვენი მხარის სულიერ განათლებას“, მოუწოდა ყველას „იშრომონ სამშობლოს კეთილდღეობისა და წმ. ეკლესიის სადიდებლად“. კრებაზე სიტყვით გამოვიდა დურიფშის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელი ნ.ლაღარია. კომიტეტის დაფუძნებასთან დაკავშირებით, გუდაუთის ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიის მღვდელი პ.ობრაზცოვი წერდა, რომ იგი „ყოველნაირად მოემსახურება აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეს“ (Сотрудник, 1914, 1 მარტი, №5).

ეპისკოპოსმა ანდრიამ ყურადღება მიაქცია აფხაზეთის უძველესი ტაძრების, მოქმედი ეკლესიების სავალალო მდგომარეობას და მათი აღდგენა-განახლების საკითხი დააყენა, რასაც დიდძალი თანხები სჭირდებოდა. 1913 წლის 13 იანვარს მისი ინიციატივით უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის ოლქში ეკლესიამონასტრების აღსადგენად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შემოწირულობების შეგროვების დაწყების შესახებ. 1913 წლის 17 აგვისტოს ანდრია ეგზარქოს ინოკენტის (1909-1913 წწ.) სთხოვდა დახმარებას შემოსული შემოწირულობების უწმინდესი სინოდის სამეურნეო სამმართველოში აკუმულირების საქმეში. „Каждый месяц промедления в ремонте древних храмов губительно на них отражается, увеличивает будущие расходы“,²⁰⁷ —

წერდა სოხუმის ეპისკოპოსი. შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელშიც პირველი შენატანი 2000 მანეთის ოდენობით იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ გააკეთა. გარკვეული თანხა გაიღო უწმინდესმა სინოდმაც. შემოწირულობები მოვიდა თბილისიდან, ბაქოდან, ერევნის, ყარსისა და ყუბანის ოლქებიდან, კიევის, რიგის ეპარქიებიდან. ერთ წელიწადში 30 ათასი მანეთი შეგროვდა. ეპისკოპოს ანდრიას მფარველობით ჩამოყალიბდა განსაკუთრებული საეპარქიო საეკლესიო-სამშენებლო კომიტეტი სოხუმის ოლქის უფროსის პოლკოვნიკ ნ. ე. ვენტცელის თავმჯდომარეობით. მისი მოადგილე იყო სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გ. გოლუბცოვი; კომიტეტის წევრები გახდნენ სოხუმის საეპარქიო საეკლესიო საძმოს საბჭოს წევრები. სამშენებლო და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები 1913 წელს უკვე დაიწყო. იმავე წლის 28 სექტემბერს ეკურთხა ეკლესიის ახალი შენობა დურიფშში, გარემონტდა ლიხნის ტაძარი, რაზეც 1500 მანეთი დაიხარჯა. მიმდინარეობდა სამუშაოები ჭირხვაში, ოთხარაში, ააცში. გარდა ამისა, შესაკეთებელი იყო კალდახვარის, ტამიშის, კინდლის, შუაწყლის, ათარის, ტყვარჩელის, გუფის, ფოქვეშის, II გალის, პაპიჩონის, III საბერიოს, შეშელეთის, ხუმუშქურის, ნაბაკევის, II ოტობაიის, ბარღეთის (ორივე) ეკლესიები.²⁰⁸

ეპისკოპოსმა ანდრიამ თავისი დაპირება ბედიის ტაძრის აღდგენის შესახებ ვერ თუ არ შეასრულა. ჯერ კიდევ ეპისკოპოს დიმიტრის დროს — 1909 წელს სამეგრელოს ეპარქიის მღვდელმა, სამურზაყანოელმა იესე შელიამ სოხუმის ეპარქიაში გადმოსვლა მოინდომა იმ პირობით, რომ მისთვის ბედიის ტაძრის ნანგრევებთან ცხოვრების ნება დაერთოთ. „მას იზიდავდა ამ ადგილის სიწმინდე, სიდიადე დიდებულის ნაშთისა და სურვილი სამსახური გაეწია ადგილობრივ მკვიდრთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივად ამალლებისათვის მათგან პატივცემულ ნაშთის, რამდენით შეეძლოთ მოვლავამოყენებით“, — წერდა ამბროსი ხელაია: ეპისკოპოსმა დიმიტრიმ იესე შელიას სოხუმის ეპარქიაში მიღებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ბედიის ტაძრის ნანგრევებთან ცხოვრების უფლება არ მისცა. მან არც ბედიაში მცხოვრები თავადების გრიგოლ და კოწია

შერვაშიძეების თხოვნა (ტაძრის ნანგრევებთან ეკლესიის აშენების თაობაზე) დააკმაყოფილა. თავადების წერილზე ასეთი რეზოლუცია იქნა დადებული: „დაუბრუნდეს მთხოვნელებს ეკლესიის გეგმა, რადგან ისინი თხოულობდნენ არა ეკლესიის, არამედ საჯვარის აგების ნებართვას. ეკლესიის აშენება მეტად მიმამჩნია, ხოლო მღვდელ შელიას მე უწინაც ვუბრძანე, რომ არ ეცხოვრა ბედიის ნანგრევებში და ახლაც ვაფრთხილებ, რომ მას არასდროს არ მივცემ ნებას ასრულოს იქ წირვა — ლოცვა თუნდაც აშენებულ იქნას საჯვარე“.²⁰⁹ ამასთან დაკავშირებით ამბროსი ხელაია იქვე აღნიშნავდა, რომ რუსი ეპისკოპოსი ბედიის ტაძრის აღდგენას ხელს უშლიდა პოლიტიკური მოსაზრებით; „გარუსების მიმდევართათვის არ იყო სასურველი ქართველი ბერების დასახლება ბედიაში. მათ უნდოდათ ისიც გაეხადათ რუსების მონასტრად იმ რიგითვე, როგორც პსირცხა (ახალი ათონი), ბიჭვინთა, გუმა (კომანა), დრანდა და მოჭვი“.

ახალი ეპისკოპოსი ანდრია სიტყვიერად ხელს უწყობდა ბედიის ტაძრის აღდგენას. დიმიტრისაგან განსხვავებით მან ნება დართო იესე შელიას ბედიის ტაძართან ახლოს დასახლებულიყო, აეშენებინა პატარა ეკლესია და ღვთისმსახურება ქართულად შეესრულებინა. ეპისკოპოსი ბედიის მონასტრის გახსნის თხოვნასაც დაეთანხმა. ამისათვის ამბროსი ხელაიამ ეპისკოპოსს პრესის მეშვეობით მადლობა მოახსენა და იმედიც გამოთქვა, რომ ახალ მონასტერში უზრუნველყოფილი იქნებოდა მისთვის ჩვეულებრივი ქართული წირვა-ლოცვა, რომ ის, აფხაზეთის სხვა ტაძრებისაგან განსხვავებით, აღგილობრივი მოსახლეობის პატივისცემას შეინარჩუნებდა.²¹⁰

სპეციალურ ფონდში შემოსული სოლიდური თანხებიდან ბედიის ტაძრის აღსადგენად სახსრები არ იქნა გამოყოფილი.

მთელს რუსეთში შეგროვილი შემოწირულობა, — წერდა ამბროსი ხელაია, — „არ ვიციტ სად წავიდა ან რას მოხმარდა შემოსული თანხა, მხოლოდ ბედიას არა რგებია რა“.²¹¹ ანდრიამ რუსი ეროვნების ტექნიკოსი გაგზავნა ბედიაში წინასწარი სამუშაოების შესასრულებლად. მან კი აღდგენის მაგივრად ტაძარს თლილი ქვის პერანგი მოაცილა. იესე შელიას (ბერობაში მამა იოსები) პროტეს-

ტის გამო რუსი ტექნიკოსი დაითხოვეს, მაგრამ „თავისი, შესაძლებელია, მისი გამომგზავნის სურვილის სანახევრო ასრულება მოასწრო“.²¹²

ეპისკოპოს ანდრიას პირმოთნეობის პოლიტიკის ფასი, მისი ქეშმარიტი მიზნები მაშინ გამოვლინდა, როცა მან ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაქცევა გადაწყვიტა. ამგვარი მისწრაფებებით შეპყრობილი მღვდელმთავარი, როგორც ამბროსი ხელაია აღნიშნავდა, ბედიის აღდგენის საქმეს ხელს არ შეუწყობდა, მხოლოდ ტკბილი სიტყვებით ატყუებდა მღვდელმონაზონებს; „ამით ცბიერი მღვდელმთავარი ცდილობდა მამა იოსებისაგან დაწყებული საქმე მიეძინებია“. მიუხედავად ამისა, მამა იოსებს ბედიის ტაძრის ნანგერევებთან ორი ეკლესია და საცხოვრებელი სახლები აუშენებია; იმისათვის, რომ იგი რუსებს არ ჩავარდნოდათ ხელში, ცდილობდა ქართველი ბერების შეკრებას, მაგრამ ვერ მოახერხა; ამის შემდეგ გადაუწყვეტია დედათა მონასტრის დაფუძნება და ამ მიზნით თეკლათის მონასტრის წინამძღვარ ნინასთან გაუმართავს მოლაპარაკება. ამ სურვილის განხორციელებაც ვერ მოხერხდა, რადგანაც ეპისკოპოს ანდრიას გეგმებში ეს არ შედიოდა, თუმცა სიტყვიერად თანადგომას უცხადებდა მღვდელმონაზონებს. მან ერთი კარგი საქმე ნამდვილად გააკეთა. როცა გაჟონა ინფორმაციამ თეკლათის მონასტრის წინამძღვრის ნინას მიერ სოხუმში სამონასტრო ეკლესიის აშენების სურვილის გამოთქმის შესახებ, თბილისურმა გაზეთმა „გოლოს კავკაზამ“ განგაში ატეხა; განაცხადა, რომ ახალი ეკლესია „გააძლიერებს ქართველთა კულტურულ შეტევას (натиск) აფხაზეთზე, ეს კი რუსული სახელმწიფოებრიობის ინტერესებში არ შედის“. გაზეთის აზრით, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, სოხუმში ქართული ეკლესიის აშენება იქნებოდა „скорее отрицательного значения“. ამასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსმა ანდრიამ გაზეთ „ზაკავკაზე“-ში 1912 წლის ივნისში გამოაქვეყნა საპასუხო წერილი „ო კულტურნომ ნატისკე გრუზიი ნა აბხაზეთ“, რომელიც საქმეში ღრმად ჩახედული რუსი იერარქის პირით ამხელდა და თავიდან ბოლომდე აშიშვლებდა შოვინისტურ საეკლესიო პოლიტიკას აფხაზეთში.

სოხუმის ეპისკოპოსი, პირველ რიგში, ეკითხებოდა „გოლოს კავკაზა“-ს კორესპონდენტს: იყო თუ არა საერთოდ აფხაზეთში; თუ იყო, მაშინ სად ნახა „ქართველთა შეტევა აფხაზეთზე“, სად უჩივიან აფხაზები ამ შეტევას? იგი კიდევერთ კითხვას სვამდა: ნუთუ მართლმადიდებლური ტაძრის აშენება, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს და სადაც არ უნდა იდგეს იგი, „არ შედის რუსული სახელმწიფოებრიობის ინტერესებში“? „Вот совершенно неожиданная для меня, православного епископа и русского человека, точка зрения! — წერდა ანდრია და კვლავ „გოლოს კავკაზას“ ეკითხებოდა: „Неужели построение христианского православного храма _ это “событие с точки зрения русских государственных интересов _ отрицательного значения“?

Ну а разрушение православного храма _ это событие “положительного значения“?

И еще вопрос: каким логическим способом русские люди, защищающие “православие, самодержавие и народность” _ доходят до выводов, что построение православных храмов “не входит в интересы русской государственности?” Иначе говоря, православным христианам, хотя бы грузинам и абхазцам, очень вредно молиться вместе Богу?

Все это в высшей степени непонятно!

И странное дело: построение огромной мечети в приморском селении Очемчиры не вызывает ни у кого болезненных страхов, а построение в г.Сухуме православного храма рассматривается, как “натиск грузин на Абхазию”.

Но если бы действительно, люди, интересующиеся русской государственностью, посмотрели, что делается в Абхазии, то, разумеется ужаснулись бы... Грузинского влияния они, конечно, не нашли бы, но зато были бы поражены турецким влиянием”. ეპისკოპოსი ანდრია აცხადებდა, რომ „შემოტევა“ იყო სწორედ თურქეთიდან; რატომღაც

მას, მართლმადიდებელ მღვდელმთავარს, თხოვნით მიმართეს აქანდარის, აბგარხუკის და დურიფშის მაცხოვრებლებმა მეჩეთის აშენების თაობაზე; სოფ. ააცში უკვე დაწყებული იყო მეჩეთის მშენებლობა. „При таком положении дела, _ წერდა, — ანდრია, — можно только пожалеть, что не было на Гудаутский участок того натиска православной Грузии, которого боится так “Голос Кавказа”, тогда во всяком случае сейчас там были бы христиане, как в Самурзакане, а не магометане... Или для наших политиканствующих патриотов турецкое мусульманство _ это нечто более терпимое, чем грузинское православие?... Что касается храмов, то в Абхазии очень много разрушенных греческих храмов; некоторые из них _ с грузинскими надписями”... ახალი ტაძრები კი აფხაზეთში მოგვაგონებენ უფრო ფარდულებს, რომლითაც დაკმაყოფილება შეიძლებოდა ქრისტიანობის დევნის პერიოდში, მაგრამ არა მართლმადიდებლურ რუსეთში, — აცხადებდა ეპისკოპოსი ანდრია და თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ასრულებდა: „И так все речи о натиске грузин на Абхазию _ это чья то неудачная выдумка. Не хочу думать, что эта выдумка _ злостная. Можно говорить о натиске на Абхазию русской беспечности, о непонимании нашими русскими властями (и духовенством) культурных задач в крае, _ о нашествии турецких подданных. Все это справедливо, но причем тут грузины”²¹³

თავისი წერილით სოხუმის ეპისკოპოსმა საკადრისი პასუხი არა მხოლოდ „გოლოს კავკაზას“ გასცა. მან კალმის ერთი მოსმით გააქარწყლა ვოსტორგოვების, გერ შელმანების ვორონოვების, კავკასიის საერო და სასულიერო ხელისუფალთა გაუთავებელი ბრალდებები აფხაზეთის „გაქართველების“ თაობაზე; აჩვენა, რომ „აფხაზეთზე ქართული შემოტევის“ წინააღმდეგ რუსი პოლიტიკანების ბრძოლამ უკიდურესად დააზარალა მართლმადიდებლობა და ფართო გზა გაუხსნა მაჰმადიანობას. ეპისკოპოს ანდრიას აზრით, მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა არა ქართველობა, არამედ, „რუ-

სული დაუდევრობის შეტევა აფხაზეთზე“. როგორი ფარისევლურიც არ უნდა ყოფილიყო ზოგადად სოხუმის მღვდელმთავრის პოლიტიკა, ამ წერილით მან ლახვარი ჩასცა შოვინისტებსა და სეპარატისტებს, კარგი სამსახური გაუწია ქართულ ეროვნულ მოძრაობას, თუმცა მისი მიზანი იყო სულ სხვა — რუსული ინტერესების დაცვა აფხაზეთში; იგი ხედავდა, რომ ქართული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ისლამს, მხოლოდ თურქულ გავლენას აძლიერებდა, ამიტომ ხელისუფლების მთავარ „კულტურულ ამოცანად“ აფხაზეთში რუსი „მუუტიკების“ ჩამოსახლება მიაჩნდა (იხ. 213-ე სქოლიო).

ეპისკოპოსი ანდრია თავად შეუდგა ხსენებული „კულტურული ამოცანის“ განხორციელებას. რუსების მომრავლება აფხაზეთში მან სრულიად საქართველოსათვის განსაკუთრებით ძვირფასი კიდევ ერთი სიწმინდის — ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების გზით გადაწყვიტა (აღნიშნული იდეა პირველად ეპისკოპოს დიმიტრის წამოუყენებია). ჟურნალ „სოტრუდნიკ“-ის 1912 წლის 15 ნოემბრის ნომერში (№22) სოხუმის ეპისკოპოსმა გამოაქვეყნა წერილი „Из жизни Илорского прихода“, რომელშიაც მხარი დაუჭირა ვითომ ილორის საზოგადოების „ნათელ აზრს“ („светлая мысль“), მოქვის მაგალითისამებრ, დედათა მონასტრის დაფუძნების შესახებ. ამ განზრახვას წინ აღუდგა არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია. გაზეთ „ზაკავკაზიეს“-ს 1913 წლის 10 და 11 აპრილის ნომერებში (№№ 82-83) მან ამბერის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „სასურველია თუ არა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაქცევა?“ წერილს სოხუმში გამომავალი ჟურნალი „Сотрудник Закавказской Миссии“ (1913, №10) საკმაო კეთილგანწყობით გამოეხმაურა, მაგრამ მოგვიანებით (1913, №№ 16, 17) კატეგორიულად დაუჭირა მხარი ილორში დედათა მონასტრის გახსნას. ამასთან დაკავშირებით ამბროსი ხელაიამ კვლავ გაზეთ „ზაკავკაზიეს“-ს 1913 წლის 7, 8, 10, 12, 13 და 14 დეკემბრის ნომერებში (№№ 270, 271, 272, 274, 275, 276) გამოაქვეყნა საპასუხო წერილების სერია საერთო სათაურით „ილორის ტაძრის რუსულ დედათა მონასტრად გადაქცე-

ვის შესახებ“. მათში წამოჭრილია პრობლემათა მთელი სპექტრი, გაანალიზებულია აფხაზეთში მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა, მისიონერული საქმიანობის (აფხაზთა შორის) წარუმატებლობის მიზეზები, საუბარია სხვა უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე.

ერთ-ერთი ასეთი საკითხი გახლდათ აფხაზეთში უკვე დაფუძნებული რუსული მონასტრების პრობლემა. ეპისკოპოსი ანდრია ილორის ეკლესიის დედათა მონასტრად გადაკეთების აუცილებლობას მისიონერული მიზნებით ასაბუთებდა. ამბროსი ხელაია მას შეახსენებდა, რომ ზუსტად იგივე მიზნებით დაფუძნდა ახალი ათონის, ბიჭვინთის, დრანდისა და მოჭვის მონასტრები, მაგრამ რეალურად უკუშედგვი მივიღეთ. ხალხისათვის ყველაზე სათაყვანებელი უძველესი ტაძრების, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერების არა იმდენად მისიონერულ, არამედ შოვინისტურ-ასიმილატორული პოლიტიკის ცენტრებად გადაქცევამ მათ დაუკარგა ძველი დიდება და მოწიწება, ისინი ვერ იქცნენ „აფხაზეთის მოსახლეობაში რელიგიის, ზნეობისა და ცოდნის საწყისების გავრცელების წყაროდ“. ამბროსი ხელაიას მოჰყავდა ეპისკოპოს ანდრიას მიერ „სანკ-პეტერბურგსკიე ვედომოსტ“-ში (1913წ. №30) გამოქვეყნებული განცხადება, იმის შესახებ, რომ ახალი ათონის „დიდებული ტაძრებიდან 10-15 კილომეტრში“ დაინგრა მართლმადიდებლური ეკლესიები, აფხაზეთმა დაივიწყეს ქრისტეს მოძღვრება და მეჩეთების აშენება სურთ“. ამასთან დაკავშირებით არქიმანდრიტი ამბროსი სავსებით ლოგიკურად წერდა: „სად არის მათი თითქმის 40-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ ამ უკანასკნელებმა იგრძნეს მეჩეთების აშენების ძლიერი მოთხოვნილება, რაც ადრე არასოდეს ყოფილა“.²¹⁴ სხვადასხვა მოგზაურები, მათ შორის რუსები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთი ქრისტიანული ტაძრების ნანგრევებს ეთაყვანებოდნენ. რუსი ბერების მოსვლის შემდეგ ეს პატივისცემა თუნდაც ბიჭვინთის მიმართ დაიკარგა. ამბროსი ხელაია ასკვნია: „Таким образом, ясно, что обращение грузинских святынь в русские монастыри не только не при-

ნოსიტ пользы местному населению в религиозно _ нравственном отношении, но, и, напротив, отзывается положительно вредно, так как он теряет значение религиозных центров для народов Закавказья”. იგივე ბელი ეწევა ილორის ეკლესიას, ამტკიცებდა ავტორი; რუსულ დედათა მონასტრად მისი გადაკეთება „იქნებოდა მთელი ქართველი ხალხის საკუთრების უფლების დარღვევა და იქამდე მიგვიყვანდა, რომ სიწმინდე ადგილობრივი მოსახლეობისათვის რელიგიურ მნიშვნელობას დაკარგავდა, — წერდა იგი. — ერთი სიტყვით, ილორის ეკლესია ბიჭვინთის, ფსირცხის (ახ. — ათონის), ღრანდისა და მოქვის ბედს გაიზიარებდა — ადგილობრივი მოსახლეობა შეწყვეტდა იქ სიარულს“.²¹⁵

აფხაზეთში მოქმედი რუსული მონასტრების მოღვაწეობის ამბროსი ხელაიასეული გაბედული შეფასება მწარე სიმართლე იყო. რუსმა ბერებმა თავიანთი ქმედობებით და უმოქმედობით ხელი შეუწვეს აფხაზეთში, პირველ რიგში აფხაზურ მოსახლეობაში მართლმადიდებლობის დასუსტებას. ასეთ შეფასებას არ ეთანხმებოდა ეურნალი „სოტრუდნიკი“ — ფაქტობრივად კი სოხუმის ეპისკოპოსი ანდრია.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსული მონასტრების საქმიანობას უარყოფითად აფასებდა არა მხოლოდ „ნაციონალისტი“ ამბროსი ხელაია, არამედ რუსეთის ერთგული მსახური, ანტიქართველი კონსტანტინე მაჭავარიანიც. აღწერდა რა ახალი ათონის უმდიდრეს სამონასტრო კომპლექსს, სადაც 700 ბერი და მორჩილი ცხოვრობდა, იგი სამართლიანად წერდა, რომ მონასტერს საკუთარი ხარჯებით თავისუფლად შეეძლო „открыть у себя духовную семинарию или специальное учебное заведение для подготовки миссионеров из местных жителей. Мог устроить и церковно _ археологическую комиссию. Ведь он владеет огромным количеством лучшей земли с лишним 3-т десятин, которую наше правительство отвело монастырю даром... Монастырь живет больше для своего благополучия...

В прошлом же 1912г. монастырем сооружен фуникулер с электрической тягой до вершины Иверсокой горы. Словом в распоряжение монастыря все земные блага, только такого блага лишены бедное население Абхазии, бедные священнические приходы и бедный приходящий сюда люд.

Мы вновь повторяем, что Ново-Афонский монастырь, как и Драндский, должен быть в полном подчинении Сухумского архиерея, а не Турецкого султана, которому брата платят подать. К чему в одном государстве другое государство?"²¹⁶ კ. მაჭავარიანი მოუწოდებდა საზოგადოებას უმდიდრესი ახალი ათონის მონასტერი ფართო საქველმოქმედო და სამისიონერო საქმიანობაში ჩაერთოთ; რომ მას თავისი სავანე „სავაქრო სახლად“ კი არ გადაექცია, არამედ მოწყალებისა და დახმარების წყაროდ, რათა აღვადგინოთ უძველესი ქრისტიანული ძეგლები. „Хороши их лебеди, их водопады, сады и огороды, но будет лучше, если при их помощи возродится хоть один древний памятник, который мог бы привлечь население под свой покровь“,²¹⁷ — აცხადებდა კ. მაჭავარიანი.

ასეთი კრიტიკის შემდეგ რუსული მონასტრების დაცვა შეუძლებელი იყო. ამბროსი ხელაია მათ ქართველების დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა. ასე მაგალითად, პეტრე ბოკუჩავას და ელიზბარ რატიას ს. ოტობაიადან ღრანდის ან ახალი ათონის მონასტერში მისვლა სურდათ, მაგრამ არ მიიღეს. იგივე მდგომარეობა იყო მოქვის დედათა მონასტერში. თავის ღროზე ქართული საზოგადოება მისი დაფუძნების წინააღმდეგაც გამოვიდა, გამოითქვა ექვი „ღიღი რამე სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ზეგავლენა იქონიოს ამ დედათა მონასტერმა ადგილობრივ აფხაზებზე“.²¹⁸ ექვი გამართლდა. მონასტერში ქართველებს და აფხაზებს ყოველნაირად ავიწროებდნენ. მაგალითად, ქრისტიან რურუა მიიღეს, მაგრამ ბინა არ მისცეს. მან გადაწყვიტა თავად აეშენებინა საცხოვრებელი სახლი იმ მიწაზე, რომელიც მოქვის მკვიდრმა თედო ჟორდანიამ დაუთმო. მალე ეს მიწაც მონასტრის გამგებლობაში გადავიდა და ქ. რურუას

ბინის მშენებლობა აუკრძალეს. მან ტაძარი იძულებით დატოვა. მისი ხვედრი სალომე ბერძენიამაც გაიზიარა. ასეთი ფაქტების შემდეგ დამაჯერებლად არ ეღერდა ილორის მონასტრის დაფუძნების მსურველთა მტკიცება იმის შესახებ, რომ იგი შერეული — რუსულ-ქართული იქნებოდა. ამბროსი ხელაიას აზრით, თუ თავიდან შერეული მონასტერი გაიხსნებოდა, შემდგომში ქართველებს იქიდან მაინც გაუშვებდნენ, როგორც ეს მოქვეში გააკეთეს, და ილორს მთლიანად სლავები დაეპატრონებოდნენ.²¹⁹

მონასტრებთან დაკავშირებით, არქიმანდრიტი ამბროსი კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებდა ყურადღებას. რუსმა ბერებმა განახლებისა და რესტავრაციის საბაბით ისინი დაამახინჯეს, რის შესახებაც აღშფოთებით წერდა გრაფინია პ. უვაროვაც. მისი შეფასებით, ათონელი ბერების მიერ ბოლო დროს სიმონ კანანელის ტაძარი რესტავრირებულია „так неумело и грубо, что потерял не только всякое значение для науки, но даже всякий след древности, и подтвердить высказанные мною о нем предположения какиминибудь фактическими доказательствами за неимением их — невозможно. В храме не сохранилось ни особых тяг, ни архитектурных деталей, фризів или капителей; все вычищено, сглажено, выбелено, заштукатурено“.²²⁰ ამგვარი „რესტავრაციის“ შედეგად დრანდის მონასტერში გაქრა 1860 წლამდე არსებული ფრესკები მაცხოვრისა და რამდენიმე წმინდანის გამოსახულებით.²²¹ გრაფინია პ. უვაროვა დრანდის ტაძრის „რესტავრატორებს“ ბარბაროსებს უწოდებდა. და წერდა: „Собор в Драндах, восстановленный самым варварским (доступным, кажется, одним русским) образом, производит на нас самое ужасное впечатление; все зачищено, заштукатурено и замазано так, что сердце сжимается. Не знаешь чего желать и что лучше — чтобы древности Кавказа оставались втуне, неизвестныя ни для кого, заросшия и закрытыя от глаз путешественников, или чтобы являлись радетели вроде Драндских Афонских монахов, обративших дра-

гоценный памятник старины не то в казенный госпиталь, нето в цирк с безобразнейшими штукатурными пиластрами и тягами. Не остановились они даже пред сломкой стен и сводов, и Бог знает с какими целями посвятили целый месяц на проломку свода с западной стороны и заменили его новым с прибавкой хоров для братии, у которой места слишком много внизу”.²²² ამბროსი ხელაია პ. უჯაროვას შეფასებებზე დაყრდნობით ამხელდა რუს ბერებს, რომლებმაც უძველესი ქართული არქიტექტურული ხელოვნების ძეგლები დაამახინჯეს.²²³ რა თქმა უნდა, იგივე ბედი ელოდა ილორის ეკლესიასაც რუსულ მონასტრად მისი გადაკეთების შემთხვევაში.

არქიმანდრიტ ამბროსის სამისიონერო პუნქტების გახსნა მიზანშეწონილად მიაჩნდა უპირატესად მუსულმანი აფხაზებით დასახლებულ სოფლებში და არა ილორში, სადაც ძირძველი ქრისტიანები ცხოვრობდნენ; მან უარყო ოპონენტთა მტკიცება, თითქოს ილორში რუსული მონასტრის დაარსების თხოვნა ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოდიოდა, რომ საკმაოდ შემოსავლიანი ილორის ეკლესია არაფერს აკეთებდა განათლების სისტემისათვის. ამბროსიმ სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით სრულიად საპირისპირო სურათი წარმოაჩინა. 1868 წლიდან 1913 წლის იანვრამდე ილორის ეკლესიის შემოსავლებმა 106 972 მან და 57 კაპიკი შეადგინეს. 1891 წლიდან არსებული ილორის სკოლას ამ თანხებიდან 22 323 მანეთი მოხმარდა (საშუალოდ წელიწადში 1000 მანეთზე მეტი). გარდა ამისა, 1910 წლიდან ილორის ეკლესიას სოხუმის ეპარქიალურ საბჭოში ყოველწლიურად ეპარქიის სკოლების საჭიროებისათვის 750 მანეთი შეჰქონდა, ხოლო სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა და ქუთაისის სასულიერო სემინარიის ანგარიშებზე საშუალოდ ყოველწლიურად 894 მანეთსა და 24 კაპიკს რიცხავდა. ეს ყოველივე იმას ნიშნავდა, რომ ილორის ეკლესია განათლების სფეროს წელიწადში 2658 მანეთსა და 25 კაპიკს ახმარდა, რაც მთელი მისი შემოსავლების თითქმის ნახევარს შეადგენდა. დაგეგმილი იყო აგრეთვე ეკლესიის ხარჯებით ილორის სკოლისათვის საერთო საცხოვრებლის აშენება, რაც 10667 მანეთი

დაჯდებოდა. ილორის ეკლესიას ბევრი სხვა ხარჭი (გაზეთებისა და წიგნების გამოწერა სხვა ეკლესიებისათვის და ა.შ.) ჰქონდა. 1869 წლიდან სხვა ეკლესიების გასარემონტებლად და ასაშენებლად 6813 მანეთი დაიხარჯა. ილორის ეკლესიის ხარჯებით აიგო აკათის, კალდახვარის, ოთხარის, კულანურხვის ეკლესიები. როგორც ამბროსი ხელაია ასკვნიდა, ილორის ეკლესიას XX საუკუნეში გაცილებით მეტი სარგებლობა მოჰქონდა სოხუმის ეპარქიისათვის, ვიდრე შეუდარებლად უფრო მდიდარ რუსულ მონასტრებს, რომელთა შემოსავლები ძირითადად მათსავე კეთილდღეობას ხმარდებოდა. ილორის ეკლესიის რუსულ მონასტრად გადაკეთების „მოხოვნელებიც“ სწორედ მისი შემოსავლების ხელში ჩაგდებას ისახავდნენ მიზნად. ეს იცოდა საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ და ამიტომ ამბროსი ხელაია იმედოვნებდა, რომ იგი ილორის მონასტრის დაფუძნებაზე თანხმობას არ მისცემდა.²²⁴

თავის წერილებში არქიმანდრიტი მოკლედ ეხებოდა აფხაზეთში ქრისტიანობის ისტორიისა და თავისებურებების საკითხებს. მისი მტკიცებით, ბიჰვინთა XVII საუკუნეში „была окружена надвинувшимся из за Гагр народом, который под влиянием турок забыл веру отцов“. „გაგრის იქითა მხრიდან“ მოსული ხალხის (იგულისხმებიან აფსუები) გამო აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი იძულებით გელათში გადავიდა. ამის შემდეგ, როგორც ამბროსი ხელაია წერდა, ხატისა და ჯვრის თაყვანისცემამ თანდათანობით წარმართული ხასიათი მიიღო; არც თუ ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ადამიანები, რომლებიც ხის ფულუროში მოთავსებულ ჯვარს ეთაყვანებოდნენ, ჯვრის დაკარგვის შემდეგ თაყვანს სცემდნენ იმ ხეს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბომბორასთან ახლოს მუხის ფულუროში ღვთისმშობლის ხატი იყო მოთავსებული და მას ხალხი ეთაყვანებოდა, ამის გამო იმ მუხამ ისეთი მნიშვნელობა შეიძინა, რომ არავინ, თვით აფხაზეთის მთავარიც კი ვერ ბედავდა გაქცეული, მაგრამ მუხის საბურველის ქვეშ მოკალათებული ადამიანის ძალით შეპყრობას. წარმართული ხასიათი მიიღო დანგრეული ეკლესიების თაყვანისცემამაც. ამბროსი ხელაია სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ აფხაზეთში ამჟამად ხდე-

ბა ქრისტიანული ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიური წარმოდგენების წარმართობაში გარდასახვა მაშინ, როცა უძველესი დროიდან მართლმადიდებელი მისიონერები, პირიქით, ცდილობდნენ წარმართული ზნე-ჩვეულებებისათვის და წარმოდგენებისათვის ქრისტიანული შინაარსი მიეცათ.²²⁵

ოპონენტებს არ მოეწონათ ეს მსჯელობა და ჩათვალეს, რომ ამბროსი „სარწმუნოებას ცრურწმენისაგან ვერ ანსხვავებდა“. ამასთან დაკავშირებით არქიმანდრიტმა ვრცლად მიმოიხილა აღნიშნული საკითხი და ფრიად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა. „ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეხედულებებს, რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და თავისებურებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, მათ ანგარიში უნდა გაეწიოს, — წერდა ამბროსი ხელაია, — ამიტომ უეჭველია, მისიონერული საქმიანობის წარმატებისათვის საჭიროა იმ პირობების ცოდნა, რომელშიაც ღვთის სიტყვის მქადაგებელს უხდება მოქმედება. საჭიროა ხალხის ცხოვრების, მისი რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობის, ზნე-ჩვეულებების, მიდრეკილებებისა და მისწრაფებების შესწავლა“.²²⁶ ყოველივე ამის ცოდნას, ამბროსის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისიონერისათვის ადგილობრივ პირობებთან მისი შეგუების, შეწყობის თვალსაზრისით. იგი ოპონენტებს შეახსენებდა, რომ პირველი მოციქულები სწორედ ასე იქცეოდნენ. ყოველგვარ ქადაგებას, პროპაგანდას მაშინ ექნებოდა წარმატება, — წერდა ამბროსი, — როცა ადამიანი სხვისი (მქადაგებლის, პროპაგანდისტის) აზრების რაღაც ელემენტებს საკუთარ შეხედულებებში, წარმოდგენებშიც იპოვის, როცა იგი ამ ელემენტების საფუძველზე თავად მოახერხებს სხვისი სწავლების პროდუქტის გათავისებას და შემდეგ მის განვითარებას; სხვანაირად, იგი მხოლოდ დაიმახსოვრებს რაღაც სწავლებას, მაგრამ მას ვერ შეითვისებს. ამბროსი ხელაიას თქმით, ამ გარემოებას უძველესი დროიდან ითვალისწინებდა მართლმადიდებლური ეკლესია, ამიტომაც დაუშვა მან ცალკეული გაქრისტიანებული წარმართული წესების არსებობა.

ყველაფერ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა აფხაზეთში, სადაც სიწმინდის ქრისტიანული თაყვანისცემა, გარემო-

ებათა გამო (იხ. მექვეთ თავი), თანდათანობით ხის წარმართულ თაყვანისცემაში გადაიზარდა. ამბროსი მკაცრად აკრიტიკებდა მისიონერ-ასიმილატორებს, რომლებიც ცდილობდნენ რა მოესპოთ ცრურწმენები, ფაქტობრივად აფხაზებს რწმენას ართმევდნენ; ცრურწმენის ძალადობით მოსპობა ხალხურ რელიგიაში ჩაბუდებული ჭეშმარიტების ნასახის მოსპობასაც იწვევდა. თავის ოპონენტებს — რუსული მონასტრების დაფუძნებისა და რუსი ბერების მომრავლების გზით აფხაზთა ცრურწმენების მოსპობის, ამ ხალხის ასიმილაციის მოსურნეებს — ამბროსი ხელაია ასე პასუხობდა: „Я хорошо отличаю суеверие от истинной веры, но, признаюсь, не сторонник такого уничтожения народных обычаев, составляющих отличительную черту каждого народа, одну из существенных частей его национальной физиономии. Я бы старался очистить национальные религиозные обычаи, нравы и особенности от суверного элемента или, лучше сказать, стараться бы в эти обычаи влить христианское содержание _ христианизировать, а не уничтожать их, ибо путем уничтожения национальных обычаев цель ассимилирования народов, к чему стремиться современные миссионеры, не достигаются, а только обезвериваются они. Вот как я понимаю миссионерское служение среди такого народа, каким являются абхазцы, о прошлом котором свидетельствуют остатки христианских памятников".²²⁷

ამრიგად, ამბროსი ხელაიას აზრით, აფხაზეთში მართლმადიდებლობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეში წარმატების მისაღწევად მისიონერებს უნდა ეზრუნათ ხალხის ზნეჩვეულებებისა და რელიგიური წარმოდგენების გაქრისტიანებისათვის (ქრისტიანიზაციისათვის); რუსი მღვდელმთავრებისა და აფხაზეთში დაფუძნებული რუსული მონასტრების ასიმილატორული პოლიტიკა, მათი ბრძოლა ხალხური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ მხოლოდ ურწმუნოებას ნერგავდა, რაც გახლდათ მთავარი მიზეზი აფხაზეთში არსებული სავალალო სარწმუნოებრივი მდგო-

მარეობისა.

არქიმანდრიტი ამბროსი იმედს გამოთქვამდა, რომ „მოსიყვარულე ეპისკოპოსი“ ანდრია მიხედებოდა თუ რამდენად საზიანო იქნებოდა მართლმადიდებლობისათვის ვითომ მისიონერული მიზნით ილორის რუსული მონასტრის დაფუძნება და უარს იტყოდა ამ იდეის განხორციელებაზე.²²⁸

ათხაზეთის მოსახლეობის გარუსების, ურწმუნოების დანერგვის კიდევ ერთი ახალი ცენტრის ილორში დაარსების გეგმა მართლაც ჩაიშალა, მაგრამ დარჩა პრობლემა ასიმილაციისა და ეროვნული შუღლის ჩამოგდების მუდმივი მცდელობისა, ათხაზეთა ურწმუნოებისა თუ გამუსულმანებისა.

მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის მოღვაწეობა

კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების შეფასებით, ათხაზეთი „ცუდად ითვისებენ ქრისტეს მოძღვრებას. პირიქით, სულ უფრო და უფრო

ღიად ისწრაფვიან მაჰმადიანობისაკენ“; იმავე საზოგადოების მონაცემებით, 1910 წლისათვის ათხაზეთში სარწმუნოებრივი მდგომარეობა ასეთი იყო: „კოდორის უბნის მაცხოვრებლები მეტნაკლებად განმტკიცებული არიან ქრისტიანული სარწმუნოების წესებში ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს სამურზაყანოს მეგრული მოსახლეობის გავლენა. სამურზაყანოსაგან შორს მდებარე გუდაუთის უბნის მაცხოვრებლები, პირიქით, სრულებითაც არ არიან განმტკიცებული ქრისტიანული სარწმუნოების ქეშმარიტებებში და, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ითვლებიან ქრისტიანებად“.²²⁹

სამურზაყანოში მთელი მოსახლეობა მართლმადიდებლობას აღიარებდა. როგორც სოხუმის ეპარქიის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის საეკლესიო საძმოს 1911 წლის კრებაზე ითქვა, იქ არ იყვნენ ისლამის მქადაგებლები, ფარული მუსულმანური სკოლები, არც მეჩეთებს აშენებდნენ, მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოების გავლენა ადამიანთა გონებაზე მაინც სუსტი იყო, „мало проникнута жизнь началами православной церковности“. იმავე

კრებაზე მუსულმანური რელიგია მთავარ მტრად გამოცხადდა, რომელიც დიდ საფრთხეს შეიცავდა; შექმნილი ვითარება მოითხოვდა „немедленного дружного противодействия со стороны всех, кому близки и дороги интересы Христовой веры“.²³⁰

აფხაზეთში XXს. 10-ნი წლების დასაწყისში სარწმუნოებრივი თვალსაზრისით არსებული ვითარების შეფასებისას საკმაოდ გულახდილები იყვნენ თვალსაჩინო აფხაზი მოღვაწეები, მათ შორის სასულიერო პირები. აფხაზური მწერლობის ფუძემდებელმა დიმიტრი გულიამ წერილში „რასკირდება აფხაზეთს“ (ყურადღებას თუ არ მივაქცევთ მთელ რიგ უსამართლო და არასწორ გამონათქვამებს) საინტერესო მოსაზრებაც გამოთქვა: „...Можно сказать без греха, что абхазцы, котя и назывались христианами, но никогда не были истинными христианами, а всегда отчасти были и ныне остаются язычниками, что и видно из их языческих обрядов и традиционных обычаев, сохранившихся до настоящих дней“.²³¹ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს იგი აფხაზური ენის მცოდნე მღვდლების დანიშვნაში, ღვთისმსახურების აფხაზურ ენაზე შემოღებაში, თურქეთის ქვეშევრდომი მოღვდების შევიწროებაში, მხარის ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებაში ხედავდა. დ. გულიას მხრიდან იმის აღიარება, რომ აფხაზები არასოდეს ყოფილან ქრისტიანები, თავისთავად მნიშვნელოვანია. კიდევ უფრო ახლოს მივიდა ქრისტიანობასთან აფხაზი ეროვნების მღვდელი ნ. პატეიფა. თავის წერილში „სამწუხარო სინამდვილე აფხაზეთში“ ის აღნიშნავდა: „Но в одном я сомневаюсь: был ли абхазец когда _нибудь христианином в полном смысле слова; знал ли Христа, которого он исповедует? На эти вопросы история молчит... Передо мной книга “Сборник молений, совершаемых абхазцами на разные случаи жизни”, в нем до 50 обрядов, но только 3-4 обряда имеют основанием христианские праздники, а все остальные чисто языческие обряды.“

К великому прискорбию я должен сказать, что мы только крещены. Скрывать это значит желать своей гибели... Абхазцы были такими же православными, какими они были мусульманами".²³²

ათხაზი ეროვნების დეკანოზი დ. მარღანია თავის წერილში, „ოჩამჩირეში მეჩეთის აშენების შესახებ“ ყველა უბედურებას აფხაზეთში თურქეთის გაბატონებას, ისლამის გავრცელებას, 1877-1878 წლების ომის დროს „აფხაზთა დამლუპველ მოქმედებას“ — თურქეთში გადასახლებას (რაც, მისი აზრით, გამოწვეული იყო „исключительно приверженностью их к магометанству и фанатическими проповедями лжемул“) უკავშირებდა, რომლის შემდეგაც მოსახლეობის მიდრეკილება მაჰმადიანობისაკენ კიდევ უფრო გაიზარდა. 1910 წელს თურქი მისიონერების მიერ ოჩამჩირეში მეჩეთის მშენებლობის დაწყება „никакого успеха не дадут миссионерскому делу в Абхазии; ... послужит большим соблазном для населения и будет иметь крайне пагубное значение для христианского и вообще всего русского дела в этом крае“,²³³ — წერდა დ. მარღანია.

1912 წლის გაზაფხულზე უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ცნობით, მისი იმპერატორობითი უმაღლესობა ევგენია მაქსიმალიანეს ასული ოლდენბურგსკაია (რომლის ოჯახი გაგრის კლიმატოლოგიური სადგურის მფლობელი იყო) თავის თავზე იღებდა სოხუმის წმ. ალექსანდრე ნეველის საეპარქიო საეკლესიო სამოს მთარველობას. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საკათედრო ტაძარში ლიტურგია ჩატარდა. მისი დამთავრების შემდეგ ეპისკოპოსის სახლში სამოს საბჭოს (თავმჯდომარე — გ. გოლუბცოვი) სხდომა გაიმართა. სიყვით გამოსულმა ეპისკოპოსმა ანდრიამ განაცხადა, რომ გუდაუთის უბანი, სადაც მთელი რიგი სოფლები მეჩეთის გახსნას ითხოვენ, მთლიანად მუსულმანობითაა გაყვნილი ("Пропитан мусульманством"). მისი თქმით, დიდი ძალისხმევა იყო საჭირონ პირველ რიგში, აფხაზი ეროვნების მწყობსთა მხრიდან, „чтобы предохранить Гудаутский участок от полной исламизации и туркофильства“; დიდ პრობლემას ქმნი-

და აფხაზი სასულიერო კადრების მოსამზადებელი სკოლის უქონლობა; მიუხედავად დაპირებისა, დროულად არ იქნა თანხა გამოყოფილი აფხაზურ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურის სათარგმნელად და გამოსაცემად (როგორც ზემოთ ვნახეთ, შემდგომში ეს თანხა გამოიყო და თარგმნილი ბიბლიაც გამოიცა). მისი გამოცემის შემთხვევაშიც, ანდრიას სიტყვებით, აფხაზური ტექსტის წამკითხველი მალე არც იქნებოდა, ვინაიდან მღვდლად კურთხევის მსურველი ორად-ორი აფხაზიდან არც ერთს მშობლიურ ენაზე კითხვა არ შეეძლო; როცა ეპისკოპოსმა 1913 წ. 27 ოქტომბერს ნ.ლაღარიას ლიხნში ლიტურგია აფხაზურად ჩაატარებინა, თვით აფხაზებმაც თავის ენაზე გალობა ვერ შეძლეს. „И стоят несчастные абхазцы по прежнему, ничего за богослужением не понимая, хотя открытие абхазского богослужения давно отпраздновано”,²³⁴ – ამბობდა სოხუმის ეპისკოპოსი. მისი მტკიცებით, აფხაზები ეკლესიისა და ეკლესიური ჩვეულებების მიმართ გულგრილნი იყვნენ. ეკლესიურ ცხოვრებას უფრო მეგრელები მისდევდნენ, ამიტომ ღვთისმსახურებიც ქართული ეროვნების წარმომადგენლებიდან ინიშნებოდნენ.²³⁵

ამრიგად აფხაზეთში XXს. 10-ანი წლების დასაწყისისათვის სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ძალიან მძიმე ვითარება შეიქმნა. დადებითი შედეგები არც აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელების მიზნით 1908წ. კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების მიერ შექმნილი მოძრავი ეკლესიისა და მისი აფხაზური კრებულის საქმიანობას მოჰყოლია, რომლის შენახვა ყველწლიურად 1200 (ეს თანხა გამოიყოფოდა 1898 წლიდან, როცა მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიონერად, ინგილოელი ქართველი ტარას ივანიცკი დაინიშნა) მანეთი ჯდებოდა. 1912 წლის 1 სექტემბერს ეპისკოპოსმა ანდრიამ საქართველოს სამისიონერო საბჭოს რეკომენდაციით (1912 წლის 16 იანვარი) მოძრავი ეკლესია გააუქმა და მის ნაცვლად მუსულმანობის საწინააღმდეგო მისია (противомусульманская миссия) ჩამოაყალიბა.²³⁶ იგი აფხაზი ეროვნების სასულიერო პირებით დაკომპლექტდა. გუდაუთისა და გუმისთის უბნების მისიონერად დაინიშნა დურიფშის ეკლესი-

ის მღვდელი, გაუქმებული მოძრავი ეკლესიის კრებულის წევრი, იმავე უბნების საეკლესიო სკოლების ზედამხედველი ნიკოლოზ ლადარია; 1912-1914 წლებში ის ერთდროულად იყო სოხუმის ოლქის მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის ხელმძღვანელიც. კოდორისა და სამურზაყანოს უბნების მისიონერად ტამიშის ეკლესიის მღვდელი ნ. პატეიფა დაინიშნა. ორი წლის შემდეგ ის აფხაზეთის მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის ხელმძღვანელი გახდა.

ეპისკოპოსი ანდრია მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოებისაგან ყოფილი მოძრავი ეკლესიის შესანახად განკუთვნილი 1200 მანეთით ახლად შექმნილი მისიის დაფინანსებას მოითხოვდა. მიმოწერა ამ საკითხზე რამდენიმე თვე გაგრძელდა. 1913 წლის 7 მაისს ანდრიამ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას შემდეგი შინაარსის მოხსენება წარუდგინა: „Служебным долгом своим считаю донести Синодальной Канторе, что положение миссии среди абхазцев _ мусульман крайне ненормально. Единственный миссионер состоит в то же время и наблюдателем школ церковно _ приходских (იგულისხმება ნ. ლადარია — ჯ.გ.), да и то не получает даже выслуженного жалования. Моя попытка поручить двум лицам заведование миссией и школами не была уважена обществом восстановления православного христианства на Кавказе. Между тем сейчас каждый день промедления в построении храмов отзывается дурно в материальном и нравственном отношении; а у меня помощников вовсе нет.

Ввиду вышеизложенного я не могу себя считать ответственным за нынешний беспорядок в постановке миссии среди абхазцев, не могу рассчитывать не какой либо успех ее и покорнейше прошу Синодальную Кантору ходатайствовать перед Святейшим Синодам о назначении в Абхазии специального миссионера, который имел бы возможность по определенному плану вести свое дело, будучи обеспечен доверием к себе со стороны выс-

ших властей".²³⁷

უყურადღებობითა და დაუფინანსებლობით გაღიზიანებული ეპისკოპოსი ანდრია 1913 წლის 10 მაისს ეგზარქოსს წერდა: „Чтобы закончить вредную для дела и бесплодную эту переписку, имею честь просить Ваше Высокопреосвященство сообщить Совету общества восстановления православного христианства на Кавказе, что я отказываюсь от всех своих намерений и представлений Совету общества и прошу категорических его указаний, что я должен делать и чего не делать в будущем. Вместе с тем я должен сказать, что не могу и быть ответственным за положение миссии в Сухумской Епархии и прошу совет общества назначить кого-либо миссионера среди абхазцев, и пользуящегося доверием Совета".²³⁸

ანდრიას წერილები ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას გადაეგზავნა. იგი იძულებული გახდა 1913წ. 29 მაისს მიეღო გადაწყვეტილება სოხუმის ეპისკოპოსის განკარგულებაში „აფხაზური მისიის საჭიროებისათვის“ 1200 მანეთის გამოყოფის შესახებ“. როგორც იქნა მუსულმანობის საწინააღმდეგო მისია მუშაობას შეუდგა.

1913 წლის 22 დეკემბერს ანდრია უფის ეპისკოპოსად დაინიშნა. სოხუმი მან 1914 წლის 24 იანვარს დატოვა. გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე ის ახალი ათონის ბერებს გამოეთხოვა; ჩავიდა გუდაუთაში, სადაც აფხაზებმა ღრმა პატივისცემის ნიშნად ადრესი და ხატი მიართვეს. 24 იანვარს სოხუმის საკათედრო ტაძარში ეპისკოპოს ანდრიას გამგზავრებასთან დაკავშირებით წირვა ჩატარდა, რომელსაც აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული 20 მღვდელი და ათასობით მორწმუნე დაესწრო. ქალაქის თავმა ალ. შერვაშიძემ ეპისკოპოსს ივერიის ღვთისმშობლის ხატი, სამახსოვრო ალბომი და სოხუმის სათათბიროს სახელით ადრესი გადასცა. მასში ნათქვამი იყო სათათბირომ, „ценя плодотворную деятельность Владыки, постановила учредить две стипендии его имени в реальном училище и женской гимназии,

а так же ежегодно в память его выдавать единовременные денежные пособия по 25 руб. во все начальные школы без различия национальности для помощи беднейшим учащимся, а в церковную школу выдавать для этой цели 50 р. Кроме сего Дума постановила учредить в городском парке детский сад имени Епископа Андрея". სოხუმის მოსახლეობის სახელით მეუფეს ადრესი და 500 მანეთი გადასცა ნიკო თავდგირიძემ. ანდრიას ბერძნების სახელით მიესალმა და ადრესი მიართვა ო.ბოსტანჯოგლომ. სოხუმის ნავსადგურისაკენ ეპისკოპოს ანდრიას ათასობით სოხუმელი მიაცილებდა. მის საპატივეცემულად მოწყობილი იყო პოლკი, რომლის მეთაურმა მეუფეს ხატი გადასცა. „Проводы владыки Андрея _ это было чтото безпримерное в церковной жизни Сухума“, — წერდა ჟურნალი „სოტრუნდიკი“ (1994, 15 თებერვალი, №4). ეპისკოპოს ანდრიას, რომელიც აფხაზი ისტორიკოსის გ.ძიძარას სიტყვებით, აფხაზური მოსახლეობის ნაწილს ეპირფერებოდა, შემდგომშიაც გარკვეული პერიოდის მანძილზე კავშირი აფხაზეთთან არ გაუწყვეტია. 1914 წლის ნოემბერში მან ლიხნის ტაძარს უფიდან გამოუგზავნა ღვთისმშობლის ხატი აფხაზური წარწერით. იმავე წლის 23 ნოემბერს ხატი გუდაუთიდან ლიხნში საზეიმო ვითარებაში გადაასვენეს.²³⁹

სოხუმის ეპისკოპოსის თანამდებობა წარმოშობით დონელმა კაზაკმა და კაზაკური სულისკვეთების ადამიანმა, ნოვომირგოროდის ეპისკოპოსმა სერგიმ (ერისკაცობაში სტეფანე ალექსანდრეს ძე პეტროვი) დაიკავა.²⁴⁰ სოხუმში იგი 1914 წ. 6 თებერვალს ჩამოვიდა. ისიც გარკვეულ ყურადღებას უთმობდა მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის საქმიანობას, ვინაიდან მაჰმადიანობა სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს აფხაზურ მოსახლეობაში. მიმართვაში აფხაზური სამრევლოების მღვდლებისადმი 1914 წ. მარტში მისიონერი ნ.ლადარია წერდა: „Ни для кого из вас не новость, что богом врученная нам пастви гибнут, отступая от Господа нашего Спасителя, и переходя в ложную веру Магомета: те же абхазцы, которые еще считаются правос-

ლავნыми настолько равнодушны к вере, что почти не посещают храмов Божьих, не бывают у исповеди и св. Причастия, не заботятся о благоуукрашении храмов. Словом, по приходам полнейший развал, нет и помина о церковной жизни". მიმართვის ავტორი მოუწოდებდა აფხაზ მღვდლებს „წარმატების რწმენით“ ერთობლივი მოქმედებისაკენ (Сотрудник, 1914, 15 მარტი, |4). წარმატება კი არ ჩანდა, რასაც თავად ნ. ლადარია ს. ააცემი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში — „Шаг назад“ — ადასტურებდა. სათაურშივე გამოტანილი დასკვნა („ნაბიჯი უკან“) 1867-1871 წლებში სოხუმის სამხედრო განყოფილების ყოფილი უფროსის გენერალ ვ. გვიმანის მიერ ეპისკოპოს გაბრიელისადმი (ქიქოძე) გაგზავნილ შემდეგ წერილს ეფუძნებოდა: „Благодарение господу Богу, брошенное Вами зерно, преосвященный Владыко, всходит и обещает обильную жатву; пусть эта жатва колет глаза тем, кто так равнодушно относится к такому важному делу, как сплочение этого дикого народа с Россией посредством Св. христианской веры, их осудит Бог, а мы будем горячо продолжать начатое нами дело, основанное на убеждений“. ასე იყო წარსულში, მაგრამ დღეს „совершен шаг назад в деле православной миссии среди абхазского народа“, — ასკვნიდა ნ. ლადარია (Сотрудник, 1914, 1 მაისი, №9).

მოღების პარპაშს აფხაზეთში ეძღვნებოდა ცნობილი აფხაზი პედაგოგის ა. ჩუკბარის წერილი „Муллы лекари“. ავტორი მატყუარა მოღების აფხაზეთიდან გაძევებას ითხოვდა (Сотрудник, 1914, 15 აპრილი, №8). აფხაზეთში ხელისუფლების სარწმუნოებრივი პოლიტიკის კრიტიკას შეიცავდა წერილი „Еще о магометанстве“, რომელსაც ხელს აწერდა „მართლმადიდებელი აფხაზი“ (Сотрудник, 1914, 1 მაისი, №9).

შექმნილი ვითარება აიძულებდა სერგის განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის მიმართ. პირველ რიგში, ეპისკოპოსმა ნ. ლადარიას და ნ. პატიფას

აფხაზურენაზე ლოცვების კრებულის შედგენა დაავალა (1914წ. თებერვალი). აღნიშნულ საკითხზე 1914წ. მარტის ბოლოს სერგიმ კრებულის შემდგენელთა თათბირი მოიწვია ცალკეული აფხაზი სასულიერო პირების მონაწილეობით. მხოლოდ 1916 წლის აპრილში აფხაზურ სამრევლოებში გაიგზავნა აფხაზურად თანგმნილი ლოცვების კრებულის 30 ეგზემპლარი.²⁴¹

1914წ. 3 ივნისს მისიის ხელმძღვანელს — ნ. ლადარიას ეპისკოპოსმა გულდაუთის უბანში 8 მოლას დანიშვნის თაობაზე ინფორმაციის გადამოწმება და ამ საკითხზე არსებული სხვა მონაცემების წარმოდგენა დაავალა. ვინაიდან ჩემი წინამორბედის — ანდრიას თხოვნა „О не допушении мулл в среду абхазского народа, не исповедающего ислам, а находящегося в переходном состоянии от язычества к христианству, не увенчались успехом, и муллы все _ таки назначены, _ წერდა ეპისკოპოსი სერგი, — то не признаете ли Вы возможным помочь делу с другой стороны. А именно. Не согласятся-ли абхазцы-Христиане просить высшую власть об ограждении их единомышленников от омусульманивания, а оно сопровождается и отуречиванием. Переговорите с известными Вам по своей христианской настроенности абхазцами и о результатах сообщите мне“.²⁴² 1913 წლის 13 ივნისს ნ; ლადარიამ ეპისკოპოსს მიაწოდა დაწვრილებითი ინფორმაცია 1908 წელს თურქეთიდან ჩამოსული ჩ. ბუთბას შესახებ, რომლის აქტიურ მოღვაწეობას უკავშირდებოდა მოლების დანიშვნა და აფხაზეთში ისლამის ფართოდ გავრცელების დაწყება. მისი ინიციატივით და წაქეზებით ცალკეული სოფლების მოსახლეობა ხელისუფლებისაგან მეჩეთების გახსნას და მოლების დანიშვნას მოითხოვდა. ჩ. ბუთბამ აფხაზთა დელეგაცია შეადგინა და თბილისში ამიერკავკასიის სუნიტების მთავარი სამმართველოს უფროსს შეხვდა, მოითხოვა მეჩეთების გახსნა, სოხუმის ოლქის ყაზის თანამდებობის დაწესება. სამმართველოს უფროსმა შესაბამისი თხოვნით მეფისნაცვალს მიმართა. ნ. ლადარიას ინფორმაციით, შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ამასთანავე, — წერდა იგი, — „ნხ-

ლო უპущено то, что не было установлено, действительно ли абхазское население Гудаутского участка магометанское и нуждается в магометанских мечатах и муллах. На самом же деле, абхазская история не помнит, чтобы в Абхазии когда либо были мечети. Абхазцы не успели только утвердиться в православии и поэтому под влиянием мулл, подобных Бутба, отступают от православия". მეფისნაცვალს, როგორც ჩანს, აფხაზეთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა დიდად არ აღელვებდა. მას მართლა გაუცია ნებართვა აფხაზეთში მაჰმადიანობის გავრცელებაზე იმ პირობით, თუ დანიშნული მოღებიც, ყაზიკ რუსეთის ქვეშევრდომები და რუსეთშივე განათლება მიღებულები იქნებოდნენ. ჩ. ბუთბას შესაბამისი დოკუმენტები სწრაფად შეუდგენია; 1914 წელს მას ყაზის ატესტატიც აუღია; ერთდროულად, მოლას ატესტატი 8 პიროვნებას მიუღია (ეს ფაქტი გამხდარა ცნობილი ეპისკოპოსის სერგისთვის). ჩ. ბუთბას მეცადინეობით, ს. ააცის მაცხოვრებლებმა (ჩ. ბუთბაც ააცში ცხოვრობდა) მეჩეთის აშენების ნებართვაც მოიპოვეს; იგივეს ოფიციალურად მოითხოვდნენ აჩანდარის, დურიფშისა და აბგარხუჯის მაცხოვრებლები.

რაც შეეხება ქრისტიანი აფხაზების მხრიდან გამუსულმანები-საგან დაცვის თხოვნით ხელისუფლებისადმი მიმართვას, ნ. ლადარია აღნიშნავდა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია, ვინაიდან გამოიწვევდა მოსახლეობაში დაპირისპირებას და მტრობას „и тогда не будет жития абхазцам христианам". ნ. ლადარიამ და სოხუმის ეპარქიის საეკლესიო სკოლების ზედამხედველმა ს. ალფიოროვმა ერთობლივად შეიმუშავეს ზომები მაჰმადიანობის წინააღმდეგ. ს. ალფიოროვმა 1914წ. 12 ივნისს ამის შესახებ ეპისკოპოსს წერილობით მოახსენა. იგი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში მუსულმანობის გავრცელების საბაბით მიმდინარეობდა „отуречивание темного населения". მისი (დან. ლადარიას) აზრით, საჭირო იყო შემდეგი ზომების გატარება: სოფლის მღვდლების მიერ დაუყოვნებლივ ცნობების წარმოდგენა მართლმადიდებელთა, მუსულმანთა და ქრისტიანობისაგან გამდგართა რაოდენობის შესახებ; შუამდ-

გომლობის აღძვრა ხელისუფლების წინაშე, რათა მან დაავალდებულოს მოლები, მუსულმანთა სიაში შეიტანონ მხოლოდ ისინი, ვინც წინადაცვეთას ჩაიტარებდა (ასეთი ზომა აფხაზთა შორის „вызовет сильнейшее течение против мусульманства“, — წერდა ს. ალფიოროვი); მოლების ქადაგების დაშვება მხოლოდ ოფიციალურად რეგისტრირებულ (ე.ი. წინდაცვეთილ) მუსულმანებში და არა ქრისტიანობისაგან განდგომილთა შორის; სამოქალაქო ხელისუფლების ყურადღების გამახვილება იმ გარემოებაზე, რომ მოლებად ინიშნებიან რუსული ენის არმცოდნე 18-19 წლის ახალგაზრდები, რომლებიც სწორ რეგისტრაციას ვერ ჩაატარებენ; თავიანთ მუსულმანობას ეს მოზარდები იმაში ავლენენ, რომ აფხაზურ სახელებს თურქულზე ცვლიან, „а кроме того, совершенно уже в турецком духе начинают именовать себя с приставкою “оглы” — “сын”, вместо абхазского “ипа”. Таким образом, истинная тенденция института отуречивания населения слишком очевидна даже и для тех, кто желал бы смотреть на это дело сквозь пальцы“. აუცილებლად გასატარებელ ზომებს შორის დასახელებულია ბიბლიის აფხაზური თარგმანის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელება, სოფლის მღვდლებისაგან ორ თვეში ერთხელ მონაცემების შეგროვება მუსულმანური პროპაგანდის მიმდინარეობის შესახებ და ა. შ.

1914 წლის აგვისტოდან საეპისკოპოსოს კანცელარიაში ადგილებიდან მოდიოდა ცნობები, სიები (ქრისტიანების, განდგომილების, მუსულმანების) და სხვა მასალები. IV საბლალოჩინო ოლქის (სამურზაყანოდან) ბლალოჩინი ა. ჭიჭინაძე 1914წ. 14 აგვისტოს სერგის აცნობებდა, რომ მის მითითებას ქრისტიანობისაგან განდგომილთა რაოდენობის შესახებ მონაცემების მიწოდების თაობაზე ვერ შეასრულებდა იმ მიზეზით, რომ „IV საბლალოჩინო ოლქში სუფთა აფხაზური სამრევლოები არ არის“ (შესაბამისად, განდგომილებიც არ იყვნენ).

1914 წლის სექტემბერში საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ეპისკოპოსს კალდახვარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელმა კ. ბარციცმა; სოფელში ყოფილან განდგომილები (ძირითადად 1888 წელს

მონათლულები) — 16, მუსულმანები — 17 და მართლმადიდებლები — 122; 23 სექტემბერს კალდახეარის მრევლს თანასოფლელი მოხალისე აფხაზები ფრონტზე საზეიმო ვითარებაში გაუცილებია, სადაც მღვდელი სიტყვით გამოსულა და განუცხადებია, რომ ამდღა აფხაზთა შეგნება, რადგანაც არ ზოგავენ საკუთარი შვილების სიცოცხლეს „за щедрого царя и отечества“, რომ „борьба за веру и отечества есть высший долг человека и смерть павшего в ней — гордость его нации“.

ოთხარიდან მოწოდებული ინფორმაციით, განდგომილთა რაოდენობა იყო 50, მუსულმანებისა — 10, ქრისტიანებისა — 530.

მისიონერული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის 1915 წლის 10 თვის ანგარიში. სწორედ ამ დოკუმენტშია აღნიშნული, რომ მისია 1913 წლის 1 სექტემბერს დაფუძნდა (იხ. სქოლიო 236); 1915 წლის 1 ნოემბრამდე მას ნ. ლადარია (ანგარიშის ავტორი). ხელმძღვანელობდა, შემდგომ პერიოდში — ნ. პატეიფა. მისიონერის თანაშემწეები იყვნენ გულაუთის უბანში აჭანდარის მღვდელი პ. სამაა, კოდორში — ბედის მონასტრის მღვდელმონაზონი გიორგი (ბარკალაია). ანგარიშში ნათქვამია, რომ მუსულმანური სარწმუნოება გავრცელებულია 22 სოფელში (კალდახეარაში, ბლაბურხვაში, მუფუძირხვაში, ბარმიშში, ოთხარაში, ჭირხვაში, ზვანდრიფშში, დურიფშში, აჭანდარაში, ააცში, ეშერაში, გუფში, ტყარჩელში, ცხენისწყალში, მოქეში, კვიტოულში, მერკულასა და ტამიშში); საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა აჭანდარაში, დურიფშში, ააცში, ეშერაში, ჭგერდაში, ქლოუში და ათარაში; მოლები ძირითადად მაჰაჯირები იყვნენ. სოხუმის ოლქში 44 მოლადაინიშნა, მათ შორის 26 — გულაუთის უბანში, 11 — კოდორში, 7 — გუმისთაში. ისინი მოქმედებენ ურცხვად, — ნათქვამია ანგარიშში, — „собрающая несчастных, неустойчивых в религиозном отношении абхазцев“. მოლები ისე გათამამებულან, რომ ქრისტიანებსაც კი მუსულმანური წესით ასაფლავებდნენ. ამავე დროს გრძელდებოდა ძველი ტრადიცია მაჰმადიანური და ქრისტიანული წესჩვეულებების აღრევისა.

ანგარიშის მიხედვით, მისიის მუშაობის ძირითადი ფორმა იყო შეხვედრები ქრისტიანებთან, ასევე მუსულმანებთან, ახსნა-განმარტებითი საქმიანობა, საუბრები რელიგიურ-ზნეობრივ საკითხებზე და ა. შ. გაწეული მუშაობის შედეგები დამაკმაყოფილებლად შეფასებული, განსაკუთრებით კოდორის უბანში, სადაც მღვდელმონაზონ გიორგის 72 მუსულმანი მოუნათლავს და 32 განდგომილი (ს. ქლოუში) კვლავ ქრისტიანობისაკენ მოუბრუნებია. გულაუთისა და გუმისთის უბნებში ნ. ლადარიას და პ. სამაას მხოლვით 35 ადამიანი მოუნათლავთ. „Миссионер округа, — гкითხულობთ ანგარიშში, — в своей деятельности держался принципа — никого не принимать в лоно православной церкви прежде его искреннего и продуманного желания и решения”. წარმატებად იყო მიჩნეული ის ფაქტი, რომ 1915 წელს ქრისტიანობის დატოვების შემთხვევები არ ყოფილა.

კოდორის უბანში მოქმედი მღვდელმონაზონი გიორგი 1916წ. მარტში საეპარქიო საძმოს აცნობებდა, რომ წარმატებას მან თავადების ალექსანდრე, მანუჩარ და კონსტანტინე ანჩაბაძეების დახმარებით მიაღწია.

1916 წლის 14 დეკემბერს დაფუძნდა სოხუმის ეპარქიალური სამისიონერო საბჭო ეპისკოპოს სერგის თავჯდომარეობით. დამფუძნებელ კრებას ესწრებოდნენ დეკანოზები გ. გოლუბცოვი, დ. მარლანია, ა. ივანოვი, ეპარქიალური მღვდელ-მისიონერი (სექტების წინააღმდეგ) ს. ლავროვი, მღვდლები ნ. პატეიფა, ნ. ლადარია, მღვდელმონაზვნები გიორგი და ანდრია. კრების გახსნისას, სერგიმ ხაზი გაუსვა ოლქის მუსულმანურ მოსახლეობაში მისიონერული საქმიანობის გაძლიერების გადაუდებელ აუცილებლობას. ნ. ლადარიამ და ნ. პატეიფამ აღნიშნეს, რომ გულაუთის უბანში მდგომარეობა გაუარესდა. მუსულმანები შურს იძიებენ მონათლულლებზე, განსაკუთრებით მაჰმადიანობისაგან განდგომილ ქრისტიანებზე; მუსულმანებმა თურმე დაადგინეს გაწყვიტონ ყოველგვარი კავშირი ასეთ ადამიანებთან, არ მივიდნენ მათთან გასვენებაშიც, როგორც ახლო ნათესავიც (ძმაც კი) არ უნდა ყოფილიყო მიცვალებული. მისიონერებმა ისაუბრეს იმის შესახებ, რომ გულაუთის უბნის ადმი-

ნისტრაცია „**всячески ласкает и поддерживает магометан**“, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მაჰმადიანების ქვეშევრდომულ დეპეშაზე (на верноподданическую телеграмму) მოვიდა იმპერატორის პასუხი; ამ ფაქტთან დაკავშირებით, უბნის უფროსს მოლებთან შეხვედრისას, მათთვის მადლობა გამოუცხადებია და ყოველგვარი დახმარება აღუთქვამს, რაც მისიონერებს არ მოეწონათ.

გ. გოლუბცოვმა დააფიქსირა „**печальное религиозно-нравственное состояние абхазцев**“, ისაუბრა ახალი ათონის სამონასტრო სკოლაში რელიგიური სწავლების გაძლიერების აუცილებლობაზე, რათა შესაძლებელი გამხდარიყო სკოლის კურსდამთავრებულთა აფხაზურ სამრევლოებში მედავითნეებად გაგზავნა.²⁴³

ეპისკოპოსმა სერგიმ მიაღწია ანტიმუსულმანური მისიისათვის გაზრდილი ხელფასების დანიშვნას. ამის თაობაზე შუამდგომლობა უწმინდესი სინოდის წინაშე მან 1915 წლის 4 ივლისს აღძრა. კანონიერი გზით დამატებითი თანხის გამოსაყოფად საჭირო გახდა უწმინდესი სინოდის 1916 წლის 9 ივნისის შემდეგი ბრძანებულება: „სოხუმის ეპარქიაში მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის საჭიროებისათვის დაფუძნდეს განსაკუთრებული კრებული მღვდლისა და მედავითნის შემადგენლობით და, სამეურნეო სამმართველოს დასკვნის შესაბამისად დასახელებული კრებულის შესანახად დაინიშნოს 800 მანეთი წელიწადში, მათ შორის მღვდელს — 600 მანეთი და მედავითნეს — 200 მანეთი“.²⁴⁴ დაფინანსების დაწყება 1916 წლის 1 იანვრიდან შეიძლებოდა.

უწმინდესმა სინოდმა დააკმაყოფილა სერგის კიდევ ერთი შუამდგომლობა შავიზღვისპირეთში რკინიგზის მშენებლობაზე დასაქმებული რუსებისათვის სარკინიგზო სამმართველოს ხარჯზე ორი მოძრავი საექლესიო კრებულის (თითოეულის მღვდლისა და მედავითნის შემადგენლობით) დაფუძნების შესახებ ადგილსამყოფელით ხოსტასა და გუდაუთაში (Сотрудник, 1915, 15 ივნისი, №12).

ეპისკოპოს სერგის მთავარი საზრუნავი მაინც მისიონერული საქმიანობა და მუსულმანობასთან ბრძოლა იყო. იგი ამ მიზნით გუ-

დაუთის სოფლებსაც (იყო ლიხნში, დურიფშში) ეწვია (СОТРУДНИК, 1915, 1 мая, №10; 15 мая, №11). მიუხედავად გატარებული ზომებისა, შემდგომში მოვლენები ისე წარიმართა, რომ ეპისკოპოს სერგის მისიონერული გეგმები ქალაქზე დარჩა. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ 1913-1916 წლების ფაქტობრივად უშედეგო ანტიმუსულმანურ ღონისძიებებში სოხუმის ეპარქიის რუსული ხელმძღვანელობა ქართულ სამღვდელოებას მონაწილეობას თითქმის არ აღებიანებდა; ისინი (გიორგი ბარკალაიას გარდა) არ ჩანდნენ ეპისკოპოსის მიერ მოწვეულ თათბირებზე თუ კრებებზე, სადაც მუსულმანობის მოძალებისა და მასთან ბრძოლის გაძლიერების თაობაზე ბჭობდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როცა აფხაზეთში მართლმადიდებლობის განმტკიცების საქმეს, პირველ რიგში, მოქმედი ეკლესიები და უმთავრესად ქართველი სასულიერო პირები ემსახურებოდნენ.

სოხუმის ეპარქია პირველი მსოფლიო ომის პირობებში

აფხაზეთის ეკლესიების მდგომარეობაზე და საქმიანობაზე, ბუნებრივია, დიდ გავლენას ახდენდა 1914 წლის 1 აგვისტოს დაწყებული მსოფლიო ომი, რომლის აქ-

ტიური მონაწილე იყო რუსეთი. მასში ათასობით ქართველი მონაწილეობდა აფხაზეთიდან. ბევრი აფხაზი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ომის პირობებში აფხაზეთის სამღვდელოების ერთერთი მთავარი საზრუნავი გახდა დახმარების აღმოჩენა ჯარისკაცებისათვის, დაქრილებისათვის, ფრონტზე წასულთა ოჯახებისათვის, თანამშრომლობა წითელი ჯვრის რუსეთის საზოგადოების აფხაზეთის განყოფილებასთან, რომელსაც სათავეში ედგა სოხუმის ქალაქის თავის მეუღლე ე.თავდგირიძე.

1914 წლის 23 ოქტომბერს გუდაუთაში გამართულმა საეკლესიო — სამრევლო სკოლების საუბნო კრებამ, გარდა სასწავლო-მეთოდური საკითხებისა (ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილები და ა.შ.), განიხილა მიმდინარე ომისადმი დამოკიდებულების პრობლემები. გადაწყდა ამიერიდან შემოიღონ სასკოლო ღონისძიებები „სარწმუნოების, მეფისა და სამშობლოსათვის“ დაღუპულთა სულების

მოსახსენიებლად, აგრეთვე მეომრებზე და დაქრილებზე; მუღმივად გაეცნონ ომის მიმდინარეობას, ფრონტებზე შექმნილ მდგომარეობას; მონაწილეობა მიიღონ წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობაში; დაურიგონ მოსახლეობას პატრიოტული გამოცემები და ა. შ. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ უბნის სამღვდლოების წარმომადგენლები და ცნობილი პედაგოგები ი. ლაკერბაია (უბნის ბლადოჩინი და ლიხნის სკოლის გამგე), კ. ბარციცი, პ. ობრაზცოვი, ნ. ლადარია, ვ. აგრბა, ა. კეკუა, ვ. ორლოვი, პ. სამავე (სამაა), ა. ჩუბარი, მ. გობეჩია, ლ. ხოჭოლავა, კ. გრიგოლია, კ. ხაშბაია და სხვები.

ეკლესიები, სკოლები აგროვებდნენ შემოწირულობებს ფული-სა და სხვადასხვა ნივთების სახით. ჟურნალ „სოტრუდნიკის“ თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა ცნობები აფხაზეთის ამა თუ იმ რაიონში, სოფელში გაღებულ შემოწირულობების შესახებ. მარტო სოხუმის საკათედრო ტაძარს 1914 წლის 1 აგვისტოდან 1915 წლის 1 აგვისტომდე ფრონტისათვის 7588 მანეთი და 67 კაპიკი შეუგროვებია. 1915 წლის 18 ოქტომბერს ლიხნის ეკლესიის მაშინდელმა მღვდელმა კ. ბარციცმა ომის მსვლელობისადმი მიძღვნილი კრება მოაწყო, ჩაატარა წირვა; შემოწირულობის სახით იმ დღეს 60 მანეთი შემოვიდა. მსგავსი მაგალითები უამრავი იყო.

ფრონტზე მადლიერებით იღებდნენ შემოწირულობებს, მათ შორის აფხაზეთიდან. სწორედ ამ მადლიერების ერთ-ერთი გამოვლინება იყო გენერალ ბორის ალექსის ძე ბრუსილოვის საჩუქარი გუმისთის უბნის სოფ. აჟარის საეკლესიო-სამრევლო სკოლისათვის. გენერალმა სკოლას საპროექციო ფარანი (проекционный фонарь со спиртокалильным освещением) გამოუგზავნა, რომლის ღირებულება 50 მანეთს შეადგენდა. ამასთან დაკავშირებით საეპარქიო სასწავლო საბჭოს სოხუმის სამაზრო განყოფილებამ დაადგინა ეთხოვოს ეპისკოპოს სერგის მღვდელმთავრული მადლობა გამოუცხადოს გენერალ ბრუსილოვს „с преподанием благоденствия за внимание к церковно-школьному делу“. აჟარის სკოლის გამგემ მღვდელმა ს. რუმიანცევმა და მასწავლებელმა დ. ალანიაიმ, შეიძინეს რა სოხუმში შესაბამისი სურათები, საპროექციო ფარანის მეშვეობით „устроили при школе на-

როდნოე ჩტენიე ნა თემი რელიგიოზნო-ნრავსტენნოე ი პრი-
ტივო-ალკოგოლნოე სოდერჟანიე" (სოტრუდნიკ, 1915, 1 იან-
ვარია, №1).


მსოფლიო ომის დაწყებამდე და მის პირველ წლებში აფხაზეთ-
ში დაახლოებით 90 ეკლესია ფუნქციონირებდა. სოხუმის ეპარ-
ქია რამდენიმე საბლადოჩინო ოლქად იყოფოდა. როგორც ცნო-
ბილია, გაგარის ზონა შავი ზღვისპირეთის გუბერნიის შემადგენლო-
ბაში შედიოდა; შესაბამისად, გაგარის წმ. იპატის და პილენკოვოს
ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიები ადღერის, სოქის, ვესიო-
ლოეს, ქართული სოფლის-პლასტუნკის წმინდა ნინოს (მღვდელი
ავქსენტი რურუა) და სხვა ეკლესიებთან ერთად ცალკე საბლადო-
ჩინოს შეადგენდნენ. პილენკოვოსა და ვესიოლოეს ეკლესიებში მსა-
ხურობდა მღვდელი ა. ადუიბა. 1906წ იგი გურია-სამეგრელოს
ეპისკოპოსმა გიორგიმ მუგუძირხვის მღვდლად აკურთხა (ალბათ,
იმ პერიოდში სოხუმის ეპისკოპოს კირიონის პეტერბურგში ხანგ-
რძლივი დროით ყოფნის გამო), 1908 წლიდან ვესიოლოეშია
(ერთდროულად პილენკოვოშიც), 1912 წლიდან II ბედისის მაცხოვ-
რის შობის ეკლესიის მღვდელია. გაგარის წმ. იპატის მღვდლად ეპის-





სოფ. კეკელიძის პეტრე-პავლეს ეკლესია. 1910 წ.


კოპოსმა კირიონმა 1906წ. აფხაზი ეროვნების (გააფხაზებული) გ. თუმანოვი (Аханипа) აკურთხა. მან ახალი ათონისა და გულაუ-




სოფ. ახალი წაგატონის ეკლესიის ეკლესია. 1910 წ.

თის სკოლების დამთავრების (1894წ.) შემდეგ პეტერბურგის სასულიერო სემინარიის ორი წლის კურსი გაიარა; 1897წ. სპარსეთში ურმიის რუსულ მართლმადიდებლურ მისიაში აზერბაიჯანული ენის თარჯიმნად დაინიშნა. 1899 წლიდან კვლავ აფხაზეთშია. იყო ზვანდრიფშა და ბარმიშში მედავითნედ, შემდეგ დიაკონად. 1906 წლიდან მღვდელია. შემდგომში — ცნობილი საზოგადო მოღვაწეა; 1918-1921 წწ, როგორც აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, სეპარატისტულ პოზიციებზე იდგა.²⁴⁴

თანამედროვე გუდაუთის რაიონი სოხუმის ეპარქიის პირველ



საბლალოჩინო ოლქს შეადგენდა, სადაც 14 ეკლესია ფუნქციონირებდა. ბლალოჩინის თანამდებობა სტავროპოლის სასულიერო სემინარია დამთავრებულ, ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მღვდელს — სამურზაყანოელ ი. ლაკერბაიას ეკავა. ბაკლანოვკის წმ. სერგისა და პეტროვსკოეს პეტრე-პავლეს ეკლესიების მღვდლები (ვ. ბონდარენკო და ვ. ორლოვი) რუსები იყვნენ; აჭანდარის აღდგომის, დურიფშის მთავარანგელოზის, მუგუძირხვის ილია წინასწარმეტყველის, ოთხარის წმ. ეკატერინეს და კალდახვარის წმ. გიორგის ეკლესიები აფხაზ მღვდლებს (პ. სამაა, ნ. ლადარია, ვ. აგ-



რბა, ი.ციშბა და კ. ბარციცი)ებარათ. მათ შორის ვ. აგრბა (დაიბადა 1883წ., დაამთავრა გუდაუთის ორკლასიანი სკოლა, 1909წ. ჩააბარა გამოცდები მღვდლის თანამდებობაზე) — მომავალში ცნობილი ბოლშევიკი, ნესტორ ლაკობას უახლოესი თანამებრძოლი გახდა; კ. ბარციცი 1918-1921წწ. იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, ეკავა ზომიერი პოზიცია. ბარმიშის წმ. გიორგის, ბლაბუხვის წმ. გიორგის, გუდაუთის ღვთისმშობლის საფარველის, ჯირხვის წმ. ვასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის და იოანე ოქროპირის (მისი ახალი შენობის კურთხევა 1916წ. 7 თებერვალს მოხდა), ზვანდრიფშის პეტრე-პავლეს და აბგარხუკის წმ. გიორგის ეკლესიების მღვდლებად ქართველები ტ. მელაძე, ი. ნაჭყებია, ი. ქავთარაძე, ი. ქუჩუბერია, დ. გუბელაძე და ა. ვეკუა მსახურობდნენ. მანამდე გუდაუთის უბანში წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ ი. ოსიძე (კალდახვარაში), ი. წიფწივაძე (ოთხარაში) და სხვა სასულიერო პირები.

1913 წლისათვის გუდაუთის უბანში 30779 სული ცხოვრობდა, მათ შორის 28386 აფხაზი, 2930 ბერძენი, 2386 რუსი, 1058 ქართველი, 372 თურქი, 91 ირანელი, 3229 სომეხი. მართლმადიდებელთა საერთო რაოდენობამ 15679 სული შეადგინა, მუსულმანებისა

ქ. სოხუმში ფუნქციონირებდა საკათედრო ტაძარი, ეპისკოპოსის სახლის ეკლესია, რომლებიც არ იყვნენ ბლალოჩინების დაქვემდებარებაში (თუ არ ჩავთვლით კირიონის ეპისკოპოსობის მოკლე, პერიოდს), აგრეთვე წმ. გიორგის სამხედრო და სასაფლაოს ეკლესიები.

დავით მაჭავარიანის გარდაცვალების შემდეგ — 1905 წლიდან საკათედრო ტაძრის წინამძღვარი გახდა ცნობილი შოვინისტი გ. გოლუბცოვი (წარმოშობით სერპუხოვის მაზრიდან). იგი 1895 წელს ეპისკოპოსმა არსენმა ჩამოიყვანა სოხუმში და საკათედრო ტაძრის მღვდლად აკურთხა. 1898-1905 წწ. იყო ტაძრის კანდელაკი. 1905 წელს ის ერთდროულად სოხუმის ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე ხდება, იმავე წელს დეკანოზის ხარისხში აიყვანეს; 1906 წელს თავმჯდომარეობდა აფხაზურ ენაზე საეკლესიო ლიტერატურის მთარგმნელ კომისიას. გ. გოლუბცოვი იყო ეპარქიალური საეკლესიო სამოს თავმჯდომარე. ომის წლებში წითელი ჯვრის სოხუმის განყოფილების მუშაობაში მონაწილეობდა, ევალეობდა ფრონტზე წასულთა ოჯახებზე ზრუნვა. გ. გოლუბცოვთან ერთად საკათედრო ტაძარში მოღვაწეობდნენ მღვდლები ა. ბობროვი (ტულის ოლქიდან), ს. პროტოპოპოვი (მოსკოვიდან), ვ. პამფილოვი, გ. გვაზავა; დიაკვნები — თ. მეშკოვსკი, ი. მოდესტოვი, ვ. ადელფინი; მედავითნეები — პ. ნიკოლსკი, კ. კოშიცი, ნ. სოკოლოვი, ნ. ურუშაძე; მნათედ (церковная староста) ნესტორ მასხარაშვილი მსახურობდა. 1914 წლისათვის საკათედრო ტაძრის კრებულის შემადგენლობა რამდენადმე შეიცვალა. უპირატესად რუსებით დაკომპლექტებული ტაძარი ემსახურებოდა ქალაქს, რომლის მოსახლეობის ნახევარს ქართველები შეადგენდნენ. სოხუმის 35 ათასიანი მოსახლეობა თითქმის მთლიანად მართლმადიდებლური იყო. აფხაზები, ისევე როგორც XIX საუკუნეში, ქალაქში თითქმის არ ცხოვრობდნენ (უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი) „Сухуми замечателен тем, что в нем нет коренных жителей“, — წერდა 1912წ. ეპისკოპოს ანდრიას ჟურნალი „სოტრუდნიკ“-ი და აღნიშნავდა, რომ ამ მრავალეროვან ქალაქში, სადაც

უდიდეს უმრავლესობას მართლმადიდებლები — ქართველები, რუსები და ბერძნები შეადგენენ, საზოგადოება ერთიანდებოდა არა რელიგიური, არამედ მხოლოდ ეროვნული ნიშნით. „Даже народности, исповедывающих православную веру, которая казалось бы должна их объединить в одно целое православное общество, и те живут каждая своею совершенно обособленною жизнью, объединяясь между собою исключительно на национальной почве“.²⁴⁶ სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო ასიმილაციური პოლიტიკის პირობებში.

სოხუმის ეპარქიის მეორე საბლალოჩინო ოლქი თანამედროვე სოხუმისა და გულრიფშის რაიონებს (ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონს) მოიცავდა. იგი 19 ეკლესიას აერთიანებდა: სოხუმის სასაფლაოს წმ. გიორგის (მღვდელი და ბლალოჩინი ა. ივანოვი), ალექსანდროვსკოეს წმ. ალექსანდრე ნეველის და ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (მ. ივანოვი), გულრიფშის წმ. გიორგის (დ. სოლოხინი), ანდრეევსკოეს წმ. გიორგის (ე. ჩაჩა), აკაფა-კელასურის წმ. გიორგის (რ. ფანცულაია), კამანის ვასილისკო-იოანე ოქროპირის მონასტერი (ი. გოლუბევი), ბირცხის ღვთისმშობლის (ი. ტიტოვი), ვლადიმროვკის ღვთისმშობლის საფარველის (ა. პიჩუგინი), გეორგიევსკოეს წმ. გიორგის (გ. აგაფონიაკიდი), ეკატერინსკოეს წმ. ეკატერინეს (კ. ტიტოვი), კონსტანტინოვკის წმ. კონსტანტინესა და ელენეს (მ. შაპრანოვი), მარინინსკის წმ. ხარლამპის (ა. იკონოიშიდი), მერხეულის წმ. გიორგის (ი. ჩაჩანიძე), მიხაილოვსკოეს პეტრეპავლეს (თ. კეხიოპულო), ნიკოლაევკის წმ. ნიკოლოზისა და ანასტასის (კ. ხაქოშია), პავლოვსკოეს იოანე ნათლისმცემლის (ე. მილოპულო), ფშაფი-დრანდის ღვთისმშობლის (დ. ხუციევი), ოლგინსკოეს წმ. ოლლისა და დიმიტრის (ნ. ლამფრიანიდი), აჟარის წმ. გიორგის (ს. რუმინაევი), შუაწყაროს ღვთისმშობლის (ა. თოფურია).

მეორე საბლალოჩინო ოლქის — ძირითადად გუმისთის უბნის — მოსახლეობა 19809 სულს შეადგენდა, მათ შორის, ბერძნები — 5659, ქართველები — 4974, სომხები — 2712, რუსები — 2128, აფხაზები — 1848, ბულგარელები — 213, მოლდაველები — 211, ესტო-

ნელები — 1017, გერმანელები — 600, თურქები — 283, ლატვიელები — 84. მართლმადიდებლობას აღიარებდა 14200 ადამიანი, გრიგორიანობას — 2823, ლუთერანობას — 1100, კათოლიკობას — 1000, მუსულმანობას — 1446.²⁴⁷ სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ გუმისთის უბანში მცხოვრებ აფხაზთა მეტი ნაწილი მაჰმადიანობას მისდევდა.

III საბლალოჩინო ოლქი კოდორის უბანს (თანამედროვე ოჩამჩირის რაიონსა და ქ. ტყვარჩელს) მოიცავდა და 1912 წლის მონაცე-



მებით, შემდეგ ეკლესიებს აერთიანებდა: ღვთისმშობლის მოქვის მიძინების (მღვდელი ნ. ჟორდანი), არადუს მაცხოვრის (ნ. ნოდია), ტამიშის წმ. ნიკოლოზის (ნ. პატიფა), ბესლახუბის წმ. ონოფრეს (მ. ასათიანი), ქლოუს ამალლების (დ. კაკალია; მანამდე წლების მანძილზე ქლოუსი ვ. მაჭაცარია მსახურობდა), ცხენისწყლის წმ. გიორგის (ი. ქუჩუბერია; მან ღვაწლმოსილი ვ. ხარებავა შეცვალა), კვიტიულოს წმ. გიორგის (ს. კაცია; მისმა წინამორბედმა ა. საჯაიამ 1908წ. სოფელს ახალი ქვის ეკლესია აუშენა), სანაგარდოს წმ. გიორგის (ლ. გოგოხია), გუფის პეტრე-პავლეს (მ. ჭანტურია), ტყვარჩელის მოციქულთა წმ. კრების (ე. ჭიჭინაძე), ეშკეტის (აკვასქის) მთავრანგელოზის (პ. ცხაკაია), კინდლის იოანე ნათლისმცემლის (კ.



მინჯია), ჯგერდის აღდგომის (ს. ჩხაიძე), ფოქვეშის წმ. გიორგის (ა. საჯაია), სბედიის ღვთისმშობლის მიძინების (ნ. ავალიანი), სბედიის მაცხოვრის შობის (ა. აღეიბა). 1900 წლიდან ოლქის ბლალოჩინის თანამდებობა ოჩამჩირის აღდგომის ეკლესიის მღვდელს — დ. მარლანიას ეკავა. ჩვენი მონაცემებით, აფხაზთაგან მხოლოდ ის იქნა აყ-



სიფ. ზოქვის სუკლესიო-სამრეფლო სკოლის ვამგე, მხრეზგელგბა და მოსწავლეგბა. 1910 წ.



სოფ. ფოქვეშის საეკლესიო-სამრევლო სკოლა. 1910 წ.

ვანილი დეკანოზის ხარისხში. 1894-1900 წლებში დ. მარღანია ოლქის (გუდაუთის უბანი) ბლალოჩინიც იყო; ჰქონდა პედაგოგიური განათლება და ამ სფეროში მუშაობის (სამეგრელოს სკოლებში, სოხუმის მთიელთა სკოლაში) დიდი გამოცდილება; ხელმძღვანელობდა სასულიერო პირთა აფხაზურ ენაში გამომცდელ კომისიას. დიდია მისი წვლილი აფხაზურ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნის საქმეში. დ. მარღანიას გარდა III საბლალოჩინო ოლქში იყვნენ აფხაზი ეროვნების სხვა მღვდლებიც: დ. კაკალია, ნ. პატეიფა და ს. კაცია. ორი უკანასკნელი სხვადასხვა დროს დიმიტრი გულიასთან დ. მარღანიასთან ერთად ქრისტიანული ლიტერატურის მთარგმნელ კომისიაში შედიოდნენ. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, 1915 წ. ნოემბრიდან ნ. პატეიფა სოხუმის ოლქში მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის ხელმძღვანელია.

კოდორის უბნის მთლიანი მოსახლეობა ომის წინ 24380 კაცს შეადგენდა, მათ შორის აფხაზები — 19087, ქართველები — 4538, ბერძნები — 158, თურქები — 320 და ა. შ. მართლმადიდებლურ სარწმუნოებას 21752 ადამიანი მისდევდა, მაჰმადიანობას — 2355.²⁴⁸ კოდორის უბანში მისიონერთა შედარებით წარმატებულ საქმიანო-

ბას (გუდაუთის უბანთან შედარებით) იქაური მოსახლეობის სამურზაყანო — სამეგრელოსთან ტერიტორიული და, რაც მთავარია, ეთნიკური სიახლოვე, ქართველ მღვდელმსახურთა თავდადებული, მიზანმიმართული შრომა განაპირობებდა. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უბანში ისლამის მოძალებამ, ოჩამჩირეში მეჩეთის მშენებლობის დაწყებამ მაჰმადიანთა რიცხვი 1897 წელთან (2 ათასი)²⁴⁹ შედარებით რამდენადმე გაზარდა.

მართლმადიდებლობის მთავარი ბურჯი აფხაზეთში XVIII-XX სს. იყო სამურზაყანო. 1910-1915 წლების მონაცემებით, უბანი რამდენიმე საბლალოჩინო ოლქად იყოფოდა. ვინაიდან ხშირად ხდებოდა ოლქების რაოდენობის ხან შემცირება (IV-V საბლალოჩინო ოლქები) და ხან გაზრდა (IV-VII საბლალოჩინო ოლქები), მოვიტანთ მო-




ნაცემებს არა საბლალოჩინოების მიხედვით, არამედ მთლიანად უბნის მასშტაბით. უბანში 33 ეკლესია ფუნქციონირებდა:²⁵⁰ ბარლების წმ. გიორგის (მღვდელი ლ.ნინუა), ქვემო ბარლების იოანე ნათლისმცემლის (ი.ცხაკაია), გალის I წმ. გიორგის (ვ.შენგელია), გალის II ღვთისმშობლის მიძინების (ს.სვანიძე — 1894 წლიდან უცვლელად ეკავა ბლალოჩინის თანამდებობაც), გუდავის I წმ. გიორგის (ვ.ხარებავა), გუდავის II მთავარანგელოზის (ი.კვარაცხელია), დიხაზურგის მაცხოვრის ამაღლების (ი.ხუროძე), I თაგილონის ღვთისმშობლის მიძინების (ე.ჩიშაკაძე), II თაგილონის წმ. გიორგის (პ.ცხაკაია), ილორის წმ. გიორგის (ა.კიკინაძე — საბლალოჩინო მღვდელი, სამურზაყანოს ყოფილი ბლალოჩინის იოანე კიკინაძის

შვილი; მანამდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ფახულანისა და II ბედის საეკლესიო სკოლებში; 1892-1898 წწ იყო პლასტუნკის წმ. ნინოს ეკლესიის მღვდელი, შემდგომ წლებში — კინდლისა და მუხურის ეკლესიების; ილორში წლების მანძილზე მსახურობდა მეორე მღვდელი, ამბროსი ხელაიას ძმა პორფირი ზოსიმეს ძე ხელაია),²⁵¹ მუხურის მთავარანგელოზების მიხეილისა და გაბრიელის (ა.კიკინაძის შემდეგ — 1912 წლიდან აქაური მღვდელი იყო ილორიდან გადმოსული კ.მანჯგანაძე), ნაბაკევის წმ. გიორგის



(ლ.ობოლაძე), ნაქკადუს მაცხოვრის ამალღების (რ.მარკელია), I ოტობაიის ღვთისმშობლის შობის (1877 წლიდან 1911 წლამდე მღვდლად სპირიდონ რურუა მსახურობდა, 1912 წლიდან მისი შვილი — ვეგენი რურუა; მათთან მედავითნედ 1904 წლიდან ღვაწლმოსილი ექიმის ბართლომე ფეტელავას მამა, ახალი ათონის საეკლესიო სკოლის კურსდამთავრებული ვასილ ფეტელავა მსახურობდა), II ოტობაიის წმ.თევდორე ტირონის (ესტატე ზაქარიას ძე რურუა; 1875 წელს, როცა ის პირველი ოტობაიის ეკლესიაში მსახურობდა ეპისკოპოს გაბრიელის ნებართვით საეკლესიო-სამრევლო სკოლა გახსნა; მეორე ოტობაიაშია 1890 წლიდან; იმავე წელს წერა-კითხვის სკოლა დააარსა, რომელიც 1908 წლიდან საეკლესიო-

სამრევლო სკოლად გადააკეთა),²⁵² ოქუმის I ხარების (ხ. შელია), ოქუმის II იოანე ნათლისმცემლის (კ. ჩარგეიშვილი), ოხურეის წმ. ნინოს (ი. ბენდელიანი), პაპიჩონის წმ. ანდრია პირველწოდებულის (ი. სერგინავა), რეთის იოანე ნათლისმცემლის (ალექსანდრე სპირიდონის ძე რურუა — ბლალოჩინი მღვდელი, მას ექვემდებარებოდა ნაჭკადუს, ოტობაიისა და ჭუბურხინჯის ეკლესიები), რეჩხის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (ბ. შენგელია), I საბერიოს წმ. გიორგის (ა. კობახიძე), II საბერიოს ღვთისმშობლის შობის (ი. გობეჩია)



, III საბერიოს წმ. გიორგის (გ. ფირცხალავა), ფახულანის წმ. მთავარანგელოზების მიხეილისა და გაბრიელის (კ. შონია — ბლალოჩინი მღვდელი), შეშელეთის იოანე ღვთისმეტყველის (ბ. ბეჟანაძე), ჩხორთოლის წმ. გიორგის (ნ. თოლორაია), ცხირის პეტრე-პავლეს (ზ. ჩხეტია), ზემო ცხირის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (ი. სერგინავა, ერთდროულად იგი პაპიჩონის ეკლესიის მღვდელიც იყო), წარჩეს ღვთისმშობლის მიძინების (ე. მიხელიძე), ჭუბურხინჯის ამაღლების (ნ. ქედია), II ჭუბურხინჯის ილია წინასწარმეტყველის (დ. ხონელიძე), ხუმუშქურის ფერისცვალების (ა. მასხარაშვილი).²⁵³

სამურზაყანოს უბნის კიდევ სამი — I ბედის მიძინების, II ბედის მაცხოვრის შობის და სანავარდოს წმ.გიორგის ეკლესიები, როგორც ზემოთ ვნახეთ, III საბლადლოჩინო (ოჩამჩირის უბანი) ოლქის შემადგენლობაში შედიოდნენ. არსებობდნენ აგრეთვე ე.წ. მიწერილი (приписные) ეკლესიები.

სამურზაყანოში მართლმადიდებლური ეკლესიის უზარმაზარ დამსახურებაზე პირველ რიგში ის გარემოება მიუთითებდა, რომ უბნის მოსახლეობა (38580 კაცი) სრული შემადგენლობით აღიარებდა ქრისტიანობას და მყარად იდგა ზოგადქართულ პოზიციებზე, მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

მთლიანობაში ქართველთა მდგომარეობა აფხაზეთში სახარბიელო არ იყო. ამის შესახებ მოგვითხრობს სამსონ ფირცხალავა, რომელმაც სოხუმის ოლქში იმოგზაურა და გაზეთ „სახალხო ფურცელში“ 1915 წ. ოქტომბერში ფსევდონიმით („სიტყვა“) ვრცელი წერილი გამოაქვეყნა. სამურზაყანოს მკვიდრთა უმეტესობა მეგრელებია, შენიშნავდა ავტორი. ყურადღება მან უფრო ოჩამჩირეზე გაამახვილა, ვინაიდან იქ არ იყო „გაბმული ძაფი დანარჩენ საქართველოსთან და აქაური მაჯა არ უერთდება სამშობლოს საერთო მაჯისცემას“. წირვა-ლოცვა ოჩამჩირის აღდგომის ეკლესიაში რუსულ-სლავიანურად ან შერეულად — რუსულ-ბერძნულ-აფხაზურ-ქართულად ტარდებოდა. ს.ფირცხალავა წერდა, რომ ოჩამჩირეში იგრძნობოდა შეგნებული ინტელიგენტების ნაკლებობა. ამ მხრივ მან შედარებით უკეთესი მდგომარეობა ნახა სოხუმში; ქალაქის 40 ათასიანი მოსახლეობის ნახევარი ქართველებია (რუსები — 15 ათასი, სომხები — 4500), ქონებრივადაც ისინი პირველობენო. ქართველობა შემოკრებილი ყოფილა წერა-კითხვის საზოგადოების გარშემო, დაუარსებიათ ქართული სკოლა, აუგიათ შენობაც. ს. ფირცხალავას მონაცემებით, სოხუმის ქართულ სკოლაში ასამდე ქალი და ვაჟი სწავლობდა, „მათ რიცხვში აფხაზი ანუ უკედ მეგრელ-აფხაზი მართო სამია. ეს სკოლის გამგემ იმით ამიხსნა, რომ სოხუმის ქალაქში აფხაზი თითქმის არავინ სცხოვრობსო“. სოხუმში გაცილებით უფრო ძლიერი იყო ქართველთა ეროვნული თვით-

შეგნება, „აქ ქართველობა ჰგრძნობს თავის სახეს...სწყურია დაეწაფოს ეროვნულ ცხოვრებას და მჭიდროდ დაუახლოვდეს მთელს ჩვენს ქვეყანას.“ ამ წყურვილის დაკმაყოფილება კი, როგორც ს.ფირცხალავა აღნიშნავდა, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა, რადგანაც „ქართული ეროვნება აქაც შევიწროებას განიცდის“. მაგალითად, სოხუმში 1915 წელს გახსნილ სამასწავლებლო სემინარიაში არც ერთი ქართველი არ მიუღიათ, ქართულ ენას იქ არ ასწავლიდნენ; ქალაქის ოთხი ეკლესიიდან არც ერთში წირვა-ლოცვა ქართულად არ წარმოებდა.

ქალაქისათვის და საერთოდ სოხუმის ოლქისათვის მწვავე პრობლემად ს.ფირცხალავა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას მიიჩნევდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, — წერდა იგი, — აფხაზთა (რომელთაც ავტორი აფხაზ-მეგრელებს უწოდებდა) დიდი პოლიტიკური და კულტურული ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რომ საქართველოს აღორძინება VIII საუკუნეში აფხაზეთიდან დაიწყო; ძმური თანამშრომლობა დღეს თითქმის ყველას დაავიწყდა; „ზოგის ჩვენის წინდაუხედაობის და ზოგი გარე შეთა პოლიტიკანობის წყალობით გაჩნდნენ ბოლო წლებში აფხაზთა შორის ისეთები, რომელთაც დაიწყეს ლაპარაკი: ჩვენ ქართველებთან საერთო არც გვქონია და არც გვაქვს... საბედნიეროდ, ასეთი მიდრეკილება ნელ-ნელა ჰქრება და კიდევ უფრო გაქრება თუ ქართველები მეტს სიყვარულს და ძმობას გამოვიჩინებთ აფხაზების მიმართ და არ მოვიქცევით ისე, როგორც სოხუმის ქალაქის უკანასკნელ არჩევნებზე, როცა ხმოსნად არც ერთი აფხაზი (ხმოსნები ნიკო ჭანაშია და ტიმოთე ანუა თავს აფხაზებად თვლიდნენ — ჯ.გ.) არ იქნა არჩეული“. ს.ფირცხალავამ სოხუმში შეიტყო, რომ განცალკევების მქადაგებელ ინტელიგენტ აფხაზებზე უარყოფითი გავლენა აკადემიკოს ნიკო მარის ბოლოდროინდელ გამოკვლევებს მოუხდენია. „ეს ცხადად მოწმობს თუ რა მჭიდრო კავშირია ხშირად მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის“, — აღნიშნავდა ს.ფირცხალავა. მას, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ნიკო მარის შრომები „Яфетическое происхождение абхазских терминов родства“ და განსაკუთრებით „История термина „Абхаз““. ²⁵⁴ ამ უკანასკნელმა, შეიძლება

ითქვას, „მეცნიერული საფუძველი“ შეუქმნა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიის ფალსიფიკაციას, აფსუა-აფხაზების მიერ საქართველოს ისტორიის მისაკუთრებას.

ს.ფირცხალავას ახალი ათონის მონასტერიც მოუნახულებია. 1915 წლისათვის რუსი ბერების რაოდენობა 600-700-დან სამასამდე შემცირებულა; არც ქართველ ბერებს, არც ქართველ მოწაფეებს იქ არ იღებდნენ. გუდაუთაში, ს.ფირცხალავას ცნობით, ქართველობა ძლიერი იყო ეკონომიურად, მაგრამ „ეროვნული ინტერესები აქაც აბუჩადაა აგდებული“, ქართველთა მიერ აშენებულ ეკლესიას რუსები დაეპატრონნენ, „არავინაა შეგნებული ინტელიგენტი მუშა“. ს.ფირცხალავა გუდაუთელ აფხაზებსაც შეხვედრია. იქ არსებობდა „მცირე წრე აფხაზთა ინტელიგენტებისა, რომელთაც სურთ სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში. ბევრი სიმწარე გადმომცეს აფხაზების მდგომარეობისა. ძლიერ ჩამორჩენილნი და დაქვეითებულნი არიან და ეხლა იწყებენ ნელ-ნელა მოქალაქეობრივ ცხოვრებას. ყველა მათ სჩაგრავდა და იბრიყვებდა და ქართველებმაც ვერ გავუწიეთ კეთილი ძმობა...

ქართველების წმიდა მოვალეობაა გავუწოდოთ აფხაზებს ძმური ხელი, პატივისცემით მივიღეთ მათთან და აღვადგინოთ ჩვენი ძველი ერთობა და კავშირი. რაც ჩვენ შეგვიძლიან ერთმანეთისთვის, იმას არ გაგვიკეთებს არავინ უცხო და გარეშე“.

აფხაზეთში მოგზაურობის დასრულების შემდეგ ს.ფირცხალავამ ასეთი დასკვნა გააკეთა: „ცხრა დღის შემდეგ გავშორდი ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს და ულამაზეს კუთხეს. გავშორდი და თან წამოვიღე მწარე შეგნება იმისა, რომ უგუნურად მივიწყებულა ის მხარე, რომელიც სალაროა საგანძურებისა და რომელიც საფუძველია ჩვენის ეროვნულის განვითარებისა. წარმოვიღე შეგნება იმისა, რომ ეს მხარე უკიდურეს საფრთხეშია, მას ყოველის მხრით ეტანება ურიცხვი მტერი და თუ განსაკუთრებული ზომები არ მივიღეთ, ხელიდან გამოგვტაცებენ და როდესაც ამ შავი ზღვის პირს დაგვარგავთ, მაშინ იძულებულნი გავხდებით თავშესაფარი გამოვიძებნოთ სადმე შორეულ აზიაში, იქსადაც ოდესღაც ბინადრობდნენ ჩვენი წინაპრები ხეთები და ქალდეველები“...²⁵⁵

სამსონ ფირცხალავას წერილი ზუსტად ასახავს აფხაზეთში მაშინ არსებულ ვითარებას; მისი დასკვნები კი ღლეცაც — 90 წლის შემდეგაც — აქტუალურია.

საქართველოს ეკლესიისა და სოხუმის ეპარქიის მთლიანობის დაცვა (1916 წ.)

1915-1916 წლების მიჯნაზე ქართული საზოგადოებრიობა კვლავ აქტიურად იწყებს ეროვნული ეკლესიის მდგომარეობაზე საუბარს. გაზეთ „საქართვე-

ლოს“ ფურცლებზე, განსაკუთრებით 1916 წლის იანვრიდან, თითქმის ყოველდღე ქვეყნდებოდა წერილები, მასალები ეკლესიის საჭირობოროტო საკითხებზე, მათ შორის ავტოკეფალიის თაობაზე. საქართველოს „ლიბერალი“ ეგზარქოსი (სინამდვილეში ფარისეველი) პიტირიმი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1914 წ. ივნისში დაინიშნა, 1915 წლის 23 ნოემბერს პეტერბურგის მიტროპოლიტად, შესაბამისად, უწმინდესი სინოდის პირველ თავმჯდომარედ გადაიყვანეს. დამსახურებულად თუ დაუშასხურებლად, ქართული საზოგადოება მის მიმართ დადებითად იყო განწყობილი. გაზეთი „შინაური საქმეები“ (1915 წ. 15 ნოემბერი), ეხებოდა რა პიტირიმის მოღვაწეობას, აღნიშნავდა, რომ სანამ ქართული ეკლესიის ძირეული უფლებები დარღვეულია, მისი ავტოკეფალია გაუქმებულია, ცალკეული პიროვნებები მის პრობლემებს ვერ მოაგვარებენ; მიუხედავად ამისა, გაზეთის აზრით, პიტირიმმა ახალი სიო შეიტანა ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმეში. მმართველობა გახდა ლმობიერი. მცხეთაში სტუმრობისას პიტირიმისთვის უთქვამთ: „თქვენ ქართველ კათალიკოსთა ადგილი გიჭირავთო“. ამაზე თურმე ექზარქოსმა უპასუხა: „ეგ მართალი არ არის, მე მხოლოდ კათალიკოსთა დაქვრივებულ კათედრას ვსდარაჯობო“. გაზეთი იხსენებდა ამ სიტყვებს და წერდა: „ასი წლის განმავლობაში ქართულ ეკლესიას ასეთი „დარაჯი“ არ ჰყოლია“-ო.

პიტირიმის დაწინაურებამ ქართველობას გარკვეული ილუზიები გაუჩინა. „ღღეის შემდეგ ჩვენს ტანჯულ ეკლესიას ეყოლება მფარველი და პატრონი თვით უწმინდეს სინოდში“, — წერდა გა-

ზეთი „საქართველო“ (1915 წ. 27 ნოემბერი). იმპერატორის ბრძანებულებაში პიტირიმის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა მოტივირებული იყო საქართველოში მოხვეჭილი სიყვარულითა და პატივისცემით. ძნელი მისახვედრი არ არის — ამ დანიშვნით იმპერატორს ქართველთა დაშოშმინება, ცრუდაპირებებით (პიტირიმი ეგზარქოსობის პერიოდში მხოლოდ სიტყვიერად „ზრუნავდა“ ქართულ ეკლესიაზე) მათი გულის მოღობვა და დროის გაჭიანურება (თუნდაც ომის დამთავრებამდე) სურდა. როგორც კი ქართველმა მოღვაწეებმა უწმინდეს სინოდში „მფარველი“ დაიგულეს, უფრო აქტიური მუშაობა გააჩაღეს. ყოფილმა ეგზარქოსმა ჩვეულ ტაქტიკას გადაუხვია და ქართველთა დასჯა გადაწყვიტა. ავტოკეფალისტთა გააქტიურებას მან საეკლესიო „რეფორმის“ გეგმის შემუშავებით უპასუხა, რომლის ძირითადი არსი საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებაში, მის მაგივრად კავკასიის სამიტროპოლიტოს (ცენტრით ჩრდილოეთ კავკასიაში) შექმნასა და აფხაზეთის ეპარქიის შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან მიერთებაში მდგომარეობდა.

საქართველოს უკანასკნელმა ეგზარქოსმა პლატონმა (1915-1917 წწ.) პეტერბურგის მიტროპოლიტ პიტირიმისაგან 1916 წ. 8 მარტს გამოგზავნილი შემდეგი წერილი მიიღო: „По определении Святейшего Синода от 29 февраля-1 марта 1916 г. за №1463 учреждена при Св. Синоде под моим председательством, особая комиссия по вопросу об увеличении в Российской православной церкви числа епархии и более удобном распределении границ некоторых существующих ныне обширных по пространству епархии.“

Признавая необходимым поставить на обсуждение означенной комиссии, между прочим, вопрос о выделении Сухумской епархии из состава Грузинского экзархата, имею честь покорнейше просить Вас, Милостивый Архипастыр, не изволите ли признать возможным делать зависящее распоряжение о доставлении мне возможно ближайшее время полного списка всех приходов Сухум-

სკოი ეპარხიი ს პოკაზანიემ ჩისლა პრავოსლავნოგო ნასელენია კაჟდოგო იზ ეტიჲ პრიჲოდოვ ი ს რასპრედელენიემ ეტოგო ნასელენია ვ კაჟდომ პრიჲოდე პო ნაციონალნოსტიაჲმ”.²⁵⁶ იგივე თხოვნა მიტროპოლიტმა პიტირიმმა სოხუმის ეპისკოპოსსაც გაუგზავნა.

უწმინდესი სინოდის გეგმების თაობაზე გაზეთმა „საქართველომ“ სატახტო გაზეთებიდან შეიტყო და თავის წარმომადგენელს პეტროგრაღში დ.ქიაბრიშვილს შემდეგი დავალება მისცა: „გვეცნობა სინოდის განზრახვა, საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარხია გამოჰყოს, რომელშიაც შევა სოხუმის ოლქი და შავი ზღვის გუბერნია. ამ ცნობის სინამდვილის გასაგებად მიმართეთ საცაჭერი ყოფს. შავი ზღვის გუბერნიის გამოჰყოფის წინააღმდეგი არავინაა; სოხუმის ოლქს კი, რომელიც ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და ლინგვისტურად საქართველოს საკათალიკოსოს განუკვეთელი ნაწილია, ქართველობა თავის დღეში ვეღარ დასთმობს. ვიძიოთ სამართალი, რომ ცოცხალ ქართულ ეკლესიურ ორგანიზმს არ ჩამოეჭრას სალი ნაწილი“. დ.ქიაბრიშვილმა გაზეთის დავალება შეასრულა და 1916 წლის 22 მარტს „საქართველოს“ რედაქციას პეტროგრადიდან უღებე შა: „საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის პროექტი უკვე დამზადებულია. მის განხილვას სინოდი ნააღდგომევეს შეუდგება. პროექტით საეგზარქოსოს ფარგლებში წმიდა ქართული სამრევლოები მოექცევა. დანარჩენები შევლენ ახლადშექმნილ შავი ზღვის ეპარქიაში“.²⁵⁷ ამრიგად, უწმინდეს სინოდს როგორც მთლიანად ქართული ეკლესიის, ისე აფხაზეთის ეპარქიის ტერიტორიული დაქუცმაცება განუზრახავს. „აქ ყველამ დაინახა ახალი იერიში ისედაც გაძარცვული და დაუძლურებული ქართული ეკლესიის დასამხობად“,²⁵⁸ — წერდა გაზეთი „საქართველო“. ქართული ეკლესიის დამხობის მცდელობას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. რუსულ ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ავტოკეფალიის მოთხოვნის დაკმაყოფილებას პოლიტიკური ავტონომიის ახალი მოთხოვნა მოჰყვებოდა. აფხაზთა დასჯის (სოხუმის ეპარქიის ეროვნული ნიშნით დაყოფა) გეგმა სოხუმის ოლქის თვითმმართველობის შექმნაზე საუბრის დაწყებით

უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ხელისუფლება (და მასთან ერთად სინოდი) ვარაუდობდა, რომ აფხაზური სამრევლოების შავიზღვისპირეთის ეპარქიასთან მიერთებით სწრაფად მოხდებოდა მხარის ასიმილაცია და ამით აფხაზური პრობლემა საბოლოოდ მოიხსნებოდა.

ქართულმა საზოგადოებამ განგაში ატეხა. იგი კატეგორიულად არ ეთანხმებოდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებისა და მისგან აფხაზეთის ეპარქიის გამოყოფის იდეას, მოითხოვდა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, უკიდურეს შემთხვევაში არსებული მდგომარეობის სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე შენარჩუნებას.²⁵⁹

უწმინდესი სინოდის ვერაგული გეგმა მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს ერთგულმა მეგობარმა ნ.დურნოვომ „პეტროგრადსკაია ვედომოსტიში“ გამოქვეყნებულ და „საქართველო“-ში გადმობეჭდილ წერილში. „ქართულსა და რაოდენიმე რუსულ პრესაში, — წერდა იგი, — ხშირია კამათი სოხუმის ეპარქიის შესახებ, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ათი ეპისკოპოსი გამოიცვალა და შეწუხების მეტი არავითარი სასიკეთო არ მოუტანია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის“. ნ.დურნოვოს აზრით, გამონაკლისებს კირიონი და ანდრია წარმოადგენდნენ, რომლებიც „აგზნებულ ლამპარად მოევლინენ შეწუხებულს ეპარქიას, მაგრამ მალევე მოაშორეს როგორც „არაპოლიტიკური მოქმედი“ ხალხი... სოხუმის ეპარქია დაარსებულია არა მართლმადიდებლობის გამავრცელებლად, არამედ მცხოვრებთა გასარუსებლად“. ავტორი აღნიშნავდა, რომ სოხუმის ეპარქიაში მრევლის უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ წირვა-ლოცვა სლავეურ ენაზე მიმდინარეობდა. „სოხუმის ეპარქიის გამოწირვა და რუსულ მთავრობისეულს შემადგენლობაში (გულისხმობს „Правительствующий Синод“-ს — ჯ.გ.) შეტანა ნიშნავს უწმინდეს კანონის დარღვევას, — აღნიშნავდა ნ.დურნოვო, — ვინაიდან სოხუმის ოლქი ჯერ კიდევ მეთექვსმეტეუნიდან (გაცილებით უფრო ადრეც — ჯ.გ.) აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა, ხოლო 1657 წლიდან (დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე — ჯ.გ.) კათედრა იგი გადატანილი იქმნა გელათში,

როგორც იმერეთის საკათალიკოსოს ნაწილი. ქართული ეკლესია, რომელიც დღეს ორს საკათალიკოსოსაგან შესდგება, ივერიისა და იმერეთისა, მართლმადიდებელ ეკლესიის განუკვეთელს ნაწილს შეადგენს და არა რუსის ეკლესიის ნაწილს. თავის ეკლესიის ღირსებას თვით ქართველები იცავენდნენ და სამაგალითოდაც შეუძლიათ დაიცვან იგი. ამიტომ ეხლავე უნდა მოსთხოვონ უმაღლეს ეკლესიის მთავრობას, რომ მეგრელებით დასახლებული სამურზაყანო და გუდაუთის ნაწილი დაუბრუნდეს სამეგრელოს ეპარქიას (გუდაუთა, ალბათ, ოჩამჩირეში ეშლება — ჯ.გ.).

დიდად სამწუხაროა, რომ იმ დროს, როდესაც მთელი ქართველობის ამდენი სისხლი იღვრება, როდესაც მთელი ქართველობა სიმამაცის სასწაულებს სჩადის, ჩვენს „მართველობის“ სფეროში არაქივეებიდან ამოაქვთ მამავოსტორგოვთა პროექტი სოხუმის ეპარქიის შესახებ, ხოლო თვით სოხუმის ეპისკოპოსი სერგეი პეტროვი ესოდენ სიყვარულს არ აცხადებს ივერიის ეკლესიის შვილთადმი.

სოხუმის ოლქის დანარჩენ ორ ადგილს, სადაც მოსახლეობა აფხაზელები და ქართველებია, შესაძლოა საკუთარი ეპარქიის დაარსება, როგორც ვიკარია იმერეთის ან სამეგრელოს ეპარქიისა, რომლის ეპისკოპოსმაც აფხაზური ენა უნდა იცოდეს, შავი ზღვის გუბერნიის ადგილები კი ეკატერინოდარის ეპარქიის დაარსებამდე ეისკის ეპისკოპოსს უნდა დაექვემდებაროს, რომელიც ეკატერინოდარში იმყოფება“.²⁶⁰

ამდენად ნ. დუჩნოვომ სინოდს რამდენიმე უმძიმესი, მაგრამ სავსებით სამართლიანი პოლიტიკური (სოხუმის ეპარქიის პოლიტიკური — მოსახლეობის გარუსების — მიზნით შექმნა), კანონიკური (აფხაზეთი ოდითგანვე იყო არა რუსული, არამედ ქართული ეკლესიის სამწყობო) და მორალურ-ზნეობრივი (ქართველობა | მსოფლიო ომის ფრონტებზე რუსეთის ინტერესებისათვის სისხლს ღვრიდა, სინოდი კი ამ გმირების ზურგს უკან ივერიის ეკლესიის განადგურების გეგმას ამუშავებდა) ბრალდებები წაუყენა; დაახლოებით ორი-სამი თვით ადრე მანვე გაზეთ „პეტროგრადსკაია ვედომოსტი“-ში (№24) უმაღლესი სასულიერო უწყების „ცრუ-მართალ“ მესვეურებს შეახსენა, რომ „ჯერ კიდევ 1906 წელს გამოიჩინეს მტრობა

საქართველოს ჯვრისმტვირთელი ეკლესიის კანონიერ უფლებების აღდგენის წინააღმდეგ“.²⁶¹

უწმინდეს სინოდს არანაირად არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ქართულ-რუსული მამხილებელი პუბლიკაციებისათვის. შექმნილ სიტუაციაში მნიშვნელოვანი იყო აფხაზური მრევლის პოზიცია, ვინაიდან „რეფორმა“ მათი „სურვილით“ და მათივე „კეთილდღეობისათვის“ დაიგეგმა. როგორც გაზეთი „საქართველო“ აღნიშნავდა, „ეს საკითხი ინტელიგენტურ სფეროდან ძირს დაეშვა და თვით სოხუმის ოლქის მკვიდრთა ყურადღება მიიპყრო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რას იტყოდა თვით სოხუმის მრევლი, რომლის რელიგიურ სინდისს და ეკლესიურ ტრადიციებს ეს პროექტი უმიზნებდა. ყველაფრიდან სჩანდა, რომ ამ პროექტის ჩამოგონებელნი სოხუმის ეპარქიის ჩამოშორების საჭიროებას თვით ამ ოლქის მკვიდრთა სურვილით ასაბუთებდნენ. უკანასკნელი სიტყვა, ეკუთვნოდა თვით აფხაზობას, თვით მრევლს, და, აი, სწორედ უკანასკნელ ინსტანციაში თავის ინტერესების დამცველად თვით ეს ხალხი გამოვიდა და ალაპარაკდა“.²⁶² 1916 წლის აპრილში აფხაზური საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები თბილისში ჩამოვიდნენ. საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ა. შერვაშიძე, გ. კ. შერვაშიძე, პ. ანჩაბაძე, მ. ემუხვარი, ა. ინალიფა, ნ. მარლანია, ბ. ეზუგბაია, ა. ჩუკბარი და ა. შ. 1916 წ. 26 აპრილს აფხაზური დეპუტაცია მეფისნაცვალს — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს წარუდგა და მთელი რიგი მოთხოვნები წამოაყენა, მათ შორის სოხუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გარდაქმნისა და აფხაზეთის ეკლესიის მომავლის შესახებ. „აფხაზები ძალიან შეშფოთებული არიან, — ვკითხულობთ ერთ-ერთ კორესპონდენციაში, — რომ არ განხორციელდეს ხმები, იმის შესახებ, რომ განზრახულია აფხაზეთის ეპარქია გამოჰყონ საქართველოს საეგზარქოსოდანაო. აგრეთვე აფხაზებს ისიც აწუხებს, რომ განზრახულია სოხუმის ოლქი ჩამოშორდეს ქუთაისის გუბერნიას, რათა შავი ზღვის გუბერნიას შეუერთონო“.²⁶³ დელეგაციის წევრებმა პეტრე ანჩაბაძემ და მელიტონ ემუხვარმა „საქართველოში“ წერილი გამოაქვეყნეს, რომელიც აფხაზეთში ცალკე ადმინისტრაცია-

ციული მმართველობის ჩამოყალიბების აუცილებლობას შეეხებოდა. ისინი წერდნენ: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებულნი მოძმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყოზენ შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთან“.²⁶⁴

1916 წლის 27 აპრილს აფხაზები საქართველოს ეგზარქოსს ესტუმრნენ და აფხაზი ხალხის სახელით განაცხადეს, „რომ დიდად დამწუხრებული ვართ გავრცელებული ხმებით, რომ მთავრობას სურს სოხუმის ეპარქია გამოჰყოს საქართველოს საეგზარქოსოსაო. აგრეთვე დეპუტაციამ სთხოვა მის მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობას, რომ წირვა-ლოცვა აფხაზების ეკლესიებში უთუოდ ქართულის ენაზე სრულდებოდესო. შემდეგ დეპუტაციამ სთხოვა ეგზარქოსს, რომ აფხაზების სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო იყოსო, ხოლო სამურზაყანოში კი ამ საგნის შესახებ განკარგულება ეხლავე მოახდინეთო. ეგზარქოსმა გულისთადად მიიღო დეპუტაცია, ყველაფერი მოუსმინა და შემდეგ განუცხადა, რომ მე ამბები მომდიოდა, თითქოს აფხაზებს სდომებოდეთ სოხუმის ეპარქიის გამოყოფა საქართველოს საეგზარქოსოდან, მაგრამ, რადგან ეხლა თქვენგან, როგორც ხალხის წარმომადგენლებიდან, ხალხის ნამდვილი სურვილი მესმის, ვეცდები, რომ სოხუმის ეპარქია აღარ გამოთიშონო. წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე შესრულების შესახებ ეგზარქოსმა განაცხადა, რომ ეს თხოვნა კანონიერია და დაკმაყოფილებული იქნებაო. აგრეთვე სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებაც თხოვნის დაკმაყოფილება აღუთქვა. მისმა მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობამ ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა დეპუტაცია და დაარიგა, რომ მხნედ იყავით და თქვენი კანონი(ერი) უფლებები მედგრად დაიცავითო“.²⁶⁵ ეგზარქოსთან აფხაზთა დელეგაციის შეხვედრას ვრცელი კორესპონდენციით გაზეთი „სახალხო ფურცელიც“ (1916 წლის 3 მაისი) გამოეხმაურა.

აფხაზური საზოგადოების პოზიცია საეკლესიო საკითხებთან

დაკავშირებით ჩამოყალიბებული იყო შუამდგომლობაში უწმინდესი სინოდის წინაშე, რომლის სრული ტექსტი ქართულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს.

„უძველესი დროიდან რუსეთთან შეერთებამდე აფხაზეთში ქრისტიანობა ვრცელდებოდა ქართველი სამღვდელთა მიერ, რომელიც საერთო იყო აფხაზეთის ქართული ეკლესიისათვის და რომელიც მარად იმყოფებოდა მმართველ ფეოდალურ თავადების და აფხაზეთის ხალხის მფარველობის ქვეშ, — ნათქვამია შუამდგომლობაში. — ამ სამღვდელთას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთში და საოცარი უნარი და მხნეობა გამოიჩინა ქრისტიანობის გავრცელებაში ყველა იმ რაიონებში, სადაც ქრისტიანობას ამა თუ იმ დამბრკოლებელი მიზეზით ფეხი ვერ მოეკიდნა. შემდეგ, როგორც საქართველო და აფხაზეთი რუსეთს შეუერთდა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმებულ იქნა სინოდთან დამორჩილებით, ქრისტიანობის გავრცელების საქმე და მისი პოპულარიზაცია მეტად შეფერხდა. თვით უძველესის დროინდელი ქრისტიანები აფხაზეთის ზოგიერთ რაიონებისა თანდათან გამაჰმადიანდნენ.

მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა უეჭველად უნდა ვეძიოთ ხალხისა და ქრისტიანობის გამავრცელებელთა თანდათან დაშორებაში, რომელნიც ლამობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ხალხისათვის გაუგებარ ენაზე. XIX ს. მეორე ნახევრიდან აფხაზეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა შემოღებულ იქნა ხალხისათვის გაუგებარ — სლავურ ენაზე. ხალხსა და მოძღვართა შორის შეწყდა უსაშუალო დამოკიდებულება, რამაც ჩვენი ეკლესია მიიყვანა დღევანდელ სამწუხარო მდგომარეობამდე.

ამჟამად ხმა დადის, რომ სინოდში პროექტია სოხუმის ეპარქიის გამოყოფისა საქართველოს საეგზარქოსოდან, რაც სამუდამოდ დააბრკოლებს საეკლესიო ინტერესებს აფხაზეთში. ქრისტიანობის აღდგენისათვის, რომელიც გაქრობის გზას ადგია და რომელიც მოხდა ზოგიერთ ეკლესიასთან სრულად დაუკავშირებელი მიზეზთა გამო, საჭიროა ხალხისა და მოძღვართა დაახლოება, შექმნა ისეთის პირობებისა, რომელიც დაახლოებს ხალხსა და სასულიერო მმართველობას. სარწმუნოებრივ საკითხში პოლიტიკას არ უნდა

ჰქონდეს ადგილი. ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა ქადაგება ქრისტეს მოძღვრებისა ერთგვარის ცნობილის წესით, რომლის შეცვლით სარწმუნოებრივი გრძნობა კი არ განვითარდება, არამედ შესუსტდება და დაიჩლუნგება. ამ მოსაზრებათა და სარწმუნოების ინტერესთა დაცვის გამო, გთხოვთ არ გამოგვთიშოთ და გამოგვყოთ ძველადვე არსებული წყობილებიდან, რომელიც შექმნილია საუკუნეების განმავლობაში საქართველოს და აფხაზეთის ისტორიულ და კულტურული ცხოვრების მიერ“.²⁶⁶

შუამდგომლობა უწმინდესი სინოდის წინაშე უპირველესად იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი აფხაზთა პირით აფხაზეთის ეკლესიას უძველესი დროიდან ქართული ეკლესიის ორგანულ ნაწილად აცხადებდა, ქართულ სამღვდლოებას უხსნიდა შოვინისტთა მიერ პოლიტიკური მოტივებით წამოყენებულ „გაუგებარ ენაზე“ ქადაგების ცრუ ბრალდებას და ქრისტიანობის დასუსტებისათვის მთელს პასუხისმგებლობას რუსულ სამღვდლოებას აკისრებდა, მართლაც გაუგებარ სლავურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებას უკავშირებდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზური დეპუტაციის თბილისში სტუმრობამ თვალი აუხილა კავკასიის რუსულ საერო და სასულიერო ადმინისტრაციას, დიდი რეზონანსი პოვა ქართული ინტელიგენციის წრეებში. გაზეთი „საქართველო“ სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ აფხაზთა შეგნებულმა საზოგადოებამ სოხუმის ეპარქიის საკითხთან დაკავშირებით პრინციპული პოზიცია გამოხატა და იმედი გამოთქვა: „ქართველებისა და აფხაზების ერთად გამოსვლა და ხმის ამოღება სასურველ ნაყოფს გამოიღებს... სოხუმის ეპარქია ისევ ისე საქართველოს ეკლესიის განუკვეთელ ნაწილად დარჩება. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ეს უნდა გვახსოვდეს ყოველ საზოგადო საქმეში“.²⁶⁷

აფხაზურმა დეპუტაციამ თბილისში ნაყოფიერად იმუშავა. მეფისნაცვლისა და ეგზარქოსისაგან მიღებული დაპირებების ცხოვრებაში გატარების, სხვა პრაქტიკული საკითხების (სამინისტრო სკოლების გახსნა აგრონომიული განყოფილებებით, გზების გაყვანა და ა. შ.) მოსაგვარებლად იგი მეფისნაცვლის თანაშემწეს თავად

ორლოვს შეხვდა. გადაწყდა, „რომ სამურზაყანოს სკოლებში საგნების სწავლება ამთავითვე ქართულ ენაზე იქნება, ხოლო აფხაზეთის დანარჩენ ადგილთა სკოლებში ქართული და აფხაზური ენის სწავლება სავალდებულო გახდებაო“.²⁶⁸

მთელი საზოგადოება გაფაციცებით აღევნებდა თვალყურს სოხუმის ეპარქიის ბედის გადაწყვეტის საკითხს. პრესაში (საქართველო, 1916, 11 მაისი) გაჩნდა ინფორმაცია, რომ ეგზარქოსი „პლატონი დღე-დღეზე მოელის სოხუმის ეპისკოპოსისაგან ცნობებს შესახებ სოხუმის ეპარქიის მრევლთა რაოდენობისა (როგორც ამას მიტროპოლიტი პიტირიმი მოითხოვდა 1916 წ. 8 მარტის წერილში — ჯ.გ.) ეროვნებათა კვალობაზე. როგორც ვიცით, ამ ცნობებს მკვიდრო კავშირი აქვს სოხუმის ეპარქიის გამოყოფასთან საქართველოს საეგზარხოსოდან. აღნიშნული ცნობის მოსვლას მოელიან 15 მაისამდე. ამ ცნობის მიღების შემდეგ ეგზარქოსი დაუყოვნებლივ გაემგზავრება პეტროგრადს, საცა მონაწილეობას მიიღებს უწმინდესი სინოდის სხდომებზე“ მაისის ბოლო რიცხვებში პლატონი მართლაც გაემგზავრა პეტროგრადს სინოდის სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად. ეგზარქოსს თან მიჰქონდა ეროვნული ნიშნით დაყოფილი აფხაზეთის ეკლესიების სია. ჯერ კიდევ 1913 წელს სოხუმიდან გამოგზავნილი ამგვარი სია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარიაში ინახებოდა. მომდევნო სამი წლის განმავლობაში იგი პრაქტიკულად არ შეცვლილა (ცვლილება მხოლოდ ქართულ სამრევლოთა რაოდენობის გაზრდით იყო შესაძლებელი). აღნიშნულ სიაში რვა რუსული ეკლესიაა მითითებული: სოხუმის საკათედრო ტაძარი, ბაკლანოვკის, გუდაუთის, პეტროვსკაიას, ეკატერინინსკაიას, ოლგინსკის, აჟარის (დოკუმენტში შეცდომით წერია — ათარის), ვლადიმეროვსკაიას. შენიშვნაში ნათქვამია, რომ სოხუმის საკათედრო ტაძრისა და გუდაუთის ეკლესიის მრევლი რუსულ-ქართულია. სოხუმსა და გუდაუთაში ქართული მოსახლეობა ორ-სამჯერ აღემატებოდა რუსულს, ამიტომ ორივე ეკლესიის ქართველებისათვის მიკუთვნება უფრო სამართლიანი იქნებოდა.

1913 წლის სიის შესაბამისად, ქართულად იყო მიჩნეული სანა-

ვარდოს, ბესლახუბის, ოჩამჩირის, ცხენისწყლის, ქლოუს, ფოქვე-
შის, I ბედიის, II ბედიის, გუფის, ჯგერდის, მოჭვის, კვიტოულის, აკა-
ფა-კელასურის, მერხეულის, ფშაფი-დრანდის, შუაწყლის, აბჯაყ-
ვის ეკლესიები. მდინარე ლალიძგამდე მდებარე არა მხოლოდ სამი
(სანავარდოს და ორივე ბედიის, რომლებიც ოჩამჩირის საბლალ-
ჩინოში შედიოდნენ), არამედ ყველა სხვა სამრევლოს (ისინი სიაში
საერთოდ არ ფიგურირებენ) გათვალისწინებით, აფხაზეთში, თვით
რუსთა მონაცემებითაც კი 53 ქართული სამრევლო არსებობდა.
სინამდვილეში მათი რიცხვი მეტი იყო. ქართველები ქარბობდნენ
მოსახლეობაში (ან მრევლში) სოხუმში, გუდაუთაში, ტამიშში,
არადუში, ეშქეტში და ა.შ.

აფხაზურ სამრევლოებს იყო მიკუთვნებული ათარა, არადუ, ეშ-
კეტი, ტყარჩელი, ტამიში, აზგარხუკი, აქანდარა, ბარმიში, ბომ-
ბორა, ბლაბურხვა, ჯირხვა, დურიფში, ზვანდრიფში, კალდახვარა,
ლიხნი, მუგუძირხვა, ოთხარა. ბერძნული ეკლესიების სია კი ასე გა-
მოიყურებოდა: სოხუმის სასაფლაოს (ალექსანდრე ოქროპირიძის
მიერ ქართველებისათვის განახლებული ეკლესია), ალექსანდროვ-
სკაიას, ბირცხის, გეორგიევსკაიას, კონსტანტინოვსკაიას, მარინს-
კაიას, მიხაილოვსკაიას, ნიკოლაევსკაიას, პავლოვსკაიას.²⁶⁹

ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია 1916 წლის მაისში ეგ ზარქოს-
მა პლატონმა უწმინდეს სინოდში როგორი სია (სამურზაყანოს ეკ-
ლესიების მითითებით თუ მათ გარეშე) წარადგინა. ყველა შემთხ-
ვევაში, რეალური თუ რეალობასთან მიახლოებული (თუნდაც
1913 წელს შედგენილი სიის მსგავსი) მონაცემები სერიოზულად და-
აფიქრებდა რუსული სინოდის წევრებს პეტერბურგში. ექვსგარე-
შეა, სწორედ ამ მონაცემებმა, აგრეთვე ქართულ-აფხაზური საზო-
გადოების ერთობლივმა ძალისხმევამ აიძულა უწმინდესი სინოდი
დროებით მაინც აეღო ხელი საქართველოს საეგზარქოსოს გაუქ-
მებისა და მისგან აფხაზეთის ეპარქიის გამოყოფის განზრახვაზე; 1917
წ. თებერვლის რევოლუციამ კი შოვინისტთა გეგმები საქართვე-
ლოს ეკლესიის წინააღმდეგ სამუდამოდ დაასამარა.

1886-1917 წლები — უმძიმესი პერიოდი იყო აფხაზეთის ეპარქი-
ის ისტორიაში. რუსული სამღვდელთა არა მისიონერული საქ-

მიანობის, არამედ იმპერიულ-შოვინისტური პოლიტიკის გატარების უმთავრეს იარაღად იქცა. ხალხისათვის გაუფებარ სლავურ ენაზე წირვა-ლოცვის დაწესებით, აფხაზთა იძულებითი „გაქრისტიანებით“, რუსულ ენაზე სწავლების შემოღებით, უძველესი წმინდა ქრისტიანული კერების რუსი ბერებისათვის გადაცემით, ქართული ენისა და ეკლესიის განადგურების, ერის გახლეჩვის მცდელობით, ეროვნული შუღლის ჩამოგდებით, ისტორიული საქართველოს დანაწევრებით და სხვა ანტიქრისტიანული ხერხებით იგი მიზნად ისახავდა ქართველთა და აფხაზთა ასიმილაციას. ასეთმა პოლიტიკამ, ბუნებრივია, შელახა ზოგადად ეკლესიისა და ღვთისმსახურთა ავტორიტეტი, დაასუსტა მართლმადიდებლობის პოზიციები, ნებისთ თუ უნებლიედ ხელი შეუწყო საზოგადოების მცირე ნაწილში ათეიზმის ბაცილის დაბუღებას.

ნებისმიერი ხალხი, როცა იგი გადაგვარების საფრთხეს გაიცნობიერებს, მიზანმიმართულად ცდილობს ეროვნული ტრადიციების, ხალხური წეს-ჩვეულებების აღორძინებას, ისტორიული ფესვებისაკენ მოტრიალებას. ქართველობაც და აფხაზობაც ამ გზას დაადგა. იმპერიული წინების პირობებში ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნება მათ საერთო მეთოდით, ხერხით, მაგრამ სხვადასხვა გზით გადაწყვეტეს. თავის გადარჩენას ორივე ხალხი საკუთარი ფესვებისაკენ მიბრუნებით ცდილობდა; ქართველებისათვის ეს იყო ისტორიულ საზღვრებში ეკლესიის ავტოკეფალიის, მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვისა და განათლების აღდგენა-შენარჩუნებისათვის — ენა, მამული, სარწმუნოებისათვის — ბრძოლის, ხოლო აფხაზებისათვის წარმართობისა და მაჰმადიანობის აღორძინების გზა. სხვადასხვა გზით სიარულმა ქართველობა და აფხაზობა ერთმანეთს გარკვეულწილად დააშორა. ორივე ხალხის ინტერესები მაშინ გადაიკვეთა, როდესაც აფხაზობას შავი ზღვისპირეთის გუბერნიის რუსულ მოსახლეობაში გათქვეფის, ქართველობას კი მამულის უმნიშვნელოვანესი ნაწილის დაკარგვის რეალური საფრთხე დაემუქრა. შეთანხმებული მოქმედებით ეს საფრთხე მაშინ (1916 წელს) თავიდან იქნა აცილებული.

მ. დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. მწყემსი, 1887, №3, 30 იანვარი, გვ.1-3.
2. Православное обозрение, 1887, т.1, გვ.3. გამოქვეყნებულია მიტროპოლიტ იოანიკეს სიტყვა ეპისკოპოს გენადის კურთხევისას. მისი მეტ-ნაკლებად სწორი თარგმანი იხ. ქურნალში „მწყემსი“, 1887, №3.
3. მწყემსი, 1887, №3, 30 იანვარი, გვ.2.
4. მწყემსი, 1887, №17, გვ.6.
5. მწყემსი, 1887, №23, გვ.8.
6. Отчет общества возстановления православнаго христианства на Кавказе, за 1887 год. Тифлис, 1888, გვ.27-28.
7. იქვე, გვ.71.
8. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.720.
9. იქვე.
10. Обзор, გვ.183-184.
11. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფ.ი — 1, აღწ. 1, ს.326, ფ.1 (არქივი 1992 წელს მთლიანად დაიწვა; ჩვენ შემოგვრჩა 1989-1990 წლებში მოძიებული მასალები).
12. იქვე, ფ.2.
13. მწყემსი, 1888, №13, გვ.11.
14. Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ.121; მოგვიანებით კირიონი მიხვდა, რომ რუსი ეპისკოპოსები მოსახლეობის „გაქრისტიანებისას“ მიმართავდნენ ძალადობას, მათი წარდგენილი მონათლულთა სიები კი გაბერილი იყო (იხ.დანართი №30).

15. მწუჟსი, 1889, №2, გვ.10; Отчет общества восстановления православнаго христианства на Кавказе, за 1890 год. Тифлис, 1891, გვ.37.

16. В.Потто. Царская семья на Кавказе. 18 сентября _ 14 октября 1888 года. Тифлис, 1889. გვ.93.

17. Обзор, გვ.124.

18. მწუჟსი, 1888, №18, გვ.1-2; ივერია, 1888, 28 სექტემბერი; Новое обозрение, 1888, 26 სექტემბერი; Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь, გვ.187.

19. ცსია, ფ.489, ს.41973, ფ.2; ს.43556, ფ.23.

20. Отчет общества восстановления православнаго христианства на Кавказе, за 1888 год. Тифлис, 1889, გვ.23.

21. მწუჟსი, 1889, №12, გვ.5-6.

22. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.42170, ფ.1-5. საქმეში არის მასალა სოხუმის ეპარქიასა და გენადის ნათესავს შორის სასამართლო დავის შესახებ გარდაცვლილი ეპისკოპოსის ქონებასთან დაკავშირებით (ფ.9-39).

23. მწუჟსი, 1889, №9, გვ.10-11; იხ. აგრეთვე მწუჟსი, 1894, №9, გვ.7-8.

24. მწუჟსი, 1889, №11, გვ.5; Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ.81. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.736.

25. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.43648, ფ.25-26; ს.45490, ფ.39-40; ს.47493, ფ.24-27; ს.54949, ფ.11, 31-32, 39-40, 65-66, 71-72, 106-109, 124-131, 134-137; ს.56385, ფ.16-20, 24-28, 33-36, 41-44, 57-60, 65-68, 82-86; ს.58705, ფ.1-5, 18-23, 26-30, 33-36; 39-43, 46-52; Гедеон. დასახ. ნაშრომი, გვ.149-150.

26. Епископ Агафадор. Успенско-Драндский общежительный монастырь, გვ.36-37, 48-50.

27. ცსია, ფ.489, აღწ. 1, ს.43843, ფ.7, 14.
28. Отчет общества возстановления православного христианства на Кавказе за 1892 год, Тифлис, 1894, გვ.57-58; ცსია, ფ.489, აღწ. 1, ს.45288, ფ.1-10.
29. Отчет общества... за 1892 г., გვ.59; Отчет состоящего под Августейшим покровительством ея Императорского Величества, Государыни Императрицы Марии Федоровны, Общества возстановления православного христианства на Кавказе за 1898, 1899, 1900, 1901 годы. Тифлис, 1903, გვ.91-102, 119-124; იქვე, за 1902-1905 годы. Тифлис, 1908, გვ.88-92; Обзор, გვ.166-167; Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ.120, 132; ცსია, ფ.489, აღწ. 1, ს.43648, ფ.25-26, 42-43, 50; ს.45773, ფ.53; ს.46609, ფ.55; ს.47493, ფ.54; საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს.1319, ფ.9-12.
30. ცნობის ფურცელი, 1896, 21 ლექსები.
31. ცნობის ფურცელი, 1897, 30 ნომერი; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 189; კათოლიკოსი ამბროსი ხელაია. თბ., 1994, გვ.6.
32. С.Басария. Абхазия, с.55.
33. მწეხმსი, 1889, №10, გვ.6-7; №14, გვ.13.
34. ივერია, 1890, 2 ივნისი.
35. ივერია, 1990, 30 აპრილი.
36. მწეხმსი, 1890, №3-4, გვ.6-7; №15-16, გვ.16.
37. Отчет... за 1898, 1899, 1900, 1901 годы, გვ.80-82; ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.851, ფ.11-11ა.
38. ივერია, 1990, 30 აპრილი, 19 მაისი; 2 ივნისი; Отчет общества... за 1890 год, გვ.195-199, 243-258.
39. Отчет общества... за 1890 год, გვ.75-95.

40. ცსია, ფ.493, აღწ. 1, ს.622, ფ.1, 3-8, 9, 12, 14-16, 18-19, 26-28.
41. ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.487, ფ.1, 4, 6-7.
42. Обзор, გვ.192.
43. Отчет Кавказского учебного округа о состоянии учебных заведений за 1887 год. Тифлис, 1888. Приложение 3-е, გვ. 232-255; Отчет Кавказского учебного округа о состоянии учебных заведений за 1890 год. Тифлис, 1891. Приложение 2-е, გვ.5; Отчет Кавказского учебного округа о состоянии учебных заведений за 1899 год. Тифлис, 1900. Приложение 1-е, გვ. 166-177, 401-417; Приложение 2-е, გვ.4.
44. А.П.Дудко. Из истории, გვ.126.
45. იქვე, გვ.127-129.
46. Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ.216-217.
47. იქვე, გვ.217-219.
48. ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.26914, ფ.2; А.П.Дудко. Из истории, გვ.238-239.
49. А.П.Дудко. Из истории, გვ.307.
50. Новое обозрение, 1895, 30 октября.
51. ცნობის ფურცელი, 1903, 17 დეკემბერი.
52. Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви, გვ.194-195; ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.851, ფ.3-3ა.
53. ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.851, ფ.1-1ა, 33; Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1887 г. გვ.28-33; Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский Монастырь, გვ.89.

54. ცსია, ფ.493, აღწ. 1, ს.851, ფ.2-4, 6, 10.

55. იქვე, ფ.11ა.

56. იქვე, ფ.17-30.

57. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.1006; იხ. აგრეთვე ნ.ნ.დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა, გვ.49-50.

58. ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.24576, ფ.1, 7-8, 31-32.

59. იქვე, ფ. 33-35.

60. იგივე როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 132; საქართველო, 1916, 28 იანვარი.

61. ნ.ნ.დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა, გვ.8. საქართველოდან გატანილ უძვირფასეს საეკლესიო ნივთებს შორის იყო კონსტანტინოპოლის დაცემამდე შეკერილი აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსების „სქელი აბრეშუმის შესამოსელი, ოქრომკერდით ამოქარგული და მსხვილი მარგალიტებით შემკული“. დაახლოებით 1870 წელს იგი ქუთაისის გუბერნატორმა ლუკაშოვმა ეგზარქოს ევსევის ნებართვით წაიღო; სამოსელისაგან 8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, მარგალიტები და ლალები სამკაულებად გამოიყენეს (იქვე, გვ.10).

62. 1890 წლის 23 თებერვალს გაზეთი „ივერია“ სოხუმიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იტყობინებოდა ქალაქის სასაფლაოს ქართული ეკლესიის დახურვის შესახებ. „საზოგადოების ჩივილს საზღვარი არა აქვს“, — წერდა „ივერია“.

63. ხელისუფლება იძულებით წავიდა ასეთ დათმობაზე. აფხაზეთის ქართველობა კატეგორიულად მოითხოვდა მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების აღდგენას. აი, ერთ-ერთი მაგალითი ასეთი მოთხოვნისა: „როგორც გვატყობინებენ აფხაზეთიდან სამურზაყანოს მკვიდრთ აზრად აქვთ ამ ცოტა ხანში თხოვნა მიართვან უმაღლეს სასულიერო მთავრობას, რომ ამ ქვეყნებში (ე.ი. აფხაზეთ-

სამურზაყანოში — ჯ.გ.) წირვა-ლოცვა ეკლესიებში ქართულ ენაზე გახდეს ხოლმე, რადგან ხალხი თანდათან არ ეკარება ეკლესიებს და შესაძლოა, რომ სრულებით გული აიცრუნონ“ (ცნობის ფურცელი, 1898, 12 მარტი).

64. თავისი რენეგატობით მთელს იმპერიაში „გაითქვა“ სახელი გუდაუთელმა მღვდელმა ი.ჩაჩანიძემ, რომელიც ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ნების წინააღმდეგ ღვთისმსახურებას ქართულად არ ატარებდა. ეს ფაქტი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ მეშვეობით ცნობილი გამხდარა „ს. — პეტერბურგსკიე ვედომოსტისათვის“, რომელსაც დაუწერია: „ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან უნდა ვიგულისხმოთ, რომ მარტო გუდაუთაში არ იქნება ასეთი ამბავი“ (ცნობის ფურცელი, 1997, 29 მარტი); ი.ჩაჩანიძის წყალობით გუდაუთელმა მართლმადიდებლებმა ეკლესიაში სიარული შეწყვიტეს (ცნობის ფურცელი, 1897, 7 ოქტომბერი).

65. სოხუმის ეპისკოპოსმა აგათადორმა 1893 წელსაც დაიცვა ი.კავყარაძე, რომელიც იოანე ჩხენკელმა საშობაო მარხვის მეორედღეს (15 ნოემბერს) ჯვრის წერის ჩატარებაში ამხილა და საქმე ეგზარქოსამდე მივიდა (ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.43852, ფ.1-6).

66. ასილაგაძე, ვ.გ. ურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II, თბ., 1999, გვ.137-156.

67. Отчет... общества за 1898, 1899, 1900 и 1901 годы, გვ. 88-89. კამათში სამურზაყანოელთა ვინაობის შესახებ ჩაერთო კ.მაჭავარიანი. გაზეთში „Черноморский Вестник“ (1899, 31 მარტი — 2 აპრილი) მან გამოაქვეყნა წერილების სერია საერთო სათაურით „Имеют ли право самурзаканцы называть себя мингрельцами“, სადაც „ამტკიცებდა“, რომ სამურზაყანოელები აფხაზები არიან და არა მეგრელები. 1899 წლის 6 მაისს იმავე გაზეთში გამოქვეყნდა საპასუხო წერილი „Голос Самурзаканца“, რომლის ავტორი („Самурзаканец“ — ჩვენი აზრით, ამბროსი ხელაია) ისტორიული წყაროების მოშველიებით ასაბუთებდა, რომ თანამედროვე სოხუმის ოლქი მდ.ფსირცხამდე მეგრელებით იყო და-

სახლებული. დისკუსია დაქირავებულ პროვოკატორ კ.მაჭავარიანსა და „სამურზაქანეც“-ს შორის იენისის ბოლომდე გაგრძელდა (Черноморский Вестник, 1899, 8 მაისი, 17-20, 23 июня). ვფიქრობთ, მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1899 წლის ანგარიშში მითითებულ „ზოგიერთებში“ კონკრეტულად კ.მაჭავარიანი იგულისხმებოდა.

68. ასილაგაძე, ვ.გ ურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II, გვ.71-85.

69. Ф.Гершельман. Причины неурядиц на Кавказе. СПб., 1908, გვ.6, 24-26, 30-35, 67-72.

70. Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. LXVI. Кутаисская Губерния. 1905, გვ.VIII, 1-3, 90-93, 114-116, 142-143, 288-291.

71. საქართველო, 1918, 15 თებერვალი; იხ.აგრეთვე სახალხო საქმე, 1919, 14 მარტი.

72. ასილაგაძე, ვ.გ ურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II, გვ.86-129.

73. იქვე, გვ.130-132.

74. Документы по истории Грузии. Серия II, т.1, ч.1, გვ.527.

75. ცნობის ფურცელი, 1903, 11 დეკემბერი.

76. გ.გასვიანი. ძველი და ახალი აფხაზები, გვ.139-184.

77. Отчет... за 1898, 1899, 1900, 1901 годы, გვ.109.

78. Прот. И.Восторгов. Церковная школа в Закавказьи. СПб., 1905, გვ.11, 14-15. შოვინისტური შეზღუდულობის გამო ი.ვოსტორგოვს აფხაზებში მხოლოდ რუსული ენისადმი მიდრეკილება მოსწონს. სხვა მხრივ ისინი არიან „ქურდები“, „ფიცის გამტეხნი“, მართა სამქედლოში დადებულ ფიცს იცავენ და ა.შ. ი.ვოსტორგოვი, რა თქმა უნდა, ცრუობს. ნ.დუმბროვინი, პირიქით, წერდა, რომ აფხაზებში დაწესებული იყო სასჯელი ქურდობისათ-

ვის (ულვაშის მოპარსვა), აფხაზი არ მოიტყუილებდა ბიჭვინთისა და ილორის წმინდა გიორგისა და მუხის ფულუროში დასვენებული (ბომბორასთან) ღვთისმშობლის ხატების წინაშე; ერთ-ერთი წარმართული ღვთაების (მჭედელთა) — შიშასშა აბჟ-ნისას — შიშით იგი თავად აღიარებდა დანაშაულს; სამკედლოში უმნიშვნელო საკითხებთან დაკავშირებით დებდნენ ფიცს — Н.Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т.1, кн. II, გვ. 74, 80.

79. ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.26914, ფ.1.

80. იქვე, ფ.1ა.

81. Новое время, 1903, 16(29) января.

82. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.51847, ფ.47-48.

83. ილიას სამრეკლო. თბ., 1987, გვ.150-151.

84. ჭემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1991, გვ.18.

85. ცნობის ფურცელი, 1900, 18 აპრილი.

86. ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.24544, ფ.8-8ა; ფ.489, აღწ.1, ს.47709, ფ.2.

87. ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.24544, ფ.2, 5-5ა, 13-13ა.

88. იქვე, ფ.9. გ.გოლიცინი არაერთხელ არის ნამყოფი აფხაზეთში, მათ შორის 1902 წ. 29-31 აგვისტოს. 30 აგვისტოს იყო ლიხნის ტაძარში. ადგილობრივ მოსახლეობას ურჩია შეილებს სასულიერო განათლება მისცენ „чтобы иметь своих священников“. იმავე დღეს ახალი ათონის მონასტერს ეწვია, დაესწრო ღვთისმსახურებას; ისევე როგორც ორი წლის წინ, მონასტრის მთელი მეურნეობა დაათვალიერა. — Черноморский Вестник, 1902, 4 და 6 სექტემბერი.

89. ცნობის ფურცელი, 1903, 11 ოქტომბერი; ვ.კიკნაძე. ახალი ათონი — რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის დასაყრდენი ამიერკავკასიაში. — ლოგოსი, 2003, №1, გვ.75. თავის წერილში

არსენისადმი ეგზარქოსი საუბრობდა სვანეთში მისიონერული საქმიანობის გაძლიერების აუცილებლობაზე, „притом на благотворных началах, совершенно тождественных с теми, какие уже с успехом применены Вашим преосвященством по отношению самурзаканцам и абхазцам (ეკლესიისა და სკოლის გარუსება იგულისხმება — ჟ.გ.), и с этой стороны Сванетия естественнее может быть в заведывании Сухумского епископа, а не Имеретинского... Мне думается, что и в вопросе о выделении Сухумской епархии из состава Грузинского экзархата, как вполне самостоятельной, присоединение к ней Сванетии будет иметь положительное значение“. ამ საკითხის შესასწავლად სვანეთში უნდა გამგზავრებულიყო ი.ვოსტორგოვი სოხუმის ეპარქიის წარმომადგენელთა ერთად. — ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.26868, ფ.1-1°.

90. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.951.

91. იქვე.

92. ლიტერატურაში მითითებულია, რომ სერაფიმე სოხუმის ეპარქიას 1904-1905 წწ. მართავდა (Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.736; გ.როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ.139. და ა.შ.), რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ეპისკოპოსი სერაფიმე ჩიჩაგოვი 1905 წლის აპრილში დაინიშნა (იხ. ცნობის ფურცელი, 1905, 8 აპრილი) და 1906 წ. თებერვლამდე განაგებდა ეპარქიას. ეპისკოპოს არსენის სოხუმიდან გაძევების შესახებ იხ. ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში. თბ., 1995, გვ.98.

93. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.47263, ფ.2, 15ა-22ა; Н.Дурново. Протоиерей Иоанн Иоаннович Восторгов и его политическая деятельность. М., 1908, გვ.9, 2 ს.28, 34, 56. აღნიშნული წიგნის ავტორად მითითებული ORTHODOXA დანამდვილებით

ნ.დურნოვო, როგორც ეს კარგად ჩანს მისი 1908 წ. 21 იანვრის წერილიდან კირიონისადმი. — იხ. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.651.

94. Клевета Н.Дурново. Ответ протоиерея И.И. Восторгова. М., 1909, გვ.47-48.

95. ცნობის ფურცელი, 1905, 5 ივლისი. თ.სახოკიას მხედველობაში, სავარაუდოდ, ივოსტორგოვის შემდეგი სიტყვები ჰქონდა: „Дети-абхазцы даже на второй год ученья в школах говорят (რუსულად — ჯ.გ.) почти без всякого акцента. В этом отношении абхазцы выше всех туземцев Закавказья“. — Прот. И.Восторгов. Церковная школа в Закавказьи, გვ.15.

96. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.180, ფ.15.

97. ივერია, 1905, 15 ივლისი; ცნობის ფურცელი, 1905, 22 აპრილი, 5 მაისი, 18 ივნისი.

98. ცნობის ფურცელი, 1905, 7 სექტემბერი.

99. ცნობის ფურცელი, 1905, 19 ნოემბერი.

100. Н.Н.Дурново. Исторический очерк автокефальных церквей Иверской и Имеретинской. М., 1910, გვ. 33, რუსი მეცნიერი რ.დურნოვო თავის შრომებში თ.ქორდანიასთან, ნ.მართან და სხვებთან ერთად აქტიურად იცავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იდეას. — იხ. Ф.Жордания. Краткия историческия сведения об автокефалии Грузинской церкви. Тифлис, 1905; Н.Март Исторический очерк Грузинской церкви с древнейших времен. Ж.Церковные ведомости, 1907, №3; Н.Н.Дурново. Мутный источник. М., 1909, და ა.შ.

101. Правда об автокефалии Грузинской Церкви, გვ.70-72; მიტროპოლიტი ანანია ჭაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, წიგნი III. თბ., 2003, გვ.90-91; გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს., გვ. 161-169 და ა.შ.

102. 1906 წ. 18 იანვარს უწმინდესი სინოდის მიერ შექმნილი განსაკუთრებული სათათბირო არ უნდა აგვერიოს იმავე წლის აგვისტოში შექმნილ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ სათათბიროსთან, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი აკეთებს (იხ. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ.173).

103. ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.24578, ფ.1-1ა.

104. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.1063.

105. იქვე, ს.59.

106. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.175, ფ.1.

107. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.1319.

108. ჯვარი ვაზისა, 1995, I, გვ.156-160.

109. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.1010.

110. იქვე, ს.1011.

111. იქვე, ს.822.

112. იქვე, ს.272.

113. იქვე, ს.411, 1331.

114. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.1179; Г.А.Дзидзария. Формирование, გვ.98-99; Н.Джавахишвили. Георгий Дмитриевич Шервашидзе – достойный сын абхазского народа. _ Кавказский Акцент, 2004, №15, 1-15 августа.

115. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.261.

116. იქვე, ს.276.

117. იქვე, ს.272, 273.
118. იქვე, ს.276, 278, 280, 283. ე.ნიკოლაძე. საქართველოს ეკლესიის ისტორია. ქუთაისი, 1918, გვ.212-215.
119. ნ.დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა, გვ.64.
120. Л.Воронов. Абхазия _ не Грузия. М., 1907, გვ.11.
121. Е.Аджинджал. დასახ.ნაშრომი, გვ.74.
122. ნ.დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა, გვ.64.
123. იქვე, გვ.65.
124. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.278.
125. იქვე, ს.282, 283.
126. ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.24578, ფ.1-1ა.
127. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.177, ფ.3.
128. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.176, ფ.12-16; კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.286, 289.
129. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.273.
130. იქვე, ს.289, 290.
131. ცსია, ფ.1458, აღწ. 1, ს.177, ფ.10-11.
132. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.286.
133. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.49338, ფ.1-2.
134. იქვე, ს.47316, ფ.2-3; ს.49338, ფ.1-10.
135. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.286.
136. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.180, ფ.15. ეპისკოპოს კირიონს სხვა შემ-

თხვევაც ჰქონდა, როცა აფხაზებმა მას აფხაზი მღვდლის ქართველით შეცვლის თხოვნით მიმართეს. ასე მაგალითად, სოფ. ტამიშის დეპუტაციამ ეპისკოპოსს აფხაზი მღვდლის კაკალიას ნაცვლად ქართველი ბენდელიანის (რომლის გარდაცვლილი მამა ათწლეულების მანძილზე ამ სოფლის მღვდლად მსახურობდა) დანიშვნა თხოვა. კირიონმა თხოვნა დააკმაყოფილა; განთავისუფლებული მღვდელი კაკალია კი სხვა სოფელში გადაიყვანა (Закавказье, 1907, 6 ივლისი).

136. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.287.

137. იქვე, ს.284.

138. იქვე, ს.289.

139. იქვე, ს.286, 289.

140. იქვე, ს.84.

141. ჭემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ.14.

142. Л.Воронов. Абхазия _ не Грузия, გვ.7.

143. Цхумели. Абхазия, გვ.8-9;

144. კირიონი. Состояние христианства в Абхазии в первой четверти XIX столетия, გვ.58; ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.15, ფ.1.

145. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.180, ფ.14ა.

146. Цхумели. Абхазия, გვ.16; კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.411, 1331.

147. ჭვარი ვაზისა, I, გვ.156-160.

148. Закавказье, 1907, 6 июля.

149. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.176, ფ.2-9.

150. Черноморские новости, 1906, 8 ноембერი.

151. აქაც და სხვა შრომებში კირიონი პოლიტიკური მოსაზრებებით ყურადღებას არ ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ აფსუები ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში მხოლოდ XVI-XVII სს. ჩამოსახლდნენ.

152. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.180, ფ.1-15ა.

153. Закавказье, 1907, 6 ივლისი.

154. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.177, ფ.3-3ა.

155. იქვე, ფ.5.

156. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.81.

157. იქვე, ს.295.

158. იქვე, ს.894, 895.

159. იქვე, ს.86.

160. Закавказье, 1907, 22 апреля (11 мая). იხ. აგრეთვე ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, გვ.62-63; მისივე — საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში. თბ., 1995, გვ.50-51.

161. ნ.ნ.დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა, გვ.95.

162. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს., გვ.187.

163. Правда об автокефалии Грузинской церкви, გვ.148-149.

164. გაზეთი „ფონი“ 1909 წ. 20 სექტემბერს წერდა, რომ დეკანოზმა ვოსტორგოვმა კომერციული მიზნით „შეიძინა სულ იაფათ სტამბა „Верность“.“

165. Д.Бакрадзе. История Грузии на основе новых изысканий. СПб., 1873, გვ. 3; Т.Жордания. Абхазские катали-

косы. Стоврополь, 1893, გვ. 21-28; А.Хаханов. Древнейшие пределы расселения Грузин по Малой Азии. Тифлис, 1903, გვ. 61-63.

166. Л.Воронов Абхазия _ не Грузия, გვ. 9.

167. В.Н.Татищев. История Российская, т.1. М._Л., 1962, с.171, 418. А.Д'ячков-Тарасов. Гагры и их окрестности. Тифлис, 1903, გვ. 35-37.

168. Л.Воронов Абхазия _ не Грузия. გვ. 18-21.

169. С.М.Ашхацава. Пути развития Абхазской истории. Сухуми, 1925, გვ. 37-38.

170. ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ.28.

171. ღროება, 1909, 18 დეკემბერი; იხ. აგრეთვე Г.А.Дзидзария. Формирование, გვ.137-139, 189-190, 195.

172. ი.გოგებაშვილი, თხზ., ტ.1თბ., 1952, გვ.161.

173. იქვე, ტ.4, თბ., 1955, გვ.200.

174. იქვე, გვ.201.

175. იქვე, ტ.1, გვ.157; ტ.4, გვ.174.

176. იქვე, ტ.4, გვ.200.

177. იქვე, გვ.174-175. აფხაზთა აღზრდა-განათლების საკითხებზე იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები უფრო ვრცლად იხ. წიგნში. ტიტე სარი შვილი. იაკობ გოგებაშვილის ეროვნული პროგრამა და საქართველოს ნაციონალური უმცირესობათა აღზრდა-განათლების საკითხები. თბ., 1990, გვ. 52-85.

178. Л.Воронов. Абхазия _ не Грузия, გვ. 27.

179. იქვე, გვ.35.

180. Л.Воронов Абхазия _ не Грузия. 1995, გვ. 27.

181. იქვე, გვ.33.
182. Ф.Гершельман. Причины неурядиц на Кавказе, გვ. 25-26.
183. იქვე, გვ. 68-72.
184. სვეტიცხოველი, 1917, №4, გვ.16.
185. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.643, 645, 651; Прот. Иоан Иоанович Восторгов, გვ.45.
186. სვეტიცხოველი, 1917, №3, გვ.12.
187. ნ.დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა, გვ.60.
188. ცსია, ფ.1458, აღწ.1, ს.177, ფ.10.
189. იქვე, ფ.11.
190. იქვე, ფ.10-12.
191. ნ.დურნოვო. ბედი ქართული ეკლესიისა, გვ.60.
192. С.Лакоба. Очерки, გვ.57.
193. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.368-369, 731.
194. С.Лакоба. Очерки, გვ.57.
195. ცსია, ფ.488, აღწ.1, ს.26391, ფ.1.
196. იქვე, ფ.2-3.
197. იქვე, ფ.1-5ა; ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, გვ.76.
198. Н.Дурново. Мутный источник, с.3-27; ე.აბრამიშვილი. კირიონის პირადი საარქივო ფონდი, (მიმოხილვა). — მრავალთავი, 1971, №1, გვ.361; ს.ვარდოსანიძე. კირიონის II. ოზურგეთი, 1994, გვ.15. ცსია, ფ.1459 აღწ.1, ს.40, ფ.8; დროება, 1909, 13 თებერვალი.
199. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს.1180.

200. მარკოვ მეორის პიროვნებაზე მეტყველებს სათათბიროს 45-ე სხდომაზე მისი გამოსვლა, სადაც ამბობდა: „Говорят, что я раздражаю своей речью туземцев, но как русский член Думы, я должен сказать инородцам: благоденствуйте, но только под русским знаменем: не надейтесь на автономные республики, их не будет, ибо русский великий, мощный, богатырский народ живет; жизнь его так могуча, что перед нею ваши почтенные мелкие жизни должны стучеваться (рукоплескания справа)“. — Новости Закавказья, 1909, 6 февраля.

201. Новости Закавказья, 1909, 18 февраля.

202. ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ.20-21 (შესწორებული თარგმანით).

203. ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს საეგზარქოსო, გვ. 44-45, 48.

204. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.52995, ფ.1-79. აფხაზური სოფლების „გალაწყვეტილებებიც“ ამ საქმეშია დაცული.

205. Сотрудник, 1912, №5, გვ.66-67; 1914, №4, გვ. 49-52; №9, გვ.129-130; №10, გვ.145-150; 1915, №4, გვ.54-56; Г.А.Дзидзария. Формирование, გვ.190, 191.

206. Сотрудник, 1914, №5, გვ.76-79; №9, გვ.131-141; №10, გვ.155-160.

207. ცსია, ფ.489, აღწ. 1, ს.55788, ფ.38.

208. ცსია, ფ.489, აღწ. 1, ს.55788, ს.1-71; Сотрудник, 1912, №22, გვ.337-339; 1914, №1, გვ.5; 1915, №2, გვ.24-27.

209. კ.კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედლის ტაძარი, ფ.47-48.

210. Закавказье, 1913, 10 დეკემბერი.

211. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი

ხელაია, ბედის ტაუარი, გვ.48.

212. იქვე.

213. Закавказье, 1912, 16 ივნისი (გაზეთის 15 და 16 ივნისის ნომრებში გაგრძელებებით გამოქვეყნებულია ბაკლანოვიკის მღვდლის ავეკუას წერილი „Из жизни и обычаев абхазцев“, რომელშიც საუბარია აფხაზთა რელიგიურ წარმოდგენებზე, წარმართულ წეს-ჩვეულებებზე, ქორწინების რიტუალზე; 1914 წ. მან გამოაქვეყნა წერილი „Брачный обычай в Абхазии. _ Сотрудник, 1914, №5, გვ.72-76; №6, გვ.90-93). ეპისკოპოს ანდრიას წერილი გამოქვეყნებულია აგრეთვე კ.მაქავარიანის წიგნში, სადაც მისი ბოლო ნაწილი ასე გამოიყურება: „... О нашествии турецких подданных туда, где в благодатном климате могли бы кормиться тысячи русских мужиков, выселяемых на Амур... Все это справедливо, но причем тут Грузины“. (К.Мачавариани. Описательный путеводитель, გვ.191-193). უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩამატებული სიტყვები გაზეთმა არ დაბეჭდა, კ.მაქავარიანი კი, ალბათ, წერილის დედანით სარგებლობდა.

214. Закавказье, 1913, 10 აპრილი.

215. იქვე, 11 აპრილი.

216. К.Д.Мачавариани. Описательный путеводитель, გვ.190-191.

217. იქვე, გვ.347.

218. ივერია, 1903, 22 ივლისი.

219. Закавказье, 1913, 7 და 8 დეკემბერი.

220. Материалы по археологии Кавказа. вып. IV. с.9.

221. იქვე, вып. III, გვ.11.

222. Кавказ. Абхазия, Аджария, Шавшетия. Путевые заметки графини Уваровой. ч II. М., 1891, გვ. 111-112.

223. Закавказье, 1913, 8 დეკემბერი.
224. იქვე, 10 დეკემბერი.
225. იქვე, 11 აპრილი.
226. იქვე, 12 დეკემბერი.
227. იქვე, 13 დეკემბერი. მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამდა ნიკო ჯანაშიაც (აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მამა) და ცნობილი აფხაზი სეპარატისტი ს.ბასარია მას ეთანხმებოდა (იხ. მეექვსე თავი).
228. Закавказье, 14 დეკემბერი.
229. Отчет общества... за 1892 г., გვ.59; Отчет состоящего под Августейшим покровительством ея Императорского Величества, Государыни Императрицы Марии Федоровны, Общества возстановления православного христианства на Кавказе за 1906 и 1907 г.г. Тифлис, 1909, გვ.19; Обзор, გვ.65.
230. Сотрудник, 1912, N6, გვ.92-93.
231. იქვე, N10, გვ.152.
232. იქვე, №11, გვ.173, 176.
233. იქვე, №13, გვ.204-207.
234. იქვე, №11, გვ.161-166.
235. ს.ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის, გვ.32.
236. ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.1439, ფ.1-9. სხვა წყაროებზე დაფუძნებული ადრინდელი ჩვენი მოსაზრება მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის 1913 წ. 1 სექტემბერს შექმნის შესახებ, როგორც ჩანს, სინამდვილეს არ შეეფერება (იხ. ჯ.გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ.35).
237. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.55664, ფ.1; ფ.493, აღწ.1, ს.1439, ფ.14.

238. ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.1439, ფ.12-12ა, 15-17, 18-18ა.
239. Сотрудник, 1914, №4, გვ.58-60; №15, გვ.235-237; Г.А.Дзидзария. Формирование, გვ.193.
240. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.56987, ფ.1.
241. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში 1990-1991 წწ. მოძიებული მასალებიდან (ფ.ი. — 1, აღწ. III, ს.7091, ფ.3,5,6; ს.7663, ფ.8).
242. Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.382.
243. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში 1990-1991 წწ. მოძიებული მასალებიდან. — ფ.ი. — 1, აღწ.3, ს.7091, 7663.
- 243ა. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.59474, ფ.1-2°.
244. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.51847, ფ.26ა, 47-48; ს.54950, ფ.135-136.
245. К.Мачавариани. Описательный путеводитель, გვ.179; ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.51845, ფ.1-60.
246. Сotpyдник, 1912, №11, გვ.167. К.Мачавариани. Описательный путеводитель, გვ.44; ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.50858, ფ.1-30.
247. К.Мачавариани. Описательный путеводитель, გვ.150; ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.58702, ფ.1-122.
248. Сotpyдник, 1912, №10, გვ.160; ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.47984, ფ.2-3ა; ს.54950, ფ.1-144.
249. ცსია, ფ.493, აღწ.1, ს.487, ფ.6-7.
250. ჯ.გამახარია. აფხაზეთი, გვ.59-61; Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.378-379.
251. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.54999, ფ.70-77; ს. 58705, ფ. 1-68.
252. იქვე, ს. 53061, ფ. 13-19, 21-27, 33-36; ს. 54998, ფ. 12-16, 22-27, 32-36.
253. იქვე, ს. 53061, 53087, 54998, 54999, 56385, 58705.

254. Известия Императорской Академии Наук. VI серия, 1912, №5, გვ.423-432; №11, გვ.697-706.

255. სახალხო ფურცელი, 1915, 25 ოქტომბერი.

256. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.59479, ფ.1-3.

257. საქართველო, 1916, 27 მარტი.

258. იქვე, 5 მაისი.

259. ქეთევან პავლიაშვილი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, გვ.78-79.

260. საქართველო, 1916, 16 აპრილი.

261. იქვე, 4 თებერვალი.

262. იქვე, 5 მაისი.

263. იქვე, 28 აპრილი.

264. ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ.30-31.

265. საქართველო, 1916, 4 მაისი.

266. საქართველო, 1916, 20 აპრილი.

267. საქართველო, 1916, 5 მაისი.

268. იქვე.

269. ცსია, ფ.489, აღწ.1, ს.64355, ფ.4-5.

10. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაზე მისი იუხისდიქციის გავრცელება

1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობას ეკლესია მშვიდად შეხვდა. უწმინდესმა სინოდმა 6 მარტს, მოისმინა რა ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ, ცნობად მიიღო მომხდარი და დაადგინა, ყველა ტაძარში — ქალაქად და სოფლად — გადაიხადონ პარაკლისი „მშვიდობიანობისათვის და რუსეთის საღვთისმშობლისა“.¹

1917 წლის 2 მარტს პეტროგრადში რუსეთის დროებითი მთავრობა ჩამოყალიბდა თავად გ. ლვოვის თავჯდომარეობით. კავკასიაში მეფისნაცვალის ნ.ნ. რომანოვი ახალმა მთავრობამ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნა, ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა კი განსაკუთრებულ კომიტეტს-ოზაკომს ჩააბარა. ამ ორგანოს ხელმძღვანელი და დროებითი მთავრობის წარმომადგენელი (კომისარი) ამიერკავკასიაში გახდა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან, 1869 წლიდან ოქუშუმის ხარების ეკლესიის მღვდლის, შემდგომში სამურზაყანოს ბლალოჩინის იოანე ჩხენკელის შვილი, სამეგრელოს სასულიერო სკოლის კურსდამთავრებული აკაკი ჩხენკელი. 1917წ. 10 მარტს სოხუმში შეიქმნა ოზაკომს დაქვემდებარებული ხელისუფლების ადგილობრივი (საოლქო) ორგანო — საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი ა. შერვაშიძის ხელმძღვანელობით. იგი მალე დ. ზახაროვმა შეცვალა. სოხუმის ქალაქის თავი ბ. ჩხიკვი შვილი გახდა.

ქართულმა სამღვდლოებამ ისარგებლა იმპერიაში ვითარების

კარდინალური შეცვლით, ღრმა დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებით და 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში ქართველი სასულიერო პირებისა და მრევლის წარმომადგენელთა კრება მოიწვია, რომელმაც ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო — აღადგინა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია. მიესალმა რა მეფის ხელისუფლების დამხობას და დროებითი მთავრობის შექმნას, კრებამ კათალიკოსის არჩევამდე საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა სამღვდელთა და საერო პირთაგან შემდგარ დროებით კომიტეტს დაავალა, რომელსაც სათავეში გურიასამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე) ჩაუგა. კომიტეტმა ეგზარქოს პლატონს საქართველოს საკათალიკოსოს საზღვრებში მართვა-გამგეობის უფლება ჩამოართვა.²

რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917წ. 27 მარტს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა არატერიტორიული, არამედ ეროვნული ნიშნით აღიარა. იმავე დღეს თბილისში შემდგარმა რუსული სამღვდელოებისა და მრევლის წარმომადგენელთა კრებამ უარი თქვა საქართველოს საკათალიკოსოს შემადგენლობაში შესვლაზე და უწმინდეს სინოდს ამიერკავკასიის საეგზარქოსოს დაარსების თხოვნით მიმართა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917წ. 1 ივლისს უწმინდეს სინოდთან შეთანხმებით დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დროებითი წესები, რომელთა თანახმადაც საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა მხოლოდ მართლმადიდებლური ქართველობა რუსეთის იმპერიის მაშტაბით; აფხაზებს, ოსებს და სხვა ერის წარმომადგენლებს სურვილისამებრ შეეძლოთ ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შესვლა. იმავე წლის 14 ივლისს უწმინდესმა სინოდმა კავკასიაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მოწყობის დროებითი წესები დაამტკიცა; საქართველოს ეგზარქოსს კავკასიის ეგზარქოსისა და თბილისის მიტროპოლიტის წოდება მიანიჭა; საეგზარქოსო იყოფოდა მისდამი დაქვემდებარებულ ეპარქიებად.³ ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფამ ქართულ და რუსულ სამღვდელოებას შორის წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაამწვავა. 1917 წლის 13 აგვისტოს უწმინდესი სი-

ნოდის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ქართულმა სამღვდლოებამ თავად აირჩია თბილელი მიტროპოლიტი — ეპისკოპოსი ლეონიდი. 23 აგვისტოს, როცა პლატონი მოსკოვში რუსეთის საეკლესიო კრებაზე იმყოფებოდა, თბილისის სამღვდლოებამ ლეონიდის ხელმძღვანელობით მისი რეზიდენცია დაიკავა. 25 აგვისტოს ყოფილმა ეგზარქოსმა „წესრიგის გარეშე“ სიტყვა ითხოვა და კრებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების, მისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე აუწყა. იქვე დასძინა: „დღეს მივიღე დეპეშა, საიდანაც სჩანს, რომ ქართველების ბრბომ ქართველი ეპისკოპოსის ლეონიდის მეთაურობით და მილიციის მონაწილეობით დაიჭირა ეგზარქოსის სახლი, დაბეჭდა ეკლესია“. თავჯდომარის წინადადებით რუსეთის საეკლესიო კრებამ პროტესტის დადგენილება გამოიტანა და დროებით მთავრობას აცნობა. ტრიბუნაზე ასულმა სარწმუნოების მინისტრის (ა. კარტაშოვის) მოადგილემ (ამხანაგმა) ბ. კოტლიაროვსკიმ განაცხადა, რომ სამინისტრო „უერთდება კრების პროტესტს“. თბილისის პოლიციის უფროსმა ამიერკავკასიის კომისარს — ა. ჩხენკელს მომხდართან დაკავშირებით მოახსენება წარუდგინა, სადაც უარყოფილია რუსეთის საეკლესიო კრებაზე პლატონის განცხადებაში მოტანილი ცალკეული ფაქტები უკანონო ქმედებათა შესახებ.⁴

რუსეთის რევოლუციის შედეგად მომხდარი ცვლილებები აფხაზეთის ეკლესიურ ცხოვრებაზეც აისახა. 1917წ. თებერვლის მოვლენების წინა პერიოდში ვითარება სოხუმის ეპარქიაში ისედაც დაძაბული იყო. ქართული სამღვდლოება ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა ანტიქართულად განწყობილ სერგის, რომელიც რევოლუციამდეც და მის შემდეგაც სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის იდეას აქტიურად მხარს უჭერდა.

1917წ. 27 თებერვალს — იმ დღეს, როცა პეტერბურგში გამოცხადდა იმპერატორის დამხობის შესახებ, სოხუმის საქალაქო საბჭო ეკლესიის საკითხს იხილავდა. ერთი კვირით ადრე — 20 თებერვალს, ეპისკოპოსის დავალებით, იგი დეკანოზმა გ. გოლუბცოვმა გამოიტანა. მაშინ დეკანოზს ასეთი განცხადება გაუკეთებია: „10 თებერ-

ვალს ადგილობრივ არქიელს ესაუბრა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწე თავადი ქვეახოვი, რომელმაც გამოგვიცხადა, რომ სოხუმის ეპარქია იყოფა ორ ნაწილად: ჩერნომორიის გუბერნიას ეძლევა საკუთარი კათედრა ეპისკოპოზისა და ეს კათედრა იქნება ქ. ნოვოროსიაში, ხოლო სოხუმის ოლქი — აფხაზეთი მიეწერება ქ. ქუთაისს და, ამრიგად, სოხუმში ისპობა ეპისკოპოზის კათედრა. აი, ამიტომ არქიელმა დამავალა, ვსთხოვო ქალაქის თვითმმართველობას აღძრას, სადაც ჯერ არს შუამდგომლობა სოხუმში კათედრა არ მოისპოსო“. გაზ. „სახალხო ფურცელის“ ცნობით, ქალაქის საბჭოს წევრებმა საკითხის შესწავლას ერთი კვირა მოანდომეს და სწორედ 27 თებერვალს კვლავ მის განხილვას დაუბრუნდნენ. გაირკვა, რომ, თავად ქვეახოვის მტკიცებით, ქ. ქუთაისში არსდებობდა მიტროპოლიტის კათედრა, რომელსაც აფხაზეთის ეპარქიაც დაემორჩილებოდა. „საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, კათედრა არ მოისპოს სოხუმში“. სხდომაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა — „გამოეყოს სოხუმის ეპარქია აფხაზეთ-საქართველოს ეკლესიას, თუ მისივე ნაწილად დარჩეს“. ამ საკითხს დიდი კამათი გამოუწვევია. „აფხაზი ხმოსნები (ნ. ჯანაშია და ტიმოთე ანუა) და ქართველი ხმოსნები ამტკიცებდნენ ამ ორ მონათესავე ეროვნების მტკიცე შეკავშირების აუცილებლობასა სარწმუნოების საკითხშიაც, ხოლო დეკანოზი გოლუბცოვი თავისი პარტიით აფხაზეთის საქართველო-აფხაზეთის ეკლესიიდან განთიშვას ლამობდა. კენჭი ეყარა ორს რეზოლუციას — დეკანოზ გოლუბცოვისას — სრულიად ჩამოშორდეს სოხუმის ეპარქია საქართველოს საეგზარქატოსო, რომელმაც მიიღო 6 თეთრი და 17 შავი, ხოლო მეორე რეზოლუციამ მიიღო 17 თეთრი და 8 შავი, სამმა თავი შეიკავა. აი, თვით რეზოლუცია: „Сухумская городская дума, осведомившись о предполагаемых изменениях в деле управления Сухумской епархией в смысле объединения последней с Иверской церковью, приветствует такое начинание, как первый шаг к восстановлению исторических и канонических прав Абхазской _ Грузинской церкви и просит святейший прави-

ტელსტუვოუში სინოდობა ატოვონი სუხუმსკოი კაფედრის ნაინოვონი ია აბხაზსკოი”. მომყავს ტექსტი რუსულად, რომ ჩვენ მტერ-მოყვარეებმა დამახინჯება არ დამწამონ. გასაკვირველია ჩვენი მდგომარეობა. ჩვენს წმინდათა წმინდას არამკითხე მოამბენი თავისი არა სუფთა ხელებით გვირევენ, გვიბილწავენ, ხოლო არ გვეკითხებიან ჩვენ, ვისაც პირადით ეს საქმე ეხება, ესე იგი ქართველ აფხაზთა... გარნა, მათდა საუბედუროდ, ქართველთა და აფხაზთა თვით შეგნება იმდენად ალიზარდა და განმტკიცდა, რომ მამავოსტორგოვები მათ — აფხაზ-ქართველთათასი წლების ჭირსა და ლხინში გადადუღებულ დულაბს, მტკიცედ შეკრულ ერთობას ვერას უზამენ: ფუჭი და ამოა ყოველივე მათი ცდა ამენაზე“. ⁵ გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აღრეც (1917წ. 1 მარტს) იტყობინებოდა პირველი მსოფოლიო ომის (რომლის სიმძიმე აფხაზეთში ყველაზე მეტად ქართველებს დააწვა) წლებში ქართველთა და აფხაზთა შეკავშირების, ურთიერთ თანადგომის შესახებ.

სოხუმის ეპისკოპოსი სერგი, მიუხედავად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისა, კვლავ ეგზარქოს პლატონს ემორჩილებოდა. ქართულ ეკლესიას არც აფხაზეთის ყველაზე სახელგანთქმულ უძველეს მონასტრებში მოკალათებული რუსი ბერები ცნობდნენ. მაგალითად, დრანდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის იღუმენი იულიანე 1917წ. 2 ივნისს ამიერკავკასიის საეკლესიო კრების (რუსების მოწვეულის) დროებით კომიტეტს სთხოვდა ასლს ამ კომიტეტის შემადგენლობაში შემავალ შემთანხმებულურ კომისიაში ქართველების მიერ შემოტანილი განცხადებისა, სადაც ისინი დრანდის მონასტერზე პრეტენზიას აცხადებდნენ. იღუმენს აინტერესებდა: „Нельзя ли сейчас получить копию заявления грузин о праве их на Драндский монастырь; что необходимо для своевременного составления по сему мотивированного ответа. Подлежат ли рассмотрению согласительной комиссии дела о реквизиции в монастырях разных предметов, в случаях если те предметы незаконно реквизированы, благодаря проiscaм со стороны грузин“.⁶ როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული ავტო-

კეთალური ეკლესიის იურისდიქციის აფხაზეთზე გავრცელების ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეები რუსი ბერები აღმოჩნდნენ.

1917 წლის 24-27 მაისს შედგა აფხაზი სამღვდელთა და აფხაზური სამრევლოების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც წარმართავდნენ მუგუძირხვის წმ. ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის მღვდელი, ბოლშევიკი (!) ვასილი აგრაბა და ასევე ბოლშევიკური პარტიის მხარდამჭერი პირები — პედაგოგები სიმონ ბასარია, სამსონ ჭანბა და ლიხნის ეკლესიის მედავითნე მიხეილ ტარნავა. როგორც კი ქართული ეკლესიის დროებითი გამგეობისათვის ცნობილი გახდა აფხაზური სამღვდელთა ყრილობის დანიშვნის შესახებ, გადაწყდა სოხუმში კოტე აფხაზის თავმჯდომარეობით დელეგაციის მივლინება, რათა გაემართათ მოლაპარაკება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ. 1917 წლის 16 მაისს ეპისკოპოს ლეონიდისადმი წერილში კოტე აფხაზმა უარი თქვა სოხუმში გამგზავრებაზე იმ მოტივით, რომ იქარავის იცნობდა, საქმე კი „მეტისმეტად პასუხსაგებია თვისის შედეგით ჩვენი ისტორიის წინაშე და მისი განხორციელება აღემატება ჩემს ძალღონეს“.⁷ დელეგაცია სოხუმში მაინც ჩავიდა. როგორც ს.ბასარია წერდა, მის შემადგენლობაში იყვნენ გენერალი გაბაევი, თავადი ნიჟარაძე და ქართული ავტოკეფალური ეკლესიის პროკურორი. თბილისელი სტუმრები აფხაზებს ქართულ ეკლესიასთან გაერთიანებისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ უარი მიიღეს. ნ.თალაკვაძის ერთ-ერთი წერილის მიხედვით, სოხუმში მაშინ ჩავიდნენ პ.გოთუა, მ.მაჩაბელი და გენერალი ვ.გაბაშვილი.⁸

ყრილობამ მოისმინა მ.ტარნავას მოხსენება (რომელიც მერე შეივსო და ბროშურის სახით გამოქვეყნდა) და მიიღო გადაწყვეტილება „образовать отдельную, независимую и вполне самостоятельную Абхазскую церковь с пребыванием выборного от Абхазской церкви со всем необходимым для сего учреждениями в г. Сухуме“. გადაწყვეტილების ეს ტექსტი გაეგზავნა უწმინდეს სინოდს, დროებით მთავრობას და სოხუმის ყოფილ, იმხანად კი უფის ეპისკოპოს ანდრიას. ამ უკანასკნელისადმი გაგზავნილ დეპეშაში გამოხატული იყო ღრმა პატივისცემა ყო-

ფილიეპისკოპოსის მიმართ და სთხოვდნენ მას „содействия в разъяснении перед Святейшим Синодом прав Абхазской национальной церкви“. ბოლშევიკ-მღვდელისა და მობოლშევიკო საერო პირების მიერ მოწყობილ ყრილობაზე არჩეულმა საბჭომ ქართული ავტოკეფალური ეკლესიის დროებით ხელმძღვანელობას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „Представители абхазских приходов в лице абхазского духовенства и выборных мирян всей Абхазии от имени церкви Абхазской приветствует многострадальную Грузинскую церковь и восстановленную ею автокефалию. Святая Грузинская церковь в муках родила эту независимость и, по историческому праву, она достойна автокефалии. Судьба одинаково была безжалостна как для церкви Грузинской, так и для Абхазской, а потому Абхазская церковь надеется, что Грузинская автокефальная церковь окажет ей свою обычную любовь восстановленной, независимой и вполне самостоятельной Абхазской церкви с пребыванием выборного от абхазского народа Епископа с предоставлением ему всех прав главы независимой национальной Абхазской церкви со всеми необходимыми для сего учреждениями в г. Сухуме“.⁹

1917 წლის 28 მაისს ყრილობის დადგენილებების ის ვარიანტი, რომელიც დროებით მთავრობას და უწმინდეს სინოდს გაუგზავნეს, ვ. აგრბას ხელმოწერით გადაყენებულ საქართველოს რუს ეგზარქოსსაც მიართვეს (მიღებულია თბილისში 31 მაისს). ჭ. პავლიაშვილი არასწორად ათარიღებს (1917 წლის 31 იანვრით) აღნიშნულ დოკუმენტს და ასევე არასწორად გადმოგვცემს მის შინაარსს. დეპეშაში ვკითხულობთ: „აფხაზეთის მრავალტანჯულმა ეკლესიამ, რომელმაც ადრე თავის ეკლიან ისტორიულ ჯვაროსნულ გზაზე საშინელებები განიცადა („претерпевшая ужасы“), შექმნა ცალკე, დამოუკიდებელი, სავსებით თვითმდგომი აფხაზური ეკლესია აფხაზი ხალხისაგან არჩევითი, დამოუკიდებელი ეროვნული აფხაზური ეკლესიის მეთაურის მთელი უფლებებით აღჭურვილი ეპის-

კობოსის, საამისოდ აუცილებელი ყველა დაწესებულების ადგილ-სამყოფელით ქ. სოხუმში".¹⁰ ქ. პავლიაშვილი იგივე წყაროზე მითითებით წერს, რომ დეპეშის ავტორი (დეპეშის მიმღებმა — აგრბას ნაცვლად შეცდომით აშრობო ჩაწერა, რასაც ქ. პავლიაშვილიც იმეორებს) ითხოვს გაითვალისწინონ აფხაზეთის ეკლესიის ისტორიულად მძიმე ხვედრი, რომ ბოლო დროის მოვლენებმა, როდესაც აფხაზ ხალხს თავისი ეროვნული ეკლესია ელირსა, უკანონო იქნებოდა აქ სოხუმის საეპისკოპოსო კათედრის გაუქმება. "11 როგორც ვნახეთ, მსგავსი არაფერი ეწერა იმ დეპეშაში. აფხაზი სამღვდლოებისა და მრევლის ყრილობის ერთ-ერთი ორგანიზატორი მ. ტარნავა 1917წ. გამოცემულ ბროშურაში აღნიშნავდა, რომ „ისტორიული მონაცემების საფუძველზე ყრილობამ აღიარა ავტოკეფალური ეკლესიის უფლებები, მაგრამ დაზარალებული აფხაზი ხალხის ჩვეულებრივმა თავმდაბლობამ შეუშალა ხელი მოეთხოვა აფხაზური ეკლესიის სრული რესტავრაცია".¹²

ქართული ეკლესიის დროებითი ხელმძღვანელობის რეაქციაზე აფხაზური სამღვდლოების ყრილობის გადაწყვეტილებების მიმართ შეიძლება ვიმსჯელოთ თავად აღ. შერვაშიძის სახელზე სოხუმში გასაგზავნი სამადლობლო დეპეშის (ასლი ეგზავნებოდა სამღვდლოების ყრილობის თავმჯდომარეს ს.ბასარიას) პროექტის მიხედვით (შეადგინა პართენ გოთუამ). მისი შინაარსი ასეთი უნდა ყოფილიყო: „От имени временного управления грузинской церковью и от себя приношу Вам и всему абхазскому духовенству и народу искреннюю благодарность за теплое приветствие грузинской церкви, а также братский прием командированной нами делегации. შემდეგ რაც გნებავთ დაუმატეთ. კარგი იქნება ჩვენ მოვიხსენიოთ, რომ окажем всемерное содействие расцвету самостоятельной, независимой братской нам абхазской церкви".¹³ პროექტის მიხედვით, დეპეშისათვის ხელი ეპისკოპოს ლეონიდეს უნდა მოეწერა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ჭერ-ჭერობით უცნობია, გაიგზავნა თუ არა სოხუმში ეს დეპეშა. მისი პროექტის შინაარსიდან კი ირკვევა,

რომ საქართველოს ეკლესია აფხაზთა ყრილობის გადაწყვეტილებებს დიდად სახიფათოდ არ მიიჩნევდა.

აფხაზი სამღვდელოებისა და მრევლის წარმომადგენელთა ყრილობამ ფაქტობრივად პოლიტიკური, სეპარატისტული ხასიათის გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც არაფერი აქვს საერთო „მრავალტანჯული აფხაზეთის ეკლესიის“ ეკლიან ისტორიულ გზასთან. საექვოა, ყრილობის მუშაობაში აფხაზ მღვდლებს შორის ბოლშევიკვ. აგრბას გარდა სხვა ვინმეს (დეკანოზ დ. მარლანიას, მღვდლებს — ნ. ლადარიას, ნ. პატეიფას, კ. ბარციცს და სხვებს) მიეღო მონაწილეობა, ვინაიდან ეპისკოპოს სერგისტან ისინი ძალიან დაახლოებულები იყვნენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თბილისშივ. აგრბას ხელმოწერილი დეპემის პარალელურად (თითქმის ერთდროულად) ეპისკოპოსმა სერგიმ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ვ. აგრბას (ასევე ი. ნაჭყბიას) მღვდლისათვის შეუფერებელი საერო მოღვაწეობის (მიწის განაწილება, თამბაქოს წარმოება, რევოლვერის ტარება და ა.შ.) თაობაზე ჩატარებულ გამოძიების მასალები გამოუგზავნა.¹⁴

აფხაზთა საეკლესიო ყრილობის გადაწყვეტილებისათვის სერიოზული ყურადღება არც მოსკოვში, არც თბილისში და სოხუმშიაც კი არ მიუქცევიათ, თუმცა რუსებმა რამდენჯერმე სცადეს მისი გამოყენება. 1917წ. ზაფხულში ქ. პეტროგრადში საქართველოს ეკლესიის წარგზავნილებს (ეპ. ანტონს, არქიმანდრიტ ამბროსის და დეკ. კალისტარტეს), რომლებიც ტერიტორიულ (და არა ეროვნულ) ავტოკეფალიას მოითხოვდნენ, სინოდის ობერპროკურორმა განუცხადა: „რუსები უარს ამბობენ დაემორჩილონ საქართველოს კათალიკოზს, აფხაზები კი უეპისკოპოსო ავტოკეფალიას მოითხოვენ“.¹⁵ მას მხედველობაში ჰქონდა აფხაზთა 1917წ. მაისის ყრილობის გადაწყვეტილება, რომლის შინაარსსაც შეგნებულად ამახინჯებდა — უეპისკოპოსო ავტოკეფალიას ითხოვენო (სინამდვილეში, ყრილობის ორგანიზატორები აფხაზეთის სრულუფლებიანი ეპისკოპოსის არჩევას მოითხოვდნენ). ამ „არგუმენტის“ მოშველიებით ობერ-პროკურორი მხოლოდ ქართველთა ეროვნულ ავტოკეფალიას ეთანხმებოდა. აფხაზური სამღვდელო-

ების ყრილობის გადაწყვეტილებებს, საპიროების შემთხვევაში, სოხუმის ეპისკოპოსის კანცელარიაშიც აფრიალებდნენ. კანცელარიის მდივანმა ტ.ავტონომოვმა 1918 წ. 30 მარტს აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ცალკეული სამრევლოების ქართული ეკლესიისათვის გადაცემის მოთხოვნაზე უარი იმითაც „დაასაბუთა“, რომ 1917 წლის ყრილობის მიერ აფხაზეთის ეკლესია გამოცხადებულია „самостоятельно, вполне независимо“.¹⁶

აფხაზთა საეკლესიო ყრილობა გაიხსენა აფხაზეთის განათლების საქმეთა კომისარმა ი.ლორთქიფანიძემ, როცა იგი 1919წ. 18 ნოემბერს სახალხო საბჭოს სხდომაზე გამოდიოდა. კომისარმა აღნიშნა, რომ 1917წ. მაისში „управляли церковью люди, не имевшие ничего с нею общего“.¹⁷ ეს სიტყვები ადასტურებენ, რომ აფხაზი სამღვდლოებისა და მრევლის ყრილობასინამდვილეში სეპარატისტულად განწყობილ საერო პირთა (მღვდლებოლ შევიკთან ერთად) შეკრებას წარმოადგენდა, რომელმაც აფხაზური ეკლესიის დროებითი „მმართველი“ საბჭო აირჩია. მისი გადაწყვეტილებები XXს. 90-ნი წლების სეპარატისტული მოძრაობის აღმავლობამდე არავის გახსენებია. დღეს ეს მასალები აფხაზეთის ეკლესიის „დამოუკიდებლობის“ დასაბუთებისათვის გამოიყენება.¹⁸

აფხაზთა სეპარატისტულ ყრილობას მაშინათვე (1917 წლის ივნისის დასაწყისში)სამურზაყანოს სამღვდლოების კრება მოჰყვა, რომელმაც მხარი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას დაუჭირა. 1917 წლის 3 ივნისს ქართული ეკლესიის დროებითი ხელმძღვანელი ორგანოს სახელით გალში ასეთი შინაარსის დეპეშა გაიგზავნა:

„Благочинному Сванидзе передать съезду духовенства.

Автокефальная грузинская церковь шлет своим духовным чадам духовенству и пастве Самурзакано-Сухумского округа свое благословение на труды съезда по устройению церковно-общественной жизни на новых началах“.¹⁹

1917წ. 8 (21)სექტემბერს სიონში საქართველოს საეკლესიო კრება გაიხსნა 620 დელეგატის მონაწილეობით. აფხაზეთ-

სამურზაყანოდან წარმოდგენილი იყო 22 დელეგატი, მათ შორის რაფაელ ჩხოტუა (1918წ. აფხაზეთის საქმეთა მინისტრი საქართველოს მთავრობაში), რომელიც კრების პრეზიდიუმის წევრად იქნა არჩეული. მეორე დღეს დელეგატებმა რამდენიმე მისალოცი დეპეშა მოისმინეს, მათ შორის რუსეთის დროებით მთავრობაში სარწმუნოების მინისტრის ა. კარტაშოვის მუქარებით სავსე „მოსალმება“. მინისტრის დეპეშით გამოწვეული „უსიამოვნო შთაბეჭდილება, — წერდა გაზეთი „საქართველო“, — გაფანტა აფხაზეთიდან წარმოგზავნილმა მოსალმებამ ანჩაბაძის (ოტობაიელი თავადი პეტრე ანჩაბაძე — ჯ.გ.) მიერ, რომლითაც მოითხოვდნენ ჩვენთან ისტორიულ ძმობის აღდგენას და შეერთებას. არქ. ამბროსიმ (ხელაიამ — ჯ.გ.) დეპეშის ტექსტის წაკითხვის შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აფხაზეთის შესახებ, შეეხო ისტორიულად, აღნიშნა დიადი მნიშვნელობა და შინაარსი ამ დეპეშისა და თანაც ნებართვა აიღო პასუხის ტექსტი შეედგინა, ვინაიდან თვით დეპეშა მის სახელობაზე იყო გამოგზავნილი. კრებამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. შემდეგ ჩხოტუამაც, როგორც აფხაზმა, თავის მხრით, სალაში უძღვნა კრებას და ისტორიულ ფაქტად აღიარა ამიერიდან ამ ორი ხალხის ძმობის აღდგენა“.

1917წ. 17 სექტემბერს საეკლესიო კრებამ პირველ კათოლიკოს — პატრიარქად სოხუმის ყოფილი ეპისკოპოსი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაუღალავი მებრძოლი და ამისათვის წამებული კირიონი აირჩია.

ყრილობამ აფხაზეთის დელეგატთა თვალსაზრისის გათვალისწინებით შექმნა ეპარქია „ცხუმ-ბედიისა (ტერიტორია ძველი ეპარქიების დრანდისა, იმავე ცხუმის, ბედიისა და ბიჭვინთისა), ეხლანდელი სოხუმის ოლქი გაგრის უბნის მიმატებით, კათედრა მღვდელმთავრისა — ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია იქვე. მღვდელმთავრის პატივი არის — „ცხუმ-ბედიელი ეპისკოპოზი“²⁰ ახალი ეპარქიის ჩამოყალიბებამდე აფხაზეთი დროებით გურია-სამეგრელოს (ჟყონდიდის) ეპარქიაზე იყო მიწერილი.

1917 წლის 17 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ თავის გუჯარში „საქართველოს ეკლესიის სამწყაოს მი-

მართ“ ოთხი ძირითადი ამოცანა (საზრუნავი) ჩამოაყალიბა. პირველი იყო განმტკიცება „ახლად აღდგენილ ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში“¹⁷ (აგრეთვე, ერის მთლიანობა, დამოუკიდებლობა, ქართველთა თანხმობა; სხვადასხვა აღმსარებლობის ერებს შორის კავშირის განმტკიცება; სწავლა-განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა). ამ ფარგლებში, ბუნებრივია, აფხაზეთიც იგულისხმებოდა. რუსეთის ეკლესიის სინოდი და პატრიარქი ნიკონი კვლავ არ აღიარებდნენ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას; ცდილობდნენ სოხუმის ოლქში ეპისკოპოს სერგის დატოვებას, მისთვის აფხაზურ-რუსულბერძნული სამრევლოების დამორჩილებას. სერგი მართლაც დარჩა აფხაზეთში. იგი კავკასიის ეგზარქოსისა და თბილისის მიტროპოლიტის ტიტულის უკანონოდ მატარებელ პლატონს ემორჩილებოდა. ეპისკოპოს სერგის გამგებლობაში დარჩა 30 აფხაზური, 11 ბერძნული და 6 რუსული სამრევლო.²² აფხაზურ სამრევლოებში მღვდლების უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ, რომლებიც პირველი შესაძლებლობისთანავე მზად იყვნენ ქართულ ეკლესიასთან გაერთიანებისათვის. საქართველოს საკათალიკოსოს იურისდიქციაში შემოვიდა 50 ქართული სამრევლო, მათ შორის მთლიანად სამურზაყანო. სოხუმის რუსი ეპისკოპოსი ეწინააღმდეგებოდა ილორისა და ბედიის სამრევლოების ქართული ეკლესიის იურისდიქციაში გადასვლას. ამასთან დაკავშირებით, ჭყონდიდის მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია თავის წერილში ისტორიული საბუთების მოშველიებით ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მეგრელებით დასახლებული ილორი — სამურზაყანოს ნაწილია. ეს გარემოება, აღნიშნავდა მიტროპოლიტი (წერილს ხელს აწერდა ამ-ბერი-ს ფსევდონიმით), სოხუმის სასულიერო მთავრობას უნდა გაეთვალისწინებინა; „მაშინ, რასაკვირველია, თუ მას აინტერესებდა ხალხში სარწმუნოების განმტკიცების საქმე და არა პოლიტიკანობა, ამნაირად არ შეჰხედავდა ამ საკითხს და ილორს და მის დიდებულ ისტორიულ-სარწმუნოებრივ და ქართველთა ეროვნულ ნაშთებზე ნებით ხელს აიღებდა, როგორც საქართველოს ეკლესიის უტყუარ კუთვნილებას“.²³

რუსები არა მხოლოდ ილორისა და ბედის, არამედ სხვა ქართული სამრევლოების დათმობასაც არ აპირებდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ეკლესიების შემოერთებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას ქართული სახელმწიფოს არარსებობის პირობებში ძალიან უჭირდა თავისი იურისდიქციის გავრცელება აფხაზეთზე, სადაც ათწლეულების მანძილზე ანტიქართული სულისკვეთება იწერებოდა. იგივე სამურზაყანოც კი, რომლის სამღვდელოებამ 1917 ივნისში მიიღო გადაწყვეტილება ქართულ ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ, ჯერ კიდევ სოხუმის რუსი ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში რჩებოდა. საჭირო იყო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა.

1917 წლის 2 ნოემბერს საკათალიკოსო საბჭომ იმსჯელა ცხუმის (აფხაზეთის) კათედრის აღდგენის, აფხაზეთთან ძმური კავშირისა და სარწმუნოებრივ-ეკლესიური ერთობის განმტკიცების საკითხებზე. ვინაიდან აფხაზეთი ჭყონდიდის (გურია-სამეგრელოს) ეპარქიაზე იყო მიწერილი, საკათალიკოსო საბჭომ თხოვნით მიმართა მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია), რათა „მიმოვლოთ ეს მხარე (აფხაზეთი) და გააცნოთ ადგილობრივი მკვიდრნი, თუ რაოდნად მიუცილებელი საჭიროება არის, როგორც ქართველთათვის, ისე კიდევ უფრო აფხაზთათვის, განახლება იმ სარწმუნოებრივ-საეკლესიო კავშირისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აერთებდა ამ ღვიძლ ძმებს“.²⁴ აფხაზეთში ამბროსი ხელაიას მოგზაურობის ერთ-ერთი შედეგი, ჩვენის აზრით, იყო 1917 წლის 12 დეკემბერს დაბა გალში გამართული სამურზაყანოს (ილორის ჩათვლით) სამღვდელოების კრება (თავმჯდომარე — ბლალოჩინი მღვდელი ს.სვანიძე, მდივანი — მღვდელი ბ.ხარებავა), რომელმაც განიხილა საკითხები ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგების შესახებ. „ვინაიდან სამურზაყანო შესულია საქართველოს საკათალიკოსოში, კრებამ ერთხმად დაადგინა: 1) სანამდე გამოირკვეოდეს სამურზაყანო-აფხაზთა ურთიერთშორის დამოკიდებულება ეკლესიური ცხოვრების მხრივ, დროებით მიეკედლოს ჭყონდიდელის სამიტროპოლიტოს და დღეის რიცხვიდან მოისპოს ყოველივე დამოკიდებულება სოხუმის ეპისკოპოზი სერგის კანცელარიასთან“.

დადგენილების მეორე პუნქტი ითვალისწინებდა სამურზაყანოში ძველი საბლადოჩინოების ნაცვლად სამი საეკლესიო საოლქო საბჭოს დაარსებას მათში შემავალი სამრევლოებით: ა) დ.გალში (სამრევლოები — პირველი და მეორე გალის, ხუმუშქურის, რეჩხის, პაპიჩონის, რეფის, შეშელეთის, ბარღების, ქვემო ბარღების, ნაბაკევის, პირველი და მეორე თაგილონის, პირველი და მეორე ოტობაის, ნაქკადუს, ზემო ცხირის), ბ) დ.აჩიგვარაში (სამრევლოები — ილორის, პირველი და მეორე ბედიის, სანავარდოს, ოხურეის, მუხურის, წარჩეს, პირველი და მეორე გუდავის, ოქუმის, ღუმურიშის, ჩხორთოლის), გ) ს.ქუბურხინჯში (სამრევლოები — ფახულანის, პირველი, მეორე და მესამე საბერიოს, ცხირის). მესამე პუნქტის მიხედვით, ყოველ ეკლესიასთან ყალიბდებოდა სამრევლო საბჭო. დადგენილების მეოთხე პუნქტი განსაზღვრავდა საოლქო საბჭოების შემადგენლობას. გალის საოლქო საბჭოში აირჩიეს მღვდლები სამსონ სვანიძე, ალექსანდრე რურუა და აბელ ჩეხერია, მთავარი დიაკონი ნიკანდრე ანჯაფარიძე, მედავითნეები დიმიტრი კაკუბავა და აქვსენტი ჭანტურია, საერო პირები — ზოსიმე ქეცბაია და სასრან ქორქია. აჩიგვარის საოლქო საბჭოს წევრები გახდნენ მღვდლები კონსტანტინე მაჭგანაძე, ბართლომე ხარებავა და ხარიტონ შელია, მედავითნენი — ანტონ შარანგია, ალექსანდრე ხოჯავა და კონსტანტინე გეგეჰკორი, ერისკაცები — მიხა თარბაია, დედარე გვილავა, ნიკო ბენია. ქუბურხინჯის საოლქო საბჭოში შევიდნენ მღვდლები ნიკოლოზ ჭეღია, აქვსენტი რურუა, სამსონ მაჭგანაძე, დიაკონი ეგნატე შონია, მედავითნე მელიტონ ანჯაფარიძე, ერისკაცები — გიორგი ჯახაია და კოსტა პატარაია.²⁵ სამურზაყანოს სამღვდლოების კრების ოქმი ამბროსი ხელაიამ 1918 წლის 8 იანვარს საკათალიკოსო საბჭოს წარუდგინა.

1918 წლის 23 იანვარს გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭომ საკუთარი დადგენილების (1918 წ. 16 იანვარი) საფუძველზე საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სთხოვა წინადადებით მიმართოს ეპისკოპოს სერგის, რათა მან სოხუმის ეპარქიაში შემავალ ქართულ მრევლს გამოუცხადოს, რომ „ისინი შეერთებულნი არიან საქართველოს ეკლესიასთან, ხოლო ეპარქიალური მართვა-

გამგეობის მხრით დროებით ექვემდებარებიან ჭყონდიდელ მიტროპოლიტს“; საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ ეს თხოვნა შეასრულა. 1918 წლის 21 თებერვალს საბჭოს კანცელარიამ ეპისკოპოს სერგის შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„Сим доводится до сведения Вашего преосвященства, что по постановлению каталикосского Совета... все грузинские причты вверенной Вашему Преосвященству Сухумской епархии, Абхазии и Самурзакани включены в состав Чкондидской Гурийско-Мингрельской епархии.

Совет Каталикосата просит Ваше Преосвященство сделать надлежащее распоряжение, чтобы вышеуказанные причты епархии Вашего Преосвященства впредь по всем делам сносились с своим непосредственным архипастырем Высокопреосвященным Амбросием, митрополитом Чкондидским“.²⁶

ჭყონდიდის ეპარქიისათვის, სამურზაყანოს გარდა, უნდა გადმოეცათ უპირატესად ქართული და აგრეთვე ის სამრევლოები, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. ესენი იყვნენ ოჩამჩირის, ბესლახუმის, ფოჭვეშის, ეშკეტის, არადუს, მოქვის, ცხენისწყლის, ქლოუს, ჯგერდის ტამიშის, აძიუბუის (შუაწყაროს), ფშაფი-დრანდის, აკაფა-კელასურის, მერხეულის, ნიკოლაევსკის, ოლგინსკოეს, აყარის, აბუაყვის, გუდაუთის სამრევლოები და სოხუმის საკათედრო ტაძარი.

1918 წლის 28 მარტს სოხუმის საეპარქიო კანცელარიიდან მისი მდივნის — ტ.ავტონომოვის ხელმოწერით მოსული პირველი საპასუხო წერილის მიხედვით, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიისათვის სამრევლოების გადაცემა რუსეთის პატრიარქის ინსტრუქციის გარეშე ვერ მოხდებოდა. 30 მარტით დათარიღებულ მეორე წერილში კი ტ.ავტონომოვი აღნიშნავდა, რომ სიაში მითითებული სამრევლოები საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენლობაში უკვე შედიანო. იქვე იყო მითითება აფხაზური სამრევლოების 1917 წლის ყრილობის გადაწყვეტილებაზე აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.²⁷ ამით სო-

ხუმის რუსული სამღვდლოება მიანიშნებდა, რომ სამურზაყანოს ჩრდილო-დასავლეთით (ე.ი. აფხაზეთში) მდებარე სამრევლოები საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში ვერ შევიდოდნენ.

აფხაზეთის სამრევლოების გადმოცემის საკითხი ჭიანჭურდებოდა, მაგრამ იქაური ქართული სამღვდლოება ღვთისმსახურებისას კათოლიკოს-პატრიარქკირიონ II-ს მოიხსენიებდა. იმათივე მწვავედ იღვა სოხუმის საკათედრო ტაძრის პრობლემა. კირიონ მეორემ ტაძარში მღვდელმონაზონი თეოფილე (შავდია) მიავლინა, რომელიც სოხუმში მღვდელმთავრის სახლში ცხოვრობდა და წირვა-ლოცვას ქართულად ასრულებდა. მალე ის ბედიის ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1917 წლის 10 დეკემბერს სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელი მ. გვაზავა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს წერდა, რომ მღვდელმონაზონ თეოფილეს ბედიაში გადაყვანის შემდეგ ქართულ ენაზე ღვთისმსახურებას დროებით ის ასრულებდა, რა დროსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და ადგილობრივ ეპისკოპოს სერგის (ვის დაქვემდებარებაშიც ეს ტაძარი ჯერ კიდევ იმყოფებოდა) მოიხსენიებდა. მ. გვაზავა იტყუბინებოდა, რომ მან ამ დღეებში ეპისკოპოს სერგის მიერ ნოემბრის შუა რიცხვებში მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილი მიიღო, სადაც იგი წერდა: „Каталикос Кир-Кирион еще непризнан Всероссийским церковным собором и Восточными патриархами, поэтому помянуть его в Сухумской архиерейской церкви преждевременно, тем более, что такое помянутие в русской, а не грузинской церкви вызывает неудовольствие русской паствы: в этой церкви разрешено совершать богослужение по-грузински лишь временно, до постройки грузинами своей особой церкви“. ამ წერილისათვის ეპისკოპოს სერგის 1917 წლის 17 ნოემბერს დაწერილი (ტ. ავტონომოვის სახელზე) ბარათი დაუდევნებია, რომელშიაც ნათქვამია: „Я писал о. Мих. Гвазава, что “преждевременно” помянуть каталикоса. Это выражение неверно. Скажи ему, что помянуть каталикоса незаконно, неправильно, неканонично“.²⁸ ასე გაამკაცრა თავისი პოზიცია რუსმა ეპის-

კოპოსმა. ამ ვითარებაში მღვდელი მ. გვაზავა კათოლიკოს-პატრიარქისაგან მითითებებს ითხოვდა.

1918 წლის თებერვლიდან ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილებით სოხუმის საკათედრო ტაძრის დაფინანსება ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ხელში გადავიდა, მაგრამ მისი შესრულება და შესაბამისად, ფინანსური ბერკეტის გამოყენება მაშინ ვერ მოხერხდა (კომისარიატის აღნიშნული გადაწყვეტილება შედგა 1918 წლის 9 თებერვალს, ანუ იმ დღეს, როცა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და აფხაზთა სახალხო საბჭომ ხელი მოაწერეს პოლიტიკურ შეთანხმებას). ვითარებას ის გარემოება ართულებდა, რომ ჭყონდიდის მიტროპოლიტი ამბროსი სოხუმში ვერ ჩადიოდა იქ არსებული საომარი და არასტაბილური მდგომარეობის გამო. 1917წ. ნოემბერში ხელისუფლების სათავეში მოსული რუსეთის ბოლშევიკები პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობდნენ საქართველოს ეთნიკურად ქრელ რეგიონებში, მათ შორის აფხაზეთში. 1918 წლის თებერვალში და აპრილ-მაისში ქართულ სამხედრო ფორმირებებს აფხაზეთში ბოლშევიკური აგრესიის მოგერიება მოუხდათ. საქართველო აფხაზეთიანად მაშინ ამიერკავკასიის შემადგენლობაში შედიოდა, რომელსაც ჯერ 1917წ. 11 ნოემბერს შექმნილი კომისარიატი, შემდეგ კი ამიერკავკასიის სეიმი (1918წ. 10 თებერვალი) და მის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობა (ა. ჩხენკელის თავჯდომარეობით) განაგებდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“; შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; მთავრობას სათავეში სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანიას ჩაუდგა. 1918წ. 11 ივნისს საქართველოს მთავრობამ და აფხაზეთის სახალხო საბჭომ (არჩეული იყო 1917წ. ნოემბერში) გაათორმეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი ფაქტობრივად საქართველოს ავტონომიური ერთეული გახდა.

სულ მალე ქართულ ეკლესიას და ქართველ ხალხს თავს დაატყდათ საშინელი ტრაგედია — 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში ქვეყნის მტრებმა სიცოცხლეს გამოა-

სალმეს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, უდიდესი მამული შვილი, სოხუმის ყოფილი ეპისკოპოსი, თავისუფალი საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II.²⁹ 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომამ დაადგინა და წმინდანთა დასში შერაცხა მოწამებრივად აღსრულებული კირიონ II (საძაგლი შვილი). დაწესდა მისი ხსენების დღე — 27 ივნისი, ეწოდა მღვდელმოწამე კირიონი.³⁰



აფხაზეთში მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო. 1918წ. ზაფხულში და შემოდგომაზე ვითარება გაართულა ე.წ. თურქული დესანტის გადმოსხმამ კოდორის უბანში და სეპარატისტული ძალების გააქტიურებამ. 1919წ. თებერვალში დემოკრატიული გზით არჩეულმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ 20 მარტს მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ აფხაზეთი ფაქტობრივად და იურიდიულად მისივე მოსახლეობის ნებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენელ, ავტონომიური უფლებებით აღჭურვილ ნაწილად გამოცხადდა. სახალხო საბჭოს სათავეში ედგა ვარლამ შერვაშიძე, აფხაზეთის კომისარიატს (მთავრობას) — არზაყან ემუხვარი.³¹

მთელი ამ პერიოდის მანძილზე აფხაზეთში ფუნქციონირებას აგრძელებდა რუსული ეპარქია ეპისკოპოს სერგის მეთაურობით. იგი არ ცნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ქართული ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას და კვლავ ე.წ. კავკასიის საეგზარქოსოსა და მისი მეშვეობით რუსეთის ეკლესიის წმ. სინოდის დაქვემდებარებაში რჩებოდა. ეპარქიაში გარკვეული რე-

ორგანიზაციაც მოხდა. ეპისკოპოს სერგის გადაწყვეტილებით, 1917წ. 27 ივლისიდან სოხუმის საკათედრო ტაძართან ცალკე საბლალოჩინო ჩამოყალიბდა (თავდაპირველად იგი კირიონის ეპისკოპოსობის დროს შეიქმნა, მაგრამ მისი გადაყვანისთანავე გააუქმეს), რომელსაც სათავეში იმავე ტაძრის წინამძღვარი გ. გოლუბცოვი ჩაუდგა; გულდაუთის უბნის ბლალოჩინი გახდა მღვდელი პ. ობრაზცოვი (ასე „გაიმადრა“ სერგიმ პოზიციები);²² კოდორის უბნის ბლალოჩინად დეკანოზი დ. მარლანია რჩებოდა. აფხაზური სამღვდლოების ნაწილი (გ. თუმანოვი, კ. ბარციცი და სხვები) აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მუგუძირხვის ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის მღვდელი ვ. აგრბაკი, როგორც ბოლშევიკური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის თვალსაჩინო ფიგურა, კომუნისტების მიერ 1918 წელს აფხაზეთში განხორციელებულ სამხედრო გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. როგორც სოხუმის ქალაქისთავი ბ. ჩხიკვიშვილი გაზეთ „ერთობაში“ (1918წ. 17 აპრილი) წერდა, მღვდელი — ბოლშევიკი აგრბაკი იყო რეაქციონერი, ალფიოროვ-გოლუბცოვის მოწაფე, რომელიც აფხაზებს დემაგოგიური აგიტაციით (მეგრელები მიწებს გართმევენ, მენშევიკები და ქართველები გყდიან და ა.შ.) ქართველების წინაშე აქეზებდა.

1918 წლის 17 ივნისს ბლალოჩინმა პ. ობრაზცოვმა ეპისკოპოს სერგის მოხსენება წარუდგინა, სადაც ნათქვამი იყო: „Священник Мугудзирхвинской церкви Василий Агрба последние месяцы совершенно забросил свой приход и свое пастырское дело, приняв самое деятельное участие в работе местной фракции партии с.д. большевиков, чем подорвал всякое уважение к себе среди населения. В настоящее время он находится в бегах — вне своего прихода“.

სოხუმის რუსული ეპარქიის კანცელარიამ 1918წ. 22 ივნისს ქართული გვარდიის შტაბს სთხოვა ინფორმაციის მიწოდება მღვდელ ვ. აგრბაკს ბოლშევიკთა რაზმში ყოფნის თაობაზე, რითაც იგი საეკლესიო კანონებს არღვევდა. შტაბმა პასუხი არ გასცა (როგორც ჩანს, გვარდიის შტაბი არ ენდობოდა და არც ცნობდა უკანონო

ეპარქიას). 1918წ. 19 ივნისს ბლალოჩინმა პ. ობრაზცოვმა ეპარქიის კანცელარიას შემდეგი დამატებითი ცნობები მიაწოდა მღვდელი ვ. აგრბას საქმიანობის შესახებ: „Комиссар Гудаутского участка от 1 июня с.г. за №1428 пишет: “место настоящего пребывания священника) В. Агрба мне положительно неизвестно; он состоял в совете крестьянских депутатов в должности товарища председателя, принимая в партии с.д. большевиков самое деятельное участие”. Указанный совет рабочих и крестьянских депутатов, между прочим, издал здесь в Гудаутской типографии (перепечатал) книжку “На трех китах”, полную кощунства и глумления против христовой церкви, св. тайного причащения и всего духовенства”.³³

1918წ. 10 სექტემბერს მიმალვაში მყოფი ვ. აგრბა დააპატიმრეს მეაგარაკეებზე შეიარაღებული თავდასხმისა და ძარცვის ბრალდებით. მის აღგილზე — მუფუძირხვის ეკლესიის მღვდლის თანამდებობაზე — ბლალოჩინმა პ. სამაას კანდიდატურა წარადგინა, რომელიც იმ პერიოდში დროებით ბომბორის ეკლესიაში მსახურობდა. ვ. აგრბას საქმეზე ეპარქიის ხაზით მოკვლევას აწარმოებდა მოძრავი თუ სამიმოსვლო მღვდელი („разъездной священник“) ნ. ლადარია. ამ უკანასკნელის მეშვეობით ვ. აგრბამ 1918წ. 14 სექტემბერს ეპისკოპოს სერგის შემდეგი შინაარსის „Покорнейшая просьба“ გაუგზავნა: „По сложившимся своим политическим и религиозным убеждениям и всилу создавшихся обстоятельств, будучи оговорен в тяжелых преступлениях и за них без вины арестован, я не могу по совести дальше носить сан священника и потому, слагая его с себя, сим прошу Ваше Преосвященство освободить меня от прихода и исключить из числа священников”.³⁴ 1918წ. 20 სექტემბერს ვ. აგრბას თხოვნა დაკმაყოფილდა.

აფხაზეთში ვითარება ნელ-ნელა მშვიდდებოდა. ამით ისარგებლა სოხუმის ქართულ-აფხაზურმა საზოგადოებამ და გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძის გარდაცვალების ნახევარი წლისთავისადმი

მიძღვნილი პარაკლისის ჩასატარებლად მიტროპოლიტი ამბროსი მოიწვია. 1918 წლის 23 აგვისტოს საკათალიკოსო საბჭომ დეპეშეები გაუგზავნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორ გიორგი მაზნი-აშვილს და აფხაზთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ვარლამ შერვაშიძეს და სთხოვა მათ ყველანაირი დახმარება აღმოეჩინათ სოხუმში მიწვეული მიტროპოლიტი ამბროსისათვის, განსაკუთრებით ხელი შეეწყობათ მისთვის რომელიმე ტაძარში გიორგი შერვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურების მოწყობაში. 1918 წლის 31 აგვისტოს გვიან საღამოს არქიმანდრიტი ნაზარის (ლეჟავა), ფოთის ტაძრის კრებულისა და ქუთაისიდან მგალობელთა გუნდის თანხლებით მიტროპოლიტი ამბროსი სოხუმში ჩავიდა; მეორე დღეს საკათედრო ტაძარში შეკრებილ ქართველებსა და აფხაზებს სიტყვით მიმართა, განაცხადა, რომ მან 22 წლის წინ დატოვა საყვარელი ქალაქი და ტაძარი; მაშინ ანტიქართული პოლიტიკა წარმოებდა, იღვენებოდა ქართული ენა, რათა „ამ საშუალებით გაექარწყლებინათ და აღმოეფხვრათ ქართველების გულში სამშობლო ჭკეყნის სიყვარული, თუმცა უტყუარ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით საქართველოს საზღვრები არამც თუ სოხუმს, ტუაფსეს იქითაც გადასცილდებოდა, მაგრამ ისინი სოხუმს ჩვენი მოძმე აფხაზების დედაქალაქს რუსეთად სთვლიდნენ და ამნაირის აზრებით ჰკვებავდნენ და ზრდიდნენ მკვიდრ მცხოვრებთ. დღეს კი დადგასხვა გარემოება. ისტორიამ ასი წლის ბოროტი უსამართლობა გაასწორა და იქ, სადაც პირველი საუკუნეიდან მშობლიურ ენაზე გაისმოდა ღვთის ვედრება, დღეს ხელახლა შესაძლებელი გახდა მისი აღდგენა“. მიტროპოლიტმა ხალხით გადაჭედებულ ტაძარში წირვა ჩაატარა. „გაისმის ტკბილი ქართული გალობა, — წერდა გაზეთი „საქართველო“. — სულგანაბული ისმენს ხალხი ქართულ ღვთისმსახურებას და ყველას ცხადად ეხატება სახეზე სიამოვნება და სიხარული“. წირვის დასრულების შემდეგ მეუფე ამბროსი ხელაიამ კვლავ მიმართა ხალხს სიტყვით; ისაუბრა გიორგი შერვაშიძის მოღვაწეობაზე, მის პოლიტიკურ და ეროვნულ იდეალებზე, მისწრაფებებზე; შეეხო უძველესი დროიდან ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის საკითხებს, ილაპარაკა რუსული გამთიმველური პოლიტიკის შე-

სახედაც. ქართულ ეკლესიას არასოდეს უწარმოებია და არც ახლა „აწარმოებს მასზე უფრო მცირერიცხოვანი ეროვნების ეკლესიურად შთანთქმის პოლიტიკას, პირიქით ყოველთვის ხელს უწყობდა სხვა თანამორწმუნე ხალხთა ეკლესიის ნაციონალიზაციას“, — ბრძანა მიტროპოლიტმა. მან დამსწრეთ შეახსენა თუ როგორ ცდილობდნენ სოხუმის ქართველი ეპისკოპოსები გაბრიელი და კირიონი აფხაზურ ენაზე ღვთისმსახურების დამკვიდრებას, ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნას და ა. შ. „აფხაზ-ქართველნი უნდა შეერთდნენ ისე, — განაცხადა მეუფემ, — რომ ნაციონალურად თითოეულმა მათგანმა შეინარჩუნოს თავისი საკუთარი ელფერი მსგავსად იმისა, როგორც სხვა და სხვა საამო სუნის ყვავილები, თუმცა შედიან თაიგულში, როგორც მისი ელემენტები, მაგრამ თავის სპეციფიკურ თვისებას კი არ ჰკარგავენ და ამავე დროს ყველანი ერთად შეადგენენ ერთ საუცხოვო და მშვენიერ თაიგულს“. თავისი სიტყვის დასასრულს მიტროპოლიტმა მსმენელებს აფხაზეთ-საქართველოს ერთიანობის შესახებ გიორგი შერვაშიძის ანდერძის განხორციელებისაკენ მოუწოდა.

იმავ დღეს (1 სექტემბერს) ამბროსიმ ბოლშევიკებთან შეტაკებებში დაღუპულ რევოლუციონერთა საფლავებზე პანაშვიდი გადაიხადა, ხალხი დალოცა და ეტლით გაემართა ნინუას ბინაზე, სადაც ნადიმს დაესწრო. ნადიმზე აფხაზთა ეროვნული საბჭოს ხუთი წევრი მობრძანდა, მათ შორის საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ შერვაშიძე. მან „მოახსენა მათ მეუფებას, რომ ამჟამად არის ნიადაგი აფხაზ-ქართველთა შორის ძველი მეგობრობის განახლება-განმტკიცებისა. აფხაზთა განკერძოებული მოქმედება გაუგებრობის შედეგი იყო, რასაც ხელს უწყობდა რუს-თათართა პროვოკაციული მოქმედება“. ამასთანავე ვ. შერვაშიძემ სთხოვა ამბროსის შუამდგომლობა ადგილობრივ სამხედრო ხელმძღვანელობასთან, რათა გაენთავისუფლებინათ უდანაშაულოდ დაპატიმრებულები, შეეწყვიტათ მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, სახლ-კარის განადგურება, დამნაშავეთა დახვერტები (ასეთ ზომებს, ხშირად გაუმართლებელს, ქართული გვარდია და ქართველთა მხარეს მებრძოლი კაზაკები მიმართავდნენ კოდორის უბანში თურქული დე-

სანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით). საკათალიკოსო საბჭომ შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულ ოჯახებს, რასაც დიდი მორალური მნიშვნელობა ექნებოდა და ხელს შეუწყობდა აფხაზ-ქართველთა მეგობრობის განმტკიცებას, — ბრძანა ვ. შერვაშიძემ.

2 სექტემბერს ვ. შერვაშიძე კვლავ ეახლა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს და სამხედროების მიერ აფხაზთა სოფლების გადაწვის შესახებ შეატყობინა. ამასთანავე, დასძინა მან, უკვე აზრი დაკარგა სამხედროების წინაშე შუამდგომლობამ, „აწი თვით გარემოებათა მსვლელობას მივანდოთ აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულების გამორკვევა“. მიუხედავად ამისა, მიტროპოლიტი ამბროსი მაინც შეხვდა პოლკოვნიკ თუხარელს და მის შინაშე დასვა ვ. შერვაშიძის მიერ წამოჭრილი საკითხები. პოლკოვნიკმა „მიტროპოლიტის შუამდგომლობით გაანთავისუფლან ტუხარელი აფხაზი და აგრეთვე გაუზავნა ფიცხელი ბრძანება პოლკოვნიკ კარგარეთელს ოჩამჩირეში, რომ მის მისვლამდის სახლ-კარის გადაწვა შეჩერებულ იქნენ; გამოყვანილ იქნას ჯარი იმ სოფლებიდან, სადაც მათი ყოფნა საშიშროა მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის“.

4 სექტემბერს მიტროპოლიტი ამბროსი დაესწრო ხალხით გადაქედილ ადგილობრივ თეატრში გ. შერვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს, სადაც ბევრი ისაუბრეს განსვენებულის ბიოგრაფიაზე. ქუთაისის გუნდმა შეასრულა ქართული საეკლესიო საგალობლები და საერო სიმღერები.

შემდგომ დღეებში ამბროსიმ დაათვალიერა ქალაქის სატუხარლო, საავადმყოფო, მოინახულა განაპირა სოფლის დროებითი ეკლესია. ხალხი აღტაცებით შეხვდა მღვდელმთავარს. მან კი „დარიგებით მიმართა ხალხს, განუმარტა სხვათა შორის, თანამედროვე გარემოებათა მსვლელობა და ურჩია არ აყენენ ბოლშევიკურ დამლუპველ მოძრაობას“. მიტროპოლიტმა ამბროსიმ ქ. სოხუმში 1918 წლის 9 სექტემბერს დატოვა. „საზოგადოთ მათი მეუფლების ყოფნამ სოხუმში ადგილობრივ მცხოვრებლებზედ და კერძოდ აფხაზებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“, — ასკვნიდა გაზეთი „საქართველო“.³⁵

ქ. სოხუმში გამართულ ნადიმზე (1918წ. 1 სექტემბერი) აფხაზთა ეროვნული საბჭოს წევრმა ჯოტო შერვაშიძემ მიტროპოლიტ ამბროსის ათასი მანეთი გადასცა „პრემიად იმისთვის, ვინც დასწერს საუკეთესო თხზულებას ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაზე უძველესი დროიდან“. 1918 წლის 1 ოქტომბერს მეუფემ ეს თანხა საკათალიკოსო საბჭოს გადასცა. ამასთან დაკავშირებით კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ ლეონიძემ ჯოტო შერვაშიძეს მადლობის წერილი გაუგზავნა.³⁶

1918 წლის 9 ოქტომბერს სეპარატისტულმა ძალებმა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი რუსი თეთრგვარდიელების წაქეზებითა და მხარდაჭერით სოხუმში პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა და ამ გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცადეს. ავანტიურა ჩაიშალა, მაგრამ სიტუაცია უკიდურესად დიქტაბა, თეთრგვარდიელებთან იყო აგრეთვე დაკავშირებული ეპისკოპოსი სერგი. იგი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდა, აქტიურად უქერდა მხარს „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთისათვის მებრძოლ გენერლებს — ე. კოლჩაკსა და ნ. დენიკინს, რუს თეთრგვარდიელთა იმპერიულ პოლიტიკას საქართველოს წინააღმდეგ. ნ. დენიკინი თავად ცდილობდა აფხაზეთში რუსული სამღვდელოების გააქტიურებას. 1919წ. 18 იანვარს იგი სერგის წერდა, რომ სამღვდელოების მოქმედება „ამჟამად უნდა იყოს განსაკუთრებით ენერგიული, გეგმაზომიერი და შეთანხმებული“; გენერალი წინადადებას აძლევდა ეპისკოპოსს შავი ზღვის ოლქის სამღვდელოება კვლავინდებურად სოხუმის ეპარქიის დაქვემდებარებაში დაეტოვებინა, მაგრამ აღმინისტრაციულად საომარი მოქმედებების პერიოდში დაემორჩილებინა ნ. დენიკინის შტაბთან არსებული სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერისათვის, „რომელიც ხსენებული სამღვდელოების მოღვაწეობის მოხალისეთა არმიის საჭიროებებთან და ინტერესებთან შეთანხმებას შეძლებდა“.³⁷ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ რუსი ეროვნების სასულიერო პირები. ხელისუფლება ზოგჯერ იძულებული ხდებოდა მიეღო კანონით გათვალისწინებული ზომები. 1918 წლის 11 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვი-

ლი აფხაზეთის საქმეთა მინისტრ რ. ჩხოტუას აცნობებდა, „რომ დეკანოზ გოლუბცოვის (სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, ბლალოჩინი — ჟ.გ.) და დობრინინის (იმავე ტაძრის მღვდელი — ჟ.გ.) გაძევება შეჩერებულია, რაც შეეხება ალფიოროვს (საეპარქიო სკოლების ზედამხედველი — ჟ.გ.), ამ უკანასკნელს საქართველოს ფარგლებში ცხოვრება აკრძალული აქვს როგორც პიროვნებას, რომელიც, სამინისტროში არსებული მონაცემებით, ეწევა სოხუმის ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ცალკეულ ხალხებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივებისაკენ მიმართულ კონტრევოლუციურ პროპაგანდას“.³⁸

ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდნენ აფხაზეთის ეკლესიის საკითხის კანონიკური ნორმების შესაბამისად საქაროდ გადაწყვეტას, რასაც სასულიერო და საერო ხელისუფლების შეთანხმებული მოქმედება სჭირდებოდა. ეს შესანიშნავად ესმოდა ქართულ სამღვდლოებს, კათალიკოს-პატრიარქ კირიონს, სხვა მღვდელმთავრებს, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, თავის მხრივ ყველაფერი იღონეს ამ აქტის დაჩქარებისათვის. ნ. ჟორდანიას სოციალისტურ მთავრობას, სამწუხაროდ, არ ჰქონდა გათვითცნობიერებული ეკლესიის, კონკრეტულად ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი და ადგილი ერის ცხოვრებაში, მის წარსულში, მითუმეტეს აწმყოსა და მომავალში.³⁹ მას არც აფხაზეთში საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციის აღდგენის მნიშვნელობა ჰქონდა ბოლომდე გააზრებული.

1918 წლის 28 ნოემბერს საკათალიკოსო საბჭომ როგორც საეკლესიო ინტერესების, ისე საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებისა და მისი საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩათვალა საეკლესიო კრების მოწვევის გარეშე კათალიკოს-პატრიარქად თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდის (ოქროპირიძე) არჩევა.⁴⁰ მისი კურთხევა 1919წ. 23 თებერვალს მცხეთაში მოხდა.

ახალი კათოლიკოსის მოღვაწეობა დროში საქართველოს მთავრობის გაუაზრებელი ანტისაეკლესიო პოლიტიკის გატარების პე-

რიოდს ემთხვევა. მოუგვარებელი რჩებოდა აფხაზეთის პრობლემა. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი შექმნილ ვითარებაში ცდილობდა მისდამი დაქვემდებარებულ აფხაზეთის სამრევლოებში საეკლესიო ცხოვრების გაჯანსაღებას, ეკლესიების მშენებლობას, მონასტრების გახსნას. ჭერჭერობით ყოველივე ამის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები მოგვეპოვება. ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო ბედისის მონასტრის დედათა მონასტრად გადაკეთება.⁴¹

1918 წლის 1 აგვისტოს სოფელ პირველი ოტობაიას ღვთისმშობლის დაბადების ეკლესიის მრევლის ნაწილმა მოსახლეობის მრავალრიცხოვნობის გამო ახალი ეკლესიის აშენება და ცალკე სამრევლოს გახსნა გადაწყვიტა. 202 კომლის სახელით შედგენილ ოქმს ხელს აწერდნენ ოტობაიელები ძაგა უზარაშვილი, ერასტო ტუფუჩია, ალექსი ბესელია, პავლე გაბელია, აქესენტი ფაცურია, შახან კორკელია, ტარას მარკოზია, შახან შონია, გეგუჯი შონია, ჯოგო შონია, ძვაძვალა შონია, ქესქინჯი სექანია, ი. (ირაკლი თუილაკრი) ბესელია, ჩონჩორი ფაცურია, პალატანი (ალბათ, პლატონი) ანჩაბაძე, ბურდუკა ანჩაბაძე, ლევარსა სოტკილავა, ძორგო ყალიჩავა (სოფ. ოტობაიას თავკაცის, შემდგომში წლების მანძილზე ისტორიის მასწავლებლის, შესანიშნავი პედაგოგისა და ადამიანის ჯოტო ყალიჩავას მამა), კინტირია კორკელია, აბროზი ქებურია, ძარგვა ბაგათელია, პახვალა ჩიტაია, ტაბალა ტუფუჩია და სხვები. ეს გვარები ამჟამადაც ცხოვრობენ სოფ. ოტობაიაში. 1918წ. 20 დეკემბერს კონსტანტინე სოტკილავამ, ვასილ ტუფუჩიამ და ჯოტო შონიამ ოტობაიელთა სახელით დახმარებისათვის გალის საოლქო საეკლესიო საბჭოს მიმართეს. 1919წ. 10 თებერვალს საბჭოს თავჯდომარემ, მღვდელმა სამსონ სვანიძემ აღძრა შუამდგომლობა ჭყონდიდელ მიტროპოლიტის ამბროსი ხელაიას წინაშე ოტობაიაში კიდევ ერთი, რიგით მესამე ეკლესიის აშენებისა და სოფლის მოთხოვნით სენაკის მაზრის ბანძის ოლქის ს. ორქიდან მღვდლის — პართენ რურუას (1876 წლიდან სოფ. ოტობაიის მღვდლის სპირიდონ რურუას ვაჟი) ოტობაიის ახალ ეკლესიაში გადმოყვანის თაობაზე.⁴² თხოვნა დაკმაყოფილდა. სოფელში მესამე — წმ.ნინოს ეკლესია

1920წ. გაიხსნა.

აფხაზეთში არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სარწმუნოებრივი ვითარებაც მწვავედებოდა. 1918წ. სექტემბერში გაზეთი „ერთობა“ ერთ-ერთ პარტიულ (სოც. დემ.) აქტივისტზე დაყრდნობით რეგიონში არსებულ რელიგიურ პრობლემაზე, კერძოდ თათრულ ორიენტაციაზე საუბრობდა.⁴³ აფხაზეთში გაიზარდა აგრეთვე თურქეთიდან ლტოლვილი ბერძნების, მათ შორის სასულიერო პირთა რაოდენობა, რომლებიც სალოცავ სახლებს და ცალკე სამრევლოებს ხსნიდნენ. თითქმის დაკარგეს ფუნქცია მოსახლეობის გარუსება-გადაგვარების ცენტრებმა — აფხაზეთში არსებულმა მონასტრებმა. ჩვენს ხელთ არის ამიერკავკასიაში და, პირველ რიგში, აფხაზეთში იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის ციტადელის — ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის 1918 წლის მოკლე ანგარიში; მასში საუბარია მხოლოდ „ქართველებსა და ბოლშევიკებს შორის შეტაკებისას“ (1918წ. ივნისი) შექმნილ სიძნელეებზე, მონასტრის მეურნეობის პრობლემებზე, აფხაზეთა „მტაცებლური თვითნებობის“ (хищнического самоуправства) შედეგად მიყენებულ ზარალზე, მაგრამ არა მისიონერულ საქმიანობაზე, სამონასტრო სკოლაზე (რომელიც არც ფუნქციონირებდა 1918 წელს) და ა.შ.⁴⁴

1918 წლის ბოლოსათვის არსებული ვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მიტროპოლიტი ამბროსის წერილი საკათალიკოსო საბჭოსადმი. იგი 1918 წლის 26 დეკემბერს არის დაწერილი და აფხაზეთის ეკლესიების ჭყონდიდის ეპარქიისათვის გადმოცემის, მათი დაფინანსებისა და ეპ. სერგის ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობის საკითხებს ეხება. წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობას მიტროპოლიტ ამბროსის განკარგულებაში სოხუმის ეპარქიის 56 ეკლესიის კრებულის ჯამაგირები გადაუცია. აქედან 36 კრებულისათვის კრედიტი სენაკისა და ფოთის ხაზინებში განხნილა, 5 კრებულისათვის — სოხუმის ხაზინაში. დანარჩენებისათვის კრედიტი არ განხნილა, ვინაიდან ისინი (იგულისხმება სოხუმის საკათედრო ტაძარი, გუდაუთის, აძიუბუის, ცხენისწყლის, ტამიშის, ეშკეტის, ჭგერდის, ჭლოუს, მოქვის, არადუს, ბესლახუბის, ფოქვე-

შის და ზოგიერთი სხვა ეკლესია შერეული მრევლით) ჯერ კიდევ არ იყვნენ გადმორიცხული ჭყონდიდის ეპარქიის გამგებლობაში. მათთვის, არ ვიცი რა უფლებით, კრედიტი სოხუმის ეპისკოპოსს გაუხსნია, — წერდა ამბროსი. მას სოხუმის საკათედრო ტაძრის კრედიტი შეუჩერებია იმ მოტივით, რომ იგი განკუთვნილი იყო იქაური 18 ათასი ქართველის სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და არა 7-8 ათასი რუსისა. მიტროპოლიტი მზად იყო ეპისკოპოს სერგის განკარგულებაში გაეხსნა კრედიტი საკათედრო ტაძრის კრებულის იმ წევრებისათვის, ვინც ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე შეასრულებდა. ამას ხელს უშლიდა ტაძარში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულების აკრძალვა. აღნიშნულ საკითხებზე მიტროპოლიტ ამბროსის მიმართვა კი ეპისკოპოსმა სერგიმ უპასუხოდ დატოვა. ამასთან დაკავშირებით მიტროპოლიტი საკათალიკოსო საბჭოს აცნობებდა:

„როგორც ჩემთვის შემდეგ ში ცხად იქმნა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ის ჩვენს ეკლესიას და მის იერარქს არ სთვლის მართლმადიდებელ ეკლესიად და კანონიერ იერარქიად. ამის გარდა ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ სოხუმის ეპისკოპოსი არ სცნობს საქართველოს რესპუბლიკას და მის მთავრობას და სოხუმის საკრებულო ტაძარში, მისი ბრძანებით, აღავლენენ ღვთისადმი ვედრებას არა საქართველოს, არამედ რუსეთის მეუფებისათვის. ეპისკოპოს სერგის რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის მომხრეობაზე საკათალიკოზო საბჭომ უკვე იცის ჩემის მოხსენებიდან... მე არ მიმაჩნია სამართლიანად ჩვენი რესპუბლიკის ხაზინამ აძლიოს კრედიტი იმ ეკლესიას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მყოფი, არ იწყარებს მის ქვეშევრდომობას.

ეპ. სერგი განაგებს ეკლესიურად შავი ზღვის სანაპიროების ნაწილს, რომელიც მდებარეობს ანაპიდან საქართველოს საზღვრამდის, მაშასადამე ის უნდა ითვლებოდეს ეპისკოპოსად რუსეთის ტერიტორიის მცხოვრებთათვისაც და არა საქართველოს რესპუბლიკის ნაწილის მცხოვრებთათვის და თუ ითვლება სახელმწიფოში მოსამსახურედ, ცხადია, რომ ეს ხდება არაკანონიერად და საქართველოს რესპუბლიკის ხაზინამ არ უნდა აძლიოს ამნაი-

რი მღვდელმთავრის საკათედრო ტაძრის კრებულს ჯამაგირები, მით უმეტეს, რომ ამ ტაძარში ქართველთათვის არ სრულდება წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე“.⁴⁵

ეპისკოპოს სერგისა და სხვა რუსი ღვთისმსახურების (ისევე როგორც სეპარატისტებისა) გააქტიურება პირდაპირ კავშირში იყო თეთრგვარდიელთა წარმატებებთან რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომში რუსული ეკლესია თეთრგვარდიელებს ემხრობოდა. ასე იყო ამიერკავკასიაშიც — აქაური რუსული სამღვდლოება ა. კოლჩაკსა და ნ. დენიკინს უჭერდა მხარს. თეთრგვარდიელთა ერთ-ერთი დასაყრდენი უნდა გამხდარიყო სოხუმის ეპარქია, რომელიც 1919 წლის იანვრიდან ცხადდებოდა თვითმდგომ რუსულ ეპარქიად. ამის შესახებ საკათალიკოსო საბჭოს 1918 წლის 31 დეკემბერს ამიერკავკასიის რუსულმა საბჭომ წერილობით აცნობა და მოითხოვა აფხაზეთის სამღვდლოების შესახებ არსებული დოკუმენტაციის, საარქივო მასალების მისთვის გადაცემა. საკათალიკოსო საბჭომ აღნიშნული წერილი ცნობისათვის ნოე ჟორდანიას გადაუგზავნა. რუსულ ეროვნულ საბჭოს კი განემარტა, რომ საქართველოს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით აფხაზეთში უკვე არსებობდა დროებით ჰყონდიდის ეპარქიისათვის მიწერილი თვითმდგომი ეპარქია, რომ კანონიკური ნორმების შესაბამისად საქართველოს ეკლესიის ტერიტორიაზე ვერ იარსებებდა სხვა ეკლესიას დაქვემდებარებული ეპარქია. საკათალიკოსო საბჭო წერდა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისითაც არ იქნებოდა დაშვებული რუსული ეპარქიის არსებობა, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ შეიძლება ფუნქციონირებდეს სხვა სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოსადმი დამორჩილებული ნებისმიერი, მათ შორის საეკლესიო ორგანიზაცია.⁴⁶

ეკლესიის გარშემო შექმნილი რთული ვითარება 1919 წლის 9 იანვარს აფხაზეთის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ განიხილა. მისი თავჯდომარე ა. გრიგოლია 1919 წლის 10 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს აცნობებდა სოხუმის საკათედრო ტაძრისა და სასაფლაოს ეკლესიის რუსეთის პატრიარქისათ-

ვის დაქვემდებარების, აფხაზეთში მრევლის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ. „ერთი ნაწილი — სამურზაყანო და გუმისთის ნაწილის მეგრელობა უკვე გადავიდა გურია-სამეგრელოს მიტროპოლიტის განკარგულებაში, — წერდა ა. გრიგოლია, — აფხაზ-ბერძნები კი ითვლებიან რუსი ეპისკოპოსის ხელში, ასე რომ მთელი ეპარქია და-ნაწილდა და მომავალში უქადის ამ სამისიონერო ეპარქიას დაღუპვა-დაშლას და ქრისტიანობის დაცემას“. აფხაზეთის საეკლესიო საკითხების მოსაწესრიგებლად ქართული ეროვნული საბჭო სოხუმში საკათალიკოსო საბჭოს ერთ-ერთი წევრის ჩამოსვლას ითხოვდა, „რადგან ამ ოლქში ამ საქმეს აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა“.⁴⁷

საკათალიკოსო საბჭომ თავისი 1919 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით სოხუმში ნ. თალაკვაძის მივლინება გადაწყვიტა, მაგრამ მან უარი თქვა იქ მარტო გამგზავრებაზე (თანაც სოქში მდგარი ნ. დენიკინის აფხაზეთში შემოჭრის საფრთხის არსებობის პირობებში). საბჭომ კათოლიკოს-პატრიარქის დაყინებული მოთხოვნით (1919 წ. 25 აპრილი) სხვა გადაწყვეტილება მიიღო — აფხაზეთის საეკლესიო საკითხების მოწესრიგება დაევალა არა საკათალიკოსო საბჭოს წევრს (როგორც ამას აფხაზეთის ქართული ეროვნული საბჭო ითხოვდა), არამედ ისევ და ისევ მიტროპოლიტ ამბროსის. შეიტყო რა ამ გადაწყვეტილების შესახებ (მიაწოდა კ. ცინცაძემ 30 აპრილს), ამბროსი ხელაიამ 1919 წლის მაისის ბოლოს საკათალიკოსო საბჭოს მოხსენება წარუდგინა, სადაც აღნიშნა, რომ სოხუმელებს არ სურდათ „ჩემი, როგორც მღვდელმთავრის, გარევა იმნაირ საქმეში, სადაც საჭირო იყო გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა“, ამიტომაც მოითხოვეს საბჭოს წევრის ჩამოსვლა. ვინაიდან ეს ვერ მოხერხდა (ამბროსი ხელაიამ იცოდა რატომაც ვერ მოხერხდა), მიტროპოლიტმა ამბროსიმ საკათალიკოსო საბჭოს დავალება მიიღო. თავის მოხსენებაში იგი წერდა: „ამის გამო პატივი მაქვს მოვასხნო საკ(ათალიკოსო) საბჭოს, რომ თუ მას სასურველად მიაჩნია ჩემი ამ საქმეში გარევა და თუ ეს არ გამოიწვევს რაიმე უხერხულობას, მაშინ მე თვითონ სხვის დაუხმარებლად ვიტვირთებ საქმის მოწესრიგებას აქტიურ ნაბიჯების გადაუდგმე-

ლად, რადგან ეს არ უნდა შეეფერებოდეს მღვდელმთავრის ხარისხს, და რადგან სხვისგან გადადგმულ მოსალოდნელ აქტიურ ნაბიჯებში მე თანაზიარი და პასუხისმგებელი არ შემიძლია ვიყო.

დამოუკიდებლად ამისა მოვასხენებ საე(ათალიკოსო) საბჭოს, რომ ზემოთხსენებული წერილის მიღების შემდეგ ამ თვის (მაისის — ჯ.გ.) პირველ ნახევარში გავემგზავრე სოხუმში და უკვე გავმართე მოლაპარაკება სოხუმელ ქართველობასთან და აფხაზთა საბჭოს (აფხაზეთის სახალხო საბჭოს — ჯ.გ.) თავმჯდომარე(სთან) და სხვა წევრებთან ამ საკითხის გამო; აგრეთვე მოვამზადე ნიადაგი სოხუმის ეპისკოპოსთან ამ საქმეზე მშვიდობიან მოლაპარაკებისათვის, რომლის გამართვა გადაიდო სხვა დროისათვის, რადგანაც ეპისკოპოსი სერგი ამ ხანად სოხუმში არ იმყოფება. ამ დღეებში მივემგზავრები სარევიზიოდ სამურზაყანო და აფხაზეთში, — სოხუმში ჩავალწევ, ალბათ, ერთი თვის შემდეგ და მაშინ მოვასხენებ საკათ(ალიკოსო) საბჭოს რა შედეგი ექნება ჩემს იქ ყოფნას“.⁴⁸

მიტროპოლიტმა ამბროსიმ სოხუმის ეპისკოპოს სერგისთან შეხვედრა ვერ მოახერხა, მაგრამ მიაწოდა თხოვნა სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის ქართველებისათვის გადაცემის შესახებ. ეს თხოვნა სერგიმ კრასნოდარში სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებით უმაღლეს საეკლესიო სამმართველოს წინაშე დააყენა, სადაც მისი განხილვა 1919 წ. 18 ივნისს გაიმართა. აღნიშნული საეკლესიო სამმართველოს წევრის არქიეპისკოპოს თავრიდელის (ТАВРИЧЕСКИЙ) და ამ ორგანოს კანცელარიის მმართველის ე.მახარობლიძის ხელმოწერით სოხუმის ეპისკოპოსმა მიიღო დადგენილება, რომელიც უკრძალავდა მას ქართული ეკლესიის წარმომადგენლებთან რაიმე ურთიერთობას. „Уведомить Ваше преосвященство, что представители Российской церкви не могут входить в общение с митрополитом Амвросием Хелая, — ვკითხულობთ დროებითი უმაღლესი საეკლესიო სამმართველოს დადგენილებაში, — являющегося представителем грузинской церкви, отколовшейся от Российской, но если Сухумское грузинское православное население нуждается в Сухумской кладбищенской церкви, разрешит передать такую наз-

ванному населению. О чем Вашему преосвященству послать указ 21 июня 1919 г. г.Екатеринодар.”⁴⁹

სოხუმის სასაფლაოს ეკლესია 1919 წლის სექტემბერში მართლაც გადაეცა გურია-სამეგრელოს ეპარქიას.⁵⁰ იმ დროისათვის ვითარება აფხაზეთში უკვე იყო მკვეთრად შეცვლილი. ადგილობრივ ხელისუფლებას შედარებით კარგად ესმოდა ავტონომიის მოსახლეობისათვის მართლმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელობა. მხარის კიდევ დატოვება მწიქმსმთავრის გარეშე (ეპისკოპოსის სერგიც 1919წ. მარტიდან აფხაზეთში ფაქტობრივად არ იმყოფებოდა) და თეთრგვარდიელებთან შეკრული რუსული სამღვდელოების ამარა უკვე დაუშვებელი იყო. 1919 წლის 1 სექტემბერს აფხაზეთის კომისარიატმა მიიღო დეკრეტი აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების შესახებ, რომელიც ასეთ პუნქტებს შეიცავდა:

1. ქ. სოხუმში მდებარე საკათედრო ტაძარი კრებულის სახლთან ერთად, მღვდელმთავრის სახლი და ყოფილი სასწავლო საბჭოს შენობა აღიარებულ იქნას ავტონომიური აფხაზეთის ეროვნულ საკუთრებად.

2. სოხუმის მღვდელმთავრის კათედრა ჩაითვალოს ვაკანტურად და მიღებულ იქნას ზომები მუდმივი და დამოუკიდებელი ეპისკოპოსის მიერ მის საჩქაროდ დასაკავებლად.

3. დროებით, ეპისკოპოსის არჩევამდე დაინიშნოს აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მმართველი რეზიდენციით ქ. სოხუმში.

4. მმართველს მიეცეს უფლებამოსილება: ა) გადაიყვანოს, ბ) დაინიშნოს, გ) სავსებით გაანთავისუფლოს თანამდებობიდან, დ) ჩაატაროს ეკლესიების, მონასტრებისა და სხვა საეკლესიო დაწესებულებების რევიზია, ე) დაათუქნოს და შექმნას ისეთი საეპარქიო დაწესებულებები, რომლებსაც ჩათვლის საჭიროდ.

5. მმართველს საცხოვრებლად გამოეყოს მღვდელმთავრის ბინა სოხუმის ეპისკოპოსის ხელში ამ დრომდე მყოფი ყველანაირი საჩხოს გამოყენების უფლების მინიჭებით.

6. მმართველს მიენიჭოს მღვდელმთავრის სახლისა და დრანდის მონასტრის უშუალო გამგებლობის უფლება.

7. ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარება დაევალოს შინაგან საქმეთა კომისრის მოვალეობის შემსრულებელს ი.კ. ლორთქიფანიძეს.

ლოკუმენტს ხელს აწერდნენ აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარე არზაყან ემუხვარი და ი. ლორთქიფანიძე. 1918წ. 3 სექტემბერს აფხაზეთის კომისარიატმა მიიღო ეკლესიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი გადაწყვეტილება: „კომისარიატის ა.წ. 1 სექტემბრის განკარგულების შესასრულებლად აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მმართველად დროებით დანიშნოს არქიმანდრიტი იოანე ამჟამად დაკავებულ თანამდებობაზე მისი დატოვებით მომავალ საგანგებო განკარგულებამდე“.⁵¹ იმავე დღეს არქიმანდრიტ იოანეს წინადადება მიეცა დაუყონებლივ შეუდგეს მოვალეობის შესრულებას.

ვინ იყო არქიმანდრიტი იოანე? ვფიქრობთ, ეს არის ცნობილი სასულიერო მოღვაწე იოანე (ერისკაცობაში ნიკოლოზ) მარგიშვილი. 1910-1914 წწ. იგი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, შემდგომში ქუთაისის, გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში მსახურობდა, 1915 წლიდან არქიმანდრიტია; 1918 წლის 1 ივლისიდან იოანე ოქუმის ოლქის მომრიგებელი მოსამართლეა, ხოლო იმავე წლის 30 ივლისიდან — სოხუმის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე; 1919 წლის 1 სექტემბრიდან ოქუმის უმაღლესი დაწესებულების სასწავლებლის ინსპექტორია, 1920 წლის 1 სექტემბრიდან კი იგივე თანამდებობაზეა გურჯაანში. შემთხვევითი არ იყო 1921 წლის 15 ოქტომბერს მისი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად კურთხევა — ალბათ, გათვალისწინებულ იქნა აფხაზეთში მუშაობის (მათ შორის ეკლესიების დროებით მმართველად) გამოცდილება.

არქიმანდრიტი იოანე ენერგიულად შეუდგა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მისი დანიშვნა ესოდენ მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე, როგორც ჩანს, კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებული არ ყოფილა. 1919 წლის 7 სექტემბერს იგი დეპეშას უგზავნის არქიმანდრიტ იოანეს, სადაც წერდა, რომ აფხაზეთის მთავრობის მიერ თქვენი დანიშვნის თაობაზე უნდა ეც-

ნობოს მიტროპოლიტი ამბროსის, რომელიც თავის დასკვნას მომცემსო. 13 სექტემბერს კი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარეს — არზაყან ემუხვარს აცნობებდა: „სიამოვნებით გაცნობებთ, მოწყალეო ბატონო, რომ საკათალიკოზო საბჭომ, თანახმად თქვენი შუამდგომლობისა, ამათვის 11-ში ცხუმ-ბედის ეპარქიის დროებითი გამგებლობა მიანდო ჭყონდიდის მიტროპოლიტს მალალყოვლად უსამღვდელოეს ამბროსის“. 12 სექტემბერს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ კათოლიკოს-პატრიარქმა თავად მიტროპოლიტს (სთხოვა „დაუყოვნებლივ შეუდგეთ მართვას და ვითარება საქმისა მალე გვაცნობოთ“) და აფხაზეთის კომისარს — ი.ლორთქიფანიძეს აცნობა. ამ უკანასკნელმა ახალი დანიშვნა ჩათვალა მიზანშეუწონლად, რადგანაც, მისი აზრით, ადგილზე საქმის ვითარების გართულებას გამოიწვევდა. კომისარისაგან ამის თაობაზე დეპეშის მიღებისთანავე, კათოლიკოს-პატრიარქმა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს დეპეშითვე (15 სექტემბერი) ასეთი მითითება მისცა: „ახალ განკარგულებამდე ნუ ინებებთ გამგზავრებას სოხუმში“. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაუგებრობები სწრაფად მოიხსნა და 16 სექტემბერს მიტროპოლიტი სოხუმში ჩავიდა. მეორე დღესვე იგი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ამბროსი ხელაიას სოხუმში დანიშვნის თაობაზე კათოლიკოს-პატრიარქმა ნოე ჟორდანიას შეატყობინა.

პირველ რიგში საჭირო იყო ქონების ბოლომდე აღწერა და მიღება. შეიქმნა საეპარქიო დაწესებულებებისა და საკათედრო ტაძრის მიმღები სპეციალური კომისია. მასში მთავრობის წარმომადგენლად არქიმანდრიტი იოანე დანიშნა, რომელიც მითითებებს ჭყონდიდელი მიტროპოლიტისგან ღებულობდა. გაფორმდა მრავალი აქტი საეპარქიო ქონების მიღებაზე. 30 სექტემბერს იოანემ ჭყონდიდელ მიტროპოლიტს დოკუმენტები და სხვადასხვა ნივთები ჩააბარა.³³

სოხუმში ჩამოსვლისთანავე მიტროპოლიტმა ოქტომბრის დასაწყისისათვის საეპარქიო კრების მოწვევის გადაწყვეტილება მიიღო და ამის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქს შეატყობინა. დაიწყო სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები, ჩატარდა დელეგატთა

არჩევნები.

ითვალისწინებდა რა კრების მნიშვნელობას, აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი არზაყან ემუხვარი 1919წ. 27 სექტემბერს ნოე ჟორდანიას წერდა (დაწერილია ქართულად): „როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, 7 ოქტომბერს არის დანიშნული ცხუმბედიის ეპარქიის საეკლესიო კრება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს აფხაზეთის ეკლესიის ბედი, ე.ი. თუ რომელ ეკლესიასთან იქონიოს ერთიანობა, საქართველოს საკათალიკოსოსთან თუ რუსეთთან. მიგვაჩნია რა ამ კითხვის გადაწყვეტა უადრეს პოლიტიკურ საკითხად, საჭიროდ ვრაც(ხ) ყოველი ღონე იქნას მიღებული ეს კრება სასურველად ჩატარდეს, რისთვისაც საჭიროა ამ კრებას მეტი ჩვენი მომხრე დაეწვროს. ამ მიზნისათვის საჭიროა შორეულ კუთხეებიდან მომსვლელ დელეგატებს დახმარება მატერიალური აღმოუჩინოს გზის ფულის მხრივ, ვინაიდან, ეხლანდელს პირობებში მისვლა-მოსვლა მეტად გაძნელებულ-გაძვირებულია. ამ საჭიროების სასურველად ჩასატარებლად აფხაზეთის კომისარიატს არა აქვს არავითარი საშუალება. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ კეთილი ინებოთ და გაილოთ ამ მიზნისათვის თანხა არა ნაკლებ ასი ათასი მანეთისა კომისარიატის განკარგულებაში მისივე ანგარიშპასუხისმგებლობის ქვეშ“.⁵⁴

1919წ. 7 ოქტომბერს აფხაზეთში საეკლესიო საკითხების მოგვარების მიზნით მოწვეულ იქნა მართლმადიდებელი სამღვდელთა და მრევლის წარმომადგენელთა კრება 350 დელეგატის მონაწილეობით (ლიტერატურაში კრების მოწვევის თარიღად შეცდომით დასახელებულია 1919 წ. 22 ოქტომბერიც⁵⁵). კრებამ მოისმინა მოხსენება აფხაზეთის კომისარიატის 1919 წლის 1 სექტემბრის დეკრეტის შესახებ და, მიიღო რა მხედველობაში აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული კავშირი საქართველოსთან, აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე აფხაზეთის შესვლის შემდეგ დაუშვებელია აქ უცხო საეკლესიო ხელისუფლების არსებობა, კრებამ დაადგინა:

1) ავტონომიური აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდება აღდგენასა-

ქართველოს საკათალიკოსოს თვითმდგომი ეპარქიისა სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სახელწოდებით;

2) ეპარქიის სათავეში დგას დამოუკიდებელი ეპისკოპოსი, რომელსაც კათედრა და რეზიდენცია აქვს ქ. სოხუმში;

3) სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში შედის განურჩევლად ეროვნებისა ყველა სამრევლო, მონასტერი და საეკლესიო დაწესებულება მდინარეებს ენგურსა და მეხადირს შორის.

4) სარგებლობს რა თავის უფლებით საშინაო ცხოვრებისა და საეკლესიო-სამრევლო განაწესის საკითხებში, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას კანონიკური თვალსაზრისით საქართველოს საკათალიკოსოს ცენტრალურ ორგანოებთან ისეთივე ურთიერთობები აქვს, როგორც საქართველოს ეკლესიის სხვა თვითმდგომ ეპარქიებს;

5) საეკლესიო-სამოქალაქო თვალსაზრისით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამართლებრივი, იურიდიული მდგომარეობის ნორმირება ხდება აფხაზეთის კონსტიტუციით.⁵⁶

ამ დადგენილებით (განჩინება №2) საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქცია მთელს აფხაზეთზე გავრცელდა. სამღვდელოების კრებამ, რომელსაც არქიმანდრიტი იოანე მარგიშვილი თავმჯდომარეობდა, ეპარქიის ხელმძღვანელად მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) აირჩია. გადაწყვეტილებები ერთსულოვნად იქნა მიღებული. მხოლოდ მცირე ჯგუფი, ვისაც უნდოდა „подчиниться восстановителям единой Русской церкви“, ⁵⁷ დარჩა უკმაყოფილო.



1919 წლის 8 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ სოხუმიდან დეკანოზ კ. ცინცაძის დეპეშა მიიღო საეპარქიო კრების ჩატარებისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად მიტროპოლიტ ამბროსის არჩევის შესახებ. უწმინდესმა და უნეტარესმა სოხუმში ასეთი შინაარსის დეპეშა აფრინა: „ამა აფხაზეთ-სამურზაყანოს მორწმუნეებს და სამღვდელოებს! დედა ეკლესიასთან შემოერთებით და მღვდელმთავრის საუცხოვო არჩევნებით აფხაზეთის საეკლესიო კრების წევრებმა ოქროს ასოებით ჩაიწერეს თავი სამშობლოს მატრიანეში. ლოცვა-კურთხევა შემოერთებულ ჩემს სულიერ ძეთა და ასულთ, ხოლო შენ (ამბროსი — ჯ.გ.) ტკბილი სალამი და ძმური მოლოცვა თავისუფალი აფხაზეთის ღირსეულ მწყემსმთავარო“.⁵⁸

სანამ საკათალიკოსო საბჭო თავისი განჩინებით აფხაზეთის 1919 წლის 7 ოქტომბრის მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და მრევლის წარმომადგენელთა კრების ისტორიულ გადაწყვეტილებებს დაამტკიცებდა, სოხუმს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი ეწვია. ეს ვიზიტი თვეზე მეტ ხანს მზადდებოდა. 1919 წლის 12 სექტემბერს საკათალიკოსო საბჭომ საქართველოს მთავრობას კათოლიკოს-პატრიარქისა და მისი ამალის აფხაზეთში გამგზავრებისათვის საჭირო თანხების გამოყოფა სთხოვა. 25 სექტემბერს მთავრობამ ამისათვის 15 ათასი მანეთი გადადო.⁵⁹

1919 წლის 17 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქი სოხუმში ჩაბრძანდა. ეს იყო უდიდესი მოვლენა ქალაქის ცხოვრებაში. ვრცელი რეპორტაჟი ვიზიტის შესახებ გაზეთმა „საქართველომ“ შემოგვინახა. სოხუმში ძვირფას სტუმარს ზარბაზნის გრიალით მიეგება. ნავსადგურში მრავალრიცხოვან საზოგადოებასთან ერთად კათოლიკოს-პატრიარქს დახვდნენ მიტროპოლიტი ამბროსი, სოხუმში ადრე ჩამოსული დეკანოზი კ. ცინცაძე, ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. გრიგოლია, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. ნავსადგურშივე სტუმარს სოხუმის ქალთა საზოგადოების სახელით მიესალმა ქალბატონი ანჩაბაძე; აჟღერდა ქართული ჰიმნი.

საკათედრო ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე კათოლიკოს-პატრიარქს ხალხი მიაცილებდა, ტაძართან კი სტუმარს ქართული

და ბერძნული სამღვდლოება მიეგება, სიტყვა მიტროპოლიტმა ამბროსიმ წარმოსქთვა. გადახდილ იქნა პარაკლისი, რის შემდეგაც კათოლიკოს-პატრიარქმა „მეტად მგრძობიარე სიტყვით მიმართა დამსწრეთ“. 18 ოქტომბერს უწმინდესი და უნეტარესი ტაძარში ღოცულობდა, 19-ში (კვირას) სწირა მიტროპოლიტის თანამსახურობით. თანამწირველებად იყვნენ ქართველი, ბერძენი და რუსი მღვდლები. წირვა სამივე ენაზე წარმოებდა. იმავე დღეს ბერძენი და რუსი მღვდლები აკურთხეს. წირვაზე დამსწრე საზოგადოებას კათოლიკოს-პატრიარქმა სიტყვით მიმართა.

20 ოქტომბერს საქართველოს მღვდელმთავარმა ადგილობრივი ქართული გარნიზონი მოინახულა, „რომელსაც მიესალმა, მიულოცა, რომ ბედნიერება ხვდათ თავიანთ სამშობლოს სამსახური; განუმარტა თუ რა ერთგულებით უნდა ემსახურონ ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს, რომ იგი განმტკიცდეს, აღორძინდეს“. იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქი წაბრძანდა სასაფლაოსა და ბერძნული ეკლესიების დასათვალიერებლად.

21 ოქტომბერს მისი უწმინდესობა თავისი ამალით ახალი ათონის მონასტერს ეწვია, სადაც სტუმრებს წინამძღვარი და სამოცამდე ბერი ზარების საზეიმო რეკვით მიეგება; გადაიხადეს პარაკლისი, ილოცეს საქართველოს მთავრობისა და კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს დღეგრძელობისათვის. პარაკლისის შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში მალაღმა სტუმარმა აღნიშნა, „რომ ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ცნობილი ვისმე დევნით“.

22 ოქტომბერს დილით კათოლიკოს-პატრიარქი დრანდის მონასტერში ბრძანდებოდა; საღამოს კი მიტროპოლიტის რეზიდენციაში გაიმართა კრება, რომელსაც აფხაზეთის მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენლები დაესწრნენ. „საგანი კრებისა — ახალი ეპარქიის მოწყობა, მოწესრიგება. მოსმენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა ეპარქიის შესანახად. მეტად საგულისხმიერო იყო ეს სხდომა. ეპარქიის შესანახად საკმარისი მნიშვნელოვანი ხარჯის დაკისრება იყო საჭირო და, ერთის შეხედვით, ადამიანს უნდა ეფიქრა, რომ სოციალისტური მთავრობა ასე ადვილად ვერ იკისრებდა საეკლესიო საქმისათვის ასეთ ხარჯის გაღებას, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგ-

ვანახა. თითქოს ყველას დაავიწყდა პარტიული ჟინიანობა — ფანატიკურობა და შეთქმულები ყოფილიყვნენ, უსათუოდ მივეშველოთ ეპარქიის განმტკიცებასო. სულ ნახევარ საათში გადაწყვიტეს ის, რაც შეიძლება სხვას მთელი დღის საღაჯობად ეყოფოდა. ერთხმად გამოთქვეს აზრი, რომ ეკლესიის საკითხი დღეს ეროვნული საკითხიაო და მოვალენი ვართ ყველა ზომა მივიღოთ, რომ დაწყებული საქმე შუა გზაზე არ გაიყინოსო. მიტროპოლიტ ამბროსის აღუთქვეს სრული თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება. ასე გასინჯეთ, საეპარქიო მაგლობელთა გუნდის შენახვის საკითხიც კი არ იყო დატოვებული უყურადღებოდ. მას თვეში ესაჭიროებოდა 10 000 მ. ერთხმად დაადგინეს ეს საველდებულოდ გადაუხადონ სოხუმში არსებულ ფილარმონიულ საზოგადოებას“. სხდომის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს, აღნიშნა, რომ ქვეყნის ბედნიერებისათვის ერთიანი ძალისხმევაა საჭიროო.

23 ოქტომბერს სოხუმის საზოგადოებამ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის პატივსაცემად ნადიმი გამართა, რომელსაც აფხაზეთის მთავრობა, სოხუმის ინტელიგენცია და აფხაზთა წარმომადგენლები დაესწრნენ. წარმოთქმული სიტყვების „დედა აზრი იყო ის, რომ ეკლესია და საეკლესიო საკითხი ქართველი ერისათვის უბრალო, შეუმჩნეველი საკითხი კი არ არის და რომ ამას მთავრობაც ანგარიშს უწევს. გარკვევით გამოითქვა ისიც, რომ სამღვდელოება და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი ყოველთივეს სამშობლოს ერთგულნი ყოფილან და არიან დღესაც. ერთმა ადგილობრივ მთავრობის პირმა ისიც კი განაცხადა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება არის პროგრესული სარწმუნოება და არა რეტროგრადული, როგორც ეს ზოგიერთსა ჰგონია“.⁶⁰

იმევე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა აფხაზეთი დატოვა. დადასტურდა, რომ აფხაზეთის მთავრობა, ითვალისწინებდა რა ადგილობრივ პოლიტიკურ თუ სარწმუნოებრივ მდგომარეობას, უფრო ლოიალურად იყო განწყობილი ეკლესიის მიმართ, ვიდრე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება.

1919 წლის 28 ოქტომბერს საკათალიკოსო საბჭოს სხდომამ აფ-

ხაზეთის საეპარქიო კრების გადაწყვეტილებები განიხილა. ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის არჩევასთან დაკავშირებით საბჭომ განაჩინა: „დადასტურებული იქმნას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელთა და ერის კაცთა არაჩვეულებრივი (ანუ საგანგებო — ჯ.გ.) კრების განჩინება ჭყონდიდელ მიტროპოლიტის მაღალ ყოვლადუსამღვდელოესის ამბროსის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრად არჩევისათვის“. იმავე განჩინებით მიტროპოლიტ ამბროსის დაევალა ჭყონდიდის ეპარქიის მართვაც ახალი მღვდელმთავრის არჩევამდე. იმავე დღეს საკათალიკოსო საბჭომ აფხაზეთის საეპარქიო კრების №2 განჩინებაც განიხილა და გადაწყვიტა: „1) განჩინება №2 ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდლო და საერო არაჩვეულებრივი კრებისა დამტკიცებულ იქმნას. 2) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია მიღებულ იქმნას საკათალიკოსოს გამგეობაში. 3) ყოველივე ზემოაღნიშნული მოხსენდეს რესპუბლიკის მთავრობას და მომავალ საეკლესიო კრებას“.⁶¹

მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია დიდი მონდომებით შეუდგა მისთვის კარგად ნაცნობ მხარეში მოღვაწეობას. ჯერ კიდევ XIX ს. 60-ნი წლების მეორე ნახევარიდან, ვიდრე 80-ნი წლების დასასრულამდე ამბროსის მამა-მღვდელი ზოსიმე ილორის ეკლესიაში მსახურობდა (იხ. დანართი №19, 29). თვითონ ამბროსიც 1871-1873 წლებში ოჩამჩირის ერთკლასიან სკოლაში სწავლობდა;⁶² სასულიერო სემინარიის დამთავრების (1885წ.) შემდეგაც 10 წლის განმავლობაში (1887-1897 წწ) სოხუმის ეპარქიაში მოღვაწეობდა და მრევლის დიდი სიყვარული დაიმსახურა. შემდგომ პერიოდშიც მას სოხუმის ეპარქიასთან კავშირი არ გაუწყვეტია. მეუფე ამბროსის ეპარქიის ხელმძღვანელად დანიშვნამ ბოლო მოუღო აფხაზეთში მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფას, შეუქმნებელი გახადა გარეშე ძალების მიერ პოლიტიკური, ანტისახელმწიფოებრივი მიზნებისათვის მისი გამოოყენება. ეს არ მოსწონდათ სეპარატისტებს. ს. ბასარია ცრუობდა: „Из Тифлиса последовал явочным порядком указ о подчинении абхазской церкви Грузинскому каталикосу, и в Сухум был прислан свой митрополит. Так поступал и русский Святейший Синод“.⁶³ ასე-

თია სეპარატისტთა „სიმართლე“.

არ ცხრებოდა აფხაზეთის რუსული სამღვდელთა ც. მიტროპოლიტი ამბროსის სოხუმში ჩამოსვლისთანავე, აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავჯდომარემ ვ. შერვაშიძემ ეპისკოპოს სერგის წერილობით აცნობა, რომ „საკათალიკოსო საბჭოს მიერ სოხუმის ეპარქიის კანონიერ მმართველად დანიშნულია მიტროპოლიტი ამბროსი. თქვენი ადგილი აქ აღარ არის“. ⁶⁴ მიუხედავად ამისა, აფხაზეთის რუსული სამღვდელთა 1919 წლის 7 ოქტომბრის საეპარქიო კრების შემდეგაც აგრძელებდა ძირგამომთხრელ საქმიანობას. ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო ზომები და რამდენიმე მღვდელმსახური საქართველოდან გაესახლებინა.

საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აფხაზეთზე გავრცელებამ და დაუმორჩილებელი რუსი სასულიერო პირების ქვეყნის ფარგლებიდან გაძევებამ ნ. დენიკინის (რომელიც სოხუმის ოლქის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას და იქიდან საქართველოს ჯარების გაყვანას მოითხოვდა) უკმაყოფილება გამოიწვია. პარიზის კონფერენციაზე მისმა წარმომადგენლებმა ს. საზონოვმა (მეფის რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი), ჰქონდა რამხედველობაში აფხაზეთის კომისარიატის 1919 წ. 1 სექტემბრის დეკრეტი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონს აცნობა, რომ „по-видимому грузинские власти прибегают к секвестрации русских церквей не только в Грузии, но и в местах вроде Сухум“; ს. საზონოვის აზრით, სოხუმს არაფერი ჰქონდა საერთო საქართველოსთან. აფხაზეთის ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესდა ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ოლივერ უორდროპი. მისი სახელით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.გეგეჭკორმა ასეთი შინაარსის მომართვა მიიღო: „Г-(Н) Уордроп шлет привет г.Гегечкори и имеет честь сообщить, что получил письмо из Британской военной Миссии на юге России о том, что Главнокомандующий вооруженными силами на юге России (იგულისხმება გენერალი ნ.დენიკინი — გ.გ.) пожаловался миссии, что грузинские власти отобрали собор

и церковное имущество в Сухуме и просил, чтобы имущество, о котором идет речь, было возвращено.

Г-(н) Уордроп будет очень благодарен за какие нибудь сведения по этому вопросу для сообщения их генералу Холману“. ერთ-ერთ მიმართვაში ოლივერ უორდროპი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სთხოვდა აგრეთვე ეცნობებინა, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს რუს ხელისუფალთა მტკიცება სოხუმელი რუსი მღვდლების გ. გოლუბცოვისა (საკათედრო ტაძრის წინამძღვარი და ბლალოჩინი, 1919 წლის 9 ოქტომბერს თანამდებობიდან გაანთავისუფლეს დაუმორჩილებლობისათვის) და ს. პროტოპოპოვის (საკათედრო ტაძრის მღვდელი), აგრეთვე სოხუმის რუსული ეპარქიის კანცელარიის მდივნის ტ. ავტონომოვის (1906 წელს მაშინდელი ეპისკოპოსის კირიონის თანხმობის გარეშე მდივნად დაინიშნა) ქვეყნიდან გაძევება „за попытку воспрепятствовать грузинам захватить местную православную церковь“. საგარეო საქმეთა სამინისტროში შემოსული მომართვები 1919 წლის 10 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იქიდან კი 25 ნოემბერს საკათალიკოსო საბჭოს გადაეგზავნა. საბჭომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოპერატიულად მიაწოდა კ. ცინცაძის ხელმოწერილი ვრცელი ახსნა-განმარტებითი ბარათი სოხუმის ეპარქიაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სოხუმის მხარე თავისი ეპარქიით საქართველოსა და მისი ეკლესიის ნაწილია, როგორც ეს იყო საუკუნეების განმავლობაში; მასში საუბარი იყო 1917 წლის შემდგომ მოვლენებზე, როცა აფხაზეთის 55 სამრევლო საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო ეპისკოპოსი სერგი კანონიკური ნორმების საწინააღმდეგოდ 6 რუსულ, 11 ბერძნულ და 29 აფხაზურ სამრევლოს მართავდა; 1919 წლის მარტში სერგის სხვა თანამდებობაზე რუსეთში გადაყვანამ და სოხუმის ოლქის რუსული ეკლესიის ეპისკოპოსისაგან განთავისუფლებამ, — ვკითხულობთ ახსნა-განმარტებაში, — საშუალება მისცა აფხაზეთის კომისარიატს იმავე წლის 1 სექტემბერს გამოეშვა

ცნობილი დეკრეტი, ხოლო საკათალიკოსო საბჭოს — ეპარქიის დროებით მმართველად მიტროპოლიტი ამბროსი დაენიშნა. ამ უკანასკნელმა, შეუდგა თუ არა მოვალეობის შესრულებას, წერილობით შესთავაზა დეკანოზ გ.გოლუბცოვს, მღვდელ ს.პროტოპოპოვს და კანცელარიის მდივანს — ტ.ავტონომოვს დარჩენილიყვნენ თავიანთ თანამდებობებზე, მაგრამ, როგორც საკათალიკოსო საბჭო განმარტავდა, ხსენებულმა პირებმა ასევე წერილობით უარყვეს მიტროპოლიტი ამბროსის წინადადება, ვინაიდან სამხრეთ რუსეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო სამმართველო უკრძალავდა მათ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებთან ურთიერთობას; ამის შემდეგ იყო საგანგებო საეპარქიო კრება, — ნათქვამია დოკუმენტში, — რომელმაც ქართულ ეკლესიასთან გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო, აირჩია ეპისკოპოსი, საეპარქიო საბჭო, საკათედრო ტაძრის წინამძღვარი და კანდელაკი, რომლებმაც აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლის (იგ ულისხმება არქიმანდრიტი იოანე მარგიშვილი) თანდასწრებით ტაძრის ქონება ჩაიბარეს. „ამრიგად, სოხუმის ეპარქიის ქონება ამჟამადაც მას ეკუთვნის და თუ საკათედრო კრებულისა და საეპარქიო საბჭოს ზოგიერთმა წევრმა არ ისურვა სამსახურში დარჩენა თვითგამორკვეულ სოხუმის ეპარქიაში, ამით მხოლოდ პიროვნებათა შეცვლა მოხდა“, — წერდა საკათალიკოსო საბჭო. იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ სოხუმის ეპარქიისა და საკათედრო ტაძრის ქონება კანონიერად არჩეული პირებისა და დაწესებულებების ხელშია და ამიტომ „**никому возвращено быть не может и вывозу из пределов Грузинской республики не подлежит**“.

გ.გოლუბცოვთან, ს.პროტოპოპოვთან და ტ.ავტონომოვთან დაკავშირებით, საკათალიკოსო საბჭო მიუთითებდა, რომ ისინი „სოხუმიდან არიან გასახლებული ანტისამთავრობო პროპაგანდისა და მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორის წინააღმდეგ წაქეზების მცდელობებისათვის“.⁶⁵ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკათალიკოსო საბჭოს ახსნა-განმარტების საფუძველზე შედგენილი ამომწურავი პასუხი ოლივერ უორდროპსა და გენერალ უილიამსს გაუგზავნა. სულ მალე — 1920 წლის 17 თე-

ბერვალს — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოძიებული საიდუმლო მასალების საფუძველზე ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში მხილებული კავკასიის საეგზარქოსო გააუქმა და მის წევრებს სასწრაფოდ დაატოვებინა საქართველოს ტერიტორია.⁶⁶ ამით რუსული სამღვდლოების პრობლემა ბოლომდე არ მოხსნილა, მაგრამ რამდენადმე შერბილდა.

ამ მხრივ ვითარება კვლავ რთული იყო აფხაზეთში, რაზეც ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს ამბროსის მიერ 1919 წლის 19 დეკემბერს კათალიკოს-პატრიარქისათვის გამოგზავნილი წერილი მეტყველებდა. „თუმცა ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრები და ძმანი სათანადო პატივით დახვდნენ თქვენს უწმინდესობას, — ნათქვამია მასში, — მაგრამ, როგორც ბოლო დროს აღნიშნული მონასტრის წარმომადგენელმა განმიცხადა, წინამძღვარი და ძმანი მონასტრისა ცნობენ თავის თავს უხერხულ მდგომარეობაში, რადგან მათ არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ რუსეთის ეკლესიის დროებით მმართველობის განკარგულებას, მასთან კი მათ არ სურთ საქართველოს ეკლესიასთან შეწყვიტონ კავშირი. სხვა მონასტრები კი ჩემთან უარეს დამოკიდებულებაში არიან, ხოლო სოხუმის საკათედრო ტაძრის ყოფილმა რუსთა კრებულმა პირდაპირ განმიცხადა, რომ მას არ შეუძლია დაემორჩილოს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს, რადგან ეს მას, კრებულს, აკრძალული აქვს რუსეთის ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ. ასევე მოიქცა გაგრის ეკლესიის კრებულიც.

რომ ყოვლისფერს ზემოთხსენებულს ბოლო მოეღოს და ამიერკავკასიის ყველა ნაწილებში აღდგენილ იქმნას საქართველოს ტერიტორიული ეკლესია, როგორც ამას მოითხოვს საეკლესიო კანონები, ამისათვის საჭიროა, რათა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ცნობილ იქმნას აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ, ხოლო ეს რომ მოხდეს, აუცილებელი საჭიროა გაიგზავნოს აღმოსავლეთში საგანგებო დელეგაცია“. ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსს ამის გაკეთება საჩქაროდ მიაჩნდა, ვინაიდან თვლიდა: „როგორც აღდგენილ სახელმწიფოს ცნობაა საჭირო სხვა სახელმწიფოთა მიერ, ისე საჭიროა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის

აღდგენის ცნობა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათა მიერ, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ.

თუ სოხუმის ეპარქიის რუსების მონასტრები ჩამოგვშორდა, ეს საქართველოს ეკლესიისათვის არამც თუ სასურველი არ არის, არამედ სხვადასხვა მხრით ძლიერ საზარალოც იქნება“.⁶⁷ ამბროსი ხელაიას დასკვნა და რეკომენდაცია აბსოლუტურად სწორი იყო: მხოლოდ ტერიტორიული ავტოკეფალიისა და საერთაშორისო არენაზე აღიარების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში რუსული სამღვდლოების პრობლემის საბოლოოდ მოგვარება. მართლაც, მეტნაკლები სიმწვავეით ეს პრობლემა რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარებამდე (1943 წ.) არსებობდა.

აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მართვის შესახებ კომისარიატის 1919წ. 1 სექტემბრის დეკრეტი და შემდგომში გატარებული ღონისძიებები აფხაზეთის სახალხო საბჭოში განხილვისა და ცხარე დებატების საგანი გახდა. საბჭოს სეპარატისტულ-ბოლშევიკურ-თეთრგვარდიულმა ნაწილმა (ისინი ერთობლივად ილაშქრებდნენ საქართველოს წინააღმდეგ) — ა. დემიანოვმა, დ. ალანიამ, მ. ტარნავამ და დ. მარდანიამ 1919 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა წარმოადგინეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სოციალისტური მთავრობა რელიგიის საქმეებში არ უნდა ერეოდეს. მათი აზრით, ახალი ეპისკოპოსის დანიშვნა და ქონების ჩამორთმევა უკანონოდ მოხდა; აფხაზეთის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადებული საეკლესიო ქონება რუსეთს ეკუთვნისო, ამბობდა ა. დემიანოვი და ამაში მას მხარს უჭერდა 1917წ. აფხაზეთის ეკლესიის „დამოუკიდებლობისათვის“ მებრძოლი მ. ტარნავა. შეკითხვის ავტორები სინდისის თავისუფლების შეზღუდვაზე საუბრობდნენ. ავტონომიის მთავრობის პოზიცია განათლების კომისარმა ი. ლორთქიფანიძემ დაიცვა. სახალხო საბჭოს სხდომაზე⁶⁸ გამოსვლისას, მან განაცხადა, რომ სოციალისტური ხელისუფლების ჩარევა საეკლესიო საკითხებში და აღმინისტრაციული წესით დეკრეტის საჩქაროდ მიღება განაპირობა

სურვილმა, აფხაზეთის მართლმადიდებლური მოსახლეობისათვის მიგვეცა „ВОЗМОЖНОСТЬ ОСВОБОДИТЬСЯ ОТ ЧУЖЕЗЕМНОГО ЭЛЕМЕНТА, ВЫЯВИТЬ СВОЮ ВОЛЮ“. ი. ლორთქიფანიძემ ისაუბრა აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის მკვიდრო კავშირზე საქართველოს ეკლესიასთან რუსეთთან შეერთებამდე და მის შემდეგაც; იგი კანონიკურ საკითხებსაც შეეხო და განაცხადა, რომ საეკლესიო მმართველობა უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფო მმართველობას, რაც ნიშნავს: „кандидатом на епископскую должность может быть только человек подданный или гражданин того государства, в котором находится его епископское служение“. ი. ლორთქიფანიძემ დეკლარაციებს განუმარტა, რომ საქართველოს ეკლესიას, რომელმაც ავტოკეფალია 1917 წ. მარტში აღადგინა, აფხაზეთის ეკლესიის საკითხი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გარკვევამდე — 1919 წ. 20 მარტის აქტის (საქართველოს შემადგენლობაში შესვლის შესახებ) მიღებამდე არ გადაუწყვეტია და თუ „актом 20 марта Абхазский народный совет заявил о своем политическом единстве с Грузией, то 7 октября (1919 წ. 7 ოქტომბერს მოწვეული სამღვდელოების კრება იგულისხმება — ჯ.გ.) население Абхазии без различия национальностей заявило о своем единстве с Грузинской церковью“. ეს იყო მნიშვნელოვანი განცხადება და ყველაზე მთავარი არგუმენტი. ავტონომიის მთავრობის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სოხუმის ეპარქიის ბედის გადაწყვეტა გადაიდო არა მხოლოდ 1918 წ. რეგიონში არსებული რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო,“ არამედ 1919 წ. თებერვალში დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლის თაობაზე საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებამდე.

ი. ლორთქიფანიძემ შეკითხვის ავტორებს (განსაკუთრებით მ. ტარნაევს) 1917 წ. მაისში აფხაზეთი ეკლესიის ვითომ დამოუკიდებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შეახსენა და განუცხადა: თქვენ ახლა ლაპარაკობთ ეკლესიაზე, ჩვენი დეკრეტის უკანონობაზე, „а не тогда, когда управляли церковью люди

(ორატორის მხედველობაში აქვს 1917 მაისის ყრილობაზე აფხაზე-რი ეკლესიის მართვის პრეტენზიების მქონე, ძირითადად საერო პირებისაგან შემდგარი საბჭოს არჩევა — ჯ.გ.), не имевшие ничего с нею общего”.

შეკითხვის ავტორების მტკიცებაზე, თითქოს, დეკრეტის მიხედვით, აფხაზეთის საკუთრებად გამოცხადებული საეკლესიო ქონება რუსეთს ეკუთვნოდეს, ი. ლორთქიფანიძემ უპასუხა: „Когда это говорит депутат Демьянов с определенной политической окраской я его понимаю, но когда вы, патриоты Абхазии, это пишете, я не понимаю... Никакого национального достояния русских в пределах Абхазии нет. Российская Империя строилась трудом всех народностей и высчитать кто больше крови и пота пролил сейчас невозможно”. მომხსენებელმა უარყო, რომ სოხუმის საკათედრო ტაძარი რუსების საკუთრებაა; 1877 წელს სოხუმის ეკლესიის დანგრევის შემდეგ მთავრობამ გარკვეული თანხა გამოყო ამ ტაძრის ასაშენებლად; ამისათვის მოსახლეობაც სისტემატურად აგროვებდა ფულს, რომელსაც მხოლოდ რუსები არ იძლეოდნენ, — აღნიშნა ი. ლორთქიფანიძემ. შეეხო რა ეპისკოპოს სერგისა და სხვა რუსი ეროვნების მღვდელმსახურთა ქმედობებს, მან განაცხადა: „Когда официальное заявление определенной группы, которую мы считали подданными нашей республики, говорит, что они подчиняются южно-русской церкви, то мы этого ни с какой точки зрения понять не можем... Когда мы получили известие, что епископ после слов молитвы о несчастной, истерзанной России молится на благоверных правителей России (იგულისხმება თეთრგვარდიული მთავრობა — ჯ.გ.), мы можем иметь к этому определенное отношение”. დაუშვებელია, როცა ეპისკოპოსი არ არის ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქე და მაღალი თანამდებობა უკავია, — თქვა ი. ლორთქიფანიძემ. მან დეპუტატებს მოუთხრო 1919წ. 7 ოქტომბერს შეკრებილი აფხაზეთის სამღვდელთა ყრილობის შესახებ, რომელსაც ყველა მართლმადიდებელი ერის (ქართველების, აფხაზების, რუსების,

ბერძნების) წარმომადგენელი ესწრებოდა — სულ 350 კაცი. “Они констатировали, что составляют часть грузинской церкви”, აირჩიეს თავისი ეპისკოპოსი; გადაწყვეტილება იყო ერთსულოვანი, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული „маленькая кучка недовольных“, — თქვა ი. ლორთქიფანიძემ. მან ასევე განმარტა, რომ სახალხო საბჭოს მოწვევის გარეშე მთავრობის მიერ დეკრეტის მიღება მიზნად ისახავდა წინაპირობების შექმნას „для выявления воли православного населения Абхазии... Если мы сказали, что вот мы вам назначаем священника, то это было бы против воли, но Амвросии (ხელაია — ჯ.გ.) только заявил тем священникам, которые хотели подчиниться только восстановителям единой русской церкви, что вы со мной служить не можете”. დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვაზე პასუხი ი. ლორთქიფანიძემ ასე დაასრულა: „Что же касается существования церкви, которая не признает нашей республики и молится за Колчака, я должен заявить как представитель политической власти, что пока между нами и Добровольией (ბ. დენიკინის ჯარები — ჯ.გ.) существует состояние войны, такой церкви у нас не будет”.

შეკითხვის ერთ-ერთი ავტორი დ. ალანია უკმაყოფილებას გამოთქვამდა საეკლესიო საკითხის სახალხო საბჭოს გარეშე გადაწყვეტისათვის; მისი თანაავტორი მ. ტარნავა კი ამტკიცებდა, რომ რესპუბლიკისა და აფხაზეთის სოციალისტური მთავრობების ჩარევა საეკლესიო საქმეებში მათ დისკრედიტაციას გამოიწვევდა. იგი ისტორიის საკითხებსაც შეეხო და თქვა, რომ აფხაზეთის ეკლესია X საუკუნემდე იყო დამოუკიდებელი (სინამდვილეში კი დამოუკიდებელი იყო აფხაზეთად წოდებული დასავლეთ საქართველოს ეკლესია და არა საკუთრივ აფხაზეთისა); მხოლოდ „с X века, — ამბობდა მ. ტარნავა, — начинается объединение этих двух церквей (ავტორი გულისხმობდა ქართულ-აფხაზურ ეკლესიებს მაშინ, როცა XIX საუკუნემდე აფხაზურ-აფსუური ეკლესია არ არსებობდა — ჯ.გ.) и в последующие годы Грузинская церковь при-

ობრელა დომინირუოეე ვლინაიე ჳდესი". მ. ტარნავამ ისაუბრა 1917 წელს აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და გამოსვლის დასასრულს განაცხადა: „Комиссариат должен аннулировать свой декрет и разрешение этого вопроса об устройении церкви Абхазии должно быть передано духовенству. Наше дело-это политическое устройство края, но не область религиозной жизни наших граждан“.

სიტყვა კვლავ ა. დემიანოვმა აიღო. ჩვენ გვინდა რელიგიური თავისუფლება, რომელიც დარღვეულია; რა საქმე გაქვთ ეკლესიასთან, — თქვა მან. დაახლოებით იგივე განაცხადა დ. მარღანიამ. მისი აზრით, ეკლესიის საკითხში არც კომისარიატი და არც სახალხო საბჭო არ უნდა ჩაერიონ.

ღებატებში მონაწილეობდა ბერძენი ეროვნების დეპუტატი ი. ფაშალიდი, რომელმაც თავისებურად დაიცვა ქართული პოზიცია. „ეკლესიის საკითხს უთუოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა და ჩვენ, როგორც ხელისუფლების სათავეში მყოფ სოციალისტებს, არ შეგვიძლია ამ საკითხების მიმართ ინდიფერენტულები ვიყოთ, — აღნიშნა მან. — იგივე საბჭოთა ხელისუფლება აკვირდება და ყურს უგდებს ყოფილი რუსეთის იმპერიის ეკლესიას. მათ დააპატიმრეს კიდევაც მღვდლები, მაგალითად, ლენინმა პატრიარქი ციხეში ჩასვა. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ეკლესიას, რადაგანაც რელიგია და ეკლესია ერთი და იგივე არ არის. სინდისის თავისუფლებას და რელიგიას ამ საკითხებთან კავშირი არა აქვთ. ეკლესია ეს არის გარკვეული დაწესებულება, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ისტორიაში. ჩვენთვის სულერთია მოქალაქეები ღმერთზე როგორც ლოცულობდნენ, ხოლო როცა ლოცულობენ არა ღმერთზე, არამედ სატანაზე, რომელიც ჩვენს კარიბჭესთან დგას (იგულისხმება დენიკინის ჭარი — ჯ.გ.), მას აღგილი უნდა მიუჩინოთ... მე მივიუთითე დეპუტატ დემიანოვს, რომ ქართული ავტოკეფალური ეკლესია აღიარებული იყო მსოფლიო კრების მიერ. ეს ნიშნავს, რომ კანონიკურად და ისტორიულად ქართული ავტოკეფალური იყო რუსულ ეკლესიაზე ადრე და ქართული ეკლესია დაფუძნდა მაშინ,

როცა რუსები პერუნზე (რუსული წარმართული ღვთაება — ჯ.გ.) ლოცულობდნენ... როცა არსებული წყობილების წინააღმდეგ გარკვეული აგიტაცია მიდის, მთავრობა უნდა ჩაერიოს, ასეც მოიქცა კომისარიატი. ამბობენ, ეს ეკლესია რუსული ფულით აშენდაო. სხვა ფული მაშინ არ იყო“. ი. ფაშალიძმა სახალხო საბჭოს ყურადღება იმ გარემოებებზე გაამახვილა, რომ ოპოზიციამ 18 ნოემბრის სხდომაზე სამი შეკითხვა შემოიტანა, რომლებიც შეეხებოდნენ მთავრობის გადაწყვეტილებებს ქართული ენის სწავლების, ⁷⁰ ეკლესიისა და უცხო ქვეყნების ფულის ნიშნების (ე.წ. „კერენსკებისა“ და „დონის“) მიმოქცევის აკრძალვის შესახებ; სამივე ერთმანეთთანაა დაკავშირებული, — განაცხადა ი. ფაშალიძმა და დასძინა: „Я думаю, что авторы запроса хотят просто показать, что ничего грузинского они не признают“.

ი. ფაშალიძის გამოსვლით დებატები დასრულდა. ი. ლორთქიფანიძემ ოპონენტებს მოკლედ გასცა პასუხი. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსა და აფხაზეთის ისტორია ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული; დემიანოვს კი ეს ყველაფერი აცოფებს, ვინაიდან მთელი თავისი არსებით („всеми фибрами своей души“) სძულს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ამბობს, „что добрый патриот Деникин освоодит Россию, а мы знаем, как он осуществит республику“.

აფხაზეთის სახალხო საბჭომ საკითხის განხილვა ი. ფაშალიძის მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის მიღებით დაასრულა. მასში ნათქვამი იყო, რომ საბჭო დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს განათლების კომისარიატის ახსნა-განმარტებას აფხაზეთში მართლმადიდებლური ეკლესიის მართვის რეფორმის შესახებ.

სახალხო საბჭოზე საეკლესიო საკითხის განხილვამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ აფხაზეთი სეპარატიზმი რუსული შოვინიზმისა და იმპერიალიზმის ადგილობრივ ნაირსახეობას წარმოადგენდა; ნათელი გახდა ზოგადად ეკლესიის უდიდესი მნიშვნელობა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის (თუ დამხობის) საქმეში, რაც შესანიშნავად ესმოდათ ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის მტრებს, მაგრამ ნაკლებად ესმოდა ცენტრალურ

სოციალისტურ მთავრობას; სხდომაზე წარმოჩინდა აფხაზეთში არსებული ვითარება, რომელსაც გარეშე ძალები (დენიკინელები და ბოლშევიკები) ყოველდღიურად ამწვაებდნენ; მისი განმუხტვისათვის ხელი უნდა შეეწყო მოქნილ საეკლესიო პოლიტიკასა და მთავრობის მუშაობაში მართლმადიდებლობის ფაქტორის გათვალისწინებას.

აფხაზეთის ხელისუფლება ამ ფაქტორს გარკვეულწილად ითვალისწინებდა, რისი დასტურიც არის 1919წ. სექტემბერ-ოქტომბერში მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმა, ასევე მთავრობის წარმომადგენლისა და მისი მხარდამჭერი დეპუტატის სახალხო საბჭოს სხდომაზე გამოსვლა. ამასვე ადასტურებდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის წერილი (1919წ. ოქტომბერი) საქართველოს სამხედრო მინისტრის ნოე რამიშვილის სახელზე აფხაზებისათვის, განურჩევლად მათი სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხალისეობის პრინციპით შეცვლის თაობაზე. წერილში ვკითხულობთ: „ეჭვს გარეშეა, რომ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეებმა უნდა მოიხადონ სამოქალაქო ვალდებულებანი, მაგრამ აფხაზები ნახევარზე მეტი სარწმუნოებით მაჰმადიანებია და განმარტება, რომ მაჰმადიანები თავისუფალია სამხედრო ბეგარის მოხდიდან,“⁷¹ სავსებით ჩააგდებს მათ მოღვების ხელში. ქრისტიანები უმცირესი ნაწილია აფხაზების და ამის გამო არ იყო საჭირო მათი მაჰმადიანებათა და ქრისტიანებად დაყოფა. მათი გაწვევის საკითხი მოითხოვს ძლიერ სიფრთხილეს; ვინაიდან ხალხის მთელ ცხოვრებაში პირველად ხდება სამხედრო სამსახურში ძალდატანებითი გაწვევა, მეფვიქრობ, რომ მათთვის მოხალისეობრივი პრინციპის შემოღება უმტკივნეულოდ გადაჭრის საკითხს“. ამ წერილის საფუძველზე ნოე რამიშვილმა 1919წ. 1 ნოემბერს საქართველოს მთავრობას წარუდგინა მოხსენება „აფხაზთა, მიუხედავად მათი სარწმუნოებრივი განსხვავებისა, სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლებისა და მის ნაცვლად სამსახურში მოხალისეებად შესვლის უფლების შესახებ“. სამხედრო მინისტრმა, გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ მეფის რუსეთში როგორც მაჰმადიანი, ისე

ქრისტიანი აფხაზები, სამურზაყანოელებისაგან განსხვავებით, სავალდებულო გაწვევას არ ექვემდებარებოდნენ, მთავრობას მოახსენა: „ვლებულობ რა სახეში აფხაზეთის კომისარიატის თავჯდომარის აზრს და მიმაჩნია რა მიზანშეუწონლად სამხედრო ბეგარის მოსახდელად აფხაზების სარწმუნოების მიხედვით დაყოფა, საჭიროდ მიმაჩნია სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების კანონის მუხლი აფხაზებზე დროებით არ გაერცვლდეს და მის ნაცვლად მიეცეს მათ სამხედრო სამსახურში მოხალისეებად შესვლის უფლება“.⁷² ქრისტიან აფხაზთა გაწვევის საკითხი 1920 წლის გაზაფხულზეც დადგა დღის წესრიგში. ამასთან დაკავშირებით, 1920წ. 13 მაისს ს. ლიხნში მოწვეულმა გადაუთის მაზრის ყველა თემის წარმომადგენელთა კრებამ თხოვნით მიმართა ხელისუფლებას, სავალდებულო სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული გადასახადით (როგორც იყო მეფის რუსეთში) შეცვლის თაობაზე.⁷³

საქართველოს მთავრობის ანტიეკლესიური პოლიტიკის პირობებში საკათალიკოსო საბჭოს, აგრეთვე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის უმთავრესი საზრუნავი ეკლესიის გადარჩენა გახლდათ. 1919 წლის ზაფხულში ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს II საეკლესიო კრების წინასწარი სათათბირო, რომელსაც კრების მოწვევა და მისთვის მასალების მომზადება დაევალა. სათათბირო საკათალიკოსო საბჭოს წევრებისაგან და ეპარქიათა წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.⁷⁴ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ახალ ვითარებაში მუშაობის რეორგანიზაცია წარმოადგენდა. ამ საკითხის განსახილველად კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდმა 1920წ. 11 იანვარს მორწმუნეთა კრება მოიწვია. თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ ახლო ხანებში მოსალოდნელია ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა, რომელსაც მომზადებულები უნდა შევზდეთ, ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ. კრებამ, მისი უწმინდესობის წინადადებით, მორწმუნეთა ორგანიზაციის შექმნა გადაწყვიტა, აირჩია კომისია წესდების შესამუშავებლად. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სასულიერო (კორნელი კეკელიძე, იასონ კაპანაძე და კალისტრატე ცინცაძე) და საერო (გენ. ლ. ბალუაშვილი, ივ. რატიშვილი და სხვა) პირები. ასევე გადაწყდა კომისიაში ივანე ჯავა-

ბიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა მოწვევა.⁷⁵

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ამ ურთულეს ეპოს მხარში ედგა კათოლიკოს-პატრიარქს და საკათალიკოსო საბჭოს. ის აქტიურად მონაწილეობდა წინასწარი სათათბიროს მუშაობაში და მომავალი ყრილობის მასალების მომზადებაში. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში (ეპარქიის ფონდში) დაცული იყო წინასწარი სათათბიროს IV სხდომის (1920 წლის მარტი-აპრილი) მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მთლიანად ქართული სამღვდლოების მათ შორის აფხაზეთის ეპარქიის წინასაყრილობო პლატფორმას წარმოადგენდა. დოკუმენტში მკვეთრად უარყოფითი შეფასება ეძლეოდა საქართველოს მატერიალისტურ-სოციალისტური მთავრობის საეკლესიო პოლიტიკას, მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს: საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებას ყველა სასწავლებელში და ამ სასწავლებელთა უძრავ-მოდრავი ქონების ჩამორთმევის განზრახვას, საეკლესიო და სამონასტრო ადგილ-მამულების ჩამორთმევას, საუფლო დღესასწაულთა უმეტესობის (დიდი პარასკევი, ფერისცვალება, ჭვართამაღლება, მიძინება ღვთისმშობლისა და ა.შ.) სადაგ-სამუშაო დღეებად გამოცხადებას და სხვა. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა გაუმართლებლად იყო მიჩნეული, პირველ რიგში, ისტორიული რეალიების გათვალისწინებით. განსხვავებით საფრანგეთისაგან, რომელსაც ბაძავდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, საქართველოს სახელმწიფო და ეკლესია „ძველთაგანვე ერთ სხეულად იყო შედუღაბებული, ერთი მეორეში დაიბადა, ერთი მეორეს ზრდიდა, აცხოველებდა... ქრისტეს ემბაზში იშვა ქართველი ერი, აღორძინდა და აღიზარდა ის ახალი ცხოვრებისათვის. აქჩაისახა მისი მწერლობა, მწიგნობრობა, ფრთა გაშალა ხუროთმოძღვრებამ და საზოგადოდ ქართულმა ხელოვნებამ... ხოლო ყოველი ეს არის ნაწარმოები ქართველი ერის ცხოველი სარწმუნოების გენიისა; ეს არის ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც გამოაფოლადეს ქართველი ერის არსებობაში ქრისტეს ღვთაებრივმა სჯულმა. ამიტომ ქართველი ერიც ისე უფროხილდებოდა თვისს სჯულს, როგორც თვალის ჩინს. უნივერსალურ, საკაცობრიო და საერთაშორისო მნიშვნელობასთან ერთად ქრისტიანობამ

მიიღო ჩვენში ღრმა ნაციონალური ხასიათი. სჯული და მამული ერთმანეთს განამტკიცებდნენ ხოლმე. ისინი ხელიხელ ჩაკიდებულები მიდიოდნენ ქირში თუ ლხინში. ასე იყო ძველად, ასე იყო რუსთა ბატონობის დროსაც... საქართველო და მისი ეკლესია ერთად ვლიდნენ XIX საუკუნის ეკლიან გზაზე; ერთად დაისახეს მათ განთავისუფლების იდეა, ერთად ზრდიდნენ და ამოძრავებდნენ ისინი ამ იდეას და ერთ დროს ეღირსნენ კიდევ ამ სანუკვარი მიზნის განხორციელებას“.

წინასწარი სათათბიროს შეფასებით, სახელმწიფოსა და ეკლესიის გათიშვად იყო მიზანშეწონილი საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობის გამოც; მტრულ გარემოცვაში მყოფი ნორჩი რესპუბლიკის გადარჩენისათვის არა გათიშვა, არამედ ყველა პატრიოტული და კულტურული ძალის გაერთიანება იყო საჭირო. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა ძლიერ ნაადრევია და სახიფათო, ნათქვამია დოკუმენტში, ვინაიდან 100 წლიანმა პოლიტიკურმა მონობამ დაასუსტა მართლმადიდებლობა (განსაკუთრებით განაპირა მხარეებში) და მასთან ერთად დააქვეითა განათლება, პატრიოტული გრძნობა. წინასწარი სათათბირო აცხადებდა, რომ სახელმწიფოს ნებაა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ეკლესია „ვერასოდეს ვერ აიღებს ხელს თვის მორწმუნე ერზე, ამ ხნის განმავლობაში ნაცად გავლენაზე და დედობრივ მზრუნველობაზე. ჩვენი ეკლესია მუდამეამ ეცდება, რომ ჩვენს ერში და ქვეყანაში სწარმოებდეს მაღლი ღვთისა, ჩვენს ურთიერთობაში ტრიალებდეს მისი მამობრივი მოწყალე თვალი და სუფევდეს ჩვენში მშვიდობა, დათმობა და დაზოგვა, სიყვარული, სიბრაულული, სიწმინდე და სიხარული სულითა წმიდითა“.⁷⁶

წინასწარი სათათბიროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში მოცემული შეფასებები საფუძვლად დაედო 1920 წლის ივნის-ივლისში შემდგარ მეორე საეკლესიო კრების (გაიხსნა 27 ივნისს) გადაწყვეტილებას ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხებზე. კრებამ სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილა; კათალიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტი ლეონიდი დაამტკიცა. გაიმართა მსჯელობა აფხაზეთის საკითხზეც. კრებამ დაადგინა, რომ „საქარ-

თველოს ეკლესიებში დაწესებულ იქმნეს რომელიმე დიდ საუფლო დღეს მორწმუნეთა შორის კეთილმზებელობითი შეწირულობის შეკრება აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცების საჭიროებათათვის“. მოგვიანებით (1921 წლის 31 იანვარს) კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი, შეახსენებდა რა საკათალიკოსო საბჭოს II საეკლესიო კრების ამ დადგენილების თაობაზე, წინადადებას აძლევდა „მას შევიდეს ამის შესახებ დაწვრილებით მსჯელობაში, ე.ი. დანიშნოს შეწირულობათა შესაგროვებელი დღეც და გამოიძუშაოს კიდევ ყველა საჭირო წინასწარი ზომებიც.

ჩემის მხრით დავსძენ, რომ აღნიშნული დიდმნიშვნელოვანი დადგენილების განხორციელების შესაფერის დღედ ვთვლი ბრწყინვალე პასექს და შემდეგ კვირიაკებას სული წმიდის მოფენამდე“.⁷⁷

მეორე საეკლესიო კრების მუშაობაში მონაწილე დელეგატებმა აფხაზეთიდან საქართველოს მთავრობის თავჯდომარეს ნოე ჟორდანიას 1920წ. 15 ივლისს მოხსენება წარუდგინეს. მასში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთში ღრმად მოიკიდა ფეხი ისლამმა, რამაც განაპირობა 1918 წლის ზაფხულში კოდორის მაზრაში მაპაჯირებისაგან შემდგარი ასკერების ჩამოყვანა. აფხაზეთი „უმრავლესად გამაჰმადიანდნენ, — ვკითხულობთ მოხსენებაში, — და ვინც დარჩნენ ქრისტიანებად, ისინიც გამაჰმადიანდებიან თუ მთავრობამ ამ საქმეს სათანადო ყურადღება არ მიაქცია“. დელეგატები ნ. ჟორდანიასაგან ითხოვდნენ „დაუბრუნდეს აფხაზეთის საეპარქიო მთავრობას სტამბა, რომელიც ჩამოერთვა დრანდის მონასტერს და რომელშიაც იბეჭდება ადგილობრივი პარტიული (სოციალ-დემოკრატიული — ჯ.გ.) გაზეთი „Наше слово“ (რედაქტორი — დიმიტრი გულია — ჯ.გ.). სტამბა საჭიროა როგორც ქართული, ისე აფხაზური საეკლესიო და ზნეობრივი წიგნების გამოსაცემად.

გადაიდოს საჭირო თანხა ქართულ და აფხაზურ გალობების და სარწმუნოებრივი წიგნების გასავრცელებლად აფხაზეთში, თუ შესაძლებელი იქნა, მთლად უფასოდ“.⁷⁸

ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ამბროსი მთავრობისაგან მოითხოვდა „საჭირო თანხის“ გადადებას ბედის ტაძრის აღსადგენად. თუ ადრე ამ იდეას სოხუმის რუსი ეპისკოპოსები ეწინააღმდეგე-

ბოდნენ, ახლა დროება გამოიცვალა, სოხუმში ზის ქართველი მღვდელმთავარი, არავინ გაუწევს წინააღმდეგობას ტაძრის აღდგენას, „მხოლოდ საჭიროა სურვილი და საშუალება“, — წერდა მიტროპოლიტი ამბროსი 1920 წელს დაწერილ თავის ბრწყინვალე ნაშრომში „ბედის ტაძარი“ (ნაწილობრივ გამოქვეყნდა გაზეთში „მიწა“, 1920, 11-14 ნომებერი). მან ასეთი კითხვები დასვა: „იტყვიან, რასაჭიროება მოითხოვს ბედის ტაძრის აღდგენას? რასარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს სახელმწიფოებრიობას? რით იქნება ანაზღაურებული გაწეული ხარჯები?“ დასმულ კითხვებზე ამბროსიმ თავადვე გასცა პირველ რიგში, ხელისუფლებისადმი მიმართული ამომწურავი პასუხი, რომელიც დღესაც უაღრესად აქტუალურია. იგი წერდა:

„იმნაირ კუთხეში, როგორც აფხაზეთია, სადაც მაჰმადიანობა თანდათან ვრცელდება, საჭიროა ვეცადოთ ხალხი დაეუბრაუნოთ იმ სარწმუნოებას, რომელსაც აღიარებდნენ მათი მამა-პაპანი და რომელთან თვითონაც ჭერჭერობით არ შეუწყვეტიათ კავშირი — ქრისტიანობა აღდგენილ იქნას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შევისწავლოთ ხალხის ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულება, მისი მიდრეკილებანი და მისწრაფებანი. ესეც ცოტაა. საჭიროა მისი წარსულის ცხოვრების შესწავლა, შესწავლა იმ ისტორიული გზის, რომელიც მას გაუვლია და რომელმაც ის მიიყვანა აწინდელ მდგომარეობამდის... არ შეიძლება შევწყვიტოთ კავშირი ხალხის წარსულ ისტორიასთან. პირიქით, ახალი უნდა დავაშენოთ იმ საძირკველზე, რომელიც მრავალი საუკუნეების განმავლობაში დიდის შრომით და მეცადინეობით ხალხს ჩაუყრია ცხოვრებაში.

მთელი ნაშთები აფხაზეთში — ბიჭვინთა, ლიხნი, პსირცხა, დრანდა, მოქვი, ილორი, ბედია და სხვანი თავისი ძველი ტაძრებით გვიმტკიცებენ, რომ ის საძირკველი იყო მაგარი და რომ აფხაზეთის მთელი ქრისტიანული კულტურა ღირსია ყურადღებისა და შესწავლისა.

თვითოვეულ ხალხს უყვარს თავისი წარსული და დროგამოშვებით მას აქვს მოთხოვნილება ეძიოს იდეალები თავისი წინაპრების ცხოვრებაში. ეს კაცის ბუნების მოთხოვნილებაა. რა გინდ ღიდი გა-

ნათლებული იყოს კაცი მას არ შეუძლია იცხოვროს მარტო აწმყოთი და იფიქროს მხოლოდ მომავალზე. ჩვენი აზროვნება ხშირად მიიმართება შორეულ წარსულისაკენ, რომლის შეუსწავლელად არ შეიძლება სავსებით გავიგოთ აწმყო და ავიცდინოთ თავიდან ის შეცდომები, რომლებიც წარსულში დაგვიშვია. ამისათვის უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ხალხის ისტორიულ ტრადიციებს და თუ ხალხს ავიწყდება და ან ბუნდოვნათ აქვს წარმოდგენილი ეს ტრადიციები, ჩვენი მოვალეობაა მოვაგონოთ იგი. საჭიროა მოვაგონოთ ხალხს ის კავშირი და პირობები, რომელთა საშუალებით ის ანხორციელებდა თავის სარწმუნოებრივ ცხოვრებას. მხოლოდ მაშინ იქნება საიმედო ხალხის სარწმუნოებრივად განათლების მიღწევა, ის ეტყვის აფხაზებს, რა დიდი სარწმუნოებრივი კავშირი იყო ძველათ ქართველთა და აფხაზთა შორის.

არამარტო სარწმუნოებრივით, არამედ ეროვნულად და პოლიტიკურადც ბევრ რამეს ეუბნება ისტორია აფხაზეთის მკვიდრთ. ის უჩვენებს მათ, რომ მტკიცე იყო ძველათ კულტურული და პოლიტიკური კავშირი ქართველთა და აფხაზთა შორის. ამისის მაჩვენებელი არიან ქრისტიანული ტაძრები“... სამწუხაროდ, აქედან ტექსტის მომდევნო შვიდი სტრიქონი დაზიანებულია, მაგრამ ჩანს, რომ ავტორი საუბრობს უძველეს ხელნაწერებზე, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ეპიგრაფიკაზე, სხვა ისტორიულ ნაშთებზე. „აფხაზეთი, როგორც (მეტყველებენ) ეს ნათშთები ყოველთვის და განსაკუთრებ(ბით) ქრისტიანობის დასაწყისიდანვე ეკლესიურად და პოლიტიკურად საქართველოსთან ერთად შეადგენდა განუყოფელ მთლიან ერთეულს. ეს ნაშთები ეუბნებიან აფხაზებს, რომ ისტორიისაგან ჩვენთვის ნაჩვენები გზა არის ქვეშეპირი გზა, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში ღრმად იყო ჩაყრილი ერთობის საძირკველი ქართველთა და აფხაზთა ცხოვრებაში და შეუძლებელია ახლა გადაუხვიოთ ამ ისტორიულ გზას, ხალხის ცხოვრების აზრი უკუღმა დავატრიალოთ; ხალხი, რომელიც უარყოფს ისტორიულ გზას, არ იხელმძღვანელებს ისტორიული გამოცდილებით, სწყვეტს (ისტორია)სთან კავშირს, ძნელად შეიძლება (დაადგეს) კულტურულად განვითარების (გზას)“...”

ხელნაწერის ბოლო ორი სტრიქონი ასევე დაზიანებულია და არ იკითხება, თუმცა გასაგებია რისი თქმაც სურდა უდიდეს სასულიერო მოღვაწეს და მამულიშვილს. მან ზემდმიწევნით იცოდა აფხაზეთის, თვით აფხაზეთა ჭეშმარიტი ისტორია; იცოდა, რომ ენგურსა და ფსოუს შორის მდებარე ტერიტორია (უფრო ჩრდილოდასავლეთითაც) სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად (სახელმწიფოებრივად), კულტურულად და ეთნიკურად იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი;⁸⁰ შესაბამისად, ამ მხარის შემომტკიცება და შემდგომი განვითარება საკუთარ წარსულთან, საკუთარ ფესვებთან მიბრუნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, მიტროპოლიტი ამბროსი, სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ უძველესი მართლმადიდებლური და კულტურული კერების აღორძინება ხელს შეუწყობდა ქართულ-აფხაზური ერთობის აღდგენას, ჭეჭნის მთლიანობის შენარჩუნებას.

საუბედუროდ, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის ჩანაფიქრისა და შესანიშნავი გეგმების განხორციელება ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი გახლდათ არა მხოლოდ (და არა იმდენად) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი საეკლესიო პოლიტიკა, არამედ აფხაზეთში არსებული ფეთქებადსაშიში სიტუაცია. საბჭოთა რუსეთი, მიუხედავად საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებისა (რომლითაც იგი ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა), აქტიურად ემზადებოდა საქართველოს დასალაშქრავად. რუსული ბოლშევიკური აგრესიის საფრთხე განსაკუთრებით აფხაზეთში (საიდანაც წითელი არმია შემოჭრას აპირებდა) იგრძნობოდა. ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაცია რუსეთის სასარგებლოდ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მიზნით, სამხედრო რაზმებს აყალიბებდა. 1920 წლის სექტემბერში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთში კომუნისტ-მემამბოხეთა ბანდა გამოავლინა და დააპატიმრა. მათ შორის იყვნენ მუგუძირხვის წმ. ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის ყოფილი მღვდელი ვასილ აგრაბა, სამურზაყანოს ბლალოჩინი მღვდლის, 1917 წლის დეკემბრიდან გალის საეკლესიო

საოლქო საბჭოს თავმჯდომარის სამსონ სვანიძის შვილი — ნიკოლოზ სვანიძე და ა.შ. ვ. აგრბასათვის ჩამორთმეული დოკუმენტებიდან ნათელი იყო, რომ კომუნისტებს მიზნად ჰქონდათ აფხაზეთის რუსეთთან შეერთება. მხოლოდ გუდაუთის უბანში ბოლშევიკებს 560 რაზმელი ჰყავდათ.⁸¹ ასეთ პირობებში საუბაროც კი ზედმეტი იყო ქრისტიანობის გავრცელებაზე, განმტკიცებაზე, უძველესი მართლმადიდებლური ცენტრების, ეკლესიების აღდგენაზე, თუმცა გარკვეული სამუშაოები ამ მიმართულებით მაინც ტარდებოდა. მაგალითად, ქართველი ბერები მღვდელ მონაზონ დოროთეს (კაჭარავა) ხელმძღვანელობით აახლებდნენ შუა საუკუნეების ეკლესიას ფუცხურში (1640 წელს სამეგრელოში ჩამოსულმა რუსმა ელჩებმა ეს ეკლესიაც მოინახულეს),⁸² გაიხსნა ეკლესია ლათაში, რომელსაც აქარის მღვდელი ემსახურებოდა.⁸³

მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, 1919-1920 წლებში აშენდა ეკლესიები და გაიხსნა ახალი სამრევლოები კოჩარაში, ვარჩეში, ლეჩქოფში (იაშტუხა-აჩანდარაში), წებელდაში, II ჩხორთოლში, ოტობაიაში და ა.შ. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში შევიდნენ გაგრის, აბგარხუკის, ბომბორისა და სხვა ეკლესიები (1919 წლის ოქტომბერში ისინი არ შემოერთებულან ქართულ ეკლესიას). 1920 წლის ბოლოსათვის აფხაზეთში ასზე მეტი ეკლესია ფუნქციონირებდა, რაც აღემატებოდა 1917 წლის მონაცემებს.⁸⁴

საკმარად მწვავედ იდგა სასულიერო პირთა მომზადების საკითხი. როგორც 1920 წლის 20 იანვარს მიტროპოლიტი ამბროსი კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ატყობინებდა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში მღვდლის 15 ვაკანტურ ადგილზე მსურველებიც კი არ ჩანდნენ, ვინაიდან არ იყვნენ მომზადებული კადრები, განსაკუთრებით აფხაზური სამრევლოებისათვის. ამის გამო აფხაზეთის მწყემსმთავარი იძულებული იყო მღვდლად მოუმზადებელი პირები ეკურთხებინა ან ადგილები თავისუფლად დაეტოვებინა. „ეს, რასაკვირველია, — წერდა იგი, — ძლიერ მავნებელია როგორც სარწმუნოებისთვის, ისე ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის, რადგან უმღვდლოდ დარჩენილი აფხაზები ღებულობენ მაჰმადის სარწმუნოებას, რაც ხელს უწყობს მცხოვრებლებში ოსმალეთისადმი სიმპა-

თიის გაძლიერებას“.⁸⁵ მიტროპოლიტი ამბროსი გამოსავალს სამ-
ღვდელო პირთა მოსამზადებელი კურსების გახსნის თაობაზე 1919
წლის 7 ოქტომბრის საეპარქიო კრების გადაწყვეტილებების შესრუ-
ლებაში ხედავდა. ამისათვის, პირველ რიგში, შესაფერისი შენობა
იყო საჭირო. აფხაზეთის მღვდელმთავარი სთხოვდა უწმინდესსა და
უნეტარესს აღეძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა
ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისათვის დაეტოვებინათ საეპარქიო სასწავ-
ლო საბჭოსა და სამრევლო სკოლის შენობა სოხუმში, რომელსაც
სხვადასხვა დაწესებულებები ედავებოდნენ.

კათოლიკოს-პატრიარქის შესაბამისმა შუამდგომლობამ გაქრა
და საქართველოს მთავრობამ 1920 წლის 12 აგვისტოს გადაწყვე-
ტილებით აღნიშნული შენობა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროე-
ბით გამგებლობაში დატოვა.⁸⁶

მრავალ პრობლემას ფინანსების მუდმივი უკმარისობაც ემატე-
ბოდა. პირველი საგანგაშო წერილი მიტროპოლიტმა ამბროსიმ სა-
კათალიკოსო საბჭოს 1919 წლის დეკემბერში გამოუგზავნა
(უსახსრობის გამო ეპარქია გაუქმების პირას არისო) და დახმარება
ითხოვა.⁸⁷ კათოლიკოს-პატრიარქის შუამდგომლობით, საქართვე-
ლოს მთავრობამ 1920 წლის 28 თებერვლის სხდომაზე დაადგინა
ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისათვის ყოველთვიურად გამოყოს 23408
მანეთი და 34 კაპიკი, „სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა საკითხი
ეკლესიისა და მთავრობის ურთიერთდამოკიდებულების შესა-
ხებ“.⁸⁸ მიუხედავად დადგენილებისა, ფინანსები დროულად არ გა-
მოიყოფოდა, ეპარქია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმეს
არც სისტემატურმა მიწერ-მოწერამ (ეპარქიას, საკათალიკოსო
საბჭოსა და მთავრობას შორის)⁸⁹ უშველა საქმეს. განსაკუთრებუ-
ლით კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა მიტროპოლიტისა
და საეპარქიო საბჭოს კანცელარიის დაფინანსებასთან დაკავშირე-
ბით. ამის თაობაზე საეპარქიო საბჭოს წევრი და მდივანი
ტ.ჯოხთაბერიძე (1919 წლის ოქტომბერში მან სოხუმის საკათედ-
რო ტაძრის წინამძღვრის თანამდებობაზე გ.გოლუბცოვი შეცვა-
ლა) და პირადად მიტროპოლიტი ამბროსი ცხშირად მიმართავდ-
ნენ საკათალიკოსო საბჭოს, ეს უკანასკნელი — მთავრობას.

უაღრესად მწვავე იყო მიტროპოლიტის 1920 წლის 8 სექტემბრის წერილი. ვინაიდან მასში მხოლოდ ფინანსებზე არ არის საუბარი, მოგვყავს იგი მთლიანად: „აფხაზეთის კათედრის მდგომარეობა აუტანელია უსახსრობის გამო. მართალია, მთავრობამ იხეზა კრედიტის გახსნა, მაგრამ ამ კრედიტს არ შეუძლია უზრუნველყოს ეპარქიის დაწესებულებათა მოსამსახურენი. კანცელარიაში იღებენ ჯამაგირად 825 მანეთიდან 1025 მანეთამდე თვეში. სხვა საეპარქიო კანცელარიათა მოსამსახურენი იღებენ დამატებებს. ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო კანცელარიის მოხელენი ამ მხრივ წარმოადგენდნენ გამონაკლისს. ეპარქიიდან არ არის შემოსავალი. პირიქით, ის როგორც განაპირა ქვეყანა, სადაც ქრისტიანობა დაცემულია, სადაც მაპ მადიანობა თანდათან მძლავრდება, თხოულობს განსაკუთრებულ ხარჯებს სამისიონერო მოგზაურობისათვის, რომლის დროს მქადაგებელთათვის საჭიროა ქრისტეს სწავლის მოძღვრებას თან მიადევნონ ქველმოქმედება, ღარიბ-ობოლთათვის შემწეობის აღმოჩენა. მარტო სიტყვით აფხაზეთში არა გარიგდება რა; საშუალება კი არსაიდან ჩანს. არა გვაქვს კურსები ადგილობრივ მკვიდრთაგან სამღვდლო კანდიდატთა მოსამზადებლად უსახსრობის გამო. ეკლესიები დანგრეულ-მოუწყობელნი არიან. აფხაზეთის მღვდლები არ არიან უზრუნველყოფილნი. აფხაზეთაგან კი არა აქვთ რაიმე შემოსავალი. ამის გამო აფხაზი მღვდლები აფხაზთა შორის სამსახურს გაურბიან და ეძებენ საშუალებას გადავიდნენ არა აფხაზთა სამრევლოებში. ამ დროს ის მცირეოდენი შემწეობაც, რომელიც ეძლევა მთავრობისაგან თავ-თავის დროზე არ მოგვდის. აგერ ხუთ თვეზე მეტია ჩვენთვის კრედიტი არ გაუხსნიათ.

ამისათვის საეპარქიო მმართველობა თხოვს საკათალიკოზო საბჭოს იშუამდგომლოს დაჩქარებით გახსნილ იქმნას კრედიტი და ჩვენც მოგვეცეს ის დამატებები, რომელიც ეძლევა არა მარტო საერო დაწესებულებათა მოხელეებს, არამედ საეპარქიო სხვა ეპარქიების კანცელარიების მოხელეებსაც.

დამატებები საჭიროა თვით მღვდელმთავრისათვის, განსაკუთრებით ქალაქის სამღვდლოებისათვისაც, თუ მათ არ ექნებათ რაიმე კერძო სხვა სამსახური“.⁹⁰

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას კუთვნილი თანხები კვლავ არ მოს-
დიოდა, რომ არაფერი ვთქვათ დამატებებზე. მიტროპოლიტი ამბ-
როსი იძულებული შეიქმნა კანცელარიის მოხელეები დაეთხოვა და
ტექნიკური სამუშაოები თავად შეესრულებინა. რეალურად დად-
გა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ყოფნა-არყოფნის საკითხი. „ხელახ-
ლა და უკანასკნელად ვსთხოვ საკათალიკოსო საბჭოს მიიღოს ზო-
მები აღგვიდგეს ყველა თვეების კრედიტები დაჩქარებით“, ⁹¹ — წერ-
და აფხაზეთის მღვდელმთავარი 1920 წლის 26 ნოემბერს.


კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის შუამდგომლობით, საქართ-
ველოს მთავრობამ 1920 წლის 30 ნოემბერს ცხუმ-აფხაზეთის ეპარ-
ქიის შესანახად ყოველთვიურად 25000 მანეთის გამოყოფა გადაწყ-
ვიტა. დაიწყო დავალიანებების დაფარვაც. 1921 წლის 21 თებერვალს,
როცა ბოლშევიკური რუსეთის XI, აგრეთვე IXარმიის ნაწილები თბი-
ლისისა და გაგრის მისადგომებთან იდგნენ, საქართველოს მთავრო-
ბა ევაკუაციისათვის ემზადებოდა, დამფუძნებელმა კრებამ კი სახელ-
მწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების ამკრძალავი კონსტიტუცია
მიიღო, საკათალიკოსო საბჭო ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო მმართვე-
ლობას აუწყებდა: „საკათალიკოსო საბჭოს კანცელარია პატივის-
ცემით აცნობებს საეპარქიო მმართველობას, რომ ამასთანავე მოხ-
დენილია სათანადო განკარგულება სოხუმის ხაზინაში 25000 მან.
კრედიტის გახსნის შესახებ“ ⁹² უკვე მეტისმეტად დაგვიანებული იყო.
საკათალიკოსო საბჭომ სწორედ იმ დღეს — 21 თებერვალს საგანგებო
სხდომაზე იმსჯელა საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის შესახებ და ამასთან
დაკავშირებით სპეციალური მიმართვაც მიიღო.

კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის სიტყვებით (1918 წლის ნო-
ემბერი), საქართველოში ბობოქრობდა „გრიგალი ურწმუნოები-
სა, რომელმაც თითქოს გადაზნიქაო ეკლესიის გუმბათი...“

ჩასდგება ჩვენშიაც ურწმუნოების ქარბუქი და დღეს დევნილი,
დამცირებული, ყბადაღებული და ზოგიერთთაგან დედამიწის პი-
რითგან აღსაგველად განწირული ჩვენი ეკლესია, სწორედ ამ ურწ-
მუნოების მძვინვარე ქარბუქის წყალობით გაწმენდილი ფითრები-
სა, ბაცილებისა, ბზისა და ჩალის მსგავსი ელემენტებისაგან ისევ სა-

თანადო ალაგს დაიქვრს ქართველი ერის შეგნებაში და ცხოვრებაში".⁹⁴ საუბედუროდ, ეს წინასწარმეტყველება მხოლოდ შვიდი ათეული წლის შემდეგ ახდა. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა: დედაქალაქის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე — 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია, რომლის მე-16 თავი („სახელმწიფო და ეკლესია“) ადგენდა: „სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან“ (მუხლი 142). „არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა“ (მუხლი 143). „ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საქიროებისათვის აკრძალულია“ (მუხლი 144).⁹⁵ 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს ე.წ. რევკომმა მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“, რომელიც ეკლესიას საერთოდ კანონგარეშე აყენებდა. ის, რაც ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა გააკეთეს, იყო უკვე არა „ურწმუნოების ქარბუქი“, არამედ „ურწმუნოების ცუნამი“, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1921 წლის სექტემბრიდან), საოკუპაციო რეჟიმისადმი შეურიგებელი ამბროსი (ხელაია) შეეწირა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 1995წ. 17 სექტემბრის სხდომამ ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის დანიელის მოხსენების საფუძველზე წმინდანად შერაცხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ამბროსი (ხელაი) წმიდა აღმსარებლის სახელწოდებით.⁹⁶ მისი ხსენების დღედ 16(29)მარტი დაწესდა.

1921 წლის მარტში ანტი ქართული ლოზუნგებით გასაბჭოებული აფხაზეთი რუსეთის კომპარტიის კავკა-



სიის ბიურომ (კავკასიის მმართველი ორგანო) ს. ორჯონიკიძის მეთაურობით საქართველოს დასჯისა და დაშოშმინების მიზნით არალეგიტიმური გზით (ბათუმში ჩატარებული თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე) დროებით (8 თვით) თბილისის იურისდიქციიდან გამოიყვანა.⁹⁷ შეტევა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინააღმდეგაც განხორციელდა. ამის შესახებ თავად ამბროსი ხელაიამ მის წინააღმდეგ მოწყობილ სასამართლოზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში (1924 წლის მარტი) ბრძანა: „როდესაც ახალი ხელისუფლება მყარდებოდა საქართველოში, მე განვაგებდი სოხუმის ეპარქიას. რა ვნახე? სოხუმში ახალი მთავრობის თითქმის პირველი აქტი იყო ქართველებისა და აფხაზებისათვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა რუსებისათვის, რომლებიც რაოდენობით სოხუმის მკვიდრთა ერთ მეოთხედსაც არ შეადგენდნენ და რომელნიც არ ემორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიას. მეორე, ეკლესიისათვის საკეთილო ზომა იყო სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ჩემი იქიდან ძალით გამოგდება, ბარგების ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების საშუალებით ტარება და ჩემი ხუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარდება. მე-3, კარის ეკლესიის დანგრევა, 4. კანცელარიისა და ისტორიისათვის ძვირფასი არქივის სანახევრო განადგურება და ნაშთის სამზარეულოსთან ნესტიან ოთახში შეყრა, სადაც სისტემატურად ნადგურდებოდა. 5. საეკლესიო სახლების ჩამორთმევა და მღვდელმსახურთა შევიწროება, რის გამო ზოგიერთი მღვდელთაგანი იძულებული გახდა სოფელში შეეფარებია თავი და თავის რიგის შესასარულებლად იქიდან ეარა ქალაქში და სხვ. ყველა ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ თვესვე“.⁹⁸

ბოლშევიკური რეპრესიები ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინააღმდეგ არ შეწყვეტილა. ამ მეტად კრიტიკულ ჟამს მთავარ ამოცანას აფხაზეთში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შენარჩუნება წარმოადგენდა. 1921 წლის 15 ოქტომბერს ბოლშევიკური მმართველობისა და აფხაზეთზე ქართული სახელმწიფოებრივი იურისდიქციის არარსებობის პირობებში მოხერხდა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად არქიმანდრიტ იოანე მარგიშვილის (1919წ. სექტემ-

ბერში აფხაზეთის ეპარქიის დროებითი მმართველი) კურთხევა, რომელიც მცხეთის საპატრიარქო ტაძარში ახალმა კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ შეასრულა ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისა და ალავერდელი ეპისკოპოსის პიროსის თანამწირველობით. ცხუმ-აფხაზეთის ახალ ეპისკოპოსს ასეთი სიგელი გადაეცა:

„დიდმან მღვდელთ-მოძღვარმა ჩვენმან, უფალმან და ღმერთმან სოფლისამან, რომელმან დაადგინა ეკლესიასა შინა თვისსა მოციქულნი, წინასწარმეტყველნი და მოძღვარნი ცხოველმყოფელითა განგებულებითა თვისითა. აღაშენა სამწყსოთ ღვთითდაცულისა ცხუმ-აფხაზეთისაი, რომელსა შინა ერისა მიერ მორწმუნისა აღრჩეულთ არქიმანდრიტი იოანე განწეებულ ხარ წესისამებრ წმიდასა სამოციქულოისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა ეპისკოპოსად და თანა-შემწევართა ყოვლად წმიდისა და სულისა, ქრისტეს აქეთ 1921წ. 15 ოქტომბერსა, მცხეთას სვეტიცხოველისა კვართსა საუფლოსა, დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა ათთორმეტთა მოციქულთასა, ხელდასმულ ხარ ჩუენ მიერ... ჯერ არს შენდა ეპისკოპოზი იოანე, რათა ეკრძალო თავსა შენსა და ყოველთავე სამწყსოსა, რომელმან ეგე შენ სულმან წმიდამან დაგადგინა მწყემსად ეკლესიისა უფლისა და ღმერთისისა... დაიცავე ეკლესიათა შინა და მონასტერთა წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ გარდამოცემულნი წესნი, ილუაწე კითხვასა შინა საღმრთო წერილითა“.⁹⁹ იოანე მარგი შვილმა ბოლშევიკების მიერ დარბეული კათედრა ჩაიბარა. 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის სსრ საქართველოს ნაწილი გახდა.¹⁰⁰ ამით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის გამოყოფის საფრთხეც შემცირდა.

1917-1921 წლებში ქართულმა ეკლესიამ ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოიპოვა და, მიუხედავად ყველაფრისა, განამტკიცა თავისი ავტოკეფალია; დასრულდა იმპერიული სასულიერო მმართველობითი ორგანოების — საქართველოს საეგზარქოსოსა და მისი მემკვიდრის კავკასიის საეგზარქოსოს, აფხაზეთში კი შოვინისტი რუსი ეპისკოპოსების პარპაში. ამ პერიოდის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა ქართული ეკლესიის გაერთიანება, ავტონომიურ აფხაზეთზე იურისდიქციის გავრცელება და ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგაც მისი შენარჩუნება.

10. დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. სახალხო ფურცელი, 1917, 8 მარტი.
2. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 211-213.
3. ქევეთან პავლიაშვილი. საქართველოს საეგ ზარქოსო, გვ. 178-180.
4. სვეტიცხოველი, 1917, №2, გვ. 2-4.
5. სახალხო ფურცელი, 1917, 10 მარტი.
6. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 23248, ფ. 7.
7. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.371, ფ.1.
8. С.Басария. Абхазия, გვ.90;საკათალიკოსოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.28°.
9. М. Тарнава. Краткий очерк истории абхазской церкви, გვ. 19-20; С. Басария. Абхаззия, გვ. 90.
10. ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 23248, ფ. 9.
11. ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, გვ. 82-83.
12. М. Тарнава. Краткий очерк, გვ.20.
13. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.371, ფ.2-3.
14. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 60452, ფ. 1-11.
15. ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2001, გვ. 159-160.
16. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.12.
17. აფხაზეთის სახელმწიფო არქივი. 1990-1991 წლებში გამოვლენილი მასალებიდან (ფ. ი. — 39, აღწ. III, ს. 12).

18. Аджинджал. დასახ. ნაშრომი, გვ. 129-130.
19. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.371, ფ.2-4, 5.
20. საქართველო, 1917, 10(23), 13(26)ენკენისთვე; სვეტიცხოველი, 1917, №4, გვ. 7.
21. სვეტიცხოველი, 1917, №4, გვ. 3.
22. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.70, 84-86ა, 125.
23. საქართველო, 1918, 31 იანვარი.
24. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.5-5°.
25. იქვე, ს.689, ფ.3-3°.
26. იქვე, ს.463, ფ.2,3.
27. იქვე, ფ.4-4°, 11, 12.
28. იქვე, ფ.8-10, 13-15.
29. ს.ვარლოსანიძე. კირონი II. ოზურგეთი, 1994, გვ.24-30.
30. საპატრიარქოს უწყებანი, 2002, №43, გვ.5-6.
31. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 69-88; 414, 435, 748-753.
32. ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 61119, ფ. 1; ს. 61120, ფ. 1.
33. იქვე, ს. 61396, ფ. 1-5.
34. იქვე, 7, 12, 14.
35. საქართველო, 1918, 2 ოქტომბერი; საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.689, ფ.6, 7, 10-11.
36. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.689, ფ.14, 15.
37. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 96.
38. იქვე, გვ. 747.
39. იხ. ამის შესახებ — ე. ბუბულაშვილი. ეკლესიისა და სახელმწი-

ფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 1918-1921 წლების საქართველოში. — ლოგოსი, 2003, №1, გვ. 53-62.

40. ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2001, გვ. 40; მისივე — სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი (1918-1921 წწ.). თბ., 2000, გვ. 20-23.

41. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ა. ხელაია. ბელიის ტაძარი. გვ. 49.

42. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში 1990-1991წწ გამოვლენილი მასალებიდან (ფ. ი-1, აღწ. III, ს. 8174).

43. ერთობა, 1918, 12 სექტემბერი.

44. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში 1990-1991წწ გამოვლენილი მასალებიდან (ფ. ი — 1. აღწ. III, ს. 8053, 8259).

45. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.16-18.

46. იქვე, ფ.19, 24-24°.

47. იქვე, ფ.21-21°.

48. იქვე, ფ.31—32.

49. იქვე, ფ.68.

50. იქვე, ფ.52.

51. ცსია, ფ. 1863, აღწ. 1, ს. 707, ფ. 1, 3; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 450-451, 780; კ. ცინცაძე. ჩემი მოგონებებიდან. თბ., 2001, გვ. 234.

52. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.36-41; ს.956, ფ.32-33, 40, 41°, 54°.

53. იქვე, ს.956, ფ.4-28, 41.

54. ცსია, ფ. 1861, აღწ. 1, ს. 254, ფ. 1.

55. ქ. პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია,

- გვ. 153; ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში. თბ., 2000, გვ. 105.
56. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.49.
57. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 96.
58. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.47ა.
59. იქვე, ფ.43, 45; ს.959, ფ.1.
60. საქართველო, 1919, 30 ოქტომბერი; ერი, 1991, 10 ივლისი.
61. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.55, 57; ს.959, ფ.6.
62. ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1927 წლებში, გვ. 30.
63. С. Басария. Абхазия, გვ. 91.
64. ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, გვ. 161.
65. А. Ментешашвили. Исторические предпосылки, современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 49-51; საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.53, 58, 59, 61-62, 70-72.
66. ე. ბუბულაშვილი. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი, გვ. 54-55.
67. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.66-67.
68. სახალხო საბჭოს სხდომის მასალები ინახებოდა აფხაზეთის სახელმწიფო არქივში (ფ. ი-39, აღწ. 1, ს. 12), საიდანაც აღებულია 1990-1991წწ;ნაწილობრივ გამოქვეყნებულია (Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 778-780).
69. ქ. პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, გვ. 152. ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, გვ.105.

70. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 454-458;782.

71. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მთავრობის მიერ 1918წ. 20 აგვისტოს მიღებული დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა“ ქვეშევრდომთათვის საყოველთაო სამხედრო ბეგარას აწესებდა, რომელიც მხოლოდ მაჰმადიან მოქალაქეებს არ ეხებოდა (მუხლი I). იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ. 55-57.

72. ცსია, ფ. 1861, აღწ. 1, ს. 243, ფ. 1-1ა (ჩვენეული რუსული თარგმანი იხ. — Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 453-454.

73. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 781.

74. საქართველო. 1920, 23 მარტი.

75. იქვე, 14 იანვარი.

76. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში 1989 წელს გამოვლენილი მასალებიდან (ფ. ი-1, აღწ. III, ს. 8332).

77. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.1337, ფ.1.

78. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში 1889 წელს გამოვლენილი მასალებიდან (ფ. ი-1, აღწ. III, ს. 8333).

79. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედიის ტაძარი, გვ. 48-52.

80. იქვე, გვ. 44; ამბერი (ამბროსი ხელაია). საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით. — საქართველო, 1918, 16, 18 ოქტომბერი და ა.შ.

81. ცსია, ფ. 1863, აღწ. 1, ს. 523, ფ. 1-5ა; საქართველო, 1920, 25 სექტემბერი.

82. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედიის ტაძარი, გვ. 44.

83. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში 1989 წელს გამოვლენილი მასალებიდან (ი-1, აღწ. III, ს. 8229).
84. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.82-83, 95-96, 125-125*.
85. იქვე, ფ.74-75.
86. იქვე, ფ.123, 124.
87. იქვე, ფ.64.
88. იქვე, ფ.65, 77-89, 91, 94.
89. იქვე, ფ.97-113, 116 და ა.შ.
90. იქვე, ფ.126.
91. იქვე, ფ.127.
92. იქვე, ფ.128-129, 131, 133-141.
93. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, წიგნი III, გვ.148.
94. საქართველო, 1918, 21 ნოემბერი.
95. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. გვ. 483.
96. მადლი, 1995, 30 სექტემბერი.
97. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 469.
98. ამბროსი ხელაია. „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“ — მნათობი, 1988, №10, გვ. 157 (პუბლიკაცია მოამზადა აკაკი მინდიაშვილმა).
99. სერგოვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1927 წლებში, გვ. 106-107.
100. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 483-484, 796-797.

11. მოხელე ისტორიული ცნობები ათხაზეთში მოქმედი მახთმადიდებელი ეკლესია- მონასტხებისა და სასულიერო პირთა შესახებ (1890-1921 წწ.)

1. აბგარხუკის ღვთისმშობლის შობის ქვის ეკლესია. აშენდა 1912 წელს; მღვდელი ა.სტოდა (დაამთავრა ახალი ათონის სამონასტრო სკოლა), მედავითნე — დ.ქარდავა.

2. აბუჯის წმ.გიორგის ქვის ეკლესია; აშენდა 1883 წელს მრევლის სახსრებით; 1901-1913 წლების მონაცემებით, მღვდლად ი.ბერულავა მსახურობდა, მედავითნედ — ს.ჩაჩანიძე.

3. ათარის წმ.გიორგის ეკლესია; არსებობდა 1861 წლიდან. ახალი ქვის ეკლესია აშენდა 1901 წელს მრევლისა და ხაზინის ხარჯებით. მღვდლად დიდხანს მსახურობდა ა.გეგეჭკორი, შემდგომში ი.ქუჩუბერია, მედავითნედ — ბ.ხორავა.

4. აკათა-კელასურის წმ.გიორგის ქვის ეკლესია; აშენდა 1894 წელს მრევლის სახსრებით, შეკეთდა 1912 წელს; მღვდლებად სხვადასხვა დროს მსახურობდნენ დ.სოხაძე, ა.ჯათარიძე, რ.თანცულაია; მედავითნეებად — მ.შავიშვილი, სტ.რედკაჩი, ს.არქაია.

5. ალექსანდროესკაიას წმ. ალ.ნეველისა და წმ. ნიკოლოზის ქვის ეკლესია; აშენდა ბერძნული საზოგადოების ხარჯებით. XX ს. დასაწყისიდან სხვადასხვა დროს მსახურობდნენ მღვდლები ა.ზაპალსკი, მ.ივანოვი, მედავითნეები — ნ.ეფრემოვი, თ.კოსტიკოვი, თ.ჩატოვი.

6. ანდრეესკაიას წმ. გიორგის ქვის ეკლესია; აშენდა 1897 წელს მრევლის ხარჯზე. XX ს. დასაწყისიდან სხვადასხვა დროს მღვდლებად მსახურობდნენ ნ.ლამფრიანიდი, ე.ჩაჩა, მედავითნედ — ხ.გრიგორიადი.

7. აქარის წმ. ნიკოლოზის ხის ეკლესია; გაიხსნა 1905 წელს, მაგრამ მშენებლობა 1913 წელს დასრულდა; ხარჯები გაიღეს მრევლმა, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სასწავლო საბჭომ და სოხუმის ეპარქიალურმა საეკლესიო საბჭომ. თავიდან მღვდლად მსახურობდა ს.რუმიანცევი, იგი ტ.სალნიკოვმა შეცვალა. 1913 წლიდან აქარის მღვდელი კვლავ ს.რუმიანცევია, მედავითნე — ა.ტიტოვი.

8. არადუს მაცხოვრის ქვის ეკლესია 1879 წელს ააშენეს სოფლის მკვიდრმა ჯანჯულიებმა. 1905 წლის მიწისძვრის დროს დაზიანდა, მაგრამ ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. 1893 წლიდან მღვდლად 20 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მსახურობდა ნ.ნოღია; მედავითნედ — პ.ცხაკაია, ა.ჯვანია.

9. აქანდარის აღდგომის ხის ეკლესია კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით 1880 წელს აშენდა. XIX ს. ბოლოს მღვდლად მსახურობდა დ.ხოქოლავა (1887 წლიდან), ს.ნოღია (1900 წლიდან), ა.რურუა (1907 წ.), შემდგომში მრავალი წლის მანძილზე — აფხაზი ეროვნების პ.ს.სამაა (სამავა); მედავითნეები იყვნენ თოფურია, სახოკია, ვ.ნადარეიშვილი, ი.შარაშიძე, ა.კოჩაროვი, ე.მიხელიძე (შემდგომში ზემო ცხირისა და წარჩეს მღვდელი), დ.კაკალია (შემდგომში მოქვისა და ქლოუს მღვდელი), ა.არია.

10. ახალი ათონის (ანაკოფიის, ფსირცხის) სიმონ კანანელის მონასტერი; გაიხსნა 1876 წელს იქ, სადაც არსებობდა IX-X საუკუნეების სიმონ კანანელის ეკლესია. სამონასტრო კომპლექსის მთავარი ნაწილია 1888-1900 წლებში აგებული წმ. პანტელეიმონის ტაძარი. სამონასტრო კომპლექსი გაიხსნა როგორც ათონის (საბერძნეთი) წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის განყოფილება და რუსიფიკატორული პოლიტიკის ციტადელს წარმოადგენდა.

11. ბაკლანოვკის სერგი რადონეველის ქვის ეკლესია; გაიხსნა 1888 წელს, მშენებლობა კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით 1890 წელს დასრულდა. 1893 წლიდან 1898 წლამდე აქ მსახურობდა ცნობილი აფხაზი სასულიერო მოღ-

ვაწე და პედაგოგი, 1894 წლიდან უბნის ბლადოჩინი მღვდელი დ.მარლანია, შემდგომში — ვ.კაპანაძე, ვ.ბონდარენკო, 1912 წლიდან ა.ვეკუა; მედავითნეები იყვნენ კ.კოშიცი, ა.კულინიჩი, რ.ჟორდანი.

12. ბარმიშის წმ. გიორგის ქვის ეკლესია; აშენდა 1888 წელს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით. XIX ს. ბოლოდან მღვდლებად მსახურობდნენ ა.თოფურიძე, დ.ხოქოლავა, ტ.მელაძე, მედავითნეებად — ენოზაძე, დ.ბარციცი.

13. ბარლების წმ. გიორგის ხის ეკლესია. ააშენა მრევლმა 1849 წელს, მანვე განაახლა 1876 წელს; ხელახლა აშენდა 1895 წელს. XIX ს. 80-იანი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ გ.ცხაკაია, ბლადოჩინი მღვდელი ს.სვანიძე (1900-1901 წწ.), ლ.ნინუა, სამივე მღვდელთან მედავითნედ გ.პაპაშვილი მსახურობდა.

14. ქვემო ბარლების იოანე ნათლისმცემლის ხის ეკლესია, ააშენა მრევლმა 1895 წელს; ხანგრძლივი დროის მანძილზე მღვდლად ი.ცხაკაია მსახურობდა, მედავითნედ — ი. გვაძაბია.

15. ბედიის ვლადიკონის ღვთისმშობლის X ს. ტაძარი. XIX ს. ათიანი წლებიდან, როცა საბრძოლო მოქმედებებისას რუსებმა ტაძარი დაანგრიეს, იგი არ ფუნქციონირებდა. 1912 — 1913 წლებში ეპისკოპოსის ანდრიას (უხტომსკი) ნებართვით, მღვდელმა იესე შელიამ მისი აღდგენა და მონასტრის გახსნა გადაწყვიტა. ტაძრის ნანგრევებთან ორი ქვის ეკლესია და ბერების საცხოვრებელი აშენდა. იესე შელიას გარდაცვალების შემდეგ მონასტრის წინამძღვარი იყო მღვდელმონაზონი გიორგი (ბარკალაია). 1917 წელს ბედიის ტაძარი დედათა მონასტრად გადაკეთდა; იმავე წლის ბოლოდან ტაძრის წინამძღვარი იყო მღვდელმონაზონი თეოფილე (შავდია).

16. პირველი ბედიის ღვთისმშობლის მიძინების ხის ეკლესია, ააშენა მრევლმა 1851 წელს. XIX ს. 80-იანი წლებიდან აქ მსახურობდნენ მღვდლები ა.ახვლედიანი (1866 წლიდან), და ნ. ავალიანი (1898 წლიდან), მედავითნეები — ი.ჭვარცხავა, ლ.კვირკველია.

17. მეორე ბედიის წმ.ანდრია მოციქულის ხის ეკლესია, რომელიც მრევლის სახსრებით 1883 წელს გაიხსნა, 1888 წლამდე არსებობდა. იმავე წელს მრევლმა ააშენა მაცხოვრის შობის ხის ეკლე-

სია. მეორე ბედიაში მოღვაწეობდნენ მღვდლები პ.ხაყოშია (1883 წლიდან) და აყიბა, მედავითნეები — ჭიჭინაძე, ვ.საჭაია, ი.ხაყოშია, კ.ხაყოშია, ი.შონია, ს.ჭვარცხავა, ლ.ხოჭავა.

18. ბესლახუბის წმ. ონოფრეს XVI საუკუნის ქვის ეკლესია; აღდგენილია 1865 წელს აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის მიერ აღრე გაღებული სახსრებით და მრევლის დახმარებით. 1889 წლიდან თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში აქ მსახურობდა მღვდელი მ. ასათიანი, მედავითნეები იყვნენ ა.რურუა, ი.ხოჭავა, ვ.საჭაია.

19. ბირცხის ღვთისმშობლის შობის ხის ეკლესია; აშენა მრევლმა 1891 წელს. მღვდლად მსახურობდა დ.ტიტოვი, მედავითნედ — კ.ტიტოვი. 1912 და შემდგომი წლების მონაცემებით, მღვდლად იყო ი.ტიტოვი, ხოლო დ.ტიტოვი აგრძელებდა სამსახურს როგორც შტატგარეშე მღვდელი.

20. ბიჭვინთის ღვთისმშობლის მიძინების X საუკუნის ტაძარი; XVII საუკუნიდან არ ფუნქციონირებდა. აღდგენილია 1869 წელს; 1885 წლიდან, ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერს შეუერთდა.

21. ბლაბურხვის წმ. გიორგის ხის ეკლესია; აშენდა 1870-1871 წლებში კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით, განახლდა 1883 და 1910 წლებში. მღვდლებად XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჯერ თ.ურიდია, შემდეგ (1897 წლიდან) კი 30 წელიწადზე მეტ ხანს ი.ნაჭყებია მსახურობდნენ, მედავითნეებად — ტ.მელაძე (ბარამიშის მომავალი მღვდელი), მ.ლაკოია.

22. ბომბორის ღვთისმშობლის დაბადების ეკლესია; 1918 წელს დროებით მღვდლად პ.სამაა (სამავა) მსახურობდა. 1920 წლის 13 სექტემბერს ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭოს წევრი-მდივანი დეკანოზი ტ.ჯოხთაბერიძე საკათალიკოსო საბჭოს სთხოვდა ეპარქიის ეკლესიათა სიაში ბომბორის ეკლესიის შეტანას და მისი შტატების დამტკიცებას.

23. ბოგოვეშტის წმ. ნინოს ეკლესია 1920 წლის 13 სექტემბერს ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭოს წევრი — მდივანი დეკანოზი ტ.ჯოხთაბერიძე საკათალიკოსო საბჭოს სთხოვდა ეპარქიის ეკლე-

სიათა სიაში ბოგოვეშტის (ბოლავეშტის) ეკლესიის შეტანას და მისი შტატების დამტკიცებას.

24. გაგრის წმ. იპატის VI ს. ეკლესია; აღდგენილია მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ევგენია მაქსიმოლიანეს ასული ოლდენბურგსკაიას მეცადინეობით და 1903 წლის 9 იანვარს (გაგრის კლიმატოლოგიური სადგურის გახსნის დღეს) ეკურთხა. 1906 წლიდან მღვდლად მსახურობდა გ. ტუმანოვი (მანამდე იყო ზვანდრიფშისა და ბარმიშის ეკლესიების მედავითნე) — შემდგომში ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე. გაგრის ეკლესია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში 1920 წელს შევიდა. მაშინ აქ მსახურობდა დეკანოზი ზაქარია მჭედლიძე, რომელიც კლიმატოლოგიური სადგურის ხელმძღვანელობისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილი სხვა ძალების (სახლების მეპატრონე შენგელია და სხვ.) გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მათი წაქეზებით ქალაქის თვითმმართველობის გაუქმებას მოითხოვდა.

25. I გალის წმ. გიორგის ხის ეკლესია; აშენდა 1838 წელს, განაახლა მრევლმა 1871 და 1885 წლებში. 1888 წლიდან მღვდლად მსახურობდა ნიკოლოზ შენგელია; თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების (1883 წ.) შემდეგ იგი აფხაზეთში, კერძოდ ოქუშში იწუხებს პედაგოგიურ მოღვაწეობას; გახსნა სამრევლო სკოლა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო სოხუმის ეპარქიაში (სკოლაში ქართული ენაც ისწავლებოდა). ახალგაზრდა პედაგოგმა ეპისკოპოს გენადის, ასევე კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. 1888 წელს ის გალის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ხდება (ერთდროულად სკოლაშიც აგრძელებდა მუშაობას) და მალე მრევლის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა; ახლად გახსნილი საბლადოჩინოს ბლადოჩინადაც დაინიშნა. 1894 წლის აპრილში სრულიად ახალგაზრდა — 30 წლისა გარდაიცვალა, დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ობუჯში (წალენჯიხის რაიონი). 1901 წ. ამ სოფელში მიხეილ შენგელიას ოჯახში დაბადებულ ბავშვს მისი სახელი — ნიკოლოზი (ცნობილი ქართველი კინორეჟისორი) დაარქვეს. შემდგომში მღვდლებად მსახურობდნენ

ს.მიქაძე, ს.თოფურია, ბ.შენგელია, მედავითნეებად — გ.ხასაია, ე.კვიციანი, თ.ქანტურია, ი.ქანტურია.

26. II გალის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; ააშენა მრევლმა 1885 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ ნ.ქედია, ს.სვანიძე (1892 წლიდან მღვდელია რეფ ში, 1900-1901 წწ. — ბარლებში, 1902 წლიდან II გალის ეკლესიაშია; 1894 წლიდან — ნიკოლოზ შენგელიას გარდაცვალების შემდეგ — იყო ბლალოჩინი მღვდელი, 1917 წლის დეკემბრიდან — გალის საეკლესიო ოლქის საბჭოს თავმჯდომარე). მედავითნეები იყვნენ პ.მასხარაშვილი, ი.მასხარაშვილი, მ.შენგელია.

27. გეორგიევსკაიას წმ. გიორგის ქვის ეკლესია; ააშენა მრევლმა 1873 წელს, აკურთხეს 1875 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ ი.ფილიპიდი (XX ს. 10-იან წლებში მუშაობას აგრძელებდა როგორც შტატგარეშე მღვდელი), გაგაფონიკიადი; მედავითნეები იყვნენ კ.ფულოპულო, ი.ბაირაკტაროვი.

გეორგიევსკაიას წმ. გიორგის ეკლესიაზე XX ს. დასაწყისიდან (შესაძლოა, უფრო ადრეც) მიწერილი იყო სასაფლავო ღვთისმშობლის შობის ეკლესია, სადაც იგივე სასულიერო პირები მსახურობდნენ.

28. I გუდავის წმ. გიორგის ხის ეკლესია; აშენდა 1848 წ., განახლდა 1866 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ ან.თათარაშვილი, დეკანოზი მათე ხარებავა (1899 წელს ქვის ეკლესია ააშენა), მისი შვილი ვარლამ ხარებავა (1897-1898 წწ. იყო კოდორისა და სამურზაყანოს უბნების მისიონერი), მედავითნეებად — ნ.ცაავა, ი.ჯინჯიხაძე (ჯინჯიხაია).

29. II გუდავის მთავარანგელოზის ხის ეკლესია; 1895 წელს აშენდა მრევლის სახსრებით. მღვდლად მსახურობდა ი.კვარაცხელია, მედავითნედ კ.გეგეჭკორი.

30. გუდაუთის ღვთისმშობლის საფარველის ხის ეკლესია; აშენებულია 1882 წელს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის სახსრებითა და ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის დახმარებით. XIX ს. 90-იანი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ ი.ჩაჩანიძე (1905-1908 წლებში იყო ბლალოჩინი მღვდელი, ატარებდა ანტიქართულ პოლიტიკას), ი.კავთარაძე (ბლალოჩინი მღვდელი

ლუმბურიშში, საიდანაც ანტიქართული საქმიანობისათვის მრევლმა გამოაძევა), პ.ობრაზცოვი (1912 წლიდან). ეს უკანასკნელი 1917 წლიდან იყო ბლალოჩინი მღვდელი, მხარს უჭერდა ეპისკოპოს სერგის ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას; მედავითნეებად მსახურობდნენ ნ.ივანოვი, ა.კულიჩინი. 1919 წლის 12 ივნისს საკათალიკოსო საბჭომ დაუშვა მღვდლის მეორე შტატი ქართული მრევლისათვის.

31. გულრიფშის წმ. გიორგის ეკლესია. ააშენა პროფესორმა ნ.სმეცკოიმ თავის მამულში და თვითონვე ინახავდა მის კრებულს. მიწერილი იყო სოხუმის სასაფლაოს ეკლესიასთან. 1913 წლიდან მღვდლად დ.სოლოხინი მსახურობდა. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში 1920 წლის მეორე ნახევარში შევიდა როგორც ცალკე ეკლესია.

32. გუფის პეტრე-პავლეს ქვის ეკლესია; აშენდა 1871-1872 წ. კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით. მღვდლებად მსახურობდნენ პ.ფარეიშვილი, დ.მარღანია, ბ.ფანცულაია (1893 წლიდან), მ.ქანტურია, მედავითნეებად — თ.ბერაია, მარკელია, ა.ნოღია, მ.შავიშვილი, ზ.მანია.

33. დიხაზურგის მაცხოვრის ამალღების ხის ეკლესია; აშენდა 1863 წელს (1848 წლიდან სოფელში წმ. გიორგის ეკლესია არსებობდა), ხელახლა აშენდა და მერე განახლდა 1887 და 1900 წლებში. მღვდლებად მსახურობდნენ პ.ასათიანი (1860 წლიდან), ვ.ასათიანი, ი.ხუროძე (1898 წლიდან), მედავითნეებად ბ.გაწერელია, ა.მაჭგანაძე.

დიხაზურგის ეკლესიაზე მიწერილი იყო სამიქიოს წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც იგივე სასულიერო პირები ემსახურებოდნენ.

34. დურიფშის მიქაელ მთავარანგელოზის ხის ეკლესია აშენდა 1869 წელს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით; განახლდა 1883 წელს; ახალი ქვის შენობა 1914 წლის 28 სექტემბერს ეკურთხა. მღვდლებად მსახურობდნენ ნ.კირთაძე (1869 წლიდან), 1901 წლიდან — ნ.ლაღარია (ერთდროულად 1908-1912 წლებში იყო მოძრავი სამისიონერო ეკლესიის მღვდელი, შემდგომში — მუსულმანობის საწინააღმდეგო მისიის ხელმძღვანელი, 1918 წელსაც მოძრავი ეკლესიის მღვდელია)

, მედავითნეებად — ხოფერია, კ. შეკიაშვილი, ა. ანტონოვი, ა. ანთელავა.

35. ეკატერინოვსკაიას წმ. ეკატერინეს ქვის ეკლესია; აშენდა 1905 წელს მრევლის სახსრებით. მღვდლებად მსახურობდნენ ს. ტექტონიდი, ს. პანსიოტოვი, კ. ტიტოვი (ბირცხის ეკლესიის ყოფილი მედავითნე), მედავითნეებად — გ. მუსკილოვი, ა. ნიკოპოლიდი.

36. ეშეკტის (აკვასკის) მთავარანგელოზის ეკლესია; არსებობდა 1836 წლიდან. 1877 წ. თურქებმა დაწვეს; 1885 წ. მრევლის სახსრებით ქვის ეკლესია აშენდა. მღვდლებად მსახურობდნენ რუსული გვარის მატარებელი, აფხაზური და ქართული ენების მცოდნე გ. რომანოვი (1869 წლიდან 90-ნ წლებამდე), ი. გობეჩია, პ. ცხაკაია (1906 წლიდან), მედავითნეებად — პ. ხელაია (მოვიდა ილორიდან, შემდგომში კვლავ ილორშია), ს. მაჭგანაძე, ა. ხუბულავა, კ. მინჯია, გ. მანინი.

37. ვარჩეს ქრისტეშობის ეკლესია; საკათალიკოსო საბჭომ 1919 წლის 12 ივნისს დაამტკიცა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ეკლესიების სიაში შეიტანა.

38. ვლადიმეროვსკაიას ღვთისმშობლის საფარველის ეკლესია; აშენდა 1905 წელს მრევლის სახსრებით. მღვდლებად მსახურობდნენ ა. პიჩუგინი, ა. რედკაკოში, მედავითნედ — ნ. მიროშნიკოვი.

39. ზვანდრიფშის პეტრე-პავლეს ქვის ეკლესია; აშენდა 1888 წელს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით. იმავე წლიდან უცვლელი მღვდელი იყო დ. პ. გუბელაძე (მანამდე ბაგაკიტისა და ლიხნის ეკლესიების მედავითნე); მედავითნეებად მსახურობდნენ ს. ბურჭულაძე, ი. შარაშიძე, რ. ჟორდანი, კ. კარტოზია.

40. თაგილონის ღვთისმშობლის მიძინების ხის ეკლესია; ააშენა მრევლმა 1861 წ., განაახლა 1876 წელს, ხელახლა ააშენა 1900 წელს. XIX ს. 80-იანი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ მ. ჯაფარიძე, ი. გაბისონია, კ. შონია, კ. მაჭგანაძე, ს. ჩხეიძე (ჯგერდის ყოფილი მედავითნე), ე. ჩიმაკაძე, მედავითნედ — ტ. გეგია. 1898 წლამდე თაგილონზე იყო მიწერილი II თაგილონის წმ. გიორგის ეკლესია.

41. II თაგილონის წმ. გიორგის ეკლესია, სადაც XVII საუკუნეში

თვათინელი მისიონერები (ა.ლამბერტი და სხვები) მოღვაწეობდნენ; აღდგენილია 1898წ. მრევლის სახსრებით. მღვდლად მსახურობდა პ.ცხაკაია, მედავითნედ — თ.ბერაია.

42. ილორის წმ.გიორგის XIს. ეკლესია; მღვდლებად მსახურობდნენ: 1960 წლიდან 90-ნი წლების დასაწყისამდე — ზოსიმე ხელაია, (ამბროსი ხელაიას მამა), პორფირი ზოსიმეს ძე ხელაია (ამბროსი ხელაიას ძმა), ვ.კაპანაძე, კ.მანჯგანაძე (თაგილონის წმ.გიორგის ეკლესიიდან 1906 წელს გადმოვიდა, 1908 წელს ბალალოჩინი გახდა); 1915 წლიდანაა ა.ჭიჭინაძე, რომელიც მანამდე იყო პლასტუნკის (1890 წლიდან), კინდლის (1896 წლიდან), სანაგარდოს (1899 წლიდან), ბედიის, ისევ სანაგარდოს (1904 წლიდან), მუხურის (1901 წლიდან) მღვდელი; 1910 წელს, როცა ჩხორთოლში მსახურობდა, გახდა ბალალოჩინი მღვდელი. ვ.კაპანაძის, კ.მანჯგანაძისა და ა.ჭიჭინაძის პერიოდში პ.ხელაია მეორე მღვდელია. მედავითნეებად მსახურობდნენ ნოდია, ე.კიკვაძე, გ.კვარაცხელია, ი.ხოჭავა, პ.კვარაცხელია, ა.ხოჭავა.

43. კალდახვარის წმ. გიორგის ხის ეკლესია; აშენდა 1886-1888 წლებში კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით. XIX ს.80-იანი წლებიდან მღვდლად მსახურობდა ი.ოსიძე; 1913 წლიდან კალდახვარის სამრევლოს ბლაბუჩხვის მღვდელი ი.ნაჭყებია განაგებდა. მედავითნეებად მსახურობდნენ ე.კვირკველია, ა.ჭალაგანიძე, გ.ტ.მელაძე.

44. კამანის ვასილისკო-იოანე ოქროპირის ეკლესია; 1893 წელს აღადგინა სოხუმის ეპისკოპოსმა აგათაღორმა და რუსული დედათა მონასტერი დააფუძნა. 1904 წლიდან მღვდლად ი.გოლუბევი მსახურობდა.

45. კვიტოულის წმ. გიორგის ეკლესია. აშენებულია (ხის) 1872 წელს (ადრე სოფელში მოქმედებდა 1834 წელს აგებული ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხის ეკლესია); 1908 წელს ხელახლა აშენდა (ქვის) მრევლისა და ხაზინის სახსრებით. მღვდლებად მსახურობდნენ ნ.საჯაია (1850 წლიდან), ა.საჯაია — 1897 წლიდან (გადავიდა ფოქვე შში), ს.კაცია (გადმოვიდა ფოქვე შიდან). მედავითნე იყო დ.თვალთვაძე.

46. კინდლის იოანე ნათლისმცემლის ხის ეკლესია; ააშენა მრევლმა 1858 წელს. განახლდა 1871 წელს; მღვდლებად მსახურობდნენ კ.საჯაია, ა.ჭიჭინაძე, ე.ცხაკაია (1896 წლიდან), ვ.ხარებავა, რ.მარკელია (1901 წლიდან), კ.მინჯია, ი.ვარდანია, მედავითნეებად — ი.ცხაკაია, ს.კვირკველია, დ.შაკაია, ლ.ანუა.

47. კონსტანტინოვსკაიას წმ. კონსტანტინესა და ელენეს ქვის ეკლესია; ააშენა მრევლმა 1891 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ ა.მილოპულო, ა.იკოპოლიდი, მ.შაპრანოვი, მედავითნეებად — ნიკოლოზ ტაულდ..., ე.მილოპულო, ე.ჩომიდი.

48. კოჩარის ეკლესია; 1919 წლის 12 ივნისს საკათალიკოსო საბჭომ დაამტკიცა მისი შტატები.

49. ლათის ეკლესია. დანამდვილებით არსებობდა 1919 წელს და მას აჟარის მღვდელი ემსახურებოდა.

50. ლეჩქოფის (იაშტუხა-აჩადარის) ეკლესია; გაიხსნა 1919 წელს.

51. ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების XI საუკუნის ეკლესია; 1889 წლიდან მღვდლებად მსახურობდნენ სამურზაყანოელი ი.ლაკერბაია (სტავროპოლის სასულიერო სემინარია დამთავრებული, ცნობილი პედაგოგი, გუდაუთის უბნის ბლალოჩინი), კ.ბარციცი (1915 წლიდან), მედავითნეებად — ნოდია, ა.სანაძე, მ.ტარნავა (1913 წლიდან). ეკლესიასთან არსებობდა მგალობელთა აფხაზური გუნდი.

52. მარინინსკაიას წმ. ხარლამპის ეკლესია აშენებულია (ხის) 1886 წ., ხოლო 1911 წელს მრევლის სახსრებით ქვის ეკლესია აშენდა. მღვდლებად მსახურობდნენ თ.კეხიოპულო, მ.შაპრანოვი (გადავიდა კონსტანტინოვსკაიაში), ა.იკონოლიდი, მედავითნეებად — ა.კესოვი, ე.კირიზიდოვა (ქალი).

53. მერხეულის წმ. გიორგის ეკლესია; აშენებულია 1881 წელს მრევლისა და ხაზინის სახსრებით. მღვდლებად მსახურობდნენ ს.ჯაში, ი.ჩაჩანიძე, ტ.იოანიდი (შტატგარეშე), მედავითნეებად — პ.კვარაცხელია, ა.გრიგოლია.

54. მიხაილოვსკოეს პეტრე-პავლეს ქვის ეკლესია; აშენებულია 1885 წელს მრევლის სახსრებით. მღვდლად მსახურობდა

თ.კეხიოპულა (გადმოვიდა მარინინსკაიას ეკლესიიდან), მედავითნედ — პ.პაპანდოპულა.

55. მოქვის ლეთისმშობლის მიძინების X ს. ეკლესია; XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისში მიხეილ შერვაშიძემ აღადგინა. მღვდლებად მსახურობდნენ: 1886 წლიდან იესე ქორდანია, 1900 წლიდან 1912 წლამდე — ნ. ქორდანია; მასთან ერთად 1906-1910 წლებში შტატგარეშე მღვდელი იყო დ. კაკალია. 1913 წლიდან ეკლესიაში ორი მღვდელია — ვ. მაქაცარია (კლოუსა და მუხურის ყოფილი მღვდელი) და კ. მინჯია (კინდლის ყოფილი მღვდელი); მედავითნეები იყვნენ ნ. ავალიანი, ს. ბურჭულაძე (XIX ს. 90-იანი წლებიდან სამსახური დაიწყო მოქვში, გააგრძელა ჯგერდაში, ზვანდრიფში, ცხენისწყალში და კვლავ მოქვში დაბრუნდა), ი. გოგია, ბ. შენგელია, ს. ჩხაიძე, თ. ჯოჯუა.

1903 წლიდან აქ არსებობდა რუსული დედათა მონასტერი.

56. მუგუძირხვის ილია წინასწარმეტყველის ხის ეკლესია; აშენდა 1870 წელს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით. 1891 წლიდან მღვდლად ბ. ქორდანია მსახურობდა, 1906 წლიდან — ა. აყიბა, 1909-1918 წ. წ. — მომავალი ბოლშევიკი ვ. აგრბა. მედავითნეები იყვნენ ი. შარაშიძე, ს. მიხელიძე, თ. შავდია, გ. ლეიბა.

57. მუხურის მთავარანგელოზის ხის ეკლესია მრევლის ძალისხმევით 1840 წელს აშენდა, მეორედ — 1896 წელს, ხელახლა აშენდა 1908 წელს. XIX ს. 80-იანი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ ს. ქურდიანი, დ. მასხულია, ა. ჭიჭინაძე, კ. მაჯგანაძე, მედავითნეებად — ზ. წირქვაძე, მ. თათარაშვილი. მუხურის ეკლესიასთან იყო მიწერილი ფუცხურის ეკლესია, რომელსაც იგივე სასულიერო პირები ემსახურებოდნენ.

58. ნაბაკევის წმ. გიორგის ხის ეკლესია; მრევლის ძალისხმევით აშენდა 1854 წელს, განახლდა 1867, 1875 და 1886 წწ. XIX საუკუნის 80-იან წლებში მღვდლად ზ. ქუბაბრია მსახურობდა, 1887 წლიდან თითქმის სამი ათეული წელი — ლ. ობოლაძე (გადმოვიდა სოხუმის სასაფლაოს ეკლესიიდან, სადაც 1887 წ. იყო მღვდელი, მანამდე 20 წელიწადზე მეტი მედავითნედ მსახურობდა მაზუხში, ლიხნში და

სოხუმის საკათედრო ტაძარში; მედავითნეები იყვნენ ს.ძაძუა, ნ.ანჯაფარიძე, ი.ცხაკაია (შემდგომში ბარლების მღვდელი), ნ.ანჯაფარიძე.

59. ნაჭკადუს (ფიჩორის) ამალლების ხის ეკლესია; ააშენა მრევლმა 1892 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ ი.ზ.რურუა, 1910 წელს შეთავსებით — სპ.რურუა (ოტობაიის მღვდელი), 1911 წლიდან — რომან მარკელია, რომელიც მანამდე იყო კინდლის მღვდელი (1901 წლიდან), უფრო ადრე კი მედავითნედ მსახურობდა ფოქვეშის, გუფისა და ოჩამჩირის ეკლესიებში. მედავითნეები იყვნენ ს.ძაძუა, ვ.ი.საჯაია, ა.ს.ძაძუა; 1919 წლის ივლისში ჭყონდიდის მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) წარედგინა შუამდგომლობა მედავითნედ ბიქტორ ფეტელავას (გური ოტობაიას ფსევდონიმით ცნობილი მწერლის გულად ფეტელავას ბაბუა) დანიშვნის შესახებ. როგორც სასულიერო პირი, გულისხმიერი ფერშალი (მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, სადაც დაეუფლა ამ სპეციალობას) და შესანიშნავი ადამიანი ღღემდე ახსოვთ თანასოფლელებს.

60. ნიკოლაევსკო-ანასტასიევსკოეს ღვთისმშობლის შობის ეკლესია; ააშენა 1863 წელს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ, 1875 წელს განახლდა მრევლისა და ხაზინის სახსრებით. მღვდლებად მსახურობდნენ ა.სახოკია, კ.ხაყოშია, მედავითნეებად — კ.ხვინგია, თ.შავდია, ა.ჩიხლაძე.

61. ოთხარის წმ. ეკატერინეს ხის ეკლესია; აშენდა 1872 წელს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით. 1887 წლიდან მღვდლად ი.წივწივაძე (მანამდე იყო მედავითნედ ზვანდრიფში, ილორში, გუფში და ოთხარაში) მსახურობდა, 1913 წელს იგი, ჯგერდიდან გადმოყვანილმა ი.ციშბამ შეცვალა. მედავითნეები იყვნენ ე.მიხელიძე, ფ.ხორავა, ე.ნოზაძე, მ.ფიჩხაია.

62. ოლგინსკოეს წმ.დიმიტრი სოლუნსკის ეკლესია; აშენდა მრევლის სახსრებით 1881 წელს (ეკურთხა 1883 წ.). მღვდლებად მსახურობდნენ ნ.ლამფრიანიდი (გადავიდა ანდრეევკაში), გ.ლამფრიანიდი, მედავითნეებად — კ.ტიტოვი, ლ.კარაპულატი.

63. ოტობაიის ღვთისმშობლის შობის ხის ეკლესია; აშენდა 1851 წელს მრევლის სახსრებით, განახლდა 1876 და 1890 წლებში. 1879-

1912 წლებში მღვდლად მსახურობდა სპირიდონ ლაზარეს ძე რურუა (დაიბადა ბანძაში 1837 წელს, 1860 წლიდან დიაკონია ჩხორთოლში, 1868 წელს შტატგარეშე მღვდელია ბარლებში, იმავე წელს გახდა რეფო-შეშელეთის, ხოლო 1859 წლიდან რეჩხის მღვდელი); მისი შვილებიც სასულიერო პირები იყვნენ — უფროსი ვაჟი ალექსანდრე რეფის ბლალოჩინი მღვდელი გახდა, პარმენი მღვდლად მსახურობდა ბანძის ოლქში, ავქსენტი — პლასტუნკაში ეგგენი — I ოტობაიაში (1912 წლიდან). მედავითნეები იყვნენ ესტატე რურუა (II ოტობაიის მომავალი მღვდელი), იესე რურუა, ი.ცხაკაია (ქვემო ბარლების მომავალი მღვდელი), ო.ცხაკაია, ვ.ფეტელავა (1899 წ. დაამთავრა ახალი ათონის სამონასტრო სკოლა, იმავე წლიდან მედავითნეს მოვალეობას ასრულებდა, 1904 წლიდან მედავითნეა; ღვაწლმოსილი ექიმის ბართლომე ფეტელავას მამა).

64. II ოტობაიის თევდორე ტირონის ხის ეკლესია; აშენდა მრევლის სახსრებით 1883-1885 წწ. 1906-1907 წწ. ეკლესია განახლდა; 1912 წელს დაიწვა, მაგრამ სამრევლო ფუნქციონირებას აგრძელებდა; მღვდლად ჯერ აკაკი თათარაშვილი მსახურობდა, 1890 წლიდან — ესტატე ზაქარიას ძე რურუა (საეარაუდოდ, სპირიდონ რურუას ძმის შვილი); 1874 წელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, 1875 წლიდან I ოტობაიის ეკლესიის მედავითნეა, ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ლოცვა-კურთხევით განსნა საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სადაც თვითონვე ასწავლიდა ორივე სქესის ბავშვებს; 1886 წლიდან საბერიოშია, 1888 წლიდან ოქუმში (მედავითნედ), იმავე წელს გუდავის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელია; 1889 წლიდან ხუმუშქურის ეკლესიის მღვდელია. II ოტობაიაში ჩამოსვლისთანავე გახსნა წერა-კითხვის სკოლა, სადაც თვითონ ასწავლიდა; 1906-1907 წლებში მისი თაონობით საეკლესიო-სამრევლო სკოლა გაიხსნა, აშენდა სკოლის შენობა.

მედავითნეებად მსახურობდნენ ა.ქავთარაძე, ა.ფარცვანია, ო.ცხაკაია, მ.შენგელია, ნ.ანჯათარძე.

65. III ოტობაიის წმ. ნინოს ეკლესია; გადაწყვეტილება მისი გახსნის შესახებ მიიღო მრევლმა 1918 წ. აგვისტოში. 1920 წლის სექტემბერში ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭო სთხოვდა საკათალიკო-

სო საბჭოს III ოტობაიის ეკლესიის შტატების დამტკიცებას და ეპარქიის ეკლესიათა სიაში შეტანას.

66. I ოქუმის ღვთისმშობლის ხარების (1850 წლიდან წმ. გიორგის ეკლესია არსებობდა, სადაც ბლალოჩინი მღვდელი დ.მაჭავარიანი მსახურობდა) ეკლესია; აშენდა მრევლის სახსრებით 1866 წელს (ხის), განახლდა 1896 წელს (ქვის). 1869 წლიდან XX ს. დასაწყისამდე მღვდლად იოანე ჩხენკელი მსახურობდა. მასთან ერთად სხვადასხვა დროს მსახურობდნენ მღვდლები ს.ჯინჯიხაძე, ნ.შენგელია; 1908 წლიდან მღვდელი გახდა ხარიტონ შელია.

მედავითნეები იყვნენ ო.ძოწენიძე, ს.მაჭვანაძე, ს.ხასაია, ა.შარანგია, ს.შარანგია.

67. II ოქუმის (ღუმურიშის) იოანე ნათლისმცემლის ქვის ეკლესია; აშენდა მრევლის სახსრებით 1888-1889 წლებში; მღვდლებად მსახურობდნენ ს.ჯინჯიხაძე, ი.კავეარაძე (ბლალოჩინი მღვდელი, ავიწროებდა ქართულ ენას, რისთვისაც მრევლმა ბოიკოტი გამოუცხადა და 1904 წ. გააძევა სამურზაყანოდან), კ.ჩარგვიშვილი. მედავითნე იყო პ.მამასახლისი.

68. ოჩამჩირის აღდგომის ხის ეკლესია; მრევლის სახსრებით 1879 წელს აშენდა (ეკლესია ოჩამჩირეში მანამდეც არსებობდა; 1868 წელს მას ეპისკოპოსი გაბრიელი სტუმრობდა); მღვდლებად მსახურობდნენ: 1872 წლიდან — ი.კერესელიძე (ბლალოჩინი), ე.იაკობაშვილი, დ.მარლანია (1898 წლიდან ოჩამჩირის უბნის ბლალოჩინი, 1908 წლიდან დეკანოზი), მედავითნეებად — ნ.ჭირაქაძე, რ.მარკელია, ი. ზამბახიძე, ს.ცანავა, კ.მინჯია, ე.ვარდანია.

69. ოხურეის წმ. ნინოს ხის ეკლესია; აშენდა მრევლის სახსრებით 1891 წელს, მღვდლებად მსახურობდნენ ე.გაჩეჩილაძე, ი.ბენდელიანი, მედავითნეებად — ე.რურუა (ოტობაიის მომავალი მღვდელი), ა.საჭაია, კ.ლაგვილავა.

70. პავლოვსკაიას იოანე ნათლისმცემლის ქვის ეკლესია; ააშენა მრევლმა 1887 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ მ.ივანოვი, ე.ჩაჩა, ე.მილოპულო, მედავითნედ — გ.ფესტიროვი.

71. პაპიჩონის წმ. ანდრია პირველწოდებულის ქვის ეკლესია; აშენდა 1906 წელს მრევლისა და ხაზინის ხარჯებით. 1910 წელს

მღვდლად მსახურობდა ი.სირგინავა (ერთდროულად ზემო ცხირის მღვდელი).

72. პეტროვსკაიას პეტრე-პავლეს ქვის ეკლესია; აშენდა მრევლის სახსრებით 1899 წელს. მღვდლად მსახურობდნენ დ.ხუციევი, ვ.ორლოვი, მედავითნეებად — დ.კრასტილეცკი, კ.მაკსიუტა.

73. პილენკოვოს ღვთისმშობლის საფარველის ეკლესია.

74. პოლტავსკოეს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; 1920 წლის 13 სექტემბერს ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭომ საკათალიკოსო საბჭოს სთხოვა ეპარქიის ეკლესიათა სიაში მისი შეტანა და შტატების დამტკიცება.

75. რეფის იოანე ნათლისმცემლის ხის ეკლესია; ააშენა მრევლმა 1868 წ., განახლდა 1896 წელს. 1901 წლიდან მღვდლის თანამდებობა უცვლელად ეკავა ოტობაიელი სპირიდონ რურუას უფროს ვაჟს — ალექსანდრე რურუას; დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარიის არასრული კურსი, 1891 წლიდან იყო ფახულანის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელი, 1895 წელს — მედავითნეა ბესლახუბის ეკლესიაში, 1896 წლიდან — საბერიოში. იყო ბლალოჩინი მღვდელი (რეფის გარდა ექვემდებარებოდა ნაკვადუს, ოტობაიისა და ქუბურხინჯის ეკლესიები). მედავითნეებად სხვადასხვა დროს მსახურობდნენ ს.გაბუნია, ი.ხასაია, ა.ნოღია.

76. რეჩხის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ხის ეკლესია; აშენდა 1860 წელს, განახლდა 1885 წელს. XIX ს. 80-იანი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ ნ.მაჯგანაძე, ი.შონია, ი.შელია, ა.კობახიძე, ბ.შენგელია, მედავითნეებად — ე.კეკელია, ი.კეკელია, დ.კაკუბავა.

77. საბერიოს ღვთისმშობლის შობის ქვის ეკლესია; აშენდა 1875 წელს (მანამდე არსებობდა 1831 წ. მრევლის მიერ აშენებული ეკლესია); 1877 წლიდან მღვდლად მსახურობდა ბ.ჩხიკვაძე (1875 წლიდან), (მოგვიანებით გადავიდა მეორე საბერიოში), პ.ფარეიშვილი (1899 წლიდან), კ.მაჯგანაძე (1901 წ.), კ.შონია (1902 წლიდან), პ.ცხაკაია (1904 წლიდან), ა.კობახიძე, მედავითნეებად — ზ.ქობალია, თ.ურდილა, ა.ქავთარაძე (მესამე საბერიოს მომავალი მღვდელი), პ.ჯინჯინაძე, პ.ხუბუტია.

78. II საბერიოს წმ. გიორგის ქვის ეკლესია; მრევლის სახსრებით აშენდა 1863 წელს, განახლდა 1875 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ დ.მასხულია, ი.კავუარაძე, პ.ფარეიშვილი (1899 წლამდე), ბ.ჩხიკვაძე, ი.გობეჩია, მედავითნეებად — ბ.ქორდანია, პ.ჭინჭინაძე (გადავიდა III საბერიოში), ვ.ქობალია, ზ.ქობალია.

79. III საბერიოს წმ. გიორგის ქვის ეკლესია; აშენდა 1889 წელს გენერალ ზურაბ ჩქორტუას სახსრებით. მღვდლებად მსახურობდნენ ა.ჭავთარაძე, გ.ფირცხალავა, მედავითნედ — პ.ჭინჭინაძე.

80. სამიქიოს წმ. გიორგის ეკლესია; მიწერილი იყო დიხაზურგის ეკლესიაზე.

81. სანავარდოს წმ. გიორგის ხის ეკლესია; აშენდა მრევლის სახსრებით 1898 წელს, განახლდა 1912 წ. მღვდლებად მსახურობდნენ ა.ჭიჭინაძე, დ.გოგოხია, მედავითნედ — დ.შაკაია.

82. სოხუმის მღვდელმთავრის ეკლესია; 9121 წელს ბოლ შევიკებმა დაარბიეს.

83. სოხუმის ალ.ნეველის საკათედრო ტაძარი; აშენდა 1884 წელს ხაზინისა და შემოწირულობების ხარჯზე. გაფართოვდა 1892 წელს, 1909 წელს დაემატა სერგი რადონეჟელის ეკვდერი. პირველი წინამძღვარი იყო დეკანოზი დავით მაჭავარიანი. მასთან ერთად ტაძარში მსახურობდნენ მღვდლები გ.გოლუბცოვი (კანდელაკი), ა.ივანოვი, მ.გვაზავა, დიაკვნები — თ.მეშკოვსკი, ა.რედკოკოში, დ.კურაკინი, მედავითნეები — ვ.ოდელფინი, ი.გოლუბევი, ს.პროტოპოპოვი, გ.ბაზილევსკი.

1905 წლიდან (დ.მაჭავარიანის გარდაცვალების შემდეგ) 1919 წლის ოქტომბრამდე საკათედრო ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი გ.გოლუბცოვი. მასთან ერთად მსახურობდნენ 1908 წლის მონაცემებით: მღვდლები მ.გვაზავა, ა.ბობროვი, ს.პროტოპოპოვი, დიაკვნები — თ.მეშკოვსკი, ი.მოდესტოვი, ვ.ადელფინი, მედავითნეები — პ.ნიკოლსკი, კ.კოშიცი, ნ.სპისკოვი, ნ.ურუშაძე; 1910 წლის მონაცემებით — ა.ალფიოროვი (დეკანოზი), მ.გვაზავა, ს.პროტოპოპოვი (მღვდლები), თ.მეშკოვსკი, ი.მოდესტოვი, ვ.ადელფინი (დიაკვნები), პ.ნიკოლსკი, კ.კოშიცი, ნ.ურუშაძე, ნ.სოკოლოვი (მედავითნეები); 1914 წლის მონაცემებით —

ს.სმარაგდოვი, ნ.ლამფრიანიდი, ლ.ლევითსკი, მ.გვაზავა, ს.პროტოპოვი (მღვდლები), თ.მეშკოვსკი, ნ.ბროზჩენკო, ი.პონომარიოვი, ვ.ორლოვი, ვ.პარუსნიკოვი, ვ.გოგრიქიძე, პ.ნიკოლსკი (დიაკვნები), ნ.ურუშაძე, ნ.სოკოლოვი (მედავითნეები).

ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის გ.გოლუბცოვი (ს.პროტოპოპოვთან და ტ.ავტონომოვთან ერთად) სოხუმიდან გააძევეს. 1919 წლის ოქტომბრიდან საკათედრო ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი ტ.ჯობთაბერიძე.

84. სოხუმის საპოლკო მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია. არსებობდა 258-ე პოლკთან.

85. სოხუმის სასაფლავო წმ. გიორგის ეკლესია; აშენებულია 1821 წელს (ბერძენი გ.სკარდანას სახსრებით), 1868 წელს განაახლა ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ; XIX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან მღვდლად მსახურობდა ა.ივანოვი (1894 წლიდან ბლალოჩინი მღვდელი), მედავითნედ — ი.იაკოვლევი. 1919 წლის სექტემბერში ეკლესიაში აღსდგა ქართული წირვა-ლოცვა.

86. სოხუმის ღვთისმშობლის ხარების ბერძნული ეკლესია; ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭო 1920 წლის 13 სექტემბერს საკათალიკოსო საბჭოს სთხოვდა ეპარქიის ეკლესიათა სიაში მის შეტანას და შტატების დამტკიცებას.

87. ტამიშის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ხის ეკლესია; ააშენა ოსურმა კომისიამ 1836 წელს, განახლდა 1876 და 1906 წლებში. მღვდლებად მსახურობდნენ თ.ცხაკაია (1858 წლიდან), თ.ურიდია (1898 წლიდან), ი.ბენდელიანი (1906 წლიდან), ნ.პატიფა, მედავითნეებად — ბ.ახვლედიანი, ი.ცხაკაია.

88. ტყვარჩელის 12 მოციქულის კრების ხის ეკლესია; ააშენა მრევლმა 1869-1871 წწ. განახლდა 1898 წელს. XIX ს. 80-იანი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ ნ.ჯგუშია (1885 წლიდან), ს.კვაჭანტირაძე (1898 წლიდან), ე.ჩიმაკაძე (1902 წლიდან), ი.ლაგვილავა (მანამდე იყო მედავითნე ფოქვეშა და ტყვარჩელში), მედავითნეებად — ჭანტურია, ე.კვირკველია, პ.კვარაცხელია, ს.ფენია, ი.ლაგვილავა, ა.არშბა.

89. ფახულანის წმ. მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელ-

ლის ხის ეკლესია; აშენდა 1851 წელს, განახლდა 1866 და 1905 წ. XX ს. დასაწყისიდან მღვდლებად მსახურობდნენ ე.გოგობია, ტ.აღონია, კ. შონია (ბლალოჩინი მღვდელი), მედავითნეებად — ა.ჭიჭინაძე (მომავალი ბლალოჩინი მღვდელი), მ.გოგობია, კ.ხაუომია, ფ. შონია, გ.გოგობია.

90. ფოჭვეშის წმ.გიორგის ეკლესია; აშენდა 1858 წელს (ხის), კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ ხელახლა ააშენა (ქვის) 1890 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ ი.საჯაია (1861 წლიდან), ლ.საჯაია (1895 წლიდან), ესტატე რურუა, (1906 წელს გადმოვიდა მეორე ოტობაიიდან და 1910 წლიდან ისევ მეორე ოტობაიაშია), ს.კაცია (გადავიდა კვიტოულში), ა.საჯაია (გადმოვიდა კვიტოულიდან), მედავითნეებად — საჯაია, მ.ჭანტურია, რ.მარკელია (მომავალში კინდლისა და ნაჭკადუს მღვდელი), ი.ლაგვილავა.

91. ფუცხურის წმ. გიორგის ეკლესია; 1640 წლის 3 თებერვალს მოინახულეს სამეგრელოში ჩამოსულმა რუსმა ელჩებმა (მაშინ ეკლესია სიმეონ მიმრქმელის სახელზე ყოფილა); მიწერილი იყო მუხურის ეკლესიაზე; 1920 წლისათვის მონასტერი დააფუძნეს ქართველმა ბერებმა მღვდელმონაზონ დოროთეს (კაჭარავა) ხელმძღვანელობით. 1920 წლის 13 სექტემბერს ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭო სთხოვდა საკათალიკოსო საბჭოს ეპარქიის ეკლესიათა სიაში ფუცხურის ეკლესიის შეტანას და მისი შტატების დამტკიცებას.

92. ფშაფი-დრანდის მთავარანგელოზ მიქაელის ქვის ეკლესია; აშენდა 1895 წელს მრევლისა და ხაზინის სახსრებით. თავიდანვე მღვდლად მსახურობდა დ.ხუციევი (1898-1901 წლებში იყო პეტროვსკაიას პეტრე-პავლეს ეკლესიაში, 1901 წლიდან ისევ ფშაფი-დრანდის ეკლესიაშია); მედავითნეები იყვნენ ა.გალახოვი, კ.ზინგია.

93. შეშელეთის იოანე ღვთისმეტყველის ხის ეკლესია; აშენდა 1888 წელს მრევლის სახსრებით. თავიდანვე მღვდლად თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში მსახურობდა ბ.ბუჯანაძე (მანამდე დიაკონი ოქუმის ხარების ეკლესიაში), მედავითნეები იყვნენ თ.ჭანტურია, ბ.არონია.

94. შუაწყლის (აძიუბუქის) ღვთისმშობლის შობის ხის ეკლესია; აშენდა 1836 წელს, განახლდა 1871 და 1904 წლებში მრევლისა და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებით. 1868 წლიდან უცვლელი მღვდელი იყო კ.თოფურიძე, 1900 წლიდან — ა.თოფურიძე; მედავითნეებად მსახურობდნენ ა.გეგეჭკორი, ს.მელაძე.

95. პირველი ჩხორთოლის წმ.გიორგის ხის ეკლესია; აშენდა 1852 წ., განახლდა 1875 წელს მურზაყან ემუხვარის ძალისხმევით; ხელმეორედ განახლდა 1900 წელს მრევლის სახსრებით. XIX ს.80-ნი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ ს.თოლორაია (1869 წლიდან), ნ.თოლორაია (1905 წლიდან), ა.ჭიჭინაძე (ბლალოჩინი მღვდელი), მედავითნეებად — დ.ცხაკაია, მ.ჭაფარიძე, ნ.ივანოვი, ს.ფონია.

96. მეორე ჩხორთოლის ეკლესია; XX ს. დასაწყისიდან მიწერილი იყო ჩხორთოლის წმ.გიორგის ეკლესიაზე, 1919 წლის 12 ივნისს საკათალიკოსო საბჭომ მისი შტატები დაამტკიცა.

97. ცაცხვის მთავარანგელოზის; ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭო 1920 წლის 13 სექტემბერს საკათალიკოსო საბჭოს სთხოვდა ეპარქიის ეკლესიათა სიაში მის შეტანას და შტატების დამტკიცებას. აფხაზეთის ტერიტორიაზე სოფ. ცაცხვის არსებობის შესახებ სხვა მონაცემები ჭერჭერობით არ მოგვეპოვება.

98. ცხენისწყლის წმ.გიორგის ეკლესია; აშენდა 1901 წელს მრევლისა და ხაზინის სახსრებით. მღვდლებად მსახურობდნენ ვ.ხარებავა, ი.ქუჩუბერია, მედავითნედ — ს.ბურჭულაძე.

99. ცხირის პეტრე-პავლეს (1884 წლის მონაცემებით, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესიაა, შემდგომში ყველგან პეტრე-პავლეს ეკლესია ფიქსირდება) ეკლესია. აშენდა 1872 წელს (ხის), განახლდა 1886 წელს. უცვლელი მღვდელი იყო (XIX ს. 80-ნი წლებიდან) ზ.ჩხეტია, მედავითნეებად მსახურობდნენ ნ.გეგეჭკორი, ზ.ქობალია, დ.ჟვანია, ბ.ბერაია.

100. ზემო ცხირის წმ.ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია; აშენდა 1900 წელს (ქვის), სხვა მონაცემებით — 1894 წელს. თავიდან ღვთისმსახურებას ცხირის მღვდელი ზ.ჩხეტია ასრულებდა;

შემდგომში მღვდლებად მსახურობდნენ ე.მიხელიძე, ა.ჩეხერია, ა.ჭახრაკია, მედავითნეებად — დ.ქვანია, ი.ცაგურია.

101. წარჩეს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; აშენდა თუ განახლდა 1895 წ. მრევლისა და სახელმწიფოს სახსრებით (სოფელში 80-ნი წლებიდან იყო ეკლესია თავისი კრებულის); მღვდლებად მსახურობდნენ რ.ჭალაგანიძე, ს.მიხელიძე (1910 წლიდან), მედავითნეებად — ს.გაბუნია, თ.მასხარაშვილი, გ.კვარაცხელია.

102. წებელდის ეკლესია. 1920 წლისათვის უკვე არსებობდა, როგორც არის აღნიშნული ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭოდან საკათალიკოსო საბჭოში გაგზავნილ მასალებში.

103. ქლოუს ამალეების ეკლესია; 1871 წელს ააშენა (ხის) თავადმა დავაქარმა ისლამ ბარკალაიამ, 1907 წელს ხელახლა აშენდა ქვის ფუნდამენტზე; მღვდლებად მსახურობდნენ ვ.მაქაცარია (1881 წლიდან), დ.კაკალია (ბათუმის საქალაქო სასწავლებლის არასრული კურსის გავლის შემდეგ 1906 წელს დაიკონია აჩანდარაში, იმავე წლიდან შტატგარეშე მღვდელი — მოკეში, 1910 წლიდან გადაიყვანეს ქლოუსში), მედავითნეებად — ი.პაპალაძე, მ.ფიჩხაია.

104. I ჭუბურხინჯის ამალეების ეკლესია (1859 წლიდან სოფელში მაცხოვრის ეკლესია არსებობდა); აშენდა 1883 წელს (ხის), ხელახლა ააშენა მრევლმა 1900 და 1912 წლებში (ქვის). მღვდლებად მსახურობდნენ ბ.გაბისონია, ლ.ნინუა (გადავიდა ბარლებში), ნ.ქედია, მედავითნეებად — ი.შონია, ი.შელია.

105. II ჭუბურხინჯის ილია წინასწარმეტყველის ეკლესია; აშენდა 1882 წელს (ხის), 1894 წ. ხელახლა აშენდა მრევლის ხარჯებით. XIX ს. 80-ნი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ ნ.საჭაია, დ.ხოხელიძე, მედავითნეებად — დ.ხოხელია, მ.ჯაფარიძე, მ.ჯინჯიხაძე, მ.ანჯაფარიძე.

106. ხუმუშქურის ფერისცვალების ეკლესია; ასებობდა 1850 წლიდან, თავიდან იყო მთავარანგელოზ მიხეილის სახელზე. განახლდა 1889 წ. მრევლის სახსრებით (ხის). მღვდლად მსახურობდნენ დ.მასხულია, ა.მასხარაშვილი, მედავითნეებად — ზ.ციცკვაძე, დ.შარია, ა.ელიავა.

107. ჯგერდის აღდგომის ეკლესია; ააშენა კავკასიაში მართლმ-

დიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ, 1877 წელს თურქებმა დაწვეს, ხელახლა აშენდა 1886 წელს (ქვის). 1890 წლიდან მღვდელი იყო კ. შონია; შემდგომში მღვდლებად მსახურობდნენ ავალიანი, 1893 წლიდან — ოზურგეთის სასულიერო სემინარიადამთავრებული სერაპიონ ჩხაიძე (1879 წლიდან იყო მედავითნედ ჯგერდაში), ი.ციშბა, 1913 წლიდან — ალექსანდრე გვაზავა. მედავითნეები იყვნენ სილვესტრ ჩხაიძე, ა.მანია, ა.ყალიჩავა (ა.კალიგავა).

108. ჯირხვის სამი წმინდანის — ვასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ეკლესია; 1888 წელს ააშენა კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ (ქვის); განახლდა 1916 წელს. მღვდლებად მსახურობდნენ ი.ჩაჩანიძე, გ.გ.ჭირაქაძე (1890 წლიდან), ნ.კეთილაძე (1900 წლიდან), ი.ქუჩუბერია (1904 წლიდან), გ.ციშბა, მედავითნეებად — ლ.დ.ჭირაქაძე, ი.ქუჩუბერია, რ.მამაცოვი.

მოტანილი ისტორიული ცნობები რამდენადმე ავსებენ და აზუსტებენ (ზოგ შემთხვევაში ასწორებენ) ადრე გამოქვეყნებულ მონაცემებს (იხ. ჯ.გამახარია. რატომ ითხოვს ხალხი ეკლესიების გახსნას. — რიწა, 1990, №1, გვ.146-148; Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ.377-379 და ა.შ.). დანართებთან (№№16, 18, 19, 29) და მონოგრაფიაში მოტანილ სხვა მასალებთან ერთად (იხ. ეკლესიამონასტრების საძიებელი) ისინი ქმნიან საკმაოდ სრულ სურათს უძველესი დროიდან 1921 წლამდე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების და სასულიერო პირების (საქიროებს კიდევ დაზუსტებას და დაკონკრეტებას) შესახებ. ცნობაში არ არის შეტანილი XIX ს. 90-ნი წლების შუახანებამდე არსებული მაზუხის ეკლესია (მის შესახებ მონაცემები იხ. დანართებში №19, 29). 1892 წელს ეკლესიის მღვდელი იყო ერასტი ჭიქია (შემდგომში ბლალოჩინი მღვდელი), მედავითნე — ჭირაქაძე.

სოხუმის ეპარქიაში 1885 წლიდან, როგორც ცნობილია, შემოდირდნენ შავი ზღვის გუბერნიის ეკლესიები. აი, ისინიც: ადერბეიჯის წმ.ნიკოლოზის, ადლერის სულიწმიდის, ანაპის წმ.ონოფრეს, არხიპოროსიპოვის წმ.ნიკოლოზის, გეორგიევსკის წმ.ნიკოლოზის, ველიამინოვსკის ჯვართამაღლების, ვესიოლოვსკოვს

წმ.ნიკოლოზის, ვისოკოვსკის ღვთისმშობლის მიძინების, გელენჯიკის ამაღლების, დახოვსკის (სოკში) მიქაელ მთავარანგელოზის, ჭუბის ღვთისმშობლის მიძინების, კაბარდინსკის წმ.პანტელეიმონის, კალინოვსკის წმ.გიორგის, კრასნაია პოლიანას წმ.ხარლამპის, ლესნოის წმ.გიორგის, ნოვოროსიისკის წმ.ნიკოლოზის, ნოვოროსიისკის ღვთისმშობლის (СКОРНЯЩЕНКОИ), პლასტუნკის წმ.ნინოს. ეს უკანასკნელი იყო ერთადერთი ქართული ეკლესია შავი ზღვის გუბერნიაში (სოკთან ახლოს), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოკში მაცხოვრებელი ქართველები მუდმივად ითხოვდნენ ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებას. პირველად მათი თხოვნა ეპისკოპოსმა სერაფიმემ დააკმაყოფილა — პლასტუნკის მღვდელს დაევალა სოკში კვირაში ერთხელ წირვალოცვის ქართულ ენაზე შესრულება.

პლასტუნსკის წმ.ნინოს ეკლესია 1886 წელს გაიხსნა მრევლის ძალისხმევითა და სახსრებით. XIX ს.90-ნი წლებიდან მღვდლებად მსახურობდნენ არისტრახ ჭიქინაძე (შემდგომში ბლალაოინი მღვდელი სამურზაყანოში), ავქსენტი რურუა (სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1895-1901 წწ. მშობლიურ სოფ. ოტობაიაში, 1901-1906 წწ. — სოფ.არადუში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, 1907 წელს აქანდარის ეკლესიის დიაკონი და შტატგარეშე მღვდელია, იმავე წლიდან პლასტუნსკის მღვდელია), ეფრემ ცხაკაია (1918 წელს კავშირი ჰქონდა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსთან). მედავითნეები იყვნენ გ.მელაძე, თ.ბეზუგლი.

ისტორიული ცნობები შედგენილია შემდეგი წყაროების საფუძველზე:

1. ცსია, ფ.489, აღწ. 1, ს.40 089, 41 681, 45 490, 47 984, 50 845, 50 858, 51 845, 51 846, 51 847, 53 061, 53 083, 53 086, 53 087, 53 113, 53 781, 54 949, 54 950, 54 951, 54 993, 54 998, 54 999, 56 320, 56 385, 56 386, 56 635, 57 654, 58 702, 58 705, 59 974, 59 977, 63 521, 63 599, 63 611, 63 829, 64 126, 64 134, 64 137, 64 143, 64 340, 64 404, 64 622, 64 640, 64 641, 64 645, 64 646, 64 647, 64 648; ფ.1861, აღწ. 1, ს.514, ფ.1-25.

2. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს.463, ფ.53, 82-83, 95-96ა, 125-126ა; ს.689, ფ.17.


3. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაია. ბედის ტაძარი.

4. მწეგისი, 1894, №9; Сотрудник закавказской миссии, 1912, 15 ნოემბერი, №22, გვ. 348-349; 1914, 1 ოქტომბერი, №15, გვ.226-228; 1915, ოქტომბერი, №19, გვ.293-294.

5. Отчет общества возстановления православного христианства на Кавказе, за 1890 год. Тифлис, 1891, გვ.304-315; Отчет состоящего под Августейшим покровительством ея Императорскаго Величества, Государыни Императрицы, общества восстановления православнаго христианства на Кавказе, за 1892 год. Тифлис, 1894, გვ. 250-259; Отчет состоящего под Августейшим покровительством ея Императорскаго Величества, Государыни Императрицы Марии Феодоровны, общества возстановления православнаго христианства на Кавказе, за 1898, 1899, 1900 и 1901 годы. Тифлис, 1903. Приложения, გვ. 36-51; იქვე ... за 1902-1905 годы. Тифлис, 1908. Приложения, გვ. 39-54; იქვე... за 1906-1907 годы. Тифлис, 1909. Ведомость о приходах и причтах, გვ. 33-48; Дж.Гамахария, Б.Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 377-379, 678-679, 734-735.

12. **დასასრულები**

№1. მარტინ სანულოს შავი ზღვის ხუეის ფიაგმენტი. 1321 წელი



მარტინ სანულოს რუქაზე აღნიშნულია ქ. სოხუმი (Sauastopoli), რომლის თავზე ხუთჯვრიანი დროშა (მისი ერთ-ერთი ვარიანტი) ფრიალებს. რუქა ვატიკანში აღმოაჩინა და პირველად გამოაქვეყნა ბადრი გოგიამ (გაზ. „24 საათი“, 2004, 15 სექტემბერი).

№2. დიეგო ომემის შავი ზღვის აუზის
 ხუჯის ფიაგმენტი. 1559წ.



დიეგო ომემის რუკაზე აზოვის ზღვასთან ახლოს აღნიშნულია „Mingrelia“. საზღვართან აღმართულია ქრისტიანული (ჯვრიანი) დროშა (Дж. Гамахария, Бадри Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 831-832).

№3. გენსელიუსის ხუჩის ფიაგმენტი. XVIII საუკუნის დასაწყისი



გენსელიუსის რუკაზე („მრავალენოვანი აზია...“) თითქმის მთელი ამიერკავკასია აფხაზეთის ჩათვლით აღნიშნულია სახელწოდებით Yberi-Georgica (იბერია-საქართველო). მისი ჩრდილო დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვამდე აღწევს. ამ ტერიტორიაზე ბატონობს ქართული ენა; ღვთისმსახურებაც ქართულად მიმდინარეობს, რისი დადასტურებაც რუკაზე დატანებული ლოცვის ტექსტი: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავ სახელი (შენი)“. — იხ. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი. გვ.846.

№4. (მცნებაი სასჯელი) (1470-1474 წ.)

მცნებაი ესე სასჯულოი, ურწმუნოთა მომაქცეველი და მორწმუნეთა განმამტკიცებელი და განმამზნობელი, ყოველთა ქრისტიანეთათვის მოვლენილი ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისაგან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა.

(ც)ის მბადისაგან არსთა ყოველთა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, რომელი ჩუენისა ხსნისათვის ცათა კამარათაგან განზრახვითა მამისათა ხსნისა ჩუენისათვის გარდამოხდა. და საშოი ქალწულისა დაიმკვიდრა და იშვა უქცეველად და იხსნა ქმნილნი ხატად პირისა მისისანი ქალწულისაგან უქორწინებულისა იშვა და დაითმინა მიზეზნი და ყუედრებაი, კიცხევაი, ბასრობაი, ჯვარცმაი და დაფლვაი. გუერცა ლახურითა მოწყულულმან აღმოგვიცენა უკვდავებაი, რომელსა შუენის დიდებაი და პატივი დაუსაბამოით თანა მამით, ძით და სულით წმიდითურთ.

(და)ვითარ ინება და იგულსმოდგინა მან, არსებით მიუწდომელმან, და ღმრთაებით მმართველმან სჯულისა ქრისტიანობისამან, და უხრწნელად და უბიწოდ მშობელმან მისმან, და მადლმან ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისამან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისამან, და მოვივლინე ღმრთისა მიერ მე, ყოველთა ნარჩევი, იერუსალიმისა და ანტიოქიისა პატრიაქი მიხაელ, მოვიწიე დიდსა მას ქრისტეს სამწყოსსა, მაზებელსა იერუსალიმისასა, საქართველოსა.

ვითა სათანადო არს მეფეთა, დადიანთა, ათაბაგთა, ერისთავთა, ამილახორთა, დიდებულთა, აზნაურთა და ყოველთა ქრისტეს სჯულისა მოსავთა მორწმუნეთაგან მოკითხუაი, განაგეს მოკითხუა სჯულისა, საყდართა, მონასტერთა, ომფორისა და კათალიკოზებისკოპოსთა.

და მოიკითხეს, ძუელით ვიდრე ახლადმდე, ღმრთივ გვირგვინოსანმან ბაგრატ და დიდმან ერისთავთ-ერისთავმან დადიან-გურიელმან შამადავლა, მისთა თავადთა თანადგომითა და დიდად ღმრთისაგან სათნოდ გამორჩეულისა, პატივ სარვეითანისა (?) ღმერთ-შემოსილისა (ცაიშელ)-ბედიელისა იოვაკიმისა.

იქმნა გამოძიებანი და მოკითხვა გუართა, დავთართა, და იადგართა, და ვითარ-იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარხთაგან იკურ(თ)ხოვდიან, და ქამთასი-ძუელისაგან და ს(ო)ფლისა სივერაგეთაგან იყუნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით, ვნახეთ და შევემთხვეინ მადლსა, ვითარცა მეუფისა, ცაიშელ-ბედიელ მთავარებისკოპოზისა იოვაკიმისთა.

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, და დიდისა და ცათა მობაძავისა იერუსალიმისა მადლითა, და ცათამდის მადლისა კათოლიკე საყდრისა ანტიოქიისა ღმრთისმშობელისა მეოხებითა, ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯუენაი იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი და კურთხეულიმცა არის, დავაყენ(თ) და დავსვით აფხაზეთს, საყდართა მათანდრია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერსა, ოდიშისა, გური(ი)სა და აფხაზეთისა. ყოველთა ურჩთა და ღმრთისა არა ნებისყოფელად მყოფთათვის მომაქც(ე)ველად ვაკურთხეთ.

და ურჩქმნილ იყუნეს ყოველნი, და ვითა სათნოებანი უგულვებელს-ეყუნეს ებისკოპოზთა და მოძღუართა, მღღელთა და დიაკონთა, ბერთა და ერთა, დიდად ეშრომა მას, მარჯ(უ)ენასა იერუსალიმისასა, კაცსა ღმრთისასა იოვაკიმს. და აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს.

აწ გამოვნახენით ძუელნი შრომანი წმიდათა ნიკელთა მამათაგანი და, ვითარცა (სათ)ნოი არს სჯული ღმრთისა, ეგრეთ მორჩილ ექმენით სათნოდ ღმრთისაგან გამორჩეულსა, ვითარცა მოციქულსა პავლე და ანდრიას დამორჩილდით, ისმინეთ, მოიქცეთ და შეინანეთ.

და სათნო ეყვენით ღმერთსა მეფენი სიმართლითა მეფობისათა, სიწმიდით, მოწყალეებითა, მშვიდობითა სიყუარულისათა. თავადნი სიმართლესა ბქობდით, სიწმიდით დაიკვენით თავნი თქუენნი, ობოლნი და ქურიენი შეიწყალენით, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყუელი დავით: „ობოლი და ქურივი შეიწყალე და გზაი ცოდვისა არა იყოს შენ თანა“. და ვითარცა გამცნოს (მ)ქადაგებელმან წმი-

დათა მოციქულთამან, ეგრეთ განმხნდით.

და ებისკოპოზი ლიხთა ამერისა, ქოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაი პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღვარი მიაწევს, ებისკოპოზნი ამა იერუსალიმისა მარჯუენისაგან კათალიკოზისაგან იკურთხეოდნ, (და მიიღებდით) კურთხევასა; და ქადაგებასა მისსა (ისმენ)დით; ჯერ-იყვნით და ნუ ურჩ-ექმნებით, რათა იკურთხნეთ მარჯუენისაგან ღმრთისა.

აწ მამანო, ძმანო და შვილნო! ქრისტეს საფლავისა მარჯუენა, ლიხთ-ამერისა და აფხაზეთისა კათალიკოზი იოვაკიმ ქრისტეანობის სჯულისა მამაგრებელად და დამამტკიცებელად ვაკურთხეთ, სჯულისა და მერჯულეთა უფროს და უხუცესად ვაკურთხეთ მე, დიდისა და ცათა მობაძავისა ანტიოქიისა და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ.

და ესე ქარტა-წერილი თქუენთვის აღვწერე.

1. ქრისტეს მოყუარენო, მამანო და ძმანო, ვისცა ქრისტე ღმერთი გიყუარს და სჯულსა ქრისტეანობისსა მორჩილებთ, კათალიკოზისაგან კურთხევას მიიღებდეთ. და ვინცა გულითა მორჩილითა მიიღოთ კურთხევაი კათალიკოზისაგან და მორჩილ ექმნეთ, დიდისა მის დაუსაბამოსაი მამისა, ძისა და სულისა და დიდისა მის საპატრიარქოსა, ცათა მობაძავი იერუსალიმისა და ანტიოქიისა მადლითა კურთხეულ იყვნით ამა სოფელსა ხორციითა და საუკუნოსა — სულითა, და მათ სჯულისა დამამტკიცებელთა შვიდთა კრებათა მადლითა, და ოთხთა მქადაგებელთა მახარებელთა მადლითა, სულითა და ხორციითა თავითა და შვილთა შვილითი შვილამდე, ვიდრე უკუნისამდე ამინ იყავნ.

2. ვინცა სჯულისა მსაჯულისა ქრისტესსა და ქადაგებულსა მონათესაისა ურჩ ექმნათ, კურთხევისა წილ მოვიდის თქუენდა წყვა იგი სოდომისა და გომორისა; იყავნ დანთქმა დათან და აბირონისი; სეგრს (sic) ნუმც შეესწრები დაწვასა; ზარი დაეცეს თქუენ ზედა გუცლბოის (sic) მათაებრ; იყვნით წყულ, შეჩუენებულ-ცათა შინა, ქუეყანასა ზედა; კრულ თქუენ და საცხოვარი თქუენი, სახლი, ყანა, ვენახი; საყოფელთა თქუენთა ნუმცა იპოების მკვიდრი; ცაი რისხვით, ქუეყანა მწუხარებით თქუენთვის, რომელთა არა ირ-

წმუნოთ სიტყუაი ქართად დაწერილი ესე; დაიწყოს ნაყოფი თქუ-
ენი, ვითარცა უნაყოფოი იგი ლელვი, შეიჩუენენით ვითარცა სიმონ
მოგვი, ვითარცა არიოზ, რომელმან განხიაკუართი უფლისა ივიი-
სი; და წყულ ვითარცა მაკედონის სულისა წმიდისა მგმობარი, და
ევთიბიოს და აპოლონიოს.

3. დავინცა საყდართა, მონასტერთა და ეკლესიათა მამცრობელ-
ნი და მეუპყენი იყნეთ და კათალიკოზისა ბრძანებასა ურჩ ექმნათ,
ვითარცა — იგი პირველნი ხელმწიფებანი ზეცით გარდამოითხი-
ნეს და ღმრთისა რისხვითა ქუესკნელს შთაიყარნეს, ნაწილი მათი
იყოს მათ თანა; იქმნებისცა ნაწილად მათდა ბნელი გარესკნელი,
მატლი უძილი, ცეცხლი უშრეტი, ღრქენაი კბილთა, ტირილი,
უნუგეშინიციემოი; სადა არს ბნელი გარესკნელი არის-მცა სამკვიდ-
რებელად მათდა გამოუხსნელად სულითა და ხორცითა უკუნითი
უკუნისამდე, ამინ.

4. ანუ მეფეთა, ანუ მთავართა, ანუ აზნაურთა, ანუ აზნაურის
შვილთა, ანუ მსახურთა, ანუ გლეხთა, ანუ მთავარდიაკონთა, ანუ
დიაკ(ო)ნთა, ანუ სახარებაი დიაკონთა, ანუ კერძოი დიაკონთა, ანუ
მოხელეთა, ანუ ხელის მქონებელთა, ანუ დიდთა, ანუ მცირეთა ყო-
ველივე ურჩქმნილი წყულ, შეჩუენებულმცა არის სულითა და
ხორციითა.

5. მორჩილნი სჯულისანი და თანამდგომნი სარწმუნოებისანი
კურთხეულ იყვნ უკუნისამდე.

6. ძმანო და მამანო ამისთვის გამცნებ და გაუწყებ, რათა რომე-
ლი ჯუარს-ეცუა, დაეფლა, აღ(ს)დგა, იგი მხოლოი უფალი იესო
ქრისტე შეიყუართ ყოვლითა გულითა თქუენითა, რომელმან სის-
ხლითა თვისითა მოიყ(ი)და ადამ, ნათესავითურთ მისით; და განპ
ბრწყინდეთ ვითარცა მზე, ნათლითა ქრისტესითა; საუკუნოდ სუ-
ფევდე წინაშე ღმრთისა; ესე სოფელი წარმავალ არს და საუკუნოი
წარუვალ.

აწ ყოველთა შეიყუართ ქრისტეს სჯული და ქრისტემან თქუენ
შეგიყუარნეს ყოველნი. მოიქეცით ბრძანებასა და ქადაგებულსა
ქრისტეს მარჯუენის, ლიხთა ამერისა ღმრთისა მეორისა მოციქუ-
ლის პავლეს თანამოსაგარის იოვაკიმისი.

7. და ვინაიღგან იგ ულსმოდგინა ღმერთმან, და ჯერ-იჩინა ჩუენისა ხსნისათვის და სჯულისა ქრისტეანობისა დამკვიდრებისათვის და დამტკიცებისათვის, ღმრთისა ბრძანებითა ჩუენ, დიდისა ცათა მობაძავისა საყდრისა ანტიოქიისა და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ, ნებითა ღმრთისათა, ვითარცა უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან ანდრიას მოციქულსა თვითა საუფლოითა ხელითა შემოსა თვისი სამეუფოი ბისონი და აკურთხა, აწ შემდგომად მისსა ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ და სჯულისა და მერჯულეთა თავად და უხუცესად დაგვიმტკიცებიეს.

და აღიწერა ქარტა ესე ჩემ მიერ.

აწ შეილნო, ძმანო და მამანო! გაუწყებთ და გამცნებთ:

8. ვინცა და რამანცა კაცმან ქრისტიანემან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, პატრონსა უღალატოს, ანუ უსამართლოდ უორგულოს, ქრისტე ღმერთი და სჯული უარუყოფიეს; ეგრეთვე უსამართლოი ორგული მეორემან ნუ შეიწყნაროს.

9. ვინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოზისა ურჩად უხუედრი ცოლი შეირთოს, ანუ სვინაი, ანუ მეფისი, ანუ რძალი, ანუ ბიძის ცოლი, ანუ ხუცის ცოლსა ცოდოს, ანუ დიაკონისა ცოლსა თანა ცოდოს, ანუ მთავარ-დიაკვნისა ცოლსა თანა ცოდოს, ანუ სწავლულისა კაცისა ცოლსა თანა ცოდოს და შეგინებულსა საწოლსა ზედა დააწვინოს, ამათ ყოველთა უსჯულოებათა მოქმედი კრულ, წყულ და შეჩუენებულმცა არს სულითა და ხორცითა, ამინ.

10. და თუ არ ღმრთისა უარისყოფელნი ხართ, მეკობრესა ხუცესსა მოარჩობდით.

11. ვინცა ანუ დედის-ნაცუალსა, ანუ დედობილსა თანა ცოდოს, წყულ, კრულ და შეჩუენებულმცა აწ და უკუნისამდე.

12. ვინცა ძმა მოკლას, ქრისტე ღმერთი უარუყოფიეს და ნაწილი მათი აღიხოცნენ უკუნისამდე.

13. ანუ თვისი და ანუ სხუაი მოკლას, კრულ, წყულ და შეჩუენებულმცა არს.

14. და რომელმანცა იკადროს მოციქულთა მარხვათა ოთხშაბათ-პარასკევთა, რომელიცა ხსნილი არ იყოს და შერიოს, ანუ მიც-

ვალებისა მარხვა, მარტვლთა კიდევინ ჰკუიანმან შერიოს წუელი-
თა ანუ ხორცითა ხსნილთაგან კიდე, კრულმცა არს ცათა შინა და
ქუეყანას ზედა.

15. და რომელმანცა წელიწადთა შინა რომელნიც უქმნი განუ-
წესებიეს წმიდათა კრებათა და არა ისმინოს და თვისითა ნებიითა უქ-
მობდეს, წყულმცა არს წმიდათა კრებათაგან.

16. ვინცა შეუნდობლად დაბეჭდილი კათალიკოზისაგან და ქო-
რებისკოპოზისაგან ეკლესია გახსნას, შეუნდობლად კრულ, წყ-
ულ და შეჩუენებულმცა არს მათი ხუცესი და ერი მათი.

17. რომელმანცა წმიდათა კრებათაგან განაჩენი და განაწესი
სჯული მაგრად არა დაიჭიროს და შეცოდება დაუწყოს, ღმერთმან
წყევით მიაგოს საქმეთა მათაებრ; წყულმცა არს სჯულისა უარის-
მყოფელთა თანა.

18. ვინცა სჯულისა შემცოდე პატრონმან არ მისცეს ებისკოპოს-
სა და ქორებისკოპოზსა სასჯულოდ არ მიანებოს, და სასჯულოდ
მოსაკითხავად სოფელი არ დაანებოს, და ძალი არ მისცეს, იმა სოფ-
ლისა ცოდვა მან გარდაიხადოს და შეუნდობელმცა არს.

19. ვინცა ამა მცნებათა არ დასჯერდეთ და კათალიკოზსა და
ქრისტეს სჯულსა ურჩ-ექმნათ, კრულ, წყულ და შეჩუენებულ იყ-
ვით ღმრთისა დაუსაბამოისა მადლითა, მამისა, ძისა და სულისა
წმიდისა მადლითა, იერუსალიმისა მადლითა, ანტიოქიის მადლი-
თა, ამინ, თავითა, შვილითა, ვიდრე შვილით შვილამდე.

20. დამამტკიცებელნი და სჯულისა მამაგრებელნი, და იესო
ქრისტეს ერთგულნი, ებისკოპოსთა, მოძღვართა, მღვდელთა და
მონაზონთა პატივისმცემელნი და სჯულისა მამაგრებელნი, ობოლ-
თა და ქურივთა, გლახაკთა და დავრდომილთა მოწყალენი და შემ-
წენი და შემწყნარებელნი კურთხეულმცა არიან ცათა შინა და ქუ-
ეყანასა ზედა, სულითა და ხორცითა თავითა და შვილითა, ვიდრე
უკუნისამდე, ღმრთისა დაუსაბამოისა პირითა, ამინ.

21. და ამასცა გამცნებ და გააუწყებთ შვილნო და ძმანო ჩემნო: ვი-
ნათგან ღმრთის-მოყუარენი, და ერთგულნი, და ღმრთისა მართ-
ლმადიდებელ(ნ)ი, და ძრწოლით და შიშით თაყუანისმცემელნი
ქეშმარიტად და მართლმადიდებლობით აღიარებთ და თაყუანის-

სცემთ სახელსა მის მოსამართლისა გარე შემოუწერელსა (და) ტკბილსა და მრავალ-მოწყალესა ღმერთსა დაუსაბამოისა, მამასა, ძესა და წმიდასა (სულსა), ნუ თანა-მზრახველ ექმნებით ამა უკანასკნელისა სიცრუეთა და სივერაგეთა, არამედ მორჩილ ექმნებით ბრძანებასა ღმრთისასა.

22. ვითარცა ანდრია მოციქულმან ურწმუნონი სარწმუნოებად მოაქცინა და სჯულსა და სარწმუნოებასა ზედა დაამტკიცა, მას ჟამსა ოდეს ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან ხსნისა ჩუენისა და მოქცევისათვის მოავლინა თვისითა სამეუფოთა შესამოსლი(თა), პორფირ-ბისონ-ოქროვანითა, სამოსლითა ელ(ვარით)ა და შუქმიუაჩრდილებელითა შემოსა და, სახედ და (სა)მუქფოდ მოციქულ, ნათლისა მახარობელად კათალიკოზად დააყენა, რამეთუ მისისა ბრძანებისა ქადაგებითა მოიქცეს თემნი, ქალაქნი და ქუეყანანი ესე ჩრდილოეთისანი, ვიდრე ნინო ქართ(ლისა) დედამან მოაქცინა ქართლი, მისთა სამზღვართა აქათ წმიდამან ან(დრია მოციქულმან) ნათლითა მიუაჩრდილებელითა განანათლნ(ა და განას)უნნელა ყოველნი მორჩილნი სჯულისანი.

აწ, მსგავსად მისსა, ვაკურთხეთ და დავამტკიცეთ სჯულისა თავად კათალიკოზი იოვაკიმ, (ვითარცა) ქრისტე ღმერთი თავი არს ეკლესიათა.

23. აწ, შვილნო, ძმანო და მამანო ჩემ(ნო! მო)რჩილ ექმნით მწყემსისა მის სახიერის ნაცვლად (ღმრთისა მიერ) მოვლენილსა, რათა მარადპირმეტყუელ(ად სამწყაოდ გამ(ო)სჩნდეთ, და შეიკრიბნეთ ბაკსა ზეცისა (არვი)ზსასა, და არა იქმნეთ (შე)საქმელ მგელთა მძვინ(ვარეთა), და არა შეგემთხვიოს გან(საცდელ)ლი, ვითარცა-იგი მაშინ, რომელნი უ(რჩი)ექმნეს ანდრია მოციქულსა, (რომელმანცა მოუვ)ლინა ღმრთისაგან მრისხ(ანე) ანგელოზი და შეეცვალნა (ყოველთავე) მათ ურჩთა სახლი ს(აც)ხოვარი, კაცითგან მიპირიტყუიამდე, ვიდრე მოიქცეოდეს.

და შემდგომად სარწმუნოებად მოყუანებისა მათ(თა მო)ავლინა ღმერთმან ანგელოზი (მშვედობ)ითა და წყალობითა, (და ყოველი) ნათესავი კაცთა ნათლ(ითა გამოუთქმელითა ა)ღივისო, სახლნი დ(ასა-ყოფე)ლნი მათნი, კეთილითა მო(უკ)ლებელითა. საცხოვარნ(ი სიმ-

რავლითა აღ)ივსნეს და საუკუნე კეთილად (წ)არ(ე)მართნეს, ნათ-
ლითა აღს(ა)ვ(ს)ედ.

24. აწ თქუენცა გულსმ(ოდგინე)ბითა, სიმ შვდით(ა და კრძალუ-
ლებ)ითა გულს-მოდგინებით(ა აღმსრულებელ) ექმენით ბ(ძანებასა)
ღმრთისასა და ღმრთისა მოციქულ(ისა) მეორ(ისა), აწ, ახლ(ისა იე-
რუსალმ)ისა მამაგ(რებე)ლსა და ქრისტეს საფლ(ავისა, და სრული-
ად) ლიხთა ამერის(ა და აფხ(აზეთისა კათალიკოზს იოვა)კიმს.

25. და ყოველთა შენდობა (და წირვ)აი მი(ი)ღეთ, რათა აქაცა
(კურთხეულ) იყვნეთ და საუკუნესცა (კურთ)ხეულ გიწოდოს
უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, დღესა მას განკითხვისა და ზა-
რის ასახდელ(სა, რათა) გამოსჩნდეს ქედ ნათლისად... და განგაძლი-
ერნ(ეს თქუენ) სარწმუნოებასა ამას და (მტკი)ცესა ზედა მაზე-
ბელ(ისა), აღმსრულებელნი და და(მ)სამტკიცებელნი, (რათა არა
მი)გიგოს თუალუხავმან მან, დღესა მას დიდსა ზარის ასახდელსა,
ვითარმედ წარვედი(თ ჩე)მგან წყულნო ბნელსა (გა)რესკნელსა და
ცეცხლ(სა) უშრეტსა წყუღიადი(სასა); არამედ დაიცივით ესე მცნე-
ბა.

26. (და რომელმან ა)რა ირწმუნოს და (არ)ა გულსმოდგინედ და-
იცვა(ს) მცნება ესე, იყოს წყუულ და შეჩუენებულ მამისაგან, ძისა-
გან და სულისა წმიდისაგან, ვითარცა ზემოთ წერილ არს, ამინ მე-
ამენეთა, და იყავნ წმიდათა ანგელოზთა (მიერ) უკუნისამდე და უკუ-
ნითი უკუნისამდე.

27. აწ კუალად ისმინეთ ებისკოპოზთა (და ქორ)ეპისკოპოზთა
ვითარცა წმიდათა კრებათა განაჩინეს, (ეგრეთ) უთნევეარად დადე-
გით, ნუ ვის ათნევე, სამწყოი შენი სწავლით და მაგრად დაიჭირეთ,
რათა მეორედ მოსლვასა თქუენგან არ ითხოოს სიტყვის მიგება.

28. ეგრ(ეთვე მოძ)ღუართა: წესიერებით, ქრისტეს სიყუარული-
თა თქუენ, (სამწყოდ მოწ)აფით(უ)რთ, შეიყუარეთ სჯული ქრის-
ტესი და თავი თვისი დადევ ცხოვართა თვისთათვის, ვითარცა მწყმ-
სმან სახიერმან, რათა არა ყოველთა ცოდვა ხელთაგან შენთა იძი-
ოს, და უკანასკნელთა მათ ძრწოლა და აღმოფშვინვასა და დაისა-
ჯო.

29. მღდელთა: მართალთა ნების-მყოფელად ნუ ცრუ-

წინასწარმეტყუელ, (არამედ) დაიცევი თავი შენი სიძვისაგან, ტაცებისაგან, სიხარბისაგან, დიდის სიცილისაგან, მთურალობისაგან და გარდარევისაგან, რომელი არა ჯერ-არს მოწესეთაგან.

30. მიეც ერსა უმეცარსა მარხვავი, რაითა წმიდათა კრებათა გააჩინეს მარხვად, მიეც მტკიცედ და გაუტეხელად უქმი უქმად, ვითა სწერია გაჩენით საეკლესიოთა დავთართა შიგან.

31. და რომელმანცაებისკობოზმან, გინა ქორებისკობოზმან, ანუ მოძღუარმან, გინა ხუცესმან არა გულითა მართლითა დაიცვას მცნებაი ესე და ერსა არა უქადაგოს სარწმუნოება და კათ(ა)ლიკოზისა ბრძანებასა ზედა მომჭირნედ და ძალმიცემით არ იღგეს, კრულ, წყულ და შეჩუნებულმცა არს აწ და უკუნისამდე; კრულმცა არს ღმრთისა დაუსაბამოსაგან თ(ა)ვითა, შვილითა და ყოვლითა მისითა, რაოდენიცა რაი არს სოფლითგან საუკუნოდმდე უკუნისამდე.

32. და უკეთუ ვინცა მეფეთა, თავადთა, აზნაურთა და აზნაურსი შვილთა, მოხელეთა, მოურავთა, ხელისუფალთა, დიდთა და მცირეთა, მდიდართა და გლახაკთა, ყოველთა, (რომელთა) ესე მცნება, ღმრთისა მიერ წმიდათა კრებათაგან განაჩენი, ქრისტეს ღმრთისა მიერ მართლმადიდებელთა სასურველი სიმტკიცე და საწადელი, და მწვალებელთათვის საკდემელი სჯული არა აღიაროს, არა ირწმუნოს, და მტკიცედ არ გულსმოდგინოს, და მაგრად არ იპყრას, და სხუათაცა არ უქადაგოს, კრულ, წყულ და შეჩუნებულმცა არს რისხვითა ღმრთისა დაუსაბამოსა მამისა, ძისა და წმიდისა სულისაითა.

33. რომელი ხუცესი ცუდად ზლაპრობდეს, ანუ ცუდად მეტყუელებდეს, ანუ წესსა აკლებდეს სამწყსოთა სოფელთა და ქუეყანათა, და მისისა სამრევლოისა ცოდვა კათალიკო(ზ)სა და ქორებისკობო(ზ)სა არ გამოუცხადოს, ანუ ნატაცებსა ცოლ-ქმართა გვირგვინი უკუთხოს, ანუ იპაროს, ანუ უხვედრთა ცოლ-ქმართა შენდობა მისცეს, ანუ მისთა სამრევლოთა მარხვისა რევავი და უქმისა რევავი შეუნდოს და რაიცა მღდელობისა საქმე შეცოდებით დაიჭიროს, — წირვისაგან აღიხოცოს და წირვა მისი შეუწირავი იყოს, სადამდის კათალიკოზისა მოხსენებითა და გაგონებითა არ განიკა-

ნონოს.

34. ეგრეთვე, ვინცა და რამანცა კაცმან მონასტერთა და საყდართა მამული მოიგოს, იურვოს, ანუ ვინ მოურავად და მოსაქმედ შემოვიდეს, — კრულ, წყულ და შეჩუენებულ(ლ) ღმრთის დაუსაბამოისა პირითა, შვიდთა კრებათა მადლითა; ნუმცა იხსნების სულითა ჯოჯოხეთისაგან, ნუცა წირვითა, ნუცა გლახაკთა მიცემითა, ნუცა იერუსალიმს წარსლვითა, იტანჯებოდეს გამოუხსნელად უკუნისამდე.

35. ვინცა უხუედრი ცოლი შეირთოს, ანუ სვინასა, ანუ მეყვისსა შე(ე)ხოს, ანუ ძმის ცოლსა, ანუ შეირთოს, ანუ ბიძის ცოლი შეირთოს, ანუ რა გინდა უხუედრი ცოლი შეირთოს კათალიკოზისა ა(ლ) უარებლად, ქრისტეს უარისმყოფელთა თანამცა არს ნაწილი მისი, აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

36. ვინცა უქმთა წელიწადისსა და შაბათსა, ცხრა ეამითგან ორშაბათსა განთენებადმდე, სცოდებდეს და პარასკევსა მიწას რევდეს, და წმიდათა კრებათაგან განაჩენი უქმნი დღენი კრძალვით და მაგრად არ შეინახნეს, მისთვის განწესებულ არს რისხუაი ღმრთისა, მატლი უძილი, ცეცხლი უშრეტი, ღრქენა კბილთა, მრისხანენი ანგელოზნი მას ზედა; და არა აქუს ნაშრომსა მისსა ბარაქაი; ნაყოფი მისი მისთვის ურგებ.

37. კულად ვინცა შესცოდოს წმიდათა მარხუათა და ხელყოს შეცოდება, გინა ოთხშაბათ-პარასკევთა, გინა ქრისტეს შობის მარხუათა, ანუ ღმრთის-მშობლისა მიცვალებისა მარხუათა, ვინ გინდა შესცოდოს, გინა პეტრეს და პავლეს, რომელ არს პეტრეპავლობის მარხვაი, მარტვილთა რეგუენთა კიდე;

38. და ვინ უხუედრი ცოლი შეირთოს შეუნდობელი და კათალიკოზისა ბრძანებითა არ გაეყაროს და ურჩად დაუდგეს, გინა სასჯულოსა საქმესა ზედა ძალი არ მისცეს, და უსჯულოთა შემწე ექმნას, გინა მეყვისობისათვის, გინა ქრთამისათვის ანუ შეხვეწისათვის;

ანუ მარხუა(სა) რევდეს, რაიცა წმიდათა კრებათა გა(ა)ჩინეს ამას ზედა, მაგრად არ იმარხვიდეს მართლად, ანუ უქმთა რევდეს, ანუ მართლად არ შეინახოს და წმიდათა კრებათაგან გაჩენილი შეურაცხყოს, და კათალიკოზისა ბრძანებასა არა მორჩილებდეს;

გინა მონასტერთა დამცრობასა მოიჭირვოს თავისთვის გინა სხუათათვის იურვოს, ანუ სხუათა უურვოს, ანუ მტერობისათვის, ანუ მეორისა მოყურობისათვის, გინა ქრთამისა აღებისათვის რა-გინდარა გამოახოს: გინა გლეხი მოსახლე, გინა საჭურჭლე, გინა კაცი, გინა ჯოგი, გინა დიდი, გინა ცოტაი, და არ მიღმა შემატებდეს კათალიკოზისა სიტყუასა და ბრძანებასა არ დამორჩილდეთ, და ესე მცნება არა დაიცვად, და არა გულითა წმიდითა აღიაროთ და ძალმიცემით არ დაიჭიროთ და არა ირწმუნოთ, — გინა მეფეთა, გინა თავადთა, გინა დიდებულთა, გინა აზნაურთა, გინა ებისკოპოზთა, გინა ქორებისკოპოზთა, გინა მოძღვართა, გინა მღვდელთა, გინა დიაკონთა, გინა მსახურთა, გინა გლეხთა, გინა მამათა, გინა დედათა, გინა დიდთა, გინა მცირეთა, ვინ გინდა ვინ ეს მცნება არ ირწმუნოთ, და კათალიკოზსა არ დამორჩილ ექმნას, და ვითა ესე აღწერილი მოგვითხრობს მარხვათა განაჩენსა და ესრეთ არა იმარხოს;

39. წელიწადთა შინა ოთხშაბათ-პარასკევი ესრეთ განიხსნების: ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა, ვითარცა დიდთა მარხვ(ა)თა, ჯერ-არს მარხვაი, უკეთუ საუფლოი დღესასწაული არა დახუდეს, ანუ საჩინოთა წმიდათა, რომელსა ტაძარსა შინა შეკრებულნი ერნი დღესასწაულობენ; ქრისტეს შობა მსგეფსამდე ხსნილი არს; მიგეგება ხსნილი არს; ზადიკთა განზოგება ხსნილ არს; ამალღებისა წინა დღე ხსნილი არს, ოთხშაბათ-პარასკევი არა; ახალ კვირიაკე ხსნილი არს მსგეფს(ა)მდე; სულის წმიდისა მოსლვისა მსგეფსამდე ხსნილი არს; ალაჯორთ კვირიაკე და ყუელიერისა კვირიაკე ხსნილი არს მონოზონთათვის და ერისკაცთათვის.

ამთ გარეთ ოთხშაბათ-პარასკევი არა განიხსნების. და რომელმან განხსნას, საშინელი სატანჯუელნი განმზადებულ არიან მათთვის ღმრთისაგან, და კანონსა ქუეშე იქმნებიან უზიარებელნი, და ეკლესიას არ შეიშვების ვითარცა ურჩი ღმრთისა.

ეგრეთვე წმიდისა გიორგისი თავადი დღესასწაული აპრილსა ოცდასამსა მათთვის ხსნილი არს, ვინ ეკლესიას მივიდნენ, ვინ არ მივიდეს, ვერ განხსნის ნოენბერსა ი.

და უქმნი, წერილსა შინა, ვითარცა საეკლესიოთა წიგნთა კრებათაგან განჩენილმან ამცნოს, ეგრეთ.

40. და ვინ ორი ცოლი ერთად შეირთოს, გინა დედა-შვილი მამა-შვილთა შეირთოს, გინა ორი დანი ორთა ძმათა შეირთონ, ანუ ვის ცოლი მოუკუდეს, ცოლისა ასული შეირთოს, ანუ ვინ ცოლისა დედა, რომელ არს სიდედრი, შეირთოს, ანუ მეფისი შეირთოს, ანუ ვინ ცოლი უზუედრი შეირთოს, ანუ ვინ რძალი შეირთოს, გინა შე(ე)ხოს, გინა დობილი ანუ დედობილი შეირთოს, დიდმან გინა მცირემან, გინა ხუცესი ბილწი იყოს და შეაგინოს ხორცი თვისნი სხუასა დიაცსა თანა, გინა მხევალი ისევე და ქამის-წირვად იკადროს, — ვინ ესე მცნებანი და სწავლანი, სასულიერო და სახორციელო, ყოვლითა გულსმოდგინებითა და გულითა უყალბოითა და უტყუვარითა არა აღიაროს, არ დაიცვას და არა შეინახოს, და ურჩეკმნას ამა სწავლასა წმიდათა კრებათაგან განაჩენსა და დამტკიცებულსა, და კათალიკოზსა ურჩეკმნას: მეფენი, გინა თავადნი, აზნაურნი, გინა აზნაურის შვილნი, მსახურნი, გინა გლეხნი, ებისკოპოსნი, გინა ქორებისკოპოზნი, მოძღუარნი, გინა მღვდელნი, გინა დიაკონ(ნ)ი, მოხელენი ხელისუფალნი, დიდნი გინა მცირენი, ყოველნი ურჩეკმნილნი წყულ და შეჩუენებულმცა არიან ღმრთისა დაუსაბამოისა პირითა, რომელმან შეკმნა საუკუნენი;

კრულმცა არს სამკვდრებელი მათი, სული და ხორცი მისი; კრულ, წყულ და შეჩუენებულმცა არს სახლი სამყოფი მისი;

კრულ, წყულ და შეჩუენებულმცა არს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჭუარისაგან, რომელსა ზედა განიპყრნა უბრწუნელნი ხელნი თვისნი ხსნისათვის ჩუენისა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან;

წყულმცა არს წმიდათა ზეცისა ძალთაგან; კრულ, წყულმცა არს წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისაგან; კრულ, წყულმცა არს წმიდათა და ყოვლადქებულთა მოცქულთაგან; კრულმცა არს შვილთა კრებათაგან;

წყულმცა არს ყოველთა ღმრთისა წმიდათაგან, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა, და აწცა სათნო ყოფად არიან.

41. ამა მცნებათა ურჩეკმნილნი და შეურაცხის-მყოფელნი კრულ და შეჩუენებულმცა არიან ცათა და ქუეყანისაგან, ხორციითა დასუ-

ლითა, თვითა და ცოლითა, შვილითა და შვილის შვილითა, მისითა ერდგულითა;

არისმცა მისთვის ესე სოფელი მოკლე და უსარგებლო; არისმცა ცოლი მისი ქურივ და მწუხარე, შვილნი მისნი ობოლ, შერყულ და დაცვივნებულ, ვითარცა მართუნ ყარნისანი; უნაყოფომცა არს ყანა, სათესვი არა არს თესლისა გამომღებელ, მამული მისი უნაყოფომცა და ნუ შეიკრებს მისგან ნაყოფსა;

წყულმცა არის მისი ცხენი, ზროხა და ყოველი საცხოვარი; ნუმცა ეპოების სახლისა მისისაგან სანუგეშინისცემო.

კრულმცა არს თავი მისი მხართა მისთა ზედა; კრულმცა არს მხარნი მისნი წელთა მისთა ზედა; კრულმცა არს წელნი მისნი თეძოთა მისთა ზედა; კრულმცა არს თეძონი წყვილთა მისთა ზედა; კრულმცა არს წყვილნი მისნი მუხლთა მისთა ზედა; კრულმცა არს მუხლნი მისნი კოჭთა მისთა ზედა; კრულმცა არს კოჭნი მისნი ფერხთა მისთა ზედა; კრულია ფერხი მისი მიწათა, ადგილთა და სამყოფთა ზედა; კრულ არს იგი ადგილი მისთვის, სადა დადგენ ფერხნი მისნი; კრულ არს თუალნი მისნი სახედველად და მხედველად; კრულმცა არს პირი მისი პურისა მჭამელად, ენაი მეტყუელად, ხელნი საქნელად, ფერხნი სავლელად, გული საქმისა გასაგონებლად; კრულმცა არს იგი და მისი გასაგის(ი), მისი გასაგებელი სხვამან მიიღოს; კრული არს მისი სიცოცხლე, კრული არს მისი სიკ(უ)დილი; კრულ არს მისი საფლავი, სადა დაეფლვის.

ნუმცა იხსნების სულითა და ხორციითა, თავითა და ცოლითა და შვილითა და ყოველითა მისითა გასაგებელითა; ნუმცა იხსნების წირვითა ებისკოპოსთა და მღვდელთათა; ნუმცა იხსნების იერუსალემს წასლვითა, ნუცა ლოცვითა მოლოზონთაითა, ნუცა გლახაკთა მიცემითა, ნუცა მშვიერთა განძლომითა; არა რა ქუელის საქმე ერგოს მას; ყოველივემცა უსარგებლოი არს მისთვის.

42. ვინცა ესე მცნება და სწავლაი არა აღიაროს, არა ირწმუნოს და არა ქეშმარიტებით აღასრულოს, იყოს ნაწილად მისად, სად არს ტანჯვით სამყოფი, ქრისტეს უარისმყოფელთა, ბნელი წყუდიადი, განუნათლებელი, ვაებითა აღსავსე, ცეცხლი უშრეტი, მატლი უძილი, ტარტაროზი, გლოვანი უნუგეშინისცემოი, და ღრქენაი კბილ-

თა, ნისლი წყუდიადი, საბურველი თუალთა მყოფთა ფსკერთა ჯო-
ჯოხეთისათა; ნუმცა არს ხსნა და გამოხსნა მათი მიერ ვიდრე უკუ-
ნითი უკუნისამდე. ამინ, ამინ, ამინ.

43. ქრისტიანენი მართლმადიდებელნი, რჯულისა მამტკიცე-
ბელნი ღმერთმან აკურთხნეს.

ბეჭედი: ბიჭვინტისა ლუთის-მშობლისა საჭეთ-მპყრობელი კ-ზი.

*ქართული სამართლის ძეგლები,
ტ. 3, გვ. 221-233.*

№5. ბიჭვინტის იადგაჰი (1525-1550 66.)

ეპა, ასულო შუენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებითა აღ-
სავსეო, ანნას მორჩო, რტოვო გარდაფენილო, სოლომონის ვენა-
ხო, (რ)ქაო მეწამულო, დავითის ყუავილო, დაბადებულთა სურ-
ნელმყოფელო, იესეს კუერთხო, დიდებითა აღყუავებულო, იუდას
შროშანო, ყოველთა დაბადებულთა სამკაულო, იაკობის კიბეო ზე-
ცად მიმართ აღმართებულო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღყუავე-
ბულო, აბრაჰამის კვირტო დიდებით აღმოფრჩუნილო, სემის და-
საბამო, ნათესავთა მშედობაო, ნოეს სულისა სამოსელო და ულ-
პოლველო ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, ადა-
მის დიდებაო, სამოთხეო, პირმეტყუელო ღმრთისა მამისა მხოლო(ი)
სა წინაშე გამორჩეულო და ძისა მხოლო(ი)სა პირველ საუკუნეთა
მამისაგან შობილისა დედად ქალწულობით უთესლოდ მშობელად
განწესებულო, და სულისა წმიდისა ტაძარო, სამებისა წმიდისა
ცნობისა მომატყუებელო, რომელმან ერთისა სამებისაგანი შეიწყ-
ნარე და უაღრეს ყოველთა ბუნებათა ჰმევე ძე, მხოლოდ შობილი,
ულმობელად და უხრწნელად.

შენ გარდამოიყუანე ქუეყანად ღმერთი და აღიყუანე ადამ ზეცად,
შენ აღამაღლე ბუნებაი ესე დაცემული და დასუ საყდართა ღმრთა-
ებისათა, რაჟამს ავასხენ ღმერთსა ბუნებაი ადამისი და შვე ღმერ-
თი და კაცი ორითა ბუნებითა; ამისთვისცა მიიღო რომლისა იგი მი-

ღებად გული უთქ(უ)მიდა ადამს.

შენ მშვიდობაი ჰყავ შორის ქუეყანისა და ცათა, სისხლითა ძისა შენისაითა.

შენ დაჰსენ მტერობაი იგი პირველი, რომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს იქმენ ცაი ქუეყანასა ზედა და მიწისა ზეცათა შინა.

შენ, ღრუბელო ნათლისაო, რომელმან ცუარი სიხარულისა და ცუარი ცხოვრებისა და ცუარი სიტკბოებისა აცურიე და აღაგე ქუეყანაი ურწყული ნაყოფითა მრავალფერითა, რომლისაგან განუძლომელად სურის ყოველთა დაბადებულთა მიღებად ტკბილთა მათ ნაყოფთა ღმრთის მეცნიერებისათა.

შენ ხარ წმიდაი სულისა ბრწყინვალეებისა, რომელსა ზედა გამობრწყინდა ვარსკვლავი იაკობისი და სიბნელე ღამისა მის უმეცრებისა დაჰხსნა და ნათელი დიდებისა მისისა გუახილვა, შორის ალაგთა და ეზოთა უკუანაისკნელთა.

შენ, საყდარო ცეცხლის ფერო, ქუეყანით მალალთა შინა და ქუეყანაო განუცდელი მალლით ქუეყანასა ზედა.

შენ, ვარსკვლავო ევა(ი)სო, სულისა ცისა აღმობრწყინებულო და ეტლო მეუფისაო, ნივთისაგან მიწისა ბუნებითა მოდგამობითა ბრწყინვალედ შემზადებულო.

შენ ხარ ტაკუკი იგი დიდებული, რომელმან ღმრთისა იგი მანანა დაიტიე და ყოველნი ხილულნი და უხილავნი სიტკბოებით აღსავსენ უფროის ბუნებათა მხედველთა.

შენ ხარ სასანთლე იგი ოქროისა, რომელსა ზედა ვიხილეთ ნათელი იგი დაუსრულებელი, რომელი განამართლებს ყოველთა კაცთა, მომავალთა სოფლად და თვით იგი მხოლო ჰგიეს მოუკლებელად და შეუცვალებელად ტაძარსა მაგას სიწმიდისასა, რომელი პირველადვე შეგმზადა სოლომონ დამტევენელი დაუტევენელისა არსთა-შობადისა სიტყვისა ღმრთისა და ძუელ ოდესმე მოსეგან მოგასწავა კარვად სამეუფოდ.

ყოვლად წმიდაო, ცათა-დაუტევენელისა დამტევენლო ბიჭვნთისა ღმრთისმშობელო, კაცობრივსა ვინაცა სიღრმისაგან სიმდებლისა ვიჭერჩინებე აღმოუთქუმად რასამე ძალისაებრსა უფროის დუ-

მილისა, რომელი ხარ სკიპ(ტ)რა-გვირგვინი მეფეთა დიდებანი, პორ-
ფირთა მზებელი, სუე ინდალმათა და ცემულთა აღმამართებელი და
ლალთა დამამხობელი, მცველი ურულო შენდამი მსასოებელთა.

მე, მოწყნელთა მათ ცვა-ფარვა, შეწყენა-წარმართებათა თქუ-
ენტა მიერ, სკიპ(ტ)რა-პორფირისა და გვირგვინისა მპყრობელმან
აფხაზთა და ქართველთა მეფობისამან, რანთა, კახთა და სომეხთა
მეფეთა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდი-
ლოეთისა ორისავე ტახტისა და სამეფოსა ჩუენისა შეწყენითა თქუ-
ენითა მკიცედ-ფლობით მპყრობელმან მეფეთა მეფემან, მეფემან
დიდმან ბაგრატი, რათამცა ღირსი და სამართალი მსახურებაი ჰყვით
აურაცხელისა წყალობისა თქუენისა ჩუენდამო, რომლისა სიმრავ-
ლე უფროის სიმრავლესა ვარსკვლავთასა და სივრცესა ზღუათასა;

გარნა, ზღვისაგან მკადრე წუეთსა უნდოსა ამას და მცირესა ძღუ-
ენსა, გულს-მოდგინებით შეესწირავთ და სიღრმით სულისათ ვებობთ
დედოფალო, ნუ საზომისად, არამედ ვითარცა მცირისაგან დიდი აბ-
რაჰამისგან ისაკი, ვინათგან განგებაი შეუცვალელობითა ძისა შენი-
სათა არსებად მოსრული კვალად ქცევად არს და განმრავლებაი ცამოკ-
ლებად შეუთქს, ამის დანარსისა წესისაგან და არს საჭერო ყოფად ვი-
ჩინეთ წმიდისა ტაძრისა თქუენისა და სამკვიდრებელისა და საძვალის-
სა ჩუენისა დიდისა და ცათა მობაძვისა ზესთა არსისა საყდრისა დი-
დისა ემბაზისა ბიჭვინტისა მცირისა და კინისა შეეწირაობ.

ყოვლად წმიდაო და თვალებისაგანაცა ანგელოზთასა მიხედვად
შესაძრწუნებელი და მიურულებელი მცველ-მფარველო წარმ(მ)
ართებელი მეფობისა ჩუენისაო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელი!

გკადრეთ და დავდევით და მოგახსენეთ ესე საკრძალავი და შე-
საძრწუნებელი იადგარი, ვითა საშინელსა და ცათა მობაძვსა დიდ-
სა საყდარსა ბიჭვინტისასა გეკადრებოდა.

ვითა არავინ ღირს არს თქუენისა საყდრისა მამულთა, ძმათა, დეკა-
ნოზთა და მეტრაპეზეთა, კანდელაკთა, ჟუარის-მტვრთელთა და სხუა-
თა საყდრის-შვილთა და შემოსამზღურით თქუენტა მამულთა და სო-
ფელთა, გლეხთა და ქალაქთა შიგან შემოწირულთა არახელი შვიდო-
დეს, არცა-რა ეთხოვებოდეს, არცა ბაჟი და არცა-რა გამოსაღები არას
შეცოდებისთვის არა გარდაეხდევოდეს, კიდევან კათალიკოზისა.

ესე რაცა გვიბრძანებია როგორაცა, არავინ ღირს ვართ ამათსა შეცვალებასა: არცა მეფენი, არცა დადიან-გურიელი, არცა ათაბაგ-ამირ(რ)სპასალარი, არცა ერისთავნი და დიდებულნი, არცა თავადნი და აზნაურნი და არცა გლეხნი.

და აწ ამას მოგახსენებთ ყოველთავე დიდთა და მცირეთა: ნუმცა ვისგან კადრებულა დიდისა და ზესთა აღმატებულისა საყდრისა ბიჭვინტისა ძმათა და საყდრის-შვილთა, წინამძღუარ-დეკანოზთა, კანდელაკ-ჭუარისმტვირთველთა, მეტრაპეზეთა, ომფორის მოლარეთა და სხუათა საყდრის-შვილთა, მამასახლისთა, მესტუმრეთა და ხევისთავთა, ნაცვალ-ხელისუფალთა და სხუათა მოხელეთა (მტერობაი და შეცოდებაი).

აგრევე გკადრეთ ჩუენ, მეფემან მეფეთამან, მეფე(მან) დიდმან ბაგრატ თქუენ, საშინელსა საყდარსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისასა, გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე და კნინი შესაწირავი საძვალე ჩუენი სახსრად სულისა ჩუენისა დღესა მას განკითხვისასა:

გელათს საყდარი სადედოფლო წმიდის გიორგისის, ასის კუამლის კაციითა; რაჭას სოფელი ბარი, სასახლე და მონასტერი, ერთის აზნაურის-შვილითა ჩიკუტიძითა და ოცდაათით კუამლის კაციითა, ტყითა, ველითა, მთითა, წყლითა, საძებარითა და უძებარითა; აგრევე მონასტერი ციხისა, ლეჩხუმს საჩხეური, წუგნა, კუებლვეი ოცდახუთის კუამლის კაციითა; ოფჩას ბურჯანაძენი რვა კუამლი კაცი; ნავენახევის სასახლე ოცდაათით კუამლის კაციითა; ხრუდო სათევზეთ, ჭიშურას გამოღმა ქალასთავი სოფელი, ქუთათის სოფია წმიდის საყდარი ექუსის კუამლის კაციითა; ჯიმასტაროს სასახლე თორმეტის კუამლის კაციითა ევდემონ კათალიკოზისა ნასყიდი და ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისა შეწირული.

კუალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან გიორგი შენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა, შემოგწირეთ ჩუენი ნასისხარი ხოშტიბელა სასახლე თორმეტის კუამლის კაციითა, ჩუენეშ ათი კუამლი კაცი და მივეცით ლალიძეს გიორგის და შევჭენით საყდრის-შვილად და შემოგწირეთ შენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა.

აგრევენ ჩუენ, მეფეთ-მეფისა ძემან თაიმურაზ შემოგწირეთ

ხონს და კუხს ოცი კუამლი კაცი.

კულადაცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონ-მან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონ-მან მამია თქუენ, საშინელსა ბიჰვინტისა ღმრთისმშობელსა:

მანთხოჯის სასახლე და მონასტერი, ორმოცის კუამლის კაცი-თა და ერთის აზნაურის-შვილითა რატიანითა, წყლითა, ველითა, სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებარითა და უძებარითა; ჯიქთუბანი მთავარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კუამლის კაცი-თა; ეგურისპირს ნაჟანეო, სამოცის კუამლის კაცი-თა; ხორს წმიდის გიორგის ეკლესია, ოცდახუთის კუამლის კაცი-თა, წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაცი-თა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე შამიგია ქუქურია და დათია; მარმარისკარს ეგვიბტია და ჩხუნბურია; აგრევე აფხაზეთს ბიჰვინტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი.

აგრევე გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, გურიელმან ბატონმან როსტომ და ძემან ჩუენმან გურიელმან ბატონმან გიორგი თქუენ, საშინელსა ბიჰვინტისა ღმრთისმშობელსა ხიბულა მონასტერი მთავარანგელოზისა, სასახლე ორმოცი კუამლის კაცი-თა, ტყითა, წყლითა, ველითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებარითა და უძებარითა; და გურიას ოცის კუამლის კაცი-თა ოცხანა და ხეჩს ერთი კუამლი კაცი სალუქაძე თემიროზაი.

1. ამას გარეთ, სამეფოსა და სადადიანოსა და საგურიოსა შინა, ვინცა ვინ თავადი კაცი მოკუდებოდეს, თავი ნიშანი კათალიკოზს მიეცემოდეს; და ბატონების ეკლესია კათალიკოზის საკურთხი არის, საწყოსი — ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის სამზღუარსა და ქანეთს შუა.

2. და აწ ამას მოგახსენებთ ყოველთავე დიდთა და მცირეთა: ნუმცა ვისგან კადრებულ არს დიდისა და ზეშთა-აღმატებულისა საყდრისა ბიჰვინტისა ძმათა და საყდრის-შვილთა, თემთა და ქუეყანათა და აგარათა მტერობაი და შეცოდებაი.

3. და ვინცა ამა საშინელსა საყდარსა შესცოდოს და უვარყოს

ღმერთი და წარიწყობილს სული თვისი, და გატეხოს და შიგნით საყდრიდამა რამე გაიტანოს, თუ ისი კაცი მეფისა იყოს სახასო კაცი და მამული, რასდენიცა განაყოფი იყოს, მათითა მამულითა საყდარსა მიაბაროს. სხუასა მეფისასა ვერას ვიტყვთ რას, ამისთვის საყდარი მათი არის.

4. და თუ დიდებულთა, ანუ თავადისა, ანუ აზნაურთა ყმაძან გატეხოს და მოიპაროს, წამოდგეს იმა მეკობრისაი ბატონი თორმეტითა მისითა სწორითა კაცითა; და ოცდაათხითა მისითა სწორითა — ის მეკობრე. ექუსმან აზნაურმან და თორმეტმან გლეხმან ნაბნითა ფიცოს, ექუსმან აზნაურმან და თორმეტმან გლეხმან უნაბნოდ ფიცოს უცოდინელობაი მეკობრის ბატონისა.

თუ ფიცოს, მეკობრისა ბატონსა არას ემართლების და გამტეხი მისითა მამულითა და განაყოფითა საყდარსა მოახსენოს.

და თუ ვერ დაიფიცოს, რასაცა მამულისა მქონებელი იყოს, იგი საყდარსა მოახსენონ; და მეკობრე და მეკობრისა ბატონი ძელს მისცენ.

5. და თუ გარეთ ზღუდეს შიგნით რამე გაიტანოს, სამისა თავადისა სისხლი, მისითა წინწასაძღუანითა, საუპატივოდ საყდარსა დაეურვოს.

6. და თუ ზღუდეს გარეთ ახლოსითგან ზარისა ხმაი ისმოდეს, რამე წაიღოს, გინა პირუტყვ ანუ სხუაი რამე წაიღოს, ორისა თავადისა სისხლი საყდარსა დაეურვოს, მეკობრობით ქნას, გინა მძლავრობით ანუ ნატაცეობით.

7. და აწ ვინცა გინა დიდებულმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან კათალიკოზსა აგინოს ანუ საცემრად წაიზიდოს, ორმოცდაათი გლეხი საყდარსა დაეურვოს და კათალიკოზსა ორი სისხლი დაეურვოს, დიდითა შეხუეწითა.

8. ვინცა რომელსა გინდა ძმათაგანსა სცეს, ანუ შინა ჩაუხდეს, ანუ ხელთა შეიპყრას, ანუ პირდარ აგინოს, ექუსი გლეხი საყდარსა დაეურვოს და ორასი ათასი თეთრი იმას დაეურვოს.

9. და თუ ვინმე ძმათაგანი ანუ საყდრის-შვილი მოკლას, ოცი გლეხი საყდარსა დაეურვოს და ორი სისხლი იმას დაეურვოს.

10. ვინცა კათალიკოზისა ჯოგი გატეხოს, ექუსასი ათასი ძეული

თეთრი საყდარსა დაეურვოს.

11. ვინცა ამას ზემოთ საყდრის-შვილნი და მოხელენი სწერიან, მათი ჯოგი გატეხოს, ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს, დიდითა შეხუეწითა; და ნაძარცვ უკლებელად შემოექციოს.

12. ვინცა კათალიკოზის გამოგზავნილი კაცი გაძარცუოს, ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხი ათასი იმას დაეურვოს;

13. ვინცა ზურგით მზიდავი ხარი და ან სეფე ხარი წაიყუანოს, თორმეტი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს.

14. ვინცა მოხელეთა გაგზავნილი კაცი გაძარცუოს, ოთხი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს.

15. ვინცა ქორეპისკოპოსსა სცეს, ანუ ხელითა შეიპყრას, ანუ ავად აგინოს, ანუ უპატიობა რამე ჰკადროს, თორმეტი გლეხი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი იმას დაეურვოს.

თუ გლეხი იყოს რომელმან ჰკადრა, მისითა მამულითა საყდარსა დაეურვოს.

16. ვინცა კათალიკოზისა ყმა-მსახური მოკლას, ექუსასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს; და სამასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშიროდ იმათ დაეურვოს. და რანიცა საყდრისა მოხელენი არიან, ვითარცა საყდრის-შვილთა სწერია, იმავე წესითა იმათ დაეურვოს.

17. ვინცა საყდრის მოინალე კაცი მოკლას, შვიდასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაეურვოს.

18. და ვინცა ბიჭვინტისა გარეშამო სოფელი და გლეხნი, სითგან ზარისა ხმაი ისმოდეს, გატეხოს, ანუ დაარბიოს, ანუ ნახირი გაუტეხოს, ექუსასი ათასი ძველი კირმანული თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამი ათასი იმას დაეურვოს.

19. სხუანი რანიცა აგარანი და სოფელნი, მეტოქი მონასტერი და ქალაქი სწერია, იმათ შინა მსახლობელნი გლეხნი, მსახურნი და მოინალე ვინცა მოკლას, ექუსასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაეურვოს.

20. ვინცა სოფელი და სოფლის კაცი დაარბიოს, ორასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, და ორი ათასი-ორი ათასი, რასდენიცა გლეხი იყუნენ, იმათ დაეურნენ; და ალაფი უკლებელად შეაქციონ. და რასაცა მიზეზისათვის მიხდომოდენ, ისი გაუცუდდეს.

და თუ მომხდომი მოკლან, სისხლი და სანახშირე გაუცუდდეს.

21. და ვინცა ჯოგი და ნახირი გაუტეხოს, ოცდაათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმათ დაეურვოს.

22. ვინცა ეკლესია გაუტეხოს, ოთხი სისხლი დაეურვოს.

23. ვინცა ცოლი წაუღოს ბიჭვინტის საყდრის ყმასა, თუ ხუცესი იყოს, ორი სისხლი დაეურვოს, და თუ ერისკაცი იყოს, ერთი სისხლი სრული დაეურვოს.

24. ვინცა ქალი დაუგდოს, სრული სისხლი დაეურვოს.

25. ვინცა ვენახი დაუკაფოს საყდარსა და საყდრის ყმასა, ოცდაათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ათასი ვისიცა ვენახი იყოს იმას; და რისათვის უყო, ისი გაუცუდდეს.

აგრევე ვინცა წისქველი გაუტეხოს.

26. ვინცა ბიჭვინტის საყდრის ყმის მეჯინებე, ანუ მებადილე, ანუ მწყემსი სცეს, ანუ გაძარცუოს, ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ათასი ვისიცა იყოს იმას.

27. და თუ ვინმე მეკობრობით შორის რამე მოიპაროს, ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს.

28. ვინცა კათალიკოზის უკითხავად ბიჭვინტის წყალი ინადიროს მოსადებლითა, ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს.

29. ვინცა საყდრის ყმა დაკოდოს უდალოს ადგილსა, სამი გე(რ) ში დაეურვოს. თუ დალი დაასუას, მეთორმეტე სისხლისა დაეურვოს.

აწ დავამტკიცებთ, მეოხებითა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელისათა საკრძალავი და შესაძრწუნებელი ყოვლისა ადამის ტომისაგან იადგარი დავდევით. ვითარცა სხუათა საყდართა უწარჩინებულესი არის ბიჭვინტისა საყდარი, ეგრეთვე უმეტესი იადგარი დავდევით; და დავამტკიცეთ მტკიცე ბრძანებაი ესე.

არა ვისთვის გვიბრძანებია შლა და ქცევა მტკიცისა და შეუცვალებელისა ყოვლისა ადამის ტომის კაცისაგან, თვინიერ თანადგო-

მისა და შე(მწე)ობისაგან კიდე, არა სხუათა შემდგომთა ჩუენთა მეფეთა და დედოფალთა.

და თქუენ, წმიდანო მე(უ)ფენო, მღღელმთავართ-მთავარნო, აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ. დადიან-გურიელო, ათაბაგ-ამი(რ)სპასალარნო თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ და მწე ეყვენით ბრძანებულსა ამას ჩუენსა.

რამანც გუარმან კაცმან: ანუ მეფემან, ანუ დადიან-გურიელმან ანუ კათალიკოზმან, ანუ ეპისკოპოზმან, ანუ თავადთა და დიდებულთა ანუ აზნაურის შვილთა ხელყოს შლად და შეცვალებად და გამოხუმად, ჩუენ, მეფეთა და დადიან-გურიელთა შეწირულსა მამულსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა, მასმცა რისხავს თავად ღმერთი და საშინელი ყოვლად წმიდაი ღმრთისმშობელი და ქე მისი იესუ ქრისტე და ცხოველს-მყოფელი პატიოსანი ჳუარი, წმიდანი ზეცისა ძალნი, ხორციელნი და უხორცონი, და რანიცა წმიდანი სვინაქსარსა შინა აღწერილ არიან და აღიწერებიან;

რაცა ამა ჩუენგან დამტკიცებულსა იადგარსა შინა სწერიან ან დაიწერებიან, ამისდა შლად და ქცევად ხელყოს, შეჩუენებულმც არის თორმეტთ მოციქულთ მადლითა, შვიდთ კრებათ მადლითა და ოთხთ პატრიაქთ მადლითა; ნურამც ეშ(უ)ელეების მის სულსა და ხორცსა ნუცა ლოცვითა, ნუცა მარხვთა, ნუცა გლახაკთ მიცემითა, ნუცა იერუსალიმისა და მთაწმიდის მიცემითა.

დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხენეს ღმერთმან.

კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ევდემონ
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ეფთვიმი
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მაქსიმე
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ზაქარია
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი სვიმეონ
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი დავით

*ქართული სამართლის ძეგლები,
ტ. 2 თბ., 1965, გვ. 176-183.*

№6. სამართლი ქათალიყობისა (XVI ს. მუახანები)

ა. ქსახელითა ღ-თისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კ-ზმან მამათმთავარმან ევდემოს დავსხედით და შეგკრიბენით ყოელნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწყესობა და უჯერო საქმე შემოვიდა, კაცის კლუა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხუა და უხუედრობა. დავიდევით სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გამოვიღევით და რაც იმისგან არ გამოვიღევით, ჩუენ ჩუენი მაგიერი არა შეგვიმატებიარა და სჯულის კანონიც ასე ბრძანებს.

რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან წმიდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განხდილი. რასაც კაცს მართლის განკითხუითა და გამოძიებითა კაცის სყიდუა გამოაჩნდეს, თუ ის კაცი დაიხსნას და მოიყუანოს, მისსა საყდარსა და ეპისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალედუას, დამკლების უფალსაცა დაუურვოს. და თუ ვერ მოიყუანოს ვინ გინდა ვინ იყოს თავადის შვილი, უნდა აზნაურის შვილი, უნდა გლეხი მაშინც ვერამ საქმემ ვერ იხსნას. უკანონოდცა არს, ძელსა მიეცეს; და ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩუენებული იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუე შე არის წმიდათა მოციქულთასა.

ბ. ეკლესიის მკრეხუელთათვის ესე განგუიწესებია: ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განცარცოს, უკანონოდ ძელსა მიეცეს იგი კაცი.

ღ. ვინცა ეკლესიასა შიგან შევიდეს და საქონელი გამოიტანოს, ეკლესიასა მისი საქონელი მიეზლოს და კაცი დაშავდეს.

ე. ვინცა ძმა მოკლას ანუ მამა, ხელი მოეკუეთოს და მამულისაგან განვარდეს.

ვ. ვინცა უბრალო კაცი მოკლას ანუ მგზავრი ანუ მცუელი რისამე ქურდობით, განიპატიჯოს.

ზ. ვინც ქურდობა ქნას, რარიგადაც პირველად წესი ყოფილიყოს, ისრე გარდაახდევინონ.

ც. ეპისკოპოსის საქმე ეს გაგვიჩენია და გავაჩინეთ: რომელმანცა ეპისკოპოსმან მისსა საყდარსა განეშოროს თვინიეროცის დღისა თუ არ პატრონისა მიზეზისა და საქმისათვის და ანუ სამწყოსა შიგან სიარულისაგან თავი ხელთ არა ჰქონდეს და ანუ ავად არ იყოს, ანუ მისსა სამწყოსა შიგან ქორეპისკოპოსსა გაუწყვეტლად არ არონინებდეს და სჯულის საქმესა და მღუღელმონაზონის საქმეს, მისსა სამწყოსა ეკკლესიების საქმესა მართლა არ მწყობდეს, არ მართებდეს და არ ამაგრებდეს, რაცა ძალედლუას მისს საყდარს არ აშენებდეს, არ კაზმავდეს, ანუ საყდრის მამულს არ ამაგრებდეს და რომელმანცა ეპისკოპოსმან, რაცა სჯულის კანონსა შიგან არ ეწეროს იმას გარეთ, ანუ უხუედრობისა და სვიანობისა საქმესა ზედან ნება დართოს და ანუ საკანონო აართვას, შეჩუენებული იყოს წმიდათ კრებულთაგან და კანონსამცა ქუე შე არის წმიდათ მოციქულთასა და მისის საყდრისაგან ექსორია იქმნას.

თ. რომელმანცა ეპისკოპოსმან დიაკონი და მღუღელი ასრე აკურთხოს, რომე მართალზე არ განიკითხოს და ანუ დავითნისა და მსგეფისისა და კურთხევანისა კითხუა არ შეეძლოს და ანუ უმოძლურო იყოს და მოძლუარი არ განიკითხოს, შეჩუენებული იყოს.

ი. რომელმანცა ეპისკოპოსმან სხვისა ეპისკოპოსისა შეუნდობელსა შენდობა მისცეს, ანუ დიაკონი და მღუღელი უკურთხოს, შეჩუენებული იყოს.

ია. რომლისაც ეპისკოპოსის სამწყოს შიგან ესე იქმნებოდეს, უმღუდლოდ და თუ ღონე არ იყოს უმთავარდიაკუნოდ ერის კაცის ხელითა ანუ ზიარება გაეგზავნოს და ანუ ეზიაროს, ხუცესი წირვისაგან დააყნოს.

იბ. რომელმან ეპისკოპოსმან მისსა სამწყოსა შინა ესე იკადროს და არ მოიკითხოს, შეჩუენებული იყოს.

იგ. რომლისაც ეპისკოპოსისა ქორეპისკოპოსი სოფლის სოფლამდის და ეკკლესიის ეკკლესიამდის არ მივიდოდეს და იმ ეკკლესიის შესავალსა კაცებსა არ შეჰყრიდეს, უქმობასა, ნათესაობასა, ავგზისობასა, სვიანობასა, მარხვის ჭამასა მართლის საქმით არ გამო-

იკითხვიდეს და არ მართებდეს, შეჩუენებული იყოს.

იდ. რომელიც ანუ დიდი, ანუ მცირე, ანუ თავადი, ანუ აზნაური, ანუ გლეხი ეპისკოპოსს წინააღმდეგს და მართლითა სამართლითა და განკითხვით ქორეპისკოპოსს სასჯულო არ მოაკითხვინონ, შეჩუენებული იყოს.

იე. ვინცა ვინ ეპისკოპოსსა და მისსა ქორეპისკოპოსსა წინააღმდეგობა იკადროს, მართლითა განკითხვითა და გამოძიებით რჯული არ მოიკითხოს, პატრონმა მეფემ მისად სისხლად და შეცოდებად მოიკითხოს.

ივ. რომელიცა ეპისკოპოსი დიდი, ანუ მცირე კათალიკოსსა საღმრთოსა და სასჯულოსა საქმეზედა ანუ საყდრისა ანუ სჯულის საქმე რამე დაეშაოს, მართლითა განკითხვითა და გამოწულილვითა რაცა კათალიკოსმან სწვართოს და ეწვართოს და მართალსა წესზედა დადგეს, არა და არ გაუგონოს და არცა იწვართოს, წირვისაგან განიკუეეთოს და მეფემ საყდრისაგან ექსორია ქმნას.

იზ. ვისაც პატრონის მეფის ღალატი გამოაჩნდეს, ანუ დიდსა, ანუ თავადსა, ანუ აზნაურსა, ანუ ვისაც მართლით განკითხვით და გამოწულილვით, რარიგადაც წმიდათა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან გაჩენილი იყოს და სჯულისა კანონსა შიგან ეწეროს, სიკუდილით განიპატიჯოს.

იცი. ვინც კათალიკოსსა და ეპისკოპოსსა აგინოს და უპატიურობა ჰკადროს, რა რიგადაც სჯულის კანონში ეწეროს, იმ რიგად განიპატიჯოს.

ით. რომელმანცა ეპისკოპოსმან უღირსი მღუდელი ანუ დიაკონი აკურთხოს და ანუ იცოდეს მისი უღირსობა და ანუ წირვა დაანებოს და ანუ ქრთამი აართვან, შეჩუენებულიმც არის, ვითარცა სვიმონ მოგუი. ნურც ეპისკოპოსი, ნურც მოძღუარი და წინამძღუარი ქრთამით ნუ დაიდგინებინ. ამისთვის სჯულის კანონი ასე ბრძანებს: შეუნდობელი იყოს მაკურთხეველიცა და კურთხეულიცა.

კ. რომელმანც კაცის მსყიდუელი და ეკლესიის მტეხელი მართალი მრუდად გამოიკუდიოს და მრუდი განამართლოს, შეჩუენებული იყოს.

კა. ვინცავინ დიდმან, ანუ მცირემან საყდარსა და მონასტერსა მამული გამოახუან ანუ სოფელი, ანუ ვენახი, ანუ მიწა და აგარი, ვინცავინ იყოს, დიდი და მცირე, შეჩუენებული იყოს.

კბ. ვინცა ეს მოციქულთა და წმიდათა კრებათაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული სჯული და წიგნი გაათაოს, კურთხევა ღ-თისა, უბიწოდ მშობელისა მისისა და წმიდათა კრებულთაგან და წმიდათა მოციქულთა და ყუელთა წმიდათაგან, ვინც ეს დაამტკიცოს ლოცვაკურთხევით და შენდობით იყოს თავითა, ცოლითა და შვილითა, სახლით, მამულით, აგარაკით, რაც ღ-თსა კაცისათვის კეთილი დაებადოს, ყოვლითა კეთილითა აღსავსე იქმნას, ლოცვა კურთხევით და შენდობით ამყოფოს. ვინცა ამ წმიდათა კრებათა მოციქულთა ან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული რომელმანც არ შეიწყნაროს და კათოლიკეს საყდარზედ დასმულსა წინა აღუდგეს და ჩუენი მცნება არ დაიმარხოს, კრულმცა არის ცათა შინა და ქუეყანასა წმიდათა კრებულთაგან, წმიდათა მოციქულთაგან და ყუელთა წმიდათაგან, შემცა ექმნების ძრწოლა კაენისა, შიშთვილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, მოშობა გმირთა, დაწვა სოდომელთა, კეთრი გეზისა, დანთქმა დათან და აბირონისი, სირცხვილი კრისკენტი და თაბინესი და ყუელთა ქრისტეს უარის მყოფელთა თანამცა არის ნაწილი მისი.

კგ. ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან რძალი შეირთოს, შეჩუენებულიმც არის ღ-თისაგან და მისთა წმიდათაგან და შვიდთა კრებათა, წმიდათა მოციქულთაგან. კაციცა და დედაკაციცა გაღმა გამოღმა დაკირონ და მკირაენი ჩუენგან დალოცვილ და კურთხეულ იყუნენ.

მე აფხაზეთის კ-ზი კანონითა ვამტკიცებ

მე ქუთათელი მიტრაპოლიტი სვიმონ კანონითა ვამტკიცებ

მე გენათელ მთავარეპისკოპოსი ანტონი კანონითა ვამტკიცებ

მე მამა ჰყონდიდელი კანონითა ვამტკიცებ

მე ბედიელ მიტრაპოლიტი კანონითა ვამტკიცებ

მე მოქუელ მთავარეპისკოპოსი კანონითა ვამტკიცებ

მე დრანდელ მიტრაპოლიტი ფილიპე კანონითა ვამტკიცებ

მე ცაგერელი მამათ მთავარი კოზმან კანონითა ვამტკიცებ

მე ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იოაკიმ კანონითა ვამტკიცებ
მე ჩაიშელი მამათ მთავარი კვირილე კანონითა ვამტკიცებ
რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩუენებულამც არის
წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიჯოს.

*საკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედეგების
დრო. ტფილისი, 1913, გვ. 3-7.*

№7. შენიხელობის ნიგნი ჟათაღიჟოს ეთთვიმე საყუაჟელიძისა ბიქვინთისადმი (1600 ნღის ახლო ჰეჟიოღი)

ნებითა ღვთისათა: — არის ევღემონ კათალიკოზის შეწირული:
ერთი ოქროს ხატი ბიქვინტისა ღ'ისმშობელი, გელათს ასუენია. ერთი
ოქროს ჳვარი მოთვალ მარგალიტული. ერთი ბარძიმი ოქროსა
მოთვალ მარგალიტული. ერთი ოთხთავი ოქროთ მოქედილი მოთ-
ვალმარგალიტული. ერთი ოქროთ მოქედილი ყავარჳენი. ერთი ოქ-
როს ომფორი მომარგალიტული. ერთი ძველი ომფორი. ერთი ნახ-
ღის ბისონი. ერთი სხუაი ბისონი ოქრო ჳსოვილი. ერთი საბეჳური
სირმით შეეერული, ოქროს ჳვარი აბია. ერთი ოღარი და ერთი ენ-
ჳერი სირმით შეეერული. ერთი სამკღავე სირმით შეეერული მო-
მარგალიტული. ერთი სტიხარი ჳარ'ისა (sic). ხუთი მეტაფრასი წიგ-
ნი.

ნებითა ღვთისათაი შევსწირე მე აფხაზეთისაი კათალიკოზმან
ეთთვიმი საყუირელიძემან ბიქვინტისაი ღვთისმშობელსაი გვირგ-
ვინი ოქროსაი მოთვალმარგალიტული, ომფორი მძიმედ მოთვალ-
მარგალიტული, ბისონი სტავრისაი ოქროს ღიღებიანი, ოღარი
სტავრისაი, ჳმარი ოქროსაი, ენჳერი სირმისაი მძიმედ მოთვალმარ-
გალიტული, ოქროღ ჳსოილი სტიხარი, საბეჳური მომარგალიტუ-
ლი, ოქროს ხატი მძიმედ მოთვალ მარგალიტული, სამსჳული და
ძელი არის შიდაი და პატიოსანი ნაწიღები. მეორე ჳმარი არის მარ-
გალიტისაი. მეორე ბისონი არის შავის ატღისისაი ოქრო ჳსოილი

ვეცხლის თვლებიანი. კიდევ მესამე ბისონი არის ოქროქსოვილი თეთრი, ცხრაი მარგალიტის ღილებიანი. მეოთხე ბისონი არის ორპირი სრასანი ოქროს ღილებიანი. მეხუთე ბისონი არის მრავალჯვარი ხავედისა ოქროს ღილებიანი მოთვალ მარგალიტულთაი. მეექვსე ბისონი ხავედისა მრავალჯვარი ვეცხლის ღილებითაი. სტიხარი ოქროქსოილი. სამკლავე მრავალ ჯვარი მომარგალიტული. ბარძიმი ბროლისაი ოქროთ მოქედილი. ერთი ფეშუმე ოქროსა და ერთი ვეცხლისაი. ერთი კამარაი ოქროსა მოთვალული. ლახვარი, კოვზი, ოდიკი დახატული, ღრუბელი, ერთი საზედაშე, ვერცხლის კარჩხალი, სამი ნახლის პერექელი. ერთი ოქროს კონდაკი ოქროს მელნით დახატული ოქროს ღერითაი. ერთი სხვაი კონდაკი დახატული, ერთი სხვაი ეტრატისაი კონდაკი, მეოთხე ყლითა შეკრული კონდაკი. ერთი ჟამნი, ერთი დავითნი, ერთი კურთხევანი, ერთი სანთლის ჯვარი მოქედილი და ლამაზი მოქრილი. ერთი პატიოსანი გულანი წიგნი ლამაზად დახატული სრულ ყოველისფერითაი უნაკლულო. ერთი სჯულის კანონი. ერთი ქართლის ცხორებაი დახატული. ომფორის სიკივრები (sic). რვაი ვეცხლის ბარქაში. ერთი ოქროს დოსტაქანი. ერთი ჩ'ლხის (sic) სურაი დიდი. ერთი ვერცხლის საწერელი. სამი დიდი ორხაო, ერთი ბამბისა და ორი სხუაი. ერთი ჭეჭიმი. ოცი საინი. ორი ქუაიბი. ცხენის ჯოგი, ზროხის ჯოგი და კამბეშის ჯოგი.

საისტორიო მთაბე, 1925წ. 2 კვ. 186.

№8. ლევან II დადიანის შენიხულობის წიგნი ბიჭვინთისადმი და ქითამის გამოღების წიგნი ჟათადიქოს ეფთვიმე საყვახედიძისა ლევან დადიანისა და გიოხგი ლიპახციანისადმი (1615 წლამდე)

ქ. შენ წმიდათა უვრცევლესო (sic) და ქერაბინთა უზეშთაესო შვიდ ცათა უვრცევლესო ბიჭვინტისა ღვთის მშობელლო ჩვენ ცვაიფარვათა შენტა მონდობილმან და მსასოებელმან სიწმიდისა შენისამან ჩვენ დადიანმან ბატონმან ლეონ და ტკბილის მამის სანაცვლომან ბატონმან ბიძამ ჩვენმან ბატონმან გიორგი ლიპარტიანმან გკადრეთ და შემოგწირეთ შენ საშინელსა თვალებისაგანცა ანგელოზისა უხილაესა ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა ჩვენდა სადღენგრძელოდ და განსამარჯვებლად, სახსრად და საოხად სულისა ჩვენისად შემოგწირეთ ჭალა კაკა ჯაიანისეული მამული და მისის შვილის ხუტუსეული მამული, ორი მონასტერი — ერთი ჯვარის პატიოსნისა და მეორე წმიდის გიორგისა, მისის სასახლითა, მამულითა, საფლავითა, სათევზითა, საყანითა, სანადიროთა, სახობითა, სათივითა, ბელლითა და მარნითა, ჭურითა, შესავალითა და გამოსავალითა, როგორაცა ხუტუ ჯაიანა ეხმაროს ისრე თქვენ იხმარეთ. აწე არის ამის შემავალი გლეხი ხუტუ ჯაიანი რომ იხმარებდა ერთი კუამლი კაცი გრიგოლ გოგოლდაი, მეორე მოსახლე ლომინია გოგოლდა, მესამე მოსახლე მიხლია ჩანგელია. მეოთხე მოსახლე ქვაქვალაია შანტაია, მეხუთე მოსახლე მიკალანდი ფიველია, მეექვსე მოსახლე ვაგიქორდი კვიკაი, მეშვიდე მოსახლე ობიშხუაი ფელიაი, მერვე მოსახლე მაჭიხოლი ჭანიაი, მეცხრე მოსახლე ფშიას ბიბილიაი ხუტუს ჯაიანის სეული. აწე ამისი მოწამენი არიან თავად ღმერთი და ბიჭვინტისა ღვთის მშობელი. კაცთაგან ლიპარტიანი ბატონი გიორგი დავაზირთუხუცესი და მოლარეთ უხუცესი მერაბ ქორთოძე და კაცი იაი ქორთოძე და მესტუმრეთ უხუცესი კაკაუჩაი ჭვითაი სახლის უხუცესი ქაიხოსრო აფაქიძე, ბოქაულთ უხუცესი ჯავახ ჭილაძე. აწე ამისი შემწირველი ესენი არიან. აწე შეწირული

ჩვენგან მამული და საყდარი ვინცა გამოსწიროს, რისხვას მამაი ძე და სული წმიდაი. ყოვლად წმიდაი ღვთის მშობელი, ყოველნი წმიდანი ღვთისანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, უხორციონი და ხორციელნი. ნურამთამცა ეშველების მისს სულსა ნურც წირვითაი, ნურც ლოცვითაი და ნურცაი გლახაკთ მიცემითა და ნურცაი ი'ვლემს წასლვითა და შეწირვითა და ლოცვითა და დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან. ამინ. ამინ. მეღვინეთ უხუცესი გამიგონი ბუკუჩაი და მზარეული ხუტალეი გვირგინაი.

ქ. ჩვენ ქრისტეს ღვთისაი მიერ კურთხეულმან აფხაზეთისა კათალიკოზმან ევთვიმი საყვარელისძემან ჭალა მონასტერი და რაც მამული შესწირან დადიანმან ლეონ და ლიპარტიანმან გიორგი ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა ჩვენ მისდა ქრთამად გამოვიღეთ, მივეციტ მანუჩარ დადიანსა თორმეტს, ტყუეთ დაფასებული კარავი, ერთი ბედაური ცხენი და ერთი ბედაური ჯორი. მანუჩარ დადიანი მიიცივალა, მას უკან მის შვილს ლეონ დადიან(ს) მივეც ერთი გაუკუეთელი სარასანი და ერთი ყირმიზი იაზდური ხავედი. ლიპარტიანს გიორგის მივეც ერთი ოქროს მოკედლილი უნაგირი მურასავეცხლის ლაგამითა, ვეცხლის საღვეითა, ვეცხლის სამკედლითა, ვეცხლის მათრახითა ოქროქსოილის ასლითა, ოქროქსოილის ბოლქაუსუნითა (sic). ერთი სიასამურის ხავედის ტყავი თეთრს ხავედს აკრავს. მივეცი მერაბ ქორთოდესა ერთი ბედაური ცხენი მისის უნაგრითა და ასლითა და შირაქითა შეკაზმული. სახლის უხუცესსა ქაიხოსრო აფაქიძეს მივეცი ერთი დიდი თავანაგამი ერთის კაცის ასაღები. კაკაუჩას ქვითიას მივეცი ერთი კარგი მესხური საუნაგირე დაფქრისა (sic) მისის იარაღითა, ერთი ზემოური ქამფხაი და ერთი ჩილღაოს ქუდი. სხვაი საბანი და სურმები მოხელეებსა. აწ რამანც კაცმან ან დადიანმან, ან სხვაიმან კაცმან, ან თავადმან, ან აზნაურის შვილმან ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა გამოსწიროს ჭალა მონასტრები და რაც მაშინ მამული შესწირეს, რისხავსმცა ღმერთი მამაი ძე და სული წმიდაი, ყოვლად წმიდაი ღვთის მშობელი, ყოველნი წ'ანი ღვთისანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორციონი. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან. ამინ.

საისტორიო მთაბე, 1925წ. № 69. 187-188.

№9. ხომის ჰაჰის უხბან მეხვეს (1623-1644 წწ) ნეხილი ღევან II ღაღიანისადმი. 1626 წელი

ოღიშის ქართველ მთავარს.

თქვენო კეთილშობილებავ, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი. მღვდლებს, რომლებსაც ვგ ზავნით საქართველოში, იმედი აქვთ, ჰპოვონ კავკასიის მთებზედ კარმელის მთის სიბრწყინვალე და რიონის ნაპირად იორღანის მღინარე, უკეთუ თქვენმა კეთილშობილებამ მფარველობა გაუწია და ანუგეშა. ყველა ნათესავთა სამშობლო რომაც, რომელსაც ძრიელნი მეფენი პატივს სცემენ და თავიანთ სარწმუნოებრივ ვალს უხდიან, როგორც საქრისტიანოს ღეღაქალაქს, გპირღება თავის მხრივაც ტიბჩის პირად ვატიკანში პატივი სცეს თქვენ სახელს, უკეთუ ამ სამსახურით ანუგეშეთ ეკკლესია. აწ აზიის მთავარს ვერც ევროპა სთხოვს უკეთეს ნიშანს დიდსულოვნობისას, რომელიც უნდა გამოიჩინოს მღვდლების მიმართ, რომელთაც დაივიწყეს ყველა სიამოვნება, უკუ აგღეს შიში ყოვლისა განსაცღელისა და არჩიეს თქვენი სამეფო თავიანთ საქუთარ სამშობლოსა. მანღ იმიტომ კი არ მოღიან, ქონება და სიმღიდრე შეიძინონ, არა, ღვთის მადლით, მათ ესეთი საცთურიანი გზა უარყვეს, რათა დაემორჩილონ ბრძანებას უფლისას. მოღიან მარტო იმისთვის, რომ ხალხს სულიერი ხსნა მიანიჭონ. ამ სულთა ცხონებაზეა დამყარებული რომის მღვდელმთავრის ღიდებაც. არა თუ სარწმუნოება, არამედ თვით კაცობრივი გრძნობაც არ ექმნება, ვინც სიყვარულით არ მიიღებს ამ მღვდლებს, რომელნიც მოღიან ეგრეთ შორეულ სამთავროში, რათა თქვენის ბედნიერებისათვის იშრომონ. ყვეღან მიღებულღია, რომ სიყვარულისა და სარწმუნოების ნიშნად კაცმა უკუ აგღოს თავისი საკუთარი ინტერესები და იზრუნოს მოყვასის სიკეთისათვის. იქიღგან შეგიძღღიათ სცნოთ, თუ რა რიგ უყვარხართ რომის ეკლესიას, რომ მანღ ამ სიშორიღგან მოღიან და თქვენი სახელგანთქმულობისაცა არაფერი გაუგონიათ. ამათი მანღ მოსვლის მთავარი მიზეზი მხოლოდ ის არის, ქართველთა ერს და მთავრებს მოუპოვონ წყალობა ღვთისა და შესძინონ სა-

უკუნო სიმდიდრე. მგზავრობის სიძნელე, მტრების მახე, ზღვის ლელვა, თქვენის ცხონებისთვის ყოველივე თავის სასჯელად მიიღეს. ესრეთნი პირნი თხოულობენ თქვენი კეთილშობილებისაგან შემწეობას და ქართველთა ერის დახმარებას. ამის თხოვნა ვინებეთ თქვენგან ამ მოციქულებრივის წერილით, რათა ჩვენი მღვდელმთავრული სიყვარულის ნიშნად დარჩეს თქვენთან. რა მაგათ პატივით მიიღებთ და მოუსმენთ სახიერებით, მაშინვე თქვენი სახელი საქებურ შეიქმნების აქ, საცა მთელი ქვეყანა მოდის. მასთანვე თქვენს მთავრობას გააბრწყინებს და გააბედნიერებს მოწყალე ღმერთი, რომელიც თქვენგან ასეთს საქმეს თხოულობს. თქვენთვის ამ მადს ვსთხოვთ მას და ვნატრობთ, სული წმიდის ნათელმა განანათლოს თქვენი კეთილშობილება, რათა დაიმკვიდროთ ზეცას მის უდიდესი მეფობა, ვიდრე ამ ქვეყანაზედ გაქვსთ.

რომით. 4 ივლისისა 1626წ. ჩვენი მღვდელმთ-მთავრობის მესამე წელსა.

მიხეილ თამარა შეიღო. ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის. თბ., 1902, გვ. 169-170;

№10. შენიხულობის ნიგნი მადაქია ჯათალიკოზისა ბიჭვინტისადმი (1616-1639 წწ.)

ნებითა შეწევნითა და წყალობითა ღმრთისათა ჩუენ გურგილ-კათალიკოზმან პატრონმან მალაქიამ შევსწირეთ ბიჭვინტისა ღმრთისა-მშობელსა მცირე ესე შესაწირავი:

თავის ერთი წმიდის ანდრია მოციქულის ხატი მომიქედინებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვინტისა და მის-ვენებია და სამი კვამლი კაცი იქ იმისთვის შემიწირავს;

ამას გარეთ ერთი მძიმედ მოთვალმომარგალიტული ოქროს ომფორი ათასის ფლურისა სრულად პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა შემკობილი და მისი ოქროს ბუშტებითა;

ერთი ამისი შეფერებული მძიმე ოქროს სირმის ჩარყფათ შეკე-

რული ბისონი ცხრის მურასის ღილითა; და ამ ღილებშიან ნიშაუ-
რის ფეროზისა და ყირმიზის იაგუნდის მეტი არა ზის რაი; ეს ღი-
ლები თვითო ას-ას მარჩილათ ნასყიდი არის;

ერთი წყვილი სამკლავები ოქროსა ოთხასის ფლურისა მძიმეთ
მოთვალმომარგალიტული;

ერთი პატიოსანი ოლარი ხო შორის მარგალიტითა მძიმეთ მო-
მარგალიტული;

ერთი მძიმე ოქროს მურასა ქამარი პატიოსნის ყირმიზის იაგუნ-
დითა, ლალითა, ნიშაურის ფეროზითა და მა(რგა)ლიტითა შემეკო-
ბილი, შვიდი ქულუჩა და ორი წინა შესაკრავი აქუს.

ერთი მძიმე ჩარყაფის მოთვალმომარგალიტული ენქერი;

ერთი მძიმე ჩარყაფათ შეკერული სტიხარი ორის ოქროს ღილითა;

ერთი სირმით შეკერული საბეჭური;

ერთი ოქროთა თვალითა და მარგალიტითა შემეკობილი პატი-
ოსნის ძელითა და ნაწილებითა და ოქროს ჭაჭვითა ყლსაკიდი ხა-
ტი;

ერთი სამწირველო ოქროს სარმუზა მურასა პატიოსნის თვა-
ლითა და მარგალიტითა შემეკობილი;

ერთი მძიმე ჩარყაფისა მომარგალიტული პორფირი;

ერთი შავის ატლასის მაზარა მოთვალმომარგალიტული სირ-
მისა მდინარებითა და ოქროს მურას(ა) ღილებითა;

ერთი მძიმე ოქროს მურასა ყავარჯენი ოქრო, კურთხეულის ბა-
ტონის ეფთვიმე კათალიკოზისაგან იყო და ზოგ-ზოგი თვალი და
მარგალიტიცა მისგანვე იყო; და მერმე ჩვენ ახლად კიდევ პატიოს-
ნის თვალითა და მარგალიტითა შემიმკვია და გამიკეთებია;

ერთი სირმისა მომარგალიტული გვირგვინის ქული;

ერთი ოქროს ფეშხუმი ორას სამოცის ფლურისა;

ერთი ოქროსა მძიმეთ თარნიშნით გაკეთებული მოთვალული
კოვზი;

სამი მძიმეთ ხალასათ ყირმიზს ფრანგულს ქამხაზე შეკერული
პერექლები;

ერთი მძიმეთ ვეცხლით მოქედილი და ოქროთ დაფერული კონ-
დაკი, სამივ კონდაკი შიგან სწერიან მისის ხალასათ შეკერულის

რუფაქითა;

მეორე სხუა კონდაკი ოქროს ვარაყით დაწერილი;

ერთი პატიოსანი ძილის პირი ქრელის ნუსხითა;

ერთი ჟამნ-დავითი; ერთი კურთხევანი;

ერთი გულანი კურთხეულის ეფთვიმე კათალიკოზისაგან დაწე-
რილი იყო და ხატის შეწირული არ იყო და ბატონს დადიანს წაე-
ლო და მე ვსთხოვე და მიბოძა და აწ მე შემეწირავს;

ერთი ეტრატის ოთხთავი, თავი დახატულ აქუ(ს,მ)ერაბ ქორთო-
ძისაგან მიშოვნია და შემეწირავს;

ერთი... აბრე შუმის ხალიჩა, ერთი ხასა ვეცხლის ჯუარი...;

ერთი მურასა ტახტი სამწირველო;

ერთი მძიმე (მოთვალ)მომარგალიტული სამზეური;

ერთი (მურასა) მძიმედ მოთვალმომარგალიტული ჩარყათის...
წინ(?) დასადებელი მძიმედ ჩარყათის შე... მისის ოქროქსოვილის ხა-
ლიჩითა... შეკერულისა და მოთვალმომარგალიტულის... მისის
ვეცხლის გრგოლებითა;

ერთი დიდი ოქრო(ქსოვილი)... ფარდა;

ოთხი დიდროვანი დივანხალ(ი ორხაო);

ერთი დიდი თაქანაბადი, ორის უფროს-უმცროსი კარგები;

ერთი ალაჩუხი, ერთი წყვილი... ერთი ყორმიზი ბულღრის სუფ-
რაი; ერთი ტაშტი წურწუშმა, ვეცხლისა წურწუშმა მუშაბახათ საქ-
მარი და ტაშტი ჩარხისა;

ერთი საყა თასი; ერთი დიდი დოსტაქანი;

ორი ჩარა თასები;

ერთი ცხრაი ვეცხლისა ღრუბ(ლ)ეზნაქმარი ნალბაქები.

აწ ადგილებისა და მამულებისაგან:

ხაუყელს სასახლე აოხრებული იყო და მომცრო ადგილი იყო და
გარე შემოთ სხვისი ადგილები იყო და ჩემის თეთრითა მიყლია და გა-
მიმატებია და სასახლე ამი შენებია და ქვთკირისა საყდარი და ქვთკი-
რისა ჭიხური ამი შენებია, ღარბაზი დამიდგამს; და ორი მოსახლე კა-
ცი ჩემის თეთრით მიყლია და დამისახლებია და ჯოგი დამიყნებია.

ამას გარეთ თილითს სასახლე გამიკეთებია, საყდრისათვის სამ-
რეკლო ამი შენებია და ქვთკირის მარანი ამი შენებია, ზედა კარგი

სახლი დამიდგამს და ტახტი ამი შენებია, ერთი კუამლი კაცი ჭიჭია გურიიდალმან მიმიყვანია, მებოსტნეთ დამისახლებია და ჯოგი დამიყვანებია, მეორე კვამლი კაცი სურებული გური(ი)დალმან მიმიყვანია და დამისახლებია.

ამას გარეთ ოდი შს, სადაც მე მოვინდომე, ღალიძგას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულველისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს, ჩუენი გამორჩეული მეთევზენი და სხუა კაცები ოცდაათი მოსახლეები დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ მისის სულისათვის შესწირა და ყოველსა წელიწადსა სულისათვის ტრაპეზი გაიჩინა.

ამას გარეთ ღალიძგას სასახლე არ იყო ბატონის დადიანისა ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩუენცა შევეხვეწეთ და ვსთხოვეთ და თვითან ხატსა შესწირა და ჩუენცა დაგვამაძლა. მივჰყვიოთ ხელი, დაუწყეთ შენება, საყდარი გაგვიკეთებია. დარბაზი და ჭიხური ჩემის თეთრითა მიყიდია და დამიდგამს და გარდამიქედინებია. აგრევე ბელღები, მარანი და რაც სახლები არის ან საყანე, ან საკრეფი მამული და ჭურები, ყველა ჩემის თეთრით მიყიდია. ერთი მოსახლე ბატონმან დედოფალმან მიბოძა და სამი მოსახლე ჩემი (საკუთარი) კაცები მიმიყვანია და დამისახლებია, ... ღორის ჯოგი დამიყვანებია და სამუშაო საქმე ყველა გამიჩენია და გამირიგებია; ქვებები დამიდგამს და მეთევზენი დამიყვანებია.

ამას გარეთ ილორს ჩხოხობისაგან ერთი პარტახი მიყიდია და ადგილი წინამძღრისაგანცა მიყიდია და ერთი კვამლი კაცი მიმიყვანია იქ მეთევზეთ და დამისახლებია.

ამას გარეთ სუბეი შს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს, დიდი დარბაზი და ჭიხური დამიდგამს და გარდამიქედინებია, საყანები მიყიდია და ორი კვამლი კაცი ჩემის თეთრითა მიყიდია და დამისახლებია, და ხარისა და ზროხისა და ცხენისა ჯოგი დამიყვანებია.

ამას გარეთ ხორის სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე, ჭიხური დავადგმევინე და გარდავაქედინე; და რაიც სახლები დგას, ყველა ჩემის თეთრითა მიყიდია და სხუასაყანეები, საკრეფი მამულები და ჭურები მიყიდია და შემემატებია,

მოსასახლეები დამისახლებია და ზროხები დამიყენებია.

ამას გარეთ ნაენანაურს ერთი დიდი სახლი ამიშენებია და გარდამიქედინებია და ზროხის ჯოგი დამიყენებია და საყანეები ოსათს ჩემის ძმისაგან მიშოვნია და შემიმატებია.

ამას გარეთ ხიბულას საყდრის იარაღისათვის ციხე სალაროთ გამოიკეთებია, შიგან ორი კვამლი კაცი დამისახლებია, საყდარი, სახლი და ჩარდახი დამიდგამს და ერთი სასახლეთ ის გამიკეთებია.

ამას გარეთ ხიბულას გამოღმა სასახლისათვის დამიმატებია დიდი დარბაზი და დიდი ჭიხური დამიდგამს და გარდამიქედინებია, ტახტი ამიშენებია და გარდამიქედინებია და სახლ-კარი გამიკეთებია, მოსასახლენი დამისახლებია, კამბეშისა, ზროხისა, თხისა და ღორის ჯოგი დამიყენებია, საღობი გამიკეთებია და ერთი მოსახლე კაცი ზედ დამისახლებია, ხარდანი გამიკეთებია და მეხარდნე იმერეთიდან მომიყვანია და დამისახლებია.

ამას გარეთ საქუჩულორიოს ბატონმან დადიანმან ერთი სასახლე ოთხის კვამლის კაცითა მიბოძა მისი საყანითა და საკრფის მამულითა და მისის ყოვლისფერითა და მე შემიწირავს.

ამას გარეთ ნაგვაზაურის სასახლისათვის ბატონს ლიპარტიანსა შევეხვეწეთ და ცარიელი, უსახლკარო სასახლე ადგილი მომაქართამა ორის მოსასახლითა და ერთი მოსასახლე მე მიუმატე. მივპყავ ხელი და საყდარი ავაშენე და გარდავაქედინე. დიდი ჭიხური ავაშენე და გარდავაქედინე; სხუა სახლები, ბელელი და მარანი და ჭიშკარი ავაშენებინე და სასახლე გაავაკეთებინეთ.

ამას გარეთ ბატონმან დადიანმან ბატონის ლიპარტიანის სულისათვის ხუთი კვამლი კაცი, ზოგი იქვე და ზოგი სხუაგან ხატსა შესწირა და მე მიბოძა და მე შემიმატებია და ჭყონდიდელისა აფაქიძისაგ(ა)ნცა სა(კ)რეფი მამულები მიშოვნია და შემიმატებია. იმ ადგილს ძველის ლიპარტიანებისაგანცა ქონდა ხატსა შეწირული კაცები და აწ ჩვენ კარგი სასახლე გაგვიკეთებია.

ამას გარეთ ნაგვაზაურს ორი კვამლი კაცი იყო, მარტო ბეგარა ჩვენი იყო და სხუ(ა) სამსახური ლიპარტიანისა ედვა. შევეხვეწეთ კურთხეულსა ბატონსა ლიპარტიანსა და ეს კაცებისცა სრულად მკვიდრად დამანება და ახლა ეს მე შემიმატებია.

ამას გარეთ ეკს ორი კვამლი კაცი საკანონო(შ)იან ჰილაძესა ლომკაცსა დავადებინეთ და შევაწირვინეთ; ერთი კვამლი კაცი რევანოზს დავით ჰილაძის შვილსა დავადებინეთ ოფისკუჟს და შევაწირვინეთ.

ამას გარეთ მათხოჯს სასახლე გამიკეთებია და შემიმკვია საყდრითა, ტახტითა, დარბაზითა, დიდის სეფა სახლითა, საწოლის სახლითა და ჰიშქრითა და მისის ჯიხურითა. საღობი არ იყო და ახლა საღობი მე გამიკეთებია და მეთევზეც გამირიგებია და დამიყენებია.

ამას გარეთ ჯიქთუბანს სასახლე არ იყო და სასახლე მე ამიშენებია დარბაზითა, ჯიხურითა, მარნითა, ბელლითა და სხუა სახ(ლებითა)... და ჰიშქრითა. ადგილები მიშოვნია და შემიმ(ატებია) ... მეთევზენი გამიჩენია და არიან და რაიცა (მათი გამოსაღები არის) , ბეგრის ნუსხაშია სწერიან.

ამას გარეთ... ხეიძისეული გეგუთს მეფესა გიორგის ვსთხ(ოვე და სასახ)ლე და სამი კვამლი კაცი მან მიბოძა და მე შემიწ(ი)რავს.

ამას გარეთ ნავენახევს დიდი სახლი ამიშენებია, სასა(ხლე) გამიკეთებია.

ამას გარეთ წყალი გზას ბატ(ონის)... თეთრითა ვიყიდე და სასახლე აღ(ვაშენე)... სხუა კიდევ კურთხეულის ბატონის მანუჩარ დადიანის წყალობა მქონდა... სასახლისათვის შემიმატებია...

ამას გარეთ გურიას ოცხანას როსტომს გურიელსა კვამლი კაცები შეეწირა და კურთხეულსა ბატონს ჩემსა ძმასა მამია გურიელსაცა შეეწირა კვამლი კაცები, (ადგილი) იყო და სასახლე ოცხანას არ იყო და ბერეჟიანი ამოსწყდა. შევეხვეწე კურთხეულს ჩემს ძმასა ბატონს მამია გურიელსა და ბერეჟიანისსეული სასახლე დიდის ქრთამითა მომაქრთამა საყდრითა, სახლებითა, მოსახლითა, სათიბითა, საყანითა საკრების მამულითა, სათევზოთა და მისის ყოვლის ფერთა. და მივართვი ქრთამად ერთი მძიმე ჩარყაფი, ორი ოქროს... ერთი წყვილი პატიოსანი ლალის საყურე მისის ღილითა და მარგალიტითა შემკობილი, ერთი ბროლის...

*ქართული სამართლის ძეგლები,
ტ.3 გვ. 498-503*

№11. ლევან II დადიანის შენიხულობის წიგნი ბიჭვინთისადმი (1640-1657 წწ.)

აგრევე კადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ცასა მობა-
ძავსა ბიჭვინთისა ღვთისმშობელსა ჩვენ ხელმწიფემან დადიანმან
პატრონმან ლევან თეკლათს საყდარი მთავარანგელოზისა საწინამ-
ძლროი რუვაი კუამლის კაცითა, ტყითა, ველითა, საყანითა, სანა-
ღიროთა, გასავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა,
ღღეს რისი მქონებელი იყონ მათის სამართლიანი საქმითა. ამას გა-
რეთ საკანდელაკოს კლიტითა და სადეკანოზოს ჯოხითა შეგვიწი-
რავს სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათვის, ასრე რომე საცი-
ლო იყო და ბატონი კათალიკოზი მაქსიმე იმაზედ დაგელაპარაკა
და ხელ შეუვალად მივართვით, რომე არას კაცისაგან ხელი არა შე-
ვიდოდეს. აწე ვინცა და რამანცა კაცისაგანი ამ ჩვენგან შეწირულს
შლად და ქცევად ხელყოს ისიმც შეიშლება რჯულის ქრისტიანო-
ბისაგან, წყულ, კრულ და შეჩუენებულიმც არის მისი სული და
ხორცი აქა და მას საუკუნოს. რაც ამ დავთარში შეჩუენებაი ეწე-
როს მის თავზედამც აღესრულების, ანდა იმას შერისხდეს წმიდა
ღვთისმშობელი და მთავარანგელოზი.

საისტორიო მოამბე, 1925, წ. I, გვ. 188.

№12. ვახუანის ჯახინალების წეიცი ლევან II დადიანისადმი 1646 წელი (მოხელე ვახიანტი)

დიდის შვებით ვსცანით, რომ თქვენა და თქვენის სამეფოს მცხოვ-
რებთ უმეტესობას დაგიტოვებიათ ძველი შეცთომილება, გიწამე-
ბიათ ლათინის ეკკლესიის დოგმები და მას შემოერთებინართ. ამი-
ტომ უმაღლესი მწყემსი პაპი, ვითარცა საყოველთაო მამა, თავის
საყვარელ შვილად გთვლისთ და განიქებთ უხვად თავის წმიდა

კურთხევას. ვინაიდან ეგოდენის სურვილით ხელახლავ მიგიღიათ ნათლილება, საჭიროა უფრო განმტკიცდეთ კათოლიკე სარწმუნოებაში და ეცადოთ, რათა, კათოლიკებრივის გულმოდგინებით საქვეწოდალიაროთ რომის ეკკლესიის სარწმუნოება. ეგრეთვე უნდა ეცადოთ, რომ პატრი ჯუდიჩის, პატრი ლამბერტის და სხვა სამოციქულო მისიონერების სრული ნდობა იქონიოთ და მათი დარიგებით მოიქცეთ, რადგან არიან დიდად სათნო და სარწმუნოების ერთგულებით სავსენი და არა მარტო თქვენ, არამედ მთელს სამეფოსაც სიკეთეს მოუტანენ. უკან მობრუნებულის ელჩისაგან, რომელიც გამოგ ზავნეთ თქვენის მორჩილების გამოსაცხადებლად, ყველას კარგად სცნობთ, თუ რაოდნათ გაიხარა პაპმა და მთელმა რომამ თქვენის ამბით, თავისი გამოუთქმელი სიხარულის დასამტკიცებლად, მაგ უფლის ვენახში ჰგ ზავნის კვალად ორს სხვა მისიონერსაც, რომლებიც შესანიშნავნი არიან სათნოებით, გულკეთილობით და მოძღვრებით; შემდეგ შიაც კიდევ გამოგ ზავნით სხვებსაც, რათა მით სცნოთ, თუ წმიდა რომის საყდარსა რაოდენი სიყვარული აქვს თქვენი და თქვენი სამეფოსი.

*მიხეილ თამარაშვილი. ისტორია
კათალიკოსობისა ქართველთა შორის, გვ. 193-194.*

№13. საცაიშო გამოსავლის დავთხის მინანუხები. 1658-1742 წლები

1. ჰეი შენ ცათა უმაღლესო ბიჭვინთისა ღმრთის-მშობელო მე მონამ ან და მსახურმან თქვენმან ჩრდილო აფხაზთა კათოლიკოსმან გრიგოლ შემოგწირე საჭილაოს რუშას საყდარი თვისი თორმეტი კომლი კაცით, თავის წყლით, მიწით, ტყით, მამულით და ყოვლის მისის ქონებით; რომელიც ამის საზღვარი არის: ზეით საცილორო შარას აქეთ ცხენის წყალს რომ შანის ღელე (შერთვის, რუშას გამოღმა, რომელზედაც საცილორო გზა მიაჭრის, იმას აქეთ რუშას გაღმა ჩქონის ბოლოს აქით გ'ლეკარს ჩქონის ბოლოდამ ქალა დაბ-

ლა გორამდი ცხენის წყალი რიონს რომ შეერთვის, ორპირს ზეით სახობიანათს ეს ეკლესია თავისი ყმითა და მამულით. ბატონმა მეფე ალექსანდრემ თავისი მეუღლის მარიამ დედოფლის ნიშნათ მიბოძა: მოურავი ჭიჭუის შვილი, გლეხი გენავა, მეორე ქ' ციბავა დორუჩავა, მოქვის შვილი მებუკე აზატი არის, მიქაციავა გვაცალიანი, ქაქ' ლია ხაჯალია, ძლიკი თედორაია მახოია, მიგინეს შვილი პეპეპუ, ჯღენტი ხუხუტია და სხვები აქ მოსახლენი.

შეიწირეს სასოო ჩემო ბიჭვინტისა ღმრთის-მშობელო სხვათა შეწირულთა ჩემთა თანა მცირე ესე ძღვენი ჩემ მიერ მორათმეული.

უკუეთუ შეწირულისა ამის გამოწირვა იკადროს, დაეც საშინელი რისხვა ძისა შენისა და ნუცა მეოხ ექმნების ჟამსა სიკვდილისსა; და იყოს კაცი იგი წყეული, კრულ და შეჩვენებული ყოველით სახლეულით თვისითურთ მწყემსთ-მთავ(ე)რობისაგან ჩემისა და ყოველთა შემდგომთა ჩემთა კათალიკოზთაგან და ყოველთა წმიდათა დღითიდღე მოხსენებ(უ)ლთაგან ამინ, ამინ.

2. შეგვიწირავს ხომალდის ბაჟი ჩუენ, დადიანს ლეონს ბიჭვინტისა ღმრთის-მშობლისათვის თითო ხომალდისთვის 1 თავთა, 10 ღვინი, 10 მე ში, 10 მახართელი მარილი, 10 მთელი თევზი, 1 ჩექმა, 1 მშვილდი, 1 თივთიკის თეთრი ქუთი, 1 ხალიჩაი, 1 წონა მატყლი, 1 წონა სპილენძი, 1 წონა რკინა; ასრე იყო მებაჟედ ყოფილა ბებლიაბა გათელია, ანდრაახია, დეკანოზია; ანდრაახიასეული ქორთოდეს მიხუდა, დეკანოზიასეული პაპუნიას ანჯათარძეს ქონდა. მერმე კათალიკოზს მივაქრთამეთ და ბიჭვინტის ღმრთის-მშობელს შევსწირეთ. თითო კათალიკოზის კაციც ერიოს და რაც სხვას მებაჟეს ერგოს, ის კათალიკოზის კაცსაც ერგებოდეს. ეს ასრე გაგვითავებია.

